TBILISI I. JAVAKHISHVILI STATE UNIVERSITY

RESEARCH CENTRE OF THE HISTORY OF GEORGIAN STATE AND POPULAR DIPLOMACY

ESSAYS ON THE HISTORY OF GEORGIAN DIPLOMACY

PART I

Editor in Chief

ROIN METREVELI

EDITORIAL BOARD: I. Gogolashvili (secretary), D. Letodiani, M. Lordkipanidze, D. Ninidze, Z. Papaskiri (deputy editor in chief), G. Saliashvili

TBILISI 1998

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები

I ნაწილი

მთავარი რედაქტორი
როინ მეტრეველი

სარედაქციო კოლეგია: ი. გოგოლაშვილი (მდივანი), დ. ლეთოდიანი, მ. ლორთქიფანიძე, დ. ნინიძე, ზ. პაპასქირი (მთ. რედ. მოადგილე), გ. სალიაშვილი

თბილისი 1998

63·2 (21)
930·22 (479·22) (09)
ქ-279

„ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები" გამოდის ორ ტომად. იგი შექმნილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლების, სხვა ცნობილ ისტორიკოსთა თანაავტორობით.

ნაშრომის მიზანია, გააშუქოს ქართული დიპლომატიის ისტორიის ძირითადი საკითხები უძველესი დროიდან უკანასკნელ პერიოდამდე.

ორტომეული განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ასევე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

"Essays on the History of Georgian Diplomacy" is in two volumes. The work has been compiled in coauthorship by collaborators of the research center of the history of the Georgian state and peoples diplomacy of the chair of Georgian history of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

The book aims at shedding light on the basic questions of the history of Georgian diplomacy from early times to the present period.

The two-volume edition is designed for specialists as well as for general readership.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998
TBILISI UNIVERSITY PRESS, 1998

ქ 0503000000
608(06)-98

ISBN 5-511-00896-6

წინასიტყვაობა

დიპლომატიური საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფოს საგარეო ფუნქციასთან. ქართული სახელმწიფოს აღმოცენება ამ 2800-3000 წლის წინათ თავისთავად გულისხმობს გარკვეულ საგარეო პოლიტიკურ საბიჯებს, კონკრეტულ დიპლომატიურ საქმიანობას. ამდენად, ხევი ქვეყნის წარსულის სრულყოფილი კოდნისათვის აუცილებელია შეეხოთ ძველ საქართველოში დიპლომატიური სამსახურის შექმნის, მისი ბოქმეფების ისტორია.

ქართული დიპლომატიური სამსახური, მისი ფორმები, მეთოდები, ხერხები ფ. საშუალებები შეესაბამებოდა სახელმწიფოს საშოგადოებრივ და ეკონომიკურ ბაზისს. ამდენად ქართული დიპლომატია უნდა განვიხილოთ სახელმწიფოს განვითარებასთან კავშირში. ხევსთვის საინტერესოა დიპლომატიური მოლაპარაკებებისა და შეთანხმებების შინაარსი. საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის არეალში ხაბმული სახელმწიფოთა და ხალხთა ეთნიკობა-რაოდენობა, საელჩო (სამოციქულო, საფეხასო) სამსახურების არსებობა-საქმიანობა, ელჩობათა ვვეკურობა და სხვ.

ქართული დიპლომატიის ისტორია განუყოფელია დაკავშირებული მოსაზღვრე მეზობელ თუ არამეზობელ ქვეყნებთან კავშირ-ურთიერთობის შესწავლასთან. ქართულ ისტორიოგრაფიაში ხანგრძლივ ქვეყნებთან ს ქართველთა სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხების შესწავლაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: ივანე ჯავახიშვილმა, ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა, შ. მესხიამ, ე. გაბაშვილმა, ს. ყაუხჩიშვილმა, გ. მელიქიშვილმა, ე. კოპალიანმა, გ. კორალიშვილმა, ნ. ნაკაშიძემ, ი. ციხაძემ, მ. ლორთქიფანიძემ, ვ. მაკალათიძემ, გ. ანიქაძემ, ო. ცქვიტინიშვილმა, ნ. შუხგელიამ, ი. ტაბაღუამ, მ. ასათიანმ, ე. ხოშტარიამ და სხვ. ქართველთა ისტორიკოსებმა

საქართველოს დიპლომატიის ისტორიის შესწავლა ნიშნავს ეროვნების მთელი იმ არსებობის გამოყენებას, რომელსაც ეკავშირი აქვს დიპლომატიასთან. ძველა უკვე ცნობილი წყაროს ისტორიულ-დიპლომატიური თვალსაზრისით გასინჯვას, ამასთან, საკითხისადმი საგანგებო მიდგომას, საგანგებო აქცენტებს. ისტორიაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს სახოგადოების განვითარებისათვის სამშობლო და საგარეო ურთიერთობის ურთიერთკავშირს. სახოგადოების საგარეო კავშირები მისი განვითარების ყველა ეტაპზე ამდენადვე მოცემული ეთნოსის სამშობლო ცხოვრებას.

საქართველოს სახელმწიფოს მნიშვნელობა რამდენადმე გასაზღვრა მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ: ზღვაზე გასასვლელმა (შავმა ზღვამ), სახლვრების ფიაქტულმა კონფიგურაციამ (არსებითია: ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი, დასავლეთით შავი ზღვა), ფა, რაც მთავარია, გეოკოლიტიკურმა მდებარეობამ (საერთაშორისო გზები, მოსაზღვრე ქვეყნები, მათი ტრადიციები, კავშირებისადმი მიდრეკილება, კონფლიქტების პერსპექტივა და სხვა).

წინამდებარე წიგნის ამოცანა მნიშვნელოვანია ახალგაზრდა ქართველი ხალხის, საქართველოს მოსახლეობის მიერ გასავლილ გრძელ გზაზე, რომლის დროსაც იყო დიდი ომები, წარმატებები და წარუმატებლობები, სახელმწიფოს გაძლიერება-გაერთიანება და გარკვეულ პერიოდში დაშლა-დაქუცმაცება. რა ადგილი ეკავა დიპლომატიას. როცა ომი მთავრდება, მაშინ ხასს დიპლომატიური საქმიანობის შედეგი. ეს შედეგი კი თავის მხრივ მშვიდობიანობის სასგრძლივობით იზომება.

დღეს მსოფლიო დიდი ინტერესით აკვირდებს თვალს საქართველოში მიმდინარე ისტორიულ პროცესებს. მსოფლიოს გლობალური ძვრებისა და საერთაშორი-

ნო ურთიერთობათა სტრუქტურების ცელილების კონტექსტში განსაკუთრებულად მკვეთრად შეიცვალა საქართველოსა და იმ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მანეფუნებლები, რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აღმოცენდნენ. ამ მოვლენათა შეფასება შეიძლება მხოლოდ მსოფლიო ისტორიული პროცესის კონტექსტში. ესაა ერთადერთი მიდგომა, რომელსაც შეუძლია მოგვცეს დიპლომატიურ ურთიერთობათა ობიექტური სურათი.

ამჟამად, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობის შესწავლისათვის ხელსაყრელი პირობებია, რასაც ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ობიექტურობის ძველი კრიტერიუმების მსხვრევა, მეორე მხრივ კი, ნაზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში ისტორიული მასალების ფართოდ გამოყენება. უფრო მარტივად: დაიმსხვრა თეორიულ-მეთოდოლოგიური სარჩოები, რომელშიც ისტორიული შემეცნება იყო და გაფართოვდა წყაროთმცოდნეობითი ბაზა — არქივებში აღმოჩნდა ახალი ფონდები, რომლებიც ერთანეთს დახურული იყო. სრულიად ბუნებრივად აღმოცენდა მოთხოვნილება ძველი, ფოგმატური კონცეფციების „გადახედვისა, განსაკუთრებით ს. — რეო პოლიტიკაში.

ფრიად საინტერესოა საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესწავლის იდეოლოგიური შინაარსი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია კონფესიური საწყისების როლი. ევროპა-აზიის გზაჯვარედინზე ყოფნამ საქართველოს განსაკუთრებული მდგომარეობა შეუქმნა და მისაც განსაკუთრებული დააკისრა: ერთი მხრივ — დაეცვა ქრისტიანობა (და ქვეყანა) მუსლიმური შემოტევებისაგან, მეორე მხრივ — ებრძოლა კათოლიკობის წინააღმდეგაც და ყოველივე ამასთან ერთად, რაფდენადაც იმყოფებოდა გეოგრაფიულად ევროპის არიერგარდში, იცავდა ევროპული ცივილიზაციის ზურგს.

ამ ხუთი წლის წინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ქართული დიპლომატიის ისტორიის შემსწავლელი ლაბორატორია, რომელიც შემდეგ ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კელეევი (ცენტრად გადაკეთდა. დაიწყო პრობლემების ინტენსიური შესწავლა. იქმნება თემატიური ნაშრომები, რომლებიც საქართველოს საგარეო პოლიტიკის იმ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს ეძღვნება, რომელთაც გადახვდება და ახალი მასალების საფუძველზე დამუშავება სჭირდება. უკვე გამოვიდა „ქართული დიპლომატიის" წელიწდეულის ოთხი ტომი, რომლებშიც სხვადასხვა პრობლემისადმი მიძღვნილი 80-მდე სტატიაა მოთავსებული. მომზადდა და სულ მალე დაიბეჭდება „ქართული დიპლომატიური ლექსიკონის" პირველი ტომი. 1999 წელს მეორე ტომიც გამოვა.

წინამდებარე მოსოგრაფიული ნაშრომი „ქართული დიპლომატიის ისტორიის სარკეები" (ორტომეული) შექმნილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის, ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კელეევი ცენტრის თანამშრომლების მიერ. ავტორებად სხვა ცნობილი ისტორიკოსებიც არიან მოწვეულნი. ნაშრომის მიზანია, ფართო მკითხველს მიაწოდოს ქართული დიპლომატიის ისტორიის ძირითადი საკითხები გამარტივებულად — უძველესი ფროიდან უკანასკნელ პერიოდამდე. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს პირველი ცდაა ქართული დიპლომატიის ისტორიის შექმნისა და, ბუნებრივია, მას ნაკლოვანებაც ექნება. ავტორთა კოლექტივი ემაყოფილებით მიიღებს ყოველ საქმიან შენიშვნას. ყოველ წინადადებას, რომელიც ნაშრომზე შემდგომი მუშაობისას და. ცხადია, მეორე გამოცემისას იქნება გათვალისწინებული.

როინ მეტრეველი

I თავი. ქართველთა უძველესი გაერთიანებების (დაიაენი-დიაუხი, ძულხა) დიპლომატიური პრაქტიკა

საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის, როგორც ამ ურთიერთობების განმსაზღვრელი პოლიტიკური აქტივობის ფორმის, ისტორია ძველ აღმოსავლეთში იწყება, ვინაიდან მსოფლიოს სწორედ ამ რეგიონში ჩამოყალიბდა პირველი სახელმწიფოები.

უმთავრესი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავდა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს, იყო საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები, რაც უკავშირდებოდა ამა თუ იმ ცივილიზაციის განვითარებისათვის აუცილებელი ნედლეულის მოპოვებას. ეს კი თავისთავად ითვალისწინებდა ურთიერთობების ორ განსაზღვრულ გზას: პირველი იყო საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება, ხოლო მეორე — ომი. ხშირ შემთხვევაში ეს გზები ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ვინაიდან წარმატებული სამხედრო ექსპედიციები ითვალისწინებდა ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ სავაჭრო გზებზე თავისი კონტროლის დაწესებას.

მეორე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ბრძოლა სამეურნეოდ ვარგისი მიწების მოსაპოვებლად. მიწის ფაქტორი თავისთავად განსაზღვრავდა სახელმწიფოში როგორც მიწათმოქმედების, ასევე მესაქონლეობის განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებდა ამ სახელმწიფოს ეკონომიკურ და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ ძლიერებას.

ძველაღმოსავლური დიპლომატიის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მოსალოდნელი ომის თავიდან აცილება, ხოლო თუ ომი გარდაუვალი იყო — მისთვის შზადება, რაც თავისთავად ორ ფაზად იყოფოდა: ნებისმიერი საშუალებით მოეპოვებინათ გამარჯვება, ან ასევე ნებისმიერი საშუალებით თავიდან აეცილებინათ დამარცხება. მიზნის მისაღწევად ძველაღმოსავლური სახელმწიფოები წარმატებით იყენებდნენ სხვადასხვა დიპლომატიურ საშუალებებს, ეძებდნენ შესაძლო მოკავშირეებს; ფართოდ გავრცელდა დინასტიური ქორწინება. სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება დიპლომატიური ეტიკეტი. ამასთანავე, ცხადია, რომ ურთიერთობების მეთოდებს განსაზღვრავდა კონკრეტული სახელმწიფოს პოლიტიკური და სამხედრო პოტენციალი.[1]

ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისათვის, როდესაც წინა აზიის პოლიტიკურ რუკაზე მოხდა დიდმნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც დაკავშირებული იყო ჯერ მითანის, ხოლო შემდეგ ხეთების იმპერიის

---

[1] Межгосударственные отношения и дипломатия на древнем Востоке (сборник статей под редакцией И. А. Стучевского). М., 1987, გვ. 7.

განადგურებასთან, აქტიურ საგარეო პოლიტიკას იწყებს გაძლიერებული ასურეთი.

სწორედ ძველასურული წერილობითი წყაროები მოიხსენიებენ პირველად ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებს, რაც დაკავშირებულია ჩრდილოეთის მეზობელი ხალხების წინააღმდეგ მიმართულ ასურეთის ექსპანსიურ საგარეო პოლიტიკასთან. ასურეთის მეფე ტიგლათფილასარ I-ის (ძვ. წ. 1115-1077 წ.წ.) „წარწერა პრიზმაზე" გვამცნობს, რომ თავისი მმართველობის მესამე წელს (ძვ. წ. 1112 წ.) ტიგლათფილასარ I-მა გაილაშქრა ნაირის ქვეყნების (იგულისხმება ვანისა და ურმიის ტბების ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიები) წინააღმდეგ. ასურეთის მეფე დაწვრილებით აღწერს ლაშქრობის მარშრუტს, იმ სიძნელეებსა და დაბრკოლებებს, რომელთა გადალახვაც მოუხდათ მის მეომრებს, ვიდრე დაამარცხებდნენ ნაირის 23 ქვეყნის მეფეთა კოალიციურ ლაშქარს. როგორც ჩანს, მოწინააღმდეგეს ხელმძღვანელობდა დიაუხის (ასურული წყაროებით, დაიაენი) ქვეყნის მეფე სიენი — ნაირის ქვეყნის გამგებლებს შორის მხოლოდ იგი მოიხსენიება საკუთარი სახელით. ასურეთის მეფემ დაამარცხა მოწინააღმდეგე და მათი დატყვევებული მეფეები მოიყვანა აშურში, თავის სატახტო ქალაქში. სიენმა ტიგლათფილასარის წინაშე ასურეთისადმი ერთგულების ფიცი დადო და მხოლოდ ამის შემდეგ იქნა შეწყალებული. მოგვიანებით, როგორც ერთ-ერთი ლურსმული წარწერა გვამცნობს, ასურელებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგის დასახმარებლად წამოსული ნაირის იმ ქვეყნების მეფეები, რომლებიც „ზემო ზღვის" მიმდებარე ტერიტორიაზე სახლობდნენ. როგორც ჩანს, „ზემო ზღვაში" ასურელები გულისხმობდნენ შავ ზღვას, ხოლო მისი მიმდებარე ტერიტორიების მოსახლეობაში ისტორიული კოლხეთის უძველეს მოსახლეობას. სავარაუდოა, რომ ამ პერიოდში თავისი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური განვითარებით დიაუხი სხვა ქვეყნებზე მაღლა დგას.[1]

ძვ. წ. XII ს-ის დასასრულიდან ასურული წყაროები აღარ იხსენიებენ დიაუხს, რაც დაკავშირებულია ასურეთის დასუსტებასთან. ამ პერიოდში ასურელ მეფეებს თვითონ უხდებათ თავდაცვითი ომების წარმოება არამეელებთან და აღარა აქვთ საშუალება ჩრდილოეთისაკენ შორი სამხედრო რეიდების მოწყობისა. მხოლოდ ძვ. წ. IX ს-დან ხელახლა გაძლიერებული ასურეთი კვლავ იწყებს ექსპანსიური საგარეო პოლიტიკის წარმოებას ნაირის ქვეყნების წინააღმდეგ, რაც ასახულია ასურულ წერილობით წყაროებში.

---

[1] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 179.

ამავე პერიოდში სამხრეთ ამიერკავკასიაში ჩამოყალიბდა ურარტუს სახელმწიფო, რამაც, თავისთავად ცხადია, გაართულა დიაუხის მდგომარეობა. ამგვარ სიტუაციაში დიაუხის მმართველები ცდილობენ ასურეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას და მასთან ერთად ბრძოლას ურარტუს ექსპანსიური პოლიტიკის წინააღმდეგ.[1] ასურეთის მეფე სალმანასარ III (ძვ. წ. 859-824 წ.წ.) მოგვითხრობს: „ჩემი მეფობის მე-15 წელს გავემართე ნაირის ქვეყნის წინააღმდეგ. მდინარე ტიგროსის სათავეებთან... კლდოვან ადგილზე... აღვმართე ჩემი გამოსახულება... და მასზე ამოვტვიფრე (წარწერა) ჩემი გმირული საქმეების შესახებ... არამე ურარტელის ქალაქი, მდინარე ევფრატის სათავეებთან მე გავანადგურე, დავანგრიე, გადავწვი. მივედი ევფრატის სათავეებთან და მე ჩემს ღმერთებს მსხვერპლი შევწირე; (ღვთაება) აშურის იარაღი მასში (ევფრატში, ე. ა.) განვბანე. ასია, დაიაენის მეფე, მუხლებზე მომეხვია, ხარკი, ძღვენი და ცხენები მე მისგან მივიღე. ჩემი გამოსახულება გავაკეთე (და) მისი ქალაქის ცენტრში დავდგი.[2]

როგორც ზემომოყვანილი ფრაგმენტიდან ჩანს, ასურეთის მეფე ევფრატის სათავეებთან ურარტუელთა ლაშქრის დამარცხების შემდეგ ხვდება დიაუხის მეფე ასიას, რომელიც უბრძოლველად ძღვენით ეახლა ასურელებს და ერთგულება შეპფიცა მათ. დასაშვებია ის გარემოება, რომ დიაუხის მეფის ამგვარი დამოკიდებულება ყოფილ მტერთან გამოწვეული იყო შორსგამიზნული მოსაზრებით: ასურელებთან კავშირში ებრძოლა ურარტუს წინააღმდეგ. რომელიც ამ პერიოდში მისთვის ყველაზე დიდ და რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამავე პერიოდში დიაუხს ჩრდილოეთიდანაც გამოუჩნდა საშიში მოწინააღმდეგე მეორე ტომობრივი გაერთიანების – კულხას სახით. ცხადია, ამგვარ სიტუაციაში ასურეთთან კავშირი დიაუხისათვის გადარჩენის ერთადერთი საშუალება იყო.[3] დიაუხის მეფის ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა. გაძლიერებულმა ურარტუმ არა მარტო ჩაუკეტა მას ასურეთისაკენ მიმავალი გზები, არამედ საკმაოდ შეავიწროვა სამხრეთისაკენ. დიაუხი მარტო აღმოჩნდა მრისხანე მტრის წინაშე.

ცნობას დიაუხის შესახებ გვაწვდის ურარტუს მეფე მენუას (ძვ. წ. IX ს-ის დასასრული და VIII ს-ის დასაწყისი) წარწერაც იაზილიტაში-

---

[1] Г. А. Меликишвили. Древнейшие раннеклассовые государства и племенные союзы в юго-западной Грузии, Очерки истории Грузии, т. I, Тбилиси, 1989, გვ. 197.

АВІІІУ №31; იხ., Дьяконов И. М., Ассиро-Вавилонские источники по истории Урарту, ВДИ №№2, 3, 4., М., 1951.

[3] Г. А. Меликишвили, Древнейшие.... გვ. 198.

დან (არზრუმის მახლობლად): „ღვთაება ხალდი გაემართა სალაშქროდ თავისი იარაღით დიაუხის ძლიერი ქვეყნის წინააღმდეგ. ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი ძლიერია. ღვთაება ხალდის ძლიერებით გაემართა (სალაშქროდ) მენუა იშფუინის ძე; (მას) წინ უძღოდა (?) ღვთაება ხალდი. მენუა ამბობს: „დავიპყარი დიაუხის ქვეყანა. ქალაქი შაშილუ, სამეფო ქალაქი ბრძოლით დავიპყარი. ქვეყანა მე გადავწვი, ციხესიმაგრენი (დავანგრიე?)"... მენუა ამბობს: „უთუფურში, მეფე დიაუხისა მოვიდა ჩემ წინაშე, მომეხვია ფეხებზე, ძირს დაემხო, მე (მას) მოწყალედ მოვეჭეცი, შევიწყალე იგი ხარკის (გადახდის) პირობით. მან ოქრო (და) ვერცხლი მომცა, ხარკი... ორი მეფე მე იქიდან მოვაცილე: ქალთულხის ქვეყნის (მეფე და) ქალაქ ხალდირიულსის ქვეყნის (მეფე). გამაგრებული ციტადელები, (რომლებიც კი იყო იმ) ქვეყანაში, მე იქიდან მოვგლიჯე".[1]

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მენუა დიაუხს მოიხსენიებს როგორც ძლიერ ქვეყანას. ცხადია, ძლიერი მოწინააღმდეგის დამარცხება ურარტუს მეფისათვის უფრო სასახელო იქნებოდა და აქედან გამომდინარე, შესაძლოა შეფასება გაზვიადებულიც იყოს, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ურარტულ წარწერებში ზემოხსენებული წყარო ერთადერთია, რომელშიც მოწინააღმდეგის ქვეყნის დასახასიათებლად ამგვარი ეპითეტია გამოყენებული. რაც შეეხება წარწერაში მოხსენიებულ ორ მეფეს, როგორც ჩანს, საქმე ეხება დიაუხის მეფე უთუფურშის მოკავშირე სამხრეთ ამიერკავკასიური ტომების ბელადებს.[2]

მენუას მემკვიდრის, არგიშთი I-ის მმართველობისას ურარტუ ცდილობს დიაუხის არა მარტო დახარკვას, არამედ მისი ტერიტორიების ურარტუსთან უშუალო შეერთებას.[3] სურბსაჰაკის ეკლესიის სტელის წარწერა გვამცნობს არგიშთის ნაამბობს, რომ მან დიაუხს წაართვა და თავის სამეფოს მიუერთა 3 პროვინცია, დაასაჭურისა შაშქის, არდარაქიხის, ბალთულხისა და ქაბილუხის მეფეები და მათი მიწები ურარტუს შეუერთა. როგორც ჩანს, საქმე ეხება დიაუხის ქვეშევრდომი ტომების ბელადებს. ამ პერიოდის დიაუხი მდიდარ და ძლიერ სამეფოს წარმოადგენდა, რასაც მოწმობს არგიშთის მიერ დაწესებული ხარკის რაოდენობა: ერთ-ერთი ლაშქრობისას დიაუხში ურარტუელებმა დაატყვევეს

---

[1] Г. А. Меликишвили, Урартские клинообразные надписи (შემდეგში УКН), М., 1960. ნაშრომში გამოყენებული ურარტული ტექსტების თარგმანები მოცემულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, რედ. გრ. გიორგაძე, თბილისი, 1990.

[2] Г. А. Меликишвили, Древнейшие..., გვ. 200.

[3] იქვე. გვ. 200.

28 619 კაცი, ხელთ იგდეს ურიცხვი მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონელი. დიაუხის დამარცხებულმა მეფემ ურარტუსადმი ერთგულების ფიცი დადო და გამარჯვებულებს მიართვა 41 მინა* ოქრო, 37 მინა ვერცხლი, 10 000 მინა სპილენძი, 1000 საჯდომი ცხენი და სხვა მრავალი ძვირფასი საჩუქარი.[1]

რაც შეეხება დიაუხის ჩრდილოეთით მდებარე კულხას, მის შესახებ პირველი ცნობები მხოლოდ ურარტუს მეფე სარდური II-ის (ძვ. წ. 764-735 წ.წ.) მმართველობის პერიოდიდან ჩნდება, რაც აიხსნება ამ ორ პოლიტიკურ ერთეულს შორის დიაუხისა და სხვა სამხრეთ ამიერკავკასიური ტომობრივი გაერთიანებების არსებობით, რომლებიც მტრულად იყვნენ განწყობილნი როგორც კულხას, ასევე ურარტუს მიმართ. ძვ. წ. VIII ს-ის შუა ხანებისათვის გაძლიერებულმა კულხამ მოახერხა დიაუხის ჩრდილო ტერიტორიების მიტაცება, რის შედეგადაც უშუალოდ დაუმეზობლდა ურარტუს, რამაც თავისთავად გამოიწვია შეჯახება ამ ორ ძლიერ პოლიტიკურ გაერთიანებას შორის.[2] თავის ერთ-ერთ წარწერაში ურარტუს მეფე სარდური II გვამცნობს: „გავემართე (სალაშქროდ) კულხას ქვეყნის წინააღმდეგ. ღვთაება ხალდის სიდიადით ხახანი, ხუშალხის ქვეყნის მეფე (მისი) ხალხი(თურთ) მე იქიდან წამოვიყვანე ტყვედ, გამოვრეკე და დავასახლე ჩემს ქვეყანაში".[3]

როგორც ჩანს, „ხუშალხის ქვეყანა" წარმოადგენდა კულხას პერიფერიულ ტერიტორიას, ვინაიდან საკუთრივ კულხას მეფე არ არის მოხსენიებული, წარწერის დასაწყისში კი სარდური სწორედ კულხაში ლაშქრობაზე მიუთითებს.[4]

სხვა წარწერაში ვკითხულობთ: „სარდური ამბობს: „გავემართე მე (სალაშქროდ) კულხას ქვეყნის წინააღმდეგ. ქვეყანა მე (დავიპყარი) ქალაქი ილდამუში, სამეფო ქალაქი კულხახალის ქვეყნის მეფისა, გამაგრებული (ქალაქი), ბრძოლაში მე დავიპყარი. (მისი) მოსახლეობა დავწვი. მეფისნაცვალი კულხას ქვეყნისა, რომელიც იყო იქ, მე მოვაკვლევინე. რკინის ბეჭედი მოვამზადე, წარწერა დავდგი ქალაქ ილდამუშაში; ციხესიმაგრეები, ქალაქები დავწვი (და) დავანგრიე, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები და ქალები გავრეკე".[5]

---

1 მინა ძველ აღმოსავლეთში შეადგენდა 505 გრამს.

1 УКН, 128 В I.

2 Г. А. Меликишвили, Древнейшие..., გვ. 205.

3 УКН, 155 С, გვ. 1-18.

4 Г. А. Меликишвили, Древнейшие..., გვ. 206.

УКН, 155, Д.

ამ შემთხვევაში ურარტუელები უკვე უშუალოდ კულხას ტერიტორიაზე იბრძვიან და იკავებენ ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და, შესაძლოა, საკულტო ცენტრს — ქალაქ ილდამუშას.[1]

სარდური II-ის მმართველობის შემდგომი პერიოდიდან ურარტული წყაროები „კულხას ქვეყანას" აღარ იხსენიებენ, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო ძვ. წ. VIII ს-ის 20-იან წლებში ამ ორივე ქვეყანაში ჩრდილოეთიდან წამოსული კიმერიელთა ტომების შემოსვლით, რის შედეგადაც ურარტული წყაროების „კულხას სამეფო" განადგურებულ იქნა.

როგორც ვნახეთ, ზემოგანხილული ასურული და ურარტული წერილობითი წყაროები წარმოგვიდგენენ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ორ უძველეს სახელმწიფოებრივ გაერთიანებას — დიაუხსა და კულხას და ასახავენ მათ ურთიერთობებს ასურეთთან და ურარტუსთან.

[1] ლურსმულ წარწერებში იდეოგრამა „სამეფო ქალაქი" აღნიშნავს არა მარტო დედაქალაქს, არამედ სხვა მნიშვნელოვან ცენტრებსაც, რომლებშიც ქვეყნის მეფე ხშირი ვიზიტებით იმყოფებოდა სხვადასხვა რელიგიური დღესასწაულის დროს.

II თავი. კოლხეთისა და ქართლის სამეფოების საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია ძვ. წ. VI-II საუკუნეებში

ქართველურ ტომთა დიპლომატიური ურთიერთობანი საისტორიო წყაროებში ნახევრად ლეგენდარული მოვლენების გადმოცემით იწყება.

ძვ. წ. VI-IV საუკუნეთა მწირ ანალებში ბევრი ისეთი მინიშნება გვხვდება, რაც ადასტურებს ჩვენს წინაპართა ჩართვას იმდროინდელ საერთაშორისო მოვლენებში.

ძველი ქართული დიპლომატიის შესახებ ფრაგმენტების ორი ვარიანტი არსებობს: პირველი ეკუთვნის გვიანდელ ქართველ მემატიანეს ლეონტი მროველს, ხოლო მეორე ეპოქის თანამედროვე ბერძენ მწერლებს. ლეონტი მროველის ყურადღების ცენტრში ქართლი იდგა, ბერძენი ავტორები კი სამხრეთ-დასავლეთით მცხოვრებ ქართველურ ტომებს აღწერდნენ, რომლებთანაც უშუალო კონტაქტები ჰქონდათ.

„ქართლის ცხოვრების" კვლევის ობიექტს, გარკვეული პოლიტიკური იდეოლოგიის გამო, ქართლი წარმოადგენდა. სხვა ქართველური ტომების საქმიანობა დახასიათებულია ქართლთან მიმართებაში.

ლეონტი მროველის ცნობები ქრონოლოგიური ჩარჩოებიდან საკმაოდ გადახრილია. ამის მიუხედავად, მოწოდებული ინფორმაცია არის თანმიმდევრული და თხრობას თუ ოდნავი ნდობით მოვეპყრობით, ქართული დიპლომატიის სათავე მომდევნო საუკუნეების ანალოგიურ შთაბეჭდილებას ტოვებს.

თუ დავუშვებთ „ქართლის ცხოვრებაში" გადმოცემული ამბების რეალურობას, თვალსაჩინოდ წარმოჩინდება გარესამყაროსთან ქართლის ურთიერთობის საინტერესო ეპიზოდები. მატიანის თანახმად, ქართლის მთავარი მტერი სპარსეთი იყო. („ქართლის ცხოვრების" ადრეული პერიოდის სპარსეთში უნდა ვიგულისხმოთ მიდია, ხოლო თურქებში — სკვითები). მცხეთის მამასახლისთა საგარეო პოლიტიკა აქემენიდების სპარსეთის წინამორბედ მიდიის სამეფოსთან ურთიერთობით შემოიფარგლებოდა. ცნობილი ფაქტია, რომ ძვ. წ-ის VII საუკუნის შუა ხანებში მიდია სკვითებმა დაიპყრეს. ძვ. წ. 625 წელს კიაქსარმა დაამხო სკვითების ბატონობა, განდევნა ისინი, გააერთიანა მიდიური ტომები და შექმნა ძლიერი სახელმწიფო. ამ რეალობის ანარეკლად მიგვაჩნია „ქართლის ცხოვრებაში" დაცული ცნობა, რომლის თანახმადაც, მიდიიდან გამოძევებული სკვითები მცხეთის მამასახლისს სთხოვენ თავშესაფარს, ხოლო სანაცვლოდ „აღუთქუეს შეწევნა სპარსთა ზედა".[1] მცხეთის მამა-

---

[1] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955. I, გვ. 15.

სახლისს „ყოველთა ქართველთა“ თანხმობის გარეშე გადაწყვეტილების მიღების უფლება არ ჰქონდა. მისი ფუნქციები საკმაოდ შეზღუდული ჩანს. „მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართველთა. ინებეს დამეგობრება მათ თურქთა, რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა“.[1]

იმდროინდელ აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით, „ქართლის ცხოვრება“ კარგად გადმოგვცემს ეპოქის საერთო სურათს. მიდიის ძლევამოსილმა მეფე კიაქსარმა, ქალდეური ბაბილონის ფუძემდებელ ნაბოპალასართან ერთად, ძვ. წ. VII საუკუნის მიწურულში გაანადგურა ძველი სამყაროს უძლიერესი ასურეთის სამეფო და დაიწყო ფართო მასშტაბის დაპყრობითი ომები. საშიშროება რეალური იყო. „ქართველნი... მოელოდეს მოსვლასა სპარსთასა, ამაგრებდეს ციხეთა და ქალაქთა“.[2] ქვეყნის დაცვის გაძლიერების მიზნით, ქართლი მიდიელებისაგან შევიწროებულ ხალხებს ფართოდ უღებდა კარებს. „ყოველივე დაიმეგობრიან ქართველთა შემწეობისათვის სპარსთა ზედა“.[3] თავშესაფარის მთხოვნელ უცხოელთა შორის „ქართლის ცხოვრება“ ასახელებს ასურებსაც.

თხრობის მომდევნო ეპიზოდს წარმოადგენს ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის ლაშქრობა იუდეაში, იერუსალიმის აღება და ებრაელთა შემოსვლა ქართლში (ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმი აიღო ძვ. წ. 587 წელს). „ქართლის ცხოვრება“, აღნიშნული ფაქტის მითითებით, სიზუსტით გადმოგვცემს ისტორიულ სინამდვილეს.

რეალურია სპარსეთის აღზევების შესახებ გამართული მსჯელობა. მითითებულია, რომ სხვა ხალხებთან ერთად, ქართველებიც სპარსელთა მოხარკენი იყვნენ.

„ქართლის ცხოვრება“ ბერძნული წყაროების კოლხეთის, ქართული ეგრისის, შესახებ არაფერს გვაუწყებს. ქართული მატიანის მიხედვით, ეგრისი ასპარეზზე მოგვიანებით გამოდის. ეს მოხდა მაშინ, როდესაც მისმა მთავარმა ქუჯიმ აქტიურად დაუჭირა მხარი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ფარნავაზს.

ძვ. წ. VI-IV საუკუნეების ქართველურ ტომთა დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ანტიკური ხანის ავტორები. ელინთა ყურადღების ორბიტაში კოლხეთი იყო მოქცეული.

ბერძნული მითოლოგიით, კოლხეთი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, ეგზოტიკურ ქვეყანას ჩამოყალიბებული სა-

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 15.
2 იქვე.
3 იქვე.

ხელმწიფოებრივი წყობა ჰქონდა. მისი მეფე აიეტი დახვეწილი დიპლომატიით გამოირჩეოდა.

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებული ბერძნული ახალშენებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობა, უნდა ვივარაუდოთ, კოლონიზაციის საერთო მოდელის ფარგლებში მიმდინარეობდა. გარესამყაროსთან კოლხეთის აქტიურ ურთიერთობას ადასტურებს დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური წარმომავლობის მატერიალური კულტურის ძეგლთა სიუხვე.[1]

კოლხეთის შესახებ ფრაგმენტული, მაგრამ საყურადღებო ცნობები აქვს დაცული ჰეროდოტეს. უნდა აღინიშნოს, რომ „ისტორიის მამის" ინფორმაცია შეზღუდულია მისი ნაშრომის მთავარ მიზანთან კოლხეთის სუსტი კავშირის გამო.

ჰეროდოტეს მიხედვით, აქემენიდების იმპერია კავკასიონის ქედამდე ვრცელდებოდა. ამიერკავკასიის სამხრეთი ნაწილი შევიდა XVIII და XIX სატრაპიის შემადგენლობაში.[2] თითოეულ სატრაპიას დაკისრებული ჰქონდა განსაზღვრული რაოდენობის გადასახადი.[3] კოლხეთს დარიოს I-ის ადმინისტრაციული რეფორმა არ შეხებია. იგი სატრაპიად არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ გარეგნულ შეღავათს არ გაუთავისუფლებია მძიმე ვალდებულებისაგან. ჰეროდოტე წერს: „კოლხებმაც და მათმა მეზობლებმაც კავკასიის მთებამდე დაიწესეს გადასახადი ნებაყოფლობითი საჩუქრების სახით. ეს ხალხი ჩვენს დრომდე ყოველ ხუთ წელიწადში მიართმევენ ას ჭაბუკსა და ას ქალწულს".[4]

ჰეროდოტე გვაუწყებს, რომ დაპყრობილ ქვეყნებში გადასახადის რაოდენობას სპარსელები განსაზღვრავდნენ. ხარკის ძირითადი სახე იყო ოქრო და ვერცხლი. კოლხები კი დამპყრობელთან ურთიერთობას ახალგაზრდების გაცემით არეგულირებდნენ. ჰეროდოტეს გადმოცემა ექვის ქვეშ აყენებს ანტიკურ მწერლობაში არსებულ ტრადიციას კოლხეთის სიმდიდრის შესახებ. მითოლოგიიდან მოყოლებული კოლხეთი მიჩნეული იყო ოქროთი მდიდარ ქვეყნად. როგორ მოხდა, რომ ოქროს მფლობელი

დასავლეთი საქართველოს არქეოლოგიური კვლევის შესახებ უზარმაზარი ლიტერატურა არსებობს. გამოვლენილია ურთიერთობის დამადასტურებელი ურიცხვი მასალა. ჩვენი ინტერესის ობიექტს შეადგენს არა ეკონომიკური ცხოვრების ამსახველი ფაქტები, არამედ დიპლომატიური ურთიერთობის ამსახველი წყარო. აღვნიშნავთ აგრეთვე, ეკონომიკური ურთიერთობა გარკვეულ დიპლომატიურ შეთანხმებას ეყრდნობა. მაგრამ დამადასტურებელი ფაქტების არარსებობის გამო ვარაუდების დაშვება საკითხის გარკვევაში ვერ დაგვეხმარება. ამიტომ აღნიშნულ ლიტერატურას არ ვუთითებთ.

2 Her. III. 94.

Her III. 89-94. ჰეროდოტეს გადმოცემას ემთხვევა „ქართლის ცხოვრების" ცნობა, სადაც ვკითხულობთ: „მაშინ ყოველნი ქართველნი მოხარკე იყვნეს" (I. 15).

Her. III. 97.

ქვეყანა ამჯობინებს ორასი ახალგაზრდის მსხვერპლად შეწირვას? როგორი დიპლომატიაა ეს და ვინ შეიძლება იყოს მისი ავტორი?[1] საზოგადოების რომელი ფენიდან ხდებოდა საჩუქრებად გამზადებული ახალგაზრდების შერჩევა? გასათვალისწინებელია ისიც, რომ აქემენიდებს მხოლოდ გამორჩეული გარეგნობის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს თუ შეჰკადრებდნენ.

კოლხების მოქმედება ძნელი ასახსნელია. მდგომარეობას ართულებს მსგავსი ბეგარის იშვიათობა სხვა ხალხებშიც. ერთადერთ ახსნად მიგვაჩნია იმის დაშვება, რომ საჩუქრად გამზადებულ ახალგაზრდებს კოლხები ტყვეებისაგან აგროვებდნენ.

ჩვენი ვარაუდი კოლხების პასუხისმგებლობას არ ამსუბუქებს, მაგრამ, უნდა გავითვალისწინოთ, მსგავსი მოქმედება აღნიშნულ ეპოქაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. კოლხმა დიპლომატებმაც ორასი ახალგაზრდის ტრაგედიას სერიოზული მისია დააკისრეს.

ჰეროდოტე არ მიუთითებს, კოლხეთის რომელმა ნაწილმა გადადგა ასეთი ნაბიჯი. სხვა ბერძენი ავტორების მოწმობით, შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროს მკვიდრებიც იმავე სახელწოდების ტომები იყვნენ. ჰეროდოტეს მიერ მოხსენიებულ კოლხებში გულისხმობენ მდ. ფაზისის აუზში არსებულ გაერთიანებას, პოლიტიკურად და ეკონომიკურად განვითარებულ რეგიონს.[2]

ჰეროდოტეს ცნობების თანახმად, აქემენიდების იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფა, საგადასახადო ვალდებულებებთან ერთად, სამხედრო ბეგარასაც ითვალისწინებდა. ხარკის გარდა დამორჩილებულ ხალხებს, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრული რაოდენობის მეომრებიც უნდა გამოეყვანათ. ბერძენ-სპარსელთა ომების ყველაზე გრანდიოზულ სალამინის ბრძოლაში ფიგურირებენ ქართველური ტომებიც.[3] ისინი

ჰეროდოტეს გადმოცემით, ეთიოპიელები, კოლხები და არაბები ხარკს არ იხდიდნენ. მაგრამ სპარსეთის მეფეს მიართმევდნენ საჩუქრებს. ეთიოპიელები ყოველ სამ წელიწადში ორ ხენიკ ოქროს, ორას ებენოზის (შავ) ხეს, ხუთ ეთიოპიელ ბიჭს და სპილოს ოც დიდ ეშვს. არაბების ყოველწლიური საჩუქარი იყო ათასი ტალანტის გუნდრუკი (III, 97).

ჰეროდოტე გარკვევით წერს: კამბიზმა ილაშქრა ეთიოპიაში, მაგრამ არ დაუპყრია (III, 25). ხოლო არაბები სპარსელთა უღლის ქვეშ არასდროს ყოფილან (III, 88). ჰეროდოტე, როდესაც ჩამოთვლის სალამინის ბრძოლაში ჭაერჭსეს არმიის შემადგენლობას, ეთიოპიელებსა და არაბებს არ ასახელებს. ცხადია, მათი საჩუქრები სიმბოლური იქნებოდა. სულ სხვა დამოკიდებულება ჩანს კოლხებსა და სპარსელებს შორის.

[2] გ. მელიქიშვილი, კოლხეთი ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1970, გვ. 402.

Her. VII, 78-79. ჰეროდოტეს სიტყვებით, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები და მოსხები ერთგვაროვანი შეიარაღებით გამოდიოდნენ. მოსხებსა და ტიბარენებს სარდლობდა სპარსი არიომარდოსი. მაკრონებსა და მოსინიკებს არტაიკტესი — ქელესპონტის სატრაპი. მარებისა და კოლხების სათავეში იდგა ფარანდატე, ალაროდიელებსა და სასპერებს

ბრძოლის ველზე გამოდიან სპარსელი სარდლების ან სატრაპების მეთაურობით. აზიის დანარჩენი ხალხების გვერდით ქართველური ტომების დასახელება სავსებით კანონზომიერ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, თუ გავითვალისწინებთ სპარსული მპყრობელობის ვალდებულებებს.

ქართველურ ტომთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მდგომარეობა განსაკუთრებული სისრულით აღწერა ჰეროდოტეს მომდევნო პერიოდის ისტორიკოსმა ქსენოფონტმა. მისი თხზულება „ანაბასისი" უშუალო შთაბეჭდილებების საფუძველზეა შექმნილი.[1]

„ანაბასისში" აღწერილია ის გზა, რომელიც გაიარეს მესოპოტამიიდან დაბრუნებულმა ბერძენმა დაქირავებულმა მეომრებმა. ლაშქრის შემადგენლობაში, როგორც ერთ-ერთი სტრატეგოსი, იმყოფებოდა ქსენოფონტიც. მოქირავნეებმა გაიარეს სამხრეთი საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი. ქსენოფონტს ხანგრძლივი დროის განმავლობაში უხდებოდა ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან. მისი ცნობები საკუთარ დაკვირვებებს ეყრდნობა. ავტორის თხრობა თავისუფალია ლიტერატურული გავლენებისაგან.

„ანაბასისის" მიხედვით, ბერძენთა ლაშქარი უცნობი ქვეყნების გავლისას უპირატესობას ანიჭებდნენ მშვიდობიან შეთანხმებას. იარაღს იმ შემთხვევაში მიმართავდნენ, როდესაც ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტს ვერ დაამყარებდნენ. ქსენოფონტი, ცალკეულ ტომთა დახასიათებისას, ყურადღებას ამახვილებდა განსაკუთრებულ შემთხვევებზე.[2]

„ანაბასისის" ვრცელ აღწერებში, ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თუ კულტურულ დონესთან ერთად, დაცულია ამ ტომების დიპლომატიის ნიმუშებიც. ქსენოფონტი დიპლომატიური შინაარსის რამდენიმე ფაქტს აფიქსირებს. ყველაზე საინტერესოდ მიგვაჩნია მაკრონების ქვეყანაში მომხდარი ფაქტი.

ქსენოფონტი წერს: მოქირავნეები მიადგნენ ერთ მდინარეს, მაგრამ მისი გადალახვის საშუალება არ მისცეს ადგილობრივმა შეიარაღებულ-

---

მეთაურობდა მასისტიოსი. ჰეროდოტე იმასაც აღნიშნავს, რომ ალაროდიელები და სასპერები კოლხების მსგავსად იყენენ შეიარაღებულნი.

ქსენოფონტის „ანაბასისი", უმნიშვნელოვანესი წყარო ძველი საქართველოს შესახებ. განხილული აქვს თ. მიქელაძეს აღნიშნული თხზულების ქართული თარგმანის შესავალსა და კომენტარებში. იხ. თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბასისი", თბ., 1967.

2 ქსენოფონტის აღწერათა საფუძველზე ვრცელი ლიტერატურა არსებობს. დავასახელებთ ნაწილს. იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული ერის ისტორია, ტ. I, 1979, გვ. 66-70; გ. მელიქიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 414-421; თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბასისი", 1967, გვ. 33-59; გ. გოზალიშვილი. მითრიდატე პონტოელი, 1962, გვ. 65-70; Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 257-265; М. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, М., 1956, გვ. 118-145.

მა მეომრებმა. ისინი ისროდნენ ქვებს და ერთმანეთს ამხნევებდნენ საბრძოლო შეძახილებით.

მანძილი ბერძნებსა და დამხვედრ მეომრებს შორის იმდენად მცირე ყოფილა, რომ თავისუფლად ხერხდებოდა მათი ლაპარაკის გარჩევა.

„ანაბასისში" ვკითხულობთ: ამ დროს ქსენოფონტთან გამოცხადდა ერთი პელტასტი (ყოფილი ათენელი მონა)[1] და აუწყა, რომ ესმის ამ ხალხის ენა — „მე ვფიქრობ, ეს ჩემი სამშობლოა, და შემიძლია მათთან დალაპარაკება, თუ ამის საწინააღმდეგო არაფერი გეჭნებათ".[2] ამ სიტყვების წარმომთქმელს ქსენოფონტმა არა მარტო ნება დართო, გამოლაპარაკებოდა თავისიანებს, არამედ გარკვეული დიპლომატიური მისიაც დააკისრა: დაავალა, გაეგო, ვინ იყვნენ ისინი და რატომ ხვდებოდნენ მტრულად. პელტასტის შეკითხვაზე უპასუხეს: ვართ მაკრონები[3] და ვიცავთ ჩვენს ქვეყანას, რადგან მოდიხართ მასზე სალაშქროდ. სტრატეგოსების ბრძანებით, პელტასტმა მაკრონებს აუხსნა მათ ქვეყანაში მოხვედრის მიზეზი. „ელინები მოდიან არა იმისათვის, რომ ვნება მიაყენონ, არამედ ებრძოდნენ მეფეს და ახლა ბრუნდებიან უკანვე ელადაში, ცდილობენ მიაღწიონ ზღვას".[4] მოსმენილმა სიტყვებმა მაკრონების მღელვარება ჩააცხრო. უცხოელებს კითხვა შეუბრუნეს და მოსთხოვეს თავიანთი სიტყვების ფიცით დადასტურება. სტრატეგოსებმა თანხმობა განაცხადეს, დაედოთ ურთიერთნდობის ფიცი. ხელშეკრულების პირობები მაკრონებმა წამოაყენეს. ქსენოფონტი წერს: „მაკრონებმა გადასცეს ელინებს ბარბაროსული შუბი, ხოლო ელინებმა მაკრონებს — ელინური".[5] ისტორიკოსი აგრძელებს, მაკრონთა წარმოდგენით, ამგვარი მოქმედება იყო შეთანხმების სიმტკიცის ძირითადი ნიშანი.[6]

მაკრონებმა დადებული ხელშეკრულება ღირსეულად შეასრულეს. ისინი შეუერთდნენ ელინებს, მოამარაგეს სურსათით და მიაცილეს კოლხების საზღვრამდე.

იმდენად უხიფათო იყო მაკრონთა მიწაზე მგზავრობა, რომ ქსენოფონტი აქ გატარებული დღეების შესახებ არაფერს წერს. იგი კმაყოფილდება მაკრონთა კეთილშობილური თვისებების გადმოცემით, რომ-

---

1 ქსენოფონტის ლაშქარში მყოფი მებრძოლის შესახებ იხ. გ. ქავთარია. „მე ვფიქრობ, ეს ჩემი სამშობლოა", ჟურნ. „დროშა", 1986, №2, გვ. 11-12.

2 Xenoph. Anab. IV, VIII, 4.

3 მაკრონები — სპარსეთის XIX სატრაპიაში შემავალი ერთ-ერთი ქართველური ტომი: ეთნონიმი მაკრონი მეგრელ-ჭანურ-ზანურ-ლაზურ-ჭანურ-ზანურ-ლაზურ-ჭანურ-ზანურ-ლაზურ

ლის მსგავსიც ბერძნებს ხანგრძლივი ლაშქრობის დროს იშვიათად თუ შეხვედრიათ.[1]

ბერძნებისა და მაკრონების შეთანხმებაში გამოკვეთილად ჩანს ამ უკანასკნელთა დიპლომატიის თავისებურება. მაკრონებმა საკუთარ სამყაროში დამკვიდრებული მოდელი შესთავაზეს ბერძნებს. ამ მოდელის მიხედვით, იარაღის გაცვლა ნდობასა და კეთილგანწყობას ადასტურებდა. იარაღი ატარებს ღვთაებრივ ნიშნებს და მისი გადაცემა მხოლოდ უახლოეს მეგობარზე შეიძლებოდა.

განათლებული ქსენოფონტი იცნობდა აღმოსავლეთის ხალხთა ტრადიციებს და დათანხმდა მაკრონთა წინადადებას. დიდმა მწერალმა დააფიქსირა მნიშვნელოვანი ფაქტი, რომლის მიხედვითაც, მაკრონებში (უნდა ვივარაუდოთ, სხვა ქართველურ ტომებშიც) შეთანხმების გარანტიას იარაღის გაცვლა წარმოადგენდა.

ქსენოფონტის „ანაბასისში" დაცულია ცალკეული ტომებისა და შიდა ტომობრივი ურთიერთობებიც. ტომის შიგნით არსებულ წინააღმდეგობებზე მოგვითხრობს იგი მოსინიკებთან დაკავშირებით. ქსენოფონტი წერს: მოსინიკებმა თავიანთ მიწაზე არ გაატარეს ბერძნები. მოსალაპარაკებლად გაგზავნილი პროქსენი,[2] ტრაპეზუნტელი ტიმესითეოსი უარით გამოისტუმრეს. პროქსენმა იცოდა, რომ მოსინიკების ნაწილს მტრობა ჰქონდა თავის თანამოძმეებთან. მისი რჩევით ელინებმა კავშირი დაამყარეს მათთან. მოსინიკების ბელადები გამოცხადდნენ ბერძენთა ბანაკში. ქსენოფონტმა აუწყა მათ, რომ ელადისაკენ მიმავალ გზას გვიკეტავენ ისინი, რომლებიც თქვენი მტრებიც არიან. ჩვენი სახით მოგეგზავნათ ძლიერი მოკავშირენი და ხელიდან არ უნდა გაუშვათ საუკეთესო შემთხვევა, რომ შური იძიოთ ყოველივე იმისათვის, რაც თქვენთვის ცუდი გაუკეთებიათ. ჩვენი დახმარებით თქვენ შეგიძლიათ დაიმორჩილოთ ისინი.[3] მოსინიკების ბელადები კავშირზე დათანხმდნენ და განაცხადეს: „ჩვენ შეგვიძლია შევიჭრათ ორივესათვის მტრულ ოლქში საწინააღმდეგო მხრიდან. აქეთ გამოგიგზავნოთ ნავები და ხალხი, რომლებიც დაგეხ-

---

მაკრონების მხრიდან უშიშროების გარანტია ჰელტასტის დამსახურებას უნდა მიეწეროს. ადგილობრივ მოსახლეობასთან საერთო ენის გამონახვით, მან თავის თანამებრძოლებს მცირე ხნით ამოსუნთქვის საშუალება მისცა. „ანაბასისის" მიხედვით, მან არც კი იცოდა, სადაური იყო. ბედნიერმა შემთხვევამ მისცა საშუალება, დაედგინა თავისი წარმომავლობა.

2 პროქსენი — ორი ქალაქის ან ხალხის მიერ ნდობით აღჭურვილი პირი. გააჩნდა ფართო უფლებამოსილება. ბერძნული პოლისების გარდა იგი აგვარებდა ურთიერთობას ადგილობრივ მოსახლეობასთან. იცოდა ადგილობრივ ტომთა ენა. პროქსენების არსებობა უნდა ვივარაუდოთ ყველა ბერძნულ ქალაქში.
Xenoph. Anab. V. IV. 1-6.

მარებიან თქვენ და მიგითითებენ გზას".[1] ორივე მხარემ კავშირი ერთგულების ფიცით დაადასტურა.

მოსინიკების მტრულმა ოლქმა სრული განადგურება განიცადა.

ქსენოფონტის მონათხრობიდან კარგად ჩანს, ხელისუფლების მიტაცების სურვილით შეპყრობილი გვაროვნული არისტოკრატიის წარმომადგენლები ნებისმიერი საშუალებებით ცდილობდნენ გაბატონებული მდგომარეობის მოპოვებას.

მოსინიკების შინაური უთანხმოებანი ბერძნებს ''ძეატყობინა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დამცველმა პროქსენმა. აქედან ცხადი ხდება, პროქსენების ფუნქციაში, ურთიერთობის დამყარების გარდა, ფარული ინფორმაციების ფლობა და საჭიროების შემთხვევაში მათი გამოყენება შედიოდა.

ანალოგიური ფაქტი აღინიშნა სკვითინების მხარეშიც. როდესაც ბერძნები მიადგნენ სკვითინების ქალაქ გიმნიასს, მისმა „მმართველმა ელინებს მეგზური გაუგზავნა, რათა ისინი თავისი მტრების ქვეყანაზე გაეტარებინა".[2] მეგზური შესანიშნავად ასრულებდა თავისი მბრძანებლის დავალებას. სკვითინების მტერთა მიწაზე შესულ ბერძნებს იგი აქეზებდა, დაეწვათ და დაენგრიათ ყველაფერი.[3]

საინტერესოა ტრაპეზუნტისა და კოლხების ურთიერთობა. ქსენოფონტის სიტყვებით, ტრაპეზუნტელები კოლხების ნაწილს მოიხსენიებდნენ მეგობრებად, ნაწილს — მტრებად. ისინი ცდილობდნენ მოქირავნეთა გამოყენებას მტრული ტომების წინააღმდეგ.[4] ურჩევდნენ, ნადავლის ხელში ჩაგდების მიზნით, ლაშქრობა მოეწყოთ მათ მხარეში. ქსენოფონტის აღწერათა საფუძველზე კოლხები დაქუცმაცებულნი არიან. ტრაპეზუნტელების მიერ მათი დაყოფა მეგობრულ და მტრულ ბანაკად მიუთითებს, რომ კოლხებთან ტომობრივი გაერთიანების ღერძი არ არსებობდა.[5]

ჰეროდოტესთან მოხსენიებული ქართველური ტომები აქემენიდების ქვეშევრდომები იყვნენ.[6] ქსენოფონტთან ისინი უკვე დამოუკიდებელნი არიან.[7] წყაროებში არსებული განსხვავება ახსნილია აქემენიდების იმპერიის დასუსტებით.[8]

Xenoph. Anab. V. IV. 10.

Xenoph Anab. IV. VII. 19.

Xenoph Anab. IV. VII. 20.

Xenoph Anab. V. II. 2.

Максимова М. И., დასახ. ნაშრ., გვ. 123.

Her. III. 94. 97. VII. 78-79.

Xenoph Anab. VII. VIII. 25.

Г. А. Меликишвили, К истории..., გვ. 238.

კლასიკური პერიოდის ბერძენმა ისტორიკოსებმა შემოგვინახეს ქართველური ტომების დიპლომატიური საქმიანობის პირველი საფეხურები.

ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლური ლაშქრობით დასრულდა ძველი სამყაროს ისტორიის აქემენიდური პერიოდი და დაიწყო ახალი — ელინისტური ეპოქა.

ჰეგემონის შეცვლამ არსებითი ზემოქმედება მოახდინა სპარსეთის იმპერიაში მოქცეული ხალხების პოლიტიკურ ცხოვრებაზე. აქემენიდური დესპოტია დამორჩილებულ ქვეყნებს დამოუკიდებელი განვითარების საშუალებას ყოველნაირად უსპობდა. ალექსანდრე დიდის ძლევამოსილმა ომებმა აზია სპარსეთის უღლისაგან გაათავისუფლა. მაგრამ ახალმა მბრძანებელმა აქემენიდების სამფლობელოების განაპირა მხარეებზე საკუთარი კონტროლის დამყარება ვერ მოასწრო.

სპარსეთის დაცემამ ქართველურ ტომებს თავისუფლება მოუტანა და დიადოხოსების ბრძოლების დაწყებამდე მათი სიმშვიდე არ დარღვეულა. უცხოური ბატონობის გადაგდება ადგილობრივ ბელადებს სამემკვიდრეო მამულის საზღვრების გაფართოების პირობებს უქმნიდა, შეეძლოთ მეზობელი ტომების დამორჩილება და აქემენიდების რეჟიმს გამოტარებული ხელისუფლების გავრცობა. ძველი ქართული წყაროები გარკვევით მიუთითებენ პოლიტიკურ ერთეულთა სიმრავლეს. ბუნებრივია, ძალადობაზე დაყრდნობილი დესპოტიის დაშხობის შემდეგ ტომის ბელადებს დამოუკიდებლობისა და პირველობის მოპოვების პრეტენზიები გაუჩნდებოდათ.

ძველმა ქართულმა საისტორიო მწერლობამ ქართლის სამეფოს წარმოქმნაში გადამწყვეტი როლი ალექსანდრე მაკედონელს მიაწერა. საქართველოსთან ალექსანდრეს ურთიერთობის შესახებ საინტერესოა არა ფაქტის რეალობის, არამედ ტრადიციის ორიენტაციის საკითხი, რომელმაც ქართლის სამეფოს სათავეებთან ძველი სამყაროს უდიდესი დამპყრობელი დააყენა.

ქართული წყაროების მტკიცება ალექსანდრე დიდის საქართველოში ლაშქრობის შესახებ ანტიკური ხანის ავტორების მონაცემებით არ დასტურდება. მაგრამ ჩვენი მატიანეების ინფორმაცია მაინც არ გამოიყურება ფანტაზიის ნაყოფად, თუ გავითვალისწინებთ, რომ დიადოხოსები დაპყრობით ომებს ალექსანდრეს სახელით აწარმოებდნენ.

ელინისტური ეპოქის საქართველოს ისტორიის სრულყოფილ გადმოცემას სერიოზულ ბარიერს უქმნის ანტიკური მწერლობის დუმილი იბერიის პირველ მეფეთა შესახებ. ძველი სამყაროს ღირსსახსოვარ მოვლენათა მემატიანეებმა ამ საკითხს რატომღაც გვერდი აუარეს. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კოლხეთი და იბერია ბერძენ-რომაელი ავტორებისათვის „ტერა ინკოგნიტას“ წარმოადგენდა.

ქართველური ტომების პოლიტიკური ცხოვრების მიახლოებითი სურათის ერთადერთ გზად ქართული მატიანეები რჩება. მათ გადმოცემებში ბევრი არარეალური ფაქტის გვერდით, ელინისტური სამყაროს პერიფერიებში მიმდინარე მოვლენებთან სერიოზული ანალოგიების დანახვაც შეიძლება. ეს მოვლენები კი, აქემენიდების იმპერიის დაცემისა და ახალი ეპოქის დაბადების უშუალო გამოძახილი იყო. ქართული წყაროების ცნობები კარგად ჯდება ელინისტური ეპოქის ჩარჩოებში. მათზე დაყრდნობით ნათელი ხდება, რომ ძვ. წ. IV-III საუკუნეებში ქართველური ტომების ცხოვრებაშიც გადმოინაცვლა მცირე აზიის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის დამახასიათებელმა პოლიტიკურმა ძვრებმა. ცალკეულ მხარეთა განვითარების უთანაბრობა ზრდიდა შედარებით დაწინაურებულ ტომთა როლს. ჩვენს სინამდვილეში ეს ფაქტორიც სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. შინაგან მომწიფებასა და დროის მოკლე მონაკვეთში საერთაშორისო ასპარეზზე მომხდარ გარდატეხას უნდა დაეჩქარებინა ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა.

ალექსანდრე დიდის გარდაცვალების შემდეგ, მისი მემკვიდრეები, დიადოხოსები. პირველობისათვის ურთიერთშორის ბრძოლასთან ერთად, ენერგიულად ისწრაფოდნენ ახალი ქვეყნების მისატაცებლად. საეჭვოდ არ მიგვაჩნია, რომ ამ პერიოდიდან საქართველო დიადოხოსების ინტერესების ობიექტი გახდებოდა.

დაპყრობილ ქვეყნებში დიადოხოსები აგრძელებდნენ ალექსანდრე დიდის პოლიტიკას, ადგილობრივი წარჩინებულების მიმხრობით იფართოებდნენ დასაყრდენ ბაზას. ელინისტური ეპოქა მრავლად იცნობს ბერძნული ორიენტაციის ტომის ბელადებს, რომელთა სახით მოგვიანებით დამოუკიდებელი მეფეები ან მეფობის პრეტენდენტები ჩამოყალიბდნენ. ქართველი დინასტების (ქართლის, ეგრისის, არიან-ქართლის) მოქმედებაც საერთო კანონზომიერების ფარგლებში ვითარდებოდა.

დიადოხოსებს შორის ტერიტორიული დანაწილებისა და გავლენის სფეროების განსაზღვრის ზოგადად მიღებული მოდელის გათვალისწინებით, „ქართლის ცხოვრებაში" მოთხრობილი ალექსანდრე მაკედონელის სახელით ცნობილი ლაშქრობა უნდა განეხორციელებინა ლიზიმახეს.

ქართული წყაროები ვრცლად მოგვითხრობენ, რომ დამპყრობლის შემოსვლას ტომთა ბელადების ნაწილი დიდი წინააღმდეგობით შეხვდა. ბევრი მათგანი ბრძოლაში დაიღუპა (მცხეთის მამასახლისი სამარი, მისი ძმა). მეორე ნაწილი, არიან-ქართლის მმართველის, აზონის (აზოს) სახით (უნდა ვივარაუდოთ, რომ აზონი მარტო არ იქნებოდა), მტრის მხარეზე გადავიდა და მის სამსახურში ჩადგა. გამარჯვებულმა დამპყრობელმა აზონს ერთგულება დაუფასა და დამორჩილებული ქვეყნის გამგებლად დანიშნა.

დიადოხოსების ადმინისტრაციული პოლიტიკისათვის აზონის აღზევება ბუნებრივი მოვლენა იყო. მსგავს ფაქტებს მრავლად იცნობს აღნიშნული ეპოქა.

ქართული მატიანეები აზონის (აზოს) წარმომავლობის შესახებ განსხვავებული აზრისანი არიან. „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მიხედვით ალექსანდრე მაკედონელის თანამებრძოლი და მის მიერ ქართლის მეფედ დანიშნული აზო იყო ქართველი, არიან-ქართლის მეფის ძე. „ქართლის ცხოვრების" მტკიცებით კი, აზონი იყო უცხოელი, მაკედონელი. ლეონტი მროველმა იცოდა აზონის ეთნიკური კუთვნილება, მაგრამ თხრობა იმგვარად წარმართა, რომ მკითხველი დამპყრობლის საწინააღმდეგოდ განეწყო და თვალსაჩინოდ გამოეკვეთა თხზულების მთავარი გმირის ფარნავაზის, როგორც ქართველის უპირატესობა.

მიუხედავად იმისა, რომ აზონი ერთ-ერთი ადგილობრივი ტომის ბელადი იყო, ქართლის მოსახლეობის თვალში იგი ბოლომდე დამპყრობლად დარჩა. იარაღით დამკვიდრებული, ხელისუფლების შენარჩუნებას იარაღითვე ცდილობდა. მისი ბატონობა უმძიმეს ტვირთად იქცა. ლეონტი მროველის დახასიათებით, აზონი „იყო კაცი ძნელი და მესისხლე, და ესე დააწესა და ამცნო სპათა მისთა, ვითარმედ: „ყოველმან ქართველთა-განმან, რომელმან პოვოს საპურველი, მოკალით იგი. და ჰყოფდეს ჰრომნი იგი ესრეთ ქართველთა ზედა, ვინცავინ გამოჩნდის ქართველთა-განი ქმნულ-კეთილი და ასაკოვანი, მოკლიან იგი. და იყო ჭირი დიდი ნათესავსა ზედა ქართველთასა".[1]

დამპყრობლის პოზიციებზე მდგომ აზონის ხელისუფლებას დაუპირისპირდა ქართლის მამასახლისთა ოჯახის მემკვიდრე ფარნავაზი.

დიადოხოსების ომების უკანასკნელ ეტაპზე, ალექსანდრე დიდის სარდლის ხელისუფლების დაცემის შემდეგ, ქართველ ტომებზე გავრცელდა პონტოს მეფის იურისდიქცია. ფარნავაზის გამოსვლა ნიშნავდა დაპირისპირებას არა მარტო აზონთან, არამედ პონტოს მეფესთანაც.

ფარნავაზმა გადალახა ეიწროტომობრივი ინტერესები და სამომავლო ამოცანები საერთოქართული მიზნების შესაბამისად წარმართა. სერიოზულ დიპლომატიურ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ფარული კავშირის დამყარება ეგრისის მმართველთან ქუჯისთან და აზონის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი გეგმის შემუშავება. ლეონტი მროველის მოწმობით, ქუჯი აღტაცებით შეხვდა ამ წამოწყებას და უაღრესად საქმიანი რჩევებით, ბევრი პრობლემის გადაჭრის ახალი გზებიც დასახა. „ქართლის ცხოვრების" მტკიცებით, ქუჯი დარწმუნებული იყო, აზონის წინააღმდეგ დაწყებულ მოძრაობას ყოველი ქართველი ერთსულოვნად

---

[1] ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 20.

დაუჭერდა მხარს. ამასთან, იგი ხაზგასმით მიუთითებდა აზონის ბანაკში არსებული უთანხმოების შესახებაც, რისთვისაც შეთქმულების მეთაურებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციათ. ეგრისის ერისთავის მითითებით, „ეგონებ, რომელ ჰრომთა მათგანნიცა გამოგუეთნენ. რამეთუ ურიცხუნი აწყუედილ არიან მათგანნიცა აზონისაგან“.[1] ქუჯის წინასწარმეტყველება გამართლდა — გადამწყვეტ მომენტში ფარნავაზის მხარეს აზონის ბანაკიდან ათასი რჩეული მეომარი გადავიდა.

ფარნავაზისა და ქუჯის კავშირი ქართველ ტომთა ერთიანი ცნობიერების ჩამოყალიბების გრძელ გზაზე ახალი მოვლენის საწყისი გახდა. ამ კავშირით დასრულდა ურთიერთობის განვითარების გარკვეული ეტაპი, დაძლეულ იქნა განმაცალკევებელი ზღუდეები. მოძრაობამ ერთიანობის ცენტრად ქართლი, ხოლო მის მეთაურად ქართლის ხელისუფალი გამოაცხადა. სიტყვა, რომელიც ამ იდეას ქადაგებს და ლეონტი მროველმა ქუჯის ათქმევინა, საოცარი ლაკონიურობით აგვირგვინებს პირველობის პალმის საკითხს ქართველ მთავართა შორის. ქუჯი მიმართავს ფარნავაზს: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი... და უკეთუ მოგუეცეს ძლევა, შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი“.[2] ბრძოლის დამთავრების შემდეგ ქუჯის არ მოუთხოვია საზღაური თავისი დამსახურებისათვის. მან მანამდე გადაწყვიტა უფროსუმცროსობის საკითხი და, წყაროს თანახმად, სიტყვა ღირსეულად შეასრულა.

ფარნავაზისა და ქუჯის მოწოდებას საქართველოს ყველა კუთხემ დაუჭირა მხარი, „რამეთუ არა სთნდა ხარკისა მიცემა აზონისა“. დამხმარე ძალები გადმოიყვანეს ჩრდილოეთ კავკასიიდან და „განიმრავლეს სპანი“. ამას დაემატა აზონის ბანაკის გათიშვა. ბრძოლის დაწყების წინ, „ათასი მხედარი რჩეული ჰრომთა მათგანი, რომელთა ბოროტი წაჰკიდებოდა აზონისაგან, განუდგეს აზონს და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისა“.[3] ცხადია, აზონის თანამებრძოლები ასეთ გადაწყვეტილებას ერთბაშად არ მიიღებდნენ. ამას, ალბათ, წინ უძღოდა ხანგრძლივი მოლაპარაკებები და კონკრეტული პირობების დადება. ასეთი შეთანხმების არსებობა დასტურდება ლეონტი მროველის თხზულების იმ ნაწილში, სადაც საუბარია გამარჯვებული ფარნავაზის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე. აზონის ბანაკიდან გადმოსული მეომრები ფარნავაზმა აღაზევა და „უწოდა მათ სახელად აზნაურნი“.[4]

ქართლის ცხოვრება, I, გვ. 22.
იქვე.
იქვე. გვ. 23.
იქვე. გვ. 25.

ათასი რჩეული მეომრის ღალატის შემდეგ, აზონს ჩამოშორდნენ „ყოველნი ქართველნი“. ქვეშევრდომთა განდგომამ იგი აიძულა, ბრძოლისათვის თავი აერიდებინა და მცხეთა დაეტოვებინა, რადგან „სპანი რომელ დარჩეს აზონს, ვერღარა მიენდო მათ, რამეთუ ყოველთა ზედა ბოროტის მოქმედ იყო. წარვიდა აზონ და მივიდა კლარჯეთს, და გამაგრდა იგი სიმაგრეთა შინა კლარჯეთისასა“.[1]

მცხეთიდან ლტოლვილი აზონის გადასვლა კლარჯეთში და იქ გამაგრება არ არის შემთხვევითი. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ არიან-ქართლი, რომლის მეფის ძეც იგი იყო, მოიცავდა საქართველოს იმ ნაწილს, რომელსაც ლეონტი მროველის დროს ეწოდებოდა კლარჯეთი.[2] მცხეთიდან გაძევებული აზონი თავის სამემკვიდრეო მამულში დაბრუნდა, მაგრამ დაკარგული დიდების დაბრუნებაზე ხელი არ აუღია.

ფარნავაზმა დაიკავა მცხეთა, „დაიპყრა ყოველი ქართლი თვინიერ კლარჯეთისა“. მოპოვებული გამარჯვების განმტკიცება მოითხოვდა ბრძოლის სხვა ტალღაზე გადართვას. აზონი პონტოს მეფისაგან ელოდა დახმარებას და მიიღო კიდეც. ლეონტი მროველი წერს: „წელსა მეორესა აზონ მოირთნა სპანი საბერძნეთით, განძლიერდა ფრიად და მიმართა ფარნავაზს“.[3]

ფარნავაზის დიპლომატიის უპირატესობა ყველაზე მკვეთრად საომარი სამზადისის დროს გამოვლინდა. მან აზონსა და მის მფარველს დაუპირისპირა ძლიერი ძალა. ასეთ ძალას იმდროინდელ მსოფლიოში წარმოადგენდა დიადოხოსების ომიდან ტრიუმფით გამოსული, ალექსანდრე დიდის დაშლილი იმპერიის ყველაზე ძლევამოსილი მემკვიდრე, სელევკიდების სამეფო. ლეონტი მროველი ამ მოვლენას საოცრად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და წერს: „ამან ფარნავაზ წარავლინნა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურასტანისა, და წარსცა ძღუენი დიდძალი. და აღუთქუა მას მსახურება, და ითხოვა მისგან შეწევნა ბერძენთა ზედა. ხოლო ანტიოქოს შეიწყნარა ძღუენი მისი, და უწოდა შვილად თვისად, და წარმოსცა გვირგვინი. და უბრძანა ერისთავთა სომხეთისათა, რათა შეეწეოდიან ფარნავაზს“.[4]

ქართლის ცხოვრება. I. გვ. 23.

გ. მელიქიშვილი. ქართული პოლიტიკური და ეთნიკური წარმონაქმნები ელინისტურ ხანაში საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I. 1970. გვ. 436-444; Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. 1959. გვ. 276-283; გ. მამულია. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში. 1979. გვ. 162.

ქართლის ცხოვრება. I. გვ. 23.

იქვე.

ლეონტი მროველის თხრობაში კარგად ჩანს სელევკიდების საგარეო პოლიტიკის ჩვეულებრივი სურათი. აზიის მბრძანებლების დიპლომატია ანალოგიური შინაარსის მრავალ ხელშეკრულებას იცნობს.

ფარნავაზის „მსახურება" ანტიოქოსს გავლენის სფეროს გაფართოების ახალ პერსპექტივებს უსახავდა. მანამდე მას კონტაქტი ჰქონდა ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც, ნომინალურად მაინც, სელევკიდების ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ. ამჯერად კავშირსა და ნებაყოფლობით „მსახურებას" სთავაზობდა სრულიად ავტონომიური მხარე „შეწევნა, ბერძენთა ზედა" სანაცვლოდ. ანტიოქოსის დაინტერესებას ბიძგს მისცემდა მისი პრეტენზიები კაპადოკიაზე. სამოკავშირეო სფეროს გაფართოება გაუადვილებდა ჩრდილოეთით აგრესიული პოლიტიკის გააქტიურებას.

ქართულმა მისიამ შეასრულა ძველი სამყაროს დიპლომატიაში დაკანონებული ნორმები. საკალდებულო ეტიკეტის დაცვით იწყებს ლეონტი მროველი თხრობას: „ფარნავაზ წარავლინნა მოციქულნი... და წარსცა ძღუენი დიდძალი". „ძღუენი დიდძალი" აუცილებელი ატრიბუტი იყო დიპლომატიური მოლაპარაკების არა მარტო გარეგნული ეფექტის თვალსაზრისით, არამედ მისი ნორმალური წარმართვისთვისაც. საჩუქრების სიუხვეს განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ სამყაროს უმდიდრესი მბრძანებლები სელევკიდები, მიუხედავად იმისა, რომ აქემენიდების საგანძურის ძირითადი მფლობელები იყვნენ.

ფარნავაზის ორიენტაციამ ბრწყინვალე შედეგი გამოიღო. მსოფლიოს უძლიერესმა მონარქმა ანტიოქოსმა „უწოდა შვილად თვისად, და წარმოსცა გვირგვინი". სელევკიდების ადმინისტრაციულ პოლიტიკაში მსგავსი მოქმედება უცხო არ იყო. ქვეშევრდომებისათვის მეფის ტიტულის მინიჭებას სერიოზული არგუმენტები ედო საფუძვლად. მათი აზრით, სამეფო ინსიგნიებით აღჭურვილი ხელისუფალი ადგილობრივ მოსახლეობაში მეტი გავლენით ისარგებლებდა.

უცნობია ფარნავაზის კონკრეტული ვალდებულებანი. ისტორიკოსი მხოლოდ ერთი ფრაზით — „აღუთქუა მას მსახურება" — კმაყოფილდება. ლეონტი მროველი ასევე ზოგადად აღნიშნავს ფარნავაზის მომდევნო მეფეების — სელევკიდებისადმი მორჩილებასაც. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მორჩილებაც, მსგავსად ფარნავაზის „მსახურებისა", იყო ნომინალური. ქართლის პირველი მეფეებისათვის სელევკიდების ტახტის „მსახურებას" ეკისრებოდა ფარის როლი და მიმართული იყო პონტოს მოსალოდნელი აგრესიის თავიდან ასაცილებლად.

ანტიოქოსის მხარდაჭერა მარტოოდენ დეკლარაციული აღიარებით არ შემოფარგლულა. შეთანხმების დასკვნით ნაწილში ეკითხულობთ: „უბრძანა ერისთავთა სომხეთისათა, რათა შეეწეოდიან ფარნავაზს". „ქართლის ცხოვრებაში" ფიგურირებენ სომხეთის ერისთავები. ანტიკუ-

რი წყაროებით ცნობილია, რომ სელევკიდების ბატონობის ადრეულ სტადიაზე სომხეთი გაყოფილი იყო ორ სატრაპიად. სომხეთის სატრაპებმა ანტიოქოსის ბრძანება შეასრულეს. ბრძოლის დაწყების წინ ქართულ ლაშქარს „მოერთნეს ერისთავნი ანტიოქოზისნი სომხითით“.

სელევკიდების დროშით სომხეთის სატრაპთა მონაწილეობას ამ ბრძოლაში სამკაულის როლი უნდა შეესრულებინა. ქართლის მეფისათვის მთავარი იყო ანტიოქოსის, აზიის ძლევამოსილი მონარქის, სახელის ფიგურირება. ფარნავაზს კარგად ეჭნებოდა გათვალისწინებული ისიც, რომ პონტოს მეფე სელევკიდების მოკავშირის წინააღმდეგ ფრთაგაშლილი ვერ იბრძოლებდა.

აზონი დამარცხდა და ბრძოლის ველზე დაიღუპა. კლარჯეთიც ფარნავაზის ხელისუფლებას დაექვემდებარა. პონტოს მეფე მითრიდატე შეურიგდა ქართული მიწების დაკარგვას, რადგან იგი უფრო რთული პრობლემის წინაშე იდგა. ლეონტი მროველი მიზეზს გარკვევით მიუთითებს: „და ვერღარა იძიეს შური ბერძენთა მის ზედა, რამეთუ უცალო იყვნეს ბერძენნი ბრძოლისაგან ჰრომთასა“.[1] ამით ისარგებლა ფარნავაზმა და აზონის განადგურების შემდეგ ლაშქრობა კაპადოკიის საზღვრებამდე გააგრძელა. პონტოსთან მიახლოება და გამმიჯნავი ხაზის დადგენა აუცილებელი იყო. გამარჯვებულ მეფეს მტრის წინაშე უნდა მოეხდინა საკუთარი ძალების დემონსტრირება, რათა თავიდან აეცილებინა მისი მოსალოდნელი გამოლაშქრება ადრინდელი უფლებების აღსადგენად.

ფარნავაზმა ახლო ურთიერთობა დაამყარა ჩრდილო კავკასიის ტომებთან. აზონთან ბრძოლის დროს ფართოდ გამოიყენა მათი დახმარება. კავშირის განმტკიცების მიზნით ცოლად შეირთო დურძუკთა ბელადის ასული. ფარნავაზს ორი და ჰყავდა. ერთი და ცოლად დურძუკთა ბელადს მიათხოვა, ხოლო მეორე — თავის თანამებრძოლს, ეგრისის ერისთავს ქუჯის. ქართული ტრადიცია ფარნავაზის საგარეო პოლიტიკის წარმატებაში დინასტიურ ქორწინებასაც გარკვეულ როლს აკისრებს. „ქართლის ცხოვრების“ ფარნავაზი წარმოგვიდგება მეფე-რეფორმატორად. თავის ხანგრძლივ ზეობაში მოაწესრიგა ქვეყნის საშინაო ცხოვრება. გაატარა ადმინისტრაციული, რელიგიური, კულტურულ-საგანმანათლებლო რეფორმები.

ფარნავაზმა საფუძველი დაუდო ქართველურ ტომთა ერთიანობის იდეას და პრაქტიკული მოქმედებით სისრულეშიც მოიყვანა. ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლა ერთდროულად მოხდა.

---

[1] ქართლის ცხოვრება. I. გვ. 25.

ფარნავაზის შვილი საურმაგი აგრძელებს მამის საგარეო პოლიტიკას. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, „მსახურებდა იგი მეფესა ასურასტანისასა“.[1] მაგრამ სერიოზული პრობლემები წამოჭრილა ქვეყნის შიგნით. ქართლის ერისთავთა დიდ ჯგუფს განუზრახავს საურმაგის დამხობა. ლეონტი მროველის სიტყვებით, „მას ჟამსა შინა ზრახვა ჰყვეს ერისთავთა ქართლისათა და თქუეს: „არა კეთილ არს ჩუენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩვენს, არამედ ვიყოთ ერთად, და მოვკლათ ჩუენ საურმაგ, და ვიყვნეთ ჩვენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ, და მივსცემდეთ ხარკსა ვინცა-ვინ გამოჩნდეს მძლე, რამეთუ ესრეთ ყოფითა უფრო განვისუენებთ“.[2]

ფარნავაზის მოღვაწეობის შეფასებას ლეონტი მროველი ქება-დიდებით ამთავრებს: „იყო განსუენება და სიხარული ქართლსა ზედა... ვჰმადლობთ სუესა ჩუენსა, რამეთუ მოგუცა ჩუენ მეფე ნათესავთაგან მამათა ჩუენთასა და აღგვიხადა ხარკი და ჴირი უცხოთა ნათესავთაგან“. მაგრამ იგივე ხალხი საურმაგის შესახებ სრულიად საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს, „არა კეთილ არს ჩუენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩუენსა“.

დიდებულთა გამოსვლას იმდენად ფართო ხასიათი მიუღია, რომ მეფემ წინააღმდეგობის გაწევას გაცლა ამჯობინა. სამშობლოდან ლტოლვილმა საურმაგმა თავი დურძუკეთს შეაფარა. უიმედო მდგომარეობაში მყოფ საურმაგთან გამოცხადდნენ გააზნაურებული „რომაელები“ (უნდა ვივარაუდოთ, ქართლის მეფის მხარეზე გადმოსულ აზონის მეომართა შვილები). მათ ლტოლვილ მეფეს ერთგულების ფიცი მისცეს და მიმართეს: „დიდი კეთილი დგას ჩუენ ზედა მამისა შენისა. ამისათვის ვართ ჩუენ მტკიცე ერთგულებასა შენსა“.

აზნაურთა მხარდაჭერამ საურმაგს ტახტის დაბრუნების იმედი ჩაუსახა. შეადგინა ბრძოლის გეგმა. დასახმარებლად მოუწოდა ჩრდილოკავკასიელ ტომებს. „და წამოემართა ქართველთა ზედა. და ვერავინ წინააღუდგა მას. და დაიპყრა ქართლი, მოსრა განდგომილნი მისნი. და რომელთამე შეუნდო, ხოლო დაამდაბლნა ქართლოსიანნი და წარჩინებულ ყვნა აზნაურნი“.[3]

ლეონტი მროველი მეტად საყურადღებო ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას, რაც კარგად ხსნის საურმაგის გამარჯვების საიდუმლოებას. ისტორიკოსის სიტყვებით, მეფემ ფართოდ გამოიყენა ფარნავაზის დანერგილი წესი, რომლის თანახმადაც დამხმარე უცხო ძალას გულუხვად

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 27.
2 იქვე. გვ. 26.
3 იქვე. გვ. 27.

ეძლეოდა მიწები და წარჩინების სიგელები. საურმაგმა კავკასიელ ტომთა ნაწილი საქართველოში გადმოასახლა. მის მოქმედებას კონკრეტული დანიშნულება ჰქონდა. „მაშინ ამან საურმაგ წარმოიყვანა იგინი ყოველთა კავკასიის ნათესავთა ნახევარნი, და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დასხნა მთიულეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი, და ესენი დაიპყრნა მ̣ისანდობ̣ელად თავისად, დედ̣ულ̣ნი".[1]

მემატიანის სიტყვით, ქართლის ახალ მკვიდრთ განსაკუთრებული ფუნქციები ეკისრებოდათ, სადაც ხაზგასმულია საურმაგთან მათი ნათესაობა როგორც სანდოობის გარანტია.

„ქართლის ცხოვრება" თვალსაჩინოდ გვიხატავს ერისთავთა უარყოფით დამოკიდებულებას ძლიერი სამეფო ხელისუფლებისადმი. საურმაგის გამეფებისას მათ სცადეს დაკარგული უფლებების დაბრუნება. "შეთქმულებს ამოძრავებდათ არა საქვეყნო, არამედ პირადი ინტერესები.

საურმაგის საგარეო პოლიტიკა გადმოცემული ეპიზოდის გარდა, მკრთალადაა ასახული ქართულ წყაროში. ლეონტი მროველი სელევკიდებთან მის ურთიერთობასაც ზოგადად წარმოგვიდგენს: „მსახურებდა იგი მეფესა ასურასტანისასა". სხვა ფაქტებს არ ასახელებს.

„ქართლის ცხოვრებაში" ვრცელი ინფორმაციები გვაქვს ფარნავაზის შესახებ, თუმცა კონკრეტული თარიღების გარეშე. თუ დავუშვებთ, რომ ფარნავაზი ტახტზე ავიდა ძვ. წ. III საუკუნის 80-იან წლებში და ხელისუფლება ეპყრა 65 წელი, მისი მეფობა გაგრძელდებოდა ძვ. წ. III საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე. საურმაგის შესახებ მოთხრობილი ამბები იმავე საუკუნის ბოლოსა და II საუკუნის დასაწყისში უნდა ვივარაუდოთ.

„ქართლის ცხოვრება" დროისა და სივრცის გარეშე გვესაუბრება, მაგრამ ფარნავაზიანთა დინასტიის მესამე მეფე მირვანთან გამოჩნდა მანიშნებელი სვეტი. ლეონტი მროველი წერს: „ამის-ზე მიიცუალა ანტიოქისა მეფობა ბაბილონს. და მას ჟამსა შინა მეფე იქმნა სომხითს რომელსა ერქუა არშაკ".[2] მატიანე პირველ მეფეთა შესახებ საუბრისას საერთოდ მიღებულ ქრონოლოგიას თხრობის ამ მონაკვეთში უახლოვდება. დინასტიის მესამე წარმომადგენლის მოღვაწეობა ემთხვევა ანტიოქოს III დიდის[3] მეფობის ბოლო წლებს (223-187).

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 27.

[2] იქვე, გვ. 28.

[3] სელევკიდების დინასტიაში ანტიოქოსი ტრადიციული სახელი იყო. მათი მეფობის 250-წლიან პერიოდში ანტიოქოსი ერქვა ცამეტ მეფეს (Э. Бикерман, Хронология древнего мира, გვ. 195-196).

„ქართლის ცხოვრების“ ქრონოლოგიის გაუმართაობის გამო, საორიენტაციოდ ცნობილ ისტორიულ მოვლენებთან ჩვენი მატიანის მიმართება უნდა ავიღოთ. ქართლის პირველი მეფეები „მსახურებდნენ“ სელევკიდებს. დინასტიის მესამე წარმომადგენლის დროს „მიიცუალა ანტიოქისა მეფობა ბაბილონს“. რეალობაა ანტიოქოსის გარდაცვალებასთან სომხეთის დამოუკიდებლობის დაკავშირება.

ანტიოქოსის გარდაცვალებამდე მოხდა ძველი სამყაროს ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენა — ომი რომის რესპუბლიკასა და სელევკიდების სამეფოს შორის (192-188). მაგნეზიასთან გამართულმა ბრძოლამ (190) სელევკიდების უზარმაზარი იმპერია არარაობად აქცია და ტრაგიკული ზემოქმედება მოახდინა აზიის უპირველესი სახელმწიფოს არსებობაზე. აპამეაში დადებული ზავით (188) ანტიოქოსმა თავისი სამფლობელოების დიდი ნაწილი დაკარგა და კონტრიბუციაც დაეკისრა გადასახდელად. ამის შემდეგ მატიანეში აღარ გვხვდება ქართლის მეფეთა საგარეო პოლიტიკის დახასიათებისას „მსახურებდა მეფესა ასურასტანისასა“. სელევკიდების „მსახურების“ ნომინალური აღიარება იბერიის მეფეებს საერთაშორისო ასპარეზზე არავითარ პრივილეგიას არ აძლევდა და რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით უარყოფილ იქნა.

სელევკიდების დამარცხებით იწყება იმპერიის დაშლა. დასუსტებულ სახელმწიფოს პირველი ჩამოშორდა სომხეთი. სტრაბონის მიხედვით, განთავისუფლებულ სომხეთში გამეფდნენ ანტიოქოსის სარდლები არტაშია და ზარიადრე. შეიქმნა ორი სამეფო. სტრაბონი იცნობს სომხეთის მიერ მიტაცებულ იბერიის ოლქებსაც.[1] არტაშიას სომხეთის მეფედ ასახელებს პლუტარქეც.[2] მოვსეს ხორენაცი არტაშიას არტაშესის სახელით მოიხსენიებს.[3] ლეონტი მროველი არტაშესს არშაკს უწოდებს[4] და საყოველთაოდ მიღებულ ფაქტს აფიქსირებს თავის თხზულებაში.

სელევკიდების ჰეგემონიის დაცემამ არტაშეს I-ს (189-160) შეუქმნა პირობები დაპყრობითი ომების საწარმოებლად. თუ „ქართლის ცხოვრებაში“ მკრთალად ჩანს ახლად წარმოქმნილი სომხური სახელმწიფოს აგრესიის ფაქტები, ანტიკური და სომხური წყაროები ქართლის ნაწილის მოკცევას არშაკიდების მფლობელობაში რეალობად მიიჩნევენ.

ქართლისა და სომხეთის ურთიერთობათა შესახებ ლეონტი მროველსა და მოვსეს ხორენაცის საყურადღებო ინფორმაციები გააჩნიათ,

---

Strabo, Geographica, XI, XIV, 5, 15.
Plutarchus, Lucullus, XXXI.
მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, II, 11.
ქართლის ცხოვრება, I, გვ. 28.

ქართველი ისტორიკოსის აზრით, სომხეთში არშაკის გამეფების შემდეგ, „ეზრახა მირვან არშაკს, და მისცა ასული თავისი ძესა არშაკისსა, არშაკს“.[1] სომეხი მემატიანის ცნობით, „(არტაშესმა) თავისი ასული არტაშამა მიათხოვა ვინმე მიჰრდატს, ქართველთა დიდ პატიახშს“.[2] ხორენაცი აგრძელებს, ქართველთა დიდი პიტიახში მიჰრდატი, „ნაშიერი იყო დარეპის ნახარარის მიჰრდატისა, რომელიც.... ალექსანდრემ (ი)ბერიელთა ქვეყნიდან (მოყვანილი) ტყვეების ხელისუფლად დაადგინა. (სომეხთა მეფემ) მიჰრდატს მიანდო ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს ზღვის გამგებლობა“.[3]

ცნობები საინტერესოა ურთიერთობის დამადასტურებელი ფაქტის აღნუსხვით. მათ შორის განსხვავება გარეგნული ხასიათისაა. მროველთან მირვანის ასული გახდა არშაკის ძის მეუღლე. ხორენაცთან პირიქით, სომხეთის მეფემ თავისი ქალიშვილი მიათხოვა „ქართველთა დიდ პიტიახშს“. არც ის არის გამორიცხული, რომ ქართლის მეფეს ასული მიეთხოვებინა არშაკის ვაჟისათვის და რძლადაც მოეყვანა სომხეთის მეფის ქალიშვილი. იგივე შეეძლო არშაკსაც. ძველ სამყაროში მსგავსი სახის ქორწინებანი ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ქართლსა და სომხეთს შორის ურთიერთობა არსებითად შეიცვალა მირვანის მომდევნო მეფის, ფარნაჯომის დროს. წყაროების მონაცემებით, რეალობად შეიძლება ჩაითვალოს არტაშესის, თუ მისი მომდევნო მეფის, ქართლში ლაშქრობისა და სომეხი უფლისწულის გამეფების ფაქტი.[4] ქართული წყარო ფარნაჯომს უცხოური აგრესიის წინააღმდეგ გამოსვლას ბრალდებად უყენებს. მიზეზად მის რელიგიურ პოლიტიკას ასახელებს. ლეონტი მროველს ფარნაჯომი გაორებულ პიროვნებად ჰყავს წარმოდგენილი. ისტორიკოსის სიტყვებით, მეფობის პირველ ხანებში იგი თაყვანს სცემდა ქართულ ღვთაებებს, „შექმნა კერპი სახელით ზადენ,[5] და ამართა ზადენს“. შემდეგ უარყო მამათა კერპები, „შეიყუარა სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება... და იწყო ცხადად გმობა კერპთა. ამისათვის მოიძულეს იგი მკვიდრთა ქართლისათა... შეითქუნეს ერისთავნი ქართლისანი უმრავლესნი“. შეთქმულებმა სომხეთის მეფეს მიმართეს: „მეფე ჩვენი გარდახდა სჯულისა მამათა ჩუენთასა, არღარა

---

1 ქართლის ცხოვრება, I. გვ. 28.

2 მოვსეს ხორენაცი, II, 11.
მოვსეს ხორენაცი, II. II. მოვსეს ხორენაცის თხზულების ძველი სომხურიდან ქართულად მთარგმნელი ა. აბდალაძე ქართველთა დიდ პიტიახშთან დაკავშირებით წერს: „იგულისხმება ქვემო ქართლის (გუგარქის) პიტიახში. შესაძლოა. აქ ერთმანეთთან შერწყმული იყოს ქართლის პიტიახშისა და პონტოს მეფის (მითრიდატეს) შესახებ არსებული ცნობები“. იხ. მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. გვ 266. შენიშვნა 69.
საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I. გვ. 466.
ფარნაჯომის. მიერ ზადენის კერპის აღმართვას აღიარებს „მოკლეული“ ქართლისაც“.

'მსახურებს ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა, შემოიღო სჯული მაპული და დაუტევა სჯული დედული.[1] აწ არღარა ღირს არს იგი მეფედ ჩუენდა. მოგუეც ძე შენი არშაკ, რომელსა უზის ცოლად ნათესავი ფარნავაზიანთა, მეფეთა ჩვენთა.[2] გუაშუელე ძალი შენი, და ვაოტოთ ფარნაჯომ, შემომღებელი ახლისა სჯულისა, და იყოს მეფედ ჩუენდა ძე შენი არშაკ და დედოფლად ჩუენდა ცოლი მისი, შვილი მეფეთა ჩუენთა".[3]

მოვლენათა განვითარებით თუ ვიმსჯელებთ, ერისთავების ქმედებაზე მიწერილ არგუმენტებში ძნელი არ არის არშაკიდების შენიღბული ზრახვების შემჩნევა. ფარნაჯომი წინ აღუდგა აგრესიას, მაგრამ როცა დარწმუნდა საკუთარი ერისთავების მტრის მხარეზე გადასვლაში, კავშირი დაამყარა სპარსეთთან. თანამედროვე ქართულ მეცნიერებას ეს საკითხი გარკვეული აქვს. სპარსეთის სახით ქართლის მეფე ეძებდა მოკავშირეს სომხეთის მოძალების მოსაგერიებლად.[4] დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით ფარნაჯომმა სერიოზული მსხვერპლი გაიღო, მაგრამ გადაჭარბებულად მიგვაჩნია ქართველი მემატიანის პოზიცია, როგორმე ბრალი დასდოს ფარნაჯომს. მეფე, რომელმაც ახალი კერპი შექმნა, ასეთ მეტამორფოზას ვერ განიცდიდა და თავის მიერ აღმართულ საკუთარხეველს არ დაამხობდა. ტრადიციამ სომეხი უფლისწულის გამეფება ქართლის ერისთავთა სურვილით ახსნა და მიჩქმალა არშაკიდების როლი ფარნაჯომის ხელისუფლების დაცემაში. პართიიდან მიღებული დახმარება საკმარისი არ აღმოჩნდა, ფარნაჯომი დამარცხდა და ბრძოლის ველზე დაიღუპა.

ქართლის ტახტზე ავიდა სომხეთის მეფის ძე არშაკი. ლეონტი მროველის სიტყვებით: „დაჯდა მეფედ არშაკ, და დაიპყრა ყოველი ქართლი".[5]

„მოქცევაჲ ქართლისაჲ" არშაკს ქართლის მეფედ არ იცნობს. ანონიმი ავტორი ფარნაჯომის მომდევნო მეფედ ასახელებს არსოკს, „ქართლის ცხოვრების" არტაგს, ბერძენ-რომაელი მწერლების არტოკეს.[6] თუ დავუშვებთ, რომ იბერიის ტახტზე სომეხი უფლისწული ავიდა ანტიო-

---

ქართლის ერისთავები ხაზს უსვამენ ფარნაჯომის არაქართველობას. მისი მამა მირვანი იყო სპარსი. „ქართლის ცხოვრება" გვაუწყებს, რომ საურმაგს ვაჟი არ ჰყავდა, სპარსეთიდან ჩამოიყვანა თავისი ცოლის ნათესავი, მიათხოვა ასული და ტახტიც დაუტოვა.

2 იგულისხმება ფარნაჯომის და. სომეხთა მეფის ძის არშაკის მეუღლე. ქართლის ერისთავებმა სიძე მოითხოვეს მეფედ.

3 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 29.

4 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1958, გვ. 301.

5 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 30.

6 Appianos, Mithridatica, 103, 117. Cassius Dio, Historiarum Romanorum, XXXVII, 1,2, Florus, Epitomae, I, XL, 28. Eutropius, Breviarum ab urbe condita, 31.

ქოსის გარდაცვალების მახლობელ ხანებში, ანტიკური ავტორების არტოკე მეფობდა საქართველოში პომპეუსის ლაშქრობის დროს (ძვ. წ. 65 წელი). ამ მოვლენის ასახსნელად საყურადღებო ვარიანტი აქვს წარმოდგენილი აკად. გ. მელიქიშვილს. მისი აზრით, „ქართულმა საისტორიო ტრადიციამ არ შემოგვინახა ამ ეპოქის ქართლის მმართველთა სახელები – ხომ არ თვლიდა იგი მათ მმართველობას უკანონოდ?"[1]

ლეონტი მროველის ვერსიით, არშაკის გამეფება ქართლში ადგილობრივ ერისთავთა სურვილით მოხდა. იგი სომხეთის მხარის ინიციატივას საერთოდ არ ახსენებს. ჩვენი აზრით კი, ფარნაჯომის ტახტიდან ჩამოგდებაში გადამწყვეტი როლი არშაკიდებს უნდა შეესრულებინათ. მოვსეს ხორენაცისათვის არშაკის ქართლში გამეფების ფაქტი უცნობია, მაგრამ იბერიის გამგებლის ხელისუფლების დამოკიდებულებას არშაკიდების ნება-სურვილზე ის კარგად ამჩნევს („სომეხთა მეფემ მიჰრდატს მიანდო ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს ზღვის გამგებლობა"). მოვსეს ხორენაცთან მიჰრდატს ხელისუფლება სომხეთის მეფისაგან აქვს გადაცემული.

ქართული და სომხური წყაროების ბუნდოვან გადმოცემებში სინათლე შეაქვს სტრაბონს. იგი წერს, რომ არტაქსიას მემკვიდრეების მეფობაში იბერიის დიდი ნაწილი სომხეთის ბატონობას განიცდიდა.[2]

ლეონტი მროველისა და მოვსეს ხორენაცის არშაკ-არტაშესს ბერძენი ავტორები იცნობენ არტაქსიას სახელით.[3] მისი მოღვაწეობაც გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში აქვთ მოქცეული. ბერძენ ისტორიკოსთა ცნობები მნიშვნელოვნად აკონკრეტებენ ქართველ და სომეხ მემატიანეთა გადმოცემებს.

სომხეთის მეფეთა დაპყრობითი ომები ქართლის საგარეო პოლიტიკას ჩრდილში აქცევდა. ეს ემჩნევა „ქართლის ცხოვრებასაც". ძვ. წ-ის II საუკუნის ამბები ქართულ მატიანეში უფერულად არის აღწერილი. სანამ სომხეთი ძლიერებას ინარჩუნებდა, ფარნავაზიანები არშაკიდებთან ურთიერთობით იფარგლებოდნენ.

ძვ. წ. II საუკუნის ბოლოსათვის შეცვლილი საერთაშორისო მდგომარეობა გავლენას ახდენდა ქართლის საგარეო პოლიტიკაზე. ამ ეპოქის ცენტრალურ მოვლენას პონტოს აღზევება და მისი დაპყრობების ფართო მასშტაბები წარმოადგენდა. ქართული სამყარო ვერ აიცდენდა პონტოს სამეფოს აგრესიას, რომელსაც სათავეში ედგა მითრიდატიდების დინასტიის დიდი წარმომადგენელი მითრიდატე VI ევპატორი. სამწუხა-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I, გვ. 457.
[2] Str. XI. XIV. 5. 15.
[3] Str. XI. XIV. 15. Plut. Luc. XXXI.

როდ, პონტოსთან ურთიერთობა „ქართლის ცხოვრებაში“ ფიქსირებული არ არის და ისეთ დიდ პიროვნებას, როგორიც მითრიდატე ევპატორი იყო, ქართული მატიანე საერთოდ არ იცნობს. მაგრამ ამ ხარკეზს ავსებენ ბერძენი და რომაელი მწერლები. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ, ხშირ შემთხვევაში, ანტიკური ხანის ავტორები ფლობდნენ სანდო ინფორმაციებს. ამას ადასტურებს სტრაბონის ცნობები პონტოსა და კოლხეთის ურთიერთობათა შესახებ.

სტრაბონი წერს: „როცა მითრიდატეს ხელისუფლება მნიშვნელოვნად გაძლიერდა, ქვეყანა (იგულისხმება კოლხეთი) დაემორჩილა მის ბატონობას. მეფე მუდმივად გზავნიდა ვინმეს თავის მეგობართაგან „მოადგილედ“ ან „მმართველად“. ამ მმართველთა რიცხვში იყო მოაფერნი, დედაჩემის ბიძა მამის მხრიდან“.[1] სტრაბონის მტკიცებით, კოლხეთი მითრიდატეს მფლობელობაში შედიოდა ისეთი პოლიტიკური სტატუსით, რომელსაც მმართველი უმაღლესი ხელისუფლების შეხედულებით ენიშნებოდა. მითრიდატეს ადმინისტრაციულ პოლიტიკაში კოლხეთის გამგებელთა ხშირი ცვლა ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა. წყაროებში რამდენიმე პიროვნების სახელია დაცული.

მითრიდატე ევპატორის ბატონობა კოლხეთზე იარაღს ემყარებოდა. როდესაც ეს ძალა წაიფორხილებდა, კოლხები მზად იყვნენ თავისუფლების დასაბრუნებლად. რომთან პირველ ომში (89-84) პონტოს დამარცხებამ მათ იმედი ჩაუსახა და აჯანყდნენ. მითრიდატემ კოლხების დასასჯელად არმია გაგზავნა. პონტოს მეფესთან უიმედო ბრძოლას კოლხებმა მოლაპარაკების გამართვა ამჯობინეს და მოქმედების საკმაოდ ორიგინალური გზაც აირჩიეს. მათ მრისხანე ევპატორის გულის მოგება დიპლომატიური საშუალებებით სცადეს. თუ პონტოს მეფე შეთავაზებულ წინადადებას დათანხმდებოდა, ეს იქნებოდა მძიმე მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი. კოლხმა დიპლომატებმა მიზნად დაისახეს მითრიდატეს უღელქვეშ მცირეოდენი დამოუკიდებლობაც მოეპოვებინათ და ულმობელი დამპყრობელის რისხვაც შეერბილებინათ. აღნიშნული ვარიანტის დადასტურებად მიგვაჩნია აპიანეს გადმოცემა. ისტორიკოსის სიტყვებით: „კოლხები მას შვილს სთხოვდნენ, მითრიდატეს, რათა მიეცა მათთვის მეფედ და (როგორც კი) მიიღეს, მაშინვე დამორჩილდნენ“.[2] ევპატორმა დააკმაყოფილა კოლხების თხოვნა. მაგრამ მითრიდატე უმცროსის მეფობა დიდხანს არ გაგრძელებულა. აპიანე განაგრძობს: „მეფემ იეშვა, რომ ეს (ყოველივე) მოაწყო მისმა შვილმა, რომელსაც მეფობა სურდა, მოაყვანინა იგი, დაადო ოქროს ბორკილები და შემდეგ დიდ-

---

[1] Str. X. II. 18.

[2] App. Mithr. 64.

ხანს არ გაუვლია, რომ მოკლა“.[1] აპიანეს ინფორმაციის საფუძველზე აშკარად ჩანს, რომ კოლხებსა და მითრიდატეს შვილს შორის არსებობდა ფარული შეთანხმება. მისი გამჟღავნება ახალგაზრდა უფლისწულის ტრაგედიის მიზეზი გახდა. მითრიდატე უმცროსის მეფობა კოლხეთს პონტოს კონტროლისაგან არ ათავისუფლებდა, მაგრამ საკუთარი მეფის დამტკიცებით თავს დააღწევდა მმართველთა ხშირ ცვლასა და შემთხვევითი პირების საძარცვავად განწირული ქვეყნის მდგომარეობას. ეს სულისკვეთება ამოძრავებდა საიდუმლო შეთანხმების ინიციატორ კოლხ დიპლომატებს. მაგრამ მითრიდატე ევპატორმა კოლხებსა და თავის ძეს განზრახვის შესრულების საშუალება არ მისცა.

ძვ. წ. I საუკუნის დასაწყისში იბერია დამოუკიდებელი სამეფო იყო, თუმცა მასაც უნდა განეცადა მითრიდატეს ძლიერი რეჟიმის დაწოლა. პონტოს აღზევებას დაემთხვა რომის რესპუბლიკის აღმოსავლური პოლიტიკის გააქტიურება. მის აგრესიას წინ აღუდგა პონტოს მეფე, როგორც აღმოსავლეთზე ბატონობის ძირითადი პრეტენდენტი. პონტოსა და რომს შორის გამართული ხანგრძლივი ომის ტალღამ საქართველოსაც გადაუარა.

ძველი ქართული სამყაროს საგარეო ურთიერთობათა შესახებ შედარებით ვრცელი ინფორმაციები გვაქვს იბერიასა და კოლხეთში რომაელების ლაშქრობის შემდეგ. ქართული წყაროებისათვის ეს მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი უცნობია. აღნიშნული ეპოქის შესახებ მსჯელობა ანტიკური ავტორების აღწერებით ხდება შესაძლებელი.

---

[1] App. Mithr. 64.

III თავი. ქართული პოლიტიკური სამყარო საერთაშორისო არენაზე ძვ. წ. I და ახ. წ. II საუკუნეებში

1. რომის გავლენის დამყარება ამიერკავკასიაში და ქართული პოლიტიკური ერთეულების საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა ძვ. წ. I საუკუნეში

ძვ. წ. 66 წელს ბრძოლა რომსა და პონტოს სამეფოს შორის ახალ ფაზაში შევიდა. რომის კომიციების გადაწყვეტილებით აღმოსავლეთში საგანგებო რწმუნებებით გამოიგზავნა მხედართმთავარი გნეუს პომპეუსი, რომელსაც ლუკულუსი უნდა შეეცვალა. პომპეუსმა დაამარცხა მითრიდატე VI ევპატორი, რომელიც კოლხეთზე გავლით ბოსფორში გაიქცა. შემდეგ რომაელი სარდალი არმენიაში შევიდა, დაიმორჩილა მეფე ტიგრან II და 65 წლის გაზაფხულზე იბერიაში შემოიჭრა.[1]

რომაული ისტორიოგრაფია საქმეს ისე წარმოგვიდგენს, თითქოს პომპეუსი ამიერკავკასიაში მშვიდობიანი მიზნით შემოვიდა და მხოლოდ აქაურ ხელისუფალთა ორპოფულმა მოქმედებამ აიძულა იგი, სამხედრო მოქმედებისათვის მიემართა. რომაელებს ამიერკავკასიაში საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები ჰქონდათ და, ცხადია, პომპეუსი ამ ქვეყნების დამორჩილებას ეცდებოდა, მიუხედავად იმისა, ექნებოდა საამისო მიზეზი თუ არა; ყველა შემთხვევაში იგი საბაბს გამოძებნიდა.[2]

რომაელი ისტორიკოსის, დიონ კასიუს კოკეიანუსის (ახ. წ. II-III სს.) მონათხრობით, იბერიის მეფე არტაგმა[3] სომხეთში მყოფ პომპეუსს ელჩები გაუგზავნა მეგობრობის წინადადებით, თვითონ კი ფარულად თავდასხმისთვის ემზადებოდა, მაგრამ პომპეუსმა გაუგო და შეიჭრა მის ქვეყანაში, სანამ ის მომზადებას მოასწრებდა.[4]

ამ ცნობის თანახმად, ქართლის მეფე ერთგვარ დიპლომატიურ თამაშს ეწევა. ასეთ მოქმედებას იგი შემდეგაც აგრძელებს. მოვლენები შემდეგნაირად ვითარდება: პომპეუსი შემოდის იბერიაში არტაგისთვის

---

1 Н. Ю. Ломоури, К истории Понтийского царства, Тб., 1979, გვ. 95-116, 167-185; Грузино-римские взаимоотношения, Тб., გვ. 99 сл.

2 ს. ჯანაშია, ადრეული ფეოდალიზმი, შრომები, ტ. II, 1952, გვ. 182-185; А. И. Амиранашвили (Болтунова), Иберия и римская экспансия в Азии, ВДИ, 1938, №4(5), გვ. 166.
რომაულ წყაროებში იბერიის მეფის სახელი დამოწმებულია ფორმით „არტოკეს“, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია ფორმა არტაგი, რადგან ეს სახელი გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“.

4 Cassius Dio, XXXVII, I, გვ. 1-3.

ამდენად მოულოდნელად, რომ იგი მომზადებას ვერ ახერხებს, სტრვებს თავისი დედაქალაქის მთავარ ციტადელს, არმაზციხეს, გადადის მტკვრის მარცხენა ნაპირზე და წვავს ხიდს. პომპეუსი იღებს არმაზციხეს, დალაშქრავს მტკვრის მარჯვენა სანაპიროს და ემზადება მდინარის გადალახვისათვის; მაშინ არტაგი მას ელჩებს უგზავნის ზავის თხოვნით, აღადგინოს ხიდი, მიაწოდოს სურსათი; მაგრამ როცა ეს პირობები შესრულდა და პომპეუსი ხიდზე გადავიდა, არტაგმა დაარღვია შეთანხმება და არაგვის ხეობაში გაიქცა; აქ კარგა ხანს გრძელდება ბრძოლა და როდესაც რომაელების უპირატესობა აშკარა გახდა, არტაგმა კვლავ შესთავაზა მოლაპარაკება პომპეუსს და საჩუქრებიც მიართვა, მაგრამ ამჯერად რომაელმა სარდალმა მოითხოვა მძევლად მეფის შვილები; არტაგი დროის მოგებას ცდილობდა და საქმეს აჭიანურებდა, მაგრამ პომპეუსის ახალმა შეტევამ ბოლოს აიძულა, შვილები გაეგზავნა და ზავიც დაედო.[1]

როგორც ვხედავთ, რომაელი ისტორიკოსი ისეთ სურათს ხატავს, რომ თითქოს პომპეუსი ყოველმხრივ ცდილობს მშვიდობიან ურთიერთობას მიაღწიოს, მაგრამ ქართლის მეფის ორეოფული ქცევა მას ამის საშუალებას არ აძლევს. სხვათა შორის, მსგავსი სურათი აქვს დახატული მეორე რომაელ ისტორიკოსსაც, პლუტარქეს (46-120 წწ.) ქართლის მეზობელი აღბანელების წინააღმდეგ იმავე პომპეუსის მოქმედების აღწერისას.[2]

რომაელ ისტორიკოსთა ცნობებს აშკარად ეტყობა ტენდენციურობა, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს საფუძველი, ხელაღებით უარვყოთ ქართლის მეფის გარკვეული დიპლომატიური თამაში, რომელიც დროის გაყვანას და რომთან ურთიერთობაში იბერიისათვის უფრო ხელსაყრელი პირობების მოპოვებას ემსახურება. არტაგს კარგად ესმის თავისი ქვეყნის ინტერესები და ცდილობს დაცვას. სხვა საქმეა, რამდენად ოსტატურად და შედეგიანად ახორციელებს იგი ამ ამოცანას.

ასეა თუ ისე, არტაგმა და პომპეუსმა დადეს ზავი. იბერიასა და რომს შორის ამ ზავით დადებული ხელშეკრულება განეკუთვნებოდა „კავშირის შესახებ ხელშეკრულებათა“ (Feodus socialc) რიგს, რაც გულისხმობს არა მარტო „მშვიდობასა და მეგობრობას“, არამედ აქტიურ ურთიერთდახმარებასაც საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ჩვენ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ამგვარი ხელშეკრულების

Cassius Dio. XXXVII. გვ. 1-2: პომპეუსის შემოკრა იბერიაში აღწერილი აქვთ პლუტარქეს და აპიანე ალექსანდრიელსაც Plutarchus. Pompeius. გვ. 34: Appiani, Historia Romana, გვ. 103). მაგრამ დიონ კასიუსის აღწერა უფრო სრულია და თანმიმდევრული.

Plutarchus. Pompeius. გვ. 34.

ისეთ სახელმწიფოებთან, რომელიც არათანასწორუფლებიან, ცალმხრივ ხელშეკრულებას (Foedera non aequa) წარმოადგენს: რომი სამხედრო დახმარებას აკისრებს თავის მოკავშირეს, თვით კი მის მიმართ არავითარ კონკრეტულ ვალდებულებებს არ იღებს. რომი ამ ტიპის ხელშეკრულებებს ჩვეულებრივ სდებდა დამარცხებულ, მაგრამ არა დაპყრობილ ხალხებთან და სახელმწიფოებთან.[1]

ამრიგად, ქართლი, სომხეთის, ალბანეთისა და წინა აზიის სხვა ქვეყნების მსგავსად, იქცა „რომაელი ხალხის მეგობრად და მოკავშირედ". ეს კი არსებითად რომისაგან ვასალურ დამოკიდებულებას ნიშნავდა, რაც ყველა ქვეყნისათვის ერთნაირი არ იყო. ჩვენთვის საინტერესო რეგიონში, მაგალითად, სომხეთი ყველაზე მეტად დაზარალდა რომაელთა აღმოსავლეთში ლაშქრობათა შედეგად: ტიგრან II-ის მიერ შექმნილი ვრცელი იმპერია დაიშალა, არმენიამ დაკარგა ყველა მის მიერ დაპყრობილი ოლქი და ამიერიდან კარგა ხნით იქცა მეორეხარისხოვან, რომსა და პართიას შორის ე. წ. „ბუფერულ სამეფოდ", რომელიც ამ ორი დიდი სახელმწიფოს ურთიერთბრძოლის ასპარეზს წარმოადგენდა.[2]

რაც შეეხება ქართლს, რომაელთა შემოსვლა ამიერკავკასიაში მისთვის ობიექტურად სასარგებლოც კი აღმოჩნდა: ძლიერი მეზობლების — პონტოს სამეფოს და დიდი არმენიის — დაცემამ იბერიას ახალი პერსპექტივა გაუხსნა და თანდათან მის გაძლიერებას შეუწყო ხელი. ამას გარდა, როგორც შემდგომი მოვლენებიდან ჩანს, იბერიის მეფეები ახერხებდნენ, თავი აერიდებინათ ვასალური მოვალეობების შესრულებისათვის, ოსტატურად იყენებდნენ რომისა და პართიის ჭიშპობას, ძირითადად ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას და მხოლოდ ფორმალურად სცნობდნენ თავს „რომაელი ხალხის მეგობრად და მოკავშირედ".[3]

პომპეუსის ლაშქრობის შემდეგ რომაული სამხედრო ძალის შემოსვლა იბერიაში მხოლოდ ძვ. წ. 36 წელს აღინიშნება, რაც დაკავშირებული იყო რომსა და პართიას შორის ბრძოლის პერიპეტიებთან.

როგორც ცნობილია, ძვ. წ. 53 წელს რომაელი მხედართმთავარი მარკუს კრასუსი, ე. წ. პირველი ტრიუმვირატის წევრი, დიდი არმიით დაიძრა პართიის წინააღმდეგ; მის მოკავშირეთა შორის იყო არმენიის მეფე არტავაზდი, ძე ტიგრან II-ისა (56-34 წ.წ.). კრასუსმა მესოპოტამიაში, ჯერ ქ. კარასთან, შემდეგ კი ქ. ზეგმასთან პართიელთაგან გამა-

---

1 Л. Алексидзе, К вопросу о международно-правовых отношениях Иберии (Картли) с Римом. - Труды ТГУ, т. 65, 1957, გვ. 161-179.

2 Я. А. Манандян, Тигран II и Рим, Ереван, 1943, გვ. 112-115.

3 N. C. Debevois, A Political History of Parthia, Chicago-Illinois, 1938, გვ. 78-92; Н. Ю. Ломоури, Римско-грузинские взаимоотношения, გვ. 112-115.

ნადგურებელი დამარცხება იწვნია და თვითონაც დაიღუპა. მრავალი ლეგიონერი ტყვედ ჩავარდა, პართელთა ხელში აღმოჩნდა რომაელთა საბრძოლო დროშები და ლეგიონთა ნიშნები.[1]

რომაელთა პირველივე წარუმატებლობის შემდეგ მათი ზოგიერთი მოკავშირე, მათ შორის არმენიის მეფე არტავაზდიც, პართელთა მხარეზე გადავიდა. სომხეთის მეფემ დაინახა, რომ სამხედრო-პოლიტიკური კონიუნქტურა რომის საწინააღმდეგოდ ჩამოყალიბდა, დაუყოვნებლივ უარი თქვა თავის ვასალურ ვალდებულებათა შესრულებაზე და პართიის მეფეს მიემხრო, თუმცა პართია სომხეთის ძველთაძველი მტერი იყო.[2]

არ ვიცით, რა პოზიცია ეჭირა იბერიის ხელისუფლებას კრასუსის პართიაში ლაშქრობისა და მარცხის პერიოდში. არის ერთადერთი ცნობა, რომელიც V საუკუნის სომეხ ისტორიკოსს მოვსეს ხორენაცის ეკუთვნის და რომლის თანახმად არტავაზდთან ერთად რომაელებს ებრძოდნენ ალბანელები და ქართველები.[3] შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კრასუსის განადგურების შემდეგ პართიას, სომხეთთან ერთად, იბერები და ალბანელებიც მიემხრნენ.[4]

პართიასა და რომს შორის შემდგომი შეჯახება უკვე ძვ. წ. 30-იან წლებში მოხდა. ძვ. წ. 44 წელს რომში იულიუს კეისრის მოკვლის შემდეგ ხელისუფლება გადავიდა ე. წ. მეორე ტრიუმვირატის — იქტავიანეს, მარკუს ანტონიუსისა და ლეპიდუსის ხელში. აღმოსავლეთის პროვინციები სამართავად მიეკუთვნა ანტონიუსს და მასვე მოუხდა პართიასთან ურთიერთობების გადაწყვეტა, კერძოდ — რომის პროვინცია სირიიდან აქ შემოჭრილი პართიელების განდევნა, რაც მან ძვ. წ. 37 წელს კიდეც განახორციელა.[5]

ძვ. წ. 36 წელს ანტონიუსმა ჯარები დაძრა პართიის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ანტონიუსის არმიაში წყაროები სომხეთის მეფის არტავაზდის საკმაოდ მოზრდილ რაზმსაც ასახელებენ.[6] როგორც ჩანს, არტავაზდმა კვლავ შეიცვალა ორიენტაცია და შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ამჯერად რომაელთა მხარეს აღმოჩნდა. მაგრამ ჩანს, რომ იბერია და ალბანეთი ასე არ მოქცეულან და ანტონიუსს მოუხდა

---

1 А. Г. Бокщанин, Парфия и Рим, ч. II, М., 1966, გვ. 50.

2 იქვე. გვ. 59-61.
მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველსომხურიდან თარგმნა... ა. აბდალაძემ. 1984. გვ. 119.
Очерки истории СССР. Первобытнообщинный строй и древнейшие государства. М., 1966, გვ. 458.
А. Г. Бокщанин, Парфия и Рим, გვ. 78-101.
Plutarchus, Antonius, გვ. 37; Florus. II, გვ. 20; Justinus, XIII, გვ. 5, 3.

ᲗᲐᲗ წინააღმდეგ საგანგებო ზომების მიღება. დიონ კასიუსის მოკლე და ფრაგმენტული ცნობით, კონსულების — გელიუსისა და ნერვას — მმართველობის წელს „პუბლიუს კანიდიუს კრასუსმა გაილაშქრა კავკასიელი იბერების წინააღმდეგ, დაამარცხა ბრძოლაში მათი მეფე ფარნაბაზე, გაიხადა იგი მოკავშირედ. შემდეგ შეიჭრა ალბანეთში, დაამარცხა ალბანელები, მათი მეფე ზობერი და მასაც მსგავსადვე მოექცა“.[1] კანიდიუს კრასუსის ლაშქრობას იბერიაში აღნიშნავს სტრაბონიც.[2]

აქ დასახელებული ლუციუს გელიუს პუბლიკოლა და მარკუს კოკეიუს ნერვა ძვ. წ. 36 წელს კონსულები არიან, ხოლო პუბლიუს კანიდიუს კრასუსი მარკუს ანტონიუსის ერთ-ერთი სარდალია. ამდენად, უეჭველია, რომ საქმე გვაქვს ღონისძიებასთან, რომელიც წინ უსწრებდა ანტონიუსის პართიაში ლაშქრობას. თუ მართალია მოვსეს ხორენაცი და არტავაზდთან ერთად რომაელებს ძვ. წ. 53 წლის მომდევნო ხანებში იბერები და ალბანელებიც განუდგნენ, მაშინ გასაგებია, რომ პართიაში ლაშქრობის წინ საჭირო გახდა მათი დამორჩილება. ამასთან, როგორც ჩანს, არტავაზდის 37-36 წლებში რომაელებთან ძალით თუ ნებით შერიგება სულაც არ იყო სავალდებულო ქართლისა და ალბანეთის ხელისუფალთათვის, ისინი დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და მათ წინააღმდეგ საჭირო გახდა დამატებითი ღონისძიებების გატარება.

საყურადღებოა, რომ დიონ კასიუსი აღნიშნავს: იბერიის მეფე ფარნავაზის დამარცხების შემდეგ, კრასუსმა იგი „გაიხადა მოკავშირედ“ და ასევე მოექცა ალბანიის მეფე ზობერსაც, ე. ი. ისიც „მოკავშირედ გაიხადა“. ამრიგად, კრასუსის ლაშქრობის მიზანი იყო იმ ვითარების აღდგენა, რომელიც პომპეუსის შემდეგ დამყარდა.

მაშასადამე, იბერები, ისევე როგორც ალბანელები, პომპეუსთან დადებულ შეთანხმებას „მეგობრობისა და კავშირის“ შესახებ მაინცა და მაინც არ იცავდნენ და, პირიქით, ამ ეტაპზე ერთგვარ ანტირომაულ ტენდენციებსაც ამჟღავნებდნენ.

ანტონიუსის ლაშქრობა პართიაში წარმატებით დაიწყო, მაგრამ შემდეგ სიძნელეები წარმოიშვა და მარცხს მარცხი მოჰყვა. საბოლოოდ ეს ლაშქრობა კრახით დამთავრდა. ამაში გარკვეული წილი მიუძღვის სომხეთის მეფეს, რომელმაც შუა ლაშქრობის დროს თავისი ჯარი სამშობლოში გააბრუნა, მაშასადამე, რომაელებს უღალატა.[3] ცხადია, რომ არტავაზდი საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა და რომაელთა პირველივე წარუმატებლობა გამოიყენა. იგი ლაშქრობაში

---

1 Cassius Dio. XLIX. 24. 1.

2 Strabo. XI. 3. 5.

ანტონიუსის ლაშქრობათა შესახებ იხ. А. Г. Бокщанин, Парфия и Рим, გვ. 110-117.

იძულებით მონაწილეობდა და ანტონიუსის გამარჯვება, აღმოსავლეთში რომაელების საბოლოოდ და მყარად დამკვიდრება, სომხეთს (და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებსაც) სულაც არ აწყობდა.[1]

ანტონიუსმა პართიაში თავისი დამარცხების მთავარ მიზეზად არტავაზდის მოქმედება მიიჩნია, ძვ. წ. 34 წელს სომხეთში შეიჭრა, სასტიკად დაარბია, არტავაზდი შეიპყრო, ეგვიპტეში გაგზავნა და შემდეგ იქ სიკვდილით დასაჯა.[2]

სომხეთის საკითხის ასეთმა კარდინალურმა გადაწყვეტამ სულ სხვა შეღეგი გამოიღო, ვიდრე ამას ანტონიუსი ითვალისწინებდა. მართალია, არმენია რომის პროვინციად გამოცხადდა, რასაც თითქოს აქ რომაელთა საბოლოო დამკვიდრება უნდა მოჰყოლოდა, სინამდვილეში ანტონიუსის მოქმედებამ სომხეთში ანტირომაულ განწყობილებათა ესკალაცია და რომის საწინააღმდეგოდ მოძრაობის აქტივიზაცია გამოიწვია. ამის შემდეგ რომს სომხეთის საკითხის ხელახლა გადაწყვეტა უხდება, თანაც არაერთგზის, რასაც თავის სასარგებლოდ ყოველთვის ვერ ახერხებს. არმენიის ანტირომაული ძალების ბუნებრივ მოკავშირედ იქცევა პართია, ამდენად, აქ ხდება მისი პოზიციების განმტკიცება, რამაც კიდევ უფრო გაართულა რომის პოლიტიკური გავლენის დამკვიდრება სომხეთში.

ანტონიუსის პოლიტიკამ სომხეთში ქართლის ვითარებაც გააძნელა. რომის პოზიციები ქართლში იმთავითვე არ იყო იმდენად მტკიცე, რომ აქ ძლიერი ანტირომაული და პროპართიული პოლიტიკური დაჯგუფება შექმნილიყო, ხოლო პართიის მომხრე ძალების გაძლიერება და მისი პოზიციების განმტკიცება სომხეთში იბერიისათვის საშიში ხდებოდა, ამიტომ აქაური მმართველი წრეები სულ უფრო გარკვევით იღებენ ორიენტაციას რომზე: ახლო დამეზობლებული პართია იბერიისათვის უფრო საშიში იყო, ვიდრე შორეული რომი. შემდგომ ხანებში იბერიის ხელისუფალნი საკმაოდ აქტიურად ეხმარებიან რომს ამიერკავკასიაში პართიის გავლენის დამკვიდრების წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა აქაც ყოველთვის არ იჩენენ დიდ ერთგულებას და თანამიმდევრულობას; ისინი ცდილობენ, პართია-რომის დაპირისპირება საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენონ.

---

1 Н. Ю. Ломоури. Грузино-римские взаимоотношения. გვ. 231-232.

2 Plutarchus. Antonius. 52; Tacitus. Annales. II. 3; Cassius Dio. XLIX; მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. გვ. 119-120.

* * *

სხვაგვარად განვითარდა ამ დროს მოვლენები დასავლეთ საქართველოში. ძვ. წ. 65 წლის ზაფხულში, არტაგთან ზავის დადების შემდეგ, სურამის (რიკოთის) უღელტეხილით პომპეუსი კოლხეთში გადავიდა, სადაც მითრიდატე VI ეგულებოდა, მაგრამ ამ დროისათვის იგი კარგა ხანია ბოსფორის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. კოლხეთში პომპეუსს წინააღმდეგობა არ შეხვედრია. დიონ კასიუსის ცნობით, კოლხეთში პომპეუსი მოქმედებდა „ხან დარწმუნებით, ხან დაშინებით".[1] პომპეუსი ქ. ფაზისამდე მივიდა, სადაც მას დახვდა პუბლიუს სერვილიუსი ფლოტით, რომელიც შავი ზღვის სანაპიროებს აკონტროლებდა. მითრიდატეს ღევნა პომპეუსმა მიზანშეუწონლად ჩათვალა, დატოვა კოლხეთის მმართველად არისტარქე და სომხეთზე გავლით ალბანელთა წინააღმდეგ გაემართა, რამდენადაც მათ ურჩობის გამოჩენა დაიწყეს.[2]

აპიანე ალექსანდრიელის ცნობით, პომპეუსმა დანიშნა „კოლხთა დინასტად არისტარქე".[3] როგორც ვარაუდობენ, არისტარქე ადგილობრივი დიდკაცობის წარმომადგენელი იყო, შესაძლოა, კოლხეთის ერთ-ერთი სკეპტუხოსი, რომელიც პომპეუსს თავიდანვე მიემხრო.[4] როგორც ცნობილია, წინა აზიის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის დროს, პომპეუსი აქაური ქვეყნების მმართველებად სწორედ ადგილობრივი დიდკაცობის წარმომადგენლებს ნიშნავდა.[5] მართალია, ზოგი რომაელი ისტორიკოსი (ევტროპიუსი, ფესტუსი) არისტარქეს მეფედ მოიხსენიებს, მაგრამ ეს არაფრით დასტურდება, შით უფრო, რომ ჩვენამდე მოღწეულია არისტარქეს მიერ მოჭრილი მონეტა, რომელზედაც ის კოლხეთის მმართველად და არა მეფედ მოიხსენება.[6]

როგორი იყო არისტარქეს რეალური ძალაუფლება და რა ძალებს ეყრდნობოდა იგი, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ, საერთო სიტუაციის გათვალისწინებით, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ მისი ხელისუფლება რომის მხარდაჭერას ეყრდნობოდა და, ფორმალურად მაინც, იგი რომის ვასალად ითვლებოდა. მაგრამ პომპეუსის აღმოსავლეთიდან წასვლის

---

1 Cassius Dio. XXXVII. 3. 2.

2 Cassius Dio. XXXVII, 3. 3-4; Appiani. Historia Romana. 114.

3 Appiani. Historia Romana, გვ. 114.

4 Th. Reinach. Mithridates Eupator roi du Pant. Paris. 1890. გვ. 407; D. Magie. Roman Rule in Asia Minor, Princeton. 1950, გვ. 374; Г. А. Лордкипанидзе. Некоторые вопросы истории Колхиды II-I вв. 90 до н. э. – „ვაცნე". 1965, №2, გვ. 129.
А. Б. Ранович, Восточные провинции Римской империи. М.-Л., 1949, გვ. 11.
Г Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии. Тб., 1987, გვ. 131-133; თ. ყაუხჩიშვილი. აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია, 1959, გვ. 30.

შემდეგ, რომში პირველი ტრიუმვირატის მართვის, და განსაკუთრებით პომპეუსსა და კეისარს შორის დაწყებული ომის პირობებში არისტარქეს რომზე დამოკიდებულება უნდა შესუსტებულიყო, მას მეტი დამოუკიდებლობა უნდა მოეპოვებინა და, შესაძლოა, სწორედ ამით აიხსნება, რომ ის საკუთარ მონეტასაც უშვებს.[1]

ძვ. წ. 48 წლამდე ჩვენ არაფერი ვიცით კოლხეთის შესახებ. ამ წელს კი იგი ჩართული აღმოჩნდა მნიშვნელოვან მოვლენებში. ძვ. წ. 49 წელს დაიწყო სამოქალაქო ომი რომში პომპეუსსა და კეისარს შორის. პომპეუსი დამარცხდა და ეგვიპტეში გაიქცა, მაგრამ აქ იგი მოკლეს და მის ფეხდაფეხ ჩამოსულ იულიუს კეისარს მისი მოკვეთილი თავი დაახვედრეს. ეგვიპტეში კეისარი ჩაერია აქ მიმდინარე ბრძოლაში პტოლემაიოს დიონისესა და მის დას — კლეოპატრას შორის; რთულ ვითარებაში აღმოჩნდა, მაგრამ ბოლოს სძლია პტოლემაიოსის პარტიას და ტახტზე კლეოპატრა აიყვანა. აქ, ალექსანდრიაში მყოფ კეისარს ცნობა მოუვიდა აზიაში ახალი გართულების, კერძოდ, მცირე აზიაში ბოსფორის მეფის, ფარნაკის შემოქრის შესახებ.

როგორც ცნობილია, 63 წელს ბოსფორში მითრიდატე VI-ის დაღუპვის შემდეგ, პომპეუსმა მისი ვაჟი ფარნაკი მხოლოდ ბოსფორის მეფედ დაამტკიცა, ყოფილი პონტოს სამეფოს ძირითადი ტერიტორია კი სხვადასხვა დინასტებს გაუნაწილა. კეისარსა და პომპეუსს შორის ბრძოლის შედეგად რომში შექმნილი ვითარება ფარნაკმა ხელსაყრელად მიიჩნია თავისი სამფლობელოების გაფართოებისათვის. დიონ კასიუსის ცნობით, „მან ადვილად ჩაიგდო ხელთ მთელი კოლხეთი და მთელი არმენია დეიოტარეს აქ არყოფნისას და დაიმორჩილა კაპადოკიის ნაწილი და ზოგიერთი ქალაქი, რომელიც ბითვინიის ოლქთან იყო შეერთებული“.[2] კეისრის მიერ ფარნაკის წინააღმდეგ გაგზავნილი მხედართმთავარი დამარცხდა და ბოლოს მასთან საბრძოლველად თვით კეისარი გაეშურა. 47 წლის 2. VIII ქ. ზელასთან ბრძოლაში ფარნაკი სასტიკად დამარცხდა და ბოსფორში გაიქცა.[3] მაგრამ იქ მისულს ტახტი მისი მხედართმთავრის, ასანდრეს მიერ დახვდა მიტაცებული. ფარნაკი დაიღუპა უზურპატორთან ბრძოლაში. კეისარმა ბოსფორს გაქცეულ ფარნაკს თავისი ერთ-ერთი სარდალი, მითრიდატე პერგამონელი დაადევნა და მასვე დაავალა ბოსფორის მართვა, მაგრამ ისიც

---

[1] J. K. Jenkins. Recent Acquisitions of Greek Coins by the British Museum. - Numismatic Chronicle. 1959. ser. VI. t. XIX. გვ 32; Г. А. Лорткипанидзе, Некоторые вопросы истории Колхиды..., გვ. 130

Cassius Dio. XLII. 45. 1-3.

[3] ეს ის ბრძოლაა, რომლის შესახებ კეისარმა სენატს სამი სიტყვა შეატყობინა: "veni, vidi, vici" „მოვედი, ვნახე, გავიმარჯვე“ (Suetonius. 3. 72).

ასანდრესთან ბრძოლაში დაიღუპა და ბოსფორი ამ უკანასკნელს დარჩა.[1]

ჩვენთვის ეს მოვლენები იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც მათში კოლხეთი აღმოჩნდა ჩართული. როგორც ითქვა, ფარნაკმა მამისეული სამფლობელოს აღდგენის პროცესში პირველ რიგში კოლხეთი დაიკავა. ჩვენ არ ვიცით, დარჩა თუ არა ამ დრომდე კოლხეთის მმართველად არისტარქე, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ 48 წელს ფარნაკის შემოჭრამ ბოლო მოუღო არისტარქეს მმართველობას. ამ მოვლენებზე გვაქვს კიდევ ერთი ცნობა, რომელიც სტრაბონს ეკუთვნის. მასში აღწერილია კოლხეთის ტერიტორიაზე მდებარე ქალღმერთ ლევკოთეას სამლოცველო, რომელიც, სტრაბონის .თქმით, ოდესღაც მდიდარი ყოფილა, მაგრამ შემდეგ „ფარნაკის მიერ და, ცოტა მოგვიანებით, მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცული. როდესაც ქვეყანა დაუძლურდა, „ღმერთთა კუთვნილიც სუსტდება და აღარ უნდათ მისი პატივისცემა“ — ამბობს ევრიპიდე“.[2]

კონტექსტი აშკარად მიუთითებს ქვეყნის აოხრებაზე და პირდაპირი აღნიშვნა ლევკოთეას სამლოცველოს გაძარცვისა ეჭვს არ იწვევს, რომ ფარნაკს კოლხეთი მშვიდობიანად არ დაუკავებია. უნდა ვიფიქროთ, ფარნაკს აქ რომის მომხრე ხელისუფლება (შესაძლოა თვით არისტარქე) დახვდა და მას ძალის გამოყენება მოუხდა.

ამ მხრივ საინტერესო მონაცემებს იძლევა ვანის ცნობილი ნაქალაქარის გათხრები. როგორც გაირკვა, ძვ. წ. VI-I საუკუნეებში აქ არსებული ქალაქი ძვ. წ. I საუკუნის შუა წლებში ორჯერ იქნა დანგრეული, თანაც პირველსა და მეორე ნგრევას შორის გავიდა ძალზე ცოტა დრო.[3] ეს კარგად შეეფარდება სწორედ აღწერილ მოვლენებს: პირველად ქალაქი ფარნაკმა აიღო და ააოხრა, ისევე როგორც ლევკოთეას ტაძარი და, შესაძლოა, კოლხეთის სხვა პუნქტებიც. ვერ მოასწრეს დანგრეული კედლების აღდგენა და ახლა მითრიდატე პერგამონელმა აიღო და დაანგრია ის; ამის შემდეგ ეს ქალაქი ვეღარც აღდგა.[4]

ამრიგად, ძვ. წ. 48-47 წლებში კოლხეთი ორგზის იქნა აოხრებული. სამწუხაროდ, წყაროებში ეს მოვლენები ძალზე მოკლედაა ასახული და ჩვენ ზოგჯერ იძულებული ვართ, მხოლოდ ვარაუდით დავკმაყოფილდეთ. როდესაც ფარნაკი კოლხეთში შემოვიდა, გასაგებია, რომ მას წინააღმდეგობა გაუწია არისტარქემ ან მისმა მომდევნო მმართველმა, რო-

---

1 Е. С. Голубцова, Северное Причерноморье и Рим на рубеже нашей эры, М., 1952, გვ. 56-64.

2 Strabo, XI, 2, 17.

3 ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, „ვანი I“, თბ., 1972, გვ. 42.

4 Н. Ю. Ломоури, Грузино-римские взаимоотношения, გვ. 123-124.

მელიც რომის მიერ იქნებოდა დანიშნული და, ამდენად, პრორომაული ორიენტაციისა, მაგრამ ვის უნდა გაეწია წინააღმდეგობა მითრიდატე პერგამონელისათვის და რა უნდა ყოფილიყო მიზეზი, რამაც ლევკოთეას სამლოცველოსა და ქ. სურიუმის (ვანის ძველი სახელწოდება) აოხრებისაკენ უბიძგა? თვით ფარნაკი ბოსფორში ზღვით გაიქცა,[1] მაგრამ არაა გამორიცხული, რომ კოლხეთის ქალაქებში მან თავისი გარნიზონები დატოვა. ამის გარდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ კოლხეთში იყო ანტირომაულად განწყობილი ძალები, რომლებმაც, ფარნაკის მიერ კოლხეთის დაპყრობის შემდეგ თავი წამოყვეს და ცდილობდნენ, წინ აღდგომოდნენ რომის ახალ წარმომადგენელს – მითრიდატე პერგამონელს. საერთოდ, როგორც ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებში, კოლხეთშიც სავარაუდოა პრორომაულთან ერთად ანტირომაული პოლიტიკური დაჯგუფებების არსებობა მმართველ წრეებში.

შემდგომი მოვლენების შესახებაც წყაროები ფაქტობრივად დუმან. ცნობილია მხოლოდ, რომ, როდესაც ანტონიუსის ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა აზიაში პომპეუსის მიერ შემოღებული მმართველობის სისტემა და აღდგა ან თავიდან შეიქმნა რომზე დამოკიდებული სამეფოები, კოლხეთის უშუალო მეზობლად ჩამოყალიბდა პონტოს სამეფო, რომლის მეფედ ანტონიუსმა ვინმე პოლემონ ლაოდიკიელი დააყენა.[2] სტრაბონის ცნობით, „ბოლოს და ბოლოს კოლხეთს დაეუფლა პოლემონი“.[3] ამრიგად, ძვ. წ. 40 წლის ახლო ხანებში კოლხეთი შევიდა რომის ვასალურ პონტოს (ე. წ. „პოლემონის პონტოს“) შემადგენლობაში და ამის შემდეგ კარგა ხანს მასთან იყო გაერთიანებული. რომზე ვასალური დამოკიდებულება ამ სამეფოს მეშვეობით ხორციელდებოდა.[4]

2. იბერია და კოლხეთი ახ. წ. I-II საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობებში

ქართულ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის დახასიათებისათვის ახ. წ. პირველ საუკუნეებში საჭიროა იმდროინდელი საერთაშორისო ვითარების გათვალისწინება. ძვ. წ. I საუკუნის ბოლოსათვის რომის

Appiani. Historia Romana. 120.

Cassius Dio. XLIX. 25; М. И. Максимова, Античные города Юго-восточного Причерноморья. М.-Л., 1956, გვ. 364.

Strabo. XI. 2. 18.

ამ მოვლენებზე დაწვრილებით იხ. Н. Ю. Ломоури, Грузино-римские взаимоотношения, გვ. 125-127; თ. დუნდუა, კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, თბ., 1993, გვ. 102-116.

რესპუბლიკური წყობილების კრიზისი დასრულდა ე. წ. პრინციპატის, ე. ი. არსებითად იმპერიის, ჩამოყალიბებით. გაიუს ოქტავიანემ, რომელ-საც ძვ. წ. 27 წელს „ავგუსტუსის" („ღვთივ განდიდებულის") წოდება მიენიჭა, თავის ხელში გააერთიანა ყველა უმაღლესი მაგისტრატურა და ფაქტობრივად რომის სახელმწიფოს ერთპიროვნული გამგებელი გახდა. რამდენადაც სამოქალაქო ომების პროცესში დიდ ძალად იქცა არმია, რომელიც ცენტრალური ხელისუფლებისათვის საშიში გახდა, ოქტავია-ნე-ავგუსტუსმა გაანახევრა მისი რაოდენობა, 25 ლეგიონამდე შეამცირა იგი და საზღვრისპირა პროვინციებში განალაგა. იტალიაში მხოლოდ პრეტორიანული გვარდიის კოჰორტები დარჩა.

მნიშვნელოვნად შეიცვალა არმიის შემადგენლობაც: თუ წინათ რომაული არმია მოქალაქეთაგან, ე. ი. სახელმწიფოს ძლიერებაში უშუალოდ დაინტერესებულ პირთაგან კომპლექტდებოდა, ახლა მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარებამ მნიშვნელოვნად შეამცირა წვრილ მიწათმფლობელთა რაოდენობა, ე. ი. სწორედ ის ძალა, რომელიც რომაულ ლეგიონერთა ძირითად კონტინგენტს შეადგენდა. რომის არმიაში იზრდება პროვინციალების რიცხვი; იქმნება მუდმივი, რეგულარული არმია, რომელიც სახელმწიფოს ხარჯზე არსებობს და ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენად იქცევა, მაგრამ შემცირებული და სახეშეცვლილი არმია უკვე ვეღარ უზრუნველყოფდა აქტიური, დაპყრობითი საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე უარის თქმას აპირობებდა სახელმწიფოს დასუსტება ხანგრძლივი სამოქალაქო ომებით, სოციალური ბრძოლებით და მონათა აჯანყებებით. სწორედ ამით აიხსნება, რომ ავგუსტუსის საგარეო პოლიტიკის ოფიციალური კურსი იყო მშვიდობის დაცვა რომის იმპერიის ყველა საზღვარზე ("Pax Augusta"), მაგრამ რეალურად იგი ამ პროგრამას ვერ იცავდა, რადგან რომი სულაც არ ამბობდა უარს მსოფლიო ბატონობაზე, კერძოდ, დასავლეთის და ჩრდილოეთის მიმართულებით — პირენეის ნახევარკუნძულზე, რაინისპირეთში, დუნაისპირა ოლქებში და ბალკანეთზე — ავგუსტუსი საკმაოდ აქტიურად მოქმედებს, თუმცა აქ მის წარმატებებს მარცხიც ენაცვლება.[1]

სხვა ვითარებაა აღმოსავლეთის ფრონტზე, სადაც ავგუსტუსმა თავიდანვე უარი თქვა აგრესიულ მოქმედებაზე; ამ მიმართულებით იგი გაცილებით ფრთხილად იქცევა და რომის გავლენის დიპლომატიური

---

1 Н. А. Машкин. Принципат Августа, М.-Л., 1949, გვ. 431-446, 511-512; Т. Моммзен. История Рима, т. V, М., 1949, გვ. 32 сл.; V. Gardthausen. Augustus und seine Zeit. Leipzig. 1891. I. 1. გვ. 614; I. 2. გვ. 1170-1231; The Cambridge Ancient History. v. X. 1963. გვ. 208-238.

გზით დამკვიდრებით კმაყოფილდება. სწორედ ამით აიხსნება, რომ აღმოსავლეთში რომს ჰყავდა სირიაში განლაგებული სულ ოთხი ლეგიონი, რომელთაც ზურგს პროვინციაში შეკრებილი რაზმები და რომზე დამოკიდებულ მეფეთა დაცვითი კონტინგენტები უმაგრებდნენ.[1]

დასავლეთსა და ჩრდილოეთში რომს საქმე ჰქონდა ერთმანეთისაგან გათიშულ, განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომ ტომებთან, აღმოსავლეთში კი მისი მოქიშპე იყო ძლიერი პართიის სახელმწიფო, რომელიც, მიუხედავად შინაგანი არასტაბილურობისა, მაინც სერიოზულ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა, და რომელსაც მძლავრი არმია გააჩნდა. ამ უკანასკნელმა თავისი შესაძლებლობები გამოამჟღავნა კრასუსისა და ანტონიუსის წინააღმდეგ ომებში.

ამას გარდა, აზიაში რომს საქმე ჰქონდა არა ტომთა არამყარ გაერთიანებებთან, არამედ საკუთარი სახელმწიფოებრიობის საკმაოდ ძველი ტრადიციების სამეფოებთან, რომლებიც ძნელად ურიგდებოდნენ დამოუკიდებლობის, თუნდაც მოჩვენებითის და ფორმალურის, დაკარგვას და რომის უშუალო ბატონობის დამკვიდრებას. ამის თვალნათელ მაგალითს წარმოადგენდა არმენია, სადაც ანტონიუსის ბეცმა პოლიტიკამ გამოიწვია ანტირომაული მოძრაობის ესკალაცია და პართიის პოზიციების განმტკიცება.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გავლენით ოქტივიანე-ავგუსტუსის აღმოსავლური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები ასე ჩამოყალიბდა: იგი მხარს უჭერს მცირე სამეფოთა მმართველობას, ამ გზით ამკვიდრებს აქ რომაულ გავლენას და ანიჭებს ამ სამეფოებს თავისებური „ბუფერის“ როლს რომსა და პართიას შორის, ხოლო პართიასთან ურთიერთობას ძირითადად დიპლომატიური გზით არეგულირებს მასში ხშირი შინაგანი არეულობების შეტანით.[2]

პართიასა და რომს შორის ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს კვლავ არმენია ასრულებს! ავგუსტუსი ეცადა, აქ თავისი გავლენა დამკვიდრებინა პართიაში დაწყებული არეულობის გამოყენებით ერთგვარ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ საბოლოოდ იძულებული შეიქნა, სომხეთზე უარი ეთქვა და აქ პართიული გავლენა დამყარდა.[3]

რამდენადაც ამ პერიოდში პართიასა და რომს შორის ურთიერთქიშპობაში დიდი როლი სომხეთს ენიჭებოდა, გაიზარდა მისი მეზობლე-

---

А. Г. Бокщанин, Парфия и Рим, ч. II, გვ. 151-152.

იქვე: И. А. Машкин, Принципат Августа, გვ. 522.

Т. Моммзен, История Рима, т. V, გვ. 360; А. Г. Бокщанин, Парфия и Рим, გვ. 157-164; A. Gutschmid, Geschichte Irans und seiner Nachbarländer, Tübingen, 1889, გვ. 103.

ბის — კოლხეთის, იბერიისა და ალბანეთის მნიშვნელობაც და ესენიც ჩართული აღმოჩნდნენ საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობაში.

იბერიასა და რომს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ავგუსტუსის ხანაში ჩვენ მოგვეპოვება მხოლოდ მოკლე ცნობა ე. წ. „ანკირიის მონუმენტში", ანუ "Res gestae"-ში — ავგუსტუსის საქმეთა ოფიციალურ ნუსხაში, რომელიც ქ. ანკირაში (დღევ. ანკარა) აღმოჩნდა. ამ ძეგლში ნათქვამია: „ჩვენს მეგობრობას ითხოვდნენ ელჩების მეშვეობით ბასტარნები, სკვითები, მდინარე ტანაისის აქეთ და მის გადაღმა მოსახლე სარმატთა მეფეები, აგრეთვე ალბანთა, იბერთა და მიდიელთა მეფეები".[1]

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, იბერებს და ალბანელებს რატომღაც დასჭირდათ ავგუსტუსის დროს კვლავ დაედასტურებინათ ჯერ კიდევ პომპეუსის დროს დადებული და კანიდიუს კრასუსის დროს განახლებული ხელშეკრულება რომთა „მეგობრობისა და მოკავშირეობის" შესახებ; თანაც ამის თაობაზე მათ უთხოვიათ „ელჩების მეშვეობით".

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ურთიერთობის ხელახალი დადასტურება და მისი ფიქსირება "Res gestae"-ში განაპირობა ორივე მხარის — იბერიისა და რომის — ინტერესთა დამთხვევამ. რომს პართიასთან ქიშპობის პირობებში და განსაკუთრებით არმენიაზე გავლენის განხორციელებისათვის სჭირდება იბერიის თანადგომისა და მოკავშირეობის შენარჩუნება. ამასთან, რომისათვის იბერიას დამატებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან იგი აკონტროლებდა ჩრდილოეთი კავკასიის ზეკარებს, პირველ რიგში, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანს — დარიალის ანუ კავკასიის კარს. ამ ზეკარების მეშვეობით იბერიის მეფეებს საშუალება ეძლეოდათ, ჩრდილოეთი კავკასიის მომთაბარეები გადმოეყვანათ მაშველი რაზმების სახით, ან, პირიქით, არ გადმოეშვათ ისინი ამიერკავკასიაში.[2]

მეორე მხრივ, იბერიისათვისაც რომი სასურველი მოკავშირე გახდა. ახლა, როდესაც სომხეთში პართიამ მოიკიდა ფეხი, ასეთი მეზობლობა მას არ აწყობდა. საქმე ისაა, რომ იბერიის ხელისუფალნი ესწრაფოდნენ დაებრუნებინათ ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისში არმენიის მიერ მიტაცებული მიწები — გუგარეთი და ხორძენე-კლარჯეთი. ცხადია, არმენიის დაკარგვის შემდეგ, რომისათვის ხელსაყრელი არ იქნებოდა უკანასკნელის გაძლიერება და იგი ყოველმხრივ შეუწყობდა ხელს იბერიას მისი მიზნების განხორციელებაში და, პირიქით, პართია, რომელსაც თავის

---

1 Ras gestae divi Augusti... Text et commentaire par Y. Gage, Paris, 1935, გვ. 31.

2 ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, ტ. I, გვ. 183-184; А. И. Амиранашвили (Болтунова), Иберия и римская экспедиция.., გვ. 167-168.

ხელქვეით მყოფი სომხეთის ძლიერება სჭირდებოდა, იბერიას წინ აღუდგებოდა. ამდენად, ძვ. წ. I საუკუნის ბოლოს იბერიისა და რომის მმართველი წრეების ინტერესები დაემთხვა, რითაც უნდა აიხსნას იბერიის მეფის ელჩობა რომში, მეგობრობის ხელშეკრულების განახლება და ამ ფაქტის ფიქსაცია "Res gestae"-ში.[1]

შემდგომი ცნობები იბერიის რომთან, პართიასთან და არმენიასთან ურთიერთობის შესახებ ეხება უკვე ახ. წ. 30-იან წლებს. ამ დროისათვის რომსა და პართიას შორის საკმაოდ რთული ურთიერთობანი მყარდება, თუმცა რაიმე მნიშვნელოვან სამხედრო შეტაკებამდე საქმე არ მისულა. ავგუსტუსის მემკვიდრე იმპერატორი ტიბერიუმი (14-37 წწ.) ძირითადად ცდილობს აღმოსავლეთში მშვიდობა შეინარჩუნოს, ამავე დროს პართიაში არასტაბილური მდგომარეობა გრძელდება. ხშირია სასახლის კარზე გადატრიალებანი, სატრაპთა აჯანყებანი. ახ. წ. 34 წელს არმენიაში რომის ხელშეწყობით გამეფებული პოლემონ პონტოელის ვაჟის ზენონ-არტაშესი გარდაიცვალა და პართიის მეფემ არტაბან II-მ (10-38 წწ.) თავისი ვაჟი არშაკი გაამეფა. ამას მოჰყვა რომაელების მცდელობა, თვით პართიაში გაემეფებინათ მათ კარზე თავშეფარებული პართიის სამეფო ოჯახის წევრები: ჯერ ფრაატ IV-ის ვაჟი ფრაატი, ხოლო შემდეგ იმავე ფრაატ IV-ის შვილიშვილი ტირიდატე; მაგრამ ეს, ცხადია უშედეგოდ დამთავრდა.[2]

სწორედ ამ პერიოდში აღნიშნულ მოვლენებში საკმაოდ აქტიურად ერევა იბერია. იმპერატორი ტიბერიუსი ყოველმხრივ ცდილობდა გამოეყენებინა გაძლიერებული იბერიის მისწრაფებები — სამხრეთით ტერიტორიული გაფართოებისა და სომხეთზე გავლენის გავრცელებისა.[3]

როდესაც 35 წელს ტიბერიუსი პართიის ტახტზე თავისი პრეტენდენტის — ტირიდატეს დასმას შეეცადა, მან პარალელურად არმენიის საკითხის გადაწყვეტაც დაისახა მიზნად, სწორედ აქ გამოიყენა მან იბერია. ტაციტუსისა და დიონ კასიუსის ცნობით, ტიბერიუსმა მისწერა იბერიის მეფეს, რომ ის შეეჭრილიყო არმენიაში, რათა იქითკენ მიეზიდა პართიელთა არმიის ნაწილი.[4]

---

1 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 336-337; Н. Ю. Ломоури, Грузино-римские взаимоотношения, გვ. 140-142.

2 G. Welser, Rom. das Reich und fremden Völker, Baden-Baden, 1951, გვ. 146-147; N. C. Debevois, A Political History... გვ. 156; K. Schippmann, Grundzüge der parthischen Geschichte, Darmstadt, 1980, გვ. 50-51.

3 Cassius Dio, LVIII, 26, 3; მ. ინაძე, იბერიისა და რომის ურთიერთობა II საუკუნის პირველ ნახევარში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1955, გვ. 314.

4 Tacit, Ann., VI, 32-36; Cassius Dio, LVIII, 26, 3-4.

ტაციტუსის დაწვრილებითი აღწერილობით მოვლენები შემდეგნაირად ვითარდებოდა: იბერიის მეფე ფარსმანმა და მისმა ძმამ მითრიდატემ მოისყიდეს სომხეთში გამეფებული არშაკის კარისკაცები და მიაღწიეს მის მოკვლას; მაშინ არტაბან II-მ არმენიაში თავისი მეორე ვაჟი, ოროდე გაგზავნა დიდძალი ჯარით. ამავე დროს ფარსმანი, რომელსაც მოკავშირედ ალბანელები და დამხმარედ დაქირავებული სარმატები ჰყავდა, შეიჭრა არმენიაში; აქ ფარსმანსა და ოროდეს შორის გამართულ ბრძოლაში სახელგანთქმულმა პართიულმა ცხენოსანმა ჯარმა სრული მარცხი განიცადა. მითრიდატე იბერიელი სომხეთის მეფე ხდება. მალე არტაბანმა თავისი ძირითადი ძალებით ილაშქრა სომხეთში, მაგრამ იბერები წარმატებით იბრძვიან და საბოლოოდ არტაბანი ტოვებს სომხეთს, რომლის ტახტი რჩება მითრიდატეს.[1]

შემდგომი იმპერატორის, გაიუს კალიგულას (37-41 წწ.) დროს მითრიდატე რაღაც მიზეზით რომში გამოიძახეს და დააპატიმრეს, მაგრამ იმპერატორმა კლავდიუსმა (41-54 წწ.) იგი გაათავისუფლა, რის შემდეგაც ფარსმანის ხელშეწყობითა და რომაელთა დახმარებით, იგი კვლავ დააბრუნეს არმენიის ტახტზე. მოგვიანებით ფარსმან I-მა თავისი ვაჟი რადამისტი წააქეზა ბიძის წინააღმდეგ, რადგან ეშვი გაუჩნდა, რომ შვილი ტახტის წართმევას უპირებდა და მისი ზრახვები არმენიისაკენ მიმართა. ფარსმანი დაეხმარა ვაჟს არმენიის დაკავებასა, ბიძის მოკვლასა და ტახტის დაუფლებაში. მაგრამ რადამისტის მკაცრმა მმართველობამ მის წინააღმდეგ სომხეთში საერთო უკმაყოფილება გამოიწვია და იგი სომხეთიდან გააძევეს, ხოლო მოგვიანებით მამამ მოაკვლევინა. სომხეთში კი 52 წლის ახლო ხანებში პართიის მეფე ვალარშ I-მა თავისი ვაჟი ტირიდატე გაამეფა.[2] ამრიგად, რადამისტის ავანტიურამ რომს არმენია კვლავ დააკარგვინა.

ჩვენს ყურადღებას ყველა ამ მოვლენაში იპყრობს გაიუს კალიგულას მიერ მითრიდატე იბერიელის დაპატიმრება. სამწუხაროდ, ცნობები ამ ფაქტის შესახებ იმდენად ფრაგმენტულია, რომ რაიმე კონკრეტული დასკვნის გაკეთება ვერ ხერხდება, ხოლო სათუო ვარაუდები შეიძლება ბევრი ითქვას. საფიქრებელია, მითრიდატე არასდროს ამბობდა უარს პრორომაულ ორიენტაციაზე, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში ცდილობდა გარკვეული დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა და საკუთარი შეხედულებისამებრ ემოქმედა, ხოლო ასეთი მოქმედება ყოველთვის არ

---

1 Tacitus. Annales. VI. 32-35; Cassius Dio. LVIII, 26, 3-4.

Tacitus. Annales. VI. XII, 45-51.

ემთხვეოდა რომის ინტერესებს და სწორედ ამან გამოიწვია კალიგულას რისხვა.[1]

არ არის რომის მთლად მორჩილი ქვეშევრდომი იბერიის მეფეც. მითრიდატეს სომხეთში ხელმეორე გამეფების შემდეგ აქ სტაბილური მდგომარეობა დამყარდა და რომის ინტერესებში სულაც არ იყო სომხეთში ახალი გართულებები. ფარსმან I-ის მიერ ორგანიზებული რადამისტის ავანტიურა აშკარად რომთან შეუთანხმებელი და მისი ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედება იყო, რომელმაც ამ ეტაპზე რომს სომხეთი დააკარგვინა. მაშასადამე, აშკარაა, რომ უკვე ამ დროს იბერიის ხელისუფალი ცდილობს, გარკვეული დამოუკიდებლობა გამოიჩინოს და ფრთხილად, მაგრამ შეძლებისდაგვარად საკუთარი საგარეო პოლიტიკა განახორციელოს.

საინტერესოა, რომ ტაციტუსი ფარსმანს საკმაოდ მოხერხებულ დიპლომატად გვიხატავს. როგორც აღვნიშნეთ, იბერიაში მას თავისი ხელისუფლებისმოყვარე ვაჟისაგან — რადამისტისგან ტახტის წართმევის საშიშროება შეექმნა. მეფემ შვილის პატივმოყვარეობა სხვა მიმართულებით წარმართა: სომხეთის ტახტის დაკავება ურჩია, რაც რადამისტს სამომავლოდ მომხიბვლელ პერსპექტივას — იბერია-არმენიის მის ხელში გაერთიანებას უსახავდა. სომხეთში რადამისტის გამეფებაც სიფრთხილით იყო მომზადებული: ფარსმანმა ძმის სიფხიზლის მოსადუნებლად ძასთან, ვითომცდა, მამასთან წაჩხუბებული რადამისტი გაგზავნა. სომხეთში ყოფნა რადამისტმა აკაური დიდებულების გარკვეული ნაწილის მოსყიდვა-გადმობირებისთვის და მითრიდატეს წინააღმდეგ ამხედრებისთვის გამოიყენა, შემდეგ კი, თითქოს მამასთან შესარიგებლად იბერიაში დაბრუნდა და მოახსენა: „რაც მზაკვრობით შეიძლებოდა გაკეთებულიყო, გაკეთებულია, დანარჩენი იარაღით უნდა აღსრულდესო“. მხოლოდ ამის შემდეგ შეიყვანა ფარსმანმა ჯარი არმენიაში.[2]

რომი სომხეთის დაკარგვას და აქ პართიის გავლენის დამკვიდრებას საბოლოოდ ვერ შეურიგდებოდა და იმპერატორ ნერონის დროს (54-68 წწ.) კიდევ ერთხელ შეეცადა სომხეთის დაბრუნებას. სომხეთში 55 წელს შევიდნენ რომაული ლეგიონები გნეუს დომიციუს კორბულონის სარდლობით. თავდაპირველად კორბულონმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია — მთლიანად გაწმინდა იგი პართიელთაგან, მაგრამ შემდეგ

---

1 Н. Ю. Ломоури, Грузино-римские взаимоотношения, გვ. 161-166.

2 Tacitus, Annales, XII, 44-45; გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს გაძლიერება ახ. წ. I-II საუკუნეებში, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ (ქვევით „ნარკვევები“), ტ. I, 1970, გვ. 514. შეად. იგივე რუსულ გამოცემაში: Очерки истории Грузии, Тб., 1989, გვ. 313.

ნერონის საგარეო პოლიტიკის მიმართულება შეიცვალა: კორბულონი სომხეთიდან გაიწვიეს, ახალი სარდალი, კესენიუს პეტა კი 62 წელს მდ. არაცანთან სასტიკად დამარცხდა. ნერონი იძულებული გახდა მოლაპარაკებაზე წასულიყო და ბოლოს პართიასთან დაიდო ზავი, რომლის ძალით რომს მოუხდა, ეცნო სომხეთის ტახტზე პართიელი უფლისწულის, ტირიდატის ყოფნა, ოღონდ უკანასკნელს, თავის მხრივ, უნდა ეცნო რომის უზენაესობა და გვირგვინი რომში იმპერატორისაგან მიეღო.[1]

ამრიგად, არმენიისათვის ბრძოლა რომსა და პართიას შორის კომპრომისით დასრულდა, მაგრამ რეალურად ეს რომის მარცხს ნიშნავდა. რომი ფაქტობრივად უარს ამბობდა არმენიაზე, ხოლო სომხეთის მეფეთა ნომინალური ვასალური დამოკიდებულება რომზე სინამდვილეში ბევრს არაფერს ნიშნავდა და დიდ როლს არ ასრულებდა.

როგორი იყო ამ მოვლენებში იბერიის მონაწილეობა? უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ფარსმან I-მა რადამისტი მოაკვლევინა, რათა, ტაციტუსის თქმით, რომაელებისთვის თავისი ერთგულება დაედასტურებინა.[2] ცხადია, სინამდვილეში ფარსმანმა ეს იმიტომ მოიმოქმედა, რომ თვითონ ეშინოდა ხელისუფლებისმოყვარე ვაჟისა, მაგრამ რომაელებს ისე მოაჩვენა, თითქოს მათი ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედებისთვის დასჯა იგი. ნიშანდობლივია, რომ იმავე ტაციტუსის გადმოცემით, ეს მოხდა კორბულონის ლაშქრობის წინ. ცხადია, სომხეთში პართიის დამკვიდრება ქართლის მეფეს არ აწყობდა და იგი ცდილობდა რომთან იმ ურთიერთობის აღდგენას, რომელიც რადამისტის ავანტიურამ შეარყია.

მაგრამ ფარსმანი კორბულონს უშუალო დახმარებასაც უწევს. ჯერ ერთი, ტაციტუსის გადმოცემით, ფარსმანის ბრძანებით მოსხები (მესხები) თავს დაესხნენ სომხეთის ოლქებს,[3] ამას გარდა, ფარსმანმა ილაშქრა მარდების ტომის წინააღმდეგ, რადგანაც მიდიაში მოსახლე ეს ქურთული ტომი კორბულონს ხელს უშლიდა და მის ჯარს თავს ესხმოდა.[4] ამ დახმარებისათვის რომაელებს ფარსმანისათვის იბერიის მომიჯ-

---

1 О. В. Кудрявцев, Римская политика в Армении и Парфии в первой половине правления Нерона. – ВДИ, 1940, №3, გვ. 64-65; Его же, Рим, Армения и Парфия во второй половине правления Нерона. ВДИ, 1940, №3, გვ. 51-52; ნ. ლომოური, რომისა და ამიერკავკასიის ქვეყნების ურთიერთობისათვის ახ. წ. I ს-ში, თსუ შრომები, ტ. 77, თბ., 1959, გვ. 132-136, აქვე მთელი ლიტერატურა.

Tacitus, Annales, XIII, 37.

იქვე. XIV, 37.

იქვე. XIV, 23.

ნავე სომხეთის ოლქები მიუციათ.[1] საფიქრებელია, ფარსმანს ამისათვის წინასწარ ჰქონდა აღთქმული ტერიტორიის გაფართოება.[2]

ერთი სიტყვით, რომის პოზიციების აღმოსავლეთში საგრძნობი შესუსტების, სომხეთში პართიის ფაქტობრივი გაბატონების პირობებში, იბერია, ერთი მხრივ, ესწრაფვის რომთან უფრო მეტად დაახლოებას, მეორე მხრივ, ააქტიურებს თავის პოლიტიკას მეზობელი არმენიის წინააღმდეგ, რითაც ცდილობს აქ პართიის გავლენის შესუსტებას. იბერიას ამ მიმართულებით სხვა ინტერესებიც ამოქმედებს: არმენიის მიერ ოდესღაც მიტაცებული მიწების დაბრუნება და აქთაკენ თავისი სახელმწიფოს ფარგლების გაფართოება.

ნერონის წარუმატებელმა საგარეო პოლიტიკამ აღმოსავლეთის ფრონტზე, შინაგანმა არეულობამ აიძულა რომი, მშვიდობა შეენარჩუნებინა აღმოსავლეთში და შეერბილებინა თავისი პოლიტიკა კავკასიის ქვეყნების მიმართაც. ასეთი ვითარება ძირითადად შენარჩუნებული იყო ფლავიუსების დინასტიის დროსაც. იმპერიის ერთგვარმა შინაგანმა განმტკიცებამ იმპერატორ ვესპასიანესა (69-97 წწ.) და მის მემკვიდრეთა მმართველობის დროს ძალთა ისეთი დაძაბვა გამოიწვია, რომ აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე რომის ხელისუფლებას ფიქრიც არ შეეძლო. აღმოსავლეთში ვესპასიანე პართიასთან მეგობრულ ურთიერთობას აგრძელებს, მაგრამ ეს ოფიციალური კურსი, როგორც ჩანს, სულაც არაა სავალდებულო რომის ვასალურ სამეფოთათვის, ყოველ შემთხვევაში, იბერია არ იცავს ამ კურსს და პართიის ხელში მყოფი სომხეთის მიმართ საკმაოდ აგრესიულად მოქმედებს.

ისტორიკოს იოსებ ფლავიუსის ცნობით, 72-74 წწ. შორის იბერიის მეფემ დარიალის ხეობით გზა მისცა ალანებს, რომელნიც თავს დაესხნენ პართიას, შეეიდნენ არმენიაში და ააოხრეს იგი.[3]

სომხეთზე ალანთა ლაშქრობების შესახებ ცნობები არის სომხურ და ქართულ წყაროებში, კერძოდ, მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიასა“ და ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“. მიუხედავად ორივე მონათხრობში აშკარა ანაქრონიზმებისა და უზუსტობისა, აქ სომხეთში ალან-ოსთა ლაშქრობის აღწერისას ხაზგასმულია ქართლის აქტიური მონაწილეობა ამ აქციაში, ქართული წყაროთი კი, ქართლის ხელისუფალნი ინიციატორები არიან ოსთა გადმოსვლისა.[4] ნიშანდობლივია, რომ ოსთა დახმარებით სომხეთთან ბრძოლის ასპარეზი, როგორც

---

1 Tacitus. Annales. XIV. 26.

2 მ. ინაძე. იბერიისა და რომის ურთიერთობა... გვ. 315.

3 Iosephus Flavius. Bellum jud., VII. გვ. 7. 4.

4 მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველსომხურიდან თარგმნა... ა. აბდალაძემ. 1984. გვ. 50-51; ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 45-47.

ლეონტი მროველი გადმოგვცემს, არის სამხრეთ-დასავლეთი საქართველო და საბოლოოდ ქართლს უბრუნდება ამ რეგიონის გარკვეული ოლქები, კერძოდ, ქ. წუნდა, ციხე დემოთისა, ჯავახეთი და არტაანი.[1] როგორც ჩანს, აქ აისახა იბერიის ბრძოლა არმენიასთან ძვ. წ. II საუკუნეში მისთვის წართმეული ოლქების უკან დაბრუნებისათვის, რაც პლინიუსის და სტრაბონის ცნობებით ახ. წ. I საუკუნისათვის ამ ოლქების ნაწილობრივ მაინც ქართლისათვის დაბრუნებით დაგვირგვინდა.[2] ფარსმანი, როგორც ჩანს, ამ ბრძოლას განაგრძობს.

ფარსმან I-ის მემკვიდრის, მითრიდატეს დროს სომხეთის წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებას მოწმობს ამ მეფის პიტიახშის, შარაგასის წარწერა, რომელიც არმაზისხევში აღმოჩნდა და რომელშიც ლაპარაკია „მეფე მიჰრდატის" მიერ სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის არმენიაში, მოპოვებული გამარჯვებების შესახებ.[3]

ამრიგად, იბერია აქტიურად და შედეგიანად იბრძვის პართიის ხელქვეითი არმენიის წინააღმდეგ. რომი მას ამ მოქმედებაში აშკარად არ ეხმარება პართიასთან მიღწეული დაზავების გამო, მაგრამ არც ეწინააღმდეგება და არაპირდაპირ ხელსაც უწყობს. ამ მხრივ საინტერესოა ის წარწერა, რომელიც მცხეთასთან აღმოჩნდა და რომელშიც ლაპარაკია ვესპასიანეს მიერ მითრიდატე ფარსმანის ძისა და იბერიის ხალხისათვის კედლების გამაგრებაზე.[4] რომაელთა მონაწილეობა მცხეთის საფორთიფიკაციო ნაგებობათა გამაგრებაში უნდა მივიჩნიოთ იბერიის თავდაცვისუნარიანობის გაზრდასა და იბერია-რომის ურთიერთდამოკიდებულების განმტკიცებაში დახმარების აქტად.

I საუკუნის მიწურულს ვითარება აღმოსავლეთში მნიშვნელოვნად გართულდა. 98 წელს რომის იმპერატორი ხდება ანტონინების დინასტიის დამფუძნებელი ტრაიანე (98-117 წწ.), რომელმაც მაშინვე დაიწყო ყველა მიმართულებით შეტევითი პოლიტიკის გატარება აღმოსავლეთის ფრონტზე. მოქმედების გააქტიურებაში ტრაიანეს ხელს უწყობდა პართიაში კვლავ ატეხილი ბრძოლა ტახტისათვის, სულ ცოტა, სამ პრეტენდენტს შორის. 113 წელს ტრაიანემ დაიწყო ლაშქრობა პართიის წინააღმდეგ. თავდაპირველად ტრაიანეს პართიული ლაშქრობა წარმა-

---

ქართლის ცხოვრება. I, გვ. 48-49.

2 ს. ჯანაშია. ქართლის (იბერიის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში. შრომები. ტ. II. 1952. გვ. 257-259.

3 Г. В. Церетели, Армазская надпись эпохи Митридата Иверийского. – Труды двадцать пятого Междунар, конгр. востоковед., М., 1962, т. I, გვ. 374-378; გ. გიორგაძე. ტოპონიმები არმაზის ერთენოვან არამეოგრაფიულ წარწერაში. კრებ. „ამერკავკასიის ისტორიის პრობლემები", 1991, გვ. 33-46; მ. ინაძე, იბერიის და რომის ურთიერთობა... გვ. 315-316.

გ. წერეთელი. მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა, 1958.

ტებით წარიმართა და რომაელთა ლეგიონები სპარსეთის ყურის ნაპირებზე გავიდნენ. მაგრამ მალე ყველა დაპყრობილ ოლქსა და ზოგიერთ რომაულ პროვინციაში დაიწყო მასობრივი აჯანყებანი; იმპერიას არც ეკონომიკური რესურსები აღმოაჩნდა და ლაშქრობა სრული მარცხით დასრულდა.[1]

იბერიის პოზიციის შესახებ ტრაიანეს ლაშქრობის დროს მოკლე, მაგრამ ნიშანდობლივი ცნობები მოგვეპოვება, საიდანაც აშკარაა, რომ იბერიის მეფე მითრიდატე რომის მოკავშირეთა შორისაა და ეხმარება ტრაიანეს.[2] არსებობს პირდაპირი მითითებაც, რომ ქართლის მეფემ თავისი ძმის, ამაზასპის მეთაურობით შეიარაღებული რაზმიც კი გაგზავნა შუამდინარეთში, ქ. ნიზიბისთან მდგომი ტრაიანეს დასახმარებლად. ეს ფაქტი აღნიშნულია აქ გარდაცვლილი ამაზასპის ეპიტაფიაში.[3]

ტრაიანეს პართულმა ლაშქრობამ გამოააშკარავა რომის იმპერიის შინაგანი სისუსტე და ჯერ კიდევ ოქტავიანე-ავგუსტუსის მიერ მშვიდობიან საგარეო პოლიტიკაზე აღებული გეზის სისწორე, მეორე მხრივ, ამ დროისათვის აშკარად გამომჟღავნდა პართიის შინაგანი არასტაბილურობაც, რაც გაუთავებელი შიდა ომებით, ტახტის პრეტენდენტთა ურთიერთბრძოლით, სატრაპიათა აჯანყებით გამოიხატა.

ამრიგად, I საუკუნის ბოლოს და II საუკუნის დასაწყისისათვის აღმოსავლეთში მოქმედი ორი დიდი სახელმწიფო, — რომი და პართია, — რომელთაც საუკუნეთა მანძილზე ხელთ ეპყრათ ახლოაღმოსავლური პოლიტიკის სადავეები, კარგავს თავის პოზიციებს. ისინი ველარ კარნახობენ თავის ნებას წვრილ პოლიტიკურ წარმონაქმნებს, რომლებიც უფრო დამოუკიდებლად მოქმედებენ. ასეთ პოლიტიკას, პირველ რიგში, ახორციელებს იბერია.

ტრაიანეს მემკვიდრე იმპერატორი ადრიანე (117-138 წწ.) თავიდანვე, თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით, ცდილობს მშვიდობიანი პოლიტიკის განხორციელებას. ტახტზე ასვლის შემდეგ, მალე ადრიანე ჩავიდა მცირე აზიაში და აქ მოიწვია აზიის მოკავშირე ქვეყნების მმართველები, მაგრამ ყველამ არ ისურვა რომის კეისართან გამოცხადება და, პირველ რიგში, ეს იყო იბერიის მეფე ფარსმანი, რომელმაც, ადრიანეს ბიოგრაფის, ელიუს სპარტიანეს თქმით, „ქედმაღლურად უგულებელყო მისი მოწვევა“.[4]

---

1 А. Г. Бокщанин, Парфия и Рим, ч. II, გვ. 236-248.
2 Eutropius. VIII. 3; Festus. XX.
3 თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში. 1957. გვ. 236-237.
4 Elius Spartianus. Hadrian. 13.

აქ ჩვენ ვხედავთ იბერიის მეფის მხრიდან აშკარა ურჩობისა და რომის იმპერატორის დემონსტრატიული იგნორირების პირველ ფაქტს. ფარსმან II ანგარიშს არ უწევს რომის იმპერატორს და მისი ასეთი მოქმედება ნაკარნახევი იყო იმ რეალური სიტუაციის გათვალისწინებით, რომელიც იმ დროს შეიქმნა რომში. ტრაიანეს წარუმატებელმა ლაშქრობამ რომის იმპერიის სისუსტე ცხადყო; ამას დაემატა აჯანყებები პროვინციებში, იმპერიაზე სარმატთა და როქსოლანთა თავდასხმები, ადრიანეს წინააღმდეგ მაღალ მხედართმთავართა წრეში შეთქმულება.[1] როგორც ჩანს, ქართლის მეფე კარგად ერკვეოდა შექმნილ ვითარებაში და ითვალისწინებდა, რომ უახლოეს დროში რომი ვერაფერს იღონებდა მისი ურჩობის აღსაკვეთად. მართლაც, ადრიანე არამც თუ არავითარ ნაბიჯებს არ დგამს იბერიის წინააღმდეგ, არამედ მისი მეფის გულის მოგებასაც კი ცდილობს. იგივე ელიუს სპარტიანე მოგვითხრობს, რომ ადრიანე „მრავალთ უბოძებდა უზომო საჩუქრებს, მაგრამ ყველაზე მეტს.— იბერთა მეფეს, რომელსაც სხვა ბრწყინვალე საჩუქრებს გარდა გაუგზავნა საბრძოლო სპილო და ორმოცდაათი მეომრისაგან შემდგარი რაზმი“.[2]

მაგრამ ფარსმან II არ კმაყოფილდება თავისი დამოუკიდებლობის დემონსტრირებით და რომის მიმართ აშკარად მტრულ აქციებსაც ახორციელებს. როგორც ადრიანეს თანამედროვე სახელმწიფო მოღვაწისა და ისტორიკოსის, ფლავიუს არიანეს ცნობებიდან ჩანს, ფარსმან II შეიჭრა რომის სამფლობელოდ აღიარებულ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, დაეუფლა მერმინდელი აჭარის ტერიტორიას და, აშკარად რომის ინტერესთა საწინააღმდეგოდ, მოიპოვა გასასვლელი შავ ზღვაზე.[3]

რომის საწინააღმდეგო მტრულ აქციებს ფარსმან II შემდეგაც აგრძელებს. დიონ კასიუსი მოგვითხრობს, რომ 135 წლის ახლო ხანებში ფარსმანმა გადმოიყვანა ჩრდილო კავკასიიდან ალანთა რაზმები და შეუსია ისინი ალბანეთს, მიდიას, არმენიასა და კაპადოკიას.[4] თუ არმენიასა და პართიაში (მიდია) იბერიის ხელისუფალთა მიერ მოწყობილ ალანთა ლაშქრობას ადრეც ჰქონდა ადგილი, კაპადოკიის დალაშქვრა უკვე პირდაპირ რომის წინააღმდეგ იყო მიმართული და საჭირო გახდა კაპა-

---

А. Г. Бокщанин, Парфия и Рим, ч. II, გვ. 253-254; Н. Ю. Ломоури, Грузино-римские взаимоотношения, გვ. 190-192.

Elius Spartianus, Hadrian, 17.

Flavius Arrianus, Periplus Ponti Euxini, 11; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 526-527.

4 Cassius Dio, LXIX, 15, 1-2.

დოკიის პროვინციის პროკონსულის, ფლავიუს არიანეს საგანგებო ღონისძიებანი, რომ ეს შემოსევა შეწყვეტილიყო.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ქართლის მეფემ ალანები იმავდროულად პართიასა და არმენიასაც შეუსია. როგორც ჩანს, ფარსმანს ეგონა, შეეძლო ერთდროულად დაპირისპირებოდა როგორც რომს, ისე პართიას... და ნიშანდობლივია, რომ პართიას არ ძალუძს იარაღით წინ აღუდგეს ამ შემოსევას და მისი ორგანიზატორი დასაჯოს. ალანებს ის ხარკის გაღებით მოიშორებს, ხოლო ფარსმანს კი რომში უჩივლებს იმპერატორთან: „შენი ქვეშევრდომია და პასუხი მოსთხოვეო". როგორც ჩანს, ფარსმანი ამ ქმედებებისათვის თავის გასამართლებლად რომ'ში იყო გამოძახებული, მაგრამ არც ამჯერად ეახლა იმპერატორს და სენატს; სენატის სხდომაზე მისი წერილობითი ახსნა-განმარტება იქნა წაკითხული.[1]

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, რადგანაც ფარსმან II რომში არ ჩავიდა, ადრიანემ მას ელჩები გამოუგზავნა და მათი მეშვეობით მოითხოვა ამ ფაქტის გამო ახსნა-განმარტების მიცემა.[2] აქვე საინტერესოა ელიუს სპარტიანეს კიდევ ერთი ცნობა, რომ ფარსმანმა ადრიანეს გაუგზავნა დიდძალი საჩუქრები, მათ შორის — ოქრომკედიანი მოსასხამები, ადრიანემ კი, საჩუქრების აბუჩად აგდების მიზნით, ამ მოსასხამებით სამასი ბოროტმოქმედი გამოუშვა ცირკის არენაზე.[3]

საფიქრებელია, ეს საჩუქრები ფარსმანის მიერ გაგზავნილი იყო სწორედ ამ დიპლომატიური მოლაპარაკებების დროს და ადრიანეს გაღიზიანება, გარდა თვით ალანთა შემოსევისა, ამჯერადაც ფარსმანის რომ'ში ჩაუსვლელობამ გამოიწვია. ადრიანეს ესღა დარჩენოდა, ამ სახით გამოეხატა თავისი დამოკიდებულება ფარსმანისადმი.[4]

ამრიგად, ადრიანეს მთელი მმართველობის მანძილზე იბერიასა და რომს შორის დაძაბული ურთიერთობაა. იბერიის მეფე არავითარ ანგარიშს არ უწევს რომს, თავის დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებს და ზოგჯერ რომის ინტერესების პირდაპირ საწინააღმდეგოდაც მოქმედებს. ამავე დროს ფარსმან II არ წყვეტს მტრულ აქციებს პართიის მიმართაც.

იბერიასა და რომს შორის ურთიერთობა გაუმჯობესდა შემდგომი იმპერატორის, ანტონინე პიუსის დროს (138-161 წწ.). რომაულ წყა-

---

ნარკვევები. I. გვ. 529-530. მ. ინაძე. იბერიის და რომის ურთიერთობა... გვ. 137-138; Н. Ю. Ломоури, Иберия и Рим. ВИ, 1973, №1, გვ. 214-215.

ნარკვევები. I. გვ. 530.

Elius Spartianus. Hadrian. 17; Н. Ю. Ломоури, Грузино-римские взаимоотношения, გვ. 195-196.

[1] Н. Ю. Ломоури, Грузино-римские взаимоотношения, გვ. 195-196.

როთა ცნობით, ფარსმან II ეწვია რომში ანტონინეს და „მის მიმართ მეტი პატივისცემა გამოამჟღავნა, ვიდრე ადრიანესადმი“.[1]

დიონ კასიუსი მოგვითხრობს, რომ, როდესაც იბერიის მეფე მეუღლითურთ რომში ჩასულა, იმპერატორს იგი დიდი პატივით მიუღია, მისთვის უფლება მიუცია, კაპიტოლიუმის ტაძარში მსხვერპლი შეეწირა, მისი ცხენოსანი ქანდაკება მარსის ტაძარში დაუდგამს და მის პატივსაცემად სამხედრო ვარჯიშობანიც გაუმართავს. ამასთან, ისტორიკოსის თქმით, „მისთვის სამფლობელოები გაუდიდებია“.[2]

ძნელია დავასახელოთ ვასალური ან თუნდაც მოკავშირე სახელმწიფოთა ხელისუფალნი, რომელთაც პატივი რგებოდათ რომის უმთავრეს ტაძარში – კაპიტოლიუმში მსხვერპლის შეწირვისა, ან მარსის ტაძარში მათი ცხენოსანი ქანდაკების დადგმისა. აღსანიშნავია, რომ ფარსმან II-ის რომში სტუმრობა ოფიციალურ დოკუმენტშიც არის დაფიქსირებული: ესაა ქ. ოსტიაში აღმოჩენილი „ფასტები“,[3] რომლებშიც დასახელებულია იბერიის მეფის, ფარსმანის მეუღლესა და ვაჟიშვილთან ერთად რომში სტუმრობა.[4] ფარსმანის დასახელება „ფასტებში“ იმას ნიშნავს, რომ რომში მის ჩასვლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ხოლო ის გარემოება, რომ „ფასტების“ ტექსტი სწორედ ფარსმანის სტუმრობის აღწერით იწყება, მოწმობს, რომ ეს ფაქტი განიხილებოდა როგორც იმ წლის უმთავრესი მოვლენა.[5]

ყურადღებას იპყრობს დიონ კასიუსის ცნობა, რომ იმპერატორმა ფარსმანს „სამფლობელოები გაუდიდა“; ამაზე მინიშნებას ოსტიის „ფასტებშიაც“ ვხედავთ.[6] როგორც ჩანს, ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ ანტონინე პიუსმა ცნო ფარსმანის მიერ დაპყრობილ ოლქთა იბერიისადმი კუთვნილება და სწორედ ამან განაპირობა ქართლის მეფისა და იმპერატორის შერიგება. რომში ფარსმანის მიღების საზეიმო ხასიათი, მისთვის აქ მიგებული პატივი და ამ ფაქტის „ფასტებში“ დაფიქსირება ადასტურებს, რომ ფარსმანი რომში ჩადის არა როგორც ვასალი სიუზერენთან, არამედ როგორც თანასწორუფლებიანი მოკავშირე.

---

1 Julius Capitolinus, Antoninus Pius, 9.

2 Cassius Dio, LXX, 2, 3; მ. ინაძე, იბერიისა და რომის ურთიერთობა..., გვ. 321-327.

3 წარწერიანი ქვის სტელები, რომელშიც ჩამოთვლილი იყო მოცემულ წელს რომში მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენები, იდგმებოდა იტალიის უმთავრეს ქალაქებში. N. Nesselhauf, Ein neues Fragment der Fasten von Ostia, – Athenaeum, vol. 36, 1958, N3, 5, გვ. 219-228; ა. გამყრელიძე, მეფე ფარსმანის ახალაღმოჩენილი ლათინური წარწერა, „ცისკარი“, 1959, №9, გვ. 135-140.

5 Н. Ю. Ломоури, Грузино-римские взаимоотношения, გვ. 202.

6 N. Nesselhauf, Ein neues Fragment..., გვ. 224.

ფარსმან II-ის შესახებ ხსოვნა შემოინახა ქართულ წყაროებში, კერძოდ ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში", სადაც ის ფარსმან ქველის სახელით იხსენიება.[1]

ცნობები ფარსმანის შემდგომი მოღვაწეობის ან მისი უშუალო მემკვიდრეობის საგარეო პოლიტიკის შესახებ წყაროებში არ არის შემონახული. ანტონინე პიუსის მომდევნო იმპერატორების დროს ზავი რომსა და პართიას შორის დაირღვა. კერძოდ, იმპერატორ მარკუს ავრელიუსის დროს (161-180 წწ.) რომი კვლავ შეტევაზე გადავიდა და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია, მაგრამ წყაროებში ამ მოვლენებთან დაკავშირებით იბერია არსად არაა ნახსენები. როგორც ჩანს, იგი მათგან განზე იდგა და საკუთარი პრობლემებით იყო დაკავებული.

ამრიგად, რომის იმპერიისა და პართიის საშინაო და საგარეო პოლიტიკური დასუსტების პირობებში, II საუკუნის 30-60-იან წლებში ამიერკავკასიაში ერთადერთ რეალურ ძალას ქართლის (იბერიის) სამეფო წარმოადგენდა. იგი არა მარტო აღარ უწევს ანგარიშს თავის ოდესღაც მრისხანე მეზობლებს — რომსა და პართიას, არამედ თვით იწყებს მათდამი მტრული დამოკიდებულების გამომჟღავნებას მათი ინტერესების საწინააღმდეგო აქციების ჩატარებით. ამასთან, არც ერთს ამ დიდ სახელმწიფოთაგან უკვე აღარ შესწევს იბერიის დასჯისა და დამორჩილების ძალა.

* * *

დასავლეთი საქართველო, ანუ ძველი კოლხეთის სამეფო, როგორც აღნიშნული იყო, ძვ. წ. 40 წლიდან შევიდა რომის ვასალურ პოლემონის პონტოს შემადგენლობაში და რომზე მისი დამოკიდებულება ამ სამეფოს მეშვეობით ხორციელდებოდა. ეს ვითარება შენარჩუნდა ახ. წ. I საუკუნის 60-იან წლებამდე. იმპერატორ ტიბერიუსის დროს, 22/23-38 წლებს შორის, პოლემონის პონტო რომის სამეურვეო ქვეყნად („სეკვესტრად") გამოცხადდა, მაგრამ კალიგულას დროს აქ კვლავ აღდგა ადგილობრივი სამეფო მმართველობა. ყველა ეს მოვლენა, პოლიტიკური სტატუსის ცვლილებები, როგორც ჩანს, კოლხეთზეც ვრცელდებოდა.[2]

ქართლის ცხოვრება. I. გვ. 55-56.

თ. დუნდუა. კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო.., გვ. 102-114.

გარკვეული პერიოდიდან კოლხეთის ზოგიერთ ზღვისპირა ცენტრში (გონიო-აფსაროსში, ფაზისში, ცხუმში) დაარსდა რომაელთა გამაგრებული პუნქტები და აქ რომაული გარნიზონები იქნა ჩაყენებული.[1]

ახ. წ. 63 წელს იმპერატორ ნერონის მიერ გაუქმდა პოლემონის პონტოს სამეფო და მისი ტერიტორია გამოცხადდა რომის პროვინციად, რომლის სამხედრო-ადმინისტრაციული ცენტრი და შავი ზღვის ფლოტის მთავარი ბაზა ქ. ტრაპეზუნტი გახდა.[2] საეჭვო არ უნდა იყოს, რომ კოლხეთიც რომის პროვინციულ მმართველობას დაექვემდებარა, რამდენადაც ნერონის ეს ღონისძიება მის მიერ დაგეგმილი დიდი აღმოსავლური ლაშქრობის შემადგენელი ნაწილი იყო, ხოლო ამ ლაშქრობის განხორციელებაში შავიზღვისპირეთის ქვეყნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. არ უნდა იწვევდეს ეჭვს, რომ, ყოველ შემთხვევაში ნერონის დროიდან, კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებში ნამდვილად იქნა ჩაყენებული რომაული გარნიზონები და ეს ქალაქები რომაელთა საყრდენ სამხედრო პუნქტებად იქცა.

პონტოს სამეფოს და მასთან ერთად კოლხეთის რომის პროვინციად ქცევამ, უდავოა, აქ ადგილობრივი მოსახლეობის ჩაგვრის გაძლიერება, ვადასახადების ზრდა, პროვინციის მოხელეთა და ე. წ. პუბლიკანთა (ვადასახადის აკრეფის მოიჯარეთა) უშუალო პარპაში და თვითნებობა გამოიწვია; ხოლო ამას რომის ბატონობით საერთო უკმაყოფილება მოჰყვა, რაც 69 წელს სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის მოსახლეობის აჯანყებით გამოიხატა. ეს აჯანყება ისტორიოგრაფიაში ანიკეტის აჯანყების სახელითაა ცნობილი, რადგან მას სათავეში პოლემონ II-ის ფლოტის ყოფილი სარდალი ანიკეტი ედგა. აჯანყების ასპარეზი ქ. ტრაპეზუნტი და მისი მიდამოები იყო და მასში ძირითადად ადგილობრივი ქანური მოსახლეობა მონაწილეობდა.[3]

მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებას შედარებით ლოკალური ხასიათი ჰქონდა და ტრაპეზუნტით იყო შემოფარგლული,[4] რომის ექსპანსიის

Н. Ю. Ломоури, Восточное Причерноморье и Рим в I в. н. э. Историко-филологические разыскания, кн. I, Тб., 1980, გვ. 137; Его же, Грузинно-римские взаимоотношения, გვ. 211-213; М. П. Инадзе, Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1968, გვ. 241; თ. დუნდუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

F. Cumont, L'Annexion du Pont Polemoniaque et la Petit Armenie. – "Anatolian Studies". 1923, გვ. 109-119; W. Sehur, Die Orientpolitik des Kaisers Nero. – "Klio". Beiheft 15, 1923, გვ. 87-91.

Tacitus, Historia, III, 47-48; А. И. Амиранашвили (Болтунова), Восстание Аникета. – ВДИ, 1939, №2, გვ. 59-67; ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 189-191; გ. გოზალიშვილი, რომის ექსპანსიის წინააღმდეგ შავი ზღვის სანაპიროზე პირველ საუკუნეში ქართველ ტომთა აჯანყების შესახებ, თსუ შრომები, ტ. 37, 1949, გვ. 131-132.

4 Н. Ю. Ломоури, Восточное Причерноморье и Рим.., გვ. 138-145.

გაძლიერებისა და პროვინციული ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული ეს აჯანყება გამოხატავდა საერთოდ აღმოსავლეთი პონტოსპირეთის რომაულ სამფლობელოთა მოსახლეობის განწყობილებას. მან გარკვეული როლი შეასრულა ამ რეგიონში რომის პოლიტიკური გეზის შეცვლაში. რომის ხელისუფლებას უნდა დაენახა, რამდენად საშიშია ექსპანსიის შემდგომი გაძლიერება და თავისი რეჟიმის ერთგვარ შერბილებაზე უნდა წასულიყო. რომის სამხედრო პოტენციალის შესუსტების, ჩრდილოეთი შავიზღვისპირეთის მომთაბარე ტომთა და დაპყრობილ ხალხთა აქტივიზაციის, პართიის სამეფოსთან უწყვეტი დაპირისპირების პირობებში რომს არ შეეძლო საფრთხე შეექმნა ამიერკავკასიაში, და კერძოდ კოლხეთში, თავისი პოზიციებისა და გავლენისათვის, ხოლო ანიკეტის აჯანყებას ცხადი უნდა გაეხადა, რომ ასეთი საფრთხე არსებობდა. მართალია, ჩვენ არ გვაქვს პირდაპირი ცნობები დასავლეთ საქართველოში რაიმე ანტირომაული გამოსვლების შესახებ, მაგრამ საერთო ვითარების გათვალისწინებით შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სწორედ ამგვარი ტენდენციების გავლენით ანტონინების დინასტიის იმპერატორები იძულებულნი იყვნენ ეცნოთ დასავლეთი საქართველოს ტერიტორიულ-ტომობრივ ერთეულთა ერთგვარი დამოუკიდებლობა, რათა შეენარჩუნებინათ ფორმალური სიუზერენობა და პოლიტიკური გავლენა.

სწორედ ეს უნდა ყოფილიყო კოლხეთის ტერიტორიაზე ახ. წ. II საუკუნისათვის მაკრონ-ჰენიოხთა, ლაზთა, აფსილთა, აბაზგთა და სანიგთა ნახევრადდამოკიდებულ სამეფოთა თუ სამთავროთა წარმოქმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.[1] ცნობებს ამ სამეფოთა შესახებ გვაწვდის კაპადოკიის პონტოს პროკონსული ფლავიუს არიანე, რომელმაც 131 წელს იმოგზაურა ტრაპეზუნტიდან სებასტოპოლის-ცხუმამდე საინსპექციო მიზნით და აღწერა ეს სანაპირო. მისი აღწერილობით, ჩამოთვლილ პოლიტიკურ ერთეულთა სათავეში დგანან საკუთარი მმართველები — ეფე-ბაზილევსები, მაგრამ ყველა მათგანს ხელისუფლება რომის იმპერატორისაგან აქვს მიღებული, ამასთან, კოლხეთის ზღვისპირა ციხე-ქალაქებში: აფსაროს-გონიოში, ფაზის-ფოთში და სებასტოპოლის — ცხუმში დგანან რომაული გარნიზონები, რომელთა ოფიციალური დანიშნულებაა რომაელთა სამფლობელოების დაცვა ჩრდილოეთის ტომთა თავდასხმებისაგან,[2] რეალურად კი ამ გარნიზონთა ფუნქციაა კოლხეთში რომაული პოლიტიკური გავლენის უზრუნველყოფა. არ უნდა დავივიწყოთ იბერიის ფაქტორიც, რამდენადაც იგი სწორედ ამ დროს

---

6. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, 1968. გვ. 19-24. 122-123. აქვე მთელი ლიტერატურა

ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი — ნ. კეკელიძისა. 1961.

დაემუქრა რომის გავლენას არა მარტო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, სადაც ფარსმან II-მ ზიდრიტთა ტომი დაიქვემდებარა და ზღვაზე გავიდა, არამედ ცენტრალურ კოლხეთშიც, რამდენადაც ქართლს ეკუთვნოდა კოლხეთის აღმოსავლეთი ოლქი — არგვეთი. ასეთ პირობებში რომაული გარნიზონების კოლხეთის ქალაქებში დგომა ხელსაყრელი და აუცილებელი იყო დასავლეთქართულ პოლიტიკურ ერთეულთა მმართველი წრეებისათვისაც.[1]

აღსანიშნავია, რომ რომის ხელისუფლება იღებს გარკვეულ ზომებს კოლხეთში თავისი პოზიციების შემდგომი განმტკიცებისათვის. ფლავიუს არიანეს „პერიპლუსიდან" ჩანს, რომ იგი მდ. ენგურის შესართავში გაჩერებულა და, საფიქრებელია, აქ რომაელთა ახალი საყრდენი პუნქტი შეუქმნია. ხოლო II საუკუნის ბოლოსათვის ბიქვინთაც, რომელიც არიანეს დროს უბრალო სადგომი თუ კეთილმოუწყობელი ნავსადგურის მქონე ციხე-ქალაქი ყოფილა, გაძლიერდა და აქ რომაული გარნიზონი ჩამდგარა.[2]

როგორი იყო დასავლეთქართულ სამეფოთა საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობათა სხვა ასპექტები, ჩვენთვის უცნობია. არ გვაქვს რეალური ცნობები ადრიანეს შემდგომი ხანის კოლხეთის ვითარების შესახებაც, საერთო სიტუაცია ისეთი ჩანს, რომ II საუკუნის ბოლომდე აქ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა.

Н. Ю. Ломоури, Грузино-римские взаимоотношения, გვ. 225-242.

იქვე. გვ. 241-242; თ. თოდუა, არიანეს „პერიპლუსის" ὅρμος და λιμὴν ტერმინების განმარტებისათვის. „მაცნე", ისტორიის... სერია, 1991, №2, გვ. 120-127.

IV თავი. ქართლისა და ეგრისის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია ახ. წ. III-V საუკუნეებში

ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია III საუკუნიდან V საუკუნის პირველ ნახევრამდე

III-V საუკუნეებში ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიაში გამოკვეთილი იყო რამდენიმე მიმართულება:

1. თავდაცვითი და მანევრული დიპლომატიის შეხამება ორ აგრესიულ იმპერიასთან — სასანურ ირანთან და რომის (ბიზანტიის) სახელმწიფოსთან ურთიერთობაში;

2. ურთიერთობა ამიერკავკასიის ქვეყნებთან — სომხეთთან და ალბანეთთან;

3. ურთიერთობა ჩრდილოეთი კავკასიის მთიელ ტომებთან;

4 ურთიერთობა ქართულ პოლიტიკურ წარმონაქმნებთან (შინა დიპლომატია).

ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს სახელმწიფო გამგებლობა (ისევე როგორც შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოებისა) შედგებოდა ორი სისტემისაგან: ცენტრალური და ადგილობრივი გამგებლობისაგან. ცენტრალურ გამგებლობას ქართლის სამეფოში ახორციელებდნენ: მეფე, ქართლის ერისთავი (სპასპეტი), ქართლის პიტიახში, ქართლის მამასახლისი და სამეფო კარის (ტაძრის) მოხელეები — ტაძრეულები. ადგილობრივი გამგებლები იყვნენ: ერისთავები, სპასალარები, ციხისთავები, ხევისუფლები, ტერიტორიული თემების მამასახლისები, ასევე სატაძრო თემების გამგებლები — ჭურუმები (ქრისტიანულ ხანაში — მღვდელმთავრები).

ადგილობრივ გამგებლობაში მეფის ხელისუფლების რეალიზაცია ხდებოდა აგრეთვე „ჩამოვლის" წესით: პერიოდულად მეფე ჩამოივლიდა ქვეყნის ცალკეულ მხარეებს და ადგილზე განაგებდა იქაურ საქმეებს: „მეფე ფარსმან ქველი იარებოდის და განაგებდის სამეფოსა თჳსსა" — გვამცნობს „მეფეთა ცხოვრება".[1]

ქართლის ცხოვრება, ტ. I. ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 51. „ჩამოვლის" ფორმით გამგებლობა მიღებული იყო ეოთიანი საქართველოს სამეფოშიც: დავით IV აღმაშენებელი „ჩავიდა აფხაზეთს ბიქვინტამდე და განაგნა საქმენი მანდაურნი... გარდავიდა გეგუთს... განაგო მანდაური ყოველი" („ქართლის ცხოვრება", I, გვ. 339, 344). თამარ მეფე „ავამ გარდავიდიან აფხაზეთს, განაგნიან საქმენი მანდაურნი... გადმოვიდიან ქართლს, სომხეთს და მერმე ადგიან დვინს... გაზაფხულ აღმოვლიან სომხითი... წარვიდიან ყოლას, თავსა ოლტენისასა" („ქართლის ცხოვრება", ტ. II, 1959, გვ. 99-100).

ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკას წარმართავდნენ მეფე, მისი კარის მოხელეები და ერისთავები. ერისთავების აქტიურ მონაწილეობაზე საგარეო პოლიტიკაში „ქართლის ცხოვრება" გვაწვდის არაერთ ინფორმაციას.[1] როგორც ჩანს, საგარეო პოლიტიკას წარმართავდნენ აგრეთვე კულტის მსახურნი (წარმართულ ხანაში — ქურუმები, ხოლო ქრისტიანულ ხანაში — მღვდელმთავრები). ამაზე მიგვანიშნებს, თუნდაც, სტრაბონის ცნობა იმის შესახებ, რომ იბერიაში ქურუმები განაგებდნენ მეზობლებთან სამართალს.[2] საერთოდ, როგორც ჩანს, ანტიკურ ხანაში ქართული სახელმწიფოების გამგებლობა (ისევე როგორც ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში) თეოკრატიულ ელფერს ატარებდა.[3]

საგარეო პოლიტიკას, დიპლომატიურ ურთიერთობას ქართული სახელმწიფოები ახორციელებდნენ სხვადასხვა ფორმით: ელჩების გაგზავნით, მოლაპარაკებებით, ხელშეკრულებების დადებით. სამეფო კარზე იყო კანცელარია (დივანი), სადაც ინახებოდა საგარეო ურთიერთობათა ამსახველი დოკუმენტები. ასეთი დივანის არსებობაზე ეგრისის (ლაზიკის) სამეფოში მოგვითხრობს VI ს-ის ბიზანტიელი ქრონისტი პროკოპი კესარიელი. მისი ცნობით, ლაზეთის მეფის გუბაზის ელჩებმა 542 წელს მოახსენეს ირანის მეფეს ხოსრო I ანუშირვანს (531-579), რომ კოლხები უძველესი დროიდანვე სპარსელების მოკავშირეები იყვნენ, რისი ამსახველი მრავალი დოკუმენტიც დაცულია როგორც ლაზების სამეფოში, ისე ირანის სამეფო საგანძურში.[4] სამეფო დივანის არსებობას ქუთაისში მოწმობს „დივანი აფხაზთა მეფეთა", შედგენილი ბაგრატ III-ის (978-1014) კარზე.[5] საქართველოს სამეფო საჭურჭლე და სალარო ამავე დროს წარმოადგენდა სახელმწიფო დოკუმენტების საცავს.[6] ასეთი საჭურჭლეები იყო თბილისში, ქუთაისში, უჯარმაში, თელავში, ატენში, დოკუმენტების საცავები იყო აგრეთვე წარჩინებულთა სასახლეებსა და საკულტო ტაძრებში.

---

1 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 57, 62-64 და სხვ.

2 თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 129-130.
გ. მელიქიშვილი, ადრეკლასობრივ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება ელინისტური ხანის ქართლის სამეფოში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. I, 1970, გვ. 494.

4 პროკოპი კესარიელი, De bello Persico, გეორგიკა, ტ. 2, 1965, გვ. 76.

5 „ძველი საქართველო", ტ. II, 1913, გვ. 46-49.

6 სტეფანოზ ორბელიანი, სიუნიეთის ისტორია: სტეფანოზ ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქართული თარგმანები, ე. ცაგარეიშვილის გამოც., 1978, გვ. 98-99. „ხელმწიფის კარის გარიგება": „ქართული სამართლის ძეგლები", II, ი. დოლიძის გამოც., 1966, გვ. 83-84 და სხვ.

ანტიკური ხანის საქართველოს დიპლომატიური დოკუმენტები დგებოდა იმ დროის საერთაშორისო ენებზე: ბერძნულზე, არამეულსა და ფალაურზე.

დიპლომატიური საქმიანობისათვის აუცილებელი იყო ჰყოლოდათ ორატორულ ხელოვნებას დაუფლებული პირები. ასეთ ხელოვნებას ეუფლებოდნენ საგანგებო სკოლებში. რიტორიკულ-დიპლომატიური სკოლები არსებობდა რომის იმპერიაში, რომელიც მდიდარი იყო პროფესიონალი, მაღალი დონის დიპლომატებით. ერთ-ერთი ასეთი სკოლა არსებულა ფაზისშიც, სადაც განათლება მიუღიათ ბერძენ რიტორებსა და ფილოსოფოსებს — ევგენიოსსა და მის შვილს თემისტიოსს.[1] ქართული რიტორიკული ხელოვნების მაღალი დონის მოწმობაა ლაზი წარჩინებულების — აიეტისა და ფარტაძის სიტყვები საგარეო ორიენტაციის საკითხზე, წარმოთქმული ლაზების კრებაზე.[2]

ანტიკური ხანის ქართველი ელჩების ვინაობაზე ცნობები არ შემოგვრჩა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ელჩებად იგზავნებოდნენ წარჩინებულები — ერისთავები, სამეფო კარის მოხელეები და სასულიერო პირები. სასანურ ირანში იყვნენ დიდი და მცირე ელჩები, იქ ისინი ინიშნებოდნენ ყველაზე წარჩინებული გვარებიდან (ხურენი, ზიკი და სხვ.). პარიზის მედლების კაბინეტში დაცულია ბეჭედი გემით, რომლის ლეგენდაში აღნიშნულია: „იაზდან-ფრი-შაპური, დიდი ელჩი მეფე შაპურისა, შაპურის ძისა".[3] ეს ბეჭედი ეკუთვნოდა ირანის მეფის შაბურ III-ის (383-388) დიდ ელჩს, რომელიც აწარმოებდა საზავო მოლაპარაკებას კონსტანტინოპოლში 384-387 წლებში.[4] ქართული საელჩოს ბეჭდები, სამწუხაროდ, არ არის გამოვლენილი, მაგრამ შეიძლება დავუშვათ, რომ ის საბეჭდავები, რომელთა ლეგენდები აღნიშნავდნენ მათი მფლობელი წარჩინებულების (მათ შორის ქართველი პიტიახშების) სახელებს, ასრულებდნენ საელჩო ბეჭდების ფუნქციასაც.

საგარეო პოლიტიკის, საგარეო ორიენტაციის გამოვლინების ერთ-ერთი ფორმა იყო დინასტიური დანათესავება, რაც ზოგჯერ დინასტიური უნიის ხასიათს ატარებდა. ქართლის სამეფო სახლი ქორწინებით უნათესავდებოდა ბიზანტიის, პართიის, სასანური ირანის, სომხეთის, ჩრდილო კავკასიის მთიელთა მმართველ დინასტიებს. მეფეთა გარდა,

---

1 გეორგიკა, I, გვ. 50-52.

2 გეორგიკა, III, გვ. 64-81.

3 Klaus Stok, Yazdan-Friy-Sapur, ein Grossgesandter Sapurs III. Ein Beitrag zur Persisch-Römischen Diplomatie und Diplomatik. "Studia Iranica", t. 7, 1978, fascul 2. Association pour Lavancement des etudes iraniennes. Brill, Leiden.

მ. შოშიაშვილი, სასანიდური ირანის ბეჭდები ევროპის კოლექციებში, კრებულში: „საქართველო და ევროპის ქვეყნები, თბილისი, 1991, გვ. 157-164.

ქართველი წარჩინებულებიც უნათესავდებოდნენ ქორწინების გზით უცხო ქვეყნების წარჩინებულებს, ხოლო ზოგჯერ — სამეფო სახლებსაც (ისევე როგორც, მაგალითად, ვარსჭენ პიტიახში დაქორწინდა ჯერ ვარდან მამიკონიანის, ხოლო შემდეგ — ირანის შაჰის ასულზე).

III საუკუნის ოციან წლებში მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა ახალი ძალა — სასანური ირანი. სუსტი, ელინისტური პართიის ადგილზე წარმოიქმნა ძლიერი, ცენტრალიზებული, აგრესიული, მაზდეანური ირანის სახელმწიფო. პართიის არშაკიანების დინასტიის ხელისუფლება დაამხო ირანის ფარსის პროვინციის — სტახრის ზოროასტრული კულტის ქურუმთა საგვარეულოს — სასანიანთა წარმომადგენელმა ა რ დ ა შ ი რ პ ა პ ა კ ი ს ძ ე მ 224 წელს მან, მიდიაში, ორმიზდაგანის ველზე, დაამარცხა ამ დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი ა რ ტ ა ბ ა ნ V, რომელიც ბრძოლაში დაიღუპა. 226 წელს არდაშირი ქ. ქტეზიფონში მეფედ ეკურთხა.[1]

„ქართლის ცხოვრება" ასე გადმოგვცემს ამ ფაქტს:

„ მეფე იქმნა სპარსეთს ქასრე ანუშირვან სასანიანი, რომელმან მოსრნა მეფენი აჟღალანიანნი, რომელი იცნობების არდაშირობით".[2]

სასანიდური ირანის წარმოქმნა და რომის იმპერიის დასუსტება, მონათმფლობელური წყობილების კრიზისისა და ბარბაროსული ტომების შემოტევის შედეგად, მნიშვნელოვნად ცვლიდა ძალთა თანაფარდობას წინა აზიის რეგიონში და ახალი პრობლემის წინაშე აყენებდა ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკას. საჭირო იყო თავდაცვა ამ ორი ურთიერთდაპირისპირებული აგრესიული ძალის შემოტევებისაგან ამ ურთიერთდაპირისპირების გამოყენებით, ე. ი. ბალანსირება ამ ორ ძალას შორის, თავდაცვითი და მანევრული დიპლომატიის შეხამება.

ამრიგად, ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიაში ამ პერიოდში გადასაჭრელი იყო შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1. შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა რომისაგან;
2. აეცილებინა გაძლიერებული ირანის აგრესია;

ე. გაბაშვილი, სასანიდური ირანის სახელმწიფო: „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან"; Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, История Ирана, М.-Л., გვ. 39-41.

2 აქ „ქასრე ანუშირვანი" (ანუ: ხოსრო ანუშირვანი) გულისხმობს ზოგადად სასანიანთა მეფეს. ასეთი მნიშვნელობით ხმარობს მემატიანე VI ს-ის ირანის შაჰის ხოსრო I ანუშირვანის სახელს „აჟღალანიანნი" კი აღნიშნავს პართიის სამეფოს დინასტიას — არშაკუნიანებს (იხ. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. თბ., 1966, გვ. 427).

3. შეენარჩუნებინა I-II სს-ში შემოერთებული თემები დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში, ე. ი. მიღწეული წარმატება საქართველოს გაერთიანების გზაზე;

4. მოეგერიებინა ჩრდილოკავკასიელი მთიელების — ოსების თავდასხმები.

ამ ამოცანების გადაჭრა ქართლის სამეფომ, როგორც ჩანს, შეძლო III ს-ის პირველ ნახევარში, ე. ი. ამ პერიოდში შეინარჩუნა I-II საუკუნეებში მიღწეული წარმატებები, III ს-ის მეორე ნახევარში კი განიცადა წარუმატებლობა საგარეო პოლიტიკაში: იძულებული იყო ეღიარებინა ჯერ ირანის უზენაესობა (III ს-ის 60-70-იან წლებში), ხოლო შემდეგ — ეცნო რომის იმპერიის სიუზერენიტეტი (III ს-ის ბოლოს). ასევე ჩაიშალა ქართლის სამეფოს პეგემონობით საქართველოს გაერთიანების მეორე მცდელობა (პირველი მცდელობა იყო ფარნავაზ მეფის დროს, ძვ. წ. III ს-ში, რომელიც შეაფერხა ძვ. წ. II ს-ის მოვლენებმა). სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიის ქართული თემები მიიტაცა ჯერ ირანმა, ხოლო შემდეგ რომმა, ეგრისის ტერიტორიაზე კი გაძლიერდა ლაზების სამეფო, რომელმაც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნა ცალკე სამეფო.

III ს-ის პირველი ნახევრის ქართლის სამეფოს ისტორიაზე წერილობით წყაროებში ცნობები არ მოგვეპოვება. „მეფეთა ცხოვრება" ფარსმან II ქველის მეფობიდან (II ს-ის შუა წლები) ამაზასპის მეფობამდე (III ს-ის შუა წლები) არაფერს გვამცნობს ქართლის სამეფოზე. ასახელებს მხოლოდ რამდენიმე მეფეს, მაგრამ მათ მოღვაწეობაზე დუმს. შესაძლოა, ამ უნებური ხარვეზის შესავსებად და აგრეთვე იმ მიზნით, რომ განადიდოს პირველი ქრისტიანი მეფე და გამოაცხადოს ის პირველი სასანიანი მეფის, არდაშირის შვილად, „მეფეთა ცხოვრების" ავტორი ამაზასპისა და მისი მომდევნო მეფეების ზეობის წლებს, მირიანის ჩათვლით, აძველებს რამდენიმე ათეული წლით და გადააქვს III ს-ის პირველ ნახევარში. მიუხედავად ამ შეგნებული თუ უნებლიე ანაქრონიზმისა, „მეფეთა ცხოვრების" ცნობები III ს-ის მეფეების მოღვაწეობაზე (ამაზასპიდან მირიანამდე) დასტურდება უცხოური წყაროებით და ნდობას იმსახურებს. ოღონდ, როგორც აღვნიშნეთ, ეს ცნობები ასახავს არა III ს-ის პირველი ნახევრის, არამედ მეორე ნახევრის ვითარებას.

რაც შეეხება ქართლის სამეფოს საგარეო ვითარებას III ს-ის პირველ ნახევარში, ამაზე შეიძლება გამოითქვას სავარაუდო მოსაზრება, ირანისა და რომის იმპერიის ისტორიის გათვალისწინებისა და რამდენიმე ეპიგრაფიკული ძეგლის მონაცემების საფუძველზე. კერძოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში, ფარსმან ქველის მომდევნო პერიოდის ქართლის (ე. ი. II ს-ის მეორე ნახევრის) ვითარების დასადგენად, ყურადღება

გამახვილდა არმაზისხევის ნეკროპოლში აღმოჩენილი ორენოვანი წარწერის (ე. წ. „არმაზის ბილინგვის“) მონაცემებზე. აღნიშნული ძეგლის არამეულ ტექსტში ფარსმანის მომდევნო მეფის, ხსეფარნუგის ეზოსმოძღვარი იოდმანგანი იწოდება „ძლევამოსილად და მრავალ გამარჯვებათა მომპოვებლად“, ხოლო თვით ხსეფარნუგი, ბერძნულ ტექსტში — „დიდად“. ეს ცნობა, როგორც ჩანს, იმის მოწმობაა, რომ ქართლის სამეფოს საგარეო წარმატებები, რომლებიც მან მოიპოვა ფარსმან ქველის დროს, გრძელდებოდა II ს-ის მეორე ნახევარშიც.[1]

III ს-ის პირველ ნახევარში ქართლის სამეფოს არ დამუქრებია რეალური საგარეო საფრთხე. რომის იმპერიის კრიზისი კვლავ გრძელდებოდა და მას ქართლზე ხელი არ მიუწვდებოდა, ხოლო ახალწარმოქმნილი სასანური ირანი პართიის სამფლობელოებით იყო დაკავებული და ამიერკავკასიას ჯერ არ ემუქრებოდა მისი შემოტევა. ასეთ ვითარებაში ქართლისათვის ხელსაყრელი ჩანდა ირანთან კავშირის დამყარება რომის საპირისპიროდ. ამ პერიოდში ირანთან ქართლის სამეფოს დიპლომატიური კონტაქტების მანიშნებელია არმაზისხევის სამაროვანზე 1940 წელს აღმოჩენილი ვერცხლის თასის ფალაური წარწერა. თასზე არის მამაკაცის გრავირებული პროფილი, სასანიანი დიდებულის ჩაცმულობით. წარწერის ტექსტი მკვლევართა მიერ სხვადასხვა სისრულითაა გაშიფრული, მაგრამ ყველა წაკითხვა ადასტურებს მასში სპარსეთის პიტიახშისა და არდაშირის სახელის მოხსენიებას.[2] ერთ-ერთი წაკითხვით კი აქ იხსენიება არა მარტო ირანის პიტიახში, არამედ ქართველთა (იბერთა) პიტიახშიც. წარწერაში იბერთა (ქართლის) პიტიახშის მოხსენიება მოსალოდნელი ჩანს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თასი, როგორც ჩანს, ეკუთვნოდა ქართლის ერთ-ერთ პიტიახშს (ის აღმოჩნდა ქართლის პიტიახშების საგვარეულო ნეკროპოლში). ამ წარწერაზე დამყარებით და არდაშირ სასანიანის დროს არსებული საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით, გამოთქმულია ვარაუდი, რომ

გ. მელიქიშვილი. ქართლის (იბერიის) სამეფოს გაძლიერება ახ. წ. I-II საუკუნეებში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, 1970, გვ. 534.

გ. წერეთლის წაკითხვა: „პიტიახში ღვთაებრივი არდაშირისა, ძისა ღვთაებრივი (პაპაკისა)... პიტიახში... იბერიისა(?)“ (Г. В. Церетели, Эпиграфические находки в Мцхета — древнейшей столице Грузии: ВДИ, 1948, №2, გვ. 55).

შ. ამირანაშვილის წაკითხვა: „ფაფაკ პიტიახში ღვთაებრივი არადაშირისა, ღვთაებრივი ფაფაკის ძისა, გურზან ქვეყნის პიტიახშს არზამესს უძღვნის“ (შ. ამირანაშვილი, არმაზისხევში გათხრების დროს ნაპოვნი ადრესასანური ეპოქის ვერცხლის თასი:—ქრებული „თბილისი 1500“, 1958, გვ. 90-91).

ვ. ლუკონინის წაკითხვა: „პაპაკ პიტიახშის, არდაშირის ძის, ძისა„. არდაშირისა, პიტიახშის (საკუთრება)“ (В. Г. Луконин, Иран в эпоху первых Сасанидов, 1961, გვ. 60-61).

არდაშირ შაპის დროს ქართლის პიტიახშს (ერთ-ერთი წაკითხვით — პიტიახშ არზამესს)[1] დიპლომატიური კონტაქტები ჰქონია დამყარებული ირანის პიტიახშთან. ივარაუდება, რომ ირანის შაპის, არდაშირ I-ის პიტიახშმა აღნიშნული თასი უძღვნა ქართლის პიტიახშს, ამ უკანასკნელის მიერ ირანში დიპლომატიური მისიის შესრულებისას, ან თვით ირანის პიტიახშის ასეთივე მისიით ქართლში ჩამოსვლისას.[2] ამ მონაცემზე დაყრდნობით უნდა დავასკვნათ, რომ ქართლის სამეფოში პიტიახშები ასრულებდნენ დიპლომატიურ ფუნქციებს. ასეთ დასკვნას მხარს უჭერს „მეფეთა ცხოვრების" ცნობები იმის შესახებ, რომ ქართლის სპასპეტი, ანუ შიდა ქართლის ერისთავი, რომელიც, ალბათ, უნდა გავაიგივოთ ქართლის პიტიახშთან, აქტიურ როლს თამაშობდა საგარეო პოლიტიკის წარმართვაში.[3]

* * *

III ს-ის შუა წლებიდან მოყოლებული, ქართლის სამეფოზე ქართულ და უცხოურ წყაროებში მოიპოვება შედარებით მეტი ცნობები. ამ პერიოდში ქართლის მეფეა ამაზასპი, რომლის ზეობა „მეფეთა ცხოვრებაში", როგორც უკვე აღვნიშნეთ, რამდენიმე ათეული წლით უკანაა

ქართლის მეფის პიტიახშები, მოხსენიებულნი I-IV სს-ის არამეულ და ბერძნულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში. ქართლის (იბერთა) პიტიახშებადაც იწოდებოდნენ. ამას მოწმობს არა მარტო ქუმო ქართლის დიდაზნაურთა სახლის წარმომადგენელთა მოხსენიება ამ ტიტულით, არამედ — პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული საბეჭდავის წარწერა: „ესას პიტიაქსეს იბერონ კარქდონ" (თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში. 1951. გვ. 263. შენ. 3).

არ არის მართებული მოსაზრება, რომ ქართლის სამეფოში იყენენ „მცირე", „დიდი" და ებრაელად პიტიახშები: არმაზისხევის ორენოვან წარწერაში აღნიშნული ეპითეტი „მცირე" მიეკუთვნება არა პიტიახშს („მცირე პიტიახში"), არამედ საკუთარ სახელს ზევახს („ზევახ მცირე"). ასევე არაა მართებული, რომ „ქართველთა საპიტიახშო" დაარსდა IV საუკუნეში და ამ დროიდან პიტიახშს ნიშნავდა ირანის შაჰი (ს. ჯანაშია, შრომები. I. 1942. გვ. 265-268). ქართლის (იბერია) პიტიახშები (მათ შორის ქუმო ქართლის დიდაზნაურთა არშუშა-ვარსქენის სახლის წარმომადგენლები) ქართლის მეფის მოხელეები იყვნენ და პიტიახშებად მათ ქართლის მეფეები ნიშნავდნენ (თუმცა, ზოგიერთი მათგანი, იმავე დროს, შეიძლება ირანის შაჰის მოხელეც ყოფილიყო ამიერკავკასიის მასშტაბით, როგორც, მაგალითად, ვარსქენი). რაც შეეხება IV ს-ში შაჰის მიერ ქართლში გამოგზავნილ ირანელ პიტიახშს, ქრამ-ხუარ-ბორზადს (მოქცევაჲ ქართლისაჲ: ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. I. 1964. გვ. 92), ის იყო ირანის მოხელე ამიერკავკასიის მასშტაბით და ქართლის პიტიახშებთან არაფერი ჰქონდა საერთო.

2 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 393; მისივე, ქართლის სამეფო ახ. წ. III ს-ში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I. გვ. 565-566.

ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 57. 62-64.

გადაწეული. ამაზასპის მეფობის დროზე წარმოდგენას გვიქმნის სამენოვანი ეპიგრაფიკული ძეგლი, აღმოჩენილი 1930-იანი წლების ბოლოს ძველი პერსეპოლისის მახლობლად, ზოროასტრის ტაძრის, ე. წ. „ზოროასტრის ქააბის" ტერიტორიაზე. წარწერა მოგვითხრობს შაბურ I-ის (242-272) მოღვაწეობაზე. ის სამენოვანია: ამოკვეთილია პართიულ-ფალაურ, სასანურ-ფალაურ და ბერძნულ ენებზე. მასში ჩამოთვლილია ირანისადმი დაქვემდებარებული ქვეყნები და მათ შორის — იბერია, ასევე ირანის შაჰების არდაშირ I-ისა და შაბურ I-ის ხელქვეითი მოხელენი, მათ შორის იბერიის მეფე ამაზასპი.[1] აღნიშნული ეპიგრაფიკული ძეგლი თარიღდება 261-262 წლებით და, ამდენად, ამაზასპის მეფობაც განეკუთვნება ამ წლების ახლო ხანას (სავსებით აშკარაა, რომ „ზოროასტრის ქააბას" აღნიშნულ წარწერაში მოხსენიებული ამაზასპი და „მეფეთა ცხოვრებაში" მოხსენიებული ქართლის მეთვრამეტე მეფე, ფარსმან ქველის შვილიშვილის, ფარსმან III-ის ძე ამაზასპი ერთი და იგივე პირია). ამრიგად, აღნიშნული წარწერიდან ჩანს, რომ ამაზასპი თანამედროვე ყოფილა ირანის მეორე სასანიანი მეფის შაბურ I-ისა და მისი მეფობის ბოლო წლებში ქართლი ექვემდებარებოდა ირანს.

„მეფეთა ცხოვრება" ამაზასპის შესახებ გვამცნობს, რომ ის იყო „ძლიერი და გოლიათი, მსგავსი ფარსმან ქუელისა".[2] რადგანაც მემატიანეს ამაზასპი მიაჩნდა ისეთივე ძლიერ მეფედ, როგორც ფარსმან ქველი, ალბათ, ქართლის სამეფოც ამაზასპის დროს, მისი წარმოდგენით, იყო ისევე ძლიერი და ვრცელი, როგორც II საუკუნეში. იგივე მემატიანე გვამცნობს, რომ ამაზასპის ექვემდებარებოდნენ როგორც აღმოსავლეთ საქართველოს (კახეთის, ხუნანის, სამშვილდის, შიდა ქართლის), ისე დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ერისთავნი (ორი ეგრისის, წუნდის, ოძრხის, კლარჯეთის).[3] ამაზასპმა დაამარცხა და განდევნა ქართლის დასარბევად შემოჭრილი ოსები, ხოლო შემდეგ მოაწყო წარმატებული ლაშქრობა ოსეთში.[4]

მაგრამ, თავისი მეფობის დასასრულს ამაზასპმა, „მეფეთა ცხოვრების" ცნობით, გადაუხვია მართებულ გზას, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში: „შემდგომად ამისსა შეექმნა სილაღე, და იწყო მესისხლეობად და მოსწყ'ვდნა წარჩინებულნი... შეიყუარნა სპარსნი".[5]

E. Honigmann et A. Maricq. Recherches sur les Res Gesxue Divi saporis, Bruxelles, 1953, 3-4. M. Sprenglibg, Third century Iran. Sapor and Kartir, Chicago, 1953.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 55.

იქვე. გვ. 55, 57.

[4] იქვე.

[5] იქვე. გვ. 57. „მეფეთა ცხოვრების" ავტორი აქ სპარსელებში გულისხმობს არა სასანურ ირანს, არამედ — პართიას, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამაზასპის მეფობა,

სწორედ ამ ბოლო ხანას ამაზასპის მეფობისას ასახავს „ზოროასტრის ქაბის“ ზემოაღნიშნული 262 წლის წარწერა, სადაც ისიც და მისი სამეფოც ირანისადმი დაქვემდებარებულად იხსენიება.

ქართლის დაქვემდებარება ირანის მიერ, როგორც ჩანს, მოხდა 261-262 წლებში, ე. ი. „ზოროასტრის ქაბის“ წარწერის ამოკვეთამდე ერთი წლით ადრე, ან იმავე წელს. ჯერ კიდევ 260 წელს, როდესაც შაბურ I-მა დაამარცხა და დაატყვევა რომის იმპერატორი ვალერიანე, ამაზასპი ეწეოდა ლავირებას ირანსა და რომს შორის და ცდილობდა, თავი დაეღწია ირანის დაქვემდებარებისაგან. ამას მოწმობს იმპერატორ ვალერიანეს ბიოგრაფის ცნობა, რომ ვალერიანეს დატყვევების შემდეგ, შაბურ I-მა წერილები გაუგზავნა სხვადასხვა ქვეყნის მმართველებს თავისი გამარჯვების შესახებ. ამ წერილების პასუხად ზოგიერთმა მეფემ მიულოცა შაბურს გამარჯვება (მათ შორის სომხეთის მეფემ არტავაზდმა, რომელიც უკვე ირანის ქვეშევრდომი იყო). იბერებმა, ბაქტრიელებმა, ალბანელებმა და ტავროსკვითებმა კი არ მიიღეს შაბურის წერილები და რომაელ სარდლებს შეპირდნენ დახმარებას ვალერიანეს გამოხსნაში.[1]

ამრიგად, სომხეთის დამორჩილების შემდეგ (255-256 წწ.) ირანი მიადგა ქართლის საზღვრებს. იმპერატორ ვალერიანეს დატყვევების ახლო ხანებში ამაზასპი ჯერ კიდევ ცდილობდა აეცდინა ირანისადმი დაქვემდებარება, მაგრამ მალე იძულებული იყო, ნებაყოფლობით ირანის ქვეშევრდომად ეცნო თავი და ამ გზით აეცილებინა ირანელთა ლაშქრობა ქართლში. „ზოროასტრის ქაბის“ მეორე წარწერა, ამოკვეთილი ირანის მთავარი ქურუმის, კარტირის ბრძანებით, იმ ქვეყანათა შორის, სადაც ილაშქრა შაბურ I-ის მხედრობამ, ასახელებს იბერიასაც,[2] მაგრამ, შესაძლოა, ეს იყოს გადაჭარბება, შაბურ I-ის ხოტბისა და განდიდების მიზნით.

ამრიგად, ამაზასპმა ვერ შეძლო საბოლოოდ ეხსნა ქართლი ირანისადმი დაქვემდებარებისაგან, თუმცა, როგორც ჩანს, დიპლომატიური საშუალებებით აიცდინა ირანის აგრესია.

ამაზასპმა ვერ შეძლო აგრეთვე ბოლომდე შეენარჩუნებინა საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობა. როგორც ჩანს, ირანის იძულებითმა მოკავშირეობამ გამოიწვია რომთან დაპირისპირება და რომაელთა წაქეზებითა და მხარდაჭერით დასავლეთ საქართველოს გამგებელთა

შეცდომით. გადააქს პართიულ ხანაში. მაგრამ რეალურად ეს ცნობა ასახავს ამაზასპის დაქვემდებარებას სასანური ირანისადმი, მისი მეფობის დასასრულს.

1 Scriptores Historiae Augustae. XXII, 1-4.

2 В. Г. Луконин, Картир и Мани: ВДИ, 1966, №1, გვ. 76.

განდგომა ქართლის მეფისაგან. „მეფეთა ცხოვრება“ გვამცნობს: ამაზასპმა „შეიყუარნა სპარსნი. მაშინ განდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი“.[1] ამას მოჰყვა ბრძოლა, სადაც რომაელებმა და მისმა მოკავშირეებმა დასავლეთ საქართველოში და სომხეთში დაამარცხეს ამაზასპი, რომელიც დაიღუპა ამ ბრძოლაში.[2]

ამაზასპის მეფობის ბოლო წლებში ქართლის სამეფომ, ირანის ექსპანსიის შედეგად, როგორც ჩანს, დაკარგა აგრეთვე გასასვლელი შავ ზღვაზე, რომელიც მან II ს-ში, ზიდრიტთა ტომის (დასავლეთი საქართველოს სამხრეთ ნაწილში მოსახლე ტომი) შეერთებით მოიპოვა. III ს-ის 50-იანი წლების ბოლოს შაბურ I-მა გაიმარჯვა რომაელებზე: მოაწყო წარმატებული ლაშქრობა კილიკიაში, სირიასა და მცირე არმენიაში. ამ ლაშქრობის შედეგად ირანელებმა დაიკავეს მაკრონ — ჰენიოხთა მხარე, რომელიც „ზოროასტრის ქაბის“ წარწერის ბერძნულ ტექსტში, ირანის მიერ დამორჩილებულ მხარეებს შორის, მოხსენიებულია მახელონიის სახელით. ირანელებმა დაიკავეს, ალბათ, მაკრონ-ჰენიოხთა მეზობლად მდებარე ზიდრიტთა მხარეც. შაბურ I-ის შემდეგ კი ეს მხარეები დაიკავეს რომაელებმა.[3]

ამრიგად, ირანის სამხედრო წარმატებების ხანა, III ს-ის 40-იანი წლებიდან 60-იანი წლების დასაწყისამდე, ემთხვევა ამაზასპის მეფობის ხანას ქართლში. ამაზასპის შემდეგ ვითარება ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ასპარეზზე იცვლება რომაელთა სასარგებლოდ. შაბურ I, III ს-ის 60-იან წლებში განიცდის სამხედრო წარუმატებლობას. 263-264 წლებში პალმირის მეფემ ოდენატმა განახორციელა შეტევა ირანის წინააღმდეგ, უკუაგდო ირანელები ევფრატის იქით, წაართვა მესოპოტამია. იმპერატორ ვალერიანეს შვილმა გალიენმა უბოძა ოდენატს ტიტული dux Orientis (აღმოსავლეთის ბელადი), ხოლო შემდეგ — იმპერატორის ტიტული და რომაელთა აღმოსავლეთის არმიის სარდლობა.[4] შაბურ I-ის შემდეგაც ირანმა განიცადა დამარცხებები: რომის იმპერატორი კარუსი (282-283) შეიჭრა ირანში და მიაღწია ირანის დედაქალაქ ქტეზიფონამდე. დამარცხებები განიცადა ირანმა რომაელებთან III ს-ის მიწურულსაც. იმპერატორ დიოკლიტიანეს დროს (284-305), რასაც მოჰყვა 298 წელს ნისიბინის ზავის დადება რომსა და ირანს შორის, რომაელთა სასარგებლოდ.

ქართლის ცხოვრება, I, გვ. 57.

იქვე.

Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 390.

4 Н. А. Машкин, История древнего Рима, 1949, გვ. 578; М. М. Дьяконов, Очерки истории древнего Ирана, М., 1961, გვ. 263.

საერთაშორისო ვითარების ასეთ შეცვლასთან ერთად ქართლის სამეფომაც შეიცვალა საგარეო ორიენტაცია და აღადგინა კავშირი რომთან. ამაზე მიგვანიშნებს „მეფეთა ცხოვრების“ ცნობა ამაზასპის მომდევნო მეფის. რევ მართლის (263-273) ქორწინებაზე ბერძენ ქალზე და მის მიდრეკილებაზე ქრისტიანობისადმი: „აქუნდა რამე სიყუარული ქრისტესი“.[1]

ქართლის მეფე ასფაგური (III ს-ის 80-იანი წლების მეორე ნახევარი — 90-იანი წლების პირველი ნახევარი) სომხეთის მეფესთან ერთად იბრძოდა ირანის წინააღმდეგ.[2] ამ პერიოდში ირანის შაჰმა ნარსემ (293-302) ომი დაიწყო რომის წინააღმდეგ, რაც დამთავრდა ნარსეს დამარცხებით. ამ ომის დროს, როგორც ჩანს, შეიჭრა ქართლში ირანის შაჰი ნარსე (და არა არდაშირი, როგორც ამას შეცდომით მიიჩნევს „მეფეთა ცხოვრება“), რასაც მოჰყვა ასფაგურის გაქცევა ჯარის შესაკრებად ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ის გარდაიცვალა.[3]

ასფაგურის შემდეგ ქართლში გამეფდა მირიანი, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, „მეფეთა ცხოვრება“ პირველი სასანიანი მეფის არდაშირ I-ის შვილად აცხადებს.[4] სინამდვილეში, როგორც ეს ირკვევა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-დან, მირიანი იყო არა არდაშირის, არამედ — ლევის (იმავე რევის) ძე და გამეფდა ნისიბინის ზავამდე რამდენიმე წლით ადრე. მირიანის მამა რევი არ იყო ფარნავაზიანთა ძირითადი შტოს წარმომადგენელი. როგორც ჩანს, ასფაგურის გარდაცვალების შემდეგ, ირანის შაჰი ნარსე მოვიდა მცხეთაში და გაამეფა ფარნავაზიანთა დინასტიის გვერდითი შტოს წარმომადგენელი, რევის ვაჟი მირიანი, ამასთან, დააქორწინა ის, 7 წლის ასაკში, ასფაგურის ქალზე. ამით ირანის შაჰი გარკვეულ კომპრომისზე წავიდა ასფაგურის მომხრეებთან. ამრიგად, მირიანი, ცხადია, ირანის შაჰის შვილი არ იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი უშუალო ჩარევით კი ავიდა ტახტზე. ამის შესახებ „მეფეთა ცხოვრება“ მოგვითხრობს: ასფაგურის გარდაცვალების შემდეგ „შეკრბეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი მცხეთას ქალაქსა სპასპეტსა თანა... ზრახვა ყვეს... მაშინ თქუა მაეჟან სპასპეტმან: მოიკლა სპარსთაგან დიდი იგი მეფე სომხითისა, წაღებულ არს სომხითი... აღულია პირი სპარსთა მეფესა შთანთქმად ყოვლისა ქვეყნისა... აწ ესე არს განზრახვა ჩემი, რათა მივაგოთ წინა მეფესა სპარსთასა მორჩილება და ვითხოვოთ მისგან წყალობა. და ვითხოვოთ მისგან ძე მისი მეფედ

---

[1] ქართლის ცხოვრება. I. გვ. 58.
[2] იქვე. გვ. 62.
[3] იქვე.
[4] იქვე. გვ. 62-64.

ჩუენდა. და ვეკედროთ, რათა შერთოს ცოლად ძესა მისსა ასული მეფისა ჩუენისა ასფაგურისი. და ვითხოვოთ მისგან დამჭირვა სჯულისა ზედა მამათა ჩუენთასა... მაშინ დაემოწმნეს ყოველნი ერისთავნი ზრახვასა მაეჟან სპასპეტისასა და წარგზავნეს მოციქული წინაშე სპარსთა მეფისა".[1]

რამდენადაც ერისთავთა ეს თათბირი საგარეო პოლიტიკის საკითხებზე შემდგარა მირიანის გამეფების წინ, ე. ი. III ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში, ცხადია, აქ მოხსენიებული სპარსთა მეფე, რომელსაც ულაშქრია სომხეთში და რომელთან ბრძოლაშიც დაღუპულა ქართლის მეფე ასფაგური, შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ირანის შაჰი ნარსე (293-302).

ამრიგად, ქართველი მემატიანის ცნობით, ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკის წარმართვაში აქტიურად მონაწილეობდნენ ერისთავები, სპასპეტის (შიდა ქართლის ერისთავის, როგორც ჩანს, იმავე ქართლის პიტიახშის, ერისთავთა თავის, მეფის შემდგომ მეორე პირის) მეთაურობით. ისინი ღებულობენ გადაწყვეტილებას ირანთან დაზავებისა და დინასტიური უნიის განხორციელების შესახებ, აგზავნიან მოციქულს (ელჩს) დიპლომატიური მისიით ირანში.

მირიანის მეფობის დასაწყისში დამთავრდა ომი ირანსა და რომს შორის, რომელშიც ქართლი, როგორც ჩანს, იძულებით გამოდიოდა ირანის მოკავშირედ.[2] იმპერატორმა დიოკლიტიანემ (284-305) გაიმარჯვა ირანზე. რომსა და ირანს შორის 298 წელს დაიდო ნისიბინის საზავო ხელშეკრულება, რომლითაც ქართლზე და სომხეთზე აღდგა რომის პროტექტორატი, თუმცა კი, პეტრე პატრიკიოსის (VI ს.) ცნობით, დიოკლიტიანემ არ გამოიყენა ხელსაყრელი ვითარება სომხეთის შესაერთებლად და მიაღწია სპარსეთისაგან გარანტიას, ხელშეკრულების სახით, სომხეთის ცალკე სახელმწიფოდ შენარჩუნებაზე. მისივე ცნობით, ნისიბინის საზავო ხელშეკრულების თანახმად, ქართლის მეფეს რომაელებისაგან უნდა მიეღო სამეფო ნიშნები (ინსიგნიები).[3]

ამრიგად, III საუკუნეში ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია წარიმართა შემდეგნაირად:

1. III ს-ის პირველ ნახევარში ქართლის სამეფომ, ხელსაყრელ საგარეო ვითარებაში, საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის სწორი წარმართვით, შეინარჩუნა I-II საუკუნეებში მოპოვებული წარმატებები საგარეო პოლიტიკაში, კერძოდ:

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 62-63.
2 იქვე. გვ. 69.
3 Petros Patricius, Hist., 14.

ა. შეინარჩუნა ფაქტობრივი დამოუკიდებლობა რომის იმპერიისგან. რამდენადაც პართიის ადგილზე წარმოქმნილი სასანური ირანი ამ პერიოდში ვერ უქმნიდა უშუალო საფრთხეს ქართლს, ქართლის სამეფომ აიღო კურსი მასთან მოკავშირეობაზე რომის საპირისპიროდ და, ამ მიზნით, განახორციელა დიპლომატიური კონტაქტები ირანთან;

ბ. შეინარჩუნა ეგრისისა და ქართლის სახელმწიფოებრივი ერთიანობა, აგრეთვე — ეგრისის სამხრეთით მდებარე ტერიტორია, დასახლებული ზიდრიტთა ტომით (გასასვლელი შავ ზღვაზე);

გ. აღკვეთა ალან-ოსთა თავდასხმები და გაამაგრა სამეფოს ჩრდილოეთი საზღვარი.

2. III ს-ის 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში, ამაზასპის მეფობის ბოლო წლებში, როდესაც სასანურმა ირანმა (შაბურ I-ის დროს) დაიმორჩილა სომხეთი, ქართლის სამეფომ სცნო ირანის სიუზერენიტეტი და ამით, დიპლომატიური საშუალებებით, თავიდან აიცდინა ირანის აგრესია.

3. ირანისადმი ქართლის სამეფოს დაქვემდებარებამ გაამწვავა III ს-ის 60-იან წლებში მისი ურთიერთობა რომის იმპერიასთან. რომმა ხელი შეუწყო ქართლისაგან ეგრისისა და სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს გამოყოფას. ჩაიშალა საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის მცდელობა, ქართლის სამეფომ დაკარგა გასასვლელი შავ ზღვაზე.

4. ამაზასპის მეფობის შემდეგ, III ს-ის 60-80-იან წლებში, ირანმა განიცადა დამარცხებები რომაელებისაგან. ამით ისარგებლა ქართლის სამეფომ, უარყო ირანის სიუზერენიტეტი და დაუკავშირდა რომს; სომხეთთან ერთად მონაწილეობა მიიღო ირანის წინააღმდეგ წარმოებულ ომებში, რომაელთა მხარეზე.

5. III ს-ის 90-იან წლებში ირანის შაჰი ნარსე, სომხეთის დალაშქვრის შემდეგ, შემოიჭრა ქართლში. ქართლის მეფე ასფაგური ჯარის დასაჭრავებლად წავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც გარდაიცვალა. ქართლის ერისთავები, სპასპეტის მეთაურობით, დაუზავდნენ ირანის შაჰს და, მისი ჩარევით, გაამეფეს ფარნავაზიანთა გვერდითი შტოს წარმომადგენელი — რევის ძე მირიანი, რომელიც დააქორწინეს ასფაგურის ასულზე.

6. რომის იმპერატორმა დიოკლიტიანემ დაამარცხა ირანის შაჰი ნარსე, და 298 წელს მათ შორის დაიდო ნისიბინის ზავი, რომლითაც აღდგა რომის პროტექტორატი ქართლის სამეფოზე.

IV ს-დან საქართველოს ისტორიაში იწყება ქრისტიანული ეპოქა. ქრისტიანობის მიღება იყო არა მარტო რელიგიური ფაქტორი საქართველოს ისტორიაში — ეს მოასწავებდა გარდატეხას ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ქრისტიანო-

ბის მიღება დაკავშირებული იყო აგრეთვე ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთან, განაპირობებდა საქართველოს ურთიერთობას დასავლეთის ქრისტიანულ და აღმოსავლეთის არაქრისტიანულ სამყაროსთან, დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამპყრობლებთან.

იმის გასათვალისწინებლად, თუ რამ განაპირობა ქართლის გაქრისტიანება, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ამ მოვლენის დათარიღებას და, ამდენად, იმის გათვალისწინებას, თუ როგორი იყო ამ დროის ქართლის სამეფოს საერთაშორისო მდგომარეობა. აღნიშნულ თარიღზე აზრთა სხვადასხვაობა მერყეობს 317-357 წლებს შორის, მაგრამ ყველაზე მეტად არგუმენტირებულია ორი თარიღი: 330-იანი წლები (337) (ივ. ჯავახიშვილი)[1] და 355/56 წ. (კ. კეკელიძე).[2] ყველაზე ურყევი არგუმენტი პირველი თარიღის სასარგებლოდ (რის გამოც ის გაიზიარა მკვლევართა უმრავლესობამ) არის ის ფაქტი, რომ ყველა წყარო, როგორც ქართული, ისე უცხოური, ქართლის გაქრისტიანებას აღნიშნავს იმპერატორ კონსტანტინეს მეფობის ხანაში (306-337) და არა კონსტანცის მეფობის ხანაში (337-361), როგორც ამას ვარაუდობს კ. კეკელიძე (30-იანი წლების სასარგებლოდ არის აგრეთვე სხვა არგუმენტებიც).

IV ს-ის 30-იან წლებში ქართლი ექვემდებარებოდა რომის იმპერიას და, ამდენად, ბუნებრივი იქნება დავასკვნათ, რომ ამ ფაქტორმა მნიშვნელოვნად განაპირობა ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო რელიგიად ქართლის სამეფოში. თავის მხრივ, ქრისტიანობის მიღებამ კი განაპირობა შემდგომში ქართლის პოლიტიკური ორიენტაცია დასავლეთის ქრისტიანულ სამყაროზე.

ქრისტიანობის მიღების პოლიტიკური შინაარსი, რა თქმა უნდა, კარგად ჰქონდათ შეგნებული ქართლის, რომისა (ბიზანტიის) და ირანის სახელმწიფოს მესვეურებს და მემატიანეებს. IV ს-ის ბერძენი ავტორი გელასი კესარიელი გადმოგვცემს, რომ ქართლის მეფემ კონსტანტინე იმპერატორთან მოციქულები გაგზავნა, რათა ეცნობებინა მისთვის ქრისტიანობის მიღება და ეთხოვა ეპისკოპოსის გამოგზავნა. იგი აღნიშნავს: „სათნო და ქრისტეს მოყვარე კონსტანტინე მეფემ ისინი მეგობრულად მიიღო, რადგან უხაროდა უფლისათვის... ამავე დროს მას (კარგად) ესმის, რომ ეს არის ნიშანი ღმრთისა, რომელიც უცხო თესლთ უქვემდებარებს მათ".[3]

V ს-ის ბერძენი მწერალი რუფინუსი იმავე ფაქტს ასე გადმოგვცემს: „კონსტანტინემ დიდი სიხარულით და პატივით გაისტუმრა მოციქულე-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1951, გვ. 225-228.
[2] კ. კეკელიძე, ეტიუდები, III, გვ. 16.
[3] გეორგიკა, I, 1961, გვ. 193-194.

ბი; ის ამით უფრო მეტად იყო გახარებული, ვიდრე (მაშინ იქნებოდა, რომ) რომის იმპერიისთვის უცნობი სახელმწიფოები შეეერთებინა".[1]

ამრიგად, ბერძენი მემატიანეები თვლიდნენ, რომ ქართლის მიერ ქრისტიანობის მიღება მოასწავებდა მის დაქვემდებარებას რომის იმპერიისადმი.

ქართველი მემატიანეც — „მეფეთა ცხოვრების" ავტორი მიიჩნევს, რომ ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრება მოასწავებდა გარდატეხას რომის იმპერიასა და ქართლის სამეფოს შორის ურთიერთობაში. ის მოგვითხრობს, რომ იმპერატორმა კონსტანტინემ მირიანს, მისი გაქრისტიანების შემდეგ, უკან დაუბრუნა მძევლად წაყვანილი შვილი და მოსწერა წერილი: „ ვინათგან იცან შენ სამება ერთარსება, ღმერთი დაუსაბამო, დამბადებელი ყოვლისა, არღარა მიკვს მე შენგან მძევალი, არამედ კმა არს ჩვენ შორის შუამდგომლად ქრისტე, ძე ღმრთისა".[2]

ქართლში ქრისტიანობის მიღების პოლიტიკურ ასპექტთან დაკავშირებით გასარკვევია საკითხი: ქრისტიანობის მიღება განაპირობა ქართლის სამეფოს მიზანდასახულმა ორიენტაციამ ქრისტიანულ რომაულ სამყაროზე, თუ პირიქით: ქრისტიანობის მიღებას შედეგად მოჰყვა ქართლის ჩართვა ქრისტიანული სამყაროს ორბიტაში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართლის სამეფომ შეგნებულად აიღო ორიენტაცია რომზე (ბიზანტიაზე) საგარეო პოლიტიკაში და ამიტომაც მიიღო ქრისტიანობა, რადგან შორეული რომის იმპერია უფრო ნაკლებ საშიშროებას უქმნიდა მის დამოუკიდებლობას, ვიდრე ახლომდებარე ირანი.[3] ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქრისტიანობის მიღების დროს ქართლი უკვე დაქვემდებარებული იყო რომისადმი ნისიბინის საზავო ხელშეკრულების ძალით. ასე რომ, მას აღარ ჰქონდა თავისუფალი არჩევანის საშუალება საგარეო ორიენტაციაში. ამ პერიოდში ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო აღნიშნული ზავით. ამიტომ, უნდა დავასკვნათ, რომ ქართლში ქრისტიანობის მიღების ხელშემწყობი ფაქტორი იყო არა მხოლოდ საფრთხე ირანის მხრიდან, არამედ რომაელთა ბატონობა სომხეთსა და ქართლში.

მართლაც, თუ თვალს გავადევნებთ ქართლის მერყეობას მაზდეანობასა და ქრისტიანობას შორის III-V საუკუნეებში, დავინახავთ, რომ ამ ორი რელიგიიდან ქართლში სხვადასხვა დროს მძლავრობდა ის

გეორგიკა. I. 1961. გვ. 206-207.

2 ქართლის ცხოვრება, I. გვ. 128.

ს. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. შრომები. I, 1949. გვ.227.

რელიგია, რომლის აღმსარებელი იმპერიაც (ე. ი. ირანი თუ რომი) იმარჯვებდა ქართლსა და სომხეთში ბატონობისათვის ბრძოლაში:

1. III ს-ის 60-იანი წლებიდან, როდესაც შაბურ I-მა მოიპოვა წარმატება რომაელებთან ბრძოლაში, ქართლში მომძლავრდა ცეცხლთაყვანისმცემლობა. ირანის მოგვთა თავის კარტირის წარწერის ცნობით, ირანელებმა, იარაღის ძალით, გაავრცელეს მაზდეანობა სხვადასხვა ქვეყანაში (მათ შორის იბერიაშიც). ეს წარწერა „ზოროასტრის ქაბისა" გვამცნობს: „მე, კარტირმა, იმთავითვე ღმერთებისა და მეუფეთა სამსახურში და სულისა ჩემისა გამო, ბევრი შრომა და ტანჯვა განვიცადე. ჩემი წყალობით მრავალი ცეცხლნი და მოგვნი ირანის მთელ ქვეყანაში... გაიფურჩქნენ. და აგრეთვე არაირანის ქვეყნებში ცეცხლნი და მოგვნი... იქ, სადაც შაბურის მეფეთა-მეფის ცხენებმა და ხალხმა მიაღწიეს (აქ ჩამოთვლილია მცირე აზიის მხარეები)... ქვეყანა არმენია და იბერია და ალბანია..."[1] ამრიგად, შაბურ I-ის დროს ქართლში, სომხეთსა და ალბანეთში მაზდეანობა მომძლავრებულა. ქართლის მეფე ამაზასპიც, ალბათ, იძულებული იყო შერიგებოდა ამ ვითარებას, მემატიანის აღნიშვნა, რომ ამაზასპმა „შეიყვარნა სპარსნი", ალბათ, ცეცხლთაყვანისმცემლობის იძულებით შეწყნარებასაც გულისხმობს.

3. ნისიბინის 298 წლის ზავის შედეგად ქართლის დაქვემდებარებამ რომისადმი, სახელმწიფო რელიგიის საკითხი გადაწყვიტა ქრისტიანობის სასარგებლოდ, მაგრამ ცეცხლთაყვანისმცემლობა ქართლში მაინც ვერ აღმოფხვრა. ნინოს მოსვლის დროსაც კი, მას აქ, გარდა ქართული წარმართული კულტისა, თვით მცხეთაშიც, დახვდა ცეცხლთაყვანისმცემლობა.[2]

4. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდეგაც, საგარეო პოლიტიკური ვითარების შეცვლასთან ერთად ირანის სასარგებლოდ, ქართლში მომძლავრებას იწყებდა ზოროასტრიზმი, განსაკუთრებით ირანთან ახლომდებარე მხარეებში — კახეთსა და ჰერეთში, სადაც არქეოლოგებმა არაერთ მაზდეანურ ტაძარს მიაკვლიეს.

5. ჯუანშერის ცნობით, V ს-ის 20-იან წლებში ირანელების მიერ მირდატ მეფის შეპყრობის შემდეგ „დაიპყრეს ქართლი სპარსთა და განრყუნეს ეკლესიანი, და დამალეს ჯურები ქართველთა. და ყოველთა შინა ეკლესიათა ქართლისათა ცეცხლის-მსახურთა სპარსთა აღაგზნეს

---

1. ლომოური. ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბ., 1975. გვ. 37.
2. ქართლის ცხოვრება. I. გვ. 88.

ცეცხლი".[1] „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობით, ამ პერიოდში „მოგუნი მოგუთას მოგუობდეს ცეცხლისა მსახურებასა ზედა".[2]

6. ლაზარე ფარპეცის ცნობით, V ს-ის 40-იან წლებში ირანის შაჰმა იეზდიგერდ II-მ (438-457) ქართლსა და სომხეთში გამოგზავნა მოგვები, რათა მათ აქ აღმოეფხვრათ ქრისტიანობა და გაევრცელებინათ მაზდეანობა.[3]

7. ვახტანგ გორგასლის მეფობის დასაწყისში რანის ირანელმა გამგებელმა ბარ'ზაბოდმა (ვახტანგის პაპამ დედის მხრიდან) „წარმოგზავნა ცეცხლისმსახურნი მცხეთას და მათ ზედა ეპისკოპოსად ბინქარან, და დასხდის მოგუთას... ბინქარან ეპისკოპოსი ცეცხლის-მსახურთა ასწავებდა სჯულსა თ'ესსა... და შეერია ქართლს წურილსა ერსა ცეცხლის-მსახურება. ამისთ'ს მწუხარე იყო საგდუხტ დედოფალი, არამედ მძლავრებისაგან სპარსთასა ვერას იკადრებდა".[4]

8. ვახტანგ გორგასალი გარკვეულ პერიოდში იძულებული იყო შერიგებოდა მაზდეანობის მომძლავრებას ქართლში და მოგვთა თავს დიპლომატიური მისიითაც კი აგზავნის ირანის შაჰთან.[5] მაგრამ როდესაც ის აუჯანყდა ირანს, დააპატიმრა ბინქარანი და გაანადგურა მაზდეანური სამლოცველოები.[6]

9. ასევე განაპირობებდა საგარეო პოლიტიკური ვითარება ამა თუ იმ ქრისტიანული აღმსარებლობის დამკვიდრებას ამიერკავკასიის ქვეყნებში: ის, რომ სომხეთში დამკვიდრდა მონოფიზიტური მრწამსი, ხოლო ქართლში — დიოფიზიტური, აიხსნება აგრეთვე გარეშე ძალის ზეგავლენით: სომხეთში ირანის შაჰის ხოსრო II-ის ბრძანებით მოწვეულმა საეკლესიო კრებამ დაადგინა მონოფიზიტური მრწამსის სავალდებულო აღიარება ირანის ქვეშევრდომ ქრისტიანულ ქვეყნებში.[7]

ამრიგად, ამა თუ იმ რელიგიის დამკვიდრებაში ქართლში (ისევე როგორც სომხეთსა და ალბანეთში) გადამწყვეტ როლს თამაშობდა გარეშე ძალა. ამიტომ, IV ს-ის 30-იან წლებში ქრისტიანობის დამკვიდრება ქართლში მართლაც მოასწავებდა პრორომაულ კურსს საგარეო პოლიტიკაში, მაგრამ ამ კურსის მიღება განაპირობა არა იმან, რომ ირანი მეტ საფრთხეს უქმნიდა ქართლს, ვიდრე რომი, არამედ იმან, რომ ამ პერიოდში ქართლი ექვემდებარებოდა რომის იმპერიას.

ქართლის ცხოვრება, I, გვ. 139.

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 92.

ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 218.

[4] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 145.

[5] იქვე, გვ. 158.

[6] იქვე, გვ. 178-179.

ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, თბ., 1968, გვ. 196-198.

ქრისტიანობის მიღება საქართველოში, ბუნებრივია, განაპირობა არა მარტო საგარეო ფაქტორმა, არამედ ქვეყნის სოციალურმა და შინაპოლიტიკურმა ვითარებამაც,[1] აგრეთვე, ქართველი ხალხის სულიერი კულტურის განვითარების დონემ, რასაც უფრო შეესატყვისებოდა ისეთი მაღალგანვითარებული წიგნიერი რელიგია, როგორიცაა ქრისტიანობა, ვიდრე ცეცხლთაყვანისმცემლობა. სწორედ ამიტომ, თუ მაზდეანობის დასანერგავად ქართლში ირანი მიმართავდა რეპრესიულ ზომებს, ანდა იყენებდა ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალებს (ვარსქენ პიტიახშის მსგავსებს), რომს ასეთი ღონისძიებები არ სჭირდებოდა ქართლში — აქ ნიადაგი ქრისტიანობის მისაღებად მზად იყო.

ქრისტიანობის მიღებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსი შუა საუკუნეებში. ეს იყო კურსი დასავლეთის ქრისტიანულ სამყაროზე და დაპირისპირება აღმოსავლეთის არაქრისტიანულ (ჯერ მაზდეანურ, ხოლო შემდეგ — მაჰმადიანურ) სამყაროსთან. მიუხედავად ამისა, დასავლეთის ქრისტიანული იმპერიები (რომი, ბიზანტია) ხშირად არანაკლებ საფრთხეს უქმნიდნენ შუა საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და თვით არსებობასაც კი, ვიდრე არაქრისტიანული აღმოსავლელი დამპყრობლები. ამიტომ საქართველოს XV ს-მდე უხდებოდა ლავირება საგარეო პოლიტიკაში ქრისტიანულ და არაქრისტიანულ დამპყრობლებს შორის. XV ს-დან კი, როდესაც საქართველოს ირგვლივ შეიკრა მუსლიმანურ სახელმწიფოთა რკალი და ქვეყანა მოსწყდა ქრისტიანულ დასავლეთს, საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა ამ რკალის გარღვევას ქრისტიანული დასავლეთის დახმარებით.

ასეთი იყო ქრისტიანული რელიგიის ადგილი შუა საუკუნეების საგარეო პოლიტიკაში.

IV ს-ის პირველ ნახევარში ქართლის სამეფოს საგარეო მდგომარეობა სტაბილური იყო: ნისიბინის 298 წლის საზავო ხელშეკრულებით, რომელიც არ დარღვეულა 338 წლამდე, ქართლი რომისადმი დაქვემდებარებული ქვეყანა იყო. რომი კმაყოფილდებოდა ქართლის ფორმალური მორჩილებით და არ ერეოდა მის შინაურ საქმეებში. ირანი, ჯერ ჰორმიზდ II-ის (302-309) კარზე შინააშლილობის, ხოლო შემდეგ შაბურ II-ის (309-379) მცირეწლოვანების პერიოდში, აქტიურ საგარეო პოლიტიკას ვერ წარმართავდა და ვერ უქმნიდა საფრთხეს სომხეთსა და ქართლს. ქართლისა და სომხეთის რომისადმი დაქვემდებარებამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელი შეუწყო ამ ქვეყნებში ქრისტიანობის სა-

---

1 ს. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე: შრომები, I, 1949, გვ. 212-235.

ხელმწიფო რელიგიად აღიარებას. ამან კი, თავის მხრივ, განაპირობა ამ ქვეყნების და განსაკუთრებით კი ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკაში პრორომაული და ანტიირანული კურსის დამკვიდრება.

რაც შეეხება ამ პერიოდში ქართლის სამეფოს ურთიერთობას ჩრდილო კავკასიის მთიელ ტომებთან, მირიან მეფე, სამეფოს ჩრდილოეთი საზღვრების გასამაგრებლად, აწყობდა წარმატებულ ლაშქრობებს ლეკთა, დიდოთა, დურძუკთა წინააღმდეგ („მეფეთა ცხოვრება" ასახელებს კიდევ მირიანის ლაშქრობებს ხაზართა წინააღმდეგ,[1] რაც, ცხადია, ანაქრონიზმია. აქ ხაზარებში იგულისხმება ჩრდილოკავკასიელი ტომები საერთოდ).

მირიანის მეფობის მეორე ნახევარში, კონსტანტინე იმპერატორის გარდაცვალების (337 წ.) შემდეგ, დაირღვა მშვიდობა რომსა და ირანს შორის და დაიწყო 25-წლიანი ომი (338-363). შაბურ II-მ დაიწყო შეტევა რომაელთა წინააღმდეგ ჯერ მესოპოტამიაში, ხოლო შემდეგ — ამიერკავკასიაში. ქართლის სამეფო, როგორც ჩანს, ფრთხილობდა და არ მონაწილეობდა ომში. IV ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი ამიანე მარცელინე გვაწვდის ცნობებს ამ ომზე, საიდანაც ირკვევა, რომ ამ პერიოდში ქართლის სამეფო ფორმალურად ისევ რომის მოკავშირე იყო, მაგრამ რომაელები არ იყვნენ დარწმუნებულნი მის ერთგულებაში. ჩანდა, რომ ქართლი იმოქმედებდა თავისი ინტერესების შესაბამისად, ვითარების მიხედვით და თუ მისთვის ხელსაყრელი იქნებოდა, შეიძლება ირანს მიმხრობოდა კიდეც. ამიანე მარცელინე გვამცნობს, რომ 360 წელს, როცა რომაელები მოელოდნენ ირანის შემოტევას, „ ყველაზე უფრო მეტად მოქრთამულ იქნენ არშაკი და მერიბანი (იგივე მირიანი, — ნ. შ.), არმენიისა და იბერიის მეფეები, ბრწყინვალედ შემკული სამოსით და მრავალნაირი საჩუქრებით, რადგან, თუ მაშინდელ საეკვო ვითარებაში სპარსელებს მიუდგებოდნენ, ავნებდნენ რომის საქმეებს".[2] აღნიშნული 25-წლიანი ომი ირანის უპირატესობით წარიმართა და, 363 წელს დადებული საზავო ხელშეკრულებით რომაელებმა სომხეთი ფაქტობრივად დაუთმეს ირანს. ამ ხელშეკრულების თანახმად რომაელები არ უნდა ჩარეულიყვნენ სომხეთის საქმეებში და არ უნდა გაეწიათ მისთვის დახმარება ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში.[3] ამას მოჰყვა ირანის ლაშქრის შეჭრა სომხეთში 364 წელს. აშკარა იყო, რომ ირანელები სომხეთში არ შეჩერდებოდნენ და ქართლსაც დალაშქრავდნენ. ამიტომ, მოვსეს ხორენაცის ცნობით, ქართველები დაეხმარნენ სომხეთის

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 67-69.
2 გეორგიკა, I, გვ. 101-102.
საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, 1973, გვ. 78.

მეფეს არშაკ II-ს (345-367). ქართველები და სომხები დამარცხდნენ. ირანელებმა დაატყვევეს არშაკი და სიკვდილით დასაჯეს.[1] ამიანე მარცელინეს ცნობით, 368 წელს ირანელები შეიჭრნენ ქართლში, გადააყენეს მეფე საურმაგი და გაამეფეს ასფაგური (იგივე „მეფეთა ცხოვრებაში“ მოხსენიებული ვარაზ-ბაქარი, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ვარაზ-ბაკური). რომაელების ჩარევის შედეგად საურმაგმა და ვარაზ-ბაკურმა ქართლი გაიყვეს: მტკვრის სამხრეთით მდებარე ტერიტორია მიეკუთვნა საურმაგს, ხოლო მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე — ვარაზ-ბაკურს.[2] ირანის აგრესია ამის შემდეგაც გაგრძელდა და 70-იან წლებში ქართლში დამყარდა ირანის ბატონობა. ქართლში მოვიდა ირანის მოხელე ჭრამ-ხუარ-ბორზარდი და დააკისრა ქვეყანას ხარკი.[3]

„მეფეთა ცხოვრება“ ვარაზ-ბაქარს უარყოფითად ახასიათებს, რადგანაც ის ექვემდებარებოდა სპარსელებს და მათი ბრძანებით ცდილობდა ქრისტიანობის შეცვლას ცეცხლთაყვანისმცემლობით: „ესე ვარაზ-ბაქარ მეფე იყო კაცი ურწმუნო და მოძულე სჯულისა... არა სადა აღაშენა ეკლესია, არცა მატა შენებულთა და ყოვლითავე იქცეოდა უსჯულოდ“.[4]

ქართლში ირანის ბატონობას მოჰყვა ის, რომ რომაელებმა ჩამოაცილეს მას სამხრეთ-დასავლეთი საქართველო: „ამისა შემდგომად განდგეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა. და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღუთაგან არსიანთამდე“. — გვამცნობს „მეფეთა ცხოვრება“.[5]

IV ს-ის 80-იან წლებში ირანი ახალ წარმატებას აღწევს სომხეთში: ფავსტოს ბუზანდის ცნობით, ამ პერიოდში სომხეთში გამწვავდა უთანხმოება მეფესა და წარჩინებულებს შორის. ბევრი სატრაპი განუდგა მეფეს და ეძებდა მხარდაჭერას სპარსელებთან. შაბურ III-მ (383-388) გაგზავნა სომხეთში ჯარი. საქმეში ჩაერია რომაელთა ჯარიც, მაგრამ საქმე ბრძოლამდე არ მისულა. მოხდა დაზავება და ორივე სახელმწიფომ დაიწყო მოლაპარაკება სომხეთის გასაყოფად. მოლაპარაკება გაგრძელდა რამდენიმე წელიწადს. 387 წელს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც სომხეთი გაყოფილ იქნა ორ ნაწილად, ირანს ერგო სომხეთის ტერიტორიის 4/5, ხოლო დანარჩენი — რომს. ამრიგად, შეიქმნა ორი სომხური სამეფო: დიდი სამეფო, რომელიც აღიარებდა ირანის უზენაესობას და მცირე სამეფო, რომელიც იმყოფებოდა რომის პროტექტორატის ქვეშ. შემდგომში მცირე სომხეთი შეუერთდა რომის

გეორგიკა. I. გვ. 124-125.

2 იქვე. გვ. 130.

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. გვ. 92.

ქართლის ცხოვრება. I. გვ. 135-136.

იქვე. გვ 136-137.

იმპერიას.[1] ამრიგად, ირანი მტკიცედ დამკვიდრდა საქართველოს მეზობელ სომხეთში IV ს-ის ბოლოს და აპირებდა მის გადაქცევას ირანის პროვინციად. ამას ირანმა მიაღწია 428 წელს, როდესაც გადააყენა სომხეთის უკანასკნელი მეფე არტაშესი და გააუქმა სომხეთის სამეფო. აშკარა იყო, რომ იგივე საფრთხე ირანის მხრიდან, ე. ი. სახელმწიფოებრიობის დაკარგვა, ემუქრებოდა ქართლის სამეფოსაც.

ამრიგად, IV ს-ის მეორე ნახევარში და განსაკუთრებით V ს-ის პირველ ნახევარში ირანმა მოსპობის რეალური საფრთხე შეუქმნა ქართლის სამეფოს, ხოლო რომის იმპერიამ ჩამოაშორა მას სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მხარეები.

ქართლის სამეფო ცდილობდა ამ ორი აგრესორის მოგერიებას, როგორც დიპლომატიური, ისე სამხედრო საშუალებებით. IV ს-ის ბოლოს ქართლის მეფემ ფარსმანმა, „მეფეთა ცხოვრების" ცნობით, ხარკი შეუწყვიტა ირანს: „განდგა (ირანისაგან ფარსმანი) და აღარ მისცა სპარსთა ხარკი. და განაახლნა ეკლესიანი ყოველსა ქართლსა შინა".[2] ამავე დროს, პეტრე იბერის ცხოვრების ცნობით, ის ბიზანტიელებსაც ებრძოდა.[3]

ასევე, V ს-ის 20-იან წლებში, ქართლის მეფე მირდატი ებრძოდა ირანსაც და ბიზანტიასაც: „ბერძენთაგან ეძიებდა კლარჯეთს, საზღვარსა ქართლისასა, ხოლო სპარსთა არა მისცემდა ხარკს" — გვამცნობს „მეფეთა ცხოვრება".[4] ამ ბრძოლის დროს სპარსელებს დაუტყვევებიათ მირდატი, რომელიც ტყვეობაში გარდაიცვალა.[5]

განსაკუთრებით დამძიმდა ქართლის სამეფოს მდგომარეობა V ს-ის 40-იან წლებში, როდესაც ირანის შაჰმა იეზდიგერდ II-მ (438-457) გააძლიერა შეტევა ამიერკავკასიის ქვეყნებზე, რათა გაეუქმებინა სამეფო ხელისუფლება ქართლსა და ალბანეთში, ისევე, როგორც გააუქმა ირანმა მეფობა სომხეთში 428 წელს. ამ მიზნის მისაღწევად საფუძვლის მომზადება შაჰმა ტრადიციულად დაიწყო ქრისტიანობაზე შეტევით: დაიბარა თავისთან ქართლის, სომხეთის და ალბანეთის წარჩინებულები და უბრძანა მაზდეანობის მიღება. ამასთანავე მან გამოგზავნა მოგვების მრავალრიცხოვანი კრებული ამ ქვეყნებში მაზდეანობის დასამკვიდრებლად.[6] მართალია, შაჰმა ვერ შეძლო ქრისტიანობის აღმოფხვრა ამიერ-

---

1 მ. შოშიაშვილი, სასანიდური ირანის ბეჭდები ევროპის კოლექციებში: „საქართველო და ევროპის ქვეყნები", V, 1991, გვ. 163-164.
2 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 138.
3 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 82.
4 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 138.
5 იქვე, გვ. 139.
6 ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 218.

კავკასიის ქვეყნებში, მაგრამ განამტკიცა აქ ირანის ბატონობა და მოამზადა საფუძველი ქართლსა და ალბანეთში მეფობის გასაუქმებლად და მათი ირანის პროვინციებად გადასაქცევად.

ალბანეთში მეფობა გააუქმა შაჰ პეროზმა (459-484) 463 წელს, ქართლი კი მტკიცედ დაუდგა ირანს ვახტანგ გორგასლის მეთაურობით და შეინარჩუნა თავისი სახელმწიფოებრიობა VI ს-ის 30-იან წლებამდე.

2. ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკა V საუკუნის II ნახევარში

ვახტანგ გორგასლის დიპლომატია

V საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის სამეფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა სასანიანთა ირანთან ურთიერთობა იყო. ამ დროს ქართლის სამეფო ტახტი ვახტანგ I გორგასალს ეკავა.[1]

V ს. 40-იან წლებში, როდესაც სავარაუდოა ვახტანგის მამის, მეფე მირდატის გარდაცვალება და ვახტანგის გამეფება, ქართლის სამეფო ირანის ვასალი იყო. ამ დროიდან ქართლის ისტორიაში იწყება ახალი, უაღრესად მძიმე ეტაპი. შაჰმა იეზდიგერდ II-მ (438-457) აღმოსავლეთ ამიერკავკასიის (ქართლი, სომხეთი, ალბანეთი) ქრისტიანი ქვეყნების მიმართ აქტიური აგრესიული პოლიტიკის გატარება დაიწყო, რომლის მიზანი მათი დამოუკიდებლობის მოსპობა და ირანის პროვინციებად გადაქცევა იყო. ამისათვის ირანის ხელისუფლებამ ახალი საგადასახადო სისტემა შემოიღო, ქვეყანას მძიმე სამხედრო ბეგარა დააკისრა და ქრისტიანული რელიგიის მაზდეანურით შეცვლა განიზრახა. დასახული მიზნის მისაღწევად სასანიანთა ხელისუფლება ქართლში არსებული შინაგანი წინააღმდეგობებითაც სარგებლობდა — აქ მიმდინარეობდა საკმაოდ დაძაბული ბრძოლა მეფესა და დიდგვაროვან ფეოდალებს შორის და შაჰი იყენებდა მეფის ხელისუფლებით უკმაყოფილო ფეოდალებს. ამავე ხანებში არსებობდა დაპირისპირება სხვადასხვა ქრისტიანულ მიმდინარეობათა შორის. ორთოდოქსულ ეკლესიას, რომელსაც კონსტანტინოპოლი მფარველობდა, დიდი ოპოზიცია ჰყავდა საკუთრივ ქართლში.

---

[1] თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ცნობილია, არ არსებობს აზრთა ერთიანობა ვახტანგ I-ის დაბადების, გამეფებისა და გარდაცვალების თარიღების შესახებ, რაც არსებულ წერილობით (ქართულ და უცხოურ) წყაროთა მონაცემების სიმწირითა და წინააღმდეგობრივი ხასიათით აიხსნება. მკვლევარნი მის მეფობას ძირითადად V ს-ის 40-იანი წლებიდან VI ს-ის დასაწყისამდე ვარაუდობენ. მეფე ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის ქრონოლოგიასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა იხ. ვახტანგ გოილაძე. ფარნავაზიანთა სახლის მეფეთა ქრონოლოგია, თბ., 1990, გვ. 55-57, 126-133.

ირანი მხარს უჭერდა ანტიქალკედონური (ანტიორთოდოქსული) აღსარების მომხრე საეკლესიო მოღვაწეებს, რითაც ეკლესიაშიც იჩენდა დასაყრდენს. ყოველივე ეს ორგანულად იყო დაკავშირებული იმ ბრძოლასთან, რომელიც მიმდინარეობდა სასანიანთა ირანსა და ბიზანტიის იმპერიას შორის მახლობელ აღმოსავლეთში და საკუთრივ ქართლში ბატონობისათვის.[1] ასეთ დროს მეფობდა საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, დიდი მხედართმთავარი და დახვეწილი დიპლომატი ვახტანგ I.

როდესაც გარდაიცვალა ქართლის მეფე მირდატი, დაქერივებულმა დედოფალმა, რომელიც ბარდავში მჯდომი ირანის დიდმოხელის, ბარზაბოდის ასული იყო, დიდი მისია იკისრა.[2] ის მამას ეახლა „და ითხოვდა მისგან შეწყალებასა და არა ხსენებასა ნაჭმართა მამამთილისა და ჭრისა მისისათა[3] და შენდობასა დატეეებისათჳს სჯულისა.[4] და ეეედრებოდა, რათა არა აიძულოს დატეეება ქრისტეს სჯულისა, რამეთუ იგი არს ღმერთი ჭეშმარიტი და ეეედრებოდა, რათა იპყრას შვილი მისი მამულ-

---

1 იხ. ს. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. — შრომები. I. თბ., 1949. გვ. 268-296; ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1962. გვ. 109 და შემდეგ მისივე. ბრძოლა ირანის აგრესიის წინააღმდეგ ქართლში IV ს-ის მეორე ნახევრისა და V ს-ის პირველ ნახევარში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. II. თბილისი. 1973. გვ. 84-89.
ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა ამ დროს ბარდავში მჯდომი ირანელი მოხელის სტატუსის შესახებ. ს. კაკაბაძე თვლის, რომ დედოფალ საგდუხტის მამა, — „რანის ერისთავი" — იყო „ჩრდილოეთის პროვინციების დიდი მარზპანი", იგივე „პადოსპანი", რომელსაც სპარსეთის მონარქიის ჩრდილოეთი პროვინციები ემორჩილებოდა. ს. კაკაბაძე. ვახტანგ გორგასალი. თბ., 1954. გვ. 12-13; ლ. ჯანაშია არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ, რადგან რეფორმა, რომლითაც ირანი ოთხ საგამგებლო ერთეულად დაიყო, „რომელთაგან ერთი იყო ჩრდილოეთის, ანუ კავკასიის ქუსტაკი", მოხდა ბევრად უფრო გვიან. ხოსრო ანუშირვანის (531-579) დროს. ბარზაბოდის ხელისუფლება არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც „ჩრდილოეთის პროვინციების დიდი მარზპანი". ლ.-ნ. ჯანაშია. ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ. გვ. 107-108. მაგრამ, როგორც ცნობილია, აღმოსავლური საისტორიო ტრადიცია თითქმის ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებას, რაც ხოსრო ანუშირვანის წინ, ან მის შემდეგ გატარდა, როგორც წესი, ანუშირვანის სახელთან აკავშირებს. შესაძლებელია, ეს ადმინისტრაციული რეფორმა, მართლაც, ხოსრო ანუშირვანმა (531-579) გაატარა, მაგრამ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასეთი რეფორმები ხშირად იმის დაკანონებას ახდენდნენ, რაც ცხოვრებაში უკვე პრაქტიკულად არსებობდა. ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ IV-V სს. მოვლენებთან დაკავშირებით, წყაროებში იხსენიებიან შაჰის მოხელეები, რომელთაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნებზე ერთდროულად მიუწვდებოდათ ხელი. ამდენად, V ს-ის 40-იან წლებში აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ერთი გამგებლისადმი დაქვემდებარება სასანიანთა ხელისუფლების მიერ შეუძლებლად არ მიგვაჩნია. იხ. მ. ლორთქიფანიძე. ქართლი V ს-ის მეორე ნახევარში. თბ., 1979. გვ. 36-37.
მხედველობაშია ქართლის ბრძოლა ირანელთა წინააღმდეგ.
ქართლის დედოფლად გახდომისას საგდუხტმა ქრისტიანობა მიიღო.

სა შინა მისსა, და მოურავ ექმნეს იგი სპარსთა მეფის წინაშე".[1] ჩანს, იმ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც მაშინ მახლობელ აღმოსავლეთში არსებობდა ირანსა და ბიზანტიას შორის დაპირისპირების პირობებში, სასანიანთა ხელისუფლებამ არ ჩათვალა მიზანშეწონილად ქართლში მდგომარეობის გართულება და ბარზაბოდმა, რომელიც, ჩვენი ისტორიკოსის თქმით, „განმზადებულ იყო ბოროტის ყოფად ქართველთათ:ს, შეიწყალა ასული თ:სი".[2] მართალია, მას ქრისტიანობისათვის ძალით არ შეუტევია და მისი უარყოფა არ მოუთხოვია, მაგრამ საკმაოდ მძიმე პირობა წამოაყენა: ქართლში ქრისტიანობასთან ერთად ცეცხლმსახურება კანონით დაშვებული რელიგია ყოფილიყო, „და ვინცა ქართველი ნებითა თ:სითა აღირჩევდეს სჯულსა ჩუენსა ნუ აყენებთ". დედოფალი იძულებული იყო დათანხმებულიყო და „ბარზაბოდ წარმოგზავნა ცეცხლის-მსახურნი მცხეთას და მათ ზედა ეპისკოპოსად ბინქარან, და დასხდეს მოგუთას".[3] მართალია, ჩვენი ისტორიკოსის თქმით, წარჩინებულთაგან არავინ უღალატა ქრისტიანობას, მაგრამ „წურილი ერი მიიქცა მრავალი ცეცხლის მსახურებასა და შეერია ქართლს წურილსა ერსა ცეცხლის მსახურება".[4] ქართლის იმდროინდელი ხელისუფლება „მძლავრებისაგან სპარსთასა" ამას ვერ შეებრძოლებოდა. ქართველთათვის ქრისტიანობის დაცვის ერთადერთი გზა საკუთარი რწმენის სათანადო პროპაგანდა იყო.[5] მაზდეანობის გავრცელების ცდამ საბოლოოდ მაინც მარცხი განიცადა.

ჯუანშერ ჯუანშერიანი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. ტ. I, თბ., 1955, გვ. 144.

იქვე.

იქვე. გვ. 144-145.

იქვე. გვ. 145. მიუხედავად ისტორიკოსის ამ განცხადებისა, ამდროინდელ ქართლში წარჩინებულთაგან რჯულის შეცვლის ფაქტებიც არის ცნობილი. აქვე უნდა შევნიშნოთ: როგორც ცნობილია, ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა ისტორიკოს ჯუანშერის მოღვაწეობის პერიოდის, მეფე ვახტანგის „ცხოვრების" ავტორისა და სხვა საკითხთა შესახებ. აგრეთვე აზრთა სხვადასხვაობაა „ქართლის ცხოვრების" კრებულში შესული ამ თხზულების ცნობების სანდოობის შესახებ (მხედველობაში გვაქვს. პირველ რიგში, ივ. ჯავახიშვილის შეფასება, იხ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად. ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 189-194. მაგრამ ზოგი ახალი უცხოური წყაროს დამოწმება, თუ ზოგი წერილობითი წყაროს ახლებური ინტერპრეტაცია, რიგი ახალი არქეოლოგიური აღმოჩენებისა სარწმუნოს ხდის ამ თხზულებაში მოთხრობილ მრავალ მოვლენას, რაც უფლებას იძლევა. მეტი ნდობით მოვეკყროთ მათ (იხ. მ. ლორთქიფანიძე. სტატია „რედაქტორისაგან" ივ. ჯავახიშვილის ზემოთ დასახელებული 12 ტომეულის VIII ტომში. გვ. 13, მისივე. ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში. გვ. 11-13).

ლ.-ნ. ჯანაშია. ბრძოლა ირანის აგრესიის წინააღმდეგ ქართლში IV საუკუნის მეორე ნახევარსა და V საუკუნის პირველ ნახევარში. სინ., II, გვ. 89.

ირანელთა სამხედრო ბეგარა ასუსტებდა ქვეყანას. მოსახლეობის საუკეთესო ნამატი სასანიანთა მიერ წარმოებულ დიდ დაპყრობით ომებში იღუპებოდა დღევანდელი შუა აზიისა და ავღანეთის მიწაზე.

სასანიანთა მკაცრმა პოლიტიკამ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნებში საპასუხო მოქმედება გამოიწვია: 450 წელს სომხეთსა და ალბანეთში აჯანყება დაიწყო, რომელიც 451 წელს დამარცხდა. როგორც ცნობილია, ქართლს ამ აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია. რატომ? ერთნიშნა პასუხი ამ კითხვაზე არ არის. შესაძლოა, წინამძღოლი არშუაშა პიტიახში (ვარსქენის მამა) ჯერ კიდევ შაჰთან იყო; ვახტანგი ან მცირეწლოვანია, ან ირანშია და სამხედრო ბეგარას იხდის; ან კიდევ ქართლის ხელმძღვანელმა წრეებმა არ ჩათვალეს შესაძლებლად აჯანყება, რადგან კარგად ესმოდათ, რომ ვერ გაიმარჯვებდნენ. ბიზანტიის მხრივ დახმარების იმედი, ჩანს, არ იყო. სომეხთა აჯანყების მეთაური, ბრძოლაში დაღუპული ვარდან მამიკონიანი გმირად იქნა აღიარებული, ხოლო სომხეთის მარზპანი ვასაკ სიუნი (სივნიელი), რომელიც მალე გადაუდგა აჯანყებას, რადგან გამარჯვების იმედი არ ჰქონდა და რომელმაც V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის, ეღიშეს ცნობით, „დაარღვია ერთიანობა ქართლის ქვეყნისა სომხეთთან", ისტორიაში მოღალატის სახელით შევიდა. იქნებ მას კარგად ესმოდა, რომ ეს ბრძოლა განწირული იყო და ზედმეტ მსხვერპლს მოერიდა?

უდავოა, რომ ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი აპირებდა ირანელთა უღლისაგან ქართლის სამეფოს განთავისუფლებას, ან არსებული მძიმე პირობების შემსუბუქებას. ამისათვის ის საფუძვლიანად ემზადებოდა. მან კარგად იცოდა, თუ რა ძალა ჰქონდა ირანს და რა შესაძლებლობა — ქართლს. მართალია, მეფე ვახტანგი განუხრელად იცავდა ქრისტიანობის პოზიციებს, რაც თავისთავად განსაზღვრავდა მის დამოკიდებულებას ბიზანტიის იმპერიისადმი, მაგრამ მან, ალბათ, ისიც კარგად იცოდა, რომ იმპერიის დიდი იმედი არ უნდა ჰქონოდა და ამიტომ ყველაზე სწორი გზა აირჩია — ირანის მიმართ ნაკისრი ყველა ვალდებულების პირნათლად შესრულება, ირანის დახმარებით ზრუნვა სამეფოს გასაძლიერებლად, ზრუნვა სამეფოს საზღვრების გაფართოებაზე, თავდაცვის სისტემის შექმნაზე, ხელისუფლების ცენტრალიზაციაზე, სახელმწიფოსა და ეკლესიის ინტერესთა გაერთიანებაზე...

სასანიანთა ირანის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ამ დროს მომთაბარეთა შემოსევებისაგან თავდასაცავად ჩრდილო კავკასიის ზეკარების გამაგრება იყო. ქართლის სამეფოს საზღვრებში რამდენიმე ასეთი „ზეკარი" და მათ შორის უმთავრესი დარიალის ხეობა იყო. საერთოდ, ჩრდილო კავკასიის გასასვლელების გამაგრებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამიერკავკასიის ქვეყნებსა და ირან-ბიზანტიას შორის ურთიერ-

თობაში. ეს ორი აგრესორი იძულებული იყო, ეზრუნა ჩრდილოკავკასიელ მომთაბარეთაგან საერთო თავდაცვის საშუალებებზე.

V ს-ის შუა წლებში ჩრდილო კავკასიის მომთაბარე ტომები, რომელთა უმრავლესობას, ჩანს, ოსები შეადგენდნენ, ქართლში შემოიჭრნენ. მათ დაარბიეს ქართლი და დიდი რაოდენობის ალაფითა და ტყვეებით დატვირთული გაბრუნდნენ უკან. ტყვეთა შორის მეფის დაც იყო.[1] ქართული წყაროს ამ ცნობას (ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარეთა შემოჭრის შესახებ ამ პრიოდში) V ს-ის ბიზანტიელი დიპლომატი პრისკე პანიონელიც ადასტურებს, რომელიც ჰუნ-სარაგურთა მიერ ქართლისა და სომხეთის დარბევაზე მოგვითხრობს.[2]

ირანის შაჰი პეროზ II (459-484) ამ დროს შუა აზიაში ჰეფთალებს ებრძოდა და საპასუხო მოქმედების საშუალება არ ჰქონდა. პეროზმა ბიზანტია-ირანს შორის არსებული იმ ხელშეკრულების ძალით, რომელიც ირანს კავკასიის გასასვლელების სამხედრო გარნიზონებით გამაგრებას, ხოლო ბიზანტიას ირანისათვის სუბსიდიის მიცემას ავალდებულებდა, იმპერიას ფულით ან ჯარით დახმარება მოსთხოვა, მაგრამ იმპერატორმა ლეონ I-მა (457-474) შაჰს უარი უთხრა.

ჩანს, ვახტანგ გორგასალი ამ დროს ირანშია და ქართლს პატრონი არა ჰყავს. იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებზე მძიმე ომში ჩაბმული შაჰი პეროზი ვერ იცავს კავკასიის გასასვლელებს.

ჯუანშერის აზრით, ოსთათვის პასუხის გაცემა ვახტანგს მართებს.

ირანიდან დაბრუნების შემდეგ მეფე ჩრდილოეთ კავკასიაში სალაშქროდ ემზადება. მომთაბარეებმა, მართალია, ქართლი დაარბიეს, მაგრამ იურიდიულად ეს სასანიანთა სამფლობელოა და ოსთა აქცია ირანელთა უფლებების ხელყოფას ნიშნავს.

ქართლის მეფემ დახმარება სთხოვა ირანის მოხელეს და მას ამიერკავკასიაში განლაგებული ირანული სამხედრო ძალა მოუვიდა. ვახტანგმა კავშირი დაამყარა კავკასიის მთიანეთის მცხოვრებლებთან და „ამიერთნეს ყოველნი მეფენი კავკასიანნი“. ლაშქრობა დიდი წარმატებით დასრულდა. ქართლის მეფემ გაამაგრა დარიალის კარი (ფორმალურად ეს ირანის ჩრდილო სასაზღვრო ციხეა, ფაქტობრივად კი ქართლის სიმაგრე), სამეფოს ჩრდილო საზღვარი, დაიმორჩილა კავკასიის მთიანეთი და გაავრცელა იქ ქართლის გავლენა. ჩრდილოეთ კავკასიის ზეკარები ქართლის მეფის ხელთაა და იქიდან მომთაბარე ტომთა გადმოსვლა მის კონტროლს ექვემდებარება. ქართლის მეფე მოქმედებდა როგორც ირა-

---

1 ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 145-146.

2 ა. ბოგვერაძე, პრისკე პანიონელის ერთი ცნობის შესახებ, ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო კრებული, თბილისი, 1976, გვ. 196.

ნის ვასალი. ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ვახტანგ გორგასალმა ნადავლის ნაწილი რანის ერისთავს გაუგზავნა. რანის ერისთავმა ხომ, როგორც შაჰის მოხელემ, ისე აღმოუჩინა ლაშქრით დახმარება შაჰისავე ქვეშევრდომს. ეს გამარჯვება იურიდიულად იმპერიის გამარჯვება იყო. ვახტანგ მეფემ გამარჯვების აღსანიშნავად ელჩობა აახლა შაჰს და სამხედრო ნადავლის საუკეთესო ნაწილი გაუგზავნა. ელჩობას ქართლის ცეცხლთაყვანისმცემელთა მეთაური, მოგვპეტი („ეპისკოპოსი ცეცხლისმსახურთა") უთავა. ასეთი მაღალი წარმომადგენლობა განპირობებული იყო როგორც გამარჯვების დიდი მნიშვნელობით, ასევე ელჩობის მისიის მიზნით. მეფე ვახტანგი ირანის შაჰს ცოლად სთხოვს ასულს და „სპარსთა მეფემან მოსცა ასული ცოლად".[1]

აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჩრდილო საზღვრის გამაგრებისა და ქართლის სამეფოსთან ურთიერთობის მნიშვნელობას ირანისათვის[2] და ქართლის მეფემ, როგორც ირანის ვასალმა, თავის მხრივ, კარგად გამოიყენა ეს შესაძლებლობა საკუთრივ ქართლის სამეფოს ჩრდილო საზღვრის გასამაგრებლად.

ვახტანგ მეფე აფართოებს სამეფოს საზღვრებს. მისი მეფობის წლებში ქართლის სამეფოს შემოუერთდა ქართლის აღმოსავლეთით მდებარე ჰერეთი. V ს-ში ჰერეთი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი საერისთავო იყო.[3]

დიდ ინტერესს იწვევს მეფე ვახტანგის ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში. მას შემდეგ, რაც ჩაკეტა ჩრდილო საზღვარი, იგი გადავიდა დასავლეთ საქართველოში, დალაშქრა ბიზანტიისაგან მიტაცებული ტერიტორია, ისტორიული არგვეთი ციხე-გოჯამდე.[4] სრულიად რეალურად ისახება ქართლის მეფის ინტერესი დასავლეთ საქართველოს მიმართ. ქართული წყაროს ცნობით, V ს-ის 60-იან წლებში დაიწყო ბიზანტია-ირანის ომი, რომელსაც ირანის მხრიდან ქართლის მეფე ვახტანგი მოთავეობს. საომარი ოპერაციები სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მიმდინარეობს. იმარჯვებს ქართლის მეფე. საზავო მოლაპარაკებით ქართლის მეფე იბრუნებს ბიზანტიის მიერ მიტაცებულ კლარჯეთს, ბერძენთა მეფეს ცოლად სთხოვს ასულს, უბრუნებს კეისარს საკუთრივ აფხაზეთს, ხოლო ეგრისს კეისარი მზითვად აძლევს თავის ქა-

---

1 ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება. I, გვ. 158.

2 მ. ლორთქიფანიძე, ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 40-43.

3 ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, სის. III, 1966, გვ. 253; დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, 1966, გვ. 62-65; თ. ჰაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, 1970, გვ. 136-137.
ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 157; მ. ლორთქიფანიძე, ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 44.

ლიშვილს.[1] ვახტანგის პირველი ცოლი, შაჰის ასული, გარდაცვლილა. ორივე შემთხვევაში დინასტიური ქორწინება კარგად გამიზნული დიპლომატიური სვლაა. კლარჯეთის საკითხი დავას არ იწვევს. სადავოა ეგრისის პრობლემა. ქართული წყაროს (ჯუანშერის) თანახმად, ამ ბრძოლის და დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგად ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა არგვეთის („მარგ·ს") საერისთავო, ხოლო განსაკუთრებული სტატუსით (როგორც ნამზითვი) — საკუთრივ ეგრისი და სვანეთი.

ჯუანშერის მიერ წარმოდგენილი ვითარება, 60-იან წლებში ბიზანტია-ირანის ომის შესახებ, ბიზანტიური წყაროებით არ დასტურდება. მათში არაფერია ნათქვამი დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილის ქართლის ზეგავლენის ქვეშ ყოფნის შესახებ, რაც ჯუანშერის ამ ცნობის მიმართ უნდობლობის საფუძველს იძლევა. მაგრამ მკვლევართა ნაწილს (გ. მელიქიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. თუმანოვი, ა. ბოგვერაძე, დ. მუსხელიშვილი) ჯუანშერის ამ ცნობისათვის ანგარიშის გაწევა შესაძლებლად მიაჩნია.

ვახტანგ გორგასლის დასავლური პოლიტიკისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება V ს-ის ბიზანტიელი დიპლომატის პრისკე პანიონელის თხზულების ჩვენამდე მოღწეულ რამდენიმე ფრაგმენტს (ერთ-ერთი ფრაგმენტის თანახმად, კეისრის ვასალი, ლაზიკის მეფე, სიუზერენს დახმარებას სთხოვს გამდგარი სვანების წინააღმდეგ, რომელთაც ირანელები და მათი ქვეშევრდომი იბერები ეხმარებიან).[2] ეს 467-468 წლებში ხდება.[3] მართალია, ბიზანტიელი დიპლომატის ცნობაში არ არის მოხსენიებული იბერთა მეფე, მაგრამ ვახტანგ მეფის მონაწილეობა ამ ბრძოლაში ეევს არ უნდა იწვევდეს.[4] მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით, ეს არის კონფლიქტი ბიზანტიასა და ირანს შორის, სინამდვილეში კი, ქართლის მეფე სარგებლობს შექმნილი ვითარებით და ავრცელებს ხელისუფლებას დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილზე.

საქართველოს ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეფე ვახტანგის მიერ გატარებულ საეკლესიო რეფორმას. ბუნებრივია, ამ საკითხმა მკვლევართა დიდი ყურადღება დაიმსახურა. ამჯერად, ჩვენ

---

1 ჯუანშერი, გვ. 159; იქვე, გვ. 176-177; მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

2 გეორგიკა, I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, 1961, გვ. 261-262.
ა. ბოგვერაძე, პრისკე პანიონელის ერთი ცნობის შესახებ. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 1976, გვ. 191-197.

4 C. Toumanoff. Studies in christian Caucasian History, Georgtown University Press, 1963, გვ. 363-364; ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 197.

ამ საკითხის საგარეო-პოლიტიკური მხარე გვაინტერესებს. როგორც ქართული წყარო გვაუწყებს, ბიზანტია-ირანის ომის დროს, ქართლის მეფემ, რომელიც ირანის მხარეზე მონაწილეობდა როგორც სასანიანთა იმპერიის ვასალი, ბიზანტიის საეკლესიო წრეებთან მოლაპარაკება დაიწყო ქართლში კათალიკოსობის დაწესებისა და კონსტანტინოპოლიდან საეკლესიო პირთა მოწვევის შესახებ. დრო კარგად იყო შერჩეული, ბიზანტიის იმპერიას ესაჭიროებოდა ქართლის სამეფოს მხარდაჭერა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ირანის პოზიციების დასასუსტებლად. ქართლის მეფემ მიიღო მსოფლიო საპატრიარქოს თანხმობა ქართლის ეკლესიის მეთაურის კათალიკოსად აღზევებისა და ფაქტობრივად ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ,[1] რაც ქართლის სამეფოს სიძლიერით, მისი პოლიტიკური მნიშვნელობით იყო განპირობებული. ვახტანგ გორგასალმა კარგად შეაფასა მახლობელ აღმოსავლეთში არსებული ვითარება და მაჭიმალურად გამოიყენა ის ქართული სახელმწიფოს პოზიციების გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის.[2]

მეფე ვახტანგმა, დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ, კარგად იცის, რომ შემოერთებულ მხარეს გამაგრება სჭირდება და მთელ ამ მიწა-წყალზე თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობა წამოიწყო. მან გაამაგრა სამეფოს ჩრდილო საზღვარი (დარიალის ციხე), დიდი სამშენებლო სამუშაოები ჩაატარა ქართლის სამეფოს აღმოსავლეთი საზღვრის გამაგრების მიზნითაც. ააგო (თუ განაახლა?) უჯარმის ციხე, რომელიც მეფის ერთ-ერთ რეზიდენციად გამოაცხადა, ააშენა ჰერემის, ნეკრესის, ხორნაბუჯის ციხე-ქალაქები, ჰერეთი საუფლისწულო მამულად აქცია. კახეთსა და ჰერეთში ციხესიმაგრეთა მშენებლობა, ამ ახლად შემოერთებულ მხარეებში მეფის ხელისუფლების განმტკიცებასთან ერთად, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მომდგარი მტრის — ირანისაგან თავდასაცავი სისტემის შექმნასაც ისახავდა მიზნად. ასეთივე ღონისძიება ტარდება ახალდაბრუნებულ კლარჯეთში, სადაც იქმნება საერისთავო და იგება ციხე-ქალაქი არტანუჯი.[3] ყველა შემოერთებულ ქვეყანაში ის საერისთაოების, ადმინისტრაციული ერთეულების შექმნასთან ერთად აარსებდა საეპისკოპოსოებს. V საუკუნის დასასრულისათვის ქართლის სამეფო კლარჯეთიდან ჰერეთამდე საეპისკოპოებად იყო დაყოფილი, რომლებიც ახლად დადგენილი კათალიკოსის სამწყოს შეადგენდნენ.[4]

---

1 როგორც ცნობილია, სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. იხ. ლ.-ნ. ჯანაშია. ქართლი V ს. მეორე ნახევარში. ვახტანგ გორგასალი, სინ. II. გვ. 95-99; მ. ლორთქიფანიძე. ქართლი V ს. მეორე ნახევარში. გვ. 66-76.

2 მ. ლორთქიფანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 73.

3 იქვე. გვ. 51-52.

იქვე, გვ. 74.

ყველა ეს ღონისძიება ვახტანგ მეფემ გაატარა როგორც ირანის ვასალმა და, მრავალ შემთხვევაში, სასანიანთა მხარდაჭერა-დახმარებაც გამოიყენა. ამის შემდეგ დადგა ირანთან დამოკიდებულების საკითხი. მეფე აშკარად იწყებს სამზადისს ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად და, პირველ რიგში, უტევს სასანიანთა იდეოლოგიურ საყრდენს — ცეცხლთაყვანისმცემლობას. ვახტანგი განემზადა საბრძოლველად და „შეაგდო საპყრობილესა შინა ბინჭარან მაცდური, ეპისკოპოსი ცეცხლის მსახურთა, და მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლის-მსახურნი საზღვართაგან ქართლისათა".[1]

ირანელებთან შებმის წინ ქართლის მეფე სპობს ქართლში ირანელთა იდეოლოგიურ საყრდენს. ეს ეპიზოდი ემთხვევა იმ დროს, როდესაც, ვახტანგის ისტორიკოსის თანახმად, მან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა ბიზანტიასთან, რომლის განსამტკიცებლად გადაწყდა დინასტიური კავშირის გამოყენება — ვახტანგის მეუღლე, შაჰის ასული, გარდაცვლილია და მეფე დაინიშნა კეისრის ასულზე.

ქართლში შემოდის ირანის ლაშქარი. ვახტანგი დახმარებას სთხოვს ბიზანტიის კეისარს და უთვლის: „უკეთუ ჩუენ გუძლიოს, განძლიერდეს იგი და შემოვიდეს საზღვართა შენთა".[2] ბიზანტიის იმპერიამ დახმარება ვერ აღმოუჩინა, ბრძოლა ოთხ თვეს გაგრძელდა თბილისისა და მცხეთა-არმაზის მისადგომებთან. ოთხი თვის შემდეგ შემოვიდა ბიზანტიელთა ლაშქარი (80 ათასი?) და ჯავახეთს დაბანაკდა. ბრძოლის გაგრძელება, ჩანს, არც ერთ მხარეს აღარ აწყობდა, დაიწყო საზავო მოლაპარაკება, შუამავლად კეისრის დესპანი გამოვიდა.[3]

ძნელია როგორც ხელაღებით უარყოფა, ასევე უკრიტიკოდ მიღება ისტორიკოსის ცნობისა ირანის შაჰისა და ქართლის მეფეს შორის ურთიერთობაში ბიზანტიის ამგვარი ჩარევის შესახებ. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ, როგორც კარგადაა ცნობილი, V ს-ის მეორე ნახევარში სასანიანთა ირანსა და ბიზანტიის იმპერიას იმდენად გართულებული საგარეო და საშინაო მდგომარეობა აქვთ, რომ ერთმანეთს შორის კონფლიქტებს შეგნებულად ერიდებიან.

ორივე მხარე დათმობაზე წავიდა. ქართლის მეფემ თავი ისევ ირანის ვასალად ცნო, მიიღო შაჰისაგან გვირგვინი, იკისრა ხარკი, სამხედრო ბეგარა, სიმტკიცის პირობად შაჰმა ვახტანგს და მოსთხოვა ცოლად.[4]

---

1 ჯუანშერი, გვ. 178.
2 იქვე. გვ. 179.
3 მოვლენათა თანმიმდევრობა შესაძლებელს ხდის თარიღად 70-იანი წლების მიღებას.
4 ჯუანშერი, გვ. 181-185.

მოღვაწეობის ამ ეტაპზე ქართლის მეფე დინასტიურად უკავშირდება სასანიანთა კარს, ისევე კისრულობს ვასალის ყველა ვალდებულებას. მაგრამ, ამასთანავე, მოითხოვს, რომ ქართლში ცეცხლმსახურებას არ ჰქონდეს კანონით დაშვებული რელიგიის უფლება. „იყოს ცეცხლი ღმერთად შენდა, და იყოს ღმერთად ჩუენდა ქრისტე".[1] ირანის ხელისუფლება დათმობაზე მიდის, ე. ი. მაზდეანობა, რომელიც ვახტანგის გამეფების პირობად იქნა მიღებული, ამოიკვეთა. ამიერიდან ქართლში აღარ არის „ეპისკოპოსი ცეცხლისმსახურთა", მათი სასულიერო მსახურნი გაძევებულნი არიან. ამგვარად, ქართლის მეფემ, მართალია, ბრძოლა ვერ მოიგო, მაგრამ ირანის ხელისუფლება აიძულა, დიდ დათმობაზე წასულიყო.

მიუხედავად ამ მარცხისა, ქართლის მეფე აგრძელებს მზადებას ირანელთა უღლის გადასაგდებად.

შაპი პეროზი (459-484) გამუდმებულ ომს აწარმოებდა ჰეფთალებთან, რომელთაც V საუკუნის მეორე ნახევარში ძლიერი სახელმწიფო შექმნეს, დაიმორჩილეს თოხარისტანი და სოღდი. V ს. 70-იან წლებში, ჩანს, ქართლის მეფე ვახტანგი იღებდა მონაწილეობას (474-476 წლებში) სასანიანთა ბრძოლებში ჰეფთალების წინააღმდეგ.[2] ამ დროს შაპი პეროზი ტყვედ ჩაუვარდა ჰეფთალებს. მის გამოსყიდვაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ბიზანტიის იმპერატორმა ზინონმა (474-491).[3]

ირანმა მარცხი განიცადა, ქართლის მეფე სამშობლოში დაბრუნდა და მის წინააღმდეგ აჯანყებისათვის მზადებას შეუდგა, რაც, უნდა ვიგულისხმოთ, სწორედ ამ ქვეყნის მარცხმა განაპირობა. აჯანყებისათვის ის კარგად მოემზადა, დაუკავშირდა სომხებს, ჩრდილო კავკასიიდან ჰუნების დამხმარე ძალის გადმოყვანის იმედიც ჰქონდა, საფიქრებელია, რომ ბიზანტიელთაგან დახმარების მიღებასაც შეეცდებოდა, მაგრამ ბიზანტიის იმპერიაში ამ დროს ფრიად გართულებული მდგომარეობაა გუთებთან გამუდმებული ბრძოლის გამო და მისგან რეალური დახმარების მიღება საეჭვოა.[4]

„ქართლის ცხოვრების" ზოგ ხელნაწერში ეს ფრაზა ასეა წარმოდგენილი: „და არ ა იყოს ცეცხლი ღმერთად შენდა. და იყოს ღმერთად ჩუენდა ქრისტე" ეფიქრობ, აქ ეს „არა" ზედმეტია. თუმცა ყაუხიშვილისეულ გამოცემაში ის ძირითად ტექსტშია შეტანილი (იხ. მით გამ. გვ. 181). გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოლაპარაკების დაწყებისას, ჯუანშერის თანახმად, ბიზანტიელთა ღაშქრის მოსვლის ამბავი რომ გაიგო, ვახტანგმა მოციქულს უთხრა: „ჩუენ დავადგრეთ სიყუარულისა ზედა მამათა ჩუენთასა. ხოლო თუთოეული ჩუენგანი სათნოსა სულისა თ·ყისასა ქმსახურებდეს" (ჯუანშერი. გვ. 181).

C. Toumanoff. დასახ. ნაშრ., გვ. 667; ს. კაკაბაძე. ვახტანგ გორგასალი. გვ. 51.

[3] История Византии, I, М., 1967, გვ. 208.

[4] იქვე. გვ. 210.

აჯანყების დაწყებამდე, 482 წელს, ვახტანგ მეფემ მოაკვლევინა „ურჯულო პიტიახში ვაზგენი“ — ვარსქენ პიტიახში.[1] ამ ფაქტს, ვარსქენის მოკვლას სწორედ აჯანყების წინ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამით ვახტანგი აცხადებს თავის პოზიციას — ის ებრძვის სჯულისა და ქვეყნის მოღალატეს და გამოდის ქრისტიანობის დამცველად. ამასთანავე, ვარსქენის, შუშანიკის დამღუპველის, მოკვლით ის სომხების, კერძოდ, მამიკონიანთა გულის მოგებასაც ცდილობდა ალბათ. აღსანიშნავია, რომ სომხეთის მხარდაჭერას დიდი როლი ეკისრებოდა აჯანყების წარმატებისათვის,[2] ვაჰან მამიკონიანის აზრს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სომეხთა პოზიციისათვის.[3] ჰუნთა დამხმარე ძალა არ მოვიდა, ბიზანტიამ აჯანყებულებს დახმარება არ აღმოუჩინა, სომეხთა შორის თავი იჩინა განხეთქილებამ. 483 წელს, გადამწყვეტი ბრძოლის დროს, მაჟი ნაწილი, მტერთან წინასწარი შეთანხმებით, მის მხარეზე გადავიდა. მოკავშირეები დამარცხდნენ. სომხებმა თავი ხალდიას შეაფარეს, ვახტანგ მეფე ეგრისს გადავიდა.[4] საინტერესოა სომეხი ისტორიკოსის ლაზარე ფარპეცის ერთი ცნობა. ირანის შაჰი პეროზი ირანელთა სარდალს, ჰაზარავუხტს აცნობებდა: „რომ იგი არიელთა მთელი ძალით მიემართებოდა ჰეფთალებზე, ხოლო მას უბრძანებდა წასულიყო ქართლში და ქართლის მეფე ვახტანგი ან შეეპყრა, ან მოეკლა, ანდა იმ ქვეყნიდან გაეძევებინა“.[5] ლაზარ ფარპეცის ეს ცნობა აშკარას ხდის, რომ ირანის შაჰისათვის ამ აჯანყების მთავარი ფიგურა და იმდროინდელ ამიერკავკასიაში ყველაზე სერიოზული მტერი ქართლის მეფე იყო და პირველ რიგში მისი საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო.[6] მართალია, ჰაზარავუხტი ქართლში შევიდა, იქ მასთან მოღალატეებიც მივიდნენ, მაგრამ შაჰი პეროზი ჰეფთალებთან ბრძოლაში დაიღუპა (484 წ.) და ჰაზარავუხტი ირანს გაემგზავრა.

---

1 ამ ვაზგენის შესახებ ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომ ის არის ქუმო ქართლის პიტიახში ვარსქენ არშუშას ძე, შუშანიკის ქმარი. იხ. ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 143.

2 მ. ლორთქიფანიძე, მით. ნაშრ., გვ. 83.

3 შუშანიკის მამა იყო სომხეთის 450-451 აჯანყების გმირი ვარდან მამიკონიანი, ხოლო ამ ბრძოლაში სომეხთა ლაშქრის სარდალი, ვაჰან მამიკონიანი, შუშანიკის ბიძაშვილი იყო.

4 როგორც ცნობილია, ჯუანშერი არაფერს წერს ვახტანგ მეფის ირანელთა წინააღმდეგ ამ ბრძოლის შესახებ, თუ რატომ, ამაზე პასუხი არა გვაქვს. ამ ბრძოლის შესახებ თხრობა მთლიანად დამყარებულია V ს. სომეხი ისტორიკოსის, ლაზარე ფარპეცის ცნობებზე. ეს საკითხი, წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვით დეტალურადაა წარმოდგენილი ლ.-ნ. ჯანაშიას მითითებულ ნაშრომში — „ლაზარე ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ“ და აგრეთვე მისივე, სინ. II, გვ. 101-105.

5 ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 263.

6 მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 86.

482-484 წლების აჯანყება ირანელთა წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა. მაგრამ თვით ირანში დატრიალებულმა მოვლენებმა (შაჰის დაღუპვა, ბრძოლა ტახტისათვის) და, ალბათ, იმ დიდმა წინააღმდეგობამაც, რომელსაც აქ წააწყდა, აიძულა ახალი შაჰი ვაღარში (484-488) ზოგიერთ დათმობაზე წასულიყო. ამიერკავკასიის ხალხთა წინაშე „აჯანყებულ სომეხთა მოთხოვნით, ირანელებმა პირობა დადეს შეეწყვიტათ ქრისტიანობის დევნა, არ დაერღვიათ ადგილობრივი ტრადიციები... ირანელებმა გამოაცხადეს, რომ ისინი არ ადანაშაულებდნენ აჯანყებულებს, რადგან აჯანყება თვით პეროზის ძალმომრეობამ გამოიწვიაო. შემდგომ, 485 წელს, აჯანყებულთა მეთაური ვაჰან მამიკონიანი სომხეთის მარზპანად დანიშნეს“.[1] მნიშვნელოვან დათმობებზე წავიდა ირანი ალბანელების წინაშეც. სამწუხაროდ, ლაზარ ფარპეცი არაფერს წერს ქართლის შესახებ, მაგრამ მართებული უნდა იყოს ვარაუდი, რომ აჯანყების შედეგად მდგომარეობა ქართლშიც გაუმჯობესდებოდა. აქედან გაიწვიეს სპარსთა ჯარი, ეგრისში გახიზნული მეფე ვახტანგი ქართლში დაბრუნდა. ასე რომ, ამ აჯანყებამ თავისი დადებითი შედეგი ქართლსაც მოუტანა.[2]

ამ მარცხის შემდეგ მეფე ვახტანგი ისევ ემზადება ირანელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მიუხედავად ზოგი დათმობისა, მისი მთავარი მიზანი მაინც ირანელთა ვასალობისაგან თავის დაღწევა, ხარკის ამოკვეთა და მძიმე სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლება იყო.

დაიწყო ირან-ბიზანტიის ომი. მართალია, 484 წლის აჯანყების შემდეგ ამიერკავკასიის დამარცხებულმა ქვეყნებმა ზოგი შეღავათი მიიღეს, მაგრამ ქართლი, ისევე როგორც სომხეთი, ირანის ვასალად რჩებოდა და შაჰმა ქართლის მეფეს დახმარება მოსთხოვა. ვახტანგმა უარი შეუთვალა და შაჰის მოციქულს დააბარა: „პირველად განემზადე ბრძოლად ჩვენდა, და ეგრე შეეედ საბერძნეთად“, და წარავლინა ქადაგნი, „რათა დაუტეონ სოფლები და ქალაქები, რომელი იყო არა ძლიერ, და შეივლტოდიან კავკასიანთა და კახეთად“. მეფემ ოჯახის წევრები დახიზნა, ლაშქარი, ერისთავთა სარდლობით, გაანაწილა და კეისარს ირანელთა განზრახვა და თავისი მზადყოფნა აუწყა.[3] ეს ის დრო იყო, როდესაც „ვახტანგი აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა და საფუძველი ოდენ დაედვა“.[4]

---

1 ლ.-ნ. ჯანაშია. ლაზარე ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ. გვ. 155-160.

2 ს. კაკაბაძე. ვახტანგ გორგასალი, გვ. 58; ლ.-ნ. ჯანაშია. მით. ნაშრ., გვ. 155-160. ჯუანშერი. გვ. 200.

3 იქვე.

ვახტანგ მეფის მიერ ქართლის სამეფოს დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადატანაც, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, შორს გამიზნული პოლიტიკითაც იყო განპირობებული. პირველად, როდესაც სასანიანთა ლაშქარი ქართლში შემოვიდა, ირანელთა სარდალმა ბინა თბილისის ციხეში დაიდო. ცნობილია ისიც, რომ თბილისს ირანელები მცხეთის საწინააღმდეგოდ ამაგრებდნენ („შურის ციხე"). ირანიდან მომავალ გზაზე მცხეთამდე სწორედ თბილისი იცავდა ქვეყანას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, სწორედ ირანელებთან ერთ-ერთი ბრძოლის დროს იყო, რომ „ტფილისი სოფელი და კალაიცა მოოკრებულ იყო".[1] არ არის გამორიცხული, რომ ამ ბრძოლების დროს კარგად გამოჩნდა თბილისის სტრატეგიული მნიშვნელობა ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში.[2]

ირანელთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი ქართლის სამეფოში ქიზიყიდან შემოვიდა. „შემუსრეს ქალაქი კამბეჩანი, ჴერმის ციხე და ველის ციხე, და ვითარ მოიწიეს კახეთად, დადგეს იორსა ზედა".[3] ველისციხე და ჴერემი ვახტანგის დროს დაწინაურებული, ძლიერი ადმინისტრაციული ერთეულის მნიშვნელოვანი პუნქტებია. ველისციხე ველზე გასასვლელ იმ ხეობას კეტავდა, რომელიც შიდა კახეთისაკენ გასასვლელ ალაზნის ხეობას იცავდა.[4] აქ დამარცხებული და უკან დახეული ლაშქარი, ჩანს, იორზე, უჯარმაში გამაგრდა. იორზე, უჯარმის ციხესთან, დიდი ბრძოლა მოხდა. შეტევაზე ცისკრის ჟამს ქართველები გადავიდნენ. ვახტანგის ისტორიკოსის ცნობით, ვახტანგი ირანელთა ბანაკში შეიჭრა, მოკლა შაჰის ძე, დაამარცხა ირანელები და უკუაქცია. უკუქცეული ლაშქარი რუსთავში დაბანაკდა, მაგრამ თვით გმირი მეფე ბრძოლაში დაიჭრა და უჯარმას წაიყვანეს. სპარსელები შეტევაზე გადმოვიდნენ, მოაოხრეს თბილისი, არმაზი, მცხეთის ზღუდის გარეთ მიწა-წყალი. ვახტანგ მეფე ჭრილობისაგან გარდაიცვალა.[5]

ირანის წინააღმდეგ ამ ბრძოლის შედეგები ცნობილი არ არის. ირან-ბიზანტიის ომი ძველი საზღვრების შენარჩუნების პირობით დასრულდა.[6] როგორც მომდევნო მოვლენებიდან ჩანს, ქართლშიც ძირითადად ომამდე არსებული ვითარება იქნა შენარჩუნებული.

ჯუანშერი, გვ. 181.

2 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, 1990, გვ. 234-236; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, 1977, გვ. 220-221; М. Д. Лордкипанидзе, Тбилиси (IV-нач. XII в.), 1991, გვ. 19-22.

ჯუანშერი, გვ. 201; უჯარმის ბრძოლაზე იხ. ი. შაიშმელაშვილი, უჯარმის ბრძოლა, თბ., 1978.

4 ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, თბ., 1970, გვ. 43-44.

5 ჯუანშერი, გვ. 201-202.

6 История Византии, I, გვ. 216.

ვახტანგის ისტორიკოსის ცნობით, ვახტანგ მეფის ამ უკანასკნელი ბრძოლის დროს იორზე, უჯარმასთან, როდესაც მეფე შაპის კარავში შეიჭრა და მოკლა შაპის ძე ბარტამ, „მუნ შინა სპარსმან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისსა“ და ამ ჭრილობისაგან ვახტანგ მეფე გარდაიცვალა.[1] ვახტანგის ისტორიკოსის მთელი ეს თხრობა იმდენად კონკრეტული ინფორმაციის შემცველია, რომ მის რეალობაში ეჭვის შეტანა ძნელია. ამასთანავე, ერთი ძველი წყაროს ცნობით, ვახტანგ მეფე „მოიკლა სპარსთა ბრძოლასა შინა მონაყოფილისაგან მისისა, რამეთუ იცოდა განახევი ღლიასა ქვეშე, და აღიპყრა რა კრძალი თჳსი, რათა სცეს კაცსა სპარსთაგანსა, მონამან მან ბოროტმან ჰკრა ისარი ღლიას ქუეშე“.[2] არსებული ცნობებით უდავოა, რომ ის სპარსელებთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობით გარდაიცვალა, მაგრამ ვინ დაჭრა, სპარსელმა თუ მისმა „მონაყოფილმა“? ცნობილია, რომ მონათა კონტინგენტს ძირითადად სამხედრო ტყვეები ქმნიდნენ, რომელთაც დაზავებისა თუ კეთილგანწყობილი ურთიერთობის ჩამოგდების შემდეგ ათავისუფლებდნენ (ან ცვლიდნენ). იქნებ, ვახტანგის მკვლელი სპარსი ასეთი მონა თუ ტყვეყოფილი იყო, რომელმაც იცოდა მეფის საიდუმლოება?[3]

მართალია, მეფე ვახტანგმა ირანელთა წინააღმდეგ ვერცერთი გადამწყვეტი ბრძოლა ვერ მოიგო, მაგრამ მათი ბატონობისადმი თავისი შეურიგებლობით, პირადი ვაჟკაცობით, მხედართმთავრული უნარით, მოქნილი დიპლომატიით აიძულა ირანი, გარკვეულ დათმობებზე წასულიყო, რითაც საქართველოს ისტორიაში გმირი მეფის სახელი დაიმკვიდრა. ნიშანდობლივია მისი ზედწოდება „გორგასალ“, რომელსაც მეფის ისტორიკოსი ასე განმარტავს: „ხოლო ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი, და გამოესუა წინათ მგელი და უკანით ლომი; და რომელსა კერძსა იძლეოდიან ქართველნი, მუნითცა მიმართის და მოსრის სპისა მისგან სპარსთასა, ვითარცა ლომმან კანჯარნი. მიერითგან ვერღარა შეუძლებდეს სპარსნი წყობად მისა, რამეთუ დაისწავლეს იგი, რომელს ეწერა მგელი და ლომი, და ვითარცა იხილიან ვახტანგ. თქუან, „დურ აზ გორგასალ“, რომელ არს ესე: „მირიდეთ თავსა მგლისასა“. და მის მიერ სახელ-ედვა ვახტანგ მეფესა გორგასალ“.[4]

შეიძლებოდა დავეჭვებულიყავით მეფის ისტორიკოსის ვახტანგისეულ შეფასებაში და ის საერთოდ გადაჭარბებულადაც მიგვეჩნია, მაგრამ ფრიად ნიშანდობლივია მთელი შუასაუკუნოვანი ქართული ისტორიოგ-

---

1 ჯუანშერი, გვ. 202.

2 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, 1971, გვ. 48, 31. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 89; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 55-56. ვახტანგის მკვლელობასთან დაკავშირებით იხ. ს. ჯანაშია, შრომები I, გვ. 292-295. ჯუანშერი, გვ. 180.

ოაფიისათვის მისადმი დამოკიდებულება. ვახტანგ მეფე მისაბაძ მაგალითადაა მიჩნეული მისი ახლობელი თუ შორეული მემკვიდრეებისათვის, ხოლო საქართველოს სამეფო დროშა — „დავითიან-ვახტანგიანად" და სამეფო ტახტი ასევე „დავითიან-ვახტანგიანად" იწოდება.

3. ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასთან V საუკუნის მეორე ნახევარში

გუბაზ I-ის დიპლომატია

V საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პრისკე პანიონელის ცნობით, V საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ მარკიანე კეისრის დროს (450-457 წწ.), ლაზების (ეგრისელების) წინააღმდეგ გაულაშქრიათ ბიზანტიელებს („მას შემდეგ, როდესაც რომაელები მივიდნენ კოლხიდაში და ომი აწარმოეს ლაზების წინააღმდეგ, რომაელთა ჯარი თავის ქვეყანაში გამობრუნდა და კარისკაცები შეუდგნენ ახალი ომისათვის მზადებას").[1] პრისკეს თხზულების ამ ფრაგმენტიდან არ ჩანს, თუ რატომ მოხდა ლაზებსა (ეგრისელებსა) და ბიზანტიელებს შორის სამხედრო დაპირისპირება, მაგრამ მომდევნო ფრაგმენტიდან კარგად ირკვევა, რომ ეგრისის (ლაზიკის) მეფე გუბაზი განდგომია ბიზანტიელებს. მითითებული ცნობიდან და მისი გაგრძელებიდან ვგებულობთ აგრეთვე, რომ ბიზანტიელთა ხელისუფალნი არ ყოფილან კმაყოფილნი ლაზიკაში მოწყობილი პირველი ლაშქრობით და ახალი სამხედრო ექსპედიციისათვის სამზადისს შედგომიან, თანაც, სპარსელების მიმხრობა გადაუწყვეტიათ ეგრისის (ლაზიკის) წინააღმდეგ — „ისინი (იმპერიის კარისკაცები) იმის ბეჭობაში იყვნენ, თუ რა გზით ელაშქრათ: იმავე გზით, თუ სპარსეთის მეზობელი ქვეყნის, არმენიის, გზით დაეწყოთ ომი და წინდაწინ პართიელების მეფე მიემხროთო".[2] გუბაზ მეფესაც დაუჭერია თადარიგი: კონსტანტინოპოლში ელჩები გაუგზავნია, ალბათ, ომის თავიდან აცილების მიზნით. ამავე დროს, მოსალოდნელ ომში ბიზანტიის საპირისპიროდ მასაც დახმარება ირანელებისათვის უთხოვია, მაგრამ „პართიელების მეფეს ომი ჰქონდა კიდარიტებად წოდებულ ჰუნებთან და ამიტომ უარი უთხრა მასთან მისულ ლაზებს".[3]

---

1 პრისკე პანიონელი, გეორგიკა, ტ. I, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961, გვ. 254.

2 იქვე.

3 იქვე.

გუბაზის მიერ კონსტანტინოპოლში გაგზავნილი მოციქულები კი იმპერატორის კარისკაცებს შემდეგი პასუხით გამოუსტუმრებიათ: „შეწყვეტდნენ ომს, თუ ან თვითონ გუბაზი გადადგებოდა ტახტიდან, ან შვილს გადააყენებდა მეფობიდან, ძველი კანონის თანახმად არ არის კანონიერი, რომ ორივენი მეფობდეთო; ასე რომ, ერთ-ერთი უნდა იყოს კოლხიდის ტახტზე, ან გუბაზი, ან მისი შვილი, და მაშინ შეწყვეტთ ომსო — ურჩევდა ეფემიოსი, რომელსაც მაგისტროსის თანამდებობა ეჭირა".[1]

პრისკე პანიონელის ამ გადმოცემას თუ დავუჯერებთ, ბიზანტია-ეგრისის (ლაზიკის) დაპირისპირების ერთადერთი მიზეზი გუბაზის მიერ ეგრისის სამეფო ტახტზე თავისი შვილის თანამოსაყდრედ აყვანა ყოფილა, რომელთანაც ერთად განაგებდა სამეფოს. თითქოს, ბიზანტიის იმპერატორი და მისი კარისკაცები იმიტომ გაწყრომიან გუბაზს, რომ ეგრისის (ლაზიკის) სამეფო ტახტზე მამა-შვილის ერთად მეფობით, სახელმწიფო სამართლის ძველი კანონი ირღვეოდა. მაგრამ პრისკე პანიონელის გულწრფელობაში შეიძლება ეჭვი შევიტანოთ, მისსავე მომდევნო ცნობას თუ ჩავუკვირდებით. ვფიქრობთ, გუბაზის მიერ სამეფო ტახტზე თავისი შვილის თანამოსაყდრედ აყვანა უფრო ღრმა პოლიტიკურ მიზანს ისახავდა ბიზანტიის საიმპერატორო კართან დამოკიდებულებაში, ვიდრე სახელმწიფო სამართლის ძველი კანონის დარღვევა იყო. ბოლოს და ბოლოს ასეთი აქტი, სამეფო ტახტზე თანამმართველად მემკვიდრის აყვანა, არც ბიზანტიის იმპერიისათვის იყო უცხო ხილი. ამის მაგალითად გამოდგებოდა, თუნდაც, იუსტინეს მიერ თავისი მემკვიდრის (მისი ძმისწულის) იუსტინიანეს თანამმართველად დანიშვნა (518 წ.).[2]

როგორც ითქვა, გუბაზ მეფეს თავისი შვილის თანამოსაყდრედ დანიშვნით უფრო შორსმიმავალი მიზანი ამოძრავებდა, ვიდრე გამეფების იურიდიული მხარე იყო. ამას ასე უყურებდნენ ბიზანტიის ხელისუფალნიც. აბა, რით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, გუბაზმა მიიღო ულტიმატუმი, გადადგა ტახტიდან („... შვილის სასარგებლოდ და თავისი სამეფო ნიშნები გაიძრო და მან რომაელთა მპყრობელს მოციქულები გაუგზავნა თხოვნით, — უკვე ერთი კოლხი მეფობს და ნუღარ ჯავრობ, იარაღი დაჰყარეო"),[3] მაგრამ იმპერიამ კონფლიქტი ამით არ დაასრულა. პირიქით, ბიზანტიის ხელისუფლება უფრო

პრისკე პანიონელი. გეორგიკა. I. დასახ. გამოცემა. გვ. 254.

J. A. S. Evans. Procopius, 1972. გვ. 15; G. Ostrogorsky Geschichte des Byzantinischen Staates. München, 1940. გვ. 42.

პრისკე პანიონელი. გეორგიკა. I. დასახ. გამოცემა. გვ. 255.

რადიკალურად მოექცა გუბაზს — მისი სატახტო ქალაქში, კეისართან გამოცხადება მოითხოვა: „რომაელთა მეფემ წინადადება მისცა მას, გადმოსულიყო რომაელთა ქვეყანაში და მოეხსენებინა თავისი განზრახვის შესახებ".[1] ეტყობა, ბიზანტიის ხელისუფლება გულისხმობდა გუბაზის ტახტზე დარჩენას და არა მისი შვილის გამეფებას.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გუბაზის მიერ შვილის თანამოსაყდრედ დანიშვნა განხილული იყო როგორც მხოლოდ სამართლებრივი აქტი. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ „ ლაზიკაში შესაძლებელი იყო მამასაც და შვილსაც ერთსა და იმავე დროს ემეფა. მაშასადამე, თანამოსაყდრეობის წესი ყოფილა. საფიქრებელია, რომ მოვლენა უხუცესობაზე დამყარებული ტახტის მემკვიდრეობის წესის დასარღვევად და პირმშოობის კანონის განმტკიცებისათვის, ლაზთა მეფეთაგან გამოყენებული საშუალება უნდა იყოს".[2] ასევე ფიქრობდა ს. ყაუხჩიშვილი. მისი აზრით: „გუბაზ მეფეს მართლაც გადაუწყვეტია შეეცვალა არსებული წესი და დაემკვიდრებინა ახალი წესი, პირმშოობაზე დამყარებული. როგორც ჩანს, მას კარგა ხანია უკვე დაუსვამს თავისი ვაჟი თანამოსაყდრედ, რომ ამით უზრუნველეყო მისთვის სამეფო ტახტი".[3] ფიქრობენ იმასაც, რომ ბიზანტიის იმპერატორის დაბეჯითებითი მოთხოვნა — ეგრისის (ლაზიკის) სამეფო ტახტზე მამა-შვილიდან ერთ-ერთი დარჩენილიყო მეფედ, გულისხმობდა მათ შორის შუღლის ჩამოგდებას. ამ მოსაზრების ავტორი ნ. ლომოური იმასაც აღნიშნავს, და სრულიად სამართლიანად, რომ გუბაზის გადადგმული ნაბიჯი იყო მცდელობა, სრული დამოუკიდებლობა მოეპოვებინა ეგრისისათვის. გარდა ამისა, ნ. ლომოურის აზრით, გუბაზ მეფის ბრძოლას თავისი მიზნის მისაღწევად საფუძველს აძლევდა ბიზანტიის იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარების მეტად გართულება ამ დროისათვის.[4] ჩვენ ამ მოსაზრებებს ვიზიარებთ და ვცდილობთ ზოგიერთი საკითხის დაკონკრეტებას, მაგრამ, ამავე დროს, სრულიადაც არ ვეთანხმებით იმას, რომ გუბაზ მეფის მცდელობა მარცხით დამთავრდა, რომ, შესაძლოა, ეგრის-

---

პრისკე პანიონელი. გეორგიკა. I. დასახ. გამოცემა. გვ. 255.

ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VI, თბ., 1982, გვ. 163; მისივე. ტ. VII. თბ., 1984, გვ. 147.

ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა. I. დასახ. გამოცემა. გვ. 250.

ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს. ისტორია, თბ., 1968, გვ. 84-86; მისივე. საქართველოს და ბიზანტიის ურთიერთობა V ს-ში. თბ., 1989, გვ. 40-41; მისივე. დასავლეთ საქართველო (ეგრისი) IV-V სს-ში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 168-169.

ბიზანტიას შორის ამ გართულებული ურთიერთობით ესარგებლა სვანეთის მთავარს და გამოსულიყო ეგრისის გამგებლობიდან.[1]

სანამ ჩვენს შეხედულებას ჩამოვაყალიბებდეთ პრისკე პანიონელის მითითებულ ფრაგმენტზე, მანამ აუცილებლად მიგვაჩნია, გავიხსენოთ VI საუკუნის პირველი ნახევრის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის თხზულებიდან („ომი სპარსელებთან") სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ერთი ადგილი, რომელიც ასახავს ეგრისის მაშინდელ რეალურ პოლიტიკურ დამოკიდებულებას ბიზანტიის იმპერიასთან: „ ლაზები თავდაპირველად კოლხიდის ქვეყანაში მოსახლეობდნენ და რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, ხოლო არც ხარკს იხდიდნენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ მათ, გარდა იმისა, რომ, როდესაც მათ მეფე მოუკვდებოდათ, რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის მემკვიდრეს ძალაუფლების სიმბოლოს".[2] ეს, რაც შეეხება ეგრისის სამეფოს უშუალო დამოკიდებულებას ბიზანტიასთან, გარდა ამისა, ეგრისი ვინაიდან იკავდა თავის სახელმწიფო საზღვრებს გარეშე ძალების თავდასხმისაგან, ამით ის უზრუნველყოფდა ბიზანტიის სახელმწიფო საზღვრების უშიშროებასაც, ძირითადად, ჰუნებისა და სხვა მომთაბარე ტომებისაგან.[3] პროკოპი კესარიელი ეგრისის ასეთ ურთიერთობას ბიზანტიასთან გულისხმობს VI ს-ის 20-იან წლებამდე, თორემ ამ დროიდან ეგრისის ზოგიერთ ციხე-სიმაგრეში ბიზანტიის ჯარის ნაწილებიც კი ჩადგნენ.[4] შესაძლოა, ასეთი დამოკიდებულება გუბაზ I-ის ამბოხების შედეგი ყოფილიყო და მანამდე ეგრისის მეფეები ბიზანტიის სატახტო ქალაქში ჩადიოდნენ რეგალიების მისაღებად, თუმცა ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ამ შემთხვევაში, მთავარი ის არის, რომ ეგრისის ხელისუფალი საიმპერიო კარს მხოლოდ ფორმალურად ემორჩილებოდა.

აი, ბიზანტიასთან ასეთი დამოკიდებულებისაგანაც უნდოდა გუბაზ მეფეს, გარკვეული დიპლომატიური ტაქტით, თავი დაეღწია. ამ მიზნით გაამეფა მან თავისი შვილი ეგრისის სამეფოს ტახტზე, — ჯერ თანამოსაყდრედ აიყვანა, ხოლო როგორც ზემოთ ითქვა, როცა ბიზანტიის ხელისუფლებამ მისგან მოითხოვა, ომს ისე არ შეეწყვეტთ, თუ ერთ-ერთი არ გადადგებით სამეფო ტახტიდანო, — თვითონ სამეფო საქმეებში კარ-

---

ნ. ლომოური, დასავლეთ საქართველო (ეგრისი) IV-V სს-ში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 168-169.

პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ და განმარტებები ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1965, გვ. 72; აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, III, ტექსტები თარგმანით და განმარტებები ს. ყაუხჩიშვილისა, ტფ., 1936, გვ. 84-85.

[3] პროკოპი კესარიელი, დასახ. გამოცემა, გვ. 72-73 და სხვაგან.

[4] იქვე, გვ. 51-52, 72-73.

გად გაწვრთნილი და სრულიად ჯანმრთელი მეფობისათვის, კი არ დარჩა სამეფო ტახტზე, არამედ თავის პირმშოს გადასცა მეფობა. ამით მან უგულებელყო ბიზანტიის იმპერატორის პრეროგატივა, რომ ეგრისის (ლაზიკის) ტახტის მომავალ მფლობელს მისგან მიეღო სამეფო ნიშნები. გუბაზმა არ ისურვა, კეისრისაგან ნაბოძები რეგალიებით „დამშვენებულს" ემართა სამეფო. ქვეყნის ინტერესებისათვის არჩია, მისგან ხელდასმულ შვილს ეხელისუფლა იქ. ამით მან ფაქტობრივად უარი თქვა იმ ფორმალურ დამოკიდებულებაზე, რაც მის სამეფოს აკავშირებდა ბიზანტიის იმპერიასთან. ამიტომ იყო, რომ ბიზანტიელებმა გუბაზის მოქმედება ამბოხად ჩათვალეს და, შესაძლოა, პირველი ლაშქრობა, რომელიც ბიზანტიელებმა ეგრისში მოაწყვეს, ამ აქტის შედეგი ყოფილიყო. მეორე ლაშქრობისათვის სამზადისი კი გუბაზის და მისი შვილის ეგრისის სამეფო ტახტზე ერთად მეფობით რომ ყოფილა გამოწვეული, ამაზე ნათლად მეტყველებს პრისკეს ზემოთ მითითებული ცნობა.

გუბაზის გადადგმული ნაბიჯის გამო საიმპერიო კარმა კონსტანტინოპოლში მისი გამოცხადება მოითხოვა. გუბაზმა, როცა მიიღო ბიზანტიის საიმპერიო კარიდან ხელშეუხებლობის მტკიცე გარანტია, გაემგზავრა იქ. „ხანძრის შემდეგ, რომელიც გაჩნდა ქალაქში (465 წ.) ლეონტის დროს, კონსტანტინოპოლში ჩამოვიდნენ გუბაზი და დიონისე".[1] ამ შემთხვევაში ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ კონსტანტინოპოლში გუბაზმა გარკვეული მიზნით, ხაზი გაუსვა ფორმალურ მხარესაც, რაც მისი ჩაცმულობით და გარემოცვით გამოიხატა. ეს არ გამოპარვიათ იმპერატორის კარისკაცებს. გუბაზს „სპარსული ტანსაცმელი ეცვა და მიდიური წესისდამიხედვით მეშუბენი ახლდნენ, — წერს პრისკე, — კარისკაცებმა მიღებისთანავე ჯერ გაჰკიცხეს იგი რომაელთა წინააღმდეგ ამბოხებისათვის, ხოლო შემდეგ კეთილგანწყობილად მოეპყრნენ და ისე გაისტუმრეს უკან. გუბაზმა მოხიბლა ისინი თავისი სიტყვა-პასუხით და საქრისტიანო ნიშნების ტარებით".[2] ეს ცნობა გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ გუბაზის დიპლომატიური მისია კონსტანტინოპოლში წარმატებით დასრულდა და მან თავისი ხელდასმული მემკვიდრე ეგრისის სამეფო ტახტზე ბიზანტიის ხელისუფლების ჩარევის გარეშე შეინარჩუნა.

ზოგი მეცნიერი აღნიშნულ ვითარებასთან მიმართებაში განიხილავს სვანეთის საკითხს[3] და ფიქრობს, რომ V საუკუნის დასასრულიდან სვა-

---

1 პრისკე პანიონელი, გეორგიკა, I, დასახ. გამოცემა, გვ. 259.

2 იქვე.

3 ნ. ლომოური, დასახ. ნაშრ., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 168-169.

ნეთი აღარ შედიოდა ეგრისის სამეფოში.[1] ჩვენ უმართებულოდ მიგვაჩნია ეს შეხედულება. საკმაო საბუთები არსებობს, ვამტკიცოთ, რომ სვანეთი არ გამოსულა ეგრისის სამეფოს შემადგენლობიდან V ს-ის ბოლოს (ლეონ I კეისრის დროიდან 457-474 წწ.). ის 551 წლის მიწურულამდე ეგრისის სამეფოში შემავალი სამთავროა, ვიდრე ირანის სარდლობამ უქმერიონის ციხე-სიმაგრის ხელში ჩაგდებით არ მოსწყვიტა მას[2] და თავად არ მოიპოვა გავლენა, რომელიც 590 წლამდე შეინარჩუნა.[3]

ვინაიდან სვანეთისა და ეგრისის ურთიერთდამოკიდებულება რეალურად ასეა, აქედან გამომდინარე, VI ს-ის მეორე ნახევრის ბიზანტიელი ისტორიკოსი მენანდრეს ცნობა სულ სხვანაირად იკითხება, ვიდრე ეს გაგებულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელსაც სინამდვილეში მითითებული მეცნიერები მენანდრეს მონაცემებს იმის დასამტკიცებლად იყენებენ, რომ თითქოს სვანეთი V ს-ის ბოლო მეოთხედიდან ეგრისში აღარ შედიოდა. მენანდრე სვანეთის საკითხს განიხილავს 562 წელს დარაში ბიზანტია-ირანს შორის გამართულ საზავო მოლაპარაკების აღწერისას. აქ ცხარე კამათი მიმდინარეობდა დაპირისპირებულ მხარეებს შორის სვანეთის თაობაზე. ბიზანტიელ ელჩ პეტრესა და ირანის შაჰ ხოსრო-ანუშირვანს შორის გამართულ დავას მენანდრე ასე გადმოგვცემს: „შენ სთქვი, უთხრა მეფემ (ხოსრომ), რომ სვანეთი ლაზების ხელქვეითი იყო. თუ შენ შეგიძლია საბუთებით დაამტკიცო ეს, შენ არ დაჰკარგავ მას, რაც სამართლიანია — პეტრემ კი უპასუხა: მე სრულიადაც არ დავაყოვნებ და აგიხსნი ნამდვილ ვითარებას. ლაზებში, ბატონო, ძველი წესი იყო, რომ სვანეთის სარდალი ემორჩილებოდა ლაზს და მასთან აღრიცხული იყო სახარკო სიაში, და ლაზი კიდევაც იღებდა მისგან ფუტკრების ნაყოფს და ტყავებს და ზოგ სხვა რამესაც. ხოლო როდესაც სვანების მთავარი გარდაიცვლებოდა, ლაზების მეთაური ახელისუფლებდა მას, ვისაც უნდა მიეღო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება. ამავე დროს წერილობით აცნობებდა რომაელთა

---

1 ს. ჯანაშია, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 256; ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, დასახ. გამოცემა, გვ. 84-86; მისივე, დასახ. ნაშრ., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 168-169; ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. III, დასახ. გამოცემა, გვ. 225; (იხ. შენიშვნა); გ. გოზალიშვილი, დავა სვანეთის გამო ბიზანტიასა და ირანს შორის, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. III, ტფ., 1936, გვ. 214-219; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 85-86.

დ. ლეთოდიანი, დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან V-VI სს-ში (სვანეთისა და ეგრისის ურთიერთობა), თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა შრომები, I, თბ., 1972, გვ. 141-158.

გ. ათანელაშვილი, სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში 562-590 წწ., თბ., 1959.

თვითმპყრობელს მომხდარი ამბების შესახებ და ესეც სამაგიერო წერილით უბრძანებდა მას, გაეგზავნა სვანთა მთავრობის ნიშნები, ვისთვისაც უნდოდა, მხოლოდ სვანი კი ყოფილიყო. ეს იყო ძალაში ჩვენი მეფის თეოდოსის დროიდან, ვიდრე თქვენი პაპის პეროზისა და ჩვენი მეფის ლეონის დრომდე".[1] შემდეგ პეტრეს ამოუღია წიგნაკი (საბუთი), სადაც თურმე თანამიმდევრობით ეწერა ლაზთა მეფეების სახელები, რომელთაც სვანთა მთავრები გაუხელისუფლებიათ ლეონ პირველამდე (457-474 წწ.). ლეონ კეისრიდან მოყოლებული, რომლის ზეობის პერიოდი გუბაზ მეფის ეგრისში მოღვაწეობას ემთხვევა, პეტრეს აღარ გააჩნია ეგრის-სვანეთის ურთიერთობის ამსახველი რაიმე წერილობითი საბუთი. პირიქით, ის ამ დროიდან ლაზთა მეფეების და სვანთა მთავრების სახელებსაც კი აღარ იცნობს ოფიციალური დოკუმენტით. ამის შესახებ ხომ თვითონ პეტრე ეუბნება ხოსროს: „აქამდე ვიცნობთ ჩვენ წერილობით ლაზთა მეფეებს და მათ, ვინც ლაზთა მიერ სვანთა მთავრებად იჭნენ დადგენილი".[2] მაშასადამე, კეისრებს V საუკუნის ბოლო მეოთხედიდან აღარ ეგზავნებათ წერილობითი საბუთი ეგრისის მეფეებისაგან სვანთა მთავრების გახელისუფლების თანხმობის მისაღებად. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ეგრისის სამეფოში შემავალი პროვინციების (ამ შემთხვევაში სვანეთის) მთავართა გახელისუფლების საქმე, რომელიც ასე თუ ისე ფორმალურად მაინც დაკავშირებული იყო ბიზანტიის ხელისუფლებასთან, გადაწყდა ეგრისის სამეფოს სასარგებლოდ. ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი მეფის პრეროგატივად დარჩა, რაც კარგად არის დადასტურებული პროკოპი კესარიელთან, როცა ის, სკვიმნიის (ლეჩხუმის) და სვანეთის საკითხზე მსჯელობისას აღნიშნავს: რომ „შიდა ხმელეთში მოდის სკვიმია და სვანია. ეს ტომები ლაზთა ქვეშევრდომები არიან, იქაურ მცხოვრებლებს მთავრებად ჰყავთ თვისტომთაგანნი, ხოლო როდესაც მთავარს აღსასრულის დღე მიადგება, მათ ჩვეულებრივ მეორე მთავარი ენიშნება ლაზთა მეფის მიერ",[3] ისე, რომ ამაზე არავითარ თანხმობას აღარ საჭიროებს ბიზანტიის კეისრისაგან.

ვფიქრობ, ეს წარმატება გუბაზ მეფის დიპლომატიური მოლაპარაკების მეორე დადებითი შედეგი უნდა ყოფილიყო. თუმცა, რადგან ეგრისის ტახტის მემკვიდრის გამეფება ფორმალურადაც აღარ იყო დამოკიდებული ბიზანტიის ხელისუფლებაზე, მთავართა გახელისუფლების საქმეც შესაბამისად მექანიკურად გადაწყდებოდა.

მენანდრე, გეორგიკა, III, დასახ. გამოცემა, გვ. 224.

[2] იქვე, გვ. 225.

[3] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 126-127.

თუ სიმონ მესვეტის ცხოვრების X საუკუნის ქართული მეტაფრასტული ხელნაწერის მონაცემებს დავუჯერებთ, გუბაზ მეფეს ბიზანტიის ხელისუფლებასთან კონსტანტინოპოლში სხვა საკითხებზეც ჰქონია მოლაპარაკება. კერძოდ, მასა და ლეონს შორის მსჯელობა გამართულა ეგრისის სამეფოს სამხრეთ სასაზღვრო ხაზზე ბიზანტიასთან. „მათ დღეთა შინა მოვიდა ღობაზიონოს — მეფე აფხაზთაჲ. ხილვად ნეტარისა ლეონ. მეფისა ბერძენთაჲსა... ხოლო აქუნდა ორთავე ამათ ჴეფეთა საურავი რაჲმე ქუეყანათაჲ დაწყნარებისათჳს და ზღვართა განყოფისაჲ. სადამდის არს საბერძნეთისაჲ ანუ მეგრელთაჲ. აფხაზეთის სამეფოჲსაჲ: და უთხრეს წმიდასა და მონასა ღმრთისასა დანიელს. და იგი იქნა შუამდგომელ მათდა. და დადვეს საზღვრად ციხე ხუფათი“.[1] სხვა ცნობას ეს წყარო ამ საკითხზე არ იძლევა, მაგრამ პროკოპი კესარიელის მონაცემებს თუ შევაჯერებთ, ვფიქრობთ, უფრო სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნება აღნიშნულ მოვლენაზე. პროკოპის გადმოცემით: „ ... იქური მცხოვრებლები (ტრაპეზუნტიდან ჩრდილოეთით (ვიდრე ციხისძირ-პეტრამდე, დ. ლ.) არც რომაელთა და არც ლაზთა მეფის ქვეშევრდომები არ არიან, გარდა იმისა, რომ რადგან ისინი ქრისტიანები არიან, ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მათ მღვდელმსახურებს... ქალაქ აფსარუნტიდან ქალაქ პეტრამდე და ლაზთა საზღვრებამდე, სადაც ევქსინის პონტო თავდება, ერთი დღის სავალი გზა არის“.[2] ჯერ ერთი, მოტანილი ქვეტექსტიდან ირკვევა, რომ პროკოპის დროს ეგრისის სამეფოს საზღვარს ხოფადან პეტრა-ციხისძირამდე გადმოუნაცვლია; მეორე, ეგრისის სახელმწიფო საზღვარი სამხრეთით გუბაზ I მეფის დროს (V ს-ის ბოლოს) კი გადადიოდა ხოფამდე, მაგრამ ხოფასა და ტრაპეზუნტს შორის მცხოვრები ხალხი არც ბიზანტიელებს და არც ეგრისელებს არ ემორჩილებოდნენ, ისინი დამოუკიდებელნი ყოფილან. მაშასადამე, ბიზანტიისა და ეგრისის სახელმწიფო საზღვარი ეგრისის სამხრეთით ერთმანეთს უშუალოდ არ ემიჯნებოდა; მესამე, ეს ხალხი კონფესიურად ეგრისის საეპისკოპოსოს გავლენის სფეროში ყოფილა მოქცეული, რაც, სრულიად სამართლიანად მიაჩნიათ ნაკვალევად ეგრისის სამეფოს პოლიტიკური გავლენისა ტრაპეზუნტამდე.[3] თუ ეს ასეა, მაშინ, გუბაზ მეფეს ამ საკითხზე ბიზანტიის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებისას უკან დაუხევია.

---

1 Кекелидзе К. С Историко-агиографические отрывки (Житие преп. Даниила Столпника), Христианский Восток, т. II, вып. II, С.-Петербург, 1913, გვ. 187-198.

2 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა. II. დასახ. გამოცემა. გვ. 124-126.

3 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 391.

V თავი. ქართლისა და ეგრისის საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები და დიპლომატია VI-VIII საუკუნეებში

1. ქართლისა და ეგრისის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა VI ს-ის I ნახევარში

532 წლის „უვადო ზავის" შედეგები

VI ს-ის დასაწყისში საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება V ს-ის მეორე ნახევართან შედარებით კიდევ უფრო გართულდა. ირანისა და ბიზანტიის იმპერიები მთელი ძალებით უპირისპირდებიან ერთმანეთს ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის. ირანის ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 428 წელს გააუქმა მეფობა სომხეთში, ხოლო 510 წელს ალბანეთში და თავისი უშუალო მმართველობა დაამყარა ამ ქვეყნებში. უფრო ადრე (391 წ.) ასეთივე პოლიტიკა გაატარა ბიზანტიამ დასავლეთ სომხეთში, ეგრეთ წოდებულ რომის სომხეთში. ირანი და ბიზანტია ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში, მარტო თავიანთი ტერიტორიების გაფართოებისათვის როდი ებრძოდნენ ერთმანეთს, მათთვის საქართველოს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნდა: ჯერ ერთი, ძირითადად, საქართველოს (ეგრისის და ქართლის სამეფოების) სახელმწიფოების ხელთ იყო ჩრდილო კავკასიიდან გადმოსასვლელების გასაღები, საიდანაც მოსალოდნელი იყო ჩრდილო კავკასიელი მომთაბარე ტომების, განსაკუთრებით ჰუნების, დამანგრეველი ლაშქრობები; მეორე, ირანისა და ბიზანტიის ხელისუფლებისათვის საქართველოს ტერიტორია თავდაცვის უდიდეს საშუალებას წარმოადგენდა, არა მარტო ჩრდილოელი ტომების შემოსევებისაგან, არამედ ერთმანეთის თავდასხმებისაგანაც. მოქიშპე მხარეებიდან მომგებიანი პოზიცია იმას ეპირა, ვინც საქართველოს ფლობდა; მესამე, ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოპირისპირე მხარეებისათვის, თუ ვის მხარეზე აღმოჩნდებოდა საქართველოს სამხედრო ძალები, იყო სხვა ფაქტორებიც.

VI საუკუნის დასაწყისიდან ირანის ხელისუფლებამ გააძლიერა თავისი პოლიტიკური გავლენა ქართლის (იბერიის) სამეფოზე. ასევე დაბეჯითებით ცდილობს ის, თავისი გავლენა მოიპოვოს ეგრისის (ლაზიკის) სამეფოზე. მან ქართლში (იბერიაში) სამეფო ხელისუფლების მოშლისა და იქ უშუალო მმართველობის მოპოვებისათვის, არაერთი ღონისძიება გაატარა. ქართლში, სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ, ირანის დიდმა მოხელეებმა მოახერხეს ქართლის შინა მერყევი ელემენტების წარმატებით გამოყენება. შაჰის მემკვიდრემ, რომელიც ბარდავს იჯდა, „უწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა: აღუთქუა კეთილი დიდი, და დაუწე-

რა საერისთოთა მათთა მამულობა შვილითი-შვილთამდე, და ესრეთ წარიბირნა ლიჭნითა. და განდგეს ერისთავნი და თუსთუსად ხარკსა მისცემდეს".[1] ქართლში მეფობის შესუსტების და იქ ირანელების გაბატონების საქმეში სუმბატ დავითის ძე პირდაპირ ქართველ აზნაურებს ადანაშაულებს. „ დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათგან... და სპარსნი უფლებდეს ქართლს, კახეთს, ჰერეთს, სომხითს, სივნეთს, ასპურანგს".[2] ირანის შაჰი კავადი (488-531 წწ.) ქართლში გატარებული სხვა დამაკაბალებელ ღონისძიებათა შორის ყველაზე მეტ ყურადღებას მაინც ქართველების სარწმუნოების შეცვლაზე ამახვილებდა. როგორც იმდროინდელი ბიზანტიელი მწერალი პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს: „კავადს უნდოდა ძალით მოექცია ისინი თავის სარწმუნოებაზე და მათ მეფეს გურგენს შეუთვალა სხვა რამეშიაც ისე მოქცეულიყო, როგორც სპარსელებში იყო მიღებული, და მიცვალებულებიც მიწაში კი არ დაემარხა, არამედ ფრინველებისა და ძაღლებისათვის გადაეგდო".[3] პროკოპი კესარიელის თქმით კი, იბერები „ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ", რომელთაც ის იცნობდა.[4] ირანელებისაგან ქრისტიანობის შეცვლის მუქარას გურგენ ქართლის მეფე აჯანყებით შეხვდა, ბიზანტიის კეისარ იუსტინეს (518-527 წწ.) მხარეზე გადავიდა და დახმარება სთხოვა ირანელების წინააღმდეგ. იუსტინე სიამოვნებით შეჰპირდა დახმარებას გურგენ მეფეს. დიდძალი ფულით გაგზავნა ერთ-ერთი თავისი დიდი მოხელე (პატრიკიოსი პრობე) ბოსფორში ჰუნების დასაქირავებლად, რათა დახმარებოდა გურგენს, მაგრამ პრობე იქიდან უშედეგოდ დაბრუნდა. იუსტინემ მაინც მოახერხა ჯარის ნაწილების შეგროვება, მათ პეტრე სტრატეგოსი უსარდლა და ლაზიკაში გაგზავნა გურგენის მისაშველებლად. მაგრამ, კავადმა იმდენად დიდი ლაშქარი გამოგზავნა გურგენ მეფის წინააღმდეგ, რომ ბიზანტიელების და ქართველების ჯარის ნაწილების გაერთიანება უმწეო აღმოჩნდა ირანელებთან შესაბმელად. გურგენ მეფე იძულებული გახდა, ოჯახით და ერთგული დიდებულებით ქართლს გასცლოდა და ჯერ ეგრისში (ლაზიკაში), ხოლო შემდეგ ბიზანტიაში გადასულიყო (523 წ.).[5] 523 წლიდან მოყოლებული, იბერიელებს (ქართლელებს) „ არც სპარსელები აძლევდნენ ნებას, მეფე ჰყოლოდათ, არც იბერები ემორჩილებოდნენ სპარსელებს

---

1 ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 217.

2 იქვე. გვ. 373.

3 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II დასახ. გამოცემა, გვ. 49.

4 იქვე. გვ. 48.

5 იქვე. გვ. 48-51.

თავისი ნებით".[1] ამავე პერიოდის ქართული წყაროს — „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" — ავტორმაც იცის, რომ ქართლის უზენაესი ხელისუფლება ამ დროიდან სპარსელი მოხელის — მარზპანის (ოლქის მმართველის) ხელშია და არა ქართველი მეფის. ქართლის მარზპანს „ყოვლისა კაცისა ქართლისა ჯელ-უწიფების სიკუდილი და ცხორებაჲ".[2] სხვა ქართულმა წყაროებმაც (მოქცევაჲ ქართლისაჲს ავტორმა, ჯუანშერმა და სუმბატ დავითისძემ), როგორც ითქვა, ირანელების მიერ ქართველი აზნაურების ხელშეწყობით იციან ქართლში მეფობის გაუქმების შესახებ, მაგრამ მათ ანაქრონიზმი ახასიათებთ პროკოპის მონაცემებთან მიმართებაში.[3]

მითითებული წყაროების საფუძველზე, სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია მოსაზრება, რომ ქართლში მეფობა გააუქმეს ირანელებმა 523 წელს და ადგილობრივი ადმინისტრაციის აღდგენა აქ მხოლოდ VI ს-ის მეორე ნახევარში, კერძოდ, 571-572 წწ-ში მოხერხდა ერისმთავრის სტატუსით.[4] ჩვენ ამ მოვლენების ასეთ დათარიღებას ვიზიარებთ ამ ბოლო ხანს გამოთქმული მოსაზრების საპირისპიროდ.[5] ასე რომ, ქართლი გამოცხადდა ირანის ერთ-ერთი სამხედრო-ადმინისტრაციული მხარის (კუსტაკის), კერძოდ, კავკასიის კუსტაკის შაჰრად (ოლქად) და მას სათავეში ჩაუყენეს მარზპანი (ოლქის მმართველი). მარზპანი ქართლის უზენაეს ხელისუფალს წარმოადგენდა. ქართლის მნიშვნელოვან ციხე-ქალაქებში ირანელებმა ჯარის ნაწილები ჩააყენეს და ეს ქალაქები ციხისთავებს დაუმორჩილეს.[6] მიუხედავად ყოველივე ამისა, ირანმა მაინც ვერ შეძლო ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუტის მოსპობა. კი, მართალია, ქართლის მარზპანს (ირანელ მოხელეს) ემორჩილებოდა

---

1 პროკოპი კესარიელი, გოთრგიკა, II დასახ. გამოცემა, გვ. 94.

2 ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, I, გვ. 32.

3 მაგ., ჯუანშერის ცნობით, ქართლში მეფობა „დაესრულა" ირანის შაჰ ჰორმიზდ IV-ის (579-590) დროს და აღსდგა მისი გარდაცვალების შემდეგ, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 217-219.
ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 245-246; ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, ჰ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 1958, გვ. 106; ა. ბოგვერაძე, ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI-VIII სს-ში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 248 და სხვაგან; გ. დუნდუა, ე. წ. ქართულ-სასანური მონეტების პრობლემა., მაცნე ისტორიის, არქეოლოგიის., სერია, თბ., 1976, იქვე სათანადო ლიტერატურა.

5 მ. ჩხარტიშვილი, მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ, ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა სერაპიონ ზარზმელისაჲ, თბ., 1990, გვ. 33-40.

6 С. Еремян, Армения в VI-VII вв., Очерки истории СССР, III-IX вв., М., 1958, გვ. 219; В. В. Бартольд, Место прикаспийских областей в истории Мусульманского мира, Баку, 1924; გვ. 21; ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 248.

ადგილობრივი მმართველობა, მაგრამ აქ ამ დროს ფიგურირებდა პიტიახშის, მამასახლისის, ერისთავის და სხვა ქართული ადმინისტრაციული-მმართველობითი ინსტიტუტები და ორგანოები. ამაზე პირდაპირ მიგვანიშნებს „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორი, — „რაჟამს იმხედრდებოდა მარზპანი იგი, აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამეფელ ქართლისა კათალიკოზი და გრიგოლ ქართლისა მამასახლ[illegible] და არშუშა ქართლისა პიტიახში და სხუანი სეფეწულნი“.[1]

ქართლში მეფობის გაუქმების შესახებ საპირისპირო ცნობა გაჩნია VI ს-ის ბიზანტიელ ისტორიკოსს იოანე მალალას. ის თავის თხზულებაში აღნიშნავს, რომ 527 წელს ქართლს ჰყავდა მეფე, სახელად ზამანარზი[2] (ძამანარძე). იოანეს ამ ცნობას უფრო ნათელს ხდის VIII ს-ის დასასრულისა და IX ს-ის დასაწყისის ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფანე ჟამთააღმწერელი, რომელიც წერს, რომ 535 წ. „იბერიელთა მეფე ძამანარძე მოვიდა კონსტანტინეპოლში კეთილსათნო იუსტინიანე მეფესთან თაკისი მეუღლითა და დარბაისლებითურთ; მან სთხოვა იუსტინიანეს, მიეღო იგი რომაელების მოკავშირედ და ჭეშმარიტ მეგობრად. მეფემაც შეიწყნარა ეს თხოვნა, დიდი პატივი სცა მასაც და მის დარბაისლებსაც; ამგვარადვე, დედოფალმაც აჩუქა მის მეუღლეს მრავალნაირი სამკაული, მარგალიტებით მოქედილი და იუსტინიანემ გაისტუმრა ისინი მშვიდობით მათ საკუთარ სახელმწიფოში“.[3] იოანე მალალას და თეოფანეს მიითითებული ცნობების ურთიერთშეჯერების საფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ 527-535 წლებში ქართლში (იბერიაში) მეფედ მჯდარა ძამანარძე (ზამანარზი).[4] ამ ცნობებით ეს ასე დგინდება. სხვა საკითხია, რამდენად რეალურია ეს ამ დროისათვის; რაც შეეხება იმას, რომ ძამანარძეში შეიძლება გვეგულისხმა მარზპანზე დაქვემდებარებული ქართლის მამასახლისი, რომელიც თითქოს მეფის ადგილზე დაეყენებინოს ირანელებს ქართლის სამეფო გვარიდან,[5] სიმართლეს მოკლებული ჩანს. თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ძამანარძე იუსტინიანე (527-565 წწ.) კეისარს სთავაზობს როგორც თანასწორი თანასწორს, თავის მოკავშირეობასა და მეგობრობას; ის კეისრის წინაშე წარსდგება როგორც მეფის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი და არა ირანის

ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I. გვ. 32.

გეორგიკა. III დასახ. გამოცემა. გვ. 268.

თეოფანე ჟამთააღმწერელი. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. IV. ნაკ. I. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ და განმარტებებით. ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1941. გვ. 80.

ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა. IV. ნაკ. I. დასახ. გამოცემა. გვ. 80-84. იხ. შენიშვნა.

I. Marquart. Osteuropäischen und ostasiatischen Streifzüge. Leipzig. 1903. გვ. 432; ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა. IV. ნაკ. I. გვ. 80-84. იხ. შენიშვნა; შეად. გეორგიკა. V. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. თბ. 1963. გვ. 17-22.

მარზპანზე დამოკიდებული მარიონეტი და, რაც მთავარია, იუსტინიანე იწყნარებს ძამანარძის თხოვნას და მისგან პატიჟდებულს ისტუმრებს საკუთარ სახელმწიფოში. თეოფანეს ეს ცნობა სხვა მხრივაც საყურადღებოა: ჩანს, ქართლის (იბერიის) მეფე ძამანარძეს დიპლომატიური მისია უკისრია იუსტინიანე კეისრის წინაშე, რათა მასთან მეგობრობა-მოკავშირეობისათვის მიეღწია. ძამანარძის ეს ნაბიჯი არ უნდა ნიშნავდეს ბიზანტიასთან მარტო კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისათვის ზრუნვას, არამედ ეს უნდა იყოს ქართლისა და ბიზანტიის ძალთა შეკავშირების მცდელობა, ქართლში ამ დროს მომძლავრებული ირანის წინააღმდეგ.

იოანე მალალას და თეოფანე ჟამთააღმწერლის მითითებული ცნობების საფუძველზე რომ უარგვეყო პროკოპი კესარიელის ცნობა, რომელიც შეესაბამება ბიზანტიურ (აგათია სქოლასტიკოსის, მენანდრეს)[1] და დასახელებულ ქართულ წყაროებს იმის შესახებ, რომ გურგენ მეფის ქართლიდან გამოძევების (523 წ.) შემდეგ ქართლში მეფობა გაუქმდა და იქ ირანელებმა სამარზპანო ხელისუფლება დაამყარეს, უმართებულო იქნებოდა. არც იოანესა და თეოფანეს მონაცემების უგულებელყოფა შეიძლება, პირიქით, მათი ცნობის სხვა წყაროებთან შეჯერებამ დაგვარწმუნა, რომ საკითხი შეიძლება სხვანაირად დაისვას: 523 წლიდან ირანის ხელისუფლებამ მოახდინა მთელი ქართლის სამეფოს ოკუპაცია და ანექსია, თუ ქართლის სამეფოს ერთი ნაწილის ოკუპაცია შეძლო მხოლოდ და ის აქცია სამარზპანოდ? ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გაცემა მხოლოდ ჯუანშერის მონაცემების ცნობებთან შეჯერებით შეიძლება. ჯუანშერის ცნობები ამ საკითხებზე საკმაოდ ერეკლია, მაგრამ აუცილებელია მათი აქ განხილვა.

ჯუანშერის გადმოცემით, ვახტანგ გორგასალმა სიკვდილის წინ დაჩის, თავის პირმშოს (პირველი ცოლისაგან) დაულოცა სამეფო ტახტი, ხოლო უმცროს ვაჟიშვილებს: ლეონს და მირდატს (მეორე ცოლისაგან — ბიზანტიელი ქალისაგან) საუფლისწულოდ მისცა ზემო ქართლის (მესხეთის) სამი საერისთავო, — ვახტანგმა „რქუა ძესა თჳსსა დაჩის: „შენ ხარ პირმშო შვილი ჩემი, შენდა მიმიცემია გჳრგჳნი მეფობისა ჩემისა, და ნაწილად ძმათა შენთა მიმიცემია ტასისკარითაგან და წუნდითგან ვიდრე სომხითამდე და საბერძნეთამდე, საზღვარი აფხაზეთისა, რომელი მოცემულ არს ეგრისწყალსა და კლისურასა შუა, იგი თჳთ

1[1] იხ. აგათია სქოლასტიკოსი და მენანდრე, გეორგიკა, III. დასახ. გამოცემა. ისინი არ ახსენებენ იბერიის მეფეს.

ძმათა შენთა დედისა არს, იგი აქუნდეს მათ, და იყვნენ შენდა ერისთავად მორჩილებასა ქუეშე ნათესავისა შენისასა".[1]

ამის შემდეგ ვახტანგ მეფემ „მოუწოდა ნასარს, ერისთავსა წუნდისასა, და არტავაზს, ერისთავსა კლარჯეთისასა, და ბივრიტიანს, ერისთავსა ოძრ ̇ისასა, და მათ მიათუალა ცოლი თ ̇ესი ელენე და შვილნი მისნი, რომელთა ერქუა ლეონ და მირდატ, და შეავედრნა მათ სამთავე ერისთავთა... და დაჯდა საყდარსა მისსა ძე მისი დაჩი. ხოლო ცოლი ̇ ̇ ̇ ორნი ძენი ვახტანგისნი წარიყვანნეს სამთა მათ ერისთავთა, და დაიპყრეს დასავლეთი ქართლისა, რომელი მისცა ვახტანგ. და დასხდეს წუნდას ქალაქსა ზაფხულის, და ზამთრის იყვნიან ოძრ ̇ეს და არა ეწოდა მათ მეფედ, არამედ ერისთავთა-მთავრად, და იყვნეს მორჩილებასა ძმისა მათისა დაჩი მეფისასა".[2]

დაჩის და მირდატის ძმის ლეონის გარდაცვალების შემდეგ დაჩიმ მირდატს მისცა ჯავახეთი და მისგან სანაცვლოდ აიღო მისი დედული — ეგრის წყალსა და კლისურას შუა მდებარე ქუეყანა. ე. ი. ზემო ქართლის სამ საერისთავოს მიემატა ჯავახეთი და „დაიპყრა მირდატ, ძემან ვახტანგისამან, ფარავნითგან და ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა, და ერისთავობდა მუნ".[3]

ჯერ კიდევ დაჩის შვილიშვილის — ფარსმან მეფის, ბაკურ დაჩის ძის, დროს (ე. ი. ქართლში მეფობის გაუქმებამდე), ქართლის სამეფოს პოლიტიკური ვითარება ისე წარიმართა, რომ „განიყვნეს ნათესავნი ვახტანგ მეფისანი. რამეთუ შვილნი დაჩისანი ჰმორჩილობდეს სპარსთა, ხოლო შვილნი მირდატისანი დაადგრეს მორჩილებასა ბერძენთასა".[4] გამოდის, რომ ფაქტობრივად ქართლის სამეფო ორად გაიყო, ერთს დაჩის შთამომავლობა, ხოლო მეორეს მირდატის სახლი ჩაუდგა სათავეში. დაჩის მემკვიდრეების სამფლობელო ირანის გავლენის ქვეშ დარჩა, ხოლო მირდატმა ორიენტაცია ბიზანტიისაკენ აიღო და მისი მფარველობა მიიღო. შესაძლოა, ამის მიზეზი ქართლში ირანის გავლენის გაძლიერება ყოფილიყო. ბუნებრივია, როცა ირანმა ქართლი დაიპყრო და იქ თავისი უშუალო მმართველობა დაამყარა, მესხეთ-ჯავახეთი (ზემო ქართლი) მისი ადმინისტრაციის გარეთ დარჩენილიყო და შეენარჩუნებინა თავისი სახელმწიფოებრიობა თავისი სამეფო საგვარეულოთი, მირდატის სახლის სახით. ჯუანშერს თუ დავუჯერებთ, ქართლში ირანული ადმინისტრაციის დამყარების მიუხედავად, გადარჩა დაჩის შთამომავლობაც, რო-

---

ქართლის ცხოვრება, I, გვ. 203-204.
[2] იქვე. გვ. 204-205.
[3] იქვე. გვ. 205.
[4] იქვე. გვ. 207.

მელთაც კახეთის მთიულეთისათვის შეუფარებიათ თავი და იქ შეუნარჩუნებიათ ხელისუფლება. „და შვილნი ბაკურისანი დარჩეს მთიულეთს კახეთისასა. და ნათესავნი მირდატისანი, ვახტანგის ძისანი, რომელნი მთავრობდეს კლარჯეთს და ჯავახეთს, იგინი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა, სხუა ყოველი ქართლი... დაიპყრეს სპარსთა".[1]

იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ჯუანშერის ამ მონაცემს ეწინააღმდეგებოდეს პროკოპი კესარიელის გადმოცემა: მესხები იყვნენ „ძველითგანვე იბერთა ქვეშევრდომი",[2] და თითქოს ეს ნიშნავდეს ამ დროისათვის იბერიის ხელისუფლების გავრცელებას მესხებზე, მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პროკოპისავე გადმოცემით, იბერები ამ დროს თვითონ არიან უზენაეს ხელისუფლებას მოკლებულნი და იბერია ირანის სამარზპანოს წარმოადგენს; მეორე, თუ პროკოპის გადმოცემას ისე გავიგებთ, რომ ამ დროისათვის გულისხმობდეს ის მესხების ქვეშევრდომობას იბერიაზე, მაშინ თვითონ ვარდება წინააღმდეგობაში, რადგან მას, თუ იბერიას და მესხეთს ერთიან პოლიტიკურ გაერთიანებად მიიჩნევდა, უნდა ეთქვა, რომ მესხები სპარსელების ქვეშევრდომნი იყვნენ ისე, როგორც იბერები. მაგრამ ეს ასე არ იყო და ამას ის ვერ იტყოდა; მესამე, სხვა ადგილას, პროკოპი პირდაპირ წერს: აღმოსავლეთით ჭანების „საზღვრებს რომ გადახვალ, ხევი არის, ღრმა და მეტად დაჭანებული, რომელიც კავკასიის მთებამდეა გადაჭიმული. აქ ადგილები ძალიან მჭიდროდ არის დასახლებული და ვენახი და სხვა ხეხილიც საკმაოდ ხარობს: დაახლოებით სამი დღის სავალი გზის მანძილამდე ეს ხევი რომაელების ხელშია, იმის შემდეგ კი პერსარმენიელთა საზღვრები იწყება".[3] ჭანეთსა და პერსარმენიას შორის მდებარე ხევი, რომელიც კავკასიამდე ვრცელდება და რომაელების გავლენის ქვეშაა მოქცეული, ვისი ტერიტორია უნდა იყოს, თუ არა მესხებისა? — იქნებ პროკოპი ზემოთ მითითებულ ცნობაში მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ მესხეთი ისტორიულ-გეოგრაფიულად იბერიაა. შესაძლოა, პროკოპის ეს ცნობა წინააღმდეგობრივი იყოს და სიზუსტეც აკლდეს, მაგრამ ფაქტია, რომ იგი ვერ გამოდგება ჯუანშერის მონაცემების გასაბათილებლად.[4]

ასე რომ, კლარჯეთ-ჯავახეთი გადაურჩა ირანელთა ბატონობას და ამაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა მირდატის დროინდელ ორიენტაციას ბიზანტიისაკენ, რომლის მფარველობის

ქართლის ცხოვრება, I, გვ. 217.

გეორგიკა. II. დასახ. გამოცემა, გვ. 127.

იქვე. გვ. 54.

4 შდრ. დ. მესხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1980. გვ. 2-13.

ქვეშ მირდატის სამეფო საგვარეულო სახლმა მოახერხა, შეენარჩუნებინა თავისი ძალაუფლება აღნიშნულ რეგიონში. ნიშანდობლივია, რომ, როცა ქართველებს დაუდგათ აჯანყების შესაძლებლობის დრო (571 წ.), მაშინ, მთელი აღმოსავლეთი საქართველოს აჯანყებას სათავეში უდგება კლარჯეთ-ჯავახეთის (ზემო ქართლის) მთავარი, მირდატის სახლის წევრი (მისი დისწული) გუარამი,[1] რომელსაც ბიზანტიური წყაროები გორგენად იხსენიებენ და რომელიც ემთხვევა ქართული წყაროების მონაცემებს. „სპარსელებს მაშინვე გადაუდგნენ იბერებიც და მიემხრნენ რომაელებს: მათ მთავრობდა გორგენი, ხოლო იბერთა დედაქალაქი მაშინ ტფილისი იყო".[2] ჯუანშერს ეს ფაქტი უფრო ღრმად და ვრცლად აქვს აღწერილი. მისი გადმოცემით, ქართლის ის ერისთავნი, რომლებსაც საკმაო წვლილი მიუძღოდათ ქართლში სამეფო ხელისუფლების დაცემასა და სპარსელების გაბატონებაში, შემდეგ ინიციატივას იჩენენ ადგილობრივი უზენაესი ხელისუფლების აღდგენისათვის ბრძოლაში და ირანელების (სპარსელების) წინააღმდეგ ბიზანტიელებს (ბერძნებს) მიმართავენ დახმარებისათვის. „ესრეთ რა უცილო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა, და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა და რათა იყვნენ ერისთავნი იგი თ-ჯ-თ-ჯსა საერისთაოსა შეუცვალებად.

მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვა მათი და მოსცა მეფედ დისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძენის ცოლისაგან, რომელსა ერქუა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს".[3]

დაახლოებით ასეთი შინაარსის კონტექსტში ახსენებს გუარამის სახელს „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ავტორიც: „ნელად-რე შეერბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ".[4]

მითითებული წყაროების მონაცემების განხილვისა და მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე კარგად დგინდება, რომ 523 წელს ირანის ხელისუფლებამ მოახდინა ქართლის სამეფოს ერთი დიდი ნაწილის ოკუპაცია და ანექსია. ქართლიდან გამოდევნა მეფე გურგენი და იქ დაამყა-

---

1 ე. ი. მთელი აღმოსავლეთი საქართველოს (ქართლის) ერისმთავრად „განაჩენამდე". გუარამი ზემო ქართლის (კლარჯეთ-ჯავახეთის) ერისთავთა მთავარი იყო, და მისი „ყოველი ქართლის" ერისმთავრად „განჩენა" 571 წლის აჯანყების შედეგი უნდა იყოს. შად. ვ. გოილაძე, VI ს-ში ქართლის სახელმწიფოებრიობის აღდგენის დათარიღებისათვის, მაცნე, ისტორიის... სერია, I, 1979, იქვე სათანადო ლიტერატურა.

2 თეოფანე ქამთაალმწერელი, გეორგიკა, III, გვ. 256-253; История Иоанна Эфесского, Н. Пигулевская, Сирийские источники по истории народов СССР, М.-Л., 1941, გვ. 130.

3 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 217-218.

4 ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 95.

რა თავისი მოხელის (მარზპანის) უზენაესი ხელისუფლება, მაგრამ, 1. ვერ მოსპო ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუტი; 2. ქართლის საკმაოდ დიდი ნაწილი ვერ დაიმორჩილა. ირანისაგან დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა შეინარჩუნა: კახეთის მთიულეთმა მეფე დაჩის მემკვიდრეების მეთაურობით, კლარჯეთ-ჯავახეთმა (ზემო ქართლმა) მირდატის სამეფო საგვარეულო სახლის უზენაესი ხელისუფლებით; 3. კლარჯეთ-ჯავახეთი მირდატ ვახტანგ მეფის ძის ხელმძღვანელობით განერიდა ირანელთა ბატონობას ქართლში მეფობის გაუქმებამდე, გამოეყო ქართლის მეფე ფარსმან ბაკურის ძეს (დაჩის შვილიშვილს) და შექმნა სუვერენული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული. მიიღო ბიზანტიის მფარველობა და შეუვალი გახდა ირანელებისათვის.

ვფიქრობთ, ბიზანტიელ ისტორიკოსებთან (იოანე მალალასთან, თეოფანე ჟამთააღმწერელთან) ქართლის მეფედ დასახელებული ძამანარძე (ზამანარზი) ისტორიულად რეალური, მეფის სტატუსის მქონე პიროვნება უნდა იყოს. ყველაზე მეტად შესაძლებელია, ძამანარძე კლარჯეთ-ჯავახეთის (ზემო ქართლის) სამეფო-საგვარეულო სახლის (მირდატის შთამომავლობიდან) რომელიმე წარმომადგენელი, ერისთავთა-მთავარ გუარამის წინამორბედი ყოფილიყო, ან იქნებ დაჩის მემკვიდრეებიდან გვეგულისხმა რომელიმე. მაგრამ ისინი პოლიტიკურად იმდენად სუსტნი იყვნენ მირდატის სახლთან შედარებით, რომ ეს ნაკლებად არის მოსალოდნელი. მირდატის სახლი, გარდა იმისა, რომ საკმაოდ ვრცელი ტერიტორიის მფლობელი და საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური ერთეულის ხელისუფალი იყო, ის ირანის საპირისპიროდ ზურგგამაგრებული ჩანს ბიზანტიისაგან. ამ მხრივ ნიშანდობლივია ჯუანშერის ერთი ცნობა, საიდანაც კარგად ჩანს მირდატის სახლის აშკარა უპირატესობა დაჩის მემკვიდრეებთან შედარებით: „გუარამს მისცა კეისარმან კურაპალატობა, და წარგზავნა მცხეთას. შვილნი ბაკურ მეფისანი, ნათესავნი დაჩისანი, ვახტანგის ძისანი, რომლისადა მიეცა მეფობა ვახტანგ მეფესა, იგინი დარჩეს კახეთს... და დასხდეს უჯარმოს, და იყვნეს მორჩილებასა გუარამ კუროპალატისასა“.[1]

532 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის დაიდო ე. წ. „უვადო ზავი“. ამ ზავის პირობები შეეხო იბერიასაც. ბიზანტიონში გურგენ მეფეს გაყოლილ საკმაოდ დიდ ამალის წევრებს მიეცათ უფლება, დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. პროკოპი კესარიელის გადმოცემით, ნაწილი იბერიელებისა დაბრუნდა თავის ქვეყანაში, ნაწილი კი დარჩა ბიზანტიაში.[2] რაც შეეხება გურგენ მეფის რეაბილიტაციის საკითხს, ეს ზავის

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 218-219.
2 გეორგიკა. II, გვ. 62.

პირობებში არ აღინიშნა, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მას არ მიეცა უფლება მეფის სტატუსით უკან დაბრუნებისა. ე. ი. ამ ზავმა ირანს დაუმტკიცა ის მიღწევები, რაც მან მოიპოვა იბერიაში.

ქართველები (იბერიელები) არ შერიგებიან ირანელ დამპყრობლებს. პირიქით, პროკოპის თქმით, იბერები არ „ემორჩილებოდნენ სპარსელებს თავისი ნებით, არამედ დიდი ეჭვით და უნდობლობით ეპყრობოდნენ ერთმანეთს. ცხადი იყო, რომ იბერებს ძალიან უჭირდათ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა და ახლო მომავალში განზრახული ჰქონდათ აჯანყება, თუკი შეძლებდნენ ოდესმე შესაფერი დრო ეხელთათ".[1] იქნებ ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იყო იბერთა მეფე ძამანარძის მისია 535 წელს ბიზანტიაში ჩასული, რათა იუსტინიანე კეისრის მხარდაჭერა მოეპოვებინა ირანელების წინააღმდეგ. მოჰყვა თუ არა ამ მისიას ქართველების აჯანყება ირანელების წინააღმდეგ მაშინ, ეს ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ ამ მოძრაობის ინიციატორნი და მოთავეები კლარჯეთ-ჯავახეთის სამეფო საგვარეულო სახლი რომ უნდა ყოფილიყო, ამას შემდეგდროინდელი რეალიები ასაბუთებენ.

როგორც აღინიშნა, ირანი და ბიზანტია დასავლეთ საქართველოზე (ეგრისის სამეფოზე) გავლენის მოპოვებისათვისაც ეცილებოდნენ ერთმანეთს. თავისთავად ეგრისის (ლაზიკის) მეფენიც დაპირისპირებული მხარეების თავიანთი ინტერესებისათვის გამოყენებას ცდილობდნენ. პირდაპირი ცნობა არ მოიპოვება, თუ რატომ გადავიდა ეგრისის (ლაზიკის) მეფე დამნაზე (ან მისი წინამორბედი) ირანელთა მხარეზე VI ს-ის დასაწყისისათვის, მაგრამ ეს ფაქტია, და ამას დაბეჯითებით ადასტურებს იოანე მალალა.[2] დამნაზეს შვილი წათე I-იც ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეშივე ირანისაკენ იღებს ორიენტაციას. იმის შიშით, რომ ირანის შაჰმა შეიძლება ეგრისის (ლაზიკის) მეფედ არ დამნიშნოსო, სარწმუნოებასაც კი იცვლის. „ლაზთა ეს მეფე (წათი) გადავიდა წარმართთა სარწმუნოებაზე, რადგან ეშინოდა, ვაი თუ, სპარსელთა მეფემ კოადმა მეფედ არ დამნიშნოსო, მსხვერპლებსაც სწირავდა და ყოველგვარ სპარსულ წესს ასრულებდა".[3] შესაძლოა, ასეთი მოქმედება წათემ ირანული ორიენტაციის მომხრე მამის შიშით უფრო ჩაიდინა, ვიდრე შაჰისა. იქნებ წათეს სამეფო ტახტზე მოცილეც ჰყავდა და ესეც უბიძგებდა ასეთი მოქმედებისაკენ, თორემ, ბიზანტიის მოპირისპირე შაჰი იმითაც კმაყოფილი უნდა ყოფილიყო, რომ ეგრისის მომავალი მეფე მის მფარველობას აღიარებდა და არა კეისრისას. სხვაგვარად ძნელი გასაგები

---

1 გეორგიკა, II, გვ. 268-273.
2 გეორგიკა, III, დასახ. გამოცემა, გვ. 261-263.
3 იქვე, გვ. 263-264.

იჭებოდა წათეს ასეთი ნაბიჯი, რადგან ვიცით, ირანელებისაგან გაცილებით მეტი ზეწოლის ქვეშ მყოფი ამ დროის იბერიის მეფენი როგორი თავდადებით იცავდნენ თავიანთ სარწმუნოებას. ნიშანდობლივია ამ მხრივ, რომ, როგორც კი დამნაზე გარდაიცვალა (523 წ.), წათემ პირი ბიზანტიისაკენ იბრუნა და მფარველობა იუსტინე კეისარს სთხოვა. „როდესაც გარდაიცვალა მისი მამა დამნაზე, მაშინვე მოვიდა იუსტინე მეფესთან ბიზანტიონში, გამოაცხადა თავი მის მორჩილად და სთხოვა, ლაზთა მეფედ მაკურთხეო. მეფემ მიიღო ის და აკურთხა: გაქრისტიანებულმა წათემ შეირთო რომაელი ქალი, პატრიკიოს ნომეს ქალიშვილი"[1] და იუსტინესაგან შვილად გამოცხადებული, მისგან ხელდასმული, სამეფო რეგალიებით დამშვენებული დაბრუნდა ეგრისში (ლაზიკაში) და შეუდგა მეფობას.[2] შესაძლოა, მამის გარდაცვალებისთანავე წათეს პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა იმანაც უფრო განაპირობა, რომ სწორედ ამ დროს (523 წ.) ქართლში მომძლავრებულმა ირანელებმა განდევნეს გურგენ მეფე და ლაზიკას მოადგნენ. ამით საშიშროება შეექმნა ეგრისის (ლაზიკის) თავისუფლებას. წათეს ირანის მოკავშირეობა იმდენად ესაჭიროებოდა, რამდენადაც ის დამხმარე ძალად გამოადგებოდა ბიზანტიასთან მოსალოდნელ დაპირისპირებაში, თორემ, თუკი ირანისაგან შეექმნებოდა ეგრისის (ლაზიკის) სუვერენიტეტს საშიშროება, მაშინ რაღა აზრი ეჭებოდა მასთან მოკავშირეობას.

წათე მეფის ბიზანტიასთან კარგი ურთიერთობით განაწყენებულმა შაჰმა კავადმა საყვედურებით სავსე წერილი მისწერა იუსტინეს. რატომ ჩვენს მეგობრობას პატივს არ სცემ და რატომ გადაიბირე ჩვენი ქვეშევრდომი ლაზიკის მეფეო.[3] იუსტინეს უპასუხია: ჩვენ–არც არავინ გადაგვიბირებია თქვენი ქვეშევრდომი, უბრალოდ ჩვენთან მოვიდა წათე, გვთხოვა გაქრისტიანება და ჩვენც საწადელი ავუსრულეთ და თავის ქვეყანაში ისე გავისტუმრეთო.[4] შაჰს ასეთი პასუხი რას დააკმაყოფილებდა და 528 წელს ომი გამოუცხადა წათე I-ს. წათემ ელჩი გაგზავნა იუსტინიანე I-თან (527-565 წწ.) და დახმარება სთხოვა. იუსტინიანე I-მა მისახმარებლად სამი სტრატელიტი გამოუშვა ჯარებით ლაზიკაში. მაგრამ ერთმანეთის შურით შეპყრობილმა სარდლებმა საქმეს თავი ვერ გაართვეს და განაწყენებულმა იუსტინიანემ ისინი უკან გაიწვია. ლაზიკაში პეტრე სტრატელი გამოგზავნა. ლაზების წინააღმდეგ ამ დროს კავადის უფროსი ძე, პეროზი იბრძოდა დიდძალი ჯარით, მაგრამ ლაზების და

---

1 გეორგიკა. III, დასახ. გამოცემა, გვ. 264.
2 იქვე; თეოფანე ქამთააღმწერელი, გეორგიკა, IV, ნაკ. I, გვ. 77-78.
3 იოანე მალალა, გეორგიკა, III, გვ. 266-267; თეოფანე, გეორგიკა, IV, ნაკ. I, გვ. 78-79.
4 იქვე.

ბიზანტიელების გაერთიანებულმა ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს ირანელები.[1] ირანელებმა იბერია-ლაზიკის საზღვარზე მდებარე მხოლოდ ორი ციხე-სიმაგრე — სკანდა და შორაპანი დაიკავეს. ეს სიმაგრეები ე. წ. 532 წლის „უვადო ზავით", დიდი დიპლომატიური მოლაპარაკების შემდეგ დაიბრუნეს ბიზანტიელებმა, მაგრამ სამაგიეროდ ოქროს საბადოებით ცნობილი ფარანიგონის და ბოლინის სიმაგრეები გადასცეს ირანელებს.

„უვადო ზავი" კი დაიდო ირან-ბიზანტიას შორის, მაგრამ არცერთი მათგანი არ იცავდა ზავის პირობებს. იმის შიშით, რომ ირანელები თავს აღარ დაანებებდნენ ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს. ბიზანტიელებმა ეგრისში დაიწყეს სამხედრო-თავდაცვითი ღონისძიებების გატარება. შეაკეთეს ციხე-სიმაგრეები, სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-სიმაგრეებში ჯარის ნაწილები ჩააყენეს. პეტრა-ციხისძირი ციხე-ქალაქად აქციეს, იქ საკმაო რაოდენობის ჯარის ნაწილები ჩააყენეს და თავისი სტრატეგოსის რეზიდენციად გამოაცხადეს. ეგრისში დანიშნული პირველი სტრატეგოსი ვერცხლისმოყვარე და კადნიერი აღმოჩნდა ადგილობრივ ხალხთან ურთიერთობაში. ამიტომ ის იუსტინიანემ უკან გაიწვია. მაგრამ არც მერე, მის მიერ ლაზიკაში დანიშნული სტრატეგოსები აღმოჩნდნენ უკეთესნი. მათ შორის, პროკოპის გადმოცემით, იოანე ციბე „ყველაზე უფრო საზიზღარი იყო".[2] ის სრულიად არ უფრთხილდებოდა ბიზანტიელებისა და ლაზების ურთიერთობას, პირიქით, „რომაელთა და ლაზთა ყველა საქმეები გაამრუდა და არივდარია".[3] ის ძარცვავდა ლაზების ქონებას, ლაზების საკარეო ვაჭრობა მთლიანად მან ჩაიგდო ხელთ და მასზე მონოპოლია დაამყარა. ლაზიკის მეფე გუბაზ II-ის საქმეებშიც დაიწყო ჩარევა. რა თქმა უნდა, ლაზებისათვის ძალზე ძნელი იყო ასეთი მოხელეების ატანა, მაგრამ ულირს პიროვნებებს კიდევ მოეკლებოდა, რომ ბიზანტიის მიერ ლაზიკაში გატარებული საერთო პოლიტიკის უკმაყოფილონი არ ყოფილიყნენ ლაზები და მათი მეფე გუბაზი. მათთვის მიუღებელი იყო ასეთი პოლიტიკა. კი, მართალია, ლაზები „რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, ხოლო არც ხარკს იხდიდნენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ მათ გარდა იმისა, რომ როდესაც მათ მეფე მოუკვდებოდათ, რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის მემკვიდრეს ძალაუფლების სიმბოლოს"[4] ლაზები ძალზე უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ მათ ციხეებში „რომაელთა ჯარი ჩაუყენეს, რასაც

---

1 იოანე მალალა, გეორგიკა, III. გვ. 268-269; თეოფანე ქამთააღმწერელი. გეორგიკა, IV. ნაკ I. გვ. 78-80.

2 პროკოპი, გეორგიკა, II. გვ. 74.

3 იქვე.

4 იქვე. გვ. 72.

წინათ ადგილი არ ჰქონია. რადგან ამის ატანა აღარ შეეძლოთ, განიზრახეს შიმხრობოდნენ სპარსელებს და ხოსროს მაშინვე რომაელების ჩუმად ელჩები გაუგზავნეს მათთან ამის მოსაგვარებლად".[1]

გუბაზ მეფის დავალებით ლაზი ელჩები ირანის შაჰ ხოსრო ანუშირვან I-ს (531-579 წწ.) ეწვივნენ. შაჰთან მოლაპარაკებისას ლაზმა ელჩებმა გამოავლინეს დიპლომატიური ნიჭი და უნარი, მაშინდელი საერთაშორისო სამართლის შესანიშნავი ცოდნა. მათ უპირველესად შეახსენეს ხოსროს, რომ ირანი (სპარსეთი) და ეგრისი (ლაზიკა) წინათ ერთმანეთის მოკავშირეები იყვნენ და ამ ურთიერთობით ორთავე მხარემ სარგებელი ნახა. რომ ამის დამადასტურებელი მრავალი საბუთი მოიძებნება ეგრისის და ირანის სამეფო საგანძურებში. — „კოლხები ხომ ძველთაგანვე სპარსელების მოკავშირეები იყვნენ და ბევრი სიკეთე უყვეს მათ და თვითონაც განიცადეს მათგან".[2] ელჩებმა კვლავ მოკავშირეობა და ერთგულება შესთავაზეს შაჰს და საუბრისას დიპლომატიური ტაქტით ჩაურთეს: „თუ ჩვენ რომაელებისაგან არავითარი უბედურება არ განგვიცდია, არამედ უვიცობით შეპყრობილნი გადმოვდივართ თქვენსკენ, უმალვე უკუაგდეთ ჩვენი თხოვნა თქვენ, რომელნიც იფიქრებთ, რომ კოლხები არც თქვენი ერთგული იქნებიან ოდესმე".[3] ლაზებმა ხოსროს, ბიზანტიელების (რომაელების) მომძლავრებისაგან დაცვა შესთხოვეს და ტაქტიანად საერთაშორისო სამართლიანობის აღდგენისაკენ მოუწოდეს:

შეიზიზღეთ მწარე მომძლავრება, თქვენ მეზობლად რომ აღმართულა ჩვენზე, და თქვენ იქმთ სამართლიანობის ღირსეულ საქმეს, რომელზე ზრუნვაც მუდამ მამაპაპეული წესი იყო სპარსელებში. უსამართლოდ არ მომქცევი ხომ არ ჩაითვლება სამართლიან ადამიანად, თუ ის სხვების მიერ ჩაგრულებს არ დაიცავს ხოლმე, როდესაც ეს მის ხელთ არის".[4] შემდეგ გუბაზის მოციქულებმა დაწვრილებით აღუწერეს ხოსრო ანუშირვანს, თუ რა დამღუპველი შედეგები მოუტანა ეგრისელებს (ლაზებს) იუსტინიანეს მიერ გატარებულმა პოლიტიკამ ლაზიკაში, რომ იუსტინიანეს მიერ დანიშნულმა სტრატეგოსმა ლაზიკაში, ლაზების მთელი საგარეო ვაჭრობა ჩაიგდო ხელთ და მასზე მონოპოლია დაამყარა, რითაც ძალზე დაზარალდნენ ლაზები: „საჭირო საგნებთან ერთად ისინი გვართმევენ მთელ ოქროსაც და უწოდებენ ამას ვაჭრობის კეთილშობილ სახეს",[5] — ჩიოდნენ ლაზები და უფრო ამუქებდნენ შექმნილ ვითარებას, — „ჩვენს მეფეს ხომ მეფობის გარეგნული ნიშნები დაუტოვეს,

---

1 პროკოპი, გეორგიკა, II, გვ. 75.
2 იქვე, გვ. 76.
იქვე, გვ. 75-77.
იქვე.
იქვე, გვ. 78.

ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონ მიითვისეს — განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინია. უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ დაიცვან ეს ჩვენი ქვეყანა შემწუხებელთაგან (მოსაზღვრეებიდან სხვა რომ არავინ გვაწუხებდა ჩვენ გარდა რომაელებისა), არამედ რათა დავემწყვდიეთ ჩვენ როგორც სადილეგოში და ჩვენს ქონებას დაეპატრონებოდნენ".[1]

კი, მართალია, ლაზი ელჩები დახმარების სათხოვნელად ეახლნენ ხოსრო ანუშირვანს და ამდენად მათი მისია თითქოს დამამცირებელი და მძიმე უნდა ყოფილიყო მათთვის, მაგრამ რადგან მათ კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს როლი და მნიშვნელობა ორივე დაპირისპირებული მხარისათვის (ირანის და ბიზანტიისათვის), ამაყად ეჭირათ თავი ხოსროს წინაშე და ღირსეულად წარმართეს მოლაპარაკება. ლაზმა წარგზავნილებმა ერთგვარი პირდაპირობითა და მოხერხებულობით: სათხოვნელი და ირანისათვის სამაგიერო პერსპექტიული შესაძლებლობანი ერთად მოახსენეს ირანის შაჰს: თუ ჩვენს „თხოვნას შეიწყნარებთ, — მიმართავდნენ ელჩები შაჰს. — ახლავე მოგახსენებთ, სპარსელთა ძალას თქვენ შემატებთ უძველეს სამეფოს და მისი საშუალებით თქვენი ჰეგემონიის ღირსება გადიდებული იქნება, ხოლო ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით: აქ თუ ხომალდებს ააგებთ, მეფევ, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიონის პალატას მიაღწიო... უნდა დავუმატოთ ისიც, რომ თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწა-წყალი. თქვენ ალბათ იცით, რომ ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა".[2] ლაზმა ელჩებმა ოდნავ პათეტიკურად, მაგრამ დიპლომატიური თვალსაზრისით მომგებიანად და მოხერხებულად, დაამთავრეს სათქმელი, „მაშ, როდესაც სამართლიანობა გიკარნახებს, ხოლო სარგებლობა თვალსაჩინოა, ვფიქრობთ, მოკლებული იქნება ყოველგვარ გონიერებას, თუ ეს სიტყვები არ იქნება მიღებული".[3]

ელჩობით კმაყოფილმა ხოსრო ანუშირვანმა ლაზებს დახმარება აღუთქვა.

---

1 პროკოპი. გეორგიკა. II. გვ. 77-78.
2 იქვე. გვ. 80-81.
3 იქვე. გვ. 79-81.

2. „დიდი ომიანობა" ეგრისში VI საუკუნეში და მისი პოლიტიკურ-დიპლომატიური ასპექტები

როგორც უკვე აღინიშნა წინა პარაგრაფში, „უვადო ზავის" იმედი არც ბიზანტიას, არც ირანს არ ჰქონდა. იმპერატორ იუსტინიანე I-საც და ახალგაძეფებულ ხოსროვ I ანუშირვანსაც ეს ზავი სურდებოდათ, რადგან პირველი ფართო დაპყრობით ომებს ატარებდა დასავლეთში, ხოლო ირანის ხელმწიფეს ტახტზე განმტკიცებისა და შინაგან წინააღმდეგობათა დაძლევისათვის დროის მოგება უნდოდა.[1] ამიტომ ორივე მხარე საკმაოდ ენერგიულად ემზადებოდა მომავალი შეტაკებისათვის. ხოსროვ I-ძა არმიის რეორგანიზაცია მოახდინა, ჩაახშო ოპოზიციური მოძრაობები და განამტკიცა ეკონომიკა.[2] იუსტინიანე I კი პოზიციებს იმაგრებს აღმოსავლეთში — ყირიმში, დასავლეთ არაბეთში, პალესტინასა და სირიაში.[3]

ერთი სიტყვით, ომის გასაახლებლად საჭირო იყო მხოლოდ საბაბი. ასეთ საბაბად კი იქცა გუბაზ მეფის თხოვნა, რაც ირანის ხელისუფლებამ მარჯვედ გამოიყენა. ხოსროვისთვის, ცხადია, ეგრისიდან ბიზანტიელების განდევნა და ამრიგად მთელი ამიერკავკასიის დაუფლება ყოველმხრივ სასურველი პერსპექტივა იყო და 541 თუ 542 წელს იგი დიდძალი ჯარით, იბერიაზე გავლით, ლიხის მთის უღელტეხილებით ეგრისში შევიდა. მალე მას მეფე გუბაზი ეახლა და ეთაყვანა. ირან-ეგრისელთა გაერთიანებული ძალები ქ. პეტრას მიადგნენ და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ იგი აიღეს. მაგრამ ხოსროვი აქ დიდხანს ვერ გაჩერდა: მას ცნობა მოუვიდა, რომ იუსტინიანეს მხედართმთავარი ველისარი შეიჭრა სპარსეთის კუთვნილ მესოპოტამიაში და აქ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. შაჰანშაჰმა დატოვა პეტრაში მცველი ჯარი და დანარჩენი არმიითა და დატყვევებული ბიზანტიელებით თავის ქვეყანას მიაშურა.[4]

შემდგომ წლებში ომი გარდამავალი წარმატებით მიმდინარეობდა. მაგრამ სწორედ ამ დროს იტალიაში ოსტგუთების ბელადმა ტოტილამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და ბიზანტიის არმიას ზედიზედ მძიმე დამარცხებები მიაყენა.[5] ამრიგად ისახებოდა საშიშროება, რომ იუსტინიანე იტალიას დაკარგავდა და იმპერატორმა ხოსროვ I-ს

---

1 B. Rubin. Das Zeitalter Justinians. Berlin. 1960. გვ. 146-168; C. Schneider. Das Zeitalter Justinians. BZ. 193. 1961. გვ. 92-101.
М. М. Дьяконов. Очерк истории древнего Ирана. М., 1961, გვ. 307-309; Th. Nöldeke. Geschichte der Perser und Arabes zur Zeit der Sasaniden. Leyden. 1879. გვ. 465.
История Византии. т. I, გვ 329-330.
ბრეგვი ,ეესარელი. გეორგიკა. II, გვ. 86-87.
3. В. Удальцова. Италия и Византия в VI веке. М., 1959, გვ. 321.

დაზავება შესთავაზა. ირანის ხელისუფალსაც აწყობდა დროებითი შეწყვეტა საბრძოლო მოქმედებისა, რადგან დროის მოგება სჭირდებოდა თავისი პოზიციების განმტკიცებისათვის. 545 წ. დაიდო ხუთწლიანი ზავი ირანსა და ბიზანტიას შორის, რითაც შაჰანშაჰს მიეცა საშუალება, თავისი ზრახვები განეხორციელებინა. თუ პროკოპი კესარიელს დაეჯერებთ, ხოსროვ I-ს განზრახული ჰქონდა, ეგრისიდან ადგილობრივი მოსახლეობა აეყარა და მათ ნაცვლად სპარსელები ჩაესახლებინა. გუბაზ მეფე მოეკლა და ლაზიკა მყარად დაეპირა. საერთოდ ირანელთა ბატონობა სულ უფრო მძიმდებოდა, რასაც ქრისტიანობის დევნაც ემატებოდა. ბუნებრივია, ლაზთა უკმაყოფილება იზრდებოდა, ხოლო როდესაც ხოსროვმა გუბაზის მოკვლის პრაქტიკულად განხორციელება სცადა, ეგრისის მეფემ კვლავ იცვალა ორიენტაცია და დახმარებისათვის ბიზანტიის იმპერატორს მიმართა. იუსტინიანეს ამასობაში იტალიაში ვითარება გამოუსწორდა და მან სიხარულით მიიღო ცნობა გუბაზის კვლავ იმპერიის მხარეზე გადასვლის შესახებ. ეგრისში ისევ გამოიგზავნა ბიზანტიელთა ჯარი ქ. პეტრას ასაღებად, მაგრამ სარდალ დაგისთეს უნიათო მოქმედებამ ეს ცდა ჩაშალა, მით უფრო, რომ ეგრისში ირანელთა ახალი არმია შემოვიდა გამოჩენილი მხედართმთავრის მერმეროეს სარდლობით. მაგრამ არც მერმეროეს წაუვიდა საქმე კარგად, ვერც მან შეიტანა გადამწყვეტი გარდატეხა საბრძოლო მოქმედებაში.[1]

550 წელს ეგრისში ირანელთა ახალი ჯარი შემოვიდა ხურიანეს სარდლობით, მაგრამ ის ეგრის-ბიზანტიელთა გაერთიანებულმა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა ცხენისწყალთან და თვით ირანელთა სარდალიც დაიღუპა.[2]

მიუხედავად ამისა, ბიზანტიელებს ლაზიკაში საქმე მაინც გაურთულდათ, რადგან ზედიზედ აუჯანყდნენ ჯერ აბაზგები.[3] შემდეგ აფსილები. აბაზგები, პროკოპის ცნობით, ძველთაგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, მაგრამ ყოველთვის ჰყავდათ ორი მთავარი, ეს მთავრები მათ განსაკუთრებული სისასტიკით ეპყრობოდნენ. საქმეში იუსტინიანე ჩაერია, აქ თავისი მოხელე გამოგზავნა, რომელმაც თავისი კონტროლის ქვეშ მოაქცია აბაზგთა მთავრების მოქმედება, თან აქ ქრისტიანობა დაამკვიდრა. მალე აბაზგებმა თავიანთი მთავრები დახოცეს და მოინდომეს თავისუფლად ცხოვრება.[3] მაგრამ იუსტინიანემ, როგორც ჩანს, მიზნად დაისახა ამ მხარის უფრო მკვიდრად დამორჩილება და აქ ჩადგომა დაიწყეს ბიზანტიურმა სამხედრო რაზმებმა, იმპერატორის მოხე-

---

[1] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა. II, გვ. 92-118.
[2] იქვე. გვ. 146-154.
[3] იქვე. გვ. 133-135

ლებმა. რომელთაც ახალი ადმინისტრაციული წესები შემოიღეს, პროკოპი კესარიელის სიტყვით, „ამ ძალადობის გამო აბაზგები პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნენ“, მათ კვლავ აირჩიეს მთავრები, ბიზანტიელებს განუდგნენ და დამხმარედ ირანელები მოიწვიეს. საქირო შეიქმნა აბაზგიაში ბიზანტიური ჯარის გაგზავნა ახალი სტრატეგოსის ბესას სარდლობით, ირანული ჯარის განდევნა და აჯანყების ჩახშობა.[1]

თითქმის იმავე დროს აჯანყდა აფსილეთიც. აფსილებიც ძველთაგანვე ლაზთა ქვეშევრდომნი იყვნენ, მაგრამ თავიანთი მთავარი ჰყავდათ. აი ეს მთავარი, სახელად ტერდეტე, გუბაზ მეფის მმართველობით უმაყოფილო იყო, მან გადაწყვიტა, მისგან დამოუკიდებლობა მოეპოვებინა, ირანელებს მოუწოდა და მათ ციხე წიბილე (წიბელდა) გადასცა. გამდგარი ქვეშევრდომის დამორჩილებაში გუბაზს, ბუნებრივია, ბიზანტიელები დაეხმარნენ, აჯანყება ჩაახშეს და ირანელები აქედანაც განდევნეს.[2]

როგორც ვხედავთ, ირან-ბიზანტიის წინააღმდეგობას, მათი ბრძოლის პირობებში ეგრისში შექმნილ ვითარებას საკუთარი მიზნებისათვის იყენებენ ეგრისის ცალკეული ეთნიკურ-ტერიტორიული ერთეულების გამგებელი მთავრები და ცდილობენ როგორც ლაზთა მეფისგან, ისე ბიზანტიისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვონ. ამისთვის ისინი ირანს იწვევენ დამხმარედ და მისგან ამ დახმარებას ღებულობენ კიდეც. ამავე დროს, ისახება მეორე ტენდენციაც: ბიზანტია დგამს პირველ ნაბიჯებს, რათა დასავლეთ საქართველოს ცალკეულ ოლქებს თვით უშუალოდ დაეპატრონოს და აქ თავისი ადმინისტრაციული მმართველობა დაამყაროს. ეს პოლიტიკური გეზი კარგად ჩანს აბაზგიის მიმართ. ამ გზით ბიზანტიას სურს უფრო მტკიცე დასაყრდენი შეიქმნას დასავლეთ საქართველოში, ამასთან დაასუსტოს არცთუ მთლად მორჩილი ქვეშევრდომი ლაზიკის მეფის სახით. საუკუნის მიწურულისთვის ბიზანტიამ ეს თავისი გეგმა განახორციელა კიდეც და აბაზგია უშუალოდ დაიქვემდებარა.

აბაზგიიდან და აფსილეთიდან ირანელთა განდევნის შემდეგ, დღის წესრიგში კვლავ ქ. პეტრა დადგა. 550 წელს ბიზანტიელებმა და ლაზებმა ეს პრობლემა გადაწყვიტეს, მძიმე ბრძოლის მერე ქალაქი აიღეს, ცოცხლად დარჩენილი ირანელები ბესამ იუსტინიანეს გაუგზავნა, ქალაქის ზღუდეები კი მიწასთან გაასწორეს.[3]

პეტრას დამხმარედ მომავალმა მერმეროემ გზაში გაიგო ქალაქის დაცემა, გეზი იბრუნა და რიონის აუზში გადავიდა. ბრძოლა გრძელდე-

---

[1] პროკოპი კესარიელი. გეორგიკა. II, გვ. 154-161.
[2] იქვე. გვ. 162-165.
[3] იქვე. II. გვ. 165-180.

ბოდა. ბიზანტიელებმა რამდენიმე მარცხი განიცადეს, რასაც მეფე გუბაზი ბიზანტიელ სარდლებს აბრალებდა და იუსტინიანესთან უჩივლა კიდეც. გუბაზის მიმხრობას ირანელებიც ცდილობდნენ, მაგრამ იგი, მიუხედავად ბიზანტიელებით უკმაყოფილებისა, მაინც მათი ერთგული დარჩა. ამასობაში ირანელებმა უქიმერიონის ციხე[1] დაიკავეს, რითაც გზა გაიხსნეს ლეჩხუმისა და სვანეთისაკენ. სვანებიც უმაყოფილონი იყვნენ გუბაზისა და ირანელთა დახმარებით ეგრისის მეფის ქვეშევრდომობიდან თავის დახსნა მოინდომეს. ისინი მიემხრნენ ირანელებს და აქაც მათი ჯარი ჩადგა. როგორც ვიცით, ეს პირველი არ იყო სვანთა ბელადების მხრიდან: V საუკუნის 70-იან წლებშიც განუდგნენ ისინი ლაზთა მეფეს და ირანელთა მხარეზე გადავიდნენ (იხ. ზემოთ, გვ.). ამრიგად, სვანეთი და ლეჩხუმი დაკარგული აღმოჩნდა ბიზანტიისა და ლაზიკისათვის.[2] ერთი სიტყვით, მთელი აღმოსავლეთი ლაზიკა მოხარისიდან ლიხის მთამდე ირანელთა ხელში აღმოჩნდა.[3]

554 წელს ბიზანტიელმა სარდლებმა გადაწყვიტეს, თავიდან მოეშორებინათ გუბაზ მეფე, რათა კეისართან მისგან დაბეზღების შიში აღარ ჰქონოდათ. მათ, ვითომ სათათბიროდ, მეფე მდ. ხობის სანაპიროებზე გაიტყუეს და მოკლეს. ბუნებრივია, მეფის ვერაგულმა მკვლელობამ ეგრისის მოსახლეობის საერთო აღშფოთება გამოიწვია, ლაზებმა უარი თქვეს, ბიზანტიელებს ბრძოლაში დახმარებოდნენ. ამას მოჰყვა ბიზანტიელების დიდი მარცხი ონოგურისის ციხესთან (აბედათის ციხე მარტვილის რაიონში).[4]

ამასობაში კი ეგრისის წარჩინებულებმა ერთ-ერთ ხეობაში ფარულად ხალხმრავალი კრება მოიწვიეს, რათა გადაწყვეტილიყო გუბაზ მეფის მკვლელობის შემდეგ რა პოლიტიკური ორიენტაცია აერჩიათ — დარჩენილიყვნენ ბიზანტიელთა ქვეშევრდომობაში, თუ სპარსელთა მხარეს გადასულიყვნენ. კრებაზე გამომჟღავნდა, რომ ეგრისში იყო როგორც პრობიზანტიური, ისე პროირანული განწყობის დაჯგუფებები. ისტორიკოს აგათია სქოლასტიკოსს თავის თხზულებაში მოაქვს ორივე ორიენტაციის წარმომადგენელთა ამ კრებაზე წარმოთქმული სიტყვების ვრცელი ტექსტები. ძნელია იმის თქმა, რამდენად ზუსტია ეს ტექსტები და რამდენად შეიძლება ისინი კრებაზე გამოსულ წარჩინებულ ლაზთა გამოსვლების ლამის სტენოგრაფიულ ჩანაწერებად მივიჩნიოთ, მაგრამ

---

[1] უქიმერიონის ციხის ადგილმდებარეობა გარკვეული არაა — ზოგი მას ცხენისწყლის ნაპირას ათავსებს, ზოგს მიაჩნია ქუთაისში, მთაზე განლაგებულ ციხედ.

[2] პროკოპი კესარიელი. გეორგიკა. II, გვ. 202; მენანდრე პროტიქტორი. გეორგიკა. III, გვ. 215.

[3] პროკოპი კესარიელი. გეორგიკა. II, გვ. 196-197.

[4] აგათია სქოლასტიკოსი. გეორგიკა. III, გვ. 50-51.

ზოგადი კითარება რომ აქ რეალისტურად და დამაჯერებლადაა გადმოცემული. ეს აშკარაა.[1] როგორც პროირანული ორიენტაციის წარმომადგენელს აიეტს, ისე ბიზანტიის მოშხრე დაჯგუფების ბელადს ფარტაზს, თავიანთი არგუმენტები გააჩნდათ. აიეტი ბიზანტიელთა ვერაგობას, მათ სარდალთა ორპირობასა და გამცემლურ მოქმედებას უსვამდა ხაზს, ხოლო ირანელნი, მისი სიტყვებით, უფრო სანდონი არიან, რადგან მათთვის ლაზთა თანადგომას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ისინი ჯეროვანი სიყვარულით მოეპყრობიან მათ; საერთოდაც კაცთმოყვარენი და გულკეთილნი, ისინი ლაზთათვის იბრძოლებენ.[2]

ფარტაზის სიტყვა ნაკლებ ემოციური, უფრო რეალისტური და გააზრებული იყო: მან უარყო აიეტის სპარსელთადმი განწყობის სისწორე. გაახსენა მსმენელთ ირანელთა ქმედებანი ლაზიკაში, მათი აქ ბატონობის სიმძიმე, ამასთან ბიზანტიასთან ხანგრძლივ თანაცხოვრებას, ერთობლივ ზნე-ჩვეულებებს და, რაც მთავარია, სარწმუნოებრივ ერთობას გაუსვა ხაზი. საბოლოოდ უმეტესობა ფარტაზს მიემხრო და გადაწყდა, მოეთხოვათ იუსტინიანესთვის გუბაზის მკვლელთა დასჯა და ლაზიკის ტახტზე გუბაზის ძმის წათეს დამტკიცება.[3] იმპერატორმა, რომელსაც სპარსეთთან მიმდინარე ომის რთულ პირობებში, ეგრისის მოსახლეობის გადამტერებისა და სპარსელთა მხარეს მისი გადასვლისა ეშინოდა, დაუყოვნებლივ შეასრულა ლაზთა ყველა მოთხოვნა და ამით ეგრისის მოკავშირეობა შეინარჩუნა.[4]

ბიზანტიელთა მდგომარეობას ეგრისში ისიც ართულებდა, რომ მის წინააღმდეგ ამხედრდნენ ლაზიკის ჩრდილოეთ ოლქების მცხოვრებნი: ზევით ჩვენ ვნახეთ აბაზგების და აფსილების განდგომა, რომელიც ბიზანტიელებმა შედარებით ადვილად ჩააბშეს, მაგრამ მისიმიელთა აჯანყება კი უფრო რთული ჩასაქრობი აღმოჩნდა. მისიმიელები კოდორის ხეობის ზემო წელზე მოსახლე სვანური ტომი იყო და ძველთაგანვე ეგრისის მეფის ქვეშევრდომობაში შედიოდნენ; VI საუკუნის მეორე ნახევარში აქაც ჩადგნენ ბიზანტიური ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომელთა თვითნებობამ აღაშფოთა მისიმიანები და ისინი აჯანყდნენ (555 წ.). მისიმიანები კარგა ხანს უწევდნენ წინააღმდეგობას ბიზანტიელთა ჯარს და თუმცა საბოლოოდ დაამარცხეს და კვლავ მორჩილებაში მოიყვანეს, მაგრამ სიმპტომი საშიში იყო და ბიზანტიის ხე-

---

ამ საკითხზე იხ. ნ. კანდელაკი, ქართული კლასიკური მეცნიერმეტყველება, 1961, გვ. 228-232. გ. გოზალიშვილი, ლაზიკის საგარეო ურთიერთობა მეექვსე საუკუნეში, 1973, გვ. 34-37.

2 აგათია სჰოლასტიკოსი, გეორგიკა, III, გვ. 64-71.

იქვე, გვ. 72-81.

იქვე, გვ. 85; გ. გოზალიშვილი, ლაზიკის საგარეო ურთიერთობა..., გვ. 51-71.

ლისუფლება ამაზე უნდა დაფიქრებულიყო.[1] ნიშანდობლივია, რომ მისიმიანთა წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა ლაზმა სარდალმა ფარსანტმა,[2] ცხადია, რომ ლაზიკის მეფე მისიმიელთა განდგომას თავისი უფლებების შელახვად თვლიდა და ამიტომაც აქტიურად მონაწილეობდა მათ დამორჩილებაში.

მიუხედავად ამ რთული ვითარებისა, იუსტინიანემ მაინც შეძლო ომში გარდატეხის შეტანა. სპარსეთის სარდალი ნახორაგანი ორჯერ ზედიზედ დამარცხდა ფაზისის ქვემო წელზე, არქეოპოლისთან, ვარდციხესთან.[3] ამ დამარცხებათა შემდეგ ხოსროვ I ხელს იღებს ომის გაგრძელებაზე. ომის ასპარეზს ბიზანტიასა და ირანს შორის მესოპოტამიაც წარმოადგენდა; ვერც აქ მიაღწია ირანმა რაიმე საგრძნობ წარმატებას, მაგრამ ლაზიკაში დამარცხებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მთელი ომის მსვლელობაში და განაპირობა ხოსროვის მიერ ზავის ძიება.[4] მეორე მხრივ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ იუსტინიანესათვისაც უაღრესად საჭირო იყო ეს ზავი, რამდენადაც ორ ფრონტზე ბრძოლა მძიმე ტვირთად დააწვა სახელმწიფოს და თანაც დასავლეთში საომარი მოქმედება არცთუ წარმატებით მიდიოდა.[5]

555 წელს დაიდო ჯერ დროებითი ზავი 5 წლით, ხოლო 561 წელს უკვე საბოლოო, 50 წლიანი ზავი. ორივე მხარე სერიოზულ დათმობებზე მიდიოდა, თუმცა ხოსროვ I უდავოდ უფრო წაგებული იყო; ირანი უარს ამბობდა ლაზიკაზე და ამდენად ხელს იღებდა შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვებაზე. არმენიასა, მესოპოტამიასა და სირიაში აღიარეს status quo, რაც იმას ნიშნავდა, რომ ირანი ვერც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გადიოდა. მაგრამ მეორე მხრივ, ირანი ინარჩუნებდა პოზიციებს ქართლში და სვანეთსაც არ თმობდა. ირანელები ვალდებულებას კისრულობდნენ, არ გადმოეშვათ კავკასიონის უღელტეხილებით ალანები, ჰუნები და ჩრდილო კავკასიის სხვა ტომები ამიერკავკასიაში, ხოლო ბიზანტიის მხარეს უნდა გადაეხადა ყოველწლიურად 30 ათასი ოქრო. ხელშეკრულებაში იყო სხვა მუხლებიც, რომლებიც ქრისტიანობის ხელშეუხებლობას, სავაჭრო ურთიერთობებს ეხებოდა.[6]

ჩვენთვის საინტერესო ამ საზავო ხელშეკრულებაში არის ბიზანტიელთა მიერ სპარსეთისათვის საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდა — წლიურად 30 ათასი ოქროს (ნომისმის), თანაც 10 წლის გადასახადი

---

1 აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, III, გვ. 154-174.
2 იქვე. გვ. 156-157.
3 იქვე. გვ. 91-95; გვ. 158-176.
4 История Византии, т. I, გვ. 334.
5 G. Ostrogorsky, Geschichte des Byzantinischen Staates, München, 1940, გვ. 42-44.
6 მენანდრე პროტიქტორი, გეორგიკა, III, გვ. 210-228.

წინასწარ უხდა მიეცათ. ლიტერატურაში უმეტესად ამას ჩვეულებრივ ხარკად მიიჩნევენ, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ იგულისხმება ფულადი გადასახადი, რომელსაც ბიზანტია აძლევდა სპარსეთს კავკასიის კარების დასაცავად.[1]

მეორე საკითხი — ესაა სვანეთის პრობლემა. ბიზანტიის ელჩები ირანელ ელჩებს უმტკიცებდნენ, რომ სვანები ძველთაგანვე ლაზიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ და, ამიტომ ირანმა ისიც, ლაზიკის დანარჩენ ოლქებთან ერთად, იმპერიის კუთვნილად უნდა სცნოს, მაგრამ ირანელი დიპლომატები ამის პასუხად იმ არგუმენტს იშველიებდნენ, რომ სვანები ნებაყოფლობით მიემხრნენ ირანელებს და მათმა მთავარმა თვით უნდა გადაწყვიტოს, ვის ქვეშევრდომობაში დარჩება.[2] ამჯერად სვანეთის საკითხი ვერ გადაწყდა. ვერც მოგვიანებით, იმპერატორ იუსტინე II-ის დროს (565-578 წწ.) მოხერხდა მშვიდობიანად ამ პრობლემის გადაწყვეტა. მაგრამ, როდესაც 571 წ. არმენიაში ანტიირანული აჯანყების შედეგად 50 წლიანი ზავი დაირღვა, 575 წლის ახლო ხანებში ბიზანტიამ ბოლოს მოახერხა სვანეთის უკან დაბრუნება და ამდენად მთელი დასავლეთ საქართველო საბოლოოდ ბიზანტიის ქვეშევრდომობაში დარჩა.[3]

ამრიგად, მრავალწლიანი ბრძოლა ბიზანტიასა და ირანს შორის, VI საუკუნეში რომ გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის შემდეგნაირად დასრულდა: იბერია, ალბანეთი და არმენიის დიდი ნაწილი (პერსარმენია) სასანური ირანის გავლენის სფეროში დარჩა; ცალკეული აჯანყებები, ბიზანტიელთა დროებითი წარმატებები ამ რეგიონში საერთო სურათს ვერ ცვლიდნენ. დასავლეთი საქართველო ანუ ლაზიკა ბიზანტიის ქვეშევრდომობაში დარჩა. აქაურ ხელისუფალთა არაერთგზისი მცდელობა — ირან-ბიზანტიის წინააღმდეგობა საკუთარი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ და სრული თუ არა, მეტი დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ, ფაქტობრივად უშუდეგოდ დამთავრდა. მეტიც, ბიზანტიის ბატონობა აქ უფრო განმტკიცდა და დამძიმდა.

ამასთან, მნიშვნელოვანი შედეგი ამ მოვლენებისა იყო აგრეთვე ლაზიკის სამეფოს შინაგანი სტრუქტურის მოშლა. ლაზიკის მეფის ოდინდელი ქვეშევრდომები — აბაზგები, აფსილები, მისიმიელები და მაღალმთიანი სვანეთიც — მას ფაქტობრივად აღარ ემორჩილებიან. ანტიბიზან-

---

1. L. Brehier, Les invasions barbare – Journal de Sarant, 1927, გვ. 446-447.
2. მენანდრე პროტიქტორი, გეორგიკა, III, გვ. 213-227.
3. ს. ყაუხჩიშვილი, ი. ბერაძე, სვანეთის ხელმეორე აღება ბიზანტიელების მიერ, თსუ შრომები, ტ VII, 1938, გვ. 36-45; გეორგიკა, ტ. IV, ნარკვ. I, გვ. 33, შენ. L

ტიური მათი გამოსვლები რეალურად ეგრისის მეფის ხელისუფლების წინააღმდეგაც იყო მიმართული. საიმპერატორო ხელისუფლება ამ ვითარებას თავის სასარგებლოდ იყენებს ჯერ კიდევ VI საუკუნის 40-იანი წლებისათვის აშკარად ჩანს ლაზიკისაგან აბაზგიის გარკვეული განკერძოება და აბაზგიის, შემდეგ კი აფსილეთისა და მისიმიანეთის თანდათანობითი მოქცევა საიმპერიო მმართველობის ორბიტაში; აქ ყველგან ბიზანტიელი მოხელეები მოქმედებენ, აჯანყებებს ძირითადად ლსინი აკრობენ, ზღვისპირა ქალაქებში — ცხუმსა და ბიჭვინტაში ბიზანტიური გარნიზონები დგას. ბიზანტიის ხელისუფლება ამ განკერძოებას ხელს უწყობს და ირანზე გამარჯვების შემდეგ, VI საუკუნის ბოლოსათვის ქმნის აბაზგიის (აფხაზეთის) ეგრისისაგან დამოუკიდებელ სამთავროს, რომელშიც აფსილეთი და მისიმიანეთიც ერთიანდებიან.[1] აბაზგიის ეს სამთავრო უკვე უშუალოდ ექვემდებარება ბიზანტიის იმპერიის ადმინისტრაციულ მმართველობას. VI საუკუნის ბოლოსათვის დღის წესრიგში ეგრისის სამეფოს ფორმალური დამოუკიდებლობის ლიკვიდაციაც დგება, ბიზანტია ამ აქტს VII საუკუნის 30-იანი წლებისათვის, საფიქრებელია, იმპერატორ ირაკლის დროს ახორციელებს კიდეც.

3. აფხაზეთის (აბაზგიის) საკითხი ბიზანტია-ეგრისის ურთიერთობაში (VI-VIII საუკუნეებში)

VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი თავისი დროისათვის (VI ს-ის 40-50-იან წლებში) წერდა: „აფსილებისა და ნახევარმთვარა ნაპირის შემდეგ მეორე ნაწილში ზღვის პირას აბაზგები მოსახლეობენ... აბაზგები ძველითგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი, ამათგან ერთი დაწესებული იყო დასავლეთის ნაწილში, ხოლო მეორე აღმოსავლეთისაში".[2] პროკოპი ეგრისის (ლაზიკის) მეფისადმი აფშილების, სვანეთის და სკვიმნების (ლეჩხუმლების) ქვეშევრდომობასაც „ძველიდანვე" აღნიშნავდა და, როგორც ფიქრობენ, ისინი ეგრისის (ლაზიკის) ხელისუფლების დაქვემდებარებაში უნდა მოქცეულიყვნენ არა უგვიანეს IV ს-ის დასასრულისა.[3] აღსანიშნავია, რომ პროკოპი VI ს-ის დასაწყისის მოვლენებს თა-

---

1 ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 68-76.

2 პროკოპი კესარიელი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა, ტ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ და კომენტარებით ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1965, გვ. 132-133.

3 ს. ჯანაშია, შრომები, II, 1952, გვ. 318-319; გ. მელიქიშვილი, ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა ახ. წ. პირველ საუკუნეებში— საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I,

ვის თანადროულ რეალიებად აღიქვამდა და ამას ასეც გადმოსცემდა თავისი თხზულებების არაერთ ადგილას.[1] ასე რომ, პროკოპის „ძველითგანვე“ საუკუნენახევარს, საუკუნეს მაინც, უნდა ითვლიდეს, და აბაზგები (აფხაზები) ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს შემადგენლობაში V ს-ის პირველი ნახევრიდან შეიძლებოდა გვეგულისხმა.

აბაზგიისა (აფხაზეთის) არ იყოს, ეგრისისადმი (ლაზიკისადმი) აფშილეთის, სვანეთის და სკვიმნიის (ლეჩხუმის) დამოკიდებულებას პროკოპი „ქვეშევრდომობით“ აღნიშნავდა, და ეს დამოკიდებულება იმით გამოიხატებოდა, როგორც მისივე გადმოცემიდან ვგებულობთ, რომ სვანეთსა და ლეჩხუმს გარდაცვლილი მთავრის სამაგიეროს ეგრისის მეფე უნიშნავდა ადგილობრივი დინასტიიდან. მენანდრეს (VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი) ცნობით, სვანეთის „ქვეშევრდომობა“, ეგრისისათვის ხარკის მიცემითაც აღინიშნებოდა.[2] აფშილეთს, პროკოპის ცნობით, საკუთარი თვისტომი ხელისუფალიც არ ჰყოლია. მას ეგრისის (ლაზიკის) მეფის მოხელე — სტრატეგოსი განაგებდა, რომელსაც ემორჩილებოდა აფშილეთის ადმინისტრაციული ცენტრის, წიბილეს (წებელდას) ადგილობრივი ციხისთავი.[3] როგორც ითქვა, პროკოპი აფხაზეთის (აბაზგიის) ეგრისის (ლაზიკის) მეფისადმი დამოკიდებულებას ძველითგანვე ქვეშევრდომობით აღნიშნავდა და სხვა არაფერს გვამცნობს მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე, მაგრამ ფაქტია, რომ აფხაზეთის (აბაზგია) ეგრისის სახელმწიფოებრიობაშია მოქცეული, და შესაძლოა, აბაზგიას ლაზიკის მეფისადმი ისეთი ვალდებულებები ჰქონოდა, როგორიც ჰქონდა სხვა აქ დასახელებულ სამთავროებს, რომელთაც თვისტომი მთავარი ჰყავდათ.

პროკოპის ზემოთ მითითებულ ცნობაში დასახელებულია, აგრეთვე, აბაზგების (აფხაზების) განსახლების ადგილი შავი ზღვის ჩრდილოაღმოსავლეთ სანაპიროზე. ისინი, აფშილების და ნახევარმთვარა ნაპირის შემდეგ, მეორე ნაწილში ზღვის პირას მოსახლეობენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ პლინიუსის ცნობით (ახ. წ. I ს-ში), აფშილების ჩრდილოდასავლეთი საზღვარი (რომელზეც პლინიუსის გარდა არცერთი მისი შემდეგდროინდელი წყარო პირდაპირ არ უთითებს), სანიგების ციხე-

---

1970, გვ. 556-558; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, თბ., 1977, გვ. 85-104; ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 70-72 და სხვ.

1 პროკოპი, გეორგიკა, II, გვ. 47-48, 48-52, 52-57 და სხვაგან.

2 მენანდრე, გეორგიკა, III. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ და კომენტარები ს. ყაუხჩიშვილისა, ტფ., 1936, გვ. 225.

3 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 158-159.

ქალაქ ცხუმ-სებასტოპოლისამდე (სოხუმამდე) ვრცელდებოდა[1] და ცხუმ-სებასტოპოლისიდან (სოხუმიდან) პიტიუნტამდე (ბიჟვინტამდე) მართლაც იყო და არის ნახევარმთვარა ნაპირი, მაშინ, აბაზგების (აფხაზების) სამოსახლო გამორკვეულად შეიძლება ჩაითვალოს. სანაპიროზე აბაზგები პიტიუნტის (ბიჟვინტის) ჩრდილო-დასავლეთით მდ. აბასკოსამდე (ფსოუმდე), დღევანდელი გაგრის რაიონში იყვნენ VI ს-ისათვის განსახლებული. მართლაც, თუ ფლავიუს არიანეს დროს (ახ. წ. II ს-ში) სანიგების სამოსახლო ტერიტორია შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხუმ-სებასტოპოლისიდან მდ. აჭეუნტამდე (შახემდე) იყო გადაჭიმული,[2] V საუკუნეში ფლავიუს არიანეს კომენტატორის, V ს-ის ანონიმი ავტორის მონაცემებით, პიტიუნტიდან (ბიჟვინტიდან) ვიდრე მდ. აბასკოსამდე (ფსოუმდე), 240 სტადიონ მანძილზე სანიგების სახელი აღარ ფიგურირებს.[3] დანარჩენ თავის სამკვიდრო ადგილებს (გარდა 240 სტადიონის მანძილზე, — დღევანდ. გაგრის რაიონში) კვლავ სანიგები ინარჩუნებენ და ცხუმ-სებასტოპოლისიდან ვიდრე აჭეუნტამდე (შახემდე), ჯიქების მისაზღვრებამდე, მოსახლეობის ძირითად ნაწილს ისინი წარმოადგენენ.[4] სანიგების ეთნიკური კუთვნილების შესახებ კი არსებობს წყაროების პირდაპირი ჩვენება (იპოლიტე რომაელი, ევსევი კესარიელი, Chronicon Paschale.[5] რომელთა საპირისპირო წყარო არ მოიპოვება), რომ ისინი ქართველური მოდგმისანი, კერძოდ, — სანიგები იგივე სანები (ჭანები) არიან.[6] ამ და აქ ნახსენებ სხვა რიგის საკითხებზე, მყარ არგუმენტაციაზე დაფუძნებით, სათანადო ლიტერატურის გათვალისწინებითა და უფრო ვრცლად სხვაგან არის საუბარი,[7] ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეგრისის სამეფო, ისე როგორც სხვა სახელმწიფოები და სახელმწიფოებრივი ტიპის გაერთიანებები (გამონაკლისების გარდა), წარმოიშვა და განვი-

---

1 Плиний Секунд, ВДИ, 1949, №2, გვ. 290-291.

2 ფლავიუს არიანე. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითა და კომენტაციებით ნ. ყაფლანიშვილისა, თბ., 1961, გვ. 43.
V ს-ის ანონიმი ავტორი. გეორგიკა. II. დასახ. გამოცემა, გვ. 9-10.

3 იქვე.
იპოლიტე რომაელი. ევსევი კესარიელი. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა, ტ. I. თარგმანი და კომენტარები ალ. გამყრელიძისა, და ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1961, გვ. 20, 32; Chronicon Paschale. ბიზანტიელი მწეოლების ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I. ქართული თარგმანი და კომენტარები, ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1941, გვ. 10.

4 იქვე.

5 დ. ლეთოდიანი, აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დაპირისპირებულობა ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს-ში, თბ., 1991.

თარდა ძირითადად ერთი წარმომავლობის ტომთა გაერთიანების საფუძველზე.

რაც შეეხება პროკოპის ცნობას, თითქოს საკუთრივ აბაზგებს მუდამ ჰყოლოდათ ორი თვისტომი მთავარი, რეალობას მოკლებულია. მის შემდეგ, რაც ბერძნულ-ლათინურ ენოვან ლიტერატურაში პირველად გამოჩნდა (ახ. წ. II ს-ში) ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე აბაზგების სახელი, ფლავიუს არიანედან მოყოლებული[1] (ელია ჰეროდიანი,[2] ორფიკული არგონავტიკა,[3] Natitia dignitatum,[4] თეოდორიტე კვირელი,[5] ანონიმი ავტორი V ს-ისა,[6] იუსტინიანეს ნოველები[7] და სხვა) პროკოპი კესარიელამდე, ყველა წყარო აფხაზებს (აბაზგებს) იცნობს კონსოლიდირებულ, ერთი მთავრის ხელისუფლების ქვეშ გაერთიანებულ ტომად. მხოლოდ პროკოპი კესარიელი აღნიშნავს აბაზგიის (აფხაზეთის) სახელის ქვეშ ორი სატომო ერთეულის, სინამდვილეში, ერთი სახელის (აბაზგიის) მქონე ორ ერთმანეთისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულის (გაერთიანებამდე და გაყოფის შემდეგ) არსებობას. ამას პროკოპი რვაჯერ მაინც აფიქსირებს ასე.[8] გარდა იმისა, რომ არავითარი ფაქტობრივი მასალა არ არსებობს საკუთრივ აბაზგიაში ორი სატომო ერთეულის არსებობაზე, არც მისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება იძლევა იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ მანამდე ერთი ხელისუფლების ქვეშ გაერთიანებული აბაზგთა ტომი VI ს-ში ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელ ორ ადმინისტრაციულ ერთეულად გაყოფილიყო. კი, მართალია, პროკოპი კესარიელი ერთგან აბაზგების პოლიტიკური გაერთიანების ჩრდილო-დასავლეთით სანაპიროზე უშუალო მოსაზღვრედ ჯიქებს ასახელებს („აბაზგების საზღვრების შემდეგ კავკასიონის მთის გასწვრივ ცხოვრობენ ბრუქები — აბაზგებსა და ალანებს შუა. ხოლო ევქსინის პონტოს ნაპირას ზიქები არიან დამკვიდრებული[9]). მაგრამ, ცოტა ქვემოთ, სხვა შინაარსის, ამის გამომრიცხველ ცნობას იძლევა: „ზიქებს ძვე-

---

ფლავიუს არიანე. დასახ გამოცემა. გვ. 43.

Элий Геродиан. В. В. Латышев, Известия древних писателей о Скифии и Кавказе. ВДИ. 1948. №2, გვ. 260.

ორფიკული არგონავტიკა. ძველბერძნულიდან ქართული თარგმანი და კომენტარები, ნ. მელაშვილისა. რედაქცია, შენიშვნები და საძიებლები აკ. ურუშაძისა, თბ., 1977. გვ. 204.

Natitia dignitatum. გეორგიკა. II. გვ. 171.

თეოდორიტე კვირელი. გეორგიკა. I. გვ. 227.

ანონიმი V ს-ისა. გეორგიკა. II. გვ. 8.

იუსტინიანეს ნოველები. გეორგიკა. II. გვ. 37.

გეორგიკა. II. გვ. 133-135; 155-161.

იქვე. გვ. 135.

ლად რომაელთა თვითმპყრობელი უყენებდა მეფეს, ამჟამად კი ეს ბარბაროსები არაფერში აღარ ემორჩილებიან რომაელებს. ამათ შემდეგ ცხოვრობენ საგინები; ამათი მიწა-წყლის ზღვისპირა ნაწილი ძველითგანვე ეპყრათ რომაელებს. რომაელებმა აქ ზღვისპირას ორი სიმაგრე გააშენეს: სებასტოპოლისი და პიტიუნტი... ამჟამად კი მათ (რომაელებს) დარჩათ მხოლოდ ეს ორი სიმაგრე, სადაც ჩვენს დრომდე ჰქონდათ სადარაჯოები".[1] პროკოპი ამ ვითარებას ისეთ დათარიღებულ რეალურ მოვლენასთან დაკავშირებით აღწერს, რომ არ შეიძლება არ ერწმუნო.[2] გარდა ამისა, პროკოპის წინამორბედი V ს-ის ანონიმი ავტორი პირდაპირ მიუთითებს, რომ „მდინარე აჭუნტი (იწოდება ბასისად და) პყოფს ჯიქებს და სანიგებს... აჭუნტის წყლიდან ვიდრე აბასკის წყლამდე ცხოვრობენ სანიგები".[3] აღარაფერს ვამბობთ წინა საუკუნეების მწერლებზე, რომლებიც ასევე ცალსახად მიუთითებენ სანიგების ტომის გავრცელებას მდ. აჭუნტამდე, რომელიც სანიგებს ჯიქებისაგან გამოყოფდა. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ ისეთი უტყუარი წყარო როგორც ფლავიუს არიანეა;[4] სანიგებს თავისი ეს სამფლობელო და თვითმყოფადობა ისე შეუნარჩუნებიათ ამ ტერიტორიაზე, რომ ჯიქებს წინ წამოწევა ვერ მოუხერხებიათ და ვერც სხვა გაერთიანებებს მოუსპიათ მათი ეთნოსის აქ (მდ. აბასკოსსა და მდ. აჭუნტას შორის) მოსახლეობა. ამაზე, ზემოთ მითითებული V ს-ის ანონიმი ავტორისა და პროკოპი კესარიელის ცნობების გარდა, კარგად მეტყველებენ გვიანი საუკუნეების წყაროებიც. მაგ., კონსტანტინე პორფიროგენეტი (ბიზანტიის კეისარი 912-959 წწ.) აბაზგთა გაერთიანების (რომელშიც სანიგებიც უნდა იგულისხმებოდეს) ჩრდილო-დასავლეთ საზღვრად ჯიქებთან მდ. ნიკოფსიას მიიჩნევს,[5] ხოლო თამარ მეფის ერთი ისტორიკოსი (XII ს-ის 80-იანი წლებისათვის) სანიგებს ჭშიგრა (ჯიქების) ტომის თანაბარ ტომობრივ გაერთიანებად ასახელებს.[6]

მაშასადამე, გამოდის, რომ აბაზგიის სახელით შექმნილ პოლიტიკურ გაერთიანებაში შემავალი ორი სატომო ერთეულიდან, ერთი სანიგების

---

1 გეორგიკა. II, გვ. 135-137.

2 542 წელს ... როდესაც ხოსრომ, სპარსთა მეფემ, ლაზები რომ წამოუძღვნენ მას პეტრასაკენ, გადაწყვიტა იქ სპარსთა ჯარის გაგზავნა ამ სიმაგრეების (სებასტოპოლისის და პიტიუნტის) ასაღებად და იქ, სადარაჯოებში ჩასადგომად" — გეორგიკა. II, გვ. 137.

3 ანონიმი V ს-ისა. გეორგიკა. II, გვ. 10.

4 ფლავიუს არიანე. დასახ. გამოცემა. გვ. 43.

5 კონსტანტინე პორფიროგენეტი. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. IV, ნაკ. 2. თარგმანი და კომენტარები ს. ყაუხჩიშვილისა. თბ., 1952. გვ. 233.

6 „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი". ქართლის ცხოვრება. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1959. გვ. 49.

ეთნოპოლიტიკური ერთეულია (მდ. აბასკოსსა და მდ. აჭეუნტას შორის მდებარე), ხოლო მეორე საკუთრივ აბაზგების სატომო ერთეული იყო. მაგრამ, პროკოპი კესარიელი, როცა თავის „ომების" ისტორიას წერდა (545-550 და 553 წლებში),[1] სადაც დაცული აქვს მითითებული ცნობები. მაშინ, ეს ორი ეთნო-პოლიტიკური ერთეული აბაზგიის სახელით იყო გაერთიანებული და ასე იყო ეს გაცნობიერებული ბიზანტიის საიმპერიო კარზე. ამიტომ, სრულიად ბუნებრივი ჩანს, პროკოპი კესარიელს ბიზანტიის ოფიციოზში მიღებული ეს ტერმინი ეხმარა. თუმცა, მან კარგად იცოდა, რომ ჯიქების მეზობლად აღმოსავლეთიდან სანაპიროზე სანიგების ეთნოსი მოსახლეობდა, ხოლო მათ ასევე აღმოსავლეთიდან საკუთრივ აბაზგები ემეზობლებოდნენ. პროკოპისვე გადმოცემიდან ვგებულობთ, რომ ამ ორი ეთნო-ერთეულის გაერთიანება, ბიზანტიის საიმპერიო კარის მიერ ამ რეგიონში საგანგებოდ გატარებული პოლიტიკური ღონისძიებების შედეგი იყო. პირველი რიგის ღონისძიებანი, რაც ბიზანტიის ხელისუფლებამ ამ რეგიონში გაატარა, ის იყო, რომ მათ გააქრისტიანეს აბაზგები და აკრძალეს ამ ტომში ბავშვების ევნუქებად ქცევა და მათი გაყიდვა. პროკოპი ამ ვითარებას ასე გადმოსცემს: აბაზგები „ ჩვენ დრომდისაც თაყვანს სცემდნენ ქალებსა და ტყეებს. ხეები ბარბაროზს რაღაც გულუბრყვილობის გამო ღმერთებად წარმოუდგენია. თავიანთი მთავრებისაგან საშინელი ჩაგვრა აქვთ გამოცდილი იმათი ვერცხლის-მოყვარეობის წყალობით... როგორც კი დაინახავდნენ ამ ტომში კარგი გარეგნობის და ლამაზი ტანის ბავშვებს, დაუყოვნებლივ დააშორებდნენ მათ მშობლებს, ევნუქებად აქცევდნენ და გზავნიდნენ რომაელთა ქვეყანაში, რათა იქ მიეყიდათ მსურველთათვის... აქედან არის რომ მეტი წილი ევნუქებისა რომაელთა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი მეფის სასახლეში, ტომით აბაზგები არიან".[2] დასაჭურისებული ბავშვების მამებს კი კლავდნენ, რომ მათ შური არ ეძიათ მათი ბავშვების გაუბედურებისათვის.[3] ბიზანტიის კეისარ იუსტინიანე I-ის დროს „აბაზგების მდგომარეობა შეიცვალა, უმჯობესი გახდა. იმათ მიიღეს საქრისტიანო რწმენა და იუსტინიანე მეფემ მათ პალატის ერთი ევნუქთაგანი გაუგზავნა, ტომით აბაზგი, სახელად ევფრატა. მან სასტიკად აუკრძალა მათ მეფეებს, რომ ამიერიდან აღარავინ დაესაჭურისებინათ... ამას აბაზგები სიხარულით შეხვდნენ, რომაელთა მეფის ბრძანებით გამხნევებულნი... მაშინ იუსტინიანე მეფემ აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარიც ააშენა და მათ მღვდელ-მსახურნი დაუყენა და

---

1 ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, გვ. 39.
2 გეორგიკა. ტ. II. გვ. 133-134.
3 იქვე.

მიაღწია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრისტიანო წესები. მალე ორივე მეფე მოსპეს აბაზგებმა".[1]

როგორც მოხმობილი ტექსტიდან ჩანს, იუსტინიანე I-მა, აბაზგეთის (აფხაზეთის) სახელით შექმნილ გაერთიანებაში, გარკვეული დიპლომატიური ტაქტით ჩაატარა პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ხასიათის აღნიშნული ღონისძიებანი. იმპერატორმა თავის ამ საქმიანობაში კარგად გამოიყენა აბაზგთა ფართო წრეების უკმაყოფილება, რაც მათი ბავშვების მოსალოდნელი დასაჭურისება-ტყვედგაყიდვის შიშით იყო გამოწვეული. გარდა ამისა, იუსტინიანემ ამ საქმეში, საიმედო საყრდენ ძალად ბიზანტიის სამეფო კარზე გაზრდილი აბაზგი ევნუქები მიიჩნია, რომელნიც, ეტყობა, საგანგებოდ იყვნენ მომზადებულნი, რომ საჭიროების შემთხვევაში თავი გამოეჩინათ ამ რეგიონში ბიზანტიის მიზნების განხორციელებისათვის, აკი, ერთ-ერთ მათგანს ევფრატას ბიზანტიის ხელისუფლებამ მიანდო ღონისძიებათა მთელი რიგის სისრულეში მოყვანა აბაზგიასა და სანიგეთში.

პროკოპი კესარიელი და იუსტინიანე I-ის ნოველები, რომლის გამოცემა 535 წლით თარიღდება,[2] ვერაფერს გვატყობინებს პირდაპირ, თუ როდის ყოფილა ეს მოვლენები სანიგეთსა და აბაზგიაში. მაშინ, როცა იუსტინიანე ამ ნოველებით თავის ნამოღვაწარს დასავლეთ საქართველოში, თითქმის დაწვრილებითა და ერთგვარი სიამაყითაც გვამცნობს. ის თანმიმდევრობით ჩამოთვლის: რომ ჭანები მისი მეოხებით დაემორჩილნენ ბიზანტიის ხელისუფლებას, ლაზიკაში ციხე-სიმაგრე პეტრა ქალაქად მან აქცია და მისი უზენაესობის სახელი უწოდა, სპარსელებისაგან უკან დაიბრუნა ლაზიკის სიმაგრეები: სკანდა, სარაპანისი, მუხურისი და სხვა, ჭანეთში მის დროს გაჩნდა ქალაქად ქცეული ადგილები, ჰყავს მეგობარი ტომები, მათ შორის აბაზგები და სხვა.[3] ასეთ შემთხვევაში ძალზე ძნელია ირწმუნო, 535 წლამდე იუსტინიანეს აბაზგიაში (აფხაზეთში) ქრისტიანობა გაევრცელებინა, მათთვის მღვდელმსახურება დაეწესებინა, იქ ღვთისმშობლის სახელობაზე ტაძარი აეგო, ბავშვების დასაჭურისება და მათი ტყვედ გაყიდვა აეკრძალა, ორი მთავარი მოესპო, ერთხელისუფლებიანობა დაედგინა და ყოველივე ეს არ აღნიშნა მას 535 წელს გამოცემულ ნოველებში. მით უფრო, როცა ამ მოვლენებს ასე ხაზგასმით წარმოაჩენენ იუსტინიანეს თანამედროვე და მომდევნო ხანის მწერლები (პროკოპი კესარიელი, ევაგრი სქოლასტიკოსი, იოანე ზონარა

---

1 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 134-135.

2 З. В. Удальцова, Законодательные реформы Юстиниана, ВВЗ, XXVI, 1965, გვ. 21-24; ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, გვ. 36-37, იხ. შენიშვნა; გეორგიკა, III, გვ. 186, იხ. შენიშვნა.

3 იუსტინიანეს ნოველები, გეორგიკა, II, გვ. 31-37.

და სხვა).[1] 548 წლისათვის რომ აბაზგები (აფხაზები) გაქრისტიანებულნი არიან და მასთან დაკავშირებული სხვა აქციებიც აქ ბიზანტიის ხელისუფლებას ჩატარებული უნდა ჰქონდეს, ამაზე პროკოპი პირდაპირ მიგვანიშნებს.[2]

ბიზანტიის ხელისუფლებამ აბაზგიის (აფხაზეთის) სახელით შექმნილ პოლიტიკურ გაერთიანებაში, აღნიშნული ღონისძიებების გარდა, სხვა რიგის პოლიტიკური აქციებიც (ჯარების ჩაყენება, ბიზანტიური წესჩვეულებების შემოღება და სხვა) გაატარა, რასაც აბაზგების და სანიგების დიდი აჯანყება მოჰყვა (550 წ.).[3] 535-542 წწ-ში რომ გაეტარებინა ბიზანტიას უკანასკნელი რიგის აქციებიც, მაშინ ასე გვიან (550 წ.) არ მოახდენდნენ საპასუხო რეაქციას სანიგები და აბაზგები. ამიტომ, უფრო მოსალოდნელია, ბიზანტიის ხელისუფლებას აღნიშნული ღონისძიებანი ეტაპობრივად განეხორციელებინა (535-542, 549-550 წწ-ში). მითითებული ქრონოლოგიური ჩარჩოები შესაძლო ვარიანტად იმიტომ იქნა მიჩნეული, რომ, როგორც ცნობილია, 542 წელს ბიზანტიის ხელისუფლების ეგრისში წარმოებული პოლიტიკით უკმაყოფილო ეგრისის მეფემ გუბაზ II-მ ბიზანტიის საპირისპიროდ ეგრისში ირანის ჯარები შემოიყვანა ხოსრო ანუშირვან I-ის მეთაურობით.[4] მთელი ეგრისის სამეფო 549 წლამდე ირანის (სპარსეთის) გავლენის ქვეშ მოექცა და იბრძოდა მასთან ერთად ბიზანტიის წინააღმდეგ. 549 წელს კი, როცა ცნობილი გახდა ხოსრო ანუშირვანის განზრახვა, — გუბაზის მოკვლის, ლაზების მათი სამოსახლოდან აყრისა და მათ ადგილას ირანელების ჩასახლების შესახებ, მაშინ, გუბაზი ირანელებს აუჯანყდა და დახმარება ბიზანტიელებს სთხოვა. ამავე წელს იუსტინიანემ ჯარები მიაშველა გუბაზს და ერთიანი ძალით შეუტიეს ირანელებს. ამიტომ, ბუნებრივია, ბიზანტიის ხელისუფლებას 542-548 წწ-ში ნაკლები შესაძლებლობანი ჰქონდა ეწარმოებინა თავისი პოლიტიკა ეგრისის სამეფოში, კერძოდ, სანიგეთსა და აბაზგიაში. თუმცა, არ გამოვრიცხავთ, საიმპერიო კარს ამ წლებშიც გაეგრძელებინა თავისი საქმიანობა აქ.[5]

---

1 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 133-135; ევაგრი სქოლასტიკოსი, გეორგიკა, III, გვ. 197; იოანე ზონარა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VI, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითა და კომენტარებით ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1966, გვ. 228-230.

2 გეორგიკა, II, გვ. 138; ამ საკითხზე უფრო ვრცლად. იხ. დ. ლეთოდიანი, აფხაზების (აბაზგების) გაქრისტიანების დათარიღებისათვის, მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის...) სერია, №4, 1989, გვ. 44-54.

3 პროკოპი, გეორგიკა, II, გვ. 157-158

4 იქვე, გვ. 63, 103.

5 იქვე, გვ. 96, 98, 99.

ბიზანტიის ხელისუფლება გარკვეული პოლიტიკური მიზნით მოქმედებდა სანიგეთსა და აბაზგიაში (პიტიუნტ-ბიჭვინტიდან მდ. აქეუნტა-შახემდე). მას სანიგეთის და აბაზგეთის უმეშვეო მმართველობაში მოქცევა და თავის პროვინციად გადაქცევა ჰქონდა განზრახული. რაღა თქმა უნდა, თავისთავად ეს იმას ნიშნავდა, რომ ეგრისის სახელმწიფოებრიობას დაეკარგა ეს რეგიონი. ბიზანტიის ამ მიზანდასახულებასა და შესაბამის მოქმედებაზე პროკოპი კესარიელი პირდაპირ მიუთითებდა: „როდესაც მათ თავიანთი მეფეები მოსპეს, როგორც ეს ჩემ მიერ ახლახან იყო მოთხრობილი, რომაელთა ჯარისკაცები, კეისრის მიერ წარგზავნილები, მათ ქვეყანაში იდგნენ ხოლმე ძალიან ხშირად და მათ უნდოდათ ეს ქვეყანა დაემორჩილებინათ რომაელთა ძალაუფლებისათვის და მათ ახალ-ახალ რაღაც წესებს უმყარებდნენ“.[1] როგორც პროკოპის მითითებული ცნობებიდან ჩანს, საიმპერიო კარს სანიგეთსა და აბაზგეთში თავისი მიზნის მისაღწევად არაერთი ღონისძიების გატარება მოუხდათ. ჯერ მშვიდობიანი — დიპლომატიური გზით ცდილობდა ყოველივე ამის მოგვარებას და საამისოდ, როგორც ითქვა, კარგად იყენებდა კონსტანტინეპოლში, შესაძლოა, საგანგებოდ გამოზრდილ აბაზგ საჭურისებს[2] და ადგილობრივი მოსახლეობის ფართო წრეებს. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმპერიის განზრახვათა სისრულეში მოსაყვანად და ხელისუფლებამ ძალისმიერ პოლიტიკას მიმართა, როგორც პროკოპი იტყოდა, „რომაელთა ჯარისკაცები კეისრის მიერ წარგზავნილები“ ძალიან ხშირად იდგნენ მათ ქვეყანაში, რათა ისინი რომაელთა ძალაუფლებისათვის დაემორჩილებინათ. „ამ ძალადობის გამო აბაზგები პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნენ. იმის შიშით, რომ ამიერიდან რომაელთა მონებად არ გამხდარიყვნენ, მათ კვლავ დაიყენეს თავისთვის მთავრები, აღმოსავლეთის ნაწილისათვის ოფსიტე სახელად, ხოლო დასავლეთისათვის სკეპარნა“.[3] როგორც ამ კონტექსტიდან ჩანს, პირველი საპროტესტო აქცია, რომელიც აბაზგთა სახელით შექმნილმა გაერთიანებამ მოიმოქმედა მოძალადე ბიზანტიელების წინააღმდეგ, ეს იყო ამ გაერთიანების ორად გაყოფა. ჯერ ერთი, როგორც ირკვევა, ეს გაერთიანება საიმ-

---

1 გეორგიკა, II, გვ. 157.

2 პროკოპის ზემოთ მითითებული ცნობიდან კარგად ჩანს, რომ დასაჭურისებული აბაზგი ბავშვების ძირითადი გამსაღებელი ბაზარი ბიზანტია იყო. ეს და ისიც, რომ საიმპერიო კარზე საჭურისების უმრავლესობა წარმოშობით აბაზგები იყვნენ, გვაფიქრებინებს, აბაზგთა ხელისუფალთათვის შემკვეთი და ხელისშემწყობი ამ საქმეში ბიზანტიის ხელისუფლება ყოფილიყო. შესაძლოა, აბაზგი ევნუქი ბავშვების ბიზანტიის იმპერიის კარზე მომრავლება გამიზნული იყო არა მარტო დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად, არამედ სურდათ მათი საგანგებოდ გაწრთვნა-ზომზადება ბიზანტიის პოლიტიკის განსაბორციელებლად შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე.

3 გეორგიკა, II, გვ. 157.

პერიო კარისაგან ძალით ყოფილა შექმნილი; მეორეც, ეს გაერთიანება ორი სხვადასხვა სატომო ერთეულისაგან (სანიგებისა და აბაზგების ტომისაგან) შედგებოდა. ამას გარდა აბაზგების სახელით შექმნილ გაერთიანებაში ორივე ერთეული რომ საკუთრივ აბაზგებისა ყოფილიყო, მაშინ, ძლიერი მტრის წინააღმდეგ ისინი ორად კი არ გაიყოფდნენ, არამედ, უფრო შემჭიდროვდებოდნენ ერთი ხელისუფალის ირგვლივ. აღსანიშნავია, რომ ბიზანტიის ხელისუფლების მიერ აბაზგთა გაერთიანების შექმნით და საერთოდ მისი ამ რეგიონში გატარებული პოლიტიკით, აბაზგებზე უფრო სანიგები დაზარალდნენ. მათ ამ პოლიტიკით თვითმმართველობა და საერთაშორისო პოლიტიკის არენაზე სახელიც კი დაკარგეს. იჭნებ ბიზანტიის ხელისუფლება ასე სანიგების საპირისპიროდ საგანგებო მიზნით მოქმედებდა. სანიგები, როგორც ვუთითებდით, ერთ დროს თითქმის ყველაზე ძლიერ გაერთიანებას წარმოადგენდა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, რომელთა სამოსახლო სებასტოპოლცხუმიდან მდ. აქეუნტა-შახემდე ვრცელდებოდა. ეტყობა, ბიზანტიას არ აწყობდა ასეთი ძლიერი გაერთიანების არსებობა ამ რეგიონში და თავისი პოლიტიკის განსახორციელებლად არჩევანი აბაზგებზე გააკეთა, მაგრამ მისმა ძალადობამ ორივე ტომის უკმაყოფილება გამოიწვია და 550 წელს ისინი ბიზანტიელებს აუჯანყდნენ.

აჯანყებულებს ირანელების (სპარსელების) დახმარების იმედიც ჰქონდათ. „რომაელებისა და ლაზებისაგან განდგომილ აფხაზთა ქვეყანაში"[1] სპარსელთა სარდალი ნაბედე ჩადგა თავისი ჯარებით, მაგრამ მან აბაზგი მძევლები აიყვანა და მალე გაეცალა იქაურობას.[2] აჯანყებულები მარტო დარჩნენ ბიზანტიელების პირისპირ. იუსტინიანეს დიდძალი ჯარი ჰყავდა გაგზავნილი მათ წინააღმდეგ.[3] დასავლეთი ნაწილის (სანიგეთის) მთავარი სკეპარნა ირანის შაჰ ხოსრო-ანუშირვანის კარზე იმყოფებოდა მისი მიწვევით. ალბათ, როგორც უფრო დაზარალებული ბიზანტიელთა ძალადობისაგან და ამდენად უფრო საიმედო საყრდენ ძალად მიჩნეული ირანელებისაგან.

აბაზგთა მთავარმა ოფსიტემ, როცა ბიზანტიელების შემოტევის შესახებ გაიგო, „შეკრიბა ყველა აბაზგი და გადაწყვიტა, შეხვედროდა მტერს".[4] აჯანყებულები თავგანწირვით შეებრძოლნენ დამპყრობლებს, მაგრამ დამარცხდნენ უთანასწორო ბრძოლაში. „ოფსიტემ, აბაზგთა მთავარმა, რამდენიმე კაცით მოახერხა გაქცევა და გაემართა მეზობელ

---

1 გეორგიკა. II. გვ. 155.
2 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 157.
3 იქვე.
4 იქვე. გვ. 158.

ჰუნებში... ხოლო დანარჩენები ან ფერფლად იქცნენ გადამწვარ სახლებთან ერთად, ან მტრის ხელში ჩავარდნენ... (ტრაქეა-გაგრის) ციხის გალავანი კი მიწასთან გაასწორეს და მთელი მიწა-წყალი უდაბნოდ აქციეს".[1] ამ ცნობიდან გამოდის, რომ აბაზგების ერთი ნაწილი ბიზანტიელთა ლაშქარს გაუნადგურებია, მეორე ნაწილი დაუტყვევებია, მხოლოდ მცირე ნაწილს უშველია გაქცევით თავისათვის. აბაზგთა სამოსახლო მთელი მიწა-წყალი კი უდაბნოდ უქცევიათ. პროკოპის ეს ცნობა შეიძლება გადაჭარბებული იყოს და მთლად ვერ ასახავდეს სიმართლეს, მაგრამ ის მაინც ჩანს სარწმუნო, რომ ბიზანტიელები სასტიკად გასწორებიან აჯანყებულებს. ყოველივე ამის შემდეგ ბიზანტიის ხელისუფლებას წინ რაღა დაუდგებოდა, საკუთარი განზრახვა რომ სისრულეში მოეყვანა და აღნიშნული რეგიონი თავის უშუალო მფლობელობაში მოექცია. თუ VI ს-ის მეორე ნახევრის ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი[2] და VIII ს-ის დამლევისა და IX ს-ის დასაწყისის მწერალი თეოფანე ბიზანტიელი,[3] VI ს-ის ბოლოსათვის აბაზგიის სახელს ლაზიკისაგან თითქმის გამოცალკევებულად აღნიშნავდნენ, XI ს-ის დამლევისა და XII ს-ის დასაწყისის ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე ზონარა, რომელიც ადრებიზანტიური წყაროებითაც სარგებლობს, როცა იუსტინიანე I-ის მიერ აბაზგიაში ჩატარებულ ღონისძიებებზე საუბრობს, პირდაპირ წერს, რომ „ამიერიდან (ე. ი. იუსტინიანე I-დან) აბაზგების არც ერთი მმართველი ადგილობრივად არ ინიშნებოდა. იქ რომაელთა მეფეები აგზავნიდნენ არქონტებს და უკანასკნელნიც მეფეთა კარნახით მართავდნენ სახელმწიფო საქმეებს".[4]

იოანე ზონარას ამ ჩვენებას (ბიზანტიელებმა აბაზგიის სახელით შექმნილ გაერთიანებაში რომ უმეშვეეო მმართველობა დაამყარეს), ეთანხმება „ქართლის ცხოვრების" ტრადიცია, რომელსაც ზოგიერთ შემთხვევაში ანაქრონიზმი ახასიათებს ბერძნულენოვან წყაროებთან მიმართებაში. მაგალითისათვის მოვიტანთ მხოლოდ ჯუანშერის ერთ მონაცემს, რომლიდანაც ჩანს, რომ თითქოს ვახტანგ გორგასალმა მოახერხა აფხაზეთის ქართულ სამყაროში შემოყვანა; რომ ვახტანგ მეფემ ბრძოლით წაართვა (V ს-ის მეორე ნახევარში) ბიზანტიას აფხაზეთი, მაგრამ შემდეგ მხოლოდ ეგრისწყალსა (ღალიძგასა) და კლისურას შუა

---

1 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 161.

2 გეორგიკა, III, დასახ. გამოცემა, გვ. 44.

3 იქვე. გვ. 257-258.

4 იოანე ზონარა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VI, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ და კომენტარებით ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1966, გვ. 230.

„ქვეყანა“ შეინარჩუნა.[1] ეს მაშინ, როცა პროკოპი კესარიელის სანდო წყაროდან დანამდვილებით ვიცით, რომ აფშილეთი, სანიგეთი და აფხაზეთი (აბაზგია) ძველიდანვე (IV საუკუნის დასასრული — V ს-ის პირველი ნახევარი) ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში იყვნენ მოქცეულნი. ცალკე კვლევის საგანია, თუ რატომ ახასიათებს ქართულ წყაროებს ანაქრონიზმი. მაგრამ ამ შემთხვევისათვის მთავარი ის არის, რომ „ქართლის ცხოვრების“ ავტორებმა იციან, ბიზანტიას (საბერძნეთს, როგორც ისინი უწოდებენ) ძალით რომ უპყრია კლისურას (ცხუმ-სოხუმის) ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი VIII ს-ის დასასრულამდე და ამ რეგიონს განაგებს ბიზანტიის სამეფო კარის მოხელე (იოანე ზონარას თქმით, არქონტი), ჯუანშერი და ვახუშტი ბატონიშვილი ბერძენი ერისთავის სახელით რომ იხსენიებენ. ამ რეგიონს კი ქართული წყაროები საბერძნეთს უწოდებენ ხშირად.

ლეონტი მროველის მიხედვით, ლიხის მთიდან მდ. მცირე ხაზარეთამდე „სადა წარსწუთების წუერი კავკასისა“ ეგროსის წილია,[2] მაგრამ ძველი დროიდან „ ეგრის წყალს ქვემოთი დარჩა ბერძენთა“.[3] ჯუანშერიც, რომელიც აგრძელებს ლეონტის ამ შეხედულებას ეგრისის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის შესახებ, არაერთხელ წერს, რომ ეგრისწყალს, ხოლო V ს-ის მეორე ნახევრიდან კლისურას „ქვემოთი“ ქვეყანა საბერძნეთია (ბიზანტია) პოლიტიკურად.[4] „ გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალს ქუემოთი კერძი ყოველი... ვძებნეთ საზღვარი ქართლისა ბერძენთაგან“.[5] ან „და გამოიკითხა კეისარმან საზღვარი საბერძნეთისა, ქუეყანა ზღუს პირისა, რომელ არს აფხაზეთი“.[6] როგორც ითქვა, ვახტანგ გორგასალის დროიდან (V ს-ის მეორე ნახევრიდან) საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარმა ეგრისწყლიდან კლისურაზე გადაინაცვლა. ეგრისწყალსა (ღალიძგასა) და კლისურას შორის მდებარე ქვეყანა მზითევის სახით დაუმტკიცა ლეონ კეისარმა თავის ქალიშვილს, რომელიც ვახტანგ მეფეს მიათხოვა „და დაუწერა ეგრისწყალსა და კლისურასა შუა ქუეყანა ზითვად და

---

1 ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 177.

2 ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 5.

3 იქვე. გვ. 23-24.

4 ვფიქრობთ, ამიტომაა საჭირო უფრო ღრმა დაკვირვება, როცა აღნიშნული რეგიონის ეთნოლოგიურ პრობლემებზეა საუბარი. რამეთუ ამ რეგიონის სხვადასხვა დროის სახელწოდებები ვერ არის ადეკვატური ამ გაერთიანების სახელწოდებაში შემავალი ეთნიკური შემადგენლობისა.

5 ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 146.

6 იქვე. გვ. 177.

სხვა აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა".[1] ჯუანშერს VIII ს-ის 30-იან წლებშიც კლისურის ჩრდილო-დასავლეთი საბერძნეთისად (ბიზანტიისად) მიაჩნია და ამ ტერიტორიას საბერძნეთს, ხოლო მის მთავარს (ლეონ I) კეისრის ერისთავს უწოდებს. — „და ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა... და ერისთავი კეისრისა ლეონ შესრულ იყო ციხესა შინა სობღისისა".[2]

აღნიშნულ საკითხზე ასეთივე შეხედულება გააჩნია ვახუშტი ბაგრატიონსაც, მაგრამ ის უფრო ღრმა და საფუძვლიანია. როგორც მისი ნაშრომიდან ჩანს, გარდა იმისა, რომ მას ხელთ ჰქონია სარწმუნო წყაროები ადრე საუკუნეების აფხაზეთზე, ის კარგად იცნობს, აგრეთვე, თავის თანადროულ აფხაზეთს, მის პოლიტიკურ მდგომარეობას, ისტორიულ გეოგრაფიას და სხვა. ამდენად, მისი შეხედულებები ფუნდამენტური ხასიათისაა აღნიშნული საკითხების კვლევისას და მეტ ყურადღებას საჭიროებს მეცნიერთაგან.

ვახუშტის გადმოცემით, „ანაკოფიის დასავლეთი არს აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრეთვე ეგრისი, რამეთუ ვინაჲთგან წილი ეგროსისა არს ზღუამდე, მის გამო ეწოდა ეგრივე".[3] ბატონიშვილი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ეგროსის წილ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდა („გარნა უმეტეს საგონებელი არს, ძეთაგან ანუ ძის ძეთაგან ეგროსისათა ეწოდა სახელი ესე".), მაგრამ თვითონვე იცის მან ამის მიზეზი და იქვე სცემს ამ კითხვას პასუხს: „არამედ შემდგომად განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა აფხაზეთი".[4] ე. ი. ვახუშტი ბატონიშვილმა იცის, თუ როგორ და ვინ გაავრცელა აფხაზეთის (აბასას) სახელი ანაკოფიის (ახალი ათონის) ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე და ზედმიწევნით შემოხაზავს კიდეც აფხაზეთის ადრინდელ და თავის დროინდელ საზღვრებს. — „საზღვარი აფხაზეთისა არს: — „აღმოსავლით ანაკოფიის დასავლეთით მცირე მთა, კავკასიდამ ჩამოსული ზღუამდე; დასავლით ზღუა და კაპპეტის მდინარე. არამედ სხუანი მზღვრიან ჯიქეთის დასავლეთის ზღუამდე; ჩრდილოთ მზღვრის მთა კავკასი, სამჯრით ზღუა შავი".[5] ბატონიშვილმა იცის, აგრეთვე,

---

1 ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 177.

2 იქვე, გვ. 235.

3 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 783-784.

4 იქვე, გვ. 784.

5 იქვე. რაც შეეხება აფხაზეთის დასავლეთ საზღვარს, ვახუშტი, თავისი დროისათვის, როგორც მივუთითეთ, მდ. კაპპოტს მიიჩნევს, თუმც, მისივე გადმოცემით, „სხვანი მზღვრიან ჯიქეთის დასავლეთის ზღუამდე", ალბათ, ადრე საუკუნეებისათვის. სამეცნიერო

თუ როდის და როგორც განავრცო ბიზანტიის ხელისუფლებამ თავის პროვინციად ქცეული აფხაზეთის (აბასას) სახელით შექმნილი გაერთიანების საზღვარი ბიქვინტის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ვიდრე ეგრისწყლამდე — „ზღუ კიდეზედ არს ქალაქი ანაკოფია, ეს აღაშენეს ბერძენთა... აქავ ერეკლეოს კეისარმან დასუა ერისთავი აფხაზთა“.[1] ამ ცნობას კიდევ უფრო აზუსტებს ვახუშტი — „ხოლო შემდგომად სტეფანოზ ბაგრატიონის ჟამსა მიუღო ერეკლეოს კეისარმან კუალად ეგრისის მდინარის იქითი და დასვეს ბერძენთა ერისთავი თუსი ანაკოფიას და უწოდა აფხაზთა ერისთავად. იყვნენ აქა ერისთავნი ცვლილებითა“.[2]

ბიზანტიური და ქართული წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კარგად დგინდება, რომ ბიზანტიის ხელისუფლებამ თავისი ძალაუფლება უშუალოდ ჯერ ბიქვინტის ჩრდილო-დასავლეთით გაავრცელა აბაზგიის და სანიგეთის გაერთიანებაში (VI ს-ის დასასრულისათვის), რომელსაც აბაზგია (აფხაზეთი) უწოდა, ხოლო VII ს-ის დასაწყისში ჰერაკლე კეისარმა (610-641 წწ.) თავისი მოხელის (ერისთავის — არქონტის) რეზიდენციად ანაკოფია (ახალი ათონი) აქცია და უწოდა აფხაზთა ერისთავი და მისი ძალაუფლება სამხრეთ-აღმოსავლეთით ეგრისწყლამდე (ღალიძგამდე) მიიყვანა. კი, მართალია, როგორც სანდო ბიზანტიური წყაროდან ვიცით,[3] VII ს-ის მეორე ნახევარში ეგრისის სამეფომ თავისი ძალაუფლება კვლავ აღიდგინა ეგრისწყლიდან ვიდრე კლისურამდე (ცხუმ-სებასტოპოლისამდე), მაგრამ დანარჩენი ტერიტორია (ცხუმ-სებასტოპოლისიდან ვიდრე აქეუნტა-შახემდე) ეელარ დაიბრუნა. უკვე ითქვა, რომ 542 წლიდან 562 წლამდე ეგრისის სამეფო ჩაბმული იყო ირან-ბიზანტიის ომში, რომლის ტერიტორია საბრძოლო პოლიგონად იყო გადაქცეული ამ ორ დიდ სახელმწიფოს შორის. ეგრისი თვითონაც აქტიურად იბრძოდა ჯერ ირანის მხარეზე (542-549 წწ.), ხოლო შემდეგ (549-562 წწ.) ბიზანტიასთან ერთად იბრძოდა თავდადებით. ამ ომში ეგრისის სამეფო, ბუნებრივია, დასუსტდა და მას აღარ შეეძლო

ლიტერატურაში კაპპოტი გაიგივებულია მდ. ბზიფთან (З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), Сухуми, 1958, გვ. 397. ივ. ჯავახიშვილიც 1923 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიულ რუკაზე ზუფუს და ბზიფის ერთსადაიმავეობას აღნიშნავს და მათ მდ. კაპპოტთან აიგივებს. ვახუშტი მდ. კაპპოტს ანაკოფიიდან რიგით მეოთხე მდინარედ ასახელებს: აღაცოს, ზუფუს და მუწოს შემდეგ). მის მიერ შედგენილ 1735 წელს საქართველოს რუკაზე მდ. კაპპოტი დატანებული აქვს ბიქვინტის დასავლეთით, ამდენად, შესაძლოა ის უფრო მდ. ფსოუსთან იქნეს გაიგივებული.

1 ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 781.

2 იქვე, გვ. 795.

3 თეოდოსი განგარელი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკ. I, ვრცელი ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1941, გვ. 43-51.

წინ აღდგომოდა ბიზანტიის ხელისუფლების განზრახვას, ებრძოლა მის წინააღმდეგ დაკარგული ტერიტორიების შემოსაერთებლად. გარდა ამისა, ის სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა ირანს საბოლოოდ და მისი ჯარების ეგრისიდან განსადევნად სხვა დამხმარე ძალა, გარდა ბიზანტიისა, არ გააჩნდა.

ამ რეგიონით ბიზანტიის ხელისუფლების დაინტერესება კი მეტად დიდი იყო, მისი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო. აქ გადმოდიოდა საუღელტეხილო გზები[1] ჩრდილო კავკასიიდან, საიდანაც მოსალოდნელი იყო მრისხანე მომთაბარე ჩრდილოელი ტომების გადმოსვლა, ამ გადმოსასვლელების დაცვა ერთხანს ლაზებს ჰქონდათ მინდობილი, მათ სხვა მოვალეობა ბიზანტიისადმი არც გააჩნდათ. მაგრამ, როგორც პროკოპი და. იოანე მალალა გვამცნობენ,[2] ეგრისში (ლაზიკაში) ბიზანტიის პოლიტიკით უკმაყოფილო. ეგრისის მეფეებმა (წათე I და გუბაზ II) მარტო VI ს-ის პირველ ოთხათწლეულში ორჯერ დაუპირისპირეს ირანელები ბიზანტიელებს. VI ს-ის 40-იანი წლებიდან გაჩნდა იმის აშკარა შესაძლებლობა, რომ ირანელებს ესარგებლათ ამ გადმოსასვლელებით და ბიზანტიის დასარბევად გამოყენებინათ ჩრდილოელი ტომები. ამ პერსპექტივაზე პირდაპირ მიუთითებდა გუბაზ II-ის ელჩობა ირანის შაჰს ხოსრო ანუშირვან I-ს.[3] აქედან გამომდინარე, ბიზანტიის ხელისუფლება როგორღა მიანდობდა ამ გადმოსასვლელების კონტროლს ეგრისის სამეფოს. გარდა ამისა, ამ რეგიონის უშუალო დაუფლებით ბიზანტიას ეგრისის დასუსტებაც ჰქონდა განზრახული.

ასე რომ, აღნიშნული რეგიონი (კლისურიდან მდ. აჭუნტამდე) თუ უძველესი დროიდან კოლხიდის (ეგრისის). II-IV საუკუნეებში სანიგეთის, ხოლო IV-VI საუკუნეებში ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს სახელს ატარებდა, VII ს-ის დასაწყისიდან იწოდა აფხაზეთად. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის სახელის გავრცელება უშუალოდ ბიზანტიის პოლიტიკის შედეგია. ბიზანტიის უშუალო მმართველობა აფხაზეთად წოდებულ გაერთიანებაში VIII ს-ის 30-იან 40-იან წლებამდე გაგრძელდა. აფხაზეთი იმართებოდა ბიზანტიელი მოხელეების მეშვეობით, როგორც ვახუშტი იტყოდა, „ცვლილებითა“ და არა მემკვიდრეობის წესით.[4] VIII ს-ის 30-იან, 40-იანი წლებიდან, ჯუანშერის გადმოცე-

---

1 ს ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები I, თბ., 1949. გვ. 71.

2 პროკოპი, გეორგიკა, II, გვ. 82-83; იოანე მალალა, გეორგიკა, III, გვ. 261-264.
პროკოპი, გეორგიკა, II, გვ. 81.
ჩვენი აზრით, აბსურდია იმის მტკიცება, თუ ვინ იყვნენ ისინი ეთნიკური წარმომავლობით. ჯერ ერთი, ამის შესახებ პირდაპირი წყარო არ მოიპოვება. მეორეც, თუ იოანე ზონარას ზემოთ მითითებულ ცნობას ვერწმუნებით, იუსტინიანე I-დან მოყოლებული, ადგილობრივიდან აღარაფინ ინიშნებოდა აფხაზთა მმართველებად. თავიანთი მრწამსით,

მით, აფხაზთა ერისთავმა ლეონ I-მა ბიზანტიის იმპერატორისაგან მიიღო სამემკვიდრეოდ აფხაზთა ერისთაობა. VIII ს-ის დასასრულისათვის კი აფხაზთა ერისთავები ცენტრიდანულ ძალად იქცნენ ბიზანტიისათვის და რა ჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი. ეს მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, და იპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა".[1] ამიერიდან კი მთელ დასავლეთ საქართველოს (ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებას) წყაროები აფხაზთა სახელითაც იხსენიებენ გარკვეულ პერიოდამდე.

4. საეკლესიო განხეთქილება კავკასიაში VII ს-ის დამდეგს. კირონ ქართლის კათალიკოსის დიპლომატია

ვახტანგ გორგასლის დაღუპვის შემდეგ ქართლში სამეფო ხელისუფლება მხოლოდ ინერციით განაგრძობდა არსებობას და, ცხადია, ვერც გაძლო დიდხანს. VI ს-ის 20-იანი წლების დასასრულიდან მთელი საუკუნის მანძილზე ქართულ სახელმწიფოს საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც ჩანს, ეკლესია წარმოადგენდა. სხვაგვარად, ეტყობა, არც შეიძლებოდა, რადგან ქვეყნისათვის მთავარი საერთაშორისო პრობლემა ამ ეპოქაში საგარეო ორიენტაციის პრობლემა იყო, რომელსაც ყველაზე მკაფიოდ იდეოლოგიური არჩევანი გამოხატავდა.

მთელი ადრეული შუა საუკუნეები ქართლმა მოანდომა თავისი ადგილის განსაზღვრას აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიდ იმპერიებს შორის. IV ს-ის დასაწყისში მან ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებით თავისი პროდასავლური პოზიციის დემონსტრაცია მოახდინა, მაგრამ, როგორც ზუსტად ერთი საუკუნის შემდეგ გაირკვა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ქრისტიანობის შიგნით გაჩნდა ორი მთავარი მიმართულება — დიოფიზიტობა და მონოფიზიტობა, რომელთა შორის არჩევანს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის პოლიტიკური არჩევანის ფასი ჰქონდა. საქართველომ კვლავ პროდასავლური არჩევანი გააკეთა (რის ნათლად გამოსახატავად მთელი ერთი საუკუნე დასჭირდა) და თავის სახელმწიფო იდეოლოგიად დიოფიზიტობა

წარმომავლობით და სახელებითაც კი აფხაზთა მმართველები უკვე ბიზანტიელები იყვნენ. უფრო ვრცლად. სათანადო ლიტერატურის მითითებით იხ. მ. ლორთქიფანიძე. ეგრის-აფხაზეთი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ.. 1973, გვ. 420-421.

[1] მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. I, გვ. 261.

გამოაცხადა. ამრიგად, ერთი უმთავრესი საერთაშორისო მნიშვნელობის პრობლემა, რომელიც VI-VII სს-ში საქართველოს ხელისუფალთა წინაშე იდგა, იყო სახელმწიფო იდეოლოგიისა და საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. არსებითად ეს გულისხმობდა პოლიტიკურ არჩევანს ბიზანტიასა და ირანს შორის. საქმე ის არის, რომ ქალკედონური ორიენტაციის აღება ფაქტობრივად იყო გზა ეროვნული კონსოლიდაციისაკენ, ეროვნული თვითშეგნების ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლენა, ნაბიჯი ქვეყნის ცენტრალიზაციისაკენ. ამ პერიოდში ქართული „შემეცნების" განსაკუთრებით გაძლიერება გამოწვეული იყო გარეგანი საფრთხით (სპარსეთი) და მისი იდეოლოგიური იარაღით (სომხური მონოფიზიტობა).

მეორე პრობლემა, რომელიც ერთი შეხედვით თითქოს წმინდა წყლის საშინაო საკითხი უნდა ყოფილიყო, მაგრამ უმჭიდროესად უკავშირდებოდა პირველს, ეს არის მღვდელთმსახურების ენის საკითხი შერეული მოსახლეობის სასაზღვრო პროვინციებში, ანუ თანამედროვე სიტყვით რომ ვთქვათ, სახელმწიფო ენის საკითხი ქართლის იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე. პირველ რიგში ეს ეხება ცურტავის საპიტიახშოს ანუ გუგარეთს, ვინაიდან აღნიშნული ტერიტორია სომხეთს უშუალოდ ესაზღვრებოდა და მანამდე სახელმწიფოებრივადაც ქართლსა და სომხეთს შორის ხელიდან ხელში გადადიოდა. მასში სომხური კოლონია მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა თავისი ძლიერი ეროვნული ტრადიციებით.

VII ს-ის 20-იანი წლებიდან საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის დაფარვა იდეოლოგიით აღარ შეიძლებოდა, ვინაიდან ბიზანტიასა და ირანს შორის დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, რომლის უშუალო არენადაც იქცა კავკასია და კერძოდ ქართლი.

აი, ამ პრობლემების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის ეპოქაა კავკასიაში VI ს. და VII ს-ის პირველი ნახევარი; ამიტომაა სწორედ ეს ეპოქა განსაკუთრებით მდიდარი დიპლომატიურ ურთიერთობათა ამსახველი წყაროებით; ამიტომაა ეკლესია და მისი იდეოლოგია ამავე ეპოქის საერთაშორისო ურთიერთობათა ავანგარდში; ამიტომვეა, რომ ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი ამავე ხანაში იქმნება ერთობლივად საეკლესიო და საერო ხელისუფლების მიერ.

ამიერკავკასიის ქვეყნების ეკლესიათა პირველი საერთო კრება გაიმართა სომხეთის დედაქალაქ დვინში 506 წელს.[1] ამიტომ ამ კრებას ხშირად უწოდებენ დვინის პირველ კრებას, ან მაშინდელი სომხეთის

---

[1] ზ. ალექსიძე. მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის: „მაცნე", ისტორიის... სერია, 1973. №3; იქვე იხ. საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა.

პატრიარქის სახელის მიხედვით, ბაბგენის კრებას, რაც, რა თქმა უნდა, ზუსტად არ ასახავს კრების მასშტაბებსა და მნიშვნელობას. კრებას საქართველოდან ესწრებოდა გაბრიელ კათალიკოსი და 22 (თუ 24) ეპისკოპოსი. მთავარი საკითხი, რომელიც კრებაზე იქნა განხილული, იყო ამიერკავკასიის ეკლესიების დამოკიდებულება მსოფლიო ეკლესიაში მიმდინარე დოგმატური პოლემიკის მიმართ. კრება მიმდინარეობდა ბიზანტიის ეკლესიის მეთვალყურეობით და მისი საბოლოო გადაწყვეტილებაც ბიზანტიის იმპერიისთვის მისაღები კურსი აღმოჩნდა. ამიერკავკასიის ეკლესიებმა ერთობლივად დაუჭირეს მხარი იმპერატორ ზენონის „ჰენოტიკონს", რომლის მთავარი იდეა იყო მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების გაერთიანება.

დვინის კრებამ შეადგინა თავისი აქტები, რომელშიც გადმოცემული იყო კრების გადაწყვეტილებები. აქტებს ხელი დაურთო საეკლესიო კრების ყველა მონაწილემ. როგორც მაშინდელი ეტიკეტი მოითხოვდა, აქტები შედგა ყველა მონაწილე ქვეყნის (სომხეთის, ქართლის და ალბანეთის) ენაზე და ითარგმნა ბერძნულადაც. სამწუხაროდ, ამ კრების აქტებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მისი გადაწყვეტილებების მოკლე შინაარსი (ერთგვარი გვიანი ინტერპრეტაციით) და ქართველ მონაწილეთა სია, ბერძნულიდან სომხურად თარგმნილი, შემოგვენახა.[1]

დვინის კრებამ შეიმუშავა ერთობლივი მემორანდუმიც, რომელმაც, მართალია, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ სომხურ ენაზე, მაგრამ, როგორც მასში პირდაპირ არის ნათქვამი, იგი დაწერილი იყო ყველა მონაწილე ქვეყნის ენაზე: სომხურად, ქართულად და ალბანურად. მემორანდუმმა მიიღო ერთობლივი ეპისტოლეს სახე და მიმართული იყო ირანის ხელისუფლებისა და მის იმპერიაში შემავალი ქვეყნებისადმი მათთვის ქრისტოლოგიური დოგმატიკის საკითხებში ამიერკავკასიის ქვეყნების პოზიციის დასადასტურებლად.

ამიერკავკასიის ქვეყნების საერთო კრების მოწვევა კიდევ ერთხელ სცადა სომხეთის ეკლესიამ ქ. დვინში 551 წელს. ამჟამად იგი უკვე დაიგეგმა ირანის ხელისუფლების ზეწოლით კავკასიაში ერთიანი იდეოლოგიური, მონოფიზიტური ბანაკის შესაკრავად. კრება საბოლოოდ გაფორმდა როგორც ადგილობრივი სომხური საეკლესიო კრება, ვინაიდან მასში მონაწილეობა არ მიიღეს ქართლის, ალბანეთისა და საკუთრივ სომხეთის ზოგი ნაწილის ეკლესიებმა. ქართლმა არ მიიღო მონოფიზი-

---

[1] ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ., 1968, გვ. 97-98.

ტობა და, როგორც ჩანს, ქალკედონიტობასა და მონოფიზიტობას შორის შემრიგებლურ პოზიციაზე დარჩა.[1]

ამის შემდეგ უკვე კავკასიაში ერთობლივი კრებების გამართვის ცდა აღარ გვქონია. შემდგომ ცდებს მხოლოდ სომეხთა ქართულ სარწმუნოებაზე გადაყვანა ჰქონდა მიზნად დასახული.

VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე ქართლის საერთაშორისო დიპლომატიური ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა იყო მიმოწერა უმაღლეს საეკლესიო და სახელმწიფო დონეზე. ამ ხანიდან ჩვენამდე მოაღწია კირონ ქართლის კათალიკოსის ხუთმა ეპისტოლემ: ერთი სომხეთის პატრიარქის ადგილის მცველის მოსე ელივარდელის, სამი სომხეთის პატრიარქის აბრაამ ელივარდელისა და ერთიც სპარსეთის კარის უმაღლესი მოხელის, სომხური წარმოშობის სმბატ გურგანის მარზპანის მიმართ. ამათ გარდა, დოკუმენტურად არის დადასტურებული, რომ მას წერილები მიუწერია რომის პაპის გრიგოლ დიდისა და იერუსალიმის პატრიარქისათვის.

კირონ ქართლის კათალიკოსის სახელთან არის დაკავშირებული ქვეყანაში უდიდესი მნიშვნელობის საეკლესიო რეფორმების გატარება. პირველ რიგში ეს იყო ქართლის აშკარა გადაყვანა ქალკედონიტობაზე, განსხვავებული მრწამსის მქონე საეპისკოპოსოების შემოერთება ცენტრალური ეკლესიისათვის და შერეული ეროვნებებით დასახლებულ პროვინციებში ქართული ენის დამკვიდრება მღვდელთმსახურების აღსრულებისას.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული რეფორმების გასატარებლად კირონ ქართლის კათალიკოსმა პირველ რიგში საერთაშორისო მხარდაჭერის მიღება ჩათვალა საჭიროდ. მან სათანადო წერილით აღჭურვილი მოციქული გაუგზავნა რომის პაპსა და იერუსალიმის პატრიარქს. გრიგოლ დიდისთვის მიწერილი ეპისტოლე მოციქულს გზაში დაჰკარგვია და კირონის დავალება პაპისთვის ზეპირად გადაუცია. რომის პაპის პასუხი, რომელიც დღემდის არის დაცული ვატიკანის არქივში, ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს იმ პრობლემებზე, რომლებიც მდგარა ქართლის კათალიკოსის წინაშე.[2] ეს იყო მართლმადიდებლობაზე მოქცეული ნესტორიანების შეწყნარების წესი: საჭირო იყო მათი ხელახლა მონათვლა, თუ ქალკედონური აღსარების წარმოთქმა იჭნებოდა საკმარისი. როგორც ჩანს, ქართლის კათალიკოსს სურდა და რომის პაპისგანაც ამაზე შეიღო დასტური, რომ ეს პროცედურა რაც შეიძლება მარტივად აღეს-

---

1 ზ. ალექსიძე, რელიგიური სიტუაციის შესახებ VI საუკუნის კავკასიაში: „მაცნე", ისტორიის... სერია, 1974, №1; იქვე იხ. საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა.

2 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 24.

რულებინა, დამატებითი სიძნელეების თავიდან ასაცილებლად და მოქ-ცეული პირების თავის საეკლესიო ხარისხზე ადვილად დასატოვებლად. ამას ადასტურებს მისი შემდგომი ქმედება და მოსე ელივარდელისთვის გაგზავნილი წერილი.

კირონ ქართლის კათალიკოსის მიმოწერიდან ჩანს, რომ ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა მას იერუსალიმის პატრიარქთან ჰქონია. სომხებთან კამათის დროს იგი უმთავრესად მის ავტორიტეტს ეყრდნობოდა: ვრთანეს ჭერდოლის მაბრალობელ წერილზე განრისხებული აცხადებს, ამას იერუსალიმის პატრიარქს გადავუგზავნი და პასუხიც იმან გასცესო.[1] კამათის კულმინაციურ მომენტში ქართლის კათალიკოსი „საღმრთო ქალაქის" მოსალოცად აპირებს წასვლას და. ცხადია, განზრახული აქვს იერუსალიმის პატრიარქთან პირისპირ დათათბირება.[2]

განსაკუთრებით საინტერესოა კირონ ქართლის კათალიკოსის მიმოწერა სომხეთის ეკლესიისა და სახელმწიფოს მესვეურებთან. ეს ეპისტოლეები ცხადად გვიჩვენებენ, რომ მათი ავტორი სრულად ფლობს ძველი სამყაროს დიპლომატიურ ხელოვნებას და თუ ამისათვის შესაფერისი წვრთნა არ გაუვლია, რაღაც სათანადო თანდაყოლილი დიდი ნიჭი კი უეჭველად აქვს, რომლითაც იგი აშკარად განსხვავდება თავისი კორესპონდენტებისა თუ ოპონენტებისგან.

საპასუხო დიპლომატიური ეპისტოლეს შედგენისას კირონ ქართლის კათალიკოსი ხელმძღვანელობს შემდეგი ძირითადი პრინციპებით: 1. კორესპონდენტის წერილში გამოყოფს უმნიშვნელოვანეს საკითხებს; 2. გამოყოფილ საკითხებს აჯგუფებს და ალაგებს მათი მნიშვნელობის მიხედვით აღმავალი ხაზით; 3. თითოეულ საკითხზე პასუხობს უაღრესად ლაკონურად და ამომწურავად; 4. არ ეხება ისეთ საკითხებს, რომლებიც მოწინააღმდეგეს არ წამოუყენებია; 5. თავისი კორესპონდენტებისაგან განსხვავებით, არგუმენტაციისას არ იყენებს წმინდა წერილებიდან ციტატებს და თავს არიდებს ბუნდოვანი დოგმატური საკითხების შესახებ მსჯელობას; 6. ეპისტოლეებს იწყებს და ამთავრებს საერთაშორისო ეტიკეტისათვის სავალდებულო უაღრესად ზრდილობიანი მოსაკითხი ფორმულითა და ჯანმრთელობის სურვილით.

კირონ ქართლის კათალიკოსი უაღრესად განსწავლული პიროვნება იყო. მან განათლება მიიღო საბერძნეთში, ხოლო შემდეგ, კათალიკოსად აღსაყდრებამდე, დიდ ხანს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სომხეთში. ცხადია, მას თვითონვე შეეძლო დაეწერა თავისი წერილები ბერძნულად და სომხურად ქართული დედნების გარეშე. როგორც მოწმობს X ს-ის

---

[1] ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 43.
[2] იქვე, გვ. 91.

სომეხი ისტორიკოსი უხტანესი, მის დროს არსებულა კირონის მოსე სომეხთა კათალიკოსთან მიმოწერის ქართული ვარიანტებიც.[1] ცხადია, ქართლის კათალიკოსის სამდივნოში ეპისტოლეები იწერებოდა თავიდან-ვე ორ ენაზე – ადრესატისა და ქართულზე, ისევე, როგორც მონაწილე ქვეყნების ენებზე დაიწერა საერთო კავკასიური კრების მემორანდუმი შესაბამის ეპისკოპოსთა ხელრთვით.

ქართლის ეკლესია VII ს-ის დასაწყისში რომ უკვე ავტოკეფალიური იყო და მხოლოდ ხუთი მსოფლიო პატრიარქის პატივით უზენაესობას სცნობდა, ეს კარგად ჩანს იმ ხანებიდან ჩვენამდე მოღწეული მიმოწერი-დან. სხვა ყველა ეკლესიას უნდა დაეცვა მასთან ურთიერთობაში სათა-ნადო კოორდინაცია, თუ არ უნდოდა, ამას სახელმწიფოებს შორის გართულებები მოჰყოლოდა. სწორედ ასეთი სიტუაცია შეიქმნა კავკასია-ში საეკლესიო კონფლიქტის დასაწყისში, როდესაც სომხეთის ეკლესიის მესვეურებმა დაარღვიეს საერთაშორისო ეტიკეტის ეს სავალდებულო ნორმა.

სომხეთში კათალიკოსი მოსე ელივარდელი რომ გარდაიცვალა, მისი ადგილი დროებით დაიკავა კათალიკოსის ადგილის მცველმა ვრთანეს ქერდოლმა, რომელსაც სამი წლის განმავლობაში ახალი კათალიკოსის არჩევნები უნდა მოემზადებინა. სწორედ ვრთანესის მმართველობის პე-რიოდს მოუწია საქართველოსა და სომხეთს შორის რელიგიურ-პოლი-ტიკურმა გართულებებმა: ცურტავის სამწყსო მიატოვა და ქართლიდან სომხეთში გაიქცა სომხური წარმოშობის მოსე ეპისკოპოსი, რომელიც არ დაემორჩილა კირონ ქართლის კათალიკოსის პრობიზანტიურ და ქალკედონურ კურსს და დახმარებისათვის სომხეთის ეკლესიას მიმართა, როგორც მონოფიზიტობის ბურჯს კავკასიაში. ვრთანეს ქერდოლმა იკისრა მონოფიზიტი ეპისკოპოსისა და მისი სომხურენოვანი სამწყსოს დაცვა, მაგრამ მის შუამავლობას სავალალო შედეგი მოჰყვა. ვრთანესი, ეტყობა, თვითონაც გრძნობდა, რომ არ იყო კირონ ქართლის კათალი-კოსის სწორი რანგით და არ შეეძლო მამხილებელი წერილის მიწერა, ამიტომ ვერც იკისრა პირდაპირ მოციქულის მასთან გაგზავნა და თავი-სი „გაბედული" მოქმედების მთელი სიმძიმე ისევ მოსე ცურტაველს დააკისრა: მას გადაუგზავნა ჰოვანავანქში ქართლის კათალიკოსისთვის გადასაცემი „დიდი სიფრთხილით დაწერილი" ეპისტოლე. საინტერესოა, რომ მიუხედავად სასიცოცხლო დაინტერესებისა მოვლენების განვი-თარებაში, ვერც მოსემ გაბედა დიდხანს ამ წერილის კირონ კათალიკო-

---

[1] უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, ძველი სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ. თბ., 1975, გვ. 27-37, 239-240.

სისთვის გაგზავნა. მაგრამ ის, რაც ამის შემდეგ მოხდა, კიდევ უფრო ნიშანდობლივია. როდესაც ბოლოს და ბოლოს მიუტანეს ქართლის კათალიკოსს ეს მამხილებელი ეპისტოლე, იგი მას საერო და საეკლესიო პირთა დარბაზზე წაუკითხავს და იმდენად განრისხებულა, რომ ვრთანესის გინებას არ დასჯერებია და მთელი სომხეთი ულანძღია. მან არამცთუ პასუხის ღირსი არ გახადა სომხეთის კათალიკოსის მოადგილე, არამედ სხვებსაც (რანგით შესაბამისთ) აუკრძალა პასუხის გაცემა.[1] კიდევ უფრო საინტერესოა, რომ საბოლოოდ ვრთანესმა თავისივე შეფასებით „დიდად შეურაცხმყოფელი" პასუხი მიიღო სწორედ საერო პირებისგან, „აზნაურთაგან", რაც ცხადად მოწმობს, რომ ქართლის კათალიკოსის მიმართ რანგების აღრევა ქართლში აღქმულ იქნა სახელმწიფოს შეურაცხყოფად.[2]

მდგომარეობა ქართლისა და სომხეთის ეკლესიებს შორის იმდენად დაიძაბა, რომ სომხური მხარისათვის აშკარა გახდა საჭიროება ქართლის კათალიკოსთან პირისპირ შეხვედრისა. ამ საკითხის განხილვისას როგორც ქართლის, ისე სომხეთის ეკლესიის მესვეურთათვის სრულიად ცხადი იყო, რომ ვრთანეს ქერდოლი თვითონ უნდა ხლებოდა ქართლის კათალიკოსს მის რეზიდენციაში და პირიქით საკითხის დასმაც კი არ შეიძლებოდა.

.სულ სხვა ვითარებაა, როდესაც კამათში ჩაერთვება სომხეთში ახლად არჩეული კანონიერი კათალიკოსი. აქ უკვე ცხადია, რომ მიმოწერა რანგით თანაბარ პირებს შორის ხდება და კირონიც თავს ვერ აარიდებს წერილებზე პასუხის გაცემას. მიმოწერა უაღრესად კორექტულად მიმდინარეობს და წერილების პრეამბულა თუ დასკვნითი ნაწილები საერთაშორისო ეტიკეტის სრული დაცვით სრულდება. „რა ვქნათ, ჰოი, პატიოსანო ძმაო!" — სასოწარკვეთით მიმართავს ქართლის კათალიკოსს სომეხთა პატრიარქი კამათის კულმინაციურ მომენტში, როდესაც დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამდე სულ ერთი ნაბიჯილაა დარჩენილი და, ცხადია, იგი ამით ხაზს უსვამს მათ შორის თანაბარ რანგს. მან ისიც კარგად იცის, რომ ორი ქვეყნის კათალიკოსს შორის სადავო საკითხების გადასაწყვეტად პირისპირ შეხვედრა მხოლოდ ორმხრივი ნების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს და ადგილიც ასეთი შეთანხმებით შეირჩეს. ამიტომ სწერს იგი თავდაპირველად ქართლის კათალიკოსს: „მაუწყე ადგილის შესახებ შენს საზღვარში, გინდა ჩვენსაში, სადაც წმიდა აღდგომის შემდეგ ვნახავთ ერთმანეთს, და თუ მასთან რაიმე სიმრუდე აღმოჩნდება, დაე, საქვეყნოდ იქნეს მხილებუ-

---

[1] ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 43-44.
[2] იქვე, გვ. 43-45.

ლი".[1] მაგრამ, როდესაც დაინახავს, რომ ქართლის კათალიკოსი ასეთ შეხვედრაზე პასუხს არ იძლევა, იძულებული ხდება შესთავაზოს ნეიტრალურ ტერიტორიაზე შეხვედრა: „ეგების დრო დამინიშნოთ, რომ თქვენ და მე ერთ ადგილზე მოვიდეთ".[2]

დიპლომატიური ფოსტის წაღება შემთხვევით პირებს არ ენდობოდა და, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, დიპლომატიურ კურიერს ევალებოდა. შორეული მოგზაურობის საფრთხე ყოველთვის ქმნიდა წერილის დაკარგვის საშიშროებას, ამიტომ კურიერი ვალდებული იყო, მისი შინაარსი ზეპირად სცოდნოდა და საჭიროების შემთხვევაში ადრესატისთვის მოეხსენებინა. სწორედ ასეთი სიტუაცია შეიქმნა, როდესაც კირონ ქართლის კათალიკოსის მიერ რომის პაპის, გრიგოლ დიდისთვის გაგზავნილი ეპისტოლე მისმა მოციქულმა იერუსალიმში დაკარგა, მაგრამ დავალების ზუსტად შესრულება მაინც შეძლო, ვინაიდან იცოდა წერილის შინაარსი.

მოსე ცურტავის ეპისკოპოსსაც თავისი კურიერი ჰყავს, რომელსაც სომხურ წყაროებში „ყრმა" (მანუკ) ეწოდება. ტერმინი, ცხადია, სოციალურია და მასში მოციქულის ასაკი არ იგულისხმება. მისი ძირითადი ფუნქციაა წერილების მიტანა ადრესატამდე დაკარგვის არის ცნობილი, უნდა სცოდნოდა თუ არა მას ეპისტოლეს შინაარსი, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივი სიტუაცია კი უნდა მოეხსენებინა პატრონისათვის.

რა თქმა უნდა, ნაკლები პოლიტიკური მნიშვნელობის წერილებს უბრალოდ გზად მიმავლებსაც ატანდნენ, მაგრამ, ცხადია, ცდილობდნენ ასეთი პირები მათი „მოწაფეები" ან „სანდო" სამღვდელო პირები (ზოგჯერ ეპისკოპოსებიც) ყოფილიყვნენ. ასეთ მოწაფეს (აშაკერტ) ასახელებს ვრთანეს ქურდოლი, როგორც თავის მოციქულს მოსე ცურტაველთან და კირონ ქართლის კათალიკოსი აბრაამ სომეხთა კათალიკოსთან. შეიძლება, სომხური ტერმინი „მოწაფე" იხმარებოდა სანაცვლოდ მისი ზუსტი ქართული შესატყვისისა — „მოციქული". საყურადღებოა, რომ ამ ტერმინს ხმარობენ მხოლოდ ქართლის კათალიკოსი და ცურტავის ეპისკოპოსი. ადვილი შესაძლებელია, ტერმინ „მოციქულს" მათ გვერდი აუარეს ქრისტეს მოწაფეებში აღრევის თავიდან ასაცილებლად.

ქართლი პატარა ქვეყანაა, დაკარგული აქვს სამეფო ხელისუფლება და ურთულეს გეოპოლიტიკურ სიტუაციაშია მოხვედრილი. კავკასიისათვის მოცილე ბიზანტიისა და ირანის იმპერიებს აქ სრული პოლიტიკური გაბატონებისთვის სომხეთი, ქართლი ან ალბანეთი სჭირდებათ

---

[1] ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 87-88.
[2] იქვე, გვ. 100.

დასაყრდენად და იდეოლოგიური დივერსიის საშუალებად (ეგრისი, როგორც ჩანს, თავიდანვე განიხილებოდა ბიზანტიის ეკლესიის გავლენის სფეროდ). როგორ უნდა აიცილო თავიდან ეს, რბილად რომ ვთქვათ, უმადური ხვედრი ისე, რომ ერთ-ერთი მეზობელი იმპერიის რისხვის მსხვერპლი არ გახდე. საუკეთესო საშუალება მათ შორის პოლიტიკური და იდეოლოგიური ,ბალანსირება, საკუთარი პოზიციისა და ორიენტაციის აშკარად გამოუხატველობა ჩანს. ასეც იქცევა ქართლი თითქმის მთელი VI ს-ის განმავლობაში, მაგრამ უსასრულოდ ასე გაგრძელება შეუძლებელია.

VI ს-ის დასასრულს ქართლი გაერთიანებას იწყებს თითქმის მთელი ძველი „ყოველი ქართლის" ფარგლებში. ბიზანტიასთან პაექრობისას კავკასიაში ირანი უპირატესობას იღებს, მაგრამ ჯერ კიდევ იმდენად არა, რომ ამიერკავკასიის ქვეყნების პოზიციის უგულებელყოფა შეძლოს. ქართლი საერთაშორისო მასშტაბით ანგარიშგასაწევი ძალა ხდება. იქმნება საუკეთესო მომენტი ქვეყნის პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონსოლიდაციისთვის, სანაპირო პროვინციების შემომტკიცებისთვის, ქართული ენის სახელმწიფო ენად, ქართლის ყველა მკვიდრისათვის სავალდებულო ენად გამოცხადებისათვის. ბედად ქართლის ეკლესიას სათავეში უდგას დიდი საერთაშორისო გამოცდილების მქონე, განათლებული, უტეხი ნებისყოფის, ზუსტად ჩამოყალიბებული საშინაო და საგარეო პოლიტიკური პროგრამით აღჭურვილი, იშვიათი დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებული მოღვაწე კირონ კათალიკოსი.

ზემოთ უკვე ვაჩვენეთ, რომ საშინაო პოლიტიკის გატარებისთვის მზადება კირონ კათალიკოსმა საერთაშორისო მხარდაჭერათა მოპოვებით დაიწყო. ეს იყო რომის პაპისა და იერუსალიმის პატრიარქის მხარდაჭერა შინა საეკლესიო რეფორმებისათვის. პირდაპირი ცნობები კონსტანტინოპოლის პატრიარქთან წინასწარი კონტაქტებისა და შეთანხმების შესახებ არა გვაქვს, მაგრამ ამის გამოცხადების საჭიროება არც არსებობდა, ვინაიდან მისი პოლიტიკა ისედაც პრობიზანტიური იყო. ამასთანავე, იმ მასალაში, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, იგი არც შეიძლებოდა ასახულიყო, ვინაიდან ასეთი კავშირი ირანისა და მისი დასაყრდენის, სომხეთისათვის დაფარული უნდა დარჩენილიყო.

როდესაც საერთაშორისო მხარდაჭერა მოიპოვა, კირონ კათალიკოსმა ანგარიში გაუწია მეზობელ სომხეთსაც, სადაც საპატრიარქო ტახტზე მისი მასწავლებელი და კეთილისმყოფელი იჯდა. მან შეძლო მოსე კათალიკოსის დარწმუნება, რომ მისი საშინაო რეფორმა სომხეთისათვის სჯიფათოს არაფერს გულისხმობდა და მიზნად იმ ნესტორიანების შეწყნარება ჰქონდა, რომლებიც მართლმადიდებლობაზე მოიქცეოდნენ. რას გულისხმობდა მისთვის მართლმადიდებლობა, ქართლის კათალი-

კოსს არ განუმარტავს და არც სომხეთის პატრიარქს აღძრვია განსაკუთრებული ეჭვი თავისი ყოფილი მოწაფის მიმართ. სომხეთის პატრიარქის დამშვიდება ფაქტობრივად ირანის ყურადღების მოდუნებასაც ნიშნავდა. ყველაფერი მზად იყო გაბედულ რეფორმებზე გადასასვლელად. საჭირო იყო ახლა ქართლის საზოგადოების ყველა ფენის მხარდაჭერის მოპოვება.

პოლიტიკური და იდეოლოგიური ორიენტაცია ბიზანტიაზე, ანუ თანამედროვე სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროპული ორიენტაცია; ქალკედონური მრწამსის აშკარად სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება; უნიონური პოლიტიკა სხვა ქრისტიანული მრწამსების აღმსარებელ ეპისკოპოსთა მიმართ; ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება ერთი რწმენის, ერთი ენის და ერთი კათალიკოსის ეგიდის ქვეშ — ქართლის საზოგადოება მზად აღმოჩნდა ამ პოლიტიკის მისაღებად. უფრო სწორად, იგი მთელი წინა საუკუნე ემზადებოდა ამისათვის და როდესაც ძლიერი ლიდერი გამოჩნდა ამ პოლიტიკის გამტარებელი, ქვეყნის ყველა ფენა (სომხური წყაროების მიხედვით: წინაშემდგომელნი, ეპისკოპოსები, მღვდლები, მთავრები, მდაბიონი, ერისთავები და მზრახვალნი) საოცრად ერთსულოვნად დაირაზმა მის გარშემო. „ყოველი ქართლის" ეს ერთსულოვნება კარგად აქვს შემჩნეული X ს-ის სომეხ ისტორიკოსს უხტანესს. იგი წერს: „რა ჟამს მიაღწია კირონმა თავის სამთავრობო სამწყსოს და თავის ქალაქს, რომელსაც მცხეთა ეწოდება, შეკრიბა თავისთან ეპისკოპოსები, იმ ქვეყნის წარჩინებულები, ერისთავები და დაიმორჩილა მათთან ერთად სრულიად მთელი ქვეყანა თავისი ხელმწიფობის ქვეშ".[1] არცერთი შინა საეკლესიო საკითხიც კი კირონ მცხეთელს არ გადაუწყვეტია საეკლესიო და საერო ხელისუფლებთან შეთანხმების გარეშე („მაშინ ვიზრახე ჩემი თანამოსაყდრე ეპისკოპოსებით და წარჩინებულებით ქვეყანასთან ერთად..."), რაც კარგად გვიჩვენებს დღეს ჩვენ და კარგად ხედავდნენ ამას მისი ოპონენტები მაშინაც, რომ მისთვის ერთიანი იყო საერო და სასულიერო პოლიტიკა.

კირონ ქართლის კათალიკოსის პოლიტიკას მალე შინაგამცემი აღმოაჩნდა, რომელმაც სცადა კონფლიქტისათვის საერთაშორისო ელერა მიენიჭებინა. ცურტავის მონოფიზიტი ეპისკოპოსი მოსე, თვითონაც სომხური წარმოშობის, ცურტავის სომხურენოვანი სამწყსოს მხარდაჭერით წინ აღუდგა ქართლის კათალიკოსის მეცადინეობას. სხვადასხვა მრწამსის მიმართ ტოლერანტული კათალიკოსი, რომელიც ყველა ღონით ცდილობდა მათ გაერთიანებას, სრულიად უკომპრომისო აღმოჩნდა თავისი პოლიტიკის განხორციელებაში, ვინაიდან ცურტავის ეპისკოპოს-

---

[1] უხტანესი, გვ. 23.

ში სრულიად აშკარად დაინახა სომხური მონოფიზიტური ეკლესიის (Rcsp. ირანის) აგენტი. მოსე ცურტაველი სომხეთში გაიქცა, ჰოვანავანქის მონასტერში დაბანაკდა და იქიდან დაიწყო კონფლიქტში ჩართვა არა მარტო სომხეთის ეკლესიის მესვეურთა, არამედ აგრეთვე ირანის ხელისუფალთა. ეს უკვე აშკარად დასმენა იყო ქართლის კათალიკოსისა ირანის იმპერიის წინაშე და ასეც გაიგო იგი ცოტა მოგვიანო ხანის ქართველმა ისტორიკოსმა არსენი საფარელმა, როდესაც თქვა: „მაშინ სომეხთა შეასმინეს ქართლი მეფესა თანა სპარსთასა".[1] ამის შემდეგ უკვე კირონ ქართლის კათალიკოსს თავისი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის დიპლომატიური დაცვა თავისი საგარეო ოპონენტების წინაშე მოუხდა.

ზემოთ ჩვენ ვაჩვენეთ, რა მტკივნეულად განიცადა კირონ ქართლის კათალიკოსმა მისი ქვეყნის საშინაო საქმეებში მეზობელი ქვეყნის ეკლესიის მაშინდელი მეთაურის, მასზე რანგით დაბალი სამღვდელო პირის ჩარევა. მას არ შეეძლო ანალოგიური პასუხი გაეცა ანალოგიურ სიტუაციაში უკვე კათალიკოსად არჩეული აბრაამ ალბათანელისათვის თუნდაც იმიტომ, რომ ამ დროს უკვე სომხეთში იმყოფებოდა ირანის შაჰის უმაღლესი მოხელე სმბატ ბაგრატუნი სომხეთის ეკლესიის საქმეთა მოსაწესრიგებლად და იგი უკვე აქტიურად იყო ჩართული სომხური მხარის მიერ ქართლის საქმეებშიც („სანამ უფალი სმბატი აქაა, ვისწრაფით, რომ რაიმე სახით ეგ საქმე მოვათავოთო" — სწერდა სომხეთის კათალიკოსი ცურტავის ეპისკოპოსს).[2] აი, აქ უკვე კირონ ქართლის კათალიკოსს დასჭირდა მთელი თავისი ბრწყინვალე დიპლომატიური ტალანტის გამოყენება.

პირველი და მთავარი ამოცანა ქართლის კათალიკოსისათვის იყო მოსე ცურტავის ეპისკოპოსის განეიტრალება აბრაამ ალბათანელისა და სმბატ ბაგრატუნის წინაშე.

მოსე ბრალს სდებდა ქართლის კათალიკოსს, რომ მან იგი სდევნა მისი მრწამსის გამო სიმართლის პირში თქმისათვის. კირონმა დაუმტკიცა ორივეს, რომ მას მოსე არ უდევნია, არამედ შეიტყო მისი რაღაც ულირსი საქციელის შესახებ და დაიბარა თავისთან, რათა „დაერიგებინა და ესწავლებინა როგორც ჯერ არს მოწაფისათვის". მან კი მიატოვა თავისი სამწყსო და ღამე მალულად გაიპარა ქართლიდან.[3] აბრაამის-

---

არსენი საფარელი. განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზაზა ალექსიძემ, თბ., 1980, გვ. 82, 128-129; იხ. აგრეთვე. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 90.

[2] ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 65-66.

[3] იქვე, გვ. 70-71.

თვის კირონმა ეს არგუმენტი საკმაოდ მიიჩნია, სმბატისათვის კი იგი კიდევ უფრო გააძლიერა: მოსე ირანის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებულ ვაჰრამთან მივიდა, „კინაღამ ეს ქალაქი(?) ააღებინა და არიელთა ქვეყანას დიდი ზიანი მიაყენაო“.[1]

ქართლის კათალიკოსის დარტყმა ზუსტად იყო გათვლილი. ამით მოსე ცურტაველის უფლებათა დარღვევის საკითხი ფაქტიურად ამოვარდა პოლემიკის მიმდინარეობიდან. მას მოუხდა თავის დასაცავად სათანადო დოკუმენტების მოძიება და სპეციალური წერილების გაგზავნა თავისი მფარველებისათვის თავის სამართლებლად, მაგრამ ამას უკვე არავითარი ეფექტი აღარა ჰქონდა.

მას შემდეგ, რაც მოიხსნა მოსეს პიროვნულ უფლებათა შელახვის საკითხი, ქართლის კათალიკოსმა წარმატებით მოხსნა, აგრეთვე, ცურტავის ეპისკოპოსის მეორე, უფრო მნიშვნელოვანი ბრალდება, ცურტავის სამწყსოში სომხური მღვდელთმსახურების გაუქმების შესახებ. საქმე ის არის, რომ მოსე ცდილობდა, მისი განდევნა საეპისკოპოსოდან დაეკავშირებინა ღვთისმსახურების ენის შეცვლასთან, ანუ სომხურენოვანი მსახურების ქართულით შეცვლასთან. მას მიაჩნდა, რომ შერეული (ქართულ-სომხური) მოსახლეობის სამწყსოში ეპისკოპოსად ყოფნა მხოლოდ თვითონ შეეძლო, ვინაიდან აღზრდა და განათლება მიღებული ჰქონდა ქართულიც და სომხურიც. ამ ბრალდებაზე კირონ ქართლის კათალიკოსმა აბრაამ სომეხთა კათალიკოსსა და სმბატ ბაგრატუნის ზუსტად ერთგვარი პასუხი გასცა: „ეპისკოპოსმა, რომელიც (მოსეს მაგიერ) დავადგინეთ, ქართული და სომხური მწიგნობრობა თანაბრად იცის და მსახურებას ორივე მწიგნობრობით ასრულებს“.[2] საინტერესოა, რომ შემდეგ წერილებში მოსეს საეპისკოპოსო საყდარზე შეცვლის საკითხი სომეხთა კათალიკოსს აღარ წამოუჭრია.

გაცილებით უფრო მზაკვრულად იყო ფორმულირებული აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მიერ მესამე ბრალდება, რომელიც საერო სფეროში იყო გადატანილი და ფაქტობრივად აშიშვლებდა პოლემიკის მთელ არსსა და მნიშვნელობას. ჯერ აბრაამმა განაცხადა, რომ ქართლის კათალიკოსის მიერ არჩეული მრწამსი სინამდვილეში იყო საერო მოღვაწის მიერ გადადგმული ნაბიჯი და არა სამღვდელო პირის არჩევანი. „ვინმე მხედართაგანი რომ ყოფილიყო ასეთი განხეთქილებისა და ბოროტი შფოთის მიზეზი“ თქვენ უნდა ჩამოგეგდოთ მშვიდობა, არამცთუ თქვენ თვითონ გამხდარიყავით მიზეზი „ერთმანეთის უცხოდ მიჩნე-

---

ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 78.
იქვე. გვ. 70. 78.

ვისაო".[1] თითქოსდა რა არის ამ სიტყვებში მიუღებელი, მაგრამ ეს მხოლოდ შემზადებაა, საკითხის საერო სფეროში გადატანაა, რომ ამას მოჰყვეს უმძიმესი პოლიტიკური ბრალდება: „დაუჯერებლად გვეჩვენა, უცხო სამეფოსთან (ბიზანტიასთან, ზ. ა.) რომ შექმნა მეფეთა მეფის (ირანის, ზ. ა.) მონათაგანმა სიყვარულის ერთობა და ბუნებით თანამოაზრეს განშორდა".[2] ეს იყო პირდაპირი დასმენა ირანის შაჰის წინაშე. კირონმა ხომ კარგად იცოდა, რომ სომხეთში იმყოფებოდა საეკლესიო საქმეთა მოსაგვარებლად სპეციალურად ჩამოსული ირანის უმაღლესი მოხელე და ქართლის კათალიკოსის პასუხი დაუყოვნებლივ გახდებოდა მისთვის ცნობილი.

გასაოცარია ამ ბრალდებაზე ქართლის კათალიკოსის დიპლომატიური ცბიერებით აღსავსე პასუხი. იგი არ უარყოფს, და ვერც უარყოფს, რომ მისი რელიგიური პოლიტიკა პრობიზანტიურია, ქალკედონურია, მაგრამ იგი კატეგორიულად უარყოფს იმას, რომ ეს პოლიტიკა ანტირანულია. პირიქით, იგი ისეთ პასუხს იძლევა, რომ შესაძლოა, ირანის მოხელის თვალში ეჭვიც კი დათესოს სომეხთა ერთგულების შესახებ. ჩვენი სიტყვებით უფრო გასაგებად რომ გადმოვცეთ, ეს პასუხი ასეთია:

ქართველთა და სომეხთა წინაპრები მეფეთა მეფის (ირანის შაჰის) ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო სარწმუნოება იერუსალიმისა ჰქონდათ. ისინი ახლაც მეფეთა მეფის მონები არიან და მომავალშიც ასევე იქნებიან, მაგრამ იერუსალიმის სარწმუნოებას მხოლოდ ქართველები ინარჩუნებენ და მომავალშიც შეინარჩუნებენ, სომხებმა კი შეიცვალეს. მაშასადამე, ქართველები ინარჩუნებენ ტრადიციას. აკეთებენ იმასვე, რაშიც მათ წინაპრებს თანხმობა ჰქონდათ ირანის ხელისუფლების წინაპრებთან და ეს მართლაც ისტორიული რეალობა იყო.

მაგრამ დღეს? დღეს როგორ უნდა უყურებდეს ყოველივე ამას „მეფეთა მეფე"? აი, რას წერს ამის შესახებ ქართლის კათალიკოსი სომეხთა მწყემს-მთავარს: არ ყოფილა დედამიწის ზურგზე სხვა უფალი დღემდე, რომ მეფეთა მეფის მსგავსად „ყოველივე ტომისთვის თავის კანონები მიენდოს... მეტადრე ჩვენ, ქრისტიანეთა სარწმუნოება; ხოლო ჩვენ თავისუფალ ქვეყანას (ქართლს, ზ. ა.) უფრო მეტად (მიანდო), ვიდრე ყველა (სხვა) ქვეყანას და ჩემ (ქართლის კათალიკოსის, ზ. ა.) კეთილ თავს უმეტესად". ესეც რეალობაა სწორედ იმ მომენტისათვის, ამასთანავე ქართლის კათალიკოსი უჭებს „დემოკრატობას" ირანის შაჰს.

და ბოლოს დასმენის შესახებ: მეფეთა მეფის ქვეშევრდომი სხვა სამეფოზე რატომ იღებ ორიენტაციასო. კირონ ქართლის კათალიკოსმა

ეპისტოლეთა წიგნი. გვ. 67-68.

[2] იქვე. გვ. 68.

კვლავ გამოიყენა არსებული სიტუაცია ისეთი პასუხის გასაცემად, რომ ირანის შაჰს ვერც გამოდავება შეძლებოდა და მისი პატივმოყვარეობაც დაკმაყოფილებულიყო. გავიხსენოთ, რომ სპარსელები იმ მომენტისათვის გამარჯვებულები არიან ბიზანტიელებზე, ასეთი ვითარება საშუალებას აძლევს ქართლის კათალიკოსს, მოჩვენებითად გაიოცოს: რა სხვა სამეფოსთან ერთობაზეა ლაპარაკი, როდესაც „მეფეთა მეფე ისევე უფალია რომაელთა» (ბიზანტიელთა, ზ.ა.), როგორც არიელთა (სპარსელთა, ზ.ა.) ქვეყნის და ისე არ არის, როგორც თქვენ მოიწერეთ, რომ სხვადასხვა არიან სამეფონიო".[1]

ამრიგად, კირონ ქართლის კათალიკოსმა მიაღწია იმას, რომ უნდობლობის მარცვალი ჩააგდო სმბატ ბაგრატუნისა და მოსე ცურტაველს შორის და ძალა დაუკარგა სომხეთის პატრიარქის მეფეთა მეფესთან დამასმენელ არგუმენტებს. დარჩა თვითონ სმბატ ბაგრატუნი, მისი პირადი დამოკიდებულება ქართლის მიმართ, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლებოდა ჰქონოდა ირანის კარზე კავკასიაში მომხდარი განხეთქილების ინტერპრეტაციისათვის.

ქართლის კათალიკოსმა გადაწყვიტა, ეთამაშა ირანის დიდი მოხელის პირად ამბიციებსა და მის ისეთ სულიერ სიმებზე, რომლებიც დღეს ჩვენთვის, სამწუხაროდ, სულ ნათელი არ არის.

თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ სმბატის წერილი ქართლის კათალიკოსის მიმართ გაცილებით უფრო ლოიალური იყო, ვიდრე სომხეთის ეკლესიის მეთაურისა. საკვირველია, მაგრამ სწორედ მას არ გადაუტანია კამათი საერო სფეროში, არ მიუმართავს ქართველთათვის ირანის სახელით და არც იმპერიისთვის ღალატი დაუწამებია. როგორც ჩანს, კირონმაც იგრძნო ეს რბილი ნოტები მის წერილში და შესაფერისადაც გამოიყენა.

კირონი შეეცადა, დაემტკიცებინა სმბატ მარზპანისათვის, რომ იგი ქართველთათვის ისეთივე მნიშვნელოვანი მოღვაწეა, როგორც სომეხთათვის და ეს არ არის მხოლოდ მის საამებლად ნათქვამი სიტყვები. „თქვენი წარჩინებულება და დიდებულება სიდიადესთან ერთად მხოლოდ სომეხთა სიხარული კი არ არის, არამედ ქართლისაც" – ასე დაიწყო მან თავისი წერილი. მაგრამ ამას დასაბუთება უნდა მოჰყვეს და აი, ისიც: კირონი წუხს, რომ სმბატი არ მოვიდა მცხეთაში წმინდა ჯვრის თაყვანის საცემად, „რომლისაგან, ეკვედრნენ რა, მიენიჭე შენს მამასა და დედას, მის წინაშე აღიზარდე და სიკეთეს ეწიე. თუმცაღა თქვენ არ მოხვედით თაყვანისსაცემად, მაგრამ ჩვენ მუდამ ლოცვაში გიხსენებთ ამ წმინდა ჯვრის წინაშე. ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ წმი-

---

[1] ეპისტოლეთა წიგნი. გვ. 71.

და ღმრთისმშობლისა და პატიოსანი ჯვრის მეოხებით შენი სურვილის მისაღწევად და უმეტესი სიკეთის შესასრულებლად უკვდავჰყოს მეფეთა მეფე და მიზანს უფრო მიაღწიოს. და შენ, უფალო, მათი მადლობით დიდხანს გაცოცხლოს შენი შვილით, მიგაწიოს საწადელს და ღირსი გაგხადოს, რომ მოხვიდეთ მახლობელ დღეებში და თაყვანი სცეთ წმიდა ჯვარს".[1]

ქართლის კათალიკოსის ეპისტოლედან მოტანილი ნაწყვეტებიდან ცხადი ხდება, რომ სმბატ ბაგრატუნი თავისი წინაპრებით და შთამომავლობით უმჭიდროესად არის დაკავშირებული ქართლთან და მცხეთასთან. უფრო მეტიც, ამ ქვეყანაზე მოვლენას იგი სწორედ მცხეთის ჯვარს უნდა უმადლოდეს, რომლის სასწაულის ძალითაც იგი შესძენიათ მის მშობლებს.[2] სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია, თუკი ასეთი არსებობდა, სმბატის საპასუხო ეპისტოლეს, რომ გვქონდეს პირდაპირი ცნობა მის რეაქციაზე. მაგრამ შემოგვენახა მოსე ცურტაველის პასუხი სმბატის წერილზე, რომელიც მას დაუწერია კირონის წერილის წაკითხვის შემდეგ. მოსეს შეშფოთებული ინტონაციები სრულიად ნათელს ხდის, რომ კირონ ქართლის კათალიკოსის ჩანაფიქრს მიზნისთვის მიუღწევია. სმბატ მარზპანი სრულიად გამოთიშულია იმ დიდი პოლიტიკური თამაშიდან, რომელშიც მის ჩათრევას ლამობდნენ სომხეთის ეკლესიის მეთაურები. მოვუსმინოთ მოსე ცურტაველის საყვედურებით სავსე პასუხს სმბატის წერილზე:

„შენს გამო, უფალო, ძალიან მაკლია გულს. ეგების უღმრთო წერილებით, რომელიც მოსწერა თქვენს დიდებულებას, დაგაეჭვათ? მაგრამ უფლის (სმბატის, ზ. ა.) შემძლებლობა ღმრთის მადლითაა. უშორეს ადგილებშიც რომ იყოს, გამოძიებით უნდა შეგეტყოთ, არამცთუ, როცა ძლიერ ახლოსა ხართ. სომხეთი და ქართლი ერთმანეთის მოსაზღვრენი არიან, აზნაურთაგან მრავალნი და ბევრნი გლეხთაგან აქედან იქ მიდიან და იქიდან აქ, რომელთაგანაც უნდა შეგეტყოთ. და თუ მართლაც აგრე აღმოვჩნდებოდი, როგორც თქვენს დიდებულებას მათგან მოეწერა და მე სხვანაირად გაგაცანით თავი და ამგვარად ჩვენი მოძღვრები, მთავრები და ქვეყანა მოვატყუე, უნდა დაგესაჯეთ... იმედი მაქვს ქრისტე ღმრთის მოწყალებისა, რომ (მის) წერილთა ყველა სიტყვა, რომელიც ჩემს შესახებ ეწერა, ცრუ აღმოჩნდება... ცხადად და საკმარისად მაგას არ შეუძლია უჩვენოს ჩემი ულირსობა ქვეყანას... მაგ-

---

[1] ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 77.

[2] ვფიქრობ, სმბატ ბაგრატუნის სახელს უნდა უკავშირდებოდეს მცხეთის ჯვრის პოსტამენტის სომხური წარწერა, რომელმაც ჩვენამდე ძლიერ ნაკლულად მოაღწია და მწვავე პოლემიკის საგნად იქცა.

რამ თქვენმა დიდებულებამ იცოდეს, რომ მან ამნაირი უკეთურების მანქანება საკმარისად იცის, თქვენი დარწმუნება უნდა და მაგ საქმის დაშლა".[1]

მოსემ, ცხადია, არ იცის ქართლის კათალიკოსის სმბატ მარზპანისათვის გაგზავნილი წერილის სრული შინაარსი, ამიტომ ვერ გაუგია, რატომ იკავებს იგი ფაქტობრივად ქართველთა მხარეს. ასეთივე წერილი ხომ სომეხთა კათალიკოსმაც მიიღო და მასზე ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა: „უფალი კათალიკოსის გამო არა ვარ გულნაკლული, რადგან შეიტყო და ყველაფერს მიხვდა".[2] მოსე მაინც ცდილობს, ზემოქმედება მოახდინოს სმბატზე და ეეედრება: „ღმრთისა და თქვენი სულისათვის, ეცადეთ რამენაირად, ვინ იცის, იქნება ის საცოდავი ქვეყანა იხსნას უფალმა ღმერთმა თქვენი დიდებულების ხელით. სასყიდელს ღმრთისაგან მიიღებთ და ქება-დიდება კაცთაგან გექნებათ..."[3]

სმბატ მარზპანი ირანის დიდი მოხელეა, საგანგებოდ არის სომხეთში გამოგზავნილი საეკლესიო საქმეთა მოსაწერიგებლად და, ცხადია, ასე იოლად ვერ დაიძვრენს თავს თანამემამულეთა ძლიერი ზეწოლისაგან. თან მას არ შეიძლება ჰქონდეს გარანტია იმისა, რომ ირანის სამეფო კარისაკენ მიმავალი ყველა საინფორმაციო გზა მასზე გადის. მაგრამ ქართლის კათალიკოსმა ისეთი მარცვალი გააღვივა მის გულში, რომელსაც ირანის მარზპანი და სპასპეტი თავს ვეღარ აღწევს. ამიტომ არის მისი პასუხი მოსე ცურტაველისადმი კვლავ ორჭოფული, ორივე მხარის გამამტყუნებელი და ფაქტობრივად ხელის დაბანის მაჩვენებელი.

„რომ გაოცებულხართ იმ წერილთა პასუხის გამო, რომელიც ჩვენ ქართლის კათალიკოსმა მოგვწერა, ჩვენ უფრო გაკვირვებული დავრჩით ორივე მხარისგან: მის გამო, თუ როგორ მოგვწერა ცრუდ ასეთი მომაკვდინებელი სიტყვები და მაშინვე იქნა ჩვენგან მხილებული; თქვენ გამო კი, თუ აქ ახლოს თავს არ ენდობოდა, როგორღა იყო, რომ ჩვენ გვაგულიანებდა, წერილს გვაწერინებდა იმ ქვეყნის მიმართ და თავის თავს თვითონ ეწინააღმდეგებოდა.[4]

ამრიგად, სმბატ მარზპანმა მოსესადმი წერილში თავი აარიდა კამათში მონაწილე რომელიმე მხარის გამტყუნებას, რაც მოსესთვის უფრო ქართველთა მხარდაჭერად უნდა აღქმულიყო. უფრო მეტიც, მან არ მოისურვა საქმის გამოძიებაც კი ცურტავის ეკლესიის მეთაურის მუდარის მიუხედავად: „სულიერ საქმეთა გამო, რომელიც გაუგია უფალ კა-

---

1 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 80-82.
2 იქვე. გვ. 82.
იქვე. გვ. 80.
იქვე. გვ. 83.

თალიკოსს, იცის და თქვენ შეგიწყნარათ. ჩვენ კიდეე რომ ვიძიოთ, რა საჭიროა"[1] — სწერს სმბატ მარზპანი მოსე ცურტაველს. მაგრამ, როგორც ჩანს, ამნაირი ჩაურევლობაც არ აკმაყოფილებს სმბატს. მან კარგად იცის, რომ საყვედურებს და მუდარას ვერ აუვა, იქნებ შაჰთან დასმენასაც კი ვერ ასცდეს, ამიტომ იგი საერთოდ ტოვებს სომხეთს: „ეხლა მე ფრიად საჩქაროდ (მეფეთა მეფის) კარზე მიწვეევენო".[2] და აი, აქ ეხდება ფარდა მოვლენებს, აქ გამოჩნდება ვინ ვინ არის. მოსე ცურტაველის თხოვნას, მახვილი აიღოს და ქართლზე გაილაშქროს, სმბატი კატეგორიული უარით პასუხობს. სამწუხაროდ, მისი წერილი სწორედ იმ ადგილას არის დაზიანებული, სადაც სმბატ ბაგრატუნი ქართლის ერისმთავრებთან რაღაც ხორციელი ნათესაობის შესახებ ლაპარაკობს. მაგრამ, როგორც ჩანს, ირანის მოხელეს არ შეუძლია სულ არ დაუტოვოს რაიმე ნუგეში ეკლესიას, რომლის საქმეთა მოსაგვარებლად და, პროირანული პოზიციების გასაძლიერებლად არის იგი მოვლენილი სომხეთში. ამიტომ იგი ყველაფერს მომავლისთვის გადაუდებს მოსე ცურტაველს: „მომწერეთ, თუ როგორ გათავდება ეგ საქმე. თუ დაუმორჩილებლობის შესახებ შევიტყობთ და უფალი ღმერთი მარჯვე დროს მოგვცემს, ვინ იცის, (იქნებ) აქვე მიიღებს საზღაურს ღმრთისაგან ხორციელ უფალთა ხელით".[3]

კირონ ქართლის კათალიკოსის სრული დიპლომატიური გამარჯვება უეჭველია. მან არ მისცა სომხურ მხარეს საშუალება, გამოეყენებინა ის დიდი პოლიტიკური უპირატესობა, რასაც მას აძლევდა სმბატის სომხეთში ყოფნა. ისინიც ხომ სწორედ ამას ესწრაფოდნენ: სანამ სმბატი აქ არის, იქნებ ეს საქმე მოვათავოთო. მან შეძლო ისიც, რომ დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა ირანის იმპერიის განსაკუთრებული გაღიზიანების გარეშე. ქვემოთ ვნახავთ, როგორ იცვლება პოლემიკაში მონაწილეთა ინტონაციები და, შეიძლება, როლებიც კი.

მთავარი პრინციპი კირონ კათალიკოსის საერთაშორისო ურთიერთობებში იყო სხვა ქვეყნის საქმეებში ჩაურევლობა. არსად, კამათის არცერთ ეტაპზე სომხური მხარისთვის არავითარი ბრალდება მას არ წაუყენებია, მაგრამ არც თავისი ქვეყნის საქმეებში ჩარევის საშუალებას აძლევს იგი მათ. თავდაპირველად იგი ამას აკეთებს განსაკუთრებული დელიკატურობით, ხოლო მას შემდეგ, რაც ირანის მხარის პრობლემას გადაჭრის, მის ხმას ცივი და მკაცრი ინტონაციებიც უჩნდება.

---

1 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 83.
2 იქვე.
3 იქვე. გვ. 84.

თავის პირველ ეპისტოლეში (ამ დროს სმბატი ჯერ კიდევ სომხეთში იმყოფება) აბრაამ სომეხთა კათალიკოსმა შესთავაზა ქართლის კათალიკოსს, რომ გაუგზავნიდა „ეპისკოპოსებს და წმიდა წერილთა მცოდნეთ, რომ გაეცნოთ თქვენთვის ქალკედონის კრებისა და ლეონის ტომარის ენება, ბილწი სჯული და უწმინდური ქცევა".[1] ცხადია, ტექსტი საწყენია ქართლის კათალიკოსისათვის. მას ფაქტობრივად მრწამსს უგინებენ და უნდათ, ამ გინების სამართლიანობაში დაარწმუნონ. ქართლის კათალიკოსი, რომელმაც სულ რამდენიმე ხნის წინ, ანალოგიურ სიტუაციაში, მოციქულისთვის თავზარდამცემი მრისხანება გამოამჟღავნა თავისზე რანგით უფრო დაბლა მდგომი პირის მიმართ (არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაშინ სმბატ მარზპანი ჯერ არ იმყოფებოდა სომხეთში), ახლა უაღრესად თავშეკავებულ, მაგრამ გამგებისათვის სრულიად ნათელ პასუხს იძლევა: „რომ გვწერდით, გვსურდა ეპისკოპოსები გამოგვეგზავნა, რათა მოსულიყვნენ და ესწავლებინათო, თუ გსურთ, გამოაგზავნეთ. დაე, მოვიდნენ, რომ გვასწავლონ და ისწავლონ".[2] კირონს არც ის ავიწყდება, რომ საერთაშორისო ეტიკეტით იგი აბრაამის აღსაყდრების ცერემონიალს უნდა დასწრებოდა და ბოდიშს იხდის, რომ მძიმე დროისა და საქვეყნო საქმეების გამო ამის გაკეთება ვერ შეძლო. თითქოს საკითხი უნდა ამოწურული იყოს, მაგრამ აბრაამ ალბათანელი თავის ცდას, უფრო მორიდებულს, კვლავ განაგრძობს მეორე ეპისტოლეში (ყურადღება მივაქციოთ, რომ ამ დროს სმბატ მარზპანი უკვე აღარ არის სომხეთში).

აბრაამ ალბათანელი აღარაფერს ამბობს ეპისკოპოსების ქართლში გაგზავნის შესახებ და ახლა უკვე უმაღლეს დონეზე შეხვედრას სთავაზობს ქართლის კათალიკოსს: „მაუწყე ადგილის შესახებ შენს საზღვარში, გინდა ჩვენსაში, სადაც წმიდა აღდგომის შემდეგ ვნახავთ ერთმანეთს და თუ ამასთან რაიმე სიმრუდე აღმოჩნდება, დაე, საქვეყნოდ იქნეს მხილებული".[3] ქართლის კათალიკოსმა ეს წინადადებაც მისი ქვეყნისა და სამწყსოს საქმეებში ჩარევად აღიქვა და ახლა უკვე სრულიად არაორაზროვანი პასუხი გასცა:

„ეხლა თუ გსურს, რომ ერთობა და სიყვარული დავიცვათ და ჩვენს მიმართ მშვიდობით იცხოვროთ, როგორც ჩვენი და თქვენი მამები ცხოვრობდნენ, ჩვენ მზადა ვართ მშვიდობისათვის. ხოლო თუ სხვაგვა-

---

1 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 68.
2 იქვე. გვ. 72.
3 იქვე. გვ. 87-88.

რად გნებავთ იფიქროთ, მეტს ნუ გაირჯებით და ამისთვის ნუღარ მოგვწერთ".[1]

მივაქციოთ ყურადღება, რომ ქალკედონიტი ქართლის კათალიკოსი ისე სთავაზობს მშვიდობასა და თანაცხოვრობას მეზობელ მონოფიზიტურ ეკლესიას, რომ მის განსხვავებულ მრწამსს არსად არ ახსენებს, ამ თვალსაზრისით არანაირ პრეტენზიას არ აყენებს. თანამედროვე დიპლომატიის ენით რომ ვთქვათ, იგი ხაზგასმით არ ერევა მეზობელი ქვეყნის საქმეებში და, ბუნებრივია, მისგანაც ამას ითხოვდეს. რაც შეეხება შეხვედრას, იგი თვლის, რომ ესეც მის საქმეებში ჩასარევად არის განზრახული და ფაქტიურად მასზეც უარს აცხადებს: „თუ შემდეგ მე სომხეთზე გზით გავლა მომიწევს ოდესმე — ღმერთი მაღირსებს, რომ იერუსალემს წავიდე წმიდა ადგილთა თაყვანისსაცემად, თორემ სხვა რამ საქმე არა მაქვს — ჩემი და თქვენი ერთ ადგილზე მისვლის შესახებ რომ ეწერა, ჩემთვის თქვენი ნახვა ძლიერ საჭიროა, მაგრამ დროის გამო მოუცლელი ვარ და ბრალს ნუ დამდებთ".[2]

თითქოს ყველაფერი გარკვეულია, ყველაფერი ღია ტექსტით არის ნათქვამი, მაგრამ სომხეთის კათალიკოსი მაინც არა ყრის ფარ-ხმალს. რადგან ეპისკოპოსების გაგზავნა არ მოხერხდა, რადგან პირისპირ შეხვედრა არ შედგა, ზეპირად სათქმელი მან უკვე ეპისტოლეს მიანდო და ვრცლად აუწყა ყველა ბრალდება ქალკედონის კრებისა და დიოფიზიტობის მიმართ. ბოლოს კი კვლავ დაურთო: „ამჯერად ჭეშმარიტად და ნამდვილად მიპასუხეთ წყეული კრებისა და ბილწი ტომარის შესახებ, თუ როგორ იწყნარებთ. თუ ღმერთი ინებებს და ერთობის სიტყვას მომწერთ, ეგების დრო დამინიშნოთ, რომ თქვენ და მე ერთ ადგილას მოვიდეთ და მშვიდობა იქნეს, თუ ღმერთსა ნებავს".[3]

ახლა უკვე, როგორც ჩანს, აევსო მოთმინების ფიალა კირონ ქართლის კათალიკოსს. იგი თვითონ გადავიდა შეტევაზე და გადაწყვიტა საპასუხო ეპისტოლეთი იქით ესწავლებინა სომხეთის კათალიკოსისათვის, რა არის მართალი სარწმუნოება, თუმცა არც ეს გაუკეთებია ისეთი ფორმით, რომ ვისმეს მისთვის სხვის საქმეებში ჩარევა ან ურთიერთობების გაწყვეტის სურვილი დაეწამებინა.

„თქვენ ისე გვწერთ ჩვენ, როგორც ახალნერგსა და ახალმორწმუნეს და ისე არა გვწერთ, როგორც შეჰფერის პატიოსანსა და მარად მართლმადიდებელს; რადგან დღეს ღმერთის მოწყალებით, მთელ ქვეყანაზე უფრო მოწინავე ვართ და მართლმადიდებელი, ვიდრე ცოტა

---

1 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 91.
2 იქვე.
3 იქვე, გვ. 100.

ვინმე... ეხლა, თუ ჩემდამი სიყვარული გაქვს, ნებსით ან უხუცესობით, ან უმრწემესობით, ან მოძღვრებით, ამის შემდეგ, თუ რაიმე წერილს მომწერთ — იქნებ ეს მოკითხვის თუ სხვა რამ საჭიროებისათვის — რომელსაც სიყვარულით ნაწილობრივ შევიწყნარებ, ამ მსჯავრის შესახებ ნუღარას მომწერ, თორემ პასუხს არ მიიღებ".[1] ეს არის კირონ ქართლის კათალიკოსის ჩვენამდე მოღწეული ხუთი ეპისტოლედან ყველაზე მკაცრი სიტყვები, მაგრამ რაც უნდა არაობიექტური მკითხველი ჰყავდეს მათ, მაინც ვერ დასწამებს ავტორს სხვა ქვეყნის საქმეში ჩარევას ან სხვისთვის ქკუის სწავლებას.

ქართლის კათალიკოსი თავისი მესამე ეპისტოლეს ბოლოში მაინც უტარებს დიპლომატიური დიდოსტატობის გაკვეთილს თავის სომეხ კოლეგას. მას არ სურს, საპასუხო სვლის გარეშე დატოვოს ამდენი ქკუის დარიგება, ფარული მუქარა, უფრო ძლიერ მხარეზე აპელაცია. სომეხთა კათალიკოსს იგი უგზავნის ოთხი მსოფლიო კრების განსაზღვრებებს, რომელთაც შემდეგ სიტყვებს წარუმძღვარებს: „უკეთუ გსურს, გამოიძიო ჩვენი სარწმუნოება და გაიცნო, ვათარგმნინე და გამოვატანე ოთხ კრებათა წიგნები, რომლებითაც რომაელნი ხელმძღვანელობენ და წმინდა ანასტასსა და წმინდა სიონშიც (იერუსალიმში, ზ. ა.) იგი იქადაგება. უნდა თუ არა ვისმეს, ჩვენი სარწმუნოება ეს არის".[2]

როდესაც ოთხი მსოფლიო კრების მოკლე ისტორია და მათ მიერ განსაზღვრული სარწმუნოების სიმბოლოები გააცნო თავის ადრესატს ქართლის კათალიკოსმა, მაშინ უკვე თავს უფლება მისცა, ისევ მსოფლიო კრების სახელით და არა თავისი, მოსალოდნელი საფრთხეც შეეხსენებინა მისთვის: „აი, ეს შრომითა და ბრძოლით ქმნა იმ მსოფლიო კრებამ. ამას გარდა სრულიად არ შეიძლება სხვა რამ სარწმუნოების შემოტანა, თუნდა დაწერა, თუნდ თქმა, გინდა სიტყვით, გინდა სწავლებით. ხოლო რომლებიც ბედავენ სხვა სარწმუნოების დაწერას, შემოთავაზებას ან სწავლებას, ესენი, თუ იქნებიან ეპისკოპოსნი, ან მღვდლები, ან დიაკვნები, განიდევნონ ეპისკოპოსნი საეპისკოპოსოთაგან, მღვდელნი მღვდლობისაგან; უკეთუ მონაზონი ან მხედარი იყოს, წყეულიმც იყვნენ იგინი".[3] როგორც ვხედავთ, ამ სიტყვებში გვაქვს ყველაფერი, მუქარაც და ქკუის სწავლებაც, მაგრამ ყველაფერი ნეიტრალურია, საიდანლაც მოდის და არც ქართლია რაიმე შუაში და არც მისი კათალიკოსი. ყურადღება მიაქციეთ, რომ კირონი სომეხთა სარწმუნოებასაც არ ახსენებს არსად, არცერთი სიტყვით, არ იწუნებს მას და არც კი ამბობს

---

1 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 102.
2 იქვე.
3 იქვე, გვ. 110.

სადმე, რომ იგი განსხვავებულია იმისაგან, რასაც თვითონ მართლმადიდებლურად თვლის.

და ბოლოს, უკანასკნელი სიტყვები მესამე ეპისტოლეში, სადაც ქართლის კათალიკოსი უკვე თავის პიროვნულ დამოკიდებულებასაც ამჟღავნებს თეოლოგიური კონფლიქტის მიმართ, თითქოს ერთგვარი ზნეობრივი უპირატესობის დემონსტრირებასაც ცდილობს, მაგრამ დიპლომატიური ტაქტი არც აქ ღალატობს მას:

„ეს დავწერეთ თქვენი სიყვარულისათვის, რათა მართალი და ჭეშმარიტი სარწმუნოება დაიცვათ და იცხოვროთ. იცოდეთ, ეს ჩვენ თვითონ კი არ დაგვიწერია, არამედ თვითეული კრების წიგნიდან (ამოვიღეთ) და სარწმუნოება ღმრთის მოწყალებით ჩვენშია. დაიბეჭდა ეს ყოველი თქვენი სიკეთისათვის. დავწერეთ სრული ჭეშმარიტებით, არა თუ მცირე გამოძიებით, არამედ დიდად დავშვერით და ვცანით, რომ ეს არის ჭეშმარიტი სარწმუნოება. თქვენ ჭეშმარიტებით ირწმუნეთ ეს მართალი სარწმუნოება და მერყეობით ნუ დავარდებით აჭა-იქ. იცოდეთ, რომ თვითეული ჩვენგანი სიტყვას აგებს მსაჯულის წინაშე დიად დღეს“.[1]

მესამე ეპისტოლეს პასუხმა დაარწმუნა სომეხთა კათალიკოსი, რომ ქართლზე გავლენის მოხდენა შეუძლებელია. როგორ უნდა მოიქცეს იგი ამის შემდეგ? ან უნდა ჩაიჭნიოს ხელი ქართველთა მოქცევაზე და იცხოვროს მათთან მშვიდობიანად, როგორც ამას სთავაზობდა მას ქართლის კათალიკოსი, ან კიდევ გაწყვიტოს მათთან ურთიერთობა. სამწუხაროდ, აბრაამ ალბათანელმა ეს უკანასკნელი გზა აირჩია. რა იყო ეს? უბრალოდ საეკლესიო ურთიერთობების გაწყვეტა, თუ დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა სახელმწიფოების დონეზე? ვფიქრობ, ერთიც და მეორეც. ჩვენ ზემოთ უკვე ვთქვით, რომ VII ს-ის დასაწყისში სომხეთს (ისევე როგორც ქართლს) პოლიტიკურადაც და ეკლესიურადაც ფაქტობრივად მართავდა კათალიკოსი. ამას მოწმობს სომეხთა კათალიკოსის ენციკლიკური ეპისტოლეც, რომელიც მიმართულია სომხეთის მთელი მოსახლეობისადმი: „ყველა ამ სამწყსო-ხელმწიფების ქვეშ მყოფ ეკლესიათა წინამძღვარს, მონასტერთა ხუცესებს და მღვდლებს, დიაკვნებს და ეკლესიის სრულიად ძმობას, მეუდაბნოეთა და განდეგილთ, აზნაურთ და გლეხებს, საზოგადოდ ერისკაცთ, მამათა და დედათ“.[2]

აი ამ, სომხეთის მოსახლეობის ყველა ფენას უბრძანებს კათალიკოსი „ქართველთა შესახებ“: „სრულიად არ ეზიაროთ მათ არც ლოცვაში, არც ჭამასა და სმაში, არც მეგობრობაში, არც დედამძუძეობაში, არც სალოცავად წასვლით ჯვარში, რომელიც განთქმულია მცხეთის მიდამო-

---

[1] ეპისტოლეთა წიგნი. გვ. 110-111.
[2] იქვე. გვ. 111-112.

ში, არც მანგლისის ჯვარში და ნურც ჩვენს ეკლესიებში მიიღებთ მათ, არამედ მათთან ქორწინებისაგანაც სრულიად განეშორეთ, მხოლოდ იყიდეთ და მიჰყიდეთ, ვითარცა ურიებს!"[1]

რა ელით მათ, ვინც ნებით თუ უნებლიეთ დაარღვევს კათალიკოსის ბრძანებას? „ხოლო თუ უსწავლელად ვინმე ისე მოიქცევა, რომ მათ ეზიარება და ერთნება იჭნება მათი სარწმუნოების სიბილწისა, ასეთები წყეულიმც იყვნენ სულით, წყეულიმც იყვნენ ხორცით და მთელი თავისი ცხოვრებით, განეშორონ ღმრთის წმიდ. ეკლესიას. იყვნენ ბნელს დამკვიდრებულნი და სამარადისო საზრდო ცეცხლისა! ხოლო, თუ ვინმე გაამპარტავნდება და შეურაცხჰყოფს წყევლას, უწყოდეს, რომ სულიერი სასჯელის შემდეგ ვეცდებით, ხორციელსაც მივაწიოთ".[2]

თანადროულ დოკუმენტებში არ არის არავითარი კვალი ქართლის ეკლესიის რეაქციის შესახებ სომეხთა კათალიკოსის ენციკლიკურ წერილზე. მხოლოდ ძლიერ გვიანი სომხური ტრადიცია ამბობს, რომ ქართლის კათალიკოსმა ანალოგიური აქტით უპასუხა სომხური მხარის გადაწყვეტილებას. მოსალოდნელია, რომ ასეც იჭნებოდა, მაგრამ აქაც იჩინა თავი, როგორც ჩანს, ქართლის კათალიკოსის დიდმა დიპლომატიურმა ტალანტმა. როგორც მოსალოდნელიც იყო, მას არ შეუდგენია ისეთი დოკუმენტი, რომელიც სამუდამო დამღად დაამჩნდებოდა მეზობელი ქვეყნების შემდგომ ურთიერთობებს. ტრადიცია, რომელიც მან დაუტოვა მომავალ თაობებს, უეჭველია, იყო ის, რაც აისახა არსენი საფარელის ტრაქტატში „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა": სომეხი ხალხი „უბრალოა" ისტორიის წინაშე და სპარსთა ზეწოლით „უნებლიებით არის მიქცეული" მცდარი სარწმუნოებისკენ.[3]

VII ს-ის დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში შექმნილ ურთულეს პოლიტიკურ სიტუაციაში ქართლმა ბრწყინვალე დიპლომატიურ გამარჯვებას მიაღწია. მან კარგად გამოიყენა შექმნილი ვითარება და მიაღწია რეალურ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ დამოუკიდებლობას. მაგრამ, სამწუხაროდ, სულ რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ დაირღვა ახლო აღმოსავლეთში ძალთა თანაფარდობა. ბიზანტიაზე გამარჯვებულმა ირანმა აშკარად დაიწყო „სომხურ სარწმუნოებაზე" დაყრდნობით მთელ კავკასიაში დამკვიდრება. თითქოს ის იყო გაცხადდა კირონ ქართლის კათალიკოსის დიპლომატიის სრული კრახი, მაგრამ წინ კიდევ დიდი მოვლენები იყო. სიტუაციები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლე-

---

1 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 121-122.
2 იქვე. გვ. 122-123.
3 არსენი საფარელი, გვ. 87, 90.

ბოდა და ქართლის კათალიკოსს წინ დიდი საერთაშორისო კარიერა ელოდებოდა.

5. ბიზანტია-ირანის წინააღმდეგობების გამწვავება VII საუკუნის 20-იან წლებში და ბიზანტიის გავლენის დამყარება ქართლში

VII საუკუნის პირველი სამი ათწლეული მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაში მეტად მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს. სწორედ ამ დროს უკიდურესად გამწვავდა ძველ მეტოქეთა — ბიზანტიის იმპერიისა და სასანიანთა ირანის — ურთიერთობა. ბიზანტია-ირანის ამ გადამწყვეტ ბრძოლაში, როგორც ყოველთვის, ჩართული აღმოჩნდნენ ამიერკავკასიის ქვეყნებიც და ამ ხანის პოლიტიკურმა პერიპეტიებმა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინეს მათ მდგომარეობაზეც.

ამიერკავკასიის ქვეყნები ამ დროისათვის, როგორც წინა თავებში იყო აღნიშნული, არსებითად ირანსა და ბიზანტიას შორის იყო განაწილებული: არმენიის ტერიტორიის 4/5 ირანმა დაისაკუთრა (პერსარმენია), ხოლო 1/5 — დასავლეთი ანუ მცირე არმენია — იმპერიის ხელქვეით ოლქს წარმოადგენდა; იბერია-ქართლი, რომელსაც ამ დროს ერისმთავარნი განაგებდნენ, ირანის პოლიტიკური გავლენის სფეროში იმყოფებოდა, ისევე როგორც მეზობელი ალბანეთი; დასავლეთი საქართველო — ლაზიკა-ეგრისი და აბაზგია-აფხაზეთი — ბიზანტიის პროვინციული მმართველობის სისტემაში იყვნენ მოქცეული. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ თითოეულ ქვეყანაში იყო ორივე დიდი სახელმწიფოს როგორც მომხრე, ისე მოწინააღმდეგე პოლიტიკური დასები.

VI საუკუნის ბოლოს ბიზანტიის იმპერიამ აღმოსავლეთის ფრონტზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, 590 წელს ირანის დიდკაცობა აუჯანყდა შაჰინშაჰ ჰორმიზი IV-ს (579-590 წწ.), რომელიც ამ აჯანყებას შეეწირა კიდეც. ტახტის მემკვიდრე ხოსროვ ფარვიზი ბიზანტიაში გაიქცა და შემდგომ იმპერატორ მავრიკის (582-602) დახმარებით ტახტი დაიბრუნა, რის სანაცვლოდ იმპერიას დაუთმო პერსარმენიის დიდი ნაწილი და მესოპოტამიის აღმოსავლეთი. შესუსტდა ირანელთა ხელისუფლება ქართლშიც. ნიშანდობლივია, რომ ქართლის ერისმთავარი სტეფანოზი იმპერატორისაგან იღებს პატრიკიოზის ტიტულს.[1]

---

[1] Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джварй, Тб., 1948, გვ. 85-86; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, 1973, გვ. 274.

მაგრამ 602 წელს თვით ბიზანტიაში მოხდა გადატრიალება; მავრიკი დაამხეს და ტახტზე არმიამ და კონსტანტინოპოლის საქალაქო წრეებმა აიყვანეს ცენტურიონი ფოკა (602-610), ამით ისარგებლა ხოსროვ II-მ, მავრიკის სისხლის აღების საბაბით, ფოკას ომი გამოუცხადა და ფრიად წარმატებითაც წარმართა იგი. მოკლე დროში ირანის არმიამ დაიკავა მთელი სირია, ხოლო მეორე არმიამ მცირე აზიის დიდი ნაწილი და ბოსფორამდე მივიდა; თანდათან ბიზანტიამ დაკარგა მთელი არმენია, აგრეთვე ბალკანეთი — აქ სლავები და ავარები დამკვიდრდნენ.

ქართლსა და ალბანეთში კვლავ განმტკიცდა ირანის ბატონობა. ბიზანტიური ორიენტაციის ერისმთავარი ადარნასე თავს აფარებს და მაგრდება კახეთში, ხოლო ქართლს შაჰანშაჰის მიერ დაყენებული ერისმთავარი განაგებს.[1] მალე ხოსროვმა ხელი შეუწყო სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილებას, რაც 608 წ. გაფორმდა. ირანის შაჰი ბიზანტიაში დაგმობილ მონოფიზიტობას მფარველობს და მის ხელქვეით არმენიაშიც ეს რელიგიური მიმართულება იმარჯვებს; ქართლის ეკლესია კი მართლმადიდებლური, დიოფიზიტური მრწამსის პოზიციებზე რჩება. მოგვიანებით ხოსროვ II-მ მოითხოვა შაჰინჰაშის მორჩილ ქრისტიანულ ქვეყნებში „სომხური სარწმუნოების" სავალდებულო აღიარება. ამას მოჰყვა დიოფიზიტი კათალიკოზის კირიონის ქართლიდან წასვლაც. ქართლშიც მოიკიდა ფეხი მონოფიზიტობამ.[2]

610 წ. ბიზანტიის იმპერიაში კვლავ გადატრიალება მოხდა: ამჯერად ხელისუფლება ხელთ იგდო კართაგენის ეგზარხოსის შვილმა ირაკლიმ, რომელმაც ფოკა დაამხო. ირაკლიმ (610-641) სცადა დაზავებოდა ირანს, მაგრამ უშედეგოდ. უფრო მეტიც, ირანმა განავითარა თავისი წარმატებები: 614 წ. აღებულ იქნა იერუსალიმი, 615 წელს ირანელებმა დაიპყრეს ეგვიპტე; მათ ხელში მოექცა ფაქტობრივად მთელი მცირე აზია და ეგეოსის ზღვის ზოგიერთი კუნძულიც; ავარ-სლავთა ურდოებმა დაიკავეს თრაკია და კონსტანტინოპოლის კედლებს მიუახლოვდნენ.[3]

ასეთ უკიდურესად რთულ ვითარებაში ირაკლიმ შეძლო სხვადასხვა საშინაო ღონისძიების გატარებით ახალი და ახლებურად ორგანიზებული არმიის შექმნა, ეკლესიის მიერ მისთვის გადაცემული დიდი თანხის საფასურად იყიდა ზავი ავართა ხაკანთან და 622 წელს დაიწყო შეტევი-

---

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თხზულებანი, ტ. I, 1979, გვ. 417-428; ეპისტოლეთა წიგნი, ზ. ალექსიძის გამოც., თბ., 1968, გვ. 68-84, 195-196, 251.

2 იქვე, გვ. 68-84, 195-196, 251.

3 ბიზანტიის იმდროინდელი ვითარებისა და ირანის შემოტევის შესახებ იხ. Н. В. Пигулевская, Византия и Иран на рубеже VI-VII вв., М.-Л., გვ. 198-205; A. Pernice, L'imperatore Eraclio, saggio di storia byzantina, Florenz, 1905; G. Ostrogorsky, Geschichte des byzantinischen Staates, München, 1940, გვ. 57-60.

თი ოპერაციები•ირანის წინააღმდეგ. 622-628 წლებში წარმატებით განხორციელებული ლაშქრობების შედეგად, ირაკლიმ გაანადგურა სასანიანთა ირანი, რომელიც ანარქიამ მოიცვა.[1]

წყაროთა ჩვენებები ცხადყოფენ, რომ ამ ლაშქრობებში მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება ამიერკავკასიის ქვეყნებს და აქაური მმართველი წრეების განწყობილება-ორიენტაციას.

უკვე პირველი ლაშქრობა არსებითად ამიერკავკასიის ტერიტორიიდან, კერძოდ ჭანეთიდან იწყება. ბიზანტიური და სომხური წყაროები გვამცნობენ, რომ ირაკლიმ თავისი ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ სწორედ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპიროდან, ტრაპეზუნტის მიდამოებიდან დაიწყო. ირაკლიმ თავის არმიას თავი მოუყარა მცირე აზიის ქ. ნიკომედიასთან, აქედან ზღვით მივიდა ტრაპეზუნტში, რომელიც ლაზიკის (ჭანეთის) ქალაქადაა მოხსენიებული, და უკვე აქედან შეუტია ირანს.[2] 622-623 წლების საბრძოლო მოქმედება ძირითადად პერსარმენიისა და ატროპატენის (ადარბადაგანის) ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. 623-624 წწ. ზამთარი ირაკლიმ ალბანეთში გაატარა და ალბანელთა ურჩობის გამო მათი ქვეყანა სასტიკად ააოხრა.[3] აქ, ალბანეთში, თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობით, მოუვიდნენ მას დამხმარე ძალები ლაზთაგან, აბაზგთა და იბერთაგან.[4] აქედან, ე. ი. ისევ ამიერკავკასიიდან, იწყებს ირაკლი თავის მეორე კამპანიას ირანის წინააღმდეგ (624-625 წწ.).

მესამე კამპანია რომ ლაზიკიდან იწყება, ამას ერთხმად აღნიშნავს ყველა წყარო. აქედან — დასავლეთი საქართველოდან უკავშირდება ირაკლი .დასავლეთ თურქთა ხაკანს (წყაროები მათ ხაზარებს უწოდებენ), შემდეგ გადადის იბერიაში, სადაც თბილისთან ხვდება თურქ მოკავშირეთა ლაშქარს და აქედან იერრეა იგი შემდეგ ირანის ტერიტორიაზე.[5]

---

1 E. Gerland, Die persische Feldzüge des Kaisers Herakleios, BZ, 1894, Bd. III, გვ. 345-346; Я. А. Манандян, Маршруты персидских походов императора Ираклия, ВВ, 1950, т. III, გვ. 135-153; P. Speck, Beobachtungen zu den Nachrichten über die Regierung des Kaisers Herakleios und die seiner söhe bei Theophanes und Nikephoros, NOIKIΛA BYZANTINA, Bonn, 1988, გვ. 101-286.

2 ამ ლაშქრობის მარშრუტზე დაწვრილებით იხ. ნ. ლომოური, ირაკლი კეისრის ლაშქრობები ირანში და საქართველო, „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო", 1991, გვ. 111-116; შეად. Н. Ю. Ломоури, Иранские походы императора Ираклия и Грузия, Византийские очерки, 1990.

3 E. Gerland, Die persische Feldzüge.., გვ. 347-348; Я. А. Манандян, Маршруты.., გვ. 136-139.

4 Theophanis, Chronographia, I, გვ. 309.

5 E. Gerland, Die persische Feldzüge.., გვ. 347-348; Я. А. Манандян, Маршруты.., გვ. 140-143.

ამრიგად, იქმნება სრულიად გარკვეული სურათი: ირაკლის ლაშქრობათა ძირითადი საწყისი პლაცდარში ირანის წინააღმდეგ მთელი ომის მანძილზე არის ამიერკავკასიის ქვეყნები, პირველ რიგში კი ლაზიკა-ეგრისი და ჭანეთი. ეს გარემოება შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო და მას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება იმდროინდელი საერთო ვითარების გასარკვევად. საქმე მარტო ამიერკავკასიის, კერძოდ ლაზიკა-ეგრისისა და ჭანეთის, ხელსაყრელ სტრატეგიულ მდგომარეობაში არაა. აქ საკითხი დგება იმის შესახებ, თუ რა სამხედრო ძალას ეყრდნობოდა ირაკლი, ვინ შეადგენდა მისი არმიის ძირითად კონტინგენტს?

მსოფლიო ბიზანტინისტიკაში დიდხანს იყო გაბატონებული შეხედულება, რომ ირაკლის მიერ ახალი არმიის შექმნა დაკავშირებული იყო ე. წ. თემური ორგანიზაციის შექმნასთან, ანუ ბიზანტიის იმპერიის სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქებად (თემებად) დანაწილებასთან. ამ თემებში იქმნებოდა თავისუფალ მიწათმფლობელთა ფენა, რომელთა მოვალეობა მოლაშქრეობა იყო; ამ ფენას სტრატიოტებს უწოდებდნენ. სპეციალისტები ფიქრობდნენ, რომ სწორედ ამ სტრატიოტთაგან შეადგინა ირაკლიმ ახალი, ბრძოლისუნარიანი არმია, რომლითაც ირანზე გამარჯვებას მიაღწია.[1]

მაგრამ დღეს უკვე აღარ შეიძლება ლაპარაკი თემური ორგანიზაციის ჩამოყალიბებაზე ირაკლის მმართველობის ხანაში, მით უფრო ამ მმართველობის დასაწყისში. სრულიად აშკარაა, რომ თემური ორგაზიზაციის ფორმირება დაიწყო VII საუკუნის ბოლოს და მხოლოდ საუკუნის დამლევს შეიქმნა პირველი თემები.[2]

ერთი რამ ცხადია: იმ ვითარებაში, როდესაც არმენია, სირია-პალესტინა, ეგვიპტე ბიზანტიისათვის მთლიანად დაკარგული იყო, მცირე აზია, მიხი უკიდურესად ჩრდილო-დასავლეთი ოლქის გარდა, არა მარტო ირანელთა მიერ აოხრებულ-წარტყვევნილი, არამედ ფაქტობრივად ოკუპირებული, ხოლო ბალკანეთი და თრაკია ავარ-სლავთაგან დაკავებული იყო, ირაკლის, ცხადია, არ გააჩნდა რეზერვი სტრატიოტთა საკმარისი კონტინგენტის შეგროვებისა და ისეთი არმიის შესაქმნელად, როგორც მას აღმოაჩნდა 622 წლისათვის.

---

1 H. Gelzer, Genesis der byzantinischen Themenverfassung, Leipzig, 1899, გვ. 8-10; Ф. И. Успенский, История Византийской Империи, СПб., 1993, т. I, გვ. 657-658; E. Darko, Die militärische Reformen des Kaisers Heraklios, ИБАИ, 1935, IX, გვ. 110-116.

2 A. Pertusi, La formation des themes Byzantins, Berichte zum XI. Intern. Byzantinistenkongress, München, 1958, გვ. 1-40; G. Karayannopulos, Uber die vermeintliche Reformtätigkeit des Kaisers Herakleios, JOBG, Wien, 1961, Bd. X, გვ. 53-72; R.-J. Lilie, Die zweihundertjährige Reform, BS, 1984, Bd. გვ. 27-39; P. Speck, Beobachtungen.., გვ. 61-64.

ირაკლი, როგორც ჩანს, მართლაც დგამს პირველ ნაბიჯებს ახალი სამხედრო-ადმინისტრაციული ორგანიზაციის ფორმირებისათვის; კერძოდ, იგი ბიზანტიის ხელში დარჩენილ მცირე ტერიტორიაზე სახელმწიფო მიწებზე მსხდომ გლეხებს ათავისუფლებს სხვა სახელმწიფო გადასახადებისაგან და ბეგარისაგან და აკისრებს მათ მხოლოდ მოლაშქრეობის ვალდებულებას, ე. ი. ფაქტობრივად საფუძველს უყრის სტრატიოტთა ფენას. ამას გარდა სამხედრო სამსახურის პირობით მიწაზე სვამს ირანელთა მიერ მიტაცებული ოლქებიდან ლტოლვილ გლეხებს.[1] მაგრამ ასეთ „სტრატიოტთა" რიცხვი მეტად მცირე იყო. მცირე აზიის ის ოლქები, რომლებიც ჯერ კიდევ ბიზანტიას ექვემდებარებოდა, ცხადია, მისცემდნენ ირაკლის მეომრების გარკვეულ ნაწილს, მაგრამ ეს მისთვის არ შეიძლებოდა საკმარისი ყოფილიყო.

თუ ასეთ პირობებში გავითვალისწინებთ ზემოთქმულს, რომ ირაკლი ყველა საბრძოლო ოპერაციას ამიერკავკასიიდან იწყებს, რომ იგი მთელი ომის დროს თითქოს „მიბმულია" ამიერკავკასიაზე, თუ გავითვალისწინებთ წყაროთა მოკლე, მაგრამ ნიშანდობლივ და შეთანხმებულ ცნობებს მის არმიაში ამიერკავკასიის ხალხებისაგან შემდგარი რაზმების ყოფნის შესახებ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწორედ ეს კონტინგენტი — ჭანები, ლაზები (ეგრები), აბაზგ-აფხაზები, იბერები, ხოლო ირაკლის არმენიაში შესვლის შემდეგ, სომხებიც, წარმოადგენდნენ ბიზანტიის არმიის ძირითად ბირთვს.[2]

ამ დასკვნას არ ეწინააღმდეგება ბიზანტიურ, სომხურ და ქართულ წყაროებში შემონახული ცნობები იმის შესახებ, რომ 627-628 წწ-ში ირაკლის და მის მოკავშირე თურქებს („ხაზარებს") ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია თბილისმა, რომლის აღება 627 წელს ვერ მოახერხეს მოკავშირეებმა, მაგრამ 628 წელს, როგორც იქნა, აიღეს და ააოხრეს თურქებმა.[3]

---

1 A. Pernice, L'imperatore Eraclio.., გვ. 112-116; E. Stein, Studien zur Geschichte des byzantinischen Reiches, 1919, გვ. 133; G. Ostrogorsky, Geschichte.., გვ. 60-61.

2 უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1940 წ. რუსმა ბიზანტინისტმა მ. ლევჩენკომ აღნიშნა: „ირაკლიმ კარგად გაიგო ამიერკავკასიის მნიშვნელობა ბიზანტიური არმიის დაკომპლექტებისათვის. და მართლაც, ამ დროს სომხებმა, ქართველებმა, ლაზებმა მისცეს მას მეტი ჯარისკაცი. ვიდრე დაუძლურებულმა მცირე აზიამ. შეიძლება ითქვას, რომ ამიერკავკასიურმა კონტინგენტმა შეადგინა ირაკლის ჯარის, ისევე როგორც მეთაურთა შემადგენლობის, ძირითადი ღერძი" (М. В. Левченко, История Византии, М.-Л., 1940, გვ. 106). 1948 წელს იგივე აზრი გამოთქვა ს. ყაუხჩიშვილმა (იხ. მისი „ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან", თბ., 1948, გვ. 151-152), მაგრამ ეს დებულება უყურადღებოდ დარჩა ბიზანტინოლოგიურ ლიტერატურაში.
მოვსეს კალანკატუაცი. ალვანთა ქვეყნის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, 1985, გვ. 70-76; ამ მოვლენებზე იხ. ივ. ჯავახიშვილი,

როგორც ზევით გვქონდა აღნიშნული, ქართლში ერთმანეთს უპირისპირდებოდა პროირანული და პრობიზანტიური ორიენტაციის დაჯგუფება. ფოკას იმპერატორობის დროს, როცა ირანმა ბიზანტიაზე სრული უპირატესობა მოიპოვა, სწორედ პროირანულმა დასმა იგდო ხელში ძალაუფლება, ხოლო პრობიზანტიური დაჯგუფების წარმომადგენელი ერისმთავარი ადარნასე კახეთში გადავიდა. როგორც ჩანს, ადარნასე ეხმარება ირაკლის მისი ლაშქრობების დროს და როდესაც წყაროები ირაკლის არმიაში იბერიელთა დამხმარე რაზმებს ასახელებენ, აქ ადარნასეს კონტროლის ქვეშ მყოფი ქართლის რაზმები იგულისხმება. რაც შეეხება თბილისში გამაგრებულ ძალებს, რომლებიც ირაკლის და მის მოკავშირე ხაკანს ებრძვიან, ესენი უნდა იყვნენ ირანელთა მიერ ქალაქში შეყვანილი გარნიზონი სპარსი სარდლის შარპაჰალის მეთაურობით და სპარსელთა მიერ ქართლის ერისმთავრად დაყენებული პროირანული დასის ხელმძღვანელი, შესაძლოა, ის „იშხანი" (მთავარი) ქართლისა, რომელიც ირაკლის ტყვედ ჩაუვარდა, სომეხი ისტორიკოსის მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, თბილისის დაცემის შემდეგ.

თბილისის ალყის გაჭიანურებამ ირაკლი მთავარ მტერთან ბრძოლისგან მოაცდინა, ამიტომ ქართლში თურქები დატოვა, თვით კი იბერიიდან სომხეთზე და ატროპატენაზე გავლით მესოპოტამიაში შეიჭრა და ზედიზედ დაამარცხა ირანელთა არმია. ბოლოს ატროპატენის მთავარ ქალაქ განძაკში ცნობა მიიღო, რომ ირანის სამეფო კარზე მოხდა გადატრიალება, ხოსროვ II დაამხეს და სიკვდილით დასაჯეს, ხოლო ტახტი ახალმა შაჰმა კავად II-მ დაიკავა. ეს უკანასკნელი ირაკლის დაზავებას სთხოვდა. 628 წელს ირანსა და ბიზანტიას შორის ზავი დაიდო, რომლის ძალით არმენია, მესოპოტამია, სირია და ეგვიპტე ბიზანტიას დაუბრუნდა.[1] იბერია-ქართლი, ბუნებრივია, ბიზანტიური პოლიტიკური გავლენის სფეროში მოექცა.

ირაკლი კეისრის არმენიიდან ბიზანტიაში დაბრუნების მარშრუტი წყაროებში არაა ასახული. გამონაკლისს ქართული მატიანეები წარმოადგენენ, ძნელია ვამტკიცოთ, რომ ქართული წყაროები ზუსტად გადმოგვცემენ ირაკლი კეისრის ლაშქრობათა დეტალებს, მაგრამ ისინი ისე დაწვრილებით მოგვითხრობენ ბიზანტიელთა და მათ მოკავშირეთა ქართლში მოქმედების შესახებ, რომ არაა გამორიცხული მემატიანეთა მიერ სანდო წყაროების გამოყენება. ამას გარდა, ერთ-ერთი მატიანეთა-

---

ქართული ერის ისტორია, წ. I. გვ. 301-338; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. გვ. 280-282; ნ. ლომოური, ირაკლი კეისრის ლაშქრობები„ გვ. 119-120.

[1] მოქცევაჲ ქართლისაჲ — „ძველი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები", წ. I. 1964. გვ. 96.

გან — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, უფრო ზუსტად, მისი პირველი ნაწილი, სადაც ირაკლის ლაშქრობაა მოთხრობილი, როგორც ცნობილია, VII საუკუნეში შედგენილად ითვლება.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მოგვითხრობს, რომ ხოსროვზე გამარჯვების შემდეგ, ირაკლი მიდის იერუსალიმს, აქ მშენებლობას ახორციელებს და „მეშუდესა წელსა“ ლაშქრობის დაწყებიდან, კვლავ ქართლში დაბრუნდა. ამ დროისათვის თბილისში დაუმთავრებიათ სიონის მშენებლობა, ხოლო მცხეთის ჯვრის მშენებლობას დასრულება აკლდა.[1] ასეთივე ცნობა აქვს ჯუანშერსაც.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მონათხრობით ირაკლის ქართლში ჩაუტარებია ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება — განწმენდის ღონისძიებები. მან „ტფილისს და მცხეთას და უჟარმას განავლინნა ქადაგნი, რათა ყოველნი ქრისტიანენი ქალაქთა შინა, ეკლესიათა შინა, შემოკრბენ და ყოველნი· მოგვნი და ცეცხლისა მსახურნი ანუ მოინათლნენ, ანუ მოისრნენ. ხოლო მათ ნათლისღება არა ინებეს... ვიდრემდის ყოველთა ზედა წარჰმართა მახჯლი და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდეს, ხოლო ჰერაკლე განწმიდა შჯული ქრისტესი და წარვიდა“.[2]

ამრიგად, მემატიანეთა სიტყვით, ირაკლიმ ჯერ ქადაგებით, შემდეგ კი მახვილით მოსპო ქართლში ცეცხლთაყვანისმცემლობა, რომელიც აქ ირანელთა ბატონობის ხანაში დამკვიდრდა. მაგრამ, როგორც ჩანს, რეპრესიები შეეხო არა მარტო მაზდეან ქურუმებსა და ცეცხლის თაყვანისმცემლებს, არამედ მწვალებლებს, ე. ი. პირველ რიგში, მონოფიზიტებს, ალბათ ამაზე მიუთითებს ქრონისტის სიტყვები, რომ „ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდეს“. საეჭვოა, ეკლესიებში ცეცხლთაყვანისმცემელნი შეეყვანათ. არაა შემთხვევითი მემატიანის სიტყვებიც, რომ ირაკლიმ „განწმინდა შჯული ქრისტესი“. აქ სწორედ მწვალებლობის აღმოფხვრისა და მართლმადიდებლობის განმტკიცებისათვის ჩატარებული ღონისძიებები იგულისხმება.

ამრიგად, ირანზე გამარჯვების შემდეგ ბიზანტიის იმპერიამ ქართლში თავისი გავლენა — როგორც პოლიტიკური, ისე რელიგიური — განამტკიცა. ქართლის ერისმთავრები ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებს ატარებენ და კეისრის ვასალებად ითვლებოდნენ. ქართლი საბოლოოდ დაადგა აგრეთვე ორთოდოქსული დიოფიზიტობის გზას და მონოფიზიტურ სომხეთს გაემიჯნა:

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ იმპერიის პოლიტიკური პოზიციები, ბუნებრივია, კიდევ უფრო განმტკიცდა. ირანის განადგურე-

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., 1955, გვ. 227.
[2] მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 96.

ბამ და იბერიაში გავლენის დამკვიდრებამ მოჭედების უფრო მეტი თავისუფლება მისცა ბიზანტიის ხელისუფლებას ეგრისშიც. ცნობილია, რომ VII საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ ლაზიკის (ეგრისის) სათავეში უკვე მეფე კი არ დგას, არამედ „პატრიკიოსის“ ტიტულის მატარებელი მთავარი. ამრიგად, ბიზანტიამ კიდევ უფრო შეზღუდა აქაური ხელისუფლების სუვერენიტეტი და ფორმალურადაც წაართვა ეგრისს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.[1]

ბიზანტია-ირანს შორის ხანგრძლივი ჭიშპობა ბიზანტიის გამარჯვებით დამთავრდა; ირანი, დაუძლურებული, შინაგანი წინააღმდეგობებით დასუსტებული, პრაქტიკულად კარგავს დიდი სახელმწიფოს მდგომარეობას. ამან ხელსაყრელი პირობები შეუქმნა არაბებს, რომელნიც VII საუკუნის 40-იან წლებში გამოვიდნენ ფართო პოლიტიკურ ასპარეზზე და თავიანთი დაპყრობითი პოლიტიკის განხორციელება დაიწყეს. დაუძლურებულმა, ფაქტობრივად დაშლილმა ირანმა არაბებს ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია, მაგრამ უკეთეს მდგომარეობაში არც გამარჯვებული ბიზანტია აღმოჩნდა. ირანთან ხანგრძლივმა ომებმა ისიც დაასუსტა, მან ძალების აღდგენა ვერ მოასწრო და უკვე ირაკლის მეფობის ბოლო წლებში რამდენიმე მძიმე მარცხი განიცადა. ყოველივე ამან გზა გაუხსნა არაბებს ამიერკავკასიისაკენ.

6. არაბთა სახალიფოს გავლენის დამყარება ქართლში. ქართულ-არაბული ურთიერთობები VII-VIII საუკუნეებში

VII საუკუნის დასაწყისში მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება: ისტორიის ასპარეზზე გამოდის ახალი ძალა არაბების სახით, იდეოლოგიურად მესამე მსოფლიო რელიგიით — ისლამით — შეიარაღებული.

არაბების სამშობლო არაბეთის ნახევარკუნძულია, რომელიც, აგრეთვე, არის ყველა მათი მონათესავე სემიტური ტომის სამშობლოც. არაბეთის ნახევარკუნძულიდან ათასწლეულთა მანძილზე სხვადასხვა საემიგრაციო ტალღა გამოდიოდა და, როგორც ცნობილია, VII საუკუნის დასაწყისში არაბებმა ამ ემიგრაციის უკანასკნელი ნაკადი შექმნეს.[2]

---

1 ს. ჯანაშია. შრომები. ტ. I, გვ. 86; Очерки истории Грузии, т. II, 1988, გვ. 170-171.

2 არაბთა მსოფლიო ისტორიულ ასპარეზზე გამოსვლის, არაბ-ქართველთა ურთიერთობის შესახებ იხ: ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში; ს. ჯანაშია, შრომები, II, 1959, გვ. 342-

არაბთა პირველი მარბიელი რაზმები ამიერკავკასიაში VII ს-ის 40-იან წლებში გამოჩნდა, მას შემდეგ, რაც მათ დაიპყრეს სირია, პალესტინა, ეგვიპტე, ირანი. 640 წელს ვარაუდობენ მათ მიერ სომხეთის დედაქალაქ დვინის აღებას, რის შემდეგ, ბუნებრივია, არაბთა მარბიელ რაზმებს საქართველოსაკენაც უნდა მოეპყროთ ყურადღება. ამ დროს (დაახლ. 643 წ.) ამიერკავკასიისაკენ არაბთა ოთხი მარბიელი რაზმი გამოემართა, რომელთაგან ერთმა, ჰაბიბ იბნ მასლამას სარდლობით, ქართლს მიაშურა. ჩანს, ამ ლაშქრობათა მიზანი, ამჯერად დაზვერვა და დავლა-ალაფი იყო მხოლოდ.[1] არაბები მოდიან ქართლში და მოსახლეობას აძლევენ „დაცვის სიგელს", რომლითაც განსაზღვრულია ორივე მხარის უფლება-მოვალეობანი. როგორც ცნობილია, ქართულ ისტორიოგრაფიაში ავტორთა ნაწილი ამ მოვლენის თარიღად VII ს-ის 40-იან წლებს მიიჩნევს, ნაწილი 50-იანს, საკუთრივ ოსმანის ხალიფობის (644-656) ბოლო წლებს (655/6). მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი" გაიცა ქართლის, ქართლის ერისმთავრის განმგებლობაში მყოფი, მოსახლეობისადმი, ნაწილის აზრით, — მხოლოდ საკუთრივ თბილისის მოსახლეობისადმი. ძირითადად სომხური წყაროებისადმი უპირატესობის მინიჭებით და მოვლენათა თანმიმდევრობის გათვალისწინებით, ს. ჯანაშია ამ მოვლენას VII ს-ის 50-იანი წლებით (655/6) ათარიღებს; ვინც უპირატესობას არაბულ წყაროებს ანიჭებს, ამ მოვლენას VII ს. 40-იანი წლებით ათარიღებენ. ამჯერად თავს ვიკავებთ ამ საკითხზე დაწვრილებითი მსჯელობისაგან და დაინტერესებულ მკითხველს ბ. სილაგაძის წიგნზე მივუთითებთ, სადაც ეს საკითხები, თითქმის ყველა ავტორის მოსაზრებანი საგანგებოდაა განხილული.[2] თუმცა, აღნიშნავთ, რომ მართებულად მიგვაჩნია ზოგიერთი ავტორის მიერ გაზიარებული ს. ჯანაშიას მოსაზრება, რომელიც ამ მოვლენას ხალიფა ოსმანის ხალიფობის უკანასკნელი წლებით ათარიღებს.[3] ასევე, ვფიქრობთ, მართებული უნდა იყოს ს. ჯანაშიას მოსაზ-

---

41ᲒᲐ ვ. გაბაშვილი. მახლობელი აღმოსავლეთი ადრეფეოდალურ ხანაში. იხ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957; Л. И. Шахидзе, Халифат. Советская Историческая Энциклопедия, М., 1974, т. 15, სადაც არის მითითებული საკითხის შესახებ არსებული ვრცელი ლიტერატურა. 1991 წ. გამოვიდა ბენიამინ სილაგაძის ნაშრომი „არაბთა ბატონობა საქართველოში", სადაც არის ზოგი ახალი მოსაზრება აღნიშნულ საკითხზე. ამასთანავე, განხილულია საკითხის შესახებ ბოლო წლებში გამოსული ნაშრომები. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ ბ. სილაგაძის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წინამორბედთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა კრიტიკა შეადგენს, რაც, ვერ ვიტყვით, რომ ყოველთვის მართებული იყოს.

1 ს. ჯანაშია, მით. ნაშრ., გვ. 357.

2 ბ. სილაგაძე ზოგი კორექტივით იზიარებს თვალსაზრისს არაბთა მიერ აღმოსავლეთ საქართველოს 644/5 წელს დაპყრობის შესახებ, იხ. გვ. 37-55.

3 ს. ჯანაშია, მით. ნაშრომი, გვ. 357-363.

რება, რომ „დაცვის სიგელი“ ქართლის საერისმთავროსთვის, და არა მხოლოდ თბილისის მოსახლეობისათვის, უნდა იყოს გაცემული.[1] თავდაპირველად მოსაზრება, რომ ჰაბიბ იბნ-მასლამას „დაცვის სიგელი“ გაცემული უნდა იყოს მხოლოდ საკუთრივ თბილისის მოსახლეობისადმი, გამოთქვა ე. სიხარულიძემ.[2] მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სასურველად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ქართლის საზღვრებთან მომდგარ არაბთა ლაშქრის სარდალთან მოსალაპარაკებლად, ბალაძორის ცნობით, მოდის „ჯურზანის ბატრიკის“,[3] ე. ი. ქართლის ერისმთავრის, მოციქული, რაც იმას ნიშნავს, რომ კარს მომდგარ მტერთან მოსალაპარაკებლად მიდის ქართლის ფეოდალური საზოგადოების უზენაესი ხელისუფლების წარმომადგენელი.[4] ტექსტის ამ ადგილის გაგებას ართულებს ის გარემოება, რომ „დაცვის სიგელის“ ტაბარისეულ ვარიანტში ჰაბიბთან მოსული მოციქული თითქოს მხოლოდ თბილისის მოსახლეობის წარმომადგენელია, მაგრამ, როგორც თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, თვით ტაბარის კრიტიკული განხილვა არ იძლევა ტექსტის უცილობლად ასეთი გაგების საფუძველს და, რაც მთავარია, არსებობს ამ „სიგელის“ ბალაძორისეული ვარიანტი, რომელიც უფრო სრული და ზუსტია, სადაც „არმაზი“ და „მანგლისია“ დასახელებული და სადაც, როგორც უკვე ითქვა, მოციქული „ჯურზანის ბატრიკის“, ე. ი. ქართლის ერისმთავრის წარმომადგენელია.[5] 1976 წ. ო. ცქიტიშვილმა გამოაქვეყნა ამ სიგელის აბუ უბეიდას თხზულებაში დაცული ტექსტი,[6] სადაც აღნიშნულია, რომ „ესაა ჰაბიბ იბნ მასლამას

ს. ჯანაშია. მით. ნაშრომი, გვ. 364.

2 ე. სიხარულიძე, არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 73, თბილისი, 1959, გვ. 167-184.

3 Балаздори. "Книга завоевания стран" Текст и перевод П. К. Жузе, Баку, 1921, текст, с. 9. пер. გვ. 11.

4 მ. ლორთქიფანიძე, არაბთა მფლობელობის ხასიათი საქართველოში, მს�p. ნ. 35, თბ., 1963, გვ. 78-80.

5 იქვე.

6 ო. ცქიტიშვილი, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ აბუ უბეიდას თხზულებაში. მაცნე (ისტორიის_ სერია), 1976, 2, გვ. 186-199. ბოლო დრომდე მკვლევართათვის ცნობილი იყო „დაცვის სიგელის“ ტაბარისეული (838-923), ბალაძორისეული (გარდ. 892 წ.) და იაკუთისეული ვარიანტები (1179-1229). ტაბარისეული და ბალაძორისეული ტექსტები ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოიტანა ივ. ჯავახიშვილმა ღაზარიანისეული გერმანული თარგმანის მიხედვით (იხ. ქი. II). 1951 წ. გამოქვეყნდა ამ სიგელის ქართული თარგმანი, შესავალი წერილითა და შენიშვნებით (მ. ლორთქიფანიძე, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“. მსკ. ნ. 29, 1951, გვ. 61-65). 1959 წ. ე. სიხარულიძის მიერ შესრულებული ქართული თარგმანი გამოქვეყნდა ურთიერთ (ე. სიხარულიძე, არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. თსუ შრომები, ტ. 73, 1959). 1976 წ. ო. ცქიტიშვილმა გამოაქვეყნა ამ სიგელის ახალი ვარიანტი „აბუ უბეიდას (770-838) თხზულებიდან, მით. გამოც. მანვე გამოაქვეყნა იბნ ზანჯუვაიჰითის ვარიანტი (მაცნე. ისტორიის _ სერია, 1991, 2).

სიგელი არმინის ქვეყნის თაფლისის მცხოვრებთათვის".[1] ეს „არმინის ქვეყანა" ზოგი მკლევრის მიერ იდენტიფიცირებულია „არმენიასთან", რაც იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ „სიგელი" გაცემულია „არმენიის ტიფლისის" მცხოვრებთათვის", მაგრამ რა ვუყოთ არაბული ტექსტის „მანგლისს",[2] საიდან გაჩნდა ის ბალაძორის ვარიანტში? მართალია, „სიგელის" ჩვენთვის ცნობილ ვარიანტთაგან უძველესია აბუ-უბეიდას თხზულებაში დაცული ტექსტი და, როგორც წესი, უპირატესობა უძველეს ვარიანტს ენიჭება ხოლმე, მაგრამ, გასათვალისწინებელია, რომ ეს არ არის დედანში, ჩვენ არ ვიცით, რომელი ვარიანტი საიდან მომდინარეობს და რა არის დედანში (თუ ასეთი კიდევაც არსებობს სადმე). აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. ტექსტის გადამწერებმა, უფრო სავარაუდოა, მათთვის უცნობი გეოგრაფიული პუნქტი მაგ.: „მანგლისი" სახელწოდება საერთოდ ამოიღონ, ვიდრე შეიტანონ მასში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იქ, სადაც თავდაპირველ ვარიანტში იყო „ჰარმაზი", „მანგლისი" („მანჯალისი") რომელიმე არაბმა გადამწერმა მისთვის უცნობი „ჰარმაზი" თავისთვის ცნობილ „არმინიად" შეცვალა, ხოლო „მანჯალისი" საერთოდ გამოტოვა. ასეთი ვარიანტიდან უნდა მომდინარეობდეს (ან შეიძლება თვითონ ეს არის ასეთი ვარიანტი) აბუ უბეიდას თხზულებაში დაცული ტექსტი, ხოლო ბალაძორთან უფრო სრული ვარიანტია დაცული.

აქვე გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც, აბუ უბეიდა წერს, რომ „მთელი ეს ამბავი მას მოუთხრო არმინიის ერთ-ერთმა მცხოვრებთაგანმა, რომელმაც, თურმე თქვა: წაეიკითხე ჰაბიბ იბნ მასლამას სიგელი, ანდა წაკითხულ იქნა და მე ვუყურებდი მას". „ზეპირ გადმოცემას კი, ცხადია, ვერ მოვთხოვთ ზედმიწევნით, დეტალების სრული დაცვით გადმოგვცეს ისტორიული ფაქტი".[3]

ამ „დაცვის სიგელით" განისაზღვრა თავდაპირველად არაბ-ქართველთა ურთიერთობა; როდესაც დამპყრობელ არაბთა ლაშქარი ქართლის მისადგომებთან დაბანაკდა, მათთან მივიდა ქართლის ერისმთავრის მოციქული ძღვენით და ზავისა და მშვიდობის სურვილით. როგორც მართებულად შენიშნავს ს. ჯანაშია, ეს ნაბიჯი, ალბათ, განპირობებული

ო. ცქიტიშვილი. ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი" აბუ უბეიდას თხზულებაში. მით. გამოც., გვ. 193.

2 იხ. ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 57, 62.. იხ. Т. М. Сипенкова, К истории завоевания Закавказья арабами, Вопросы истории стран Азии, Л., 1965, გვ. 147; ა. ბოგვერაძე. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1977, გვ. 93).

3. თოფურია. ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ისტორიიდან. ტაბარის ერთი ცნობის ინტერპრეტაცია. „ცისკარი", 1884, №5, გვ. 143.

იყო მეზობელი სომხეთის გამოცდილებით, რომელმაც „წინამორბედ და მდგომარე წლებში დიდი რბევა და აწიოკება გამოსცადა არაბებისაგან იმის გამო, რომ მას დიდხანს არ სურდა ახალი ბატონობა ეცნო, გარდა ამისა, ქართლის მმართველ წრეებს უთუოდ აფიქრებდათ თავიანთი კავშირი ბიზანტიელებთან, სახელდობრ ის, რომ უკანასკნელ სამხედრო ოპერაციებში ჰაბიბის მოწინააღმდეგე ბიზანტიელი სარდალი, არაბებისაგან დამარცხებული და ლტოლვილი, რომ სწორედ ქართლში იმალებოდა. გარდა ამისა, რა თქმა უნდა, ქართლის წრეები ბოლოს და ბოლოს, არც ისეთი სიძნელით უნდა შერიგებოდნენ ერთი სიუზერენის შეცვლას მეორეთი".[1]

ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართლის მმართველი წრეებისათვის, ალბათ, ცნობილი იყო, ნებით დამორჩილებულ მოსახლეობას, რომელთა მიწები „სულჰის მიწების" კატეგორიაში ითვლებოდა, შედარებით მსუბუქად ბეგრავდნენ და მცხოვრებთაც ლმობიერად ეპყრობოდნენ.

ჰაბიბ იბნ მასლამასა და ქართლის ერისმთავრის მოლაპარაკების შემდეგ ჰაბიბმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა ქართველთა გადაწყვეტილების გამო. მორთმეული ძღვენი მომავალ გადასახადში ჩაუთვალა, შემდეგ მივიდა თბილისში, სადაც დაიწერა „ზავის წიგნი", რომლის თანახმად მოსახლეობას დაეკისრა კომლობრივი გადასახადი ჯიზია — თითო დინარი კომლის თავზე. ქართველებს ეკრძალებოდათ კომლთა გაერთიანება ჯიზიას შემცირების, ხოლო არაბებს მათი დაყოფა ჯიზიას გაზრდის მიზნით. დაპყრობილთ დაეკისრათ სამხედრო ვალდებულება, საბინაო გადასახადი — სამასპინძლო. დამპყრობნი კისრულობდნენ ქართველთა სარწმუნოების ხელუხლებლობას, მტერთაგან დაცვას.[2] ამ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ არაბებს აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებლები დამორჩილდნენ.[3] როგორც მართებულადაა აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლებოდა მიეღო იმდროინდელი ქართლის სახელმწიფოს მეთაურს.[4] ქართლის ხელისუფლება, ჩანს, კარგად იყო ინფორმირებული ამ დროისათვის მახლობელ აღმოსავლეთში არსებუ-

---

1 ს. ჯანაშია. მით. ნაშრ., გვ. 363-364.

2 ვსარგებლობთ „დაცვის სიგელის" ჩემ მიერ შესრულებული თარგმანით (მ. ლორთქიფანიძე. ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი", მსკი. ნ. 29. 1951. გვ. 62-65. შენიშვნებით). აგრეთვე. მ. ლორთქიფანიძე. არაბთა მფლობელობის ხასიათი საქართველოში. მსკი. ნ. 1963, გვ. 71-96, და ·ვითვალისწინებ ე. სიხარულიძის (იხ. ე. სიხარულიძე. არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. თსუ შრომები. ტ. 73. 1959, და ბ. სილაგაძის ზოგ დაზუსტებას თუ განმარტებას (იხ. ბ. სილაგაძე. მით. ნაშრ.).

3 ივ. ჯავახიშვილი. ქართული ერის ისტორია. II. 1983. გვ. 76.

4 ივ. ჯავახიშვილი. მით. ნაშრ., გვ. 74; ბ. სილაგაძე. მით. ნაშრ., გვ. 62-63.

ლი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შესახებ, რაც სამეთვალყურეო თუ სადაზვერვო სამსახურის კარგ და გამართულ მუშაობაზე და ხელისუფლების წარმომადგენელთა სწორ დიპლომატიურ სვლაზე მიუთითებს. ამის შემდეგ არაბებს დამორჩილდა მთლიანად აღმოსავლეთი საქართველო, რომლის ცალკეულ კუთხეებთან არაბებმა, ასევე დადეს ხელშეკრულებები.

აღნიშნული ხელშეკრულების დადების პროცედურასთან დაკავშირებით დგება ერთი ფრიად საინტერესო საკითხი; როგორც აღნიშნულია, დღეს ხელთა გვაქვს ამ ხელშეკრულების რამდენიმე ვარიანტი, რომლებიც ძირითადად ერთნაირად აფიქსირებენ მოვლენებს, მაგრამ არის ზოგი განსხვავება, რომელთაგან, ეფიქრობ, ჩვენი ამჟამინდელი ინტერესიდან გამომდინარე, ერთი გარემოება იმსახურებს ყურადღებას. სახელდობრ, როდესაც ქართლის ერისმთავრის ელჩი ჰაბიბ იბნ მასლამას ეახლა, ბალაძორთან დაცული ტექსტის თანახმად, „მოვიდა ჰაბიბთან მოციქული ჯურზანის პატრიკიოსისა და მისი ხალხისა და მისცა მას მათი წერილი და სთხოვა წიგნი ზავისა და შეუვალობისა მათთვის და დაუწერა ჰაბიბმა მათ: „და შემდეგ“ ჰეშმარიტად ნიკოლა,[1] მოციქული თქვენი, წარმომიდგა მე და იმ მორწმუნეებს, რომლებიც მახლავან მე და მოგვახსენა თქვენგან, რომ ჩვენ ვართ ხალხი, რომელსაც ალ-ლაჰმა მიანიჭა პატივი და დააწინაურა. ამგვარად მოიმოქმედა ალ-ლაჰმა, დიდება მას მრავლად“.[2] ეს ადგილი, სახელდობრ ქართველი მოციქულის მიერ გადმოცემული; რომ არაბები ის ერია, რომელიც განადიდა ალაჰმა და აღმატებულყო, აბუ უბეიდას, იაყუთის და იბნ ზანჯუვაითის თხზულებებში, მცირეოდენი განსხვავებების გარდა, ერთნაირადაა წარმოდგენილი, ყველგან აღნიშნულია, რომ ქართველთა მოციქული მოწიწებით მიმართავს არაბთა სარდალს და არაბებს, ალაჰისაგან განდიდებულ და აღმატებულ ხალხად თვლის. „თუფილამ ... თქვენი სახელით თქვა: ჩვენ ვართ ხალხი, რომელსაც ალაჰმა მიანიჭა სიცოცხლე და განადიდა. ამგვარად მოგვეპყრო ჩვენი ალაჰი სიბეჩავის, სიმცირისა და უმეცრების შემდეგ;[3] იაყუთი წერს: „ მოგვახსენა თქვენი სახელით, რომ თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ ვართ ხალხი, რომელიც განადიდა

---

1 ბალაძორთან არის „ნკლ“, რაც შეიძლება გაიხსნას როგორც „ნიკოლა“; ტაბარის ტექსტში არის „თფლ“, ვარაუდობენ, რომ აქ უნდა იყოს „თეოფილე“ (იხ. მ. ლორთქიფანიძე, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“, გვ. 63 და შენ. 5, გვ. 64, აგრეთვე, ბ. სილაგაძე, მით. ნაშრ., გვ. 57). როგორც ჩანს, უნდა იყოს „თეფალე“, იხ. ლ. ჭილაშვილი, მუზეუმის „ბოამბე“, №23.

2 იხ. მ. ლორთქიფანიძე, მით. თარგმანი, გვ. 63.

3 ო. ცქიტიშვილი, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ აბუ უბეიდას თხზულებაში, მით. გამოც., გვ. 194.

ალაპმა და აღმატებულჰყო";[1] იბნ ზანჯუვაითი წერს: თქვენი წარმომადგენელი თუფალა მოვიდა ჩემთან და ჩემს თანამორწმუნეებთან და თქვენი სახელით თქვა: ჩვენ ვართ ხალხი, რომელსაც ალაპმა მიანიჭა სიცოცხლე და განადიდა, ამგვარად მოგვეპყრო ჩვენი ალაჰი სიბეჩავის, სიმცირისა და უმეცრების შემდეგ.[2] როგორც ვხედავთ, ტექსტის ყველა ვარიანტში ერთნაირად (ზოგი უმნიშვნელო დეტალის გარდა) იკითხება ქართველთა მიმართვაში, რომ არაბები არიან ის ხალხი, რომელიც ალაპმა განადიდა. განსხვავებითაა ეს ადგილი წარმოდგენილი ტაბარისეულ ვარიანტში, სახელდობრ: „მოვიდა ჩვენთან თქვენი მოციქული თფლნ, მოგვიტანა ამბავი თქვენგან და გადმოგვცა, რაც გამოგზავნეთ, და გადმოგვცა თფლამ თქვენგან (ე. ი. თქვენი ნათქვამი), რომ ჩვენ არ ვყოფილვართ ხალხი (ერი) თქვენ რომ მიგაჩნიათ (ისეთი) და ამგვარი ვიყავით, ვიდრე არ წარგვიძღვა ალაპი სწორი გზით.[3] ეს განსხვავება მისთვის ცნობილ ორ (ბალაძორისა და ტაბარის) ვარიანტებს შორის შემჩნეული აქვს ბ-ნ ივანე ჯავახიშვილს.[4] მისი აზრით, ტაბარისეული „უფრო წესიერად არის დაწერილი და აქ პირვანდელი, არაბთა ეპისტოლეების ჩვეულებრივი სახე უკეთ უნდა იყოს შენახული; თუმცა არც პირველშია რაიმე ეჭვის აღმძვრელი".[5] ამ საკითხზე არსებობს ბ-ნ პ. თოფურიას მოსაზრება. იგი განიხილავს VII ს-ის ქართული ეროვნული სულისკვეთების, მაღალი ეროვნული თვითშეგნების დამადასტურებელ ფაქტებს, ამასთანავე აღნიშნავს, რომ იმდროინდელმა ქართველებმა კარგად იცოდნენ, თუ ვინ იყვნენ არაბები, განვითარების რა დონეზე იმყოფებოდნენ, რა მოუტანა მათ ისლამმა და სხვ. და ამიტომ მართებულად მიაჩნია ტაბარისეული ტექსტის მიმართვის ფორმულა; ელჩი, რომელიც სახელმწიფოს ხელისუფლების სახელით მოქმედებს, არაბებს ეუბნება: „რომ ჩვენ (ე. ი. არაბები) არ ვყოფილვართ ის ერი, როგორიც თქვენ გგონიათ" და შემდეგ არაბთა წარმომადგენელი თავს იმართლებს. „ამგვარად ვიყავთ ჩვენ, ვიდრე ალაჰი, ძლიერიმც არს იგი და დიდებული, არ წარგვიძღვა" და პ. თოფურია ასკვნის „ტაბარის განხილული ცნობაც აშკარად მიგვანიშნებს, რომ VII ს. პირველ ნახევარშიაც მძლავრად აქვს ფესვი გადგმული ქართველთა ეროვნულ თვით-

---

1 ე. სიხარულიძე. იაკუთის ცნობები ამიერკავკასიის შესახებ. თბ., 1969.
2 ო. ცქიტიშვილი. მაცნე. ისტორიის _ სერია, 2. 1991. გვ. 105.
3 არაბული ტექსტის (კაიროს 1970 წლის გამოცემით) და ქართული თარგმანის მოწოდებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ ბ-ნ გ. ჯაფარიძეს.
ივ. ჯავახიშვილი. ქართული ერის ისტორია, II, გვ. 73.
იქვე. II. გვ. 74.

შეგნებას, ასე ძალუმად რომ გამოვლინდა მომდევნო საუკუნეების საქართველოში".[1]

მაგრამ ამჯერად ჩვენ საკითხის სხვა მხარე გვაინტერესებს. ვფიქრობთ, ის ფორმულა, რომლითაც ქართველთა მოციქული კარს მომდგარი ძლიერი მტრის სარდალს მიმართავს, შემთხვევითი არაა. „დაცვის სიგელის" ჩვენთვის ცნობილ ყველა ვარიანტში (აბუ უბეიდა, ბალაძორი, იაყუთი, იბნ ზანჯუვაითი), გარდა ტაბარისა, ეს ფორმულა დაახლოებით ერთნაირადაა წარმოდგენილი, სახელდობრ, რომ არაბებია ის ხალხი, რომელიც ალაჰმა განადიდა. სრულიად ბუნებრივია, რომ ამ ეტაპზე არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაზე უარის თქმის ვითარებაში, რაც არსებული მდგომარეობის რეალურმა შეფასებამ გამოიწვია, ქართლის მმართველ წრეებში შემუშავებულიყო არაბთადმი მიმართვის საგანგებო ფორმულა, რაც განაწყობდა მათ ქართველთადმი მშვიდობიანი დამოკიდებულებისათვის. ეს იყო დიპლომატიური სვლა, შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით თავის დასაღწევად. ვფიქრობთ, ამ დიპლომატიურ ნაბიჯს თავისი ახსნა აქვს. ამავე მიზანს ისახავდა ის ძღვენი, რაც დამპყრობთ მიართვეს. ქართველი ხალხი ყოველთვის იბრძოდა უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ და ყოველთვის იყენებდა ბრძოლის იმ მეთოდებსა და ხერხებს, რაც კონკრეტულ ისტორიულ პირობებში უფრო გამართლებული იყო. როგორც კი სახელმწიფოში დაიწყო სამოქალაქო ომი, გართულდა ვითარება, ქართლი აღარ ასრულებდა „დაცვის სიგელით" ნაკისრ ვალდებულებას.

60-იანი წლებიდან ომაიანთა საგვარეულოს ხანგძლივი დინასტიური ხალიფობის ხანა დადგა. მუავიამ (661-668) ურჩთა მიმართ მკაცრი ზომების გატარება დაიწყო, მაგრამ კავკასიაში სტაბილური მდგომარეობა დიდხანს ვერ დამყარდა. 60-იანი წლებიდან ქართლში ვითარება გართულდა, აქ ერთმანეთს სამი ძალა დაუპირისპირდა: სახალიფო, ბიზანტია, ხაზარები. აქ იდგა კავკასიონის გადასასვლელების პრობლემა, ხაზარები თავს იცავდნენ არაბთაგან, თავს ესხმოდნენ ამიერკავკასიის ქვეყნებს. ქართველი ხალხი სამი მხრით იჭნევდა ხმალს. VII ს-ის 80-იანი წლებიდან არაბები საგრძნობლად გააქტიურდნენ, ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ „დაცვის სიგელით" ნაკისრი ვალდებულებების დაცვას. ისინი დასავლეთ საქართველოშიც გადავიდნენ, სადაც ეგრისის მმართველი სერგი ბარნუკის ძე აუჯანყდა ბიზანტიელებს და არაბებს დამორჩილდა. VIII ს-ის დასაწყისში ზოგიერთი ზღვისპირა ციხის გარდა მთელი დასავლეთი საქართველო მათ ხელში იყო. 705-711

---

[1] ბ. თოფურია. ქართველთა ეროვნული თვითშემეცნების ისტორიიდან. ტაბარის ინტერპრეტაცია. „ცისკარი", 1984. №5.

წლებში ეგრისის დედაქალაქი ციხეგოჯიც მათ ეკავათ, აგრეთვე ციხეები კოდორის ხეობაში.[1] არაბთა მიერ ამიერკავკასიის საბოლოო დაპყრობა VIII ს-ის პირველ ნახევარში განხორციელდა. VIII ს-ის დამდეგს ისინი თბილისში ისხდნენ, რასაც მათ მიერ 704-705 წლებში მოჭრილი მონეტაც ასაბუთებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება 723-724 წლებში დიდ დამსჯელ ექსპედიციას ჯარაჰის სარდლობით, რომლის მიზანი ქართლის მიერ „დაცვის სიგელით" ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება და ჩრდილოკავკასიელ ხაზართა დასჯა იყო. ქართლის მოსახლეობამ მას ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ გაცემული „დაცვის სიგელი" წარუდგინა, რომელიც ჯარაჰმა განაახლა, შეცვალა და დაუმატა ზოგი მუხლი და ფაქტობრივად აღადგინა ურთიერთობის ძველი ფორმა. ზურგში მდგომარეობის გამაგრების შემდეგ მან ჩრდილო კავკასიაში გაილაშქრა, სადაც ხაზარებთან ბრძოლაში დაიღუპა.[2] ამის შემდეგ არაბთა რამდენიმე ლაშქრობამ დამპყრობლებს სასურველი შედეგი რომ ვერ მოუტანა, აქ დიდი დამსჯელი ექსპედიცია იქნა გამოგზავნილი მერვან იბნ მუჰამედის, საქართველოში მურვან ყრუს სახელით ცნობილი სარდლის მეთაურობით. საქართველოში ამ ლაშქრობამ მძიმე შედეგები დატოვა. მან დალაშქრა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო. ამის შემდეგ (735-736) აქ დიდი ხნით დამყარდა არაბთა მფლობელობა და, როგორც ჩანს, მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ დაინიშნა აქ ხალიფას მოხელე ქართლის ამირა, რომლის რეზიდენციაც თბილისში იყო.[3] ამის შემდეგ იცვლება არაბ-ქართველთა ურთიერთობის ხასიათი. ამ დროიდან სახალიფოს ხელისუფლება მთელ აღმოსავლეთ საქართველოზე ვრცელდება, თბილისში და აღმოსავლეთ საქართველოს მრავალ ციხე-ქალაქში (რუსთავი, დმანისი, ხუნანი...) არაბთა სამხედრო გარნიზონები

---

1 ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, გვ. 362-369.

2 იქვე, გვ. 371.

3 ამ მოვლენების შესახებ საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, სათანადო განაკვეთები, ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, მ. ლორთქიფანიძე, თბილისის საამიროს ისტორიიდან, იიშ, „მიმომხილველი", II, 1954; А. Богверадзе, Арабские завоевания и борьба против арабов в VII-VIII вв., Очерки истории Грузии, II, 1988; М. Лордкипанидзе, Тбилисский эмират, Очерки истории Грузии, II, და სხვ. ბ. სილაგაძის დასახელებულ ნაშრომში საგანგებო განაკვეთები ეძღვნება ამ პერიოდის არაბ-ქართველთა ურთიერთობას, იმ დიდ ბრძოლებს, რასაც კავკასიაში ჰქონდა ადგილი. რიგი საკითხებისა ახლებურად არის გაშუქებული. ამჯერად ამ საკითხებზე დაწვრილებით მსჯელობისაგან თავს ვიკავებთ. რაც შეეხება ქართულ წყაროს, სახელდობრ ჯუანშერის ცნობილ თხზულებას, რომელშიც მურვან ყრუს ლაშქრობა არაბთა პირველ შემოსევადაა წარმოდგენილი, იქნებ ეს იმით აიხსნება, რომ VII ს-ის 40-იანი წლებიდან დაწყებული არაბთა ხელისუფლების დასამყარებლად წარმოებულმა ბრძოლამ ამ ლაშქრობამდე სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, რამაც შექმნა ის დამოკიდებულება, რაც ქართულ წყაროშია წარმოდგენილი.

დგას, რომელთა ციხისთავები ქართლის (თბილისის) ამირას ექვემდებარებიან. ამირას კარზე არაბ მოხელეთა რთული აპარატი მოქმედებს, რომელიც უზრუნველყოფს დამპყრობთა მდგომარეობას, ურთიერთობას ხალიფას კართან. მაჰმადიანური მოსახლეობა მრავლდება, იგება მეჩეთები, თბილისში არაბი ყადი ზის. ყალიბდება ვაკუფის მიწების ინსტიტუტი და სხვ. აღმოსავლეთი საქართველო სახალიფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულია, რომელსაც არაბები ჯურზანს უწოდებენ.

VIII საუკუნის შუა წლებიდან სახალიფოში ახალი დინასტიის, აბასიანთა (750 წ.) დამკვიდრებას რეჟიმის დამძიმება, საგადასახადო სისტემის გართულება, დაპყრობილ ხალხთა მიმართ დამოკიდებულების გამკაცრება მოჰყვა, რამაც, თავის მხრივ, ბიძგი მისცა დაპყრობილ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას. როგორც ცნობილია, VIII საუკუნის დასასრულისა და IX საუკუნის დასაწყისისათვის არაბთა მფლობელობაში ამირას ხელისუფლების ქვეშ მხოლოდ ქართლი იმყოფებოდა, ამავე ხანაში შიდა ქართლიც გამოითიშა და მხოლოდ ქვემო ქართლი დარჩა თბილისითურთ. დაიწყო არაბთა სახალიფოს დაშლის პროცესი, რამაც კანონზომიერი გამოხატულება პოვა თბილისის საამიროშიც და IX საუკუნის დასაწყისიდან იწყება თბილისის ამირების აქტიური ბრძოლა სახალიფოს ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, ამირათა ხელისუფლების მემკვიდრეობით ინსტიტუტად გადაქცევისათვის. ხალიფების ხელისუფლებასა და თბილისის ამირებს შორის ბრძოლა ცვალებადი შედეგებით მიმდინარეობდა. ქართველი მეფე-მთავრები, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ჯგუფდებიან ამ ორი მაჰმადიანური ძალის გარშემო. IX ს-ის 80-იანი წლებისათვის თბილისში, ჯაფარიან ამირათა დინასტიის დამკვიდრებით, საამირო ფაქტობრივად სახალიფოს ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ ერთეულად იქცევა, X ს-ის 40-იანი წლებიდან საამირო ფორმალურადაც დამოუკიდებლობას აცხადებს და აღიარებს ბაღდადის ხალიფათა მხოლოდ რელიგიურ უზენაესობას.[1]

როგორც არაერთგზისაა აღნიშნული, ქართველ ხალხს არაბთა ბატონობა (ისევე როგორც ყველა სხვა დამპყრობთა) უბრძოლველად არ მიუღია. ურთიერთობის სხვადასხვა ეტაპზე ბრძოლა სხვადასხვა ფორმითა და მეთოდებით წარმოებდა. ქართველი ხალხი იბრძოდა ხმლით, კალმით, მიმართავდა სხვადასხვა დიპლომატიურ სვლას, ცდილობდა სა-

---

აღნიშნული მოვლენები დაწვრილებითაა განხილული არაბ-ქართველთა ურთიერთობების საკითხებისადმი მიძღვნილ ზემოთ დასახელებულ გამოკვლევებში, რომელთა შედეგები შეჯამებული და გაანალიზებულია ძირითადად — "Очерки истории Грузии", ტ. II. გვ. 339-354.

ხალიფოსა და ბიზანტიას, არაბებსა და ხაზარებს შორის არსებული წინააღმდეგობები თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლას ქვეყნის საუკეთესო შვილები ეწირებოდნენ. მათი ნაწილის სახელები შემოგვინახა ისტორიამ.

VIII ს-ის 70-იან წლებში მთელს ამიერკავკასიაში არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმული ჩანს ქართლის ერისმთავარი ნერსე. მართალია, აბო თბილელის მარტვილობის აღმწერი იოანე საბანისძე ცდილობს, ისეთი სურათი დახატოს, თითქოს ნერსე მხოლოდ ბოროტ კაცთა შესმენის მსხვერპლია, მაგრამ მისივე თხზულებიდან კარგად ჩანს, რომ ნერსე ცდილობს, კავშირი დაამყაროს არაბთა მოწინააღმდეგე ხაზარებთან.[1] იოანე საბანისძეს მთავარი მიზანი საკითხის იდეოლოგიური მხარის და არაბთა მკაცრი რეჟიმის წარმოჩენაა. მაგრამ ისიც კარგად ჩანს, რომ არაბები მხოლოდ რჯულით ისმაიტელთ, საკუთარი რწმენის მოღალატეთ სჯიან სიკვდილით, რომ მათი მფლობელობის დროს თბილისში ქრისტიანული ეკლესიები მოქმედებენ, რომ თბილისის მოსახლეობა ძირითადად ადგილობრივ ქართველ ქრისტიანთაგან შედგება, რომ აბო მხოლოდ იმიტომ ისჯება, რომ ის წარმოშობით არაბი მაჰმადიანია და სხვ. აბო უნდა იყოს მაგალითი იმ ქართველ ქრისტიანთათვის, რომელნიც ისმაიტელთა ბატონობის პირობებში მერყეობენ.[2] ქართველთაგან დამპყრობნი მხოლოდ იმათ სჯიან, ვინც იარაღით ხელში ებრძვის მათ (დავით და კონსტანტინე, კონსტანტი-ყახა, მიქელ-გობრონი), ან უარს ამბობენ მათთან თანამშრომლობაზე (არჩილი). თითქოს ურთიერთობის ახალი ფორმა ყალიბდება. დამარცხებულ და მათ ხელში ჩავარდნილ, მათ წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ მეფე-მთავრებს არაბები ისლამის მიღებას და თანამშრომლობას სთავაზობენ და უარის შემთხვევაში სიკვდილით სჯიან მათ.[3] აღსანიშნავია, რომ ქართველი მეფე-მთავრები დამპყრობელთა სამსახურზე უარს არ ამბობენ, ისინი მხოლოდ სარწმუნოებას ვერ (თუ არ?) ღალატობენ. ასეთ მოღვაწეთ წმინდანებად შერაცხავდნენ. მათივე ცხოვრება თუ წამება მალე აღიწერებოდა და ეკლესიაში შეკრებილ მრევლს მათი ხსენების დღეს უკითხავდნენ.

---

1 იოანე საბანისძე. აბო ტფილელის მარტვილობა. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, 1964, გვ. 55-58.

2 იქვე.

3 იხ. დავით და კონსტანტინეს მარტვილობა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია, I. თბ., 1946. გვ. 233-240; ლეონტი მროველი, არჩილის წამება, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 245-248; ცხოვრება და წამება კონსტანტისი ქართველისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, გვ. 168-170; სტეფანე მტბევარი, წამებაჲ გობრონისი, I, გვ. 180-182.

ეს იყო დამპყრობთა წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლის ფრიად მნიშვნელოვანი ფორმა.

ქართველი ხალხის ბრძოლა არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ორგანიზებულ ხასიათს იღებს, რადგან თბილისში და ქართლის ცენტრალურ ნაწილში არაბთა ხელისუფლება შედარებით მტკიცე იყო, ბრძოლა ცენტრიდან მოშორებულ რეგიონებში, კახეთის მთიანეთში, სამცხე-ჯავახეთში დაიწყო. ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა VIII საუკუნის დასასრულსა და IX საუკუნის დასაწყისში.

VI თავი. ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში. საშინაო დიპლომატია (IX ს. და X ს-ის I ნახევარი)

VIII ს-ის მანძილზე და IX ს-ის დამდეგს, როგორც ცნობილია, არსებითად შეიცვალა საქართველოს პოლიტიკური რუკა. უცხოელ დამპყრობთა უღელქვეშ დაქუცმაცებულ რეგიონებში დაიწყო ქართული ქვეყნების გაერთიანების პროცესი. ქართლ-იბერიისა და ეგრის-ლაზიკის ნანგრევებზე ცალკეული ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოქმნა, პირველ რიგში, რასაკვირველია, გამოწვეული იყო ძირეული ხასიათის ცვლილებებით ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, მაგრამ აღნიშნულ პოლიტიკურ ერთეულთა აღმოცენება-ჩამოყალიბების პროცესზე დიდი გავლენა იქონია საგარეო პოლიტიკურმა ფაქტორებმა, კერძოდ, კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებმა. კახეთის სამთავროს ჩამოყალიბება ხდებოდა არაბ დამპყრობლებთან შეურიგებელი ბრძოლის ვითარებაში.[1] ჰერეთის მმართველები წანარ-კახელთა საპირისპირო კურსს ატარებდნენ და ცდილობდნენ მაქსიმალურად თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ კახეთ-არაბების ანტაგონიზმი.[2] ასევე არაბ ამირასთან წინააღმდეგობების გამწვავებამ აიძულა ქართლის ერისმთავარი — აშოტ ბაგრატიონი — გაქცეოდა არაბებს და საფუძველი ჩაეყარა ახალი ქართული სახელმწიფოსათვის შავშეთ-კლარჯეთში, რომელმაც შემდგომ „ქართველთა" სამეფოს სახელწოდება მიიღო. ეს პოლიტიკური აქტი ბიზანტიის იმპერიის მფარველობითა და მხარდაჭერით განხორციელდა.[3] თავდაპირველად ასევე ბიზანტიის მხარდაჭერითა და მფარველობით მოხდა ეგრისში დამკვიდრებული ქართლის ერისმთავრების ირგვლივ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიული გაერთიანება, თუმცა უშუალოდ „აფხაზთა" სამეფოს — დასავლურ-ქართული სახელმწიფოს საბოლოო გაფორმებას VIII ს-ის მიწურულს

---

1 მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 78; მისივე, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა — „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. II, თბ., 1973, გვ. 380-381, 382, 585; თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1982, გვ 158.

2 მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური..., გვ. 176; მისივე, ახალი ფეოდალური..., გვ. 405, 409, შდრ. თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970, გვ 173-191.

3 С. Н. Джанашия, Об одном примере искажения исторической правды. По поводу кн. Н. Токарского: "Архитектура древней Армении", Тб., 1947, გვ. 20; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური..., გვ. 173; მისივე, ახალი ფეოდალური..., გვ. 449, 462-463.

მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბიზანტია-ხაზარეთის დაპირისპირებამ, რომლითაც ისარგებლა აფხაზეთის მთავარმა ლეონ II-მ. მან ხაზართა ხაკანის დახმარებით უარყო ბიზანტიის იმპერატორის უზენაესობა და თავი დამოუკიდებელ ხელმწიფედ გამოაცხადა.[1]

IX ს-ის დამდეგისათვის, როდესაც პრაქტიკულად დასრულდა ცალკეული ქართული სამეფო-სამთავროების ფორმირების პროცესი, კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში საერთო პოლიტიკურ კლიმატს უწინდებურად ბიზანტიის იმპერია და არაბთა ხალიფატი ქმნიდნენ. მესამე პოლიტიკური ძალა — ხაზართა ხაკანათი, რომელიც VII-VIII საუკუნეებში აქტიურად ერთვებოდა რეგიონში მიმდინარე პროცესებში და, დროდადრო ახერხებდა კიდეც გარკვეული კორექტივების შეტანას ძალთა განლაგებაში, უკვე ვერ ამჟღავნებდა ძველებურ დაინტერესებას და თანდათანობით, ფაქტობრივად, ეთიშებოდა ბრძოლას გავლენის სფეროების მოპოვებისათვის ამიერკავკასიაში. ამდენად ახლადაღმოცენებული ქართული სახელმწიფოების დიპლომატიური საქმიანობის უმთავრეს ორიენტირებად კონსტანტინოპოლი და ბაღდადი რჩებოდა. სწორედ მახლობელი აღმოსავლეთის ამ ორი ცენტრის გაუთავებელი მეტოქეობა განსაზღვრავდა ქართული ქვეყნების საგარეო-პოლიტიკურ კურსს მათი ისტორიის ამ მონაკვეთზე. ქართველთა საკუროპალატოს ფუძემდებელი აშოტ ბაგრატიონი, როგორც უკვე აღინიშნა, აქტიურ ანტიარაბულ პოლიტიკას ატარებდა და საკმაო წარმატებებსაც კი მიაღწია ამ მიმართულებით არა მხოლოდ შიდა ქართლში, რომელიც ფაქტობრივად წაართვა თბილისის არაბ ამირას და მის მოკავშირეს გრიგოლ კახეთის ქორეპისკოპოსს,[2] არამედ შესაძლოა, თავისი გავლენა ბარდავამდეც კი განავრცო,[3] რითაც სერიოზული პრეტენზია განაცხადა ამიერკავკასიის მასშტაბით ლიდერობაზე.[4]

С. П. Джапаридзе. О времени и условиях возникновения Абхазского царства, „შრომები", ტ. II, თბ., 1952, გვ. 330; З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, Сухуми, 1959, გვ. 96; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს..., გვ. 185; მისივე, ახალი ფეოდალური სამთავროების..., გვ. 418.

2 მატიანე ქართლისა. — ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 252-253; М. Д. Лордкипанидзе, Образование грузинской феодальной монархии, "Очерки истории Грузии", т. II, Тб., 1988, გვ. 357.

სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა..., „ქართლის ცხოვრება", ტ. I, თბ., 1955, გვ. 377; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, თბ., 1954, გვ. 50-52; М. Д. Лордкипанидзе, Возникновение новых феодальных государств, "Очерки истории Грузии", т. II, Тб., 1988, გვ. 309-310; ა. აბდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, თბ., 1988, გვ. 140.

ა. აბდალაძე, ამიერკავკასიის..., გვ. 141.

წყაროები არაფერს იტყობინებიან იმის თაობაზე, თუ რამდენად იყო შეთანხმებული ბიზანტიის ხელისუფლებასთან აშოტ კუროპალატის ასეთი ფართო მასშტაბიანი სამხედრო კამპანია, მაგრამ, ცხადია, რომ ეს წარმატებები სავსებით მოსაწონი იქნებოდა კონსტანტინოპოლისათვის, რომლისთვისაც ამ ეტაპზე სწორედ აშოტი წარმოადგენდა ყველაზე სანდო პარტნიორსა და მთავარ დასაყრდენ ძალას ამიერკავკასიაში. ამ ფონზე რამდენადმე გაუგებარი მოჩანს „აფხაზთა" დაახლოება ტაოკლარჯეთის ხელისუფალთან და მისი მონაწილეობა გრიგოლ ჭორეპისკოპოსისა და თბილისის ამირას წინააღმდეგ სამხედრო აქციებში. ერთი შეხედვით, „აფხაზთა" სამეფო კარისათვის თითქმის მიუღებელი უნდა ყოფილიყო ბიზანტიის გავლენის სფეროების შემდგომი გაფართოება და ისეთი აქციებისათვის მხარის დაჭერა, რომლებიც, ძირითადად, იმპერიის ინტერესებს შეესაბამებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, IX ს-ის I ნახევრის რომელიღაც მონაკვეთზე, შესაძლებელია, მოხდა ბიზანტია — „აფხაზთა" სამეფოს ურთიერთობების დროებითი ნორმალიზაცია, არაა გამორიცხული, რომ ამ საქმეში პოზიტიური როლი შეასრულა აშოტ ბაგრატიონმა, რომლის სიძეც იყო თევდოსი — „აფხაზთა" მეფე.[1] ამასთან „აფხაზთა" სამეფოს ბიზანტიისაკენ „მობრუნება" ალბათ ხალიფატის მხრიდან საშიშროების ზრდამაც განაპირობა. როგორც ზოგიერთი ბიზანტიელი ავტორის მონაცემებიდან ირკვევა, 832 წელს[2] ბიზანტიელებმა აფხაზეთში სარკინოზების წინააღმდეგ აჯანყებული „აფხაზების" დასახმარებლად გაგზავნეს საზღვაო ექსპედიცია, რომელმაც მარცხი განიცადა.[3] მაგრამ, ეტყობა, „აფხაზთა" სამეფოს ურთიერთობა იმპერიასთან მალე კვლავ დაიძაბა. 843-844 წლებში ბიზანტიელებმა ამჯერად უკვე საკუთრივ „აფხაზების" წინააღმდეგ მოაწყვეს საზღვაო ექსპედიცია, რომელიც ასევე კრახით დასრულდა.[4]

IX ს-ის შუა ხანებში სამეფო-სამთავროები ჩაერთვნენ ხალიფატის ცენტრალურ ხელისუფლებასა და თბილისის საამიროს შორის ამტყდარ კონფლიქტში. თბილისის ამირას სეპარატისტული მისწრაფებები ჯერ კიდევ IX ს-ის დამდეგიდან გამოიკვეთა. ბაღდადის ხელისუფლება იმთავითვე შეეცადა აღეკვეთა თბილისის ამირათა თავნებობა და მთელი რი-

---

მატიანე ქართლისა. გვ. 252; З. В. Анчабадзе, Из истории.., გვ. 122.

2 თეოფანეს გამგრძელებელი, — „ჯეორგიკა". ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. IV. ნაკვ. II. თბ., 1952. გვ. 327; М. Д. Лордкипанидзе, Возникновение.., გვ. 296.

თეოფანეს გამგრძელებელი.., გვ. 327.

თეოფანეს გამგრძელებელი.., გვ. 328-329. В. Анчабадзе, Из истории.., გვ. 137.

გი ღონისძიებები გაატარა ამ მიმართულებით.[1] თბილისის ამირათა კონტრაგენტებად ამ ბრძოლაში სისტემატურად გამოდიოდნენ კახეთის ქორეპისკოპოსები, რომელთა მთავარი მიზანი იყო ქართლის დაუფლება. საერთოდ წანარ-კახთა ენერგიულმა ბრძოლამ ძლიერ შეაწუხა სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც იძულებული შეიქნა, რამდენიმე ექსპედიცია მოეწყო კახეთ-სანარიაში.[2] თბილისის ამირასა და ბაღდადს შორის კონფრონტაციამ აპოგეას მიაღწია IX ს-ის 50-იანი წლების დამდეგს, როდესაც ხალიფა მუთავაქილმა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გამოგზავნა ახალი დამსჯელი ექსპედიცია ბუღა-თურქის სარდლობით, რამაც მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით უმწვავესი კრიზისი გამოიწვია. თბილისის ამირას საჰაკ იბნ ისმაილის მთავარ მოკავშირედ კვლავ კახეთის საქორეპისკოპოსო მოგვევლინა. ბუღა-თურქს დაუპირისპირდნენ აგრეთვე გუარამ მამფალი, რომელიც მამამისის — აშოტ ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ ანტიარაბული ფრონტის ერთგვარ ორგანიზატორადაც იქცა ამიერკავკასიაში[3] და სომეხთა ერისთავი აბულაბაზი — იგივე სომხეთის მთავარი სმბატ ბაგრატუნი.[4] ეს უკანასკნელი, მართალია, აშკარად, ვერ ბედავდა ბუღა-თურქის წინააღმდეგ გამოსვლას, მაგრამ ფარულად, როგორც ჩანს, აქტიურ ანტიარაბულ საქმიანობას ეწეოდა.[5] არაბთა საექსპედიციო ჯარს წინ აღუდგა „აფხაზთა" მეფე თეოდოსი.[6] ქართველი მეფე-მთავრებიდან ბუღას მხარეზე აქტიურად გამოვიდა მხოლოდ ბაგრატ აშოტის ძე, რომელმაც ზირაქ სპასალართან ერთად დაამარცხა კუერცხობს მდგარი „აფხაზთა" მეფის ლაშქარი და გააქცია ის იქიდან.[7]

ამრიგად, ბუღა-თურქის ლაშქრობის დროს ნათლად გამოიკვეთა ის წინააღმდეგობები, რომლებიც არ აძლევდნენ საშუალებას ქართველ მეფე-მთავრებს, გამოემუშავებინათ საერთო პოლიტიკური კურსი და ერ-

---

1 მ. ლორთქიფანიძე, თბილისის საამიროს ისტორიიდან, — „მიმომხილველი", II, თბ., 1951, გვ. 185-200; ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა საქართველოში (არაბული ცნობების მიხედვით), თბ., 1991, გვ. 138-146.

2 დაწვრილებით იხ. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან (კახეთის სამთავრო (VIII-XI სს.) — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1954, ნაკვ. 31, გვ. 40-44, თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო., გვ. 172-178.

3 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 74, მ. ლორთქიფანიძე, ახალი., გვ. 473; ალ. აბდალაძე, ამიერკავკასიის., გვ. 57.

4 მატიანე ქართლისა., გვ. 256.

5 თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო., გვ. 181; ალ. აბდალაძე, ამიერკავკასიის., გვ. 57-58.

6 В. Анчабадзе, Из истории.., გვ. 141-142; ელ. ცაგარეიშვილი, საქართველოში ბუღა-თურქის ლაშქრობის საკითხისათვის, — „მაცნე", №4, 1968, გვ. 110-112.

7 მატიანე ქართლისა., გვ. 256.

თიანი ფრონტით გამოსულიყვნენ საგარეო საფრთხის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში თითოეულ ქართულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა. „აფხაზთა“ სამეფოს აქტიური გამოსვლა ხალიფატის წინააღმდეგ განპირობებული იყო მისწრაფებით, თავი დაეღწია ერთდროული საარაბო გადასახადისაგან, რომელსაც ის, შესაძლოა, იხდიდა ამ პერიოდში.[1] გარდა ამისა, არაა გამორიცხული, რომ „აფხაზთა“ მეფე გამარჯვების შემთხვევაში მოითხოვდა გარკვეულ წილს „ქართლის მემკვიდრეობიდან“. ქართლის დაუფლების სურვილმა უბიძგა ბაგრატ კურაპალატს, შეერთებოდა ბუღა-თურქს. როგორც „მატიანე ქართლისას“ მასალებიდან ირკვევა, ბაგრატ კურაპალატი ამ დროს საკმაოდ ნაყოფიერად თანამშრომლობდა ხალიფატის წარმომადგენლებთან და ცალკეულ შემთხვევებში მარჯვედ იყენებდა მათ ბრძოლაში „ქართლსა ზედა“, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, 842 წლის ახლო ხანებში,[2] როდესაც არაბმა სარდალმა მოჰამედ ხალიდის ძემ მისთვის აღმოჩენილი დახმარებისათვის „მისცა... ქართლი“ ბაგრატ აშოტის ძეს.[3] გუარამ მამფალი კი, რომელიც არ ეხსნებოდა ბრძოლას პირველობისათვის როგორც ტაო-კლარჯეთში, ისე საქართველო-ამიერკავკასიის მასშტაბითაც, ყველაფერს აკეთებდა თავისი ძმის პოზიციების შესასუსტებლად და ამიტომ მხარს უჭერდა ანტიარაბულ კოალიციას.

ბაღდადის ხელისუფლებამ ბუღა-თურქის ექსპედიციის გაგზავნით საქართველოში 852-854 წლებში ვერ შეძლო დასახული მიზნის მიღწევა და მიუხედავად აქ მოპოვებული ცალკეული სამხედრო წარმატებებისა, ვერ აღადგინა თავისი დიქტატი ამიერკავკასიაზე.[4] IX ს-ის II ნახევრიდან უკვე აშკარად იგრძნობა ხალიფატის გავლენის შესუსტება რეგიონში. ამ ფონზე შეიმჩნევა ბიზანტიის დიპლომატიის ერთგვარი გააქტიურება. სავარაუდებელია, რომ ამ დროს გუარამ მამფალის ფართო ანტიარაბული მოღვაწეობა მხარდაჭერას პოულობს კონსტანტინოპოლში, რაზეც უნდა მეტყველებდეს „მატიანე ქართლისაში“ დაფიქსირებული ინფორმაცია თბილისის ამირა გაბულოცის გუარამის მიერ შეპყრობისა და ბიზანტიაში გაგზავნის შესახებ.[5] საფიქრებელია, რომ იმპერიამ გუარამზე გეზი მას მერე აიღო, რაც ბაგრატ კურაპალატმა ამიერკავკასიაში ხალიფატის გეგმების რეალიზაციაში მიიღო აქტიური მონაწილეობა, რითაც, ეტყობა, კონსტანტინოპოლის განაწყენება გამოიწვია.

---

[1] М. Д. Лордкипанидзе, Возникновение.., გვ. 301; В. Анчабадзе, Из истории.., გვ. 142.

[2] იქვე. გვ. 263, 347; თ. პაპუაშვილი. რანთა და კახთა სამეფო... გვ. 177.

[3] მატიანე ქართლისა... გვ. 255.

[4] М. Д. Лордкипанидзе, Возникновение .., გვ. 301.

[5] მატიანე ქართლისა... გვ. 257.

სწორედ ამ დროიდან გამოიკვეთა გუარამ მამფალის, როგორც საერთო ქართული ლიდერის როლი, რის ერთ-ერთ გამოხატულებად მკვლევრები მიიჩნევენ ქართლის საკათალიკოსო ტახტზე თავისი კანდიდატის დაყენების მცდელობას.[1] უფრო მეტიც, ფიქრობენ, რომ გუარამ ბაგრატიონი მეზობელი სომხური ოლქების დაპატრონებაზეც აცხადებდა პრეტენზიას და სევანის ტბის სანაპიროებზე გაბატონებისაკენ მიისწრაფოდა,[2] თუმცა ამ ეტაპზე მისი ურთიერთობა სომხეთის მმართველთან აშოტ ბაგრატუნისთან, მის ცოლისძმასთან, რომელიც მოგვიანებით — 884-885 წლებში სომეხთა მეფედ იქნა გამოცხადებული,[3] ჯერ კიდევ კონსტრუქციულ ხასიათს ატარებდა.

გუარამ ბაგრატიონის სახლი ინარჩუნებს თავის პოზიციებს მისი მემკვიდრის ნასრას მოღვაწეობის ხანაშიც, რომელიც, როგორც ჩანს, ბიზანტიის ხელისუფლებასთან შეთანხმებულად განაგრძობს მოქმედებას. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა IX ს-ის 80-იან წლებში — „აფხაზთა“ სამეფოში ტახტისათვის ატეხილი შინაომის დროს. პოლიტიკური კრიზისი დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ 60-იანი წლების მიწურულს დაიწყო, როდესაც სამეფო კარზე მოხდა გადატრიალება, რის შედეგადაც ტახტი დაიკავა გარდაცვლილი გიორგი მეფის ქვრივის ფავორიტმა იოანე შალიანმა, ტახტის კანონიერი მემკვიდრე უფლისწული ბაგრატი (გიორგი მეფის ძმისწული) კი კონსტანტინოპოლში აღმოჩნდა.[4] ამ მოვლენებში იმთავითვე ჩართული უნდა ყოფილიყო გუარამის სახლი. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ ახლად გამეფებულმა იოანე შალიანმა თავისი დინასტიური უფლებების განმტკიცება ქუთაისის ტახტზე გუარამის სახლთან დანათესავების გზით მოინდომა და „მოჰგვარა... ძესა თჳსსა ადარნასეს ცოლი, ასული გუარამ აშოტის ძისა“.[5] გარდა ამისა, ეს დინასტიური ქორწინება უდავოდ მიზნად ისახავდა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შეკვრას გუარამის საგვარეულოსთან და მიმართული იყო ტაო-კლარჯეთის ოფიციალური ხელისუფლების — ბაგრატ კურაპალატის სახლის წინააღმდეგ, რომელიც „აფხაზთა“ სამეფოს მთავარ მოქიშპედ რჩებოდა „ქართლსა ზედა“ ბრძოლაში. სავარაუდოა, ყოველივე ამის უკან იდგა ბიზანტიის იმპერია, რომელიც ტაოს ბაგრატიონებს შორის ატეხილ შუღლში, როგორც ჩანს, სულ უფრო გუარამის სახლის მხარეს იხრებოდა.

---

1 ალ. აბდალაძე. ამიერკავკასიის... გვ. 215.

2 R. Grousset. Historie de L'Armenie des origines à 1071. გვ. 392; პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე... გვ. 73-74; ალ. აბდალაძე. ამიერკავკასიის... გვ. 215-216.

ალ. აბდალაძე. ამიერკავკასიის... გვ. 171, 215.

მატიანე ქართლისა... გვ. 258.

იქვე.

მართლაც, ამის შემდეგ ერთბაშად გამწვავდა ურთიერთობა ტაოს ბაგრატიონთა ორ შტოს შორის, რომელიც საკმაოდ ფართო მასშტაბის კონფლიქტში გადაიზარდა. ეტყობა, მაპროვოცირებელი როლი ამჯერად შეასრულა დასავლეთ საქართველოდან თრიალეთში გადმოსულმა და იქ დამკვიდრებულმა ლიპარიტ ბაღვაშმა, რომელმაც თავის სიუზერენად ცნო არა გუარამ მამფალი, რომლის გამგებლობაში შედიოდა თრიალეთი, არამედ მისი ძმისწული დავით ბაგრატის ძე.[1] კონფლიქტში აქტიურად ჩაერთო სომხეთის ხელისუფალი აშოტ ბაგრატუნი, რომელიც დიდი ხანია უმიზნებდა ქართლს და ცდილობდა იქიდან „აფხაზთა" გამოძევებას. „მატიანე ქართლისაის" კონიუნქტურით, აღნიშნული კონფლიქტის მთავარ მონაწილეებად საერთოდ „აფხაზები" და სომხები მოჩანან. „იბრძოდეს სომეხნი და აფხაზნი ქართლსა ზედა".[2] აშოტ ბაგრატუნის პრეტენზიებს ქართლზე იმთავითვე მხარს უჭერდა სახალიფო, რომელმაც, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, აშოტს „სომეხთა და ქართველთა მთავართა მთავრის" ტიტული უწყალობა,[3] რაც, თავისთავად, სომხური დიპლომატიის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. სომეხთა კონტრაგენტებად გამოდიან დავით ბაგრატის ძე და ლიპარიტ ბაღვაში, ხოლო „ნასრა, ძე გუარამისი, და გურგენ იყვნეს აფხაზთა კერძ".[4] „მატიანის" მონაცემებიდან არ ჩანს, თუ როგორ დამთავრდა ეს კონფლიქტი. ვარაუდობენ, გამარჯვება სომხებმა მოიპოვეს.[5] მაგრამ ნასრამ განაგრძო ბრძოლა და მოტყუებით მოკლა დავით ბაგრატის ძე.[6] ამას მოჰყვა ახალი გართულება — „ნასრას შეუკრბეს მტერად სომეხნი, ლიპარიტ და ქართველნი, და აშოტ, ძმა დავითისი, და მათ თანა სარკინოზნი და შეებნეს ნასრას და გააქციეს... და წარვიდა საბერძნეთს წინაშე ბერძენთა მეფისა".[7] ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ხაზგასასმელია კონფლიქტში „სარკინოზების" მონაწილეობა, რომელიც აშკარად უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ტაო-კლარჯეთის ოფიციალურ ხელისუფლებას სომხებთან ერთად ზურგს უმაგრებს ხა-

---

1 ივანე ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, ტ. II. თბ., 1965, გვ. ; М. Д. Лордкипанидзе, Возникновение... გვ. 321.

2 მატიანე ქართლისა... გვ. 259.

3 Г. Г. Микиртумян, Грузинское феодальное княжество Кахети в VIII-XI вв. и его взаимоотношения с Арменией, Ереван, 1983, გვ. 90. ალ. აბდალაძის აზრით, საეჭვოა, რომ ხალიფას ამგვარი ტიტული ებოძებინა აშოტისათვის, თუმცა სავსებით დასაშვებია, რომ 862 წლის შემდეგ მისთვის ქართლზე მეთვალყურეობა მიენდოთ. ალ. აბდალაძე, ამიერკავკასიის... გვ. 172.

4 მატიანე ქართლისა... გვ. 259.

5 З. В. Анчабадзе, Из истории... გვ. 125.

6 მატიანე ქართლისა... გვ. 259.

იქვე

ლიფატიც. ნიშანდობლივია აგრეთვე ისიც, რომ დამარცხებული ნასრა კონსტანტინოპოლში პოულობს თავშესაფარს. ყოველივე აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: საქართველოში IX ს-ის 60-80-იან წლებში ბიზანტია-ხალიფატის ინტერესების მორიგი შეჯახება მოხდა, რომლის დროსაც ერთი ბანაკი („აფხაზთა" მეფე, ნასრა, გურგენი) ბიზანტიაზე დაყრდნობით მოქმედებს, ხოლო მეორე (ბაგრატ კურაპალატის სახლის წევრები, ლიპარიტ ბაღვაში, სომხები) აშკარად ხალიფატის დიპლომატიური და სამხედრო მხარდაჭერით სარგებლობს. ძნელი სათქმელია, თუ რამ განაპირობა პრობიზანტიური დაჯგუფების მარცხი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმპერიის ხელისუფალთა მიერ გატარებულ საგანგებო ღონისძიებებს დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური რეჟიმის შესაცვლელად, უნდა ვივარაუდოთ, რომ კონსტანტინოპოლი ამაში „აფხაზთა" სამეფოს მაშინდელ ლიდერებს ადანაშაულებდა.

როგორც ჩანს, ბიზანტიის ხელისუფლებამ ეშვის ქვეშ დააყენა შავლიანთა სახლის სანდოობა[1] და ქუთაისში მისთვის უფრო მისაღები პოლიტიკური რეჟიმის დამყარება გადაწყვიტა. ამ მიზნით „მოსცა ბერძენთა მეფემან ლაშქარნი და მოგზავნა ზღვით და ნავითა შემოვიდა აფხაზეთად" კონსტანტინოპოლს გახიზნული „ბაგრატ ძე აფხაზთა მეფისა დემეტრესი", რომელმაც „მოკლა ადარნასე, ძე იოვანესი, და დაიპყრა აფხაზეთი. და შეირთო ცოლი მისი ცოლად, ასული გუარამისი".[2] „აფხაზთა" სამეფოში ახალი სახელმწიფო გადატრიალების გეგმის შემუშავებაში, როგორც ჩანს, აქტიურად მონაწილეობდა ნასრა გუარამის ძეც, რომლის მოთხოვნითაც უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება ადანრასეს ცოლყოფილის — ნასრას დის ხელახალი გადედოფლებისა. დასავლეთ საქართველოში ძველი დინასტიის რესტავრაციის შემდეგ ბიზანტიის ხელისუფლებამ მორიგი ნაბიჯი გადადგა დაკარგული პოზიციების აღსადგენად, ამჯერად უკვე ტაო-კლარჯეთში. ბაგრატ აფხაზთა მეფის ინიციატივით გამოხმობილ იქნა კონსტანტინოპოლიდან ნასრა, რომელმაც დასავლეთ საქართველოს ლაშქრის მეშვეობით შეძლო სამცხეში გამაგრება, მაგრამ „ქართუელთა" სამთავროს ახალმა ხელისუფალმა ადარნასე დავითის ძემ, რომელსაც მიეშველნენ გურგენ ბაგრატიონი და სომხები, შეძლო ნასრას დამარცხება: „იძლივნეს აფხაზნი, მოკლეს ნასრა და ბაყათარ, მთავარი ოვსი, და ერისთავი აფხაზთა".[3]

---

1 შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ უკანასკნელი შეტაკების დროს ნასრას გვერდით არც „აფხაზები" იდგნენ და არც გურგენი, რომელსაც მოგვიანებით უკვე ნასრას მოწინააღმდეგეებს შორისაც კი ვხედავთ. მატიანე ქართლისა.., გვ. 261.

2 მატიანე ქართლისა.., გვ. 261.

3. იქვე.

ასე დასრულდა ფეოდალური შინაომის კიდევ ერთი ეტაპი საქართველოში, რომლის შედეგადაც დაემხო ტაოელ ბაგრატიონთა ერთ-ერთი უძლიერესი საგვარეულო — გუარამ მამფალის სახლი, ხოლო „აფხაზთა" მეფემ ვერ აღადგინა კონტროლი ქართლზე. ყოველივე ეს უეჭველად ბიზანტიური დიპლომატიის მარცხი იყო. ასეთ ფონზე უნდა მომხდარიყო ადარნასე ბაგრატიონის „ქართველთა" მეფედ გამოცხადება. არაა გამორიცხული, რომ საერთოდ „ქართველთა" მეფის ინსტიტუტის შემოღება დაკავშირებული იყოს ადარნასე ბაგრატიონისა და მისი მომხრეების ანტიბიზანტიურ კურსთან. ამ თვალსაზრისით, უდავოდ საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ადარნასეს „ქართველთა" მეფედ დადგენის საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღო სომეხთა მეფე სმბატ ბაგრატუნიმ,[1] რომლის უკან სახალიფოს დიპლომატია იდგა. რასაკვირველია, იოანე დრასხანარკერტცი, რომელიც აფიქსირებს სმბატ მეფის მონაწილეობას ადარნასეს კორონაციაში, იჩენს მისთვის დამახასიათებელ ტენდენციურობას და ამ აქტს — ადარნასეს გამეფებას — მხოლოდ სმბატ ბაგრატუნის დამსახურებად თვლის, მაგრამ ეს გარემოება არ უნდა გვაძლევდეს იმის საფუძველს, რომ საერთოდ გამოვრიცხოთ სომეხთა მეფის მონაწილეობა ადარნასეს ტახტზე ასვლის ცერემონიალში.[2] პირიქით, სავარაუდოა, რომ ბიზანტიასთან საკმაოდ დაძიმული ურთიერთობის ფონზე (ეს ნათლად გამოავლინა ბაგრატ კურაპალატისა და გუარამ მამფალის სახლებს შორის ატეხილმა კონფლიქტმა), რომლის დროსაც იმპერია ცალსახად გუარამის სახლის მხარეზე იდგა, ადარნასემ და მისმა მომხრეებმა მარჯვედ გამოიყენეს ხალიფატ-სომხეთის დიპლომატიური მხარდაჭერა და ამით უზრუნველყვეს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი აქტის — ქართველთა საკურაპალატოში მეფობის ინსტიტუტის დამკვიდრების საერთაშორისო აღიარება.[3] ეს უნდა მივიჩნიოთ ადარნასე ბაგრატიონის მოხერხებულ დიპლომატიურ მანევრად და არა სომეხთა მეფის უზენაესობის დემონსტრირებად ტაოს ხელისუფალზე. აღსანიშნავია, რომ იოანე დრასხანაკერტცის თხზულებაში დაფიქსირებულია ამ თვალსაზრისით გაცილებით უფრო მრავლისმეტყველი ფაქტი, საიდანაც აშკარად ჩანს არა სომხეთის მეფის გავლენა ტაოელ ბაგრატიონებზე, არამედ პირიქით, იმავე ადარნასეს აშკარა ჩარევა სომხეთის საშინაო საქმეებში და იქ მისთვის სასურველი პოლიტიკური წესრიგის დამყარე-

---

1 იოანე დრასხანაკერტელი. სომხეთის ისტორია. სომხური ტექსტი ქართული თარგმნით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1965, გვ. 89-90.
2 მ. ლორთქიფანიძე. ახალი..., გვ. 474.
3 ალ. აბდალაძე. მართალია, არ უარყოფს „ადარნასეს მეფედ კურთხევის ცერემონიალში" სმბატ ბაგრატუნის მონაწილეობას, მაგრამ ამას მხოლოდ ფორმალურ მნიშვნელობას ანიჭებს. ალ. აბდალაძე. ამიერკავკასიის... გვ. 196.

ბა. მხედველობაში გვაქვს სომეხი კათალიკოსის ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ გაემართა ადარნასე სომხეთში აშოტ ბაგრატუნის გარდაცვალებისთანავე (890 წ.), შეისწავლა იქ შექმნილი სიტუაცია — დაპირისპირება გარდაცვლილი აშოტის ძმა აბასსა და ვაჟ სმბატს შორის — და სასწრაფოდ დასვა სამეფო ტახტზე უფლისწული სმბატი.[1] ადარნასეს ეს ქმედება აშკარად აღემატებოდა ჩვეულებრივი დიპლომატიური ეტიკეტის ფარგლებს. ამ შემთხვევაში ადარნასე უბრალოდ კი არ მონაწილეობს სმბატის კორონაციაში, არამედ, როგორც იტყვიან, შოკიდან გამოჰყავს რატომღაც დაბნეული უფლისწული და თვითონ სვამს მას ტახტზე. ყოველივე ეს ტაოს მმართველს კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა. უკან გამობრუნებისას ის შეიპყრო აბასმა და სმბატ ბაგრატუნიმ მხოლოდ ბრძოლის შედეგად შეძლო თავისი მოკავშირის დახსნა.[2]

წყაროთა მონაცემებით ვერ ხერხდება ბიზანტიის იმპერიის რეაქციის დაფიქსირება ადარნასე დავითის ძის მიერ „ქართველთა" მეფის ტიტულის მიღებისადმი. ის ფაქტი, რომ ადარნასეს მოგვიანებით (ალბათ გურგენ კურაპალატის სიკვდილის შემდეგ[3] IX ს-ის 90-იან წლებში)[4] მიენიჭა კურაპალატის ტიტული, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ „ქართველთა" მეფის ინსტიტუტის დაწესება მაინცა და მაინც კონსტანტინოპოლის დასტურით უნდა მომხდარიყო.[5] ვიმეორებთ, ამ შემთხვევაში სულ სხვა პოლიტიკური ფონი იყო და „ქართველთა" მეფის ტიტულის მიღება ადარნასეს მიერ, ამ ეტაპზე „ქართველთა" საკურაპალატოში ბიზანტიური დიპლომატიის მარცხს მოასწავებდა. სხვა საკითხია, რომ მოგვიანებით იმპერია იძულებული შეიქნა, გაეთვალისწინებინა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის შიგნით არსებული ძალთა თანაფარდობა, აგრეთვე საერთოდ საქართველო-ამიერკავკასიაში მიმდინარე

იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია. გვ. 43-47

იქვე.

აღსანიშნავია, რომ გურგენ კურაპალატი გარდაიცვალა ადარნასესთან შეტაკებისას მიღებული ჭრილობების შედეგად 891 წ. (სუმბატ დავითისი ძე, ცხოვრება... გვ. 379). ვარაუდობენ, რომ ძველი მოკავშირეების ადარნასე-გურგენის დაპირისპირების მიზეზი იყო კურაპალატობის პატივი, რომელიც ბიზანტიის იმპერატორმა რატომღაც გურგენს მიაკუთვნა (იხ: ს ჯანაშია, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, თსუ შრომები, ტ. XVIII, 1941, გვ. 75-76).

ადიშის ოთხთავის ანდერძ-მინაწერზე, რომელსაც 897 წლით ათარიღებენ, ადარნასე უკვე კურაპალატადაა მოხსენებული (იხ. შ. ბადრიძე, „ქართველთა სამეფოს" პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 113, თბ., 1965, გვ. 223-224)

შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. 2, — თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, თბ., 1984, გვ. 148; ალ. აბდალაძე, ამიერკავკასიის... გვ. 192, 194, 202.

პროცესები და არჩევანი ადარნასე ბაგრატიონზე შეეჩერებინა, რაც მისთვის კურაპალატის ტიტულის მინიჭებაში გამოიხატა.[1]

ამრიგად, X ს-ის დამდეგისათვის ადარნასე ბაგრატიონი იქცა წამყვან პოლიტიკურ ფიგურად არა მარტო ტაო-კლარჯეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ცალკეულ პერიოდში ის აშკარად ამეღავნებდა პრეტენზიას ლიდერობაზე მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით. პირველად ეს ნაწილობრივ გამოვლინდა 904 წლის კრიზისის დროს, როდესაც შეეცადა, მისთვის სასურველი მიმართულებით წარემართა დასავლურ-ქართულ სამეფოსა და სომეხთა მეფე სმბატს შორის არსებული წინააღმდეგობები.

904 წელს „გამოვიდა კონსტანტი აფხაზთა მეფე, დაიპყრა ქართლი. და ემტერა სომეხთა მეფე სმბატ ტიეზერაკალი", რომელმაც ალყა შემოარტყა უფლისციხეს.[2] დაწყებულ კონფლიქტში, თავდაპირველად ადარნასე „ქართველთა" მეფე სომეხთა მხარეს იყო. იოანე დრასხანაკერტცის ცნობით, მას სმბატის ბანაკში ვხედავთ.[3] კრიტიკულ სიტუაციაში მეომარი მხარეები სამშვიდობო მოლაპარაკებაზე წავიდნენ. კონსტანტინემ გააგზავნა ელჩობა სომეხთა მეფესთან, რის პასუხადაც სმბატმა სომეხ წარჩინებულთა დელეგაცია გამოაგზავნა. მოლაპარაკების დროს ადარნასეს უშუალო მონაწილეობით შეიპყრეს კონსტანტინე და გაგზავნეს სომხეთში სმბატ ბაგრატუნისთან. სომეხთა მეფემ ერთი პერიოდი თავისთან დაიტოვა კონსტანტინე, მაგრამ შემდეგ მისი გაშვება არჩია.[4] სომეხთა და „აფხაზთა" სამეფოს შორის დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სმბატმა დაუბრუნა კონსტანტინეს უფლისციხე და ქართლი. სომეხთა-„აფხაზთა" ეს ალიანსი დინასტიური ქორწინებით განმტკიცდა.[5]

---

1 ამის შესახებ იხ.: ზ. პაპასქირი, „ქართველთა მეფის" ინსტიტუტის შემოღება და ბიზანტია-ტაო-კლარჯეთის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი, — ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ სოხუმის ფილიალი. აკადემიკოს ილია ვეკუას საიუბილეო დღეები, სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1995, გვ. 75.

2 მატიანე ქართლისა., გვ. 262.

3 იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია., გვ. 109.

4 იოანე დრასხანაკერტცის ცნობა იმის შესახებ, რომ სმბატმა კონსტანტინე ადარნასეს თხოვნით გაუშვა (იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, გვ. 109-11), აბსოლუტურად გაუგებარია. ჯერ ერთი, თუ ადარნასეს კონსტანტინეს გაშვება უნდოდა. მაშინ საერთოდ რატომ დაატყვევებინა ის და მეორეც, თუ სმბატმა მართლაც ადარნასეს თხოვნით გაათავისუფლა „აფხაზთა" მეფე, მაშინ რამ გააბრაზა „ქართველთა" მეფე და რატომ გადაემტერა ის ამის გამო სმბატს. მოვლენების შემდგომი მსვლელობა აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ კონსტანტინეს გაშვება არ იყო შეთანხმებული ადარნასესთან და მის ზურგს უკან მოხდა.

მატიანე ქართლისა., გვ. 262; З. В. Анчабадзе, Из истории.., გვ. 121.

რამ გამოიწვია სომეხთ-„აფხაზთა“ შერიგება და ასე დაახლოება. იოანე დრასხანაკერტცი ამას ხსნის დასავლეთ საქართველოში შექმნილი სიტუაციით, კერძოდ იმით, რომ „ეგრისელებმა“ ამ დროს გადაწყვიტეს „სხვა ვინმე კონსტანტინეზე უფრო მძლავრი დაეყენებინათ თავიანთ მეფედ“,[1] რაც სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს. არაა გამორიცხული, რომ ქუთაისში ახალი ხელისუფლების მოსვლას მხარს უჭერდა ადარნასე, რომლისთვისაც კონსტანტინე, რატომღაც, განსაკუთრებით მიუღებელი იყო. თავის მხრივ, სმბატ ბაგრატუნიმ შეიძლება შეამჩნია ადარნასეს საეჭვო აქტიურობა დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პროცესებში და „აფხაზ“-„ქართველთა“ კონსოლიდაციის თავიდან ასაცილებლად სასწრაფოდ დააბრუნა ქუთაისის ტახტზე კონსტანტინე, რითაც ჩაფუშა ადარნასეს გეგმები. ერთი სიტყვით, სრულიად აშკარაა, რომ 904 წლის კონფლიქტის დროს ადარნასე „ქართველთა“ მეფეს საკუთარი მიზნები ჰქონდა და ის საკმაოდ რთულ დიპლომატიურ თამაშს ეწეოდა. როგორც ჩანს, ის სომეხთა მეშვეობით ცდილობდა ქართლისათვის ბრძოლაში თავისი მთავარი მეტოქის კონსტანტი „აფხაზთა“ მეფის ჩამოცილებას, რის გამოც შეუწყო კიდეც ხელი მის დაპატიმრებას. შესაძლებელია, მას გარკვეული ფარული გარიგებაც კი ჰქონდა სმბატ ბაგრატუნისთან ქართლის მომავალ მფლობელობასთან დაკავშირებით და ამ გზით ცდილობდა უფლისციხის დაპატრონებას. მაგრამ, ეტყობა, სომეხთა მეფე დააფრთხო თავისი უშუალო მეზობლის მოსალოდნელმა გაძლიერებამ, რომელიც, გარდა იმისა, რომ ქართლს დაიკავებდა, შესაძლოა, ქუთაისშიც მისთვის სასურველ ხელისუფალს დასვამდა, რის შემდეგ სომხეთს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის ყოველგვარი პერსპექტივა ეკარგებოდა. ასე რომ, კონსტანტინესთან შერიგებისაკენ სმბატ ბაგრატუნის, პირველ რიგში, ადარნასეს შემდგომი გაძლიერების შიშმა უბიძგა და არაბთა მოსალოდნელი აგრესიის საფრთხემ.[2] როგორც ჩანს, სომხეთის პოლიტიკურ წრეებში სწორად დაასკვნეს, რომ ამ ეტაპზე „აფხაზთა“ სამეფოზე მეტად ტაო-კლარჯეთის ქართული სახელმწიფო იყო ის რეალური ძალა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა სომეხთა ინტერესებს საქართველო-ამიერკავკასიაში და ამიტომაც გადაწყვიტეს, მხარი დაეჭირათ კონსტანტი III-ისათვის.

ადარნასემ არ აპატია „ღალატი“ სმბატ სომეხთა მეფეს და ენერგიულად გაილაშქრა თავისი გუშინდელი პარტნიორისა და მოკავშირის წინააღმდეგ. იოანე დრასხანაკერტცის მონაცემებით, ადარნასეს სმბატის ტახტიდან ჩამოგდება და მოკვლა, ხოლო მისი სამეფოს შემოერთება გა-

---

[1] იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია.., გვ. 114.

[2] შდრ. З. В. Анчабадзе, Из истории.., გვ. 127.

ნუზრახავს. აღსანიშნავია, რომ მას ამ საქმეში მხარს უჭერდნენ სმბატ მეფით უკმაყოფილო სომეხი ნახარარები, რომელთა მეთაურმა ჰასანმა ადარნასეს ანისის ციხეც კი ჩააბარა.[1] სმბატმა შეძლო ხიფათის თავიდან აცილება. მან დაასწრო ამბოხებულ ნახარარებს და სასტიკად დასაჯა ისინი. მაგრამ სომეხთა მეფემ ვერ გაბედა ადარნასეზე შურისძიება და იძულებული გახდა, შერიგებოდა მას.[2]

ამრიგად, 904 წლის კრიზისმა ნათლად აჩვენა „ქართველთა" სამეფოს გაზრდილი პოტენციალი, რაც მნიშვნელოვანწილად ადარნასე ბაგრატიონის მრავალმხრივმა დიპლომატიურმა სვლებმა განაპირობა. სმბატ ბაგრატუნისთან შერიგება სრულებითაც არ ნიშნავდა სომეხ-„ქართველთა" დაპირისპირების აღმოფხვრას. მოგვიანებით — 907 წელს ადარნასე მეფემ კვლავ გადადგა „ანტისომხური" ნაბიჯი და სმბატის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარში ამოუდგა არმინია-აზერბაიჯანის ამირა იუსუფ იბნ აბუ საჯის („მატიანე ქართლისაის" აბულ-კასიმ აბუსაჯის ძეს).[3] ამასთან ერთად არაბ ამირას მხარეზე გამოვიდნენ ვასპურაკანის მმართველი გაგიკ არწრუნი და შაპუჰ ბაგრატუნი. სმბატი დამარცხდა.[4] მალე სომეხთა მეფემ იუსუფთან დიპლომატიური ბრძოლაც წააგო, როდესაც 908 წელს ბაღდადის ახალმა ხელისუფალმა გაწირა სომეხთა მეფე და იუსუფი მარაღა-აზერბაიჯანის-არმინიის გამგებლად დაამტკიცა.[5] ამის შემდეგ სმბატ ბაგრატუნიმ არ გაამწვავა ურთიერთობა იუსუფთან, მორჩილება გამოუცხადა მას და ყოველწლიურად ხარკის გადახდა იკისრა.[6] მაგრამ გაძლიერებული არაბი ამირა ამან არ დააკმაყოფილა და 909 წელს სომხეთში შეიჭრა, რომლის აოხრების შემდეგ საქართველოსაკენ გამოემართა და მოარბია თბილისი, მთელი ქართლი, კახეთი, სამცხე და ჯავახეთი.[7]

იუსუფ-აბულ-კასიმის ამ ლაშქრობის შედეგად ქართული სამეფოსამთავროებიდან შედარებით უვნებლად კახეთი გადარჩა,[8] რაც კვირიკე ქორეპისკოპოსის პოლიტიკური შორსმჭვრეტელობისა და დიპლომატიური ტალანტის ნაყოფი იყო. მან, როცა იგრძნო, რომ ვერ გაუწევდა სამხედრო წინააღმდეგობას არაბ ამირას, გამართა მასთან სამშვიდობო მოლაპარაკება და „მიენდო ფიცითა". აბულ-კასიმმა კახეთის მმართველი

---

1 იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, გვ. 114-119.
2 იქვე.
3 ალ. აბდალაძე, ამიერკავკასიის... გვ. 48; ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა... გვ. 167.
4 ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა... გვ. 166.
5 იქვე.
6 იქვე.
7 იქვე.
8 М. Д. Лордкипанидзе, Возникновение.., გვ. 266; თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო... გვ. 193.

მშვიდობით ,ტანუტევა, გარნა ბოჭორმა თვით დაიჭირა“.[1] აბულ-კასიმის ლაშქრობამ მნიშვნელოვნად შეასუსტა „აფხაზთა“ მეფის პოზიციები აღმოსავლეთ საქართველოში. საფიქრებელია, რომ ქართლი დროებით გამოვიდა „აფხაზთა“ მეფის დაქვემდებარებიდან.[2] მიუხედავად იმისა, რომ საჯი ამირას ლაშქარი სამცხე-ჯავახეთსაც მისწვდა, როგორც ჩანს, ადარნასე ,ქართველთა“ მეფეს ამით არავითარი პოლიტიკური დანაკლისი არ განუცდია. უფრო მეტიც, ამ მოვლენების შედეგად მისმა ავტორიტეტმა საქართველო-ამიერკავკასიაში მნიშვნელოვნად აიწია. პირველ რიგში, ეს გამოვლინდა იმით, რომ ის ქართლს დაეუფლა, რაზეც უნდა მიგვანიშნებდეს ვახუშტი ბაგრატიონის უაღრესად საინტერესო ცნობა გიორგი II „აფხაზთა“ მეფის მიერ ქართლის დაკავების შესახებ „შემდგომად მეფის ადარნასე კუროპალატისა სიკუდილისა“[3] (დაახლოებით 923-924 წლებში).[4] ყველაზე რელიეფურად მაინც ადარნასე ბაგრატიონის ჰეგემონური როლი გამოავლინა სმბატ მეფის მოწამოებრივი სიკვდილის (914 წ.) შემდეგ სომხეთში დატრიალებულმა ·მოვლენებმა, როდესაც აშოტ სმბატის ძის („ერკათის“) სამეფო ტახტზე აყვანა შესაძლებელი გახდა ,ქართველთა“ მეფისა და მისი ჯარის აქტიური ჩარევის შედეგად.[5]

მაგრამ ადარნასეს ერთპიროვნულ ლიდერობას რამდენადმე საფრთხე შეექმნა 918 წლიდან, როდესაც აღზევება დაიწყო გურგენ ერისთავთ-ერისთავმა. პირველად ეს თვალნათლივ გამოჩნდა უტის ალვანური ოლქის ირგვლივ ატეხილი კონფლიქტის დროს. ამ მხარისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ 919-920 წლებში დაწყებულა, როდესაც აშოტ II ,ერკათს“ აუჯანყდა უტის მთავარი მოსე, რომელმაც შეძლო აშოტისათვის ჩამოეცილებინა კახეთის ქორეპისკოპოსი. ამავე დროს, აშოტს აუმხედრდა მისი ძმა აბასი და ,ქართველთა მთავარი გურგენი“.[6] მოგვიანებით, 922-923 წლებში გურგენ ერისთავთ-ერისთავი კვლავ აქტიურად ერევა უტის ოლქისათვის ბრძოლაში და უპირისპირდება აშოტ ,ერკათსა“ და ადარნასე ,ქართველთა“ მეფეს, რომელიც ამ ეტაპზე სომეხთა მეფესთან ალბათ გურგენის მეტისმეტმა გაძლიერებამ დააკავშირა.[7] გურგენ ერისთავთ-ერისთავი თამამად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ტაოელ ბაგრა-

---

1 მატიანე ქართლისა., გვ. 263.
2 М. Д. Лордкипанидзе, Возникновение.., გვ. 361.
3 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, — ,ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 793.
4 М. Д. Лордкипанидзе, Возникновение.., გვ. 361.
5 იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია., გვ. 195.
6 იქვე, გვ. 234-235.
7 ალ. აბდალაძე, ამიერკავკასიის., გვ. 155.

ტიონთა ლიდერად ადარნასე „ქართველთა“ მეფისა და კუროპალატის გარდაცვალების (923 წ.) შემდეგ. ის აქტიურად ებრძვის სომეხთა მეფე აშოტ „ერკათს“ ქვემო ქართლისათვის, კერძოდ სამშვილდისათვის.[1] მის სახელს უკავშირდება ჰერეთის „ქართულ რჯულზე“ მოქცევა, რომელსაც ახორციელებდა გურგენის და დინარ დედოფალი და მისი ძე ჰერეთის მეფე იშხანიკი.[2] გურგენის მაღალ ავტორიტეტზე მეტყველებს X ს-ის ცნობილი არაბი ავტორის მასუდის მიერ მისი მეფედ მოხსენიება.[3]

X ს-ის 10-იან წლების მეორე ნახევარში კვლავ გააქტიურდა „აფხაზთა“ სამეფო. დაახლოებით 915-920 წლებში[4] კონსტანტი III-მ შეკრა კავშირი კახეთის ქორეპისკოპოს კვირიკესთან და მათ საერთო ძალებით შეუტიეს ჰერეთს, რომლის მთავარმა ადარნასე პატრიკმა, როცა დარწმუნდა, ვერ გაუძლებდა კახთა და „აფხაზთა“ მოწოლას, დათმობა არჩია: „მოსცა აფხაზთა მეფეს არიში, გავაზნი და კვირიკეს ორჭობი“.[5] ამ დროიდან, თანდათანდობით კვლავ გამოიკვეთა „აფხაზთა“ სამეფოს პრიორიტეტი ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის, თუმცა X ს-ის 20-იანი წლების I ნახევარში, ერთი პერიოდი, „აფხაზ“ მეფეთა წინსვლა აღმოსავლეთისაკენ დროებით შეყოვნდა. ეს გამოწვეული იყო კონსტანტი III-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტისათვის ატეხილი ბრძოლით, რომელშიც ჩართული აღმოჩნდნენ სხვა ქართული რეგიონების მესვეურებიც, კერძოდ გურგენ ერისთავთ-ერისთავი. ამ უკანასკნელმა აქტიურად დაუჭირა მხარი თავის სიძეს ბაგრატ უფლისწულს, რომელიც ტახტს ედავებოდა თავის უფროს ძმას გიორგის. მაგრამ ბაგრატ უფლისწული მალე გარდაიცვალა და გიორგიმ „მიიღო სრულობით მეფობა“.[6]

X ს-ის დამდეგიდან ამიერკავკასიაში, ხალიფატის პოზიციების შესუსტების პარალელურად, იგრძნობა ბიზანტიური დიპლომატიის გააქტიურება, თუმცა იმპერიის გავლენა რეგიონში მიმდინარე პროცესებზე ერთგვაროვანი არ ყოფილა. ასე მაგალითად, ფაქტია, რომ ბიზანტიის იმპერატორებს პრაქტიკულად ხელი არ მიუწვდებოდათ აღმოსავლურ-ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებზე — კახეთის საქორეპისკოპო-

---

1 ალ. აბდალაძე, ამიერკავკასიის..., გვ. 155.

2 მატიანე ქართლისა, გვ. 266; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული..., გვ. 193; ალ. აბდალაძე, ამიერკავკასიის..., გვ. 152.

3 В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда.., გვ. 214; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული..., გვ. 192; ალ. აბდალაძე, ამიერკავკასიის..., გვ. 155.

4 М. Д. Лордкипанидзе, Возникновение.., გვ. 275; თ. პაპუაშვილის ვარაუდით, ეს ლაშქრობა უნდა მომხდარიყო 914 წ. ახლო ხანებში. თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო..., გვ. 194.

მატიანე ქართლისა..., გვ. 264.

იქვე.

სოზე და ჰერეთის სამეფოზე. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ცდილობდნენ რაღაც ფორმით დაეფიქსირებინათ თავიანთი ამბიციები ამ პოლიტიკური ერთეულების მიმართაც. ამის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჰერეთის ხელისუფალი ამ დროს (X ს-ის 10-იან წლებში) პატრიკიოზის ბიზანტიურ ტიტულს ატარებდა.[1] შედარებით მყარი პოზიციები კონსტანტინოპოლს მაინც ტაო-კლარჯეთში ჰქონდა, სადაც ასე თუ ისე ახერხებდა ცალკეული კორექტივების შეტანას ბაგრატიონთა სახლის შიგნით ძალთა განლაგებაში, რასაც ძირითადად სხვადასხვა საკარისკაცო ტიტულების განაწილებით აკეთებდა. ამ თვალსაზრისით, X ს-ის დამდეგიდან გამოიკვეთა ერთი ფრიად ნიშანდობლივი ტენდენცია: ბიზანტიის ხელისუფლება ცდილობს, კურაპალატის ტიტული არ მიანიჭოს „ქართველთა" მეფეებს, რაც უდავოდ განპირობებული იყო იმპერიის მისწრაფებით, არ დაეშვა ტაო-კლარჯეთში ხელისუფლების კონცენტრაცია ერთი პიროვნების ხელში.[2] ამიტომ იყო, რომ ადარნასე II-ის გარდაცვალების შემდეგ კურაპალატის ტიტული მიენიჭა არა „ქართველთა" მეფედ გამოცხადებულ დავითს, არამედ მის ძმას აშოტს (გარდ. 954 წ.).[3] აღსანიშნავია აგრეთვე, რომ არც ერთი მომდევნო კურაპალატი: სუმბატ I ბაგრატიონი (გარდ. 958 წ.), ადარნასე III ბაგრატიონი (გარდ. 961 წ.), ადარნასე IV ბაგრატიონი (გარდ. 983 წ.) „ქართველთა" მეფე არ ყოფილა.[4] როგორც ჩანს, კონსტანტინოპოლი იმთავითვე ეშვის თვალით უყურებდა „ქართველთა" მეფის ინსტიტუტს, რაც ალბათ, იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ტაო-კლარჯეთში ხელისუფლების ამ სტრუქტურის ჩამოყალიბება, თავის დროზე, ბიზანტიის მესვეურთა დაუკითხავად და მათ ზურგს უკან მოხდა. ამიტომ იყო, რომ იმპერიის ხელისუფლებას არასოდეს არ უცვნია „ქართველთა" არც ერთი მეფის სტატუსი და მათ ბიზანტიაში, როგორც წესი, „არქონტებად" („მთავრებად") „არქონტთა არქონტებად" („ერისთავთ-ერისთავებად") მოიხსენიებდნენ.[5]

ამრიგად, თუ ქართულ სამყაროში „ქართველთა" მეფის ტიტულის მატარებელი პიროვნება ითვლებოდა (ფორმალურად მაინც) ბაგრატიონთა სახლის მეთაურად, ბიზანტიის ხელისუფალთა თვალში ასეთ პიროვნებად ბაგრატიონთა ის წარმომადგენელი იყო მიჩნეული, რომელიც კურაპალატის ტიტულს ატარებდა. საერთოდ იმპერიის დიპლომა-

---

М. Д. Лордкипанидзе, Возникновение.., გვ. 277.

იქვე. გვ. 323.

იქვე.

იქვე.

ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, ტ. II, გვ. 109-110; М. Д. Лордкипанидзе, Возникновение.., გვ. 324.

ტია საკმაოდ ოსტატურად მახიჟულირებდა ამ ტიტულის მინიჭებით. და თვით აწესებდა თავისებურ „ტაბელს რანგების შესახებ". კურაპალატის ტიტულის მინიჭებით ბიზანტიის მესვეურები, პირველ რიგში, რასაკვირველია, ხაზს უსვამდნენ ამ ტიტულის მატარებლის მორჩილებას იმპერიის ტახტისადმი, მაგრამ, ამავე დროს, ეს აქტი ერთგვარი მოფერების ფორმაც იყო აღნიშნული ტიტულის პრეტენდენტის მიმართ.[1] ყოველივე ამის მიუხედავად, ბიზანტიის იმპერიას რეალური გავლენა მაინც არ ჰქონდა ქართველთა („იბერიის") საკურაპალატოს საშინაო ცხოვრებაზე. უფრო მეტიც, ცალკეულ შემთხვევებში, საკმაოდ მკაფიოდ ვლინდებოდა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სუვერენიტეტი. ასე, მაგალითად, იმპერატორ რომანოზ I-ის (919-944 წწ.) დროს ბიზანტიელებს მოუნდომებიათ, აეღოთ ბაგრატიონთა სამფლობელო კეჯეს ციხე, საიდანაც შესაძლებელი ხდებოდა თეოდოსიუპოლის ბლოკირება, მაგრამ ამის წინააღმდეგ გამოსულან იბერები, რომელთაც დიპლომატიური უარი შეუთვლიათ რომანოზ კეისრისათვის: „ეს რომ ვქნათ, უპატიობას ჩავიდენთ ჩვენი მეზობლების... აფხაზეთის მაგისტროსისა და მთავრის, ვასპურაკანელის და არმენიელთა ზემთავრების მიმართ, და იტყვიან, რომ იბერებს, კურაპალატსა[2] და მის ძმებს არ ენდობა მეფე და ამიტომ აიღო მათგან ციხე".[3] ამ ცნობის ავტორი იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტიც კი ვერ ფარავს, რომ იბერებს არ უნდოდათ თეოდოსიუპოლის ბიზანტიელთა ხელში გადასვლა, ამიტომ არ დაემორჩილნენ კეისრის მოთხოვნას და არ გადასცეს კეჯეს ციხე.[4]

როგორც იმავე კონსტანტინე პორფიროგენეტის მონაცემებიდან ჩანს, ბიზანტიის ხელისუფლება ქართველ ბაგრატიონებთან ვერც სხვა სასაზღვრო პრობლემებს წყვეტდა ერთპიროვნულად და ამისათვის მას მთელი დიპლომატიური ხელოვნების გამოყენება სჭირდებოდა. ამაზე მეტყველებს დავა, რომელიც ამტყდარა იბერთა „გაჯიუტებულ" კურაპალატსა და თვით კონსტანტინე VII-ის მთავრობას შორის ბასიანის მხარის დაუფლების საკითხთან დაკავშირებით. მიუხედავად, ერთი შეხედვით, საკმაოდ დამაჯერებელი დიპლომატიური არგუმენტაციისა, რომელიც მოჰყავს კონსტანტინე პორფიროგენეტს თავისი პოზიციის გასამაგ-

---

1 Obolensky D., The principles and methods of Byzantia Diplomaty. XII Congres international des etudes Bizantins Ochride, 1961, Rapports, II, gv. 58; М. Д. Лордкипанидзе, Возникновение.., გვ. 323.

2 მართალია, აქ პირდაპირ არ არის მითითებული, მაგრამ უნდა იგულისხმებოდეს ადარნასე კურაპალატი; რომელიც, შესაძლებელია, ერთ-ერთი ინიციატორი იყო „წინააღმდეგობის" ამ აქციისა.

3 კონსტანტინე პორფიროგენეტი, De administrando imperio — „გეორგიკა"— ტ. IV. ნაკ. II, თბ., 1952, გვ. 264.

4 იქვე, გვ. 264-265.

რებლად.[1] ის მაინც იძულებული გამხდარა, ანგარიში გაეწია კურაპალატისათვის და ბასიანის ერთი ნაწილი მაინც მისთვის დაეთმო.[2]

ტაო-კლარჯეთის მფლობელთა სუვერენიტეტი ყველაზე მკაფიოდ მაინც გამოვლინდა არტანუჯის ციხის ირგვლივ ატეხილი „დიპლომატიური სკანდალის" დროს. ბაგრატიონთა ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აშოტ პატრიკიოსმა, „რომელსაც კისკასიც ეწოდებოდა", თავის სიძე გურგენთან მტრობის ნიადაგზე, გადაწყვიტა, არტანუჯის ციხე იმპერატორისათვის გადაეცა. იმპერატორს დაუკმაყოფილებია აშოტის თხოვნა და მისი აღსრულების მიზნით სათანადო განკარგულებაც კი გაუცია თავისი დიპლომატიური წარმომადგენლისათვის — კონსტანტი პატრიკიოსის და ნაოსნობის დრუნგარისათვის, რომელიც ამ დროს საგანგებო მისიით გურგენ იბერის მაგისტროსად აღზევების ცერემონიალთან დაკავშირებით, იბერიაში იყო გაგზავნილი.[3] კონსტანტიმ ზუსტად შეასრულა იმპერატორის განკარგულება და არტანუჯის ციხეზე იმპერიის დროშა ააფრიალა. ამ აქტმა ბაგრატიონთა სახლის სხვა წარმომადგენლების: გურგენ მაგისტროსის, დავით მაგისტროსის — აშოტ კურაპალატის ძმის — პროტესტი გამოიწვია. მათ სასწრაფოდ მოითხოვეს იმპერატორისაგან არტანუჯის დათმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში კონსტანტინოპოლის მორჩილებიდან გამოსვლითა და სარკინოზების მხარეზე გადასვლით იმუქრებოდნენ. ქართველ მთავართა მუქარამ გაჭრა, იმპერატორმა, იმის შიშით, რომ ისინი მართლა „არ მიჰკედლებოდნენ სარკინოზებს", უკან წაიღო თავისი განკარგულება და ყოველივე თავისი დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის „უუკუობას" გადააბრალა. მან, ქართველ ბაგრატიონთა დასამშვიდებლად „ლანძღვა-გინებისა და მუქარის შემცველი" ბრძანებაც კი გაუგზავნა კონსტანტი პროტოსპათარს და დაუყოვნებლივ გაიწვია ის საქართველოდან.[4] როგორც ვხედავთ, ბიზანტიის ხელისუფლების უფლებები ტაო-კლარჯეთში რამდენადმე

---

1 კონსტანტინე პორფიროგენეტი, De administrando imperio, გვ. 267-273.

2 იქვე, გვ. 273. ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე..., გვ. 65-66.

3 ივ. ჯავახიშვილი ამ ფაქტს 923-944 წლებით ათარიღებდა (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 112), მაგრამ ვფიქრობთ, ამ მოვლენის უფრო ზუსტად — 923 წლის ახლო ხანებით დათარიღებაც შეიძლება (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე..., გვ. 62, 102). ამის საფუძველს გვაძლევს კონსტანტინე პორფიროგენეტის არაერთგზისი მინიშნება იმის შესახებ, რომ არტანუჯის ინციდენტის დროისათვის აშოტ ბაგრატიონი ჯერ კიდევ არ იყო დამტკიცებული კურაპალატად და გარდაცვლილი ადარნასე კურაპალატის შვილებს „დავა ჰქონდათ თავიანთ ბიძაშვილთან" — გურგენთან ამ ტიტულის მოპოვებისათვის. აშოტის კონსტანტინოპოლში ჩასვლა და მისთვის კურაპალატის ტიტულის ბოძება მოხდა უშუალოდ არტანუჯიდან კონსტანტი პროტოსპათარის გაწვევის შემდეგ (კონსტანტინე პორფიროგენეტი. De administrando..., გვ. 282-283, 286-287).

4 კონსტანტინე პორფირიგენეტი, De administrando..., გვ. 280-287.

შეზღუდული იყო, „ქართველთა ყმობა მხოლოდ გარეგნული ყოფილა და უფროს-უმცროს სამეფოთა შორის კავშირს უფრო უდრიდა, ვიდრე ნამდვილ პოლიტიკურ დამოკიდებულებას“.[1]

კიდევ უფრო ფრთხილი იყო იმპერიის დიპლომატია „აფხაზთა“ სამეფოს მიმართ, რასაც უდავოდ თავისი მიზეზები ჰქონდა. „აფხაზთა“ სამეფო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტაო-კლარჯეთის სახელმწიფოსაგან განსხვავებით, ბიზანტიასთან უშუალო დაპირისპირების ვითარებაში აღმოცენდა. თითქმის IX ს-ის მიწურულამდე ბიზანტიას არ ჰქონდა საშუალება, რეალური ზეწოლა მოეხდინა „აფხაზ“ მეფეთა საგარეო-პოლიტიკურ კურსზე, თუმცა დროდადრო (როგორც ეს ნაჩვენები იყო ზემოთ), არაა გამორიცხული, ადგილი ჰქონოდა კონსტანტინოპოლისა და ქუთაისის ინტერესების დამთხვევას, რაც, ცალკეულ შემთხვევაში, თანამშრომლობის საფუძველს იძლეოდა. ამ პერიოდში, როგორც ჩანს, „აფხაზთა“ სამეფომ არა თუ პოლიტიკური, არამედ იდეოლოგიური სუვერენიტეტიც განიმტკიცა.[2] ვითარება ნაწილობრივ შეიცვალა IX ს-ის 80-იანი წლებიდან, როდესაც დასავლეთ საქართველოში ხელისუფლების სათავეში ბიზანტიის ხელშეწყობით ბაგრატ უფლისწული მოვიდა. ბაგრატისა და მისი მემკვიდრის — კონსტანტი III-ის (893-922 წწ.) ხანაში რაიმე სერიოზულ დაპირისპირებას იმპერიასთან ადგილი არ უნდა ჰქონოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდში ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური, შეიძლება სამოკავშირეო ურთიერთობაც კი ყოფილიყო,[3] რომელიც უნდა გაგრძელებულიყო გიორგი II-ის (922-

---

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, ტ. II, გვ. 112. ანალოგიურ შეხედულებას ანვითარებს პ. ინგოროყვაც (იხ: გიორგი მერჩულე., გვ. 58-68). ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს ბიზანტიის ელჩის კონსტანტის სამოხელეო რანგი — „პატრიკიოსი“. როგორც ირკვევა, ასეთი მაღალი წოდების მატარებელ დიდებულს იმპერია ელჩებად მხოლოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში აგზავნიდა (იხ: З. В. Удальцова, Дипломатия, – "Культура Византии", "Вторая половина VII-XII вв.," М., 1989, გვ 253). ეს კი უდავოდ ქართველთა საკურაპალატოს სუვერენიტეტის საკმაოდ მაღალ ხარისხზე მიგვანიშნებს. თუმცა, აღნიშნული, რასაკვირველია, მაინც არ უნდა გვაძლევდეს საფუძველს, ვილაპარაკოთ ტაო-კლარჯეთის ლიდერთა სრულ დამოუკიდებლობაზე კონსტანტინოპოლისაგან. ამის შესახებ დაწვრილებით იხ: შ. ბადრიძე, „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 113, თბ., 1965, გვ. 255-261. იქვე საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურა.

2 მკვლევართა სავსებით დასაბუთებული ვარაუდით IX ს-ის დამდეგიდან მაინც დასავლეთ საქართველო ეკლესიურადაც გამოეყო ბიზანტიას და მცხეთის საპატრიარქოს დაექვემდებარა. ამის შესახებ დაწვრილებით იხ: З. В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 144-151; М. Д. Лордкипанидзе, Возникновение.., გვ. 286-289.
ამ თვალსაზრისით, საინტერესო მასალა შემოგვინახა კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ნიკოლოზ მისტიკოსმა, რომლის ერთ-ერთი წერილიდან გიორგი II — „აფხაზთა“ მეფისადმი აშკარად ჩანს ბიზანტიის ოფიციალური წრეების თბილი დამოკიდებულება კონსტანტი III-ისადმი. იხ: გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. II, გვ. 212-213.

957 წწ.) დროსაც. ყოველ შემთხვევაში, ის თითო-ოროლა ფაქტი, რომელიც დაფიქსირებულია წყაროებში („მატიანე ქართლისა", ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები გიორგი მეფისადმი), იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ გიორგი II კონსტანტინოპოლის თვალში არ განიხილებოდა ანტიბიზანტიურ ძალად, რომლის საგარეო-პოლიტიკურ აქტიურობას აუცილებლად წინ უნდა აღდგომოდა იმპერიის დიპლომატია. უფრო მეტიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბიზანტიის ხელისუფლება სულ უფრო მეტ სიფრთხილეს ამჟღავნებდა ყველაზე ძლიერი „აფხაზი" მონარქის მიმართ და ცდილობდა, მაქსიმალურად მოფერებოდა მას. შემთხვევითი არ არის, რომ ქართველი მეფე-მთავრებიდან სწორედ „აფხაზეთის" ხელმწიფე მოიხსენიება „ექსუსიასტის" („მთავარი", „მფლობელი") და „ბრწყინვალე ექსუსიასტის სახელით".[1] „ექსუსიასტი" თავისი ღირსებით „არქონტზე" ზაღლა იდგა „და მჭიდრო პოლიტიკური დამოკიდებულების გამომხატველი იყო, მას ბერძნები თითქოს ბიზანტიის კეისრის წარმომადგენლად თვლიდნენ მის სამეფოში".[2] საინტერესოა, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის ერთ-ერთ წერილში, რომელიც იმდროინდელი ბიზანტიის პოლიტიკურ-დიპლომატიურ კონიუნქტურას ასახავს, ავტორი ლაპარაკობს თავისი ადრესატის — გიორგი II-ის „მეფურ ღირსებებზე".[3] დასავლეთ საქართველოს მეფეთა საკმაოდ მაღალი რანგი დაფიქსირებულია აგრეთვე ბიზანტიის საიმპერატორო კარის დიპლომატიურ დოკუმენტებში — „კელეუსებში" („ბრძანება"-ეპისტოლეებში), რომელსაც ბიზანტიის ხელისუფლება უგზავნიდა მეზობელი ქვეყნების ლიდერებს. „აბაზგიის" „ბრწყინვალე ექსუსიასტს" იმპერატორი უგზავნიდა ბულას, რომელიც ორი სოლიდის ღირებულების იყო.[4] ასეთივე ბულა ეგზავნებოდა იბერიის „უდიდებულეს კურაპალატს".[5] ამ მხრივ, ქართველ მეფე-მთავრებზე მაღლა მხოლოდ ხაზართა, „დიდი არმენიისა" და ვასპურაკანის მმართველები იდგნენ, მათ სამი სოლიდის ღირებულების ბულები ეგზავნებოდათ.[6]

გიორგი II „აფხაზთა" მეფე საერთაშორისო მასშტაბის მოღვაწე იყო. ის აქტიურად ერეოდა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, არამედ მეტ-ნაკლებად ჩრდილოეთ კავკასიასაც აკონტროლებდა. შემთხვევითი არ არის, რომ ამ

---

1 კონსტანტინე პორფიროგენეტი, De administrando.., გვ. 292.
2 ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, ტ. II, გვ. 110.
3 გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. II, თბ., 1951, გვ. 217.
4 კონსტანტინე პორფიროგენეტი, De administrando.., გვ. 292.
5 იქვე.
6 იქვე.

დროს სწორედ „აფხაზთა“ მეფის აქტიური მონაწილეობით მოხდა ოვსალანთა გაქრისტიანება.[1] საერთოდ, დასავლურ-ქართული დიპლომატია კავკასიონის ქედს გადაღმა ადრიდანვე აქტიურობდა, რის შედეგი იყო ის, რომ ალან-ოვსები — სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, იმდროინდელი ჩრდილოეთ კავკასიის ყველაზე ანგარიშგასაწევი ეთნო-პოლიტიკური ძალა — უკვე IX ს-ის შუა ხანებიდან გამოდიან „აფხაზ“ მეფეთა მოკავშირეებად.[2] ალან-ოვსები აქტიურად ეხმარებიან დასავლეთ საქართველოს მეფეებს შიდა ქართლისათვის ბრძოლაში IX ს-ის მიწურულს. აღსანიშნავია, რომ „აფხაზთა“ მეფის ერთ-ერთი სამხედრო კამპანიის დროს დაიღუპა „ბაყათარ, მთავარი ოვსი“.[3]

გიორგი II-ის მეფობის დროს დასავლურ-ქართული სახელმწიფოს „ექსპანსია“ აღმოსავლეთის მიმართულებით ახალ ფაზაში შევიდა. მიუხედავად ერთგვარი გართულებისა ქართლისათვის ბრძოლის დასაწყის სტადიაში, რაც დაკავშირებული იყო ადგილობრივ აზნაურთა ამბოხებასთან, რომლის დროსაც „აფხაზთა“ მეფეს დაუპირისპირეს მისივე უფროსი ვაჟი — ქართლის ერისთავად დანიშნული კონსტანტი,[4] ქართლზე ქუთაისის ხელისუფლების განმტკიცება თანმიმდევრულად და მიზანსწრაფულად მიმდინარეობდა. გიორგი II-ის წარმატებები ამ ფრონტზე სამხედრო პოტენციალთან ერთად მნიშვნელოვანწილად განაპირობა მისმა მოქნილმა დიპლომატიამაც. აღსანიშნავია, რომ კონსტანტინე უფლისწულ-ტბელთა ამბოხის ჩახშობისას მის მხარეზე გამოდიოდნენ „ქართლსა ზედა“ ბრძოლაში „აფხაზ“ მეფეთა ტრადიციული მეტოქენი: „ტაოელნი მეფენი“ და კახეთის ქორეპისკოპოსი.[5] მაგრამ გიორგი II მარტო ქართლს არ სჯერდებოდა და მთლიანად მთელი აღმოსავლეთ საქართველოს დაპატრონებას ლამობდა. ამაზე მეტყველებს მისი გააქტიურება კახეთის მიმართულებით. მან, ეტყობა, თავისი აგენტურის აქტიური საქმიანობის შედეგად, შეძლო კვირიკე ქორეპისკოპოსის მოწინააღმდეგე „გარდაბნელ აზნაურთა“ გადმობირება და მათი მოწვევით „აფხაზთა“ მეფემ გაიალაშქრა კახეთს. გიორგი II-ის მხარეზე გადავიდა კვირიკეს ძმა შურტაც, რომელმაც „აფხაზთა“ მეფეს უჯარმის ციხე გადასცა. კვირიკე ქორეპისკოპოსმა, როცა ნახა, წინააღმდეგობას

---

1 გეორგიკა.., ტ. IV, ნაკვ. II, გვ. 213-215.

2 მატიანე ქართლისა.., გვ. 256; М. Д. Лордкипанидзе, Возникновение.., გვ. 303.

3 მატიანე ქართლისა.., გვ. 261.
ქართლის აზნაურთა ამ გამოსვლის ხასიათის შესახებ იხ.: მ. ლორთქიფანიძე, ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა. — „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. II, თბ., 1973, გვ. 524-528; ზ. პაპასქირი, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეოპოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990, გვ. 70-71.

4 მატიანე ქართლისა.., გვ. 267.

აზრი არ ჰქონდა, „დაულოცა კახეთი გიორგი მეფესა“. მაგრამ ქართლის აზნაურთა და აგრეთვე ზოგიერთი კახელი აზნაურის წაქეზებით, კვირიკემ მალე დაარღვია დაზავება, განაახლა საომარი მოქმედებები და „ყუალადვე ეუფლა.., მამულსა თჳსსა“. გიორგი II-მ სასწრაფოდ მოახდინა რეაგირება კახეთის ქორეპისკოპოსის ასეთ ქცევაზე და კახეთში ახალი ექსპედიცია გაგზავნა უფლისწულ ლეონის სარდლობით. მაგრამ სახელოვანი მამის — გიორგი II-ის მოულოდნელმა გარდაცვალებამ არ მისცა საშუალება ლეონს, ძლევამოსილად დაესრულებინა წამოწყებული სამხედრო კამპანია და იძულებული გახდა, დაეწყო საზავო მოლაპარაკება. ბაზალეთის ტბის პირას დადებული „აფხაზ“-კახთა ხელშეკრულების თანახმად, კვირიკე II-მ სცნო ლეონ „აფხაზთა“ მეფის უზენაესობა. მხარეებმა დადებული ზავი დინასტიური ქორწინებით განამტკიცეს. დავით კვირიკეს ძე დაქორწინდა ლეონ III-ის ასულზე.[1]

ბაზალეთის ზავი ხანმოკლე აღმოჩნდა. „შემდგომად მცირედისა მოკვდა ასული ლეონისი“ და ამ უკანასკნელმა „ყუალად იწყო მტერობად კვირიკესა და ძებნად კახეთისა“, მაგრამ წარმატებით დაწყებული სამხედრო ოპერაციები მალე შეწყდა, ვინაიდან ლეონ მეფე „მასვე ლაშქრობასა დასნეულდა, შეიქცა გარე და მოკვდა“.[2] ასე დამთავრდა დასავლეთ საქართველოს ხელმწიფეთა აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებისათვის ბრძოლის კიდევ ერთი ეტაპი. ქუთაისში გამეფებულ ლეონ III-ის ძმას — დემეტრეს სულ სხვა პრობლემები დაატყდა თავს და მას უკვე აღარ შეეძლო გაეგრძელებინა თავის წინამორბედთა აქტიური პოლიტიკის გატარება აღმოსავლეთის მიმართულებით.

ამრიგად, IX ს-ის დამდეგიდან X ს-ის 70-იან წლებამდე ქართულმა სამეფო-სამთავროებმა უაღრესად რთული გზა განვლეს. ამ პერიოდში შინა ქართული წინააღმდეგობები, როგორც წესი, გადანასკვული იყო საგარეო პოლიტიკურ გართულებებთან. თითოეული ქართული პოლიტიკური ერთეული ცდილობდა, დამოუკიდებლად ემოქმედა საერთაშორისო არენაზე და ისეთი საგარეო პოლიტიკური კურსი შეემუშავებინა, რომელიც უზრუნველყოფდა მათ ცალკე არსებობას, ხელს შეუწყობდა წარმატებით ბრძოლას პოლიტიკური ჰეგემონობის მოპოვებისათვის საქართველოში. სწორედ ამით იყო გამოწვეული, რომ ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკური ინტერესები ძირითადად სრულიად საპირისპირო იყო და ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი ერთეულის კურსს ქვეყნის შიგნით მიმდინარე ფეოდალური შინაომები განსაზღვრავდნენ. თავის მხრივ, უცხო ძალები მარჯვედ იყენებდნენ შინა

---

[1] მატიანე ქართლისა., გვ. 267-270.
[2] იქვე. გვ. 270.

ქართულ წინააღმდეგობებს და აქტიურად ერეოდნენ საქართველოს საშინაო საქმეებში. ყველანი — არაბები იყვნენ ისინი თუ ბიზანტიელები, ან მეზობელი სომხეთის მესვეურები, ცდილობდნენ, საბოლოო ანგარიშით, არ დაეშვათ რომელიმე ქართული პოლიტიკური ერთეულის ისე გაძლიერება, რომ მას მოეხერხებინა დანარჩენი ქართული ქვეყნების „ჩაყლაპვა“ და ძლიერი ერთიანი სამეფოს ჩამოყალიბება, რომელიც მტკიცედ ღაიკავებდა თავის ადგილს საერთაშორისო არენაზე და თვით განაცხადებდა ლიდერობის პრეტენზიას კავკასია-მახლობელ აღმოსავლეთში. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად ართულებდა შინა პოლიტიკურ ვითარებას საქართველოში, აფერხებდა ერთიანი საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავებას და შეუძლებელს ხდიდა საერთო ქართულ დიპლომატიურ საქმიანობას.

VII თავი. ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი დიპლომატიური უზრუნველყოფა

X ს-ის 70-იანი წლებიდან ცალკეული ქართული ქვეყნების ერთიან სახელმწიფოში გაერთიანებისათვის ბრძოლის ხანგრძლივი პროცესი დასკვნით ფაზაში შევიდა. ბაგრატ უფლისწულის ჯერ ქართლში მმართველად დასმით (975 წ.) და შემდგომ კი მისი დასავლეთ საქართველოში გამეფებით (978 წ.) გადაიდგა გადამწყვეტი ნაბიჯები ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის გზაზე. რასაკვირველია, ამ ორი აქტის განხორციელება, რომელსაც შემდგომ მოჰყვა ქვეყნის გაერთიანება, პირველ რიგში, განპირობებული იყო საშინაო პოლიტიკური და განსაკუთრებით დინასტიური მომენტებით, მაგრამ გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს აღმოცენება-ჩამოყალიბების პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმ ხელსაყრელმა საერთაშორისო ვითარებამაც, რომელიც შეიქმნა X ს-ის II ნახევრიდან კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში.

აღნიშნულ პერიოდში საერთო პოლიტიკური სიტუაცია საქართველოს სამხრეთით მეტ-ნაკლებად სტაბილური იყო, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ვერც ბიზანტია და ვერც ხალიფატი ვერ ახერხებდნენ პოლიტიკური ჰეგემონის როლში აქტიურად გამოსვლას რეგიონში. ხანგრძლივმა ურთიერთჰიდილმა, აგრეთვე ორივე ქვეყნის შიგნით მიმდინარე მწვავე შინაპოლიტიკურმა გართულებებმა, მნიშვნელოვნად დაასუსტა მათი საგარეო პოლიტიკური პოტენციალი. მიუხედავად იმისა, რომ X ს-ის II ნახევარში ბიზანტიის იმპერია არ ეხსნებოდა თავის დიდმპყრობელურ პოლიტიკას და ცალკეულ შემთხვევებში აღწევდა კიდეც თვალსაჩინო წარმატებებს როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთითაც, მთლიანობაში ეს პერიოდი სრულებითაც არ იყო იმპერიის ძლიერების ხანა. პირიქით, იოანე ციმისხის გარდაცვალების (976 წ.) შემდეგ, რომელმაც თავის წინამორბედ იმპერატორ ნიკიფორე ფოკასთან ერთად გარკვეულ წარმატებებს მიაღწია როგორც ბალკანეთში, ისე აღმოსავლეთის არაბული საემიროების წინააღმდეგ ომებში,[1] ერთი პერიოდი (დაახლოებით 70-იანი წლების II ნახევარი — 90-იანი წლების დასაწყისი) ბიზანტიის იმპერია იძულებული შეიქნა, დროებით თავი შეეკავებინა აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარებისაგან.

---

[1] Г. Г. Литаврин, Внутренняя и внешняя политика Византии во второй половине X первой четверти XI в., — "История Византии", т. II, М., 1967, გვ. 211-217; ზ. პაპასქირი, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990, გვ. 7.

X ს-ის II ნახევრისათვის არც არაბული სამყარო წარმოადგენდა ერთიან, მობილურ ძალას. ამ დროისათვის ხალიფატის დაშლის პროცესი (დაიწყო VIII ს-ის II ნახევრიდან) საკმაოდ შორს იყო წასული და ბაღდადის ხელისუფლება აბსოლუტურად ვერ აკონტროლებდა სიტუაციას ოდესღაც უზარმაზარი არაბული იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ საემიროებში,[1] რომელთა ნაწილს საქართველოს მომიჯნავე ტერიტორიები ეკავა, ხოლო ერთ-ერთი მათგანი — თბილისის საამირო უშუალოდ ქვეყნის შიგნით იყო მოქცეული. ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის საქართველოს მეზობელი არცერთი არაბულ-მუსლიმური პოლიტიკური წარმონაქმნი არ წარმოადგენდა მეტ-ნაკლებად საშიშ ძალას და ქართულ სამეფო-სამთავროებს მაჰმადიანური საემიროების მხრიდან ამ დროს რაიმე სერიოზული საფრთხე არ ემუქრებოდა, თუმცა დროდადრო მათთან ცალკეული გართულებები მაინც შეიმჩნეოდა.

საქართველოში მიმდინარე გამაერთიანებელი პროცესებისადმი ხელის შეშლა არ შეეძლო არც სომხურ პოლიტიკურ სამყაროს. ამ პერიოდისათვის სომხეთში დაქუცმაცების პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა და ანისის ბაგრატუნიანთა სამეფოს გვერდით, რომელიც წარმოქმნის დღიდან გამოდიოდა სომხური მიწების გაერთიანების ჰეგემონის როლში, გაჩნდნენ ვასპურაკანის, სიუნიქის, ფარისოსის, ვანანდის, ტაშირ-ძორაგეტის სამეფოები და სხვა უფრო წვრილ-წვრილი სამთავროები.[2] IX-X საუკუნეებში ამ სამეფო-სამთავროებში განსხვავებული ისტორიულ-კულტურული ვითარება იყო, რაც შეუძლებელს ხდიდა ერთიანი სომხური სახელმწიფოს შექმნას.[3] ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სომხურ პოლიტიკურ ერთეულებს, რომლებსაც ხანგრძლივი ბრძოლის გადატანა მოუხდათ არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ, ამჯერად ბიზანტიის იმპერია ემუქრებოდა. სწორედ ბიზანტიის აგრესიის გაძლიერება, აგრეთვე წინააღმდეგობების გამწვავება სხვა სომხურ სამეფოებთან, არ აძლევდა საშუალებას ანისის მეფეებს, გამოეჩინათ ძველებური აქტიურობა და ებრძოლათ ამიერკავკასიაში ერთიანი ქრისტიანული სახელმწიფოს შექმ-

---

1 ამის შესახებ იხ: К. Э. Босворт, Мусульманские династии (справочник по хронологии и генеалогии), перевод с английского и примечания Н. А. Грязневича, М., 1971, გვ. 5; Е. А. Беляев, Арабы, ислам и Арабский Халифат в раннее средневековье, 2-ое изд., 1966, გვ. 219.

2 К. Н. Юзбашян, Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв., М., 1988, გვ. 72; ა. ამდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI ს-ში, თბ., 1988, გვ. 205-206.

3 К. Н. Юзбашян, Армянские государства.., გვ. 68-69.

ნისათვის, რასაც ისინი ასე თავგამოდებით ცდილობდნენ X საუკუნის დასაწყისში და უფრო ადრეც.[1]

პოლიტიკურად უაღრესად ჭრელი იყო აღმოსავლეთი ამიერკავკასია. X ს-ში მისი დიდი ნაწილი არაბული, ირანული და ქურთული წარმოშობის დინასტიების მორჩილებისა და გავლენის ქვეშ იყო მოქცეული,[2] რომელთა შორის პრიორიტეტული მდგომარეობა ეკავათ შარვანის სამეფოს და შადადიანთა არანის სახელმწიფოს. თუ შარვანშაჰებს საქართველოსთან ტრადიციულად ლოიალური, კეთილმეზობლური ურთიერთობა აკავშირებდათ, მათგან განსხვავებით, განძა-არანის მმართველნი, პირიქით, შესაძლებლობისამებრ, ყოველთვის ცდილობდნენ, ზიანი მიეყენებინათ მეზობელი ქართული ქვეყნისათვის — „ჟამითი ჟამად მეკობრეობითა და პარვით" დაერბიათ და „ადგილითი ადგილად" ეძარცვათ ქვეყანა,[3] მაგრამ X ს-ის 70-იან წლებში განძა-არანი ჯერ კიდევ ვერ იყო ისე მომძლავრებული, რომ სერიოზულად დაპირისპირებოდა მეზობელ ქართულ ქვეყნებს.

არც ჩრდილოეთ კავკასია იყო ამ პერიოდისათვის ეთნიკურად და პოლიტიკურად ერთფეროვანი რეგიონი. X ს-ის მიწურულისათვის აქ რამდენიმე სახელმწიფოებრივი გაერთიანება არსებობდა, რომელთაგან უმთავრესი იყო ოსეთის სამეფო — აღმოსავლური წყაროების „მულქ ალ-ალანი" (ეკავა ტერიტორია იმიერკავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილებში)[4] და დაღესტნურ ტომთა გაერთიანებები: სერირი, გუმიკი, ტაბარსარანი, დარუბანდი და სხვ.[5] თითოეული ამ სამეფო-სამთავროთაგანი აღნიშნულ პერიოდში განიცდიდა გარკვეულ სიძნელეებს და მათ ამ ეტაპზე მაინც არ შესწევდათ უნარი, რაიმე ზეგავლენა მოეხდინათ ამიერკავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე.

ამრიგად, X ს-ის 70-იანი წლებისათვის ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი იყო რამდენადმე სტაბილური საერთა-

---

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1977, გვ. 305; მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინა პოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს-ის 80-იანი წლებიდან XI ს-ის 80-იან წლებამდე, — „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. III. 1979. გვ. 191-192; М. Д. Лордкипанидзе, История Грузии XI — начала XIII вв., Тб., 1974.

2 ვ. თოფურია, აღმოსავლეთი ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში, თბ., 1975. გვ. 25.
მატიანე ქართლისა, „ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 279.

4 А. П. Новосельцев, К истории аланских городов, — "Материалы по археологии и древней истории Северной Осетии", т. II, Орджоникидзе, 1969, გვ. 132; З. В. Папаскири, У истоков грузино-русских политических взаимоотношений, Тб., 1982, გვ. 47.

5 Р. М. Магомедов, Дагестан (Исторические этюды), Махачкала, 1975, გვ. 45.

შორისო ვითარება და პრაქტიკულად არ არსებობდა ისეთი გარეშე პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეეძლო, სერიოზული კორექტივები შეეტანა საქართველოში მიმდინარე გამაერთიანებელ პროცესებში. ერთადერთ სახელმწიფოდ, რომელიც ასე თუ ისე მაინც აცხადებდა აქ მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე კონტროლის გაწევის პრეტენზიას, ისევ და ისევ ბიზანტიის იმპერია რჩებოდა. ბიზანტიის იმპერატორები X ს-ის 70-იანი წლებისათვის ჯერ კიდევ ითვლებოდნენ ამიერკავკასიის მრავალი ქრისტიანული სამეფო-სამთავროს სიუზერენებად, მათ შორის კი, პირველ რიგში, ტაო-კლარჯეთის საკურაპალატოსი ანუ „ქართველთა" სამეფოსი, რომლის ლიდერი დავით კურაპალატი მოგვევლინა საერთო ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ერთ-ერთ ინიციატორად და მოთავედ.[1]

როგორი იყო 975, 978 წლების აქტების საგარეო პოლიტიკური და დიპლომატიური ფონი.

X ს-ის 70-იან წლებში, როგორც უკვე აღინიშნა, კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში ფართო მასშტაბის საერთაშორისო გართულებები, ყოველ შემთხვევაში ისეთი, რომელიც შეაფერხებდა გამაერთიანებელ პროცესებს საქართველოში, არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, არც 975 წელს ბაგრატ უფლისწულის ქართლში დასმა და, მით უფრო, 978 წელს მისი აფხაზეთში გამეფება არ ყოფილა მხოლოდ შიდაქართული მნიშვნელობის აქტი და ორივე ეს ღონისძიება მეტ-ნაკლებად გარკვეული საერთაშორისო რეზონანსის მქონე მოვლენებად უნდა ჩაითვალოს. რასაკვირველია, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ორივე ამ მოვლენის უკან მხოლოდ გარეშე პოლიტიკური ძალის — ინსპირატორის, კერძოდ, ბიზანტიის იმპერიის გადამწყვეტი როლი ვეძიოთ.[2] გარდა ამისა, თავისთავად, საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით, 975 და 978 წლების აქტები არ შეიძლება მივიჩნიოთ თანაბარი მნიშვნელობის მოვლენებად. თუ 978 წელს ქუთაისში ბაგრატ უფლისწულის გამეფებით პრინციპულად იცვლებოდა წამყვანი ქართული სახელმწიფოს — „აფხაზთა" სამეფოს როლი და ადგილი საერთო ქართულ პოლიტიკურ სამყაროში, რომელსაც უთუოდ მოჰყვებოდა ფართო გამოხმაურება საერთა-

---

1 ამ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებული შეხედულება აქვს აკად. გ. მელიქიშვილს (იხ. გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 4-24). მისი აზრით, დავით კურაპალატი არა თუ არ იყო, არამედ არც შეიძლებოდა ყოფილიყო ქართული მიწების ერთიან სახელმწიფოში გაერთიანების ინიციატორი და ორგანიზატორი და რომ მის ამ როლში გამოსვლას ხელს უშლიდა ბიზანტიის იმპერიის ვასალობა. გ. მელიქიშვილის აღნიშნული მოსაზრების კრიტიკა იხ: ზ. პაპასქირი, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა, გვ. 14-62.

2 შდრ. გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს..., გვ. 18-24.

შორისო არენაზეც, 975 წლის აქტი უფრო ლოკალური მნიშვნელობის იყო. ის უნდა განვიხილოთ როგორც ერთგვარი სამზადისი — ეტაპი ბაგრატის აფხაზეთში გამეფებისა და შემდგომ მის ირგვლივ დანარჩენი ქართული მიწების გაერთიანების გზაზე. სრულიად აშკარაა, რომ შიდა ქართლში — „აფხაზთა" მეფის მიერ კონტროლირებად რეგიონში — ტაოს ბაგრატიონთა სახლის ერთადერთი მემკვიდრის — ბაგრატ უფლისწულის მმართველად დასმა იყო მექანიზმი „ქართველთა" და „აფხაზთა" სამეფოების დინასტიური შეკვრისა. 975 წელს ბაგრატის უფლისციხეში ჩაყვანა და მისი შიდა ქართლის განმგებლად გამოცხადება, რაც ასე დემონსტრაციულად გააკეთა დავით კურაპალატმა, გამაერთიანებელი მოძრაობის პირველი დიდი გამარჯვება იყო. მართალია, ამ შემთხვევაში დიპლომატიური ინიციატივა „აფხაზთა" მეფის მიერ ქართლში ერისთავად დაყენებული დიდებულის, იოანე მარუშის ძის მხრიდან მოდიოდა, მაგრამ აშკარაა, რომ ტაოელი ლიდერები (დავით კურაპალატი, ბაგრატ II „რეგუენი", გურგენი) სრულ მზადყოფნაში იყვნენ და ბაგრატის ირგვლივ სრულიად საქართველოს შემოკრების გეგმა უპირველესად სწორედ ტაოში იყო შემუშავებული. დავით კურაპალატის მიერ მაინცდამაინც ბაგრატის, „რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი",[1] შვილება და მის ერთადერთ მემკვიდრედ გამოცხადება ამის ნათელი დადასტურებაა. რაც შეეხება „აფხაზთა" სამეფო კარის პოზიციას, ერთი შეხედვით, თითქოს მეფე თეოდოსიც არ უნდა ყოფილიყო წინააღმდეგი ბაგრატის შიდა ქართლში დასმის, რადგან ამ გზით ის უთუოდ შეინარჩუნებდა თავის უზენაეს უფლებებს ამ რეგიონზე. აქ ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ბაგრატის ქართლში გაბატონება სრულებითაც არ იყო ანტიაფხაზური აქტი და არ ნიშნავდა ამ რეგიონზე დავით კურაპალატის მფლობელობის დამყარებას.[2] ქართლის ბაგრატის ხელში გადასვლა, პირველ რიგში, მიზნად ისახავდა აფხაზეთის ხელისუფლების განმტკიცებას აღმოსავლეთ საქართველოში, რადგან ის (ე. ი. ბაგრატი) ქართლში ჯდებოდა, როგორც დასავლეთ საქართველოს სამეფო სახლის წარმომადგენელი.[3] ის მოდიოდა თავის დედულეთში („ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი"). თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ამით კეთდებოდა პირველი დიდი ნაბიჯი ორივე ტახტის გაერთიანების გზაზეც. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ თეოდოსი, ერთი პერიოდი, უდავოდ სარგებლობდა დავით

მატიანე ქართლისა..., გვ. 272.

2 შდრ. დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II. თბ., 1980. გვ. 225.

გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს..., გვ. 18-24.

კურაპალატის კეთილი განწყობილებით (ის ერთი წლის განმავლობაში თავს აფარებდა დავითის კარს) და შეიძლება ამასაც მოეხდინა გავლენა მის პოზიციაზე. მაგრამ ყოველივე ზემოაღნიშნული, ეფიქრობთ, მაინც არ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მეფე თეოდოსი და მისი გარემოცვა ცალსახად მხარს დაუჭერდა ბაგრატ უფლისწულისათვის ქართლის გადაცემას, ან, რომ ეს ინიციატივა საერთოდ აფხაზეთის — სამეფო კარიდან მოდიოდა.[1] თუ გავაანალიზებთ თეოდოსის აფხაზეთში გამეფების პერიპეტიებს, ასეთი დასკვნის გაკეთება უთუოდ გაჭირდება. პირველ რიგში, აღგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ თეოდოსის გამეფებას აქტიურად დაუჭირა მხარი კახეთის ქორეპისკოპოსმა კვირიკემ, რომელმაც არა თუ მედიატორობა იკისრა ძმებს შორის ტახტისათვის ატეხილ ბრძოლაში და მოინდომა მათი შერიგება, არამედ პირობაც კი დადო თეოდოსის წინაშე, რომ მისი ძმის — დემეტრე „აფხაზთა" მეფის ღალატის შემთხვევაში თვითონ იჭნებოდა „მეძიებელი სისხლისა".[2] კახეთის მმართველის ასეთი თავგადადება ტახტის მაძიებელი „აფხაზი" უფლისწულისათვის, როგორც ჩანს, გარკვეულ პოლიტიკურ მიზანს ისახავდა, რომელიც გაცხადდა კიდევაც თეოდოსის აფხაზეთში გამეფებისთანავე. „მაშინ (ე. ი. თეოდოსის ტახტზე ასვლისთანავე) მოვიდეს კახნი და მოადგეს უფლისციხეს".[3] ერთი სიტყვით, სავარაუდოა, თეოდოსისა და კვირიკეს შორის დადებულა ფარული გარიგება, რომლის თანახმადაც თეოდოსი თავის მოკავშირეს, მისთვის გაწეული დახმარების სანაცვლოდ, ქართლს დაპპირდა. ეტყობა, სწორედ ამ გარიგების წინააღმდეგ გამოვიდა იოანე მარუშის ძე, რომელმაც ქუთაისში კი არ აფრინა კაცი დამხმარე ძალის მოსახმობად, არამედ „წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატისა" და მას სთხოვა გამოლაშქრება უფლისციხეს.[4] განსაკუთრებით ხაზგასასმელია შემდეგი მომენტიც: იოანე მარუშის ძეს ბაგრატ უფლისწული აინტერესებს არა უბრალოდ ქართლის მმართველის როლში, არამედ ის საერთოდ მთელი აფხაზეთის მეფედ ესახება. „ესევე იოანე მარუშის ძე ეძებდა ბაგრატს მეფედ". — წერს მემატიანე,[5] ე. ი. ბაგრატი ჯერ ქართლში არ დაუსვამთ და იოანე მარუშის ძე კი უკვე მის აფხაზეთში გამეფებაზე ფიქრობს. აქ მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ქართლის ერისთავისათვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო თეოდოსი-კვირიკეს გარიგება და მან იმთავითვე დაიწყო არა

---

1 ამგვარ შესაძლებლობას უშვებს გ. მელიქიშვილი. იხ. გ. მელიქიშვილი, „ფეოდალური საქართველოს", გვ. 135.

2 „მატიანე ქართლისა", გვ. 271.

3 იქვე.

4 იქვე.

5 იქვე.

მხოლოდ ქართლის შენარჩუნებისათვის ზრუნვა, არამედ აფხაზეთში მომავალი სახელმწიფო გადატრიალებისათვის თადარიგიც დაიჭირა. ასეა თუ ისე, ბაგრატის ქართლში დაყენება ძირითადად შინა ქართულ წრეში გადაწყდა და მისი სისრულეში მოყვანა საშინაო დიპლომატიის ფარგლებს არ გასცილებია. ყოველი შემთხვევისათვის, ამ აქციების განსახორციელებლად დავით კურაპალატს რაიმე მხარდაჭერა მეზობელი ქვეყნების მხრიდან არ დასჭირვებია, თუმცა, თუ გავიხსენებთ იმას, რომ ბრძოლაში „ქართლსა ზედა" სისტემატურად ებმებოდნენ ანისის მეფენი, არაა გამორიცხული, დავით კურაპალატს ჰქონდა კიდეც გარკვეული დიპლომატიური კონტაქტები ანისელ ბაგრატუნებთან, რათა საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინა სომხები კახელთა წინააღმდეგ (მოგვიანებით, ანისის სამეფო კარი უშუალოდ აღმოჩნდა ჩართული, როგორც ბაგრატის აფხაზეთში გამეფების პროცედურაში, ისე დავით კურაპალატის სხვა პოლიტიკურ და სამხედრო აქციებში). მაგრამ ამ ეტაპზე სომეხთა მონაწილეობა შიდა ქართლის პრობლემების მოგვარებისას საჭირო არ გახდა და ეს საკითხი დავითმა საკუთრივ ტაოს ძალებით დასავლეთი საქართველოს გარკვეულ პოლიტიკურ წრეებზე (იოანე მარუშის ძის „დასი") დაყრდნობით გადაჭრა. რაც შეეხება ბიზანტიის პოზიციას, წყაროებში ოდნავი მინიშნებაც კი არ ჩანს რაიმე რეაქციაზე კონსტანტინოპოლის მხრიდან 975 წლის აქტთან დაკავშირებით, ამდენად, მსჯელობა იმაზე, რომ ბაგრატის ქართლის მმართველად დასმა თითქოს შეესაბამებოდა იმპერიის პოლიტიკურ კურსს და შეიძლება სანქცირებულიც კი იყო საიმპერატორო კარის მიერ,[1] გადაჭარბებულად მიგვაჩნია.

ამ თვალსაზრისით, რამდენადმე განსხვავებული ვითარება გვაქვს 978 წელს, როდესაც ბაგრატის აფხაზეთში გამეფება დადგა დღის წესრიგში. ამ აქციისათვის, როგორც ჩანს, უკვე გარკვეული საერთაშორისო დიპლომატიური ფონის შექმნა გახდა საჭირო. სწორედ ამით იყო განპირობებული ბაგრატის კორონაციაზე ანისის მეფე სუმბატ ბაგრატუნის მონაწილეობა.[2] ბაგრატის ტახტზე ასვლის საზეიმო ცერემონიალზე მეზობელი ქვეყნის ხელმძღვანელის მოწვევით დავით კურაპალატი ახდენდა საკუთარი ძალების ერთგვარ დემონსტრირებას აფხაზთა სამეფოს იმ წრეების წინაშე, რომელთაც, შესაძლოა, არ მოსწონდათ არსებული რეჟიმის შეცვლა. ამასთან, ამ აქტს გარკვეული დიპლომატიური დატვირთვაც ჰქონდა: ის მოასწავებდა აფხაზეთის ახალი ხელი-

---

[1] გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს..., გვ. 18.

[2] Всеобщая история Степаноса Таронского – Асохика по прозванию, писателя XI столетия, перевод с армянского Н. Эмина, М., 1864, გვ. 180.

სუფლების საერთაშორისო აღიარებასაც.[1] სრულიად აშკარაა, რომ ბიზანტიას არც ამჯერად გამოუმჟღავნებია რაიმე დაინტერესება საქართველოში მიმდინარე პროცესებით. ეპვები იმის შესახებ, რომ ბაგრატის გამეფებას თითქოს აფხაზეთში იმპერიის მმართველი წრეები წინ უნდა აღდგომოდნენ და ამ მიზნით მათ დავით კურაპალატისათვის ერჩიოთ აფხაზეთისა და ქართლის დიდებულებისაგან მძევლების აყვანა,[2] ყოვლად უსაფუძვლოა. დავით კურაპალატის ერთგვარი ყოყმანი აფხაზეთში ბაგრატის გაგზავნის თაობაზე და მის მიერ მძევლების აყვანა აფხაზეთისა და ქართლის დიდებულებისაგან სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ტაოს ლიდერი პრინციპში წინააღმდეგი იყო თავისი შვილობილის დასავლეთ საქართველოში გამეფებისა. როგორც ჩანს, დავითი კარგად იყო ჩახედული „აფხაზთა" სამეფოში შექმნილ ვითარებაში და მას რამდენადმე აეპვებდა დასავლეთი საქართველოს პოლიტიკური წრეების ერთსულოვნება ბაგრატის ქუთაისში მეფედ დასმის საკითხთან დაკავშირებით (ეს შემდგომმა მოვლენებმაც დაადასტურეს). ამიტომ ის, იოანე მარუშის ძისგან განსხვავებით, რომელიც რატომღაც ჩქარობდა, უბრალოდ ერიდებოდა ბაგრატის აფხაზეთში ფორსირებულად (თეოდოსის სიცოცხლეში) გამეფებას და ეს ნაბიჯი მხოლოდ მაშინ გადადგა, როდესაც მძევლების აყვანით უზრუნველყო უფლისწულის უშიშროება.[3]

ბუნებრივია, ბიზანტიის იმპერიის მესვეურები მთლად გულგრილი ვერ იქნებოდნენ საქართველოში მიმდინარე გამაერთიანებელი მოძრაობის მიმართ. ისინი უსათუოდ უნდა დაეფიქრებინა უშუალოდ იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრებთან ერთიანი ძლიერი სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივას, რომელიც ახლო მომავალში შეიძლებოდა დაპირისპირებოდა კიდეც ბიზანტიის ინტერესებს აღმოსავლეთში, მაგრამ, როგორც ჩანს, ქვეყანაში შექმნილი უაღრესად მძიმე საშინაო პოლიტიკური სიტუაცია არ აძლევდა კონსტანტინოპოლის ხელისუფლებას საშუალებას, ჩარეულიყო საქართველოს საქმეებში და, შეეჩერებინა იქ განვითარებული მოვლენები. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში (976-979 წწ.) ბიზანტია მოიცვა მწვავე შინაპოლიტიკურმა კრიზისმა, — ფაქტობრივად სამოქალაქო ომმა. მაკედონელთა დინასტიის მმართველობას სერიოზული საფრთხე შეუქმნა მცირე აზიის სამხედრო-ფეოდალური არისტოკრატიის ერთ-ერთმა ყველაზე ძლიერმა წარმომადგენელმა ბარდა სკლიაროსმა, რომელმაც, ფაქტობრივად, „ორად გაჰყო ბერძენთა

---

1 М. Д. Лодкипанидзе, Образование Грузинской феодальной монархии.., გვ. 376.

2 გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს.. გვ. 18.

3 ამის შესახებ იხ. М. Д. Лордкипанидзе, Образование Грузинской.., გვ. 375-376; ზ. პაპასქირი, ერთიანი ქართული.. გვ. 22-26.

სამეფო“ და „ოთხი წლის განმავლობაში არ შეუწყვეტია ბრძოლა მეფე ბასილთან“.[1] ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში მმართველი დინასტია აშკარა კრახს გადაარჩინა იმიერტაოს ხელმწიფემ დავით კურაპალატმა, რომელიც ოპერატიულად გამოეხმაურა ბიზანტიის ხელისუფალთა თხოვნას და გადამწყვეტი სამხედრო დახმარება აღმოუჩინა მათ ბარდა სკლიაროსის ამბოხების ჩახშობაში.[2] წყაროებში საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება ამ საკითხთან დაკავშირებით ბიზანტიის საიმპერატორო კარსა და დავით კურაპალატს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებზე.[3] იმდენად, რამდენადაც ეს ფაქტი უაღრესად საინტერესო ეპიზოდია ქართული დიპლომატიის ისტორიაში, საჭიროდ მივიჩნევთ მასზე დაწვრილებით შეჩერებას.

ინიციატივა, ამ შემთხვევაში, მოდიოდა კონსტანტინოპოლიდან. ნიშანდობლივია, რომ საიმპერატორო კარი დავით კურაპალატს უშუალოდ კი არ დაუკავშირდა, არამედ, თავდაპირველად, ამ საკითხის ზონდირება გააკეთა ათონელ ქართველებთან, რაც პირდაპირი დადასტურებაა იმისა, რომ ქართული მონასტერი, გარდა რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრისა, როგორც ჩანს, უდავოდ დიპლომატიური წარმომადგენლობის (საელჩოს) ფუნქციებსაც ასრულებდა. დედოფალმა თეოფანიამ, — მცირეწლოვანი იმპერატორების ბასილისა და კონსტანტინეს დედამ, — რომელსაც ფაქტობრივად ხელთ ეპყრა სახელმწიფოს მართვის სადავეები, საგანგებო დესპანი გაგზავნა ათონს — ვინმე სევასტოფორი, „კაცი წარჩინებული მათ ჟამთა მთავართა შორის დედოფლისათა“. ბიზანტიელმა ელჩმა ათანასე დიდს, იოვანესა და თორნიკეს „მისცა წიგნები თვითეულად, ვითარცა აქვნდა ბრძანებაჲ“. დედოფალი სთხოვს წმინდა მამებს, რომ გამოეგზავნათ კონსტანტინოპოლს თორნიკე. ეტყობა, ქართველ ათონელთა შორის სწორედ თორნიკე იყო განსაკუთრებული (დიპლომატიური) უფლებებით აღჭურვილი პიროვნება, რომელიც, შესაძლებელია, ბიზანტიაში დავით კურაპალატის სრულუფლებიანი წარმომადგენლის (დესპანის) ფუნქციებსაც ასრულებდა. აღსანიშნავია, რომ მან ერთბაშად არ მისცა თანხმობა

---

1 Всеобщая история Степаноса Таронского.., გვ. 134; ვ. კობალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, 1969, გვ. 39; იხ. აგრეთვე: ე. ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X-XI საუკუნეებში, — „მრავალთავი“ II, თბ., 1973, გვ. 170-171.

2 ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: ვ. კობალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა... გვ. 31; Н. Ю. Ломоури, К истории восстания Варды Склира, — თსუ შრომები, ტ. 67, თბ., 1957, გვ. 29-51; Z. Avalichvili, La succession du curapalate David d' Ibérie de Tao. Byzantion, VII. I. გვ. 171-202.
გიორგი მთაწმინდელი, იოანეს და ეკეთიმეს ცხოვრება — „ქართული პროზა“, წ. I, თბ., 1982, გვ. 376-378.

ბერძენთა დესპანს და მონაზვნობის მომიზეზებით, თავდაპირველად უარიც კი განაცხადა კონსტანტინოპოლში ჩასვლაზე. როგორც ჩანს, ათონელმა ქართველებმა კარგად აწონ-დაწონეს საქმის ვითარება და მხოლოდ მაშინ დათანხმდნენ დედოფლის მოწვევაზე, როდესაც მომავალ მისიაში ქართული მხარისათვის მომგებიანი მომენტები დაინახეს. გიორგი მთაწმინდელის თხზულებაში მრავლისმეტყველადაა აღწერილი თორნიკე ბერის (ქართველთა დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის?) — აუდენცია საიმპერატორო კარზე. ქართველი ბერი-დიპლომატი მიღებულ იქნა უმაღლეს დონეზე. მიღებას ესწრებოდა ორივე იმპერატორი, რომლებიც, გიორგი მთაწმინდელის თქმით, დედოფლის ბრძანებით, „ფერხთა შეუვრდეს" თორნიკეს.[1] მოლაპარაკებას ბიზანტიის ხელისუფლების მხრიდან დედოფალი აწარმოებდა. შეხვედრა წარმატებით დასრულდა და თორნიკე გაემართა ტაოს — დავით კურაპალატთან. მან მიართვა ტაოს ლიდერს „წიგნები ვედრებისაჲ", რომელიც გამოუგზავნეს დავითს საიმპერატორო კარიდან. კურაპალატი გაგებით შეხვდა ბიზანტიის ხელისუფლების „ვედრებას" და მიიღო „ჯანზრახვაჲ", რაჲთა ლაშქარნი წარმოგზავნეს საბერძნეთს და სპასალარად თორნიკ განაჩინეს".[2] ბერ თორნიკეს დიპლომატიური მისია ამით არ ამოწურულა. მან „კურაპალატისა და თავის წიგნები მეფეთა წინაშე წარსცა და ყოველი ნებაჲ კურაპალატისაჲ აუწყა. და მაშინ მისცნეს მეფეთა ზემონი ქვეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატსა, რაჲთა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ".[3] როგორც ვხედავთ, დავით კურაპალატის სამხედრო ჩარევას ბიზანტიის საშინაო საქმეებში საკმაოდ აქტიური დიპლომატიური სამზადისი უძღოდა წინ. გიორგი მთაწმინდელის თხზულებიდან ზემოთ მოტანილ ცნობაში არაორაზროვნადაა მითითებული, რომ იმიერ ტაოს მმართველის მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხი ბიზანტიაში ამტყდარ კონფლიქტში მთლიანად კურაპალატის „ყოველი ნებაჲ-ს" აღსრულებაზე იყო დამოკიდებული და, რომ ის იქით კარნახობდა პირობებს საიმპერატორო კარს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დავით კურაპალატი სულაც არ იყო ბიზანტიის იმპერატორის რიგითი ვასალი, არამედ მას თავისი გამოკვეთილი სუვერენიტეტი ჰქონდა[4] და როგორც

---

1 გიორგი მთაწმინდელი, იოანესა და ეკთიმეს ცხოვრება... გვ. 377.

2 იქვე. გვ. 378.

3 იქვე.

4 თავის დროზე ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ „კეისრის უფლება საქართველოში არასდროს მაინც უბრალო მფარველობისა და გავლენის საზღვარს არ გადასცილებია, სამეფოს შინაურ საქმეებში ჩარევის უფლება არ ჰქონია". ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983, გვ. 112; ცალსახა დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ჰქონდა ს. ჯანაშიასაც, რომელიც ასევე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ Постепенно потомки Ашота фактически освобождаются от... васаль-

სწორად შენიშნავს მკვლევარი ელ. ცაგარეიშვილი, „ყოველ თავის მოქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობდა საკუთარი ინტერესებით და არა ბიზანტიის იმპერიის საჭიროებებით".[1] ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამაზე მეტყველებს თუნდაც იმიერ ტაოს მმართველის მიერ დაკავებული პოზიცია ბარდა სკლიაროსის ხელახალი ამბოხების (986-989 წწ.) დროს, როდესაც ის განუდგა ბასილი კეისარს და, ამჯერად, თავისი ძალები აჯანყებულებს დაახმარა.[2]

ამრიგად, შეგვიძლია ყოველგვარი დაეჭვების გარეშე ვამტკიცოთ, რომ 975 და 978 წლების აქტები დავით კურაპალატმა საკმაოდ მშვიდ საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში განახორციელა და ამ ცვლილებებს საქართველოში მეზობელი ქვეყნების, განსაკუთრებით კი ბიზანტიის იმპერიის მხრიდან არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია, ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, სხვა ფაქტორებთან ერთად უდავოდ დავით კურაპალატის მოქნილმა საშინაო და საგარეო დიპლომატიამაც განაპირობა.

X ს-ის 80-90-იან წლებში გამაერთიანებელი მოძრაობა საქართველოში მნიშვნელოვან შინა პოლიტიკურ და, რაც მთავარია, საგარეო პოლიტიკურ გართულებებს წააწყდა. ქვეყნის შიგნით მთელი ძალით ამოქმედდნენ დავით კურაპალატ-იოანე მარუშის ძის გეგმის მოწინააღმდეგე ძალები. პირველ რიგში, საჭირო შეიქნა გადაყენებული მეფის თეოდოსის აფხაზეთიდან მოშორება, „რათა ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, სასოება კეთილისა, განა შიში უწესობისათვის მისა (ე. ი. ბაგრატის) მიმართ აქუნდეს",[3] მაგრამ, როგორც ჩანს, აფხაზეთი არც ამის შემდეგ დაწყნარებულა და ბაგრატ III-ს კიდევ ორჯერ მოუხდა რეპრესიების გატარება დასავლეთ საქართველოში. 80-იანი წლების დამდეგს ბაგრატ III-მ ჩაახშო სეპარატისტულად განწყობილი ქართლის დიდაზ-

---

ной зависимости и в X веке являются сюзеренными правителями, сохраняя вместе с тем прежние титулы, и прежде всего титул Куропалата..." С. Н. Джанашия, Об одном примере искажения исторической правды, По поводу книги Н. Токарского: "Архитектура древней Армении", Тб., 1947, გვ. 22.

ელ. ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ., გვ. 161.

ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია სავსებით საფუძვლიანი მოსაზრება, რომ დავით კურაპალატის მხრიდან ამგვარი ნაბიჯის გადადგმა გამოწვეული იყო მისთვის (979 წ.) „ზემო ქვეყნების მხოლოდ დროებით მფლობელობაში გადაცემით". მ. კახაძე, ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, თბ., 1954, გვ. 40-41; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, I, თბ., 1954, გვ. 67; Н. Ю. Ломоури, К истории восстания.., გვ. 29-51; ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის., გვ. 50-58; მ. ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები". ტ. II, თბ., 1973, გვ. 490; შ. ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან, თბ., 1984, გვ. 67.

[3] მატიანე ქართლისა., გვ. 276.

ნაურთა მძლავრი გამოსლვა, რომელსაც ქავთარ ტბელი მეთაურობდა, ჩამოართვა დედამისს – გურანდუხტ დედოფალს[1] უფლისციხე და წამოიყვანა ის „ქვეყანად აფხაზეთისა“.[2] და მაინც ყველაზე დიდი საშიშროება საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმეს 988 წელს დაემუქრა, როდესაც ბაგრატ III-მ კლდეკარის ერისთავის რატი ბაღვაშის დამორჩილება მოინდომა. ბაგრატ III-ის ამ აქციას კინაღამ საერთო-ქართული მასშტაბის კონფლიქტი მოჰყვა, რომელშიც ჩართული აღმოჩნდნენ მეზობელი სომეხი ლიდერებიც.[3] მას მოულოდნელად დაუპირისპირდა დავით კურაპალატი, რომელიც, „მატიანე ქართლისას“ ავტორის მტკიცებით, დაურწმუნებიათ „აფხაზთა“ მეფის ბოროტ განზრახვაში მის მიმართ. ბაგრატის მთავარი მოკავშირე იყო მამამისი გურგენი, ხოლო დავითს გვერდით ამოუდგა „ქართველთა“ მეფე ბაგრატ II „რეგუენი“, რომელსაც „ეშინოდა ძისა თჳსისა გურგენისაგან წაღებასა მეფობისასა“.[4] დავით კურაპალატმა მოუხმო აგრეთვე „ყოველთა მეფეთა სომხითისათა“.[5] ისტორიოგრაფიაში სხვადასხვაგვარადაა შეფასებული ეს მოვლენა. არსებობს მოსაზრება, რომ ბაგრატ III იმთავითვე დავით კურაპალატის წინააღმდეგ მოდიოდა და რომ ეს გამოსვლა სავსებით კანონზომიერი იყო; იგი მთლიანად ესადაგებოდა ბაგრატ III-ის სტრატეგიულ კურსს, რომელიც ითვალისწინებდა ყველა ქართული რეგიონის ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანებას.[6] ამასთან დაკავშირებით ყურადღება ექცევა სტეფანოს ტარონაცის ერთ საინტერესო ცნობასაც, რომლის მიხედვით კონფლიქტის მთავარ მიზეზად დასახელებულია უთანხმება ბაგრატ II „ქართველთა“ მეფესა და მის შვილ გურგენს შორის.[7] სხვა თვალსაზრისით, ეს კონფლიქტი მთლიანად პროვოცირებული იყო რატი ბაღვაშის მიერ, რომელმაც „ნაცად ხერხს“ (ნ. ბერძენიშვილი)[8] მიმართა, დაასმინა ბაგრატ მეფე დავით კუ-

---

1 ქართლის აზნაურთა ამ გამოსვლისა და მასში გურანდუხტ დედოფლის როლის შესახებ იხ.: ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული... გვ. 68-71.

2 მატიანე ქართლისა... გვ. 276.

3 იქვე. გვ. 277.

4 იქვე

5 იქვე.

6 მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინა პოლიტიკური ვითარება... გვ. 156.
Всеобщая история Степаноса Таронского.., გვ. 180-181; М. Д. Лордкипанидзе, Из истории грузино-византийских взаимоотношений на грани X-XI вв., „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1972, გვ. 36.

6. ბერძენიშვილი ვარაუდობდა, რომ რატი ბაღვაშმა მიმართა დავით კურაპალატს. ამასთან მეცნიერი აღნიშნავდა, რომ ბაღვაშების სამფლობელოს გარშემო უწინაც არაერთხელ დაძაბულა ურთიერთობა „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფეებს შორის, რომლის დროსაც „ქართველთა“ მეფეები, როგორც წესი, ტრადიციულად იცავდნენ კლდე-

რაპალატთან და დაარწმუნა იმაში, რომ „აფხაზთა“ მეფე იმიერ ტაოს დასაპყრობად მოდიოდა. დავითი აჰყვა კლდეკარის ერისთავის ამ პროვოკაციას, დაასწრო ბაგრატს და თრიალეთში მის მოსელამდე უკვე დაამარცხა გურგენის ლაშქარი. მამობილის ამგვარი საქციელი კი ბაგრატ მეფემ რატი ბალვაშის დასაცავ ღონისძიებად ჩათვალა და ამით განაწყენებულმა, შესაძლოა, მართლაც გადაწყვიტა საპასუხო დარტყმის მიყენება, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ არ გააკეთა, რომ დავითის მოკავშირეებულმა ძალებმა დააფრთხო და ამიტომ შერიგებაზე წასვლა ამჯობინა. ბაგრატის ახსნა-განმარტებამ დააკმაყოფილა დავით კურაპალატი, მან ირწმუნა თავისი .შვილობილის უცოდველობა და დართო ნება კლდეკარის საერისთაოს შემომტკიცებისა, რაც „აფხაზთა“ მეფემ მოგვიანებით („ვითარ მოიწია ჟამი ზამთრისა“) უმტკივნეულოდ განახორციელა.[1]

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, რატი ბალვაშის სამფლობელოების გამო ატეხილი კონფლიქტი საერთაშორისო მასშტაბის გართულებად გადაიქცა. მასში მონაწილეობდნენ დავით კურაპალატის კონტრაგენტი სომეხი მმართველებიც. ამ ბოლო დროს გამახვილდა ყურადღება ბიზანტიის ფაქტორზეც. კერძოდ, გამოითქვა მოსაზრება, რომ 988 წ. ბაგრატ-დავითის კონფლიქტი, შესაძლებელია, ინსპირირებული ყოფილიყო კონსტანტინოპოლის მიერ. ბიზანტიის ხელისუფლებამ დავით კურაპალატის (ის ამ დროს აჯანყებულ ბარდა ფოკას მიემხრო) ნეიტრალიზების მიზნით წააქეზა ბაგრატ III, გამოსულიყო თავისი გამზრდელის წინააღმდეგ.[2]

ბიზანტიის ფაქტორმა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე ნეგატიური ამოქმედება დაიწყო 989 წლის შემდეგ, როდესაც ბასილი კეისარმა შეძლო ბარდა ფოკა-ბარდა სკლიაროსის ამბოხების ჩახშობა და მის მონაწილეთა დასჯა, რომელთა შორის დავით კურაპალატიც აღმოჩნდა. ეს იყო იმიერ ტაოს მმართველის საბედისწერო შეცდომა. აშკარაა, რომ მან სწორად ვერ შეაფასა ძალთა თანაფარდობა და ნაჩქარე-

---

კარის საერისთაოს „აფხაზთა“ მეფეების ხელყოფისაგან. იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII, თბ., 1974, გვ. 12-14.

1 დაწვრილებით იხ: ზ. პაპასქირი, ერთიანი ქართული., გვ. 40-43.

2 М. Д. Лордкипанидзе, Из истории грузино-византийских.., გვ. 36-37; ალ. აბდალაძე ასევე თვლის, რომ ბაგრატ III-მ იმთავითვე დავით კურაპალატზე გამოილაშქრა და კონფლიქტის მიზეზად მიიჩნევს „აფხაზთა“ მეფის ლტოლვას, გამიჯვნოდა თავის მამობილს და გამოსულიყო მისი უზენაესობიდან, რადგან ამ უკანასკნელს დასჯა ელოდა კეისრის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში მონაწილეობისათვის და, ვინიცობაა, გამარჯებულ იმპერატორს დავითის სამფლობელოებთან ერთად პრეტენზია ბაგრატის ქვეყანაზეც არ განეცხადებინა. ალ. აბდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები., გვ. 253-255.

ვად დაუჭირა მხარი ბასილი II-ის წინააღმდეგ მოწყობილ ამბოხებას. დამარცხებული კურაპალატი იძულებული შეიქნა, ხელი მოეწერა ისეთი „შეთანხმება-ანდერძისათვის", რომლის მიხედვითაც ის მთელ თავის სამფლობელოს,[1] სიკვდილის შემდეგ, ბასილი კეისარს უტოვებდა. 989 წლის „შეთანხმება" უმძიმესი დარტყმა იყო გაერთიანების გზაზე მდგარი საქართველოსათვის.[2] ფაქტობრივად წყალში იყრებოდა დავით კურაპალატის ამდენი ხნის ნაღვაწი, მაგრამ, როგორც ჩანს, ტაოს ლიდერს არც ამის შემდეგ ჩაუქნევია ხელი და სიცოცხლის ბოლომდე ის ყველანაირად ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას. ამას ადასტურებს მისი სამხედრო-პოლიტიკური აქტიურობა X ს-ის მიწურულს.

როგორც ცნობილია, X ს-ის 90-იან წლებში დავით კურაპალატმა მძლავრი შეტევა განავითარა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, რომლის დროსაც დალაშქრა არაბთა მფლობელობაში შესული სომხური მხარეები და ქალაქები (ხლათი, არქეში, მანაზკერტი, ბერქრი და სხვ.),[3] რომელთაც დიდი ხანია მაჰმადიანი ამირები განაგებდნენ. ამით

---

1 ისტორიოგრაფიაში არ არის ერთი აზრი იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელ სამფლობელოებზეა ლაპარაკი 989 წ. „შეთანხმებაში". მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, აქ იგულისხმება დავითის ქვეყანა მთლიანად (ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, ტ. II, გვ. 128, 130; ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის..., გვ. 67; მ. ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური..., გვ. 48; ბ. სილაგაძე, იაპია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X ს. ბოლო მეოთხედსა და XI ს-ის პირველ მეოთხედში. — „ქართული წყაროთმცოდნეობა", VI, თბ., 1986, გვ. 119. ზ. პაპასქირი, ერთიანი..., გვ. 37). ზოგიერთი მეცნიერის აზრით კი დავთმა კეისარს მხოლოდ იმ „ზემო ქვეყნების" დაბრუნება აღუთქვა, რომელიც მას ჯერ კიდევ 979 წ. გადაეცა დროებით მფლობელობაში (С. Н. Джанашия, Об одном примере.., გვ. 29; შ. ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასთან და..., გვ. 70-71).
ეს ოდნავადაც არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნულ „შეთანხმებაში" დავით კურაპალატის შეგნებული „ანტიაფხაზური" (ე. ი. ბაგრატ III-ის პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული) ქმედებები ვეძიოთ, როგორც ამას გვთავაზობს აკად. გ. მელიქიშვილი (იხ. მისი ფეოდალური საქართველოს..., გვ. 19). მტკიცება იმისა, თითქოს დავით კურაპალატმა იმიტომ გადასცა თავისი მიწა-წყალი ბიზანტიის კეისარს, რომ მას ამ დროისათვის ბაგრატ III-ისადმი, როგორც მემკვიდრისადმი, თავისი დამოკიდებულება გადასინჯული ჰქონდა, გამართლებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გვექნებოდა დამამტკიცებელი მასალა, რომ დავით კურაპალატს, როგორც ბიზანტიის ერთგულ ვასალს, ერჩია იმიერ ტაო იმპერატორს გადასცემოდა, ვიდრე დანარჩენ საქართველოს შერწყმოდა. ამგვარი მასალა კი არა გვაქვს. პირიქით, შესაბამისი წყაროები, კერძოდ, იაპია ანტიოქიელი პირდაპირ მიუთითებს, რომ „განრისხებული იყო ბასილი მეფე ტაოს პატრონ დავით ქართველთა მეფეზე"..., რომელმაც „პატიება ითხოვა, ბასილს მორჩილება განუცხადა" და მხოლოდ იმით გადაირჩინა თავი, რომ მთელი თავისი ქვეყანა აღუთქვა იმპერატორს (ბ. სილაგაძე, იაპია ანტიოქიელის ცნობები..., გვ. 115).

3 ამის შესახებ დაწერილებით იხ. Н. В. Скабаланович, Византийское государство и церковь, СПб., 1884, გვ. 191; Я. А. Манандян, О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Ереван, 1854, გვ. 215-219; ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის..., გვ. 68; მ. ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთავროების..., გვ. 482; შ. ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობები..., გვ. 51.

დავით კურაპალატმა თავის კონტროლს დაუქვემდებარა სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი რეგიონი. აქ გადიოდა იმდროინდელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო მაგისტრალი. ეს სავაჭრო გზა ტაო-კლარჯეთს დიდ მატერიალურ შემოსავალს აძლევდა და, ბუნებრივია, დავით კურაპალატი დაინტერესებული იყო ამ სავაჭრო არტერიის დაუფლებით.[1] აღმოსავლური ტერიტორიების დაპყრობა დავით კურაპალატის მიერ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო. ის უდავოდ მიუთითებდა საკუთრივ ქართული პოლიტიკური სამყაროს მზარდ ინტერესებზე მოცემული მიმართულებით და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს ბიზანტიის ექსპანსიონისტური პოლიტიკის გამოვლინებად, რომლის რეალიზაციასაც თითქოს კონსტანტინოპოლის სანქციით ეწეოდა დავით კურაპალატი.[2] ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვამტკიცოთ: ზემოხსენებული ტერიტორიების დალაშქრა ქართველთა მიერ ემსახურებოდა არა ბიზანტიის სასიცოცხლო ინტერესებს, არამედ უშუალოდ ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამოცანებიდან გამომდინარეობდა,[3] რაც შეეხება ბიზანტიის იმპერიის როლს ამ აქციებში, მისი სრული უგულებელყოფაც, რასაკვირველია, არ შეიძლება. დავით კურაპალატს, არაა გამორიცხული, ჰქონდა კიდეც გარკვეული მხარდაჭერა კონსტანტინოპოლიდან, ყოველ შემთხვევაში, მისი მოქმედებები აღმოსავლეთში ბასილი კეისართან ერთგვარად შეთანხმებული მაინც უნდა ყოფილიყო. სავსებით დასაშვებია, რომ გარკვეულად დავით კურაპალატის სამხედრო-პოლიტიკური აქციები აღმოსავლეთში, მართლაც ტოვებდა ბიზანტიის გავლენის სფეროების გაფართოებისათვის ზრუნვის შთაბეჭდილებას, მაგრამ ამ ღონისძიებათა არსი არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ისტორიოგრაფიაში სავსებით სამართლიანად არის მითითებული, რომ უცნაური და გაუგებარი იქნებოდა დავითის მხრივ, რომელსაც მხარში ედგნენ ბაგრატ II „ქართველთა“ მეფე და გურგენ მეფეთ-მეფე, ქართველი მოლაშქრეების სისხლის დაღვრა „იმ ტერიტორიების ასაღებად, რომლებიც, მისი აზრით, ფატალურად იყვნენ განწირულნი ბიზანტიის მფლობელობაში გადასასვლელად“.[4] ასე რომ, X ს-ის 90-იანი წლების კამპანია, უპირველეს ყოვლისა, გამოვლინება იყო იმ აშკარად გამოხატული ქართული პოლიტიკისა, რომელსაც დღენიადაგ ატარებდა დავით

---

[1] ამ სავაჭრო არტერიის შესახებ დაწვრილებით იხ: Я. А. Манандян, О торговле.., გვ. 214; ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II. თბ., 1970. გვ. 87-96; მ. ლორთქიფანიძე. ახალი ფეოდალური სამთავროების.., გვ. 484.

[2] შდრ. გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს...

[3] მ. ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთავროების.., გვ. 484.

[4] შ. ბადრიძე. საქართველოს ურთიერთობა.., გვ. 68-69.

კურაპალატი,[1] ის, პირველ რიგში, მიზნად ისახავდა დავითის „საბრძანებლის საზღვრების გაფართოებას“, რომლის თავისი შვილობილისათვის გადაცემის იმედი მას არასდროს დაუკარგავს.[2]

დავით კურაპალატი რომ 989 წლის „შეთანხმების“ შემდეგაც არასაიმედო პარტნიორი იყო კონსტანტინოპოლისათვის და ის ნამდვილად არ აპირებდა იმპერატორისადმი მიცემული პირობის შესრულებას, დაადასტურა 998 წლის კამპანიის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა. კერძოდ, ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბიზანტიის ხელისუფლება არ დაელოდა მოხუცი კურაპალატის ბუნებრივ სიკვდილს და მუხანათურად გამოასალმა ის სიცოცხლეს..[3] სავარაუდოა, იმპერიის მმართველი წრეების ასეთი აჩქარება რაღაც სერიოზული მოტივებით იყო განპირობებული, ეტყობა, ამ დროისათვის მოხდა ,ისეთი რამ, რამაც დაარწმუნა იმპერატორი, რომ კურაპალატი არ აპირებდა თავისი პირობის შესრულებას. ამასთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია აგრეთვე ტაოელ დიდებულთა პოზიციაც: ისინი საჩქაროდ აბარებენ იმპერატორს თავიანთ ციხეებს. ყოველივე ამას მხოლოდ ერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს: დავით კურაპალატმა, ალბათ, გადადგა კონკრეტული ნაბიჯი კეისართან დადებული „შეთანხმების“ დარღვევისა და შესაძლებელია, სიცოცხლეშივე მთელი თავისი მიწა-წყლის ბაგრატ III-ისათვის გადასაცემად, რაც ბიზანტიის ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო. კონსტანტინოპოლმა საპასუხო ღონისძიებები არ დააყოვნა და ურჩი კურაპალატი გზიდან ჩამოიშორა.[4]

დავით კურაპალატის გარდაცვალებამ 1001 წელს მწვავე პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია. ბასილი II-მ შეძლო ტაოელ დიდებულთა გადმობირება და მათი დახმარებით, ფაქტობრივად ყოველგვარი გართულებების გარეშე, დაეუფლა იმიერ ტაოს. ბაგრატ „აფხაზთა“ მეფემ და მამამისმა გურგენმა, ეტყობა, დინჯად აწონ-დაწონეს შექმნილი სიტუაცია და როდესაც დარწმუნდნენ, რომ ბიზანტიელებს ვერ გაუწევდნენ სამხედრო წინააღმდეგობას, დიპლომატიის საშუალებით შეეცადნენ

---

1 М. Д. Лордкипанидзе, Из истории.., გვ. 40; დავით კურაპალატის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღვაწლის შეფასებისათვის იხ: ნ ბერძენიშვილი. კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობაში. — „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. II. თბ„ 1965. გვ. 23-24.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტ. II. გვ. 128. 130.
დავით კურაპალატის მოწამვლის შესახებ ცნობები შემოგვინახეს სომეხმა ისტორიკოსებმა არისტაკეს ლასტივერტციმ. მათეოს ურჰაეციმ და სმბატ სპარაპეტმა. იხ: არისტაკეს ლასტივერტცი. ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებით და საძიებლებით გამოსცა ელ. ცაგარეიშვილმა, თბ„ 1974. გვ. 41; ელ. ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები... გვ. 198-199. 200-201.
ზ. პაპასქირი. ერთიანი„ გვ. 82.

პრობლემას მოგვარებას. ისინი თვითონ ეახლნენ ტაოში ბასილი კეისარს და გამართეს მასთან სამშვიდობო მოლაპარაკება. მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას. ბასილ კეისარმა ცნო ბაგრატ „აფხაზთა" მეფის ლიდერობა ქართულ სამყაროში და მას კურაპალატის ტიტული მიანიჭა, ხოლო მამამისს — გურგენს მხოლოდ მაგისტროსობა აკმარა. მართალია, XI ს-ის ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე ამ ფაქტში ბასილი კეისრის ვერაგობას ხედავს,[1] მაგრამ აშკარაა, რომ ბაგრატს კურაპალატობა ერგო საქართველოში იმ დროს შექმნილი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი კონიუნქტურის გათვალისწინებით.[2] ამასთან, ალბათ, მხედველობაში იქნა აგრეთვე მიღებული ის გარემოება, რომ ბაგრატი იყო გარდაცვლილი კურაპალატის შვილობილი. ბიზანტიის მთავრობა ამ აქტს განიხილავდა, როგორც ერთგვარ კომპენსაციას იმ დანაკარგისათვის, რომელიც განიცადა გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ თავისი მამობილის სამფლობელოს — იმიერტაოს — დაკარგვით.[3] კურაპალატის ტიტულის მინიჭებით ბიზანტიის იმპერატორი უფრო იფართოებდა გავლენის სფეროებს — იურიდიულად ხელს ადებდა „აფხაზთა" სამეფოს და იძენდა (ფორმალურად) ძლიერ ვასალს. თავის მხრივ, 1001 წლის შეთანხმება გარკვეულწილად ქართული დიპლომატიის ერთგვარ წარმატებადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ამ შეთანხმებით ბაგრატ III-მ შეაჩერა ბასილი კეისრის შემდგომი სავარაუდო წინსვლა ქვეყნის სიღრმეში და თავიდან აიცილა უფრო სერიოზული გართულებები. უფრო მეტიც, იმავე 1001 წელს გურგენ მაგისტროსმა იქით შეუტია ბიზანტიელებს და იმიერტაოს ცალკეული ოლქების (ოლთისის ციხე და სხვ.) შემომტკიცება განიზრახა. მართალია, XI ს-ის სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ტარონაცი ქართველთა ამ გამოსვლას ხსნის გურგენის განაწყენებით მისთვის მხოლოდ მაგისტროსის ტიტულის მინიჭების გამო,[4] მაგრამ გურგენის გამოსვლა ალბათ განპირობებული იყო გაცილებით უფრო სერიოზული სამხედრო-პოლიტიკური მომენტებით და არა ტიტულების „უსამართლო" განაწილებით გამოწვეული უკმაყოფილებით. პირიქით, არაა გამორიცხული, რომ ბაგრატ III-ისათვის კურაპალატის უფრო მაღალი ტიტულის მინიჭება იმთავი ავე იყო, შე-

---

1 სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატუნიანთა, — „ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 382.

2 ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ზ. პაპასქარი, ერთიანი..., გვ. 73-85.

3 ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის..., გვ. 79.

4 Всеобщая история Степаноса Таронского..., გვ. 202; ივ. ჯავახიშვილიც თვლის, რომ აღნიშნული გამოსვლა იყო ერთგვარი შურისძიება მაგისტროსის ტიტულის მინიჭებით განაწყენებული გურგენის მხრიდან. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II, გვ. 130-131.

თანხმებული 'გურგენთან და ის მთლიანად შეესაბამებოდა ქვეყნის გაერთიანებისათვის მებრძოლი წრეების პოლიტიკურ კურსს.[1] აშკარაა, რომ კურაპალატობა ჯერ კიდევ ითვლებოდა დიდ პატივად და ეტყობა, გარკვეულ უპირატესობასაც ანიჭებდა მის მფლობელს საერთაშორისო არენაზე.[2] გარდა ამისა, კურაპალატობის მინიჭებით ბიზანტიის იმპერია ამტკიცებდა ამ ტიტულის მფლობელის მემკვიდრეობით უფლებებს ტაო-კლარჯეთში.[3] ასე რომ, უფრო გამართლებული იჭნება გურგენის ეს შეტევა გავიაზროთ, როგორც პირველი სერიოზული აქცია, გაძიზნული ბიზანტიის შემდგომი ექსპანსიის შესაჩერებლად და პროტესტი ბიზანტიის იმპერატორის მიერ იმიერტაოს ქართული მიწების დაკავების გამო. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ დავით ტაოელის მიწა-წყლის დაბრუნების ინიციატივით გამოდის გურგენ „მეფეთ-მეფე" და არა ბაგრატ III, რომელსაც, როგორც დავით კურაპალატის შვილობილს, — მეტი პრეტენზიები უნდა ჰქონოდა გარდაცვლილი კურაპალატის მემკვიდრეობაზე. ეს გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ბაგრატ „აფხაზთა" მეფემ, ტაოში დადებული შეთანხმების თანახმად, „უარი თქვა" თავის მემკვიდრეობით უფლებებზე და, ამდენად, მისი მხრიდან აქტიურობის გამოჩენა მიღწეული შეთანხმების დარღვევა იჭნებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამიტომ აიღო გურგენმა თავის თავზე მთელი პასუხისმგებლობა და შეუტია იმიერტაოს. სავსებით დასაშვებია, რომ ჩრდილოეთ ტაოს მმართველმა მაგისტროსის ტიტულის მინიჭებით გამოწვეული „უკმაყოფილება" დიპლომატიურად გამოიყენა თავისი ანტიბიზანტიური ჭედებების გასამართლებლად (ალბათ ეს უდევს საფუძვლად თანამედროვეებში გავრცელებულ აზრს გურგენის განაწყენების შესახებ). მიუხედავად იმისა, რომ ქართველებმა ამ დროს ვერც ოლთისი აიღეს და ვერც სხვა რომელიმე ციხე, გურგენის დემარშმა, როგორც ჩანს, გარკვეულ მიზანს მაინც მიაღწია. ბასილი კეისარმა სასწრაფოდ აფრინა ტაოს თავისი საგანგებო დესპანი კანიკლ მაგისტროსი და გურგენს ყველა მისი სურვილის აღსრულება აღუთქვა, რის შემდეგ გურგენ „მეფეთ-მეფესა" და ბიზანტიელებს შორის ზავი დაიდო.[4] მართალია, წყაროებმა არ დააფიქსირეს, თუ რა სურვილები აუსრულა იმპერატორმა გათამამებულ მაგისტროსს, მაგრამ

---

1 ზ. ჰაპასქირი. ერთიანი... გვ. 82.

2 მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური... გვ. 172.

3 И. А. Джавахишвили, В. Д. Дондуа, Грузия в IX-XIII вв..., — "Очерки истории СССР, III, М., 1953, გვ. 558; მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური... გვ. 173.

4 Всеобщая история Степаноса Таронского..., გვ. 201-202; ვ.. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის... გვ. 81.

მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ბიზანტიის ხელისუფლება გურგენის მიმართ გარკვეულ ტერიტორიულ დათმობებზე უნდა წასულიყო.[1]

ამრიგად, 1001 წ. ბაგრატ-გურგენთან დადებული ხელშეკრულებით, ბიზანტიის იმპერიამ განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება ტაოსა და მთლიანად საქართველოს მიმართ. მან ცნო ახალი წესრიგი საქართველოში და აღიარა აქ ბაგრატის ჰეგემონობა. ბაგრატ მეფისათვის კურაპალატის ტიტულის ბოძება არა იმდენად მისი იმპერატორის ქვეშევრდომობაში შესვლის გამოხატულება იყო, რამდენადაც იმპერიის მიერ „აფხაზთა" სამეფოს ახალ საზღვრებში ცნობისა და ბაგრატ III-ის ქართული პოლიტიკური სამყაროს ლიდერად აღიარების აქტი. ყველაზე მთავარი მონაპოვარი მაინც ის იყო, რომ ამ შეთანხმებით უზრუნველყოფილ იქნა ბიზანტიის იმპერიის ნეიტრალიტეტი საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ, რამაც ხელ-ფეხი გაუხსნა ბაგრატ III-ს და მისცა მას საშუალება, წარმატებით დაეგვირგვინებინა მისი დიდი წინაპრის — დავით კურაპალატის მიერ დაწყებული ქვეყნის გაერთიანების საქმე.

1008 წელს „მეფეთ-მეფე" გურგენის გარდაცვალების შემდეგ ბაგრატ III რეალურად დაეუფლა მამისეულ „ქართველთა" სამეფოს. ამავე ხანებშივე მან დაიწყო ღონისძიებების გატარება ქართლის იმ ციხეების შემოსამტკიცებლად, რომლებიც კახელებს ეკავათ. ამ მიზნით მან „წარგზავნა მოციქული კახეთს" და მოსთხოვა დავით ქორეპისკოპოსს ციხეების დაბრუნება, მაგრამ „აფხაზთა" და „ქართველთა" მეფის ეს დიპლომატიური მისია უშედეგოდ დასრულდა, რის შემდეგაც ბაგრატ III იძულებული შეიქნა, ძალა გამოეყენებინა. ლაშქრობა კახეთ-ჰერეთს წარმატებით დასრულდა და ბაგრატ მეფემ „აღიღო ქუეყანა ჰერეთის, და განაჩინა მთავრად აბულალ".[2] ჰერეთში მისთვის სასურველი რეჟიმის დამყარებით ბაგრატ III-მ ფაქტობრივად ფეხი მოიკიდა ქვეყნის უკიდურეს აღმოსავლეთში და შექმნა ერთგვარი პლაცდარმი კახეთზე თავდასასხმელად. ბაგრატ III-ის ამ აქციებმა საგონებელში ჩააგდო კახეთის ხელისუფლება, რომელსაც მხარში ამოუდგნენ „ყაენი ჰერეთისანი და მიერთნეს დავითს. აღიღო დავით ჰერეთი".[3] ამას მოჰყვა ბაგ-

---

[1] К. Н. Юзбашян, Аристакес Ластивертци и его исторический труд. — "Повествование Вардапета Аристакеса Ластивертци" Перевод с древнеармянского, вступительная статья, комментарии и приложения К. Н. Юзбашяна, М., 1968, გვ. 22; М. Д. Лордкипанидзе, Из истории.., გვ. 39-40; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, II, გვ. 229-230; ზ. პაპასქირი, ერთიანი.., გვ. 83-84.

[2] მატიანე ქართლისა.., გვ. 278-279; იხ: აგრეთვე: თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო. თბ., 1982. გვ. 204.

[3] მატიანე ქართლისა.., გვ. 279.

რატის ხელმეორე გალაშკრება (1010 წ.) აღმოსავლეთში, რომლის დროსაც მან „აღიღო მეორედ ჰერეთი“ და „დაიპირა ტ̌ინარ დედოფალი თ·ესად“. ამის შემდეგ ბაგრატმა კახეთს შემოუტია. ახალმა ქორეპისკოპოსმა კვირიკემ ვერ გაუწია წინააღმდეგობა მას და მანაც „დაიპყრა სრულიად ჰერეთი და კახეთი“.[1]

ამრიგად, 1008-1010 წლების სამხედრო კამპანია აღმოსავლეთ საქართველოში კახეთ-ჰერეთის შემომტკიცებით დასრულდა. ამავე ხანებში ბაგრატ III-მ განიმტკიცა პოზიციები კლარჯეთში, რომლის მფლობელთა ერთი ნაწილი ამოხოცა, ხოლო მეორენი ბიზანტიას გადაიხვეწნენ.[2] ამით ძირითადად დამთავრდა ცალკეული ქართული ქვეყნების ერთიან სახელმწიფოში გაერთიანების ხანგრძლივი პროცესი (ქვეყნის ფარგლებს გარეთ რჩებოდა იმიერტაო და თბილისის საამირო) და შეიქმნა ერთიანი ქართული სამეფო, რომელსაც სრულიად ახალი როლის შესრულება დაეკისრა საერთაშორისო ურთიერთობებში.

---

1 მატიანე ქართლისა., გვ. 279.
2 სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება., გვ. 382.

VIII თავი. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XI საუკუნეში

ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნამ გარკვეულწილად შეცვალა ძალთა თანაფარდობა კავკასიასა და წინა აზიაში. გაერთიანებული საქართველოს სახით მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა საკმაოდ დიდი პოტენციის მქონე სახელმწიფო, რომელიც იმთავითვე იქცა აქტიურ პოლიტიკურ ძალად რეგიონში. ყოველივე ამას არ შეიძლებოდა გარკვეული რეაქცია არ გამოეწვია მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან. პირველი, ვინც დააფრთხო ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნამ, იყო განძის საამირო.

განძის საამიროს ეკავა ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა მტკვარ-არაქსის აუზში, რაც შადადიან ემირებს საშუალებას აძლევდა, კონტროლი დაემყარებინათ ამიერკავკასიის მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ რაიონებზე. X ს-ის 60-70-იანი წლების მიჯნაზე აღმოცენებული შადადიანთა სახელმწიფოს დაწინაურება იმავე საუკუნის მიწურულიდან იწყება, როდესაც სახელმწიფოს სათავეში ამირა ფადლ ბენ მუჰამედი (985-1031 წწ.) ჩაუდგა, რომელსაც მკვლევრები განძის სახელმწიფოს მეორე ფუძემდებლად მიიჩნევენ. სწორედ ამ პერიოდში (XI ს-ის I მეოთხედი) მიაღწია განძამ ძლიერების ზენიტს და გადაიქცა ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ ამიერკავკასიაში.[1] საქართველოსა და განძის საამიროს ინტერესები ერთმანეთს შეეჯახნენ XI ს-ის 10-იან წლებში, მას მერე, რაც ბაგრატ III-მ კახეთ-ჰერეთი შემოიმტკიცა. ამას არ შეეძლო, არ გაეღიზიანებინა განძის ამირა ფადლონი, რომელიც, ეტყობა, თვით აცხადებდა პრეტენზიას აღმოსავლურ-ქართული გაერთიანებების დაუფლებაზე და მანაც იწყო „კირთებად ერისთავთა ჰერეთისა და კახეთისათა, ჟამითი-ჟამად მეკობრობით და პარვით რბევად და ტყუენვად ადგილითი-ადგილად“.[2] ფადლონის „კადნიერება“, როგორც ჩანს, შორს მიმავალ მიზნებს ისახავდა. სავარაუდოა, ამირას ეს გამოსვლები გამიზნული იყო კახეთ-ჰერეთში „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის ხელისუფლების აღსაკვეთად საერთოდ.[3] ბაგრატ III-მ სათანადოდ შეაფასა ის საფრთხე, რასაც ფადლონი უქმნიდა გაერთიანებულ საქართველოს და მისი სამაგალითო დასჯა

პ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში. თბ., 1975. გვ. 53, 65, 233-234.

2 მატიანე ქართლისა, — „ქართლის ცხოვრება“, I, თბ., 1955, გვ. 279.

3 ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990, გვ. 88-89; შდრ. პ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 189.

გადაწყვიტა. მაგრამ განძის ამირას წინააღმდეგ მარტოდმარტო გამოსვლა, ეტყობა, რამდენადმე სარისკო იყო, ამიტომ ბაგრატ III-მ გაგიკ სომეხთა მეფეს შესთავაზა, ერთობლივი დარტყმა მიეყენებინათ საერთო მტრისათვის: „წარგზავნა მოციქული წინაშე გაგიკ შაჰანშა სომეხთა მეფისა, აწვია, რათა იძიოს შური ფადლონისაგან“.[1] საქართველოს მეფის დიპლომატიური მისია ანისში წარმატებით დასრულდა. ძორაკერტს შეკრებილმა ქართველ-სომეხთა გაერთიანებულმა ლაშქარმა უკუაქცია ფადლონი. დამფრთხალმა ფადლონმა „მოუელინა მოციქული“ ბაგრატ მეფეს და ითხოვა ზავი: „აღუთქვა დღეთა შინა სიცოცხლესა მისა მსახურება, გაუკუეთა ხარაჯა და დაუწერა თავის-თავითა ლაშქრობა მტერთა მისთა ზედა“.[2] მცირე ყოყმანის შემდეგ ბაგრატ III დათანხმდა ზავზე: „გაგზავნა მოციქული და მისგან აუწყა ზავის დასტური. მაშინ ფადლონ განიხარა სიხარულითა დიდითა, აღასრულა ყოველი იგი სიტყვით აღქთმული საქმით“...[3]

განძის ამირას დამარცხებით ბაგრატ III-მ მნიშვნელოვნად განიმტკიცა თავისი პოზიციები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ამ ძლევამოსილი კამპანიის მთავარი შედეგი იყო განძის ამირა ფადლონის გაერთიანებული საქართველოს მეფის ყმადნაფიცად გადაქცევა, რომელიც შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით გაფორმდა. როგორც „მატიანე ქართლისას“ ზემოთ მოტანილი მასალებიდან ირკვევა, ფადლონი აღიარებდა ბაგრატ III-ის უზენაესობას და კისრულობდა მის მხარეზე სამხედრო ძალით გამოსვლას საჭირეების შემთხვევაში. აღსანიშნავია, „მატიანე ქართლისას“ ავტორი საგანგებოდ ამახვილებს ყურაღდებას იმაზე, რომ ყოველივე ეს ფადლონმა „დაუწერა“ ბაგრატ III-ს, ე. ი. დიპლომატიურად წერილობით გააფორმა.[4] ამ შემთხვევაში „დაწერილი“, წარმოგვიდგება კონკრეტულად საზავო ხელშეკრულების აღმნიშვნელ ტერმინად.[5] განძის ამირაზე მოპოვებულმა გამარჯვებამ ერთიორად აამაღლა საქართველოსა და მისი მეფის ავტორიტეტი ამიერკავკასიაში. ამის ერთგვარ გამოძახილად მკვლევართ (დ. მუსხელიშვილი, პ. თოფურია)[6] სამართლიანად მიაჩნიათ ბაგრატ III-ის სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის ის შეფასება, რომელიც მოცემულია სუმბატ დავითის ძის თხზულებაში: „დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობელობითა ჯიქე-

---

1 მატიანე ქართლისა., გვ. 279-280.
2 იქვე, გვ. 280.
3 იქვე, გვ. 280.
4 იქვე, გვ. 190.
5 პ. თოფურია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის., გვ. 190.
6 დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ. 243; პ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის., გვ. 190.

თითგან ვიდრე გურგენამდე, ხოლო ადარბადაგანი და შარვანი მოხარკე იყო".[1]

ფადლონზე გამარჯვება ქართული სახელმწიფოს სამხედრო სიძლიერესთან ერთად მნიშვნელოვანწილად განაპირობა ბაგრატ III-ის მოქნილმა დიპლომატიამაც, კერძოდ, ანისის სამეფოსთან სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შეკვრამ. ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა. XI ს-ის 10-იანი წლებისათვის ქართულ-სომხური თანამშრომლობის გარკვეული ტრადიცია არსებობდა. მას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ X ს-ის 70-იან წლებში, როდესაც ანისის მეფე სუმბატი მხარში ამოუდგა დავით კურაპალატს ბაგრატ უფლისწულის აფხაზეთში გამეფების საქმეში. ბაგრატ III-მ, როგორც ჩანს, გააგრძელა თავისი მამობილის პოლიტიკა სომხური ერთეულების მიმართ. ყოველი შემთხვევისათვის, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის დიპლომატიური აქტიურობა ამ მიმართულებით სრულიად აშკარაა, რაც განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა განძის სამხედრო კამპანიის მომზადებისას. ამირა ფადლონის წინააღმდეგ ბაგრატ III-ისა და გაგიკის ერთობლივი წარმატებული გამოსვლა, რომელიც უდავოდ საქართველო-სომხეთის კეთილმეზობლური დამოკიდებულებისა და თანამშრომლობის აქტს წარმოადგენდა,[2] სწორედ რომ შედეგი იყო იმ ინტენსიური დიპლომატიური კონტაქტებისა, რომელთაც ადგილი უნდა ჰქონოდა ქუთაისსა და ანისს შორის ბაგრატ III-ის მოღვაწეობის მთელ მანძილზე.

განძის საამიროზე მოპოვებულმა გამარჯვებამ წარმოაჩინა საქართველოს სახელმწიფოს ჰეგემონისტური მისწრაფებები მთელი კავკასიის მასშტაბით. ერთიანი ქართული სახელმწიფოს ეს პოლიტიკური ამბიციები აისახა სწორედ სუმბატ დავითის ძის თხზულებიდან ზემოთ მოყვანილ ცნობაში. მართალია, წყაროები კონკრეტულად არაფერს გვეუბნებიან გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის საგარეო პოლიტიკურ კონტაქტებზე ჩრდილოეთ კავკასიის ერთეულებთან, მაგრამ ის ფითო-ოროლა ირიბი ცნობა, რომელიც მაინც არის ისტორიკოსების განკარგულებაში,[3] იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ აღნიშნულ პერიოდში (XI ს-ის დამდეგს) ბაგრატ III რამდენადმე აკონტროლებდა სიტუაციას კავკასიონის ქედს გადაღმაც — „ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე".

სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატუნიანთა..., „ქართლის ცხოვრება". ტ. I, თბ., 1955, გვ. 282.

2 ეს არ უნდა გამორიცხავდეს საქართველოს მეფის ერთგვარ პრიორიტეტს სომეხ მეფემთავრებთან და, პირველ რიგში, გაგიკ ანისის მეფესთან ურთიერთობაში. აღ. აბდალაძე, „ქართლის ცხოვრება" და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, თბ., 1982, გვ. 212. ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: ზ. პაპასქირი, ერთიანი..., გვ. 95-100.

ამრიგად, გაერთიანებული ქართული სახელმწიფო XI ს-ის 10-იანი წლების II ნახევრისათვის გადაიქცა უძლიერეს პოლიტიკურ ერთეულად, რომელსაც უნარი შესწევდა, გამოსულიყო საერთო-კავკასიური ლიდერის როლში. ცნობილი კავკასიოლოგის კ. თუმანოვის სწორი შენიშვნით, ბაგრატ III თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში „იყო ყველაზე უფრო ძლიერი ხელისუფალი, ხოლო მისი სამეფო ყველაზე ძლევამოსილი სახელმწიფო კავკასიაში".[1]

ბაგრატ III-ის გარდაცვალების (1014 წ.) შემდეგ საქართველოს სამეფო კარის უმთავრესი საგარეო პოლიტიკური ამოცანა იყო პოზიციების შემდგომი განმტკიცება კავკასიაში და სრული სუვერენიტეტის მოპოვება საერთაშორისო არენაზე, რაც მთლიანად დამოკიდებული იყო ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობის მოწესრიგებაზე. მიუხედავად მთელი რიგი საგარეო პოლიტიკური წარმატებებისა, საქართველო ჯერ კიდევ რჩებოდა „ბიზანტიის ქვეყნად" და ქართველი მეფე ატარებდა კურაპალატის ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულს. მართალია, ეს ტიტული დიდად არ ზღუდავდა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს, პირიქით, შესაძლებელია, უფრო ავტორიტეტულსაც კი ხდიდა მათ საერთაშორისო არენაზე, მაგრამ ქვეყნისათვის, რომელიც მტკიცედ დაადგა პოლიტიკური აღმავლობის გზას და თვითონ აპირებდა საკუთარი დიქტატის დამყარებას რეგიონში, უკვე მიუღებელი იყო სხვა სახელმწიფოს ვასალის (თუნდაც ფორმალური) როლში დარჩენა. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა ბიზანტიასთან ურთიერთობის გადასინჯვის საკითხი. ბიზანტიას უნდა „ეგრძნო საქართველოს სიძლიერე, ერთხელ და სამუდამოდ ელიარებინა მისი სუვერენობა და თანასწორობა".[2] ამისათვის კი, პირველ რიგში, საჭირო იყო იმპერიასთან 1001 წელს დადებული ხელშეკრულების რევიზია, რაც გულისხმობდა ბრძოლის დაწყებას იმიერტაოს მიტაცებული ტერიტორიების დასაბრუნებლად და კონსტანტინოპოლის პროტექტორატიდან ქვეყნის გამოსაყვანად. ამით საქართველო გადაწყვეტდა მთავარ საკითხს: მოიპოვებდა ეროვნულ სუვერენიტეტს საერთაშორისო ურთიერთობებში. სწორედ ამ დიდი ამოცანის გადაჭრას შეუდგა გაერთიანებული საქართველოს მეორე მეფე გიორგი I (1014-1027 წწ.).

გიორგი I-ის მეფობის დასაწყისი მნიშვნელოვანი შინაპოლიტიკური გართულებებით აღინიშნა. გაერთიანებულ სამეფოს ჩამოსცილდა კახეთ-ჰერეთი, რომლის ყოფილმა მფლობელებმა ისარგებლეს მეფის მცირე-

---

1 C. Toumanoff. The Background to Manzikert. – The Proceedings of the XII the International Congress of Byzantine studies. 1967. გვ. 425; ალ. ამბდალაძე. „ქართლის ცხოვრება"... გვ. 75.

2 შ. მესხია, ძლევაი საკვირველი, საისტორიო ძიებანი, ტ. III, თბ., 1986, გვ. 22.

წლოვანებით, აგრეთვე იმითაც, რომ საქართველოს სამეფო კარის ყურადღება ამ დროს „მთლიანად ტაოსაკენ იყო მიპყრობილი“[1] და მოახერხეს დაკარგული უფლებების აღდგენა. კახეთ-ჰერეთის მმართველი გახდა კვირიკე, რომელიც „იწოდა მეფეთ კახთა“.[2] საქართველოს სამეფო კარმა, როგორც ჩანს, ვერ შეძლო, ხელი შეეშალა „რანთა და კახთა“ სამეფოს“ ცალკე სახელმწიფოდ ფორმირებისათვის, თუმცა, ეტყობა, რომ აქ მიმდინარე პროცესები გიორგი I-ის გარკვეულ კონტროლს ექვემდებარებოდა. ყოველი შემთხვევისათვის, საქართველო-ბიზანტიის ომის დაწყების წინ „რანთა და კახთა“ ქვეყანა გიორგი I-ის მოკავშირე მაინც იყო, რაზეც მეტყველებს კახელთა და ჰერთა ლაშქრის მონაწილეობა საქართველოს მეფის მხარეზე ბიზანტიასთან ომში.[3] არაა გამორიცხული, რომ იმპერიისათვის გადამწყვეტი დარტყმის მიყენების წინ გიორგი I-მა ტაქტიკური მოსაზრებით დროებით გადადო კახეთ-ჰერეთის შემომტკიცება. შესაძლებელია, საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურადაც კი ცნო „რანთა და კახთა“ სამეფოს დამოუკიდებელი სტატუსი და შეკრა მასთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი,[4] რაც ერთგვარ დიპლომატიურ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ. ამგვარი არჩევანი განპირობებული იყო იმ დროს შექმნილი ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარებით, კერძოდ, გართულებებით ბალკანეთის ნახევარკუნძულზე (ბასილი კეისრის ომი ბულგარეთში), რომლებმაც კარგა ხანს მიიპყრო იმპერიის ხელისუფალთა ყურადღება. ბუნებრივია, საქართველოს სამეფო კარი შეეცდებოდა, ხელიდან არ გაეშვა ეს მომენტი და პირველ რიგში სწორედ იმიერტაოს პრობლემა გადაეჭრა. „როდესაც ის (ბასილი II) იქ (ბულგარელებთან) მრავალრიცხოვანი ბრძოლებით იყო დაკავშირებული, — წერს XI ს-ის ავტორი იაჰია ანტიოქიელი, აფხაზთა მეფე გიორგიმ განიზრახა, ზიანი მიეყენებინა მისი სამფლობელოს განაპირა ოლქებისათვის და დაუფლებოდა იმ სიმაგრეებსა და ოლქებს, რომლებიც ბიძამისმა დავით კურაპალატმა ბასილი მეფეს დაუთმო“.[5]

---

1 მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს-ის 80-იანი წლებიდან XI ს-ის 80-იან წლებამდე. — „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“. ტ. III. თბ., 1979, გვ. 176.

2 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბ., 1973, გვ. 561.

3 ვ. კოპალიანი, „საქართველოსა“ და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ., 1969, გვ. 97.

4 ვ. კოპალიანი. „საქართველოსა“ და ბიზანტიის ურთიერთობა.., გვ. 97.

5 ბ. სილაგაძე. იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X ს-ის ბოლო მეოთხედსა და XI ს-ის პირველ მეოთხედში, — „ქართული წყაროთმცოდნეობა“. ტ. VI. თბ., 1986.

საქართველოს სამეფო კარზე კარგად ესმოდათ, რომ ქართველების ამ გამოხტომას უპასუხოდ არ დატოვებდა ბიზანტიის მრისხანე კეისარი და, როგორც ჩანს, იმთავითვე შეუდგნენ საგანგებო სამხედრო და დიპლომატიურ სამზადისს. გიორგი I-მა გადადგა კონკრეტული ნაბიჯი ფართო მასშტაბის ანტიბიზანტიური კოალიციის შესაქმნელად. ამ მიზნით ის დაუკავშირდა მეზობელ სომხურ პოლიტიკურ ერთეულებს, კერძოდ, ანისის მეფე იოვანე-სუმბატს,[1] რომელიც, ფაქტობრივად, მის ვასალს წარმოადგენდა.[2] როგორც XI ს-ის სომეხი ისტორიკოსის არისტაკეს ლასტივერტცის მასალებიდან ირკვევა, 1017 წლის ახლო ხანებში გაგიკ სომეხთა მეფის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს მეფე, დიპლომატიური და სამხედრო თვალსაზრისით, აქტიურად ჩარეულა მეზობელი სომხეთის საშინაო საქმეებში,[3] რომლის დროსაც გიორგი I-ს შეუსრულებია მომრიგებელი არბიტრის როლი ანისის ტახტისათვის ატეხილ შინაომში და იქ მისთვის სასურველი წესრიგი დაუმყარებია. იმ დროს უკვე გამოიკვეთა ქართულ-ბიზანტიური ინტერესების დაპირისპირება სომხეთში. აშკარა გახდა, რომ გიორგი I-ის მიერ ანისში დამყარებული პოლიტიკური რეჟიმი — იოვანე-სუმბატის ხელისუფლება მიუღებელი იყო კონსტანტინოპოლისათვის, რომელსაც თავისი კანდიდატი — იოვანე-სუმბატის ძმა აშოტი — ჰყავდა ბაგრატუნთა სამეფო ტახტზე. ბიზანტია, რასაკვირველია, არ ურიგდებოდა საქართველოს გავლენის დამყარებას სომხეთში და ყველაფერს აკეთებდა გიორგი I-ის მოკავშირის — იოვანე-სუმბატის მოსაშორებლად, კერძოდ, ბასილი კეისარმა მოამზადა სპეციალური სამხედრო ექსპედიცია სომხეთში და დაეხმარა აშოტს ანისის სამეფოს ცალკეული ოლქების დაკავებაში, რამაც დააფრთხო კიდეც მისი გვირგვინოსანი ძმა, ეს გარემოება უთუოდ იმპულსებს აძლევდა იოვანე-სუმბატის კავშირს საქართველოს მეფესთან.[4]

ანტიბიზანტიურ კოალიციას შემოუერთდა ანისის სამეფოს ვასალი ვანანდიც.[5] მიუხედავად იმისა, რომ წყაროებში არ არის პირდაპირ მინიშნება საქართველოს მეფის მხარეზე მისი სიმამრის ვასპურაკანის მეფის სენექერიმ არწრუნის გამოსვლის თაობაზე, გამორიცხული არ უნდა იყოს ამ ქვეყნის მესვეურთა მონაწილეობა ანტიბიზანტიურ კოა-

---

1 გიორგი კედრენე. ქრონოგრაფია. — „გეორგიკა", ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. V, თბ., 1963, გვ. 59.

2 ზ. პაპასქირი, ერთიანი., გვ. 108-109.

3 არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1974, გვ. 44.

4 В. П. Степаненко, К идентификации личности веста "Матнане Картлиса", — "Византийский Временник", т. 41, М., 1980, გვ. 164.

5 ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის., გვ. 104.

ლიციაში.[1] მკვლევრებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ გიორგი I-ის დამარცხებას ბიზანტიასთან 1021-1022 წწ. ომში მოჰყვა ვასპურაკანის სამეფოს გაუქმება.[2] აღსანიშნავია, რომ ვასპურაკანის შემოერთების გზაზე ბიზანტიის ხელისუფლებამ პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ 1015-1016 წწ. გადადგა, როდესაც ვასპურაკანის მეფეს „პირობა" ჩამოართვა, მისი გარდაცვალების შემდეგ იმპერატორისათვის დაეთმო თავისი სამეფო.[3] ამას არ შეიძლებოდა, არ გაენაწყენებინა სენექერიმ არწრუნი, რომელიც, ბუნებრივია, პირველსავე შემთხვევას გამოიყენებდა ბასილ კეისართან დასაპირისპირებლად. ეტყობა, თავისი სიმამრის ამგვარი განწყობილება მარჯვედ გამოიყენა გიორგიმ და ჩართო ის ანტიბიზანტიურ კოალიციაში. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ ვასპურაკანის მეფემ მონაწილეობა მიიღო 1022 წელს ბასილი კეისრის წინააღმდეგ შეთქმულებაში, რომელთანაც უშუალო კავშირი ჰქონდა საქართველოს მეფეს.[4]

საქართველოს სამეფო კარის დიპლომატიური საქმიანობის ფართო მასშტაბებზე ამ პერიოდში უდავოდ მეტყველებს შორეულ ეგვიპტესთან დამყარებული კონტაქტები, რომლის შესახებაც ცნობა შემოგვინახა იაჰია ანტიოქიელმა. ,ეგვიპტის ფატიმიდი ხალიფები დიდი ხანია, მეტოქეობას უწევდნენ ბიზანტიის იმპერიას და. მნიშვნელოვნად ასუსტებდნენ კონსტანტინოპოლის პოზიციებს ახლო აღმოსავლეთში. გიორგი I-ის მთავრობამ, რომელიც, ეტყობა, კარგად იყო ინფორმირებული წინა აზიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, სწორად განკვრიტა ბიზანტიის ერთ-ერთ მთავარ მეტოქესთან კავშირის სარგებლიანობა და დიპლომატიური კონტაქტები დაამყარა კაიროსთან, რათა ზონდირება გაეკეთებინა იმპერიის წინააღმდეგ ერთობლივი გამოსვლის საკითხისათვის. როგორც ჩანს, მოეწყო სპეციალური ელჩობა, რომელმაც კაიროში ჩაიტანა საქართველოს მეფის წერილი ხალიფა ალ-ჰაქიმთან. მასში გიორგი I ეგვიპტის მმართველს სთავაზობდა, რომ ,ჯაერთიანებულიყვნენ ბასი-

---

1 ერთადერთი გარემოება, რომელიც, რამდენადმე ეჭვის ქვეშ აყენებს ვასპურაკანის ლიდერის მონაწილეობას გიორგი I-ის მიერ ორგანიზებულ კოალიციაში. შეიძლება იყოს არწრუნთა საგვარეულოს ტრადიციული ანტაგონიზმი ანისის ბაგრატუნებთან, რაც, ალბათ, ხელს შეუშლიდა მათ ერთ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანებას.

2 ო. ცქიტიშვილი, მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის პერიოდში, — „მაცნე", №4, 1968, გვ. 122, 124; ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის., გვ. 104-106; К. Н. Юзбашян, Скилица о захвате Анийского царства в 1045 г., — "Византийский временник", 40, М., 1979, გვ. 79.

3 В. П. Степаненко. О причинах и датировке передачи Васпуракана Византии, — "Византийский временник, 38, М., 1977, გვ. 73-79.

4 К. Н. Юзбашян, Скилица о захвате.., გვ. 79.

ლის წინააღმდეგ და თითოეულ მათგანს განეხორციელებინა დარტყმა საკუთარი ქვეყნიდან".[1]

ამრიგად, როგორც ვხედავთ, 1021 წლისათვის საქართველოს მეფის ეგიდით ფართო ანტიბიზანტიური კოალიცია შექმნილა, რომელშიც შედიოდნენ ეგვიპტის ფატიმიდი ხალიფა ალ-ჰაქიმი, ანისის მეფე იოვანესუმბატი, მისი ძმა აშოტი, ვასპურაკანის მეფე სენეჭერიმ არწრუნი და სხვ.[2] გიორგი I დაკავშირებული იყო აგრეთვე ბასილი კეისრის წინააღმდეგ შეთქმულებასთან, რომელსაც მეთაურობდნენ ნიკიფორე ფოკა და ჭიფე.[3] ალბათ ამით იყო გამოწვეული ის, რომ ბასილი II-მ მის წინააღმდეგ აჯანყებული ფოკას მოკვეთილი თავი სწორედ საქართველოს მეფეს გამოუგზავნა.[4] ერთი სიტყვით, სრულიად აშკარაა, რომ ანტიბიზანტიური ფრონტის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი გიორგი I იყო. სავსებით სამართლიანადაა მითითებული ისტორიოგრაფიაში, რომ გიორგი მეფე იყო პირველი ქართველ მოღვაწეთა შორის, ვინც შეეცადა საქართველოს ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანას.[5]

მიუხედავად ასეთი აქტიური დიპლომატიური სამზადისისა, გიორგი I-მა მაინც ვერ შეძლო წარმატების მოპოვება. ამის მიზეზი იყო ის, რომ უშუალოდ საქართველო-ბიზანტიის ომის დაწყების წინ ხალიფა ალ-ჰაქიმი საეჭვო ვითარებაში უგზო-უკვლოდ გაქრა[6] და ეგვიპტესთან ერთობლივი გამოსვლის პერსპექტივა ჩაიფუშა. მალე, ეტყობა, ანისიც ჩამოშორდა ქართველთა მეფეს. ასეთ ვითარებაში საქართველოს მხედრობამ ვერ შეძლო ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევა ბასილი კეისრის ჯარისათვის და ბერძნებმა ორჯერ „მოაოხრეს არტანი", ქუეყანა ჯავახეთისა" და თრიალეთი, რის შემდეგ იმპერატორი „წარვიდა და დაიზამთრა ქუეყანასა ხალდისასა, მახლობელად ქალაქსა ტრაპიზონთასა და ვიდოდეს მათ შორის მოციქულნი ზავისა და სიყვარულისათვის".[7] ერთი მონაცემით, სამშვიდობო ინიციატივა ბასილი კეისრის მხრიდან მოდიოდა. ეს მან გაგზავნა საქართველოს მეფესთან ელჩი — ეპისკოპოსი

---

1 ბ. სილაგაძე, იაჰია ანტიოქიელის ცნობები... გვ. 116.

2 ო. ცქიტიშვილი, მასალები... გვ. 123-124; ელ. ცაგარეიშვილი, არისტაკეს ლასტივერტელი და მისი „ისტორია". — არისტაკეს ლასტივერტელი, ისტორია... გვ. 27.
ვ. გაბაშვილი, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XII სს.) — „მე-12 საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები", თსუ შრომები, 125, თბ., 1968, გვ. 68;
ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის... გვ. 109-112, 125-128.

3 ბ. სილაგაძე, იაჰია ანტიოქიელის ცნობები... გვ. 117.
ო. ცქიტიშვილი, მასალები... გვ. 125.

4 ფიქრობენ, რომ ალ-ჰაქიმის გაუჩინარება მის ანტიბიზანტიურ პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული: იხ.: ო. ცქიტიშვილი, მასალები... გვ. 121; მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს შინაპოლიტიკური... გვ. 177.
მატიანე ქართლისა... გვ. 285.

ზაქარია,[1] რომელმაც „მლიქვნელური სიტყვებით შეაცდინა გიორგი“ და დაითანხმა ის იმპერატორის საზავო პირობებზე, მაგრამ გიორგი I მალე შეიტყვა თავის შეცდომას, „ინანა უგუნური (საქციელი)“, დაადევნა მდევრები ელჩ ზაქარიას და უკან დააბრუნებინა თავისი წერილი.[2] სხვაგვარად აშუქებს ვითარებას იაჰია ანტიოქიელი. მისი ინფორმაციით, საქართველოს მეფე იყო საზავო მოლაპარაკების ინიციატორი. და სწორედ მისი დესპანი გამოცხადდა ტრაპიზონში იმპერატორთან. გიორგი, თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენლის მეშვეობით, ;ითხოვდა შეწყალებას, ბოდიშს უხდიდა მეფეს იმაზე, რაც მან მოიმოქმედა... აღუთქვა, რომ დაუთმობდა ყველა ციხე-სიმაგრესა და ადგილს, რომლებიც ეკუთვნოდა ბიძამისს — დავით კურაპალატს, მძევლად გაუგზავნიდა ვაჟს ბაგრატს და სანამ იცოცხლებდა, იქნებოდა მისი მორჩილი და მოკავშირე“.[3] ბასილი კეისარს საპასუხო ელჩობა გამოუგზავნია — „თავისი წარჩინებულებისა და იურისტების ჯგუფი“, რომელთაც „მტკიცე ფიცი დაადებინეს გიორგი აფხაზს, მისი ქვეყნის სასულიერო მეთაურს — კათალიკოსს, ყველა ეპისკოპოსს,სხვა წარჩინებულ და მაღალი თანამდებობის ქვეშევრდომთ“.[4] ის, რომ გიორგი მეფესა და ბასილი კეისარს შორის პრაქტიკულად მიღწეულ იქნა შეთანხმება, დასტურდება სუმბატ დავითის ძის მონაცემებითაც. მასში პირდაპირაა ნახსენები „დაწერილი“.., რომელი მისად (ბასილისათვის) დაეწერნეს გიორგი მეფესა ჩუენსა სიმტკიცისა და ზავისანი“.[5] მაგრამ, როგორც ჩანს, ქართულმა მხარემ დაარღვია წინასწარი შეთანხმება და კვლავ დაიწყო ომისათვის მზადება. გიორგი I-ის ეს გადაწყვეტილება უკავშირდება ბიზანტიაში ანტისამთავრობო ამბოხის დაწყებას. იაჰია ანტიოქიელი პირდაპირ მიუთითებს, რომ გიორგიმ „თავი ღონივრად იგრძნო და ბასილისათვის მიცემული პირობის მიცემაზე უარი განაცხადა“.[6] იაჰიას ამ ცნობას ავსებს გიორგი კედრენე, რომელიც აღნიშნავს იმ „შიშსა და ძრწოლას“, რომელსაც მოუცავს იმპერატორის ბანაკი აჯანყების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე. „ჟაითუ აბაზგებსა და აჯანყებულთა შუა მოვემწყვდეთ და ცუდი დღე დაგვადგესო (ხმები დადიოდა, ჭიფიას კაცები ამის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებენ აბაზგის მთავარ-

---

1 მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ ზაქარია ეპისკოპოსი ბიზანტიის მიერ მიტაცებული რომელიღაც ქართული ოლქის (ვალაშკერტის) მღვდელმთავარი იყო, ამის შესახებ დაწერ. იხ.: ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის.., გვ. 114-116.

2 „არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია“, გვ. 51.

3 ბ. სილაგაძე, იაჰია ანტიოქიელის ცნობები“, გვ. 117.

4 იქვე.

5 სუმბატ დავითის ძე, გვ. 384.

6 ბ. სილაგაძე, იაჰია ანტიოქიელის ცნობები“, გვ. 117.

თანო)" — წერს ბიზანტიელი ისტორიკოსი.[1] ოდნავ განსხვავებულად აღწერს ვითარებას „მატიანე ქართლისას" ავტორი. ის კონკრეტულად არაფერს ამბობს იმ დიპლომატიურ ვოიაჟებზე, რომელთაც აფიქსირებენ არისტაკეს ლასტივერტცი და იაპია ანტიოქელი, თუმცა ირიბად მაინც მიგვანიშნებს საზავო მოლაპარაკებების მიმდინარეობაზე. ქართველი მემატიანის აზსნით, გიორგი I ამ მოლაპარაკებებს მხოლოდ დროის მოგების მიზნით აწარმოებდა: „გიორგი მეფემან წარავლინა ზვიად ერისთავი სპითა მისითა და უბრძანა, „რათამცა ზავის მიპყრობითა მცირედხან დაიმჭირვა ადგილსა, და თვით წარუდგა უკანა სპითა ძლიერითა".[2] ერთი სიტყვით, აქ მოტანილი მასალები ნათლად მეტყველებენ, რომ ქართული მხარე თავიდან იძულებული შეიქნა, ზავზე ეფიქრა, მაგრამ ბასილი კეისრის წინააღმდეგ მოწყობილმა აჯანყებამ ძირფესვიანად შეცვალა ვითარება და საქართველოს მეფეს ბრძოლის გაგრძელების შანსი მიეცა. როგორც ჩანს, ბიზანტიელებისათვის „სამშვიდობო პროცესის" ჩაშლა საქართველოს მეფის მხრიდან მთლად მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. იაპია ანტიოქელი პირდაპირ მიუთითებს: ბასილი კეისრისათვის „აშკარა გახდა, რომ ყველაფერი, რასაც აფხაზი აკეთებდა და მასთან მოლაპარაკება, რომელსაც იგი აწარმოებდა, მოტყუება იყო. რომ ყოველივე ამაში გიორგის ვაზირის[3] ხელი ერია. სწორედ იგი ურჩევდა გიორგის, რომ მეფისათვის მიცემული ღვთაებრივი ფიცი და ნაკისრი ვალდებულებანი გამოეყენებინა ხაფანგად, რომელშიც მას გამოამწყვდევდა".[4]

მიუხედავად გიორგი I-ის ამგვარი ეშმაკური დიპლომატიური სვლებისა, საქართველო მაინც დამარცხდა ბიზანტიასთან ომში. 1022 წლის მიწურულს[5] შედგა საზავო მოლაპარაკება და დაიდო ზავი, რომლის მიხედვითაც ბასილი კეისარმა საბოლოოდ დააკანონა იმიერტაოზე თავისი „სამამულო" უფლებები. გიორგი I იძულებული გახდა, ეღიარებინა იმპერატორის უზენაესობა და თავისი ლოიალობის დასამტკიცებლად კონსტანტინოპოლს სამი წლით გაეგზავნა მძევლად სამეფო ტახტის მემკვიდრე ბაგრატ უფლისწული.[6] როგორც ვხედავთ, ბიზანტიის იმპერატორი თავის ადრინდელ მოთხოვნებზე შორს არ წასულა. ბასილის

გეორგიკა. V. გვ. 46-47.

2 მატიანე ქართლისა. გვ. 285 (ხაზგასმა ჩვენია — მ. ლ., ზ. პ.).
მკვლევართა აზრით, ეს ვეზირი უნდა ყოფილიყო „მატიანე ქართლისას" ზვიად ერისთავი. იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. გვ. 135; ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის... გვ. 117; ბ. სილაგაძე. იაპია ანტიოქელის ცნობები... გვ. 120.

4 ბ. სილაგაძე. იაპია ანტიოქელის ცნობები... გვ. 117.

5 არისტაკეს ლასტივერტეცი. ისტორია... გვ. 52.

6 მატიანე ქართლისა. გვ. 288.

ამგვარი „ლმობიერება“, რასაკვირველია, მისი დიდსულოვნებით არ იყო გამოწვეული. მას, ეტყობა, მართლაც „შიში დიდი აქუნდა საბერძნეთით განდგომისა“[1] და ამიტომ შეკრა სასწრაფოდ ზავი საქართველოს მეფესთან.

ამრიგად, 1022 წლის ზავი გაძლიერების გზაზე მდგარი ერთიანი ქართული სახელმწიფოსათვის პირველი დიდი საგარეო პოლიტიკური მარცხი იყო. ბუნებრივია, ამ მარცხს ვერ შეეგუებოდა გიორგი I და, საფიქრებელია, რომ ის ყოველნაირად შეეცდებოდა, ნებისმიერი ხელსაყრელი შემთხვევა გამოეყენებინა 1022 წლის ზავის პირობების გადასასინჯად. ამგვარი შესაძლებლობა მას მიეცა უკვე 1025 წელს, როდესაც ბასილი კეისრის წინააღმდეგ ბიზანტიაში ახალმა აჯანყებამ იფეთქა. წყაროები პირდაპირ მიუთითებენ, რომ აჯანყებულთა მეთაური ვასპურაკანის მმართველი ნიკიფორე კომნენოსი „ჯიორგის დაუკავშირდა აღმოსავლეთში გამეფებისათვის“.[2] მაგრამ საქართველოს მეფის ეს ცდაც, გამოსულიყო კონსტანტინოპოლის „მფარველობიდან“, უშედეგოდ დამთავრდა, თუმცა ვერც ახალმა იმპერატორმა კონსტანტინე VIII-მ შეძლო სამშობლოში მომავალი ბაგრატ უფლისწულის უკან შემობრუნება[3] და ამით საქართველოზე თავისი უზენაესობის დემონსტრირება.

საქართველოს ხელისუფლებას არც ამის შემდეგ აუღია ხელი რევანშისტულ მისწრაფებებზე და, როგორც ჩანს, ენერგიულად განაგრძობდა გზების ძიებას ახალი ანტიბიზანტიური ფრონტის შესაქმნელად. ამის გამოვლინება უნდა ყოფილიყო საქართველოს ჩრდილოური დიპლომატიის გააქტიურება. კერძოდ, ძლიერ ოვსეთის სამეფოსთან კავშირ-ურთიერთობების გამოცოცხლება. ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „მატიანე ქართლისას“, ერთი შეხედვით, უცნაური ცნობა გიორგი I-ის მეორე ცოლის — ოვსთა მეფის ასულ (ალდეს)[4] შესახებ,[5] ასახავს რეალურ ფაქტს. მასში დანახულია საქართველოს მეფის ცდა, დინასტიური ქორწინების მეშვეობით დაახლოებოდა ოვსეთის სამეფო სახლს და გამოეყენებინა ოვსთა სამხედრო ძალა ბიზანტიელთა წინააღმდეგ.[6] მაგრამ, ეს გეგმაც ჩაიფუშა. მისი განხორციელება, ალბათ,

---

[1] მატიანე ქართლისა, გვ. 288.

[2] არისტაკეს ლასტივერტელი, ისტორია.., გვ. 54.

[3] მატიანე ქართლისა.., გვ. 289; იხ. აგრეთვე სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება.., გვ. 385.

[4] სახელი შემონახულია ბიზანტიურ წყაროში. იხ.: გიორგი კედრენე, ქრონოგრაფია.., გვ. 5.

[5] მატიანე ქართლისა.., გვ. 295.

[6] ზ. პაპასქირი, ერთიანი.., გვ. 123-138; ამის შესახებ იხ. აგრეთვე: ზ. პაპასქირი, „მატიანე ქართლისას“ ერთი ცნობის გაგების საკითხისათვის, — მ. გორკის სახ. აფხაზეთის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, I. თბ., 1983, გვ. 136-144; З. В. Папаскири, О иско-

შეაფერხა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გიორგი მეფის უცაბედმა სიკვდილმა, რომელშიც, შესაძლებელია, მარიამ დედოფლისა და მისი მომხრე პრობიზანტიური ორიენტაციის სხვა მოღვაწეთა ხელი ერია.[1] არაა გამორიცხული, რომ გიორგი I-ის სიკვდილი უშუალოდ კონსტანტინოპოლიდან ყოფილიყო ინსპირირებული. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ ამ პერიოდში (1027 წლის ახლო ხანებში) ძალზე აქტიურად მოქმედებდა ბიზანტიის აგენტურა საქართველოში. განსაკუთრებით დიდი სამუშაო ამ მიმართულებით ჩაატარა საჭურისმა ნიკიტამ, რომელიც ბიზანტიის ხელისუფლების საგანგებო „ზედამხედველის" (რეზიდენტის) ფუნქციებს ასრულებდა აღმოსავლეთში. სწორედ ნიკიტას „ქადაგების" შედეგი იყო, რომ ბევრმა ტაოელმა აზნაურმა დატოვა სამშობლო და იმპერატორს ეახლა კონსტანტინოპოლში.[2] ბიზანტიის ხელისუფლება, როგორც ჩანს, ამასაც არ დასჯერდა და სამხედრო ექსპედიციაც მოაწყო საქართველოში. „კონსტანტინე მეფემან... გამოგზავნა პარკიმანოზი ლაშქრითა ურიცხვითა" და ის მხარეები ააკლებინა, რომლებიც თავის დროზე „ბასილი მეფესა მოეოხრნეს".[3] ყოველივე ამან ერთბაშად დაძაბა მდგომარეობა ქვეყნის შიგნით. იმპერიის დიპლომატიამ მოახერხა ქართული პოლიტიკური წრეების გახლეჩა. ქვეყანა ფაქტობრივად ორ მტრულ: ანტიბიზანტიურ (გიორგი I-ის პოლიტიკური კურსის ერთგულთა) და პრობიზანტიურ (ამ კურსის მოწინააღმდეგეთა) — ბანაკად დაიყო.[4] ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა იმის შესახებ, თუ რა პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდათ პრობიზანტიური ორიენტაციის მიმდევრებს. არაა გამორიცხული, რომ ზოგიერთი (ისინი მაინც, ვინც ნებაყოფლობით გადასცა ციხეები ბიზანტიის ხელისუფლებას), საერთოდ, ქვეყნის ბიზანტიის იმპერიასთან უშუალო შეერთების მომხრე იყო, მაგრამ უფრო სავარაუდოა, ოპოზიციას[5] საქართველო

торых вопросах внешней политики Грузинского царства в I трети XI века. — "Сборник работ молодых ученых и специалистов Абхазии", Сухуми, 1980, გვ. 64-74.

ზ. ჯაპასქირი, ერთიანი... გვ. 139.

2 არისტაკეს ლასტივერტელი. ისტორია... გვ. 54-56.

მატიანე ქართლისა... გვ. 291-292.

ზ. ჯაპასქირი, ერთიანი... გვ. 128.

აკად. ნ. ბერძენიშვილი თავის დროზე საქართველო-ბიზანტიის 1021-1022 წწ. ომის შესახებ „მატიანე ქართლისას" მასალებზე მსჯელობისას მისულა დასკვნამდე, რომ საქართველოში იმ დროს აშკარად არსებულა ძლიერი დასი, რომელსაც ბასილთან გიორგის ბრძოლა არ მოსწონდა და ბასილის მოთხოვნილებანი სამართლიანად მიაჩნდა. მეცნიერის დაკვირვებით, „ესენი შეიძლება სწორედ ის დიდგვარიანები იყვნენ, რომელთაც გიორგის შვილი ბაგრატ IV დატოვეს და მთელი ქვეყნები ბასილის და მის ძმას კონსტანტინეს წარუღეს". ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IX, თბ., 1979, გვ. 75

„დაწყნარებულ“, თუმცა ბიზანტიის ერთგულ და მორჩილ, სახელმწიფოდ ესახებოდა. არანაკლებ რთულია ცალსახა პასუხის გაცემა იმაზეც, თუ რა იყო ბიზანტიის საბოლოო მიზანი. რასაკვირველია, არ შეიძლება იმის მთლიანად გამორიცხვა, რომ ბიზანტიის ხელისუფლება ადგა ერთნაირ პოლიტიკას „სომხურ-ქართული ქვეყნების მიმართ“[1] და „საქართველოსაც იმას უმზადებდა“, რაც მეზობელ სომხურ პოლიტიკურ ერთეულებს ეწიათ.[2] მაგრამ, საფიქრებელია, რომ საიმპერატორო კარი საქართველოს მეფის მიერ კონსტანტინოპოლის უზენაესობის უბრალო აღიარებას და ტაოს მიწების საბოლოო დაპატრონებას დასჯერდებოდა. ყოველ შემთხვევაში მოვლენების შემდგომი განვითარება უფრო იმაზე მიგვანიშნებს, რომ ბიზანტიური დიპლომატია ქუთაისში მისთვის სასურველი რეჟიმის დამყარებას ესწრაფოდა და არა სახელმწიფოებრიობის მოსპობასა და ქვეყნის უშუალოდ ბიზანტიასთან შეერთებას.[3]

გიორგი I-ის სიკვდილის შემდეგ, როგორც ჩანს, ხელისუფლებაში ჯერ კიდევ მისი გარემოცვა რჩებოდა, რომელიც მზად იყო, განეგრძო გარდაცვლილი მეფის მტკიცე ანტიბიზანტიური კურსი. იაპია ანტიოქელი პირდაპირ ადასტურებს, რომ საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ახალი გამწვავება ქართული მხარის მიზეზით მოხდა. საქართველოს სამეფო კარს მიუჩნევია, რომ უკვე დადგა ხელსაყრელი დრო იმ ციხე-სიმაგრეების დასაბრუნებლად, რომლებიც გიორგი I-მა ბასილი მეფეს დაუთმო და ურჩევია ახალგამეფებული ბაგრატისათვის შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით.[4] ბერძნების საპასუხო აქციები, როგორც ვნახეთ, საქართველოსათვის უაღრესად მძიმე გამოდგა, თუმცა მათაც ვერ შეძლეს „საქმის სისრულეში მოყვანა“.[5] 1028 წ. გარდაიცვალა კონსტანტინე VIII, ხოლო ახალგამეფებულმა რომანოზ არგვიროსმა არ განაახლა საომარი ოპერაციები საქართველოში. საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ნორმალიზაცია კი მოხდა 1030-1031 წლებში, კონსტანტინოპოლში დედოფალ მარიამის ვიზიტის დროს. მხარეებმა, როგორც ჩანს, მიაღწიეს თანხმობას და ბიზანტიის იმპერატორმა „მისცნა ფიცნი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყვარული-

---

1 მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს შინაპოლიტიკური..., გვ. 191, შდრ. ალ. აბდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, თბ., 1988, გვ. 265.

2 ნ. ბერძენიშვილი, ქართული მიწების პოლიტიკური გაერთიანება, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 26-27.

3 ზ. ჰაპასჭირი, ერთიანი..., გვ. 130, 151.

4 ბ. სილაგაძე, იაპია ანტიოქელის ცნობები..., გვ. 118.

5 არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია..., გვ. 55.

სათვის, დაუწერნა ოქრო-ბეჭედნი, მოსცა პატივი კურაპალატობისა, და მოსცა ცოლად ბაგრატისთვის ელენე დედოფალი".[1] ამრიგად, მარიამ დედოფალმა ბიზანტიასთან დაამყარა ისეთი ურთიერთობა, რომლის წინააღმდეგ მთელი სიცოცხლე იბრძოდა მისი თანამეცხედრე გიორგი I. რასაკვირველია, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მარიამის „სამშვიდობო ინიციატივა" ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ვითარებით იყო გამოწვეული, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს დედოფლის სხვა დიპლომატიურ ნაბიჯებს (კერძოდ, მის აქტიურობას XI ს-ის 50-იან წლებში, როდესაც ბაგრატ IV-ს ასევე დასჭირდა დათმობებზე წასვლა ბიზანტიასთან ურთიერთობებში და ამის მისაღწევად დედის ავტორიტეტი გამოიყენა), უნდა ვიფიქროთ, რომ მარიამის ვიზიტი კონსტანტინოპოლში ახალი პოლიტიკური კურსის მაჩვენებელი იყო, რაც, იმ დროისათვის, ხელისუფლებაში პრობიზანტიური წრეების მოსვლით უნდა აიხსნას. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს აუცილებელი, კონსტანტინოპოლის შეთანხმება ცალსახად მივიჩნიოთ ქართული დიპლომატიის მნიშვნელოვან წარმატებად.[2] საქართველო-ბიზანტიის 1030-1031 წწ. სამშვიდობო ხელშეკრულება „ერთობისა და სიყვარულისათვის" უფრო პრობიზანტიური ძალების გამარჯვებას წარმოადგენდა, ვიდრე საქართველოს სამეფო კარის დიპლომატიურ წარმატებას საერთოდ. რასაკვირველია, ძნელი სათქმელია, თუ რამდენად პერსპექტიული და მიზანშეწონილი იყო ამ ეტაპზე გიორგი I-ის ანტიბიზანტიური კურსის გაგრძელება, მაგრამ ერთი რამ ცხადია: სამეფო კარზე უდავოდ ყველა არ იყო ბიზანტიასთან მორიგების მომხრე. ამიტომაც აღმოჩნდა, ალბათ, ეს ზავი ასე უდღეური. სულ მალე გარდაიცვალა ელენე დედოფალი, რითაც გაწყდა ის ძაფი, რომელიც აკავშირებდა ბაგრატ IV-ს ბიზანტიის იმპერიასთან. ამის შემდეგ ახალგაზრდა მონარქმა შვირთო ოვსთა მეფე ურდურეს ასული ბორენა — „დაი დორღოლელისი".[3] ბაგრატ IV-ის ეს ნაბიჯი უდავოდ გამართლებული იყო. ოვსთა მეფის სახით ის იძენდა ძლიერ მოკავშირეს, რომელიც გამოადგებოდა ბიზანტიასთან მოსალოდნელი შეჯახების შემთხვევაში. გარდა ამისა, ბაგრატ IV ახდენდა თავისი ნახევარძმის დემეტრეს — გიორგი I-ისა და ოვსთა მეფის ასულის ალდეს ვაჟის — ნეიტრალიზებასაც, რომელსაც, შესაძლებელია, მხარში ამოდგომოდნენ ოვსი თანამოძმენი ტახტისათვის ატეხილ ბრძოლაში.[4] საფიქრებელია, აგრეთვე, რომ ბაგრატი ოვსების გამოყენე-

---

1 მატიანე ქართლისა... გვ. 294.

2 შდრ. ვ. გაბაშვილი. საქართველო-ეგვიპტის... გვ. 69.

3 მატიანე ქართლისა... გვ. 295.

4 გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს-მდე). სტალინირი. 1058. გვ. 132. 134-135.

ბას სხვა პოლიტიკურ აქციებშიც აპირებდა და გამოიყენა კიდეც. კერძოდ, "შესაძლებელია, ოსეთ-კახეთის კონფლიქტი, რომლის დროსაც „მოკლულ იყო დიდი კახთა მეფე კვირიკე ოსისა ვისიმე მონისა მიერ, რამეთუ წყობასა შინა ოსთა მეფე ურდურე მოეკლა კვირიკე მეფესა".[1] ინსპირირებული იყო ბაგრატ მეფის მიერ და მიზნად ისახავდა „რანთა და კახთა" სამეფოს დასუსტებას. ამით „აფხაზთა" და „ქართველთა" მეფე ნიადაგს ამზადებდა დანარჩენ საქართველოსთან კახეთის შეერთებისათვის.[2] ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სრული საფუძველი გვაქვს, ბაგრატ IV-ის ოსთა მეფის ასულზე დაქორწინება საქართველოს სამეფო კარის მნიშვნელოვან დიპლომატიურ წარმატებად მივიჩნიოთ.

ოსეთის ძლიერ სამეფოსთან დაახლოებამ საქართველოს მეფეს, როგორც ჩანს, ხელ-ფეხი გაუხსნა და საშუალება მისცა, უფრო აქტიურად გამოსულიყო საერთაშორისო არენაზე, კერძოდ, განეახლებინა ბრძოლა ბიზანტიის იმპერიის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დასაბრუნებლად. XII ს-ის ბიზანტიელი ავტორის იოანე ზონარას ცნობით, „აბაზგიის მთავარმა" ბაგრატმა რომაელებთან დადებული ზავი დაარღვია და ზოგიერთი ციხე და ქალაქი დაიკავა, რომლებიც ბიზანტიელებმა სწრაფად დაიბრუნეს უკან.[3] ეს იყო იმპერიის „მფარველობიდან" თავის დახსნისათვის ბრძოლის ახალი ეტაპის დასაწყისი. კონსტანტინოპოლი, რასაკვირველია, გულხელდაკრეფილი არ შეხვდებოდა საქართველოს მეფის ამ დემარშს და ყოველნაირად შეეცდებოდა, საპასუხო ზომები გაეტარებინა მის მიმართ. მაგრამ, როგორც იოანე ზონარას მასალებიდან ჩანს, იმპერიის მესვეურებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ განდევნეს ბაგრატ IV-ის ჯარი და მიტაცებული ქალაქები უკან დაიბრუნეს. ბაგრატ მეფის უფრო მკაცრად დასჯა ბიზანტიას, იმ ხანებში, ეტყობა, არ შეეძლო. უფრო მეტიც, ამ დროიდან, იმპერიის დიპლომატია ერთგვარად ცვლის ბრძოლის ხერხებსა და მეთოდებს და აქცენტი გადააქვს ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ ფეოდალური ოპოზიციის მიერ მოწყობილი გამოსვლების მატერიალურ და სამხედრო უზრუნველყოფაზე. XI ს-ის 40-იანი წლების დამდეგიდან ბიზანტიის მმართველმა წრეებმა გადადგეს კონკრეტული ნაბიჯები საქართველოში არსებული პოლიტიკური რეჟიმის შეცვლისა და ურჩი ბაგრატ კურაპალატის ნაცვლად სამეფო ტახტზე მათთვის მისაღები კანდიდატის აყვანისათვის. ეს როლი მათ დააკისრეს

---

[1] მატიანე ქართლისა., გვ. 297.

[2] გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის., გვ. 132-133.

[3] იოანე ზონარა. ისტორია, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო მიხეილ ქასაძემ, გეორგიკა, ტ. VI, თბ., 1966, გვ. 235.

ბაგრატ IV-ის ნახევარძმას დემეტრე უფლისწულს. როგორც ცნობილია, დემეტრე გიორგის ძე დედასთან ერთად ჯერ კიდევ 30-იან წლებში გაიქცა ბიზანტიაში და მიიღო იქ პოლიტიკური თავშესაფარი. დემეტრე დიდი შენაძენი იყო ბიზანტიისათვის, ამიტომ იმპერატორმა მას სასწრაფოდ უბოძა მაგისტროსის ტიტული. გაქცეულმა უფლისწულმა იმპერატორს თავისი რეზიდენცია — ანაკოფია გადასცა („წარუტანა თანა ანაკოფია").[1] ამით ბიზანტიელებმა საქართველოს „ჩრდილოეთიდგანაც მოუარეს და საზღვარზე ფეხი ჩადგეს".[2]

პირველად დემეტრე უფლისწულის გამეფება უცდიათ 1042 წელს,[3] როდესაც „გამოიყვანა ლიპარიტ დემეტრე, ძმა ბაგრატისი, საბერძნეთით, ბერძენთა მეფისა ლაშქრითა".[4] ლიპარიტის ეს გამოსვლა, როგორც სომეხი ისტორიკოსის ვარდანის მასალებიდან ირკვევა, მთლიანად ინსპირირებული უნდა ყოფილიყო იმპერატორ მიხეილის მიერ.[5] მაგრამ ამ ეტაპზე ბიზანტიის ხელისუფლებამ დასახულ მიზანს ვერ მიაღწია. ბაგრატ IV წავიდა ერთგვარ დათმობებზე ამბოხებული დიდგვაროვანის მიმართ — „დაეზავა ლიპარიტ აფხაზთა მეფესა. უბოძა მეფემან ქართლის ერისთაობა. წარვიდეს ბერძენნი საბერძნეთად და წარიტანეს დემეტრე თანა".[6] ამან საშუალება მისცა საქართველოს მეფეს, უფრო აქტიურად ჩართულიყო ამიერკავკასიაში მიმდინარე პროცესებში და გამოსულიყო ბიზანტიის მეტოქედ აღმოსავლეთში. ეს განსაკუთრებით ნათლად გამომჟღავნდა 40-იანი წლების შუა ხანებში ე. წ. „სომხეთის საკითხის" გადაწყვეტის დროს.

სომხური პოლიტიკური ერთეულების დაპყრობა ბიზანტიის მესვეურთათვის დიდი ხნის სანუკვარ ოცნებას წარმოადგენდა. XI ს-ის 40-იანი წლების დამდეგისათვის იმპერიას უკვე ჰქონდა გარკვეული წინსვლა ამ მიმართულებით, კერძოდ, 966 წ. ბიზანტიამ შეიერთა ტარონი,[7] 1022 წელს კი ვასპურაკანის სამეფო.[8] იმავე 1022 წელს გადაწყდა ანისის სამეფოს ბედიც. ბასილი კეისარმა აიძულა იოანე-სუმბატი,

---

1 მატიანე ქართლისა., გვ. 295.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, ტ. II. გვ. 140.

3 ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის., გვ. 190. შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, ტ. II, გვ. 143; საქართველოს ისტორიის წარკვეცები, ტ. III, გვ. 185.

4 მატიანე ქართლისა., გვ. 298.

5 Всеобщая история Вардана Великого, перевод Н. Эмина, М., 1861, გვ. 123; ელ. ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X-XI საუკუნეებში, „მრავალთავი", II, თბ., 1973, გვ. 196-197.

6 მატიანე ქართლისა., გვ. 298.

7 К. Н. Юзбашян, Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв., М., 1988, გვ. 67.

8 В. П. Степаненко, О причинах.., გვ. 72-79.

შეედგინა ანდერძი, რომლის მიხედვითაც ანისის მეფის სიკვდილის შემდეგ სომეხთა სამეფო რომაელთა სახელმწიფოს შეუერთდებოდა.[1] 1041 წელს გარდაიცვალა იოანე-სუმბატი და ბიზანტიის ხელისუფლება შეუდგა ანისის სამეფოს შემომტკიცებას. ამან უაღრესად დაძაბა პოლიტიკური სიტუაცია სომხეთში. ანტიბიზანტიურად განწყობილმა სომეხმა ნაჰარარებმა ვაჰრამ პაჰლავუნის მეთაურობით ენერგიულად წინააღმდეგობა გაუწიეს ბიზანტიელებს, რომლებიც 1041 წელს ორჯერ შეიჭრნენ ანისის სამეფოს ფარგლებში.[2] პრობიზანტიურ ორიენტაციას სათავეში ედგა სარგის ჰაიკაზნი, რომელმაც ჯერ რეგენტის თანამდებობა ჩაიგდო ხელში, ხოლო შემდეგ თავისი თავი მეფედაც კი გამოაცხადა, სამეფო საგანძური კი საქართველოში (მათეოს ურჰაეცის სიტყვით, „ტფხაზებთან") გახიზნა.[3] მაგრამ ვაჰრამ პაჰლავუნიმ და მისმა მომხრეებმა შეძლეს გაგიკის — იოანე-სუმბატის ძმისწულის — ტახტზე დასმა.[4] გაგიკის კორონაცია, უდავოდ, ბიზანტიური დიპლომატიის დიდი მარცხი იყო, მაგრამ სომხეთის საქმეების მოგვარებისათვის იმპერიამ ერთბაშად ვერ მოიცალა და მხოლოდ 1044 წელს განაახლა შეტევა სომხეთის მიმართულებით. თავდაპირველად ბიზანტიის ხელისუფლებამ „დვინისა და პერსარმენიის არქონტი აპლისფარი" (აბულასვარ შადადიანი, მ.ლ., ზ.ბ.) მიუსია ანისის მეფეს.[5] ყოველმხრივ შევიწროებული გაგიკ II იძულებული შეიჭნა, დაეტოვებინა ანისი და კონსტანტინოპოლს გამგზავრებულიყო, „ქვეყნის მთელი საზრუნავი კი კათალიკოს პეტროსს ჩააბარა".[6] მიუხედავად სომეხ პატრიოტთა ცალკეული წარმატებებისა, ანტიბიზანტიურმა ფრონტმა სომხეთში კრახი განიცადა, თუმცა ანისის მოსახლეობის გარკვეული ფენები, როგორც ჩანს, იმედს მაინც არ კარგავდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ეხსნათ ქვეყანა ბიზანტიის ოკუპაციისაგან. ასეთ ვითარებაში ჩაერია სწორედ ბაგრატ IV ანისის

---

1 გიორგი კედრენე, ქრონოგრაფია..., გვ. 59-60; არისტაკეს ლასტივერტელი, ისტორია..., გვ. 48.

2 К. Н. Юзбашян, Скилица о захвате.., გვ. 81.

3 В. П. Степаненко, К идентификации личности веста.., გვ. 168, 172.

4 არისტაკეს ლასტივერტელი, ისტორია..., გვ. 67; К. Н. Юзбашян, Скилица о захвате.., გვ. 81.

5 გიორგი კედრენე, ქრონოგრაფია..., გვ. 61. აღსანიშნავია, რომ აბულასვარი სომეხ მეფემთავრებს ადრეც აწუხებდა. მათეოს ურჰაეცის ცნობით, ის ჯერ კიდევ 1040 წ. შეესია ტაშირ-ძორაკეტის მეფე დავით „უმიწაწყლოს" სამფლობელოებს. მაშინ დავითს მხარში ამოუდგნენ იოანე-სუმბატი სიუნიის მმართველი და „აფხაზთა" მეფე ბაგრატ IV, რომელმაც 4000-იანი რაზმი გაგზავნა აბულასვარის წინააღმდეგ. მათი დახმარებით დავით „უმიწაწყლომ" შეძლო დვინის ემირის დამარცხება და მის მიერ მიტაცებული ოლქების უკან დაბრუნება. იხ: Р. М. Бартикян, "Хронография" Матфея Эдесского о Грузии и грузинах, „ბიზანტინოლოგიური ეტიუდები", თბ., 1978, გვ. 83-84.

6 არისტაკეს ლასტივერტელი, ისტორია..., გვ. 71.

სამეფოს საქმეებში. „მატიანე ქართლისას“ ცნობით, „მოერთო ვესტი ცხრითა ციხითა ანისისათა თვინიერ ამბერდისათა. და მოსცეს ანელთა ანისი ბაგრატის დედასა რამეთუ მამულად ეყოდეს სომეხნი — სენეჭერიმ სომეხთა მეფისა ასული იყო მარიამ დედოფალი, ბაგრატის დედა“.[1] „მატიანის“ ცნობას ადასტურებს არისტაკეს ლასტივერტეციც, რომელიც რამდენადმე აკონკრეტებს ანისში შექმნილ სიტუაციას: „ქალაქის მთავრებმა, რომლებიც ანისში იმყოფებოდნენ, დაინახეს რა, რომ გაგიკი საბერძნეთშია დამწყვდეული, გადაწყვიტეს ქალაქი ჩაებარებინათ დავით დვინელისათვის.., ან აფხაზთა მეფის ბაგრატისათვის. პეტრე მამამთავარმა, დაინახა რა ამგვარი ძიება, თუ ვისთვის გადაეცათ ქალაქი“, სასწრაფოდ აცნობა ამის თაობაზე იმპერატორ კონსტანტინე მონომახს და გადასცა მას სამეფო.[2] მოტანილი მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ ბიზანტიის იმპერიის ზრახვებს სომხეთში დაუპირისპირდა საქართველოს სახელმწიფო. მართალია, არისტაკეს ლასტივერტეცი ლაპარაკობს მხოლოდ ანისელთა სურვილზე, გადაეცათ ქვეყანა „აფხაზთა“ მეფისათვის,[3] მაგრამ „მატიანის“ მონაცემები პირდაპირ მიუთითებენ საქართველოს სამეფო კარის წარმომადგენელთა ჩასვლაზე ანისში, უფრო მეტიც, არ არის გამორიცხული, რომ ანისში გაგზავნილ ქართველ დიდებულებს უშუალოდ ქვეყნის მართვა-გამგეობაც ჰქონოდათ ჩაბარებული. ყოველი შემთხვევისათვის, საეჭვოა, რომ ანისს მყოფნი „აბუსერი ერისთავი არტანუჯისა, და ხიხათა და ციხის-ჯუარისა და აწყურის ციხის პატრონი, და ივანე დადიანი და გუარამ გოდერძის ძე, ბეჭის ციხის პატრონი“,[4] მხოლოდ დიპლომატიური მისიით შემოფარგლულიყვნენ, როგორც ამას ფიქრობს კ. იუზბაშიანი.[5] ჩვენი აზრით, აღნიშნულ დიდგვარიანთა ყოფნა ანისში უფრო სამხედრო-ადმინისტრაციული საჭიროებებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, ვიდრე დიპლომატიურით. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, რომ ისეთი მნიშვნელოვანი აქცია, როგორიც იყო ანისის ქვეყნის საქართველოს სახელმწიფოსთან შემოერთება, მხოლოდ „მეფის ელჩთა“ სომხეთში უბრალო ჩასვ-

---

1 მატიანე ქართლისა., გვ. 299.

2 არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, გვ. 299.

3 ისტორიოგრაფიაში საკმაოდ სამართლიანადაა შენიშნული, რომ არისტაკეს ლასტივერტეცის „პირდაპირი თუ არაპირდაპირი ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის, კერძოდ, სომხეთისათვის საქართველო-ბიზანტიის ბრძოლის შესახებ ხშირად ტენდენციური ხასიათისაა და რომ ამ კონფლიქტში სომეხი ისტორიკოსი აშკარად „ბიზანტიის ინტერესების გამომხატველი უფროა, ვიდრე საქართველოსი“. ალ. ბადალაძე. ამიერკავკასიის., გვ. 159-160.

4 მატიანე ქართლისა., გვ. 300.

5 К. Н. Юзбашян, Грузинские послы в Ани в 1045 г., „ბიზანტინოლოგიური ეტიუდები“, თბ., 1978, გვ. 159-160.

ლით მოგვარებულიყო და არ ყოფილიყო სამხედრო თვალსაზრისითაც სათანადოდ უზრუნველყოფილი. საქართველოს სამეფო კარზე კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ბიზანტიელთა მხრიდან ანისის „აფხაზთა“ მეფის ხელში გადასვლას და ამიტომ დაუჭერებელია, ბაგრატ IV „სომხეთის საკითხის“ გადაჭრისას მხოლოდ „დიპლომატიური არხებით“ დაკმაყოფილებულიყო. ამდენად, საკვლევი დასაშვებია, რომ ქართველი დიდებულები ანისში, თუნდაც მოკლე ხნით მაინც (თავიანთ სომეხ თანამოაზრეებთან ერთად), მართლაც ასრულებდნენ ადმინისტრაციულ ფუნქციებსაც. შესაძლებელია, სწორედ ამან დააჩქარა პეტროს კათალიკოსის გადაწყვეტილება, სასწრაფოდ მოეწვია ბიზანტიელები და ჩაებარებინა მათთვის ქვეყანა, მათ კი, თავიანთი მხრიდან, გაატარეს შესაბამისი ღონისძიებები ანისის დასაკავებლად. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად, რასაკვირველია, ლიპარიტის მიერ ქართველ დიდებულთა ანისიდან „გამოტყუება“ უნდა მივიჩნიოთ.[1] ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ ლიპარიტი ამ შემთხვევაში მთლიანად ბიზანტიელთა კარნახით მოქმედებდა და მათ დავალებას ასრულებდა.[2]

საქართველოს სახელმწიფომ სომხეთში საბოლოოდ მაინც მარცხი განიცადა, თუმცა თვით ის ფაქტი, რომ ბაგრატ IV-მ დროებით შეძლო ანისზე თავისი კონტროლის დამყარება, ქართული დიპლომატიის პრინციპულ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ანისის საქართველოსთან შეერთების ინიციატივით გამოვიდა ბიზანტიის კაცი – სარგის ჰაიკაზნი, რომელთანაც საქართველოს სამეფო კარს კარგა ხნის ურთიერთობა უნდა ჰქონოდა. არაა გამორიცხული, რომ სარგისი ერთგვარად „ორმაგ თამაშსაც“ კი ეწეოდა საქართველოსა და ბიზანტიის ხელისუფლებასთან,[3] მაგრამ მას მერე, რაც ბიზანტიის მთავრობამ სარგის ჰაიკაზნს ზურგი აქცია და სომხეთში მთლიანად კათალიკოს პეტროსის ავტორიტეტს დაეყრდნო, განაწყენებულმა იშხანმა, როგორც ჩანს, ცალსახად ქართული ორიენტაცია დაიკავა და ანისის საქართველოსთან შეერთების ინიციატივით გამოვიდა.[4]

ერთიანი ქართული სახელმწიფოს მზარდი საგარეო პოლიტიკური პოტენციალი, რომლის დემონსტრირებაც მოხდა სომხეთში, როგორც ჩანს, საყოველთაოდ აღიარებული იყო. ამ პერიოდში (XI ს.შუა ხანები)

---

1 მატიანე ქართლისა., გვ. 300.

2 ამის შესახებ იხ. აგრეთვე: ზ. პაპასქირი, ერთიანი.., გვ. 163-171.

3 В. П. Степаненко, К идентификации личности веста.., გვ. 169; ა. აბდალაძე, ქართლის ცხოვრება და საქართველო-სომხეთის., გვ. 215.

4 ჩვენთვის უცნობია სარგის ჰაიკაზნის შემდგომი ბედი. ვ. სტეპანენკოს საფუძვლიანი ვარაუდით სარგისმა, შესაძლებელია, თავისი კარიერა საქართველოს მეფის კარზე დაასრულა. В. П. Степаненко, К идентификации.., გვ. 172.

საქართველო მართლაც წარმოადგენდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას მთელს აღმოსავლეთში და მისი პრესტიჟი საერთაშორისო არენაზე საკმაოდ მაღალია. ამაზე მეტყველებს თუნდაც XI ს. ტაჯიკი ავტორის ნასირი ხოსროუს ცნობა იმის შესახებ, რომ 1047 წელს, ეგვიპტეში, ნილოსის არხის გახსნის ცერემონიალში სხვადასხვა შორეული ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიუღია „ქართველ მეფეთა ვაჟიშვილებს".[1] გამოთქმულია მოსაზრება, რომ ესენი იყვნენ ბაგრატ IV-ის სამეფო სახლისა და „რანთა და კახთა" მეფის საგვარეულოს წარმომადგენლები,[2] თუმცა არაა გამორიცხული, რომ „ქართველ მეფეთა ვაჟიშვილებში" ვიგულისხმოთ ბაგრატ IV-ის ერისთავთა შვილები.[3]

ანისის ამბებში ბაგრატ IV-ის აქტიურმა ჩარევამ კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა კონსტანტინოპოლსა და ქუთაისს შორის. იმპერიის ხელისუფლებამ კვლავ მოინდომა ბაგრატის ტახტიდან ჩამოგდება და მის ნაცვლად დემეტრე უფლისწულის გამეფება, რისთვისაც კვლავ აამოქმედა ლიპარიტ ბაღვაში. ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ ფართო ფრონტი შეიქმნა. ლიპარიტს გვერდით ამოუდგა ტაშირ-ძორაკეტის მეფე დავითიც, რომელიც, ეტყობა, ძლიერ დააფიქრა ბაგრატის აქტიურობამ სომხეთში. როგორც ცნობილია, ტაშირ-ძორაკეტის მეფეებს თვით გააჩნდათ საკმაოდ საფუძვლიანი ლეგიტიმისტური პრეტენზიები ანისის სამეფოზე[4] და, ბუნებრივია, დავითს არ მოეწონებოდა ბაგრატის მეტოქეობა სომხურ პოლიტიკურ სამყაროში. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და კვირიკიან მეფეებს შორის იყო ტრადიციული დაპირისპირება ქვემო ქართლის გამო.[5] სათანადო დიპლომატიური სამზადისი ჩაატარა ბაგრატ IV-მაც. ფიქრობენ, ლიპარიტის წინააღმდეგ საბრძოლველად ბაგრატმა გამოიყვანა 3 ათასიანი „ვარანგთა" (ვარიაგთა) რაზმი.[6] გამოთქ-

---

1 რ. მეტრეველი, გ. ლორთქიფანიძე. ტაჯიკი მეცნიერის საინტერესო ცნობის შესახებ, გაზ: „ლიტერატურული საქართველო", №17, 26. IV, 1963.

2 ვ. გაბაშვილი, საქართველო-ეგვიპტის... გვ. 70.
რ. მეტრეველი, გ. ლორთქიფანიძე. ტაჯიკი მეცნიერის...
1041-1042 წწ. დავით „უმიწაწყლომ" ორჯერ მოინდომა ანისის დაკავება. მაგრამ უშედეგოდ. К. Н. Юзбашян, Скилица о захвате..., გვ. 81; თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო... გვ. 238.
ალ. აბდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა... გვ. 69.

6 მეცნიერებაში არ არის ერთი აზრი „მატიანე ქართლისას" იმ ნაწყვეტის შინაარსის გაგების საკითხთან დაკავშირებით, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია „ვარანგთა" რაზმის საქართველოში ჩამოსვლასა და სასირეთის ჯალასთან გამართულ ბრძოლაში მათი მონაწილეობის შესახებ. მეცნიერთა ერთი ნაწილი მხარს უჭერს ტექსტის ნ. მარი-ნ. ბერძენიშვილისეულ წაკითხვას და თვლის, რომ „ვარანგები" მოვიდნენ ლიპარიტთან და იბრძოდნენ მის მხარეზე ბაგრატის წინააღმდეგ. მეორენი კი ეყრდნობიან „მატიანის" ცნობის ვახუშტი-ი. ცინცაძისეულ გაგებას და მიიჩნევენ, რომ „ვარანგები" ბაგრატმა

მულია ვარაუდი, რომ ვარანგთა რაზმის ჩამოსელა საქართველოში განპირობებული იყო საქართველო-კიევის რუსეთს შორის დადებული შეთანხმებებით.[1]

მიუხედავად იმისა, რომ კლდეკარის ერისთავმა შეძლო ბაგრატ IV-ის დამარცხება სასირეთის ჭალასთან და არყის ციხესთან ბრძოლებში, ბიზანტიის დიპლომატიამ საბოლოო მიზანს მაინც ვერ მიაღწია, ბაგრატმა შეძლო ტახტის შენარჩუნება,[2] თუმცა მისი ხელისუფლება აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში ნომინალური იყო. ბაგრატ IV-ის მდგომარეობა ერთგვარად გამოსწორდა 1048 წ., როდესაც ლიპარიტ ბაღვაში ტყვედ ჩაუვარდა თურქ-სელჩუკებს.[3] გაჩნდა ბიზანტიასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის სიმპტომები. იმპერიის მესვეურებმა გაითვალისწინეს რა სელჩუკთა მოწოლის შედეგად აღმოსავლეთში შექმნილი საგანგებო ვითარება და ისიც, რომ მათი ერთგული მოკავშირის ლიპარიტ ბაღვაშის განთავისუფლების საკითხი გაჭიანურდა, მოინდომეს ბაგრატის შემორიგება. ხანგრძლივი შინაომით მოქანცული საქართველოს მეფეც არ გაჯიუტებულა და გადადგა საპასუხო შემხვედრი ნაბიჯები შერიგების გზაზე. ასე მომზადდა ბერძენ-ქართველთა ერთობლივი ლაშქრობა, რომლის დროსაც „მირიდეს თურქთა და დაარჩინეს განძის ქუეყანა".[4] მაგრამ აღნიშნულმა აქტმა მაინც ვერ შეიტანა გარდატეხა ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობაში. 1051 წ. ტყვეობიდან განთავისუფლებულმა ლიპარიტმა კვლავ განაახლა ბრძოლა ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ. საქართველოს მეფემ ვერ შეძლო გამკლავებოდა ძლევამოსილ ერისთავს. ლიპარიტმა მას ჯერ თბილისი დაატოვებინა,[5] ხოლო შემდეგ ესეც არ იკმარა: „წარვიდა საბერძნეთს.., ნახა ბერძენთა მეფე, და მოირთო ბერძენთა მეფისაგან ძალი, და ვერღარა დაუდგა ბაგრატ".[6] ძლიერ შევიწროებულმა ბაგრატ მეფემ გადაწყვიტა, ხლებოდა ბიზანტიის იმპერატორს. ბაგრატ IV-ის ეს ვიზიტი კონსტანტინოპოლში კრახი იყო იმ გამოკვეთილი ანტიბიზანტიური პოლიტიკური კურსისა,

---

მოიყვანა. ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ზ. პაპასქირი, ერთიანი.., გვ. 179-195; იხ. აგრეთვე: З. В. Папаскири, Вараги грузинской "Летописи Картли" и некоторые вопросы русско-грузинских контактов в XI в. – "История СССР", №3, 1981, გვ. 164-169.

1 ზ. პაპასქირი, ერთიანი.., გვ. 195-201.

2 შეიძლება ამ შემთხვევაში არც თუ მეორეხარისხოვანი როლი ითამაშა დემეტრე უფლისწულის მოულოდნელმა გარდაცვალებამ. მატიანე ქართლისა.., გვ. 301.
მატიანე ქართლისა.., გვ. 302, ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968, გვ. 190-191.

4 მატიანე ქართლისა.., გვ. 302.

5 თბილისის დაკავება ბაგრატმა სწორედ ლიპარიტის ტყვეობაში ყოფნის დროს მოახერხა. მატიანე ქართლისა.., გვ. 302.

6 იქვე, გვ. 303.

რომელსაც, მართალია, დროგამოშვებით, მაგრამ მაინც საკმაოდ თანმიმდევრულად ატარებდა საქართველოს სამეფო ხელისუფლება XI ს-ის 10-იანი წლების II ნახევრიდან.

მაგრამ, როგორც მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ დაგვანახა, კონსტანტინოპოლში ბაგრატ IV-ის ჩასვლა სულაც არ აღმოჩნდა ბიზანტიის ხელისუფალთა იმპერიული პოლიტიკის ტრიუმფის მომასწავებელი. ბაგრატ IV-მ და მისმა ამალამ მარჯვე დიპლომატიური სვლებით შეძლო, კარდინალურად შეეცვალა კეისრის დამოკიდებულება საქართველოს მეფისადმი. ამაში, ეტყობა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მარიამ დედოფალმა, რომელსაც ბიზანტიის მმართველ წრეებში აშკარად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა საქართველო-ბიზანტიის „ერთობის" საქმეში გაწეული ღვაწლის გამო. ქართული დიპლომატიის წარმატება განაპირობა, ერთი მხრივ, იმპერიის შინაპოლიტიკურ ცხოვრებაში შექმნილმა გამწვავებულმა ვითარებამ, მეორე მხრივ კი, აღმოსავლეთში სელჩუკთა აგრესიის შემდგომი გაძლიერებით გამოწვეულმა საგარეო პოლიტიკურმა გართულებებმაც.[1] სწორედ ამ გარემოებებმა მისცა საშუალება ბაგრატს, ერთგვარი ულტიმატუმის ფორმით გამოეხატა თავისი წყენა იმპერატორისათვის: „როდესაც ბაგრატი კეისარმა მიიღო, — წერს გიორგი კედრენე, — მან უსაყვედურა: მე მეფე ვარ და არა მცირედის ქვეყნის — აფხაზეთის მფლობელი და მაინც ლიპარიტს, ჩემს ყმასა და ქვეშევრდომს უპირატესობას აძლევთო". კეისარმა ისინი შეარიგა იმ პირობით, რომ ბაგრატი იქნებოდა ბატონი და მთავარი მთელი იბერიისა და აბაზგიისა, ხოლო ლიპარიტი — ერთი ნაწილის, მესხეთის მთავარი იქნებოდა სიკვდილამდე, ხოლო ბაგრატს ცნობს ბატონად და მეფედ".[2] საიმპერატორო კარის ამ გადაწყვეტილებას ბაგრატისათვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ამით კეისარი საბოლოოდ ურიგდებოდა ბაგრატის ტახტზე ყოფნას და წყვეტდა ყოველგვარ მცდელობებს მის გადასაყენებლად. ბიზანტიის იმპერატორის ეს გადაწყვეტილება, რამდენადმე, გაკვირვებას იწვევს. როგორც ვიცით, იმპერიის ხელისუფლება, თითქმის ოცი წლის განმავლობაში გეგმავდა ბაგრატის მოშორებას, ახლა კი მას, ლიპარიტის აქტიური მეცადინეობით, გაუჩნდა რეალური შანსი, სისრულეში მოეყვანა ეს გეგმა. ამისათვის ყველაფერი გაკეთდა. ბაგრატი კონსტანტინოპოლში ფაქტობრივად საპატიო ტყვეობაში აღმოჩნდა, ხოლო მის მიერ „ქუთაისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა" დატო-

---

1 ამის შესახებ იხ: Г. Г. Литаврин, Внутренняя и внешняя политика Византии в 1025-1057 гг., — "История Византии", т. II, М., 1967, გვ. 272-277; ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის... გვ. 261-266.

2 გიორგი კედრენე, ქრონოგრაფია... გვ. 68.

ვებული მცირეწლოვანი გიორგი უფლისწული ლიპარიტმა აღმოსავლეთ საქართველოში გადმოიყვანა და დემონსტრაციულად რუისში მეფედ აკურთხა,[1] რითაც თითქოს განაჩენი გამოუტანა ბაგრატის შემდგომ პოლიტიკურ კარიერას. ერთი სიტყვით, აღსრულდა ბიზანტიის საიმპერატორო კარის დიდი ხნის ოცნება — ურჩი ბაგრატ IV-ის ნაცვლად საქართველოში იმპერიისათვის სრულიად მისაღები პოლიტიკური რეჟიმი დამყარდა, რომლის სათავეში კეისრის უერთგულესი ვასალი ლიპარიტ ბაღვაში იდგა. ყოველივე ამის შემდეგ გაუგებარი ხდება ბიზანტიის მმართველი წრეების ზრუნვა ფაქტობრივად გადაყენებული ბაგრატის ხელისუფლების რესტავრაციისათვის საქართველოში. სავსებით შესაძლებელია, რომ ბიზანტიის საიმპერატორო კარს საქართველოს მიმართ. მართლაც, არ ჰქონდა შორს მიმავალი მიზნები და მისგან მხოლოდ კონსტანტინოპოლის უზენაესობის აღიარებას სჯერდებოდა. მაგრამ მაინც უფრო რეალურია ვივარაუდოთ, რომ ამ დროისათვის ბიზანტია-ლიპარიტის ურთიერთობაში მოხდა ისეთი რამ, რამაც აიძულა იმპერიის ხელისუფლება, გადაესინჯა თავისი დამოკიდებულება კლდეკარის ერისთავისადმი. ამასთან დაკავშირებით, ამ უკანასკნელ ხანს გამოითქვა მოსაზრება, რომ წყაროებში დაფიქსირებული ლიპარიტ-სელჩუკთა თანამშრომლობის ცალკეულმა ფაქტებმა, შესაძლებელია, რამდენადმე ეჭვის ქვეშ დააყენეს ბაღვაშთა სახლის საიმედოობა და ბიზანტიის ხელისუფლებას უბიძგეს ბაგრატ IV-ისადმი თავისი დამოკიდებულების შეცვლისაკენ.[2] გარდა ამისა, უეჭველია, რომ ლიპარიტ ბაღვაშს არ შესწევდა ძალა ბაგრატ IV-ის ერთგული დასავლეთი საქართველო თავის კონტროლქვეშ მოექცია. ბიზანტიური დიპლომატია კი, როგორც იქნა, მიხვდა, რომ სელჩუკთა გააქტიურების პირობებში, მას აღმოსავლეთში მოკავშირედ ძლიერი და ერთიანი საქართველო სჭირდებოდა. ამის უზრუნველყოფა კი, როგორც ჩანს, ბაგრატ IV-ს უფრო ხელეწიფებოდა, ვიდრე ლიპარიტ ბაღვაშს, ამიტომ იმპერიამ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, გაწირა თავისი გუშინდელი მოკავშირე. ერთი სიტყვით, ყველა საფუძველი არსებობს, კონსტანტინოპოლში მიღწეული შეთანხმება ბაგრატ IV-ის პრინციპულ დიპლომატიურ გამარჯვებად მივიჩნიოთ. ეს რომ ასე იყო, იქიდანაც ჩანს, რომ ლიპარიტ ბაღვაშმა არაფრად ჩააგდო კეისრის გადაწყვეტილება, არ დაემორჩილა ბაგრატ მეფეს და უწინდებურად „ზრდიდა ბაგრატის ძესა გიორგი მცირესა სახელითა მეფობისათა“.[3] მაგრამ ლიპარიტის თავგასულობას

---

1 მატიანე ქართლისა., გვ. 304.
2 ზ. პაპასქირი, ერთიანი.., გვ. 205.
3 მატიანე ქართლისა., გვ. 304.

მალე დაესვა წერტილი. მის წინააღმდეგ მოეწყო შეთქმულება და „ლიპარიტ და ძე მისი ივანე“ შეპყრობილ იქნენ. ბაგრატმა გააძევა ლიპარიტი და კლდეკარის საერისთაოზე საკუთარი კონტროლი დაამყარა.[1]

ამრიგად, ლიპარიტ ბაღვაშის ხანგრძლივი ბრძოლა ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ სამეფო ხელისუფლების გამარჯვებით დამთავრდა. ლიპარიტ ბაღვაშის მარცხი უმთავრესად საგარეო პოლიტიკურმა ფაქტორებმა განაპირობა. კერძოდ, XI ს-ის შუა ხანებში მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილმა საერთაშორისო ვითარებამ, რომელმაც გამოიწვია კონსტანტინოპოლის კურსის შეცვლა საქართველოს სახელმწიფოს მიმართ. ბიზანტიის იმპერიის მმართველმა წრეებმა, თურქ-სელჩუკთა მხრიდან სულ უფრო მზარდი საშიშროების ვითარებაში, აშკარად დაინახეს საქართველოს სამეფოსთან, აღმოსავლეთში ერთადერთ ქრისტიანულ სახელმწიფოსთან, შემდგომი კონფრონტაციის სრული უპერსპექტივობა და მასთან კეთილმეზობლური, სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარება ამჯობინეს, რომელიც მოგვიანებით დინასტიური ქორწინებითაც (ბაგრატ IV-ის ასულის მართა-მარიამის მითხოვება მიხეილ დუკასათვის) იქნა განმტკიცებული. მართალია, საქართველოს მეფე ძველებურად ატარებდა ბიზანტიურ (ამჯერად კიდევ უფრო მაღალ ნოველისიმოსისა და სევასტოსის) საკარისკაცო ტიტულებს, ეს მისი მხრიდან კონსტანტინოპოლის უზენაესობის მხოლოდ ფორმალური აღიარებაღა იყო. ფაქტობრივად ბაგრატ IV ბიზანტიის იმპერატორის თანასწორუფლებიან პარტნიორად გადაიქცა და იქნებ შორს არ იყო ის დროც, როდესაც საქართველოს სამეფო ბიზანტიის იმპერიისაგან სრულ (ე. ი. იურიდიულსაც) დამოუკიდებლობას მიაღწევდა.[2] მაგრამ XI ს-ის 60-იანი წლებიდან კვლავ გართულდა საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა. ეს გამოწვეული იყო თურქ-სელჩუკთა აგრესიის გაძლიერებით, რომლებიც სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ საქართველოს სამეფოს საზღვრებს. ამიერიდან ბიზანტიასთან ურთიერთობის მოგვარების პრობლემამ უკანა პლანზე გადაიწია და ქართული დიპლომატიის მთელი ყურადღება სელჩუკთა წინააღმდეგ საერთო კავკასიური ფრონტის ორგანიზებისაკენ გადაერთო.

სელჩუკები ამიერკავკასიის ფარგლებს პირველად XI ს-ის 30-იან წლებში მოადგნენ.[3] მართალია, ამ პერიოდში არ ჰქონია ადგილი

მატიანე ქართლისა..., გვ. 304-305.

[2] ზ. პაპასქირი, ერთიანი..., გვ. 209

ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: С. Г. Авджанов, К. Н. Юзбашян, К истории тюркских набегов на Армению в XI в. – "Палестинский сборник", вып. 13 (76), 1965, გვ. 145-158; ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო..., გვ. 165-170.

თურქთა უშუალო შემოჭრას საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მაგრამ მათმა გამოჩენამ სამხრეთ ამიერკავკასიის მისადგომებთან რამდენადმე შეზღუდა ბაგრატ IV-ის აქტიურობა. არსებობს სავსებით საფუძვლიანი ვარაუდი, რომ 1037-1038 წწ. სელჩუკებმა ხელი შეუშალეს საქართველოს მეფეს თბილისის დაკავებაში.[1] თბილისისათვის ბრძოლა საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად რჩებოდა 40-50-იან წლებშიც. ამ პერიოდში ბაგრატ IV ორჯერ (1045-1046 და 1048-1051 წლებში) დაეუფლა კიდეც ქალაქს,[2] მაგრამ სხვადასხვა მიზეზებით ვერც ერთხელ ვერ შეძლო მისი შენარჩუნება. აღსანიშნავია, რომ ორივეჯერ ეს მოხდა არა ძალისმიერი გზით, არამედ მოჭნილი დიპლომატიის წყალობით. 1062 წ. ბაგრატ IV-მ კვლავ შეძლო თბილისის დაკავება, ამჯერად მას ქალაქი „ტფილელმა ბერებმა“ კი არ ჩააბარეს, როგორც ეს მოხდა 1045 და 1048 წლებში, არამედ მან „დიდი თანხის ფასად“ იყიდა ის აღსართან გაგიკის ძისაგან.[3]

საქართველოს მეფის მიერ თბილისის შემომტკიცებამ მუსლიმანური სამყაროს შეშფოთება გამოიწვია. ისინი, ეტყობა, განსაკუთრებით დააფიქრა ბაგრატ IV-ის მიერ თბილისში გატარებულმა ღონისძიებებმა, რომელსაც ხაზგასმით აღნიშნავს არაბი ავტორი ალ-ფაკიჰი: „ჯასცა ბრძანება (ბაგრატმა, მ.ლ., ზ.პ.), გაეფართოებინათ გზები მთებში, რომ გაადვილებოდათ ურწმუნოებს (ქართველებს, მ.ლ., ზ.პ.), იქედან გადასვლა ისლამის ქვეყნებში“.[4] ამ ღონისძიებებში სელჩუკთა მმართველ წრეებს სავსებით რეალურად შეეძლოთ დაენახათ საქართველოს მეფის მხრიდან ახალი სამხედრო აქციების განხორციელებისათვის თადარიგის დაჭერა. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ, ამ დროიდან, ამიერკავკასიაში გაბატონების გზაზე სელჩუკების მთავარ მეტოქედ სწორედ საქართველოს სახელმწიფო იქცა. ამან კი გარდაუვალი გახადა საქართველო-სელჩუკების ომი და 1064 წ. სელჩუკთა ძლევამოსილმა სულთანმა ალფ-არსლანმა მოაწყო კიდეც პირველი დიდი ლაშქრობა საქართველოში, რომლის დროსაც მან მხოლოდ სამხრეთ საქართველოს ზოგიერთი

---

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II, გვ. 140; ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო, გვ. 104; ზ. პაპასქირი, შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე, თბ., 1991, გვ. 5.

2 შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, საისტორიო ძიებანი, ტ. I, თბ., 1982, გვ. 211.

3 რ. კიკნაძე, XI-XIII სს. თბილისის ისტორიიდან (აღმოსავლური წყაროების მიხედვით), ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, ნაკვ. I, თბ., 1960, გვ. 114; შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეებს., გვ. 240.

4 რ. კიკნაძე, XI-XIII სს. თბილისის ისტორიიდან.., გვ. 113-114; შ. მესხია, საქალაქო კომუნა., გვ. 240.

ოლქის დარბევა და ახალქალაქის აღება მოახერხა.[1] როგორც ჩანს, სულთანი დააფრთხო ქართველთა წინააღმდეგობამ და მან ამჯერად საქართველოს დაპყრობაზე ხელი აიღო.[2] უფრო მეტიც, ალფ-არსლანი თვითონ გამოვიდა სამშვიდობო ინიციატივით: „მოუვლინა ახალქალაქით მოციქული სულტანმა ბაგრატ მეფესა, აპკიდა მზახობა და სთხოვა დისწული ცოლად“.[3] მართალია, ზოგიერთი აღმოსავლური წყარო დაბეჯითებით მიუთითებს, რომ სულთანმა ქართველთა მეფეს მოსთხოვა ისლამის მიღება ან კიდევ ჯიზიაზე დათანხმება, რომლის გადახდა თითქოსდა იკისრა კიდეც ბაგრატ IV-მ,[4] მაგრამ მოვლენების შემდგომი განვითარება პრაქტიკულად გამორიცხავს საქართველოს მეფის მიერ რაიმე ვალდებულებების შესრულებას სელჩუკთა სულთანის სასარგებლოდ. რაც შეეხება თავისი დისწულის გათხოვებას სულთანზე, ეს უფრო ბაგრატ IV-ის მიერ გადადგმულ მარჯვე დიპლომატიურ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს და არა იძულებით აქტად, როგორც ამას აღნიშნავს XIII ს-ის ავტორი ალ-ბონდარი.[5] „მატიანე ქართლისას“ მონაცემებით ირკვევა, რომ ბაგრატ IV-მ ამ დინასტიური ქორწინების ორგანიზება მოხერხებულად გამოიყენა ტაშირ-ძორაკეტის სომხურ სამეფოზე თავისი გავლენის დასამყარებლად. მან დაიპყრო სამშვილდე, „იურვა სახლად“ და დაიმორჩილა ტაშირ-ძორაკეტის მოსახლეობა („მონებდეს სომეხნი“).[6]

გარდა იმისა, რომ ტაშირ-ძორაკეტის სამეფოზე ხელის დადება თავისთავად მოწმობდა „აფხაზთა“და „ქართველთა“ მეფის პოზიციების განმტკიცებას ამ რეგიონში, ეს აქცია სელჩუკთა სულთანის თვალში საქართველოს სამეფოს სამხედრო ძლიერების ერთგვარ დემონსტრაციადაც უნდა წარმოვიდგინოთ, რომელსაც არ შეიძლებოდა, საგონებელში არ ჩაეგდო სელჩუკთა მმართველი წრეები.[7] იქნებ ამის საპასუხო რეაქციად უნდა მივიჩნიოთ პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა თბილისში 1065 წელს და იქ „თბილისის მემამულე“ ჯაფარიდი ამირას ხელისუფლების

---

1 მატიანე ქართლისა., გვ. 306; ამ ლაშქრობის შესახებ დაწერილებით იხ: ნ. შენგელია, სელჩუკები.. გვ. 219-225.

2 მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს შინაპოლიტიკური.. გვ. 198.

3 მატიანე ქართლისა.. გვ. 306-307.

4 ნ. შენგელია, სადრ ად-დინ ჰუსეინი ალფ-არსლანის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში. ლაშქრობის შესახებ ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან (ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის 80 წლისთავს), თბ.. 1976. გვ. 190.

ზ. პაპასქირი, შუა საუკუნეების საქართველო.. გვ. 13. შდრ. ნ. შენგელია, სელჩუკები, გვ. 226.

მატიანე ქართლისა. გვ. 307-308. კონფლიქტი გამოიწვია იმან, რომ სომეხთა მეფე კვირიკე I, რომლის ძმისწულიც იყო ბაგრატ IV-ის დისწული, წინააღმდეგი იყო ამ ქორწინებისა.

ზ. პაპასქირი, შუა საუკუნეების საქართველო.. გვ. 14.

აღდგენა, რაც ალფ-არსლანის შემწეობით უნდა მომხდარიყო.[1] საფიქრებელია, აგრეთვე, რომ ბაგრატ „აფხაზთა“ მეფის შემდგომი ექსპანსიის აღკვეთას ისახავდა მიზნად აბულ-ასვარის ლაშქრობაც საქართველოში,[2] რომელსაც ბაგრატმა (1067-1068 წწ.) ბარდავზე თავდასხმით უპასუხა.[3] ბარდას, როგორც „მუსლიმთა ერთ-ერთ ქვეყანათაგანს“ ხელს ადებდა სელჩუკთა სულთანი და ის, რასაკვირველია, ვერ მოითმენდა საქართველოს მეფის ამ გამოხდომას, ამიტომ მან „ჯადაწყვიტა, მოეწყო აფხაზთა ქვეყანაზე გალაშქრება“.[4] ეს იყო სელჩუკთა მეორე მოსვლა საქართველოში. ამრიგად, 1064-1068 წწ., სელჩუკთა პირველ და მეორე ლაშქრობებს შორის პერიოდში, ბაგრატ IV სულაც არ „ცდილობდა გარკვეულ კომპრომისებზე“ წასვლას, როგორც ამას ასკვნის ზოგიერთი მკვლევარი.[5] პირიქით, საქართველოს ხელისუფლება, ამ პერიოდში, სელჩუკების მიმართ აშკარა კონფრონტაციას არ ერიდებოდა და თავგამოდებით ზრუნავდა თავისი პოზიციების გამაგრებისათვის ამიერკავკასიაში. ამაზე მეტყველებს თუნდაც ისიც, რომ სწორედ ალფ-არსლანის საქართველოში მეორედ მოსვლის წინ ბაგრატ IV დაკავებული იყო კახეთ-ჰერეთის შემოერთებით.[6] სელჩუკებმა კახეთის მეფე აღსართან გაგიკის ძეს, როგორც იტყვიან, „სულზე მოუსწრეს“ და აიძულეს ბაგრატი, დაეტოვებინა იქაურობა.[7] სელჩუკთა ასეთი ოპერატიული გამოჩენა, შესაძლებელია, კახეთის მეფის ინიციატივითაც მოხდა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ აღსართანი სასწრაფოდ ეახლა სულტანს და თავისი ლოიალობა მაჰმადიანური სარწმუნოების მიღებით დაუდასტურა.[8] ამის შემდეგ ალფ-არსლანი „წარმოემართა აფხაზთა მეფესა ზედა“. აღსანიშნავია, რომ სულთანის ბანაკში აღსართანთან ერთად თბილისის ამირა და ტაშირ-ძორაკეტის მეფე კვირიკეც იმყოფებოდნენ,[9] ე. ი. ის პოლიტიკური ძალები, რომლებსაც მუდამ აშინებდათ ბაგრატ IV-ის აქტიურობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ჰეგემონობის მოსაპოვებლად ბრძოლაში. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ერთადერთ რეალურ ძალას, რომელიც აშკარად უპირისპირ-

---

[1] შ. მესხია. საქალაქო კომუნა..., გვ. 241-242.

[2] რ. კიკნაძე. XI-XII სს. თბილისის ისტორიიდან..., გვ. 115. აღსანიშნავია, რომ აბულ-ასვარს სელჩუკთა სულტანისაგან ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებზე მეთვალყურეობა ჰქონდა დავალებული. ნ. შენგელია, სელჩუკები..., გვ. 237

[3] ნ. შენგელია. სადრ ად-დინ ჰუსეინი..., გვ. 192. მისივე, სელჩუკები..., გვ. 237-238.

[4] ნ. შენგელია. სადრ ად-დინ ჰუსეინი..., გვ. 192.

[5] ნ. შენგელია. სელჩუკები..., გვ. 237.

[6] ზ. პაპასქირი. შუა საუკუნეების საქართველო..., გვ. 15.

[7] მატიანე ქართლისა..., გვ. 308.

[8] იქვე. გვ. 309.

[9] იქვე.

დებოდა თურქ-სელჩუკებს ამიერკავკასიაში, საქართველოს სამეფო წარმოადგენდა და რომ ბიზანტიის შემდეგ სწორედ ერთიანი ქართული სახელმწიფო იყო სელჩუკთა მთავარი მოწინააღმდეგე აღმოსავლეთში.[1]

ბაგრატ IV-მ ვერ შეძლო ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევა მრისხანე მტრისათვის და იძულებული გახდა, ზავი ეთხოვა: „და მოგზავნა მოციქულად ივანე ძე ლიპარიტისი, მეფემან ძიებად მშვიდობისა, ხოლო სულტანმან შეაქცია იგი აფხაზეთად ბაგრატისა, სთხოვა ხარაჯა და უქადა მშვიდობა".[2] მაგრამ, როგორც ჩანს, სამშვიდობო მოლაპარაკება ფაქტობრივად ჩაიშალა, რაც სულთნის საქართველოდან ნაჩქარევი წასვლით იყო გამოწვეული და ბაგრატ IV-მ ამჯერადაც შეძლო თურქთა ხარაჯისაგან თავის დახსნა. მიუხედავად ამისა, სელჩუკთა ამ ლაშქრობას უაღრესად მძიმე შედეგები ჰქონდა საქართველოსათვის. გარდა იმისა, რომ აოხრდა ქართლი, ალფ-არსლანმა თბილისიც მიიტაცა და ამით საკმაოდ მყარად „ჩადგა ფეხი" ამიერკავკასიის შუაგულში. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ თბილისი სულთანმა განძის პატრონს ფადლონს გადასცა, რითაც მან ბაგრატ IV-ს ახალი ძლიერი მეტოქე დაუპირისპირა და ამით კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია ამიერკავკასიაში. ბაგრატ მეფეს კარგად ესმოდა, თუ რას ნიშნავდა სულთნის ეს ნაბიჯი და სასწრაფოდ მიიღო ზომები ფადლონის „ამპარტავნების" ასალაგმავად. მან მოაწყო სამხედრო ექსპედიცია განძის ამირას წინააღმდეგ და გააქცია ის თბილისიდან.[3] გაქცეული ფადლონი კახეთის მეფეს აღსართანს ჩაუვარდა ხელში. კახეთის მეფემ სწორად განსაჯა, რომ ფადლონისათვის თავშესაფრის მიცემა მისთვის არც ისე უხიფათო იყო, „რამეთუ აფხაზთა მეფისაგან ეშინოდა უკანა ჩადგომისა". გარდა ამისა, ის განაწყენებულიც უნდა ყოფილიყო განძის ამირაზე იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი დაეპატრონა კახეთის მეფის კუთვნილ ზოგიერთ ტერიტორიას (ხორნაბუჯისა და არადეთის სანაპირო ოლქებს).[4] ამრიგად, განძის ამირასთან ტრადიციულმა მტრობამ, რომელიც მუდამ აკავშირებდა ერთმანეთთან ქართველ და სომეხ პოლიტიკურ მოღვაწეებს (შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ამ მოვლენებში არსად ჩანს კვირიკე სომეხთა მეფე, რომელიც განძის ამირასთან ამ კონფლიქტში, საფიქრებელია, ბაგრატ IV-ისათვის სასარგებლო ნეიტრალიტეტს იცავდა), ამჯერად შეარიგა ბაგრატ მეფე და აღსართან I. ინტენსიური დიპლომატიური

---

1 ზ. პაპასქირი, შუა საუკუნეების საქართველო., გვ. 16.

2 იქვე. გვ. 309-310.

3 მატიანე ქართლისა.., გვ. 310-311. იხ. აგრეთვე: В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, М., 1963, გვ. 105.

4 მატიანე ქართლისა., გვ. 312.

კონტაქტების შემდეგ ბაგრატ IV-მ და კახეთის მეფემ მიაღწიეს შეთანხმებას და ბაგრატმა „წამოიყვანა ფადლონ“.[1]

ფადლონის შეპყრობამ საქართველოს მეფეს გზა გაუხსნა თბილისისაკენ. მარჯვალია, მან ამჯერად ვერ მოახერხა ქალაქის „თავისად დაჭერა“ და იძულებული გახდა, გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო („დმანისს დატოვებული სითლარაბი ძებნა... და მისცა მას ტფილისი“),[2] მაგრამ ბაგრატმა ძირითადად მაინც დაამყარა კონტროლი ქალაქზე. გარდა ამისა, მან „თავისად აღიხუნა ციხენი რუსთავი, ფარცხისი, აგარანი, გრიგოლწმინდანი, ქავაზინი, და ორმოცდაოთხი ათასი დრაჰკანი და მძევალნი ძმისწული მისი, ძე მანუჩასი, და სამთა თავადთა განძისათა“.[3] როგორც ფიქრობენ, ქვემო ქართლის ეს ციხეები თბილისის იმ „სასაზღვრო რაიონს“შეადგენდნენ, რომლებიც ალფ-არსლანმა ფადლონს გადასცა.[4] ეს უკვე დიდი გამარჯვება იყო. ამით ბაგრატ IV-მ კვლავ ხელში ჩაიგდო ინიციატივა და თანმიმდევრულად შეუდგა თავისი პოზიციების განმტკიცებას აღმოსავლეთ საქართველოში.

საქართველოს მეფის მიერ ფადლონის შეპყრობა და თბილისის დაკავება მძიმე დარტყმა იყო ალფ-არსლანისათვის და ის, ბუნებრივია, უპასუხოდ არ დატოვებდა ამ გამოწვევას, მაგრამ ამჯერად სულთანმა ბაგრატთან მორიგება ამჯობინა. მან „მოგზავნა“ საგანგებო დესპანი „სარანგი ალხაზი, და მისითა შუამდგომლობითა და სიტყვითა სულტანისათა დაეზავა ბაგრატ და განუტევა ფადლონ“.[5] სარანგის დიპლომატიური მისიის წარმატება განაპირობა იმან, რომ „მოართუნეს გაგით კლიტენი, და აღიღო აფხაზთა მეფემან გაგი“.[6] წყაროებში არ არის არავითარი მითითება იმის შესახებ, თუ რამ უბიძგა ალფ-არსლანს, გამოეჩინა ასეთი ლმობიერება. ამ უკანასკნელ ხანს გამოითქვა ვარაუდი, რომ ეს იყო გამოწვეული მახლობელ აღმოსავლეთში იმ დროს შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციით. კერძოდ, ბიზანტიის წინააღმდეგ გენერალური შეტევის (რომელიც 1071 წ. 24 აგვისტოს მანაზკერტის ძლევამოსილი ეპოპეით დასრულდა) მზადების პერიოდში, ალფ-არსლანმა არ ჩათვალა მიზანშეწონილად ძალების გაფანტვა და შეგნებულად არ გაამწვავა ურთიერთობა ბაგრატ IV-სთან. გარდა იმისა, რომ საქართველოს მეფის დასჯა, თავისთავად, მაინცდამაინც იოლი არ იყო, ეს სელჩუკთა სულთნის მხრიდან არც ტაქტიკური მოსაზრებით

---

1 მატიანე ქართლისა, გვ. 312.
2 იქვე.
3 იქვე.
4 ვ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის, გვ. 199.
5 მატიანე ქართლისა, გვ. 312.
6 იქვე, 313.

იქნებოდა გამართლებული.[1] ალფ-არსლანს, როგორც გამჭრიახ პოლიტიკოსს, უთუოდ უნდა გაეთვალისწინებინა სელჩუკთა წინააღმდეგ ქართველთა და ბიზანტიელთა ერთობლივი გამოსვლის შესაძლებლობა, მით უმეტეს, რომ საქართველოსა და ბიზანტიას შორის ურთიერთობა ამ დროს აშკარად კეთილმეზობლური პარტნიორობისა და ურთიერთთანამშრომლობის პრინციპებზე იყო აგებული. ამის გამოხატულება იყო, პირველ რიგში, იმპერატორ კონსტანტინე X დუკას ვაჟის მიხეილის დაქორწინება ბაგრატ IV-ის ასულ მართაზე (მარიამი).[2] საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობაში პრინციპული ცვლილებები არ მომხდარა რომან დიოგენის (1068-1071 წწ.) ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც. ახალი იმპერატორისათვის, ბუნებრივია, ნაკლებად მოსაწონი იქნებოდა დუკების საგვარეულოს დინასტიურ-ნათესაური კავშირი ბაგრატიონთა სამეფო სახლთან, მაგრამ სელჩუკთა წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის ინტერესები, საფიქრებელია, აიძულებდა მას, თავი შეეკავებინა რაიმე ანტიქართული აქციებისაგან და არ გაერთულებინა ურთიერთობა თავის პოტენციურ მოკავშირესთან. სხვა საკითხია, რომ ამას შეეცდებოდა სელჩუკთა სულთანი, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ აწყობდა საქართველო-ბიზანტიის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შექმნა. ბაგრატ IV-სთან შერიგებით ცბიერი სულთანი ალბათ ცდილობდა ბიზანტიასთან მომავალ დიდ ომში საქართველოს მეფის მხრიდან ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფას.[3]

საქართველო-სელჩუკების ურთიერთობის ნორმალიზაციამ ბაგრატ IV-ს მისცა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში უფრო თავისუფალი მოქმედების საშუალება, რისი გამოვლინება იყო დიდი ლაშქრობა განძაში, რომელშიც საქართველოს მეფემ ჩართო თავისი ცოლისძმა — ოვსეთის მეფე დორღოლელი „ორმოცითა ათასითა კაცით ოვსითა".[4] განძის ძლევამოსილმა კამპანიამ ერთიორად აამაღლა საქართველოს სამეფოს ავტორიტეტი მის მეზობლებში. ბაგრატ IV-მ ამ აქციით არა მარტო გადაჭრა ფადლონის პრობლემა, არამედ აშკარა გახადა საქართველოს სახელმწიფოს პრეტენზიები პოლიტიკურ ჰეგემონობაზე საერთო კავკასიური მასშტაბით. ამგვარი მტკიცების საფუძველს გვაძლევს ჩრდილოეთ კავკასიის ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ერთეულის — ოვსეთის

ზ. პაპასქირი, შუა საუკუნეების საქართველო... გვ. 21-22.
ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის... გვ. 275-279; И. М. Нодия, Грузинские материалы о византийской императрице Марфе-Марии, — „ბიზანტოლოგიური ეტიუდები", თბ., 1978, გვ. 146-155.

[3] ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ზ. პაპასქირი, შუა საუკუნეების საქართველო... გვ. 21-24.

[4] მატიანე ქართლისა... გვ. 313.

სამეფოს — ჩართვა საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ინტერესების რეალიზაციის საქმეში.

ამრიგად, 70-იანი წლების დასაწყისისათვის ერთიანი ქართული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა. მიუხედავად იმისა, რომ ალფ-არსლანი ასე ადვილად არ ეხსნებოდა ბაგრატ IV-ს და „არებდა... მოციქულთა, და უკრებდა ძღუენთა ბაგრატ მეფესა, ამოთა ენითა სთხოვდა ხარაჯასა", „არა დაიდვა ბაგრატ მეფემან ხარაჯა, არამედ ავლენდა იგიცა მოციქულთა და უკრებდა იგიცა ძღუენსა. და იყო მათ შორის სიტყვით სიყვარული".[1] როგორც ვხედავთ, საქართველოს მეფემ მოხერხებული სამხედრო და, რაც მთავარია, დიპლომატიური სვლებით შეძლო უვნებლად გამოსვლა მძიმე პოლიტიკური სიტუაციიდან და თავი დააღწია სელჩუკთა დიქტატს. მაგრამ ამგვარი ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა. ბაგრატ IV-ის გარდაცვალებისთანავე საქართველოს სახელმწიფო წააწყდა მნიშვნელოვან საშინაო და საგარეო პოლიტიკურ გართულებებს, რომლებმაც ერთბაშად გააუარესეს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა.

XI ს-ის 70-იანი წლების დამდეგს ბიზანტია-სელჩუკების ფრონტზე განვითარებულმა მოვლენებმა სრულიად ახალი პოლიტიკური კლიმატი შექმნეს ახლო აღმოსავლეთში. 1071 წ. მანასკერტთან განცდილმა კატასტროფამ საბოლოოდ გატეხა წელში ბიზანტიის იმპერია.[2] ამიერიდან კონსტანტინოპოლი უკვე ვერ აჩერებდა სელჩუკთა შემდგომ წინსვლას დასავლეთის მიმართულებით და მათაც სულ მოკლე ხანში ხმელთაშუა და მარმარილოს ზღვების სანაპიროებსაც მიაღწიეს.[3] ამავე პერიოდში დასრულდა სომხეთის დაპყრობაც და სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან საქართველოს უშუალოდ სელჩუკთა სულთანატი გაუმეზობლდა. 1072 წელს გარდაიცვალა მეფე ბაგრატ IV. პარალელურად სელჩუკებმა შარვან-დარუბანდზე კონტროლის დამყარებით განიმტკიცეს პოზიციები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაშიც.[4] ასეთ მძიმე საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში გიორგი II-ის წინააღმდეგ მთელი ძალით ამოქმედდა ფეოდალური ოპოზიცია და, პირველ რიგში, ბაღვაშთა სახლი. სწორედ ივანე ლიპარიტის ძის მეცადინეობით დაკარგა გიორგი მეფემ გაგის ციხე, რომელიც კლდეკარის ერისთავმა „მიჰყიდა ფადლონს, განძის პატრონსა".[5] საქართველოში მიმდინარე პროცესებს ფხიზლად ადევნებდა თვალს სელჩუკთა ახალი სულტანი მალიქ-შაჰი, რომელიც,

---

1 მატიანე ქართლისა, გვ. 314.
2 ნ. შენგელია, სელჩუკები., გვ. 266.
3 იქვე. გვ. 266.
4 იქვე. გვ. 302; პ. თოფურია, აღმოსავლეთ., გვ. 132.
5 მატიანე ქართლისა., გვ. 316.

ეტყობა, მხოლოდ შესაფერის მომენტსღა ელოდა საქართველოს მეფის წინააღმდეგ ბრძოლის გასაახლებლად. ასეთ მომენტად კი მალიქ-შაჰმა გიორგი II-სა და ივანე ლიპარიტის ძეს შორის ამტყდარი კონფლიქტი ჩათვალა. სელჩუკთა სულთანი ჩაერია ამ კონფლიქტში და სამშვილდე დაიკავა.[1] ამის შემდეგ მალიქ-შაჰმა განძა წაართვა ფადლონს და უშუალოდ თავის ხელქვეითს — სარანგს ჩააბარა.[2] სარანგის დანიშვნა განძაში, როგორც ჩანს, საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის გაძლიერების საშიროებითაც იყო გამოწვეული. მას, ეტყობა, სულთანისაგან საგანგებოდ ჰქონდა დავალებული საქართველოს დალაშქრა.[3] და მართლაც, „შემდგომად მცირედის ხანისა შეკრბა სარანგი ყოვლითა ლაშქრითა მისითა და განძისათა... და მომართა გიორგი მეფესა. „აფხაზთა და ქართველთა" მეფემ აღსართან კახთა მეფე მოიშველია და სასტიკად დაამარცხა სელჩუკთა სარდალი „ფარცხისის ქუემოთ".[4] 1074 წელს[5] ფარცხისთან ქართველთა მიერ მოპოვებულ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სამეფოს უშიშროების განმტკიცებისათვის. ამით გარკვეული დროით შეჩერებული იქნა სელჩუკთა ექსპანსია განძაარანის მხრიდან და გიორგი II-მ სხვა საგარეო პოლიტიკურ პრობლემების მოსაგვარებლად მოიცალა. ამ პერიოდში მოხდა ანაკოფიის განთავისუფლება და კლარჯეთის, შავშეთის, ჯავახეთისა და არტაანის მრავალი ციხის დაბრუნება, აგრეთვე კარის, ვანანდისა და კარნიფორ. სიმაგრეთა აღება.[6]

ქართულ წყაროებში სხვადასხვანაირადაა გაშუქებული ეს მოვლენები. „მატიანე ქართლისაგან" განსხვავებით, რომლის მონაცემები ზემოთ მოვიყვანეთ, დავითის ისტორიკოსი არაფერს ამბობს გიორგი II-ის მიერ ანაკოფიისა და სამხრეთ საქართველოს ციხეთა დაბრუნების შესახებ და მხოლოდ კარის ციხისა და მიმდგომი ქვეყნის დაუფლების ფაქტს აფიქსირებს, თანაც ამ აქტს განიხილავს, როგორც გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ საქართველოს მეფისადმი მორთმეულ საჩუქარს: „წარვიდა მეფე გიორგი მამულსა თავისსა ტაოს, და მოვიდა ბანას. ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზორვარი აღმოსავლეთისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი, და კარნუჭალაჭი, და კარი.., და მოსცა

---

1 მატიანე ქართლისა, გვ. 316.
2 იქვე, გვ. 317.
6. შენგელია, სელჩუკები... გვ. 305.
მატიანე ქართლისა... გვ. 317.
3. ლორთქიფანიძე, საქართველოს შინაპოლიტიკური... გვ. 202; მისივე: Из истории византийско-грузинских взаимоотношений (70-ые годы XI в.) – "Византийский временник" т. 40, М., 1979, გვ. 34.
მატიანე ქართლისა... გვ. 314.

გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა".[1] მიუხედავად მოცემულ წყაროებში არსებული შინაარსობრივი განსხვავებისა, ვფიქრობთ, აქ მაინცა და მაინც რაიმე დაუძლეველ წინააღმდეგობასთან არ უნდა გვქონდეს საქმე და ორივე წყაროში გადმოცემული მასალა თავისებურად სწორად უნდა ასახავდეს რეალურ ვითარებას:[2] ე. ი., ერთი მხრივ, სავსებით სწორი უნდა იყოს „მატიანე ქართლისას" ავტორი, როდესაც აღნიშნავს გიორგი II-ის მიერ სამხრეთის ტერიტორიების იარაღით დაპყრობას, მეორე მხრივ კი, არც დავითის ისტორიკოსი უნდა ტყუოდეს, როცა ლაპარაკობს იმავე მიწების საქართველოს მეფისათვის გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ გადაცემაზე. ჩვენი აზრით, დავითის ისტორიკოსის ინფორმაცია სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ გიორგი II-ს უომრად ერგო ბერძენთა მიერ „ნაბოძები" მიწა-წყალი. ბიზანტიას ეს ტერიტორიები 1074 წლის შემდეგ ფაქტობრივად დაკარგული ჰქონდა, მას მხოლოდ გარეგნული იურიდიული უფლებები შერჩენოდა. იმპერია, სინამდვილეში, საქართველოს მეფისადმი მხოლოდ ამ უფლებების (მხოლოდ დროებით) დელეგირებას ახდენდა და მას „ნაბოძები" ტერიტორიის ბრძოლით გამოხსნის უფლებასღა აძლევდა.[3] როგორც ცნობილია, „ბოძების" ამგვარი ფორმა ტრადიციული იყო კონსტანტინოპოლის დიპლომატიისათვის, რის ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს, თავის დროზე, დავით კურაპალატისათვის ე. წ. „ზემო ქვეყნების" „ბოძების" ფაქტი.[4] შესაძლებელია, ეს იყო ერთგვარი ხერხი აღნიშნულ ტერიტორიებზე ბიზანტიის უფლებების შენარჩუნებისა, ვინაიდან იმპერიის ხელისუფლების თვალში საქართველოს მეფე ჯერ კიდევ რჩებოდა იმპერატორის ვასალად.[5] თუმცა ყოველივე ეს არ უნდა გამორიცხავდეს იმასაც, რომ ბერძენთა მიერ საქართველოს მეფისათვის კარისა და ვანანდის ტერიტორიების გადაცემა წარმოადგენდა იმ პირველ რეალურ ნაყოფს ბიზანტია-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ღაახლოებისა და ურთიერთთანამშრომლობისა, რომელიც თურქსელჩუკთა მოზღაპული აგრესიის პირობებში მიზნად ისახავდა ორი შეზობელი ქვეყნის ძალების გაერთიანებას საერთო მტრის წინააღმდეგ.[6]

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ აღნიშნული მოვლენები ხდება იმ დროს, როდესაც კეისრის ტახტზე ზის სა-

---

[1] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი. — „ქართლის ცხოვრება". ტ. I, თბ., 1955, გვ. 318.

[2] М. Д. Лордкипанидзе, Из истории..., გვ. 91.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] იქვე.

[6] ზ. ჯაფარიძე, შუა საუკუნეების საქართველო, გვ. 36.

ქართველოს მეფის სიძე მიხეილ VII დუკა, რომლის მეუღლე მარიამ დედოფალი,[1] შესაძლებელია, სათავეში ედგა ერთგვარ „ქართულ პარტიას“ ბიზანტიის საიმპერატორო კარზე.[2] ამ „პარტიის“ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი უნდა ყოფილიყო გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომლის ნამდვილი აღზევება, როგორც ჩანს, მიხეილ დუკას მეფობის პერიოდში დაიწყო. სწორედ მაშინ (1072 წ.) უნდა დაეკავებინა მას „იბერიის“ თემის მმართველის თანამდებობა.[3] „ქართული პარტიის“ და კერძოდ, მარიამ დედოფლის აქტიური მეცადინეობით უნდა მომხდარიყო აგრეთვე საქართველოს მეფისათვის უმაღლესი საკარისკაცო ტიტულის — კესაროსის მინიჭებაც. ერთი სიტყვით, XI ს-ის 70-80-იანი წლები უნდა მივიჩნიოთ კონსტანტინოპოლში ქართული დიპლომატიის განსაკუთრებული წარმატებების პერიოდად, რაც, პირველ რიგში, გაპირობებული იყო იმით, რომ სამეფო ტახტზე იჯდა მარიამ დედოფალი, ჯერ როგორც მიხეილ VII დუკას (1071-1078 წწ.) თანამეცხედრე, შემდეგ კი იმპერატორ ნიკიფორე ბოტანიატის (1078-1081 წწ.) მეუღლე. როგორც ცნობილია, მომდევნო იმპერატორი — ალექსი კომნენიც მარიამ დედოფლისა და გრიგოლ ბაკურიანის ძის აქტიური მხარდაჭერის შედეგად დაეუფლა ტახტს. მიუხედავად იმისა, რომ მარიამ დედოფალი 1081 წლის შემდეგ სამეფო ტახტზე არ მჯდარა, ის და „ქართული პარტია“, როგორც ჩანს, მაინც თამაშობდნენ გარკვეულ როლს იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ მას მერე, რაც გრიგოლ ბაკურიანი პაჭანიკებთან შეტაკებაში (1086 წ.) დაიღუპა, მარიამის და „ქართული პარტიის“ გავლენაც, ეტყობა, ერთგვარად შეირყა. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ სწორედ ამ პერიოდში (კ. კეკელიძის აზრით, 1088 წ)[4] მარიამ დედოფალი მონაზვნად აღკვეცილა.[5] მოგვიანებით საბოლოოდ ჩამტყდარა ხიდი მარიამსა და ალექსი კომნენოსს შორის. 1094 წ. ეჭდე-

---

1 აღსანიშნავია, რომ ბაგრატ IV-ის ასული — მარიამ დედოფალი, ბიზანტიური წყაროების — მარიამ „ალანელი“ — იყო ერთადერთი უცხოელი პრინცესა ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე XI ს-ში. იხ: З. В. Удальцова, Дипломатия, — "Культура Византии", Вторая половина VII-XII вв., М., 1989, გვ. 252.

2 ზ. პაპასყირი, შუა საუკუნეების საქართველო, გვ. 36. სპეციალურ ლიტერატურაში სწორადაა შენიშნული, რომ უცხოელი პრინცესების გამოჩენას ტახტზე თან სდევდა მათ თანამემამულეთა გავლენის ზრდა საიმპერატორო კარზე. იხ: З. В. Удальцова, Дипломатия..., გვ. 252-253

3 В. А. Арутюнова-Фиданян, К вопросу о термине "Восток" в конце X-XI вв (По данным о высших военных должностях византийской империи), "Византийские очерки" Труды советских ученых к XVI международному конгрессу византинистов, М., 1982, გვ. 136.

კ. კეკელიძე, ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1957, გვ. 205; И. М. Нодия, Грузинские материалы..., გვ. 153.

იოანე ზონარა, ისტორიის..., გვ. 157; И. М. Нодия, Грузинские материалы..., გვ. 153.

დოფალს მონაწილეობა მიუღია იმპერატორის წინააღმდეგ ნიკიფორე დიოგენის მიერ მოწყობილ შეთქმულებაში, რომელიც მარცხით დამთავრდა. ვარაუდობენ, რომ დასჯილთა შორის იყო მარიამ დედოფალიც, რომელიც პინკრიპოს კუნძულზე უნდა გადაესახლებინათ, ხოლო მისმა ძმამ – კონსტანტინე დუკამ საბოლოოდ დაკარგა საიმპერატორო ტახტის მიღების იმედი[1] (როგორც ცნობილია, კონსტანტინე უფლისწული, თავის დროზე, მარიამსა და ალექსი კომნენოსს შორის მიღწეული პოლიტიკური გარიგების საფუძველზე დაინიშნა ალექსის ასულ ანაზე და გამოცხადდა იმპერატორის თანამმართველად). ეს უკვე „ქართული პარტიის“ კრახს წარმოადგენდა და, შესაძლებელია, ამან რამდენადმე გააუარესა საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა. ამ თვალსაზრისით, უაღრესად ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ დავით აღმაშენებელმა სწორედ XI ს-ის 90-იან წლებში თქვა უარი ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულზე. არაა გამორიცხული, რომ მამიდამისისა და „ქართული პარტიის“ მიმართ გატარებული რეპრესიები დავით IV-ს გამოეყენებინა ფორმალურ საბაბად ბიზანტიის იმპერატორის იურიდიული უზენაესობიდან თავის დაღწევისათვის.[2] საფიქრებელია, საქართველოს სამეფო კარისათვის არ იქნებოდა მეორეხარისხოვანი, თუ ვინ დაიკავებდა იმპერატორის ტახტს ალექსი კომნენოსის შემდეგ. კონსტანტინე დუკა დავით მეფის სახლიკაცი (მამიდაშვილი) იყო და მისი გამეფება კონსტანტინოპოლში უდავოდ შლიდა ახალ პერსპექტივებს ორი მეზობელი ქვეყნის ურთიერთკავშირისა და თანამშრომლობის საქმეში. ამდენად, საქართველოს ხელისუფლება უსათუოდ იქნებოდა დაინტერესებული კონსტანტინე უფლისწულის პოზიციების გამაგრებით. მართალია, ჩვენ არ გაგვაჩნია რაიმე პირდაპირი ცნობა, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ „ქართულ პარტიას“ კონსტანტინოპოლში საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან სათანადო მხარდაჭერა, და არა მარტო მორალური და დიპლომატიური, ჰქონოდა.[3]

ამრიგად, XI ს-ის 70-80-იანი წლების I ნახევარში მაინც, ყველა პირობა გვაქვს, ვივარაუდოთ საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობაში თანამშრომლობის ტენდენციების არსებობა. ამდენად, არაა გამორიცხული, რომ გიორგი II-ის მიერ ზოგიერთი ტერიტორიის შემომტკიცება ბიზანტიის ხელისუფლებასთან წინასწარი სათანადო დიპლომატიური

---

[1] И. М. Нодия, Грузинские материалы..., გვ. 153-155

[2] ზ. პაპასქირი, შუა საუუნეების საქართველო, გვ. 40-41.

[3] იქვე. გვ. 41.

კონტაქტების შედეგად მიღწეული შეთანხმების საფუძველზეც მომხდარიყო.[1]

სამხრეთის ტერიტორიების შემოერთება უკანასკნელი წარმატება იყო გიორგი II-ის საგარეო პოლიტიკურ საქმიანობაში. XI ს-ის 70-იანი წლების მიწურულისათვის სელჩუკებმა მკვეთრად გაახშირეს თავდასხმები საქართველოზე, ხოლო 1080 წლიდან ქვეყანაში „დიდი თურქობა" დამყარდა.[2] საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო აქტიური თავდაცვის ორგანიზება და კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარებას შეუდგა, გიორგი II-მ, როცა ნახა, „არა სადათ იყო ღონე ხსნისა და შეწევნისა.., რამეთუ ძალი ბერძენთა შემცირებულ იყო...", გადაწყვიტა, ხლებოდა სულთანს ისპაჰანში და ეცნო მისი უზენაესობა.[3] ისტორიოგრაფიაში სავსებით მართებულად არის შენიშნული, რომ საქართველოში „დიდი თურქობის" დამყარებისათვის „ყოველგვარი საგარეო პირობები არსებობდა". მხედველობაშია მიღებული ამ პერიოდისათვის სელჩუკთა სრული გაბატონება ანატოლიაში, ბიზანტიისა და სომხეთის ტერიტორიებზე თურქული პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნა და სხვა.[4] ასეთ ვითარებაში, საქართველოს სახელმწიფო პრაქტიკულად იზოლირებული აღმოჩნდა ქრისტიანული სამყაროსაგან და მარტოდმარტო მოუხდა ბრძოლა სელჩუკთა შემოსევების წინააღმდეგ.[5] მიუხედავად ამისა, ქართული დიპლომატია ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ გამოენახა საერთო ენა ზოგიერთ მეზობელ მმართველთან. ამის ერთგვარ დადასტურებად შეიძლება ჩავთვალოთ სომეხი ისტორიკოსის ვარდანის მიერ დაფიქსირებული ფაქტი, რომ გიორგი II მალიქ-შაჰთან მარტო კი არ წასულა, არამედ მასთან ერთად იქ ჩასულან ტაშირ-ძორაკეტის მეფე კვირიკე და სომეხთა კათალიკოსი ბარსელი.[6] მართალია, ამ და მეორე სომეხი ავტორის — მხითარ აირივანეცის ანალოგიურ ცნობაში[7] არაფერია ნათქვამი ქართველ და სომეხ მოღვაწეთა შეთანხმებულ მოქმედებაზე, მაგრამ მათი მაინცდამაინც ერთდროული ჩასვლა ისპაჰანში შემთხვევითი არ უნდა იყოს.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, ამ ბოლო დროს, გიორგი II-ის ვიზიტი ისპაჰანში მიჩნეულია სამეფო კარის ერთადერთ სწორ

---

1 ზ. პაპასქირი, შუა საუკუნეების საქართველო... გვ. 40-41.
2 ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი... გვ. 319-320.
3 იქვე. გვ. 321.
4 ნ. შენგელია, სელჩუკები... გვ. 310.
5 იქვე. გვ. 311.
6 Всеобщая история Вардана Великого.., გვ. 132.
7 მხითარ აირივანეცი, ქრონოგრაფიული ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა. თბ., 1990, გვ. 77.

გადაწყვეტილებად შექმნილ უმძიმეს სიტუაციაში.[1] მართლაც, მოლაპარაკება მალიქ-შაჰთან, ერთი შეხედვით, საკმაოდ წარმატებით დასრულდა. საქართველოს მეფემ სულთნისაგან არათუ მიიღო სელჩუკთა თარეშის შეწყვეტის გარანტია, არამედ მას (თუმცა მალიქ-შაჰის დროშის ქვეშ) საქართველოსა და ამიერკავკასიაში თავისი პოზიციების განმტკიცების (კახეთ-ჰერეთის შემოერთების შედეგად) შანსიც კი მიეცა. მაგრამ, როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, ყოველივე ეს „ქაღალდზე დარჩა" და რეალურად საქართველოს აღნიშნულმა ვიზიტმა ვერაფერი სარგებლობა მოუტანა – გიორგი II-მ ვერც კახეთ-ჰერეთის შემოერთების საკითხი გადაწყვიტა დადებითად და ვერც „ზედამარბეველთა" თარეში აღკვეთა. მალიქ-შაჰმა კი „აფხაზთა და ქართველთა" სამეფოს კახეთ-ჰერეთიც მიაყოლა (აღსართან კახთა მეფე ეახლა სულთანს, „დაუტევა ქრისტიანობა და შეეძინა სარკინოზთა სჯულსა, და ამით ღონითა აიღო სულტნისაგან კახეთი")[2] და ამით მთელ საქართველოსა და ამიერკავკასიაზე თავისი სრული პოლიტიკური დიქტატი დაამყარა. მთელი ამ რეგიონის საერთო მმართველობა თავის ბიძაშვილს ყოთბ ედ-დინ ისმაილს ჩააბარა.[3] ყოველივე ამან, როგორც ჩანს, მწვავე შინაპოლიტიკური კრიზისი გამოიწვია საქართველოში, რაც სახელმწიფო გადატრიალებით დასრულდა. ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა გიორგი მეფე იძულებული გახდა, პოლიტიკური ასპარეზიდან წასულიყო და ტახტი თავისი თექვსმეტი წლის ვაჟისათვის დაეთმო.

ამრიგად, XI ს-ის 80-იან წლებში საქართველოს სახელმწიფომ სერიოზული საგარეო პოლიტიკური მარცხი იწვნია. ის ვერ გაუმკლავდა თურქ-სელჩუკთა აგრესიას და სულთნისადმი დაქვემდებარებულ ქვეყნად იქცა. ამ დროიდან ქართული დიპლომატიის უმთავრეს ამოცანას თურქ-სელჩუკთა ბატონობის უღლიდან გამოსვლისათვის ზრუნვა წარმოადგენდა, რაც განხორციელდა კიდეც XII ს-ის I მეოთხედში.

---

1 რ. მეტრეველი, გიორგი მეორის მოღვაწეობის შეფასების საკითხი, ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1972; მისივე, დავით IV აღმაშენებელი, ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის მიმოხილვა, თბ., 1990. გვ. 62.

2 ცხოვრება „მეფეთ-მეფე დავითისი", გვ. 322.

3 ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო, გვ. 317.

IX თავი. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის I მეოთხედში

დავით აღმაშენებლის დიპლომატია

დავით აღმაშენებლის პოლიტიკაში უდიდესი ადგილი ეკავა დიპლომატიას. იგი თავად უშუალოდ ახორციელებდა დიპლომატიურ მისიებს სხვადასხვა სახელმწიფოს მეთაურებთან. ატარებდა აქტიურ დიპლომატიურ პოლიტიკას. დავით აღმაშენებლის მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკური ღონისძიებები ფაქტობრივად ახალი დიპლომატიის დამკვიდრებას მოასწავებდა.

დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა სამხედრო საქმიანობით, ომებითაა აღსავსე. ის დიდი გამარჯვებები, რომელსაც ქართული ლაშქარი აღწევდა დავით აღმაშენებლის მეთაურობით, რამდენადმე აფერმკრთალებდა დიპლომატიის როლს. ომში ხმალი წყვეტდა საქმეს, დიპლომატიის მიღწევები კი მორალურ, ფსიქოლოგიურ და პოლიტიკურ ზემოქმედებას ახდენდა პარტნიორებსა და მოწინააღმდეგეებზე.

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობები XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის პირველ მეოთხედში მეტად ფართო იყო. იგი ეფუძნებოდა სხვა ქვეყნებთან პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური დაახლოებისკენ სწრაფვას.

ა) საქართველო და ჩრდილოეთის მეზობლები

დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკურ თვალსაწიერში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჩრდილოეთის ქვეყნებსა და ხალხებს, ამიტომ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მათთან ურთიერთობა ინტენსიურად წარიმართა. ჩრდილო კავკასიის ხალხებში დავით აღმაშენებელი ხედავდა მნიშვნელოვან ძალას, რომელსაც თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლასა და ამიერკავკასიის ხალხთა კონსოლიდაციის საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლო.

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის სათავე უხსოვარ დროშია ჩაკარგული. ამ ორი ძველი ხალხის ნაცნობობა სულ ცოტა ათ საუკუნეს მაინც მოითვლის, X-XI სს-ში რუსეთი აღმოსავლეთი ევროპის მსხვილ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ IX საუკუნის შუა ხანებიდან კიევის რუსეთი აღმოსავლეთი ევროპისა და მახ-

ლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ მოვლენათა ორბიტაში მოექცა. ბიზანტიის იმპერია ყოველმხრივ ცდილობდა, წინააღმდეგობა გაეწია ახალი, წინმიმავალი სახელმწიფოს გაძლიერებისათვის, თანაც მის თვალსაწიერში (განსაკუთრებით არაბებისაგან შევიწროების შემდეგ) განსაკუთრებული ფასი დაედო შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე მიწებს.

აღმოსავლური წყაროები (ალ-ფაკიხი, ალ-ისთახრი, იბნ ჰაუკალი და სხვ.) თვალსაჩინოდ მიუთითებენ, რომ რუსეთის სახელმწიფო თავის მხრივ ისწრაფვოდა დიდი სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობის სამდინარო თუ საზღვაო გზების ხელში ჩასაგდებად.

რაც შეეხება საქართველოს ფეოდალურ მონარქიას, როგორც ცნობილია, XI საუკუნიდან აღმავლობის გზაზე იყო და საპირო შემთხვევაში გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ ქვეყნებთან. ამ ურთიერთობას უმეტესწილად დიპლომატიური ინტერესები განსაზღვრავდა და კიევის რუსეთთან ურთიერთობასაც ამგვარი მიზანი უნდა ჰქონოდა.

ქართული ნარატიული წყაროების უძველესი ცნობები რუს-ვარანგებისა და ქართველების კონტაქტის შესახებ XI საუკუნეს განეკუთვნება (სუმბატ დავითის ძის თხზულება „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“ და უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისაჲ“). საგულისხმოა, რომ რუს-ქართველთა შეხვედრის ერთ ფაქტს აღწერს სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ტარონაცი (ასოლიკი). ზემოხსენებული ცნობები IX საუკუნისაა, მაგრამ, სავარაუდოა, ქართველთათვის ცნება „რუსი“, ისე როგორც რუსი ხალხი, ადრეც არ ყოფილა უცნობი; სუმბატ დავითის ძე „რუსს“ ყოველგვარი კომენტარის გარეშე იხსენიებს, რაც ადასტურებს, რომ ეს ცნება XI საუკუნემდეც არ იყო უცხო ქართველთათვის (რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხები უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ გამოჩენილ მეცნიერებს: ვ. ტატიშჩევს, ჰ. ბუტკოვს, მ. ბროსეს, ვ. ვასილევსკის, ნ. ბერძენიშვილს, შ. მესხიას, ი. ცინცაძეს და სხვ.). „რუსის“ ბადალი ტერმინებია ქართულ მატიანეებსა და საბუთებში მოხსენიებული „ვარანგი“ (ვარიაგი) და „სკვითი“. ქართული წყაროები იცნობენ ტერმინ „სკლავსაც“ (სლავი). ეს ტერმინი ზოგ შემთხვევაში „ბორლალთან“ (ბულგარელი) არის გაიგივებული.

ქართველთა და ვარანგთა ურთიერთობის შესახებ მეტად საინტერესო ცნობაა დაცული „მატიანე ქართლისაში“. თხზულებაში, იქ, სადაც ლაპარაკია საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხესა და კლდეკარის ერისთავ ლიპარიტ ბაღვაშს შორის ურთიერთობის გამწვავებაზე, აღნიშნულია, რომ მათ ბრძოლაში მონაწილეობდნენ სამი ათასი „ვარანგნი“ (ვარიაგები). ისტორიკოსებში არ არის აზრთა ერთიანობა იმის შესახებ, თუ ვის მხარეს იბრძოდნენ ვარანგნი. ერთნი (ნ. მარი, ნ. ბერძენიშვილი და სხვ.) მიიჩნევენ, რომ ისინი იყვნენ ლიპარიტის მხარეს, მეორენი

(მ. ჯანაშვილი, დ. ბაქრაძე, ვ. ვასილევსკი, ი. ცინცაძე და სხვ.) თვლიან, რომ ვარანგნი ბაგრატ მეოთხესთან იყვნენ.[1]

ჩვენთვის ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, თუ ვის მხარაზე იბრძოდენ ვარანგნი. ჩვენი დაკვირვებით, ვარანგნი სწორედ საქართველოს მეფეს უმაგრებდნენ მხარს.[2] ასე ესმოდა ეს ფაქტი ვახუშტი ბაგრატიონსაც, რომელიც აღნიშნავდა. „ხოლო ბაგრატს მოერთნენ სამი ათასი ვარანგნი; მოიყვანა მეფემან შვიდასი მათგანი და შიდა ქართველნი..," და ა. შ. ნიშანდობლივია, რომ ვარანგები შავი ზღვითა და მდინარე რიონით მოვიდნენ ბაშამდე (როგორც ჩანს, ბაში მნიშვნელოვანი პუნქტი იყო რიონის სანაოსნო მაგისტრალზე), რომელიც მეფესა და. მის ადმინისტრაციას ემორჩილებოდა (ბაგრატ მეოთხის სატახტო რეზიდენციაც დასავლეთ საქართველოში — ქუთაისში იყო).

ამგვარად, „მატიანე ქართლისა" ნათელს ყოფს, რომ უკვე XI საუკუნის შუა წლებში ქართველებსა და ვარანგებს არა მხოლოდ შორეული ნაცნობობა. არამედ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ.

„რუსი" ბერძნულიდან ქართულ ენაზე გადმოღებულ არაერთ ნაწარმოებში გვხვდება: „ცხოვრება ანდრია სალოსისა" (თარგმნილია 1040 წლამდე) გვამცნობს: „მე ვიტყოდი, რომ ნათესავნი მწითურთა მოვალს, რომელსა ჰქვიან რუსნი"; გიორგი მთაწმინდელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილ თხზულებაში „ღვთისმშობლის მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინეპოლისა, სპარსთა და სკვითთა ზედამოსვლისაგან" (მოთხრობილია 62 წელს სკვითებისა და ავარების მიერ კონსტანტინეპოლის გარემოცვის ამბავი), აღნიშნულია, რომ ჰერაკლე კეისარი იყო შემუსვრილი „მრავალგზის სპარსთა მიერ და სკვითთა, ესე იგი არს რუსთა". აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „სკვითის" განმარტებას („ესე იგი არს რუსთა").

XII საუკუნის დასაწყისიდან, დავით აღმაშენებლის მეფობის დროს, რუსებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაიზარდა. გვინდა ყურადღება მივაქციოთ XVII საუკუნის ერთ ცნობას, რომელიც დაცულია ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოსის შვილის პაველ ალეპოელის (მას ეკუთვნის „საქართველოს აღწერილობა", რომელიც სათანადო კომენტარებითა და გამოკვლევებით გამოსცა ნ. ასათიანმა) თხზულებაში. რუსეთის (სადაც ხანგრძლივი დროის მანძილზე იმყოფე-

---

[1] ამ უკანასკნელი მოსაზრების საინტერესო დასაბუთება აქვს ზ. პაპასქირს წერილში, რომელიც „ისტორია სსრ-ის" 1981 წ. №3-ში გამოაქვეყნა. იხ. აგრეთვე მისი "У истоков грузино-русских политических взаимоотношений", Тб., 1982, გვ. 44-46.

[2] იხ. რ. მეტრეველი, „და მოვიდეს ვარანგნი", „ლიტერატურული საქართველო", 1981 წლის 9 ოქტომბერი.

ბოდნენ მაჭარიოსი და პავლე) სამეფო ადმინისტრაციის დავალებით პავლე ალეპოელს შეუსრულებია „საქართველოს აღწერილობა“ და საიდუმლო საგანგიოსათვის მიუწოდებია. „აღწერილობაში“ არა მხოლოდ XVII საუკუნის საქართველოზეა ლაპარაკი, არამედ მისი წარსულიცაა მოცემული; კერძოდ, როცა გელათის საეპისკოპოსოზეა საუბარი:

"... Монастырь чудный и красный... Такого монастыря и такой церкви не есть ни одно подобно им... Создал Давид царь грузинский, яко же пишут ветхие книги, ею обитель. Егда нечестивый хотеша пленити Грузию и тогда царь Давид приде в Русию и поклонился и вопросы помощи и давали ему великую силу и пошел изгна нечестивых от места своего и освободи от них"

ვფიქრობ, მართებულია მოსაზრება, რომ ამ ცნობაში შეიძლება იგულისხმებოდეს დავით აღმაშენებელსა და ვლადიმერ მონომახს (1113-1125 წწ.) შორის პოლიტიკური ურთიერთობის გარკვეული აღნუსხვა და დაკავშირებული იყოს საქართველოში ყივჩაყთა გადმოსახლებასთან. წყაროს მიხედვით, დავით აღმაშენებელი რუსეთში ჩასულა დახმარების სათხოვნელად. პავლე ალეპოელის ეს ცნობა სხვა წყაროებით არ დასტურდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ემყარებოდა რაიმე გადმოცემას ან ჩვენამდე მოუღწეველ რომელიმე წერილობით წყაროს. არ არის გამორიცხული, რომ ყივჩაყეთიდან დავით მეფის „სარწმუნო კაცებს“ მეფის დავალებით გზა რუსული სამთავროსაკენ გაეგრძელებინათ. „ყივჩაყთა მიწა“ ხომ უშუალოდ ემიჯნებოდა რუსულ სამთავროთა საზღვრებს. დავითის „სარწმუნო კაცთა“ მისვლა კიევის მთავართან, ყივჩაყთა საქართველოში გადმოსახლების შესახებ ცნობის მიწოდების მიზნით, ალბათ აუცილებელიც იყო.

პავლე ალეპოელის ცნობა ავტორის დროის გარსშია გახვეული. კერძოდ, ისეა დახატული ვითარება, როგორც XVII საუკუნის საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი, როცა საქართველოს მეფეები რუსეთის სამეფო კარისაგან მართლაც ითხოვდნენ დახმარებას. პავლე ალეპოელის ცნობით, დავით აღმაშენებლისათვის დიდი დახმარება აღმოუჩენიათ რუსეთში, დამხმარე ძალა მიუციათ, რომელთა საშუალებითაც მტერი უნდა გაედევნათ. ამ ძალაში ყივჩაყები უნდა იგულისხმებოდეს. შ. მესხიამ იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ რუსი მემატიანეები ვლადიმერ მონომახს მიაწერენ ყივჩაყების განდევნას „რკინის კარებს“ იქით, საქართველოში, და არა საქართველოს მეფეს, რომელმაც ეს ღონისძიება უშუალოდ გაატარა. რუსი მემატიანის კატეგორიულ ცნობაში ჩვენ უნდა დავინახოთ ის ფაქტი, რომ კიევის დიდმა მთავარმა მართლაც მიიღო მონაწილეობა ყივჩაყთა გადმოსახლებაში. ეს „მონაწილეობა“ თავის მხრივ დავით აღმაშენებელსა და ვლადიმერ მონომახს შორის მოლა-

პარაკებას უნდა გულისხმობდეს.[1] ნიშანდობლივია, რომ რუსეთში სცნოდნიათ დავით აღმაშენებლის მიერ „უწმინდურთა განდევნის შესახებ“ ("изгна нечистивых от места своего и освободи от них"). დავით აღმაშენებლის გამარჯვებებმა და წინსვლამ, ბუნებრივია, კიდევ უფრო განამტკიცა კავშირი რუსეთთან (გაძლიერებულ საქართველოსთან კავშირი, რა თქმა უნდა, ძველი რუსეთის ინტერესებშიც იყო).

ამ რამდენიმე წლის წინ ირანის ხელნაწერთა ფონდებში პროფ. მ. თოდუამ მიაკვლია და შემდეგ (1979 წ.) კიდეც გამოაქვეყნა (თარგმანითურთ და სათანადო მეცნიერული კომენტარით) XII-XIII საუკუნეების ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა მიმოწერა მახლობელი აღმოსავლეთის სულთნებთან.[2] ამ მიმოწერაში, სხვათა შორის საყურადღებოა ქართველ მეფეთა ტიტულატურები, რომლითაც მათ მუსლიმანი მფლობელები მოიხსენიებენ. აი ზოგიერთი მათგანი: „აბხაზის პატრონად“ სახელდებულ მეფე დავითისადმი გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ ქრისტეს მოწაფეთა გვირგვინისა; ტახტთა და გვირგვინთა მემკვიდრეობით მპყრობელისა; აღმოსავლეთისა და დასავლეთის სტეფანოსისა, ქრისტეს სარწმუნოების მცველისა; აბხაზის, შაქის, ალანისა და რუსის მეფეთა-მეფისა“[3] და ა. შ; იმავე ადრესატისადმი სხვა წერილში ვკითხულობთ: „ აბხაზთა მეფეთა-მეფის, რუმისა და რუსის მარზბანის; ქრისტეს სარწმუნოების შემწის (დღეგრძელიმც ჰყოს ალლაჰმა მეუფება მისი და მარადი ჰყოს სამეფო მისი)...“[4] ან კიდევ „ ქვეყანათა მფარველი, გურჯის, აბხაზის, ალანის, შაქისა და ხაზარის მეფეთა მეფე...“[5] ამთავითვე შევნიშნავთ, რომ პირველ ორ შემთხვევაში „აბხაზი“ ნიშნავს სრულიად (აღმოსავლეთ და დასავლეთ) საქართველოს. ეს „აღმოსავლეთის“ სხვა ავტორებთანაც კარგად ჩანს. მაგალითად, ხაყანი შირვანი (XII ს.) გვამცნობს, რომ „აბხაზს მოსახლე გავხდი და ქართულად მოლაპარაკეო“.[6] მესამე წერილში აბხაზი და გურჯი ერთადაა ნახსენები. ე. ი. აბხაზი არ არის ნახმარი სრულიად საქართველოს მნიშვნელობით (სავარაუდებელია, იგი დასავლეთ საქართველოს გულისხმობდეს). არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ წერილების ადრესატი დავით აღმაშენებელია (მ. თოდუა მიიჩნევს, რომ წერილები მიმართულია ლაშა-გიორგისადმი. თუ მ. თოდუას მიერ ირანიდან დაბრუნების შემდეგ წაკითხულ ლექციას გავიხსენებთ, შევნიშნავთ, რომ თავდაპირველად

---

1 შ. მესხია. ძლევაჲ საკირველი. თბ., 1972. გვ. 64.

2 მ. თოდუა. ქართულ-სპარსული ეტიუდები. III. თბ., 1979.

3 იქვე. გვ. 33.

4 იქვე.

5 იქვე.

6 იქვე.

მეცნიერი ქართველ მეფეში დავით აღმაშენებელს გულისხმობდა). ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს წერილების ადრესატის „რუსის მეფეთ-მეფედ“, ან „რუსის მარზბანად“, ან კიდევ „ხაზარის მეფეთა-მეფედ“ მოხსენიება. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, აქ „ხაზარი“ ჩანს „რუსის“ ბადალი. ამის დადგენა ქართული წყაროებითაც შეიძლება, ხაზარეთის ყოფილი ტერიტორია თამარის პირველი ისტორიკოსის („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) მიერ რუსეთად არის მიჩნეული. „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ნუსხაში (დადიანისეული, მაჩაბლისეული, ფალავანდიშვილისეული და სხვ.) იქ, სადაც ხაზარეთზეა ლაპარაკი, არშიაზე წერია: „ხაზარეთი რუსეთიაო“.[1] ისიც ნიშანდობლივია, რომ მ. თოდუას მიერ გამოქვეყნებულ წერილებში თუ ხაზარი და ყივჩაყია დასახელებული, რუსი ნახსენები აღარ არის, ან პირიქით.

სხვადასხვა ისტორიკოსთა (ბ. ზახოდერი, ა. კოვალევსკი, ვ. ბარტოლდი, ა. შახმატოვი, ვ. მინორსკი, ნ. ხანიკოვი, ა. ნოვოსელცევი და სხვ.) მოსაზრებების გათვალისწინებით, მუსლიმანურ წყაროებზე (ხაყანი, ნიზამი და სხვ.) დაყრდნობით, მართებული ჩანს მ. თოდუას დასკვნები, რომ რუსი არა მარტო თანამედროვე რუსეთის ჩრდილო ნაწილს ეწოდებოდა, არამედ ამიერკავკასიაში დაფუძნებულ გარკვეულ ერთეულსაც (რუსთა ერთ გარკვეულ შტოს) აღნიშნავდა და ამავე მნიშვნელობით იყო ნახმარი ეს ტერმინი ქართველი ადრესატებისადმი გამოგზავნილ წერილებში. ეს რუსი მოწყვეტილი იყო პირვანდელ საცხოვრისს და ჩრდილოეთიდან ემეზობლებოდა საქართველოს. როგორც ჩანს, ეს ერთეული ბაგრატიონთა სამეფო სახლის გავლენის ქვეშ მოქცეულა XII საუკუნეში, რაც თავის მხრივ ქართველ მეფეთა ტიტულატურაშიც ასახულა. დავით აღმაშენებელს („მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“) ემორჩილებოდა „ერნი ტომნი და ენანი, მეფენი და ხელმწიფენი ოვსეთისა და ყივჩაყეთისანი, სომხეთისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი“.[2] აქ მოხსენიებული „ფრანგეთის“ რაობა არ არის საბოლოოდ გარკვეული. იქნებ სწორი იყო ლ. მელიქსეთბეგი, რომელიც „ფრანგეთის“ ნაცვლად „ვრანგეთს“ (ვარანგეთს) კითხულობდა: მისი სამეფო, როგორც ზემოთ აღინიშნა, გადაჭიმული იყო „ნიკოფსიიდგან დარუბანდისა ზღუადმდე და ოსეთიდგან სოერად და არეგაწადმდე“. გიორგი მესამესაც „ოვსთა და ყივჩაყთა რაოდენი ათასი კაცი უბრძანის, მოვიდიან. ეგრევე შარვანის სახლი“, თამარსაც მორჩილებენ „ოვსნი და ყივჩაყნი“.[3]

ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 11.

[2] იქვე. II. გვ. 360.

[3] იქვე. გვ. 23.

მართებულადაა მინიშნებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (შ. მესხია), რომ გაძლიერებულ საქართველოს სამეფოსთან კავშირს რუსეთი თვითონ ესწრაფოდა, მით უფრო, რომ დავით აღმაშენებლის დროს ყივჩაყები და ოსები უკვე საქართველოს ყმადნაფიცები იყვნენ და ყივჩაყთა თაედასხმების თავიდან აცილება და სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზე მშვიდობიანობის უზრუნველყოფა საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებით იყო შესაძლებელი.

დავით აღმაშენებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან, განსაკუთრებით ოსებთან და ყივჩაყებთან, ურთიერთობას. ოსები (ალანები) გამოირჩეოდნენ სხვა ჩრდილოკავკასიელი ეთნიკური ელემენტებისაგან თავისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონით. ალანთა სამეფოს („მულქ ალ-ალანი") მნიშვნელოვანი ტერიტორია ეკავა კავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში.[1]

ოსეთთან საქართველოს ურთიერთობა ინტენსიური ხდება XI საუკუნიდან. როცა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმეში ამ პოლიტიკურმა ერთეულმა გარკვეული მნიშვნელობა შეიძინა. ამით არსებითად განისაზღვრა ფეოდალური საქართველოსა და ოსეთის ურთიერთობის კეთილმეზობლური ხასიათი. გიორგი პირველმა და ბაგრატ მეოთხემ ოსებთან დამოყვრებით კიდევ უფრო განამტკიცეს მათთან ურთიერთობა.

დავით აღმაშენებლის დროს, როცა ყივჩაყთა ჩამოსახლების საკითხი დაისვა, ოსებთან ურთიერთობაც ახლებურ მიდგომას მოითხოვდა. საქმე ისაა, რომ ყივჩაყებს მტრული დამოკიდებულება ჰქონდათ ოსებთან და საქართველოს მეფეს ქმედითი ღონისძიებების გატარება დასჭირდებოდა ყივჩაყთა საქართველოში ჩამოსაყვანად, რადგან ყივჩაყეთიდან საქართველომდე ოსეთი იყო გასავლელი. საქართველოს მეფემ დროულად იზრუნა ამ საკითხზე. საგულისხმოა, რომ თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით (ეს ცნობა სხვა წყაროებით არ დასტურდება), დავით აღმაშენებლის ერთ-ერთი ქალიშვილი ოსეთში ყოფილა გათხოვილი.[2] ისტორიკოსთა ერთი ნაწილი (მათ შორის მ. ბროსე) ამ ცნობას სარწმუ-

---

[1] А. П. Новосельцев, К истории аланских городов. "Материалы по археологии и древней истории Северной Осетии", т. II. Орджоникидзе, 1969. გვ. 132.

ვ. ლაკაევი მართებულად შენიშნავს, რომ დინასტიური ქორწინებები და ნათესაური კავშირის დამყარება საქართველოს სამეფო კარისათვის ოსეთის დამორჩილების ერთ-ერთი ხერხი იყო. იხ. Г. А. Кокиев. Очерки по истории Осетии, ч. I, Владикавказ, 1926. გვ. 36.

ბოდ მიიჩნევს.[1] ზოგიერთი ფიქრობს, რომ თუ საკუთრივ დავით აღმაშენებლის ასული არა, სამეფო სახლის რომელიღაც წევრი მაინც უნდა ყოფილიყო ოსეთის სამეფო კარზე გათხოვილი (შ. მესხია).

ოსეთთან ურთიერთობის განმტკიცების მნიშვნელობის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ თვით დავით აღმაშენებელი და მისი ვაზირი გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი „წარემართა ოვსეთს". მართებულადაა შენიშნული ჩვენს ისტორიოგრაფიაში, რომ დავით აღმაშენებლის ოსეთში გადასვლა მხოლოდ ყივჩაყთათვის გზის უზრუნველყოფა არ ყოფილა. არსებითი იყო ჩრდილო კავკასიისა და საქართველოს დამაკავშირებელი საუღელტეხილო გზების დაკავება. იმხანად დარიალსა და სხვა უღელტეხილებზე კონტროლს ოსები ახორციელებდნენ. ძლიერი ფეოდალური საქართველოსათვის აუცილებელი შეიქნა აღნიშნული გადასასვლელების დაუფლება და დავით აღმაშენებლის მისიაც ამას ისახავდა მიზნად.[2] ნიშანდობლივია, რომ ოსეთში შესულ დავით აღმაშენებელს „მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა".[3] აქ საგულისხმო მომენტია, რომ დავით აღმაშენებელმა მძევლები ჩამოართვა როგორც ოსებს, ისე ყივჩაყებს და „ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი". რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ დავით აღმაშენებელს თან ახლდა გარკვეული სამხედრო ძალაც. შემდეგი ეტაპი დავით აღმაშენებლის მოქმედებისა ის არის, რომ მან ოიღო და დაიკავა „ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი".[4] უდავოა, რომ კავკასიის უღელტეხილების დაკავება საქართველოს მიერ უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი იყო. ამასთან, ამ პერიოდიდან, თუ უფრო ადრე არა,[5] ოსეთი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა გახდა.[6]

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილო კავკასიის ხალხებიდან ოსები გამოირჩეოდნენ საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობით. ისინი კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც

---

1 იხ. ჯ. სტეფნაძე, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან, თბ., 1974, გვ. 117.

2 ვ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, სტალინირი, 1958, გვ. 140.

3 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 336.

4 იქვე.

5 იხ. ჯ. სტეფნაძე, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში, თბ., 1974, გვ. 114-117.

6 იხ. ვ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 141; ზ. ანჩაბაძე, მ. ცინცაძე, საქართველო და ჩრდილო კავკასია XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში, კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 14; З. В. Папаскири, У истоков грузино-русских политических взаимоотношений, გვ. 57.

სხვებზე მაღლა იდგნენ, რაშიც გარკვეული როლი შეასრულა ქრისტიანული რელიგიის გავრცელებამ (X ს.).

საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის ურთიერთობაში ერთობ მნიშვნელოვანი მომენტია მცდელობა ამ უკანასკნელთა გაქრისტიანებისათვის. ოსთა გაქრისტიანებაც უკავშირდება კონსტანტინოპოლის პატრიარქს ნიკოლოზ მისტიკოსს და „აფხაზთა მეფე" გიორგის (922-957). ოსთა გაქრისტიანების აქტიდან აშკარად ჩანს ოსეთის და მთელი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა მისწრაფება საქართველოსაკენ.[1] რომელიც კავკასიასა და წინა აზიაში წამყვანი ქვეყანა იყო. ქრისტიანობის საშუალებით საქართველო მთის მოსახლეობას თავის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ გავლენას უმორჩილებდა. ზოგჯერ ამგვარ მცდელობას ჩრდილო კავკასიელი ხალხებიდან გარკვეული რეაქციაც მოპყვებოდა, მაგალითად, თამარის დროს დიდოელებისა და ფხოველების გამოსვლა თავისი არსით ფეოლაზმისათვის რევოლუციური ოპოზიციის ერთგვარი გამოვლინება. — უშუალო მწარმოებელი მასის მძლავრი რეაქცია იყო გაბატონებული კლასის ცდაზე — გაეძლიერებინათ ექსპლუატაცია (ფეოდალურ ურთიერთობებში მთის მოსახლეობის ჩაბმით) და გავრცელებინათ ქრისტიანობა.[2]

ნიშანდობლივია, რომ ოსეთში გადასვლისას დავით აღმაშენებელს თან ახლდა გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. ამ აქტში ქრისტიანული რელიგიის გავრცელება-განმტკიცებისათვის ზრუნვა მოჩანს.

ფაქტია, რომ დავით აღმაშენებელმა თავისი ენერგიული მოქმედებით ხელში ჩაიგდო კავკასიის გადასასვლელები, რომელთაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ და ოსეთი მტკიცედ შემოიყვანა თავისი მორჩილების ქვეშ ყმადნაფიცობის პირობაზე. ამიერიდან სხვა ხალხებთან და ქვეყნებთან ერთად, დავით აღმაშენებლის „ჩრდილსა შეკრებილ იყვნეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ხელმწიფენი ოსეთისა..."[3]

დავით აღმაშენებლის დროის საქართველოს ურთიერთობა ჰქონდა ჩაჩნეთ-ინგუშეთთან (ქართული წყაროების ძურძუკები, კავკასიონი), დაღესტნის ხალხებთან, ადიღესთან (ჯიქნი-ქაშაგნი). ამ უკანასკნელთან ურთიერთობაში დამაკავშირებელ რგოლს აფხაზეთი წარმოადგენდა.

საქართველოსა და ქართული კულტურის გავლენა ჩრდილო კავკასიის ხალხებზე უდავოა. ქართველებისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხ-

---

ზ. ანჩაბაძე. მ. ცინცაძე. საქართველო და ჩრდილო კავკასია., XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში. კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში. თბ., 1966. გვ. 152.

[2] იხ. რ. მეტრეველი. მთიელთა აჯანყების საკითხისათვის XIII ს. ათიან წლებში. წგნ. მცირე გულანი. ქუთ., 1979. გვ. 58-75.

[3] ქართლის ცხოვრება. I. გვ. 360.

თა ურთიერთობამ თავისი კვალი დატოვა. არაერთი ქართული სიტყვა შევიდა ჩრდილოკავკასიელი ხალხების ლექსიკურ ფონდში,[1] გავრცელდა ქართული დამწერლობა,[2] ხშირია ქართული წარწერები (დაღესტანში ოცამდე ქართული წარწერაა დამოწმებული),[3] შეიმჩნევა ქართული სტილის გაკლენა არქიტექტურაში.[4]

დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი იყო დარუბანდის საკითხი (მისი სამფლობელო ხომ ნიკოფსიიდან დარუბანდამდე იყო გადაჭიმული).

გეოგრაფიულმა გარემომ, ეთნიკურმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ შექმნა ის ბაზა, რომელზეც ჩამოყალიბდა დარუბანდის ქალაქ-სახელმწიფო. დარუბანდზე გამავალი საქარავნო გზის მიმართ არ იყვნენ ქართველები გულგრილნი. დავით აღმაშენებელი დიდად აფასებდა კასპიის კარის სტრატეგიულ მნიშვნელობას და ყოველგვარად ცდილობდა თავისი გავლენის გავრცელებას. 1124 წლის აპრილში დავითის მოლაშქრეები „დაესხნეს შაბურანს, დარუბანდელსა, და მოსწყუდნეს ქურდნი, ლეკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი და აღისუნეს შარავანისა ციხენი ლასანნი და ხოზონდი და მიმდგომი მათი ქვეყანა".[5] შემდგომში, როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელს დარუბანდიც ხელთ უგდია.

ერთი სიტყვით, ჩრდილო კავკასიის ქვეყნები და ხალხები ფეოდალური საქართველოს სამეფო კარის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვან ადგილს იკერდნენ, დავით აღმაშენებლის ანდერძი ხომ ხმამაღლა აცხადებს, რომ მთელი ჩრდილოეთი კავკასია (ნიკოფსიიდან დარუბანდამდე) მას ემორჩილებოდა. ამასთან, ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომ დავითი ჩრდილოეთის ქვეყნებთან მხოლოდ თავდაცვის უზრუნველყოფაზე ფიქრობდა, არ უნდა იყოს მთლად სწორი. გარკვეულ შემთხვევაში საქართველოს სამეფო კარი შეტევით ოპერაციებსაც ატარებდა და ამ გზითაც (მშვიდობიან მოლაპარაკება-დიპლომატიასთან ერთად) ეუფლებოდა ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებს. ჩრდი-

---

[1] История Дагестана, М., 1967, გვ. 215; А. Шанхелишвили, Из истории взаимоотношений между грузинскими и чечено-ингушскими народами. Грозный, 1963, გვ. 54, 93, 94; Х. Х. Рамазанов, А. Р. Шихсаидов, Очерки истории Южного Дагестана, Махачкала, 1964, გვ. 47.

[2] М. Чантиева, История чечено-ингушской письменности, Грозный, 1958, გვ. 18.

[3] История Дагестана, М., 1967, გვ. 215.

[4] Ц. И. Крупнов, Грузинский храм Тхоба-Ерды на северном Кавказе, Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях института истории материальной культуры, т. XV, 1974, გვ. 116; იხ. აგრეთვე ვ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში, თბ., 1975, გვ. 107-141. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 344.

ლო კავკასიის ხალხთა ქრისტიანიზაცია-ფეოდალიზაციაც მთლად მშვიდობიანი გზით არ ხდებოდა და აქაც ძალა გამოიყენებოდა (ეს შემდგომ საუკუნეებშიც გრძელდებოდა).

* * *

ცალკე შევჩერდებით საქართველოსა და ყივჩაყების ურთიერთობაზე, დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაყთა ჩამოსახლებაზე.

პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად ზეაღმავალი საქართველოსთვის, რომლის საშინაო და საგარეო გეგმები სულ უფრო მზარდი და მრავლისმომცველი იყო, აუცილებელს ხდიდა ლაშქრის გამრავლებისათვის ქმედით, გონივრულ ზრუნვას. სახელმწიფოსა და მისი მეფის მიერ დასახული დიდი ამოცანების გადასაწყვეტად საკმარისი არ იყო ის ღონისძიებები, რაც დავით აღმაშენებელმა თავისი მეფობის პირველ ეტაპზე სამხედრო საქმის ორგანიზაციის მიზნით გაატარა. ლაშქრის სიმრავლე განსაკუთრებით საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა ზედიზედ აიღო მრავალი ციხე-ქალაქი. რა თქმა უნდა, გამუდმებულმა ბრძოლებმა ქართული ლაშქარი დაღალა და რიცხობრივად შეამცირა. ამასთან, მოპოვებული გამარჯვებების განმტკიცების მიზნით, ლაშქრის ერთი ნაწილი „ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად" იქნა განწესებული.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ საქართველოს სამეფოს გაზრდილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად არ იყო საკმარისი ქართული ლაშქარი („არა იყო ესეოდენი სიმრავლე ლაშქართა"). რა მოთხოვნებია დასმული ლაშქრის წინაშე? დავით აღმაშენებელს ლაშქრის ერთი ნაწილი „მის თანა მყოფად" ესაჭიროებოდა, მეორე, დიდი ნაწილი — „დაუცხრომელად მიმოსვლასა ლაშქრობასა მისსა ზამთარ და ზაფხულ", ე. ი. ეს ლაშქარი ფაქტობრივად მუდმივი იყო, რადგან წლის ყოველ დროს დაუცხრომელ ლაშქრობას ისახავდა მიზნად; მესამე ნაწილი ლაშქრისა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, აღებული ციხე-ქალაქების დასაკავებლად და შემდგომ „შინა მდგომად" იყო საჭირო.

ამოცანა დიდი და მნიშვნელოვანი იყო — ლაშქარი რიცხობრივად ისე უნდა გამრავლებულიყო, რომ ქვეყნის ზეაღმავალი ეკონომიკის განვითარება არ შეწყვეტილიყო, ე. ი. მატერიალური დოვლათის მწარმოებელი მასა არ უნდა მოწყვეტილიყო თავის ძირითად სამუშაოს.

დავით აღმაშენებელმა და საქართველოს სამეფო კარმა ქვეყნის ფეოდალური ლაშქრის გამრავლება არაქართული წარმოშობის მოლაშქრეთა გადმოსახლების გზით გადაწყვიტა.

საქართველოში უცხოელთა ჯარის მოწვევა არ ყოფილა უჩვეულო მოვლენა. კავკასიის მთიანეთში ან იმიერკავკასიაში ხდებოდა ასეთი ლაშქრის დაქირავება, თანაც გარკვეული პირობით: დათქმულ დროს მტრის წინააღმდეგ ალაშქრებდნენ ხოლმე და ისევ შინ გაისტუმრებდნენ.

XII საუკუნის პირველ მეოთხედში, როცა საქართველო ესოდენ გაძლიერების გზას ადგა, ბუნებრივია, დროებითი დაქირავება ჯარისა ვერ დააკმაყოფილებდა ქვეყნის მოთხოვნებს. დღის წესრიგში დგებოდა საჭირო რესურსების გამონახვისა და მუდმივი ჯარის შექმნის საკითხი. საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებმა ყივჩაყთა გადმოსახლებისაკენ აიღო გეზი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი მოსაზრება არის გამოთქმული საქართველოს სამეფო კარის მიერ გადადგმული ამ ნაბიჯის მიზეზების შესახებ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დავით აღმაშენებელმა „ძლევათა და გამარჯვებათა თ-ჯთა" შედეგად თავის მფლობელობაში მოაქცია ბევრი ქალაქი და ციხე, აღნიშნავს საქართველოს ლაშქრის სიმცირეს იმ დიდი ამოცანების განსახორციელებლად, რომელიც სამეფო კარის წინაშე იდგა. ამიტომ, — განაგრძობს მემატიანე, — „შემოიკრიბა გონება (დავით აღმაშენებელმა, რ. მ.) კეთილად და გონიერად გამგონე, ვითარცა დავით, სულისა მიერ წმიდისა, აღიღო მთლად თავი თ-ჯსი და მიმოავლო თუალი გონებისა თ-ჯსისა და განიცადა კეთილად, განიზრახა სამეფოთა ცნობათა, რომელ არა კმა იყვნეს სამეფოსა მისისანი თანამიყოლად კრთობათა"[1] და ა. შ. ერთი სიტყვით, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ყივჩაყთა მოყვანის მიზეზად თვლის იმას, რომ „არა იყო ესოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა მისსა". თითქმის იმავეს იმეორებს ვახუშტი ბაგრატიონი: „რამეთუ არა კმა-ეყოფის სპანი მისნი ესეოდენთა ციხეთა და ქვეყნათა დაპყრობად, განიზრახა გონიერებითა და წარვიდა ოვსეთად, რათა გადმოიყვანის სიმრავლე მათი (ყივჩაყების, რ.მ.), ვინაიდან მოეყვანა (დავით აღმაშენებელს, რ.მ.) ასული ყივჩაყთა მეფისა ცოლად თ-ჯად გურანდუხტ, დედოფლად გიორგიისა",[2] ე. ი. ვახუშტი ბაგრატიონი ლაშქრის (სპის) უკმარისობასათან ერთად ყივყაჩთა მეფის ასულ გუ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 335.

[2] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 159.

რანდუხტის დავით აღმაშენებლისადმი ცოლობასაც ასახელებს ყივჩაყთა გადმოყვანის მიზეზად.

შემდგომი დროის ისტორიკოსებიც ყივჩაყთა გადმოყვანას დავით აღმაშენებლის მიერ გურანდუხტის შერთვას უკავშირებენ. მარი ბროსე თავის „საქართველოს ისტორიაში" წერს: „დავითმა გარდაწყვიტა დიდძალი რიცხვი ყივჩაყთა ჯარებისა დაექირავნა. მან წინეთ ამისა შეირთო გურანდუხტი, ასული ათრაკისა, შარაღანის შვილისა..."[1] იმავეს აღნიშნავს ნ. ურბნელი თავის ნაშრომში „დავით აღმაშენებელი და მისი დრო".[2]

ყივჩაყთა გადმოყვანის საკითხზე თავისი აზრი აქვს გამოთქმული დავით კარიჭაშვილს: „ როგორ შეიძლებოდა — ამბობს იგი, — რამოდენადმე დიდის სამუდამო ჯარის დაწესება ქართველთაგან, რომელნიც ხანგრძლივი ომების გამო ისე შემცირებულიყვნენ საომრად გამოსადეგის ვაჟკაცების რიცხვით. ამიტომ მას (დავით აღმაშენებელს, **რ.ბ.**) მოუვიდა აზრად მოეწვია უცხო ხალხი".[3]

ივანე ჯავახიშვილმა მუდმივი ლაშქრის შექმნისა და ყივჩაყთა გადმოყვანის მიზეზად ძირითადად გაიმეორა ვერსია ყივჩაყთა მთავრის ასულის დავით აღმაშენებლის ცოლობისა და ბრძოლის დროს ყივჩაყთა კარგი თვისებების შესახებ. ანალოგიური აზრი გამოთქვეს პროფესორებმა: აბელ კიკვიძემ (იმ განსხვავებით, რომ პროფ. აბელ კიკვიძე ჯერ მიზეზთაგან ყივჩაყთა კარგ მეომრობას ასახელებს, და შემდეგ დავით აღმაშენებლის მოყვრობას ყივჩაყებთან)[4] და სერგი მაკალათიამ.[5] ყივჩაყთა გადმოყვანის საკითხი განიხილა ქ. ჩხატარაიშვილმა სტატიაში — „უცხოელები XII ს. საქართველოს ლაშქარში"[6] და წიგნში — „ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში". საქართველოს სამეფო კარი აშკარად ხედავდა, რომ ის ბრძოლები, რომლებიც ასე ინტენსიურად მიმდინარეობდა ქვეყნის თურქსელჩუკთა ბატონობისაგან განსათავისუფლებლად, უდიდეს მატერიალურ ზარალს აყენებდა საქართველოს ეკონომიკას, აჩანაგებდა მის მეურნეობას. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართულ ლაშქარში ფართოდ მონაწილეობდნენ მოსახლეობის დაბალი ფენების წარმომადგენლები, იმ ფენებისა, რომლებიც მიწათმოქმედებით იყვნენ დაკავებული. ზოგიერთი მეცნიერი კატეგორიულად გამორიცხავს ჩვენთვის საინტერესო პერიო-

---

1 მარი ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწილი პირველი, ტფ., 1895, გვ. 152.
2 მოამბე, II, 1894, გვ. 15.
3 დ. კარიჭაშვილი, საქართველო XII საუკუნეში, თბ., 1948, გვ. 199.
4 ა. კიკვიძე, დავით აღმაშენებელი, თბ., 1942, გვ. 9.
5 ს. მაკალათია, დავით აღმაშენებელი, თბ., 1944, გვ. 25.
6 კრებ. „საქართველოს რუსთაველის ხანაში", თბ., 1966, გვ. 161-186.

დის საქართველოში მოსახლეობის მწარმოებელი ნაწილის მონაწილეობას ლაშქრობაში.[1] ეს პრობლემა საგანგებოდაა განხილული ე. ხოშტარიას (ბროსეს) სტატიაში — „ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის შესწავლისათვის" (ფეოდალური ლაშქრის სოციალური შედგენილობის შესახებ).[2] აქ ნაჩვენებია, რომ არადამაჯერებელია მსახურთა მიჩნევა ქართული ფეოდალური ლაშქრის „ყველაზე მრავალრიცხოვან ნაწილად" ან „ძირითად მასად", როდესაც წყაროების მიხედვით ეს ლაშქარი ათეულობით ათას მეომარს ითვლიდა.[3] ე. ხოშტარია (ბროსე) სავსებით მართებულად მიუთითებს, როცა თამარის ისტორიკოსის ერთი ცნობა მოაქვს, რომ „ქვეყნისმოქმედთა" „გააზნაურება" ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეს ეხებოდა ცალკეულ პირებს, არამედ ეს ნათქვამია ზოგადი მნიშვნელობით, სწორედ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ მოლაშქრეთა მხრივ მასობრივად მეურნეობასთან კავშირის გაწყვეტისა და პროფესიონალ მოლაშქრედ გადაქცევის პროცესის გამოსახატავად.[4]

XI-XII საუკუნეებში, ზემოხსენებული გაცხოველებული ომების პირობებში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს „ერი" (ეს ტერმინი ზოგადად „ხალხის" გარდა „ლაშქრის" მნიშვნელობითაც იხმარება). იგი ქართული ლაშქრის ძირითადი კონტინგენტია, რომელიც თანდათან კარგავს კავშირს მეურნეობასთან. სრულიად მართებულად მიუთითებს შ. მესხიაც, რომ სამეფო ხელისუფლებას უნდა ეზრუნა, რათა ერთი მხრივ ლაშქრის რაოდენობა გაეზარდა და მეორე მხრივ ქვეყნის მატერიალური დოვლათის მწარმოებელი თავისი ძირითადი საქმიანობისათვის არ მოეწყვიტა. ამიტომ სამეფო ლაშქრის გამრავლებისათვის ზრუნვა თავისთავად იწვევდა, პირველ რიგში, ქვეყნის შიგნით სამხედრო სამსახურის საფუძველს — ფეოდალური მიწათმფლობელობის ფორმების განვითარებას ისეთ დასრულებულ სისტემამდე, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მეფეს, წლის ყოველ დროში დაუცხრომელ მოლაშქრეთა ფართო ფენა ჰყოლოდა ისე, რომ მიწისმოქმედთა მასა არ მოეწყვიტა თავისი ძირითადი საქმიანობისათვის.[5]

დავით აღმაშენებელი ყივჩაყთა გადმოყვანით შორს უმიზნებდა, ამ საქმეს საქართველოს ეკონომიკის დაწინაურება უნდა მოჰყოლოდა, ან,

---

1 ჭ. ჩხატარაიშვილი, ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, გვ. 12.
2 მაცნე, 1981. №4.
3 ე. ხოშტარია, ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის შესწავლისათვის..., გვ. 114.
4 იქვე, გვ. 117.
5 შ. მესხია, ძლევამოსილი, გვ. 38.

უარეს შემთხვევაში, საქართველოს მეურნეობა ზარალს არ ნახავდა ომების წარმოების დროს.

დავით აღმაშენებელი, როცა რეფორმებს ატარებდა (კერძოდ, როცა მუდმივი ლაშქრის შექმნაზე ზრუნავდა), დაინტერესებული იყო იმითაც, რომ რაც შეიძლება მეტად შეეზღუდა დიდგვაროვან ფეოდალთა პოლიტიკური უფლებები და გაეძლიერებინა მეფის ხელისუფლება. უცხოელთა გადმოყვანისა და მუდმივი ჯარის შექმნით მეფე ფეოდალებისაგან სრულიად დამოუკიდებელი ხდებოდა.

ამდენად, უცხოელთა (ამ შემთხვევაში ყივჩაყთა) გადმოსახლების ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს ორი ფაქტორი. ფეოდალური საქართველოს მთავრობის ზრუნვა ეკონომიკური ძლიერების შენარჩუნებისა და შემდგომი აღმავლობისათვის და სამეფო კარის ბრძოლა ძლიერი ფეოდალური მონარქიის შექმნისათვის.

რაც შეეხება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის იმ თქმას, რომ „არა იყო ესოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა", ეს მხოლოდ რეალური სურათის წარმოდგენისათვის არ არის განცხადებული, არ არის გამორიცხული, რომ ვინმე წინ აღუდგა იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავდნენ უცხო ეროვნების ხალხის სამუდამო ჩამოსახლებას საქართველოში და სამეფო კარმაც თავისი მოქმედების დასასაბუთებლად მკვეთრად წარმოაჩინა ეს მხარე, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმაც, რა თქმა უნდა, შეიტანა იგი თავის თხზულებაში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებიდან ჩანს, რომ „მაბრალობელნი" ყივჩაყთა გადმოყვანაში სამეფო კარის ხარვეზს ხედავდნენ, არასწორად მიაჩნდათ ეს ნაბიჯი.

ყივჩაყთა გადმოყვანის მიზეზთა შორის, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული აზრის მიხედვით, ერთ-ერთი პირველთაგანია დავით აღმაშენებლის მოყვრობა ყივჩაყებთან. ჩვენი აზრით, არც ეს ფაქტორი უნდა იყოს მთავარი მიზეზი. შევეცდებით დავასაბუთოთ ეს მოსაზრება.

საკითხი ისმება ასე: რატომ მაინცდამაინც ყივჩაყების გადმოყვანა და მათგან მუდმივი ლაშქრის შექმნა გადაწყდა?

ჩვენი აზრით, ყივჩაყების ყოფა-ცხოვრებაში საქართველოს მეფემ და სამეფო კარმა შენიშნა ის ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს სწორედ ყივჩაყებისაკენ (და არა სხვა ხალხისაკენ) გეზის აღება. ყივჩაყები კავკასიონის ჩრდილოეთით, მდ. დონიდან მოკიდებული კასპიის ზღვის ნაპირებამდე ცხოვრობდნენ. ისინი განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ. მათში XII საუკუნეში ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილება იყო და ტომებად ცხოვრობდნენ. ყივჩაყები ცნობილი იყვნენ კარგი საბრძოლო თვისებებით, ამასთან ნების დამყოლნი და უპრეტენზიონი იყვნენ.

დავით აღმაშენებელმაც კარგად „უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე, და წყობათა წინა სიმხნე, სისუბუქე და მიმოსლვა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამჭირველობა და ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თვისისა“.[1]

ყივჩაყებთან მსოფლიოს არაერთი ხალხისა და სახელმწიფოს (ბიზანტია, ძველი რუსეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, პოლონეთი და სხვ.) წარსულია დაკავშირებული. ცენტრალური და შუა აზიის ველებიდან მოსულ ამ მომთაბარე ტომებს წილად ხვდათ ტერიტორიულად მოცილებულ სხვადასხვა ხალხთან ურთიერთობა, ზოგთან — მტრული, ზოგთანაც — კეთილმეზობლური.

ყივჩაყები თურქული მოდგმისანი იყვნენ.[2] XI საუკუნეში მათ ეკავათ დიდი ტერიტორია — დნეპრიდან თურანის მთიანეთამდე. ისინი ჩრდილოეთ კავკასიაშიც მრავლად იყვნენ. მომთაბარე ყივჩაყებს ორგანიზაციაც შესაბამისი ჰქონდათ. ისინი ურდოებად ცხოვრობდნენ, ზამთრობით სადგომებში მდინარეთა პირას. XI საუკუნეში ყივჩაყები პირველყოფილი-თემური წყობილების რღვევისა და კლასობრივი საზოგადოების შექმნის სტადიაზე იყვნენ.[3] მათ, სწრაფმა და მარჯვე მეომრებმა, არაერთხელ დასცეს შიშის ზარი აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებს. ყივჩაყთა ერთი ნაწილი, რომელსაც სირჩანი მეთაურობდა, დონს გაღმა გადავიდა, მეორე ნაწილი კი, რომელსაც სირჩანის ძმა ოტროკი (ქართული წყაროებით ათრაქა) ედგა სათავეში, ჩრდილო კავკასიაში მოვიდა, ოსების მეზობლად ყივჩაყებსა და ოსებს შორის იმთავითვე იჩინა თავი უთანხმოებამ. ყივჩაყების მეჯოგური მეურნეობა შეუთავსებელი იყო ოსთა დაწინაურებულ მოწათმოქმედებასთან. ყივჩაყებისა და ოსების ურთიერთქიშპს თავიდან, ალბათ, საქართველოს სამეფო კარიც შეუწყობდა ხელს, რადგან ჩრდილო კავკასიაში ახალი მეომარი ტომის გამოჩენა მთელს ამიერკავკასიას შეუქმნიდა საფრთხეს, ოსებს კი მათი შეჩერება, კავკასიის ცენტრალური გადასასვლებებისაკენ, უფრო ადვილად შეეძლოთ.[4]

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 336.

2 ნ. მურღულია, ყივჩაყთა ეთნოგენეზისის საკითხისათვის, თსუ შრომები, 113, თბ., 1965, გვ. 145-173.
ყივჩაყთა ცხოვრებისა და მათი ურთიერთობის შესახებ რუსეთისა და კავკასიის ხალხებთან იხ. С. А. Плетнева, Печенеги, тюрки, половцы в южнорусских степях. Материалы и исследования по археологии СССР, №62, М., 1958; В. Г. Пашуто, Внешняя политика Древней Руси, М., 1968.

4 იხ. ზ. ანჩაბაძე, მ. ცინცაძე, საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში, კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 152.

სამხრეთ რუსეთის სტეპებში ყივჩაყები პირველად XI საუკუნის შუა ხანებში გამოჩნდნენ. მათი თავდასხმები რუსებზე ამ საუკუნის 50-80-იან წლებში არც ისე ხშირი იყო და დიდი ზარალიც არ მოჰქონდა. 1091 წელს კი ყივჩაყებმა, ბიზანტიის იმპერატორ ალექსი კომნენთან ერთად შეკავშირებულებმა, გაანადგურეს პაჭანიგები და აქედან მოკიდებული მოსვენებას არ აძლევდნენ კიევის რუსეთს. იპატის მატიანის ავტორი წუხილით აღნიშნავდა: "Створи бо ся плачь велик у земле нашей, и опустеша села наша да городе наши, и быхом бегающе и пред враги нашими".[1]

ყივჩაყთა წინააღმდეგ ძალზე ქმედითი ბრძოლები ჩაატარა პერეიასლავის, შემდეგში კიევის მთავარმა ვლადიმერ ვსევოლოდის ძე მონომახმა. მან შეძლო მომთაბარეთა ფაქტობრივი განადგურება და რუსეთის საზღვრების გარეთ განდევნა. ვლადიმერ მონომახმა ყივჩაყთა წინააღმდეგ რამდენიმე დიდი ლაშქრობა მოაწყო (1103 წ., 1107 წ., 1109 წ., 1111 წ. და 1116 წ.), რომელთა შემდეგ ოტროკი (ათრაქა) და მასთან ერთად ყივჩაყთა ორმოცი ათასი ოჯახი გადასახლებულან საქართველოში.[2]

როგორც ვხედავთ, ყივჩაყთა გადმოსახლებას საქართველოში ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ისინი ძალზედ შევიწროვებული იყვნენ კიევის მთავრის ვლადიმერ ვსევოლოდის ძე მონომახისაგან და, მას ქმედით წინააღმდეგობას ველარ უწევდნენ.

ყივჩაყთა დაბალი განვითარების საფეხურზე ყოფნა სასარგებლო იყო საქართველოს სახელმწიფოსათვის. აი რატომ: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს სამეფო კარს გადაწყვეტილი ჰქონდა არა დროებითი დაჭირავება ჯარისა (ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს დასაჭირავებელი ხალხის განვითარების დონეს), არამედ მუდმივი ჯარის შექმნა, რაც გადმოსახლებული ხალხის ბაზაზე უნდა მომხდარიყო. ასეთ შემთხვევაში დაბალი განვითარების ხალხის (მით უმეტეს ისეთის, რომელიც თითქმის მომთაბარულ ცხოვრებას ეწეოდა) გადმოყვანა იმიტომ იყო ხელსაყრელი, რომ ეს უკანასკნელი ადვილად შეეგუებოდა ახალ გარემოს, გარდა ამისა, როგორც წესი, მოექცეოდნენ მათზე გაცილებით უფრო მაღალი კულტურის მქონე ხალხის (ქართველების) გავლენის ქვეშ და თვითონაც გაქართველდებოდნენ, ე. ი. საქართველო მათთვის სამშობლო გახდებოდა და მათი ერთგულებაც ამ ქვეყნისათვის ბრძოლის დროს დიდი იქნებოდა. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, ყივჩაყები

---

1 იხ. Ипатьевская летопись, 2-е издание, СПб. 1908, გვ. 151-152; 156, 164.

2 Н. Ф. Котляр. Половцы в Грузии и Владимир Мономах, Сб. Из истории украино-грузинских связей. Тб., 1968, გვ. 16-24.

ერთგულად იბრძოდნენ იმიტომ, რომ მათი მთავარი დავით აღმაშენებლის სიმამრი იყოო. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი აქტი (მოყვრობა) მათი საქართველოსადმი ერთგულების საწინდრად ვერ გამოდგება. საქართველოს სამეფოს კარს კარგად უნდა ჰქონოდა გათვალისწინებული ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დეტალი, როცა გეზს ყივჩაყთა გადმოსახლებისაკენ იღებდა. გათვალისწინებული უნდა ჰქონოდათ ისიც, რომ, ყივჩაყების ერთგულება მხოლოდ ერთი მეფისადმი — დავით აღმაშენებლისადმი, საკმარისი არ იყო და ამიტომ თავიდანვე იფიქრებდნენ მათ გაქართველებაზე, რათა ეს უკანასკნელნი საერთოდ ქვეყნის ერთგულნი ყოფილიყვნენ და არა მხოლოდ მეფისა.

ამდენად, საქართველოს სამეფო კარის მიერ სწორედ ყივჩაყების გადმოსახლებაზე გეზის აღების მიზეზი მათ კარგ საბრძოლო თვისებებთან, „ადვილად დასამჭირვლობასა“ და „ყოვლითურთ მომზავებლობასთან“ ერთად განვითარების დაბალი დონე იყო, რაც ყივჩაყების უმტკივნეულოდ ჩამოსახლებისა (ამასთან „უადვილეს იყვნეს მოსლვად მახლობელობითაცა და უპოვარებითა“) და მათზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებას იძლეოდა. რაც შეეხება დავით აღმაშენებლისა და ყივჩაყთა მთავრის მოყვრობის საკითხს, უკეთეს შემთხვევაში ამ ფაქტორს კატალიზატორის როლის შესრულება შეეძლო. ეს კარგად უნდა ჰქონდეს შემჩნეული თვით დავით აღმაშენებლის ისტორიკოსსაც. იგი, როცა ჩამოთვლის იმ მიზეზებს, რისთვისაც საქართველომ არჩევანი ყივჩაყებზე შეაჩერა, ყველაზე ბოლოს იხსენიებს ყივჩაყთა მთავრისადმი საქართველოს მეფის ნათესაურ კავშირს (ჯერ მათ საბრძოლო თვისებებს ასახელებს).

და ამათ თანა უადვილეს იყვნეს მოსლვად მახლობელობითაცა და უპოვარებითა და რამეთუ პირველ მრავალთა წელთასა მიერ მოეყვანა სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გურანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაყთა უმთავრესისა ათრაქა შარაღანის ძისა, სჯულიერად მეუღლედ თჳსად და დედოფლად ყოვლისა საქართველოსა“.[1]

ამდენად, საქართველოს მეფის ნათესაური კავშირი ყივჩაყთა მთავართან პირველხარისხოვანი კი არა, არამედ ერთ-ერთი ხელისშემწყობი მიზეზთაგანი უნდა ყოფილიყო ყივჩაყების საქართველოში გადმოსახლებისათვის. საქართველოს სამეფო კარს ყივჩაყთა თანხმობა გარანტირებული ჰქონდა იმითაც, რომ რუსეთის მთავრებისგან შევიწროებული და დარბეული, თავიანთი საცხოვრებლიდან გამოდევნილი ყივჩაყებისათვის საქართველოში გადმოსახლება შველას უდრიდა.

როგორც დავინახეთ, ყივჩაყთა ჩამოსახლება, მათგან მუდმივი ლაშქრის შექმნის მიზნით, საქართველოს სამეფო კარს ღრმად ჰქონდა აწონ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 336.

დაწონილი, რადგან, მის გატარება-შესრულებას დიდი წინდახედულება და დაკვირვება სჭირდებოდა.

დავით აღმაშენებელმა საქართველოს სამეფო ლაშქარში ყივჩაყთა მოსაწვევად გაგზავნა „კაცნი სარწმუნონი". ყივჩაყები სიხარულით შეხვდნენ ამ მოწოდებას, საქართველოს მეფეს გადმოსახლებაზე თანხმობა შემოუთვალეს და მოითხოვეს ოსეთზე უსაფრთხოდ გამოვლის უზრუნველყოფა („გზა მშვიდობისა ყივჩაყთათვის").[1]

დავით აღმაშენებელი თვითონ გაემგზავრა ოსეთს. როგორც ჩანს, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ყივჩაყთა ჩამოსახლებასთან ერთად ოსეთთან ურთიერთობას და არ არის შემთხვევითი, რომ მან თან გაიყოლა გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ჯორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა..." საქართველოს ძლიერი მეფის სტუმრობა ოსთათვის დიდი მოვლენა იყო. შევიდა თუ არა დავით აღმაშენებელი ოსეთში, „მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა." დავით აღმაშენებელმა ოსები და ყივჩაყები შეათანხმა და „ყო შორის მათსა სიყუარული და მშჳდობა ვითარცა ძმათა". ამ შეთანხმების სიმტკიცის საწინდრად დავით აღმაშენებელმა მძევლები ჩამოართვა ორივე მხარეს, თვითონ კი „აღიხუნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი. და შეჴმნა გზა მშჳდობისა ყივჩაყთათჳს".[2]

აღნიშნულ ფაქტს, რომელიც ასეთი დეტალური თანმიმდევრობით აქვს მოცემული დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, ამიერიდან ჩრდილოეთის ყველა გადასასვლელის ციხეები საქართველოს სამეფოს ხელში იყო. მეორე, ოსებისა და ყივჩაყების შერიგება და პირველთა საქართველოს ყმადნაფიცობა (ოსების მთავრები დავითის წინაშე „ვითარცა მონანი დადგეს") ქვეყანას ზურგს უმაგრებდა, ჩრდილოეთიდან მშვიდობას უზრუნველყოფდა. დავით აღმაშენებელს საშუალება ეძლეოდა, საქართველოს შეერთებული მხედრობა სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიემართა.

ნ. ბერძენიშვილი მიმოიხილავდა ამ ფაქტს და აღნიშნავდა: „გზა მშვიდობისა", რა თქმა უნდა, მხოლოდ ყივჩაყთა ლაშქრის გადმოსაყვანად არ სჭირდებოდა დავითს. ასეთი პირობა საჭირო და აუცილებელი იყო იმ მნიშვნელოვანი კულტურული ურთიერთობისათვის, როგორც საქართველოსა და ამიერკავკასიისა თუ „ჩრდილოის" ქვეყნებს შორის

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 336.

[2] იქვე.

არსებობდა ამ დროს. დავითის ეს საქმიანობა — დარიალის კარების ხელში აღება — იყო არა თავდაცვის აქტი ჩრდილოეთიდან მოწოლილ მომთაბარეთა შემოსევის წინააღმდეგ, არამედ ღონისძიება შეტევისა და გავლენის მიზნით კავკასიის მთიანეთსა და ამიერკავკასიის ხალხებზე. ეს ერთი ეპოქალური ტეხილი იყო დარიალის გზის ისტორიაში... გზის ეს მშენებლობა იმ დროის საქმეა, როცა საქართველოში (ეს ადგილი სულ ისტორიული საქართველოსი იყო) „ალდე-კარებსა" და „ჯზაჭრილებს" აკეთებდნენ, როცა დარიალით კარებს კი არ კეტავდნენ, არამედ ფართოდ აღებდნენ.[1]

ამრიგად, ყივჩაყები გადმოყვანილ იქნენ საქართველოში. დავით აღმაშენებელმა, მისივე ისტორიკოსის ცნობით, „ყივჩაყნი დააყენნა ადგილთა მათ მარჯუეთა დედა-წულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი",[2] ე. ი. დავით აღმაშენებელმა საქართველოში გადმოიყვანა ყივჩაყთა ორმოცი ათასი ოჯახი („დედაწულითა მათითა"). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი არ ასახელებს ადგილს, რომელზეც ყივჩაყები დასახლდნენ, ისე კი ამბობს, „ადგილთა მათ მარჯუეთა" დააყენაო დავით აღმაშენებელმა. ჩვენი აზრით, საფუძვლიანი უნდა იყოს ვარაუდი (ივ. ჯავახიშვილი, შ. მესხია, ა. კიკვიძე და სხვ.), რომ ყივჩაყების დასასახლებლად გამოყენებული იყო უმთავრესად ის ადგილები, რომლებიც ჯერ არაბთა, ხოლო შემდეგ თურქ-სელჩუკთა მძლავრობის დროს დაცარიელდა. ყივჩაყთა სწრაფი გაქრისტიანება და მათი შერწყმა ადგილობრივ (ქართულ) მოსახლეობასთან საქართველოს სამეფო კარის ინტერესებში იყო. ზოგიერთი მეცნიერის მიერ გამოთქმული მცდარი მოსაზრება დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაყების სომხურ ტერიტორიაზე დასახლებისა (და სომხური ქრისტიანობის მიღების) სრულიად მართებულად გააკრიტიკა შ. მესხიამ.[3]

საქართველომ გადმოყვანილი ყივჩაყებიდან მიიღო „წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი" მოლაშქრე. დავით აღმაშენებელმა ყივჩაყები რაზმებად („გუარად-გუარად") დაჰყო და დაუნიშნა სპასალარნი და მმართებელნი, ამასთან უზრუნველყო ისინი საჭურვლითა და ცხენებით. ყივჩაყები სწრაფად ასიმილირდნენ ქართველებში. უპირველესად ისინი ქრისტიანდებოდნენ: „უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითიდღე, და სიმრავლე ურიცხჳ შეეძინებოდა ქრისტესა". ამათ გარდა და-

---

1 ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 55.
2 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 337.
3 შ. მესხია, ძლევაჲ საკვირველი, გვ. 40-43.

ვით აღმაშენებელს ხუთი ათასი კაცი მონასპაში ჰყავდა „ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი; მისანდონი და გამოცდილნი სიმხნითა“.[1]

ამგვარად, დავით აღმაშენებელს ყოველი შემთხვევისათვის მზად ჰყავდა 45 ათასი გაწვრთნილი ცხენოსანი მოლაშქრე, ხოლო საჭირო შემთხვევაში მეფეს შეეძლო შეეყარა „თჳსისა სამეფოსა სპანი, რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენ-კეთილნი და პირშეუქცეველნი“. ამდენად, საქართველოს სამეფო XII საუკუნის ოციანი წლებისათვის სამხედრო თვალსაზრისით საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო იყო.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ყივჩაყები თავიანთი ოჯახებითურთ იქნენ გადმოსახლებული. ამასთან თითოეული ოჯახის ფეოდალური ვალდებულება იყო თითო მოლაშქრე მუდმივად მიეცა ქვეყნისათვის. ყივჩაყებს მეომრისათვის ყველა საჭირო ატრიბუტთან ერთად მიეცათ მიწა. ბუნებრივია, რომ ამ გზით შექმნილი ჯარი ჩვეულებრივი დაქირავებული გვარდია არ იყო. იგი არსებითად განსხვავდებოდა ისეთი დაქირავებული ჯარისაგან, როგორიც „როქის სპა“ იყო. ყივჩაყები უშუალოდ ჩაებნენ ფეოდალური საქართველოს ცხოვრებაში. მათი განსხვავება ქართველი გლეხისაგან სახელმწიფოსადმი ვალდებულება-დამოკიდებულებაში უნდა გამოხატულიყო. კერძოდ, ყივჩაყთა ვალდებულება მხოლოდ სამხედრო სამსახური უნდა ყოფილიყო, სხვა მხრივ კი ყივჩაყი მოსახლეობა, ალბათ თავისუფალი იყო. არ არის გამორიცხული ისიც, რომ სამხედრო სამსახური ბეგარის სახით დაწესებულიყო.[2]

ყივჩაყთა გადმოყვანისათვის ქმედითი ღონისძიების გატარება დავით აღმაშენებელმა 1118 წლის მეორე ნახევარში დაიწყო (ლორისა და აგარანის აღების შემდეგ) და უნდა ვიფიქროთ, რომ 1119 წელს მთლიანად მოაგვარა ეს საქმე (დაასრულა ყივჩაყთა ჩამოსახლება). იმავე 1119 წელს ჩაატარა ძირითადი საწვრთნელი სამუშაო.

ამგვარად, 1118-1119 წლებში ძირითადად გადაწყდა მუდმივი ლაშქრის შექმნის პრობლემა. ამ ლაშქრის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ ყივჩაყები. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით ისინი ორმოცი ათასი იყვნენ. მათ გარდა, მუდმივ ლაშქარში, როგორც დასტურდება, ქართველებიც იყვნენ. ვახუშტი ბაგრატიონისა და იოანე ბატონიშვილის მტკიცებით, დავით აღმაშენებელს ჰყავდა სამოცათასიანი მუდმივი ლაშქარი. აქედან თუკი ორმოცი ათასი ყივჩაყი იყო, ბუნებრივია, დანარჩენი ოცი ათასი ქართველი იქნებოდა. ვახუშტი ამ ლაშქარს „მარადის მცველს“ უწოდებს, იოანე ბატონიშვილი კი აღნიშნავს, რომ

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 337.

2 ა. კიკვაძე. დავით აღმაშენებელი, გვ. 38.

დავით აღმაშენებელს „ყოველთვის მზად ჰყავდა როჭიკით სამოცი ათასი მხედარი კაცი“.

ნიშანდობლივია, რომ დავით აღმაშენებელმა მუდმივი ლაშქრის წევრებს წინანდელთან შედარებით განსხვავებული „პატივი“ მიაგო (ვახუშტი ბატონიშვილი). როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელი ლაშქარს „როჭიკით“ (ყვება, ჯამაგირი) ინახავდა. მან აკრძალა ომების დროს წამოღებული ნადავლის მოლაშქრეთა შორის განაწილება („არღარა გაიყოფოდა საჰურჭლე სპათა ზედა“).

1120 წლისათვის საქართველოს ძლიერი ლაშქარი სრულ საომარ მზადყოფნაში იყო. მუდმივი ლაშქრის შექმნამ, საგანგებო გაწვრთნამ და მკაცრი დისციპლინის შემოღებამ დიდი სარგებლობა მოუტანა საქართველოს: ქვეყანა გაამაგრა, გააძლიერა, გარეშე მტრებს კი თავზარი დასცა. მუდმივი ჯარის შემოღებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს დავით აღმაშენებელს ბევრი დიდგვაროვანი ფეოდალი უწუნებდა, მაგრამ დიდმნიშვნელოვანმა ნაბიჯმა თავისი ნაყოფი გამოიღო. მუდმივი ლაშქრის შექმნის მეტად დიდ მნიშვნელობას ხაზს უსვამს საქართველოს სახელმწიფოს წარმატებები: „განიცადეთლა ოთხთა წელთა ქმნილნი მისნი, რომელთა მრავალგზის ქმნულთა მცირედი მეგულების თქუმად“.[1] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ეს სიტყვები ეხება იმ ოთხი წლის ღვაწლსა და ძლევამოსილებას, რომელიც მუდმივი ლაშქრის შექმნიდან (საერთოდ დავით აღმაშენებლის მიერ სამხედრო რეფორმის წარმატებით გატარების შემდეგ), 1120 წლიდან 1125 წლამდე მოიხვეჭა საქართველოს სახელმწიფომ.

ბ) სამხრეთ-აღმოსავლეთის მეზობლები

საქართველოს მსგავსად, მისი სამხრეთ-აღმოსავლეთის მეზობლები — სომხეთი და შირვანი (მასთან ერთად არანიც) დიდად დააზიანა თურქსელჩუკთა შემოსევებმა XI საუკუნის მეორე ნახევარში.[2]

---

[1] ქართლის ცხოვრება. I, გვ. 338.

[2] ნ. შენგელია, თურქსელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968. საერთოდ მახლობელსა და შუა აღმოსავლეთში თურქ-სელჩუკთა შემოსევებისა და მათი სახელმწიფოს შესახებ იხ: К. Э. Босворт, Нашествия варваров: появление тюрок в мусульманском мире. Сб. "Мусульманский мир, 950-1150", М., 1981, გვ. 20-35; C. E. Bosworth. The Political and Dynasnastic History of the Iranian World (A. D. 1000-1217). - "The Cambridge History of Iran, 5, The Saljuq and Mongol Periods", Ed. by J. A. Boyle, Cambridge, 1968, გვ. 1-202; C. Cahen, A Turkish Invasion: The Selchukids. – A History of Crusades. K. V. Setton General Editor. vol. 1. The First Hundred Years. Ed. by M. W. Baldwin. The University of Wisconsin Press, Madison, Milwaukee and London, 1969, გვ. 135-176; misive, The Turks in

ბიზანტიის იმპერიის უხეშმა ჩარევამ სომხეთის საშინაო საქმეებში დამანგრეველი გავლენა იქონია. სომხეთმა დაკარგა სახელმწიფოებრიობა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ის ნაწილი, რომელიც ბიზანტიელებმა მშობლიური მიწიდან აჰყარეს და იმპერიის სხვადასხვა მხარეში ჩაასახლეს. ასეთი, ფაქტობრივად დამცრობილ-დაჩაჩანაკებული, საკუთარ ხელისუფლებას მოკლებული სომხეთის დაპყრობა სელჩუკებს არ გასჭირვებიათ. თურქ-სელჩუკთა ოთხგზის დამანგრეველი დალაშქრის შემდეგ, სომხეთი ეკონომიკურ-კულტურული დაცემისა და ეთნიკური გადაშენება-გაქრობის საფრთხის წინაშე დადგა. ცალკეული სომხური სამეფოები (ლორე, სიუნიეთი) უბრძოლველად ჩაბარდნენ თურქ-სელჩუკებს და მათი მორჩილების ქვეშ იყვნენ. წარმოიქმნა დვინის, ანისისა და შაჰ-არმენების მუსლიმური საამიროები. თურქ-სელჩუკთა აგრესიისათვის ამიერკავკასიაში მნიშვნელოვან პლაცდარმად იქცა ქ. განძა, რომელიც 1068 წლიდან მათი გავლენის ქვეშ იყო. სწორედ აქედან დაიწყო ლაშქრობები სომხეთისა და საქართველოს წინააღმდეგ. განძის დაპყრობამ ფაქტობრივად განაპირობა თურქ-სელჩუკთა გაბატონება მთელს ირანში. შირვანშაჰმა ფარაბურზ პირველმაც იძულებით სელჩუკთა სასარგებლოდ ხარკი იკისრა და რეალურად გადამთიელი მტრის უღელქვეშ აღმოჩნდა.

სომხეთისა და შირვან-არანის დაპყრობა დიდი დანაკლისი იყო საქართველოსათვის. ამიერიდან სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით მოძმე ხალხების ნაცვლად მას დამპყრობელი გაუმეზობლდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ სამხრეთი საზღვარი ფაქტობრივად მორღვეული იყო.

* * *

დავით აღმაშენებლის ძლევამოსილი ბრძოლებისა და თურქ-სელჩუკების საქართველოდან გარეკვის შესახებ ზემოთ უკვე იყო აღნიშნული. პირველი დიდი ღონისძიება, რაც სომხეთის მიმართ იყო გატარებული, დავით აღმაშენებლის მიერ ლორეს აღება, ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს გაუქმება და საქართველოსთვის შემოერთება იყო. ვარდან ბარძბერდეცი

Iran and Anatolia before the Mongol Invasions. – A History of Crusades. vol. II. The Later Crusades, 1189-1311. Ed. by R. L. Wolf, H. W. Hazard. The University of Wisconsin Press, Madison, Milwaukee and London, 1969, გვ. 661-692; A. K. Lambton, The Internal Structure of the Saljuq Empire. - The Cambridge History of Iran... გვ. 203-283; misive, Continuity and Change in Medieval Persia. Aspects of Administrative, Economic and Social History, 11th-14th Century. New-York, 1987; F. Sanaullah, The Decline if the Saljuqid Empire, Calcutta, 1938.

გადმოგვცემს, რომ დავით აღმაშენებელმა საქართველოს შემოუერთა გაგი, ტერუნაკანი, კაინი, კაიწონი, ტავუში, მაჰკანაბერდი და სხვ.[1]

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დავით აღმაშენებლის მიერ შირაქის სამეფოს დედაქალაქის ანისის გათავისუფლებას და საქართველოსათვის შემოერთებას. დავით აღმაშენებელზე სომეხი ხალხის კურსის აღება არ იყო შემთხვევითი. საქართველოს მეფე XII საუკუნის ოციან წლებში ძლევამოსილი იყო და განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობდა. დავითის წინამძღოლობით ქართველი ხალხის წარმატებები აღაფრთოვანებდა სომხებს და იმედს უჩენდა, რომ საქართველოს დახმარებით თვითონაც შეძლებდნენ მომხდური მტრის ბატონობისაგან თავის დახსნას.[2] არ არის გამორიცხული, რომ ანელ თავადთა ორიენტაცია საქართველოს მეფეზე წინასწარი შეთანხმების შედეგი იყოს. მართებული გვეჩვენება ვარაუდი, რომ სამხრეთით დაინტერესებული დავით აღმაშენებელი გაითვალისწინებდა ანელი ქრისტიანების განწყობილებას, მათ სიძულვილს შედადიანებისადმი და გარკვეულ ღონისძიებასაც გაატარებდა მათი საქართველოს სამეფოსადმი კეთილად განსაწყობად. დავით აღმაშენებლის მოქმედება თანაგრძნობასა და მოწონებას პოულობდა სომეხ ხალხში, იმიტომ, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული სიახლოვე იყო, თანაც საქართველოს მეფე ებრძოდა სომეხი ხალხის დამპყრობლებს.[3] ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ სომეხმა ისტორიკოსებმა დიდების შარავანდით შემოსეს საქართველოს მეფე.

საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში მეტად საინტერესო მოვლენაა საქართველოს მესვეურთა მცდელობა სომხეთის ეკლესიის შემოსაერთებლად. სომხური ეკლესიის ქართულთან გაერთიანების სურვილმა განსაკუთრებულად იჩინა თავი დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პერიოდში. საქართველოს მეფე, რომელიც უდიდეს პატივს სცემდა სომხური სარწმუნოების აღმსარებლებს,[4] ცდილობს სომეხთა და ქართველთა სარწმუნოებრივ გაერთიანებას.[5] აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად საგანგებო კრება გაიმართა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ „შემოკრბა ოდესმე წინაშე მეფისა ნათესავი გუ-

---

1 Вардан Великий. Всеобщая история, пер. Н. Эмина, М., 1861, გვ. 146-147.

2 ჰ. მანანდიანი, სომეხი ხალხის ისტორიის კრიტიკული მიმოხილვა, ტ. III, გვ. 93 (სომხურ ენაზე).

3 С. Т. Еремян, Общность судеб и культурно-политическое содружество народов Закавказья в XI-XIII вв., сб. Кавказ и Византия, I, Ереван, 1979, გვ. 5-9.

4 ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი" და მათი ვინაობა, თბ., 1928, გვ. 33-35.

5 „ქართლის ცხოვრების" ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1953, გვ. 254.

ლარძნილი, ყოვლად ბოროტთა სომეხთა ეპისკოპოსები და მონასტერთა მათთა წინამძღურები მრავალი ფრიად, რომელნი აზმნობდეს თავთა თჳსთა მიწევნად თავს ყოვლისა სწავლულებისა და მეცნიერებებისასა. და მოაჯსენეს, რათამცა ყო ბრძანებითა მისითა კრება და ყველსმცა სიტყჳს-გება და გამოძიება სჯულისა: უკეთუ იძლივნენ სომეხნი, და იქმნენ თანაერთჳმა სჯულისა და თჳსი სჯული შეაჩუენონ; ხოლო უკეთუ .სძლონ სომეხთა, ესეოდენ მიემადლოს, რათა არღარა გჳწოდდეთო მწვალებლად და არცა შეგუაჩუენებდეთ".[1] აღნიშნულ დისკუსიაში საქართველოს მეფის მოწვევით მონაწილეობდნენ იოანე ქართლის კათალიკოსი, იმ დროის გამოჩენილი მეცნიერი არსენ იყალთოელი (განმანათლებელი ყოველთა ეკლესიათა), ეპისკოპოსები, მეუდაბნოენი, მეცნიერნი და სხვ. კამათი დილაადრიან დაწყებული და „ცხრა ჟამამდე" გაგრძელებული, მაგრამ საბოლოო დასკვნამდე ვერ მისულან. მაშინ თვით დავით აღმაშენებელი ჩარეულა პაექრობაში. საქართველოს მეფის სიტყვას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია საზოგადოებაზე. სომხებს დამარცხებულად უცვნიათ თავი („აღიარეს ცხადად ძლეულება თჳსი") და დარცხვენილები წასულან. მეფისთვის მიუმართავთ: „ჩუენ, მეფეო, მოწაფე გუეგონე ამათ მოძღუართა თქუენთა, გარნა, ვითარ ვხედავთ, შენ სამე ხარ მოძღუარი მოძღუართა, რომლის ბრჴალსა ვერ მიმწუთარ არიან ეგე მოძღუარ საგონებელნი თქუენნი".[2]

„ქართლის ცხოვრების" სომხურ თარგმანში არ ჩანს, რომ ქართველებმა გაიმარჯვეს პაექრობაში, თარგმანის მიხედვით, დავით აღმაშენებელმა „მარტივი და ცხადი სიტყვით დაიწყნარა ორივე მხარე და გაუშვა კრება".[3]

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებისა და მისი სომხური თარგმანის კრიტიკული განხილვა აშკარას ხდის, რომ საეკლესიო კრების მიზანი ქართული და სომხური ეკლესიების გაერთიანება იყო.[4] ეს აქტი კი ვერ განხორციელდა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, როგორც ჩანს, გადაჭარბებულად აფასებს კრების შედეგს, რადგან იგი ქართველების გამარჯვებად მიაჩნია, სომეხი მთარგმნელი კი თავშეკავებულია აღნიშნული საკითხის გადმოცემისას. იგი ზუსტად კი არ თარგმნის, არამედ კორექტივი შეაქვს ფაქტობრივი მასალის ასახვაში.

ფაქტია, რომ საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ ვერ მოახერხა სომხეთის ეკლესიის შემოერთება. ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმუ-

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 356.
2 იქვე, გვ. 357.
3 ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გვ. 254.
4 მ. ლორთქიფანიძე. საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის წარსულიდან. კრებ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 132.

ლია მოსაზრება, რომ სომხეთის ტერიტორიის შემოერთების შემდეგ ქართული ეკლესია იწყებს გრიგორიანი სომხების შევიწროებას მათი მართლმადიდებლობაზე მოქცევის მიზნით. კრების მოწვევის ფაქტში ჩვენ ვერ ვხედავთ დავით აღმაშენებლის მიერ რაიმე ძალადობის აქციის გატარებას. პირიქით, წყაროების მიხედვით, საეკლესიო კრება საკმაოდ დემოკრატიულად მიმდინარეობდა, ეს ფაქტობრივად დისკუსია იყო, რომელსაც უნდა გამოეჩინა ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც თითოეულ მიმდინარეობას (ქართული მართლმადიდებლობა, სომხური გრიგორიანობა) ჰქონდა.

მიუხედავად კრების შედეგისა (საქართველოს სამეფოს სურვილი ვერ განხორციელდა, სომხური ეკლესიის შემოერთების საკითხი კი დავით აღმაშენებლის შემდეგ ხანაშიც იდგა), ქართველ-სომეხთა ურთიერთობა მეგობრული და კეთილი იყო, სომხური ტერიტორიები კი დავით აღმაშენებლის დროიდან მოკიდებული საქართველოს უშუალო შემადგენლობაში იყვნენ (ეს დამოკიდებულება მონღოლების შემოსევამდე გაგრძელდა).

* * *

დავით აღმაშენებელი დიდ ყურაღდებას უთმობდა შირვანთან ურთიერთობის საკითხს მას შემდეგ, რაც კახეთ-ჰერეთი შემოერთებულ იქნა, შირვანი საქართველოს უშუალო მეზობელი გახდა და შირვანშაჰთან ურთიერთდამოკიდებულებას უფრო დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. გარკვეული პოლიტიკური შინაარსი იყო ჩადებული დავით აღმაშენებლის ასულის თამარისა და შირვანშაჰის მემკვიდრის ქორწინებაში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, როცა 1116 წელს მომხდარ ამბებს გადმოგვცემს, აღნიშნავს, რომ „მასვე წელსა ასული თჳსი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისად. რამეთუ პირველ ამისსა პირმშო ასული თჳსი თამარი გაეგზავნა დედოფლად შარვანისა, რათა ვითარცა ორნი მნათობნი — ერთი აღმოსავლეთს, ხოლო მეორე დასავლეთს — ცისკროვან ჰყოფდენ სფეროსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი".[1] თამარის ქორწინება 1105-06 წლებშია სავარაუდებელი.[2] დავით აღმაშენებლის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი გამიზნული იყო შირვანშაჰთან კეთილი დამოკიდებულების დასამყარებლად და

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 334.

2 ნ. ასათიანი, საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში, კრებ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 26. აკად. ზ. ბუნიატოვი ქორწინებას 1110-1116 წლებს შორის მიიჩნევს შესაძლებლად. იხ. მისი, Государство атабеков Азербайджана, Баку, 1978, გვ. 148.

მის ჩასაბარებლად თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში (ნ. ბერძენიშვილი). დავითის ასული თამარი დაქორწინებულია აფრიდუნ შირვანშაჰის ძეზე — მანუჩეჰრ. მეორეზე. მ. ბროსე და დ. ბაქრაძე თვლიდნენ, რომ თამარის ქმარი მანუჩეჰრი კი არა აღსითანი იყო, ამ მოსაზრების მცდარობა დაასაბუთა ე. პახომოვმა. მართლაც, აღსითანი (ქართული წყაროების აღსართანი) თამარის ქმარი კი არა, შვილი იყო. თამარის პირველი ისტორიკოსი პირდაპირ მიუთითებს, რომ აღსართანი გიორგი მესამის „მამის დის წული" იყო.[1]

როგორც ჩანს, ქორწინების აქტმა დავით აღმაშენებლის მოლოდინი არ გაამართლა და საქართველოს მეფე აქტიურ პოლიტიკურ მოქმედებაზე გადავიდა შირვანის მიმართ. მან რამდენიმეჯერ დალაშქრა ეს ქვეყანა. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, შირვანის ციხე-ქალაქებში საქართველოს მეფის გარნიზონები ჩადგნენ, საქმეთა გამგებლად კი ვაზირი სვიმეონი — ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი და ბედიელ-ალაველდელი იყო. აქედან მოკიდებული შირვანი ვასალურ დამოკიდებულებაში იყო ფეოდალური საქართველოს მონარქიასთან. საკარაუდოა, რომ სწორედ ამ დროიდან (XII საუკუნის ოციანი წლები) ატარებდნენ ქართველი მეფეები „შირვანშაჰის" ტიტულს.[2] ამ ტიტულით XII საუკუნის საქართველოს მეფეთა მოხსენიება წერილობით წყაროებში (სამართლებრივი ძეგლები და სხვ.) არის ერთ-ერთი მაჩვენებელი შირვანის ყმადნაფიცობისა საქართველოს მიმართ. იმ ფაქტზე, რომ XII საუკუნის ოციანი წლებიდან მონღოლთა შემოსევამდე, შირვანი საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყო, საგანგებოდ მიუთითებენ მკვლევრები. ასე მაგალითად, აკად ვ. ბარტოლდი წერს: Шарваншахи фактически были подчинены им (грузинским царям)... Сами грузинские цари тоже называли себя ширваншахами".[3] ან კიდევ: "На самом же деле Ширван находился тогда в полной зависимости от грузинских царей, которые сами приняли титул "Ширваншах".[4] აზერბაიჯანის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ე. პახომოვი წერს: "Еще в начале XII в., при царе Давиде IV Строителе, грузины многократно вторгаются в Ширван и подчиняют его своему

ქართლის ცხოვრება, II, გვ. 17.

2 ნ. ასათიანი, საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში, გვ. 39; შდრ.: ჯ. სტეფნაძე. XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის. კრებ.: ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 161.

3 В. В. Бартольд, Место прикаспийских областей в истории мусульманского мира, соч., т. II, ч. I, М., 1963, გვ. 692.

4 В. В. Бартольд, Ширваншах (Статья в "Энциклопедии ислама"), соч., т. II, ч. I, გვ. 877.

влиянию".[1] აი, ინგლისელი ორიენტალისტის ვ. მინორსკის დასკვნაც: "В начале XII века Ширван привлек к себе внимание западных соседей-грузин, царство которых переживало период подъема и экспансии. Грузины не раз вторгались в Ширван... В течение ста лет (вплоть до 1223 г.) Ширван испытывал грузинское влияние и грузинские цари прибавили Ширванша к числу своих титулов".[2]

ჩვენ არ შევჩერდებით საგანგებოდ ზემოთ მოტანილ ცნობილ ციტატებზე, რომ ზოგიერთ აზერბაიჯანელ ისტორიკოსს (ა. ალი-ზადე, რ. ჰუსეინოვი) არ შეეტანა ეჭვი საქართველო-შირვანის უკვე დადგენილ ურთიერთობათა ისტორიაში და საწინააღმდეგო მოსაზრებები არ გამოეთქვათ. რ. ჰუსეინოვი კატეგორიულად წერს: "... Что касается характера взаимоотношений Ширванского государства с Грузинским царством в XII в., азербайджанские историки пришли к заключению, что они были паритетными, и это находит свое подтверждение в политической и экономической жизни".[3] ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მოცემული განცხადების გაკეთება, ვფიქრობთ, არასწორია. სხვა რომ არაფერი ვთქვათ (წყაროები, ისტორიოგრაფია), უგულებელყოფილია თვით თანამედროვე ცნობილ აზერბაიჯანელ ისტორიკოსთა მოსაზრებები აღნიშნულ საკითხზე (საერთოდ, უნდა ითქვას, რომ რ. ჰუსეინოვის ზემოხსენებულ სტატიაში ბევრი სადავო საკითხია). ე. პახომოვი[4] და ბუნიატოვი[5] მიიჩნევენ, რომ შირვანშაჰები მოექცნენ დავით აღმაშენებლისა და სხვა ქართველი მეფეების გავლენის ქვეშ, რომლებმაც თავიანთ სრულ ტიტულატურაში შირვანშაჰის წოდებაც შეიტანეს. "Ширван в изучаемое время был политически и экономически отделен от Азербайджана и Аррана и более других испытывал на себе влияние усилившейся Грузии, которая, пользуясь междоусобицами в государстве атабеков Азербайджана, стала вмешиваться во внутренние дела соседних государств. В этом влиянии были заинтересованы и представители ширванской династии, поскольку Грузия могла поддержать владычество Ширвана и Южном Дагестане. Только путем мира и союза (в котором Ширван играл подчиненную роль) с Грузией

---

1 Е. А. Пахомов, Краткий курс истории Азербайджана, Баку, 1923, გვ. 15-16.

2 В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, М., 1963, გვ. 180.

3 Р. А. Гусейнов, Историография истории Закавказья XI-XII вв., Тюркологический сборник, М.,: 1976, გვ. 34.

იხ. მისივე. Краткий курс истории Азербайджана, გვ. 33.

იხ. მისივე. Государство атабеков Азербайджана, გვ. 151.

можно было обеспечить мир на западной границе владения Ширваншахов".[1]

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ შირვანის გამგებლად დავით აღმაშენებელმა სამეფო კარის პირველი ვაზირი დანიშნა. ეს კი იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკა შირვანში არა მხოლოდ სამხედრო ოკუპაციას, არამედ სამოქალაქო-ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებასაც ისახავდა მიზნად.

დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დროს შირვანის აღმოსავლეთ ნაწილში აღდგენილ იქნა შირვანშაპის ხელისუფლება ვასალური დამოკიდებულების პირობით, დასავლეთი ნაწილი კი საარიშიანოს შემოუერთდა, ე. ი. საკუთრივ საქართველოს საზღვრებში შემოვიდა.[2] საქართველო-შირვანის ამგვარი დამოკიდებულება მონღოლთა შემოსევებამდე გაგრძელდა. მთელი XII საუკუნის განმავლობაში საქართველო და შირვანი ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ.

გ) ურთიერთობა ბიზანტიასთან და ჯვაროსნებთან

დავით აღმაშენებლის დიპლომატიამ, მისმა აქტიურმა საგარეო პოლიტიკამ ბიზანტიასთან ურთიერთობის პრობლემებიც მოიცვა. XI საუკუნის თითქმის მთელ სიგრძეზე საქართველო ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო. 1071 წლის აგვისტოში მანასკერტის ბრძოლაში მძიმე მარცხის შემდეგ ბიზანტიის იმპერიის როლი და გავლენა თანდათან კლებულობს, განუხორციელებელი დარჩა ამიერკავკასიაში შესვლისა და საქართველოზე თავისი უზენაესობის განმტკიცების გეგმაც. დავით აღმაშენებელი ერთიანი საქართველოს მეფეთაგან პირველი იყო, რომელმაც უარყო ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები. ნიშანდობლივია, რომ XI საუკუნეში საქართველოს ყველა მეფე ატარებდა კურაპალატის, ნოველისიმოსის, სევასტოსის თუ კესაროსის ტიტულებს. თვით დავით აღმაშენებელი, როგორც ერთ-ერთი ხელნაწერიდან ჩანს, ჯერ კიდევ გამეფებამდე ატარებდა „სევასტოსის" ტიტულს. იგი ერთ საბუთში „პანიპერსევასტოსადაც" იწოდება.[3] ფაქტია, რომ დავით აღმაშენებელმა

---

1 З. М. Буниатов, Государство атабеков Азербайджана, გვ. 159.

2 ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთი კახეთის წარსულიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 257.

3 თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, ტფ., 1892, გვ. 236.

გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური წარმატებების მიღწევის შემდეგ უარყო ბიზანტიური ტიტულები. სწორედ ამიტომ, XI საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოკიდებული, იგი არცერთ წყაროში ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულით აღარ მოიხსენიება. ეს სრულიად გარკვევით მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ საქართველო ამიერიდან თავს ბიზანტიის იმპერიის თანატოლ ქვეყნად თვლიდა.

დავით აღმაშენებელი, რომელიც თურქსელჩუკთა ამიერკავკასიიდან განდევნისათვის იბრძოდა, კარგად გრძნობდა, რომ ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობა თანაბარ ვითარებაში აუცილებელი იყო. სწორედ ბიზანტიასთან ურთიერთობის განმტკიცების ინტერესმა გადაადგმევინა საქართველოს მეფეს ნაბიჯი დინასტიური ქორწინებისაკენ, როცა თავისი ქალიშვილი კატა 1116 წელს „გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისად". მიაჩნდათ, რომ დავითის ასული კატა დაქორწინდა ანა კომნენოსისა და ნიკიფორე კრიენიოსის უფროს ვაჟზე — ალექსიზე, მაგრამ, როგორც უკანასკნელ ხანს მეცნიერებმა (ო. ლორთქიფანიძე, ვ. კოპალიანი, შ. მესხია) დააზუსტეს, იგი მისთხოვებია ბიზანტიის იმპერატორის ალექსი კომნენოსის უმცროს ძეს — ისაკს, ასეთი დამოყვრების შემდეგ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ჰქონდა სრული უფლება განეცხადებინა, რომ საქართველოს მეფისათვის „მეფე ბერძენთა" იყო „ვითარცა სახლეული თვისი". ბიზანტიასთან ურთიერთობის კეთილმეზობლური პოლიტიკა არ შეცვლილა დავით აღმაშენებლის მეფობის ბოლო წლებამდე (დავითი არ ჩარეულა მისი სიძის ისაკისა და ალექსი კომნენოსის უფროსი ვაჟის იოანეს შორის ატეხილ უთანხმოებაში), რითაც საქართველოს სამეფომ უზრუნველყო სამხრეთ-დასავლეთი საზღვრების უსაფრთხოება.

დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოს გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა ჯვაროსნებთან. ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენა იყო. ჯვაროსნებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს ევროპისა და წინა აზიის ქვეყნებსა და ხალხებზე, საერთოდ მთელს მსოფლიოზე. ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ ვრცელი ლიტერატურაა შექმნილი.[1] ამ ომებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენიათ საქართველოს მოსახლეობაზე.

ნიშანდობლივია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვები, „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით

---

[1] см. М. А. Заборов, Введение в историографию крестовых походов. Латинская хронография XI-XIII вв., М., 1966; Историография крестовых походов (литература XV-XIX вв.), М., 1971; A. S. Atiya. The Crusade: Historiography and Bibliography. Bloomington, 1962; H. F. Mayer. Bibliographie zur Geschichte der Kreuzzüge. 2-te Aufl. Stuttgart, 1965.

და განამრავლნა სპანი და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს".[1] „ფრანგნით" დავითის ისტორიკოსი ევროპელ ჯვაროსნებს აღნიშნავს. ასე უწოდებდნენ მათ იმ დროს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მახლობელ აღმოსავლეთშიც. ჯვაროსანთა გამოჩენა თავისთავად უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო. მათი ყოველი ნაბიჯი „ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად" მხედველობიდან არ ეპარებოდათ თანამედროვეებს. (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც, იმისთვის, რომ ქრონოლოგიური დამაჯერებლობა შეიტანოს თავის მონათხრობში, ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორიც თურქ-სელჩუკებისათვის ხარკის შეწყვეტა და ქვეყნის მოშენება-გაძლიერება იყო, იერუსალიმისა და ანტიოქიის აღებას უკავშირებს).

ჯვაროსანთა გამოჩენამ, მათმა წარმატებებმა ახლო აღმოსავლეთში, დავით აღმაშენებლის პოლიტიკის გატარებას შეუწყო ხელი. თავის მხრივ საქართველოს მეფის წარმატებული ბრძოლა თურქ-სელჩუკებთან ჯვაროსნების წინააღმდეგ ასხამდა წყალს. ამიტომ იყო, რომ ჯვაროსნების მიერ ახლად დაარსებული სამთავროები თურქ-სელჩუკთა განდევნისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ საქართველოს თავიანთ მეგობრად თვლიდნენ. საქართველო იმ აღმოსავლეთის ერთ ნაწილს შეადგენდა, რომლის დაპყრობაც მიზნად ჰქონდათ დასახული ჯვაროსნებს. ამ უკანასკნელთაგან არც ხსნასა და შველას მოელოდა საქართველო; არც საჭიროებდა ამ დროს მათ დახმარებას და არც იფიქრებდა მათთან კავშირზე. მისი პოლიტიკური მიზანი, ფარგალი და საშუალებანი სულ სხვა იყო.[2] რა თქმა უნდა, საქართველო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას თვითონ აწარმოებდა და არავის იმედზე არ ყოფილა, არც სხვათა მიზანს შეადგენდა საქართველოს გათავისუფლება თურქ-სელჩუკთა ძალმომრეობისაგან, მაგრამ ფაქტია, რომ ჯვაროსანთა ბრძოლებმა ობიექტურად დადებითი გავლენა იქონიეს ქართველთა გამათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებაზე. ჯვაროსნებისა და საქართველოს მოქმედება, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად, ურთიერთსასარგებლო იყო. მაგრამ არსებითი განსხვავება იყო მათ მიზნებში. „ქრისტეს საფლავის" „უწმინდურთაგან" განთავისუფლების დროშით მოსილი ჯვაროსნების ნამდვილი, დამპყრობლური ზრახვები მალე გაირკვა, ჯვაროსნები ელტდნენ აღმოსავლეთის მოსახლეობას და დიდძალ ნადავლს მიეზიდებოდნენ, ისინი ქრისტიანთა სისხლის დაღვრასაც არ ერიდებოდნენ,

---

1 ქართლის ცხოვრება. I, გვ. 325-326.

2 ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. პარიზი, 1929; შ. ბადრიძე. საქართველო და ჯვაროსნები. თბ., 1973.

არც ის იყო გამორიცხული, რომ საჭირო და შესაძლებელ შემთხვევაში საქართველოს წინააღმდეგ გამოელაშქრათ (შ. მესხია). ერთი სიტყვით, ჯვაროსნები „წმინდა ადგილთა“ დახსნის ლოზუნგით დამპყრობლურ პოლიტიკას ახორციელებდნენ.

ზემოთქმულის გამო არ შეიძლებოდა საქართველოსა და ჯვაროსნებს ერთნაირი მიზნები ჰქონოდათ. ქართველი ხალხი მუსლიმანობის კი არა, არამედ საქართველოს დაპყრობა-ამოგდების მოსურნე თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ თვითმყოფადობის გადარჩენისათვის იბრძოდა. დავით აღმაშენებელს, რომელიც აღმოსავლეთში ქრისტიანობის დამცველად, „მესიის მახვილად“ იწოდებოდა, მუსლიმანების მიმართ, შემწყნარებლური პოლიტიკა, ხოლო მუსლიმანურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა, რაც საშინაო და საგარეო ვითარებით იყო განპირობებული. ამდენად, ფეოდალური საქართველოსა და ჯვაროსნების კავშირი დროებითი, გარკვეული მომენტისათვის შექმნილი პოლიტიკური ვითარებით იყო გამოწვეული.[1]

შემორჩენილია ცნობები, რომლებიც პირდაპირ მიგვანიშნებენ, რომ დავით აღმაშენებლის ლაშქარი ჯვაროსნებთან ერთად იბრძოდა იერუსალიმისათვის: „ვითარ ლაშქარნი ახლისა დავითისანი წყობათა დავითისთა იერუსალიმს ერთობდეს“ („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“), ე. ი. დავით აღმაშენებლის მოლაშქრეები იერუსალიმში დავით წინასწარმეტყველის რაზმებთან გაერთიანებული იყვნენო. ბუნებრივია, დავით წინასწარმეტყველის რაზმებში იგულისხმებიან ჯვაროსნები, რომელთაც იერუსალიმის (დავით წინასწარმეტყველის სატახტო ქალაქის) განთავისუფლება ეწადათ (კ. კეკელიძე).

დავით აღმაშენებლისა და ჯვაროსნების ურთიერთობაზე, კერძოდ, საქართველოს ლაშქრის მონაწილეობაზე იერუსალიმის (ქრისტეს საფლავის განთავისუფლებისათვის) ბრძოლაში მიუთითებენ პ. იოსელიანი, ვ. პოტტო და ნ. ურბნელი. ზ. ავალიშვილს მოაქვს მეტად საინტერესო ცნობა, რომლის მიხედვითაც „დავით აღმაშენებელი იერუსალიმის მეორე ფრანგ მეფეს ბალდუინს ხშირად საჩუქრებს უგზავნიდა“.[2] იოანე ბატონიშვილის „ქალმასობაში“ დაცულია ასეთი ცნობა: „მოვიდა დაფარვით დავრიშის სახით, მელიქშას შვილი ტანღან მელიქ სულთანი, გამსტრობად ივერიისა და ხილვად მეფისა დავითისა, და აგრეთვე ამავე სახედ ბერძენთა მეფე ალექსანდრე... ხოლო ამა რიცხვს შინა იყო ბოლდვოინ იერუსალიმის მეფედ, რომელმანცა მრავალი ძლევა მიიღო სარა-

---

[1] იხ. შ. მესხია. ძლევაჲ საკვირველი. გვ. 72-81.

[2] იხ. ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან, ნარკვევი: გარშემო ერთი ომისა, გვ. 70 — შენიშვნა.

ცინელთა ანუ არაბთა ზედა და ესე ბალდვოინ მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა მოთხრობისაებრ სხვათა ისტორიებთა... და ვერა რომელთამე ქართველთა სცნეს ამათი იდუმალ მოსლვა, და უკუნიქცნენ მასვე წელსა შინა". ამ ცნობაში შეიძლება ზოგი რამ საეჭვო იყოს, მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ დავით აღმაშენებელთან „დაფარვით" მოვიდა სხვადასხვა პოლიტიკური მოღვაწე. სრულიად შესაძლებელი ჩანს იერუსალიმის მეფე ბოლდუინ მეორის (1119-1131) კავშირი დავით აღმაშენებელთან. საგულისხმოა, რომ იოანე ბატონიშვილს ბოლდუინის ქართლში მოსვლის ამბავი შეუტანია „მოთხრობისაებრ სხვათა ისტორიებთა". სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით კონკრეტულად, თუ რომელი „ისტორიებიდან" ისარგებლა იოანე ბატონიშვილმა. სრულიად მართებულადაა მითითებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში (შ. მესხია, ვ. კოპალიანი, შ. ბადრიძე), რომ XII საუკუნის პირველი ოცეულის დასასრულს, როცა ჯვაროსნები ებრძოდნენ ილ-ღაზის და მის მოკავშირეებს, რომლის დროსაც დაიღუპა ანტიოქიის მთავარი როჟერი და ბევრი ევროპელი რაინდი, როცა იერუსალიმის მეფემ ბოლდუინ მეორემ თავს იდო სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლა და ანტიოქიის მმართველობა, ანტიოქიის შენარჩუნებისათვის კი ჯვაროსნები ძალზედ დაზარალდნენ, ამ უკანასკნელთ გამწვავებული ვითარება აიძულებდათ, მოკავშირე ეძებნათ და არ არის გამორიცხული, რომ მათ ამგვარ მოკავშირედ საქართველო ესახებოდათ. ასე რომ, საქართველოსა და ჯვაროსნების ერთმანეთთან კავშირი გარკვეულ ვითარებაში ურთიერთსასარგებლო იყო. ჯვაროსნებს ქრისტიანული საქართველო თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდა, დავით აღმაშენებელს კი ჯვაროსნების ეს ბრძოლა დამპყრობელთა განდევნას და მათზე გამარჯვებას უადვილებდა. შეიძლება გაზვიადებული იყოს, მაგრამ შემთხვევითი კი არა, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი იმ მეფეთა და ხელმწიფეთა შორის, რომელნიც საქართველოს მეფის „აჩრდილსა შეკრებილ იყვნეს" დასახელებული ჰყავს „მეფენი და ხელმწიფენი ფრანგეთისანი". ისტორიკოსი, „ფრანგებში" ჯვაროსნებს გულისხმობს (შ. მესხია).

წყაროებიდან აშკარაა, რომ დავით აღმაშენებელი მეტად პოპულარული იყო ჯვაროსანთა შორის. ზ. ავალიშვილის ჯვაროსნების დროისადმი მიძღვნილი ოთხი ნარკვევიდან ერთი მიძღვნილია იერუსალიმის წმინდა საფლავის მეფსალმუნის ანსელუსის (ანსოს) მიერ ძელი ცხოველის ნაწილებისაგან გაკეთებული ჯვრის შეძენისა და პარიზში გამოგზავნის ამბის გადმოცემისადმი.[1] ეს ამბავი მოცემულია ანსელუსის წერილში, რომელიც ზემოხსენებულ ჯვართან ერთად დაცული ყოფილა

---

[1] ზ. ავალიშვილი, „ერთი ჯვრის გარშემო". წიგნიდან „ჯვაროსანთა დროიდან". გვ. 13-40.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში. ამ წერილმა მკვლევართა ინტერესი გამოიწვია და სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ლათინურ, ფრანგულ და ქართულ ენებზე. ანსელუსის წერილი 1108 წლითაა დათარიღებული. თავის დროზე ს. ჯანაშიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ წერილი დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგაა დაწერილი. მართლაც, ანსელუსის წერილის შინაარსი ამას უპერს მხარს. წერილი გვაუწყებს: „ამ ჯვარსა დავით, მეფე ქართველთა, სანამ იცოცხლა, უაღრეს თაყვანისცემას და სიყვარულს უძღვნიდა; ის დავით, რომელს მისი წინაპრებივით, კასპიის კარი — გოგსა და მაგოგს რომ ზღუდავს — ეპირა და ედარაჯნა, რასაც შვილი მისიც აკმამდე ასრულებს, ვისი ქვეყანა და სამეფო მედელთ და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენი, ასე ვთქვათ, წინა ბურჯია.

შემდგომად დავითის სიკვდილისა და მისი შვილის გამეფებისა, მეუღლემ მისმა, უფრო სიწმიდისა, ვიდრე გვარიშვილობისათვის სათაყვანომ, თავი მოიკრიჟა, სარწმუნოების სამოსელი ინება და მცირეოდენ მხლებლით იერუსალიმს მოვიდა, ამ ჯვარის და ბევრი ოქროს თანწამოღებით, და იყო მისი წადილი არა შინ დაბრუნება, არამედ აქ მშვიდობასა და მყუდროებაში სიცოცხლის დასრულება“.[1]

მოტანილი მასალიდან სრულიად აშკარაა, რომ დავით აღმაშენებელი გარდაცვლილია. ჯერ ერთი, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ დავითმა „სანამ იცოცხლა“ თაყვანისცემასა და სიყვარულს არ აკლებდა ჯვარს; მეორე, პირდაპირაა მითითებული „დავითის სიკვდილისა და მისი შვილის გამეფების შემდეგ“ მისმა მეუღლემ ესა და ეს მოიმოქმედაო; მესამე, დავითის მეუღლე წარმოჩენილია, როგორც „უფრო სიწმინდისა, ვიდრე გვარიშვილობისათვის სათაყვანო“. ეს ალბათ იმიტომ, რომ ყივჩაყი ათრაქა შარაღანის ძის ასული გურანდუხტი „ქრისტეს სახელოვანი საფლავის კანტორისა და ხუცესისათვის“ — ანსელუსისათვის არ ყოფილა დიდ გვარიშვილად მიჩნეული, იგი მის სიწმინდეს უფრო მოუხიბლავს. გამომდინარე ყოველივე აქედან, ვფიქრობთ, ანსელუსის წერილში დავით აღმაშენებლის გარდაცვლილად მოხსენიება შეცდომის შედეგი არ უნდა იყოს (ზოგი მოსაზრებით, ეპისტოლეში დავით აღმაშენებელი შეცდომითაა გარდაცვლილად ნახსენები, „დავითის ქვრივიც“ ნამდვილი ქვრივი არ იქნებოდა, შესაძლებელია ეს „ქვრივი“ ის ქალი იყო, რომელიც დავით აღმაშენებელს ცოლად ჰყავდა, ვიდრე ის გურანდუხტზე დაქორწინდებოდა.[2]

ანსელუსის წერილი ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის დავით აღმაშენებლის დროის საქართველოს შესახებ, ხაზგასმულია მისი მნიშვნე-

---

1 ზ. ავალიშვილი. ერთი ჯვრის გარშემო..., გვ. 29.

2 იხ. შ. ბადრიძე. საქართველო და ჯვაროსნები, გვ. 16.

ლობა, როგორც კასპიის კარის დამცველისა და თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჯვაროსანთა „წინა ბურჯისა“. შემთხვევითი არ არის, რომ ანსელუსი საქართველოს უწოდებს „წინა ბურჯს“. ეს ფაქტი აშკარად მიგვანიშნებს, რომ საქართველოსა და ჯვაროსნებს შორის ახლო ურთიერთობა არსებობდა. საქართველო ჯვაროსნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც თურქ-სელჩუკები არსებითად ქვეყნის საზღვრებს გარეთ გარეკა (შ. მესხია).

ანსელუსის წერილში ჩანს უდიდესი პატივი და მოწიწება, რასაც იგი დავითის ჯვრის მიმართ იჩენდა:

„იმ ნიჭთაგან ღმერთმა რომ მომცა, ნიჭი ერთი, ფრიადი და შეუდარებელი, ესე იგი ჯვარი, წმინდა ჯვარის ძელითგან ქმნილი, მე თქვენმა მოყვარემ, თქვენი ეკლესიის, თქვენდა და თქვენის ქალაქი საპატივოდ, სასახელოდ და ასამაღლებლად, ანსელმს ერთგულსა თქვენსა გავატანე...

ხოლო ის ჯვარი თქვენ რომ გამოგიგზავნეთ ორი ძელითგან არის გაკეთებული. იქ რომ ჯვარია ჯვარში ჩადებული, ჩადებული იმ ძელისა არის რომელზედ ეკიდა; სადაც ჩართულია, იმ ძელისაა, ფეხთა ქვეშ რომ იყო და ჯვარს რომ ამაგრებდა; ორივე პატიოსანი, ორივე წმიდა“.[1]

ანსელუსი სწირავს ჯვარს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს და ვედრებით ითხოვს, დაიწეროს მისი წვლილის შესახებ ჯვრის გამოგზავნაში. იგი ჩასაწერად მზა ტექსტსაც სთავაზობს: „ანსელუსმა, ხუცესმა ჩვენმა, ჯვარი ესე, წმიდა ჯვარის ძელითგან ქმნილი, ჩვენს ეკლესიას და ჩვენ იერუსალიმით მოგვაწოდა“. ამასთან ითხოვს, რომ გარდაცვალების შემდეგ ლოცვებში მოიხსენიონ.[2]

ნიშანდობლივია, რომ იერუსალიმიდან პარიზში ჩამოსულმა ჯვრის მომტანებმა (როგორც ირკვევა, ჯვრის ჩამოტანა დავალებული ჰქონდა ბერს ანსელუს, რომელიც გარდაცვლილია და ეს მისია მის შვილს ფულკს შეუსრულებია) ეპისკოპოს გალონს ფონტენიდან აცნობეს დაბრუნების შესახებ. ეპისკოპოსი მთელი კრებულით წამოსულა ჯვრის შესახვედრად, რომელიც ურიცხვი ხალხის თანდასწრებით, ზეიმით მიიტანეს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში. „საფრანგეთში ეს თითქმის პირველი შემთხვევა იყო, რომ იესო ქრიტეს ჯვრის დიდი ნაკვეთი პირდაპირ იერუსალიმიდან მიეღოთ: და ეს ხის ნატეხი, ზღვის იქითგან მოტანილი ამ ღრმად და ბრმად მორწმუნე ფრანგებს ნამდვილ, ნივთიერ

---

[1] ზ. ავალიშვილი, ერთი ჯვრის გარშემო... გვ. 29.
[2] იქვე.

ნიშნად ეჩვენებოდა იმ სიმართლისა, რომლისთვის მათი მოძმე გმირი რაინდები პალესტინაში იბრძოდნენ".[1]

დავით აღმაშენებლის ჯვრის პოპულარობა მეტად დიდი ყოფილა. მისი ნახვის, თაყვანისცემის და მისგან მადლის მიღების მსურველთა რიცხვი დიდი იყო. მათი დაკმაყოფილების მიზნით შერჩეულ იქნა სენ-დენისის სწორი და ფართო ველი და დააწესეს, რომ ყოველი წლის ივნისის მეორე ოთხშაბათს აქ აღიმართებოდა ე. წ. ზღვის იქიდან მოტანილი ჯვარი (croix d'autre-mer). საგანგებო ტრიბუნიდან ეპისკოპოსი იქადაგებდა და შემდეგ ხალხს ამ განთქმული ჯვრით დალოცავდა, ჯერ აღმოსავლეთისკენ მიმართავდა, საიდანაც ეს ჯვარი იყო ჩამოტანილი, მეორე სამხრეთისკენ — პარიზისკენ, სადაც ჯვარი ინახებოდა.

ვფიქრობთ, საინტერესოდ სვამს კითხვას ზ. ავალიშვილი: ნუთუ დასაჯერებელია, რომ ქართველთა მეფე (მხედველობაშია დავით აღმაშენებელი) მემკვიდრეობით მიღებულ ყოველი ქრისტიანის თვალში უძვირფასეს საუნჯეს არ შეინახავდა საშვილიშვილოდ თავის ოჯახში და შვილს არ უანდერძებდა? განსაკუთრებით ისეთი მეფე, როგორიც დავით აღმაშენებელი იყო, რომლის ბეჭედზე ზედწერილი იყო: „ჯვარითა მტერთა მძლეველი — მე დავით ვარ უძლეველი"? მერე ბაგრატოვანთა საგვარეულოს რელიკვიად არ ჩაითვლებოდა ეს ჯვარი? მართებული ჩანს მოსაზრება, რომ ანსელუსის მიერ შეძენილი ჯვარი ქართველი მეფისეული ჯვარი (იერუსალიმიდან საქართველოში მოტანილი) კი არ იყო, არამედ მისი ერთი ნაწილი, ცალკე ჯვარად გაკეთებული და მოჭედილი.

საბოლოოდ, გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ანსელუსის წერილებში გადმოცემული ე. წ. დავით აღმაშენებლის ჯვრის მთელი ოდისეა ნათლად გვიჩვენებს XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოსა და მისი მეფის უაღრესად დიდ პოპულარობასა და ავტორიტეტს მთელს ჯვაროსნულ სამყაროში.

საქართველოსა და ჯვაროსნების ურთიერთობას მეტად საინტერესოდ გამოხატავს ამ უკანასკნელთა დამოკიდებულება იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრისადმი. ჯვაროსნების მიერ 1099 წელს იერუსალიმის აღების შემდეგ დაარსდა დასავლეთევროპული ტიპის მსხვილი სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო, რომელსაც იერუსალიმის სამეფო ეწოდებოდა. ამ დროიდან მოკიდებული სამეფოს ტერიტორიაზე მდებარე მართლმადიდებლური ტაძრები ლათინებმა დაისაკუთრეს, მაგრამ ქართველთა ჯვრის მონასტერს ხელი არ ახლეს. ჯვაროსანთა ეს მოქმედება განაპირობა იმ სამხედრო-პოლიტიკურმა ურთიერთობამ, რაც ქართვე-

---

[1] ზ. ავალიშვილი, ერთი ჯვრის გარშემო., გვ. 29.

ლებსა და ჯვაროსნებს შორის იყო. ჯვაროსნები, თურმე, ბევრ სიმდიდრეს სწირავდნენ ქართულ მონასტრებს, რის გამოც ისინი საგანგებოდ მოიხსენიებიან ალაპებში.[1]

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ დიდგორის ბრძოლის დროს დავით აღმაშენებლის ლაშქარში ჯვაროსნებიც („ფრანგნი") მონაწილეობდნენ, რაც ასევე მიგვანიშნებს საქართველოს კონტაქტებზე ევროპის ქვეყნებთან.

როგორც ვნახეთ, დავით აღმაშენებლის დროის საქართველოს ფართო მასშტაბის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილო კავკასიის (ოსები, ყივჩაყები, დაღესტნის ხალხები და სხვ.) ხალხებთან, ძველ რუსეთთან, სომხეთთან, შირვანთან, ბიზანტიასთან და ჯვაროსნებთან. დავით აღმაშენებლის დიპლომატია, მისი საგარეო პოლიტიკა აქტიური იყო და ფეოდალური საქართველოს პროგრესის — პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული წინსვლის საქმეს ემსახურებოდა.

* * *

XII საუკუნის დამდეგს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქვეყნის საბოლოო შემომტკიცების საკითხმა. დავითმა საქართველოს ერთიან სამეფოს შემოუერთა სამშვილდე (1110 წ.), რუსთავი (1115 წ.), გიში (1117 წ.), ლორე (1118 წ.). მართალია, მტერი თითქმის მთლიანად განდევნილი იყო, მაგრამ ვიდრე ამიერკავკასიის აღმოსავლეთი (შირვანი და რანი)[2] და სამხრეთი (სომხეთი) თურქ-სელჩუკთა ხელში იყო და საქართველოსთან მიმდებარე ყაბალ-განძა-ანისში თურქ-სელჩუკები ბატონობდნენ, საფრთხე მაინც მოსალოდნელი იყო. საქართველოს უშიშროების დაცვის საქმე მოითხოვდა ომის გადატანას ქვეყნის საზღვრებს გარეთ. კავკასიის მოძმე ხალხები თვითონაც ებრძოდენ მომხდურ თურქ-სელჩუკებს და ყოველთვის მზად იყვნენ, მხარში ამოსდგომოდნენ მებრძოლ ქართველებს საერთო მტრის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ამიერკავკასიის ხალხებს ერთი მოსაზრება ამოძრავებდათ — განედევნათ სელჩუკი დამპყრობლები თავიანთი მიწა-წყლიდან, რასაც ამიერკავკასიის პოლიტიკური გაერთიანება მოჰყვებოდა.

ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.). თბ., 1962, გვ. 56.

[2] იხ. გ. ჯაფარიძე. დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (განჯაზე ლაშქრობა 1110 წ.). მაცნე, 1992 წ. №4. გვ. 84-89.

საქართველოს სამეფო კარის ღონისძიებებმა ქვეყანა გაამაგრა და გააძლიერა. სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტი განუზომლად გაიზარდა. დავით აღმაშენებელმა ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარე თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა და ხელისუფლების სრული კონცენტრირება მოახდინა: საქართველოს მეფე თვითმპყრობელი გახდა.

* * *

ქართველი ერის სამართლიანი ბრძოლების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დიდგორის ბრძოლას. ცნობები ამ ბრძოლის შესახებ და აგრეთვე მისი შეფასება გვხვდება როგორც ქართველ, ისე უცხოელ ისტორიკოსთა ნაშრომებში.

ფართო მასშტაბის ენერგიული ღონისძიებების შემდეგ საქართველოს სამეფო კარი აქტიური ბრძოლის ტაქტიკას ირჩევს მომხდური მტრის დასამარცხებლად და საქართველოს საბოლოოდ შემოსამტკიცებლად (საქართველოს დედაქალაქი თბილისი ჯერ კიდევ არ იყო შემოერთებული). ბუნებრივია, საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებითა და გააქტიურებით შეშფოთებული იყვნენ მაჰმადიანური მფლობელებიც, სათანადო მომენტს უცდიდნენ მის წინააღმდეგ გასალაშქრებლად...

მაჰმადიანთა გაერთიანებული ლაშქრის საქართველოზე თავდასხმის ორგანიზატორი და წამომწყები ჩანს ერაყის სელჩუკიანთა გამგებელი, სულთანი მაჰმუდ მუჰამედის ძე (1118-1131). მან მიმართა მაჰმადიანებს — ვინც კი სადმე იყო, დამასკოდან და ალეპოდან მოკიდებული, ყველას, მოლაშქრეობის შემძლებელს, მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს წინააღმდეგ ომში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, „სულთანმა მოუწოდა არაბეთის მეფეს დურბეზს, სადაყას ძესა და მოსცა ძე თ'ჯსი მალიქი და ყოველი ძალი მისი. და აჩინა სპასალარად ელღაზი, ძე არდუხისი... და უბრძანა... ამათ თანა ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა და ყოველთა სომხეთისა ამირათა".[1]

კოალიციური ლაშქრის რაოდენობა სომეხი ისტორიკოსის მათეოს ურჰაეცის მიხედვით, შეადგენდა 560000 კაცს. ანტიოქიის სამთავროს კანცლერის, ფრანგი გოტიეს ცნობით, კოალიციურ მოლაშქრეთა რიცხვი 600000-ს აღწევდა. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ მტრის ლაშქარი დიდგორის ბრძოლისას 300000 მეომრისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი.

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 340.

რამდენი მოლაშქრე გამოიყვანა დავით აღმაშენებელმა? გოტიეს ცნობით, დავით აღმაშენებელი 80000 მხედრით გავიდა საბრძოლველად. ეს მონაცემიც გაზვიადებული ჩანს. უფრო დასაჯერებელია მათეოს ურჰაეცის საკმაოდ დეტალური ცნობა საქართველოს ლაშქრის რაოდენობის შესახებ. მის მიხედვით, დავით აღმაშენებელმა დიდგორის ბრძოლაში საომრად გაიყვანა 55600 მოლაშქრე, აქედან 40000 ქართველი, 15000 ყივჩაყი, 500 ალანი და 100 ევროპელი მეომარი. დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ველზე გამოყვანილი ლაშქრის უდიდეს უმრავლესობას (ორ მესამედს) ქართველები შეადგენდნენ. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ გადამწყვეტ მომენტში ძირითად ძალას ქართულ ლაშქარში სწორედ სამეფო სპა — ქართველები შეადგენდნენ.

თურქსელჩუკების კოალიციურ ჯარსა და დავით აღმაშენებლის ლაშქარს შორის გენერალური ბრძოლა დიდგორთან გაიმართა. საქართველოს ჯარი დავით აღმაშენებელმა დიდგორის მიდამოებში განალაგა. გოტიეს გადმოცემით, დავით აღმაშენებელმა ბრძოლის დაწყების წინ მგზნებარე მოწოდებით მიმართა თავის ლაშქარს: „ მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძვით, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთს რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება — ესაა, რომ ჩვენ ყველამ, ხელთა ცისადმი აღპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე უფრო მოკვდებით, ვიდრე გავიქცევით. და რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შევსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შეკვრათ და მტრებს, როცა მოგვიახლოვდებიან ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით სასტიკად შევუტიოთ“.

დავით აღმაშენებლის სიტყვიდან აშკარა ხდება, რომ ქართული ლაშქარი იდგა ხეობაში, რომლის შესასვლელიც საგანგებოდ ჩაუხერგავთ. ეს, რასაკვირველია, საგანგებო ღონისძიება იყო. ქართველ მოლაშქრეთა წინაშე იდგა ერთი ამოცანა — ან გამარჯვება, ან ზურგშეუქცეველი სიკვდილი.

1121 წლის 12 აგვისტო, ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათი...

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, საქართველოს ლაშქრის სარდლობის მიერ გატარებული სტრატეგიული და ტაქტიკური სიახლეებისა და მებრძოლთა თავგანწირული შემართების წყალობით დიდგორის ბრძოლა სამ ჟამს (საათს) გაგრძელებულა... მტერი სასტიკად დამარცხდა. ქართველთა ლაშქრის და მისი სარდლობის დამსახურება ის იყო, რომ გაქცეულ მტერს შეკავშირებისა და გაერთიანების საშუალება არ მისცა, კონტრშეტევის ყოველგვარი საშუალება მოუსპო და მისი

სრული მარცხი განაპირობა. ამრიგად, ქართველმა მოლაშქრეებმა 1121 წლის 12 აგვისტოს მაჰმადიანურ კოალიციურ ჯარებთან მეტად რთულ და, ამავე დროს, არსებითად გადამწყვეტ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

დიდგორის ბრძოლის წარმატებით მოგების შემდეგ საქართველოს სამეფოსთვის თბილისის შემოერთებას წინ აღარაფერი ედგა. საქართველოს ძველი დედაქალაქისა და სხვა ქალაქების დამორჩილება ფაქტობრივად დიდგორის ბრძოლის გაგრძელება იყო. „მეორეს წელსა აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებულ სპარსთა, და დაუმკუდრა შვილთა თჳსთა საჴურჯლედ და სახლად თჳსად საუკუნოდ".[1] ამგვარად, თბილისი 1122 წელს იქნა შემოერთებული და საქართველოს სატახტო ქალაქი კვლავ აქ გადმოიტანეს.

დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა შირვანი (1123 წ.) და ანისი (1124 წ.). მისმა გეგმაზომიერმა საქმიანობამ „დაამშვიდა ქვეყანა... განავსო და აღაშენა ყოველი ოხერ-ქმნილი". ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ „ სულტანი დასუა მოხარკედ თჳსა, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარცა სახლეული თჳსი: დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი, მრწემად მოიყვანნა მეფენი, ხოლო მონად ჴელმწიფენი; მეოტად წარიქციენა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტუერად დასვა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი".[2]

* * *

დავით აღმაშენებლის დროს ერთიანი და ეკონომიკურად ძლიერი საქართველოს წინსვლა მის განათლება-კულტურაშიც გამოიხატა. აქ მოხდა ქრისტიანული (ბიზანტიური) და მაჰმადიანური კულტურების შეხვედრა-შერწყმა. განვითარდა საერო ლიტერატურა, აშკარად შეიმჩნია მხატვრობის, ოქრომჭედლობისა და ხუროთმოძღვრების აღმავლობა.

დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულმა მრავალმხრივმა ღონისძიებებმა (აქ მნიშვნელოვანი როლი დიპლომატიასაც ეკუთვნის) განაპირობა წარმატებები ქვეყნის პოლიტიკური დაწინაურებისა და ეკონომიკური მომძლავრების საქმეში.

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 342.
[2] იქვე, გვ. 351.

X თავი. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XII საუკუნის 30-80-იანი წლების დამდეგს

დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის დიპლომატია

საქართველომ XII საუკუნის პირველ მეოთხედში მოიგერია თურქი მომთაბარეები. აქედან მოყოლებული XIII საუკუნის 20-იან წლებამდე საქართველო დროდადრო ებრძოდა მეზობელ თურქულ სახელმწიფოებსა და საამირო-სასულთნოებს. ეს ომები ძირითადად სომხეთისა და რანშირვანის საქმეთა მოსაგვარებლად წარმოებდა. თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს მხარდამხარ სომხეთისა და რან-შირვანის მოძმე ხალხებიც გამოდიოდნენ.

დავით აღმაშენებლის ძის დემეტრეს მეფობის დროს (1125-1156) მუსლიმური სახელმწიფოები ცდილობდნენ, ხელთ ეგდოთ ამიერკავკასიის მიწები. ქართველები იძულებული ხდებიან, ზოგი ადგილი დაუთმონ მტერს (მაგ., ანისი კვლავ მუსლიმი მფლობელის ხელთ გადავიდა ყმადნაფიცობის პირობით). 1138-1139 წლებში ქართველებმა განძა აიღეს,[1] მაგრამ ვერ შეინარჩუნეს და ეს ქალაქი დიდხანს დარჩა მუსლიმანთა საყრდენ პუნქტად საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

დავით აღმაშენებელმა თავისი რეფორმებით ლახვარი ჩასცა დიდგვარიან ფეოდალთა აღვირახსნილობას, მაგრამ დიდაზნაურობის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები, ცხადია, ხელუხლებელი დატოვა. ამიტომ იყო, რომ შემდგომში კვლავ ცდილობდნენ დიდაზნაურები თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაფერისი პოლიტიკური უფლებების მოპოვებას. ისინი ყველა ხერხს მიმართავდნენ მეფის ძალაუფლების დასამცრობად და დასასუსტებლად. სწორედ დიდ ფეოდალთა ჯგუფის მხარდაჭერის შემდეგ იყო ის, რომ დემეტრე მეფეს ტახტს ეცილებოდნენ ჯერ მისი ძმა ვახტანგი, ხოლო შემდეგ უფროსი შვილი დავითი. ამ უკანასკნელმა მამას მეფობაზე ხელი ააღებინა და თვითონ მიიტაცა სამეფო გვირგვინი. დავითს ერთი წელიც არ უმეფია,

---

[1] მხითარ გოშისა და იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის ცნობებით, ქართველთა ლაშქრობა განძაზე მოაყვა დიდ მიწისძვრას, რომელმაც მთლიანად დაანგრია ეს ქალაქი და მრავალი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ეს მიწისძვრა თარიღდება 1139 წლის 30 სექტემბრით. იხ.: З. М. Буниятов, Новые материалы о землетрясении в Гандже в 1139 г. "Доклады АН Азербайджанской ССР", т. XXI, №1, 1965, გვ. 55-57. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ განძის კარებზე, რომელიც დემეტრემ ამ ლაშქრობიდან ნადავლის სახით წამოიღო და რომელიც დღემდე გელათშია დაცული, მითითებულია, რომ ის ჩამოტანილია დემეტრეს მეფობის მე-13 წელს, ე. ი. 1138 წელს იხ.: M. Brosset, Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l'Armenie en 1847-1848. 3e et derniere livraison. St. Pb., 1851-1852, გვ. 40–41.

იგი გარდაიცვალა. ტახტი კვლავ დემეტრემ დაიკავა და 1156 წელს ტახტზე თავისი შვილი გიორგი (მეფობაში გიორგი მესამედ წოდებული) აიყვანა.

* * *

გიორგი მესამის პოლიტიკის ძირითად ხაზს ჩრდილოეთ სომხეთისათვის ბრძოლა შეადგენდა. XII ს-ის 60-70-იან წლებში ამ მიმართულებით საქართველოს სამეფოს უპირისპირდებოდნენ: ელდიგუზიანთა მძლავრი საათაბაგო (რომელმაც ფაქტობრივად დაიქვემდებარა ერაყის სელჩუკთა სასულთნო),[1] შაჰ-არმენთა სახელმწიფო (რომლის ბირთვიც იყო ვანის ტბის რეგიონი) და მცირე თურქული (აჰდაბიანთა, ართუკიანთა, ყარსის, სურმარისა და არზრუმის (საამიროები),[2] რომლებიც წარმოიქმნა სელჩუკთა სახელმწიფოს რღვევის პროცესში. გიორგი მესამემ არაერთხელ სასტიკად დაამარცხა მეზობელ მუსლიმთა კოალიციური ძალები, ახორციელებდა მარბიელ ლაშქრობებს მათ სამფლობელოებზე.[3] რამდენჯერმე დაიკავა ჩრდილოეთი სომხეთის უმნიშვნელოვანესი ქალაქები: ანისი (1161,1164, 1174 წწ.) და დვინიც (1162 წ.), მაგრამ ამ ქალაქების შენარჩუნება ვერ შეძლო. საქართველოს მეზობელმა თურქულმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ვრცელ ტერიტორიებს ფლობდნენ და საომარი ოპერაციებისათვის დიდძალი ცოცხალი ძალები გააჩნდათ, შექმნეს თავდაცვის ეფექტური სისტემა, რომლის დაძლევაც იმ ხანებში არ მოხერხდა. დვინი შევიდა ელდიგუზიანთა საათაბაგოს შემადგენლობაში, ანისში კი XII ს-ის მიწურულამდე გახანგრძლივდა ქურთული წარმოშობის შადადიანთა ბატონობა. მაგრამ იმავე თურქულ სახელმწი-

---

[1] ელდიგუზიანთა სახელმწიფოს შესახებ იხ.: З. М. Буниятов, Государство атабеков Азербайджана, Баку, 1979; Р Гусейнов, Иракские Сельджукиды, Ильдегизиды и Закавказье. Палестинский сборник, 21(84), М., 1973, გვ. 191-198; C. E. Bosworth, Ildenizids or Eldigüzids. "The Encyclopaedia of Islam", vol. III, fasc. 57-58, 1970, გვ. 1110-1111.

ამ სახელმწიფოთა პოლიტიკური ისტორიისა და საზღვრების შესახებ იხ. გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში. სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1994, გვ. 65-84.

ერთ ასეთ მძლავრ მარბიელ ლაშქრობაზე, რომელიც განახორციელა გიორგი მესამემ დაახლოებით 1164-1173 წლებში, მოგვითხრობს „ისტორიანი და აზმანი": „მეფემ უბრძანა ტაოელთა, კლარჯთა და შავშთა მორბევა ოლთისისა და ბანისა, მესხთა და თორელთა — კარისა და აშორნისა, და ამირ-სპასალარსა და სომხითართა — მტკუარს აქეთ ვიდრე განძამდის; თჳთ ხასაგანიანთა, ლიხთ-იმერთა და ქართველთა — განძას დამართებით მტკუარის პირი იმიერ და ამიერ ხოლთამდის, ჰერთა და კახთა — ალაზნის შესართავით, ვიდრე შარვანამდის" (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 15-16).

ფოებთან ბრძოლებში[1] გიორგი მესამემ დაიცვა საქართველოს სამეფოს ტერიტორიული მთლიანობა. მისი შიდა რაიონები არასოდეს დაურბევია მტერს და ქვეყანა საიმედოდ იყო დაცული მომთაბარეთა თარეშისაგან. გიორგი მესამე აკონტროლებდა დიდ სივრცეს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. მისი ყურადღების ცენტრში იყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაც, კერძოდ კი შირვანი, რომელსაც განაგებდა მისი დისწული და ყმადნაფიცი აღსართანი. 1173 წელს რომ შირვან-შაჰი „დაჭირვებული დარუბანდელ ხაზართაგან" შველას შეეხვეწა საქართველოს მეფეს, გიორგი ჯარით დაეხმარა მას. ქართველთა მხედრობა მივიდა დარუბანდის კარამდე, მოარბია მუსკურისა და შარაბამის მხარეები და აიღო ქ. შაბურანი. როგორც „ისტორიანი და აზმანი" გადმოგვცემს, შაბურანი საქართველოს მეფეს აღსართანისთვის უწყალობებია.[2]

შარვანზე გავლენის განმტკიცება საქართველოს პირდაპირ ინტერესებს ემსახურებოდა. აბრეშუმით მდიდარი შარვანი შემოსავლის წყარო იყო საქართველოსათვის. შარვანიდან ქართველები საფრთხეს უქმნიდნენ განძას, რომელიც თურქების მთავარი დასაყრდენი იყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და, ბოლოს, საქართველო თანმიმდევრულად ატარებდა ქრისტიანული ქვეყნების შემოკრებისა და მათ ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების პოლიტიკას.

მწვავე სამხედრო-პოლიტიკურ დაპირისპირებასთან ერთად საქართველოს სამეფო კარი და მეზობელი მუსლიმი გამგებლები ერთმანეთთან ურთიერთობაში ფართოდ იყენებდნენ დიპლომატიის ენასაც. აღსანიშნავია ელდიგუზიანთა წინააღმდეგ საქართველოს სამხედრო პოტენციალის

---

[1] ამ ბრძოლების შესახებ იხ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია. ტ. II. გვ. 229-245; მ. ლორთქიფანიძე. ანისისათვის ბრძოლის ისტორიიდან XII ს-ის საქართველოში. კრ. „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები". წიგნი I. თბ., 1970. გვ. 107-119; მისივე. საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარება XII ს-ის მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასასრულამდე. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები". ტ. III. თბ., 1979. გვ. 268-286; პ. თოფურია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII ს-ში. თბ., 1975. გვ. 221-224; ჯ. სტეფნაძე. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში. თბ., 1974. გვ. 49-55; მისივე. საქართველო XII ს-ისა და XIII ს-ის პირველ მეოთხედში. თბ., 1985. გვ. 127-130; გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური საკუთრო. გვ. 102-116; W. Minorsky. studies in Caucasia History, London, 1953. გვ. 90-101.

[2] ამ ლაშქრობას ადრე 1167 წლით ათარიღებდნენ (ივ. ჯავახიშვილი). 1173 წელს მოღებული აქვთ ვ. მინორსკის და ჯ. სტეფნაძეს — V. Minorsky. Khaqani and Andronicus Comnenus. Iranica. Twenty Articles. Cambridge, 1964. გვ. 128; Дж. Степнадзе. К датировке похода Георгия III в Ширван. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. 65. №3. 1972. გვ. 749-751; იხ. აგრეთვე პ. თოფურია. დასახ. ნაშრ., გვ. 217; ბ. ბუნიატოვი გიორგი მესამის ლაშქრობის თარიღად ასახელებს ჰიჯრის 569 (1173-74. ხოლო ს. აშურბეილი — 570) 1174-75 წწ. იხ. З. М. Бунятов, Государство атабеков Азербайджана, გვ. 157; С. Ашурбейли, Государство Ширваншахов, Баку, 1983 გვ. 141.

გამოყენება დიპლომატიური არხებით, სცადეს აბისიანთა ხალიფა ალ-მუსთანჯიდმა და მისმა გავლენიანმა ვეზირმა იბნ ჰუბაირამ (1160 წ.). აქტიური იყო დიპლომატიური კონტაქტები ელდიგუზიანებთან. ამ დროს ელჩები მსტოვართა ფუნქციებსაც ასრულებდნენ. დაახლოებით 1164 წელს ანისისათვის ბრძოლის დროს საქართველოს სამეფოსა და ელდიგუზიანთა დაზავებაში დიდი როლი შეასრულა დემეტრე პირველის ასულმა რუსუდანმა.[1]

საერთოდ, ბევრი მოვლენა იმდროინდელ ამიერკავკასიაში გიორგი მესამის სახელთან იყო დაკავშირებული. 1173 წლის შირვანის ამბებთან დაკავშირებით აკად. ვ. ბარტოლდი წერდა: "Сын и преемник Менучехра II, Ахситан, пожалуй, должен был быть обязан своей победой над русским флотом под Баку, а также отвоеванием Ширвана и Дербента своему могущественному родственнику, союзнику и верховному повелителю – царю Георгию III.[2] ეს ეპითეტები "могущественный" და "верховный повелитель" სავსებით შეესაბამება საქართველოს და მისი მეფის ავტორიტეტს XII ს-ის წინა აზიასა და კავკასიაში. ამაზე მეტყველებს აგრეთვე არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის ცნობა: სირიის მძლავრი გამგებელი, სახელგანთქმული ნურ ად-დინ მაჰმუდ ბ. ზენგი, რომელიც სავსებით მართებულად თავის დამსახურებად თვლიდა ფრანკების – ამ „უმამაცესი ხალხის" – სამფლობელოთა დიდი ნაწილის დაპყრობას, 566/1170-71 წელს საყვედურობდა ალ-ალბაგ შამს ად-დინ ელდიგუზს იმის გამო, რომ მან, უდიდესი სახელმწიფოს გამგებელმა ვერ უზრუნველყო უსაფრთხოება თავისი საზღვრებისა, რომლებიც ქართველებმა დაიპყრეს.[3] საგულისხმოა ქართველი შუმატიანის მითითებაც: გიორგის „სძღუნობდეს და სძმობდეს... მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალმანთანი, და ჰრომთანი, და ჰინდოთანი და ხონელნი და ეგრეთვე სულტანნი ხორასნისა, ბაბილოვნისა, შამისა, ეგვიპტისა და იკონიისანი ჰმონებდეს და შემდგომნი ამათნი სკჯნი, ხაზარნი, ალანნი, ხუარასანი და ხუარაზმშა, შუამდინარელნი და ყოველნი ენანი და ნათესავნი მაშრიყით მაღრიბამდე".[4] მიუხედავად გარკვეული გაზვიადებისა, ეს ცნობა სრულიად აშკარად მიუთითებს გიორგი

---

1 Садр ад-дин Али ал-Хусайни. Ахбар ад-даулат ас-селджукийя, Издание текста, перевод и примечания З. М. Буниятов, М., 1980, გვ. 131-139; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 13-14, 15; გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 101.

2 В. В. Бартольд, Ширваншах. Сочинения, т. II, ч. I, М., 1963, გვ. 877.
გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 117. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, „ქართლის ცხოვრება", II, გვ. 22-29.

მესამის ავტორიტეტზე და მის კონტაქტებზე საერთაშორისო ასპარეზზე.

ამრიგად, XII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველო პოლიტიკურად ძლიერი ქვეყანაა. მას საკმაოდ დიდი გავლენა და ავტორიტეტი აქვს მოპოვებული საერთაშორისო მასშტაბით. საქართველოს მეფე ძლიერი და პატივცემულია. რაც შეეხება ქვეყნის საშინაო მდგომარეობას, აქ უფრო რთულადაა საქმე. XII საუკუნის მეორე ნახევრის ფეოდალური საქართველოს განვითარება ისეთ სტადიაში იმყოფებოდა, რომ ეს სირთულე აშკარად გამოჩნდა.

* * *

XII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს საზოგადოების განვითარება მეტად რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა, რომლის ერთ-ერთი ნიშანი იყო ფეოდალური წარმოებიდან გამოძევებულთა, ე. წ. „ტლახაკთა" სიმრავლე, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა მატერიალური დოვლათის მწარმოებელ მოსახლეობას. საზოგადოების განვითარებაში კრიზისის მომასწავებელი იყო „მეკობრეთა" სიმრავლე („მეკობრენიც" ფეოდალური წარმოებიდან გამოძევებულნი იყვნენ). ამ კატეგორიის წარმომადგენელთა ლიკვიდაცია სამეფო კარისათვის მეტად მტკივნეულ საკითხად იყო გადაქცეული. თავისთავად კრიზისის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს სამეფო ლაშქარში შეიმჩნეოდა მიდრეკილება ქონების შეძენის მიზნით უცხო ქვეყნების ბოლომოუღებელი რბევისადმი. აღსანიშნავია, რომ, საკუთარი სურვილის წინააღმდეგაც კი, ამ საქმეს წინ ვერ აღუდგა თვით მეფეც.

ქვეყნის ძლიერებაში შეპარულ ბზარზე მოწმობს ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში ფართოდ იყო გავრცელებული დიდებულთა მოღალატური განწყობილება, გახშირდა გარეშე დამპყრობელთა მხარეზე გადასვლა.

გაძლიერებული დიდებული აზნაურები ველარ ეგუებოდნენ მეფის თვითმპყრობელობას და შეუვალობაზე ფიქრობდნენ. უკმაყოფილონი იყვნენ დიდაზნაურთა ხელქვეითი აზნაურები, რადგან მათ (იმის გამო, რომ დიდაზნაურებს მორჩილებდნენ) აღზევების იმედი გადაწურული ჰქონდათ.

არსებული ფეოდალური ურთიერთობის მძლავრ პროტესტს წარმოადგენდა მდაბიორ-მოლაშქრეთა ფართო ფენა, გლეხად გადაქცევის

წინააღმდეგ რომ იბრძოდა და იძულებული იყო, გლახაკობა-მეკობრეობისათვის მიემართა.[1] აღმავლობის გზაზე მდგარი ვაჭარ-ხელოსანთა წრეები ერთგვარად კმაყოფილნი იყვნენ არსებული ვითარებით (გიორგი III საშინაო პოლიტიკაში, ისევე როგორც საგარეო საქმეებში, განაგრძობდა დავით აღმაშენებლის პოლიტიკას. თუ დემეტრე პირველი უმეტესწილად დავით აღმაშენებლის მემკვიდრეობის დამცველად გვეელინება, გიორგი მესამე ახალ ქმედით ზომებს იღებს საქართველოს საზღვრების გაფართოებისათვის და, ისევე როგორც მის პაპას, დიდაზნაურები შევიწროებულ მდგომარეობაში ჰყავს. ეს ხელს უხსნიდა ვაჭარ-ხელოსნებს თავიანთი საქმიანობის ფართოდ წარმოებისათვის), მაგრამ ისინი მეტს მოიოხოვდნენ, რადგან ევიწროებოდათ ფეოდალური სოციალურ-პოლიტიკური გარემო და წინააღმდეგ დიდაზნაურებისა მეფის თვითმპყრობელობის შემდგომი გაძლიერება უნდოდათ (ძლიერი თვითმპყრობელი მეფე თავიანთი ინტერესების დამცველად სჭირდებოდათ ვაჭრებს). უკმაყოფილებას აშკარად გამოხატავენ მთიელები, რადგან ფეოდალური ურთიერთობა მიიკვლევდა გზას მთაში და თავისუფალ მოსახლეობას სოციალური დამონებით ემუქრებოდა. ფეოდალურ ურთიერთობაში სოციალური კიბის დაბალ საფეხურზე მდგომი გლეხობა, ბუნებრივია, თავისი მდგომარეობის უმაყოფილო, მზად იყო გარკვეულ მომენტში მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გამოსულიყო კიდეც.

ასეთი რთული და სერიოზული საფრთხის წინაშე იდგა შინაგანად მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლება.

დიდგვაროვანი ფეოდალები ყოველთვის, როგორც კი საშუალება მიეცემოდათ, ცდილობდნენ, განდგომოდნენ და დაპირისპირებოდნენ მეფეს. მეფეებიც, თავის მხრივ, მეტ-ნაკლებად წარმატებით ებრძოდნენ ამ ცენტრიდანულ ძალებს და ცდილობდნენ, განემტკიცებინათ ცენტრალური სახელმწიფოებრივი აპარატი.

მომძლავრებული ფეოდალები ყოველგვარ ხერხს მიმართავენ, რათა მეფისაგან ხელთ ეგდოთ გაძლიერება-განდიდების ისეთი საშუალება, როგორიცაა დიდება. გავიხსენოთ ამავე პერიოდის გერმანია, სადაც ფეოდალი მეფეები საზოგადოების განვითარებისა და ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო იძულებული არიან, გასცენ ასეთივე დიდება.[2] თავისთავად ასეთი უფლებების მიცემა ნიშნავდა პოლიტიკური ძალაუფლების გადანაწილებას მოსახლეობაზე. მეფე გარკვეულ გავლენას კარგავდა დიდი ფეოდალების სასარგებლოდ. მეფისაგან დიდებამოპოვებუ-

---

ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე და სხვ., საქართველოს ისტორია, I, გვ. 191.

[2] Н. Ф. Колесницкий, Исследование по истории феодального государства в Германии, М., 1959, გვ. 90.

ლი (დიდებული) აზნაურები კი იწყებენ ბრძოლას თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური უფლებების მოპოვებისათვის.[1]

რა მდგომარეობაა XII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში? რა დამოკიდებულებაა მეფესა (გიორგი მესამესა) და დიდგვარიან ფეოდალებს შორის? საკმაოდ დაწინაურებული ჩანს ეკონომიკურად და სოციალურად ფეოდალთა ერთი ჯგუფი. ესენი არიან: ამირსპასალარი ივანე ორბელი, ივანე ვარდანის ძე, შოთა ძე ართავაჩოს ძისა, ქართლის ერისთავი სუმბატის ძე, ლიპარიტი, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე და სხვ. მათ დაწინაურებას რამდენადმე ხელი შეუწყო თვით მეფის წყალობებმა. გიორგი მესამე, „ორბელთა ისტორიის" ქართული ვერსიის მიხედვით, „თვალღების უდიდესისა დიდებითა და პატივით აღამაღლებდა მას (ივანე ორბელს — **რ. მ.**). იმავე წყაროს მიხედვით, „გიორგიმან აიღო ანის ქალაქი... და ყოველი ქვეყანა შირაქისა, და უბოძა ამირსპასალარსა ივანეს, ძესა დიდისა სუმბატ ორბელიანისასა".[2] ასეთი წყალობების გაღებაში გიორგი მესამე პირველი არ ყოფილა და არც უკანასკნელი. ერთი რამ ცხადია, რომ, როდესაც მეფეები წყალობას გასცემდნენ, ეს ერთგვარად იძულებით ხასიათს ატარებდა, რადგან ბოძება ხდებოდა ამა თუ იმ დიდი ფეოდალისათვის მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი გარკვეულ ავტორიტეტს მოიპოვებდა მოსახლეობაში. მეფე კი ცდილობდა, ასეთი პიროვნება თავის ერთგულებაში ჰყოლოდა, ამიტომ იკლებდა უფლებასა და სიმდიდრესაც და ამა თუ იმ ფეოდალს გადაულოცავდა. ასე რომ, გულუბრყვილობა იქნება იმისი მტკიცება, თითქოს ესა თუ ის მეფე მხოლოდ პირადი სიმპათიით (მის წინაშე რა-

---

აღნიშნული მოვლენებით აღსავსეა შესაბამისი პერიოდის მსოფლიო ისტორია. ფეოდალური ინგლისის სამეფო ხელისუფლების მკვეთრად გაძლიერება იწყება XII საუკუნის პირველი ნახევრიდან, როცა ტახტზე ადის ჰენრიხ პირველი (1100-1135). მან რეფორმების გატარების შედეგად მოახერხა სახელმწიფო აპარატის ერთგვარი ცენტრალიზაცია. მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ განვითარება-გაძლიერების წინსვლა შეწყდა. რადგან ჰენრიხს ვაჟიშვილი არ ჰყავდა. მან სამეფო ტახტი თავის ქალიშვილს მატილდას უანდერძა. შექმნილი ვითარება გამოიყენა ჰენრიხის ნათესავმა სტეფანე ბლუასელმა. რომელმაც თავის ირგვლივ მყოფი შეფის პოლიტიკით უკმაყოფილო დიდებულები შემოიკრიბა და ლონდონში თავი მეფედ გამოაცხადა. ინგლისის ფეოდალებმა მერყეობა იწყეს. ბარონების ერთი ნაწილი მხარს უჭერდა სტეფანე ბლუასელს, ხოლო მეორე — მატილდას ემხრობოდა. აუცილებელია შევნიშნოთ, რომ ფეოდალების ორად დაჯგუფება არ იყო გამოწვეული რომელიმე სამეფო კანდიდატისადმი მეტი პატივისცემით ან პირიქით, ბარონები, უპირველეს ყოვლისა, თავიანთი უფლებების გაძლიერებითა და სამეფო ხელისუფლების დასუსტებით იყვნენ დაინტერესებულნი (ეს იქედანაც ნათლად ჩანს, რომ თითოეული მეფის მომხრე ბარონები სიამოვნებით იცვლიდნენ პატრონებს ომის მიხედვით, თუ ვინ უფრო მეტი მიწით დააჯილდოებდა მათ). ჩვენ მხოლოდ ამ ერთი ფაქტის ძალით ვკმაყოფილდებით, რადგან იგი დამახასიათებელია, ტიპურია განვითარებული ფეოდალური ქვეყნებისათვის.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 59.

ღაც დამსახურებისათვის), მხოლოდ თავისი ნებით (და არა შექმნილი ვითარებით, ე. ი. რამდენადმე იძულებით) გასცემდა წყალობასა და დიდებას.

ჩვენთვის საინტერესო ვითარებაში ივანე ორბელი და მასთან ერთად ფეოდალთა გარკვეული ჯგუფი საკუთარი მცდელობითა და მეფის შემწეობით ეკონომიკურად და სოციალურად დაწინაურებულნი არიან და იწყებენ ბრძოლას მათი მდგომარეობის შესაბამისი პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის. ამ უკანასკნელს წინ ეღობება ქვეყნის ერთმმართველი — ფეოდალი მეფე, რომელიც, თავის მხრივ, დაინტერესებულია საკუთარი უფლებების ამაღლებითა და, შესაბამისად, ქვეშევრდომთა (ეს უკანასკნელნი უკვე საკმაოდ ძლიერნი არიან) შესაძლებლობების დამცრობით.

ასე რომ, მდგომარეობა მეფესა და ფეოდალებს შორის უკიდურესად გამწვავებულია. ასეთ დაძაბულ ვითარებაში დიდი ფეოდალები ეძებენ საბაბს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ასამხედრებლად. საბაბი მართლაც გამოინახა, დიდებულებმა მეფის წინააღმდეგ ბრძოლის დროშად დემეტრე (დემნა) დავითის ძე აქციეს და მას ამოფარებულები იწყებენ ბრძოლას).

რატომ გაკეთდა არჩევანი დემნა უფლისწულზე? ქართული სამართლის მიხედვით, სამეფო ტახტის მემკვიდრეობით გადაცემა პირმშოობაზე იყო დამყარებული, ე. ი., როგორც წესი, მეფის გარდაცვალების შემთხვევაში ტახტზე ადის მისი უფროსი შვილი და მისი შთამომავლობა აგრძელებს სამეფო დინასტიას.[1] დემეტრე პირველის ტახტიდან გადაყენების შემდეგ 1155 წელს ტახტზე ავიდა დავით მეხუთე, რომელიც ექვსი თვის შემდეგ გარდაიცვალა. ტახტს კვლავ უბრუნდება დემეტრე პირველი და მისივე შემწეობით 1156 წელს მეფე ხდება არა დავით მეხუთის შვილი დემეტრე, არამედ გიორგი მესამე.

წყაროები სხვადასხვაგვარად აშუქებენ ამ საკითხს. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" გიორგი მესამის დამსახურებას მიაწერს იმ გარემოებას, რომ იგი, განსხვავებით უფროსი შვილისაგან, გამორჩეული ჰყავდა მეფეს. „დიმიტრისა... ორ ძე ებადესა, რომელთა დავით და გიორგი (ეწოდებოდა სახელად). მარჩეველი ძისა უმცროსისა მლარწველი მკიცხველი იქმნა, ვითარ ისაკი იაკობისადმი. და ვედრებისა შემასმენელმან ღმერთმან დავითის დღეთა შემცირებითა სრულ ყო პირველ მა-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. ქართული ერის ისტორია, II. გვ. 239; ი. სურგულაძე. ტახტის მემკვიდრეობის საკითხი „ჯეფხისტყაოსნის" მიხედვით. იხ. კრებული: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს. თბ., 1966, გვ. 94.

მისა. და მამამან ძითურთ ძე ტკბილი, შემგუარი მამისა, აღამაღლა თავისა თანა და ძისა სწორად მოსაყდარედ გამოაჩინა“...[1]

ყველა დასახელებული განხილული წყარო თვალნათლით გამოხატავს იმ სუბიექტურ დამოკიდებულებას საკითხისადმი, რომლითაც თითოეული მათგანი გიორგი მესამის მიმართ იყო გამსჭვალული. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი საქართველოს მეფის აპოლოგეტია. იგი ყოველგვარად ცდილობს, გაამართლოს გიორგი მესამის მეფედ კურთხევის აქტი (თუმცა ეს ფეოდალური ქვეყნისათვის დაუშვებელი იყო). ეს ბუნებრივიცაა, სხვაგვარი დამოკიდებულება საკითხისადმი ფეოდალური ისტორიოგრაფიისათვის უცხოა. თვით ისტორიები, ალბათ, მეფეთა მითითებით და ზედამხედველობით იქმნებოდა და, რა გასაკვირია, რომ ბევრი ფაქტი შელამაზებულად იყოს წარმოდგენილი ან კიდევ ფაქტებს თავისებური შეფასება ჰქონდეს მიცემული. ამ გარემოებას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ, ჩვენი აზრით, დემეტრე პირველისა და დავით მეხუთის დამოკიდებულების სახით საქმე გვაქვს არა მამა-შვილს შორის არსებულ შემთხვევით უთანხმოებასთან და შვილის არასწორი (ან უგვანო) მოქმედების გამო განაწყენების შედეგად მამის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან (რომ მისი შთამომავალი — ტახტის კანონიერი მემკვიდრე არ გაემეფებინა), არამედ რთულ ვითარებასთან, რომელიც შეიძლება პირადულიდან იღებდეს სათავეს (ეს საერთო დამახასიათებელი მოვლენაა ფეოდალიზმის დროს), მაგრამ მას შორს სცილდება და მწვავე სოციალურ შინაარსს იღებს.

ისტორიული საბუთებიდან ირკვევა, რომ დემეტრე პირველს მისმა შვილმა დავითმა არაერთი უსიამოვნება მიაყენა. როგორც ჩანს, იგი გრძნობდა მამის სიმპათიას უმცროსი შვილისადმი და ყველა ღონეს ხმარობდა, რათა დემეტრესათვის ხელი შეეშალა თავისი მიზანდასახულების შესრულებაში. დავითი აქტიურად იბრძვის ტახტის ხელში ჩასაგდებად, რისთვისაც შეთქმულებებიც კი მოაწყო საქართველოს მეფის წინააღმდეგ.

სომეხ ისტორიკოსს ვარდანს მოთხრობილი აქვს, რომ 1130 წელს „უფლისწულს და ივანე აბულეთის ძეს უნდოდათ დემეტრე (მეფისა) და თავის ძმის მოკვლა,“[2] მაგრამ ივანეს მამას — აბულეთს დაუშლია. ეს ამბავი მეფის მომხრეებს შეუტყვიათ და ორივენი დმანისის ციხეში დაუმწყვდევიათ. ვარდანის შემდეგი თხრობის მიხედვით ეს უფლისწული დემეტრეს ძმაა, რაც მთლად სწორი არ უნდა იყოს. აკად. ივ. ჯავახიშვილმა იმთავითვე შეიტანა ეჭვი ამ ცნობის სისწორეში და წამოაყენა

---

1 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 3.
2 ვარდანი, ისტორია, გვ. 160-161.

მოსაზრება იმის შესახებ, რომ უფლისწული დემეტრე პირველის ძე დავითი უნდა იყოს, რომელმაც ივანე აბულეთის ძესთან ერთად გადაწყვიტა მოკვლა „მეფისა (დემეტრესი) და ძმის გიორგისი“.[1] მაგრამ ივ. ჯავახიშვილი თვითონვე არ ემხრობოდა ბოლომდე ამ მოსაზრებას იმის გამო, რომ ვარდანის მიხედვით დამნაშავე უფლისწულს თვალები დასთხარეს, დავით დემეტრეს ძეს კი უსინათლოდ არც ერთი მემატიანე არ იხსენიებს.

მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, ვარაუდი, რომ ვარდანის მიერ მოხსენიებული უფლისწული დავითია, სწორია, რადგან დავითის შეთქმულების ფაქტი დემეტრე მეფის წინააღმდეგ თამარის ისტორიკოსსაც აქვს მოხსენიებული თხზულებაში „ისტორიაში და აზმანი შარავანდედთანი“.[2] არაზუსტი ჩანს სომეხი მემატიანის ვარდანის ცნობა იმის თაობაზე, რომ 1132 წელს დემეტრე მეფემ ივანე აბულეთის ძე ვერაგულად მოაკვლევინა. დემეტრე მეფის მიერ ივანე აბულეთის ძის სიკვდილით დასჯას ადასტურებს ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანეც: „დემეტრემ აბულეთის ძესა ივანეს თავი მოჰკუეთა ჩხერეს მერეს მეოცესა წელიწადსა მეფობისა მისისასა, და მეტეხთა დადვა ფიცის არ გატეხისათვის“.[3] აქ, როგორც ვხედავთ, სხვაობაა თარიღებში. ვარდანი მიიჩნევს ივანე აბულეთის ძის დასჯის თარიღად 1132 წელს, ხოლო ქართველი მემატიანე (1125-20) „მეოცესა წელიწადსა მეფობისა მისისასა“ — 1145 წელს (დემეტრე გამეფდა 1125 წ.). ივანე აბულეთის ძე ქართველთა მთავარსარდალი იყო 1139 წელს, როცა ქართველებმა დაიკავეს განძა. როგორც ჩანს, იგი 1145 წლამდე ცოცხალი იყო.[4]

ერთი სიტყვით, დემნა უფლისწულის გამეფების საბაბით 1177 წელს გიორგი III-ს აუჯანყდა ფეოდალთა ერთი ნაწილი ივანე ორბელის სარდლობით. მეფემ სხვადასხვა ხერხით (მოფიქრებული დიპლომატიური ნაბიჯებიც იქნა გადადგმული) დაამარცხა მეამბოხეები.

ამ აჯანყების ჩახშობის შემდეგ შეასრულა გიორგი III-მ ფეოდალური საქართველოსათვის რამდენადმე უჩვეულო აქტი — საქართველოს სამეფო ტახტზე აიყვანა თავისი ქალი — თამარი.

გიორგი III-ს ცოლად ჰყავდა ოსთა მეფის ხუდანის ასული ბურდუხანი. ეს ქორწინება XII საუკუნის 50-იან წლებში მოხდა და მას გარკვეული პოლიტიკური მიზანიც ჰქონდა — ჩრდილოეთის მეზობლებთან კავშირის განმტკიცება. თავისთავად ბურდუხანი გამორჩეული ქალი ყო-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. ქართული ერის ისტორია, II, გვ. 224.

[2] ქართლის ცხოვრება, II. გვ 18.

[3] იქვე. I. გვ. 367.

[4] გ. ჯაფარიძე. რამდენიმე ეპიზოდი დემეტრე I-ის ზეობის ხანიდან არაბულ წყაროებში, მაცნე. ისტორიის სერია, 1992 წ. №2. გვ. 123, 36-37.

ფილა. მას განსაკუთრებული პატივისცემით მოიხსენიებს და მაღალ შეფასებას აძლევს ბასილი ეზოსმოძღვარი. ბურდუხანი ღირსეულად უმშვენებდა მხარს საქართველოს მეფეს, „ჰმატდა სიკეთესა დედათასა სხუათა ყოვლითა, გარნა თამარის დედობითა, სძალი სხუა მისებრი მაშინ არ ეხილვა ქართლისა თემსა“.[1] ერთხანს ცოლ-ქმარი უშვილოდ ყოფილან, რის გამოც ძალზედ სწუხდნენ. გარკვეული დროის შემდეგ „ინება ზეგარდმო მოწყალებამან ღმრთისამან, და იწყო მობერვად ნიავმან ამომაწ, და იშვა მათგან ქალი, ქმნილ-კეთილი, ყოველითურთ უნაკლო და შესატყჳსი“.[2] ეს იყო თამარი.

თამარი იმ დროისათვის სათანადო აღზრდა-განათლებას იღებდა. მას განსაკუთრებულად მზრუნველობდა მამიდა (დემეტრე I-ის ასული, გიორგი III-ის და), ერაყის სულთნების: მასუდისა და სულაიმან-შაჰის ცოლყოფილი რუსუდანი, რომელიც დაქვრივების შემდეგ საქართველოს დაბრუნებოდა. ფაქტობრივად თამარი თავის დასთან რუსუდანთან ერთად მამიდის კარზე იზრდებოდა. რუსუდანი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი იყო; იგი აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში; მნიშვნელოვანი დიპლომატიური მისია შეასრულა ელდიგეზ ათაბაგთან გიორგი III-ის შეთანხმებაში ქ. ანისის გამო (დაახლოებით 1164 წ.). ბუნებრივია, თამარიც აქტიურად ადევნებდა თვალს პოლიტიკურ ცხოვრებას, იმ დიდ საშინაო თუ საგარეო დღეცილს, აგრერიგად რომ მოიცვა საქართველო. თამარს თავისი გონიერებით ადრევე მიუქცევია თანამედროვეთა ყურადღება. ხაზგასმით აღუნიშნავთ თანამედროვეებს, რომ თამარი, მცირე ასაკის მიუხედავად, გამოირჩეოდა „ჭონებითა არა ყრმებრივითა, არამედ მეცნიერებითა, ცნობიერებითა, გონიერითა და შუენიერითა“.[3] ამიტომაც იყო, რომ ორბელთა ამბოხების ჩახშობის შემდეგ გიორგი III-მ თამარი თანამმართველად გაიხადა. მაგრამ აქამდე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. როცა გიორგი III ამბოხებულ დიდგვაროვან ფეოდალებს ებრძოდა, საეკლესიო მოღვაწეებმა კრება მოიწვიეს და ამბოხების ჩახშობის შემდეგ უკან მიბრუნებულ გიორგის ეკლესიის შეუვალობის აღდგენა მოსთხოვეს. ეს კრება 1178 წელს შემდგარა. გიორგი III-ის მიერ გაცემული „საქართველოს ეკლესიის შეუვალობის განახლების სიგელი“ გვამცნობს, რომ შეკრებილან „ყოველნი სამეფოისა ჩუენისა მონაზონნი და ეპისკოპოსნი იმერნი და ამერნი, კათალიკოზი, მოძღუარნი და ყოველნი მეუდაბნოე-

---

1 ბასილი ეზოსმოძღვარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 116.

2 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 115.

3 იქვე. გვ. 26.

ნი“.[1] კრება მონაწილეთა შემადგენლობის მიხედვით ფართო მასშტაბისა ყოფილა. მას სამეფოს ყველა მნიშვნელოვანი საეკლესიო პირი დასწრებია „იმერნი და ამერნი“. ეს ფაქტობრივად სასულიერო პირთა სერიოზული გამოსვლა იყო სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. მიზეზი გამოსვლისა ეკლესიების მძიმე მდგომარეობა იყო. „დაპირვებულობაჲ ეკლესიათაჲ და განრყუნაჲ სასჯულოთა საქმეთა“. ფაქტობრივად სამღვდელოება თავისი ძალაუფლების გაზრდას მოითხოვდა. საქართველოს მეფეს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, იძულებული გახდა, დაეთმო და კრების მოთხოვნა შეუვალობის (მხედველობაშია საგადასახადო იმუნიტეტი) აღდგენის თაობაზე დაეკმაყოფილებინა. საინტერესოა თვით „შეუვალობის განახლების სიგელი“, სადაც ჯერ ლაპარაკია ორბელთა ამბოხების დათრგუნვაზე და ეს მომენტი ღმერთისადმია მიწერილი, რომელმაც „ცუდჰნა ამათა განზრახვაჲ და შეთქმულებაჲ მათი და დაჰხსნა ყოველნი ღონენი მათნი... და... ფერხთა ქუეშე ჩვენთა დასცნა“. ამის სამადლობლად გიორგი III საჭიროდ თვლის „ეკლესიათა სამეფოსა ჩუენისათა ყოვლისა ბეგრისა უსამართლოჲსათა და დაპირვებულისაგან“ ხსნასა და განთავისუფლებას. ასე რომ, დოკუმენტის მიხედვით, გიორგი III-ის სურვილი და საეკლესიო კრების მოთხოვნა ერთმანეთს შეესაბამებოდა. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ იყო. „სიგელი“ მეფისა და სამეფო ხელისუფლების სურვილს გამოხატავს — საზოგადოების თვალში დაიცვას სამეფო კარი და იძულებით გაკეთებული, საკუთარი ნების აღსრულებად ჩაეთვალათ. სიგელზე ასეთი მინაწერია „(ქ) ჩუენისა სულისაგან ღ-ი საქ-ე ესრე გაგუიწესებია, ვითა აქა სწერია და ვითა მონასტრისა წესსა ჰმართებს, ეგრე დაგვიპირავს და ყოველი უსამართლო ბეგარი აგვიხ(სნია)“.

ფაქტობრივად XII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს სახელმწიფომ აღიარა ეკლესიისა და სასულიერო წოდების ფართო უფლებები ქვეყანაში.

სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებმა თვით მეფეზეც დიდი გავლენა მოახდინა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ორბელთა ამბოხების დათრგუნვის მეორე წელს ღანუყიდან ნაჭარმაგევს მოსულმა გიორგი III-მ „შემყრელმან შვიდთავე სამეფოთა მისთამან აწ-ჯა დედოფალთა დედოფალი ბედნიერი და სხვანი ცოლი მისი ბურდუხან და შვილი მათი თამარ, ნათელი და ბრწყინვალება თუალთა მათთა, და მანიაკი ყოველვე მეფეთა და გ-ურგ-ნი ყოველთა ჯელმწიფეთა“.[2] ეს იყო 1179 წელს. გიორგი III-მ თავად დაადგა თამარს „გ-ურგ-ნი ოქროსა თავსა მისსა,

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები. II. გვ. 24.
[2] ქართლის ცხოვრება. II, გვ. 20.

ოქროსა მის ოფაზისა, აღმკული იაკინთთა, მზირთა და სმარაგდოთა მიერ“. მეფემ დიდებულებს დააფიცა თამარის ერთგულებაზე. ამ დიდი ზეიმის შემდეგ სახელმწიფოში ცხოვრება ჩვეული წესით მიდიოდა. გიორგი III კვლავ აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის მართვა-გამგეობაში.

მამა-შვილის მცდელობა, 1179 წელს მოეწვიათ საგანგებო საკანონმდებლო კრება, რომლის მიზანი იყო ქვეყანაში გახშირებული ქურდობა. და ყაჩაღობის მოსპობა, წარმატებით მიმდინარეობდა. კრებამ მეკობრეების მიმართ დააწესა სასჯელის უმაღლესი ზომა — ჩამოხრჩობა. თანაც იგი განურჩეველი იყო ყველა დამნაშავისათვის, რა სოციალური ფენისაც არ უნდა ყოფილიყო. მკაცრ ზომებს თავისი შედეგი მოჰყოლია — ვარდანის ცნობით, ეს ბოროტმოქმედება ერთხანს აღმოფხვრილია საქართველოში.

ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ თამარის სამეფო ტახტზე აყვანის შემდგომ გიორგი III-მ სამხედრო მოღვაწეობას ფაქტობრივად თავი დაანება და გვირგვინოსან ასულს ქვეყნის მართვა-გამგებლობაში ეხმარებოდა. მამა-შვილის ერთობლივი მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1184 წლის 27 მარტს, ვნების კვირის სამშაბათს, კახეთში გარდაიცვალა გიორგი III — „ბრძანებითა მპყრობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოსა და სამხრისა“.

დიდის მწუხარებით დაიტირეს სრულიად საქართველოს მეფე გიორგი III. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ დეტალურად აგვიწერს შავი ძაძით შემოსილ სამეფო პალატას, სადაც თამარისა და რუსუდანის გვერდით არიან მგლოვიარე „მიქაელ პატრიარქი ყოველითა ეპისკოპოზითურთ მდგომი, და ვაზირი ანტონი და ამირსპასალარი ყუბასარ. და სხუანი ელისუფალნი: ყუთლუ-არსლან მეჟურჟლეთუხუცესი, ვარდან დადიანი ჩუხჩარხი, ჭიაბერი მეჯინიბეთუხუცესი, აფრიდონ მსახურთუხუცესი, ივანე... და დიდებულნი, აზნაურნი, მონანი და მოყმენი, თანა პორფირი და გურგენი სკიპტრითა და საჭურველითა სულად კმარებულითა... რანი გლოვანი, რანი ტყებანი, რანი ვაებანი, რანი სისხლრეულთა ცრემლთა ნაკადნი ათასკეცნი, რანი მოთქმანი და მოკვნენებანი ადამისნი აბელის მართლისადმდე, დავითისნი იონათანისადმდე და იაკობისნი იოსებისადმდე“.[1] გიორგი III „ჟამისა სიძნელისაგან“ მცხეთაში დაუმარხავთ და იმავე წელს გადაუსვენებიათ საქართველოს მეფეთა ტრადიციულ საძვალეში — გელათში.

მეტად მნიშვნელოვანი იყო გიორგი III-ის მიერ გატარებული პოლიტიკური ღონისძიებები დიდგვაროვან ფეოდალებთან ბრძოლის საქმეში.

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 25.

მეფემ სრული გამარჯვება მოიპოვა და დიდი ნაბიჯი გადადგა ქვეყნის ცენტრალიზაციისაკენ.

დიდგვაროვანი ფეოდალები, მართალია, დათრგუნვილნი იყვნენ, მაგრამ ბრძოლას საბოლოოდ წაგებულად არ სთვლიდნენ და ხელსაყრელ დროს უცდიდნენ, რათა სამეფო ხელისუფლების საწინააღმდეგო ზრახვები განეხორციელებინათ. ასეთი დრო გიორგი მესამის გარდაცვალების შემდეგ დადგა. მიუხედავად იმისა, რომ თამარი ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში იყო გამეფებული (1179 წ.), დიდგვაროვანმა ფეოდალებმა, როგორც ჩანს, არ მიიჩნიეს ეს საკმარისად და ხელახლა მეფედ კურთხევა გადაწყვიტეს. ეს უკვე ფაქტობრივი პროტესტი იყო გიორგი მესამის ნამოქმედარის, მისი პოლიტიკის მიმართ: ამასთანავე, ხაზგასმულად უნდა წარმოჩენილიყო ფეოდალთა დიდი უფლებები. საინტერესოა თამარის პირველი ისტორიკოსის პოზიცია (იგი ხომ გიორგი მესამისა და თამარის აპოლოგეტია!),[1] რომელიც ყოველგვარი გაკვირვების გარეშე გადმოგვცემს თამარის ხელახალ მეფედ კურთხევის პროცესს.

თითქოს თამარი არც კი ყოფილიყო გიორგი მესამის თანამოსაყდრე სამეფო საქმეებში, ისე იქცევიან დიდგვაროვანი ფეოდალები. „შემყრელთა შჳდთავე ამის სამეფოსა“ სთხოვეს რუსუდან დედოფალს დამოციქულება თამართან, რათა ამ უკანასკნელმა „ჴელ-ყოს ჴელითა მეფობასა და კურთხევითა გვრგჳნოსან-ყოფად აღვიდეს, და ამაღლდეს და დაჯდეს საყდართა თჳსთა მამათასა აღპყრობითა და აღძღუანებითა ძელისა ცხოვრებისათა...“[2] ამგვარად, ერთხელ უკვე ფაქტობრივად გამეფებული თამარი მეორედ უნდა ეკურთხებინათ მეფედ. აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ გიორგის გადრაცვალების შემდეგ „რაღაც ამბავი მომხდარა, რომ ერთხელ ტახტზე ასული დედოფალი ხელმეორედ აუყვანიათ და გაუმეფებიათ“. მოხდა ალბათ ის, რომ, როგორც ზემოთაც ითქვა, ფეოდალებმა დრო იხელთეს ძლიერი გიორგი მესამის გარდაცვალების შემდეგ, მსწრაფლ შეეცადნენ, არ გაგრძელებულიყო მისი პოლიტიკა და თამარის სამეფისკარო პოლიტიკის ხელწერისათვის თავისი გავლენის აშკარა თავსმოხვევა მოინდომეს.

წარმოუდგენელია, თვით რუსუდანსა და თამარს ვერ შეეცნოთ ფეოდალთა ზრახვები და არ სცოდნოდათ, თუ საით უმიზნებდნენ ისინი. თამარის ისტორიკოსი კი ამბობს: „ამისმან (თამარის მეორედ კურთხევის, **რ. მ.**) მსმენელმან, მომწონებელმან და მაჯერებელმან

---

[1] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი ხომ დაბეჯითებით აცხადებს, რომ „გიორგი III-მ სიცოცხლეშივე „ჯანრჩევითა და გამორჩევითა, განგებითა და გაგონებითა ზენისა მის ხუედრისა შარვანდედთა მნებებელისათა მეფე ყო თამარ“ და სხვ. (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 21).

[2] ქართლის ცხოვრება, II. გვ. 26.

დედოფალმან უბრძანა და მოახსენა თამარსა", ალბათ რუსუდან დედოფალს განუკვრეტია, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობდა და იძულებით მიუღია ამ საქმის მოწონების პოზა. საინტერესოა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორის მინიშნება იმის შესახებ, რომ თამარი „დიდებულთა შ'ედთავე სამეფოთასა" წინადადებას „ძალითა-სამე დამორჩილ იქმნა". რას უნდა ნიშნავდეს მემატიანის ეს ხაზგასმა? ცხადია ერთი, რომ თამარი რაღაც ძალის შემწეობით დამორჩილდა ამ წაბიჯის გადადგმას. მაგრამ რა ნაბიჯზეა ლაპარაკი? განა შეიძლებოდა უარი ეთქვა თამარს საქართველოს სამეფო ტახტზე? რა თქმა უნდა, არა, იგი ხუთი წელი მამასთან ერთად ინაწილებდა ქვეყნის მეფობის ხვედრს, ასე რომ, ეს მისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო. იგი მას შემდეგ, რაც თანამმართველი გახდა სამეფო საქმეებისა, შეგუებული იქნებოდა მომავალში ამ ხვედრის მთლიანად დაუფლების აზრს. გიორგი მესამის მიერ თავის დროზე მისი გათანამმართველებაც ამ მიზანს ემსახურებოდა. „ძალითა-სამე დამორჩილ იქმნა" — საერთოდ მეფობაზე უარის თქმასა და შემდეგ ძალით დათანხმებას კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ იმას, რომ თამარი წინააღმდეგი იყო დიდებულთა მიერ წამოყენებული მისი მეორედ კურთხევის იდეისა. მაგრამ, როგორც ჩანს, რუსუდან დედოფალმა დაარწმუნა იგი, რომ სხვა გამოსავალი არ იყო და თამარიც იძულებული გახდა, დათანხმებულიყო. ეს კი, თავის მხრივ, დიდგვაროვან ფეოდალთა გამარჯვებას უდრიდა.

მეფედ კურთხევის ცერემონიალი ისე შესრულდა, რომ ხაზგასმულ იქნა დიდგვაროვანთა უფლებები. „აღმყვანელთა საყდართა და საჯდომთა მამა პაპეულთა აღსუეს მზე იგი... და მოიღეს გ'ურგ'ენი..."[1] „აღმყვანელნი", რომელთაც თამარი „აღსუეს" და გვირგვინი „მოიღეს" დიდგვაროვანი ფეოდალები არიან. ამგვარად, ეს დიდგვაროვნები ჩანან უპირველეს პლანზე თამარის გამეფებისას და ყველა დეტალი მეფედ ხელდასხმისა მათი ნებით სრულდება. „ეინათგან ლიხთ-იმერითგან იყო წესი დადგმად გ'ურგ'ენისა თავსა სამეუფოსა, აწ'ეს... მთავარეპისკოპოსი ქუთათელი ანტონი საღირის-ძე, მიღებად გ'ურგ'ენისა". ისტორიკოსი გამოყოფს თამარ მეფისათვის, როგორც ლაშქრის მთავარსარდლისათვის, ხმლის გადაცემის სიმბოლურ ცერემონიალს. „და ცალის-კერძისა კახაბერი, ერისთავი რაჭისა და თაკუერისა, და სრულ ყვეს მოკულეთა სუანთა და დიდებულთა ვარდანისძეთა, საღირის-ძეთა და ამანელის-ძეთა მიღება და დადება ჯრმლისა".[2] როგორც ჩანს, ამ დიდებულებს უფლება აქვთ „სრულ ყოფისა" და ხელდასხმისა. ჩვენ ასე მკვეთრად გამოსახული მე-

---

ქართლის ცხოვრება, II. გვ. 26.
იქვე. გვ. 27.

ფედ კურთხევის ცერემონიალი ქართულ წერილობით წყაროებში არ მოგვეპოვება. ამდენად, ტრადიცია იყო ეს, თუ მხოლოდ თამარის მეფედ კურთხევის დროს მოხდა, ამის შესახებ რაიმეს გადაჭრით თქმა ძნელია. უფრო საფიქრებელია, რომ ასეთი სრულყოფილი სახით ძველი დიდგვარიანი სახელების განსაკუთრებული მნიშვნელობა ტახტის მემკვიდრის სამეფო უფლებით აღჭურვის საქმეში სწორედ თამარის მეორედ მეფედ კურთხევისას იქნა წარმოჩენილი. „თაყუანისცეს, დალოცეს და ადიდეს სპათა შუდისავე სამეფოსათა. და დაიპყრა ჟამიერად თჳთოეულმან თჳსი ადგილი". აქ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" გვაძლევს ცნობას იმის შესახებ, რომ მეფის ძალაუფლების სრულყოფისათვის საჭიროა „შუდსავე სამეფოსათა" წარმომადგენლების „დალოცვა" და „დიდება".

აქედან ფაქტობრივად დაიწყო დიდგვაროვანთა პროტესტი არსებული (ჯერ კიდევ გიორგი მესამისეული) სამეფისკარო პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს პროტესტი შემდგომში უფრო გაიზარდა და გამძაფრდა. ფეოდალებმა „იმიერთა და ამიერთა" ერთხმად გამოაცხადეს, რომ გიორგი მესამის დროს დაწინაურებულ უგვარო მოხელეებს აღარ დაემორჩილებოდნენ: „აღარ ვეგებით ძუელთა ჴელისუფალთა და გამგებელთ საქმისათა ფარმანსა ქუეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაძრცვილნი და უნატოდ გაძეულნი ვართ, გუარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახეოდ გასრულ ვართ უგუაროთა და უკმართაგან". ისტორიკოსი დიდგვაროვანთა ამ გამოსვლას მოიხსენიებს, როგორც „ძუელებრი კაცთა დაუდგრომელობისა შემსგავსებული საქმე". ზემომოტანილი ცნობიდან კი იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ „უგვარონი და უხმარნი" საკმაოდ ყოფილან „ჴელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა" შორისა. გაფიცულ დიდგვაროვანთა მოთხოვნებიდან ნათელია, რომ მათ ძველი წოდებრივი უპირატესობის აღდგენის სურვილი ამოძრავებდათ და წოდებრიობა პირად ღირსებებზე მაღლა დაუყენებიათ. საგულისხმოა, რომ მეფის პოლიტიკის მოწინააღმდეგეებს ყველა უგვარო მოხელის გადაყენება კი არ მოუთხოვიათ, არამედ მხოლოდ რამდენიმესი, ალბათ სამეფო ხელისუფლების ყველაზე ერთგული პირებისა. ასეთებად მიჩნეულ იქნა ამირსპასალარი ყუბასარი და მსახურთუხუცესი აფრიდონი.

რთულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ, აგრეთვე გაფიცულთა სიმტკიცემ და სიძლიერემ განაპირობა საქართველოს სამეფო კარის დათმობაზე წასვლა და მეფის ერთგული მოხელეების სახელმწიფო მმართველობიდან მოშორება. ამდენად, გაფიცულმა დიდგვარიანებმა ახალი გამარჯვება იზეიმეს.

ფეოდალთა შორის ახალი პრობლემები წარმოიშვა, თუ ვის უნდა ჩაეგდო ხელთ განთავისუფლებული ადგილები „და ბრძოლამყოფთა ჯელისუფლობისა და დიდებისათჳს ურთიერთს დაუწყეს ზიდვა“ — თამარის ისტორიკოსის ეს სიტყვები საოცარი სიზუსტით ახასიათებს არა მხოლოდ გარკვეულ კონკრეტულ მომენტში შექმნილ ვითარებას, არამედ საერთოდ პოლიტიკურ ურთიერთობებს იმდროინდელ საქართველოში.

XI თავი. საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო არენაზე XII საუკუნის მიწურულსა და XIII საუკუნის დამდეგს

თამარ მეფის დიპლომატია

თამარის გამეფებისას დიდგვაროვან ფეოდალთა მოთხოვნებთან უშუალო, ორგანულ კავშირშია სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყება ყუთლუ-არსლან მეფურჭლეთუხუცესის ხელმძღვანელობით. აჯანყებას მკვეთრად ჩამოყალიბებული პროგრამა და მტკიცედ განსაზღვრული პოლიტიკურ-ორგანიზაციული გეგმა ჰქონდა.

აჯანყების გამომწვეევი მიზეზები და მსვლელობა, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასი და მისი პოლიტიკური პროგრამა განსაკუთრებულად საინტერესოა, რადგან ჩვენს ისტორიოგრაფიაში ამ საკითხების ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობაა. ისტორიკოსთა ერთი ნაწილი (ივ. ჯავახიშვილი, ი. პეტრუშევსკი, შ. მესხია, ა. კიკვაძე, ს. მაკალათია და სხვ.) მიიჩნევს, რომ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა — „მესამე წოდების" აჯანყებას წარმოადგენს.[1] მეორე ნაწილს კი ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლა სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის მოსურნე დიდგვარიან აზნაურთა აჯანყებად მიაჩნია (ნ. ბერძენიშვილი, გ. სოსელია და სხვ.).

აღნიშნულ საკითხებზე ჩვენ საგანგებოდ გავამახვილეთ ყურადღება მონოგრაფიაში — „მეფე თამარი",[2] ამიტომ მათ აქ აღარ შევეხებით.

ყურადღებას შევაჩერებთ თამარის დიპლომატიაზე. თამარის ბრძანებით შეიპყრეს ყუთლუ-არსლანი. მისი დასის წევრებმა („თანაშეფიცულებმა") ამ ფაქტს შესაბამისი რეაქციით უპასუხეს: „შეიყვანეს და უკუაგდეს თამარი", მოითხოვეს თავიანთი ბელადის გამოშვება (განთავისუფლება) უვნებლად, თანაც სამეფო სასახლეზე გასალაშქრებლად მოემზადნენ.

შემთხვევითი არ არის, რომ თამარი სისხლისღვრას მოერიდა და მათთან შებმას მშვიდობიანი მოლაპარაკება არჩია. ალბათ აქ ანგარიში

1ბ ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკ. II, გვ. 55-186; მისივე. ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 247-249; И. П. Петрушевский, Городская знать в государстве хулагуидов, "Советское Востоковедение", IV. 1948, გვ. 97; შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 100-109; მისივე. Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, გვ. 87; ა. კიკვიძე. საქართველო XII საუკუნეში. თსუ შრომები, IX, გვ. 167; ს. მაკალათია. თამარ მეფე, თბ., 1942, გვ 15-17. ვ. აბაშმაძე. XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან. კრებ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 328-339.

2 რ. მეტრეველი. მეფე თამარი. თბ., 1991, გვ. 97-118.

გაეწია ყუთლუ-არსლანის დასის სიძლიერეს და ამ რთულ ვითარებაში საქართველოს მეფემ საკითხის მოგვარება დიპლომატიური გზით არჩია: აჯანყებულებს ორი საპატიო „დიოფალი“ გაუგზავნა მოციქულად. ესენი იყვნენ ქართლის ერისთავთ-ერისთავის რატის დედა ხუაშაქ ცოქალი და დიდგვაროვანი ფეოდალების – სამძივართა დედა კრავაი ჯაყელი. თამარმა კარგად გაითვალისწინა, რომ ქალის შუამავლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომაც გადადგა ამგვარი ნაბიჯი. მანდილოსნებმა მოლაპარაკება გამართეს აჯანყებულებთან. დიპლომატიური მისია დადებითი შედეგით დამთავრდა. გაფიცულები მეფის სურვილზე გადმოვიდნენ. თუმცა მემატიანე აქვე შენიშნავს, რომ გაფიცულებმა მეფისაგან ფიცი აიღეს („აღიღეს ფიცი პატიოსნისაგან“), ხოლო თავის მხრივ „მისცეს პირი ერთგულებისა და ნების-მყოფელობისა“.[1] ეს „ფიცი“, ალბათ, მათი უვნებლობისა და ხელშეუხებლობის დასტური იყო. ამასთან, საფიქრებელია, რომ საქართველოს მეფე გარკვეულ დათმობებზეც წავიდა. მას საკანონმდებლო უფლებები ხელიდან არ გაუშვია. როგორც მიიჩნევენ, მხოლოდ დარბაზს გაეზარდა ერთგვარი უფლებები.[2]

ამგვარად, თამარის მიერ გადადგმული დიპლომატიური ნაბიჯი წარმატებით დამთავრდა.

თამარის ზარზეიმით მეფედ კურთხევის შემდეგ, რაც მაღალი დონის ცერემონიალით ჩატარდა, ახალგაზრდა მეფე-ქალმა მტკიცედ მოჰკიდა ხელი სახელმწიფოს მართვა-გამგეობას. მისი მიზანი იყო, შეექმნა ძლიერი ფეოდალური მონარქია და სახელოვნად განეგრძო დიდი პაპის დავით აღმაშენებლისა და სახელოვანი მამის გიორგი III-ის საგარეო და საშინაო პოლიტიკა. თამარი მტკიცე ნებისყოფით, მაღალი პოლიტიკური ნიჭითა და შორსგამიზნული დიპლომატიური გამჭრიახობით იყო დაჯილდოებული.

ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლის დაშოშმინების შემდეგ საქართველოს მეფემ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილებები მიიღო. თამარის ბრძანებით მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის და ვაზირის თანამდებობა ანტონმა მიიღო. იგი ბრძენი და გონიერი, ამასთან, პატრონთა ერთგული იყო.

ამირსპასალარად დაინიშნა სარგის მხარგრძელი (ამ თანამდებობაზე ადრე მყოფი გამრეკელ თორელის გარდაცვალების შემდეგ), რომელიც თავის დიდგვაროვნებასთან ერთად ჭაბუკობიდან ლაშქრობებში მონაწილეობდა და თავიც მრავალგზის გამოიჩინა. მეფემ სარგისს „უბოძა ლორე სათავადო და სამთავრო სომხითსა შინა, და წყალობა ყო ძისაცა

---

1 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 32.

2 აღნიშნულის შესახებ იხ. რ. მეტრეველი. მეფე თამარი, თბ., 1992, გვ. 111-118.

მისისა ზაქარიას დალოცვითა". უმცროსი შვილი ივანე კი „ითაყუანა დარბაზის ყმად".

მანდატურთუხუცესად დაინიშნა ჭიაბერი („და მისცა არგანი ოქროსა ხელთა მისთა"), რომელსაც ჩააცვეს სკარამანგი (ძვირფასი მოოქროვილ-მომარგალიტებული სამოსი) და „დასუეს სელებითა ოქრო-ჭედილითა რომელნიმე მარჯუენით მისსა და რომელნიმე მარცხენით".

მეფე თამარმა მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა უბოძა დიდსა და გვარიან კაცს კახაბერ ვარდანის ძეს. მსახურთუხუცესად დაინიშნა ვარდან დადიანი; ჩუხჩარეხად — მარუშიანი ძე ჩუხჩარეხისა. ამილახორობა ებოძა გამრეკელ თორელს, რომელიც სარგის მხარგრძელის შემდეგ ამირსპასალარადაც დაინიშნა.

ვინ არიან თამარის დროს ერისთავნი?

ბარამ ვარდანის ძე — სვანთა ერისთავი;

კახაბერ კახაბერის ძე — რაჭისა და თაკუერის ერისთავი;

ოთაღო შარვაშის ძე — ცხუმის ერისთავი;

ამანელის ძე — არგუეთის ერისთავი;[1]

ბედიანი — ოდიშის ერისთავი;

რატი სურამელი — ქართლის ერისთავი;

ბაკურ-ყმა ძაგანის ძე — კახეთის ერისთავი;

ასათ გრიგოლის ძე — ჰერეთის ერისთავი; მან მძლავრობით მოტაცა თანამდებობა საღირ კოლონკელის ძეს და „მცირედჟამ ქონებასა შინა იაჯა არიშიანის ადგილსა დაჯდომა სასთაულითა და ჯილთუდვა შვილსა მისსა გრიგოლს ჰერეთის ერისთაობა".

ბოცო ჯაყელი — სამცხის ერისთავი.

მეფე თამარმა ასევე დანიშნა „სხუანი ჯილის-უფალნი, ტაძრისა და საყდრისა სამეუფოსა წინაშე მდგომელნი, განაჩინეს წესისაებრ სახლისა."[2]

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" კორნელი კეკელიძისეულ აღდგენილ ტექსტში (შესაბამისად ს. ყაუხჩიშვილის გამოცემულში). სადაც თამარის მიერ დანიშნული ერისთავების ჩამოთვლაა, წერია „ამანელის-ძე — არგვეთის ერისთავად". გ. ცქიტიშვილმა შენიშნა, რომ ჩვენამდე მოღწეულ „ქართლის ცხოვრების" ხელნაწერებში გვარი „ამანელისძე" (მარიამისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში „ამონისძე") საერისთავო ქვეყნის დაუსახელებლადაა. კ. კეკელიძე მიიჩნევდა, რომ ამანელისძე იყო დასავლეთი საქართველოს ერთ-ერთი ქვეყნის ერისთავი, კერძოდ, მარგვეთის ქვეყნისა. ამავე აზრისა იყო პ. ინგოროყვა. გ. ცქიტიშვილმა არასწორად ჩათვალა კ. კეკელიძისეული აღდგენა და მიიჩნია, რომ „ისტორიანი და აზმანის" ტექსტი ამ ადგილის გარეშე უნდა იქნეს წაკითხული (იხ. მისი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ერთი ადგილის წაკითხვისათვის. კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 222-227).

[2] ქართლის ცხოვრება, II. გვ. 34.

საქართველოს მეფემ სასულიერო პირები და საყდრები აღავსო შესაწირავით; გაათავისუფლა ეკლესიები ყოველგვარი ხარაჯისა და ბეგარისაგან. მეფე თამარის საქმეებით აღტაცებული ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ „გააზნაურდეს ქვეყნისა მოქმედნი, და გადიდებულდეს აზნაურნი, და გაკელმწიფდეს დიდებულნი მეფობასა შინა ამისსა".

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკას ზურგს უმაგრებდა სამეფო კარის მომხრე ფეოდალთა დიდი არმია, მაგრამ, ამასთანავე, იყვნენ რიგი ფეოდალებისა, რომლებიც თავისი უფლებების გაზრდა-გაფართოებაზე ფიქრობდნენ. ამ მიზნის მისაღწევად ისინი არავითარ ხერხსა და ძალას არ იშურებდნენ და მაშინ, როცა საქართველოს მეფე-ქალის — თამარის სახლობის საკითხი დადგა, აშკარა გახდა ის მწვავე ბრძოლა, რომელიც დიდგვარიან ფეოდალთა სხვადასხვა დასებს შორის არსებობდა. ამჯერად ეს ბრძოლა თითოეული ამ დასისათვის თამარის ქმრად სასურველი კანდიდატის მოძებნას გადაეჯაჭვა. ეს გზა, ბუნებრივია, საქართველოს სამეფო კარზე გავლენის გაზრდის რეალურ შანსად ისახებოდა. „შეიყვარნეს შემჭირნენი და ზრახვა ყვეს ძებნა წაღმართისა და მოყვანა ქმრისა".[1] ამ დარბაზობის დროს წინადადებანი, ალბათ, არაერთი იჭნებოდა, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას[2] მაინც იქცევს ქართლისა და თბილისის ამირას აბულასანის მიერ წამოყენებული მოსაზრება, თამარისათვის რუსი უფლისწულის ანდრია ბოგოლიუბსკის შვილის იურის (იმავე გიორგის) შერთვის შესახებ: „მე ვიცი შვილი კელმწიფისა ანდრია დიდისა რუსთ მთავრისა, რომელსა მონებენ სამასნი მთავარნი რუსთანი. და იგი, მცირე დარჩომილი მამისაგან, ეჭსორიაქმნით დევნული გარდამოიხუეწა ბიძისა, სავალათად (იგულისხმება ესევოლოდი, რ. მ.) სახელწოდებულისაგან და არს იგი ყივჩაყთა მეფისა სევინჯისა ქალაქსა".[3]

ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისადმი მიძღვნილ დარბაზობაზე (დარბაზის სხდომაზე) აბულასანის გამოსვლა შემთხვევითი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ დროისათვის (დაახლოებით 1185 წლის დამ-

---

ქართლის ცხოვრება, II, გვ. 34.

2 ბაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ წინადადებაზე თამარის ორივე ისტორიკოსი ჩერდება. ამასთანავე საინტერესო ჩანს თავისი მდგომარეობით თვით წინადადების ავტორიც.

3 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 35.

ლევს)[1] მას ალბათ ჰქონდა ასეთი უფლება, ე. ი. აბულასანი სამეფო დარბაზის სრულუფლებიანი და თანაც გავლენიანი წევრი იყო.[2]

საგულისხმოა, რომ თამარის პირველი ისტორიკოსი, როცა თამარის იური ანდრიას ძეზე დაქორწინების ამბებს გადმოგვცემს, აღნიშნავს: „ ვიეთნიმე დაღონებულობით აწუევდეს ალექსის მოყვანასა ქმრად, რომელი ახლოს სთჳსობდა და მამულად მამის ძმისწული იყო ბერძენთა მეფისა“.[3] ვფიქრობთ, სწორი უნდა იყოს სიტყვა „დაღონებულობით“ გაგებულ იქნას, როგორც „ღონის გაღებით“, „ღონივრად“.[4] ამ შემთხვევაში გამოდის, რომ „ვიეთნიმე ძალუმად (დაბეჯითებით) მოუწოდებდეს (თამარ მეფეს) ალექსის მოყვანას ქმრად“. მატიანეში მოხსენებული თამარის საქმრო ალექსი ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, როგორც ბიზანტიის იმპერატორის, ანდრონიკე I კომნინოსის შვილი ალექსი კომნინოსი (გ. გვინჩიძე შეეცადა, დაესაბუთებინა თამარის საქმრო ალექსისა და ალექსი იოანეს ძე კომნინოსის — ანდრონიკე I კომნინოსის ბიძაშვილ ანდრონიკე კომნინოსის შვილიშვილის — იდენტურობა).

როგორც ჩანს, მეფე თამარის პირველი დაქორწინების წინა ხანებში ზოგიერთი დიდებული, წინააღმდეგ იური ანდრიას ძის მოწვევისა, დაბეჯითებით მოუწოდებდნენ თამარის ბიზანტიელ იმპერატორთა საგვარეულოს — კომნინოსთა ღირსეულ წარმომადგენელზე — ალექსიზე დაქორწინებას. ალბათ უფრო ძლიერი იყო რუსი უფლისწულის ჩამოყვანის მომხრეთა დასი და მათ გაიმარჯვეს კიდეც.

უარით გაუსტუმრებიათ თამარის ქმრობის მოსურნე „ოვსთა მეფეთა შვილნი, შუენიერნი და სახეკეთილნი მოყმენი, მოჰაჯენი და მთხოველნი“. ერთი მათგანი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ცნობით, იმდენად დიდი და მოუთმენელი სიყვარულით ყოფილა შეპყრობილი, რომ ვეღარ გაუძლია და „მოვრდომილი საგებლად ბნედასა შინა“ ნიჭოზში გარდაცვლილა და იქვე დაუკრძალავთ.[5] სხვა ხელმწიფეთა შვილებიც მრავლად იყვნენ თამარის ქმრობის მსურველები, რომლებიც გაწბილებულნი გაბრუნებულან უკან.

---

1 თამარის პირველი ქორწინება მოხდა 1185 წ. გაზაფხულზე (П. М. Муратян, К хронологии некоторых некоторых событий в Грузии и Армении конца XII в., "Вестник Матенадарана", 9, Ереван, 1969, გვ. 134) ანდა 1185 წ. დამლევს. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 258.
პროფ. ს. ერემიანი, ალბათ, ცდება, რომ აბულასანს საქართველოს სამეფო დარბაზის წევრად მხოლოდ იური ანდრიას ძის ჩამოყვანის შემდგომ მიიჩნევს. შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 110.
ქართლის ცხოვრება, II, გვ. 37

4 იხ. გ. გვინჩიძე, თამარ მეფის პირველი დაქორწინების საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 102, 1981, №1, გვ. 205-207.
ქართლის ცხოვრება, II, გვ. 37-38.

* * *

ახლა განვიხილოთ, თუ რატომ შეჩერდა დარბაზის წევრთა უმრავლესობა აბულასანის წინადადებაზე. იყო თუ არა წინასწარ შემზადებული ეს წინადადება და რამ განაპირობა სწორედ რუს უფლისწულზე გეზის აღება.

გიორგი (იური) უფლისწული როსტოვ-სუზდალის დიდი მთავრის ანდრიას (თამარის პირველი ისტორიკოსი მას „ანდრია დიდი რუსმთავრის" სახელით იხსენიებს) შვილია. მის შესახებ ცნობებს რუსული მატიანეები ძალზე ძუნწად იძლევიან. ნოვგოროდელი მემატიანე წერს: „6 680 (1172 წ., რ.მ.) Прииде Новгороду князь Гюрги Андреевич."[1] ე. ი. ანდრიას 1172 წელს თავისი შვილი გიორგი (იური) ნოვგოროდის მთავრად გაუგზავნია რიურიკის ნაცვლად.[2] იურის ჩასვლამდე კი 1171 წლიდან ნოვგოროდში ანდრიას ხელდასხმით პოსადნიკი მჯდარა.[3] ეს იპატის მონასტრის ნუსხიდანაც დასტურდება: "В ту же зими выйде Рюрик из Новгорода; потом же Новгородцы послашася ко Аньдрею князю в Суждаль, и вда им детя свое Юрья и прияша и счастью".[4]

მიუხედავად ცნობების სიმცირისა, იმ დასკვნის გაკეთება მაინც შეიძლება, რომ იური სხვადასხვა მიზეზის გამო (აქ შეიძლება მისი მცირეწლოვანებაც[5] არ არის ბოლოხარისხოვანი მომენტი) ძალზედ შეზღუდული იყო. მთავრის დანიშნულებად იმ დროის ნოვგოროდში ძირითადად ლაშქრის ხელმძღვანელობა ითვლებოდა, სხვა საქმეების გამგებლობა უმეტესწილად პოსადნიკისა და ვეჩეს ხელში იყო.[6]

იური ანდრიას ძეს, მემატიანეების ცნობით, ლაშქრობებშიც მიუღია მონაწილეობა, მაგრამ აქ მისი ხელმძღვანელობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ფაქტობრივად კი ლაშქრის თავკაცებად მსხვი-

---

1 Новгородская летопись по синод. харат. сп. изд. Арх. Комисс., 1888 г.

2 ეს გაგზავნა, როგორც ჩანს, ნოვგოროდელთა მოწვევით მომხდარა. ასეთი მიწვევა მთავრისა ნოვგოროდში საერთოდ ჰქონიათ წესად XII ს-ის მთელ სიგრძეზე. ეს კი, თავის მხრივ, მიუთითებს „თვით მოქალაქეთა მიერ მთავართა თავისუფალი არჩევის შესახებ" (იხ. М. Н Тихомиров, Древнерусские города, М., 1956, გვ. 205).

3 Новгородская летопись, იქვე.

4 Летопись по Ипатскому сп. Арх. комисс. 1871, გვ. 386.

5 1174 წელს ანდრია ბოგოლუბსკი აჯანყებულმა ბოიარებმა მოკლეს და ახალი მთავრის საკითხი დაისვა. მაშინ როსტოვ-სუზდალის სამთავროში გაბატონებული წრისა და დრუჟინის გაერთიანებულმა თათბირმა იური მეტისმეტად ახალგაზრდად მიიჩნია გასამთავრებლად. (იხ. Летопись по Ипатскому. Сп. Арх. комисс., 1871, გვ. 403-404).

6 ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), გვ. 92; Ш. А. Месхия и Я. З. Цинцадзе, Из истории Русско-грузинских взаимоотношений X-XVIII вв., Тб , 1958, გვ. 20.

ლი ბოიარები ჩანან. "И посла (Андрей Боголюбский – Р. М.) на нъ сына своего Юрья с Новгородци и с Ростовци и с Суздальци и инех князей 20 с полкы своими, воеводство же поручи Борису Жидиславичю..."[1] "И посла с ними сына своего Юрья и Бориса Жидиславича Воеводою".[2]

ანდრია ბოგოლიუბსკის გარდაცვალების შემდეგ ნოვგოროდის სამთავროში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. როსტოვ-სუზდალის სამთავროში შექმნილი შინაური აშლილობა თავის მხრივ განაპირობებდა იურის ნოვგოროდიდან გაძევების აუცილებლობას და, მართლაც, 1175 წელს "В лето 6683 Выведоша из Новгорода князя Гюргия..."[3]

1176-77 წლებში ანდრია ბოგოლიუბსკის ძმამ ვსევოლოდმა (ქართული წყაროებით სალავათი) მთლიანად დაიპყრო ანდრიას სამფლობელო და თავის უფლებებში მოცილე აღარავინ გააჩერა სუზდალის სამთავროში. ამ მოქმედების შედეგი იყო თვით იური უფლისწულის ექსორიაქმნა მისი სამთავროდან. ეს უკანასკნელი ამის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩნდა და შემდგომში რუსი ისტორიკოსებისათვის მისი ბედი ქართული წყაროებიდან გახდა ცნობილი.

ქართველ დიდვაჭართა მიერ ყივჩაყეთში აღმოჩენილი რუსი უფლისწული საქართველოს დიდგვარიან ფეოდალთა ერთი ნაწილისა და მოქალაქეთა ზედაფენისათვის მისაღები უნდა ყოფილიყო, რადგან "Новгородский князь, власть которого была в значительной мере ограничена и подчинена "вече" (где господствовали крупные купцы и бояре), казался в Грузии подходящим кандидатом как для родовитой знати, выступавшей против централизированной царской власти, так и для верхушки тбилисских горожан".[4]

ამის გარდა, ბუნებრივია, დარბაზის წევრებისათვის მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ იური ანდრიას ძე დიდგვაროვანი ფეოდალი, ქრისტიანი იყო, თანაც მართლმადიდებელი. ამ მხარემ საკითხის გადაჭრაში, ალბათ, არსებითი როლი შეასრულა. თუმცა დიდებულებს, როცა ისინი უპირატესობას იურის კანდიდატურას აძლევდნენ, ამ დებულებით არ უნდა ეხელმძღვანელათ. მათთვის უფრო საინტერესო იყო ის გარემოება (გარდა ზემოთქმულისა), რომ იგი გადმოხვეწილი იყო, ექსორიაქმნილი, და თავისი დასაყრდენი ძალებიც საქართველოს სამეფოს მა-

---

1 Полное собрание русских летописей, т. XXV, Московский летописный свод конца XV века, 1949, გვ. 83.
Летопись и ипатск. сп. Арх комисс., 1871, გვ. 390.

3 Новгородская летопись по синдал. харат. сп. изд. Арх. комисс., 1888, გვ. 152.

4 Ш. А. Месхия, Я. З. Цинцадзе, Из истории русско-грузинских взаимоотношений (X-XVIII), 1958, გვ. 20.

ლალ წრეებში უნდა ეძებნა. ეს კი დიდებულთა გარკვეულ ნაწილს უჭნიდა შანსს ახალ ვითარებაში თავის გამოჩენისა და გავლენის სფეროთა გაფართოებისათვის.

იური ანდრიას ძე, რომელიც იმხანად ყივჩაყეთში იმყოფებოდა, საქართველოს, კერძოდ, თბილისის დიდვაჭრებისათვის, კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი. არ არის გამორიცხული, რომ მისი თამარისათვის ქმრად შერთვის საკითხზე[1] რაიმე წინასწარი მოლაპარაკებაც ყოფილიყო გამართული იურისთან. ამას გვაფიქრებინებს, ჯერ ერთი, ის გარე-

---

[1] თავისთავად საინტერესოა ის გარემოება, რომ თამარი მეფედ იწოდება (და არა დედოფლად) და მისი ქმრის (ისე როგორც საერთოდ საქართველოში „მეფე-ქმრის") ფუნქციები რამდენადმე შეზღუდულია. ქართული ნარატიული წყაროები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ქვეყანაში პირველი პირი მეფეა (ამ შემთხვევაში თამარი). ასე მაგ.: „მეფემან შემყრელმან სპათამან ბრძანებითა თამარისათა, მიქმართა" და სხვ. ე. ი. მეფე (ამ კონკრეტულ შემთხვევაში იური ანდრიას ძე) მხოლოდ თამარის ბრძანებით მოქმედებს. „მეფე-ქმრის" ფუნქცია იმ დროის საქართველოში უმეტესწილად ჯარის, ლაშქრის სარდლობა იყო. ამ მოვალეობას ასრულებდა იური ანდრიას ძე და დავით სოსლანი. ბუნებრივია, „მეფე-ქმრებს" სხვა უფლებებიც ეჭნებოდათ (დავით სოსლანის, როგორც „მეფე-ქმრის" როლის შესახებ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში იხ. გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 158-166). აღსანიშნავია, რომ საქართველოში დინასტიის საკითხიც მეფე-ქალთა სასარგებლოდ იყო გადაწყვეტილი. მეფე-ქმრებს ქართულ სინამდვილეში საკუთარი გვარის დამკვიდრების უფლება წართმეული ჰქონდათ. ასე მაგალითად, რუსუდანის და არზრუმის ამირას მუღლის ად-დინ თოღრულ — შაჰის შვილი დავითი ოფიციალურად იწოდება დავით რუსუდანის ძედ. ე. ი. ეს უკანასკნელი გვეკლინება, როგორც ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელი. აქ ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია მოვიტანოთ ზემოთ უკვე დასახელებული გერმანელი ისტორიკოსის ფელიქს ჰოლდაკის მოსაზრებაც. რომელიც, როგორც ირკვევა, მეტად დაინტერესებულია და საგანგებოდ ჩერდება თამარის „მეფე-ქმრების" პრობლემაზე თავის გამოკვლევაში. იგი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში მონარქი თამარია, „მეფე-ქმარი" ხელისშემწყობია მისი. ომისა და ზავის საკითხი, ასევე ლაშქრობის მოწყობა საბოლოოდ თამარმა უნდა გადაწყვიტოს. საპიროების შემთხვევაში ლაშქრისათვის საომრად გამზადების ბრძანებასაც მას სთხოვენ. ასე მაგალითად: "Tamara ist das Subjekt des Rechtes über Krieg und Frieden, und demgemäss berichtet der Chrinist dass Zakatia und Ivane mit der Aufforderung: "Beschlet also den georgischen Soldaten, da sie sich für einen Feldzig gegen Khorasan vorbereiten". მსგავსი მაგალითები მრავლად მოქაცავს ისტორიკოსს. ფელიქს ჰოლდაკი, როგორც ჩანს, იცნობს ქართულ წყაროებს, ეახეშტი ბაგრატიონის, მ. ბროსეს, ვ. ლანგლუას ნაშრომებს. მისი ზემოთმოყვანილი მოსაზრებები საერთოდ დღესდღეობით შეიძლება ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის განვლილ ეტაპს წარმოადგენდეს, მაგრამ ისინი (განსაკუთრებით ზაქარია და ივანე მხარგრძელების, ეარამ გაგელის თამარისადმი მიმართვის შესახებ, რათა ამ უკანასკნელმა გასცეს ბრძანება ლაშქრის გარკვეულ მოქმედებაზე, ან კიდევ დავით სოსლანის თამარ მეფის მითითებით საბრძოლო საქმიანობის შესახებ და სხვ.) თავისი მნიშვნელობით (თანაც თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს მოვლენები გერმანელი მეცნიერის თვალითაა დანახული XX საუკუნის ათიან წლებში) დღესაც არ არის ინტერესმოკლებული. ამდენად, როგორც ქართული, ასევე სხვა წერილობითი წყაროები გვაძლევს იმის საშუალებას, რომ „მეფე-ქმრის" ფუნქცია გარკვეულ ჩარჩოებში მოვაქციოთ და ჩვენ მიერ მოცემული ტერმინი — იურის „თამარისათვის ქმრად შერთვა" მართებულად ჩავთვალოთ (ამ საკითხზე შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკ. II, გვ. 365).

მოება, რომ აბულასანმა ასე თამამად, საკმაოდ კატეგორიული ფორმით დააყენა ეს საკითხი დარბაზის სხდომაზე, სადაც ხაზი გაუსვა, რომ „მე ვიცი შვილი ხელმწიფისა“ და სხვ. ე. ი. განცხადება თავის საკუთარ ცოდნაზე („მე ვიცი“) ააგო. საფიქრებელია, რომ მას იურისაგან უკვე გარკვეული დასტურიც ჰქონდა მიღებული; მეორე — თვით სასიძოს ასეთი სწრაფი, ვადაზე ადრე ჩამოყვანა („უწინარეს პაემნისა მოყმე სახეკეკლუცი, სრული ანაგებითა და მჭვრეტთაგან საჩენი გუარისშვილად“)[1] სწორედ ზემოთქმულს (იური უფლისწულის ამ საკითხის ირგვლივ საქმის კურსში ყოფნას) ადასტურებს. თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვით, „პატრიარქმან, დიდებულმან, ვაზირთა და სპათა — მოაკსენეს თამარს, და მათგან ნება-დაურთავი განამზადეს ქორწილი“[2] აქ ჩამოთვლილ საეკლესიო (მიქაელ პატრიარქი ორივე ისტორიკოსს უფლისწულის მოწვევის მომხრედ ჰყავს გამოყვანილი, არც ის იყო შემთხვევითი, რომ დარბაზი აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად საეკლესიო კრების შემდგომ, ამ კრების მონაწილეთა საერო პირებით შევსების შემდეგ შეიკრიბა) თუ საერო პირებისა და უფრო მეტიც, წრეების პოზიცია გარკვეულია.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ თვით საქართველოს მეფე ჩანს ამ საქმის წინააღმდეგი. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ გადმოგვცემს თამარის პასუხს შეთავაზებულ წინადადებაზე: „კაცნო, ვითარ ღირს არს შეუტყუებელი ესე ქმნად? არა ვიცით კაცისა ამის უცხოსა ქცევა და საქმე, არცა მჯდრობისა, არცა ბუნებისა, და არცა ქცევისა. მაცალეთ, ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე, გინა სიდრკუე მისი“.[3]

რუსი უფლისწულის ჩამოყვანის წინააღმდეგი ჩანს დიდებულთა ერთი ნაწილიც, რომლებიც „ვეთნიმე დაღონებულობით“ გამოიყურებიან ნებადაურთავი ქორწილის დანიშვნის შემდეგ. საინტერესოა თამარის მეორე ისტორიკოსის პოზიციაც. იგი ხაზს უსვამს, რომ თამარის სახ-

---

1 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. II. გვ. 37. პროფ. ი. ციბაძე. სასიძოს სწრაფად ჩამოყვანას ყიჩაყეთიდან გზის საკმაოდ მოწესრიგებულობის შედეგად მიიჩნევს (იხ. მისი ძიებანი. გვ. 102). ჩვენი აზრით კი, ამ აქციის ასეთი სწრაფი შესრულება იური ანდრიას ძის აღნიშნული საქმისათვის მზადყოფნის გამო უნდა მომხდარიყო. უფლისწული, როგორც ჩანს, ელოდა ასეთი მიწვევის საკითხზე მოციქულის ჩასვლას და მანაც დაუყოვნებლივ გამოსწია საქართველოსაკენ.
ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II. გვ. 37. შდრ. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“. „შეკრბეს წინაშე რუსუდან დედოფლისა პატრიარქი და დიდებულნი. სპასპეტნი და ერისთავნი და აცნობეს თამარს და აწუეედეს ქორწინებასა“ (ქართლის ცხოვრება, II. გვ. 119).

2 ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება. II. გვ. 120.

ლობის საკითხი დარბაზმა „ესე ვერა კეთილად განაგეს“.[1] იგი უკმაყოფილოა სასიძოს ჩამოსაყვანად გაგზავნილი მოციქულის დონისა (აქ პირველი ისტორიკოსის მიხედვით თბილისელი დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელია მხედველობაში) — „რამეთუ არცა კაცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს“, ამასთანავე, „არცა მისსა მეცნიერ იყვნეს, რომელსა იგი მოიყვანებდეს“. ისტორიკოსი გვარიანობასა და შესახედაობას ვერ უწუნებს ჩამოყვანილ იური ანდრიას ძეს, თუმცა მაინც აღნიშნავს — „რამეთუ არარს მეცნიერ იყვნეს ჩვეულებისათჳს მისისა“.

ზანქან ზორაბაბელის იური უფლისწულთან გაგზავნის მეტად საინტერესო ინტერპრეტაცია აქვს მოცემული ფ. ჰოლდაკს. მან იცის ქართველი მემატიანის მოსაზრება გაგზავნილი მოციქულის „ულირს პირად“ მიჩნევის შესახებ. გერმანელი მეცნიერი თითქოს ეთანხმება თამარის მეორე ისტორიკოსს მეტად საპატიო მისიის (თამარის სახლობის საკითხის მოგვარების) აღმასრულებლის ამ საქმისათვის შეუფერებლად მიჩნევაში, თუმცა იგი საქართველოს სახელმწიფო დარბაზის, დიდებულების მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს მიიჩნევს რამდენადმე წინასწარგანზრახულად და საგანგებოდ მოფიქრებულად ("recht vorsichtig zu verfahren").[2] ფ. ჰოლდაკი თვლის, რომ თუკი ზანქან ზორაბაბელი იმ პრინციპით იყო შერჩეული, როგორც გზის და რუსი უფლისწულის ადგილსამყოფელის მცოდნე, ეს ვერაფერი ბედენაა, რადგან ასეთ შემთხვევაში მასზე მეგზურის მოვალეობის დაკისრება უფრო უმჯობესი იქნებოდა, ვიდრე მისიის მეთაურისა. ამ შემთხვევაში გერმანელ მეცნიერს საქმის ვითარება ისე აქვს წარმოდგენილი, რომ დიდებულების მიერ მიღებული გადაწყვეტილება თამარ მეფისათვის იური ანდრიას ძის შერთვის შესახებ, უცნობი იყო როგორც საქართველოს მეფის, ასევე რუსი უფლისწულისათვის, ამიტომ მოსალოდნელი მარცხის შემთხვევაში (ეს გამორიცხულად არ მიაჩნდათ დიდებულებს, ფ. ჰოლდაკის მიხედვით) სახელმწიფო დარბაზის წევრები, როგორც იტყვიან, ხელს დაიბანდნენ. რაკი ფ. ჰოლდაკი ასეთ შეფასებას აძლევდა თამარის სახლობასთან დაკავშირებულ საქმის ვითარებას, ის რთული სიტუაცია, რომელიც ამ პერიოდში სახელმწიფო სამეფო კარზე შეიქმნა, მეცნიერს, მისი აზრით, აძლევდა უფლებას, განეცხადებინა, რომ "die diplomatische Rankekunst am georgischen Hofe sife sich jedenfalls auf einer hohen Stufe befand".[3] როგორც ჩანს, გარკვეული წინააღმდეგობანი იმთავითვე გაჩნდა იური ანდრიას ძის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა დასებს შორის, მაგრამ პირველნი

---

1 ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 119.

2 Felix Holldack, Von der Sage und dem Reich der grusinischen Königin Tamara, Leipzig, გვ. 60.

3 „საქართველოს სამეფო კარზე დიპლომატიური ცბიერება მაღალ საფეხურზე იდგა“.

მეტად აქტიურნი ჩანან და დაჟინებით მოითხოვენ საქმის ბოლომდე მიყვანას: „აწუევდეს ქორწინებასა და სწრაფობდეს ამის პირისათჳს". თამარის უარზე, „იგინი წინააღუდგებოდეს უშვილობასა მ̇ოახსენებდეს, სახლისა მისისა უნაყოფობასა დრტ̇ნვიდეს, წინამძღუარსა სპათასა ითხოვდნენ და ყოვლითურთ შეაიწრებდეს სულსა მისსა... ესოდენ მძიმესა საქმესა სუბუქად შეეხებოდეს." ასეთი მცდელობის შემდეგ იური ანდრიას ძის მომხრეთა დასმა გაიმარჯვა და თამარი „აიძულეს ქმნად... და ვითარ იყო ხუედრი... ეგრეთ იქმნა ქორწილი".[1]

იური ანდრიას ძეს ცუდი თვისებები აღმოაჩნდა, რის გამოც (აქ სხვა გარემოებებიც არაა გამორიცხული) იგი გააძევეს საქართველოდან.

რუსის გაძევების უმალ გამოჩნდნენ თამარის ქმრობის მსურველნი. ესენი იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის მეფეთა შვილები, ქრისტიანი თუ მუსლიმი უფლისწულები. ბევრი კანდიდატი ქმრობისა უარით გაისტუმრეს. თამარის პირველი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ თამარის ქმრობის მონატრებულმა არზრუმის ამირას ვაჟმა მუტაფრადინმა („სალდუხის ძის ძემან"), მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად, „დამგდებელმან მუჰამედისამან, სჯულისა ტკბილისამან" თავშეუკავებელი საქციელი ჩაიდინა — თვითონ მოვიდა საქართველოში, რომ საქმე თავად გაერიგებინა. მას თან ახლდნენ მრავალი დიდებული, ხოჯები და საჟურისები, მონები და მხევლები. მუტაფრადინმა მდიდრული ძღვენი ჩამოიტანა „თუალისა და მარგალიტისა, საჟურჟლეთა და ლართა თანა ავაზებისა და ტაიჟებისა სიმრავლითა". ქმრობის კანდიდატი დიდებულებს პატივით მიუღიათ. იგი საქართველოში საკმაო ხანს დარჩენილა. ნადირობა და დროსტარება არ დაუკლიათ. თამარის ღირსად არ მიუჩნევიათ და „დაამხუეს ჭედმაღლობა ტფიალისა მისისა". თამარის მაგიერ მუტაფრადინს შერთეს გიორგი III-ის უკანონო შვილი — „ერთი ხარჭთაგანისა ნაშობი, რეცა სახელდებული შვილად მეფისა".

მუტაფრადინის გასტუმრების შემდგომ „რეცა დარბაზობისა სახედ" საქართველოში ჩამოვიდა აღსართან შირვანშაჰი, რომელიც თამარის ქმრობის ღირსად ჩათვლის შემთხვევაში „რჯულის დაგდების" მზადყოფნაში იყო. იგი დიდი ძღვენით ჩამოვიდა. პატივის მიგება არც აღსართანისთვის დაუკლიათ. თამარს კი მტკიცე პასუხი მიუცია: „ჯუალად აღარა შესძინედ ესე ვითართა თქმად".

მეფე თამარის მოტრფიალე უცხოელ უფლისწულთა შორის ბერძენთა მეფის მანოელის შვილიცაა დასახელებული, რომელიც „უხუცესი იყო გაჭრითა და გახელებით, არათუმცა ანდრონიკეს, ჟამსა მის მეფობისასა და მისგან ბერძენთა ამოწყუედისასა, შეეპყრა და განეპატიჟა

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 37.

იგი მოყმე პოლიკარპოს. მსგავსი — ასურასტანისა და შუამდინარისა ანტიოქელისა მეფისა შვილი იყო: უკეთუმცა ჰქონებოდა გზა მრავალგუართა ბარბაროზთა შუაყოფისაგან, წამსაცა შინა აქა პოვნილ იყო".[1]

ზეპირსიტყვიერებამ თამარის ქმრობის მოსურნე კიდევ ბევრი უფლისწულის ამბავი შემოინახა...

თამარს ქმრად მოჰგვარეს ოსეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი დავით სოსლანი.

ამიერიდან მეფე თამარი და დავით სოსლანი შეთანხმებულად განაგებდნენ ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეებს: მათი მიზანსწრაფული მოქმედებითა და გონივრული მცდელობით ქვეყანაში მშვიდობიანი ცხოვრება დაიმკვიდრეს, გადაჭრეს ბევრი საშინაო პრობლემა და საგარეო ურთიერთობების დამყარებაც მოხერხებულად მოაგვარეს.

თამარის საგარეო პოლიტიკა აქტიური იყო. მისი ბრძოლები სამართლიან ხასიათის ატარებდა. ისინი სრულიად საქართველოს სიძლიერესა და ქვეყნის სიმტკიცეს ემსახურებოდნენ. ობიექტურად ამ ბრძოლებით საქართველოს სახელმწიფოსა და მისი შეიარაღებული ძალების დემონსტრირებაც ხდებოდა.

საქართველომ დიდი გამარჯვებები იზეიმა შამქორისა (1195 წ.) და ბასიანის (1202 წ.) ბრძოლებში. სამეფო ხელისუფლების გონივრულმა პოლიტიკამ და ქვეყნის სამხედრო ძლიერებამ ფაქტობრივად უზრუნველყო სამხრეთის საზღვრის სრული უსაფრთხოება.

ფრიად საინტერესო ცნობაა დაცული „ისტორიასა და აზმანში" ელჩის იმუნიტეტის შესახებ. როცა სულთან რუჭნადინის მოციქულმა კადნიერი წერილი გადასცა საქართველოს მეფეს და „არასაკადრებელი სიტყვებით" მიმართა მას, ზაქარია მხარგრძელმა ძლიერ „უხეთქა ხელითა პირსა". გონდაკარგული ელჩი ძირს დავარდა. როცა მოასულიერეს და ფეხზე წამოაყენეს, ზაქარია მხარგრძელმა მიმართა: „თუ მოციქული არ იყავ, პირველად ენისა აღმოკუეთა იყო შენი სამართალი და მერმეცა თავისა, კადნიერად კადრებისათვის". აქ აშკარად ჩანს, რომ საქართველოში ელჩის სტატუსი კარგად იცოდნენ და მისი ხელშეუხებლობაც კარგად ესმოდათ.

ერთი დეტალიც. როცა ბასიანის ბრძოლაში გამარჯვებული თამარი დაბრუნდა, მას ზეიმით შეხვდა სრულიად საქართველოს. დედაქალაქი თბილისი. საზეიმოდ მომზადებულ დედაქალაქში „შევიდა თამარ და დავით ვითარცა მზისა შარავანდედი მიფენითა, და შეიღეს დროშა ნუჭარდინისი". ამ დროშის შეტანა მტრის განადგურების სიმბოლო იყო. შემდეგ შეუყვანიათ წარჩინებული ტყვეები. პირველად ეზინკელი (არზინჯა-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 42.

ნელი) ამირა შეუყვანიათ, შემდეგ სხვა წარჩინებულნი. მეფე თამარმა „ყოველთა ნუგეშინისცა და დიდად სახელოვნად სერითა ისტუმრნა და უბოძა ყოველთა შესატყვისად. და წარგზავნა ციხეთა შინა ყოველსა ადგილსა, თ'ნიერ ეზინკელისა". ე. ი. წარჩინებული ტყვე ამირები, რომელიც თამარმა ისურვა („რომელი სთნდეს") პირადად მიიღო, დააპურა, დაასაჩუქრა და საქართველოს სხვადასხვა ციხეებში მიუსაჯა ტყვეობის მოხდა. გამონაკლისი იყო ეზინკელი ამირა. იგი თამარმა ერთხანს თბილისში დატოვა პატიმრად, შემდეგ კი ეს დიდებული ცხენის ნალში გაჰყიდა — „ესე ყო დიდებად და სახსენებლად თ'სა".

ტრაპიზონის სამეფოს შექმნა

მეფე თამარის სახელთანაა დაკავშირებული ტრაპიზონის სამეფოს შექმნა. ძლიერი საქართველოს სამეფო თავის გავლენას ავრცელებდა სამხრეთით. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე. ქართული მატიანეები გულწრფელად გადმოგვცემენ, „თუ რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა (მეფე თამარმა), რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ სცა სამეფო თ'სი... და ამისი მოწამე არს სახლი შარვანშეთი... და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა".

ბიზანტიელი ისტორიკოსი მიქაელ პანარეტოსი გვაუწყებს, რომ „მოვიდა დიდი კომინოსი ბატონი ალექსი, რომელიც წამოსული იყო დიდებულ ქალაქ კონსტანტინეპოლიდან, ხოლო გამოილაშქრა კი იბერიიდან მისი მამიდის, თამარის გულმოდგინებითა და ღვაწლით და 22 წლისამ დაიპყრო ტრაპიზონი აპრილში მე-7 ინდიქტიონის 6712, ე. ი. 1204 წელს. იმეფა 18 წელიწადს, გარდაიცვალა ორმოცი წლისა 6730 ე. ი. 1222 წელს, 1 თებერვალს.[1]

საქმე ისაა, რომ XIII საუკუნის დასაწყისიდან ბიზანტიის იმპერიაში დიდი შინაპოლიტიკური ბრძოლები მიმდინარეობდა. ქვეყანა ეკონომიკურად დასუსტდა. 1202 წელს ისაკ II ანგელოსი შეთქმულებმა საიმპერატორო ტახტიდან ჩამოაგდეს. მისი შვილი ალექსი რომის პაპთან წავიდა და ტახტის დაბრუნებაში შემწეობა სთხოვა. სანაცვლოდ ჯვაროსნულ ომში მონაწილეობასა და ბიზანტიის ეკლესიის რომისადმი დაქვემდებარებას კისრულობდა. შემდეგ ალექსი თავის სიძეს (დის ქმარს) ფი-

---

[1] მიქაელ პანარეტოსი. ტრაპიზონის ქრონიკა, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი წერილით, შენიშვნებითა და საძიებლით გამოსცა ალ. გამყრელიძემ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 39, თბ., 1960, გვ. 16.

ლიპე შვაბელს მიადგა. ამ უკანასკნელის მეშვეობით ჯვაროსნებმა თავს იდეს დახმარების მისია და, მართლაც, 1203 წლის ივნისში ისაკსა და ალექსის ტახტი დაუბრუნეს. მაგრამ ეს აქტი არ აღმოჩნდა სტაბილური. 1204 წლის იანვარში აჯანყებულმა კონსტანტინოპოლის მოსახლეობამ კვლავ გადააყენა იმპერატორი, დაამხო საიმპერატორო ძალაუფლება.

მდგომარეობის საერთო გართულების პირობებში ჯვაროსნებმა კვლავ მიიტანეს იერიში ბიზანტიის იმპერიაზე. 1204 წლის 13 აპრილს მათ აიღეს ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი; სასტიკად გაუსწორდნენ მოსახლეობას, დაანგრიეს არქიტექტურული ძეგლები.

როგორც ჩანს, ბიზანტიის იმპერიის დასუსტება მოხერხებულად გამოიყენა საქართველოს სამეფო კარმა, თანაც საბაბად გამოყენებულ იქნა ერთი გარემოება: ბასილ ეზოსმოძღვრის ცნობით, „მოიწინეს ოდესმე ჩვეულებისამებრ ქველის-მოქმედებათათჳს ამისთა მონაზონნი შავისა მთისა, ანტიოქიით და კვიპრისა ჭილაკით, ეგრეთვე მთაწმიდით ადგილთათ". მეფე თამარს დიდი პატივით მიუღია ისინი, შეუწყნარებია „ეითარ ანგელოზნი", დიდხანს თავისთან დაუტოვებია, შემდეგ კი „მისცნა ყოველთა დიადი, და აღავსნა ყოვლისა საკმრითა... უფრო შორიელთა მისცა დიდძალი ოქრო, თჳთ მათთჳს და ყოველთა მონასტერთა განსაყოფელად".[1] უკან გაბრუნებულ მონაზონებს, რომლებმაც კონსტანტინოპოლამდე მიაღწიეს, ბიზანტიის იმპერატორის ალექსის კაცები დაუხვდნენ და გაძარცვეს. თვით ალექსის მემატიანე იხსენიებს, როგორც ანგარებიან პიროვნებას, „რომელმან ძმასა თჳსსა ისაკს თუალნი დასწუნა და მეფობა წარუღო. ესე ყოვლითურთ ბოროტი კაცი იყო, და შეუტყუებელი მეფობისა, გარნა უმეტეს ანგარებისათჳს საძაგელ იყო ყოველთა მიერ".[2]

შეიტყო თუ არა მეფე თამარმა ალექსის ასეთი საქციელის შესახებ, „ნაცელად სხუა უფროსი წარგზავნა მათ წმიდათა მიმართ, და ამით უმეტეს არცხჳნა ეშმაკი". განრისხებულმა საქართველოს მეფემ ჯარი შეჰყარა („მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი") და ფაქტობრივად ომი გამოუცხადა ბიზანტიის იმპერიას. კონკრეტულად საომარი ოპერაციები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე დაიწყო. საქართველოს ლაშქრის აქტიური საბრძოლო მოქმედების შედეგად „წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნტი, კოტიორა, ამასტრია, ერაკლია, და ყოველნი ადგილნი ფებლაღონისა და პონტოსანი". ეს მნიშვნელოვანი ტერიტორია იყო. მეფე თამარმა დაპყრობილი მხარეები-

---

1 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 142.

2 იქვე.

საგან შექმნა ერთი სახელმწიფო, რომლის სათავეში ჩააყენა ბაგრატიონთა ნათესავი (მეფე თამარი მისთვის მამიდად ითვლებოდა) ალექსი კომნენოსი („მისცა ნათესავსა თ·ესსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თ·ეთ წინაშე თამარ მეფისა შემოხუეწილი"). ასე შეიქმნა ტრაპიზონის სამეფო 1204 წელს.

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი" გადმოგვცემს, რომ ქართველთა მიერ მცირე აზიაში ბიზანტიის დამარცხებასა და ქართული ბუფერული სახელმწიფოს შექმნას დიდი გამოძახილი ჰქონია ჯვაროსნებში — იგი ამ უკანასკნელთა შემდგომი გააქტიურების საფუძველი გამხდარა. „ხოლო ესმა ეს ფრანგთა, რამეთუ მოელო ბერძენთა შეწევნა აღმოსავლეთით, გამოვიდეს ვენეტიკნი და წარულეს სამეფო ქალაქი, მეფობისა თანა, და შეიხუეწა უბადრუკი იგი ალექსი ბორღალეთსა, თ·ესისა სიძისა თანა".[1] ნიშანდობლივია, რომ ბულგარელთა მეფესაც (ალექსის სიძეს) სცოდნია ალექსის ანგარების ამბავი, შეუყვანია ერთ ციხე-დარბაზში, ოქრო დაუფენია მის წინა და უთქვამს: „აჰა ალექსი გულის-სათქმელი იგი შენი; ოქრო ესე მიიღე, თ·ნიერ სხ·ესა რომლისამე საზრდელისა, და წყლისა წილ, რამეთუ ამისთ·ს წარსწყმიდე სახლი სამეფო ქრისტიანთა, და დაკ·ენ თვითმპყრობელობა ბერძენთა". ალექსი აქვე გარდაცვლილა „დაკლებული შეწევნისაგან ღმრთისა".

უნდა შევნიშნოთ, რომ „ქართლის ცხოვრების" ზემოთ მოცემულ სქემას (ბერძენთა კეისრის მიერ თამარის ნაბოძები ოქროს კონფისკაცია — ხაპასუ·ხო გალაშქრება და ქართველთა მიერ მცირე აზიის ადგილთა დაჭერა — შემდეგ ფრანგთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობა) კრიტიკულად მიუდგა ზურაბ ავალიშვილი.[2] უპირველეს ყოვლისა, მეცნიერი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ როგორც ალექსი ანგელოსის ტახტიდან ჩამოგდება, ისე ტრაპიზონის სამეფოს დაარსება ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის ეპოქას ეკუთვნის და უცილებელი იყო ამ გარემოების გათვალისწინება. ზ. ავალიშვილი მიმოიხილავს ტრაპიზონის სამეფოს ირგვლივ არსებულ ლიტერატურას (მიქაელ პანარეტი, მ. ბროსე, ანრი ვალანსიენელი, ფალმერაიერი, ფინალეი, კუნიკი და სხვ.) და მიიჩნევს, რომ საქართველოს ტრაპიზონის „ქანური" სახე იზიდავდა. მართლაც, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაპირი ქანებითა და სხვა ქართველთა მონათესავე ტომებით იყო დასახლებული. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბიზანტიის იმპერიის დასუსტებას თან მოჰყვა მცირე აზიაში დამკვიდრებული თურქების ამოქმედება-გააქტიუ-

---

1 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 143.

2 ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი, თბ., 1989, გვ. 52-94.

რება. ბუნებრივია, საფრთხე ემუქრებოდა იქ მცხოვრებ ქართველ მოსახლეობასაც. არის მოსაზრება (ზ. ავალიშვილი, გ. გოზალიშვილი, ა. გამყრელიძე და სხვ.), რომ ტრაპიზონის სამეფოს შექმნა წინ უსწრებდა კონსტანტინოპოლის საბოლოო დაცემას.

ასეა თუ ისე, სადავო არ არის, ტრაპიზონის სამეფოს დაარსება საქართველოს სამეფო კარის მიერ წარმოებული აქტიური პოლიტიკის შედეგი იყო და ამასთან „ის იყო მისი საგარეო პოლიტიკის იარაღი".[1]

ერთი საკითხიც. რატომ აიღო საქართველოს სამეფო კარმა გეზი ტრაპიზონის სამეფოში კომნენოსთა გამეფებაზე! საქართველოს მფარველობა და აქტიური დახმარება კომნენოსებისადმი ასახსნელია იმ გარემოებით, რომ ამ უკანასკნელთა სამი თაობა საქართველოში ცხოვრობდა და ნათესაობდა ქართულ სამეფო სახლთან. ამასთან, განსაკუთრებული სახელმწიფო ანგარიშით, ჭანეთის მჭიდრო მეზობლობით და იქნებ მისი სახლის ეთნიკური ერთობითაც (ზ. ავალიშვილი). როგორ მოხვდნენ კომნენოსები საქართველოს სამეფო კარზე? რა დინასტიური კავშირი იყო მათ შორის? კერძოდ, ქართველ ბაგრატიონებსა და კომნენოსების უმცროს შტოს შორის? 1185 წელს ბიზანტიის იმპერატორი ანდრონიკე კომნენოსი ტახტიდან ჩამოაგდეს და მოკლეს. სამეფო ანგელოსთა საგვარეულოს წარმომადგენლებმა დაიკავეს, ისაკი მეფედ ეკურთხა. კომნენოსებიდან მოკლეს იმპერატორი ანდრონიკეს შვილი მანოელიც. გადარჩნენ მანოელის ვაჟები — ალექსი და დავითი, რომლებმაც თავშესაფარი ქართველი მეფის — თამარის კარზე პოვეს.

რაც შეეხება ნათესაობას, აქ საჭიროა გავიხსენოთ დავით აღმაშენებლის ასული კატაი, რომელიც საბერძნეთში იყო გათხოვილი. „ამასვე წელსა დემეტრე მეფე მოკუდა, და და დემეტრესი თამარ, თიღუსა აღმაშენებელი, იგიცა შემონაზონებული გარდაიცვალა და და მისი კატა დედოფალი საბერძნეთს გათხოვილი იყო" (ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე). ვფიქრობთ, მართებულია ოთ. ლორთქიფანიძის მოსაზრება, რომ კატაი მისთხოვდა ალექსი I-ის შვილს ისაკ კომნენოსს.[2] კატაისა და ისაკის შვილი იყო ანდრონიკე, რომელიც საქართველოს მეფეს — გიორგი III-ს ესტუმრა „ცოლითა სახებრწყინვალითა და შუენიერითა, თანა შვილებითურთ და დისწულითა, მამის ძმისწული დიდის მანოელ კეისრისა და ყოვლისა დასავლეთისა და საბერძნეთისა მეფისა".[3] ახლო ნათესაურ კავშირზეა უთუოდ მინიშნება, როცა „ისტორიანი და აზ-

---

1 Ф. И. Успенский, История Византийской империи, I, III, М.-Л., 1948, გვ. 601.

2 იხ მისი, ტრაპიზონის სამეფოს წარმოშობის საკითხისათვის, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი VI, თბ., 1953, გვ. 164.

ქართლის ცხოვრება, II, გვ. 16-17.

მანი“ აღნიშნავს: „და ვითარ მართებდა, ეგრეთ მმადლობელმან ღმრთისამან შეიწყნარა და მისცა პატივი შესატყისი სახლის — შვილობისა მისისა. და მიმცემელმან ქალაქთა და ციხეთამან კმასაყოფელთამან დაუდგნა საჯდომნი სიახლესა საყდრისა თჳსისასა...“ და ა. შ. ბაგრატიონთა და კომნენოსთა დამოკიდებულება ნათელია. ანდრონიკე გიორგი III-ის მამიდაშვილი იყო, ე. ი. დემეტრეს დისწული, ხოლო თვით დემეტრე ალალი ძმა იყო კატაისი (ეს ფაქტი დადასტურებული აქვს ბიზანტიელ ისტორიკოსს მიქაელ პანარეტოსაც). ქართულ წყაროში მოხსენიებული ალექსი კომნენოსი ანდრონიკეს შვილიშვილი იყო. სწორედ იგი გახდა ტრაპიზონის იმპერიის პირველი მეფე.

დავაკვირდეთ გენეალოგიას (შთამომავალთა ყოველი თაობიდან მხოლოდ თითო დავასახელოთ):

ალექსი I კომნენოსი	დავით IV აღმაშენებელი
ისაკი (კატაის ქმარი)	დემეტრე I (კატაის ძმა)
ანდრონიკე მანუილი	გიორგი III თამარი
ალექსი (ტრაპიზონის მეფე)	

ტრაპიზონის იმპერია საქართველოს ქვეშევრდომი, მისი ყმადნაფიცი ქვეყანა იყო. საქართველოს ცხოვრებაში მან მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სტრატეგიული და პოლიტიკური როლი შეასრულა. მის არსებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთიდან ბიზანტიელთა და სამხრეთ-დასავლეთიდან რუმის თურქთა სასულთნოს შემოტევათა უკუსაგდებად.

ალექსი კომნენოსი საქართველოს სამეფო კარის დასაყრდენი იყო. მის საგარეო პოლიტიკაში, განსაკუთრებით ბიზანტიასთან ურთიერთობის საქმეში. შავი ზღვის ნაპირზე მოსახლე ბერძენთა მნიშვნელოვანი ნაწილი იმედის თვალით უყურებდა ტრაპიზონში გამეფებულ კომნენოსებს. მათ უთუოდ დიდი სახელი ჰქონდათ და თანამემამულეებს არ გაჰქრობოდათ ილუზია მათგან მამაპაპეული ტახტის აღდგენისა. გამოვიდნენ თუ არა სამოღვაწეო ასპარეზზე, საქართველოს სამეფო კარის მეოხებით, ალექსი და დავით კომნენოსები იძულებული გახდნენ, მცირე აზიაში არსებულ ურთულეს პოლიტიკურ დუღილში ჩაბმულიყვნენ.

ალექსი კომნენოსის მეფობის ბოლო წლებში საქართველოს მთავრობა ბიზანტიის შინაპოლიტიკური ცხოვრების საქმის კურსში იყო და ზოგჯერ აქტიურადაც ერეოდა ბიზანტიის პოლიტიკურ ამბებში.

ტრაპიზონის იმპერიის არსებობის მანძილზე (1204-1461 წწ.) მის სამეფო კარზე ორი პოლიტიკური ორიენტაცია და კულტურული ტენდენცია გამოიკვეთა — ქართული და ბიზანტიური. კომნენოსები საქართველოს, მისი სამეფო კარის, ქართველი მეფეების ერთგულები იყვნენ. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანდა საქართველოს ძლიერების პერიოდში. მონღოლთა შემოსევებისა და საქართველოს დასუსტების შემდეგ ეს ვითარება რამდენადმე შეიცვალა და ქართულმა ორიენტაციამ არასტაბილური ხასიათი მიიღო.

ამგვარად, მეფე თამარის ზეობის დროს საქართველოს მეზობლად ძირითადად ქართველი ტომებით დასახლებული და ქართული ორიენტაციის მქონე დიდი იმპერიის შექმნა უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო; ეს იყო გამარჯვება საქართველოს პოლიტიკისა, დიპლომატიისა, რაც ეყრდნობოდა საქართველოს ძლიერებასა და იმ საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებას (ჯვაროსანთა IV ლაშქრობა, ბიზანტიის იმპერიის დასუსტება), XIII საუკუნის დასაწყისში რომ არსებობდა.

* * *

დიდი წარმატებები, რაც საქართველოს სამეფო კარმა, მეფე თამარმა და მისმა უძლეველმა ლაშქარმა მოიპოვეს საგარეო პოლიტიკურ დაწინაურებასთან ერთად კეთილისმყოფელი გავლენა ახდენდა ქვეყნის საშინაო მდგომარეობაზე, მის ეკონომიკურ განვითარებაზე: „ამათ დღითი დღე წარმართებათა და განდიდებათა შინა იყო აკიპტრისმპყრობელთა ყოველთა უბრწყინვალესი თამარ".[1] საქართველოს მეფე გამორჩეული იყო ღვთისმოსაობით და ქვეყნის წარმატებების შესაბამისად „შეუმატებდა ღმრთისმსახურებასა"; თამარი მიეული ძალით იყო მოწადინებული ეკლესიითა და მონასტერთა კაზმასა და შენებაზე; ზრუნავდა ობლებსა და ქვრივებზე, შეიწყალებდა და სამართალსა „ჰფენდა" მათ. თამარის პირველი ისტორიკოსი საგანგებოდ მიანიშნებს, რომ ხალხი ბედნიერი იყო, „იშუებდეს და იხარებდეს". სამეფო კარის მესვეურები დროდადრო გადადიოდნენ დასავლეთ საქართველოში („აფხაზეთში") და „ჭანაგიან საქმენი მანდაურნი". თავისუფალ ჟამს არც გართობას ივიწყებდნენ — გეგუთისა და აჯამეთის ტყეებში ნადირობდნენ. შემდეგ „ჭარდმო-

[1] ქართლის ცხოვრება. II. გვ. 99.

ვიდიან ქართლს, სომხეთს, და დადგიან დურს". აქ ხარაჯით მოდიოდნენ — განძელნი და აღმართ-ქალაქნი". გაზაფხულობით სომხითს მიდიოდნენ, სადაც ნახევანელებისაგან იღებდნენ ხარაჯას, შემდეგ კოლას მიდიოდნენ, „თავსა არტანისასა, მუნით მოიღიან ხარაჯა კარნუქალაქით და ეზინკით და სხუათა გარემოსა ქალაქთა".[1] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი გულისწუხილით აღნიშნავს, რომ „ესრეთ სიხარულსა შეუთქს მწუხარებაო". მიზეზი საყოველთაო მწუხარებისა დავით სოსლანის გარდაცვალება იყო: „მიიცვალა სოსლან დავით, კაცი აღსავსე ყოვლითა სიკეთითა, საღმრთოთა და საკაცობოთა". მემატიანე არც ამჯერად იშურებს ეპითეტებს მეფე-ქმრის შესამკობად: „შესახედავად განშუენებული, ხოლო წყობათა და ომთა შინა მკნე ვინმე გულოვანთაგანი, უხ·ჯ და მდაბალი და სიკეთე აღმატებული".

დიდად იგლოვა საქართველომ დავით სოსლანის გარდაცვალება: „იტირეს და იტყებდეს და დაუტევეს მწუხარება ყოველსა მკ·ედროვანსა". დავით სოსლანს ორი შვილი დარჩა ლაშა-გიორგი და რუსუდანი. მამის გარდაცვალების შემდეგ ლაშა-გიორგი თამარის თანამოსაყდრე გახდა.

* * *

საქართველოს საგარეო პოლიტიკაში XIII ს-ის დამდეგს ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო მდ. არაქსის სამხრეთით მდებარე სომხური ტერიტორიები, რომლებიც შაჰ-არმენთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. ანისის და დვინის შემოერთების (1199 და 1203 წწ.) შემდეგ საქართველომ შექმნა მოხერხებული სამხედრო პლაცდარმი ჩრდილოეთ სომხეთში ვანის ტბის რეგიონისაკენ შეტევის განსახორციელებლად. 1204-1206 წლებში ქართველებმა დაარბიეს შაჰ-არმენთა სამფლობელოები (მათ შორის მანასკერტი და ხლათის მხარე). მზადდებოდა პირობები თავად ხლათის — შაჰ-არმენთა სატახტო ქალაქის ასაღებად. შაჰ-არმენთა სახელმწიფო, რომელიც მწვავე შიდა პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა, ალბათ ვერ შეძლებდა, წინააღმდეგობა გაეწია საქართველოსთვის, მაგრამ ამ რეგიონის დაუფლებაზე პრეტენზია განაცხადა ახალმა ძალამ — აიუბიანთა ძლიერმა სახელმწიფომ.

სალაჰ ად-დინ აიუბის (1171-1193) მიერ თავდაპირველად ეგვიპტეში შექმნილი აიუბიანთა სასულთნო იმ პერიოდში უკვე მოიცავდა მთელ სირიას და ჩრდილოეთ მესოპოტამიის ნაწილსაც. სალაჰ ად-დინისა და მისი მემკვიდრეების მზერა მიმართული იყო ხლათისკენაც, რომლის

---

[1] ქართლის ცხოვრება. II, გვ. 99-100.

ანექსიაც აიუბიანთა უმნიშვნელოვანეს სამხედრო-სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენდა. 1207-1208 წლებში აიუბიანთა სულთან ალ-ადილის (1200-1218) ვაჟმა ქ. მაიაფარიკინის (დიარ-ბაკრში) გამგებელმა ალ-ავ-ჰადმა ხელთ იგდო ხლათი და მასთან ერთად შაჰ-არმენთა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ნაწილი არაქსის სამხრეთით.

ამ დრომდე საქართველოს სამეფო კარსა და აიუბიანთა შორის მშვიდობა სუფევდა და დიპლომატიური კონტაქტები არსებობდა. ცნობილია თამარის ორი ელჩობა სალაჰ ად-დინის კარზე 1192 წელს ჯვარცმის ჯვრის გამოსყიდვისა და პალესტინაში დროებით დაკარგული ქართული მონასტრების დაბრუნების მიზნით. შემონახულია თამარის ე. წ. „აბხაზის ფიცის წიგნი" სალაჰ ად-დინისადმი, რომლის სრული სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოაქვეყნა პროფ. მ. თოდუამ.[1] ეს დოკუმენტი, რომელიც 1185 წელს არის შედგენილი, უნდა ასახავდეს აიუბიანთა სასულთნოსა და საქართველოს სამეფოს ინტერესთა დაპირისპირებას შაჰ-არმენთა სახელმწიფოს „მემკვიდრეობის დანაწილებასთან დაკავშირებით.[2] წყაროებმა შემოგვინახეს აგრეთვე ცნობა ალ-ადილის ელჩობისა საქართველოს სამეფო კარზე 1203 წელს.[3]

აიუბიანთა მიერ ხლათის დაუფლების შემდეგ ორ სახელმწიფოს შორის თვისებრივად ახალი ურთიერთობა დაიწყო. საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან დაუძლურებულ შაჰ-არმენთა ნაცვლად დამკვიდრდნენ ძლიერი აიუბიანები. საქართველოს სამეფო კარი არ შეურიგდა ამ ვითარებას და 1208-1209 წლებში განახორციელა ახალი მძლავრი შეტევა ხლათის აიუბიანთა სამფლობელოზე. აღებულ იქნა ქ. არჭეში. 1210 წლის შემოდგომაზე ქართველთა ჯარმა ივანე მხარგრძელის მეთაურობით ალყა შემოარტყა ხლათს. ქალაქის დაცემას ბევრი არაფერი უკლდა, მაგრამ ივანე მხარგრძელი წინდაუხედაობის მსხვერპლი გახდა და 1210 წლის 10 ოქტომბერს ტყვედ ჩაუვარდა ხლათელებს. საქართველოს სამეფო კარს ძვირად დაუჯდა თავისი მხედართმთავრის განთავისუფლება. მის დასახსნელად გადაიხადეს 100 ათასი დინარი, გაათავისუფლეს რამდენიმე ათასი ტყვე, დააბრუნეს ადრე დაკავებული 27 ციხე. ივანე მხარგრძელი იძულებული იყო, ალ-ავჰადისთვის ცოლად მიეთხოვებინა თავისი ასული თამთა (რომელიც ალ-ავჰადის სიკვდილის შემდეგ მისი ძმის ალ-აშრაფის მეუღლე გახდა). ქართველებმა პირობა დადეს, რომ

ქართულ-სპარსული ეტიუდები. III. ტექსტი გამოსცა, თარგმნა და კომენტარები დაურთო მ. თოდუამ, თბ., 1979, გვ. 26-27, 74-82.

[2] თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე. თამარის „ფიცის წიგნის" შესახებ, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 22.01. 1982.

[3] გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 139-140.

ამიერიდან არ მიაყენებდნენ ზიანს ხლათის ოლქს და იქნებოდნენ ალ-ავ-ჰადის შემწე მის მტრებთან ბრძოლებში. აიუბიანებსა და საქართველოს შორის დაიდო 30-წლიანი ზავი. ამ ზავმა დროებით შეაჩერა საქართველოს წინსვლა არაქსის სამხრეთით და ამასთან დაასრულა აიუბიანთა ექსპანსია ჩრდილოეთისაკენ. ორ სახელმწიფოს შორის ბუნებრივი საზღვარი გახდა მდ. არაქსი. იმავე ზავის პირობებით საქართველომ მოიპოვა მნიშვნელოვანი პრივილეგიები და შეღავათები პალესტინაში.

XIII საუკუნის პირველი ათწლეულის საქართველოს საგარეო პოლიტიკის მეორე ძირითადი მიმართულება იყო არან-აზერბაიჯანი. მარბიელი ლაშქრობები, რომლებსაც საქართველოს სამეფო კარი ახორციელებდა (გარდა იმისა, რომ მათ დიდი შემოსავალი მოპქონდათ ქვეყნისათვის), ასუსტებდნენ ელდიგუზიანთა სახელმწიფოს და შეუძლებელს ხდიდნენ მის უწინდელ სამხედრო კავშირს ხლათის გამგებლებთან. საპასუხო მტრული აქციები აზერბაიჯანიდან დაუსჯელი არ რჩებოდა. ამის შესახებ მოგვითხრობს „ისტორიანი და აზმანი". როდესაც არდაველის სულთანმა შეიტყო, რომ მეფე თამარი გეგუთს იყო („რამეთუ იყო წმინდა მარხვანი"), შეკრიბა ლაშქარი, წარმოემართა და მოაოხრა ანისი („რამეთუ იცოდა მკარგრძელთა შინა-უმყოფლობა") და დიდი ალაფით უკანვე გაბრუნდა.

ანისის მოოხრების ამბავი გეგუთს შეიტყვეს. ზაქარია და ივანე მხარგრძელები, მტრის თავხედობით გაბრაზებულნი, „ბრძოლისა ყოფად აღემზადნეს".[1]

ჯერ მხარგრძელები წამოვიდნენ ანისისკენ. შემდეგ კაცი გაუგზავნეს თამარს და ლაშქრის გაგზავნა სთხოვეს. „მეფემ ბრძანება" გასცა და სალაშქროდ გაემართნენ მესხნი, თორელნი, თმოგველნი, ჰერ-კახნი და სომხითარნი. ანისში შეიკრიბნენ და არდაველისკენ გაემართნენ. გაიარეს გელაქუნი, ისპიანი, ხუაფრიდის ხიდზე გადავიდნენ და მიადგნენ არდაველს. აიდი (მუსლიმური აღდგომის მსგავსი დღესასწაული) თენდებოდა („რომელ არს აღვსება მათი"). როგორც კი ქადაგება დაიწყო „ბილწისა ქადაგებისა მათისა" და „გაკშირდა მუყრთა ყივილი", შეუტიეს ქართველებმა და უბრძოლველად ჩაიგდეს ხელთ ქალაქი. ძალზედ დიდი ალაფი წამოიღეს. არდაველის სულთანი მოკლეს. მისი ცოლ-შვილი კი ტყვედ წამოიყვანეს. თორმეტი ათასი კაცი მიზგითში მოუკლავთ („ვითარ მათ ჰყვეს ანისისა ეკლესიასა შინა"). იგივე გზა გამოიარეს და ძლე-

---

ამ საკითხებზე დაწერილებით, მთელი წყაროებისა და ლიტერატურის დასახელებით, იხ. თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, „ცდა ერთი თარიღის დადგენისა. „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, №2, 1974, გვ. 175-187. ვ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო... გვ. 165-171.

ვამოსილი ქართველი მოლაშქრეები ანისში მოვიდნენ. შემდეგ მივიდნენ „მეფეთ-მეფესა და მზეთა-მზესა და დედოფალთ-დედოფალსა წინაშე“, მიაართვეს ფიდი ძღვენი და არმაღანი, თავის მხრივ მეფემ უხვად დაასაჩუქრა მხარგრძელები.

წინ ახალი საქმეები იყო. მეფე თამარს ეახლნენ ზაქარია და ივანე მხარგრძელები, ვარამ გაგელი და მოახსენეს: „ძლიერო ელმწიფეო, შარავანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინვებულო!.. აწ ბრძანოს მეფობამან, რათა არა ცუდად დავიწყებასა მიეცნეს სადამე სპათა შენთა საქმენი, არამედ აღვამკედროთ ერაყს, რომ-გურსა ზედა, რომელ არს ხუარასანი...“

1210 წელს ქართველთა ლაშქარი თამარის დალოცვით წარემართა „სპარსეთად“. ჩაიარეს ნახჭევანის პირი, გავიდნენ ჯულას და რახსსა და „აღვიდეს მარანდსა“. მარანდელებმა კლდეებს შეაფარეს თავი. როცა ქართველები მივიდნენ, მარანდი დაცლილი იყო. შეარჩიეს ხუთასი რჩეული მხედარი თაყაიდინ თმოგველის მეთაურობით; რომელთაც მარანდის აღმართი აიარეს და მარანდის თავზე ვაკეზე დადგნენ. მარანდელებს ეცოტავათ მოლაშქრენი, გამოვიდნენ საფარებიდან და შეებრძოლნენ ქართველებს. ცხარე ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. არც ერთი ქართველი არ დაღუპულა ამ ომში. შემდეგ თავრეჟი (თავრიზი) აიღეს, „მოიმტკიცეს ფიცისა მიერ. მოვიდეს ყადნი, ხოჯანი, დარვეშნი და ყოველნი თავადნი თავრეჟისანი, მოიღეს ოქრო, ვერცხლი, ლარი, ცხენები, ჯორი და აქლემი, თუალი, მარგალიტი, შესამოსელი, საზრდელი კმა-საყოფი ლაშქართათჳს“.[1]

შემდეგ მიანა, ზენჯანი და ყაზვინი აიღეს. ქართველთა ლაშქარი ირანის შუაგულამდე — რომ-გურამდე მივიდა და დიდი ალაფით დატვირთული გამარჯვებული უკან დაბრუნდა.

ამგვარად, XIII საუკუნის ათიანი წლების ბოლოს ძლიერი საქართველოს სამეფოს ყმადნაფიცები იყვნენ: ერზინკისა და ხლათის სასულთნოები, არზრუმის საამირო და სხვა მრავალი თურქული სამფლობელო ამიერკავკასიასა და სპარსეთის აზერბაიჯანში.

დამოკიდებულება ჩრდილოეთის ხალხებთან

XI-XIII საუკუნეებში საქართველო ჩრდილოეთითაც გაიზარდა და გაფართოვდა. საქართველოს ძველთაგანვე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა კავკასიის მთიანეთისა და ამიერკავკასიის მთისწინა ქვეყნებთან. სრუ-

[1] ქართლის ცხოვრება. II, გვ. 106.

ლიად საქართველოს მეფეები მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკურსა და კულტურულ ურთიერთობას ამყარებდნენ ჩრდილოეთის მეზობლებთან. ჩერქეზიესები და დურძუკ-ღუნძები აქტიურად მონაწილეობდნენ კავკასიის ერთიანი დიდი ფეოდალური სამყაროს წარმოქმნაში, და, ცხადია, ისინი კერ დარჩებოდნენ იმ სამყაროს გარეთ, რომელიც ხსენებული პროცესის შედეგად საქართველოს მოთავეობით წარმოიქმნა (ნ. ბერძენიშვილი). თამარის მეფობის ბოლო პერიოდში იმიერკავკასიელი მთიელები საქართველოს მეფის ყმადნაფიცთა შორის იმყოფებოდნენ და ფეოდალიზაციის გარდა ერთიანი საქართველოს ძლიერ კულტურულ გავლენას განიცდიდნენ.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ საქართველოს მეფის „ჩრდილსა შეკრებულ იყვნეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ელმწიფენი, ოვსეთისა და ყივჩაყეთისანი, სომხეთისა და ფრანგეთისანი. შარვანისა და სპარსეთისანი“.[1] „ისტორიანი და აზმანი შარვანდედთანი“ გვაუწყებს, რომ გიორგი III-ს „სძღუნობდეს და სძმობდეს... მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალამანთანი, და ჰრომთანი, და ჰინდოთანი, და ხონელნი: და ეგრეთვე სულთანნი ხორასნისა, ბაბილოვნისა, შამისა, ეგვიპტისა და იკონიისანი ჰმონებდეს, და შემდგომნი ამათნი სკუთნი, ხაზარნი, ალანნი, ხუარასანი და ხუარაზმშა, და ბერეთელნი, აბაშნი, არაბნი, მიდნი, ელამიტელნი და შუამდინარელნი, და ყოველნი ენანი და ნათესავნი მაშრიყით მაღრიბამდე“.[2]

XII საუკუნის დასაწყისში საქართველოს შემადგენლობაში, საკუთრივ ქართული ტერიტორიის გარდა, სხვა მოსახლეობა (არაქართული) და მიწებიც შედიოდა ცენტრალურ ხელისუფლებასთან (სხვადასხვაგვარი) დამოკიდებულებით. თუ დავით აღმაშენებლის დროს საქართველოს სამეფო ვრცელდებოდა „ნიკოფსითგან დარუბანდისა ზღუამდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგაწამდე“, თამარის დროს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა თითქმის მთელი კავკასია — „ზღვით პონტოსით ზღვამდე გურგანისად და სპერითგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიისა იმერელნი და ამერელნი ხაზარეთამდის და სკუთთამდის“. ამ დროს საქართველოს ყმადნაფიცი იყო ჩრდილო კავკასიის თითქმის ყველა ქვეყანა: ჭაშაგეთი, ოვსეთი, ძურძუკეთი, დიდოეთი, ღუნძეთი, ლეკეთი და დარუბანდი. ჩრდილოეთ კავკასია თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და ეკონომიკური მდგომარეობის გამო (ამასთან, ოსეთისა და ძურძუკეთის ტერიტორიაზე გადიოდა კავკასიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა) გარკვეულ როლს ასრულებდა ამიერკავკასიის სა-

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I. გვ. 360.
[2] ქართლის ცხოვრება, II. გვ. 22-23.

ხელმწიფოთა ისტორიაში. ამდენად, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებზე გავლენის გავრცელება მნიშვნელოვანი მომენტი იყო საქართველოს სახელმწიფოსათვის.

ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა ხალხები ჩვენთვის საინტერესო პერიოდში განვითარების სხვადასხვა დონეზე იყვნენ. ამის შესახებ არსებობს სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა და საგანგებოდ აღარ შევჩერდებით. ჩვენ გვაინტერესებს არა ყველა ეს ხალხი, არამედ, კონკრეტულად, დიდოელები, ფხოველები, ძურძუკები, — მათი მდგომარეობა, დამოკიდებულება საქართველოს სამეფოსთან. სწორედ ამ ფაქტორებში უნდა ვეძებოთ მთიელ დიდოელთა და ფხოველთა აჯანყების მიზეზი და ძურძუკების პოზიცია ამ აჯანყების დროს.

მივმართოთ ქართულ წყაროებს. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ გვაუწყებს: „დიდონი უკვე ბუნებითს მშთვართა და უხარშავსა ჭამენ, და მრავალნი ძმანი ერთსა დედაკაცსა მიიყვანებენ ცოლად; რომელნი უჩინარსა რასამე თაყუანის-ცემენ და ზოგნი უნიშნოსა შავსა ძაღლსა, და ამას ჰყოფენ“. როგორც ვხედავთ, დიდოელთა განვითარების დონე, თამარის პირველი ისტორიკოსის დახასიათებით, მეტად დაბალია; რელიგიური რწმენით ისინი კერპთაყვანისმცემლები არიან (შემთხვევითი არ არის წყაროში მათ რწმენაზე ხაზგასმა!).

ვახუშტი ბაგრატიონი დიდოეთის აღწერისას იძლევა მის საზღვრებს („დიდოეთი არს ლოპოტისა, გრემისა, შილდა-ყვარლისა და ჭიაურის აღმოსავლით, კავკასიის მთის ჩრდილოეთ კერძოსა შინა“) და ახასიათებს ხალხს: „უბილწესნი ზნითა, ქცევითა, ჰაეროვნებითა და სახითა... სარწმუნოებით არიან კერპნი და უმეტეს ეშმაკის მორჩილნი... არა უწყიან სრულიად ღმერთი, არცა ნათესავი და ნათესაობა, ყოველსა სულიერსა სჭამენ...“

ფხოველთა შესახებ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ აღნიშნავს, „ჯუარის მსახურნი არიან და ქრისტიანობასა იჩემებენ“-ო. ე. ი. ისტორიკოსს ფხოველთა ქრისტიანობა სადავოდ მიაჩნია (იჩემებენო!).

ვახუშტი ბაგრატიონი აღწერს ფშავის საზღვრებს და ამბობს: „არამედ ძუელად ეწოდა ამ ორთა ხეობათა ფხოველნი, და აწ უწოდებენ ესრეთ, გარნი სდებენ ამათ გამო კახნი ძურძუკთა, ღლიღუთა და ქისტთა თესლად“.

ვინ არიან ძურძუკნი? ლეონტი მროველის ცნობით, ქართლოსის ძმა (თარგამოსის მეშვიდე შვილი) იყო კავკასოსი, რომლის შთამომავალი (შვილი) იყო ძურძუკი. აქედან წარმოსდგა ჩაჩან-ინგუშების ძველი სახელწოდება — ძურძუკები. „ქისტეთს ზეით — გადმოგვცემს ვახუშტი ბაგრატიონი — არს ძურძუკი, შენობიანი, დაბნებიანი, კოშკოვანნი ორნივე ამ ჯობათა მზღვრის; აღმოსავლით კავკასი, ქისტძურძუკსა და

ღლიღუს შორის; სამჯრით კავკასი, ფშავ-ჯევსურსა და გარდავლენან გზანი ქისტ-ძურძუკიდამ ამ კავკასებთა ზედა ჯევს, ფშავ-ჯევსურეთს, ღლიღუეთს და ჩერქეზთა შინა".

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს სამეფო თავის უფლებებს ავრცელებს კავკასიის მთის მოსახლეობაზე, მათ შორის დიდოელებზე, ფხოველებსა და ძურძუკებზე. მათი დამოკიდებულება სიუზერენისა და ვასალის ურთიერთობით განისაზღვრება. ამასთან, ეს დამოკიდებულება ყმადნაფიცი ხალხების ერთგულებით არ გამოირჩევა ყოველთვის. ასე მაგალითად, თუ XII საუკუნის 20-იან წლებში დაღესტნის ზოგიერთი ხალხი დავით აღმაშენებელთან ერთად იბრძვის შირვანში სელჩუკთა წინააღმდეგ, რისთვისაც „აღავსნა კეთილითა და საბოძვარითა ქურდნი, ლეკნი და თარასნი", 1177-78 წწ. დემნა უფლისწულ-ივანე ორბელის აჯანყებისას, გიორგი III-ის წინააღმდეგ მეამბოხეთა მხარეს არიან „ყოველნი ჰერნი სრულითა ლეკითა და კავკასითა". საგულისხმოა, რომ ჩერქეზებიც, იური ანდრიას ძის აჯანყების დროს, თამარის წინააღმდეგ მეამბოხეთა მხარეზე ჩანან. ასე რომ, XIII საუკუნის დასაწყისში მთიელთა გამოსვლას წინ უძღოდა ამ უკანასკნელთა მხრიდან მსგავსი გამოვლინებები. საქმე ისაა, რომ XIII საუკუნისათვის მთიელები უკვე კარგა ხნის ყმადნაფიცები იყვნენ. საქართველოს მორჩილებაში ყოფნა არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სოციალური და კულტურული დამოკიდებულებითაც გამოიხატებოდა. ეს კი თავისებურ სირთულეებს უქმნიდა სოციალურად და კულტურულად განსხვავებულ საფეხურზე მდგომ მთის მოსახლეობას, ამასთან, ყმადნაფიცი ქვეყნის ვალდებულებები (ხარკი, თუ სამხედრო ძალით დახმარება) მეტად მძიმე იყო და ამიტომ, ბუნებრივია, მთიელებს, როგორც კი მიეცემოდათ ყმადნაფიცობიდან თავის დაღწევის სულ მცირე რწმენა, მაშინვე ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ (ასე იყო დემნა უფლისწულ-ივანე ორბელის, თუ იური ანდრიას ძის გამოსვლებისას). დიდოელებისა და ფხოველების აჯანყებაც ყმადნაფიცი ქვეყნის მოსახლეობის მოძრაობაა, მაგრამ ზემოდასახელებული გამოსვლებისაგან რამდენადმე განსხვავებული, ჯერ ერთი, ესაა დამოუკიდებელი მოძრაობა, რომელსაც გარკვეული მიზეზები და კონკრეტული ამოცანები ჰქონდა. მეორეც, ხასიათის მიხედვით ანტიფეოდალურ და ანტიქრისტიანულ ელფერს ატარებდა.

საქართველოსა და ქართული კულტურის გავლენა ჩრდილო კავკასიის ხალხებზე უდავოა. ქართველებისა და ჩრდილოეთი კავკასიის ხალხთა ურთიერთობამ თავისი კვალი დატოვა. არაერთი ქართული სიტყვა

შევიდა ჩრდილო კავკასიელი ხალხების ლექსიკურ ფონდში,[1] გავრცელდა ქართული მწერლობა,[2] ხშირია ქართული წარწერები,[3] შეიმჩნევა ქართული სტილის გავლენა არქიტექტურაში.[4]

საქართველოსა და ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებს შორის ურთიერთობაში ერთობ მნიშვნელოვანი მომენტია მცდელობა ამ უკანასკნელთა გაქრისტიანებისათვის. დიდოელებისა და ძურძუკების, ისე როგორც სხვა ტომების გაქრისტიანებისათვის ბრძოლა დაკავშირებულია თამარ მეფის სახელთან. დღესდღეობით სამეცნიერო ლიტერატურაში ეს დებულება სადავო არ არის. აღიარებულია, რომ "Активная деятельность христианской церкви в Дагестане связана с именем царицы Тамары, в правление которой предпринимались неоднократные попытки христианизировать северокавказские народы".[5] ქართული ნარატიული წყაროების ხაზგასმით მითითება ჩრდილოეთი კავკასიის ხალხების (დიდოელები, ფხოველები) არაქრისტიანობაზე შემთხვევითი არ უნდა იყოს. „ისტორიანი და აზმანი" არ ასახელებს XIII საუკუნის დასაწყისში სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლის მიზეზებს; თავის მცირე ცნობაში ავტორი ადგილს პოულობს იმისათვის, რომ აქცენტი გააკეთოს დიდოელთა რელიგიურ რწმენაზე. საქართველოს სამეფო, როგორც ჩანს, ძალ-ღონეს არ იშურებს დაღესტნის გაქრისტიანებისათვის. ამ პროცესთან, ასევე სხვა კულტურულ კონტაქტებთანაა დაკავშირებული დაღესტანში ქართული დამწერლობის გავრცელება. შემთხვევითი არ არის, რომ დაღესტანში აღმოჩენილია ბევრი ქართული წარწერა, რომელთაგან ზოგიერთი ბილინგვას წარმოადგენს, შესრულებულს ქართულ და ავარიულ ენებზე. ქართული ქრისტიანული არქიტექტურის გავლენის დაღი აზის ბევრ ნაგებობასაც.

ბუნებრივია, ქრისტიანობის გავრცელებას მთიელი მოსახლეობა გარკვეული წინააღმდეგობით ხვდებოდა, არ იღებდა ახალ რელიგიას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთიელთა მასა ჯერ კიდევ არ არის მთლიანად ჩაბმული ფეოდალურ ურთიერთობაში. მთის მოსახლეობის

---

[1] История Дагестана, М., 1967, გვ. 215; А. Шавхелишвили, Из истории взаимоотношений между грузинскими и чечено-ингушскими народами, Грозный, 1963, გვ. 54, 93-94; Х. Х. Рамазанова, А. Р. Шихсаидов, Очерки истории Южного Дагестана, Махачкала, 1964, გვ. 47.
М. Чентиева, История чечено-ингушской письменности, Грозный, 1958, გვ. 18.
დაღესტანში ოცამდე ქართული წარწერაა დამოწმებული. იხ. История Дагестана, М., 1967, გვ. 215.

[1] Е. И. Крупнов, Грузинский храм Тхоба-Ерды на Северном Кавказе. Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях Института истории материальной культуры, XV, 1874, გვ. 116.
История Дагестана, т. I, М., 1967, გვ. 214.

ეკონომიკური საშუალებები რამდენადმე შეზღუდულია, რაც ხშირად ბარის მოსახლეობის მიმართ ანტაგონიზმს წარმოშობდა.[1] ამის შემდეგ იყო ის თავდასხმები, რომელსაც მთიელები ბარის მოსახლეობის მიმართ ახორციელებდნენ. ყოველივე ეს განაპირობებდა მთიელთადმი მტრულ დამოკიდებულებას ერთი მხრივ, ფეოდალური ზედაფენისა, რომელიც მთიელთა ფეოდალურ უღელში შებმას ესწრაფვოდა, მეორე მხრივ, ბარის მწარმოებელი მოსახლეობისას, რომელიც მთიელთა თავდასხმების ობიექტი ხდებოდა. თამარის დროს, როგორც ჩანს, მთიელთა ამ თავდასხმების ასალაგმავადაც გატარდა ღონისძიებები. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „ოესმან, მთიულმან და ყივჩაყმან, და სუანმან ვერ იკადრიან პარვა“.[2]

ამგვარად, საქართველოს ფეოდალური მონარქიის სწრაფვა მთიელთა ფეოდალიზაციისა და გაქრისტიანებისათვის თითქმის ერთდროულად მიმდინარეობდა და XIII საუკუნის დასაწყისში დიდოელთა და ფხოველთა აჯანყება სწორედ ამ პროცესის საწინააღმდეგო რეაქცია იყო.

საგულისხმოა, რომ ფეოდალური საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ მთელი სერიოზულობით შეაფასა მთიელთა მხრიდან მოსალოდნელი საფრთხე და განსაკუთრებით ყურადღებით მოეკიდა მათ წინააღმდეგ გალაშქრებას. მეფე თამარმა დამსჯელი ექსპედიციის სათავეში ივანე ათაბაგი ჩააყენა. ნიშანდობლივია, რომ სამეფო ხელისუფლებამ აჯანყებულ მთიელთა წინააღმდეგ სწორედ მთიელები გამოიყენა. „მოუწოდა მეფემან... ყოველთა მთიულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოხევეთა, კადელთა; ცხავატელთა, ქართალთა, ერწო-თიანელთა“[3] და ივანე ათაბაგის სარდლობით წარგზავნა აჯანყებულთა წინააღმდეგ.

დიდოელებისა და ფხოველების 1212 წლის აჯანყება დამარცხდა.

თამარის გავლენის სფეროები ჩრდილოეთი კავკასიის მთიელ მოსახლეობაზე კვლავ ურყევი დარჩა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრები

1188 წელს გელათისადმი გაცემულ შეწირულობის სიგელში მეფე თამარი ასე წარმოგვიდგება: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა მე, თამარ ბაგრატუნიანმან, ნებითა ღმრთისაჲთა აფხაზთა და ქართველთა, რანთა,

---

1 გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. გვ. 79.

2 ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე. ცხოვრება დიდისა მეფეთ-მეფისა თამარისი. ქართლის ცხოვრება. I. გვ. 369.

3 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. გვ. 111.

კახთა და სომეხთა მეფემან და დედოფალმან, შარვანშა და შაჰანშა და ყოველისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელმან ვინებე...“ ქართველ მეფეთა ტიტულატურების შინაარსი მეტად მნიშვნელოვანია. იგი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე. კერძოდ, მფლობელობის არეზე (საზღვრებზე). ზემოთ მოტანილ ტიტულატურაში სწორედ ქართველი მეფის მფლობელობაში მყოფი ქვეყნებია ჩამოთვლილი: აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა (ტაშირ-ძორაგეტი), შარვანშა (შარვანი) და შაჰანშა (შირაკის სამეფო) — აქ შვიდი სამეფოა ჩამოთვლილი, რომელნიც მეფე თამარის გამგებლობაში მემოდიოდა. ნიშანდობლივია, რომ ქართულ წყაროებში არაერთგზისაა სწორედ „შვიდი სამეფო“ მოხსენიებული და არაფერია უჩვეულო, რომ მეფე თამარის ტიტულატურა და ისტორიული წყაროების („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) მონაცემები ერთმანეთს თანხვდება.[1]

შუა საუკუნეების (ბუნებრივია, მეფე თამარის დროსაც) საქართველოს საზღვრების საკითხი საფუძვლიანად გამოიკვლია ივ. ჯავახიშვილმა.[2] უკანასკნელ ხანს ამ პრობლემას საგანგებო სტატია მიუძღვნა მ. ბერძნიშვილმა.[3]

სრულიად საქართველოს მეფის თამარის ტიტულატურაში რეალურად აისახა XII საუკუნის მიწურულისა და XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს პოლიტიკური სიძლიერე და გეოგრაფიული სიდიადე. მართლაც. ამ დროის საქართველო ვრცელი და მრავალეროვანი სახელმწიფოა. რომელშიც საკუთრივ ქართული ტერიტორიების გარდა, სხვა მიწებიც შედიოდა და არაქართული მოსახლეობაც მრავლად იყო. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სახელმწიფო, სამეფო კარი დაპყრობილ თუ შემოერთებული ქვეყნების მიმართ ერთხაზოვან პოლიტიკას არ ატარებდა. აქ მრავალი პოლიტიკური ფაქტორი მოქმედებდა, დიდი ადგილი ეკავა დიპლომატიასაც. მეფე თამარის შორსმჭვრეტელური პოლიტიკის (ეს არც მის წინამორბედ მეფეებს აკლდათ) წყალობით, საქართველოს სახელმწიფო ზოგ ქვეყანას უშუალოდ იერთებდა — „სამეფოდ იქერდა“. ეს უპირატესად იმ შემთხვევაში ხდებოდა, როცა დაპყრობილ ან შემოსაერთებელ ქვეყანაში ქრისტიანული მოსახლეობა ჭარბობდა. ამ ქვეყანაში მმართველობის ისეთივე სისტემა მყარდებოდა, რო-

---

ჯ. სტეფნაძე. XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის. კრებ. „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან“, თბ., 1976, გვ. 163.

[2] იხ. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული.

[3] იხ. მ. ბერძნიშვილი. საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები XIII საუკუნის დამდეგს. კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 52-65.

გორიც თვით საქართველოს სახელმწიფოში იყო. ის ქვეყნები, სადაც მოსახლეობა არაქრისტიანი, უპირატესად მუსლიმური სარწმუნოების მიმდევარი იყო, საქართველოს სახელმწიფოსთან სხვა დამოკიდებულებაში იყვნენ. ეს უკანასკნელი არჩევდა, რომ ასეთი ტიპის დამოკიდებული ქვეყნები „ყმადნაფიცობის" პირობით ყოფილიყვნენ სახელმწიფოსთან, ე. ი. საქართველოს მეფესთან ვასალური დამოკიდებულება ჰქონდათ. ამასთან, ეს ქვეყნები გარკვეული ოდენობის ხარკს უხდიდნენ საქართველოს. საკუთრივ მოხარკე ქვეყნებიდან საქართველოს სამეფო კარი ზოგისგან ერთდროულად იღებდა ხარკს, ზოგისგან კი რეგულარულად.

XII საუკუნის საქართველოს მოხარკე და ყმადნაფიცი ქვეყნები მეტი ჰყავდა, ვიდრე „სამეფოდ დაჭერილი", შემოერთებული მიწები (მ. ბერძენიშვილი).

ქვეყნების „სამეფოდ დაჭერა", ე. ი. მიწების უშუალოდ საქართველოს საზღვრებში მოქცევა-შემოყვანა ინტენსიურად დავით IV აღმაშენებლის დროს დაიწყო XII საუკუნის პირველ მეოთხედში და შემდგომ ხანაში კიდევ უფრო გაფართოვდა. XIII საუკუნის დასაწყისისათვის „სამეფოდ დაჭერილ" მიწათა რიგში იყო შირვანის დასავლეთი ნაწილი და ჩრდილოეთი სომხეთი. როგორი იყო სასაზღვრო ხაზი, რომელიც საქართველოსა და მასზე უშუალოდ შემოერთებულ არაქართულ ტერიტორიებსა და ყმადნაფიც ან მოხარკე ქვეყნებს შორის გადიოდა.

„ჩავყარე ზღვაში სამნები,
ხმელეთი ჩემსკენ მავიგდე" —

ხმამაღლა აცხადებს ერთ ხალხურ ლექსში მეფე თამარი. მართლაც, ფართო, ვრცელი იყო თამარის დროის საქართველო. საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთის საზღვარი, ჟამთააღმწერლის მიხედვით, ჩაღანუსუნზე ანუ თეთრ წყლებზე გადიოდა: „წარვიდა ყაენი ქვეყნად შარვანშასა, საზღვართა საქართველოსათა, ადგილსა, რომელსა უწოდიან ჩაღანუსუნი, ესე იგი არს თეთრი წყალი".[1] თეთრი წყლის აღმოსავლეთით საქართველოს ყმადნაფიცი შირვანი მდებარეობდა. არსებობს ჟამთააღმწერლის სხვა ცნობა, რომელიც კიდევ უფრო აზუსტებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარს აღმოსავლეთით — რომ იგი გადიოდა თეთრ წყალსა და შამახიის მთის ძირას (თეთრი წყალი შამახიას მთის დასავლეთ ფერდობს ჩამოუდის). საკუთრივ საქართველოს ეთნიკური საზღვარი კი, როგორც ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, უფრო დასავლეთით — გიშის წყალზე გადიოდა. ადგილს, რომელიც საქართველოს სახელმწიფო და ეთნიკურ საზღვრებს შუა იყო, ყაბალა ერქვა.

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 251.

დასავლეთის საზღვარი „ყოველი იმერი სამეფო“ იყო, ე. ი. მთელი დასავლეთი საქართველო სრულიად საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. ასე რომ, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი დასავლეთით შავ ზღვამდე აღწევდა.

სამხრეთ საზღვრისპირა ქვეყნებია: ყოველი სომხითი, შანშესა და ავაგის მამული და სამცხე-ჯავახეთი კარნუ ქალაქამდე. ჩვენს ისტორიოგრაფიაში გარკვეულია, თუ რა ტერიტორიას მოიცავდა „ყოველი სომხითი“ (ვარამ გაგელის საგამგეო) და შანშეს საგამგეო მამული, რომელსაც ავაგის მამულიც შეუერთდა (მ. ბერძენიშვილი). „ყოველი სომხითი“, რომელიც „ვარამ გაგელსა ხელთ უდევს“, ქურდვაჭრის იქითა (აღმოსავლეთი) მხარეა (ბასილი ეზოსმოძღვარი), რომელშიც იგულისხმება კაენისა (მდ. აღსტევის ხეობაში) და კაიწონის (მდ. ქურდვაჭრის — დებედის მარჯვენა მხარეს) ციხეები. უფრო რომ დავაზუსტოთ, ესაა გარდაბანი, ე. ი. ტერიტორია, რომელიც ქურდვაჭრის (მდ. დებედა) ხევსა და მდ. აღსტევს შორის მდებარეობდა (ჟამთააღმწერელი). იმავე ჟამთააღმწერლის ცნობით, ვარამ გაგელის სამფლობელო იყო „ტაგი ვიდრე განძამდის“ (განძა-რანის ქვეყანა) და „შანქორი და მისი მიმდგომნი ქვეყანანი“. ამგვარად, შამქორის მიმდგომი ქვეყანა საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთით მდებარე საზღვრისპირა მხარე ყოფილა. ამ მხარეში ნაგულისხმევია გელაქუნის ტბასა და მდ. მტკვარს შორის მდებარე ტერიტორია[1] (მ. ბერძენიშვილი). საქართველოს ყმადნაფიცები იყვნენ აგრეთვე აღმოსავლეთი შირვანი და რანი.[2]

წყაროების მიხედვით დასტურდება, შანშე მანდატურთუხუცესი (იგი ზაქარია მხარგრძელის შვილი იყო) მამული — ესაა ანისის მხარე. მათ სამხრეთით აზერბაიჯანი ესაზღვრება. საერთოდ მხარგრძელთა საგამგეო ქვეყანა დვინისა და ანისის მხარეა. დვინი, როგორც ცნობილია, აირარატის პროვინციის ცენტრი იყო. აირარატის პროვინცია ადარბადაგანს ესაზღვრებოდა და საქართველოს სამხრეთი საზღვარიც იყო. დვინი ივანე მხარგრძელის საგამგეო ქვეყანა იყო, მისი გარდაცვალების შემდეგ კი მის ვაჟს ავაგს დარჩა. ავაგის სახლად იწოდება ბიჯნისიც (მდებარეობდა მდ. რაზდანზე, გელაქუნის თემში). საქართველოს სამხრეთი საზღვარი ჩანს მდ. რახსი და ნახჭევანი („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“). რახსისა და ნახჭევანის საზღვრის პირობას სხვა წყაროებიც ადასტურებს.

ბასილი ეზოსმოძღვარი. ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისი. ქართლის ცხოვრება. II. გვ. 147.

[2] იხ. ნ ასათიანი. საქართველო-შირვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში. კრებ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1968. გვ. 7-54.

თამარისდროინდელი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი სპერია („ჯავახეთით სპერამდის“). აღმოსავლეთით მეფე თამარის მიერ „დაქერილი“ ტერიტორია გაგსა და განძას შორის მდებარეობდა. გაგი მდ. დებედის ქვემო წელზე მდებარე ციხეა.[1] ამგვარად, მდ. დებედა ჩანს ის სამანი, რომლის სამხრეთითა და აღმოსავლეთით თამარის მიერ შემოერთებული მიწებია. ამ ტერიტორიის უკიდურესი მიჯნა აღმოსავლეთით არის განძა (განძის საათაბაგო, რანი), სამხრეთით — მდინარე არეზი ანუ რახსი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით — ჭოროხის ზემო წელზე მდებარე პროვინცია — სპერი (სპერი და მისი მიმდებარე ჭანეთი) მეფე თამარის მიერ დაარსებულ ტრაპიზონის იმპერიაში შედიოდა.

XIII საუკუნის ათიანი წლების საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი გადიოდა კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ. ჩრდილო-დასავლეთით უკიდურესი წერტილი ნიკოფსია იყო, ჩრდილო-აღმოსავლეთი კი — შამახიის მთა. კავკასიონის (ე. ი. საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის) სპერი (და მისი მიმდებარე ჭანეთი). სპერის ნაწილი მეფე თამარის მიერ დაარსებული ტრაპიზონის იმპერიაში შედიოდა, ნაწილიც კი — ქ. ბაიბურთით და ქ. ისპირით — არზრუმის ამირებს ემორჩილებოდა.[2]

საქართველოსთან განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ტრაპიზონის სამეფოს — ეს იყო თამარის მიერ შექმნილი, საქართველოს სახელმწიფოს გავლენის სფეროში მყოფი იმპერია.

ამგვარად, XII-XIII საუკუნეების საქართველოს შორს გადაქიმული საზღვრები რეალურად მეტყველებდა სახელმწიფოს ძლიერებაზე.

---

[1] იხ. დ. მუსხელიშვილი. აღჯაყალა — გაგის ციხე. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. I, თბ., 1960.

[2] ეს კარგად ჩანს არზრუმში სელჩუკთა გაბატონების (1202 წ.) შემდეგ, ბაიბურთის ციტადელის წარწერებისა და ისპირის არქიტექტურის მიხედვით. XIII ს. 20-იან წლებში არზრუმის სანახებში ათავსებს ბაიბურთს არაბი გეოგრაფი აკუთიც. იხ. Л. Т. Гюзалян, Неизданные надписи Байбургской крепости, "Византийский временник", VII, 1956, გვ. 311; А. А. Хачатурян, Корпус арабских надписей Армении VIII-XVI вв., вып. I, Ер., 1987, გვ. 91-95.

XII თავი. ქართული დიპლომატია XIII საუკუნეში

1. საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ. ურთიერთობა მონღოლეთთან

თამარის მეფობის ბოლო პერიოდი და გიორგი IV ლაშას ხელისუფლების დასაწყისი მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა; 1210 წლის გარშემო წარმართული საქმიანობა ქართული დიპლომატიის ერთ-ერთ აქტიურ ხანაზე ლაპარაკობს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, 1210 წელს საქართველო-ხლათს შორის დადებული 30-წლიანი ზავი, რომელიც სამეფო კარის მიერ კარგად ჩამოყალიბებული, წინასწარ განსაზღვრული ახლოაღმოსავლური პოლიტიკის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ხლათის საკითხი მეტად მნიშვნელოვანი იყო ქართული სახელმწიფოსათვის.[1] საქართველოს ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, ირანიდან ლევანტისაკენ მიმავალ სავაჭრო გზაზე გასვლა და მათი დაუფლება აინტერესებდა (ნ. ბჟრძენიშვილი, ვ. გაბაშვილი). ქართული დიპლომატიის ჩანაფიქრით, საქართველოს დასავლეთისა და აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობებში შუამავლის როლი უნდა ეკისრა; ბუნებრივია, ამ გეგმაში ხლათს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. საქართველოსა და აიუბიანებს შორის დადებული 30 წლიანი ზავი ურთიერთსასარგებლო პირობებს შეიცავდა;[2] მათ შორის იყო მაჰმადიანურ ქვეყნებში ქრისტიანთა მდგომარეობის გაუმჯობესება, აიუბიანთა ქალაქებსა და თვით იერუსალიმში გადასახადებისაგან განთავისუფლება, სხვა მნიშვნელოვანი პრივილეგიები და ა. შ. სწორედ ლაშა-გიორგის მეფობის ხანაში, კერძოდ 1217 წლისათვის აფიქსირებს აკრას ეპისკოპოსი ჟაკ დე ვიტრი, რომ ქართველები „შემოდიან წმინდა ქალაქში გაშლილი დროშებით და არავის უხდიან ხარკს. სარკინოზები ვერ ბედავენ მათს შეწუხებას, რამეთუ შინ დაბრუნებულთ შეუძლიათ შური იძიონ თავის მეზობელ სარკინოზებზე".[3]

ოცდაათწლიანმა ზავმა შეაჩერა საქართველოს სამეფოს წინსვლა სამხრეთით, ხოლო აიუბიანებისა ჩრდილოეთის მიმართულებით. აიუბიანები მნიშვნელოვნად უპირისპირდებოდნენ რუმის სელჩუკიანებს, ამდე-

---

ლ. ტუბაშვილი. ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან. I, თბ., 1994, გვ. 187. ზავის პირობების შესახებ ვრცლად იხ.: გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში. თბ., 1995, გვ. 169.

Jacques de Vitri. History of the Ierusalem, transleted from the original latin by Arbrey Stewart. Palestine Pilgrims' Text Society, vol. XI, London, 1896, გვ. 84-85; თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე. ცდა ერთი თარიღის დადგენისა. „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, №2, გვ. 179.

ნად, დაინტერესებული იყვნენ საქართველოსთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებით. დიპლომატიური ურთიერთობის საინტერესო ფაქტია დაცული ერთ-ერთ არაბულ ისტორიულ წყაროში (XIII ს-ის არაბი ისტორიკოსი — აბუ შამა), რომ ეგვიპტის სულთან ალ-ადილს კეთილი დამოკიდებულების ნიშნად საქართველოს მეფისათვის 1213 წელს (ე. ი. ლაშა-გიორგისათვის) საჩუქრად სპილო გამოუგზავნია.[1] ასეთი ხანგრძლივი ზავის დადებაც განსაკუთრებული ინტერესების არსებობით შეიძლება აიხსნას. „დამყარდა მშვიდობა და მეგობრობა", — აღნიშნავს კირაკოზ განძაკეცი.[2] უნდა აღინიშნოს, რომ ისლამური სამყაროს პრაქტიკაში ხანგრძლივი დაზავება არამუსლიმებთან იშვიათად გვხვდება; მუსლიმ სამართლისმცოდნეთა თვალსაზრისით, ყოველი ზავი არამუსლიმებთან განიხილებოდა როგორც დროებითი და არ უნდა გაგრძელებულიყო 10 წელზე მეტ ხანს. XIII ს-ის II ათწლეულში საქართველოსა და ხლათს შორის სამხედრო კონფლიქტი არ წარმოქმნილა.[3] როგორც აღინიშნა, საქართველოს სამეფო კარის ახლოაღმოსავლური პოლიტიკის განხორციელების გეგმა გადაიდო; ამავე დროს, ფაქტობრივად დასრულდა ჩრდილოეთის მიმართულებით აიუბიანთა ექსპანსიაც — სალაჰ ადდინის დიდი ექსპანსიონისტური გეგმები მისი მემკვიდრეებისათვის ბოლომდე განუხორციელებელი დარჩა.[4]

საქართველო-ხლათის ზავის პირობებს მტკიცედ იცავდნენ; 1223 წლის სურმარის ციხის გამგებლის პროვოცირებული კონფლიქტის შემდეგ შესაძლებელი იყო მისი დარღვევა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებისა და ქართული დიპლომატიის მცდელობის შედეგად, კერძოდ, ალ-აშრაფისათვის წაყენებულმა მოთხოვნამ ზავის დარღვევის შესაძლებლობა აღკვეთა.[5] საქართველოს ხელისუფლებამ პირდაპირ ალ-აშრაფს მიმართა: „თუ ზავი გვაქვს, მაშინ გვსურს, ჩვენი თანამებრძოლების ტყვეობიდან განთავისუფლება. და თუ ჩვენ შორის ზავი დაირღვა — შეგვატყობინეთ, რათა ზომები მივიღოთ". ალ-აშრაფმა სურმარის ამირას

---

1 გ. ჯაფარიძე, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (XIII ს-ის 20-იანი წლები), „მნათობი". 1984, №12, გვ. 149.

2 Киракос Гандзакеци, История Армении. Перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларян, М., 1976, გვ. 120.

3 B. Levis. Politics and War. – The Legacy of Islam. Second Edition. Ed. by I. Schacht with C. E. Bosworth. Oxford, 1974, გვ. 175; გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში. გვ. 170.

4 გ. ჯაფარიძე, დასახ. მონოგრაფია, გვ. 171.

5 ჯ. სტეფნაძე, საქართველო XII საუკუნისა და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში, თბ., 1985, გვ. 152.

ტყვეების განთავისუფლება და ზავის განახლება უბრძანა — საქართველოსა და აიუბიანებს შორის „განმტკიცდა მშვიდობის საფუძველი“.[1]

როგორც ჩანს, ლაშა-გიორგი და საქართველოს სამეფო ტახტი ამ ზავით ბოლომდე კმაყოფილი არ დარჩენილა.[2] იგი ვერ შეურიგდებოდა ქვეყნის სამხრეთ საზღვრებთან, სომხურ ტერიტორიებზე, აიუბიანთა მეზობლობას. ზავის დარღვევა, საქართველოს სამეფო კარის მხრიდან, მხოლოდ გარკვეული გარანტიებისა და ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარების პირობებში თუ იყო შესაძლებელი. ასეთი მომენტი მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს დგება: ჯვაროსანთა მთავარ დაპირისპირებულ ძალას სირია-პალესტინაში აიუბიანთა სასულთნო წარმოადგენდა, რომელსაც ჩრდილოეთიდან სწორედ საქართველო ესაზღვრებოდა. ამდენად, 1217 წელს დაწყებული მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობისას საქართველოს ფაქტორმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და ევროპის ხელისუფალთა ინტერესების ცენტრში მოექცა. ლაშა-გიორგი სერიოზულად ემზადება ლაშქრობისათვის, მაგრამ ამ დროს გამოჩნდებიან მონღოლები პირველად, რამაც საქართველოს სამეფო კარის დიპლომატიური გეგმები რადიკალურად შეცვალა.

ლაშა-გიორგის მეფობის პირველ პერიოდში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა: ტრაპიზონის იმპერია, რომელიც საქართველოს დიდი მონაწილეობით შეიქმნა და მისი გავლენის სფეროდ უნდა ქცეულიყო, 1214 წელს იკონიის სასულთნოს ვასალი გახდა. ეს მნიშვნელოვანი ცვლილება იყო, რაზეც ქართული დიპლომატიას აუცილებლად უნდა ეპასუხა. ისტორიულ წყაროებში კონკრეტული მასალა ამ საკითხთან დაკავშირებით არ მოიპოვება. მხოლოდ შეიძლება გამოითქვას ფრთხილი ვარაუდი: ქ. თავრიზში დაცულ კრებულში — „თარასსოლი“ („მიმოწერა“), რომელიც გადაწერილია დაახლ. 1219 წელს, დაცულია დოკუმენტი „პასუხი მეფე დავითს, აბხაზის პატრონს“.[3] „დავითში“ ლაშა-გიორგი იგულისხმება. ამ საინტერესო ისტორიული საბუთით ჩანს, რომ ლაშა-გიორგის ხშირი დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონდა მაჰმადიან მბრძანებლებთან; მასში ლაპარაკია იკონიის სულთნის დასტურზე, რომელიც შეთავაზებული რაღაც თხოვნიდანაა გამომდინარე. დანარჩენს, როგორც ჩანს, ელჩი ზეპირად მოახსენებდა მეფეს.[4] სწორედ ტრაპიზონის საკითხი ხომ არ წარმოადგენდა საქართველოს

---

1 გ. ჯაფარიძე, დასახ. მონოგრაფია, გვ. 183.

2 იქვე, გვ. 149.

3 ქართულ-სპარსული ეტიუდები, III. ტექსტი გამოსცა, თარგმნა და კომენტარები დაურთო მ. თოდუამ, თბ., 1979, გვ. 5-6.

4 ლ. ტუხაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 227.

მეფისა და იკონიის სულთნის ამ დიპლომატიური ურთიერთობის ერთ-ერთ საგანს?!

საერთოდ უნდა აღინიშნოს, ლაშა-გიორგის სამეფო კარისა და ამ პერიოდის ქართული დიპლომატიის ინტენსიური ურთიერთობა მაჰმადიანურ სამყაროსთან, რისი გამოხატულებაცაა თუნდაც იმავე „მიმოწერაში" დაცული აღმოსავლეთის მბრძანებელთა საქართველოს მეფისადმი (ლაშა-გიორგი) მიმართვის ფორმა: „მაღალი საკრებულო; აღზევებული მეფე; სახელგანთქმული დიდგვაროვანი; ძლევამოსილი მსაჯული; ქვეყნიერებისა და სახელმწიფოს სიდიადე; ჭრისტესმოსავთა შემწე; იესუელთა მფარველი; ტახტთა და გვირგვინთა (მემკვიდრეობით) მპყრობელი; აღმოსავლეთისა და დასავლეთის სტეფანოსი; ღვთაების რწმენის შემნახველი; აბხაზის, შაქის და ალანის მეფეთა მეფე; მესიის თანაშემწე ლაშა, ძე მეფის გიორგის ასულისა".[1] აქ კარგადაა ასახული ისლამური სამყაროს დამოკიდებულება საქართველოს სამეფოსადმი.

ცალკე მსჯელობის საგანია განძის საკითხი:

„და იწყეს განძით განდგომა. არღარა მოსცეს მეფეს ხარკი",[2] რასაც საქართველოს მხრიდან შესაბამისი ნაბიჯები მოჰყვა. საქართველოს ლაშქარს „ვერ წინააღუდგეს განძელნი და მოაოკრეს განძის ქვეყანა", მიადგნენ ქალაქ განძას. მდგომარეობა ძალზე პრინციპული და მნიშვნელოვანი იყო, რადგან აქ არა მარტო განძის, არამედ საქართველოს სხვა ყმადნაფიცი ქვეყნების საკითხიც წყდებოდა. განძის საკითხის მოგვარების დიდი მნიშვნელობა კარგად ჩანს ლაშა-გიორგის სიტყვებში ივანე ათაბაგისადმი: „და ახლა ჯარაჯა არ მოუცია და ათაბაგი ერანისა დიდის ლაშქრითა მოშველებია განჯელთა. და აწ მე მინდა მათზედ გალაშქრება, შურის მოგება სიახლობის ურჩობისათვის, ამისათვის რომე, თუ ამათ არ გარდავახდევინოთ, შორეულნი გაიგონებენ და ისინიც აღარ მოგვცემენო".[3] ხანგრძლივი გარემოცვის შემდეგ განჯა დანებდა, ხოლო მისმა ათაბაგმა ძველებურად ხარკის გადახდა იკისრა და საქართველოს ყმადნაფიცობის პირობა დადო.

განძის გარემოცვისას მოხდა ცნობილი ეპიზოდი, როცა ლაშა დიდებულთა უკითხავად მტრის მეტრიცხოვან ჯარს შეებრძოლა და დიდი თავგანწირვის ფასად გამარჯვებას მიაღწია. ამას მოჰყვა დიდგვაროვანთა რეაქციები, რომელიც შინაპოლიტიკური ვითარების დასახასიათებლადაა

ქართულ-სპარსული ეტიუდები. III. გვ. 28.

ეამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ. თბ., 1987. გვ. 38 (შემდეგში — ასწლოვანი მატიანე).

რ. კიკნაძე. კიდევ ერთი წყარო ლაშა გიორგის ისტორიისათვის. „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები". I, თბ., 1982. გვ. 96.

მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი; ამდენად, აქ მოკლედ შევჩერდებით: დიდებულებმა გიორგი IV ლაშას განუცხადეს: „არღარა ყოფად მოლაშქრედ არცა კარსა მეფისასა ყოფად“.[1] სახეზეა „ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა“ თამარისა და ლაშა-გიორგის „თანამოასაკეთა“ მწვავე ურთიერთდაპირისპირება. ნაბიჯი, რომელიც ლაშა-გიორგიმ გადადგა,. მას ახასიათებს, როგორც კარგ დიპლომატ მეფეს: განძა ჯერ აღებული არ იყო, შედეგს კი სხვა ყმადნაფიცი ქვეყნებიც განსაკუთრებული ინტერესით ელოდნენ და ასეთ ვითარებაში შინაკონფლიქტი საქართველოსათვის შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო. ამიტომაც, „მეფე იგი ჰუნისაგან ჩამოკდა და ეევედრა შენდობა“... ლაშა-გიორგიმ ძნელი, მაგრამ დიპლომატიური და ქვეყნისათვის მეტად საჭირო ნაბიჯი გადადგა. ამას თავისი შედეგებიც მოჰყვა; სამეფო კარმა სხვა ყმადნაფიცთა საკითხიც წარმატებით გადაჭრა. 1219 წელს ქართველებმა აიღეს ოროტნი და მისი მიმდგომი ციხეები, ვიდრე ნახიჩევანამდე და დაიმორჩილეს კარნუ-ქალაქი, კეჩროლი... ფ. გორგიჯანიძის სიტყვებით, „ეითამც დედამ დააწყნარა ქვეყანა და მეზობელნი დაიმორჩილა და ხარაჯა და წლის თავს ბეგარა აიღო, შვილმანც ისე ქმნა. არაზს აქთი არ ზრუმაძდისინ და ამ ზღვით იმ ზღვამდისინ ზძღვნიდენ და ბეგარას მოსცემდენ“.[2]

მართალია, განძასთან მეფემ „შეინანა“, მაგრამ თავის არჩეულ კურსს მაინც არ გადაუხვია, რომელიც, როგორც ჩანს, დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის დროინდელი მძლავრი სამეფო ხელისუფლების აღდგენას ითვალისწინებდა. უპირველესი ამოცანა თამარის „დამსახურებული მამების“ წინააღმდეგ ბრძოლა იყო, რომელნიც მეფის სასახლის მაგივრად „თჳს-თჳსად“ ყოფნას ამჯობინებდნენ. ასეთი შინაგანი კრიზისისა და „შინაპოლიტიკური ომის“ ვითარებაში საქართველოს საზღვრებთან პირველად გამოჩნდნენ მონღოლები.

ჩინგიზ-ყაენის მიერ წარმოვლენილ ლაშქარს, რომელსაც ჯებე და სუბუდაი სარდლობდნენ, უფრო ინფორმაციულ-დიპლომატიური დავალება ჰქონდა, ვიდრე დაპყრობითი. მათ მიზანს წარმოადგენდა, „რათა მოვლონ ქუეყანა ხუარასნისა და ერაყისა, სადამდი ეძლო სლვად, და განიხილონ ქუეყანა.“ განსახილველ სახელმწიფოთა რიგში საქართველოს ჯერიც დადგა. 1220 წლის ზამთარს ისინი აზერბაიჯანში გამოჩნდნენ, ათაბაგმა უზბეგმა თავი თავრიზს შეაფარა, ხოლო შემდეგ, დიდი ფულისა და საქონლის გაღების ფასად, მონღოლებს დაუზავდა. მონღოლებმა მდ. არაქსი გადალახეს და საქართველოს საზღვარს მოადგნენ.

---

[1] ასწლოვანი მატიანე. გვ. 40.

[2] რ. კიკნაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 96.

პირველივე ბრძოლა ქართველებისათვის წარუმატებელი გამოდგა, ხოლო მონღოლებმა წინსელა აღარ გააგრძელეს და ზამთრის გასატარებლად მუღანს გაჩერდნენ.

ლაშა-გიორგიმ რეალურად შეაფასა მოახლოებული საფრთხე და ძალების სრული მობილიზაცია მოახდინა. სამეფო კარმა დიპლომატიურ ღონისძიებებს მიმართა და ანტიმონღოლური კოალიციის შექვრა გადაწყვიტა. საქართველომ კავშირი შესთავაზა აზერბაიჯანისა და არრანის გამგებელ ილდეგიზიან ათაბაგ უზბეგსა და ხლათისა და ალ-ჯაზირას მფლობელს ალ-მალიქ ალ-აშრაფს, ეგვიპტის აიუბიანთა სულთნის ალ-მალიქ ალ-ადილის ვაჟს.[1] საქართველოს სამეფო კარს თავისი ნაბიჯები გამოზამთრებაზე ჰქონდა გაანგარიშებული, ფიქრობდნენ, რომ მონღოლები ზამთარს მუღანში გაატარებდნენ, მაგრამ ისინი, პირიქით, სწორედ ამ დროს მოადგნენ ქვეყნის საზღვრებს. ამდენად, სამეფო მონღოლებთან მეორე ბრძოლას (1220 წლის დეკემბრის ბოლო — 1221 წლის იანვარი) მოუმზადებელი შეხვდა და კვლავ დამარცხდა. არ არის გამორიცხული, რომ მონღოლებმა შეიტყვეს კოალიციის მზადების შესახებ, გაითვალისწინეს მოსალოდნელი საშიშროება და დაასწრეს მოწინააღმდეგეს.[2] საინტერესოა, რომ ჯებე ნოინსა და სუბუდაი ბაღათურს მეგზურობა ათაბაგ უზბეგის ერთმა თურქმა მამლუქმა — აკუშმა გაუწია.

საინტერესოა სავარაუდო მოკავშირეთა პასუხი კოალიციის შესახებ საქართველოს მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე: ირკვევა, რომ ლაშა-გიორგისა და ათაბაგ უზბეგს შორის შეთანხმება მიღწეულ იქნა, ხოლო ალ-აშრაფს ქართველთა წინადადება არ მიუღია და კოალიციაში მონაწილეობაზე უარი განუცხადებია.[3] საქართველოს მხარე იმედოვნებდა, რომ 30 წლიანი ზავის პირობებიდან გამომდინარე, ხლათი და ალ-აშრაფი დაეხმარებოდა ლაშა-გიორგის მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლაში და ანტიმონღოლურ კოალიციაში შემოვიდოდა. იბნ ალ-ასირის ცნობით, საქართველოს მეფემ მოციქულები გაუგზავნა ათაბაგ უზბეგს და „ზავი" და „კავშირი" შესთავაზა. ათაბაგთან მიღწეულ დიპლომატიურ შეთანხმებას რეალური შედეგები არ მოჰყოლია, საამისოდ უზბეგი წინდაუხედავი და უნიათო მმართველი აღმოჩნდა.[4]

გ. ჯაფარიძე, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, გვ. 147; ბ. სილაგაძე, XII-XIII სს. ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე. „საქართველო რუსთაველის ხანაში", თბ., 1966, გვ. 132.

2 ი. ცინცაძე, მონღოლები და მონღოლთა ლაშქრობები, თბ., 1960, გვ. 119, 121; ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 132; რ. კიკნაძე, საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", III, თბ., 1979, გვ. 534.

გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

გ. ჯაფარიძე, ახალი არაბული წყარო XIII ს. საქართველოს ისტორიისათვის. „ცისკარი", 1980, №1, გვ. 135.

კოალიციაში შემოსვლის მიზნით, საქართველოს სამეფო კარმა ელჩები გაუგზავნა ალ-აშრაფს, რომელთაც მისთვის უცნობებიათ: „თუ კი არ შეეთანხმებით ამ ხალხის წინააღმდეგ საბრძოლველად და ჩვენი ქვეყნიდან მათ უკუსაგდებათ, თუ კი არ მოხვალთ თქვენ, თქვენი ლაშქრითურთ ამ მნიშვნელოვანი საქმისათვის, (იცოდეთ), ჩვენ თვითონ შეეუთანხმდებით მათ თქვენს წინააღმდეგ".[1] საქართველოს მეფის ელჩები ალ-აშრაფთან მაშინ მისულან, როცა ხლათში ჯვაროსნების წინააღმდეგ ეგვიპტეში წასასვლელად ემზადებოდნენ. ამ დროს ეგვიპტის სულთანი ალ-მალიქ ალ-ადილის ვაჟი და ალ-მალიქ ალ-აშრაფის ძმა — ალ-ქამილი (1218-1238) იყო. ჯვაროსნების მიერ უკვე აღებულია ქ. დამიეტა და კაიროს ემუქრებიან, ამიტომ სულთანმა ალ-აშრაფი დასახმარებლად იხმო. ალ-აშრაფმა ქართველ ელჩებს აუხსნა, რომ მათი ჯვაროსნების წინააღმდეგ წასვლა და ეგვიპტეში გამგზავრება აუცილებლობას წარმოადგენდა. აიუბიანებისათვის ჯვაროსნების მხრიდან საშიშროება უფრო ახლოს იყო, არსებობდა ეგვიპტის დაცემის საშიშროება, მონღოლები კი ჯერ კიდევ შორს იყვნენ. ამდენად, ალ-აშრაფმა არ მიიღო საქართველოს სამეფო კარის წინადადება ანტიმონღოლური კოალიციის შექმნის თაობაზე.

ალ-აშრაფი შეეცადა, არადიპლომატიური პასუხი არ გამოსვლოდა და ქართველ ელჩებს განუცხადა: „ხლათის ოლქი მე ჩემს ძმას მივეცი სამფლობელოდ (იქტა), გამოვგზავნი აქ, რომ თქვენს ახლოს იყოს, დაეუტოვებ მას ჯარებს და როცა დაგჭირდებათ, ის დაგეხმარებათ თათრების წინააღმდეგ".[2] ალ-აშრაფის სიტყვები დიპლომატიური ჟესტი იყო, მათი განხორციელება რეალურად არ მომხდარა. ალ-აშრაფს ჯერ კიდევ ვერ წარმოედგინა, რომ მონღოლთა შემოსევები ასეთ დიდ საშიშროებად იქცეოდა, მითუმეტეს, ამ დროს ისინი აიუბიანებს უშუალოდ არ ემუქრებოდნენ, ჯვაროსნებთან ომი კი უკვე მიმდინარეობდა და თავდაპირველად, მათთვის საკმაოდ წარუმატებლადაც; არსებობდა მეორე მომენტიც — ხლათისათვის ძალზე მომგებიანი იყო მონღოლთა მიერ ძლიერი საქართველოს დამარცხება და ზურგში სუსტი მეზობლის ყოფნა.[3] 1221 წ. თებერვალ-მარტში ალ-აშრაფი ეგვიპტეში გაემგზავრა: საინტერესოა, რით იყო გამოწვეული ხლათის გამგებლის ეგვიპტეში ასე დაგვიანებით გამგზავრება: გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთი ყოყმანი საქართველოს ფაქტორით არის გამოწვეული; ალ-აშრაფის ეგვიპტეში წასვლა ქართულ მხედრობას დამასკოსაკენ გაუხსნიდა გზას

---

[1] გ. ჯაფარიძე, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან. გვ. 149.
[2] იქვე. გვ. 150.
[3] იქვე.

(თ. ნატროშვილი). როგორც ჩანს, მართებულია მოსაზრება, რომ ეგვიპტეში ალ-ქამილისათვის ალ-აშრაფის მხრიდან ეფექტური დახმარების აღმოჩენას ხლათზე საქართველოს სამეფოს დაწოლამ შეუშალა ხელი.[1] ალ-აშრაფის შემდეგ, მისი ძმა შიჰაბ ალ-დინ ღაზი ხლათში შევიდა. სწორედ ამ დროს ქართველები მონღოლებთან შეტაკებაში მეორედ დამარცხდნენ. ალ-აშრაფმა პირობა არ შეასრულა — აიუბიანებმა ლაშა-გიორგის სამხედრო დახმარება არ აღმოუჩინეს.

გვაქვს სხვა ცნობებიც ალ-აშრაფთან კონტაქტების არსებობის შესახებ: ალ-ბაღდადი აღნიშნავს, რომ ალ-აშრაფისათვის უკითხავთ აზრი თათართა შესახებ, რის შემდეგაც მას უთქვამს: „ამ ხალხზე ვერაფერს ვიტყვით, რადგანაც მათგან ჯერ არავინ ჩაგვიგდია ტყვედ. ისინი იბრძვიან მანამდე, ვიდრე არ დაიხოცებიან, ანდა თავს არ დაიხსნიან". ურთიერთობა იქედან ჩანს, რომ ამ ინფორმაციის ერთ-ერთი წყარო საქართველოს სამეფო კარი ყოფილა — იგი, თათართა შემოსევის აღწერისათვის დაურთავს ქართველთა მეფეს და, ანდაზასავით ქცეული, ალ-ბაღდადის არზრუმში გაუგია. საქართველოს მეფე ასევე იტყობინებოდა: „ ამბობენ არა იმას, თუ რამდენი დახოცეს (თათრებმა) ამა თუ იმ მხარეში, არამედ მხოლოდ იმას, თუ რამდენი (მცხოვრები) დარჩა"...[2]

ლაშა-გიორგი სხვა მეზობელი სახელმწიფოების დარაზმვასაც ცდილობს. აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის მიხედვით, საქართველოს სამეფო კარმა დახმარებისათვის მიმართა არზრუმის საამიროს.[3] ამას აღნიშნავს ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანეც.[4] ასეთი ურთიერთობა შემდგომ ხანებშიც გაგრძელდა: ეგვიპტის სულთანმა ალ-ქამილმა აიუბიანთა სახელმწიფოს ჩრდილოეთი საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, თავისი ძმისათვის — ღაზისათვის ლაშა-გიორგის დის — რუსუდანის ხელი ითხოვა, რასაც განხორციელება არ ეწერა. ლაშა-გიორგის გარდაცვალების შემდეგ, რუსუდანი არზრუმის ამირას — მუღის ად-დინ ტუღრილ-შაჰის ვაჟს — ახალგაზრდა ღიას ად-დინს მიჰყვება, რომელიც გაქრისტიანდა და დიმიტრი ეწოდა. სავარაუდოა, რომ ეს ქორწინება ქართულ მხარეს იმედს უსახავდა ტუღრილ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ, გამწვავებისა თუ სირთულეების გარეშე, დაუფლებოდა არზრუმს.[5] აბდ ალ-ლატიფის ცნობებში დაცულია საინტე-

---

1 Jean Richard. La Papauté et les missions d' orient au Moyen age (XIIIe-XVe siècle). 1977. გვ. 296.

გ. ჯაფარიძე. ახალი არაბული წყარო XIII ს. საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 136.

იქვე. გვ. 135.

ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, „ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 370.

გ. ჯაფარიძე. დასახ. მონოგრაფია. გვ 182.

რესო ფაქტი, რომ არზრუმის გამგებლის უმცროსი ვაჟი, რომელიც რუსუდანის მეუღლე გახდა, დედით ხლათის მფლობელის შაჰ-არმენ ბეგ-თიმურის შთამომავალი იყო. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ხლათის საკითხს, უნდა ვივარაუდოთ, რომ დინასტიური ქორწინება რუსუდანსა და მუღის ად-დინის ვაჟს შორის, რომელიც დედით ხლათის ხელისუფლის ჩამომავალი იყო, შორეულ მიზნებს ისახავდა — „საქართველოს სამეფოს ის ახალ პერსპექტივებს უხსნიდა ხლათისთვის ბრძოლაში. გარდა ამისა, აღნიშნულმა ქორწინებამ კიდევ უფრო გააძლიერა საქართველოს პოლიტიკური გავლენა არზრუმის საამიროზე".[1] მუღის ად-დინმა ჩაიცვა ქართველი მეფის მიერ გაგზავნილი საპატიო სამოსი და აღმართა დროშა, რომლის ზემოთაც ჯვარი იყო გაკეთებული.[2]

კოალიციის შეკვრის პირველი ცდა უშედეგოდ დასრულდა; ანტიმონღოლური კოალიციის შექმნის საკითხში წარუმატებლობას 1221 წლის მიწურულში მონღოლთაგან საქართველოს ლაშქრის მესამე დამარცხება მოჰყვა. ამის შემდეგ ისინი ტოვებენ საქართველოს და ჩრდილოეთში გადადიან: ვარდანისა და კირაკოს განძაკეცის ცნობით, მონღოლები საქართველოში აღარ შემოჭრილან, რადგან ქართველთა სამეფო საომრად გამზადებული აღმოჩნდა, ამიტომ მათთან შეტაკებას გარიდებიან. იბნ ალ-ასირის სიტყვებით, „მონღოლებმა ნახეს, რომ ქართველები ფლობდნენ დიდ ძალებს და საშინელი ხევებით დასერილ ქვეყანას, რომლის დასაპყრობად აუცილებელია ხანგრძლივი ბრძოლა და სისხლისღვრა... ამიტომ მათ ველარ გაბედეს მის სიღრმეში შეჭრა და წავიდნენ".[3] ამას ხომ არ გულისხმობდა საქართველოს სამეფო ტახტი, როცა მონღოლებთან ბრძოლის შედეგებს აფასებდა?! რუსუდანი (ანალოგიურად ივანე ათაბაგიც) თავის წერილში რომის პაპისადმი აღნიშნავს: „ოცდახუთი ათასი კაცი გავწყვიტეთ, ბევრი დავატყვევეთ და დანარჩენი მათი მხედრობა ჩვენის ქვეყნიდან გავდევნეთ".[4] ქართველ ხელისუფალთა ამ შეფასებას, შესაძლებელია, გარკვეული დიპლომატიური დატვირთვაც ჰქონდა. იგი, მოსალოდნელია, წარმოადგენდა ცდას დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის გაცხოველებისა, მათი დაინტერესებისა, რომ აღმოსავლეთში კვლავ არის ძლიერი ქრისტიანული ქვეყანა, რომელთანაც კავშირი დასავლეთს ძალზე სჭირდება.

---

1 გ. ჯაფარიძე. ახალი არაბული წყარო XIII ს. საქართველოს ისტორიისათვის. გვ. 136.

2 მისივე. დასახ. მონოგრაფია. გვ. 182.

ბ. სილაგაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 137.

მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფ. 1902. გვ. 7.

ფაქტია, რომ ჯებესა და სუბუდაის ყველაზე უფრო საქართველოში გაუჭირდათ. ლაშა-გიორგიმ ორგანიზებული სამხედრო ძალა დაუპირისპირა მტერს, ჯებესა და სუბუდაის პირველად დახვდა არა ციხე-ქალაქებს თავშეფარებული მოსახლეობა, არამედ ორგანიზებული სამხედრო ძალა. მართალია, მარცხი მძიმე იყო, მაგრამ ქართველთა სამეფო საკმაოდ ბრძოლისუნარიანი აღმოჩნდა, დიპლომატიურმა ღონისძიებებმაც გარკვეული შედეგები გამოიღო. მონღოლებმა ვერ განავითარეს თავიანთი წარმატება, არ აუღიათ არცერთი ქალაქი საქართველოს სახელმწიფოში; ჩრდილოეთ ირანის, აზერბაიჯანის, არანისა და შირვანის ქალაქებისა თუ გაძარცული მოსახლეობის ფონზე საქართველომ ნაკლები ზარალი განიცადა.[1]

რუსუდანის მეფობის დასაწყისშივე ამიერკავკასიას ჩრდ. კავკასიიდან დევნილი ყივჩაყები შემოესივნენ. ეს ფაქტი იმდენად გვჭირდება, რამდენადაც ჩანს ურთიერთობის საკითხები საქართველოსა და აზერბაიჯანის გამგებელ ათაბაგ უზბეგს შორის: ყივჩაყებმა დერბენდ-შირვანიდან ქართველთა მფლობელობაში მყოფ კაბალაზე, შემდეგ განძაზე და იქიდან საქართველოში ილაშქრეს. საინტერესო დეტალი, რომელზედაც იბნ ალ-ასირი მოგვითხრობს — როცა ყივჩაყებმა კაბალა ალყაში მოაქციეს, მისმა გამგებელმა მათ შეუთვალა: „მე ქართველთა მეფეს შევატყობინებ, რომ საპატიო ხალათები და ფული გამოგიგზავნოთ. შემდეგ კი გავერთიანდეთ და დავეუფლოთ მთელ ქვეყანასა".[2] როგორც ჩანს, ეს იყო დროის გაყვანის ტაქტიკა, რომელიც კაბალის მფლობელს სჭირდებოდა მტრის მოსატყუებლად, საქართველოდან დახმარების მისაღებად და ყივჩაყთა დასამარცხებლად. ამ ნაბიჯს მართლაც მოჰყოლია ნაწილობრივი წარმატება.[3] ასეთი დაძაბული ურთიერთობის ხელშემწყობი განძის გამგებელი იყო, რომელიც, როგორც ირკვევა, აზერბაიჯანის გამგებლის ათაბაგ უზბეგის მითითებით მოქმედებდა; ქართველებისაგან განცდილი მძიმე დამარცხების შემდეგ ყივჩაყები, ბარდავს მისულნი, საქართველოზე შურისძიებას ითხოვდნენ. შექმნილ სიტუაციაში განძის ამირა და მის ზურგს უკან მოქმედი ათაბაგი უზბეგი, როგორც ჩანს, თავს არიდებენ გამარჯვებულ საქათველოსთან აშკარა დაპირისპირებას.[4]

XIII ს-ის დამდეგისათვის მთელ მუსლიმურ აღმოსავლეთში ყველაზე ვრცელ პოლიტიკურ ერთეულს ხორეზმშაჰის სახელმწიფო წარმოადგენ-

---

1 გ. ჯაფარიძე. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან. გვ. 150. მისივე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო... გვ. 177.

2 ბ. სილაგაძე. არაბი მწერალი ყივჩაღთა შემოსევის შესახებ ამიერკავკასიაში XIII ს. 20-იანი წლების დასაწყისში, „ქართული წყაროთმცოდნეობა". VII, თბ., 1978. გვ. 68-69.

იქვე. გვ. 69.

იქვე. გვ. 71.

და. მუჰამად ხორეზმშაჰის (1200-1220) დროს მისი ტერიტორია კიდევ უფრო იზრდება, მან ხუზისთანის გარდა გააერთიანა თითქმის მთელი ირანი, რასაც არაერთი წერილი და ადგილობრივი გამგებელი შეეწირა. აღნიშნულ მომენტს მას დიდ დანაშაულად უთვლიან. სულთნის გეგმების დახასიათებისას ალ-ბაღდადი აღნიშნავს: მუჰამედს „სურდა წასულიყო (სალაშქროდ) თბილისზე და გადაექცია ის თავის სახელმწიფოს დედაქალაქად (სარირ ალ-მულქი), საიდანაც იგანმგებლებდა რუმის, ყივჩაყთა და სომეხთა ქვეყნებზე, (აგრეთვე) ირანისა და დასავლეთის დანარჩენ ქვეყნებზეც".[1] 1217-1218 წწ. მუჰამადმა შემოიმტკიცა სპარსეთის ერაყი, ხოლო აზერბაიჯანის ათაბაგი აიძულა, მის ვასალად ეღიარებინა თავი. ბუნებრივია, დადგებოდა საქართველოს სამეფოსთან ურთიერთობის საკითხიც: აზერბაიჯანის გამგებელი უზბეგი თავის სიუზერენ ხორეზმშაჰ ალა ად-დინ მუჰამედთან ჩივის ქართველთა თავდასხმების თაობაზე და დახმარებას ითხოვს. ხორეზმშაჰი აზერბაიჯანის ათაბაგის თხოვნას უყურადღებოდ ვერ დატოვებდა; მუჰამედმა, რომელიც ხალიფას წინააღმდეგ სალაშქროდ ემზადებოდა, უზბეგის წერილის მიღებისთანავე, საქართველოს სამეფო კარი გააფრთხილა, რომ შეეწყვიტათ აზერბაიჯანზე თავდასხმები; საპირისპირო შემთხვევაში 50 000 მეომრით საქართველოზე ლაშქრობით იმუქრებოდა. მან სპეციალურად თავისი ელჩი გააგზავნა ქართველთა მეფის კარზე შესაბამისი მოთხოვნებით. მუჰამედი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ აზერბაიჯანი ხორეზმელებისაა, სადაც ხორეზმშაჰზე ლოცულობენ და მის სახელზე ფულის ნიშნებს ჭრიან.[2]

ხორეზმშაჰის ელჩი თბილისში ლაშა-გიორგის წინაშე წარსდგა და მეფეს შაჰის წერილი გადასცა; პასუხის მოლოდინში ელჩი თბილისში რჩება. საბოლოოდ, იგი დიდი პატივით გაისტუმრეს და თავიანთი წარმომადგენელიც გააყოლეს. მას მუჰამედთან საქართველოს მეფის (გიორგი IV ლაშა) წერილი და ძვირფასი საჩუქრები წაუღია.[3] რა შინაარსის შემცველი იყო ლაშა-გიორგის წერილი ხორეზმშაჰისადმი, ჩვენთვის უცნობია. ბ. სილაგაძის აზრით, მუჰამედი საქართველოს მეფის წერილით უკმაყოფილო არ დარჩენილა.[4] ჯალალ ად-დინის ელჩის საჩუქრებითა და ძღვენით გასტუმრება საქართველოს სამეფო კარისა და ქართული დიპლომატიის მიერ არსებული საერთაშორისო ვითარების საღად შე-

---

გ. ჯაფარიძე, ახალი არაბული წყარო... გვ. 136; მისივე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის... გვ. 185.

Шихаб ал-Дин Мухаммад ан-Насави, Жизнеописание султана Джалал ад-Дина Манкбурны, Баку, 1973, გვ. 61.

იქვე

ბ. სილაგაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

ფასებას ნიშნავდა.[1] კონფლიქტი არ შედგა, დიდთოვლიანობამ ირან'ში ხორეზმშაჰს დიდი ზარალი მიაყენა, იგი ბაღდადზე წარუმატებელი ლაშქრობის შემდეგ ხორეზმში დაბრუნდა.

მონღოლთა ჩინეთში წარმატებების შესახებ ინფორმაცია აზიის ქვეყნებში სწრაფად ვრცელდება; ბუნებრივია, გაჩნდა ინტერესი ჩინგიზ-ხანზე არსებული ცნობების რეალობის შემოწმებისა — 1216 წელს 'შედგა ხორეზმელთა ელჩობის აუდენცია ჩინგიზ-ყაენის წინ. დიდ ხანს ხორეზმშაჰი დიდი პატივით მოუხსენიებია და განუცხადებია, მისთვის გადაეცათ, რომ 'შაჰს თვლის დასავლეთის, ხოლო თავის თავს აღმოსავლეთის მპყრობელად.[2]

ხორეზმელთა მონღოლებისადმი დამოკიდებულება გამოკვეთილად მტრული ხდება; ჩინგიზ-ყაენი თითქოს ცდილობს ურთიერთობების დიპლომატიური გზებით მოგვარებას, მაგრამ 1218 წელს, როცა ხორეზმშაჰმა მონღოლი ელჩის მოკვლა ბრძანა, ომი გარდაუვალი გახდა — "Впервые после Первого тюркского каганата перед Ближним Востоком встала объединенная Великая степь"[3] 1219 წელს ბრძოლა მუჰამადის ჯარის სრული განადგურებით დასრულდა. 1220 წლის მაისისათვის მონღოლებს უკვე მთელი შუა აზია ჰქონდათ დაპყრობილი მდინარე ამუ-დარიამდე. „მოისართა ტომის" ჯარები ინდოეთში, კავკასიასა და სამხრეთ რუსეთის სტეპებზეც გამოჩნდნენ. მუსლიმი სულთნების და წინა აზიის ემირების სამფლობელოების გაერთიანებას და მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლას მუჰამად ხორეზმშაჰის ვაჟი — ჯალალ ად-დინი შეეცადა.

ჯალალ ად-დინმა როგორც პოლიტიკოსმა, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა წარმომადგენელმა და როგორც დიპლომატმა, საერთო ენა ვერ გამონახა ვერც მაჰმადიანებთან და ვერც ქრისტიანებთან; ყველანი საბოლოოდ გადაიკიდა და ეს საერთო მტრის — მონღოლთა არსებობის პირობებში გააკეთა. ასეთივე ვითარებაა დაფიქსირებული ალ-ბაღდადისთან: ინფორმაცია მას მიუღია თავისი ყოფილი მოწაფისაგან, რომ „(ხვარაზმელებმა) თბილისთან აიღეს ციხე შეუვალობის პირობით (ბი-ლ-ამან) და როცა გამოვიდა ციხიდან მისი ხალხი, გაშორდნენ მათ მცირედით, შემდეგ მობრუნდნენ და დახოცეს ისინი, ვისაც აღუთქვეს მშვიდობა — დახოცვის გარეშე და დაატყვევეს ისინი, ვისაც

---

1 თ. ფარცვანია, ნასავის თხზულება — „სულთან ჯალალ ად-დინ მანკბურნის ცხოვრების აღწერა" — როგორც წყარო საქართველოს ისტორიისათვის, „საისტორიო კრებული", VII. თბ., გვ. 205

2 Ф. И. [illegible], Движение народов из Центральной Азии в Европу, I. Турки. II. [illegible] Византийский Временник", т. I (XXVI), М., 1947, გვ. 21.

3 Л. Н. [illegible] [illegible] вымышленного царства, СПб., 1994, გვ. 159-160

აღუთქვეს მშვიდობა – დატყვევების გარეშე"; კიდევ უფრო საინტერესოა მისივე მეორე ცნობა: „როცა მოახლოვდნენ ხვარაზმელები, მათი ელჩი ეახლა დედოფალს (რუსუდანი, დ. ნ.) ტკბილი სიტყვით. და როცა მასთან იყო დარბაზობაზე, მოვიდა მაცნე ამბით, რომ ეს ხალხი აოხრებდა ქვეყნის სანაპიროებს. მაშინ დედოფალმა უთხრა ელჩს: „ჯანა ამგვარად იქცევიან მეფეები? ელჩს ერთს ალაპარაკებენ და თვითონ კი საწინააღმდეგოს აკეთებენ? და ბრძანა მისი გაძევება"...[1]

ჯალალ ად-დინი ოფიციალურად ამბობდა, რომ მის ძირითად ამოცანას მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა, რეალურად კი მისი მოქმედება ამიერკავკასიისა და მცირე აზიის ქვეყნების წინააღმდეგ იყო მიმართული. მან გადაიმტერა ამ რეგიონის ქრისტიანი თუ მუსლიმი მოსახლეობა. ქართველებში ხორეზმელებს მეტი სიძულვილი დაუმსახურებიათ, ვიდრე მონღოლებს.[2]

ხორეზმშაჰის ელჩის გაძევებიდან თხუთმეტი დღის შემდეგ ხორეზმელები გამოჩნდნენ კიდეც, რასაც გარნისის ბრძოლა მოჰყვა. არსებობს მოსაზრება, რომ ქართველთა მხედართმთავრობაში უთანხმოება ჩამოვარდა, განსაკუთრებით, ივანე მხარგრძელსა და შალვა ახალციხელს შორის, რასაც შესაბამისად, მარცხიც მოჰყვა – ეს ეპიზოდი ქართულ საშინაო დიპლომატიას დადებითი შტრიხებით ნაკლებად ახასიათებს.

გარნისის ბრძოლის შემდგომ პერიოდში ადგილი ჰქონდა ჯალალ ად-დინისა და ბიჯნისს მყოფი ავაგ ათაბაგ-ამირსპასალარის შეხვედრას: სულთანმა „ინება ნახვა მისი, მოუვლინა მოციქული და რქუა: „შენ ხარ ვაზირთუხუცესი, და ითუალავ საქართველოსა. თუთოთა კაცითა შევკრებეთ, რამეთუ მნებავს სიტყუად შენ თანა". შეხვედრაზე ჯალალ ად-დინმა განაცხადა: „არა მოვედ მე რბმევად საქართველოსა, არამედ ზავისა და მშჳდობისათჳს. გარნა თქუენ მსწრაფლ საომრად აღიჭურენით და ფიცხლა შემებენით, და არა იქმნა მშჳდობა"; შემდეგ სულთანს თავისი სამეფოს „სიდიდე" და „სიმრავლე" განუცხადებია და აღმოსავლეთში მონღოლთა – „კაცნი ვინმე საკჳრველნი"-ს გამოჩენა აღუნიშნავს, რომელთაც „ყოველი აღმოსაელეთი დაიმორჩილნეს და მრავალნი ჯელმწიფნი მოსრნეს"; არ დაუმალავს ჩინგიზ-ყაენის მიერ ხორეზმელთა დამარცხებაც. ხორეზმშაჰს კვლავ გაუმეორებია, რომ „წარმოველ საქართველოსა მშჳდობისა და ზავის ყოფად", ხოლო „აწ მნებავს, რათა შეეერთნეთ მტკიცითა დავბრძოლოთ მტერთა. მესმიეს, რომელ მეფე თქუენი დედაკაცი არის, და მყოთ ჭმარ მისა და მეფე თქუენ ზედა, და ვსძლოთ ყოველთა მტერთა ჩუენთა. უკეთუ არა ჰყოთ, მოოკრდეს სა-

---

[1] გ. ჯაფარიძე. ახალი არაბული წყარო... გვ. 137.
[2] იქვე. გვ. 138.

მეფო თქუენი".[1] ჯალალ ად-დინი თითქოს ძალების გაერთიანებას სთავაზობს ქართველებს და აღნიშნავს, რომ თათარნი უკვე მოსულნი არიან და ხორეზმელთა ძალების გარეშე საქართველო მათ ვერ გაუმკლავდება. ავაგ ათაბაგი მცირესიტყვიანი აღმოჩნდა: „ვაუწყებ თქმულსა მაგას მეფესა და ვაზირთა მისთა".[2]

საქართველოს სამეფო კარზე „იხილეს წიგნი", რის შემდეგაც „განკურდა მეფე და უცხო-უჩნდა საქმე ესე". საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება კატეგორიული იყო: „და მოუმცნეს ავაგს არცა თუ სმენად საქმისა მაგისა, არამედ სრულიად განყენებად".[3] ამ პასუხს ჯალალ ად-დინის თბილისზე წამოსვლა და აოხრება მოჰყვა. ჯალალ ად-დინისა და საქართველოს სამეფო კარის მოლაპარაკებებს ადასტურებს ჯუვეინიც, განსხვავება ისაა, რომ ამ წყაროს მიხედვით, მას აწარმოებს არა თავად ხორეზმშაჰი, არამედ სხვა პირი — ჯალალ ად-დინმა „მალექ თაშდარი დესპანად გაგზავნა ყიზ-მალიქთან (ქალი-მეფე — რუსუდანი)".[4]

• რამდენად სწორი იყო ქართული დიპლომატიის ასეთი გადაწყვეტილება?! რამდენად ობიექტურია ხორეზმშაჰი, როცა აღნიშნავს „ზავისა" და „მშუდობისათვის" მოვედი, ხოლო თქვენ იგი დაარღვიეთო?! ამისათვის უნდა განვიხილოთ, თუ რა რეალური ზრახვანი და გეგმები ჰქონდა ჯალალ ად-დინს:

ერთი მოსაზრებით, ასეთ ვითარებაში ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ ბრძოლა შეცდომა იყო: მონღოლთაგან აშკარა საშიშროების ვითარებაში ჯალალ ად-დინი მრისხანე ხორეზმშაჰიდან ერთიანი ანტიმონღოლური კოალიციისათვის მებრძოლ პიროვნებად იქცა; ყოველ შემთხვევაში გარეგნულად ასე მოჩანს. რაშიდ ად-დინის ცნობით, როცა ჩინგიზ-ხანმა ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ ჩორმაღან-ნოინი გაგზავნა, მიუხედავად მათ — შაჰსა და ხალიფას, რუმისა და სირიის სულთანსა თუ მელიქებს — შორის არსებული მწვავე დაპირისპირებისა, ხორეზმშაჰმა მათ ელჩი გაუგზავნა მოწოდებით ძალების გაერთიანების შესახებ: "Если вы не окажете помощь людьми и снаряжением, то я, который стою стеной, проподу, а у вас не окажется возможности противостоять им."[5] ხორეზმშაჰის მიერ წარგზავნილი მოციქული მცირე აზიის ერთ-ერთ მმართველს ეუბნება, რომ თუ ვითარება ჯალალ ად-დინის სასიკე-

---

1 ასწლიანი მატიანე, გვ. 58.
2 იქვე, გვ. 59.
3 იქვე.
4 ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსულ ტექსტს შესავალი წაუმძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1974, გვ. 30.
5 Рашид ад-Дин, Сборник летописей, М.-Л., 1960, გვ. 30.

თოდ არ განვითარდება – "То вы вспомните о нем, когда испытаете соседство татар, но сожаление уже не поможет".[1]

გ. წულაიას აზრით, ჯალალ ად-დინის დიპლომატიური საქმიანობა და მის მიერ მოწყობილი სპეციალური ელჩობები ჯერ კიდევ არ არის ობიექტურად შეფასებული; რაც შეეხება საქართველოს სამეფო კარის ნაბიჯს, აღნიშნულია, რომ ქართველები – "не представляя реальной угрозы со стороны монголов и проявляя дипломатическую близорукость, надеялись с помощью почти неизвестного народа избавиться от могущественного соседа".[2]

თუ გავითვალისწინებთ იმ პერიოდის საერთაშორისო ძალთა განლაგებასა და საერთო ვითარებას, შეიძლება ითქვას, რომ ჯალალ ად-დინის ცდანი კოალიციის შექმნის თაობაზე წინასწარ იყო განწირული. ხორეზმშაჰის ნაბიჯებში მუსლიმი მფლობელები ხედავენ საშიშროებას, რომ იგი დაკარგული ძველი განუსაზღვრელი მბრძანებლის ძალაუფლების დაბრუნებას ცდილობს. ისტორიულ წყაროებში დაცული ამ პერიოდის ხორეზმშაჰის მიმართვანი მონღოლებისაგან გამოქცეულ-დამარცხებული ჯალალ ად-დინის სიტყვებია, რომელშიც მომავლისათვის, გამორიცხული არ არის, სხვა ზრახვანიც იყო ჩადებული; მუსლიმ მმართველებს მეორე – მრისხანე ჯალალ ად-დინიც ახსოვთ, ამიტომ ისინი ერთმანეთში და სხვა სარწმუნოების ხალხებთანაც კი ერთიანდებიან – ხორეზმი მათი საერთო მტერია: "Так как румские султаны и мелики Сирии, Армении и тех пределов страшились завоевания и захвата им (ჯალალ ად-დინი, დ. ნ.) власти, то все они поднялись, чтобы отразить его, и собрались в одном месте с войском грузин, армян, аланов, серпров, лезгин, кипчаков"...[3] ჯუვეინი კი ამბობს: „რაკი რუმის, შამის, სომხეთისა და იმ მხარეთა სულთანებს ეშინოდათ მისი სიმკაცრის და შურისძიების, მძვინვარე იერიშისა და გაბედული თავდასხმის, ერთმანეთს შეუთანხმდნენ და მის განსადევნად გაერთიანდნენ".[4]

იბნ ალ-ასირი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ჯალალ ად-დინი გამუდმებით ლაპარაკობდა – საქართველოში უნდა ვილაშქრო, შევება და და-

---

[1] Шихаб ад-Дин Мухаммад ан-Насави, Жизнеописание султана Джелал ад-Дина Манкбурни, Пер. с арабского, предисловие, комментарии, примечаны и указатели З. М. Буниятова, Баку, 1973, გვ. 450.

Г. В. Цулая, Джелал ад-Дин в оценке грузинской летописной традиции, "Летописи и хроники 1980 г.", М., 1981, გვ. 118.

Рашид ад-Дин, გვ. 27-28.

ჯუვეინი, გვ. 35.

ვეუფლო მათ ქვეყანასო;[1] ძალზე მნიშვნელოვანია ამ ისტორიული წყაროს მეორე ცნობა, რომ ხორეზმშაჰს ქართველები წინასწარ გაუფრთხილებია თავისი განზრახვის შესახებ მათთან ომის დაწყების თაობაზე, რაზეც საქართველოდან პასუხიც მიუღია: "К нам пришли татары, которые поступили с твоим отцом, более могущественным, с более многочисленными войсками и более сильной душой, так, как ты знаешь, и захватили ваши страны, но мы не обратили на них внимания, и самое большее, о чем они думали, уйти от нас по-добру-поздорову".[2] ის მომენტიც, რომ ქართულმა დიპლომატიამ და ქართველმა პოლიტიკოსებმა დროულად შეაფასეს ჯალალ ად-დინის შემოსევების საფრთხე და ემზადებიან მათ წინააღმდეგ საბრძოლველად, ლაპარაკობს ხორეზმშაჰის გეგმებზე, რომელსაც თავიდანვე საქართველოს დაპყრობა ჰქონდა ჩაფიქრებული. ამიტომაც მიმართავს ქართული დიპლომატია ათაბაგ უზბეგს ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის თაობაზე.

ჯალალ ად-დინს თავიდანვე რომ საქართველოს დაპყრობა ჰქონდა განზრახული, ხოლო მოლაპარაკებისას მისი წინადადებები მოჩვენებითი ხასიათისაკენ მოწოდებას წარმოადგენდა, კარგად ჩანს თავად ხორეზმშაჰის კარის მემატიანის — ნასავის ცნობებიდან: ჯერ კიდევ გარნიის ომამდე ჯალალ ად-დინმა გაგზავნა "Муджир ад-Дина' Умара ибн Са'да ал-Хорезми в качестве посла к государю (малику) Рума и к государям (мулук) аш-Шама и Египта с письмами, содержавшими (уведомление) о том, он овладел областями Азербайджана и острием своих зубов вырвал те области, в которые уже вцепились клыки грузин (ал-курдж). Эти два (дела) служат его доказательствами перед господом его! (в писме он) уведомлял их о том, что он намерен совершить поход на грузин, ожесточенно сразиться с ними и показать им, что в доме есть хозяин. И в основу писем он положил главу стремления к дружбе".[3]

ჯალალ ად-დინის ასეთი გეგმები კარგად ეცოდინებოდათ საქართველოს სამეფო კარზე, ამიტომ, აქედან გამომდინარე, სავსებით გასაგები ხდება ქართული დიპლომატიის უარყოფითი პასუხის მიზეზები მოლაპარაკების თაობაზე; იყო მეორე მომენტიც — ამ დროს საქართველოს წინაშე მონღოლთაგან საშიშროება აქტიურად არ დგას, იგი ჯალალ ად-

---

[1] Материалы по истории Азербайджана из "Тарих-ал-Камиль" (Полного свода истории) Ибн-ал-Асира, Баку, 1940, გვ. 156.

[2] იქვე.

[3] Шихаб ад-Дин Мухамед Ан-Насави, გვ. 155.

დინიდან უფრო იგრძნობა, მონღოლები კი შორს არიან; ამავე დროს, ამ უკანასკნელთა შესახებ საქართველოში ხომ მხოლოდ ჯებესა და სუბუდაის მიხედვით იციან. ასეთ ვითარებაში ქართულ დიპლომატიას ბოლომდე არ შეიძლება გასისხლხორცებული ჰქონოდა „მოისართა ტომიდან" მომდინარე საშიშროება; მესამე მომენტი — არც ისაა გამორიცხული, რომ მოლაპარაკებას ხელი შეუშალა წინადადებამ რუსუდანის ხორეზმშაჰზე დაქორწინების შესახებ. შესაძლებელია, ამასაც გულისხმობდა ეამთააღმწერელი, როცა ამბობდა: „განკურდა მეფე და უცხო უჩნდა საქმე ესე", როგორც გ. ჯაფარიძე აღნიშნავს, ჯალალ ად-დინი არ იყო ის პოლიტიკოსი, რომელიც სხვისი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებდა. რუსუდანისა და ჯალალ ად-დინის ქორწინება რეალურად ხორეზმელთა მიერ საქართველოს უბრძოლველად ოკუპაციას ნიშნავდა.[1] ქართული დიპლომატია და საქართველოს სამეფო კარი, ბუნებრივია, ამაზე არ წავიდა.

ჯალალ ად-დინი იწყებს თბილისისათვის ბრძოლას და 1226 წელს ქალაქს სასტიკად აოხრებს. ხორეზმშაჰის მოქმედებას მუდამ ეტყობა მონღოლთა ფაქტორის არსებობა. ახლაც, იგი ტოვებს თბილისს იმის გამო, რომ ჭერმანის გამგებელმა ბარაყ ჰაჯიბმა მონღოლებთან გაბა მოლაპარაკება და ერაყის დასაპყრობად ემზადება. ჯალალ ად-დინი თბილისში 1226 წელს სექტემბერში დაბრუნდა. 1227 წელს ჯალალ ად-დინის ხლათისათვის ბრძოლის პერიოდში, ქართველებმა მცირე ხნით დაიბრუნეს დედაქალაქი, მაგრამ უკანმობრუნებულმა ხორეზმშაჰმა იგი კვლავ დაიკავა. 1228 წელს ჯალალ ად-დინს რამდენიმე შეტაკება ჰქონდა მონღოლებთან, მაგრამ ყველა მარცხით დამთავრდა. შაჰი იძულებულია, კოალიცია შეკრას მათ წინააღმდეგ, მიმართავს ბაღდადის ხალიფას, ხლათის სულთანს, სხვა ხელისუფალთ, მაგრამ უშედეგოდ; ხორეზმშაჰმა ვერც დიპლომატიით, ვერც სამხედრო ძალით მუსლიმური სამყაროსა და საქართველოს გაერთიანება ანტიმონღოლურ ფრონტში ვერ შეძლო. აქ კვლავ მუშაობს ის მომენტი, რაზეც უკვე გვქონდა საუბარი და რასაც ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჯალალ ად-დინს მეზობელი ქვეყნებისათვის „ზიანის მეტი არა მიუყენებია რა".[2]

ხორეზმელებთან დაპირისპირების პირობებში ვერც საქართველოსა და აიუბიანთა ძალების გაერთიანება მოხერხდა, მაშინაც კი, როცა მტერი ხლათს დაემუქრა. ჯალალ ად-დინის შემოსევების ხანაში საქართველოს სამეფო ფაქტობრივად იზოლაციაში აღმოჩნდა — მუსლიმური

---

[1] გ. ჯაფარიძე. დასახ. მონოგრაფია. გვ. 187.

[2] ივ. ჯავახიშვილი. ქართული ერის ისტორია. III. თბ. 1966. გვ. 75.

ქვეყნებისა და ქრისტიანული ქართული სახელმწიფოს ძალების გაერთიანება არ მოხდა.[1]

1228 წლის ბოლოსა და 1229 წლის დამდეგისათვის საქართველო-ხორეზმს შორის ბოლნისთან ერთ-ერთი გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა. რუსუდანმა ჩრდილოკავკასიელი ხალხების გამოყენება სცადა — „განუხუნა კარნი დარიალისانი და გარდამოიყუანნა ოსნი, დურძუკნი, ამათ თანა ყოველნი მთიულნი“,[2] მაგრამ ესეც ნაგვიანევი ნაბიჯი აღმოჩნდა. ბოლნისის ბრძოლაში მარცხის შედეგად საქართველოს სამხედრო ძალის ორგანიზაცია მნიშვნელოვნად მოიშალა. მომავალში ამანაც განაპირობა ქართველების მონღოლებთან მარცხი.

ჯალალ ად-დინი ხლათის საკითხის გადაჭრას ცდილობს, მიადგა ქალაქს და 1230 წლის 14 აპრილს სასტიკად ააოხრა. ალ-აშრაფს საპირისპირო ნაბიჯი უნდა გადაედგა, იგი არზრუმიდან ხლათისაკენ მიემართებოდა, როცა მანასკერტში გაიგო ჯალალ ად-დინის მიერ ხლათის დატოვება. ამ ფაქტს საქართველოს სამეფოდანაც ჰქონია რეაქცია: მუჰამად ალ-ჰამავის ცნობით, „ივანემ (ივანე ათაბაგი, **დ. ნ.**) ალ-აშრაფს გაუგზავნა ხმალი, რადგანაც ქართველებს წესად აქვთ, თუკი გაიმარჯვებს მეზობელი, მას მახვილი გაუგზავნონ“.[3] ამის შემდეგ დაიწყო საზავო მოლაპარაკება ალ-აშრაფსა და ჯალალ ად-დინს შორის, რომელიც გარკვეული შეთანხმებით დასრულდა.

1230 წელს იასი-ჩიმენთან ბრძოლაში ალ-აშრაფისა და რუმის სულთნის ქაი-ყუბადის გაერთიანებულმა ძალებმა ჯალალ ად-დინი დაამარცხეს, რაც საქართველოსათვის დადებითი მოვლენა იყო; მაგრამ, ამავე დროს, ამ ბრძოლამ ქართველთა სამეფოს სამხრეთ საზღვრებთან ძალთა თანაფარდობა მათთვის საზიანოდ შეცვალა: გაძლიერდა რუმის სასულთნო, ალ-აშრაფმა ხლათზე ბატონობა კვლავ აღადგინა, ანექსირებულ იქნა არზრუმის საამიროც. ბუნებრივია, აიუბიანთა და მცირე აზიის სელჩუკთა ასეთი გაძლიერება საქართველოსათვის შესაბამის ხიფათს ქმნიდა,[4] მაგ., აიუბიანები დროებით, მაგრამ მაინც პირველად დამკვიდრდნენ საქართველოს სამხრეთ პროვინციაში — ტაოში.

1229 წელს შედგა ყურულთაი, რომელზეც უგედეი ხანად იქნა არჩეული. 1230 წელს მონღოლები შეტევით მოქმედებებზე გადავიდნენ, წარმატებებით დაასრულეს დაპყრობითი ოპერაციები ჩინეთში, შეიჭრ-

---

1 გ. ჯაფარიძე, დასახ. მონოგრაფია, გვ. 189-190.

2 ქამთააღმწერელი, „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 183 (შემდეგში — ქამთააღმწერელი).

3 გ. ჯაფარიძე, დასახ. მონოგრაფია, გვ. 192-193.

4 იქვე, გვ. 193.

ნენ წინა აზიაში და ყველა მუსლიმი მბრძანებელი დაიმორჩილეს, გარდა ბაღდადის ხალიფისა; 1230 წლის ზამთარში ჩორმაღანის ლაშქრის ავანგარდი პირველად გამოჩნდა არრანში. ყოველივე ჯალალ ად-დინის კრახის მოახლოებაზე ლაპარაკობდა: მონღოლებმა ხორეზმშაჰს „დევნა უყვეს“ და 1231 წლის აგვისტოში მისი რაზმები გაანადგურეს; მალე ჯალალ ად-დინი მაიფარიკინის მახლობლად მთებში მოკლეს. საქართველომ ხორეზმელებისა და მონღოლების დაპირისპირებისა, პირველთა მარცხში, ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულა. ჯალალ ად-დინს ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი დროისა და ძალების დახარჯვა დასჭირდა; მან ტემპი და ინიციატივა დაკარგა, ხოლო მონღოლებმა დაპყრობილ ტერიტორიებზე მტკიცედ მოიკიდეს ფეხი.

1231 წლის ოქტომბერში მონღოლებმა აზერბაიჯანი დაპყრეს. ქართული დიპლომატია კარგად ხედავს მონღოლთაგან მოახლოებულ საშიშროებას, ამიტომ 1231-1232 წლებში საქართველოს სულიერფეოდალი ალ-აშრაფსა და ეგვიპტის სულთან ალ-ქამილს ელჩებს უგზავნის ანტიმონღოლური კოალიციის შექმნის მიზნით. ეგვიპტელი ისტორიკოსი იბნ აღ-დავადარი აღნიშნავს, რომ 1231 წელს ზაფხულში, „როდესაც ალ-ფაპლავანის ძედ ცნობილმა ქართველთა მალიქმა შეიტყო, რომ თათრები მის წინააღმდეგ მიემართებოდნენ, ალ-მალიქ ალ-აშრაფს მოციქული გაუგზავნა იმ მიზნით, რომ თათრების (წინააღმდეგ) გასაერთიანებლად შეთანხმებულიყვნენ. მაგრამ მათ შორის შეთანხმება არ მოხდა იმის გამო, რომ ალ-ლაპმა, დიდებულიც არის იგი და ძლიერი, ამ ხალხის (თათრების) გაბატონება ისურვა“.[1] ამ დიპლომატიურ ცდას შედეგი არ მოჰყოლია.

ამავე პერიოდში, 1232 წელს აიუბიანთა სულთანს ალ-ქამილს დამასკოში აცნობეს, რომ მონღოლები ხლათის მხარეში შეიჭრნენ. სულთანს სხვადასხვა დესპანები ეახლნენ, მათ შორის საქართველოს მეფის ელჩიც იყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს სამეფო ტახტი აიუბიანებისაგან მონღოლთა წინააღმდეგ მხარდაჭერას ითხოვდა.[2] როგორც ლაშა-გიორგის დროს, ახლაც ანტიმონღოლური ფრონტის შექმნა წარუმატებლად დასრულდა და ეს უკანასკნელი შანსიც ხელიდან იქნა გაშვებული. მაგრამ თავად ისლამურ სამყაროშიც, მიუხედავად საერთო მტრის — მონღოლთა არსებობისა, დაპირისპირება მოხდა, კერძოდ, აიუბიანებსა და მცირე აზიის სელჩუკთა შორის, რის შედეგადაც მუსლიმები „მოისართა ტომს“ გათიშული დახვდნენ. თვით ქართველებმაც ქაი-ყუბადის სამხედრო კამპანიაში ჩრდილოეთ მესოპოტამიაში აიუბიან-

---

[1] გ. ჯაფარიძე. დასახ. მონოგრაფია. გვ. 194.
[2] იქვე. გვ. 195.

თა წინააღმდეგ მიიღეს მონაწილეობა; თავად ქაი-ყუბადმა 1233 წელს ხელთ იგდო ხლათის აიუბიანთა სამფლობელო, რომელიც მონღოლთა მიერ დაპყრობილ აზერბაიჯანს ესაზღვრებოდა. თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ სულთანი დაპირისპირებოდა მონღოლებს და ქართველებთან ერთად მათ წინააღმდეგ გამოსულიყო, მაგრამ ესეც არ მომხდარა. როგორც ზ. ავალიშვილი დაასკვნის, საქართველო, სპარსეთი და რუმის სასულთნო ერთმანეთში ატეხილი ბრძოლითა და ურთიერთის დასუსტებით მონღოლთა მომავალ ბატონობას გზას უმზადებდნენ.[1]

ანტიმონღოლური კოალიციის შეკვრის მეორე ცდაც წარუმატებლად დასრულდა. საბოლოოდ, მოსალოდნელი მოკავშირეები ერთმანეთს დაეჯახნენ: იბნ ბიბის ცნობით, რუმის სასულთნოს ხელისუფლებას გადაუწყვეტია მცირე აზიის სელჩუკთა ტერიტორიაზე მონღოლთა ლაშქრობების წამქეზებელი ქართველთა დედოფლის ქვეყნის დალაშქვრა.[2] როგორც ირკვევა, საქართველოს სამეფო ტახტს ისეთი ხასიათის კონტაქტები ჰქონია მონღოლთა სარდლობასთან, რომ შესძლებია მათი წაქეზება მეზობელ ქვეყნებზე სალაშქროდ. 1231-1232 წლებში მონღოლთა ლაშქარი რუსუდანის ხელშეწყობით ჩორმაღან-ნოინის მეთაურობით რუმის სასულთნოს შეესია და მისი გარკვეული რეგიონი მოარბია. სულთან ქაი-ყუბადს მზვერავები სპეციალურად აცნობებენ, რომ მტრის შემოკრაში დიდი როლი საქართველოს ხელისუფლებამ და რუსუდანმა შეასრულა.[3] ამას პასუხად საქართველოში რუმის სულთნის ლაშქრობა მოჰყვა.

აქ რამდენიმე საკითხი მოითხოვს პასუხს: შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში რამდენად სწორად მოიქცა ქართული დიპლომატია?! ხომ არ ჯობდა, ქართველები მცირე აზიის სელჩუკებთან გაერთიანებულიყვნენ საერთო მტრის — მონღოლთა წინააღმდეგ საბრძოლველად?!

ნ. შენგელიას აღნიშვნით, 1232 წელს მონღოლები საქართველოს სამეფოს მოადგნენ და მისი ტერიტორიების დარბევა დაიწყეს; შესაძლებელია, ქართული დიპლომატია მონღოლთა თავდასხმების თავიდან აცილებას შეეცადა და ამ მიზნით მეზობელ ქვეყნებზე მათი განთესვა მოახდინა.[4] უნდა ვივარაუდოთ, რომ მონღოლთა შემოსევის საფრთხის გამო რუსუდანი იძულებულია, მათთან თანამშრომლობაზე წავიდეს და ჩორმაღან-ნოინს დაეხმაროს, თან მაინცადამაინც რუმში ლაშქრობასთან დაკავშირებით. საქართველოს სამეფოს საზღვრებთან ახლოს რუმის

---

1 ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან, „ოთხი საისტორიო ნარკვევი". თბ., 1989, გვ. 76.

2 ნ. შენგელია. იბნ ბიბი ალა ად-დინ ქეიყობადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ. „მაცნე". 1975. №1. გვ. 97-98.

3 გ. ჯაფარიძე. დასახ. მონოგრაფია, გვ. 196.

4 ნ. შენგელია. დასახ. ნაშრომი, გვ. 98.

სულთანმა – ქაი-ყუბადმა ჯერ ხლათი აიღო, შემდეგ სურმარი; მანამდე გააუქმა არზრუმისა და არზინჯანის საამიროები. ბუნებრივია, მათ მიმართ საქართველოს სამეფო კარს თავისი ინტერესები ჰქონდა. ახალ ვითარებაში, რუმის სპირისპიროდ, რუსუდანის ტახტს არც სამხედრო ძალა გააჩნდა და არც დიპლომატიური საშუალებები. მონღოლთა შემოსევის შედეგად საქართველოს სამეფო ტახტი ხომ არ იყენებს მათ რუმის საწინააღმდეგოდ?! ქართულ დიპლომატიას რომ სხვა კუთხით ემუშავა, შესაძლებელი იყო თუ არა რუმი-საქართველოს მოკავშირეობა მონღოლთა წინააღმდეგ?!

დაუჯერებელი ჩანს, რომ საქართველოს მეზობელ ტერიტორიებზე მოთარეშე მონღოლების საწინააღმდეგოდ ქართველთა სამეფო ხელისუფლება არ მომზადებულიყო; ამიტომ, სიტუაციიდან გამომდინარე, ქართული დიპლომატია შესაბამის ნაბიჯებს დგამს: უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველი პოლიტიკოსები, მონღოლთა შემოსევის ვითარებაში, დროებით მაინც ცდილობენ მათი ყურადღების საქართველოდან მცირე აზიაზე გადატანას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ, როცა რუსუდანს მონღოლებთან ახლო ურთიერთობის საშუალება მიეცა, მისმა სამეფო კარმა დამპყრობლები სელჩუკების წინააღმდეგ წააქეზა. რა იყო ჩანაფიქრის მთავარი არსი: საქართველო „ამით ერთგვარად დროებით მაინც აიცდენდა მონღოლთაგან მოსალოდნელ უბედურებას. რუსუდანის ურთიერთობა მონღოლებთან აშკარას ხდის, რომ საქართველოს დედოფალი გონიერი და გამჭრიახი დიპლომატია, რომელმაც მოასერხა ორი მოსისხლე მტრის დაპირისპირება და ერთმანეთზე წაქეზება. იბნ ბიბის ზემომოტანილი ცნობაც რუსუდანის უტყუარ დიპლომატიურ ალღოსა და ნიჭზე მეტყველებს“.[1] თუ აღნიშნული სწორია, მაშინ ამას ერთგვარად შეიძლება დროის მოგების ტაქტიკა ეუწოდოთ.

ამ საკითხს აქვს მეორე მხარე: საქართველოს სამეფო ტახტის ზემოაღნიშნულ ნაბიჯს რუმის სულთან ქაი-ყუბადის ინიციატივით და ამირ ქმალ ად-დინ ქამიარის მეთაურობით საქართველოში სელჩუკთა მრავალრიცხოვანი ლაშქრის შემოსევა მოჰყვა; მათ ქვეყნის სამხრეთი ნაწილი დაულაშქრავთ, რამაც ქართული სახელმწიფო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. აქ ხაზგასმულია ის მომენტი, რომ ქართველები სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდნენ ასეთი მოულოდნელი თავდასხმისათვის;[2] თუ ქართული დიპლომატია დროის მოგების ტაქტიკას იყენებს, რითაა გამოწვეული საქართველოს ხელისუფლების მოუმზადებლობა?!

---

[1] ნ. შენგელია. დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

[2] იქვე. გვ. 101.

ბ. სილაგაძე თვლის, რომ რუსუდანის სამეფო კარზე „ძვირად ღირებულ დროს სათანადოდ ვერ იყენებდნენ, ვერც საკუთარი ძალების თავმოყრას ახერხებდნენ და ვერც საგარეო პოლიტიკას წარმართავდნენ ისე, როგორც ამას ქვეყნის ინტერესები მოითხოვდა";[1] მკვლევრის აზრით, რუსუდანის ტახტმა მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვა, როცა მონღოლებიდან მომდინარე საშიშროების ვითარებაში კეთილი ურთიერთობა არ დაამყარა სელჩუკიანებთან და ერთიანი ძალით არ შეეცადა მტრის წინააღმდეგ გამოსვლას. იგი აკრიტიკებს იმ აზრს, რომ რუსუდანის მონღოლებისათვის ხელშეწყობა რუმის საწინააღმდეგოდ „გონიერ და გაბედულ დიპლომატიად" მივიჩნიოთ. ბ. სილაგაძის დასკვნით, „საქართველოს დედოფალი და მისი ხელქვეითი ქვეყანა ასეთი დიპლომატიისათვის მკაცრად დაისაჯა".[2] ქართული დიპლომატიის მიერ წარმოებულ პოლიტიკას ასეთივე კუთხით უდგება ლ. ტუხაშვილი: მისი აზრით, საქართველომ თავისი სამხედრო ენერგია უშუალოდ მაჰმადიანი მეზობლების წინააღმდეგ მიმართა; ქართველმა პოლიტიკოსებმა დაივიწყეს, რომ მაჰმადიანობა იქ ადგილობრივი მოვლენა იყო, რამაც, როგორც მეზობელი ქვეყნების, ისე საკუთარი მუსლიმური სარწმუნოების ქვეშევრდომების მძაფრი უკმაყოფილება და ანტიქართული ისლამური აფეთქება გამოიწვია.[3]

რუსუდანის სამეფო კარს, სელჩუკთა მწვავე შემოსევის გამო, გარკვეული ღონისძიებებისათვის უნდა მიემართა. თათბირის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ ყველაზე შესაფერის ნაბიჯად პრობლემის დიპლომატიური გზით მოგვარება ამჯობინა — გადაწყდა ამირ ქმალ ად-დინ ქამიართან მოლაპარაკების გამართვა. რუსუდანი მეორე მხარეს თავის დიპლომატებს უგზავნის საგანგებო წერილითა და ძვირფასი საჩუქრებით: იგი სელჩუკებს ზავს სთავაზობს და ლაშქრობის შეჩერებას ითხოვს; გამოთქმული იყო იმედი, რომ ისინი უკან გაბრუნდებოდნენ, ხოლო დაპყრობილ ტერიტორიებს ქართველებს დაუბრუნებდნენ. რუსუდანი სთავაზობს, რომ „თუკი იგი' (სულთანი, დ. ნ.) გამოიჩენს მოწყალებას და მიიღებს მას, მაშინ გავამტკიცოთ იგი (ზავი, კეთილდამოკიდებულება) ქორწინებითა და ნათესაური კავშირით. მე მსურს, ჩემი უბიწო პირმშო, სელჩუკიანებისა და დავით მეფის შთამომავალი, დაქორწინდეს ისლამის ხელმწიფე ყიას-ად-დინ ქეიხუსრევზე".[4] როგორც

---

[1] ბ. სილაგაძე. მონღოლთა მეორე გამოჩენა ამიერკავკასიაში და საქართველოს დაპყრობა-დანაწილება. „მაცნე". №3. 1992. გვ. 61.

[2] იქვე. გვ. 61-62.

ლ. ტუხაშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 232.

ე. ჯაველიძე. გურჯი ხათუნის (დედოფალი თამარის) და ჯელალ ედ-დინ რუმის ურთიერთობის ისტორიიდან. „ცისკარი". 1970. №1, გვ. 107.

იბნ ბიბი აღნიშნავს, ქემალ ად-დინ ქამიარი „კეთილგანწყობით შეეერთდა დედოფლის თხოვნას და ლაშქარი უკან გამოაბრუნა“.[1]

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში რუსუდან დედოფალს „ფონიერული დიპლომატიური ნაბიჯი გადაუდგამს“; როგორც ჩანს, გათვალისწინებული იქნა ამიერკავკასია — მცირე აზიაში შექმნილი საერთაშორისო ვითარება, რის შემდეგაც საპასუხო ლაშქრობაზე უარი ითქვა და მშვიდობიანი მოგვარების გზა იქნა არჩეული.[2] ქართულ დიპლომატიას მონღოლთა ფაქტორიც უნდა უბიძგებდეს აქეთკენ, რადგანაც სელჩუკებთან ომის შემთხვევაში, მათ შესაძლებელია, ორ ფრონტზე მოსწეოდათ ბრძოლა — ერთი მხრივ, სელჩუკები, მეორე მხარეს კი მონღოლები.

სულთანი ალა ად-დინ ქაი-ყუბადი თავის წერილში ქემალ ად-დინ ქამიარისადმი ამ წარმატებების გამო მას მადლობას უხდიდა და რუსუდანის წინადადებებზე თანხმობას აცხადებდა. ასეთი მოქმედება ვ. გორდლევსკის მიერ შეფასებულია როგორც ალა ად-დინ ქაი-ყუბადის მარცხი საქართველოსა და ამიერკავკასიაში გაბატონების საკითხთან მიმართებაში.[3] ზავის შედეგად, სელჩუკებმა სამხრეთ საქართველოდან თავიანთი ლაშქარი გაიყვანეს; დანათესავება შედგა და თამარი ქაი-ყუბადის ვაჟზე — ქაიხუსრევზე დაქორწინდა; საქართველოს ხელისუფლებას დაეკარგა სელჩუკთა მხარეზე თავისი სამხედრო ძალების გამოყვანა. ამ პერიოდის ალა ად-დინ ქაი-ყუბადის ლაშქრობებში ქართველები კიდეც მონაწილეობენ.

ჩვენი აზრით, უნდა მივუთითოთ ამ საკითხთან დაკავშირებულ ორ მომენტზე: ერთი, რომ კარს მომდგარ მონღოლებთან მორიგება და მათი ძალების რუმზე მიმართვა საქართველოსათვის თითქოს მართლაც მომგებიანი უნდა ყოფილიყო; მეორე, ზემოაღნიშნული საბიჯის გამო, საქართველო და მცირე აზიელი სელჩუკები (ასევე აიუბიანებიც) ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ და საერთო მტრის — მონღოლთა წინააღმდეგ გაერთიანების მაგივრად საკუთარი ძალები დაჭაჭეს და დაასუსტეს. აქვე აღვნიშნავთ, ქართულ დიპლომატიას უნდა გაეთვალისწინებინა მონღოლთა მოქმედების გეგმა, რომელშიც აშკარად საქართველოს დაპყრობაც შედიოდა; ალბათ ისიც უნდა გათვლილიყო, რომ სელჩუკებიდან მობრუნებული „მოისართა ტომი“ საქართველოს მოადგებოდა, ასეთ ვითარებას კი რუსუდანის სამეფო ტახტი მოუმზადებელი

---

1 ე. ჯაველიძე. გურჯი ხათუნის (დედოფალი თამარის) და ჯელალედ-დინ რუმის ურთიერთობის ისტორიიდან, დასახ. გამოც., გვ. 107.

2 ნ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

В. А. Гордлевский, Государство Сельджукидов Малой Азии, "Избранные сочинения", т. I, М., 1960, გვ. 58.

დახვდა. ფაქტია, განვითარებული მოვლენების გამო შედეგი საქართველოს სახელმწიფოსათვის სავალალო აღმოჩნდა.

საქართველოს პოლიტიკური თუ სამხედრო იზოლაცია სახეზე იყო. უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი სამეფო ტახტი, რომელმაც, აღმოსავლეთში მოკავშირეების ძებნის საკითხში, ფიასკო განიცადა, ხსნას ევროპაში ხედავს; დასავლეთი ჯვაროსნული ლაშქრობების წარუმატებლობის გამო უიმედობას ჰყავს მოცული, ამიტომ რუსუდანი სხვადასხვა დიპლომატიურ ხერხს მიმართავს მათი დაინტერესების მიზნით, მაგ., დასავლეთისა და საქართველოს ეკლესიების გაერთიანებას სთავაზობს და სხვ. ეს ცდები შეფასებულია, როგორც დედოფლისა და მისი მრჩეველების მხრიდან ევროპაში მოკავშირეთა „ენერგიული ძებნა". ბ. სილაგაძის მიერ ასეთი მოქმედება შეცდომად არის მიჩნეული, როცა უშუალო მეზობლებთან (რუმი, ბიზანტია...) დარეგულირებული ურთიერთობებისა და მონღოლთა წინააღმდეგ გაერთიანებული ფრონტის შექმნის მაგივრად, ქართულმა დიპლომატიამ „მთელი იმედები გადამთიელ რომის პაპზე დაამყარა და თავისი სატკივარი მას სპეციალური წერილით აუწყა".[1] არც ამას მოჰყოლია რაიმე შედეგი — „ქვეყნის პოლიტიკურ მესვეურთ კარგად უნდა სცოდნოდათ, რომ საერთაშორისო ავტორიტეტდაკარგული საქართველოს დასაცავად ევროპა მონღოლთა მხეიერში თავს არ გაყოფდა. ჯვაროსნული ომების ინიციატორებს საქართველო მაშინ სჭირდებოდათ, როცა მას აღმოსავლეთში უძლიერესი სახელმწიფოს სახელი ჰქონდა გავარდნილი და მისი დახმარებით მუსლიმური პოლიტიკური ერთეულების შემუსვრასა და მცირე აზიაში გაბატონებას ფიქრობდნენ".[2] რაც შეეხება პაპის გრიგოლ IX-ის საპასუხო წერილს აღნიშნულია, რომ ეს დიპლომატიური დოკუმენტი „საქართველოს დედოფლის აბუჩად აგდების კლასიკური მაგალითია".[3] საქართველოს დასავლეთთან დიპლომატიური კონტაქტებისა და მისი შეფასების შესახებ ვრცლად შესაბამის თავში იქნება საუბარი, აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ხელისუფლების მოქმედებანი დაგვიანებული ნაბიჯების ელფერს ატარებს.

ორიენტაციისა თუ მოკავშირის პრობლემასთან დაკავშირებით საბოლოოდ აღვნიშნავთ, რომ ხორეზმელებისა და მონღოლების შემოსევების ხანაში ქართული დიპლომატია მოკავშირის მუდმივ ძიებაშია და მას ამ საკითხში გარკვეული დაბნეულობა ახასიათებს. მალე, დაპყრობის შემდეგ, ეს ძებნა ტაქტიკური სამანევრო გადარჩენა-გაძლების დიპლომა-

---

ბ. სილაგაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

[2] იქვე. გვ. 62-63.

[3] იქვე. გვ. 63.

ტიით შეიცვალა — „დადგა არა დიდი დესპანების (ომირების), არამედ მედროვე უმეკების და სადუნ მანკაბერდელების დრო“.[1]

ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია, რომ საქართველოში მონღოლთა მეორე გამოჩენა და დაპყრობის პროცესის დაწყება 1235 წ. ხდება.[2] ბოლო დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ მნიშვნელოვან ფაქტს უფრო ადრე ჰქონდა ადგილი: ირანის, ამიერკავკასიისა და მცირე აზიის დასაპყრობად დიდი ყაენის მიერ გამოგზავნილი მონღოლი სარდალი — ჯურმაღუნ (ქამთააღმწერელი მას „ჩორმაღანს“ უწოდებს) ნოინი აქტიურად უკვე XIII ს. 30-იანი წლების დასაწყისში მოქმედებს. 1231 წ. — დაკავებულია აზერბაიჯანი, აღებულია განძა — „და მეორესა წელსა წარვიდეს ბარდავს, განძას და მუღანს და მუნ იწყეს რბევად და ოკრებად საქართველოსა“, — აღნიშნავს ქამთააღმწერელი.[3] გამოდის, რომ აზერბაიჯანის დაპყრობის მეორე წელს მონღოლებს საქართველოს სამეფოს „ოკრება“ დაუწყიათ, ანუ მეორედ, თავრიზის აღების შემდეგ, 1232-1233 წწ-ში მოსულან.[4]

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიულ თხზულებათა მეორე ნაწილი ამ ფაქტს ერთხმად 1235-1236 წლებით ათარიღებს (ვარდანი, სტეფანოს ორბელიანი, მხითარ აირივანეცი). ბ. სილაგაძის აღნიშვნით, 1235-1236 წლები არ უნდა იყოს საქართველოში მონღოლთა მეორედ შემოსევის ნამდვილი თარიღი, რადგან სავსებით მართებულად ასეთად 1232-1233 წლები მიაჩნიათ.[5] მაგრამ იქნებ არც 1235-1236 წლები გაჩნდა შემთხვევით იმ პერიოდის ისტორიულ წყაროებში?! ჩვენი აზრით, 1232 წელს ქვეყნის დაპყრობის პროცესი დაიწყო, ხოლო 1235/36 წლები, შესაძლებელია, ამ შემოსევებისა და დაპყრობების ეპოპეაში, გარკვეულად გარდატეხის წელს წარმოადგენს. სავარაუდოა, რომ იგი ცალკეულ ციხე-სიმაგრეებში გამაგრებული ქართველი დიდებულების მიერ მონღოლთა მიმართ წინააღმდეგობის შეწყვეტის წელია.

სრული იზოლაციის არსებობის პირობებში ფიქრობენ, რომ საქართველოსათვის უმჯობესი იყო მორჩილების გამოცხადება და, თუნდაც მძიმე პირობებით, დაზავება,[6] მაგრამ სამეფო ტახტი სხვა გზას ირჩევს.

---

1 ლ. ტუხაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 242.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, III, თხზულებები, III, 1982, გვ. 17-18; ი. ციცაძე, მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები, გვ. 150; რ. კიკნაძე, საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, III, თბ., 1979, გვ. 547.

3 ქამთააღმწერელი, გვ. 186.

4 ვრცლად იხ. ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56-

5 იქვე, გვ. 57-58.

6 გ. ჯაფარიძე, ერთი ეპიზოდი მეფე რუსუდანისა და მონღოლების დიპლომატიური კონტაქტების ისტორიიდან, „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, II, 1995, გვ. 168.

სამეფო კარზე თვლიან, რომ მონღოლებს ჯერ კიდევ წინა აქვთ მთავარი ბრძოლები აიუბიანებთან თუ რუმის სახელმწიფოსთან და, როგორც ჩანს, არ გამორიცხავენ მონღოლთა დამარცხების შესაძლებლობას. ცენტრალური ხელისუფლება ლიხს იქით გადადის, შექმნილ რთულ ვითარებაში ქუთაისის სამეფო ტახტი ზავზე არ მიდის, მაგრამ პარალელურად სრულ უუნარობას იჩენს; თავისი როლი შეასრულა ქართულმა სამპულე სისტემამ და სამთავრო-სენიორების ბუნებამ, რომელსაც მონღოლებმა შესანიშნავად მიაგნეს. მათი უარყოფითი შესაძლებლობების გამოვლინება მონღოლთა დიპლომატიური მოქნილობისა და კარგად მოფიქრებული ტაქტიკური გეგმის შედეგად მოხდა. ქართველი დიდებულები თავიანთ ციხესიმაგრეებში ჩაიკეტნენ, ხოლო საქართველოს სამეფო კარმა გენერალური ბრძოლის გამართვა ვერ მოახერხა. ასეთი სახელმწიფო პოლიტიკა შეიძლება შეფასდეს როგორც „არც ომი და არც ზავი", რაც ხელსაყრელი სწორედ დამპყრობლებისათვის აღმოჩნდა.[1] ამ პერიოდის ქართულმა დიპლომატიამ შესაფერისი პოლიტიკის წარმართვა ვერ შეძლო. სავალალოდ, ამას ადგილი მონღოლთა კარგად გათვლილი დამპყრობლური პოლიტიკის ფონზე ჰქონდა. „მოისართა ტომის" რაზმები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, განსაზღვრულ რეგიონებში კონკრეტული ციხესიმაგრეების ასაღებად იგზავნება — ამ ბრძოლებში დამპყრობელი გამარჯვებებს აღწევს, ხოლო ქართული მხარე დიდ ზარალს განიცდის.

სამეფო ტახტის დასავლეთ საქართველოში გადატანის გამო აღმოსავლეთში დარჩენილი ქართველი დიდებულები მძიმე და გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მათ სხვა გზა ვერ გამონახეს, გარდა დამორჩილებისა — მონღოლთა წესის მიხედვით, დაპყრობილ ქვეყანაში ფეხის შედარებით უმტკივნეულოდ მოკიდების მიზნით, ნებით მისულთ და დანებებულთ „პატივითა შეიწყნარიან", ხოლო „ურჩთა ქუეყანა მოისრვოდა". მონღოლთა შემოსევების ეპოქაში „დიპლომატიური სეპარატიზმის"[2] ხანა დადგა; სენიორულმა სახლებმა მეფის ნებადაურთველად მონღოლ ნოინებთან ხელშეკრულებების გაფორმება დაიწყეს. საშინაო დიპლომატიის თვალსაზრისით ხაზგასასმელია, რომ საქართველოს მთავრები აშკარად მეფის დამოუკიდებლად მოქმედებენ; ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს სამეფო ტახტი აღარ არსებობს და დიდებულებიც ცალ-ცალკე დამოუკიდებლად დებენ მონღოლებთან ზავს — „რომელი ნებით და რომელი უნებლიეთ". სიმპტომატურია, რომ მაგ.,

---

1 ... ჯაფარიძე. ერთი ეპიზოდი მეფე რუსუდანისა და მონღოლების დიპლომატიური კონ-ტაქტების ისტორიიდან. დასახ. გამოც., გვ. 168.

2 ... ტუხაშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 190.

გრიგოლ აკანელი ამ ვითარებას ისე აღწერს, მეფეს ერთხელაც კი არ ახსენებს, გიორგი ის არაფერ შუაშია.[1] არსებითად ასეთი ვითარება უკვე ხორეხმელთა შემოსევის პერიოდში დაფიქსირდა — ეამთააღმწერელთან ვკითხულობთ: „... მანდატურთუხუცესი შანშე იყო ანისსა და ამირსპასალარი ავაგ ბიჯნისსა, ეგრეთვე ვარამ გაგელი, ჰერნი და კახნი, სომხითარნი, ქართველნი, თორელნი, შავშნი, კლარჯელნი, ტაოელნი, ყოველნი სომეგრეთა შინა ცხოვნდებოდეს“...[2] ასეთივე მდგომარეობას ფიქსირებს „ასწლოვანი მატიანის“ ავტორი მონღოლთა შემოსევის ხანისათვისაც.[3]

მას შემდეგ, რაც არ მოხერხდა მონღოლთა წინააღმდეგ ერთიანი ძალით გამოსვლა, საქართველოს დიდებულთა[4] ერთი ნაწილი დამპყრობლებთან ინდივიდუალურ მოლაპარაკებას აწარმოებს. ამ მხრივ, ერთ-ერთი პირველი ავაგ მხარგრძელი ათაბაგ-ამირსპასალარი იყო. საქართველოს სამეფოს ათაბაგ-ამირსპასალარი კაენის ციხეში იდგა, ამიტომ ამ რეგიონისა და ციხესიმაგრის დამორჩილებას მტერი გაორკეცებული ენერგიით ცდილობს, ელჩობებს გზავნის ციხესიმაგრეში დანებების მოთხოვნით. ავაგს ჰქონდა გარკვეული დიპლომატიური ცდები ვითარების შესამსუბუქებლად — მონღოლები რომ მოეტკბო, თავისი ქალიც კი მისცა, დიდი ძღვენიც გაუგზავნა, მაგრამ მათ კიდევ უფრო მტკიცედ მოუწოდეს ქვეყნის მხედართმთავარს დანებებისაკენ.[5] რადგან „ბოროტსა ხედვიდა“ ამირსპასალარი, ამიტომ ავაგმა ზავზე მოლაპარაკების გამართვა გადაწყვიტა. ავაგის ამ ნაბიჯს და მის ელჩობას წინ უძღოდა მოსამზადებელი მისია, როცა მის მიერ წარგზავნილმა მოციქულებმა შესაბამისი ნიადაგი მოამზადეს მოლაპარაკებისათვის — ავაგმა „წარმოავლინა მოციქულნი ბარდავს, სადა დაებანაკა ზემოკუნენებულთა მათ მთავართა“: იგულისხმება მონღოლი ნოინები — „ამათ წარმოუვლინა ავაგ მოციქული ზავისა თხოვად, და თქუა მათ წინაშე მისვლა, ხილვა, და მსახურება, და ხარაჯის მიცემა, დადება ქუეყანისა მისისა, ითხოვა ფიცი და სიმტკიცე“. ჯურმაღუნთან (ჩორმაღანი) ავაგი ელჩად თავის სახლთუხუცესს გრიგოლს გზავნის.[6] ამ ფაქტს მონღოლები ძალზე გაუხარებია, ნოინს კი ავაგის მასთან გამოცხადება უბრძანებია. ავაგი

---

1 გრიგოლ აკანელი. მოისართა ტომის ისტორია. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარებით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1961, გვ. 108.

2 ასწლოვანი მატიანე. გვ. 65.

3 იქვე. გვ. 71.

4 ამ პერიოდის თითოეული ცნობილი დიდებული ფეოდალისა და პოლიტიკური მოღვაწის შესახებ კონკრეტულად იხ. „ქართული დიპლომატიის ლექსიკონის“ შესაბამის სტატიებში.

5 Киракос Гандзакеци, გვ. 164.

6 იქვე.

„ფიცის და სიმტკიცეს“ ითხოვდა. მონღოლებს ამ მხრივ თავისი წესი ჰქონიათ: „ხოლო ფიცთა სიმტკიცედ ოქრო წმიდა სამჯერ წყალსა ჩაყონ და განაველონ იგი, და შეასუან, და მინდობილნი შეიწყნარონ. და ამას ფიცსა რა დაამტკიცებენ, არა ეცრუვნენ“. გრიგოლი რომ დაერწმუნებინათ, მათ „ამით ოქროთა საფიცრითა დაუმტკიცეს მოციქულთა ავაგისთა. ფიცი, რომლითა დაჯერებულ იქმნა ამისთჳს, რომელ არა იყო ტყუვილი, არცა სიცრუვე ფიცთა მათ შორის“.[1]

ავაგ ათაბაგ-ამირსპასალარმა ნოინებთან გამოცხადება გადაწყვიტა, რასაც ჟამთააღმწერელი დიდ დამსახურებად უთვლის, „დამდები სულისა მისისა ქუეყანისა მისისათჳს“ ავაგი მივიდა მონღოლ ნოინებთან, რომელთაც იგი „შეიყუარეს და მცველნი ქალაქისანი დაუდგინნეს“...[2] ავაგის ჯურმაღუნ ნოინთან გამოცხადება, მიღების პერიპეტიები, დიალოგი მათ შორის და ზოგი სხვა დეტალი უფრო კონკრეტულად კირაკოს განძაკეცისთან არის დაფიქსირებული: ავაგის მისია წარმატებული აღმოჩნდა: "Чармагун возвратил Авагу всю его страну и даже, более того, утвердил нерасторжимую дружбу с ним".[3] ყოველი დასრულდა შეთანხმებით, რომელსაც ჟამთააღმწერელი უწოდებს — „ზავი ავაგისი“. ეს იყო საქართველოს მხრიდან მონღოლებთან დადებული ერთ-ერთი პირველი ზავი, რომელსაც სხვებიც მოჰყვა. შემდგომში, ზავის საბოლოო დასამტკიცებლად, ავაგს ყაენთან გამგზავრება მოუხდა, რის შესახებაც ქვევით ვისაუბრებთ.

„ზავი ავაგისი“ ნიშანი აღმოჩნდა სხვა ქართველი დიდებულებისათვის. რა „ცნა“ შანშე მანდატურთუხუცესმა „ვითარ დამშჳდნა ქუეყანა ავაგისი“, თითონაც განიზრახა დაზავება, მიიღო „ოქროთა საფიცრითა მტკიცე ფიცი უვნებლობისა“ და მონღოლებთან გამოცხადდა — მის სამფლობელოსაც დამპყრობლებმა „მცველნი დაუდგინნეს“; ასევე მოიქცა ვარამ გაგელიც — „ზავითა შეწყნარებული ქუეყანა მისიცა დამშჳდნა“; ივანე-ყვარყვარე ,ციხისჯვარელი-ჯაყელიც, როცა მიიღო რუსუდანისაგან თავის განზრახვაზე „დასტური“, დაუზავდა მონღოლებს. საბოლოოდ, „ჰირთაგან შეიწრებულნი მთავარნი საქართველოსანი ყოველნი მიენდვნეს თათართა, ჰერ-კახნი და ქართველნი, თორელი გამრეკელი, თმოგუელი სარგის“...[4] ჩვენი აზრით, დაზავების ეს ხანა, რომელიც „ზავი ავაგისი“-თ დაიწყო, 1235/36 წლებზე მოდის, რაც ასე აისახა ისტორიულ წყაროებში.

---

1 ასწლოვანი მატიანე, გვ. 73.
2 იქვე.
3 ვრცლად იხ.: Киракоз Гандзакеци, გვ. 164.
4 ასწლოვანი მატიანე, გვ. 74.

ჩორმაღან-ნოინი მასთან მისულ ქართველ დიდებულებს — თითოეულს ცალ-ცალკე უთანხმდება იმ პირობით, რომ ისინი მონღოლთა მხარისათვის შესაბამის გადასახადს გაიღებენ და ბრძოლის დროს ლაშქარს გამოიყვანენ; დამორჩილებული ციხე-სიმაგრეები თავისი ტერიტორიებით დამპყრობლებისაგან გარკვეულ გარანტიებს იღებდნენ. როგორ უნდა შეფასდეს ასეთი ნაბიჯი საშინაო დიპლომატიის თვალსაზრისით: მას შემდეგ, რაც ძალების გაერთიანება, გენერალური ბრძოლის გამართვა და ძლიერი მოკავშირის — ანტიმონღოლური ფრონტის შექმნა ვერ მოხერხდა, აღმოსავლეთ საქართველოში უტახტოდ დარჩენილ დიდებულებს სხვა გზა არ რჩებათ — საზავო პირობების მიუღებლობა უკვე სრული განადგურებით ემუქრებოდა დაუცველ აღმოსავლეთ საქართველოს. ამიტომაც, ბრძოლის შეწყვეტა და შემოთავაზებული საზავო პირობების უსიტყვოდ მიღება შეფასებულია როგორც ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება;[1] თუმცა არის მეორე შეხედულებაც, რომ ასეთი შეთანხმებანი სეპარატულ ზავს წარმოადგენდნენ.

რუსუდანის ტახტი ვერც ლიხთიქითში ახდენს თავისი ძალების სრულ მობილიზაციას და არც შესაბამისი დიპლომატიური საქმიანობა ჩანს. პირიქით, ქართველები იძულებული არიან, მონღოლთა ლაშქარში მათი პოტენციური მოკავშირის — რუმის სასულთნოს წინააღმდეგ ბრძოლაში მიიღონ მონაწილეობა; საქართველო-რუმის ანტიმონღოლური შეკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა. იზოლაციას ხელი შეუწყო ბიზანტიის ფაქტორის სრულმა გამოუჯენლობამაც: მონღოლებმა მნიშვნელოვნად გადაინაცვლეს ბიზანტიისა და ტრაპიზონის იმპერიის საზღვრებთან. ბიზანტია აშკარა საშიშროებას უნდა ხედავდეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ქრისტიანული საქართველოსათვის იგი აქტიურ მხარდაჭერას ვერ ავლენს, ბუნებრივია, მონღოლთა შიშით. საქართველო სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა.

მონღოლები გაბატონდნენ კილიკიაში, ხლათში, დადგა რუმის საკითხიც; რუმის სულთანი ღიას ედ-დინ ქეიხუსრევ II რუსუდანის ასულ თამარზე ქორწინდება, რასაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, ამით იქმნებოდა გარკვეული ალიანსის შეკვრის შესაძლებლობა საქართველო-რუმს შორის, მაგრამ სელჩუკებიდან, სანამ მათ მონღოლები უშუალოდ არ დაუპირისპირდნენ, რაიმე რეალური ნაბიჯები ქართველთა სამეფოს მიმართ გადადგმული ვერ იქნა. იმ პერიოდში, როცა „მოისართა ტომი" მათ უკვე უშუალოდ უტევს, საქართველოს სამეფო ტახტზე მონღოლებისადმი დაზავების საკითხი გადაწყდა — რუსუდანმა მათ სარდლებს შესაბამისი წინადადებით მიმართა; ეს მომენტი ქარ-

---

[1] ბ. სილაგაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

თულ ისტორიოგრაფიაში შეფასდა, როგორც „სწორი დიპლომატიური ნაბიჯი“.[1] ალბათ ეს გადაწყვეტილება იმაზე იყო გათვლილი, რომ რუმის სელჩუკების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის წინ თვით მონღოლებიც საქართველოსთან მოწესრიგებული ურთიერთობის არსებობით უნდა ყოფილიყნენ დაინტერესებულნი (ანუ ზურგი ეჭნებოდათ გამაგრებული). დაზავება არ შედგა, როგორც ჩანს, მონღოლები ბოლომდე ვერ ენდობიან რუსუდანს, სანამ მისი სიძე და რუმის სასულთნო დაუმარცხებელია და მათ შორის ფარული ურთიერთობები გამორიცხული არ არის; თუმცა მომდევნო პერიოდში ასეთი დიპლომატიური კონტაქტები განახლდა.

რუმის სასულთნოს დამარცხებამდე რუსუდანმა მონღოლ ხელისუფალთ თავისი მოციქულები გაუგზავნა: მან „განიზრახა, რათა წარმოავლინოს ძე თჳსი, დავით, და მოანდოს თათართა, და აიღოს სიმტკიცე უვნებლობისა. და წარავლინეს მოციქულად თათართა შანშე, და ავაგ, და ვარამ, და ჰერეთის ერისთავი შოთაი“...[2] დაზავება ამ ეტაპზე არ მოხერხდა და იგი არც იყო მოსალოდნელი; დამპყრობლებმა ქართველებს რუმის წინააღმდეგ მონღოლთა დროშის ქვეშ ბრძოლა მოსთხოვეს; ამჯერად, მონღოლთა მთავარ საზრუნავს რუმის სასულთნო წარმოადგენდა და ქართველებთან დაზავება, რომელნიც მათი ფიქრით სელჩუკებთან ფარულ კავშირში იყვნენ, ამ ვითარებაში საჭიროდ არ მიიჩნიეს; მითუმეტეს, ამ ზავის გარეშეც, მათ მიერ აღმოსავლეთი საქართველოს დიდი ნაწილი უკვე დაპყრობილი იყო, ხოლო ქართველ დიდებულებს ისედაც ევალებოდათ მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობა. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, მუსლიმთა ფაქტორის გამო (სხვა მომენტებთან ერთად), მონღოლები იქ შეერას და მდგომარეობის გამწვავებას ერიდებიან. რუსუდანთან დიპლომატიური კონტაქტების მიზნით დამპყრობლები ათაბაგ-ამირსპასალარ ავაგ მხარგრძელს იყენებენ.

დაახლოებით 1239 წელს გაიგზავნა ავაგის ელჩობა ყარაყორუმში უგედეი-ყაენთან, სადაც მან ხანს მორჩილება გამოუცხადა. დიდმა ყაენმა ავაგი პატივით მიიღო, ოლად თათარი შერთო და სამშობლოში დააბრუნა; თავის ხელქვეითებს ავაგისათვის სამფლობელოების დაბრუნება უბრძანა — შემონათვალში ასევე აღნიშნული იყო: "и с его помощью постараться подчинить всех мятежников, что именно и было

---

6. ასათიანი, მონღოლთა საყაენოსთან საქართველოს ურთიერთობის ზოგიერთი ფაქტის დაზუსტებისათვის, კრ.: „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, 1. 1994. გვ. 101.

7. ასწლოვანი მატიანე, გვ. 75.

сделано".[1] საქართველოში დაბრუნებულ ავაგს კონფლიქტი მოუხდა და ურთიერთობა გაუფუჭდა ადგილობრივ მონღოლ მოხელეებთან. რის გამოც იგი ლიხთიქითში რუსუდანთან გადავიდა. საქართველოს ათაბაგ-ამირსპასალარი დიდ ყაენს წერილს უგზავნის, სადაც ნათქვამია: "Я не вышел из повиновения тебе, я просто убежал, чтобы спастись от смерти, теперь жду твоих приказаний".[2] დიდი ყაენისაგან ავაგმა წერილი მიიღო საჩუქრებით, სადაც აღნიშნული იყო, რომ მას ზიანს არ მიაყენებდნენ, ხოლო ათაბაგ-ამირსპასალარს უშიშრად შეეძლო ყარაყორუმში გამოცხადება. ურთიერთობის მოწესრიგების შემდეგ, იგი აღმოსავლეთ საქართველოში ბრუნდება. სწორედ ამ პერიოდში ავაგი გადასახადების ამკრეფ ტონღუზ-აღასთან ერთად მოსალაპარაკებლად რუსუდანთან იგზავნება. როგორც აღნიშნულია, მისია 1242 წლის ვაზაფხულის მიწურულს უნდა განხორციელებულიყო და ეს ინიციატივა მონღოლების არზრუმზე ლაშქრობის სამზადისთან შეიძლება იყოს დაკავშირებული.[3] მოლაპარაკების შედეგად გამოიკვეთა გარკვეული საზავო პირობები: რუსუდანი და მისი თანამოსაყდრე დავითი მორჩილებას აცხადებენ, კისრულობენ თავიანთი ვალდებულებების შესრულებას, ოღონდ მონღოლთა მხარემაც ხელშეკრულება არ უნდა დაარღვიოს.[4] ქართული სამეფო დიპლომატიის კუთხით სიახლეა — „1242 წელს რუსუდანმა გადადგა პირველი ნაბიჯი, რათა გარკვეული პირობით დაზავებოდა მონღოლებს".[5]

არრანში მონღოლ ნოინთა დონეზე ზავის საკითხი ვერ გადაწყდებოდა და იურიდიული ძალა ვერ მიეცემოდა. ხელშეკრულება ყარაყორუმში უნდა განხილულ-დამტკიცებულიყო. რუსუდანის ტახტს ყაენთან თავისი ელჩი ჰყავს გაგზავნილი, რაც შეეხება მონღოლებთან მის პირადად ხლებას, იგი უარს აცხადებს — რუსუდანის პასუხია: „არ შემიძლია გამოვცხადდე თქვენთან, ვიდრე ხაკანთან, თქვენს მეფესთან გაგზავნილი ჩემი მოციქული არ დაბრუნებულა".[6] საქართველოს ელჩის გაგზავნა ქოსე დაღის ბრძოლამდე (1243 წ. 3 ივლისი) ხდება, მას მონღოლ მოხელეებთან ერთად ყარაყორუმში ზემოაღნიშნული „საზავო ხელშეკრულება" უნდა წაეღო; ბუნებრივია, პასუხის მოტანაც ამავე მოციქულს ჰქონდა დავალებული. ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობებით ჩანს, რომ ეს იყო საქართველოს სამეფო ტახტის

---

1 Киракоз Гандзакеци, გვ. 168.
2 იქვე.
3 გ. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 172.
4 Киракоз Гандзакеци, გვ. 169.
5 გ. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 173.
Киракоз Гандзакеци, გვ. 180.

მიერ დიდ ყაენთან გაგზავნილი ერთ-ერთი პირველი დიპლომატიური მისია თუ არა, საერთოდაც პირველი ელჩობა.[1]

ვინ იყო საქართველოს სამეფო კარის მიერ წარგზავნილი ელჩი?!

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული აზრი კირაკოს განძაკეცისთან დაფიქსირებული ელჩობისა და ელჩის არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელთან გაიგივების[2] თაობაზე სამართლიანად უარყოფილია. კირაკოს განძაკეცისთან აღნიშნული ტერმინი — „ხაკანი" მონღოლთა დიდ ყაენს გულისხმობს, მთავრობის თავმჯდომარე არსენი კი არა ყარაყორუმში, არამედ ოქროს ურდოში იგზავნება. როგორც გ. ჯაფარიძე არკვევს, ეს დიპლომატიური მისია უნდა შემდგარიყო არა უგვიანეს 1242 წლის მაის-ივნისისა;[3] ამდენად, ელჩი არსენი ვერ იქნება და აღნიშნულ პერიოდში არც ბათო-ყაენთან არსებობს აუდენციის შესაძლებლობა: ამ დროს ოქროს ურდო ჩამოყალიბებულიც კი არ არის, ბათო ე. წ. „დასავლეთის ლაშქრობაში" იმყოფება, 1242 წლის ზამთარში ისინი ჯერ კიდევ დუნაის ქვემო წელზე არიან და მხოლოდ 1242 წლის ბოლოსა და 1243 წლის დამდეგს მოიყარეს თავი შავი და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ველზე.[4] ამდენად, 1242 წ. რუსუდანის ელჩი 1243 წელს წარმოქმნილ სახელმწიფოში — ოქროს ურდოში დიპლომატიურ მისიას ვერ შეასრულებდა და ვერც ბათო-ყაენი იქნებოდა მისი ადრესატი. ყარაყორუმში ელჩობა 1242 წელს იგზავნება — საკვლევია ელჩის პიროვნება: ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ბაიჩუ-ნოინის მიერ ყარაყორუმში გაგზავნილ საზავო პირობებს რუსუდანმა თან გააყოლა თავისი ელჩი — ჰამადოლა, რომლის ასეთი მისია „ხაკანთან" დაფიქსირებულია კირაკოს განძაკეცის თხზულებაში — მის სახელს უკავშირდება ივანე ათაბაგის ასულის — თამთას ტყვეობიდან განთავისუფლება.[5] ჰამადოლა თამთასთან ერთად მხოლოდ 1244 ან 1245 წწ-ში ბრუნდება. აქედან გამომდინარე, არ დასტურდება მოსაზრება, რომ ჰამადოლა დიპლომატიური მისიით რუსუდანმა ბათო-ყაენთან გაგზავნა.[6] გ. ჯაფარიძის დასკვნით: „ჰამადოლა სწორედ ის ელჩი უნდა იყოს, რომელმაც მონღოლებისა და რუსუდანის საზავო ხელშეკრულება წაიღო ყაენთან და რომლის დაბრუნებას (და მეფობის დამტკიცებას)

---

1 გ. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 173.
2 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III, 1966, გვ. 116.
3 ვრცლად იხ: გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 174.
4 В. Т. Пашуто, Монгольский поход в глубь Европы. "Татаро-монголы в Азии и Европе", М., 1970, გვ. 204-221; В. Л. Егоров, Историческая география Золотой Орды в XIII-XIV вв., М., 1985, გვ. 26-27.
5 გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 176...
6 ბ. სილაგაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 71, შენ. 79.

ასე ელოდებოდა მეფე"[1] — დაგვიანებისა და მოლოდინის ფაქტი კირაკოს განძაკეცისთან კარგად დაფიქსირდა.

საერთაშორისო მოვლენების განვითარებამ მონღოლებისა და რუმის სასულთნოს დაჯახება გარდაუვალი გახადა. საქართველოსათვის რუმის თურქია მიერ მონღოლთა დამარცხება უფრო სასურველი იყო, რასაც მომავალში მათი ამიერკავკასიიდან განდევნაც მოჰყვებოდა.[2] ქართული დიპლომატიის ერთ-ერთი მარცხი ისიც იყო, რომ საერთაშორისო ძალების ასეთი განაწილებისა და საერთო ვითარების ფონზე ქართველთა ძირითადი ძალები იძულებული არიან, ბრძოლაში მონაწილეობა მონღოლთა მხარეს მიიღონ.

მონღოლებსა და მცირე აზიის სელჩუკებს შორის მთავარი შეჯახება 1243 წლის 3 ივლისს ჭოსე დაღის (კოსედაღი) ბრძოლაში[3] მოხდა. ქართველთა ძირითადი ძალები მონღოლთა დროშის ქვეშ იბრძოდნენ, კერძოდ, ავაგ ამირსპასალარი, შანშე მანდატურთუხუცესი, ვარამ გაგელი...

სულთნის მიერ არაერთი ელჩობის შედეგად შეკრებილი ლაშქარი ეთნიკურად ძალზე ჭრელი იყო — ღიას ედ-დინის მხარეს ქართველებსაც ვხედავთ, მაგ., შალვა ახალციხელის ვაჟი — ფარხადავლა, სარდლად აფხაზი დარდინ შარვაშიძე. რამ განაპირობა ქართველთა სელჩუკების მხარეზე მონაწილეობა?! ნ. შენგელია ყურადღებას აქცევს ქამთააღმწერლის სიტყვებს, რომ ფარხადავლა „ლტოლვილი წარსული იყო სულტანსა წინაშე", ანუ იგი სხვებისაგან განსხვავებით, როგორც ჩანს, არ დამორჩილებია მონღოლებს და ამიტომ მათდამი დაპირისპირებული ძალების მხარეზე იბრძვის.[4] ისტორიული წყაროებით ვერ ირკვევა, ისინი საქართველოს ხელისუფლების დავალებით მოქმედებენ თუ პირადი ინიციატივით. ნ. ასათიანი უშვებს, რომ ლიხთიქითში მყოფი საქართველოს სამეფო ტახტი პასიური მაყურებლის როლით არ შემოიფარგლებოდა და გარკვეულ ძალებს მონღოლების მოწინააღმდეგე მხარეს მოახმარდა.[5] მონღოლებმა მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწიეს — ქამთააღმწერლის სიტყვებით, „და ივლტოდეს სპანი სულტნისანი, და დევნა უყვეს რა თათართა და ქართველთა ურიცხვი მბრძოლი მოსრეს და

---

[1] გ. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

[2] ნ. ასათიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 102.
ამ ბრძოლაზე ვრცლად იხ: ნ. შენგელია. ჭოსე დაღის ბრძოლა. „ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული". თბ., 1976; Н. Шенгелия, Участие армяно-грузинских войск в Косдагской битве. "Проблемы истории Турции" (Сборник статей), М., 1978.

[3] ნ. შენგელია. დასახ. ნაშრომი, გვ. 305.

[4] ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 102-103.

შეიპყრეს".[1] საქართველოსათვის ასეთი შედეგი ძალზე საზიანო იყო. დასავლეთ საქართველოში გადასულ რუსუდანის ტახტს ერთადერთი შესაძლო საერთაშორისო მოკავშირე — რუმის სასულთნოც გამოეცალა; დაეკარგა კიდევ ერთი ძალა, რომელთა გაერთიანებასაც შეიძლება მონღოლთა შეჩერებაც კი გამოეწვია. რუმის „სულტანმან, შეიწრებულმან ომითა, ზავი ითხოვა, აღუთქვა ხარაჯა დიდი და მძიმე"...; მონღოლებს დამარჩილდა კილიკიის სომხეთის მეფე ჰეთუმ I; გამარჯვებულებმა უკან მობრუნებისას ხლათიც დალაშქრეს და „სულტანმან ხლათისამან ითხოვა ზავი"...[2]

მონღოლებს დასავლეთ საქართველოს საკითხი ჰქონდათ გადასაწყვეტი. რუსუდანი არ აპირებდა დანებებას — სწორედ ამ დროს, რუმის სასულთნოს დამარცხებისას, ბაიჯუ-ნოინმა ლაშა-გიორგის ვაჟის — დავითის განთავისუფლება გადაწყვიტა.[3] ჟამთააღმწერლის მიხედვით, რუმიდან დავითის ჩამოყვანის მისიას ანგურაგ მოციქული ხელმძღვანელობს, რომელსაც თან „წარჰყვეს" ვარამ გაგელი და სარგის თმოგველი. კირაკოს განძაკეცი ამ საქმეში ვარამ გაგელის როლს უსვამს განსაკუთრებით ხაზს; დავალება წარმატებით იქნა შესრულებული. ვარამის სიტყვებით, დავითი — "Это сын нашего государя, несправедливо лишенный власти"; მონღოლებმა რუსუდანის საპირისპიროდ იგი თბილისში დასვეს და ქრისტიანული წესით მისი კურთხევა ბრძანეს, რაც ავაგ ახარგრძელის, მისი ძის — ზაქარიას, ვარამ გაგელისა და ვარამის ვაჟის — აღბუღას ხელშეწყობით კათალიკოსმა მცხეთაში განახორციელა კიდეც.[4] რუმიდან დავითის მოყვანა ბაიჯუ-ნოინმა ვარამ გაგელისავე პირით. მისი ელჩობის საშუალებით, ყარაყორუმში დიდ ყაენს აცნობა.[5] დავით VII ულუს გამეფების საქმეში განსაკუთრებული დამსახურების გამო დავითს უწოდეს — „ვარამული მეფე", ანუ „ვარამ, დასვი მეფედ".[6] ვფიქრობთ, საინტერესო ფაქტია დიდებულთა სტატუსისა და სამეფო ტახტის სისუსტის დასახასიათებლად, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად ნათლად გვიხასიათებს იმ პერიოდის საქართველოში შექმნილ ვითარებას, მათ შორის საშინაო დიპლომატიის თვალსაზრისითაც.

რუმიდან მოყვანილი დავით უფლისწული მონღოლმა ნოინებმა მეფობის დასამტკიცებლად „წარავლინეს დიდსა ბათო ყაენისსა" და თან

---

1 ასწლოვანი მატიანე, გვ. 77.
2 იქვე. გვ. 78.
3 ვრცლად იხ.: ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.
4 Киракос Гандзакеци, გვ. 180-181.
5 გრიგოლ აკანელი, გვ. 25-27, 118.
6 იქვე. გვ. 27.

გააყოლეს შანშე მხარგრძელის ვაჟი — ზაქარია და ვარამ გაგელის ძე — აღბუდა. ბათომ „კეთილად შეიწყნარა... მეფე დავითი", მან უფლისწული სარგის თმოგველთან ერთად ყარაყორუმში წარავლინა, ხოლო ზაქარია და აღბუღა „თესად დაიმჭირნა". ბუნებრივია, მოვლენების ასეთ განვითარებაზე რუსუდანს მწვავე რეაქცია ჰქონდა; ვითარება მისთვის მკვეთრად არასასიკეთოდ იცვლება, წარმოიშვა შესაძლებლობა, როცა მისი თანამოსაყდრე ძე — დავითი მეფობის გარეშეც კი შეიძლება დარჩეს. ასეთ წამგებიან მდგომარეობაში იწყება მოლაპარაკება მონღოლებსა და რუსუდანის ტახტს შორის ზავის თაობაზე. მონღოლებს დრო შემთხვევით არ უნდა შეერჩიათ, როგორც ჩანს, მათ იგი ასეთ ვითარებას სპეციალურად დაამთხვიეს. კირაკოს განძაკეცი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მონღოლები რუსუდანთან ელჩებს ერთიმეორეზე ინტენსიურად აგზავნიან, თან "К ней прибывали послы с двух сторон: из татарского стана от ближайшего родственника хана великого военачальника Бату, находившегося на севере..., и от другого военачальника, по имени Бачу, находившегося в Армении; оба они предлагали ей явиться к ним с миром и дружбой и уже с их позволения править царством своим".[1]

ეამთააღმწერლის მიხედვით, გელაქუნსა და არარატის მთის მიდამოებში დაბანაკებულმა მონღოლმა სარდლებმა „წარუელინეს მოციქული მეფესა რუსუდანს, რათა ზავი იქმნას მათ შორის, და მოსცეს ძე მისი, დავით, და მისცეს მეფობა, და ტფილისი და ყოველი საქართველო".[2] საქართველო-მონღოლეთის დაზავების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და მოციქულობენ ქართველი დიდებულები, მაგ., ავაგ ამირსპასალარი, შანშე მანდატურთუხუცესი, ვარამ გაგელი, შოთა კუპრი...[3] ამ მოლაპარაკებების ერთ-ერთი მთავარი საკითხი მეფის ხელისუფლების შენარჩუნება იყო, კონკრეტული მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ ტახტის მემკვიდრედ რუსუდანის შვილი — დავითი უნდა დამტკიცებულიყო; სწორედ ამას მოპყვა, რომ დავითს მისცეს „ტფილისი და ყოველი საქართველო". როგორც ლაშა-გიორგის ძე — დავითი, რუსუდანის ვაჟიც მონღოლმა ნოინებმა ბათო-ყაენთან გაგზავნეს; საბოლოოდ, ორივე დავითი ყარაყორუმში აღმოჩნდა.

რუსუდანის ტახტსა და ადგილობრივ მონღოლ ხელისუფალთა შორის დაზავება ამ ნოინების მნიშვნელოვანი დიპლომატიური წარმატება იყო — ამის შესახებ მათ ბათო-ყაენს შეატყობინეს. დიპლომატიურ მი-

---

1 Киракос Гандзакеци, გვ. 195.
2 ასწლოვანი მატიანე, გვ. 78.
3 მათ შესახებ სპეციალური სტატიები, იხ: „ქართული დიპლომატიის ლექსიკონში".

სიას ბათოსთან ავაგ ათაბაგ-ამირსპასალარი და ივანე ახალციხელის ვაჟი — დავითი ასრულებენ, რომელნიც „წარვიდეს უცნაურსა და ყოვლადვე ქართველთა ნათესავისაგან უვალსა გზასა“.[1]

კირაკოს განძაკეცის მიხედვით, ბათო ყაენთან საბოლოო დაზავების თაობაზე რუსუდანმა გაგზავნა ელჩები "к другому татарскому военачальнику, которого звали Бату... предлагая признать свою зависимость от него, поскольку тот был вторым после хана лицом".[2] როგორც აღინიშნა, ვოლგისპირეთში ასეთი უმნიშვნელოვანესი დიპლომატიური მისიის შესასრულებლად ვაზირთაგან უპირველესი — მთავრობის თავმჯდომარე არსენ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი იგზავნება. ელჩობაში თანმხლები მგელა აბულახტარისადმი არსენის მიერ ბოძებულ სიგელში ვკითხულობთ, რომ „ ოდეს გამზრდელმა ჩემმა მეფეთ მეფემან რუსუდან ბათოისსა გამგზავნეს სამსახურად, შენ მაშინ თანა მყევ და დიდი მოიჭირვე და ჭირნი ჰნახე“.[3] ეს დოკუმენტი აშკარად ასაბუთებს არსენის ამ დიპლომატიური მისიის ისტორიულობას. დიდ ყაენთან გაგზავნილმა ელჩმა — ჰამადოლამ დაიგვიანა, მონღოლთა დაპყრობების გამო კი აუცილებელი გახდა საქართველო-მონღოლებს შორის ურთიერთობების გარკვეული კუთხით მოგვარება. უპირველეს ამოცანად ბათო ყაენთან შეთანხმების პირობების განხილვა და „მინდობილობის სიმტკიცის“ თხოვნა დაისახა. არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის, მთავრობის თავმჯდომარის რანგი თუ სტატუსი და ამ დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელობა თავისთავად თვალნათლივ ლაპარაკობს ამ ელჩობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით: „ათი წლის განმავლობაში მონღოლთაგან აღმოსავლეთ საქართველოს განთავისუფლების შესაძლებლობა იმ დროისათვის ამოწურულად იქნა ცნობილი და საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის დარღვევის შესაძლებლობამ რუსუდან მეფესა და მთავრობას იმდროინდელი მდგომარეობის გაგრძელებას ისევ მონღოლებთან შეთანხმება და დაზავება ამჯობინა“.[4]

ზავის საკითხთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ პლანო კარპინის ცნობა იმის შესახებ, თუ „როგორ ჰკრავენ ისინი (მონღოლები, **დ. ნ.**) ვინმესთან ზავს“: „უნდა ითქვას, რომ ისინი არავისთან არ ჰკრავენ ზავს იმათ გარდა, ვინც მათ ემორჩილება, ვინაიდან, როგორც ზემოთ ვთქვით, ჩინგიზ-ყაენიდან ბრძანება აქვთ, თუ შესაძლებელია, ყველა ერი

ასწლოვანი მატიანე, გვ. 80.

2 Киракос Гандзакеци, გვ. 181.

ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 118-119.

ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, III, გვ. 116.

დაიმორჩილონ. და, აი, რას ითხოვენ ისინი მათგან: როცა მათ მოესურ-ვებათ, მათთან ერთად უნდა გაილაშქრონ ყველას წინააღმდეგ და მეა-თედი მისცენ როგორც ადამიანებისა, ისე ქონებისაგან. გადათვლიან რა ათს ჭაბუკს, ერთს წაიყვანენ... ხოლო როცა მათზე სრულ ძალა-უფ-ლებას მოიპოვებენ, არასოდეს მოცემულ დაპირებას არ ასრულებენ, არამედ ყოველგვარ საშუალებას ეძებენ მის დასარღვევად".[1]

არსენ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ოქროს ურდოში დიპლო-მატიური მეცადინეობის შედეგად ორივე მხარე დაზავებაზე მიდის — მოხერხდა ურთიერთდამოკიდებულების განმსაზღვრელი პირობების შე-თანხმება-დაზუსტება. არსენის ვოლგისპირეთიდან ბათო-ყაენის პასუხით დაბრუნებამ შესაძლებელი გახადა საქართველოსა და მონღოლეთს შო-რის საზავო ხელშეკრულების დადება. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, არ-სენის ელჩობის შედეგად მოხდა „საქართველოსა და მონღოლთა საყაე-ნოს შორის ზოგადი პოლიტიკური და საზავო შეთანხმება".[2]

საქართველო-მონღოლეთის ზავი ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვა-დასხვა წლებით თარიღდება, ძირითადად კი 1242 წელია გაზიარებული (ივ. ჯავახიშვილი, ბ. ლომინაძე...). ეფიქრობთ, ასეთი თარიღი საბო-ლოოდ უნდა გამოირიცხოს: დაზავება მონღოლთა მიერ რუმის სულთ-ნის ღიას ედ-დინის დამარცხების შემდეგ მოხდა — 1243 წლის 3 ივლისს ჭოსედაღის ბრძოლის მომდევნო პერიოდში და არა მონღოლთა ლაშქ-რობის წინ;[3] დიპლომატიური კონტაქტები, როგორც აღინიშნა, ოქ-როს ურდოში ბათო-ყაენთან მიმდინარეობს, 1242 წელს კი ასეთი ახა-ლი მონღოლური სახელმწიფო ჯერ კიდევ არ არსებობს. ოქროს ურდო, რომლის დედაქალაქი მდ. ვოლგაზე მდებარე სარაი-ბათუ იყო, მხოლოდ 1243 წელს წარმოიქმნა. სწორედ ამ წლიდან ქართული დიპლომატია იძულებული გახდა, ანგარიში გაეწია ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილისათვის. მოვლენების თანმიმდევრობა აშკარად გვიჩვენებს, რომ არსენის დიპლო-მატიური მისია და სახელმწიფოთა შორის ზავის შეკვრა 1243 წელს უნდა მომხდარიყო.[4]

მონღოლთა იმპერიაში არსებული წესით, ბათო-ყაენს საქართველოს მეფის ელჩი ზავის პირობებით დიდ ყაენთან უნდა გაეგზავნა საბოლოო სანქციისათვის — ასეთი საკითხები ბოლოს ყარაყორუმში წყდებოდა. ამ

---

1 პლანო კარპინი, ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვეწოდებთ, გ. ქიქოძის თარგმანი, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვს" (მსკი), ნაკ. II, თბ., 1942, გვ. 35.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, III, თხზ., III, გვ. 23.

3 ი. სიხარულიძე. ქართული ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII-XIV საუკუ-ნეებში, თბ., 1957, გვ. 92-94.

4 ამ საკითხზე ვრცლად იხ.: ბ. სილაგაძის, გ. ჯაფარიძის, ნ. ასათიანის დასახ. სტატიები.

შემთხვევაში ასეთი ვითარება გვაქვს: რუსუდანის ელჩმა (ჰამადოლა) ყარაყორუმიდან პასუხით დაიგვიანა, თან დიდი ყაენიც გარდაიცვალა, ამიტომაც „ამ ვითარებაში რუსუდანის პირველმა დიპლომატიურმა მისიამ მონღოლთა უზენაეს გამგებელთან თავისი ძირითადი მნიშვნელობა დაჰკარგა და კირაკოს განძაკეციმ მხოლოდ მის ერთ შედეგზე — თამთას განთავისუფლებაზე შეაჩერა ყურადღება“.[1] ასეთი დიპლომატიური დატვირთვა არსენ მწიგნობართუხუცეს-ქყონდიდელის ელჩობამ შეასრულა, ხოლო ზავმა ბათოსთან საბოლოო იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის ფუნქცია შეიძინა. 1243 წელს ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილის ხელმძღვანელობით ყალიბდება ოქროს ურდოს სახელმწიფო, რომელსაც საქართველოს მიმართ განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებინა; 1242 წელს რუსუდანსა და ბაიჩუ-ნოინს შორის შეთანხმებული პირობები ჯერ მხოლოდ გაგზავნილია დიდ ყაენთან და მისი დამტკიცება არ მომხდარა, ელჩი ჰამადოლას პასუხიც არ ჩანს, ბათო-ყაენის მმართველობა კი გამორჩეულ სტატუსს იძენს — კირაკოს განძაკეცის სიტყვებით, ბათო " властвовал над всеми, так что без его воли даже хан не вступал на престол"...[2] მონღოლთა უმაღლეს ხელისუფლებაში მან განსაკუთრებული გავლენა და ადგილი მოიპოვა; ამავე პერიოდში, დიდი ყაენი უგედეი ახალი გარდაცვლილია, მომავალი ხანი კი ფაქტობრივ, რეალურ მმართველობას არ შედგომია (გუიუქი), ხელისუფლობდა ქვრივი, რეგენტი — ტურეგინა-ხათუნი. მწიგნობართუხუცეს-ქყონდიდელ არსენის ბათოსთან მოლაპარაკების შედეგად — "И Бату велел ей (რუსუდანი, **დ. ნ.**) восседать в Тифлисе, и татары не стали противодействовать этому, так как в эти дни умер хан".[3] დიდი ყაენის არყოფნა ოქროს ურდოსთან მოლაპარაკებას სხვა იურიდიულ მნიშვნელობას ანიჭებს; როგორც ჩანს, მონღოლთა უმაღლეს წრეებში გადაწყდა საქართველოს უშუალო დამორჩილება ჩრდილოეთის ულუსისადმი. ბ. სილაგაძის სიტყვებით, „ამიტომ, არსენს ყარაყორუმს წასვლა აღარ დასჭირდა და იგი ბათოს თანხმობის წიგნით ვოლგისპირეთიდან მალე. დაბრუნდა“.[4] მართლაც, ასეთ ვითარებაში ბათოსთან მიღწეული შეთანხმება საქართველო-მონღოლეთს შორის სახელმწიფოთაშორისი ზავის მნიშვნელობას იძენს. არსენის დიპლომატიურ მისიას ზავის დამტკიცება-რატიფიკაცია მოჰყვა, შევიდა ძალაში და იურიდიული მნიშვნელობა შეიძინა. საქართველო ოქროს ურდოს უღელს ქვეშ

---

[1] გ. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 178.

[2] Киракоз Гандзакеци, გვ. 195.

[3] იქვე. გვ. 181.

[4] ბ. სილაგაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

მოექცა და მას დამორჩილდა. ჰამადოლას დიპლომატიურმა მისიამ ყარაყორუმში აზრი დაკარგა, ამიტომაც და სხვა საჭეთა გამო (მაგ., თამთას განთავისუფლება) იგი სპეციალურად ხომ არ აყოვნებს და მხოლოდ 1244 ან 1245 წელს ბრუნდება?! არსენის ელჩობისა და ზავის შედეგად რუსუდანი საქართველოს მეფედ იჯნა ცნობილი; ტახტი თბილისში დაბრუნდა.

შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში ზავის დადება ქართული დიპლომატიის ერთადერთი შესაძლებელი ნაბიჯი იყო. სხვა შემთხვევაში საქართველო დაკარგავდა აღმოსავლეთ და სამხრეთ ტერიტორიებს, დაშლა გარდაუვალ ფაქტად იქცეოდა, დაიწყებოდა არასასურველი მძიმე ლაშქრობები ლიხთ-იქითის დასაპყრობად.[1] ამავე დროს, გარკვეულად საქართველო მონღოლებს ნებაყოფლობით დამორჩილდა, რამაც შესაძლებელი გახადა ზავის შეღავათიანი პირობების შემუშავება. ამ მხრივ იმანაც ითამაშა როლი, რომ ქართული სახელმწიფო მონღოლთა იმპერიის განაპირა ქვეყანას წარმოადგენდა და ამდენად, მათმა აქ ბატონობამ „შედარებით რბილი" ხასიათი შეიძინა — ამ შემთხვევაში უნდა გავიხსენოთ პლანო კარპინის სიტყვები: „თათრები ხარკს ღებულობენ აგრეთვე იმ ერებისაგან, რომელნიც მათგან შორს ცხოვრობენ და ისეთ ერებს მეზობლობენ, რომელთაც ისინი რამდენიმედ უფრთხიან ან ვერ დაუფლებიან; ისინი მათ უფრო ადამიანურად ეპყრობიან, რათა მათ ჯარები არ გამოგზავნონ თათრების წინააღმდეგ, ან კიდევ რათა სხვებს არ შეეშინდეთ თათრებისადმი დამორჩილება. ასე მოექცნენ ისინი ობეზებს (აფხაზებს) ანუ გეორგიელებს (ქართველებს), რომელთაც, როგორც ვთქვით, 50 თუ 40 ათას ჰიპერპერს ან ბიზანტინს ახდევინებენ და სხვა მხრივ ამ მიზეზის გამო აღარ აწუხებენ".[2] შესაძლებელია, გარკვეულ როლს ასრულებდა რელიგიური ფაქტორიც: სავარაუდოა, რომ მუსლიმურ გარემოცვაში „მოისართა ტომი" ქრისტიან ქართველებს გარკვეულწილად თავიანთ ბუნებრივ მოკავშირედ თვლიდა, მითუმეტეს, როცა თავად მონღოლებში ქრისტიანობა საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო (ლ. გუმილიოვი). ამითაც ხომ არ არის გამოწვეული ზავის შედარებით შეღავათიანი პირობები, თუნდაც თვითმმართველობის, ანუ მეფობის, ქართველთათვის შენარჩუნება?!

ჩამოვაყალიბოთ მონღოლეთ-საქართველოს 1243 წლის ზავის პირობები:

1. საქართველოს მთავრობამ მონღოლთა საყაენოს უზენაესობა ცნო.
2. მეფის ხელისუფლება და სამეფო ტახტი ხელუხლებელი დარჩა.

---

[1] ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.
[2] პლანო კარპინი, გვ. 37.

3. ქვეყნის ერთიანობა — „ყოველი საქართველო“ შენარჩუნდა.

4. მმართველობის სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა არ მოხდა.

5. ქვეყნის დედაქალაქი კვლავ თბილისია, რუსუდანი თბილისში ბრუნდება.

6. საქართველოს უბრუნდება სხვა მნიშვნელოვანი პუნქტებიც — მონღოლებმა „პატივი უყვეს მეფესა და მთავართა საქართველოსათა, მისცეს ყოველი საქართველო, ტფილისი, სამშვილდე“... (ყამთააღმწერელი).

7. საქართველოს ტახტზე პრეტენდენტს მეფობის უფლება მონღოლებისაგან ეძლეოდა და ყაენის მიერ მტკიცდებოდა.

8. დასავლეთი საქართველო, რომელიც მონღოლებს უშუალოდ. არ დაუპყრიათ, მონღოლთა იმპერიის შემადგენლობაში იქნა შეყვანილი; ლიხთიქითი „ვითარცა მონღოლთა უზენაესობის ნებაყოფლობით მცნობელი, მონღოლთაგან თავისუფალი დარჩებოდა“ (ივ. ჯავახიშვილი); „თავისუფალში“ ის უნდა ვიგულისხმოთ, რომ მონღოლთა უმაღლესი მოხელე და მათი ჯარი დასავლეთში ჩაყენებული არ იყო, მაგრამ, როგორც საქართველოს სამეფოს ნაწილს, რუსუდანის მმართველობის დროს, ლიხთიქეთს საყაენოსათვის ხარკი უნდა გადაეხადა (ნ. ასათიანი, ც. ღვაბერიძე).

9. საქართველოს დაეკისრა ხარკი — 50(40) ათასი „პერპერა“ (ოქროს ფული).

10. საქართველოს სამეფოს სამხედრო ძალის გამოყენა და მონღოლთა დროშის ქვეშ ლაშქრობებში მონაწილეობა დაევალა.

უნდა შევჩერდეთ მონღოლთა დაპყრობების ხანისათვის საქართველოს საგარეო პოლიტიკის დიპლომატიური უზრუნველყოფის მდგომარეობის საკითხზე. ხომ არ იყო მისი სისუსტე, ინფორმაციის უქონლობა და ამ პრობლემების მოუგვარებლობა მონღოლებისაგან განცდილი მარცხის ერთ-ერთი მიზეზი?! რით არის გამოწვეული სამეფო ტახტის ასეთი მოუმზადებლობა თუ დაბნეულობა, რაც 1243 წლის ზავით დასრულდა?!

ერთ-ერთ ასეთ ფაქტორად მოულოდნელობის ეფექტი შეიძლება მივიჩნიოთ, რასაც დამპყრობელთა მაღალი სამხედრო ხელოვნება ემატება — კერძოდ, მონღოლთათვის დამახასიათებელი სიახლენი სამხედრო ხელოვნებაში, ჭართველთათვის უცნობი ახალი ხერხები, მაღალი ორგანიზებულობა (ნაპოლეონი); მათი ლაშქრობისა თუ მოქმედებათა გამო გაკვირვებული ყამთააღმწერელი აღნიშნავს — „ქმნეს საკჳრველი ესე საქმე“. ამას ემატებოდა ამ უცხო ტომის შესახებ ინფორმაციის თითქმის უქონლობა: გამოჩნდეს კაცნი ვინმე საკჳრველნი ადგილსა,

ყარაყურუმად წოდებულსა, უცხო სახითა, წესითა და შესახედავადაც, რამეთუ არცა ძუელთა წიგნთა სადა იპოების ამბავი მათი“...[1] ივ. ჯავახიშვილი დამარცხების მიზეზების ახსნისას ხაზს უსვამს, რომ მონღოლები ქართველებისათვის მოულოდნელად გამოჩნდნენ და ისინი მათთვის „სრულებით უცნობი“ იყვნენ.[2] ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც — რ. კიკნაძის აზრით, წარმოუდგენელია, რომ ამიერკავკასიის ქვეყნებში, და კერძოდ საქართველოში, მონღოლებისა და მათი მოახლოების საფრთხის შესახებ არაფერი სცოდნიათ; თუნდაც უნდა გავითვალისწინოთ ამ მიზნებისათვის არსებული მენაპირეთა საგანგებო ინსტიტუტი. ჯარიც მოუმზადებელი ვერ იქნებოდა, რადგან ჯვაროსნულ ლაშქრობებთან დაკავშირებით შესაბამისი მზადება დაწყებული იყო. მკვლევრის დასკვნით, „როგორც ჩანს, საქართველოში სათანადოდ ვერ შეაფასეს მოახლოებული საშიშროება“.[3]

ჩვენის მხრივ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ ისტორიულ წყაროებში, და კერძოდ ფარსადან გორგიჯანიძესთან, არსებობს ცნობა, რომლის მიხედვითაც, მონღოლები თითქოს არცთუ მთლად მოულოდნელად გამოჩენილან საქართველოს სამეფოს ტერიტორიაზე; აქვეა დაცული ინფორმაცია დიპლომატიური კონტაქტების შესახებ, ამიტომ მას ვრცლად მოვიყვანთ: ... გამოგზავნა განჯის ათაბაგმან კაცი ჭკვიანი, დღითაც უფროსი, და შემოუთვალა მეფესა გიორგის: ანბავი მოგვივიდაო ხვარაზმიდამენო, რომე დაძრულა ჩინეთიდამენო ლაშქარი ჩინგიზხანისაო, ელი და ულუსიო ბევრჯელ ბევრი ათასიო, თათარი და თურქიო და ყალმუხიო. ასი ათასი ხორასანს ზედანო, ამათაც ცოლშვილითან ახლავთო. და ეს ამისი ნიშანი არისო, რომ სადგომათ მოდიანო. და ჩვენ თქვენი მეძღვნე მეზობელნი ვართო, და სხვიგნით მოჩანს დიდი გაჭირვებაო, ჩვენ გვმართებსო ამას იქით ერთმანეთის მოხმარებაო და ზურგის მობმაო“...[4]

რა მდგომარეობა იყო დიპლომატიური უზრუნველყოფისა და ინფორმაციულობის თვალსაზრისით სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, კერძოდ დასავლეთში:

XIII ს-ის 30-იანი წლების შუა ხანიდან ევროპაში მონღოლებზე სათანადო ინფორმაცია ჰქონდათ. უნგრეთის მეფის ბელა IV-ის (1235-1270) მიერ გაგზავნილ მისიას საგანგაშო ცნობები ჩააქვს დასავლეთში; მეფის ელჩად წარგზავნილი ერთ-ერთი ბერი ინფორმაციას უკეთებს მე-

---

1 ასწლოვანი მატიანე, გვ. 43.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 13.

3 რ. კიკნაძე, საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“. III, გვ. 532, 233.

4 მისივე, კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა-გიორგის ისტორიისათვის, გვ. 98.

ფე ბელა IV-ს, მოხსენებით გამოდის რომის კურიის წინაშე და აცნობს მათ ეჭპანსიონისტურ გეგმებს; ამის შესახებ ევროპის სხვა ხელმწიფეებისათვისაც ხდება ცნობილი. ეს იყო ევროპაში პირველი და ცხადი ინფორმაცია მონღოლთა განზრახვაზე — გაბატონებულიყვნენ არა მარტო აზიაში, არამედ ევროპაშიც;[1] როცა მონღოლები (ბათო) ევროპისაკენ დაიძრნენ, დასავლეთში დიდი მომზადებულობა ამ მხრივ არ ჩანს; დასავლეთი ევროპა პანიკამ მოიცვა, შეწყდა ვაჭრობა ინგლისსა და კონტინენტს შორის, გერმანიაში გავრცელდა ლოცვა: „ღმერთო, დაგვიცავი თათართა მრისხანებისაგან";[2] საფრანგეთის მეფე ლუი IX დედისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავდა: „ თუ ეს ხალხი, რომელსაც თათრებს უწოდებენ, თავს დაგვესხმებიან, მაშინ ან ჩვენ გავრეკავთ მათ სათათრეთში, საიდან ისინი მოვიდნენ, ანდა ისინი ჩვენ ყველას ცაში გაგვგზავნიან".[3] არასდროს ქრისტიანული სამყარო მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ასე ახლოს კატასტროფასთან არ ყოფილა.[4]

როგორც ქართულმა დიპლომატიამ, ასევე დასავლეთმაც ვერ შეძლო, მუსლიმურ სახელმწიფოთა საწინააღმდეგოდ, მონღოლებთან საჭირო დიპლომატიური ურთიერთობებისა თუ კოალიციების შეკვრა. მონღოლები, სადაც ასე ძლიერი იყო ქრისტიანული ტენდენციები, ჯვაროსნებისათვის თითქოს ბუნებრივი ძლიერი მოკავშირეები უნდა გამხდარიყვნენ, მაგრამ ვერც დასავლეთში და ვერც იერუსალიმის სამეფოში ამ მხრივაც წარმატებას ვერ მიაღწიეს. დიპლომატიური დავალებები პლანო კარპინმა და გუილიომ რუბრუკვისმა ვერ შეასრულეს, ცდები, მონღოლ ხელისუფლებთან გარკვეული „მოდუს ვივენდი" ეპოვათ, წარუმატებლად დასრულდა; სახელმწიფოთაშორისი თანასწორუფლებიანი ურთიერთობისა თუ კავშირის დამყარება არ მოხდა. ზოგჯერ დასავლელი დიპლომატები მოუჭელადაც იქცევიან: დომინიკელი ბერი ასცელინი და ზოგიერთი სხვაც 1247 წელს ბაიჩუ-ნოინთან გამოცხადდნენ და ყოველგვარი დიპლომატიური მოჭნილობისა თუ სიფრთხილის გარეშე მას რომის პაპისადმი დამორჩილება შესთავაზეს, რის შემდეგაც დასჯას ძლივს გადარჩნენ.[5]

ამ დიპლომატიურ საკითხს მეორე მხარეც ჰქონდა: შეთანხმებათა მიღწევა იმიტომ არ ხერხდება, რომ მონღოლი ხანები თავისი მხრიდან

---

1 С. А. Аннинский, Известия венгерских миссионеров XII-XIII вв. о татарах и Восточной Европе, "Исторический архив", т. 3, М-Л., 1940; М. И. Гольман, Изучение истории Монголии на Западе XIII – середина XX в., М., 1988.

2 М. И. Гольман, გვ. 13.

3 Rachewiltz I. de. Papal Envoys to the Great Khans. Stanford, 1971, გვ. 80.

4 იქვე. გვ. 81.

5 Л. Гумилев, გვ. 179.

სათანადო დაინტერესებას არ იჩენდნენ. ეს კი ასეთი დიპლომატიური კონტაქტებისას მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად ყალიბდება. ელჩების მიერ დასავლეთში ჩატანილი სიგელებით, მონღოლი ყაენები იქითკენ ითხოვდნენ ევროპელ ხელისუფალთა დიდი ყაენისადმი დამორჩილებას. პირველი მონღოლი ელჩები დასავლეთ ევროპაში, კერძოდ რომის პაპთან, ბაიჩუ-ნოინის მიერ იგზავნებიან. იდეა „ურწმუნოთა" წინააღმდეგ დასავლეთისა და მონღოლთა თანამშრომლობის თაობაზე ჰაერში ჩამოეკიდა.[1]

ყველაზე დიდი მოჭნილობა ბერძენმა დიპლომატებმა გამოავლინეს, მათ სელჩუკების წინააღმდეგ მონღოლებთან მეგობრული ურთიერთკავშირი დაამყარეს, რამაც ნიკეის იმპერიას ბალკანური ომისათვის ხელფეხი გაუხსნა და რასაც, შემდგომში – 1261 წლის 25 ივლისს კონსტანტინოპოლის ლათინთაგან განთავისუფლება მოჰყვა.[2]

ამ მოკლე ექსკურსითაც კარგად ჩანს ევროპაში დიპლომატიური უზრუნველყოფისა და ინფორმაციულობის დონე; მაგრამ აღსანიშნავია, რომ ბელა IV-ის მიერ ელჩობის გაგზავნას, თუ სხვა მსგავსი ცდებით ინფორმაციის მოპოვება მხოლოდ 1237-38 წლებიდან ხდება, მათ შესახებ ინფორმაციას დასავლეთში XIII ს-ის 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან იღებენ, ეს კი უფრო გვიანი პერიოდია, ვიდრე XIII ს-ის 20-იანი წლები – მონღოლთა პირველი გამოჩენა და 1232 წ. – მათ მიერ დაპყრობების დასაწყისი საქართველოში. ამდენად, არ გამოვრიცხავთ XIII ს-ის 20-იან წლებსა თუ 30-იანი წლების დასაწყისში საქართველოში „მოისართა ტომზე" აღნიშნულთან შედარებით ბევრად ნაკლები სცოდნოდათ.

რაც შეეხება მოულოდნელობის ფაქტორს: რა იყო ამის მიზეზი?! მოახლოებული ასეთი დიდი საშიშროება რატომ ვერ შეფასდა სათანადოდ?!

ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ეს განაპირობა ფართოდ გავრცელებულმა ხმებმა მონღოლთა ქრისტიანობის შესახებ: ისინი საერთოდ ხმამაღლა აცხადებდნენ სხვათა რელიგიებისადმი შემწყნარებლობას – "Очень любопытно, что начиная с первых сношений с мусульманами, Чингиз-хан и его полководцы заявили себя терпимыми к чужой религии, так что кашгарцы считали прибытие монголов милостию божьей".[3] მითუმეტეს, ასე მოუვიდათ ქრისტია-

---

1 М. И. Гольман, გვ. 21.

2 Л. Гумилев, გვ. 179.

3 Ф. И. Успенский, Движение народов из Центральной Азии в Европу. I, Турки, II, Монголы, "Византийский временник", т. I(XXVI), М., 1947, გვ. 22-23.

ნებს, როცა ისინი ხედავდნენ თუ როგორ უსწორდებოდნენ არამაჰმადიანი მონღოლები მათდამი დაპირისპირებულ ძალას — მუსლიმებს. ასეთ პირობებში, მათ ადვილად შეეძლოთ „მოისართა ტომში" ქრისტიანობის მხსნელნი დაენახათ, მით უფრო, თუ მათზე მწირი ინფორმაცია ჰქონდათ. როგორც ჟან რიშარი აღნიშნავს, მთელი ქრისტიანული სამყარო მზად იყო მუსლიმებთან წინააღმდეგ ბრძოლაში მონღოლები თავიანთ მოკავშირეებად ეცნოთ.[1] რაც მთავარია, თავად მონღოლთა შორის იყო ბევრი ქრისტიანი, რასაც ერთხმად აღნიშნავენ იმ პერიოდის ისტორიული თხზულებები — მაგ., მარკო პოლო,[2] გუილიომ რუბრუკვისი[3] და სხვ. ფაქტია, რომ მონღოლთა ორ მთავარ ტომში — ნაიმანებსა და ჭერაითებში ქრისტიანობა მართლაც წარმოადგენდა გაბატონებულ რელიგიას. ასეთივე სიტუაცია იყო მმართველ წრეებში — ჩორმაღანის ორი სიძე ნესტორიანი იყო, თვითონაც მათ დიდი სიმპათიით ეკიდებოდა; ამ მხრივ, სხვა არაერთი მაგალითის მოყვანაც შეიძლება.[4] განსაკუთრებით ძლიერად მონღოლებში ნესტორიანობა გავრცელდა, რაზეც ვრცლად მსჯელობს ლ. გუმილიოვი.[5] ყოველივეს უნდა გამოეცოცხლებინა შეხედულება — ლეგენდა აღმოსავლეთში ქრისტიანობისათვის მებრძოლი „მეფე დავითი — იოანე ხუცესის" შესახებ (ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

ამის ფონზე ყურადღებას იმსახურებს კირაკოს განძაკეცის ცნობა, რომ როცა მონღოლები საქართველოში გამოჩნდნენ — "И распространилась о них ложная молва, будто они — могли и христиане по вере, будто творят чудеса и пришли отомстить мусульманам за притеснение христиан"...[6] აქვე ხაზგასმულია, რომ ეს ხმა და ინფორმაცია მთელ ქვეყანას მოედო, ამიტომ მოსახლეობას საჭირო გამაგრებითი და თავდაცვითი სამუშაოები არც ჩაუტარებია — ერთი სამ-

---

1 J. Richard, Le Début des Relations entre la papauté et les Mongols de Perse, JA. 1949, vol. 237, გვ. 292.

2 Книга Марко Поло, перевод со старофранцузского текста И. П. Минаева. Редакция и вступительная статья И. П. Магидовича, М., 1956.

3 გუილიომ რუბრუკვისი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, თარგმანი ფრანგულიდან გერონტი ქიქოძისა, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკ. V, თბ., 1942.

4 მონღოლები ქრისტიანობის გავრცელებაზე იხ.: Бартольд В. В., К вопросу о Чингизидах-христианах, "Сочинения", т. 2, ч. 2, М., 1964, გვ. 417-418; Кафаров П., Старинные следы христианства в Китае по китайским источникам, с примеч. В. В. Григорьева, "Восточный сборник", СПБ., 1877, გვ. 1-64; Hambis L., Deux nomes chrétiens chez les Tatars au XI-e siècle, JA. 1953, t. 241, გვ. 473-575.

5 Л. Гумилев, გვ. 159... 177

6 Киракоз Гандзакеци, გვ. 138

ღვდელო პირი თავისი მრევლით დამპყრობელთა წინაშე შესახვედრადაც კი გაემართა, რაც მათი ამოწყვეტით დასრულდა; იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ ამის გამო — "повсюду встречая безаботных, они (მონღოლები, **დ. ნ.**) истребляли население..."[1] გარკვეულწილად, ამანაც ხომ არ მოატყუა საქართველოს ხელისუფლება და მზადყოფნის, ყურადღების მოდუნება გამოიწვია?! მართლაც, ქრისტიანები ხომ არ ეგონათ და ამიტომ არ გაფრთხილდნენ?! ამას ხომ არ გულისხმობდა რუსუდანი რომის პაპისადმი წერილში, როცა აღნიშნავდა, რომ ისინი ცუდი ქრისტიანები აღმოჩნდნენ?! ყოველ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული თავისთავად ლაპარაკობს იმ პერიოდის საქართველოში დიპლომატიური უზრუნველყოფის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობასა და არასათანადო ინფორმირებულობაზე.

1245 წელს რუსუდანი გარდაიცვალა — „ჯაჯეს ქართველნი უნუგეშინის-მცემლოდ და უმეფოდ" (ანამთააღმწერელი); უფლისწულები — ორივე დავითი მეფობის მისაღებად დიდ ყაენთან არიან გაგზავნილნი. მონღოლებს უკეთესი პირობები ექმნებათ დაპყრობილ ქვეყანაში თავიანთი ადმინისტრაციული წყობის დასანერგად. საქართველო მათ დუმნებად დაჰყვეს, ანუ ისეთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, რომლის მოსახლეობასაც ათი ათასი მეომრის გამოყვანა ევალება. მოქნილმა მონღოლურმა დიპლომატიამ მათ მეთაურებად ქართველი მთავრები დანიშნა — ამ გადაწყვეტილებაში შორს მიმავალი გეგმები იყო ჩადებული. თითოეული ქართული დუმანი მონღოლთა ნოინებს დაექვემდებარა. ივ. ჯავახიშვილი 8 დუმანს აღნიშნავდა:

1. ჰერეთის, კახეთის და კამბეჩანის ტერიტორია შემახიის მთებამდე — ეგარსლან ბაკურციხელი;

2. ჩრდილოეთ სომხეთი — შანშე მხარგრძელი;

3. ქვემო ქართლი ანუ „ყოველი სომხითი" აღმოსავლეთ შამქორამდე — ვარამ გაგელი;

4. ქართლი (შიდა ქართლი) — გრიგოლ სურამელი;

5. ჯავახეთი — გამრეკელ თორელი;

6. მესხეთის დანარჩენი პროვინციები (ჯავახეთის გარდა) კარნუ-ქალაქამდე — ივანე-ყვარყვარე ციხისჯვარელი-ჯაყელი;

7. დასავლეთი საქართველო (ეგრისი და გურია) — ცოტნე დადიანი;

8. დასავლეთი საქართველო (ლიხთ-იმერეთის დანარჩენი აღმოსავლური თემები) — რაჭის ერისთავი.[2] ეს მოსაზრება ძირითადად გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში; ასევეა „საქართველოს ისტორიის

---

[1] Киракоз Гандзакеци, გვ. 138.

[2] ივ. ჯავახიშვილი. ქართული ერის ისტორია, თხზ., III, ტ. III, გვ. 44.

ნარკვევებშიც“. რ. კიკნაძე მე-9 დუმანსაც გამოჰყოფს და ასეთად ჰერეთს მიიჩნევს — დუმნისთავად შოთა კუპრი.[1] პ. ინგოროყვაც 9 დუმანს აღნიშნავს, ოღონდ რვა დუმანი საქართველოშია, ხოლო მე-9-დ შირვანის ავტონომიური ერთეულია მიჩნეული; მესხეთი ერთ დუმნად, ხოლო ანისი და დვინი ცალ-ცალკე დუმნებადაა ჩათვლილი.[2] გამოითქვა სხვა მოსაზრებაც: გ. ნაფიშვილის აზრით, მონღოლებმა 7 სადუმნო შექმნეს; იგი არ იზიარებს ჯავახეთისა და დანარჩენი მესხეთის ცალ-ცალკე დუმნებად დაყოფას, დუმნის ხელმძღვანელად გამრეკელი თორელია დასახელებული, ხოლო ივანე-ყვარყვარე ციხისჯვარელი-ჯაყელის დუმნისთავობას მკვლევარი გამორიცხავს.[3]

როგორც ყველა დამპყრობელი და მითუმეტეს მონღოლები ცდილობენ და ხშირადაც ახერხებენ დაპყრობილ ტერიტორიებზე თავიანთი მიზნებისათვის შესაფერისი მმართველობის ფორმების შემოღებას. საქართველოში მცირე ხნით დუმნების ფუნქციონირებამ (1245-1247 წწ.) მნიშვნელოვნად შეარყია ქვეყნის ერთიანობა. იგი მიმართული იყო ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების, ძალების დაქსაქსვისა და დაპყრობილი ტერიტორიების იოლად ათვისების მისაღწევად. ბატონობის ასეთმა ხასიათმა ხელი შეუწყო მთავართა წრის გაძლიერებას — „ეს იყო პირველი, უპრეცედენტო მაგალითი საქართველოს ერთიანი მონარქიის არსებობისას, როცა მეფის გარეშე ხდებოდა ხელქვეითი მოხელე-მთავრების პოლიტიკური უფლებების ცნობა“;[4] საქართველო, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, მხოლოდ მონღოლთა ინტერესების მიხედვით არსებობს, სამეფო ტახტის სიძლიერეც მათ პოლიტიკა-განწყობაზეა დამოკიდებული; დიდებულნი მეფეს იმდენად ემორჩილებიან, რამდენადაც იგი დამპყრობლებისათვის არის სასურველი — სამეფო კარს იმდენად ეკითხება და იმდენად შეუძლია ჩაერიოს დიდ ფეოდალთა საქმეში, რამდენადაც ეს მონღოლთა ინტერესებში შედის.[5] ამის შედეგი იყო, რომ „მეფე შემცირებულ არს მძლავრებისაგან თათართასა და კუალად პირნი და მთავარნი საქართველოსანი განდგომილ არიან“ ან მეფემ „მთავარნი და ერისთავნი ვერ სცვალნის შიშისათვის ყაენისა“.[6] ამას მოჰყვა მეორეხარისხოვან მოხელეთა (ჯიქური...), არაქართული

---

1 რ. კიკნაძე, საქართველოში მონღოლთა მფლობელობის ისტორიიდან, „ახლოაღმოსავლური კრებული“, თბ., 1983, გვ. 92-94.

2 პ. ინგოროყვა, თხზ., IV, თბ., 1978, გვ. 99.

3 გ. ნაფიშვილი, საქართველოში დუმნების რაოდენობის საკითხისათვის, „ცისკარი“, 1987, №12, გვ. 152.

ბ. ლოშინაძე, მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40 — XIV ს. 10-იანი წწ.), „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, III, გვ. 595.

5 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, გვ. 222-223.

6 ქამთააღმწერელი, გვ. 219- 256.

წარმომავლობის ვაჭართა (უმეტი...) და მედროვეთა (სადუნ მანკაბერ-
დელი...) აღზევება, რამაც არაერთი უარყოფითი მოვლენის წარმოშობა
განაპირობა. ყველაზე მთავარი კი მაინც მეფის ერთგულ დიდებულთა
გადაბირება იყო, რასაც დამპყრობელი შეწყალების საშუალებით ახდენს
— ეს შეწყალება ქართული ფეოდალური სისტემის სწორედ ის
აქილევსის ქუსლი იყო, რომელსაც მონღოლებმა კარგად მიაგნეს, —
აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი.[1] ამ მხრივ, საკმარისია თუნდაც ეგარსლან
ბაკურციხელის[2] მაგალითი, რომელიც „ეზომ განდიდნა, რომელ კნინ-
ლადა სახელის-დებადცა მეფისა იკადრა, და ყოველი ქართველთა ნათესა-
ვი ბრძანებასა მისსა მორჩილებდეს, ვითარცა მეფესა"...[3], ან ეგარსლანს
„კნინლადა სახელიცა მეფობისა ეპყრა".[4]

უმეფობა 1247 წელს[5] დასრულდა, როცა მეფობადამტკიცებული
უფლისწულები თბილისში დაბრუნდნენ. 1243 წელს ზავის შედეგად სა-
ქართველო და მონღოლთა მიერ დაპყრობილი წინა აზია 1256 წლამდე
ოქროს ურდოს დაექვემდებარა. მონღოლთა იმპერიაში საქართველოს
სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის —. „გურჯისტანის ვილაიეთის"
სახელწოდებით შევიდა, რომელიც თვით საქართველოს და სომხეთის
ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიებს მოიცავდა. ეს
რეგიონები დაპყრობამდე საქართველოს სამეფოს შემადგენელ, ორ-
განულ ნაწილს წარმოადგენდნენ და ასეთი ვითარება მონღოლებს არც
შემდეგ შეუცვლიათ — სომხური თემები კვლავინდებურად ძველ ფარ-
გლებში დარჩა.[6]

XIII ს-ის 60-იანი წლებიდან მონღოლთა სახელმწიფოს დაშლა შეუ-
ქცევად პროცესად იქცა — ჰულაგუმ (1256-1265) მონღოლთა მეხუთე
ულუსი შექმნა, რომელიც ილხანთა სახელმწიფოს სახელწოდებითაა
ცნობილი (იგი 1261 წ-იდან დიდმა ყაენმაც სცნო). 1256 წლიდან სა-
ქართველო ჰულაგუიდების ვასალი გახდა.

---

1 ნ. ბერძენიშვილი, ეპიზოდი ფეოდალურ საგარეოლოთა სამამულო ბრძოლიდან XIII ს. საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 88.
იხ. სტატია ეგარსლან ბაკურციხელზე — „ქართული დიპლომატიის ლეჭიკონი". ტ. I. ასწლოვანი მატიანე, გვ. 94.
იქვე, გვ. 106.
6 შოშიაშვილი, XIII ს-ის საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის, საქ. სახ. მუზეუმის „მოამბე", XVIII, 1954, გვ. 123.
6 ც. ღვაბერიძე, თბილისის ზარაფხანა XIV ს-ის I ნახევარში (ფულცხლის ფული), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე", XXXVII—B, თბ., 1984, გვ. 113.

2. საქართველო-ევროპის დიპლომატიური კონტაქტები XIII საუკუნის I ნახევარში

ლაშა-გიორგის ევროპასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამკარება გამეფებისთანავე მოუხდა. 1210 წელს იერუსალიმის სამეფოსა და აიუბიანთა სახელმწიფოს შორის დადებული ექვსწლიანი ზავი დასრულდა. ჯვაროსნები ზავის განახლებაზე უარს ამბობენ, რასაც პალესტინაში საომარი მოქმედებების დაწყება მოჰყვა. იერუსალიმის მეფე იოანე დე ბრიენი ევროპის დახმარების გარეშე ვერაფერს გახდა, ამიტომ შველას ითხოვს. IV ჯვაროსნული ლაშქრობის ინიციატორი რომის პაპი ინოკენტი III (1198-1216), რომლის დროსაც ვატიკანმა დიდ სიძლიერეს მიაღწია, კარგად ხედავს ჯვაროსანთა უმძიმეს მდგომარეობას და ყველაფერს აკეთებს ერთიანი ჯვაროსნული ლაშქრობის მოსაწყობად. პაპის ქადაგებამ ევროპის ხელისუფალთა მხრიდან შესაბამისი გამოხმაურება ვერ პოვა. კვლავ ახალი ექვსწლიანი ზავი დაიდო.

ასეთ ვითარებაში რომის პაპმა ყურადღება მიაპყრო ძლიერი ქრისტიანული ქვეყნისაკენ — საქართველოს სამეფოსაკენ, რომლის მეფესაც (როგორც ჩანს ლაშა-გიორგის) ინოკენტი III-მ წერილი გაუგზავნა. ეპისტოლეს, რომელიც 1211 წლის 7 ივნისით თარიღდება, ასეთი სათაური აქვს — „საქართველოს ბრწყინვალე მეფეს-მოწოდება წმინდა მიწის დასაცავად“.[1]

როგორც ინოკენტი III-ის ეპისტოლედან ჩანს, იგი წარმოადგენს პასუხს რომის პაპისადმი გაგზავნილ საქართველოს მეფის წერილზე. რომის პაპი თავის წერილში უწონებს ქართველთა მეფეს მაჰმადიანთა წინააღმდეგ გალაშქრების განზრახვას. როგორც აღნიშნულია, ლაშა-გიორგის 1210 წელს უნდა გაეგზავნა თავისი ეპისტოლე პაპისათვის.[2] პაპი ინოკენტი III, ჯვაროსანთა საერთო შეჭირვების პერიოდში, 1211 წელს წერილით სთავაზობს საქართველოს მეფეს, შეთანხმდნენ ერთიანი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობაზე მუსლიმთაგან „წმინდა ადგილების“ გათავისუფლების მიზნით.

მონღოლთა გამოჩენამ ქართული დიპლომატიის წინაშე დღის წესრიგში საგარეო პოლიტიკური კურსის გადასინჯვის საკითხი დააყენა: ბიზანტიის იმპერიასთან მოკავშირეობა ქრისტიანულ აღმოსავლეთს და ქართულ სახელმწიფოს ვერავითარ გარანტებს ვერ უქმნიდა — იგი თურქ-სელჩუკებისაგან დამარცხებულ და ჯვაროსანთაგან დაძაბუნებულ

---

[1] თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, ცდა ერთი თარიღის დადგენისა, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, 1974, გვ. 188.

[2] იქვე, გვ. 188.

პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, ამიტომ ქართული დიპლომატია ორიენტაციას კიდევ უფრო დასავლეთზე, კერძოდ ჯვაროსნებზე, აკეთებს.

საქართველოს ძლიერ ქრისტიანულ სამეფოს თავისი მნიშვნელოვანი მისია უნდა ეკისრა აღმოსავლეთში — საქართველოს მეფე მაჰმადიანებთან ბრძოლაში „მესიის მახვილია", როგორც ქართველებისათვის, ისე სხვა ქრისტიანი ხალხებისათვის.

ჯვაროსანთა ხშირი წარუმატებლობით გამოწვეულ უიმედობას გაქარწყლება სჭირდებოდა, დასავლეთის რითიმე დაიმედება იყო აუცილებელი. აღმოსავლეთში ასეთი ქრისტიანული ქვეყანა რომ არ არსებულიყო, იგი უნდა გამოეგონათ. კათოლიკური სამყაროს მესვეურთათვის კარგად იყო ცნობილი მახლობელ აღმოსავლეთში ქრისტიანული საქართველოს სიძლიერე და მისი როლი მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში (საქართველოს მეფე — „მესიის მახვილი"...) საჭირო იყო ასეთი ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობის პროპაგანდა დასავლეთში და მისი ჯვაროსნებთან მოკავშირეობა. იქნებ ამას მაინც გაეღვიძებინა ჯვაროსნული სული და ჩაესახა იმედი „წმინდა ადგილების" გათავისუფლებისა.

აღმოსავლეთში შეჭირვებაში მყოფ ჯვაროსანთა მხრიდან დასავლეთ ევროპაში იმედის გაღვიძების ერთ-ერთ ცდად მოჩანს XIII ს-ის დამდეგს მცხოვრები ფრანგი რაინდის დე ბუას წერილი ბეზანსონის არქიეპისკოპოსის ამედე დე ტრამლესადმი (1145-1220). წერილში საუბარია ძირითადად არა სირია-პალესტინის ამბებზე, არამედ ხაზგასმით საქართველოსა და მის სიძლიერეზე. დე ბუას წერილი დაახლ. 1211 წლით უნდა დათარიღდეს.

ეს დოკუმენტი პირველ რიგში საინტერესოა იმით, რომ გვაძლევს ინფორმაციას, თუ რა იცოდნენ ჯვაროსნებმა, და საერთოდ დასავლეთის ხელისუფლებმა, თამარისა და ლაშა-გიორგის პერიოდის საქართველოს შესახებ, რაც მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობის გარეშე ვერ მოხერხდებოდა.

წერილში მოთხრობილია ქართველთა ძლევამოსილი ლაშქრობის შესახებ ურწმუნოთა წინააღმდეგ, მათ შორის ბაბილონის სულთნის ვაჟის სამფლობელოზე (უნდა იგულისხმებოდეს აიუბიანთა სულთანის ალ-ადილის ვაჟი ალ-მალიქ ალ-აუჰადი[1]). აღნიშნულია, რომ ქართველთა 16 წლის მეფეს, „ძალით" და „სიკეთით" მსგავსს ალექსანდრე მაკედონელისა, მაგრამ არა სარწმუნოებით, დედის ანდერძის თანახმად, მოაქვს „უძლიერესის" თამარის ძვლები, რათა იგი „წმინდა ქალაქში" — იერუსალიმში, უფლის საფლავთან დაეკრძალა: ივერიითგან ვინმე

[1] თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, ცდა ერთი თარიღის დადგენისა, გვ. 171, 183-184.

ქრისტიანენი, გიორგენებად წოდებულნი, ურიცხვი მხედრობით და ქვეითი ჯარით... წმიდა იერუსალიმის მიწის სახსნელად მოვლენ და მთელ საწარმართოს დაიმორჩილებენ".[1]

ამ, გარკვეულწილად დიპლომატიური დოკუმენტით კარგად ჩანს, თუ რა დიდ იმედებს ამყარებდნენ დასავლეთში საქართველოზე. აშკარაა, დე ბუას წერილს პროპაგანდისტული ხასიათი აქვს: ხლათზე ლაშქრობა, რომელიც დე ბუას წერილში საქართველოს ლაშქრის იერუსალიმის დასახსნელ მოქმედებად გარდაისახა და ქართველთა გადაწყვეტილება დაეხმარონ ჯვაროსნებს „წმინდა მიწისათვის" ბრძოლაში, დე ბუას ჩანაფიქრით, გაარღვევდა კათოლიკურ სამყაროში გამეფებულ უიმედობას. ამ ფრანგი ჯვაროსნის ინფორმაციით, ქრისტიანები მალე იერუსალიმის კედლებთან იქნებოდნენ. ზ. ავალიშვილის სიტყვებით, „საქართველოს მოსალოდნელი დახმარებით უცებ დაიმედებული რაინდი სამშობლოში ერთს ნაცნობ მღვდელთმთავარს დაუყოვნებლივ წერილს უგზავნის, გაგონილი ამბის შესაფერისი გაზვიადებით, რომ იქ, საფრანგეთს, საჯვაროსნო ქადაგება ამით წააქეზოს და მას ახალი საზრდო მიაწოდოს. სწორედ ამგვარ საპროპაგანდო ეპისტოლეებს მაშინ ეკლესიებსა და კრებებში საჯაროდ ჰკითხულობდნენ ევროპის ქვეყნებში".[2]

როგორც ჩანს, ფრანგი ჯვაროსნის მხრიდან გამოყენებულია გარკვეული დიპლომატიური ფანდი — ფაქტებისა თუ მოვლენების გაზვიადება, რათა კათოლიკეთა ნაწილის იმედები აღძრას და გააღვივოს მაინც, აქტიურად ჩაებას ჯვაროსნულ მოძრაობაში, დაანახოს დასავლეთს მახლობელ აღმოსავლეთში მათი მოკავშირე ძლიერი ქრისტიანული ქვეყნის არსებობა, გაამხნევოს სასოწარკვეთილ ჯვაროსანთა სულისკვეთება და აღუდგინოს რწმენა „წმინდა ადგილების" დახსნის შესაძლებლობის მხრივ. ამ მიზნით ხაზი ესმება, რომ ჯვაროსანთა შეჭირვებისა და მძიმე გეოპოლიტიკური ვითარების მიუხედავად ქართველთა მეფე მოდის „წმინდა ქალაქის" გასათავისუფლებლად, რომელსაც უკვე აუღია 300 ციხესიმაგრე და 9 დიდი ქალაქი; ამასვე ეხმიანება „უძლიერესი" თამარის ანდერძი სწორედ იერუსალიმში დასაფლავების შესახებ, უფლის საფლავის ახლოს — „წმინდა მიწაზე", რომელიც თანდათან ასე მიუწვდომელი ხდება დასავლეთის ქრისტიანობისათვის. თამარის ძვლების გადასვენების ფაქტის ხაზგასმაში გამოსჭვივის რწმენა საქართველოსთან კავშირში „წმინდა ადგილების" გათავისუფლებისა. ფრანგი რაინდის დე ბუას მხრიდან ეს იყო მოწოდება დასავლეთის სამყაროსადმი ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მოსამზადებლად იმის იმედით,

---

[1] თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, ცდა ერთი თარიღის დადგენისა, გვ. 169.

[2] ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი, თბ., 1989, გვ. 103

რომ მათ ჰყავდათ ძლიერი მოკავშირე საქართველოს სახით. ეს აგიტაციური ხასიათის დოკუმენტი კარგად ლაპარაკობს მაშინდელ საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტზე.

დე ბუას წერილი უთარიღოა, არსებობს მისი დათარიღების ცდები. 1202 წ. (პ. პარი), 1207-1208 წწ. (ზ. ავალიშვილი), 1208-1209 წწ. (ბ. სილაგაძე), 1213 წ. (რ. რორიხტი), 1220 წ. (რ. ჰენიგი). თ. ნატროშვილისა და გ. ჯაფარიძის აზრით, იგი 1211 წლით უნდა დათარიღდეს, ხოლო დოკუმენტში აისახა 1210 წ. ქართველთა სამხედრო კამპანია ხლათის წინააღმდეგ.[1] ეს მოსაზრება ყველაზე ახლოს უნდა იყოს სინამდვილესთან, თუმცა არც იმას გამოვრიცხავთ, რომ აქ ასახულიყო ქართველთა ის ძლევამოსილი ლაშქრობა ირანში, როცა აღებული იქნა: მარანდი, თავრიზი, ზენჯარი, ყაზვინი და დიდი ნადავლი აღმოჩნდა საქართველოს მესვეურთა ხელში. უდავოა, რომ დე ბუას წერილი ამ ლაშქრობების ახლოს შექმნილი დოკუმენტია (დაახლ. 1211 წ). კერძოდ ამ პერიოდში, როცა ჯვაროსნებს ძალზე სჭირდებათ დახმარება, რის გამოც დასავლეთ ევროპაში კიდეც იგზავნება ასეთი ხასიათის დოკუმენტი. შესაძლებელია ამ პერიოდიდანვე ეყრებოდეს საფუძველი ახალ შეხედულებას ლეგენდარულ იოანე პრესვიტერად ლაშა-გიორგის პიროვნების მიჩნევის შესახებ, რაც მეორე ეტაპზე — დამიეტას აღების შემდგომ პერიოდში კიდევ უფრო ღვივდება.

1217 წელს დაიწყო V ჯვაროსნული ლაშქრობა (1217-1221), 1218 წელს კი ლაშა-გიორგი აწყობს დიდ ლაშქრობას ნახჭევანის, ხლათისა და კარნუ-ქალაქის წინააღმდეგ ყმადნაფიცობის პირობით მათ შემოსამტკიცებლად. V ჯვაროსნულმა ლაშქრობამ ლაშა-გიორგის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა: ჯვაროსნებმა მთავარი დარტყმა ეგვიპტეში დამიეტაზე მიიტანეს და თავიდან გარკვეულ წარმატებასაც მიაღწიეს — მათ მეთაურებსა და ეგვიპტის სულთანს — მალიქ ალ-ქამალს შორის ინტენსიური დიპლომატიური მოლაპარაკებანი მ ე-დინარეობს; ეგვიპტე დიდ დათმობებზე მიდიოდა, თუკი ჯვაროსნები დამიეტას დაეხსნებოდნენ. ეგვიპტის ხელისუფალთა დიპლომატიურ ცდებს შედეგი არ მოჰყოლია — 1219 წელს ჯვაროსანთა ხელმძღვანელის — კარდინალ პელაგიუსის გადაწყვეტილებით „ფრანგებმა" ეს მნიშვნელოვანი პუნქტი აიღეს. ამის შემდეგ ჯვაროსანთა რიგებში, სტრატეგიული გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით, განხეთქილებამ იჩინა თავი: ერთი ნაწილი ეგვიპტის შუაგულში მოითხოვს შეჭრას, რითაც კარდინალის ჩანაფიქრს უპირისპირდება, თავად პელაგიუსი კი მის მიერ სწორად მიჩნეული პოლიტიკური ხაზის გასატარებლად მოკავშირეებს ეძებს

---

[1] თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 168-189.

და ჩინგის ყაენთანაც კი ცდილობს მოლაპარაკებას.[1] 1221 წლის გაზაფხულზე პელაგიუსს ჯვაროსანთა ახალი ძალები მოუვიდა, მაგრამ სიტუაციის შემობრუნება შეუძლებელი აღმოჩნდა და 1221 წლის სექტემბერში მათ დამიეტა დატოვეს.[2]

როგორც ჩანს, საქართველოს სამეფო კარს თავიდანვე განუზრახავს ამ ჯვაროსნულ მოძრაობაში მონაწილეობა. 1219 წელს ეს გადაწყვეტილება უკვე მიღებულია: „საეკლესიო ანალებში" ჯვაროსანთა მიერ დამიეტას აღებაზე საუბრისას მოხსენიებულნი არიან ქართველები: „1219 წელი. ქართველები განუმტკიცებდნენ ჯვაროსნებს გამარჯვების რწმენას. ამ გამარჯვების შესახებ ძლიერი ხმები შორეულ ხალხებშიც კი გავრცელდა. სარკინოზები შიშით აღივსნენ, ხოლო ქრისტიანები – აღუწერელი სიხარულით".[3] ი. ტაბაღუას მოჰყავს იორდანუსის (იორნანდესის) სიტყვები, საიდანაც კარგად ჩანს საქართველოს ევროპასთან დიპლომატიური ურთიერთობების არსებობა: „ქართველები ეპისტოლეებით მოუწოდებდნენ ჯვაროსნებს ბრძოლებისაკენ, აღაფრთოვანებდნენ მათ საბრძოლო სულისკვეთებას და აგულიანებდნენ, გაემრავლებინათ გამარჯვებები. ამასთანავე, მიუთითებდნენ, რომ მათთვის სირცხვილი იქნებოდა, თუ არ გადაწვავენ დამასკოს, არ დაიმორჩილებენ უწმინდურ ცრუმორწმუნეთა სხვა მთავარ ადგილებს და იარაღით არ შეებრძოლებიან ურწმუნოებს, როგორც ამას ადრე აპირებდნენ მეომრები".[4]

1219 წ. ნოემბერში დამიეტა აღებულ იქნა, იდგა კაიროს ჯერი. სწორედ ამ დროს ადგილი აქვს საქართველოსა და ჯვაროსანთა შორის დიპლომატიურ კონტაქტებს: დამიეტაში ერთმანეთს ხვდებიან ლაშა-გიორგისა და რომის პაპის ჰონორიუს III-ის მიერ წარმოგზავნილი ელჩები; რუსუდანი ამ რომის პაპისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ „დამიეტში მყოფის თქვენის (პაპის, დ. ნ.) ელჩისაგან მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რომ ჩემი ძმა (გიორგი IV ლაშა, დ. ნ.) წასულიყო ქრისტიანების შესაწევნად. ისიც ამ ზრახვასა და წასვლის მზადებაში იყო"...[5] მეორე ცნობით, პირდაპირ არის აღნიშნული, რომ „იმ დროს, როდესაც დამასკოს მთავარმა ქალაქ დამიეტას ალყა შემოარტყა, მასთან ქართველები მივიდნენ, რათა საღვთო ომში მონაწილეობა მიეღოთ, ომში, რომელშიც ქრისტიანთა დიდი ნაწი-

---

შ. ბადრიძე. საშინაო და საგარეო პოლიტიკა XIII ს. 10-20-იან წლებში, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები". III. თბ., 1979. გვ. 341.

2 М. А. Заборов. Крестовые походы, М., 1956, გვ. 246-252.

ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.). თბ., 1984. გვ. 74-75.

იქვე. გვ 75.

მ. თამარაშვილი. დასახ ნაშრომი, გვ. 7.

ლი იყო ჩაბმული“ (ვოლატერანო).[1] ამ ინფორმაციით გამოდის, რომ ქართველებს დიპლომატიური და სამხედრო თვალსაზრისით კონტაქტები ჯვაროსნებთან უკვე დამიეტას ალყის დროს დაუმყარებიათ. ლ. ტარდი აღნიშნავს, რომ უნგრული წყაროების თანახმად უნგრეთის მეფე ანდრაშ II თავისი ჯვაროსანთა ლაშქრით „წმინდა ადგილებისაკენ“ დაძრულა, მაგრამ 1218 წლის ზაფხულშივე უკან დაბრუნებულა, ხოლო უნგრეთის ლაშქრის ერთი ნაწილი იქ დაუტოვებია; დამიეტას გარემოცვასა და შემდგომ სამხედრო ოპერაციებში მათ აქტიური მონაწილეობა მიუღიათ. აღნიშნული ცნობებით, დამიეტთან უნგრელების ბრძოლის დროს, აქ ქართველ მებძოლთა მცირე ჯგუფიც მონაწილეობდა; ადგილი აქვს ამ ორი სახელმწიფოს წარმომადგენელთა უშუალო კონტაქტებს. შესაძლოა, ეს იყო ქართველ-უნგრელთა პირველი შეხვედრა.[2] ბუნებრივია, ასეთი ხასიათის ურთიერთობები დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოთა ჯვაროსნებთანაც იქნებოდა. დამიეტაში ლაშა-გიორგის ელჩების ყოფნა და ლაშა-გიორგის რეალური სამზადისი დავას არ იწვევს — ქართველი ელჩებისაგან დამიეტასთან წარმატების შესახებ ინფორმაციისა და რომის პაპის მოწოდების სამეფო კარზე მიტანის შემდეგ ლაშა-გიორგის საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა ჯვაროსნული ლაშქრობაში მონაწილეობა. რუსუდანის წერილში ხაზგასმულიცაა მისი ძმის ასეთი „ზრახვა“ და „წასვლის მზადება“. ამ დიპლომატიურ ნაბიჯს ჯვაროსნულ მოძრაობაში დიდი გამოხმაურება მოჰყოლია: „სარკინოზები შეშინდნენ. ქრისტიანების ძლიერებაში ყველა დარწმუნდა. ქართველებმა სულიერად იმდენად გაამხნევეს ჯვაროსნები, რომ მათ დამასკოც კი გაათავისუფლეს“.[3] ჯვაროსნები და იმ პერიოდის ავტორები ხაზს უსვამენ მათ მოკავშირეობას და განსაკუთრებით გამოყოფენ ქართველთა, მათი აზრით უკვე თანამებრძოლთა, ძლიერებას — ეაკ დე ვიტრი აღნიშნავს: „ისინი არიან ფრიად მედგარნი და მამაცნი ბრძოლაში, ძლიერნი სხეულით და ძლევამოსილნი მხედართა ურიცხვი რაოდენობით. მათ სასტიკად დაშინებული ჰყავთ სარკინოზები, თავიანთი თავდასხმებით ხშირად აყენებენ ზიანს სპარსელებს, მიდიელებს და ასირიელებს, რომელთაც ესაზღვრებიან, მთლიანად გარშემორტყმულნი ურჯულო ხალხით. მათ ეწოდებათ გეორგიანები“...[4] მისივე ცნობით, ქართველებს, აღშფოთებულებს იერუსალიმის დანგრევით, დამასკოს სულთნისათვის მუქარა შეუთვლიათ.

---

1. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.
2. ლ. ტარდი, დასახ. ნაშრომი, გვ. 12-14.
3. იქვე, გვ. 75-76.
4. თ. ნატროშვილი, მაშრიყით მაღრიბამდე, თბ., 1991, გვ. 87.

მ. თამარაშვილი მიუთითებს ევროპელ მწერლებზე ანუ დასავლურ წყაროებზე, რომლებიც აღნიშნავენ „ქართველთა ჯვაროსნობას“ და ამბობს: „ქართველებმა დასავლეთის ჯვაროსნებს წიგნი მოსწერეს, შეატყობინეს თავიანთი მზადყოფნა საომრად, და დაიფიცეს, რომ ომით აეღოთ ერთი დიდი შესანიშნავი პალესტინის ქალაქი, რათა არ ჩამორჩენილიყვნენ ფრანგებს თურქთა დამარცხებასა და წმინდა ადგილების აღებაში“.[1] თუკი იმპერატორი ფრიდრიხ ბრწყინვალე და საერთოდ, ჯვაროსნები XIII ს-ის 20-იან წლებში მართლაც შეიჭრებოდნენ სირიაში და დაიწყებდნენ ბრძოლას „წმინდა ადგილებისათვის“, მაშინ საქართველოს ხელისუფლებას, ბუნებრივია, შეეძლო რეალური დახმარება აღმოეჩინა ევროპიდან დაძრული ქრისტიანებისათვის.

როგორც ჩანს, „აღმოსავლეთის ჯვაროსნების“ — ქართველების გამოჩენისა და დახმარების შესაძლებლობებმა იმედგაცრუების გზაზე მდგარ „ფრანგებში“ დიდი იმედები ჩასახა. ამით უნდა აიხსნას, რომ სწორედ ამ დროს, V ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში, ხელახლა გაჩნდა ხმები ლეგენდარულ იოანე პრესვიტერზე — როდოლფ კოგეშალის ქრონიკის მიხედვით, „1221 წ. მთელ საქრისტიანოში გავრცელდა ხმა: დავით მეფემ, რომელიც იოვანე მეფე-მღვდლად იწოდება და რომელიც ინდოეთიდან დიდი მხედრობით წამოვიდა, გაანადგურა მიდიელები და სპარსელები“.[2] რაც მთავარია, ეს მეფე იოანე-დავითი აღმოსავლეთში მყოფ ჯვაროსანთა დასახმარებლად მოემართება და ამ გზაზე დიდ წარმატებებსაც მიაღწია. დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად გაზიარებულია, რომ გადმოცემა იოანე პრესვიტერზე ადრე — XII ს-ის შუა ხანებში დავით აღმაშენებელსა და დემეტრე I-ზე გავრცელებული ცნობების გააზრების გზით შეიქმნა, ხოლო ახლა — V ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში ეს ლეგენდარული პირი გიორგი IV ლაშასთან*

---

1 მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6-7.

2 შ. ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან (X-XIII სს.), თბ., 1984, გვ. 171.
ამ ეტაპზე იოანე პრესვიტერის ლეგენდის ხელახლა გავრცელების მიზეზთაგან არ არის გამოსარიცხი ჩინგიზ-ხანისა და მისი წარმატებების შესახებ ინფორმაციის შეღწევა დასავლეთ ევროპაში — В. И. Гумилев. В поисках вымышленного царства, М., 1994; თ. ნატროშვილის აზრით, „მეფე-დავითი — იოანე ხუცესი“ უფრო ჩინგიზ-ყაენს წააგავს — თ. ნატროშვილი, მაშრიყით მაღრიბამდე, გვ. 160; ლ. ტარდის მიხედვითაც, „ჯანმათავისუფლებელი“ დავით მეფე არის ჩინგიზ ხანი (ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, თბ., 1980, გვ. 13); გერონტი ქიქოძე გუილიომ რუბრუკვისის ტექსტის შენიშვნებში აღნიშნავს, რომ ლეგენდებს აღმოსავლეთში იოანე ხუცესზე საფუძველი მისცა ნამდვილად არსებულმა უნ-ხანმა ანუ ვან-ხანმა, რომელიც ქრისტიანი ყერაიტების მფლობელი იყო და ჩინგიზ-ხანის ამაღლებამდე უძლიერეს პიროვნებას წარმოადგენდა მონღოლეთში.

ასოცირდება.[1] დავით*-იოანეს შესახებ ხმების ასე ინტენსიური გავრცელებისათვის ხელი უნდა შეეწყო „დიდი გეორგიის“** მეფის ლაშა-გიორგის პიროვნების პოპულარობას (გავიხსენოთ დე ბუა), გარკვეულად მის საერთო პოლიტიკურ წარმატებებს და, ბუნებრივია, საქართველოს მეფის თანხმობას V ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის შესახებ, რაც „ფრანგებში“ დიდ იმედებს აღძრავს. მათი წარუმატებლობიდან გამომდინარე, ჯვაროსნებს ძლიერი მოკავშირე სჭირდებათ. ქართველთა თანხმობა დიდი დახმარების ტოლფას მოვლენად იქცა. უდავოა, რომ დე ბუას დოკუმენტებისა და იოანე პრესვიტერზე ლეგენდების მსგავსი სპეციალურად იქმნება, საგანგებოდ ვრცელდება, ჯვაროსანთათვის დახმარების მომენტი ზვიადდება, რათა ახალი ძალების მოზიდვის მიზნით იმედგაცრუებულ ევროპაში გარკვეული ენთუზიაზმი მაინც გააღვიძონ. იოანე-დავითზე კვლავ გაჩენილ ლეგენდებში ხაზი ესმება, რომ მან უკვე დიდი დახმარება გაუწია ჯვაროსნებს და მაჰმადიანებთან ბრძოლაში დიდ წარმატებებს მიაღწია.

ამ პერიოდის ერთ-ერთ ქრისტიანულ წინასწარმეტყველებაში ასეთი აზრია გატარებული: „როდესაც მოვლენ დავით მეფე აღმოსავლეთიდან, იმპერატორი ფრიდრიხი დასავლეთიდან, გამხმარი ხე ისევ ამწვანდება“.[2] ეს წინასწარმეტყველება ვერ ასრულდა — დასავლეთისა და აღმოსავლეთის ჯვაროსნებს განზრახული შეხვედრის საშუალება არ მიეცათ. საქართველოს სამეფო ჯარი „წმინდა ადგილებისაკენ“ ვერ დაიძრა — ეს რომ მომხდარიყო, იგი აიუბიანებთან სამხედრო კონფლიქტისა და 30 წლიანი ზავის დარღვევის მომასწავებელი გახდებოდა. როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლება მზად იყო ასეთი ნაბიჯისათვის, რადგან ქართულ დიპლომატიას ორიენტაცია უკვე აშკარად ჯვაროსნებზე აქვს აღებული. მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვითარებაში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა საქართველო-აიუბიანთა დამოკიდებულების საკითხი ასეთ გამწვავებამდე არ მიიყვანა: ჯერ კიდევ 1221 წელს პაპის ლეგატი პელაჟი საქართველოს მეფეს ომის დაწყებას

---

[1] შ. ბადრიძე, საშინაო და საგარეო პოლიტიკა XIII ს. 10-20-იან წლებში, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, III, გვ. 342.

„დავით მეფის“ სახელი XIII ს-ის I მეოთხედში დავით აღმაშენებლის ასოცირებით უნდა გაჩენილიყო.

ტერმინი „დიდი გეორგია“ საქართველოს აღმნიშვნელად იხმარება გუილიომ რუბრუკვისთან — გუილიომ რუბრუკვისი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, თარგმანი ფრანგულიდან გერონტი ქოჩიძისა, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1942, ნაკვ. V, გვ. 170.

შ. ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან, გვ. 171.

სოხოვს სარკინოზების წინააღმდეგ,[1] ლაშა-გიორგი აქტიურად ემზადება „წმინდა მიწისათვის“ საბრძოლველად; ევროპაშიც უნგრეთის მეფე ანდრაშ II მზადაა, სათავეში ჩაუდგეს ჯვაროსნულ ლაშქრობას,[2] მაგრამ როგორც უნგრეთში, ისე საქართველოში დამპყრობლები გამოჩნდნენ, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ჯვაროსანთა გეგმები ჩაიფუშა, რის გამოც „გამხმარი ხე“ ველარ „ამწვანდა“.

თათარ-მონღოლთა შემოსევის გამო, რუსუდანის წერილის სიტყვებით, ქართველები „აქ დავრჩით და თქვენის (რომის პაპის, **დ. ნ.**) ელჩის ბრძანებისამებრ ვერ წამოვედით“.[3]

რუსუდანის სამეფო კარის დიპლომატია დიდ ყურაღდებას უთმობს დასავლეთთან ურთიერთობის საკითხს, კერძოდ, კონტაქტებს რომის პაპთან. საქართველოს სამეფო ტახტისათვის პირველად ჰონორიუს III-ს მიუმართავს. 1223 წლის რუსუდანის წერილში პაპის ჰონორიუს III-სადმი აღნიშნულია, რომ ლაშა-გიორგი ჯვაროსნული ლაშქრობისათვის მზადებაში იყო, როცა „თათარნი“ საქართველოში შემოვიდნენ, „ჩვენ მათ არ ვუფრთხილდებოდით, რადგან ქრისტიანები გვეგონა; მაგრამ როდესაც ვცანით, რომ კარგი ქრისტიანები არ იყვნენ, მაშინ შევკრიბეთ ყოველი ჩვენი ძალა და წინ აღვუდექით, ოცდახუთი ათასი კაცი გავუწყვიტეთ, ბევრიც დავატყვევეთ და დანარჩენი მათი მხედრობა ჩვენის ქვეყნიდან გავდევნეთ;[4] აქვე ატყობინებს სამეფოს მზადყოფნაზე „წმინდა საფლავის“ გასათავისუფლებლად ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის შესახებ. ცნობილია რუსუდანის ელჩის ვინაობა — დანიისის ეპისკოპოსი.

იმავე დროს იგზავნება პაპთან ივანე ათაბაგის წერილიც, რომელიც დაახლოებით მსგავსი შინაარსისაა; აქ კვლავ აღნიშნულია, რომ „თათრებმა“ ანუ მონღოლებმა ქრისტიანობის მოჩვენებით მოგვატყუეს და ექვსიათასამდე კაცი გაგვიწყვიტეს, ხოლო შემდგომ რა ვსცანით, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანები არ იყვნენ... 25 ათასი ცხენოსანი გავუწყვიტეთ, ზოგნიც დავატყვევეთ და დანარჩენიც ჩვენის საზღვრებიდგან გავდევნეთ“...[5] ივანე მხარგრძელიც აცხადებს მზადყოფნას „წმ. საფლავის“ გამოსახსნელად ლაშქრობაში მონაწილეობის შესახებ.

თუ რუსუდანი და ქვეყნის მხედართმთავრის — ივანე ათაბაგის წერილებს პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ, მაშინ შეიძლება ვილაპა-

---

1 J. Richard. La papauté et les missions d'orient au moyen age (XIIIe-XVe siècles). 1977. გვ. 53.

2 L. Tardy. Relations entre la Hongrie et la Georgie aux XIII-^{e}-XVIIIe siècle. "Bedi Kartlisa revue de Kartvelologie". Paris. 1968. vol. XXV. გვ. 112.

3 თამარაშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 7.

4 იქვე. გვ. 7-8.

5 იქვე. გვ. 9.

რაკით სამეფო კარის გასაოცარ არაინფორმირებულობაზე, რაც, თავისთავად, ქართული დიპლომატიის ნაკლიცაა. თუ აქ გარკვეული დიპლომატიური ჩანაფიქრია, მაშინ აღნიშვნა იმისა, რომ მონღოლები დავამარცხეთ, 25 000 კაცი გავუწყვიტეთ, დანარჩენები დავატყვევეთ (ამდენი მონღოლი პირველ გამოჩენაზე არც შემოსულია საქართველოს) ან გავდევნეთ საზღვრებს გარეთ, საქართველოს სამეფო ტახტის მხრიდან არის დიპლომატიური ფანდი, რათა თავისი გამარჯვებით ძლიერების წარმოჩენით და მახლობელ აღმოსავლეთში ქვეყნის მნიშვნელოვანი ადგილის ხაზგასმით მიიპყროს დასავლეთი ევროპის ყურადღება; იგი უნდა გავიგოთ როგორც ქართული დიპლომატიის ცდა, დაამყაროს საერთაშორისო კავშირები ევროპასთან, გამოიწვიოს მათი ინტერესი, რის შემდეგაც შესაძლებელია მიიღოს სათანადო დახმარებაც. ქვეყნის სიძლიერის ხაზგასასმელად და დასავლეთის ხელისუფალთა მოზიდვის მიზნით, ორივე წერილში მოცემულია ცდა „თათრებთან" პირველი მარცხის მიზეზების ახსნისა:[1] „ქრისტიანები გვეგონა", „კარგი ქრისტიანები არ იყვნენ" ან „უშმარიტი ქრისტიანები არ იყვნენ" და სხვ. ამის თქმის საშუალებას საქართველოს მხარეს ისიც აძლევს, რომ ჯებე და სუბუდაი, თავისი საბოქაულო გეგმიდან გამომდინარე, გამოჩენიდან მოკლე ხანში ბართლაც ტოვებს ქართველთა სამეფოს და იმიერკავკასიაში გადადის, სადაც მათ კალკაზე ბრძოლა ელოდებათ.

1224 წელს პაპი ჰონორიუს III საპასუხო წერილებს გზავნის, სადაც რუსუდანისადმი წერილში კმაყოფილებას გამოთქვამს ქართველთა მზაღყოფნით „წმინდა ადგილების" დახსნის თაობაზე, სამეფო კარს ატყობინებს მომავალი ჯვაროსნული ლაშქრობის შესაძლო თარიღს; პაპის ეპისტოლეებიდან ნათლად ჩანს, რომ დასავლეთში კარგად ესმით საქართველოს მნიშვნელობა „ურჯულოებთან" „წმინდა მიწებისათვის" ომში: „თქვენი რწმენა მით უფრო მისაღებია, რამდენადაც თქვენ ამ რწმენას იცავთ ურჯულო ხალხთა გარემოცვაში. ამ ურჯულო ხალხთა შორის თქვენ ანათებთ, როგორც ლამპარი სიბნელეში და იტანჯებით ისე, როგორც შროშანი ეკლებში, რისთვისაც დაჯილდოებული იქნებით, მიაღწეეთ რა სასურველ მიზანს".[1] რაც შეეხება რაიმე რეალურ დახმარებას, პაპი ვერაფერს ჰპირდება და აღნიშნავს: „თუმცა კი ხორციელად შორს ვართ, გარნა თქვენთან ვიმყოფებით სულითა და გონებითა, თვალით გხედავთ თქვენა და თქვენის სამეფოის ქრისტიანებს".[2] ივანე

---

[1] პაპის. გრიგოლ IX-ის წერილებშიც ლაპარაკია ქართველების „თათრებზე" გაჭარჯვების შესახებ.

[2] ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.). I, თბ., 1984, გვ. 80.

[3] მ. თამარაშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 10.

ათაბაგს კი მისადმი გაგზავნილ წერილში პირდაპირ მოუწოდებს: „. გულმოდგინებით ვამხნევებთ შენს კეთილშობილებას, რათა, შენის მშვენიერის და საქებელის დაპირებისამებრ, ისე მოემზადო მთელის შენის მხედრობით, როგორც შეშვენის შენს დიდებულებას, რომ შეეწიო ქრისტიანეთა მხედრობას და სათანადო სამსახური მიაგო იესო ქრისტეს".[1] ამ დიპლომატიურ ურთიერთობებს ჰონორიუს III-თან რაიმე რეალური შედეგები არ მოჰყოლია. საერთაშორისო ვითარებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების გამო საქართველო-ევროპის ურთიერთობა სხვა მიმართულებით წარიმართა, იგი შესუსტდა, გარეგნულად რელიგიურ საფარველში გაეხვია და მისიონერული მოღვაწეობით დაკმაყოფილდა.[2]

რომის პაპთან ურთიერთობის შემდგომი ეტაპი გრიგოლ IX-ის (1227-1241) პაპობის ხანასთანაა დაკავშირებული. სწორედ მის დროს, XIII ს-ის 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში, საქართველოში ჩნდებიან პირველი მისიონერები, კერძოდ, ფრანცისკელთა ორდენის წევრები, ე. წ. მინორიტები (მორჩილი ძმები). გრიგოლ IX-ს რუსუდანისა და მისი ძე — დავითისათვის (დავით VI ნარინი) ორი „წიგნი" მოუწერია. 1233 წლის აპრილის წერილით პაპი სამეფო კარს სთხოვს საქართველოში მინორიტების ორდენის წევრთა მფარველობას. 1229-1230 წლებში საქართველოში მოსული ფრანცისკელები მღვდელმონაზონ იაკობ როგსანელის (იაკობ დე როსანო) ხელმძღვანელობით 1233 წელს თბილისში თავის სალოცავს აარსებენ. ქართველთა სამეფოში დამკვიდრებისთანავე ისინი სამეფო კარს უკავშირდებიან და ქვეყნის დიპლომატიურ საქმიანობაში ებმებიან.[3] იაკობი ეპისტოლეში მოხსენიებულია როგორც მოციქული, რომელსაც სხვა კათოლიკებთან ერთად სპეციალური დავალება ჰქონდა აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. პაპის წერილიდანვე ვგებულობთ, რომ იაკობ როგსანელს პაპისათვის უამბნია: საქართველოს მეფე „პატივით ეპყრობოდა ორდენის მისიონერებს და იმ შრომას, რომელსაც მათი საშუალებით ეწეოდა რომის პაპი".[4] მისიონერებს საღვთო საქმის გარდა საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებშიც, პოლიტიკური მეთვალყურეობა და ინფორმატორობა ევალებოდათ.

---

1 მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11-12.

2 შ. ლომსაძე. გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან (ახალციხური ქრონიკები), თბ., 1979, გვ. 7.

3 იქვე.

4 ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XX სს-ის პირველი ნახევარი), III, გვ. 16.

პაპის გრიგოლ IX-ის მეორე წერილით ნათელი ხდება, რომ რუსუდანსაც მიუწერია პაპისადმი „წიგნი“, რომელშიც მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება უთხოვია (წერილი რუსუდანისა და დავითის (დავით VI ნარინი) სახელით ჩანს გაგზავნილი); ასევე ირკვევა, რომ საქართველოს სამეფო ტახტს. თხოვნაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, ქართული ეკლესიის რომის კათოლიკურ ეკლესიასთან შესაძლებელი შეერთების შესახებ განუცხადებია. მაგრამ პაპის საპასუხო წერილში, რომელიც 1240 წლის 13 იანვრით თარიღდება, დიპლომატიური ენით, ქართველთა თხოვნაზე ფაქტობრივი უარია განცხადებული; პაპი ლაპარაკობს თავიანთ სიძნელეებზე, ითხოვს: „თქვენც ჩვენ (კათოლიკები, დ. ნ.) შეგვიბრალეთ, რადგან სარწმუნოების მტერი ჩვენც ძლიერ გვდევნის. გარდა ამისა, რომ სარკინოზები ისპანიასა და სირიაში დევნიან კათოლიკე სარწმუნოებას, ზოგიერთი ქრისტეს სარწმუნოებისაგან განდგომილნი წინ აღგვიდგნენ, რაც კი შეეძლოთ, დაუწყეს ღვთის ეკლესიას დევნა, უნდათ ახალი მწვალებლობის დამყარება... ნუღარ გაგიკვირდებათ, თუ რომის ეკკლესიის მხედრობა არ მოდის თქვენ შესაწევნელად თათრების წინააღმდეგ. სარკინოზნი, რომლებსაც სირიაში ვეომებით, არ გამოუშვებენ მანდეთ ჩვენს მხედრობას. ამ თქვენმა ამბავმა ძლივს მოაღწია ჩვენამდე. ქრისტეს სარწმუნოების დაცვისათვის დაუცხრომლად ვეომებით მტერსა იტალიასა, სირიასა და იაპონიაში. ამიტომ აღარ შეგვიძლია დაგეხმაროთ“.[1] ასეთი უარის შემდეგ პაპი გრიგოლ IX დიდი სიხარულით მოდის რუსუდანის მიერ შემოთავაზებულ ეკლესიათა გაერთიანების საკითხზე და, ბუნებრივია, თანხმობას აცხადებს: „ხოლო რაც შეეხება იმას, რომ თხოულობთ ჩვენთან ბეჭრთებას, ამაზედ დიდად ვაქებთ თქვენს დიდებულებას; უკეთუ აკმაედე თქვენი ცხონების სისრულეს რამე აკლდა, აწ ეს თქვენი შეერთება სრულ ჰყოფს მას“... და იქვე ამატებს: „ვთხოვთ თქვენს დიდებულებასა, რათა შემოუერთდეთ რომის ეკკლესიას, მის მწყემსს დაემორჩილოთ და ამ სამოციქულო საყდრის მორჩილება მიაღებინოთ ყველა თქვენთა ქვეშევრდომთაც“.[2] როგორც ი. ტაბაღუა აღნიშნავს, გრიგოლ IX-ის ამ წერილის სხვა ვარიანტებიც არსებობს, ერთ-ერთ მათგანში აღნიშნულია: „თუ მეფის მონანიების ცრემლები ძვირფასი იყო პაპისათვის, არა ნაკლები სიხარულით აღავსო გული მისი სურვილმა ქართველი მეფისა და დედოფლისა, რომელთაც სწყურიათ რომაულ ეკლესიასთან

---

1 ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XX სს-ის პირველი ნახევარი), III, გვ. 15. წერილის ბოლო გამოცემა, იხ: იქვე, I, გვ. 86, 187-190.

2 მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15-16. 17.

შეერთება".[1] ბუნებრივია, პაპი დიდი აღფრთოვანებით შეხვდებოდა რომის ეკლესიასთან შესაძლებელ გაერთიანებას — საქართველო დასავლეთში ჯერ კიდევ ძლიერ სამეფოდ ითვლება, ხოლო მისი ეკლესიის საკათალიკოსო ტახტი აღმოსავლეთის ქრისტიანობაში ერთ-ერთ უპირველეს ცენტრს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, თვლიდა პაპი გრიგოლ IX, რომ საქართველო-რომის ეკლესიების შეერთება საერთოდ დასავლეთისა და აღმოსავლეთის გათიშული სამწყსოების გაერთიანების საწინდარი გახდებოდა.[2]

თავისი იდეებით გატაცებული პაპი სხვა ორდენის მისიონერებსაც გზავნის საქართველოში — გრიგოლ IX-ის სახელს უკავშირდება, კერძოდ, დომინიკელთა ორდენის წევრების მოსვლა: „ ... ვგზავნით თქვენთან მოქადაგეთა წესის ძმათა უგუიჩინოს, იაკობს, ბენეევენტოს, რუბინოს, პეტრეს, ბერნარდეს, ლამბერტის და გვიძარდოს, რომელნიც ძლიერნი არიან სიტყვითა და საქმით".[3] ამდენად, 10 წლით ადრე მოსულ ფრანცისკელთა ორდენის მისიონერებს XIII ს-ის 40-იან წლებში დომინიკელთა ორდენის წევრები მოჰყვნენ, რომლებიც თბილისში 1240 წელს თავიანთ კათოლიკურ მონასტერს აარსებენ. შემდგომ ხანაშიც, ჯერ პაპი ინოკენტი IV-მ (1243-1254) და შემდეგ პაპი ალექსანდრე IV (1254-1261) დიდ ყურადღებას უთმობენ საქართველოში სამისიონერო საქმიანობას: ი. ტაბაღუას მოჰყავს პაპი ინოკენტი IV-ის 1245 წელს აღმოსავლეთში გამოგზავნილ ეპისტოლეში ჩართული წერილი სათაურით — „ქართველთა პატრიარქს, რათა იგი დაუბრუნდეს ერთიან ეკლესიას" (დაწერილია ქ. რიეტში 1245 წლის 15 ივლისს): თუ რომის ეკლესიასთან „ გაერთიანებას კეთილი სურვილით განახორციელებ რაც შეიძლება მალე, ხალისით შეუერთდები მას მთელი შენი ქვეყნით, გადალახავ რა ყველა ხელშემშლელ დაბრკოლებას; მით უფრო მეტი იქნება შენი დამსახურება ეკლესიის წინაშე, რამდენად მეტ მორწმუნეს დაარწმუნებ, მიჰყვეს შენს საქებარ გზას. ჩვენ შენი დიდი იმედი გვაქვს. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს ამ თხოვნას შეასრულებ"...[4] ამ დროს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ II (1240-1280) იყო.

1247 წელს ინოკენტი IV-ის დროს ფრანცისკელ ანდრეა და პერუჯას და ამ ორდენის სხვა მისიონერებს დავალებული ჰქონდათ ქართული ეკლესიის რომთან დაკავშირება, ქადაგება გაერთიანებულ თემაზე; ამავე საკითხებზე მუშაობენ 1258 წელს პაპი ალექსანდრე IV-ის მიერ საქართ-

---

1 ი. ტაბაღუა. დასახ. ნაშრომი, გვ. 86.
2 შ. ლომსაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 7.
3 მ. თამარაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 17.
4 ი. ტაბაღუა. დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

ველოში გამოგზავნილი დომინიკელთა და ფრანცისკელთა საკმაოდ დიდი ჯგუფი.

ამავე დროს, რომის პაპები საწყის ეტაპზე ყველა ხერხს მიმართავდნენ, რათა „წმინდა მიწების“ განთავისუფლების იდეით აეყოლიებინათ ევროპა მუსლიმური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში; სირია-პალესტინაში ჯვაროსანთა მდგომარეობა უმძიმესი იყო, პაპთა ბრძანებების მიუხედავად რეალური დახმარება არსაიდან ჩანდა. დგება საკითხი: ისევ კითარებაში, როცა კათოლიკური დასავლეთი ვერაფრით შველიდა „წმინდა ადგილებისა“ და „წმინდა ქალაქის“ დასნის საქმეს, როცა შველა მხოლოდ მისიონერული საქმიანობით ამოიწურება, რამდენად მართებული ჩანს რუსუდანის სამეფო კარის გადაწყვეტილება — აქცენტი აეღო რომის პაპისაგან თითქოს მოსალოდნელ დახმარებაზე?!

ფაქტია, რომ რუსუდანის სამეფო კარის დიპლომატია ორიენტაციას რომის პაპზე იღებს და ენერგიულად საქმიანობს მასთან კავშირის დასამყარებლად. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ნაბიჯი შეცდომა იყო, რადგან უშუალო მეზობლებთან (რუმის სასულთნო, ბიზანტია...) მეგობრულ, დიპლომატიური ურთიერთობისა და მონღოლთა წინააღმდეგ გაერთიანების ანუ ანტიმონღოლური კოალიციის შექმნის მაგივრად რუსუდანმა „მთელი იმედები გადამთიელ რომის პაპზე დაამყარა“; ბ. სილაგაძის სიტყვებით, ქვეყნის ხელმძღვანელობას, მის პოლიტიკურ მესვეურთ კარგად უნდა სცოდნოდათ, რომ „საერთაშორისო ავტორიტეტდაკარგული საქართველოს დასაცავად ევროპა მონღოლთა მახეში თავს არ გაყოფდა. ჯვაროსნული ომების ინიციატორებს საქართველო მაშინ სჭირდებოდათ, როცა მას აღმოსავლეთში უძლიერესი სახელმწიფოს სახელი ჰქონდა გავარდნილი და მისი დახმარებით მუსლიმური პოლიტიკური ერთეულების შემუსვრასა და მცირე აზიაში გაბატონებას ფიქრობდნენ“.[1] 1240 წლის 13 იანვრის გრიგოლ IX-ის წერილში მართლაც აღნიშნულია, რომ პაპისაგან მის მიერ წარმოებულ ბრძოლების მომიზეზებით, საქართველოს ხელისუფლება რეალურ დახმარებაზე უარს და მხოლოდ გარკვეული სინანულის გამოხატვას ღებულობს — თქვენმა მდგომარეობამ „ჩვენი სიხარული გაგვიმწარაო“. სამაგიეროდ, იგზავნებიან მისიონერები, რომის პაპი აღფრთოვანებულია კათოლიკური და ქართული ეკლესიების გაერთიანების შესაძლებლობის გაჩენით. ისიც აღსანიშნავია, რომ პაპი იმ პერიოდში არარსებულ ბრძოლებს იმიზეზებს, როცა სამხედრო თვალსაზრისით დახმარებაზე უარს

ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 62-63.

ამბობს.[1] ბ. სილაგაძის შეფასებით, „გრიგოლ IX-ის პასუხი საქართველოს დედოფლის აბუჩად აგდების კლასიკური მაგალითია“.[2]

ვფიქრობთ, ასეთი შეფასებანი ოდნავ გადამეტებულია, მაგრამ თუ შედეგებით ვიმსჯელებთ, მართლაც დაახლოებით მსგავს დასკვნამდე მივალთ. უდავოა, რომ იმ პერიოდის საქართველოს სამეფო ხელისუფლებას დაბნეულობა ეტყობა, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი კი დაგვიანებული ღონისძიებების ელფერს ატარებენ. ამავე დროს, არ შეიძლება არ ითქვას, რომ ასეთ შეფასებას შემდგომი პერიოდის ჩვენთვის დღეს ცნობილი მოვლენებიდან გამომდინარე ვაკეთებთ: რუსუდანის თანადროულ ვითარებაში, როცა საქართველოს სამეფოს ძველი ბრწყინვალება ჯერ კიდევ სრულად არ გამქრალა და ისევ არსებობს ქრისტიანული (თუმცა კათოლიკურის) დასავლეთის დახმარების იმედი, ქართული დიპლომატია 2-3 საუკუნით წინ ვერ გაიხედავდა და ასეთი დასკვნის გაკეთებას ძნელად შეძლებდა — ყოველივე შემდეგ, გვიანდელი გადასახედიდან გამოჩნდა და გახდა ნათელი, ამიტომაც მდგომარეობიდან სხვა გამოსავალი გზების ძიება არ მოხდა. იმ წლებში კი ქართული დიპლომატები ჯერ კიდევ იმედოვნებდნენ, რომ შესაძლებელი იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჯვაროსანთა გაერთიანება და ამ ხერხით საქართველოს გადარჩენა. ამავე დროს, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, მონღოლთა წინააღმდეგ სხვა ძალებთან დიპლომატიური კავშირების დამყარების გარკვეულ ცდებს ქართული დიპლომატიის მხრიდან ადგილი, თუმცა წარუმატებელი, მაინც ჰქონდა.

ამდენად, XIII ს-ის I ნახევარში საქართველოს ხელისუფლების ევროპასთან დიპლომატიური ურთიერთობების დარეგულირების ცდებს რაიმე სახარბიელო არ მოჰყოლია და, როგორც ჩანს, საერთაშორისო პოლიტიკურ ძალთა ზემოაღნიშნული განლაგების პირობებში, უკეთესი შედეგების მიღწევა არც იყო მოსალოდნელი.

3. წინააღმდეგობა მონღოლთა სახელმწიფოებს (ულუსებს) შორის და საქართველო XIII საუკუნის II ნახევარში

მონღოლთა იმპერიაში მიმდინარე დაშლის პროცესის შედეგად 1256 წელს ჰულაგუ ყაენმა (1256-1265) საფუძველი ჩაუყარა მონღოლთა ახალ სახელმწიფოს, მეხუთე ულუსს, რომელსაც დამაარსებლის სახელის

---

1. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII-XIV საუკუნეებში, თბ., 1967, გვ. 18.
2. ბ. სილაგაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

მიხედვით ჰულაგუიდთა — ილხანთა სახელმწიფო ეწოდა. მასში შევიდა ხორასანი, ირანის ერაყი, ჩრდილოეთ ირანის ნაწილი, ამიერკავკასია, მცირე აზიის აღმოსავლეთი ნაწილი. იგი დიდმა ყაენმა 1261 წელს ცნო. თავდაპირველად საქართველოს ჯუჩის ულუსს (ოქროს ურდოს) ემორჩილებოდა. 1256 წლიდან საქართველო ილხანთა მონღოლურ სახელმწიფოს დამორჩილდა; ამავე ხანიდან მონღოლურ სახელმწიფოთა — ილხანთა და ოქროს ურდოს შორის მწვავე დაპირისპირება და ურთიერთბრძოლა იწყება. ასეთი ვითარება ქართულ სამეფოზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს: საქართველო ამ ორი ძლიერი მონღოლური ქვეყნის ინტერესების სფეროში მოექცა, მიმდინარეობს მათ შორის ბრძოლა ამ რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად. ირანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულმა ილხანთა მონღოლურმა სახელმწიფომ თავის პოლიტიკურ ცენტრად აზერბაიჯანი აქცია. ჩრდილოეთის ულუსი სამხრეთისაკენ საძოვრებისა და მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების ხელში ჩაგდებას ცდილობს, ილხანთა საპირისპირო მოქმედებანი კი ოქროს ურდოს აზერბაიჯანზე უფლებებს უსპობს, რასაც ბათო ყაენის ჩამომავალნი, თავიანთი სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, ადვილად ვერ შეეგუებოდნენ.

ნუმიზმატიკური მასალებით, XIV ს-ის I ნახევრამდე ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ოქროს ურდოს მონეტები არ გვხვდება და პირიქით, არც ილხანების მონეტებია აღმოჩენილი ჯუჩიდების ტერიტორიაზე. აქედან კარგად ჩანს, თუ რა დამოკიდებულება არსებობდა ამ ორ მონღოლურ პოლიტიკურ გაერთიანებას შორის; ამ ფაქტით კავკასიის გადასასვლელები ვაჭრობისათვის ჩაკეტილი ჩანს. ილხანთა ტერიტორიაზე გამავალი სავაჭრო-საქარავნო გზები ოქროს ურდოს ვაჭრებისათვის მიუწვდომელი ხდება. არსებული წყაროებით ირკვევა, თუ როგორ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული ოქროს ურდოს ელჩებისა თუ ვაჭრების მგზავრობა ეგვიპტეში და პირიქით.[1] ძველი სავაჭრო გზა, რომელიც ირანზე და შემდეგ დარუბანდით ჩრდილოეთით გადადიოდა, ამ პირობებში ახალ დატვირთვას — სამხედრო-სტრატეგიულ ფუნქციას იძენს, სავაჭრო მნიშვნელობას კი გარკვეულად კარგავს.[2]

ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის წინააღმდეგობამ საქართველოს ისედაც რთული მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. ქართულ დიპლომატიას ლავირების საოცარი უნარის გამოვლინება სჭირდება, რათა, მოქცეულმა ამ ორ ძლიერ სახელმწიფოს შორის, მათგან მომავა-

---

1 ც. ღვაბერიძე, კარჯინის ზარაფხანა, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XXXII-B. თბ., 1976, გვ. 204.

2 А. А. Али-заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII-XIV вв., Баку, 1956, გვ. 330.

ლი მოსალოდნელი საშიშროებანი შეძლებისდაგვარად მაინც აიცდინოს. საქართველოს ხელისუფლება, და კერძოდ მეფე, თუ ისკანდერ მუნშის ტერმინს გამოვიყენებთ, „ეშმაკობისა და მოხერხების მხრივ ბებერი მგელი“ უნდა გამხდარიყო — დროებით ერთ მისთვის სასარგებლო მხარეს გადახრილიყო, მაგრამ მომავლის პერსპექტივით არც მეორე მხარესთან მოეპრა მისასველელი გზები. ქართული დიპლომატია „ორმაგ თამაშს“ ეწევა, მონღოლთა შორის მწვავე დაპირისპირებას მოხერხებულად იყენებს, ხშირად მიმართავს ხერხს — ილხანებისადმი მუქარის მიზნით დარიალანის კარის გახსნას (ან გახსნის შესაძლებლობას), რითაც სამეფო კარი გარკვეულ შედეგებსაც აღწევს. განუწყვეტელი მტრობა და დაპირისპირება, როგორც პირველი, ისე მეორე მონღოლური სახელმწიფოს ხელისუფლებას აიძულებს, თავიანთ პოლიტიკასა და დიპლომატიურ გეგმებში ყოველთვის ითვალისწინებდნენ საქართველოს ინტერესებს. ორივე მოწინააღმდეგე მხარე მასში ხედავს ისეთ პოლიტიკურ ორგანიზმს, რომლის მხარდაჭერას მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

მრავალსაუკუნოვანმა კონიუნქტურულმა დიპლომატიამ წარმოშვა ისეთი ხერხები, როგორიც იყო ე. წ. „აზიური ეშმაკობა“, ორიენტაციის მონაცვლეობა, უცხო ძალის ხშირი გამოყენება და სხვ.[1] ასეთი ხერხებით ქართული დიპლომატია საკმაო წარმატებებსა და დამპყრობელთაგან გარკვეულ კომპრომისებს აღწევს.

XIII ს-ის საქართველოში „ორმეფობის“ წარმოშობისა და დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში გადასვლის შედეგად, იურიდიულად ჯერ კიდევ ერთიან საქართველოში რეალურად ორი პოლიტიკური ორგანიზაცია ჩამოყალიბდა. ორივე სამეფო ტახტი თავის დამოუკიდებელ დიპლომატიურ პოლიტიკას აწარმოებს მონღოლების წინააღმდეგ. ჩრდილოეთის ულუსსა და ილხანებს შორის ატეხილ ბრძოლებში ძირითადად აღმოსავლეთი საქართველო და მისი მეფეები არიან ჩათრეული.

პირველ რიგში, ასეთ დაპირისპირებაში დავით ულუ აღმოჩნდა: დავით ულუს ინტენსიური ურთიერთობა ჯერ კიდევ ბათო ყაენთან ჰქონდა: „მაშინ წარმოავლინა ელჩი დიდმან ყაენმან, რომელსა ეპყრა ყივჩაყეთი და ოვსეთი, ხაზარეთი, რუსეთი და ბორღალეთი, ვიდრე სერბეთამდე, დარუბანდამდე და ხატაეთამდე და მოუწოდა მეფესა დავითს. მაშინ წარვიდა წინაშე ბათოსა მეფე დავით“...[2] დიპლომატიური თვალსაზრისით, საინტერესოა ის პატივი, რაც დავით ულუმ ბათო-ხანისაგან მიიღო: „მაშინ შეიწყალა ყაენმან დავით მეფე, და მოსცა სუქური საჩრდილობელი, რომელი სხუასა არავის აქუნდის, თჳნიერ ყაენთა და ნა-

---

[1] ლ. ტუხაშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 256.

[2] ქამთააღმწერელი. გვ. 229.

თესავთა მათსა, და მოუმცნო ულოს, რათა თუნიერ ულოსისა ნოინისა კიდე ურდოს შესლვასა მეფის ზედათ არავინ დადგებოდის, რამეთუ ესე იყო წესი თათართა, რომელ ყაენს წინ არავინ დაჯდებოდის, არცა პურისა ჭამასა შინა. ესრეთ პატივ-სცა მეფესა, და წარმოავლინა სამეფოდ ქართლად".[1] ბათოსაგან დაბრუნებული დავით ულუ ახლა უკვე ილხანებთან მიდის: „ვითარ მოიწყო მეფემან სამეფო, წარვიდა ყაენს ულოს წინაშე ნიჭითა დიდითა, რომელი იხილა რა ულო ყაენმან, პატივითა შეიწყნარა, და ნოინთა თანა დააწესა წინა-სადგომად და ჯდომად, და განმკითხველად და ბეჭედ".[2]

ილხანებსა და ოქროს ურდოს შორის დაპირისპირებამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი ბერქა (1255-1266) და ჰულაგუ (1256-1265) ყაენების დროს მიიღო. ცნობილია, მაგ., როგორი ბრძოლა დასჭირდა საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან მომთაბარე ჩრდილოეთის უფლისწულის ერთ-ერთ ურდოს ვინმე ალათემურის მეთაურობით, რათა უკან დაბრუნებულიყო. ირანში მისულ ჰულაგუ ყაენს მონღოლთა სხვადასხვა ულუსების წარმომადგენელი უფლისწულები ახლდნენ თან. მათ შორის ოქროს ურდოდან: ყული, ბოლღა და თუთარ, რომლებიც ჩინგიზ-ხანის უფროსი ვაჟის — ჯუჩის შვილები იყვნენ. ეს უფლისწულები ილხანის სელისუფლებაში იწყებენ ჩარევას, რის გამოც, ჰულაგუს ბრძანებით, ნაძივენი დახოცეს. სწორედ მათი მხლებელი იყო ალათემური.[3] ქამთააღმწერლის ცნობით, მომხდარა ჰულაგუ ყაენის თათარ-ქართველთა ჯარისა და ალათემურის შეტაკება, რასაც შემდეგ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის აოხრება მოჰყვა. მან ძალით გაიკვლია გზა და შეძლო ჩრდილოეთის ულუსში გადასვლა.

ილხანებს, და კერძოდ, ჰულაგუ ყაენს, მწვავე დაპირისპირება ჰქონდათ მათ უპირველეს მტერთან — ეგვიპტესთან. დავით VII-ს, ყაენის მოთხოვნით, მონღოლთა დროშის ქვეშ მამლუქთა წინააღმდეგ მიმართულ ლაშქრობაში უხდება მონაწილეობის მიღება — „ეგუპტეს ზედა" საბრძოლველად ჰულაგუმ „მოუწოდა მეფესა დავითს ყოვლისა სპითა მისითა, და წარვიდა ბრძოლად სულტანისა".[4] ილხანებთან ურთიერთობის პირველი ეტაპი საინტერესოდ დააფიქსირა ნუმიზმატიკურმა მასალამ: "Упоминания ильхана в Грузии всячески избегали, лишний раз стараясь подчеркнуть этим свою обособленность от государства ильханов" ამავე დროს, მნიშვნელოვანი იყო მონეტის ჭრის

---

[1] ქამთააღმწერელი, გვ. 230.
[2] იქვე. გვ. 231-232.
რ. კიკნაძე. ქამთააღმწერლის თხზულების ერთი ადგილის შესებისათვის, „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები", I, თბ., 1982, გვ. 148.
[4] ქამთააღმწერელი, გვ. 235.

საკითხისადმი თვითონ ილხანთა დამოკიდებულება: "несмотря на все возрастающее влияние и силу монголов, им приходилось считаться с Грузией, как с значительным и жизнеспособным государственным организмом".[1]

რაც დრო გადის, ილხანთა მოთხოვნები, მათ ლაშქრობებში ქართველთა მონაწილეობის შესახებ, უფრო და უფრო ინტენსიური ხდება. დავით ულუს სამეფო ტახტს ისედაც აუტანელი მდგომარეობა ჰქონდა შექმნილი, ამიტომ 1260 წელს იგი აჯანყდა —„შეიწრებულ იყო მეფე" და აღარ ნებავდა „მონება თათართა", რის გამოც „დაამტკიცა განდგომილება".[2] დავით ულუმ „წარავლინა მოციქული წინაშე რუსუდანისა ძისა, რათა შეიწყნაროს თათართაგან მორიდებული", რაზეც თანხმობა მიიღო. დავით ულუსა და დავით ნარინის თანამეფობა დასავლეთ საქართველოში მცირე ხნით გაგრძელდა. ქართულმა საშინაო დიპლომატიამ ვერ უზრუნველყო ორი მეფის თანხმობით ცხოვრება — „იქმნა განდგომილება ლიხთ-იმერეთით, და რომელნიმე წარმოუდგეს ლაშას ძესა, და რომელნიმე რუსუდანის ძესა".[3] საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ „სუანნი განიყვნეს ორად" და „იყო აშლილობა და შფოთი მრავალნი იმერით". თავად მეფეები სათანადო სიმაღლეზე აღმოჩნდნენ, რადგან „არა ავნებდეს ურთიერთას დავით და დავით". გადაწყდა — „რათა განყონ სამეფო ორად და საჭურჭლე ორად... და განყვეს ორად, ტფილისი ორად, ქუთათისი ორად".[4]

დავით VII ულუ შექმნილ ვითარებაში იძულებული ხდება, ილხანებთან შერიგებას ეცადოს. უმეფობის შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში წარმოშობილი ახალი გართულებების გამო (იგულისხმება აღმოსავლეთი საქართველოს მმართველად დიდვაჭარ შადინის დანიშვნის საკითხი და სხვ.) მისი სამეფო ტახტი გამოსავალს საზავო მოლაპარაკებათა დაწყებაში ხედავს. დავით ულუმ სწორი დიპლომატიური ნაბიჯი გადადგა და აშკარა ბრძოლა-დაპირისპირებას მოლაპარაკების გზა ამჯობინა. შექმნილი რეალიები სამეფო ტახტის დიპლომატიას სხვა მოქმედების საშუალებას არ აძლევდა. ამ პერიოდში მოიშალა „მსახურება თათართა", ამიტომ ურთიერთობის მოწესრიგებაში ილხანთა ირანიც დაინტერესებული იყო. „ინება კუალად ყაენმან ზავი მეფისა", მაგრამ ვიდრე „ზავის ყოფა" მოხდებოდა, წინასწარ სათანადო დიპლომატიური სამუშაოს ჩატარება და შესაბამისი გარანტიების მიღება იყო საჭირო

---

1 И. Джалагания, Из истории монетного дела в Грузии XIII века, Тб., 1958, გვ. 48.

2 ქამთააღმწერელი, გვ. 239.

3 იქვე. გვ. 243.

4 იქვე.

(ამ დროის დედოფალი გვანცა და მეფის ძე დემეტრე მონღოლებს ფაცა ურდოში ჰყავდათ).

ყაენმა არღუნს მოუწოდა, რათა ზავის საკითხზე დავით მეფესთან მოციქული გაეგზავნა — „მას უბრძანა ყაენმან, რათა მან წარავლინოს კაცი წინაშე მეფისა ზავისა ყოფად. და წარმოავლინეს მოციქული ზავისათჳს, რათა მისცეს სამეფო მისი ყოველი“... იმართება დიპლომატიური მოლაპარაკება. დავით მეფესთან მოსულ მოციქულს აუწყეს: „ეკეთუ ნებავს ყაენს შეწყნარება ჩემი, პირმშისა ძესა ჩემსა გიორგის წარმოავლენ წინაშე მათსა და უბოძოს სამეფო ჩემი, და დედოფალი გუანცა და ძე ჩემი დიმიტრი წარმოავლინოს ჩემდა, და ხოჯა-აზიზ მომეცეს, რათა სიკუდილითა მისისა შური ვიგო ნაქმართა მისთა, რომელნი ყენა ჩემ ზედა“.[1] აქვე დაცულია ცნობა დიპლომატიური მოლაპარაკებისას გარანტიების გარკვეული მექანიზმის არსებობის შესახებ: ასეთი ურთიერთობების დროს ნდობის ფაქტორი აუცილებელი იყო. რომელიც დავით მეფესა და ილხანებს შორის იმ პერიოდისათვის ნაკლებად არსებობს. მონღოლებს ასეთ გარანტად მეფის ძის-გიორგის მძევლად აყვანა მიაჩნიათ, თავის მხრიდან დავით მეფეს „დაუმტკიცეს ფიცთა მიერ, შესუმითა ოქროს საფიცარისათა რათა უვნებელად დაიცვას ძე მეფისა, და მისცეს სამეფო მისი“. დიპლომატიური მოლაპარაკების ერთ-ერთი ორგანიზატორია იმ პერიოდის გამორჩეულად აქტიური ფიგურა ენუქ არქუნი, რომელიც მოპირისპირე მხარეებს შორის — „შუა“ თავდებად ჩადგა: „ამის შუა შემოიყვანა ენუქ არქუნ, კაცი მართალი და პატიოსანი, სჯულითა ქრისტეს ჯუარისა თაყუანისმცემელი. და მან უთავსმდება ყაენსა, რათა არა ევნოს დავითს და ძესა მისსა გიორგის“.[2] ენუქ არქუნი — დიპლომატიაში საკმაოდ გაწვრთნილი მოღვაწე, შემდეგაც არაერთხელ ჩანს დავითსა და ილხნებს შორის წარმოებული მოლაპარაკებების დროს. ენუქი თვითონ მივიდა დავით ულუსთან და შეპფიცა მეფეს. გიორგი უფლისწული ყაენთან გაეგზავრა, სადაც დიდი პატივით მიიღეს, მას ილხანთა უმაღლესმა ხელისუფლებამ „მიანიჭა ყოველი სამეფო“, რასაც მოჰყვა დავით VII-თან ახალი მოციქულის გაგზავნა, „რათა მივიდეს მეფე დავით ეჯნს წინაშე“.[3]

დავით ულუ თავს იკავებს ილხანთა ცენტრში წასვლაზე და მიზეზად სხვადასხვა საკითხს ასახელებს (ხოჯა-აზიზის „არ-მიცემა“...); არღუნი ყაენსა შესთავაზებს, „წარსწყმიდონ ძე მეფისა“, რასაც ყაენის მეუღლე — ტონღუზ-ხათუნი და ენუქ არქუნი პროტესტით ხვდებიან („სიკუდილ-

---

1 ყამთააღმწერელი. გვ. 244.

2 იქვე.

3 იქვე. გვ. 245.

სა აღვირჩევთ“, — აცხადებენ ისინი). ილხანსა და ოქროს ურდოს შორის არსებული დამოკიდებულების თვალსაზრისით საინტერესოა ამ დროს დედოფლის მიერ წარმოთქმული სიტყვები:

„და ესეცა უწყოდე, რომელ ძმა შენი დიდისა ყაენისაგან ბათოს შვილი მრავალს მოციქულსა უგზავნის და დიდთა ნიშთა აძლევს, რათა მისცეს გზა დარიალანისა და დასავლეთისა, რამეთუ ორივე ჴელთა შინა მისთა არს, და ამასცა განგაზრახებ, ერთისა ბერისა სპარსისა ვაჭრისათჳს, რად დიდ ჴელმწიფესა გააძებ შენთა მტერთა ზედა, რამეთუ უკეთუ ბათოს ულუსი და მეფე შეიერთნეს, დიდნი შფოთნი აღდგებიან“.[1] აქ კარგად ჩანს დარიალანის კარის მნიშვნელობა, ნათლადაა მითითებული, თუ როგორ მუშაობს მისი ფენომენი, როგორ ეშინიათ ილხანებს მისი „ჯახსნისა“ და რამდენად ახდენს იგი გავლენას დიპლომატიურ ურთიერთობათა განვითარებაზე — ამ კონტაქტების შედეგებზე. საკითხის ასეთი კუთხით დასმის შემდეგ ილხანთა პოზიცია შეიცვალა, ყაენი დათმობებზე წავიდა და გარანტიების შესრულებაზეც პირობა განაცხადა. ამის შემდეგ ტონღუზ-ხათუნს დავით ულუსათვის „წიგნი ფიცისა“ გამოუგზავნია, სადაც აიმედებს მეფეს, რომ მას „არა ევნოს ყაენისაგან. უკეთუ მოვიდეს ურდოს, პატივითა დიდითა პატივ-სცეს, და სამეფო დაუკლებელად მისცეს“.[2]

ენუქ არქუნი თბილისში მიდის, მისი და ლიხთ-იმერეთიდან გადმოსული დავით მეფის შეხვედრა „სურამს შუა“ ხდება. დავით ულუს „წიგნი ფიცისა“ გადაეცა (აქვე მის მიერვე სიკვდილით იქნა დასჯილი ხოჯა-აზიზი), ენუქთან მილაპარაკების შემდეგ მეფე ურდოში წასვლაზე თანხმდება. თბილისში დავით ულუს ყოფნისას ყაენისაგან კვლავ ელჩი იგზავნება, რომელიც მის სიტყვებს გადასცემს მეფეს: „მეფესა მოვინდობ, ხოლო პაპა სარგისს არა მოვინდობ“, მიუხედავად ამისა, სარგის ჯაყელი მეფესთან ერთად ყაენის კარზე მაინც გამოცხადდა.

დავით ულუს ჰულაგუმ უმძიმესი ბრალდება წაუყენა: „რად ჰქმენ განდგომა ჩემი, და ბრძანებასა ჩემსა რად ურჩ ექმენ, და არღუნს შემოები? არა დიდნი კეთილნი ვქმენ შენ ზედა? დაკარგული და სიკუდილად განწირული გუელთაგან აღმოგიყვანე ჯურღმულით და მეფედ დაგადგინე“.[3] ასეთი სიტყვების შემდეგ, „არღარა აქუნდა პასუხი მიგებად მეფესა“.[4] დავით ულუს ეხმარებიან სარგის ჯაყელი, სადუნ მანკაბერდელი, რომელიც ამ დროს თარგმნიდა მათ სიტყვებს და ენუქ არქუნი.

ქართველი, გვ. 246.
[2] იქვე.
[3] იქვე. გვ. 247.
[4] იქვე. გვ. 248.

დავით ულუ გადარჩა. ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს იგი მის მომხრეთა არგუმენტებმა გადაარჩინეს, სინამდვილეში საქმე სულ სხვა ვითარებამ შემოატრიალა. რა პარადოქსულიც არ უნდა იყოს, აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ჩრდილოეთის მონღოლებმა გადაარჩინეს. ოქროს ურდოსა და ილხანთა წინააღმდეგობა კულმინაციას აღწევს, დავით ულუს საკითხის გარჩევისას ჰულაგუ ყაენთან მივიდა მისი მოხელე — „ჯზის მცველთა ყაენისთა, რომელთა ყაფულობით უწოდდეს“,[1] რომელმაც მოახსენა ყაენს: „არა არს ჟამი მეტყუელებად, რამეთუ შეიძრა ულუსი დიდი დიდისა ყაენის ბათოსი, და შვილი მისი, ყაენი დიდი ბერქაი, მოვალის გზასა დარუბანდისასა უმრავლითა, დიდათ დიდითა ლაშქრითა“.[2]

ამიერკავკასიის სამხრეთით, მესოპოტამიის ტერიტორიაზე სავაჭრო-სატრანზიტო გზა უდიდეს როლს ასრულებდა ევროპისა და აზიის საშუამავლო ვაჭრობის საქმეში. სწორედ მასზე ბატონობისათვის იბრძოდნენ ჰულაგუიანები და ჯუჩიანები, თოხთამიში და თემურ-ლენგი. ოქროს ურდოს მხრიდან ამ გზაზე მუდმივი საშიშროების არსებობის გამო ირანის ილხანებმა აღნიშნული სავაჭრო-სატრანზიტო გზა უფრო სამხრეთისაკენ გადასწიეს. ამან გამოიწვია მის ახლოს მდებარე ქალაქების აყვავება (თავრიზი...) და მისგან უფრო მოშორებით დარჩენილთა მნიშვნელობის დასუსტება (ბარდავი-განჯა-ანისი-თბილისი).[3] ოქროს ურდოს სამხრეთის გზებზე გაბატონებისათვის მისწრაფებას მოჰყვა შედეგად 1262 წელს ბერქა-ყაენის ლაშქრობა (ასევე იყო მომდევნო პერიოდს ლაშქრობებისას) ანუ მონღოლთა სახელმწიფოებს შორის დაპირისპირება ომში გადაიზარდა:

ბერქა ყაენი, რომელიც ჰულაგუიანებისათვის საშიშ ძალას წარმოადგენდა, სამხრეთისაკენ დაიძრა. 1262 წელს დარუბანდთან მოხდა მძიმე ბრძოლა, რომლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილენი დავით VII ულუ და სარგის ჯაყელი იყვნენ. სწორედ ამაში დევს ჰულაგუ ყაენისაგან პატიების ახსნის მოტივები: მონღოლთა ორივე დაპირისპირებული მხარისათვის საქართველოს მეფისა და მისი ლაშქრის პოზიციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. დავით ულუ ითხოვს, ქართველები ბერქას წინააღმდეგ „წინამბრძოლად“ აჩინონ, ჰულაგუსათვის კი მათი ოქროს ურდოს საპირისპიროდ გამოყენება ძალზე მომგებიანი იყო. ამდენად, ილხანებისათვის დახმარების პირობით დავით ულუს ეპატია და გასა-

---

1 ჟამთააღმწერელი, გვ. 248.

2 იქვე.

3 Я. А. Манандян, О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древнейших времен (V в. до н. эры – XV в. н. эры), Ер., 1930, გვ. 202.

მართლებაც შეწყდა.[1] ამიერიდან, ჰულაგუ ყაენისათვის აღმოსავლეთი საქართველოს მხარდაჭერა და დარიალანის კარის საკითხი მათთვის საბოლოოდ უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო. 1263 წლის აპრილს ბრძოლა ჰულაგუს დამარცხებით დასრულდა, თუმცა ბერქა ყაენი საქართველოში აღარ შემოსულა, რაც, როგორც ჩანს, ყამთააღმწერელმა ილხანთა გამარჯვებად მიიჩნია — „ივლტოდა სპა ბერქასი"...[2]

ოქროს ურდოს გააქტიურებამ და დარიალანის კარის დაცულობის უზრუნველყოფის საკითხმა ილხანთა მხრიდან ქართველ ხელისუფალთ და მის მოსახლეობას უმძიმესი სამხედრო მოვალეობა — ჩრდილოეთის ულუსის შესაკავებლად სიბაზე დგომა დააკისრა — „რამეთუ გონებდა გამოსლვასა ბერქა ყაენისასა. და ამით ყამთაგან იწყეს სიბასა ზედა დგომად თათართა".[3] ამ პერიოდიდან დავით ულუსა და ქართველთა მოვალეობას ჰულაგუ ყაენის მიერ შირვანის საზღვართან აგებულ სანგრებში ყოველწლიურად (შემოდგომიდან-გაზაფხულამდე) დგომა წარმოადგენდა.

1265 წელს ადრე გაზაფხულზე „დიდი ყაენი" ბერქა დარუბანდის გავლით მეორედ შემოიჭრა ამიერკავკასიაში. ილხანებს უკვე ახალი ხანი — აბაღა ყაენი (1265-1282) ჰყავდათ. დავით ულუს საქეფო დიპლომატიას ორიენტაცია (სხვა შესაძლებლობა, როგორც ჩანს, არც იყო) კვლავ ილხანებზე აქვს: „ამას აბაღას წინაშე წარვიდა ძეფე დავით, და ფრიად პატივითა შეიწყნარა და პატივ-სცა".[4] აბაღა და ბერქა ყაენების ბრძოლის პოლიგონად საქართველო იქცა, რისი აცდენაც დავით VII ულუმ ვერ შეძლო. ამ ლაშქრობის დროს „შეედვა სალმობა რამე ბერქას, და მოკუდა", რასაც მისი ჯარის უკან გაბრუნება მოჰყვა. მისმა ლაშქრობებმა უმძიმესი კვალი დაამჩნიეს საქართველოს როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

შემდგომი ეტაპია ილხანი აბაღა ყაენისა და ჩრდილოეთელი უფლისწულის — თეგუდარის დაპირისპირება და მათ შორის ამტყდარი ომების ხანა. ყამთააღმწერელის სიტყვებით, დაიწყეს „განდგომილება თათართა ურთიერთას, რამეთუ განუდგა ყაენსა აბაღას თეგუდარ ყაენი".[5] თეგუდარის მთავარ მიზანს, რომელიც ირანში იმყოფებოდა, აბაღა ყაენის ტახტიდან ჩამოგდება წარმოადგენდა. მისი ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა — ამ უმძიმეს ბრძოლებში საქართველო კვლავ ჩართუ-

---

1 ბ. ლომინაძე. ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის ომები და საქართველო. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები". III, გვ. 575; ლ. ტუხაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 271.

2 ყამთააღმწერელი. გვ. 249-250.

3 იქვე. გვ. 251.

4 იქვე. გვ. 254.

5 იქვე. გვ. 257.

ლი აღმოჩნდა, მან ქვეყნის მთელი სამხრეთი რეგიონები მოიცვა და მხოლოდ 1269/70 წლებში დასრულდა.[1] აბაღა ყაენთან „მოვიდა კაცი გზათა მცველთა ხუარასნით, ვითარმედ: „შეიძრა ულუსი დიდი თურანისა, და ყაენი დიდი ბარახა გამოვიდა ჯეონსა, უამრავითა ლაშქრითა".[2] წინასწარ შემუშავებული გეგმით, თეგუდარი და შუა აზიის ყაენი — ბარახა ერთმანეთს უნდა შეერთებოდნენ და აბაღას თავს დასხმოდნენ; თეგუდარის ბარახასთან შეხვედრა დარუბანდის გზით იყო ჩაფიქრებული, ამიტომ მას საქართველო უნდა გაეელო — იგი სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან შემოვიდა, ყველისთავის მახლობლად მომხდარ ბრძოლაში აბაღას მიერ გამოგზავნილმა ჯარმა თეგუდარი დაამარცხა, რის შემდეგაც მისი ლაშქარი გაიფანტა.[3] ყამთააღმწერლის მიხედვით, დავით ულუ ამ ბრძოლებში მონაწილეობას ღებულობს და თავის გამოჩენასაც ცდილობს.[4]

თეგუდარი ლიხთიქითში დავით VI ნარინთან გადადის, სადაც ახალი ბრძოლებისათვის ემზადება და არცთუ უშედეგოდ: მისმა სარდლებმა აბაღას ლაშქარი დაამარცხეს, რის შემდეგაც თეგუდარი ქართლში ბრუნდება; ბუნებრივია, ამას ამ რეგიონების აოხრება მოჰყვა. ჩრდილოეთელი უფლისწულის — თეგუდარის თარეშით უკმაყოფილო ქართველები და სომხები აბაღასთან მიდიან და მის დასჯას ითხოვენ.[5] ილხანი აბაღა ყაენი საბოლოო დარტყმისათვის ემზადება, რაშიც ქართველთა მხარე აქტიურად მონაწილეობს. მონღოლთა შორის არსებული ეს დაპირისპირება, რომელსაც ქართული ტერიტორიების აოხრებაც მოჰყვა, თეგუდარის დაპატიმრებით დასრულდა.

დავით ულუ ყოველთვის ცდილობს მოწინააღმდეგე მტრის გარეშე ძალები როგორმე საქართველოსათვის სასიკეთოდ გამოიყენოს, მაგრამ ამას, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მხოლოდ ზოგჯერ თუ აღწევს; ღალღურის მონღოლური რაზმების თარეშის დროს იგი ჩრდილოეთ კავკასიელებს დაეყრდნო და მოიგერია ისინი, ხოლო თვითონ მონღოლთა ძალებით, რომელთაც ჯანასი მეთაურობდა, საიმედოდ ჩაკეტა დარიალანის კარი და კავკასიონის გადმოსასვლელები. მიუხედავად ზოგიერთი წარმატებისა, დავით VII ულუს კარის დიპლომატიამ ვერ უზრუნველყო ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამოსწორება, იგი კიდევ უფრო დამძიმდა, რასაც ეკონომიკური კრიზისი მოჰყვა; ვერც ბასილი უჯარმელ-ჭყონდიდელის აგრარულმა

---

1 ბ. ლომინაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 579.
2 ყამთააღმწერელი. გვ. 262.
3 ბ. ლომინაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 580.
4 ყამთააღმწერელი. გვ. 262.
5 გრიგოლ აკანელი, გვ. 67.

პოლიტიკამ გამოიღო სათანადო შედეგები; 1248-1265 წლებში ბასილი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართულ პოლიტიკაში, განსაკუთრებით, დავით ულუს საქართველოში არყოფნის პერიოდში. ამ დროს იგი სამეფოს რეალური მმართველი იყო და სათავეში ედგა XIII ს-ის შუა ხანების დიდი ეკონომიკური კრიზისის დაძლევისაკენ მიმართულ სახელმწიფო პოლიტიკას. ამ ნიადაგზე მას უთანხმოება ჰქონდა საქართველოს - ეკლესიის უმაღლეს წარმომადგენლებთან. საბოლოოდ, დავით ულუც ბასილის საწინააღმდეგო პოზიციას იკავებს, რასაც მისი სიკვდილით დასჯა მოჰყვა. ვფიქრობთ, საინტერესო ეპიზოდია ამ ეპოქის საქართველოს საშინაო დიპლომატიის დახასიათების თვალსაზრისით.

დავით VII ულუს მეფობის ხანაშივე ადგილი ჰქონდა უმძიმეს ფაქტს: მონღოლთა მიერ კარგად მოფიქრებული პოლიტიკის შედეგად 1266 წელს ქართულ სამეფოს გარკვეული ხანით გამოეყო სამცხე, რომელიც „ხას-ინჯუდ“ იქცა და უშუალოდ ყაენს დაექვემდებარა. ეს იყო XIII ს-ის ქართული დიპლომატიის ერთ-ერთი უდიდესი წარუმატებლობა.

1270 წელს ხამეფო ტახტზე დემეტრე II თავდადებული ადის. მისი მცირეწლოვანების გამო აბაღა ყაენმა მეფეს მეურვედ სადუნ მანკაბერდელი დაუნიშნა; მონღოლთავე გადაწყვეტილებით დემეტრემ მას ათაბაგობა უბოძა. ქვეყნის ფაქტობრივი გამგებელი ნიჭიერი, გაჭნილი პოლიტიკოსი და მოხერხებული დიპლომატი — სადუნ მანკაბერდელი ხდება. ეამთააღწერელის სიტყვებით, ერთი მხრივ „სადუნი კეთილად განაგებდა საქმეთა საქართველოსათა, რამეთუ დღეთა მისთა არა იქმნებოდა თათართაგან ძალი და უსამართლობა, არცა დიდთა ნოინთაგან, არცა ელჩითაგან. და ესრეთ აღშენდა საქართველო და მოირჭუნა“.[1] მაგრამ, მეორე მხრივ, მისი ასეთი გადიდკაცება მონღოლური დიპლომატიის ნაყოფი იყო და მათსავე წისქვილზე ასხამდა წყალს. მონღოლები, როგორც სხვა პერიოდებში, ახლაც დაპყრობილ ქვეყნებში მათ მიერ აღზევებულ მედროვეებს ეყრდნობიან და მარჯვედ იყენებენ თავიანთი პოლიტიკის გასატარებლად. ყაენმა სადუნი „ფრიად განადიდა“, რის შედეგადაც დემეტრე მეფე „ხელთა შინა სადუნისთანა იყო“. ასეთი ვითარება ხელს უწყობდა და აგრძელებდა ერთიანი სამეფოს ცენტრალიზებული ხელისუფლების დასუსტების პროცესს, რაც ქვეყნის დაშლას შეუქცევადს ხდიდა.

სადუნის ათაბაგობა-ამირსპასალარობამ და ამ კუთხით მონღოლთა ზეწოლამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა დემეტრე თავდადებულის პოლიტიკა და მისი დიპლომატიის ძირითადი მიმართულებანი. მეფე დემეტ-

---

[1] ეამთააღმწერელი, გვ. 272.

რემ ვერც სრულწლოვანების პერიოდში მიაღწია სასურველ შედეგებს. მამლუქთა ეგვიპტისა და ილხანთა ირანს შორის არსებული დაპირისპირების პერიოდში ჰულაგუიანთა ვასალი დემეტრე II იძულებულია ყაენის მიერ ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში მუდმივად მიიღოს მონაწილეობა; ასევე თავს ვერ აღწევს სიბაზე ხშირი დგომის მოვალეობასაც. ყოველივე იწვევს მეფის სამეფო ტახტზე დიდი ხნით არყოფნას, რაც თავისთავად ართულებს სიტუაციას ქვეყნის შიგნით.

დემეტრე II იმ დიპლომატიური ხაზის გამტარებელია, რომლითაც პრიორიტეტი ეძლევა არა აშკარა ბრძოლასა და დაუმორჩილებლობას, არ.ამედ ერთგვარად პასიურ, მორჩილ პოლიტიკას და ასეთ ვითარებაში ლავირების საშუალებით გარკვეული შეღავათებისა თუ კომპრომისების მიღწევას. მონღოლთა ბატონობის პერიოდის ქართული დიპლომატიის ეს ხაზი საქართველოს სამეფო კარის დიპლომატიური საქმიანობის მეორე მიმართულებას უპირისპირდება, სადაც პრიორიტეტი ეძლევა ორიენტაციის მონაცვლეობას, მოპირისპირე ძალაზე დაყრდნობას — მაგ., ეგვიპტის სასულთნოს თუ ოქროს ურდოს ილხანთა ბატონობის წინააღმდეგ გამოყენებას და სხვ.

დემეტრე მეფე ილხანთა ლაშქრობების უკლებლივი მონაწილეა; განსაკუთრებით იგი ეგვიპტის მამლუქთა წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლებში აქტიურობს. დემეტრე II-ის ქართული ლაშქარი, ისევე როგორც დავით ულუს დროს, კვლავ ასეთი დევიზით მოქმედებს: „არა არს წესი ჩუენ ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩუენ კერძო მომავალი, შეუბმელად ზურგი შევაქციოთ, დაღათუ იყოს სიკუდილი“.[1] და მართლაც იყო სიკვდილი, დიდი დანაკლისი — მონღოლთა ინტერესებში შემავალ, მაგრამ საქართველოსათვის ყოვლად უაზრო ბრძოლებს ქართველთა მრავალრიცხოვანი მსხვერპლი მოჰყვა; ქართული ლაშქარი ისე თავგანწირვით იბრძოდა, რომ „თათარნი განკურდეს“, რასაც უმძიმესი შედეგები მოჰყვა — „უმრავლესნი ქართველნი მოისრნეს“, — ხაზგასმით აღნიშნავს ყამთააღმწერელი. 1281 წელს ჰემსის ბრძოლაში თავად დემეტრე თავდადებულიც ძლივს გადაურჩა სიკვდილს. რა შედეგი შეიძლება მოეტანა დემეტრეს ასეთ პოლიტიკას: როგორც ჩანს, ეს იყო ცდა, რომ ერთგულებისა და თავგანწირვის საფასურად საქართველოს ხელისუფალთ ილხანებისაგან ქვეყნისათვის გარკვეული კომპრომისები მაინც მოეპოვებინათ.

დემეტრე II თავდადებული, საგარეო ვითარების ასეთ ფონზე, შეეცადა ქვეყნის შიგნით არსებული მძიმე შინაპოლიტიკური ვითარების გა-

---

[1] ყამთააღმწერელი. გვ. 262.

მოსწორებას, გაუკაცრიელებული ადგილების ხელახლა დასახლებას, ეკლესიისათვის უძრავი ქონების ჩამორთმევას და მის სათანადოდ გამოყენებას, მაგრამ მან სასურველ შედეგებს ვერ მიაღწია: გრძელდება ეკონომიკური დაქვეითება, მწარმოებელი მოსახლეობა მძიმე კრიზისს განიცდის, კვლავ აოხრდა კახეთი და ჰერეთი, ყოველივეს კი მძიმე მიწისძვრაც დაემატა და სხვ.

ილხანებისა და ოქროს ურდოს მწვავე ურთიერთდაპირისპირების პირობებში აბაღა ყაენი იძულებულია გააქტიუროს დიპლომატიური საქმიანობა და მოკავშირეები ეძებოს. მან ახალი კუთხით დააყენა ჰულაგუიანებისა და ქრისტიანული სამყაროს დამოკიდებულების საკითხი: აბაღა ყაენი ასეთ პარტნიორად ქრისტიანულ ბიზანტიას მიიჩნევს, რომელიც თავის მხრივ ილხანებთან დიპლომატიური ურთიერთობებით ძალზეა დაინტერესებული — ცნობილია, რომ 1269/70 წლებში ჩრდილოეთის მონღოლები თავს ესხმიან ბიზანტიურ მიწებს და სხვ. ასეთ საერთაშორისო ვითარებაში დიდი როლი ენიჭება საქართველოსა და მის პოზიციას. ამ კუთხით საინტერესოა, რომ აღნიშნულ ხანაში მთლიანად შეიცვალა საქართველოში მოჭრილი მონეტის ტიპი: "Не подлежит сомнению, что эта смена типа монеты стоит в связи с постепенным ослаблением связей между хулагундским и центральным монгольским государством, а с другой стороны, стремлением ильхана Абаги — войти в союз с христианами (Византия и малоазийские города крестоносцев) против восставших со всех сторон подвластных ему мусульманских правителей"[1] სწორედ ამ პერიოდში, პირველად საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანაში, მონეტებზე ჩნდება ილხანთა სახელები, მაგრამ, რაც მთავარია, ადგილი აქვს მის საკმაოდ თავისებურ შერწყმას ქრისტიანული რწმენის სიმბოლოსა და ჯვრის გამოსახულებასთან.[2] ეს გარკვეულწილად დიპლომატიური აქტიც იყო: ესპანეთიდან ამიერკავკასიის ჩათვლით მთელ ტერიტორიაზე ქრისტიანებსა და მუსლიმებს, ეკონომიკურ-სავაჭრო ინტერესებიდან გამომდინარე, მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ; ასეთი ურთიერთობანი წარმოშობენ ისეთი მონეტის ემისიის საჭიროებას, რომელიც ერთნაირად მისაღები იქნება როგორც მუსლიმებისათვის, ისე ქრისტიანებისათვის — ამან განაპირობა „ქრისტიანულ-მუსლიმური მონეტის" წარმოშობა და ასეთ ტიპის საქართველოში გაჩენა. ი. ჯალაღანიას აზრით, ეს გამოწვეულია თვითონ ჰულაგუიდების სახელმწიფო-

---

[1] И. Джалагания, Из истории монетного дела в Грузии XIII века, Тб., 1958, გვ. 54-55.

[2] იქვე. გვ. 55.

ში, აბაღა ყაენის მმართველობის ბოლო პერიოდში, შექმნილი მძიმე ვითარებით, რამაც იგი აიძულა, კომპრომისზე წასულიყო და მონეტებზე თავისი სახელის გვერდით ქრისტიანული ლოცვა და ჯვარი მოეთავსებინა — "Грузия действительно была единственной из подвластных хулагуидам стран, чеканивший монету с христианским символов веры" [1]

ასეთ ვითარებაში ბუნებრივია ჰულაგუიანთა ცდები ქრისტიანულ ევროპასთან დიპლომატიური კავშირის დამყარების მხრივ.[2] 1276-1277 წლებში ადგილი ჰქონდა საინტერესო ფაქტს დიპლომატიურ ურთიერთობათა ისტორიის თვალსაზრისით: ილხანებისა და ეგვიპტის მწვავე დაპირისპირების გამო და, აქედან გამომდინარე, მონღოლთა მიერ დასავლეთში მოკავშირეების ძებნის მიზნით, 1276 წელს ევროპაში აბაღა ყაენის ქართველი ელჩები — ძმები იოანე და იაკობი ჩადიან. ამ დიპლომატიური მისიის მიზანს მონღოლებსა და დასავლეთ ევროპას შორის კავშირის შეკვრა წარმოადგენდა, რასაც ერთიანი ლაშქრობის მომზადება და განხორციელება უნდა მოჰყოლოდა მამლუქთა სასულთნოს წინააღმდეგ.

1276 წლის შემოდგომაზე ქართველმა ელჩებმა რომის პაპს აბაღა ყაენის წერილი ჩაუტანეს, რაც მანამდე რომის პაპის მიერ ყაენისადმი გაგზავნილი დიპლომატიური მისიიდან გამომდინარე პასუხს წარმოადგენდა. ცნობილია, ქართველ ელჩებს დავალებული ჰქონდათ, პაპისათვის გადაეცათ, რომ მონღოლთა დიდი ყაენის — ყუბილაის სურვილია მონღოლეთში მისიონერების გაგზავნა ქრისტიანული რელიგიის პროპაგანდის მიზნით. თ. ნატროშვილის აზრით, მონღოლთა მიერ ელჩებად ქართველების — იოანესა და იაკობის არჩევა შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. ენების ცოდნა და სხვ., შესაძლოა, მათ კათოლიკობაც ჰქონოდათ მიღებული, რაც გარკვეულად თითქოს ხელს შეუწყობდა მათი მისიის წარმატებას კათოლიკურ ევროპაში.[3]

1277 წელს აბაღა-ყაენის ქართველი ელჩები აუდენციაზე წარსდგნენ საფრანგეთის მეფე ფილიპე III-სა და ინგლისის მეფე ედუარდ I-თან, სადაც ისინი დიდი პატივით მიიღეს. რადგან პალესტინაში ინგლისთან ერთად ჩაფიქრებული ერთიანი ოპერაციის შესრულებისას მონღოლებმა

---

[1] Н. Джаладагания, Из истории монетного дела в Грузии XIII века, Тб., 1958, გვ. 56-57

ილხანების ევროპის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ იხ: J. A. Boyle, The Il-chans of Persia and the Christian West, "The Mongol World Empire", London, 1977, გვ. 556-560; J. Richard, The Mongol and Franks, "Orient et Occident au Moyen Age: Contacts et relations:, London, 1976, გვ. 45-55.

თ. ნატროშვილი, მაშრიყით მაღრიბამდე, გვ. 165-166.

იპასიურეს, ამიტომ აბაღა-ყაენი ქართველი ელჩების საშუალებით ბოდიშს უხდის ინგლისის მეფეს და ხელმეორე გაერთიანებას სთავაზობს საერთო მტრის წინააღმდეგ. აბაღას ელჩები ინგლისიდან რომში ჩადიან და პაპისაგან ყაენისათვის გადასაცემ წერილს ღებულობენ. ინგლისსა და საფრანგეთში შექმნილი რთული ვითარებისა და რომის პაპის ავტორიტეტის დაცემის გამო, ამ დიპლომატიურ მისიას რეალური შედეგები არ მოჰყოლია — „მონღოლთა დიპლომატიური ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან იმით დამთავრდა, რომ ედუარდ I-მა მიმინოები გაუგზავნა ძღვნად აბაღა-ყაენის ძესა და მემკვიდრეს არღუნ-ყაენს, ხოლო ამ უკანასკნელმა ლეოპარდი უფეშქაშა ინგლისის მეფეს".[1] სავარაუდოა, რომ კათოლიკურ დასავლეთ ევროპასა და მონღოლებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების მოგვარების მცდელობის საქმეში ქართველი ელჩების მონაწილეობის შესახებ საქართველოს მეფე დემეტრე II თავდადებულსაც* უნდა სცოდნოდა.

დემეტრე II თავდადებულის მეფობის ბოლო პერიოდში ილხანებსა და ოქროს ურდოს შორის კვლავ გრძელდება მწვავე ურთიერთდაპირისპირება — 1289 წელს დემეტრე მეფე მონღოლთა ლაშქართან ერთად იბრძვის ჩრდილოეთის ურდოს წინააღმდეგ დარუბანდის ციხე ანიყასთან: „მაშინ განუდგეს ყაენს დარუბანდელნი და წარვიდა ყაენი დარუბანდს, მოუწოდა მეფესა დიმიტრის, და წარყვა და შევიდეს დარუბანდს და ვერ წინააღუდგეს დარუბანდელნი, და ივლტოდეს სიმაგრესა ციხისასა, რომელსა ანიყად უწოდდეს, და გარე მოადგეს, და ვერა ავნეს რა. მაშინ ყაენმან არღუნ უბრძანა მეფესა, რათა ებრძოლოს, რამეთუ იყო ფრიად მაგარი. აღიჭურა მეფე, და სპა მისი, გარე-შეეხჯნეს და შეუჯდეს ციხესა, რამეთუ ბეგას შვილი რატი უპირველეს ყოველთა გავიდა, და წარულეს ციხე, და თავადნი მათნი დაჯოცნეს, და წარმოიღეს ტყუე და განძი და დედაწული მათი ურიცხჯ, და ციხე დაწუეს. ყოველსა ხედვიდა ყაენი".[2]

დემეტრესეული „თამაშის" შთამბეჭდავი მაგალითია მეფის „დიპლომატიური" ქორწინებანი:[3] მისი პირველი თანამეცხედრე ტრაპიზონის კეისრის ასული იყო, რითაც მან ბერძნულ ქრისტიანულ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხი დაარეგულირა; მეორე მეუღლეა მონღოლთა

---

[1] თ. ნატროშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

* 1283 წ. მასალებში მოხსენიებულია საქართველო, საქართველოს პატრიარქი, მეფე დემეტრე, იბერიის მეფე დავითი და საქართველოს ურთიერთობა ეთიოპიასთან (ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, გვ. 92), თუმცა რა იგულისხმება ამ ცნობაში, სამწუხაროდ, არ ჩანს.

[2] ქამთა

ერთ-ერთი ნოინის ქალიშვილი — სოლღარი, ამით ცდილობს მონღოლთა სამეფო კარისადმი დამოკიდებულების მოწესრიგებას ანუ მონღოლთა საკითხის „განეიტრალებას“ და ურდოდან გარკვეული მხარდაჭერის მიღებას; მესამე — სამცხის მთავრის ბექა I ჯაყელის ასული — ნათელა, რითაც იმედოვნებს მესხეთის სამეფო ტახტის სამსახურში ჩაყენებას. ასეთი „თამაშიდან“ არაფერი გამოვიდა.[1]

1281 წელს სადუნ მანკაბერდელის გარდაცვალების შემდეგ დემეტრე II-მ ათაბაგობა თავის აღმზრდელს — ტარსაიჭ ორბელს გადასცა, რითაც სადუნის მემკვიდრე — ყუთლუ ბუღა გადაიმტერა. მეფის ეს ნაბიჯი თითქოს სწორი ჩანს, იგი განდიდებული ფეოდალური სახლის ამბიციების დაცხრომასა და მისი გეგმების ხელშეშლას ცდილობს, მაგრამ დემეტრეს ეს ნაბიჯი მისთვის ტრაგიკული აღმოჩნდა. როგორც ჩანს, სამეფო კარის მიერ მონღოლთა ფაქტორი ბოლომდე არ იჭნა გათვალისწინებული — ჰქონდა კი ილხანთა მიერ დაპყრობილ ქვეყანაში მეფეს იმის ძალა, რომ ასეთი გეგმით ემოქმედა სადუნის „სახლის“ წინააღმდეგ?! ამას თან დაერთო ურდოში გახშირებული დინასტიური უთანხმოებანი, შეთქმულებები და გადატრიალებანი. რაშიც დემეტრე მეფეც აღმოჩნდა ჩათრეული: მეფეს მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა ილხანთა პირველ ემირ ბუღასთან, რომელიც ურდოს ფაქტობრივი გამგებელი იყო. იგი ყაენის კარზე საქართველოს მეფეს უპერდა მხარს სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას. 1288 წელს არღუნის (1284-1291) წინააღმდეგ გამეღაენებული შეთქმულების ხელმძღვანელობა ბუღას დაბრალდა, რის გამოც იგი სიკვდილით დასაჯეს. დემეტრე II ყაენის კარზე დაიბარეს. ურდოში წასვლის წინ დარბაზობაზე დემეტრე მეფემ მონღოლებთან მისი გამოცხადების აუცილებლობა დაასაბუთა და ბრძოლის — დაპირისპირების გზა უარყო. ეს სიტყვა საპროგრამო დოკუმენტია, რომელიც სხვა ფაქტებთან ერთად კარგად ახასიათებს დემეტრე II-ის დიპლომატიის კურსის მთავარ ნიშნებს. ლ. ტუხაშვილის აღნიშვნით, ამ პოლიტიკურ მოღვაწეს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ორიგინალური მეთოდები ჰქონდა შერჩეული — იგი საკუთარი თვითშეწირვისა თუ დათმობის ფასად დიდი სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაწყვეტას ცდილობდა.[2] ურდოში დემეტრეს სიკვდილით დასჯა საბოლოოდ მისი დიდებულის — ხუტლუ ბუღას მოქმედებამ განაპირობა: მან მეფობის ახალი კანდიდატი წამოაყენა — დავით VI ნარინის ვაჟი — ვახტანგი (ვახტანგ II), რომლის ტახტზე ასვლის შემთხვევაში მონღოლებს საშუალება ეძლევათ ლიხთ-იმერეთიც და

---

[1] ლ. ტუხაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 271.
[2] იქვე.

ლიხთ-ამერიც „ბრძანებასა შენსა (ყაენისა, დ. ნ.) მორჩილებდეს"; მითუმეტეს, როცა ილხანებისათვის „ლიხთიქითის" საკითხი საკმაოდ მწვავედ იდგა. ასეთ გადამწყვეტ მომენტში დემეტრე II-ს ყაენისათვის მისაღები პოლიტიკური პროგრამა არ აღმოაჩნდა. იგი 1289 წელს სიკვდილით დასაჯეს, ხოლო ხუტლუ ბუღამ ათაბაგობა და ამირსპასალარობა მიიღო; ახალი მეფის — ვახტანგ II-ის (1289-1292) ხელისუფლობისას მასვე დაევალა „ჯანგება სამეფოთა".[1]

წინააღმდეგობა მონღოლთა სახელმწიფოებს შორის, რაშიც საქართველო კვლავ ჩართულია, შემდგომ პერიოდშიც გრძელდება (ქართული დიპლომატია ისევ ლავირების პოლიტიკის გატარებას ცდილობს), რაზეც შესაბამის ნაწილში იქნება საუბარი.

4. დასავლეთ საქართველოს დიპლომატიური კონტაქტები XIII საუკუნის II ნახევარში

მონღოლთა დიდი ყაენის გადაწყვეტილებით, 1247 წლიდან[2] საქართველოში ორი დავითის თანამეფობა* იწყება; თბილისში „ორნი დასხდეს ტახტსა ზედა და რომ, რომელ მრავალი სიგელი იპოვების და თ'ჯთ მე მინახავს, რომელ სიგლებისა თავსა წერია: „მეფენი ბაგრატოანნი", და „ნებითა ღ' თისასა, დავით და დავით" და „ჯლითა და ორთავესი რთავს".[3] ხელისუფლების ასეთი ფორმა — სამეფო ტახტზე ერთდროულად ორი მეფის დასმა თავიდანვე სეპარატიზმისა და ცენტრის სისუსტის შემცველი იყო, რაც შემდგომ ძალზე რელიეფურად წარმოჩინდა. ქვეყანაში ისედაც არსებობდა ლიხთიქითის განყოფა-განდგომის ტენდენცია, რომელიც მონღოლთა პოლიტიკისა და სამეფო ტახტის დასუსტების ხანაში კიდევ უფრო ძლიერდება.[4]

1226 წელს ლიხთ-იმერეთში რუსუდანის გადასვლისა და ქუთაისის სატახტოდ ქცევის შემდეგ დასავლეთ საქართველოს დიდებულთა წრეში ჩნდება ამბიცია და ისახება იმედი ძველი მდგომარეობის დაბრუნებისა,

---

ქამთააღმწერელი. გვ. 293.

2 ნ. შოშიაშვილი, XIII ს. საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის. „საქ. სახ. მუზეუმის მოამბე". ტ. XVIII, 1954. გვ. 123.
ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს განსხვავებული თვალსაზრისი, რომლითაც თბილისში ორი დავითის თანამეფობა უარყოფილია; აღნიშნულია, რომ არავითარი „ორხელისუფლებიანობა" არ ყოფილა და ყაენიდან დაბრუნების შემდეგ სამეფო ხელისუფლებას დავით ულუ წარმოადგენდა (ბ. სილაგაძე. მონღოლთა მეორე გამოჩენა ამიერკავკასიაში. გვ. 75-76, 81).
ქამთააღმწერელი. გვ. 226; ვახუშტი. გვ. 213.

4 ვრცლად იხ.: დ. ნინიძე. ლიხთ-იქითის „მეფეთა" ისტორია XIV ს-ში. თსუ შრომები.

რომელიც XII ს-ის I მეოთხედიდან, თბილისში სამეფო ტახტის აღდგ-ნის შემდეგ, მათ თანდათანობით დაკარგეს. რუსუდანის თბილისში დაბრუნება, ქუთაისის მიერ სატახტო ქალაქის სტატუსის დაკარგვა და რუსუდანის ძის — დავითის თბილისში მაინც „ნარინად" ჯდომა ლიხთ-იმერეთის დიდებულთა სეპარატისტულ განწყობილებებს კიდევ უფრო აღვივებს.[1] მათი ინტერესებით კეებავენ დავით ნარინის გადაწყვეტილებას დასავლეთ საქართველოში გადასვლის თაობაზე.

ქართული ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია, რომ დავით ნარინი ლიხთ-იქითში 1259 წელს გადავიდა,[2] ამით „თანამეფობა" „ორმეფობამ" შეცვალა, ანუ იურიდიულად ჯერ კიდევ ერთიან ქვეყანაში ყალიბდება ორი დამოუკიდებელი სამეფო ტახტი თავისი შესაბამისი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკითა და სამმართველო აპარატით.

1260 წელს დავით ულუც, წარუმატებელი აჯანყების შემდეგ, ლიხთ-იმერეთში გადადის, სადაც საშინაო დიპლომატიის თვალსაზრისით საინტერესო ვითარება ყალიბდება — ორი დავითის „თანამეფობა" ქუთაისში; მათი ასეთი მეფობის გამოხატულებაა ორი დავითის გამოსახულებიანი კირმანეულის ტიპის მონეტების მოჭრა, რომელთა ემისია, სავარაუდოდ, სატახტოს — ქუთაისის ზარაფხანაში მოხდა, კერძოდ, 1261 წლის II ნახევრიდან 1262 წლის დამდეგისათვის.[3] ორი დავითის მონეტა საინტერესო ძეგლია ქვეყნის საშინაო დიპლომატიის დასახასიათებლად, რომელიც ნათლად მეტყველებს ლიხთ-იქითში მყოფი ბიძაშვილ-მამიდაშვილის ურთიერთთანხმობასა და მათ მისწრაფებებზე.

მართალია, „არა ავნებდეს ურთიერთას ორივე დავით და დავით". მაგრამ ფეოდალთა მაღალი წრეების ინტერესებმა თავისი გააკეთა — გავლენის მოპოვებისა და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლამ გამოიწვია „განდგომილება", „აშლილობა და შეუთანხმრავალნი იმერით". ორივე დავითი იძულებული გახდნენ მიეღოთ ცნობილი პოლიტიკური გადაწყვეტილება, როცა გაყვეს „სამეფო ორად... ტფილისი ორად, ქუთაისი ორად".[4] საბოლოოდ, წარმოიშვა „ორმეფობა", რომელიც მონღოლთა პოლიტიკისა და დიდებულთა სხვადასხვა წრეების ურთიერთბრძოლის შედეგს წარმოადგენდა. „პოლიტიკურმა სინამდვილემ საქართველო ორ ცალკეულ ერთეულად აქცია", — აღნიშ-

---

ბ. სილაგაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 79.

არსებობს ამ ფაქტის სხვა დათარიღებაც — 1249 წელს (ბ. სილაგაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 82).

თ. აბრამიშვილი. ორი დავითის მონეტა. „საქ. მუზეუმის მოამბე". XVI-B. თბ., 1950. 143.

ნავს ივ. ჯავახიშვილი.[1] ამდენად, საშინაო და საგარეო ფაქტორთა ურთიერთგადაჯაჭვამ და არსებულმა პოლიტიკურმა რეალობებმა ჯერ კიდევ იურიდიულად ერთიანი სამეფო ორ ცალკეულ ერთეულად აქცია თავისი შესაფერისი ატრიბუტებით — ტახტით, სამმართველო აპარატით, საკუთარი ფულით, დამოკიდებული საშინაო-საგარეო პოლიტიკით... „დარჩა ლიხთ-აქათი ღაშას ძესა დავითს და ლიხთ-იმერი რუსუდანის ძესა", — დაასკვნის ყამთააღმწერელი.[2]

როგორც აღინიშნა, 1256 წელს საქართველო ახლადჩამოყალიბებულ ირანის ილხანთა მონღოლურ სახელმწიფოს დამორჩილდა. განსახილველია, თუ როგორ გადაწყდა ლიხთ-იქითის საკითხი, დავით ნარინის სტატუსი და დასავლეთ საქართველოს ილხანებთან დამოკიდებულების ხასიათი:

მონღოლებს დავით ნარინთან ზავი არ დაუდიათ; ეს მისი სტატუსითა და ილხანთა დიპლომატიისათვის დამახასიათებელი წესებით იყო განპირობებული. პლანო კარპინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ისინი (მონღოლები, დ. ნ.) არავისთან არ ჰკრავენ ზავს იმათ გარდა, ვინც მათ ემორჩილებოდა".[3] სწორედ ასეთი პოლიტიკის გამტარებელია დავით ნარინი, რაც დასავლურ წყაროებში აისახა კიდეც:

საქართველოს ორად გაყოფა ევროპულ ისტორიულ წყაროებში არაერთხელ აღინიშნა. მარინო სანუტო „უფროსის" (დაახ. 1260-1334) შრომაში — „ჯვარის სარწმუნოების საიდუმლოთა შესახებ" აღნიშნულია: საქართველო „იყოფა ორ სამეფოდ, რომელთაგან ერთს უწოდებენ საქართველოს. ეს უკანასკნელი დღემდე, ძველებურად აზიის იმპერატორს (მონღოლთა დიდ ყაენს) ექვემდებარება. მეორე (სამეფოს) ეწოდება აფხაზეთი (ანუ დას. საქართველო), რომელიც თათრებს არ ემორჩილება".[4] კილიკიელი სომეხი ჰეთუმის (ჰაიტონი ევროპულ წყაროებში) „ისტორიით": „აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) მეფე ძლიერია მოსახლეობის სიმრავლით და თავისი ციხე-სიმაგრეებით. იგი არასოდეს ემორჩილებოდა არც თათრებს (ილხანებს) და არც აზიის იმპერატორს (დიდ ყაენს ყარაყორუმში)".[5]

ორად გაყოფა და ლიხთიქითის სტატუსი აისახა მარ[illegible] პოლოსთანაც: " дорога тут узка и опасна: с одной стороны море, а с другой высокие горы, и верхом по ним не проехать. Между го-

---

1 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III, თხზ. III, თბ., 1982, გვ. 74.

2 ყამთააღმწერელი, გვ. 229.

3 პლანო კარპინი, ისტორია მონღოლებისა, რომელ[illegible] ჩვენ თათრებს ვუწოდებთ, მსკი, ნაკ. II, თბ., 1942, გვ. 35.

4 ვ. კიკნაძე, უცხოელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 157.

5 იქვე.

рами и морем дорога очень узка, и теснина тяжется на четыре лье, несколько человек тут устоят против всего света... Гор, ущелий, крепостей здесь много, и татары не могли подчинить эту страну вполне";[1] ამ გამოცემის შენიშვნა-კომენტარებში მოყვანილია რამუზიოს კიდევ უფრო საინტერესო სიტყვები საქართველოზე, რომ "часть области подчинена татарскому царю, а остальная, по своей неприступности, царю Давиду" (Ramusio. Giovanni Battista. Delle navigationi e viaggi reccolto gia da G. B. Ramusio. In Venetia. vol. II. 1569).[2]

როგორც ვხედავთ, ევროპული წყაროებით ლიხთ-იქითი თათრებს არ ემორჩილება. 1243 წლის ზავის მიხედვით, დასავლეთი საქართველო, როგორც მონღოლთა უზენაესობის ნებაყოფლობით მცნობელი, ილხანთაგან გარკვეულად თავისუფალი რჩება ანუ, რადგან იგი ჯერ კიდევ ერთიანი პოლიტიკური ერთეულის ნაწილია, რუსუდან მეფის დროს, ლიხთ-იმერეთიც იხდის ხარკს დიდი ყაენისათვის, მაგრამ, სამაგიეროდ, მონღოლთა უმაღლესი მოხელეები და მათი ლაშქარი იქ ჩაყენებული არ იქნა.[3] ვითარება შეიცვალა დავით ნარინის ლიხთ-იქითში მეფობის ხანაში:

არსებობს აზრი, რომ დავით VI-მ გარკვეულად „ფორმალური დამოუკიდებლობა" შეინარჩუნა — იხდიდა გადასახადს, მაგრამ თავისი ლაშქრით მონღოლთა ლაშქრობებში არ მონაწილეობდა;[4] აღსანიშნავია, რომ ტრაპიზონის კეისარიც მანუილ I მონღოლებს ხარკს უხდიდა — ეს ფაქტი დასტურდება დასავლეთ-ევროპელი დესპანის 1253 წლის ცნობით.[5] რა დამოკიდებულება არსებობდა დავით ნარინსა და ილხანებს შორის, იხდიდა თუ არა იგი 1243 წლის ზავით გათვალისწინებულ ხარკს?!

დავით ნარინის ლიხთიქითში მმართველობის ხასიათი და მის მიერ წარმოებული პოლიტიკა გვიჩვენებს, რომ მისი დასავლეთ საქართველოში მეფობით ქვეყნის ამ მეორე ნაწილის მონღოლებისადმი დაქვემდებარება შეწყდა, მონღოლთა ყმადნაფიცობისაგან განთავისუფლდა და და-

---

[1] Книга Марко Поло, Перевод старофранцуского текста И. П. Минаева, редакция и вступительная статья И. П. Магидовича, М., 1956, გვ. 57-58.
იქვე. გვ. 250.
[2] ღვაბერიძე. ფულადი ტერმინების შესახებ XIV ს-ის სასისბლო სიგელებში. „საქ. სახ. მუზეუმის მოამბე". XXXV-B. 1981. გვ. 17.
[3] ე. კიკნაძე. დასახ. ნაშრომი. გვ 161.
[4] ივ. ჯავახიშვილი. ქართული ერის ისტორია. III. 1966. გვ. 205.

მოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.[1] ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, „დავით ნარინის აჯანყებისა და დასავლეთ საქართველოში გადასვლის შემდეგ, ლიხთიმერეთის ის პოლიტიკური დამოკიდებულება, რომელიც მონღოლთა საყაენოსთან რუსუდანის დროს დადებული ზავის დროს დამყარდა, შეწყდა... დასავლეთი საქართველო მონღოლთა ყმადნაფიცობისაგან განთავისუფლდა“ და „სრული დამოუკიდებლობაც“ მოიპოვა.[2] აქედან გამომდინარე, ასეთი მეფიდან ხარკის გადახდა მოსალოდნელი აღარ არის; ამიტომაც აღნიშნულია, რომ დავით ნარინმა ჰულაგუ ყაენისათვის ხარკის გადახდაზე უარი თქვა და ამით დასავლეთი საქართველო ილხანებისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად გამოაცხადა.[3]

თ. ბერაძე დასავლეთ საქართველოსა და მონღოლთა ასეთი ხასიათის ურთიერთდამოკიდებულებაში ტეხილს 1289 წლისათვის ხედავს: ამ წელს მწიფდება მორიგი კონფლიქტი ილხანებსა და ოქროს ურდოს შორის; ასეთ ვითარებაში დავით ნარინის პოზიციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. როგორც ჩანს, ჰულაგუიდები ყველაფერს აკეთებენ, რომ იგი თავის მხარეს გადაიბირონ — ამის გამოხატულებადაა ჩათვლილი ხუტლუბუღას „ჯეგმა“, რომელიც სამეფო ტახტზე დემეტრე II-ის მაგივრად დავით ნარინის შვილის ვახტანგ II-ის დასმას ითვალისწინებს; ილხანთა ჩანაფიქრით, დავით ნარინის გარდაცვალების შემდეგ, შეიქმნებოდა ხელსაყრელი სიტუაცია მონღოლთა პროტექტორატის აღსადგენად დასავლეთ საქართველოში. თ. ბერაძის აზრით, "за все это Давид Нарин должен был признать сюзеренитет Ильханов, со всеми вытекающими отсюда последствиями, возможно, даже с выплатой дани".[4] ამ პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობათა გათვალისწინებით, ხუტლუბუღას რჩევა მომავალი ვახტანგ II-ის გამეფების შესახებ, სხვა დატვირთვასაც იძენს. ამ ფაქტის განხორციელებაში იმდენად ქართველ დიდებულთა ინიციატივა არ არის გადამწყვეტი, რამდენადაც არსებული რეალური საერთაშორისო ვითარება.

რა ნაბიჯი გადადგა დავით ნარინმა, ისტორიულ წყაროებში პირდაპირ მითითებული არ არის; თ. ბერაძე ზოგიერთი ცნობის მინიშნებე-

---

1 ბ. ლომინაძე, მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40-იანი XIV ს. 10-იანი წწ.), „ნარკვევები“, III, გვ. 600; თ. აბრამიშვილი, XIII-XIV სს. დასავლურ-ქართული ფული (ცირმანეული), თბ., 1959, გვ. 38.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1982, გვ. 87, 92.

3 ბ. სილაგაძე, მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, II, გვ. 89.

4 Т. Берадзе, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989, გვ. 48.

ბით ფიქრობს, რომ ილხანები დავით ნარინზე თავიანთი ზეგავლენის მოხვევას ცდილობენ და მონღოლთა ლაშქრის ლიხთიჭითში შეკრითაც ემუქრებიან. ამავე დროს, მკვლევრის აზრით, ილხანთა მოკავშირე გენუელები დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ბლოკადით ემუქრებიან — ამის გარკვეულ დამამტკიცებელ საბუთად მოყვანილია 1290 წლის აპრილში კაფაში შედგენილი კონტრაქტი გემით თევზის გადაზიდვის თაობაზე მდინარე ყუბანიდან ტრაპიზონში, ბათუმსა და ფოთში: მასში აღნიშნულია, რომ ბათუმსა და ფოთში ვაჭრობასა და პორტში შესვლაზე აკრძალვის შემთხვევაში, მთელი თევზი ტრაპიზონში უნდა გადაიტვირთოს; გამოთქმულია მოსაზრება, რომ გენუელები დავით ნარინის წინააღმდეგ ასეთი საშუალებების გამოყენებას მიმართავდნენ იმ შემთხვევაში, თუ დავით მეფე ილხანთა წინადადებაზე არ დათანხმდებოდა.[1] თ. ბერაძის დასკვნით, დავით VI ნარინი ილხანთა ამ პირობებს დათანხმდა, აღმოსავლეთ საქართველოში მისი ვაჟი — ვახტანგ II (1289-1292) გ[illegible]ფდა, ხოლო რაც მთავარია — "в конце 1289 г. Западная Грузия была включена в политическую систему персидских монголов".[2]

ვახტანგ II-ის აღმოსავლეთ საქართველოში გამეფება, მართლაც, დავით VI ნარინის მხრიდან გარკვეული დათმობებისა და დიპლომატიური გათვლების შედეგია, მაგრამ ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოს ილხანთა პოლიტიკურ სისტემაში ჩართვა საიდან ჩანს?! ვახტანგ II-ის თბილისში გამეფებით პრინციპულად არაფერი შეცვლილა: ვახტანგ II აღმოსავლეთ საქართველოში რჩება და მისი ხელისუფლება ქვეყნის მარტო ამ ნაწილში ვრცელდება, ამდენად, იგი მხოლოდ ლიხთ-ამერის მეფე ხდება; დასავლეთში კი დავით ნარინი კვლავ დამოუკიდებლად ხელმწიფობს, მისი შვილის — ვახტანგის წინაშე ფიცის დადების ცერემონიალს იგი არ ესწრება, ასევე ვერ ვხედავთ მას შვილის მეფედ კურთხევაზეც. „აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსვლას, როგორც ეტყობა, ის ამ შემთხვევაშიც მოჰრიდებია", — აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი.[3] ი. სიხარულიძის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს მეფე თუ ამაზე დათანხმდა, არა იმიტომ, რომ ამიერიდან თათრებთან თანამშრომლობას აპირებდა, არამედ იმისათვის, რათა გაეფართოებინა გამათავისუფლებელი ბრძოლის ასპარეზი.[4] ასეთი ვითარება და დავით

---

[1] Т. Бералзе, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989, გვ. 48.

[2] იქვე.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, III, 1966, გვ. 234.

[4] ი. სიხარულიძე, ქართული ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII-XIV სს-ში, გვ. 149.

ნარინის ამგვარი ქცევა არ უშერს მხარს იმ მოსაზრებას, რომ დავით VI-ის დროს, 1289 წელს ლიხთ-იმერეთის სამეფო ილხანთა პოლიტიკურ სისტემაში იჭნა ჩართული.

ლიხთ-იმერეთისა და ილხანებს შორის პოლიტიკური დამოკიდებულების ხასიათში გარკვეული ცვლილება სავარაუდოა XIII-ის მიწურულს: მონღოლები დავით ნარინის დროს ცდილობენ ლიხთ-იქითში მათი უფლებების აღდგენას და ბუნებრივია, მისი გარდაცვალების შემდეგ ასეთი მცდელობები კიდევ უფრო აქტიური და ინტენსიური ხდება. რაშიდ ად-დინის „მიმოწერაში" დაცული ინფორმაციით, ყაზან ყაენის სირიაში ლაშქრობის დროს ლაშქრის ერთი ნაწილი — „მონღოლ ამირათა ჯამაათი... საქართველოსაკენ გამოემართა... სამსუნის, აფხაზეთისა (დასავლეთ საქართველოს, დ. ნ.) და ტრაპიზონის მიუვალ მთებში გამაგრებული ურჩი ხალხისა და ბილწი ბრბოს წესრიგში მოსაყვანად".[1] ამ ცნობიდან გამომდინარე, ც. ღვაბერიძე თვლის, რომ ყაზანის სარდლების დასავლეთ საქართველოში ლაშქრობა იმ მონღოლთა ძველი მდგომარეობის აღდგენას ითვალისწინებდა.[2] ლაშქრობა 1299-1300 წლებით უნდა დათარიღდეს. „მიმოწერიდან" ისიც ირკვევა, რომ რაშიდ ად-დინს საკუთარი მიწებიც (ზაფრანის მოზრდილი პლანტაციები) კი ჰქონია ლიხთ-იქითში. აქედან გამომდინარე, მკვლევარი თვლის, რომ ყაზანის სარდლების დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის დროიდან (1299-1300 წწ.) მოყოლებული, რუსუდანის დროს დადებული ზავის პირობები კვლავ განახლებული ჩანს.[3] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თ. ბერაძეს ეეჭვება ამ დროს მონღოლთა ლაშქრობის რეალურობა ტრაპიზონის იმპერიასა და დასავლეთ საქართველოში; ამ ხანისათვის, მისი აზრით, დასავლურ-ქართული სამეფო აღარ უნდა ცნობდეს ილხანთა ძალაუფლებას.[4]

წყაროებში პირდაპირი მითითება ამ საკითხზე არ არსებობს. ჩვენი აზრით, ამ პერიოდში (XIII საუკუნის მიწურული და XIII-XIV საუკუნეთა მიჯნა), არსებული რეალობების გათვალისწინებით, მაინც სავარაუდოა, რომ ლიხთიქითი ცნობს ილხანთა უზენაესობას და იხდის გადასახადს, ოღონდ საპირისპირო პირობით: მონღოლთა ლაშქარი და

---

1 კ. ტაბატაძე. რაშიდ ად-დინის ცნობები საქართველოს შესახებ, „ქართული წყაროთმცოდნეობა", II, გვ. 85-86.

2 ც. ღვაბერიძე, დასახ. მონოგრაფია, გვ. 116; მისივე. ფულადი ტერმინების შესახებ XIV ს. სასისხლო სიგელებში, „საკ. სახ. მუზეუმის მოამბე", XXXV-B, თბ., 1981, გვ. 18.

ც. ღვაბერიძე. დასახ. მონოგრაფია, გვ. 116.

4 Т. Берадзе, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989, გვ. 48-49.

ილხანთა მაღალი მოხელეები ლიხთიმერეთის სამეფოში არ უნდა შედიოდნენ.

შევჩერდეთ „ქუთაისის ტახტიდან“ დავით ნარინის მიერ წარმოებული დიპლომატიური საქმიანობის შესახებ:

ნ. ბერძენიშვილი თავის საარქივო ჩანაწერებში ჩერდება დავით VI-ზე და აღნიშნავს: „ნარინი მოხერხებული პოლიტიკოსია“ ან „ის ფრთხილი პოლიტიკოსი ჩანს“, ხოლო 60-იანი წლებიდან მის ლიხთიქითში ხელისუფლებას „ორიგინალურ მდგომარეობას“ უწოდებს.[1] დიპლომატიურ ურთიერთობათა თვალსაზრისით (ასევე იყო სხვა სფეროებშიც) დავით ნარინმა მართლაც მოხერხებული და ფრთხილი პოლიტიკა აწარმოა:

დავით ნარინის პირველი საფიქრალი ილხანებია, რომელთაც იგი აუჯანყდა. მეფე გარეგნულად ყოველმხრივ ცდილობს, არ გააღიზიანოს თათრები და ზოგჯერ გარკვეულ თანხმობასაც მიაღწიოს (მაგ., თეგუდარის შემთხვევაში); სამაგიეროდ, მონღოლებმა კარგად იციან დავით მეფის ფასი და იძულებულნი არიან, ასეთი მდგომარეობის მიუხედავად ითმინონ.

ილხანებთან ასეთ დამოკიდებულებაში მყოფი დავით ნარინის სამეფო კარის დიპლომატია ძირითადად ორიენტაციას იმ ქვეყნებზე იღებს, რომლებსაც თავად ჰქონდათ ჰულაგუიანებთან მტრული, დაპირისპირებული ურთიერთობა. დავით ნარინი „შეუძლებელია მთლად დამშვიდებული ყოფილიყო, რადგან მონღოლთა შურისძიების ამბავი კარგად იცოდა“.[2] ილხანებს, მნიშვნელოვანი სამხედრო კონფლიქტი აქვთ ეგვიპტის მამლუქთა სახელმწიფოსთან, აქტიურად მუშაობს მათთან დაპირისპირებული ბერქა ყაენის ფაქტორიც, ამიტომ დავით ნარინისათვის მათ სრულფასოვნად არ ეცალათ, რითაც ქართველ მეფეს უნდა ესარგებლა, ხელსაყრელი დრო ხელიდან არ გაეშვა და შექმნილი საერთაშორისო ვითარება სწორად გამოეყენებინა — „შორსგამჭვრეტელ პოლიტიკოსს მაინც არ უნდა დაჰვიწყებოდა, რომ მომავალში შესაძლებელი იყო ერანის ილხანს თავისი მრისხანე განზრახვისათვის მარჯვე დროცა და შესაფერისი ძალაც ეშოვა. ამიტომაც მოსალოდნელ განსაცდელისათვის წინასწარი სამზადისი იყო საჭირო“.[3] დავით ნარინმა თავისი საგარეო პოლიტიკური საქმიანობა სწორედ ამ კუთხით წარმართა. როგორც აღვნიშნეთ, ილხანთა მონღოლურ სახელმწიფოს მნიშვნელოვანი დაპირისპირება და მტრობა აქვს ოქროს ურდოსა და მამლუქთა

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, სის. IX. 1979, გვ. 238. 243.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III. თხზ. III. 1982. გვ. 87.

[3] იქვე. გვ. 87-88.

ეგვიპტესთან, ამდენად, ისინი დასავლურ-ქართული სამეფოს ბუნებრივი მოკავშირენი გამოდიან. აქედან გამომდინარეა დავით ნარინის დიპლომატიური საქმიანობა ეგვიპტესა და ოქროს ურდოსთან კეთილგანწყობილი, ურთიერთსასარგებლო კავშირების დამყარების მიზნით. ამდენად, საერთო მტერი — ილხანთა ირანი იყო მთავარი მიზეზი ამ სახელმწიფოთა დიპლომატიური მოკავშირეობისა.

დავით ნარინი ეგვიპტესა და ოქროს ურდოსთან დარეგულირებული ურთიერთობების ფონზე რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებას ცდილობს: ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოსათვის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა, არ აღმოჩენილიყო იზოლაციაში, რასაც მტრის პირისპირ მარტო ყოფნა შეიძლება მოჰყოლოდა; ამავე დროს, ამ დიპლომატიურ კონტაქტებსა თუ კავშირებს დავით ნარინის სამეფოს დამოუკიდებლობისათვის უფრო მტკიცე გარანტიები უნდა შეექმნა; ქვეყნის მოძლიერება შესაძლოა დახმარებოდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკოსებს ილხანებთან ურთიერთობის დარეგულირებაში, რაც უკვე სხვა პრობლემების გადაწყვეტის საფუძველს შექმნიდა — მათ შორის საერთაშორისო პოლიტიკის კუთხითაც, მაგ., საქართველოს პოლიტიკური გავლენის აღდგენა თუ შენარჩუნება ტრაპიზონის იმპერიაში და სხვ. თავის მხრივ, ილხანებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ მეფე დავით VI-გან ასეთი ნაბიჯები მოსალოდნელი იყო, ამიტომ ისინი შესაბამის ღონისძიებებსაც მიმართავენ; მაგრამ მოხერხებული და კარგი პოლიტიკოსობა სწორედ იმით გამოიხატება, რომ დავით ნარინი დროზე ითვალისწინებს მოვლენების ასეთი კუთხით განვითარებას და წინასწარ წარმართავს შესაძლებელ და სათანადო საქმიანობას, მათ შორის დიპლომატიურსაც.

იზოლაციის გარღვევისაკენ პირველი ნაბიჯი ეგვიპტესა და ოქროს ურდოსთან კონტაქტების დამყარება იყო, მითუმეტეს, ამ პერიოდში მათთან დაკავშირება შედარებით გაადვილდა: 1261-1262 წლებში ბიზანტიის იმპერატორ მიხეილ VIII პალეოლოგსა და ეგვიპტის სულთანს ბაიბარსს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ხმელთაშუაზღვისპირეთის მუსლიმური ქვეყნებიდან შავი ზღვა მხოლოდ მამლუქთა ეგვიპტისათვის გახდა ღია; ხელმეორე ასეთი ხასიათის ხელშეკრულება 1281 წელს დაიდო, რომელიც გარანტირებულს ხდიდა გადაადგილების უშიშროებას ეგვიპტესა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთს შორის ბიზანტიაზე გავლით.[1] ასეთი ვითარება, ბუნებრივია, სხვა

---

[1] Т. Берадзе, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989, გვ. 41.

პრობლემების მოგვარებასთან ერთად ელჩებსაც უადვილებდა მოძრაობას.

ამავე პერიოდში, 1260 წელს დამყარდა მეგობრული ურთიერთობა და კავშირი ეგვიპტესა და ოქროს ურდოს შორის, რომელიც შემდგომ პერიოდშიც განაგრძობს არსებობას. აღრიცხულია, რომ ეს სახელმწიფოები ერთმანეთში 50 ელჩობას უკეთებს ორგანიზაციას,[1] რაც დიპლომატიურ ურთიერთობათა მაღალ ინტენსივობაზე ლაპარაკობს. ამ საერთაშორისო მოლაპარაკებებში საქართველოს საკითხს სათანადო ადგილი უჭირავს და დავით ნარინი არსებული ვითარებით მაქსიმალურად უნდა სარგებლობდეს.

არსებობს მოსაზრება, რომ მამლუქთა სულთნის დესპანები 1260-1263 წლებში უნდა სწვეოდნენ საქართველოს შავიზღვისპირეთს და დაემყარებინათ დიპლომატიური ურთიერთობა დასავლურქართულ სახელმწიფოსთან.[2] ლიხთ-იქითში დავით ულუს სამეფო დიპლომატიის საპირისპირო პოლიტიკა წარმოებს; თუ დავით VII ულუ იძულებულია მონღოლთა დროშის ქვეშ ეგვიპტის წინააღმდეგ ლაშქრობებში მიიღოს მონაწილეობა, დავით ნარინის სამეფო კარი, პირიქით, ილხანთა წინააღმდეგ ბრძოლისა და ძალების გაერთიანების იმედით, სპეციალურ დიპლომატიურ მისიებს უკეთებს ორგანიზებას და ეგვიპტის სულთან ბაიბარსთან (1260-1277) გზავნის. ალ-მაკრიზის ცნობით, დავით ნარინის ელჩები სულთანის კარზე დიდძალი საჩუქრებით 1264-1265 წლებში გამოცხადებულან.[3] უეჭველია, ბაიბარსს ქართველთა ელჩობა და მათი პოზიცია ძალზე გაახარებდა, რადგან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ჰულაგუ ყაენის მოწინააღმდეგე მისი მოკავშირე ყოფილიყო. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, „თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩრდილოეთის, ანუ ოქროს ულუსის ყაენებსაც ილხანებთან ბრძოლის დროს სწორედ ეგვიპტის სულტნებთან ჰქონდათ გაცხოველებული მიწერ-მოწერა, ზემოაღნიშნულ გარემოებას უფრო მეტი პოლიტიკური მნიშვნელობა მიენიჭება“.[4]

ლიხთ-იმერეთისა და ეგვიპტის ურთიერთკონტაქტებს ივ. ჯავახიშვილი „მეგობრულ ურთიერთობას“ უწოდებს, რომელიც, როგორც ჩანს, ორივე მხარისათვის სასურველი და ურთიერთსარგებლიანია; ამიტომაც, ასეთი დიპლომატიური საქმიანობა შემდგომშიც გრძელდება: ანტიილხანური ძალები განსაკუთრებით XIII ს-ის 60-იანი წლების შუა ხანებიდან

---

1 Г. Бергзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

2 იქვე. გვ. 81.

3 ბ. სილაგაძე. საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, გვ. 89.

4 ივ. ჯავახიშვილი. ქართული ერის ისტორია. III, გვ. 88.

აქტიურდებიან. ფუნდუყდარი ჯაყოოსნებს დაუპირისპირდა და კილიკიას მიეძალა, ჩრდილოეთიდან ისევ ბერქა აქტიურობს, საილხანოს ჯუჩიანთა მოკავშირე ჩაღატაიანებთანაც გაუმწვავდა მდგომარეობა (1268 წ.), თეგუდარი აჯანყდა, მალე ბორაყიც გამოჩნდება — ასეთ ვითარებაში დავით ნარინის ტახტის დიპლომატიას არ შეიძლება შესაბამისი ღონისძიებებისათვის არ მიემართა; იგი, როგორც ჩანს, ახალ ელჩობას უკეთებს ორგანიზაციას. 1268 წელს ქართველი ელჩები კვლავ ქაიროს სწვევიან და ბაიბარსისათვის მათი მეფის წერილიც მიურთმევიათ. საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ დავით ნარინის ელჩები ეგვიპტეში შავი ზღვით ჩავიდოდნენ, ამ ორ სახელმწიფოს შორის XIII ს-ის 60-იან წლებში დიპლომატიურ ურთიერთობათა შედეგად პირდაპირი საზღვაო კავშირის დამყარებაც უნდა მომხდარიყო,[1] რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ ილხანებსა და ეგვიპტეს შორის მწვავე სამხედრო კონფლიქტი არსებობს.

ეგვიპტის სულთანს სხვა მიზნებიც ჰქონდა — განსაკუთრებით, იგი ტყვეთა სყიდვით იყო დაინტერესებული; ტყვეთა ექსპორტი ბაიბარსმა დაიწყო, რასაც ხელი შეუწყო 1261-1262 წლებსა და 1281 წლის ეგვიპტე-ბიზანტიის ზემოაღნიშნულმა ხელშეკრულებებმა. სულთანი ამ საკითხის სარეგულირებლად შავიზღვისპირეთში უკვე თავის სპეციალურ აგენტებსაც გზავნის. ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, ბიზანტიის იმპერატორი ვალდებულებას იღებდა, გაეტარებინა ეგვიპტელი და ყირიმელი ვაჭრები, რომელთაც ტყვეები მიჰყავდათ; მიხეილ VIII პალეოლოგმა ნება დართო, ყოველწლიურად შავიზღვისპირეთში, ყირიმსა და აზოვის ზღვაზე ერთი ან ორი გემი გამოეგზავნათ ტყვეთა შესყიდვის მიზნით, სამაგიეროდ, ტყვე-ქრისტიანთა გაყვანა-გაყიდვა მკაცრად იყო აკრძალული.[2]

არსებობს სხვა ცნობები, რომლებიც ასევე ადასტურებენ დასავლეთ საქართველოს სამეფოსა და მამლუქთა შორის დიპლომატიურ ურთიერთობათა არსებობას; მათში აღსანიშნავია, რომ ამ ხანაში „თბილისის მეფეთა“ ძალა შერყეულია და „აფხაზეთის“ (ე. ი. დასავლეთ საქართველოს) მმართველები მთელი საქართველოს ტახტზე აცხადებენ პრეტენზიას; კაირო აწარმოებს მიმოწერას როგორც „თბილისის“ (ანუ აღმოსავლეთ საქართველოს) მეფეებთან, ასევე „სუხუმისა და აბხასის“ მმართ-

---

[1] Т. Бердзе, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989, გვ. 81.

[2] იქვე. გვ. 122.

ველებთან — ერთსაც და მეორესაც საქართველოს მეფეებს უწოდებენ.[1] აქ ლაპარაკი უნდა იყოს როგორც ე. წ. „ქუთათისის ტახტის“ ანუ დავით ნარინის მიერ საფუძველჩაყრილი დასავლეთ საქართველოს სამეფოს ეგვიპტესთან დიპლომატიურ ურთიერთობებზე, ასევე, შესაძლებელია, იგულისხმება კაიროსა და ისეთი ძლიერი მთავრების კონტაქტები, როგორიც დადიანები არიან („სუხუმის“ მმართველები).

დავით ნარინს კარგად ესმოდა, რომ ილხანთა შორეულ მოწინააღმდეგე — ეგვიპტესთან კავშირის დამყარება ვერ უზრუნველყოფდა მისი ქვეყნის უსაფრთხოებას; მათ თავისი მოჭიდების ერთ-ერთ გზად მონღოლთა შორის არსებული წინააღმდეგობისა და შინაური დაპირისპირების ხელშეწყობა და, შესაბამისად, ვითარების თავის სასიკეთოდ გამოყენება სცადა. აქედან გამომდინარე: „მონღოლთა სამოჭიდო ასპარეზსა და ბრძოლის სარბიელს გარეშე მდგომი და მათი ბატონობის უკეთ? რთობისაგან დაცული დასავლეთ საქართველო და დავით რუსუდანის ძეც კი იქმნა იმ მორევში ჩათრეული, რომელიც ასეთი სიმძაფრით ტრიალებდა და მონღოლთა ხელქვეშეთ ერთა კეთილდღეობას სპობდა“.[2]

როგორც აღვნიშნეთ, არსებული საერთაშორისო ძალთა განაწილებიდან გამომდინარე, დავით ნარინს ინტენსიური ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ჩრდილოეთის ულუსთან; ოქროს ურდოს ყაენები კი თავიანთ მოწინააღმდეგე ილხანებს მარტო სამხედრო ძალით კი არ ებრძოდნენ, არამედ მათ მიერ მიგზავნილი აგენტებისა და შეთქმულებების მოწყობის გზით. ერთ-ერთი ასეთი მონღოლია თეგუდარი — ჩრდილოეთის ულუსის „ერთ მეტომეთაგანი“,[3] ოქროს ურდოს ყაენის „მახლობელი ნათესავი“, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი როგორც „ბატონიშვილს“ მოიხსენიებს:

„ირან'ში თავისი ლაშქრით მყოფ თეგუდარს* აბაღა ყაენის (1265-1282) ტახტიდან ჩამოგდება უნდა განეხორციელებინა, შეთქმულება გამჟღავნდა და იგი იძულებული გახდა, დასავლეთ საქართველოში დავით ნარინთან შეეფარებინა თავი. სავარაუდოა, რომ თეგუდარსა და დავით ნარინს მანამდეც უნდა ჰქონოდათ კავშირი, რადგან იგი ლიხთ-

---

[1] А. Н. Полык, Новые арабские материалы позднего средневековья о Восточной и Центральной Европе, "Восточные источники по истории народов Юго-восточной и Центральной Европы", М., 1964, გვ. 53.

[2] ივ. ჯავახიშვილი. ქართული ერის ისტორია. III. 1966. გვ. 190.
მისივე. ქართული ერის ისტორია, III (1941 წ. გამოცემის მიხედვით), თხზ. III. 1982. გვ. 88.
თეგუდარი ჩაღატას შვილიშვილი. მუჯი იას ძე იყო. მან ერთ-ერთმა პირველმა ცნო ჟულაგუს ილხანობა და თან ახლდა მცირე აზიაში მისულ ყაენს. აბაღას ილხანობაში ვითარება შეიცვალა და ურთიერთობა გამწვავდა.

იქითის დახმარებით ასე დაიმედებული ჩანს.[1] დავით ნარინმა თეგუდარი დიდი პატივით მიიღო, რაც პოლიტიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი; ილხანთა წინააღმდეგ აჯანყებულ მონღოლს დავით ნარინი იმდენად დაუახლოვდა, რომ თეგუდარის გაშინაურებამდეც კი მისულა საქმე. ამ პერიოდში თეგუდარს კავშირი აქვს ოქროს ურდოს ყაენთან, შესაბამისად, ასეთი დიპლომატიური კონტაქტები დავით ნარინსაც ეჭნებოდა.

აბაღა ყაენი ვერ ახერხებს თეგუდარის ხელში ჩაგდებას, რადგან საჭიროების შემთხვევაში მას ყოველთვის საშუალება აქვს, ლიხთიქითს შეაფაროს თავი, სადაც ილხანთა ხანს ხელი აღარ მიუწვდება. აბაღამ დავით ნარინთან დიპლომატიური მოლაპარაკება ამჯობინა და თავისი ელჩები მიუგზავნა: „მაშინ ეევდრა ყაენი აბაღა მეფესა დავითს, რუსუდანის ძესა, რათა არღარა შეეწიოს და არცა შეუშვას თეგუდარ, და ნიჭთა დიდთა აღუთქმიდა“...[2] სხვა ვითარებაში საფიქრელია, რომ დავით ნარინი ილხანებს უარს შეუთვლიდა, მაგრამ ქართველი მეფისათვის ცნობილი ხდება ღალატი თეგუდარის მხრიდან, რამაც იგი „დაკმაყოფილების გუნებაზე“[3] დააყენა და თანხმობა შეუთვალა. ქუთაისის ტახტის ასეთი გადაწყვეტილება განპირობებული იყო VIII ჯვაროსნული ლაშქრობით, ურთიერთდაპირისპირებით მამლუქებსა და ჯვაროსნებს შორის და ბოროყთან ბრძოლაში ილხანთა წარმატებით: „უფრო ადრე ან გვიან ნარინს ყოვლად შეუძლებელია მოკავშირე ჩაღატაიანი ვიხძესთვის მრენებებია. მაგრამ ახლა, როცა საერთაშორისო ურთიერთობაც გართულდა და თეგუდარის ურდოს ისევ ლიხთიქითში შეშვებაც კი ეკონომიურ სიძნელეებს უქმნიდა ქუთათისის ტახტს, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მისი მოცილება იყო“.[4] „ ერჩდა დავით მეფე, და შეკრა გზანი, რომელ არღარა შეისლვებოდა ცხენითა“, რასაც, საბოლოოდ, ილხანთა მიერ თეგუდარის ტყვედ ჩაგდება მოჰყვა. თეგუდარის პრობლემის მოგვარების შემდეგ აბაღა ყაენსა და დავით მეფეს შორის ურთიერთობის ნორმალიზების მომენტებიც გამოჩენილა: „ყაენმან აბაღა მრავალნი ნიჭნი და ძღუენი წარავლინა მეფესა დავითს წინა, და ქართლს მრავალნი სოფელნი და ატენი მისცნა“.[5] თუმცა ასეთი ვითარება დროებითი აღმოჩნდა; ვინმე ღალღურის დავით ნარინის მიერ დასავლეთ საქართველოში მიღების შედეგად ურთიერთდამოკიდებულება კვლავ დაიძაბა, ხოლო „ატენი და რომელიც ქვეყანა მიეცათ“ დავით

---

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თხზ., III, 1982, გვ. 89.
2 ყამთააღმწერელი, გვ. 266.
3 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.
4 ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 145.
5 ყამთააღმწერელი, გვ. 267.

VI-თვის, მეფეს წაართვეს და მის მოსისხლე მტერს რაჭის ერისთავს გადასცეს.[1]

ღალღური ჩრდილოეთის ულუსის მონღოლია და მისი ისტორია XIII ს-ის 70-იან წლებს განეკუთვნება. ივ. ჯავახიშვილის აზრით, იგი ილხანთა ყაენის მოწინააღმდეგე და აჯანყებული პირია, თუმცა არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც: ღალღური უფრო განდგომილების ნიღაბს შეფარებულ აგენტადაა მიჩნეული, ვიდრე საილხანოდან ლტოლვილ პოლიტიკურ დამნაშავედ, ხოლო მისი იმერეთს შეხიზვნა მონღოლთა იმ პოლიტიკად, რომლის ერთ-ერთი ფაქტია დასავლეთ ევროპაში ყაენის ელჩების ჩასვლა.[2] ღალღურის ლიხთიქითში გადასვლა აბაღა ყაენის მიერ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მოსაწყობად მიღებულ ზომათა რიგშია განხილული.[3]

ი. სიხარულიძე ღალღურის საქართველოში „დაზვერვითი საქმიანობის" შესახებ აღნიშნავს: „ღალღური ილხანის კაცი ჩანს და სპეციალური დავალებით მისგანვეა შეგზავნილი იმერეთში. დავით ულუს, ზაქარია მხარგრძელის, თეგუდარის და სხვათა პრეცედენტით საილხანოს კარზე კარგად იცოდნენ დავით ნარინის დამოკიდებულება ამგვარი პირებისადმი, ამიტომ მეფესთან ბრძოლის ახალი გზა აირჩიეს და ცრუ-განდგომილი შეუგზავნეს. ღალღურმა შეისწავლა საქმის ვითარება, იმერეთის გზები, კავშირი გააბა მეფის მოწინააღმდეგე ძალებთან (კერძოდ, რაჭის ერისთავთან) და შემდეგ წაუძღვა თათრებს ქუთაისზე".[4]

როგორც რ. კიკნაძემ გაარკვია, ჩრდილოეთის ულუსის ამ მონღოლის თავგადასავალი ალათემურის ისტორიასთანაა დაკავშირებული; ალათემურმა დიდი გაჭირვებითა და ბრძოლით შეძლო საქართველოს გავლა და ოქროს ურდოში გადასვლა, ხოლო ღალღური ჰულაგუს მონღოლებთან ერთ-ერთი შეტაკებისას ჩამოსცილდა ძირითად ძალებს. რის გამოც ჩრდილოეთში გადასვლა ვეღარ შეძლო. ამავე დროს, ცნობილი იყო, რომ დავით VI ნარინი ილხანთა მოწინააღმდეგეებს თავშესაფარს აძლევდა და ამიტომაც იგი თავისი რაზმით ლიხთიმერეთში გადადის. ღალღურის მიღება 1268-1269 წლებში უნდა ხდებოდეს. საბოლოოდ, მკვლევარი ფიქრობს, რომ იგი არ არის ილხანთა აგენტი, არამედ ოქროს ურდოდანაა მოსული და ჰულაგუ ყაენის მიერ დახოცილი

რ. კიკნაძე. ქამთააღმწერლის თხზულების ერთი ადგილის შევსებისათვის. „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები". I, თბ., 1982, გვ. 150.

[1] ი. სიხარულიძე. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII-XIV სს-ში. გვ. 146-147.

[2] ი. სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 145-146.

[3] იქვე. გვ. 147.

ჯუჩიანი უფლისწულების მახლობელია, ამიტომ ილხანებთან არა აქვს კარგი დამოკიდებულება და ქართველ მეფესაც ებრძვის.[1]

დემეტრე II თავდადებულის აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე გამეფებისას „ღალღურ და რაჭის ერისთავი შეიზრახნეს ურთიერთას, რათა განუდგნენ მეფესა დავითს, რუსუდანის ძესა; და წარვიდეს ყაენს აბაღას წინაშე, და ეზრახნეს ალიყანს ბადურს, რომელი დგის მთათა ჯავახეთისათა, და მან აცნობა ყაენსა".[2] მოღალატეები ყაენს მეფის შეპყრობას ჰპირდებიან, აბაღას სარდლების დამხარებით ლიხთიქითში დავით ნარინის ხელში ჩაგდებას ცდილობენ, მაგრამ ამ ცდებს შედეგი არ მოჰყოლია. რაჭის ერისთავმა 1274 და 1278 წლებში დავით ნარინის სატახტო – ქუთაისიც კი ააოხრა, მაგრამ დავით მეფეს მაინც ვერაფერი დააკლო; გარკვეული პერიოდით გულმოწყალე მეფემ შეიწყალა და აპატია კახაბერ კახაბერიძეს, მაგრამ მან მაინც გამოავლინა თავისი ხასიათი; მონღოლთა მმართველ ალიყანთან საიდუმლო მიმოწერა გამართა დავით მეფის ხელში ჩაგდების იდეით, მაგრამ ჩანაფიქრი გამჟღავნდა, რასაც მოღალატის ოჯახის სამაგალითო დასჯა მოჰყვა.

დავით ნარინი ილხანთა საწინააღმდეგოდ სხვადასხვა ძალთა ერთიანი ფრონტით ბრძოლის ორგანიზების ერთ-ერთი ხელმძღვანელია. ამ მხრივ, სელჩუკები სასურველი მოკავშირენი უნდა ყოფილიყვნენ.[3] მათი ერთი ნაწილი კვლავ აგრძელებს ბრძოლას ილხანთა წინააღმდეგ, ამავე დროს, ტახტზე ორი წლის ასაკში ადის ყიას ად-დინ ქეიხუსრევ III (1266-1283), რის გამოც, რუმის ფაქტობრივი გამგებელი მუინ ად-დინ ფერვანე[4] ხდება. როგორც ცნობილია ფერვანეს დავით ნარინის და – თამარი (გურჯი-ხათუნი) ჰყავდა ცოლად. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მუინ ად-დინ ფერვანეს ასეთი პოლიტიკისა და რუმში ანტიილხანური მოძრაობის განვითარებაში მის ცოლისძმას – დავით ნარინს სათანადო წვლილი უდევს: „მასვე მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა მცირე აზიის სელჩუკთა და მამლუქების დაკავშირებაშიც. ფერვანესა და ნარინის მოყვარული კავშირი, ცოლისძმისა და სიძის ანტითათრული განწყობილება, ქუთაისის ტახტისა და ქაიროს პო-

---

1 რ. კიკნაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 149.

2 ყამთაალმწერელი. გვ. 268.

სელჩუკებთან ურთიერთობის შესახებ ვრცლად იხ.: ნ. შენგელია, სელჩუკებისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XIII ს-ის უკანასკნელი მეოთხედი). „ქართული დიპლომატია". წელიწდეული. II, თბ., 1995.

ფერვანეს შესახებ ვრცლად იხ. ქვევით. სამცხის სამთავროს დიპლომატიური კონტაქტები XIII ს. II ნახევარში.

ლიტიკური ურთიერთობა და ზოგი სხვა ამ მოსაზრებებს საკმაოდ მყარ საფუძველს უქმნის".[1]

ქართული დიპლომატია ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ბიზანტიაში მიმდინარე მოვლენებს, იგი იყო მისი ერთ-ერთი მთავარი და პრიორიტეტული მიმართულება. ბიზანტიის შინაპოლიტიკურ ბრძოლებსა და მის დასუსტებას დაემატა XIII ს-ის დამდეგის ქართული სამეფო დიპლომატიის ერთ-ერთი უდიდესი გამარჯვება — ტრაპიზონის იმპერიის შექმნა, რომლის შემდეგაც სამეფო კარის მუდმივი ' ფიქრალი ეს საკითხიც გახდა; მითუმეტეს, ასე იყო მის უშუალო ტერიტორიულ მეზობლობაში მყოფი ლიხთ-იმერეთის სამეფოსათვის. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია ასეთი მოსაზრებაც, რომ საქართველო ტრაპიზონის მეშვეობით მცირე აზიაში ბიზანტიის ადგილის დაკავებას ცდილობდა.[2]

ამ პერიოდში, კერძოდ, 1204-1261 წლებში კონსტანტინოპოლი ე. წ. „ლათინთა იმპერიის" დედაქალაქია. მასსა და საქართველოს შორის ურთიერთობების შესახებ არაფერია ცნობილი, არც ის ვიცით, საერთოდ რაიმე პირდაპირი დიპლომატიური კავშირები დამყარდა თუ არა; 1261 წელს მიხეილ VIII პალეოლოგმა კონსტანტინოპოლი აიღო და ბიზანტიის იმპერია აღადგინა. როგორც ჩანს, მაშინვე მყარდება ბიზანტია-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები; ამაზე უნდა მეტყველებდეს დაახლ. 1267 წელს დავით ნარინის მიერ მიხეილ პალეოლოგის ასულის ცოლად შერთვა, რაც ამ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთ პირობად მოჩანს. ამ შეთანხმებას უხლა მოეწესრიგებინა სხვა საკითხებიც, რომლებიც ადრე დარეგულირებული იყო: "Возможно, в результате этого договора, Грузия возвратила себе все те привилегии, которыми она располагала в Константинополе до 1204 г."[3] თ. ბერაძე ფიქრობს, რომ საქართველოს ხელისუფლებას საგანგებო შეთანხმება უნდა ჰქონოდა დადებული ბიზანტიის საიმპერატორო კართან, რომელიც კონსტანტინოპოლის გზით დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში მიმავალი ქართველების უშიშროებას იცავდა.[4]

დავით ნარინის დროს, XIII ს-ის II ნახევარში, დასავლურქართულმა დიპლომატიამ შეძლო დაემყარებინა კონტაქტები ბიზანტიასთან და შავი ზღვის საშუალებით იგი ინტენსიური გაეხადა. ისიც სიმპტომატიურია,

---

1 ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

2 ლ. ტუხაშვილი, ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, I, თბ., 1994, გვ. 184.

3 Т. Бердзе, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989, გვ. 78-79.

თ. ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981, გვ. 168.

რომ მეფე დავითმა თავისი მოწინააღმდეგის რაჟის ერისთავის ორივე ვაჟი კონსტანტინოპოლში გააძევა, რაც დავით VI ნარინსა და მიხეილ VIII პალეოლოგს შორის წინასწარი მოლაპარაკების შედეგს უნდა წარმოადგენდეს.[1] დიპლომატიურ ურთიერთობათა გვერდით ხაზგასმულია კონტაქტები კულტურის სფეროში: გელათის მონასტრის მოხატულობაში დაცულია „პალეოლოგთა სკოლის" ნიმუშები, რომლებიც სწორედ დავით ნარინის დროსაა შესრულებული. საერთოდაც, ამ სკოლის მხატვრობა დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში გეხვდება, რაც, ბუნებრივია, შემთხვევითი არ არის.

დავით ნარინის პოლიტიკის ერთი უმთავრესი საკითხთაგანი ტრაპიზონის იმპერიასთან ურთიერთობა, იქ ძველი ქართული გავლენის აღდგენა და შენარჩუნება იყო — „ამ შემთხვევაში დასავლეთ საქართველო სამართლიანად გვევლინება სრულიად საქართველოს წარმომადგენლის როლში, რომლის საგარეო კურსი შემუშავებული იყო არა უცხო ძალის კარნახით და მის სასარგებლოდ, არამედ საქართველოს საკუთარი პოლიტიკური ინტერესებით".[2] ის დიდი დანიშნულება, რაც ტრაპიზონის სამეფოს უნდა შეესრულებინა, ბოლომდე ვერ განხორციელდა; ზ. ავალიშვილის ხატოვანი გამოთქმით, ბერძნულ-ჭანურ ნიადაგზე აშენებული საკეისრო მალე ვიწრო ჩარჩოებში ჩამოყალიბდა და ასე დარჩა „ნამდვილ საბერძნეთ-ბიზანტიის" გვერდზე „საქართველოს დახმარებით ოდესღაც აგებული ეს პატარა, ხელოვნური საბერძნეთი".[3] მიუხედავად ამისა, ტრაპიზონის სამეფოში, რომელიც მნიშვნელოვნად ქართველური ტომებით იყო დასახლებული, ქართული სახელმწიფოებრიობის გავლენას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭებოდა და ასეთ ფონზე მისთვის ყოველად დაუშვებელი იყო ამ რეგიონში ბიზანტიის ჰეგემონობის არსებობა. დასავლეთ საქართველოს ხელისუფლებამ თავისი დიპლომატიური საქმიანობა სწორედ ამ კუთხით წარმართა.

დავით ნარინს ტრაპიზონში თავისი დიპლომატიური საქმიანობისათვის კარგი საფუძველი გააჩნდა; მეზობლობა, სარწმუნოებრივი კავშირი, ტომობრივი ნათესაობა და სხვ., რაც საქართველო-ტრაპიზონის ურთიერთობას ორიგინალურ ელფერს აძლევს. თ. უსპენსკი ხაზს

---

[1] Т. Бердзе, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989, გვ. 79.

[2] ბ. ლომინაძე, მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40-იანი — XIV ს. 10-იანი წწ.), „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", III. გვ. 602.

[3] ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი, თბ., 1989, გვ. 79-80.

უსვამს ლაზური ელემენტის ტენდენციის სიძლიერესა და გავლენას,[1] რასაც მხარს უმაგრებენ თბილისისა თუ ქუთაისის ტახტები; „დიდ კომნენოსებად“ წოდებული ტრაპიზონის კეისრები უფრო საქართველოსთან კავშირ-ურთიერთობას არჩევენ, ვიდრე კონსტანტინოპოლთან. ბიზანტიასთან დაახლოებას ტრაპიზონში იმიტომ გაურბოდნენ, რომ კონსტანტინოპოლელი პოლიტიკოსები ყოველმხრივ ცდილობენ ტრაპიზონელთა დამცირებას, მათ, ბიზანტიელთა წარმოდგენით, უფლება არ ჰქონდათ თავიანთი თავისათვის ან კეისარი ეწოდებინათ, ან მათთვის კუთვნილი ტანსაცმელი ჩაეცვათ და სხვ. ასეთ დამოკიდებულებას არ შეეძლო ისინი კეთილმეგობრული ურთიერთობის მომხრე და დაახლოების მსურველი გაეხადა.[2] ეს მომენტებიც განაპირობებდა, რომ ტრაპიზონელნი საქართველოსთან ურთიერთობებს ამჯობინებდნენ.

ტრაპიზონის იმპერიის სამოხელეო აპარატშიც ქართულ ელემენტს წამყვანი ადგილი ეკავა, კომნენოსებსაც საქართველოსთან ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდათ. აკად. ა. კუნიკის სიტყვებით, პირველი ტრაპიზონელი კომნენოსები, რომლებმაც საქართველოში მიიღეს აღზრდა-განათლება, ქართული ცხოვრებისა და აზროვნების დიდ გავლენას განიცდიდნენ, ისინი "по всей вероятности больше походили на грузинских князей, чем на византийских",[3] რაც მნიშვნელოვან დაბრკოლებას უქმნიდა ბიზანტიურ პოლიტიკას, ამავე დროს, ეს ახლადშექმნილი სამეფო საქართველოსათვის მნიშვნელოვანი ფორფოსტი უნდა გამხდარიყო ამ მიმართულებით ქართული სახელმწიფოებრიობის ექსპანსიისათვის. ამავე დროს, 1204-1475 წლებში შავი ზღვა ღია იყო, რაც ქართველ პოლიტიკოსებს საშუალებას აძლევდა, საზღვაო კავშირი ჰქონოდათ შავი და ხმელთაშუა ზღვების აუზის ქვეყნებთან. გამორჩეული ინტენსიური ურთიერთობა უპირველესად მაინც ტრაპიზონის იმპერიასთან ჩანს.

ზემოაღნიშნული დატვირთვა ტრაპიზონის სამეფომ ბოლომდე ვერ შეასრულა, თვითონ დავით ნარინსაც სამხედრო მდგომარეობა ყოველთვის ისეთი არ ჰქონდა, რომ მუდამ აქტიურად და ეფექტურად დახმარებოდა კეისარს ან იქ არსებული ქართული ორიენტაციის დასს. მიუხედავად ამისა, სწორედ ეს საკითხია დასავლურქართული დიპლომატიის ერთ-ერთი მთავარი საფიქრალი; დავით ნარინი მუდმივად ადევნებს

---

[1] Ф. И. Успенский, Очерки из истории Трапезундской империи, Ленинград, 1929, გვ. 60.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1966, გვ. 206; თ. ამრამიშვილი, XIII-XIV სს. დასავლურ-ქართული ფული (ცირმანეული), თბ., 1959, გვ. 20.

[3] А. Куник, Основание Трапезундской империи в 1204 г., "Ученые записки Императорской Академии Наук", т. II, вып. 5, СПб., 1854, გვ. 726.

თვალყურს იქ მიმდინარე პროცესებს და წინანდელი უპირატესობის შენარჩუნებას ცდილობს. ბიზანტია საპირისპიროდ იყენებს ყოველ გართულებას, ხან დამოყვრების, ხანაც დიპლომატიური თუ სხვა გზებით იბრძვის თავისი გავლენის მოსაპოვებლად.

იმპერატორ გიორგი კომნენოსის (1266-1280) დროს ტრაპიზონ-საქართველოს შორის მჭიდრო ურთიერთობა უნდა არსებულიყო; კეისარი, როგორც ჩანს, საქართველოდან გარკვეული მხარდაჭერითაც სარგებლობს. მისი სახელი აღნიშნულია კორიდეთის ბერძნული სახარების ქართულ მინაწერში. პ. ინგოროყვა ამ ფაქტიდან გამომდინარე აღნიშნავს, რომ დავით მეჟე და ტრაპიზონის იმპერატორი თანხმობაში იყვნენ, ხოლო რიზეს მხარე და მდ. ჭოროხის შენაკადის – მურღულის ხეობა, სადაც კორიდეთი მდებარეობს, XIII ს-ის ბოლოს საქართველოს მეფისა და ტრაპიზონის იმპერატორის კონდომინიუმს წარმოადგენდა.[1] კონდომინიუმი ნიშნავს უმაღლესი ხელისუფლების ერთობლივ განხორციელებას ორი თუ მეტი სახელმწიფოს მიერ გარკვეულ ტერიტორიაზე. იგი ემყარებოდა საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც წარმოადგენდა ამ რეგიონზე პრეტენზიების მქონე სახელმწიფოთაშორის კომპრომისს.

რას უნდა გამოეწვია ასეთი სისტემის ჩამოყალიბება: იმ პერიოდის საერთაშორისო ვითარება გვიჩვენებს, რომ ამ მხარეში პრიორიტეტი საქართველოს მხარეს ჰქონდა; შეიძლება ვივარაუდოთ, ქართველთა უპირატესობის ზრდის პირობებში ტრაპიზონის იმპერიის მხრიდან იგი წარმოადგენდა ერთგვარ კომპრომისს, ოღონდ კი არ დაეკარგა სამეფოს ეს მნიშვნელოვანი ნაწილი; მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ დავით ნარინი ამ რეგიონს ყოველთვის გამორჩეულ ყურადღებას უთმობდა. როგორც ჩანს, ჭოროხის აუზის დიდ ნაწილს ქართველი მეფე განაგებდა და ეს ქართული დიპლომატიის დიდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც "Кто владеет бассейном Чороха, тот хозяин гораздо большой площади на Востоке, даже не переступая государственной границы".[2]

საერთაშორისო ვითარების არასახარბიელოდ განვითარება ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს გავლენას თანდათანობით ასუსტებს: მონღოლებს იკონიის სელჩუკიანი სულთანი თავისი მოკავშირეებით უკვე დამარცხებული ჰყავს, ტრაპიზონელებიც იძულებულნი არიან, მათ მიმართ ხარკის გადახდა იკისრონ, თავად საქართველოს მნიშვნელოვანი

---

1. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 276.

2 Н. Марр, Батум, Ардаган, Карс – исторический узел межнациональных отношений Кавказа, Петроград, 1922, გვ. 10.

ნაწილი მონღოლთა მიერვე არის დაპყრობილი; ასეთი მდგომარეობით სარგებლობს ბიზანტია და მეზობელ ტრაპიზონის სახელმწიფოში თავისი გავლენის გავრცელებას და საქართველოს პოზიციების სრულ მოსპობას ცდილობს. ქართული ორიენტაციის დასი მნიშვნელოვან შევიწროებას განიცდის. განსაკუთრებით, ამ მხრივ აღსანიშნავია იმპერატორების მიხეილ VII (1259-1282) და ანდრონიკე II (1282-1328) პალეოლოგების ხანა. მიხეილ VII-მ ეშმაკობითა და ძალადობით კონსტანტინოპოლში მიიტყუა კეისარი იოანე II (1280-1297) და იძულებით დააქორწინა, რაც საქართველოს პოზიციებს მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდა. დავით ნარინს არ შეიძლებოდა უპასუხოდ დაეტოვებინა მოვლენების ასეთი კუთხით განვითარება. ამ აგრესიულ დიპლომატიურ ქმედებათა საპასუხო ნაბიჯია 1282 წელს ქართული გავლენის აღსადგენად საკეისროს საზღვრებში თავისი ჯარის შეყვანა და დედაქალაქის ალყა. მიქელ პანარეტოსის ცნობით, მართალია, დავით ნარინმა ქალაქი ვერ აიღო, მაგრამ ტრაპიზონამდე ყველა ტერიტორია დაიკავა;[1] ამას საკეისროს ამ ტერიტორიაზე, მისი გავლენის გავრცელება მოჰყვა. როგორც ჩანს, დასავლურქართული სახელმწიფოს ხელისუფალნი ასეთი შედეგებით არ კმაყოფილდებიან და არსებულ დაპირისპირებაში ახალი პერსონაჟი შემოჰყავთ — თავად ტრაპიზონის იმპერატორის და — თეოდორა, რომელიც საქართველოში იყო გათხოვილი. დავით ნარინის სამეფო კარის დიპლომატია ყოველმხრივ ცდილობს ბიზანტიური ორიენტაციის მქონე ტრაპიზონის კეისრის იოანე II-ის დამარცხებას და ერთ-ერთ გზად მისადმი ამ კეისრის დის დაპირისპირებას მიიჩნევს. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება. რომ საქართველოში გათხოვილი თეოდორა უნდა ყოფილიყო დემეტრე II თავდადებულის ერთ-ერთი თანამეცხედრე. კარგად არის ცნობილი ეამთააღმწერლის ცნობა. რომ დემეტრე II-ის მეფობის დროს, როცა იგი „დაღათუ ჭერეთ ყრმა იყო", საქართველოდან „წარავლინეს კაცნი პონტოდ მეფის ბერძენთასა კომნიანოსისა, რომელი იყო ნათესავად დიდისა კოსტანტინესა, და მოიყვანეს ასული კომნიანოსისა, მეფისა ტრაპიზონელისა დიდებითა და საპურჭლითა დიდითა და ქმენს ქორწილი სამეფოსა წესისაებრ".[2] დ. შველიძეს მოჰყავს სხვა არგუმენტებიც და დემეტრე II თავდადებულის მეუღლედ, რომელიც მოხსენიებულია როგორც „ასული

---

1 მიქელ პანარეტოსი. ტრაპიზონის ქრონიკა. გამოც. ალ. გამყრელიძის მიერ, მსკი. ნაკ. 33. 1969. გვ. 213; „ჯეორგიკა" (ს. ყაუხჩიშვილის გამოც). VII. 1967. გვ. 170 (შენიშვნა).

2 ეამთააღმწერელი. გვ. 274.

კომნიანოსისა, მეფისა ტრაპიზონელისა“, თეოდორას მიიჩნევს.[1] უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ გამოკვლევაში ამ მხრივ დაშვებულია უზუსტობა: ი. სიხარულიძის აზრით, დემეტრე მეფემ კონსტანტინეს ასული შეირთო ცოლად;[2] მ. ბროსე მას გიორგი კომნენოსის (1266-1280) ასულად მიიჩნევს,[3] რაც რ. კიკნაძის მიერაც არის გაზიარებული.[4]

რ. კიკნაძე ყურადღებას ამახვილებს ფ. გორგიჯანიძის ცნობაზე, სადაც აღნიშნულია, რომ „გაგზავნეს კაცნი პონტოსა, ბერძნეთისასა კომნიანოს მეფეს გიორგის წინაშე, რომელსაც იტყოდენ დიდს კოსტანტილე კუმწიფესა ნათესავად მისსა. მოიყვანეს ასული მისი, კომნიანოს მეფის ტრაპიზონელისა“...[5] აქედან გამომდინარე, მკვლევარი ფიქრობს, რომ დემეტრე თავდადებულს გიორგი ტრაპიზონის კეისრის ასული შეურთავს ცოლად.[6] ვფიქრობთ, ტექსტი არასწორადაა გაგებული და ამიტომაც კეთდება ასეთი დასკვნა; თეოდორა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრია, მისი მამაა ტრაპიზონის იმპერატორი მანუელ I (1238-1263), რომელსაც თეოდორას გარდა ჰყავდა ძეები — კეისრები ანდრონიკე II (1263-1266), ზემოაღნიშნული გიორგი (1266-1280) და იოანე II (1280-1297); ამ იმპერატორების დაა სწორედ თეოდორა (ისინი დედით არიან სხვადასხვა), რაც შეიძლება ამოსავალი მომენტი გახდეს: ფ. გორგიჯანიძე აღნიშნავს, რომ საქართველოდან თავისი დესპანები — „კაცნი“ მეფის თანამეცხედრის ჩამოსაყვანად გაგზავნეს „კომნიანოს მეფეს გიორგის წინაშე“, რაც მართლაც ასე იყო — თეოდორას ძმის გიორგის კეისრობა 1266-1280 წლებზე მოდის, ხოლო დემეტრეს ქორწინებაც ბერძენ ასულზე სწორედ ამ პერიოდში ხდება, კერძოდ, 1272-1273 წლებში. ამ გიორგის დაა თეოდორა და ქართული სამეფო კარის წარგზავნილნი არა მამას, არამედ ძმას სთხოვენ დის ხელს. ამავე დროს ისიც აღსანიშნავია, რომ გიორგი კომნენოსთან, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ქართველ პოლიტიკოსებს კარგი ურთიერთობა, თანხმობა და ურთიერთშეხმატკბილებული დამოკიდებულება ჰქონდათ. ამასაც თავისი როლი უნდა ეთამაშა საკითხის ადვილად და დადებითად გადასაწყვეტად.

---

1 დ. შელიძე, ვინ იყო დიმიტრი თავდადებულის მეუღლე? „ლიტერატურული საქართველო“, 16/XII, 1983.

2 ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 155.

3 Histoire de la Georgie, I, SPb., 1849, p. 591, n. 1.

4 რ. კიკნაძე, XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან, „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები“, I, თბ., 1982, გვ. 173.

5 იქვე.

6 იქვე, (შენიშვნა 35).

შეცდომა გამოიწვია ფ. გორგიჯანიძის მომდევნო წინადადებამ, რომ გიორგი კომნენოსთან წარმატებული აუდიენციის შემდეგ, „მოიყვანეს ასული მისი, კომნინიანოს მეფის ტრაპიზონელისა“; ეს ადგილი ისე იჯნა გაგებული, თითქოს გიორგი კომნენოსის ასულის მოყვანაზე იყოს ლაპარაკი. სინადვილეში სადავო არ უნდა იყოს, რომ აქ მანუელ I კომნენოსი იგულისხმება, რომელიც გიორგი კეისრის მამაა, ხოლო თეოდორა კი მართლაც მისი ასულია, ანუ წინადადება ასე უნდა იჯნეს გაგებული: „მოიყვანეს ასული მისი მანუილის, კომნინიანოს მეფის ტრაპიზონელისა“. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ დემეტრე II-სა და მის თანამეცხედრეს ჰყავდათ ვაჟი მანუელი და ეს სახელი მისი პაპის საპატივცემულოდ ჩანს დარქმეული.

თუ ეს მოსაზრება გამართლდა (მაინც სავარაუდო მოსაზრებად იმიტომ რჩება, რომ მანუელ I კომნენოსს, თეოდორას გარდა, შესაძლებელია სხვა ასულიც ჰყავდა, რომელიც დემეტრე II-ს მიათხოვეს და რომლის სახელი წყაროებმა ვერ შემოგვინახა), მაშინ საინტერესოდ დაისმის როგორც დემეტრე თავდადებულის კარის ტრაპიზონის საკეისროსთან ურთიერთობა, ისე საშინაო დიპლომატიის ისეთი საკითხი, როგორიცაა საერთო ინტერესებიდან გამომდინარე დავით VI ნარინისა და დემეტრე II-ის ტახტის შეთანხმებული მოჭედება და წინასწარ გათვლილ-მოფიქრებული ერთიანი გეგმა.

1284 წელს (ზოგჯერ 1285 წელსაც აღნიშნავენ) თეოდორა ქართველთა დახმარებით ტრაპიზონის საკეისროში შეიჭრა და კეისრის ტახტი ღაიკავა, რასაც საქართველოს პოლიტიკური გავლენის დამყარება მოჰყვა. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, „ცხადია, მისი (გულისხმობს თეოდორას, დ. ნ.) ჯარი მთლიანად საქართველოს ჯარი უნდა ყოფილიყო და თვითონ თეოდორასაც იმავე დროს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკისა და ქართველთა მომხრე ტრაპიზონელ სამხედრო დასის წყალობით შეეძლო გაემარჯვა“.[1] მალე ვითარება არასახარბიელოდ შეიცვალა და ხელისუფლება კვლავ იოანე II-მ დაიბრუნა. საინტერესოა რომ, მიუხედავად მცირეხნიანი მმართველობისა, მას საკმაო გავლენა მოუპოვებია და საკუთარი მონეტაც მოუჭრია.

საქართველოს ტრაპიზონთან მჭიდრო ურთიერთობისა და ლიხთ-იქით-ში არსებული ვითარების შედეგად დასავლეთ-ქართული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ტრაპიზონული ფულის გვერდით, ამავე ტიპის ადგილობრივი საკუთარი მონეტების ემისია იწყება. დასავლურ-ქართული ვერცხლის ეს ფული „კირმანეული თეთრის“ სახელითაა ცნობილი. მისი შემოღება გარკვეულ დიპლომატიურ ღონისძიებად და სწორ ნაბიჯად

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. ქართული ერის ისტორია. III. 1967. გვ. 208.

უნდა ჩაითვალოს: იგი დავით ნარინის სახელთანაა დაკავშირებული და ლიხთ-იმერეთის სამეფოს არსებობიდან გამომდინარეობს.[1] დავით ნარინმა ლიხთიქითში გადასვლის შემდეგ, მონღოლთა ბატონობის ქვეშ მყოფ აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ფეული, გასაგები მიზეზების გამო, თავის სამეფოში არ გაიმეორა; აქ სახელმწიფო სტრუქტურები ახლიდან ეწყობა, ამიტომ ასეთ პირობებში ლიხთ-იმერეთის პოლიტიკოსებს მეზობლად მდებარე, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთკავშირში მყოფ ტრაპიზონის იმპერიის ტერიტორიაზე ბრუნვაში ფეხმოკიდებული ფეულის ტიპი შემოაქვთ. XIII ს-ის II ნახევრის დასავლეთ საქართველოში არსებულმა სოციალურმა თუ პოლიტიკურმა მდგომარეობამ და საერთაშორისო ვითარებამ შექმნა და განაპირობა ასეთი ტიპის ფეულის ადგილობრივად წარმოშობა, რაც დავით ნარინის საინტერესო ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ. ასეთი ეკონომიკური პოლიტიკა კიდევ უფრო ააბლოვებდა და მჭიდროს ხდიდა დასავლეთ საქართველო-ტრაპიზონის ურთიერთკავშირებს, ხოლო თ. ბერაძის აზრით, „კირმანეული თეთრის" შემოღება XIII ს-ის II ნახევარში ლაპარაკობს არა მარტო ტრაპიზონთან, არამედ დასავლეთ ევროპისა და, შესაძლოა, აღმოსავლეთ აზიასთანაც არსებულ გაცხოველებულ ურთიერთობებზეც.

დავით ნარინის მეფობის ბოლო პერიოდის ტრაპიზონთან ურთიერთობის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ მის გარდაცვალებამდე პროქართულსა და პრობიზანტიულ დასებს შორის დაპირისპირება კვლავ გრძელდება და იგი ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობს; ქართულ დიპლომატიას ტრაპიზონის იმპერიაში თავიანთი პოზიციების მოსაპოვებლად ბრძოლა არც შემდგომ პერიოდში შეუწყვეტია.

XIII ს. მიჩნეულია იმ პერიოდად, როცა შავ ზღვაზე ვაჭრობის ახალი აყვავება დაიწყო; ამან ინტენსიური გახადა საქართველო-ვენეცია-გენუის ურთიერთკავშირებიც:

შავ ზღვაზე დასავლეთი ევროპის ქვეყნებიდან ყველაზე ძლიერი პოზიციები თავიდან ვენეციას ეჭირა, რომელმაც 1261 წლიდან პირველობა გენუის რესპუბლიკას დაუთმო. ორივე სახელმწიფოს წარმომადგენლები უკვე მოღვაწეობენ ტრაპიზონის იმპერიასა და ილხანთა სახელმწიფოებში, გენუელთა გემები კასპიის ზღვაშიც კი დაცურავენ.[2] საქართველო აქტიურად ჩაერთო ამ საგარეო ურთიერთობებში, განსაკუთრებით ლიხთ-იმერეთის სამეფოა აღსანიშნავი, რომელიც შავი ზღვის პორტების

---

1 თ. აბრამიშვილი, XIII-XIV სს. დასავლურ-ქართული ფეული (კირმანეული), თბ., 1959, გვ. 41-43.

2 Я. И. Манандян, О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Ереван, 1974, გვ. 276.

საშუალებით კავშირებს ამყარებს დასავლეთ ევროპასთან და თვით შორეულ ჩინეთ-ინდოეთთანაც კი;[1] თ. ბერაძე არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით აღნიშნავს: " для получения разрешения на основание торговой фактории на грузинском побережье Генуя старалась использовать дипломатические каналы. С этой целью, надо думать, в конце XIII – в начале XIV вв.. Грузию неоднократно посещали посольства этой итальянской республики".[2] უნდა იდეოდეს სხვადასხვა ხასიათის შეთანხმებებიც, მაგ., ასეთად ვარაუდობენ სპეციალურ ხელშეკრულებას საქართველოსა და გენუის ხელისუფალთა შორის, რომელიც კრძალავდა საქართველოს ქვეშევრდომთა ტყვეთა სყიდვას საზღვარგარეთ.[3]

ასეთია XIII ს-ის II ნახევარში დასავლეთ საქართველოს სამეფოს დიპლომატიურ ურთიერთობათა ძირითადი ტენდენციები.

5. სამცხის სამთავროს დიპლომატიური კონტაქტები XIII საუკუნის II ნახევარში

„შეწყალება" ქართული ფეოდალური სისტემის სწორედ ის აქილევსის ქუსლი იყო, რომელსაც მონღოლებმა კარგად მიაგნეს – აღნიშნავდა ნ. ბერძენიშვილი.[4] დამპყრობლებმა საქართველო „განიყვეს" ერთმანეთში და თითოეულ მთავართან ცალკე ურთიერთობა დაამყარეს – ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო ერთიანი საქართველოს სამეფოს არსებობის პერიოდში, როცა მოხდა მეფის გარეშე მოხელე-დიდებულების პოლიტიკური უფლებების ცნობა.[5] უკვე „მეფე შემცირებულ არს მძლავრებისაგან თათართასა და კუალად პირნი და მთავარნი საქართველოსანი განდგომილ არიან": სამეფო ტახტის მდგომარეობა იქამდეც კი მიდის, რომ მეფემ „მთავარნი და ერისთავნი ვერ სცვალნის შიშისათვის ყაენისა". ინტენსიურად მიმდინარეობს სამეფო ტახტის ერთგულთა გადაბირება შეწყალების საშუალებით. ყოველივეს, ქვეყნის ერთიანობის საბედისწეროდ, სამცხე-საათაბაგოს „ხას-ინჯუდ" ჩამოყალიბება მოჰყვა:

---

1 Т. Берадзе, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989, გვ. 96.

2 იქვე, გვ. 99.

3 იქვე, გვ. 123.

4 ნ. ბერძენიშვილი, ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII ს. საქართველოში, სის, III- თბ., 1966, გვ. 88.

5 ბ. ლომინაძე, მონღოლთა ბატონობა საქართველოში... „ნარკვევები", III- გვ. 595.

დავით ულუსა და სარგის ჯაყელის სანიმუშო პატრონყმური ურთიერთობა საყაენოს დიდ სიძნელეებს უქმნიდა. მონღოლური დამპყრობლური პოლიტიკა დიდხანს ვერ აიტანდა ასეთ ვითარებას; ილხანური დიპლომატია იწყებს ზრუნვას განხეთქილების ჩამოსაგდებად. დავით ულუს აჯანყების დროს მეფეს განსაკუთრებით სწორედ სარგის ჯაყელმა უერთგულა; როცა მეფე იძულებული გახდა, ყაენთან გამოცხადებულიყო დიდი რისკის ფასად, სწორედ სარგისი გაჰყვა თან დავით VII-ს და, რაც მთავარია, დაკითხვისას მთელი პასუხიმგებლობაც თავის თავზე აიღო — იყო „განმწირველი თავისა" მეფისათვის. შემდგომ პერიოდში, ბერქას წინააღმდეგ ბრძოლაში დამსახურებისათვის ყაენმა „სარგის ჯაყელსა კარნუქალაქი და მიმდგომი მისი ქუეყანა უბოძა იერალაყითა", რამაც პირველი ბზარი გააჩინა მეფესა და ერთგულ ვასალს შორის. ისტორიული წყაროებით უშუალოდ არა ჩანს, თუ ვისი რჩევებით ხელმძღვანელობს დავით ულუ; ფაქტია, რომ სამეფო ტახტმა ყველაფერი გააკეთა, რათა სარგისისათვის „იერალაყითა" ბოძებული ილხანებს უკანვე ჩამოერთვათ — სარგის ჯაყელი შეიქმნა „ტულკლებით და ქუეგამხედველი მეფისა", ხოლო ილხანურმა დიპლომატიამ კვლავ წარმატებას მიაღწია; დავით ულუს „მტრის ეს ღონისძიება არ ეპრიანებოდა და სავსებით სწორადაც, მაგრამ იმას ვერ ითვალისწინებდა, რაც ამ პროტესტს შეიძლება მოჰყოლოდა რეაქცია მძლავრობის დროს".[1]

კონფლიქტი ამით არ დამთავრებულა, პირიქით, იგი კიდევ უფრო გაღრმავდა: 1266 წელს დავით მეფის სიბაზე წასვლისას სარგის ჯაყელს „განდგომილება" დაბრალდა, რასაც მისი დაპატიმრებაც მოჰყვა; „ვითარ ცნეს ესე აზნაურთა თანამყოლთა სარგისისთა, ივლტოდეს და წარვიდეს ყაენს წინაშე"... ილხანური დიპლომატია ზეიმობდა, მათ რეალური საშუალება მიეცათ, საქართველოს სამხრეთი საზღვრების საკითხის, ანუ სამცხე-საათაბაგოს სტატუსის, სასურველი კუთხით გადასაწყვეტად. აბაღა ყაენმა „მოსცა ელჩი, და წარმოავლინეს, და მოიწია ტფილისს, და წარიყვანა სარგის"...[2] როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ყოველივეს საქართველოსათვის „ფრიად სამწუხარო შედეგი" მოჰყვა, ჯაყელს აღარ შეეძლო ჰნდობოდა მეფეს, მას ან თავი უნდა უზრუნველეყო დავით ულუს შურისძიებისაგან ან სამუდამოდ გადაეწყვიტა იმედი სამშობლოში დაბრუნებისა.[3] შედეგი საქართველოს ერთიანობისათვის სავალალო აღმოჩნდა: „და მიერითგან იქმნეს ჯაყელნი მორჩილნი ულოსისანი"... სამცხე-საათაბაგო „ხას-ინჯუდ" იქცა, ხოლო

---

1. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.
2. ქამთააღმწერელი, გვ. 255.
3. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თხზ., III, გვ. 84.

სარგის ჯაყელის საქციელი, საქართველოსათვის პოლიტიკური და ეროვნული თვალსაზრისით, შეფასდა როგორც „სრულებით შეუწყნარებელი ნაბიჯი“ და „ქვეყნის ღალატი“.[1]

მოკლედ „ხან-ინჯუს“ შესახებ: „ხასი“ და „ინჯუ“ სახელმწიფო მიწებიდან ამორიცხული და ყაენის პირად საკუთრებაში მყოფი ტერიტორია იყო; ასეთი „ულუსიანობა“ ყველა დიდებულისათვის იდეალს წარმოადგენდა: „ხაჩენელნი, ორბელნი, ავაგი, სარგისი, სადუნი — ესენი ის „ბედნიერები“ იყვნენ, რომელთაც მიაღწიეს იმ იდეალს, მაშინ რომ უმაღლესად ითვლებოდა — „ულუსიანობას“.[2] სარგის ჯაყელის სამფლობელოში, მიერიდან სახელმწიფო მოხელე ან ხარკის ამკრეფი ბასკაკი ვეღარ შედის, ასეთი „ქვეყანა“ მათი თვითნებობისაგან დაცულია, რაც სხვა მხარეებთან შედარებით მას დიდ უპირატესობასა და პრივილეგიებს ანიჭებს. ნ. ბერძენიშვილი იმასაც ვარაუდობს, რომ შესაძლებელია, სარგისი ადრეც ცდილობდა „ენჩუდ“ გახდომას, ბერქას წინააღმდეგ ომის დროიდანაც კი, ასე რომ, კარნუ-ჭალაქის მისდამი წყალობის წინააღმდეგ მეფის საჩივნობა მოსალოდნელია ამასთანაც ყოფილიყო დაკავშირებული.[3]

1266 წელს ილხანთა მიერ კარგად მოფიქრებული და ორგანიზებული პოლიტიკის შედეგად სამცხე-საათაბაგო „ხას-ინჯუდ“ იქცა და უშუალოდ ყაენს დაექვემდებარა. ამ მოვლენას ორი პოლიტიკური მხარე ჰქონდა: 1. სამთავროში, მონღოლებთან ურთიერთობის დარეგულირების შემდეგ, ცხოვრების საკმაოდ მაღალი დონე შენარჩუნდა, სხვა კუთხეებთან შედარებით ილხანთა ბატონობის უღელი შემსუბუქდა; მალე იგი სამართლებრივი თვალსაზრისითაც მოწესრიგდა. ყოველივეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან სამცხეში ხალხის გადასახლების პროცესი მოჰყვა — „არახასი“ ტერიტორიები თავიანთ ყმებს კარგავდნენ, რადგან ისინი დაწინაურებული „ულუსის“ ბატონებთან გარბოდნენ; 2. „ხასის“ მთავარი პოლიტიკურად ფართო დამოუკიდებლობით სარგებლობდა, რამაც სამხრეთ საქართველოს ცენტრისაგან გამოყოფის საფუძველი შექმნა. სამცხის მთავარი, როგორც ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებული მმართველობის ადგილობრივი წარმომადგენელი, აღარ ემორჩილება ცენტრს (არამედ უშუალოდ მონღოლებს), მაგრამ, ამავე დროს, სამცხე, ჯერ კიდევ ქართულ სახელმწიფოში მოქცეული და მისი ორგანული ნაწილი, ამ ორგანიზაციაშივე რჩება.[4]

---

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, III, 1966, გვ. 358.
2. ნ. ბერძენიშვილი, სის, IX, გვ. 234.
3. იქვე.
4. ა. კიკვაძე, სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში, თსუ შრომები, XXXVII, 1949, გვ. 69.

შეჭნილი ვითარების შესახებ ლაკონიური გამოთქმა აქვს ეამთააღმწერელს, საცხის მთავარი „მსახურებდეს ყაანს აბაღას და მორჩილებდეს მეფესა დიმიტრის“. ამ აღნიშვნაში ურთულესი ვითარებაა ხაზგასმული: „ხასი“ ფეოდალი, რომელიც უშუალოდ ყაენს ემსახურება თანდათან ეთანშება საქართველოს სამეფო ცენტრს; მითუმეტეს, როცა ფეოდალური სეპარატიზმის სიძლიერის ხანაში ასეთი მთავრისათვის „კერძოობა მისი სტიქონია“ (ნ. ბერძენიშვილი); მეფემ ვეღარ სცვალა „ნებისაებრ“ ერისთავნი, ამიტომ მას „ულუსიანზე“ უკვე ნაკლებად მიუწვდება ხელი. ამავე დროს, სამცხის მთავრები საქართველოს მეფის ყმობიდან არ გამოსულან, საშინაო საქმეების მხრივ, მათი ვალდებულებანი ცენტრისადმი ძველებურადვე რჩება; თუმცა ვასალზე მეფის უფლებები ძალზე შეზღუდულია და ნომინალურ ხასიათს ატარებს: „ულუსიანის ყმობა ფიქციაღა იყო“, — აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი.[1]

ქვეყნის მესამედის განკერძოებას და სამხრეთ საზღვრების მოშლას სამეფო ტახტი ვერ ეგუება და ცდილობს შეძლებისდაგვარ მის შემომტკიცებას; საშინაო დიპლომატიის ერთ-ერთ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ბექა ჯაყელის ასულის დემეტრე II-ზე დაქორწინება;[2] სამცხის მთავრები კვლავ საქართველოს სამეფო ტახტის მოხელეებად რჩებიან, მეფის კარის ვაზირის პატივს ატარებენ. როგორც ჩანს, ჯაყელებს ბოლომდე „უზენაესი პრეტენზიები“ არ ჰქონდათ, მათი „პოლიტიკური შეგნება“ იმაზე ლაპარაკობს, რომ სარგის-ბექა ჯაყელებს საქართველოს ერთიანობის მნიშვნელობა კარგად ესმით, ამიტომ სამეფო ტახტისა და სამთავროს ურთიერთობას მაინც „კავშირშეუწყვეტელი“ ხასიათი აქვს.[3] შეიძლება ითქვას, რომ ჯაყელები, როგორც ვასალნი, აღარ ემორჩილებიან მეფეს, ხოლო, როგორც მოხელეები, დამოკიდებულნი არიან სამეფო ტახტზე; თუმცა „მათი ვაზირობა ძველი შინაარსისაგან დაცლილი ფორმაღაა“.[4]

სამცხე-საათაბაგოს „ხას-ინჯუდ“ ყოვნა, სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობა, მეზობელთა სისუსტე, ილხანებთან მოწესრიგებული ურთიერთობა და მათგან მხარდაჭერა სამთავროს კიდევ უფრო აძლიერებს და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა „ქვეყნების“ შემოერთების საშუალებას აძლევს. ივ. ჯავახიშვილის აზრით, რადგან მესხეთის მთავრების პოლიტიკური მდგომარეობა განმტკიცდა, მათი საბრძანებლის წინანდებურად „ხას-ინჯუდ“ დარჩენას აზრი დაეკარგა, მისი ასეთი სტა-

---

1 ნ. ბერძენიშვილი. სის. IX. გვ. 242.
2 ი. სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 139.
3 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III. თხზ., III. 1982, გვ. 140.
4 ნ. ბერძენიშვილი. სის, VI, გვ. 119.

ტუსით ხსენება კიდეც ჭრება და იგი ილხანთა მხოლოდ ყმადნაფიც სამ-ფლობელოდღა ჩანს.[1] ამის დამადასტურებელი უნდა იყოს ჟამთააღმ-წერლის სიტყვები: ბეჭა I ჯაყელი ხარაჯას მისცემდა ყაზანსა, და ლაშქრით შეეწეოდა".[2]

საქართველოს ხელისუფალნი (აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტი, სამცხის სამთავრო) შექმნილ ვითარებაში იძულებული არიან ...ღოლთა წინაშე თავისი ვალდებულებანი შეასრულონ და ილხანთა ...ერეს კოალიციურ ლაშქრობებში მიიღონ მონაწილეობა. დემეტრე II-ის გარდა, რომელიც მონღოლთა დროშის ქვეშ სისტემატურად იბრძ-ვის ეგვიპტის წინააღმდეგ, ამ ბრძოლების აქტიური წევრია სამცხის მთავარი ბეჭა ჯაყელი — იგი ილხანთა ყაენს აძლევს თავის ლაშქარს, „რომელი დივნითა ხვდებოდა". სამცხის „ულუსიანობიდან" გამომდინა-რე, სამცხის მთავართა დიპლომატიური საქმიანობა ძირითადად ილხა-ნებზეა ორიენტირებული; მათთან ურთიერთობა ძირითადად მშვიდო-ბიან და მოწესრიგებულ ხასიათს ატარებს.

ცნობილია მონღოლ-სელჩუკ-ქართველ-სომეხთა რამდენიმე გაერთია-ნებული ლაშქრობა ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ. ეს კამპანიები ილ-ხანთათვის სულ უფრო და უფრო წარუმატებელი ხდება. ასეთი შედე-გების ერთ-ერთი მთავარ დამნაშავედ ყაენმა მუინ ად-დინ ფერვანე გა-მოაცხადა; ჟამთააღმწერელი აღნიშნავს, რომ „ხოლო ვითარ ცნა აბაღა ამოწყუეტა ლაშქართა და უმეტეს ქართველთა, დაუმძიმდა დიდად, და შეასმინეს სულთანი საბერძნეთისა ფარვანა, ვითარმედ განზრახვითა მი-სითა იქმნა მოსლვა ფუნდუყადარისა. ამისთვის შეიპყრეს ფარმანა, და აღიღეს ყოველი სიმდიდრე მისი, და აჩინეს საბერძნეთსა ნოინი დიდი და კეთილი... სახელით ერინჯი.* ამას ხელს უდვეს მთავრობა საბერძნე-თისა, და წარუღეს აწყური, სამცხე, რომელი ჰჭონდა ფარმანას ცო-ლეულთაგან, და უბოძეს სარგის ჯაყელსა და ძესა მისსა ბეჭას".[3] მუინ ად-დინ ფერვანე სელჩუკთა სახელმწიფოს ყაენის — ყიას ად-დინ ქეიხუს-რეე III-ის (1266-1283) მცირეწლოვანების პერიოდში ქვეყნის ფაქტობრი-ვი გამგებელი ხდება; ჟამთააღმწერელი მას „სულტანსა საბერძნეთისასა" უწოდებს. მისი მეუღლე იყო რუსუდან მეფის ქალიშვილი — გურჯი-

---

1 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

2 ჟამთააღმწერელი, გვ. 304.

* ერინჯი, როგორც ნ. შენგელია აღნიშნავს, თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული მოსაზრებით, ყიჭაღთა შთამომავალი იყო და ჯაყელთა საგვარეულოს ეკუთვნოდა — ნ. შენგელია, სელჩუკებისა და საქართველოს ურთიერთობ... (XIII ს. უკანასკნელი მეოთხედი), „ქართული დიპლომატია", წელიწ... II, თბ., 1995, გვ. 187.

3 ჟამთააღმწერელი, გვ. 271.

ხათუნი (იგივე თამარი), ანუ დავით ნარინის და (ამან, როგორც აღნიშნეთ, თავისი გამოვლინება პოვა დავით ნარინის დიპლომატიაში). მუინ ად-დინ ფერვანეს იქტის წესით დიდ ტერიტორიაზე ჰქონდა მფლობელობა: „მას აქუნდა პონტო, ასია და კაპადუკია", — აღნიშნავს ქამთააღმწერელი.[1] ეგვიპტის მამლუქთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს ყაენი მისგან ითხოვს, რათა „შეეწიოს სპათა მისთა"; როგორც ცნობილია, ილხანები დამარცხდნენ, ფერვანეს კი ღალატი დაბრალდა, რასაც მისი სიკვდილით დასჯა მოჰყვა. სამცხის სამთავროსთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ქამთააღმწერელისავე ცნობა, რომ „აწყური, სამცხე, რომელ ჰქონდა ფარვანას ცოლეულთაგან", ანუ რუსუდანის ასულ გურჯი-ხათუნისაგან მზითვად, მას ჩამოერთვა.

რუსუდანის მეფობაში აწყვერი, როგორც სამზითვო ქვეყანა, სულთან ყიას ად-დინ ქეიხუსრევ II-ს (1236-1246) ებოძა, რომელმაც ცოლად შეირთო გურჯი-ხათუნი (თამარი). რუსუდანმა თავის ასულს „დიდითა დიდებითა მისცა აწყუერი ზითვად"; სულთნის გარდაცვალების შემდეგ თამარი მუინ ად-დინ ფერვანეს ჰყავდა ცოლად, სამზითვო-აწყვერიც მას ამ დროს მიეღია.

ფერვანეს სიკვდილის შემდეგ, ეს ტერიტორიები ილხანებმა სამცხის ათაბაგებს უბოძეს, რაც მათ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ: „ჩანს, მონღოლებმა ეს მოწყალება გაიღეს იმ სამხედრო სამსახურის სანუქფოდ, რომელიც სამცხის ათაბაგებმა გასწიეს ეგვიპტის ლაშქრობის დროს. თუ აქამდე აწყვერი, ვითარცა სამზითვო ქვეყანა სელჩუკთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა და ეკუთვნოდა ქვეყნის უდიდეს და უპირველეს მოხელეს, მონღოლთა ნება-სურვილით, ამიერიდან იგი სამცხის ათაბაგებს გადაეცა და ძალაუნებურად მოექცა ქართული სახელმწიფოს საზღვრებში".[2]

ილხანებთან სამცხის ათაბაგების დამოკიდებულება ყოველთვის წყნარი და მოწესრიგებული არ ყოფილა: „მათ ქამთა შინა საქმისა რასათჳსმე განუდგეს თათართა სარგის და ძე მისი ბეკა... და ბუღა ნოინის მიერ, თუალად წოდებულისა, ძმა არუხა წარმოიგზავნა მოოკრებად სამცხისა. და მოვიდა არუხა სპითა ოცი ათასითა. ხოლო ბეკამან მოჰრიდა მთათა, რომელ არიან შუა გურიასა და აჭარას, და მესხნი შევიდეს ციხეთა, ქუაბთა და ტყეთა, და მოვლო ლაშქარმან სამცხე, და ვერარა ავნო. დაყვეს ოცი დღე და წარვიდეს, და დარჩა ქუეყანა მშჳდობით".[3] ქართულ ისტორიოგრაფიაში სარგის-ბეკა ჯაყელების განდგომა

ქამთააღმწერელი, გვ. 270.

2 ნ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

ქამთააღმწერელი, გვ. 278-279

და ბუღას ძმის — არუხას (არიყ ბუქას) გამოგზავნა 1280 წლით არის დათარიღებული.[1]

მაღე აბაღა ყაენმა ინება „წარსლვა ეგ·ვპტედ“, 1282 წელს ლაშკრობას დამასკო-ეგვიპტეში მონღოლი უფლისწული მანგუ თემური ხელმძღვანელობდა; მან დემეტრე თავდადებულის გარდა „მოუწოდა მთავარსა სამცხისასა ბექას, რათა წარ·ჰყვეს· თანა“. განმდგარი ბექა შურისძიების შიშით მონღოლებისაგან უვნებლობის ფიცს ითხოვს — მისივ; პასუხით ვგებულობ·თ, რომ კონფლიქტი გარკვეული მოწინააღმდეგე ჯგუფის მიზეზით არის წარმოშობილი: „მტერთა ჩემთა სიტყ·ათა განწყრა ჩემთ·ს ძმა შენი ყაენი აბაღა. და არუხა წარმოავლინა და მოაიკ·რა ქუეყანა ჩემი. ხოლო მე მოვრიდენ არას შეცოდებისათ·ს, და აწ მეშინის ყაენისაგან. და თუ შენ ფიცითა მიმინდობ, რაა არა მაბრალოს და ქუეყანა ჩემი და მამული მშ·ვდობით დაიცვას, მოვალ წინაშე შენსა ლაშკრითა“; შემდეგ დაცულია საინტერესო ფაქტი დიპლომატიის ისტორიის თვალსაზრისით, თუ როგორ ხდება უვნებლობის ფიცისა და გარანტიის მიცემა-გაფორმება: გაბარებულმა და ნასიამოვნებმა მანგუ თიმურმა „ოქროსა წყლისა შესმისა შეჰფიცა და ყოველი სიმტკიცე აღუთქუა, და შოსცა ბეჭედი, რომელი ეცუა თითსა მისსა, რამეთუ ესე იყო მტკიცე საფიცარი. და აუწყეს მოციქულთა ესე ყოველი ბექასა“.[2] ბექა I ჯაყელი მართლაც ეახლა ილხანებს და აბაღა ყაენმაც „ფრიად პატივ·სცა და შეიყუარა სიკეთისა მისისათ·ს. და ესრეთ წარვიდეს მისრეთს“.[3]

ქ. დარბუზაკთან ბრძოლაში, რომელშიც ქართველთა ლაშქარს ბექა ხელმძღვანელობდა, ქართულ მხარეს დიდი მხნეობა გამოუჩენია — „ბექამან და მისთა მყოლთა მესხთა ძლიერად იღუაწეს, უფროს სხუათა თათართა და ქართველთა შიგან ქალაქსა შესთხინეს, და მესხნი უპირატეს მიეტევნეს“; ამის გამო ყაენმა „პატივი დიდი უყო ბექასა, შესამოსელთა და ცხენთა საკვირველთა მინიჭებითა, ეგრეთვე დიდებულთა და აზნაურთა ბექასათა“.

ბექა ჯაყელი სულ უფრო ძლიერდება და სამფლობელო ტერიტორიებსაც აფართოვებს: „მაშინ ბექამან დაიპყრა ქუეყანა ტასისკარითგან კარნუქალაქამდის, სამცხე, აჯარა, შავშეთი, კლარჯეთი და უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალისკევი, არტანუჯი, თორმეტი უდაბნონი, კოლა, კარნიფოლა და ორნივე არტანნი, და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს. და ესრეთ დღითი-დღე განდიდნებოდეს და მსახურებდეს ყაენს აბაღას, და

---

[1] რ. კიკნაძე. XIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან. გვ. 177.

[2] ქამთააღმწერელი. გვ. 279.

[3] იქვე.

მორჩილობდეს მეფესა დიმიტრის".[1] ბექა ჯაყელი დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას აწარმოებს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, გარკვეულ საკითხებში მაინც დემეტრე მეფეს ემორჩილება; იგი საქართველოს სამეფოს სახელმწიფო მოხელედ და მანდატურთუხუცესის მაღალი სახელოს მფლობელად რჩება, თუმცა ეს დამოკიდებულება საკმაოდ შესუსტებულია; ბექა თავის საგამგეოში არა ჩვეულებრივი მოხელე, არამედ უმაღლესი სიუზერენია, რომელზე მაღლაც აქ არავინ დგას. ამ პერიოდში, კერძოდ, 1284 წ. შემდგომ, საშინაო დიპლომატიის თვალსაზრისით საინტერესო ფაქტი ხდება: დემეტრე II თავდადებული ცოლად ირთავს ბექა ჯაყელის ასულს, ანუ სამცხის მთავარი საქართველოს მეფის სიმამრი ხდება. ამას თითქოს უნდა მოეწესრიგებინა ცენტრისა და განმდგარი ვასალის ურთიერთობა. ამავე დროს, ასეთი შეუღლება ნათლად მეტყველებს სამცხის სტატუსსა და მისი მთავრის მდგომარეობაზე — ეს ერთ-ერთი პირველი იშვიათი შემთხვევათაგანია, როცა მეფე თავისი საკუთარი სამეფოს მთავრის ასულზე ქორწინდება, რაც შემდგომ ხანებში ასე ხშირდება.

XIII ს-ის ბოლოს ბექა ჯაყელის მდგომარეობა კიდევ უფრო მტკიცდება და განდიდების მაღალ ხარისხს აღწევს: 1293 წელს დავით VIII-ის გამეფებისას „მოუწოდეს სამცხით ბექასა, და მან არა ინება მოსლვად, რამეთუ ფრიად განდიდებულ იყო, თუთ არღარა წარვიდის არცა ყაენს წინაშე და არცა მეფეს თანა"...[2]

1295 წელს ქეიღათუ ყაენის მოკვლის შემდეგ, ყაზანის მცდელობით იგივე ბედი ეწია გაყაენებულ ბაიდუს; მისი მოკავშირე ნოინი თუქალი დავით VIII-თან გაიქცა, მაგრამ მან არა მეფეს, არამედ ბექა ჯაყელს შეაფარა თავი. ყაზან ყაენი მის გადმოცემას მოითხოვს; დავით მეფემ და ბექა ჯაყელმა იშუამდგომლეს ყაზანის წინაშე თუქალისათვის უვნებლობის ფიცის თაობაზე, რასაც ყაენიდან დადებითი პასუხი მოჰყვა. დავით მეფესთან საფრთხის გამო ვერ მისვლა და ბექა ჯაყელთან თავშეფარება ლაპარაკობს იმაზე, რომ ილხანები სამცხის სამთავროს სათანადო ანგარიშს უწევდნენ.[3]

ბექა ჯაყელის პერიოდის სამცხის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ტრაპიზონის იმპერიასთან ურთიერთობის საკითხი:

1297 წლის ტრაპიზონის ტახტზე ქართული ორიენტაციის მქონე კეისარი ალექსი II კომნენოსი (1297-1330) ავიდა. მის სახელთანაა დაკავ-

---

1 ქამთაალმწერელი, გვ. 273.
2 იქვე, გვ. 298.
3 მ. რეხვიაშვილი, სამცხის სამთავრო XIII-XVI სს., თბ., 1992, გვ. 16.

შირებული საკეისროს საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლა:[1] ბიზანტიის ზედამხედველობიდან გათავისუფლება, ანდრონიკე პალეოლოგის მეურვეობის უარყოფა და ორიენტაცია სხვა მეზობელ სამეფო-სამთავროებზე, რომელთა შორის სამცხე-საათაბაგოს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

ბიზანტიური დიპლომატია ადვილად ვერ დაუშვებდა ტრაპიზონელ ხელისუფალთა ზურგშექცევას; ტრაპიზონის კეისარ იოანე II-ის გარდაცვალებისას ბიზანტიის საიმპერატორო კარი, საკეისროში თავისი გავლენის მოსაპოვებლად, თხზავს ანდერძს, რომლითაც მცირეწლოვანი ალექსი II-ის მეურვეობას იოანე II თითქოს იმპერატორ ანდრონიკე II პალეოლოგს სთხოვს.[2] ბიზანტიელები აქტიურად იბრძვიან ტრაპიზონში თავიანთი გავლენის გასაძლიერებლად და ერთ-ერთ ხერხად ალექსი კეისრის დაქორწინების საკითხის გამოყენებას ცდილობენ. როგორც ირკვევა, ქართველთა მხრიდან ბიზანტიელთა ასეთი მოქმედება და სამზაღისი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, „საქართველოშიცა და ტრაპიზონშიც ბიზანტიის მთავრობის ნამდვილი ზრახვა და მთელი ამ გეგმის პოლიტიკური შედეგი კარგად ესმოდათ. არც თვით ტრაპიზონის მმართველ წრეებს სურდათ კონსტანტინოპოლის დამამცირებელი ჰეგემონიის მსხვერპლნი გამხდარიყვნენ. არც საქართველოს პოლიტიკოსებს მიაჩნდათ შესაძლებლად, რომ მათგან შექმნილსა და უმთავრესად მის მოძმე ლაზების მოსახლეობისაგან შემდგარი მათი მეზობელი სამეფო ბიზანტიისათვის დაეთმოთ, ანდა ხელში მისი ჩაგდების საშუალება მიეცათ".[3] ბიზანტიის საიმპერატორო კარი ალექსი II-ზე იმპერატორის ერთგული და წარჩინებული პირის — ხუმნოსის ასულის დაქორწინებას აპირებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველი პოლიტიკოსები ამ მოვლენების შორიდან შემყურენი არ არიან; გიორგი პახიმერე აღნიშნავს, რომ ალექსი კომნენოსმა „უარყო ეს ქორწინება ან იმიტომ, რომ ვილაცამ დაარწმუნა, თუ სხვა რამემ იმოქმედა მასზე, და იბერთა ერთი წარჩინებულის ასული მოიყვანა ცოლად".[4]

ბიზანტიელთათვის მოულოდნელად ალექსი II კეისარი სამცხის მთავრის ბექა I ჯაყელის ასულზე დაქორწინდა, რაც ამ კომნენოსის ქართულ ორიენტაციაზე ლაპარაკობს და რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტრაპიზონ-სამცხეს შორის დიპლომატიურ ურთიერთობათა თვალსაზრისით. ბიზანტიელ დიპლომატებში ამას დიდი იმედგაცრუება გა-

---

1 ფ. Успенский, История Византийской империи, т. III. Ленинград, 1948, გვ. 741
С. Карпов, Трапезундская империя..., გვ. 47.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III. თხზ., III. გვ. 144.
იქვე, გვ. 145-146
გიორგი პახიმერე, „ჯეორგიკა". 7. გვ. 81-82.

მოუწვევია, მაგრამ სამოქმედოდ ერთი გზა მაინც გამოუნახავთ: გადაწყვიტეს ქორწინების ჩაშლა; ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკეს ალექსი კეისართან ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდა — ანდრონიკე II-ის და — ევდოკია ალექსი II-ის დედა იყო. ამ დროს ევდოკია კონსტანტინოპოლში იყოფებოდა, ანდრონიკე II-მ მისი ტრაპიზონში გაგზავნა გადაწყვიტა, რათა მას ალექსი II გადაერწმუნებინა, მაგრამ ამის საპირისპიროდ, კეისრის დედამ შვილს გადაწყვეტილება მოუწონა. ქორწილის ჩაშლის სხვა ხერხიც იქნა ნახმარი: „მან (იმპერატორმა, დ. ნ.) კაცი გაუგზავნა პატრიარქს და მასთან არსებულ საკრებულოს და როგორც მეფე და მამა და როგორც იმ ყრმაზე (ალექსი II-ზე, დ. ნ.) უფლების მქონე ცდილობდა დაემტკიცებინა ამ შეუღლების უკანონობა და ძოითხოვდა დაერღვიათ იგი როგორც მისი ნების წინააღმდეგ მომხდარი".[1] ამ ცდამაც ბიზანტიურ მხარეს შედეგი ვერ მოუტანა.

სამცხის მთავარ ბექასა და ტრაპიზონის იმპერატორ ალექსის შორის უნდა დადებულიყო ჩვენთვის უცნობი ხელშეკრულება, რომლის ერთ-ერთი პირობად ქორწინება და ჭანეთის ქართველთათვის გადმოცემა ჩანს: „ხოლო ჭანეთი სრულიად მოსცა ბერძენთა მეფემან" და „ასული ბექასი ცოლად მოიყვანა", — აღნიშნავს ყამთააღმწერელი.[2] ამასთან დაკავშირებით ვახუშტი გადმოცემულ ტერიტორიას კიდევ უფრო აზუსტებს: ბექამ დაიპყრა ტაშისკარის ზეითი სამცხე და კლარჯეთი სრულიად და განდიდნა ფრიად. რამეთუ შეირთო ასული მისი ბერძენთა მეფემან და მან მოსცა ბექას ტრაპიზონს აქათი ჭანეთითურთ".[3]

როგორ უნდა შეფასდეს ეს შეთანხმება საერთო ქართული დიპლომატიის პოზიციიდან: ზ. ავალიშვილი აღნიშნავს, რომ როგორც ტრაპიზონის მეფე, ისე თვით ბექაც ყაზან-ყაენის ყმებად ითვლებოდნენ, „ასე რომ, მათი დაახლოება ზოგად საერთაშორისო მდგომარეობას შეეფერებოდა" და ფაქტს ასე აფასებს: სამცხის ათაბაგთა სახლი საერთაშორისო პოზიციას იპყრობდა, „მონღოლებთან ხომ პირდაპირი, უშუალო პატრონყმური კავშირი დაიპირეს და ახლა კომნენებთან დაახლოებითაც საკუთარ სადინასტიო და სატერიტორიო პოლიტიკას აწარმოებენ — უკვე ისტორიული მიღწევაა. ნათლად ჩანს გზა საქართველოს დაშლისა".[4] როგორც ვხედავთ, იხატება უარყოფითი სურათი, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს იქვე სქოლიოში ცნობილი მკვლევრის შენიშვნა: „ბექას პოლიტიკის ამგვარი წაქეზება გაერთიანებული საქართველოს ძალას

---

1 გიორგი პახიმერე. „ჯორჯიკა", 7. გვ. 82.
2 ყამთააღმწერელი. გვ. 304.
3 ვახუშტი. გვ. 701.
4 ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 78.

„შკარად ასუსტებდა. 1204 წელს ქართველები ტრაპიზონს ეხმარებოდნენ, რაცა მეზობლობაში „საკუთარი", პატარა საბერძნეთი აშენებულიყო. ახლა ეს ტრაპიზონელი ბერძნები ათაბაგს ხელს უწყობდნენ ტრაპიზონის საზღვარზე, საათაბაგოს სახით, ასე ვთქვათ, შემცირებული საქართველოს შესაქმნელად"...[1]

„სასინჯუ" ნამდვილად დამღუპველი აღმოჩნდა ერთიანი საქართველოს სახელმწიფოსათვის, მაგრამ XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე საქცხის საათაბაგოს „ულუსიანობა" უკვე მომხდარი ფაქტია; რაც-გან სამეფო უკვე არსებობს, როგორ უნდა შეფასდეს მისი დიპლომატიური კონტაქტები სხვა სახელმწიფოსთან?! ამ შემთხვევაში, კერძოდ, ტრაპიზონის საკეისროსთან.

ცენტრის გარეშე ასე დამოუკიდებლად საერთაშორისო პოლიტიკის წარმოება, რაღა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული უარყოფითი მომენტების შემცველია, მაგრამ საგარეო თუ საქართველოს ცენტრში არსებული ვითარების გათვალისწინებით, ეს მაინც საკითხის ერთი მხარეა; ლ. ტუსაშვილი ამ შეთანხმებას უწოდებს „დიდ პოლიტიკურ გარიგებას", რომელიც ტრაპიზონსა და სამცხეს შორის გაფორმდა.[2] როგორც ჩანს, სამცხე გარკვეულ გარანტიებს აძლევს საკეისროს და შესაბამის დახმარებასაც ჰპირდება საქიროების შემთხვევაში (ქვევით ასეთი ურთიერთკავშირი კიდეც ფიქსირდება), სანაცვლოდ ქართული სამთავრო ღებულობს — „ტრაპიზონს აქთი ქანეთითურთ". ბექა I ჯაყელი ტრაპიზონში ქართული გავლენის გასაძლიერებლად იბრძვის და წარმატებებსაც აღწევს; ასეთ ვითარებაში ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ სამცხის ათაბაგი ქართველ მეფეებთან კავშირში მოქმედებდეს. ის, რაც ბექა ჯაყელმა ამ შემთხვევაში განახორციელა — „ეს იყო კიდევ ერთი გამარჯვება ტრაპიზონში საქართველოს მომხრე დასისა";[3] ბიზანტია ალექსი II კომნენოსის გარდაცვალებამდე ვითარებას ვერ ცვლის და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა ქართული ორიენტაციის დასის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის საშუალება. თუ აქედან ამოვალთ, მაშინ ეს ფაქტი საერთოდ ქართული დიპლომატიის წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

აღნიშნული ხელშეკრულება შემდეგაც მუშაობს:

ალექსი II კომნენოსს 1301 წელს ულაშქრია ოსმალთა სულთნის, სასულთნოს დამაარსებლის — ოსმან პირველის (1281-1324) წინააღმდეგ, კერძოდ, კერასუნტზე, ქალაქი აუღია, ხოლო მისი გამგებელი შეუპყრია;

ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. გვ. 78-79.

2 ლ. ტუსაშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 185.

თ. აბრამიშვილი. XIII-XIV სს. დასავლურ-ქართული ფული (ყირმანეული). გვ. 21.

მიქელ პანარეტოსის ცნობებით, აქ ბევრი თურქი გაჟლეტილა. ამ ბრძოლებში აქტიური მონაწილეობა მიუღია ალექსი კეისრის სიმამრის — ბექა ჯაყელის ლაშქარს.

მცირე აზიაში, მონღოლთა ხანაში, თანდათანობით ძლიერდებიან მომთაბარე თურქმანთა ტომები, რომელთა თარეშის წინააღმდეგ თვით სელჩუკი სულთანებიც უძლურნი აღმოჩნდნენ. XIII ს-ის მიწურულისათვის მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფო ფაქტობრივად აღარ არსებობს, ცალკეულ ერთეულებადაა დაშლილი და ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, მომთაბარე თურქმანები განსაკუთრებით თავისუფლად მოქმედებენ. ისინი სულ უფრო ხშირად ჩნდებიან საქართველოს საზღვრებთან.

თურქმანთა მომთაბარე ტომები განსაკუთრებით ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ძლიერდებიან; მათ სადგომები სამხრეთ შავიზღვისპირეთში ჰქონდათ, ხოლო საზაფხულო საცხოვრისები ჭოროხის ხეობაშიცაა ცნობილი. ჟამთააღმწერელთან ისინი იწოდებიან როგორც „თურქნი საბერძნეთს მყოფნი"; მათ შემოსევებს საქართველოს სამხრეთ პროვინციებში ხელმძღვანელობს „კაცი მხნე და ძლიერი" აზატ-მოსე. ჟამთააღმწერელი აღნიშნავს, რომ „ამათ ჟამთა გამოჩნდეს თურქნი საბერძნეთს მყოფნი, რომელნი დამკვიდრნეს ზაფხულის მთათა პარხლისათა და ზამთრის მახლობლად პონტოსა... ასე აზატ მოსე წარმოვიდა ყოვლითა ძალითა მისითა მოოხრებად ყოვლისა საქართველოსა. და ვითარ მოიწია ბასიანს და ტაოს, იწყო მძვინვარედ ოხრება, ხოცა და კლვა"...[1] სამცხელნი და კერძოდ, ტაოს ერისთავი — თაყა ფანასკერტელი მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ, რადგან „არა ჰქონებდეს თურქთა გამოჩენას, ამისთვის ყოველი სოფელი ტაოსა შეუძრავად დახუდა, ვერა-სადა-ვინ ივლტოდა. ამისთვის ურიცხუნი მოისრნეს"... თაყა ერისთავმა მხოლოდ მოახერხა, რომ „მცირე წყობა ყო ციხისა თორთომის ძირსა და დიდად ავნო".[2] ბექა მანდატურთუხუცესმა კარგად შეაფასა ქვეყნად შექმნილი სერიოზული საფრთხე და საგანგებოდ მოემზადა: ამ დროს წარმოთქვა მან თავისი საპროგრამო სიტყვა, სადაც კარგად ჩანს ბექა I ჯაყელი, როგორც პოლიტიკოსი, დიპლომატი და ქართველი (იგი დიპლომატიური კუთხით საინტერესოა, ამიტომ სრულად მოვიყვანთ):

„ისმინეთ, მთავარნო საქართველოსანო, ძმანო და თანამონათესავენო ჩემნო, სიტყუა ჩემი. დიდმან და სახელოვანმან, სკიპტრისა და პორფირისა მჭონებელთა შორის უმეტეს განთქმულმან მეფემან დავით დასცა

---

[1] ჟამთააღმწერელი, გვ. 310-311.
[2] იქვე, გვ. 311.

და დაამკო ძლიერება თურქთა ნათესავისა და აოტნა სამეფოსაგან მისისა. მიერ ჟამითგან აქამომდე არღარა ჩენილ არიან თურქნი, და აწ ცოდვათა ჩუენთათჳს კუალად აღიძრნეს მძჯნვარედ და მოაოკრეს ტაო, და ურიცხჳ სული ტყუე ყვეს და მოსწყჳდეს პირითა მახულისათა, ეკლესიანი დასცეს, და სიწმიდენი შეაგინეს, და კუალად განმზადებულ არიან ბოროტის ყოფად ქრისტიანეთა და მოოკრებად, ვინათგან მეფე შემცირებულ არს მძლავრობისაგან თათართასა, და კუალად პირნი და თავნი საქართველოსანი განდგომილან, და არავინ არს წინააღმდგომ თურქთა. აწ ისმინეთ ჩემი, ტომნო და ერთ-ნებანო! შეეკრებეთ ყოველთა ძალითა ჩუენითა და მივმართოთ თურქთა, და არა მივსცნეთ თავნი და შვილნი ჩუენნი, და არა განგუწირნეს ღმერთმან მოსავნი მისნი და აღმსარებელნი მისნი, და მოგუცეს ძლევა მათ ზედა, ვითარ მისცა მამათა ჩუენთა ძლევა მათ ზედა. დავდვათ თავი ჩუენი სჯულისა შეუგინებლობისათჳს და ძმათა ჩუენთათჳს, უეჭველად ღმერთი მოგუანიჭებს ცხოვრებასა".[1]

ბექა I ჯაყელის ამ პოლიტიკურ-დიპლომატიური ხასიათის სიტყვასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ სამცხის მთავარი როგორც ქვეყნის უზენაესი პატრონი მოქმედებს, მაგრამ ამავე დროს ამ კრიტიკულ სიტუაციაში იგრძნობა, რომ მისი უზენაესი მაინც საქართველოს მეფეა; სხვა შემთხვევაში იგი მეფის შესუსტებასა და ქართველ დიდებულთა განდგომილებაზე ლაპარაკს არ ჩამოაგდებდა, აზატ-მოსე ხომ მხოლოდ მის სამფლობელოებს შემოესია.[2] ბექა ათაბაგი ძალზე წინდახედულად და დიპლომატიურად იქცევა, აღნიშნულ რთულ ვითარებაში სწორად თელის, რომ აქ აუცილებლად მეფის სახელი უნდა ისმოდეს; დავით მეფის მაგალითიც შემთხვევით არ არის მოყვანილი. ბექა აზატ-მოსეს წინააღმდეგ მოქმედების დროს მთელი საქართველოს მშვიდობიანობისათვის მებრძოლი პოლიტიკოსია. „ბექამ კარგად იცის ის ორი მთავარი მიზეზი, რამაც საქართველო ასე დაასუსტა: მონღოლთ მძლავრება და საქართველოს თავთა და პირთა გადგომა. და თვითონ ერთი ყველაზე დიდი განდგომილი იყო, ამავე დროს ბრძენი და, თავისი დროის მიხედვით, ღირსეული მოქალაქე", — აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი.[3]

ბექა I ჯაყელმა „მოუწოდა ყოველთა მის ქუეშე დაწესებულთა, ტასისკარითგან ვიდრე ბასიანამდე: მესხთა, შავშთა, კლარჯთა, კოლაარტან-კარნიფორელთა, და უმრავლესთა ტაოელთა, რამეთუ მას აქუნდა

---

[1] ჟამთააღმწერელი, გვ. 311-312.
[2] ნ. ბერძენიშვილი, სის, IX, გვ. 255.
[3] იქვე.

ესე ყოველი ქუეყანა, ამათ თანა თმოგუელთა და თორელთა, და შეკრბა სიმრავლე ერთი ბევრი და ორი ათასი, და მიმარჩეს თურქთა ზედა".[1] მომთაბარე თურქმანთა წინააღმდეგ წარმატებული ოპერაციების შემდეგ, „ეზომი ძლევა მისცა ღმერთმან ბექას, რომელ მისთა სპათაგან ერთი კაცი არა დააკლდა".[2] როგორც აღნიშნულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, ბექა ათაბაგმა „ჭკვიანური სამხედრო გეგმის" წყალობით "შეძლო „ბრწყინვალე ძლევა" (ყამთააღმწერლის ტერმინია), ხოლო „სამცხის ათაბაგების საქმიანობა სხვა არაფერი იყო თუ არა მოქნილი, გამართული დიპლომატიური ურთიერთობა მომთაბარე თურქმანთა ძალებთან".[3]

ამავე დროს მიქელ პანარეტოსის ცნობებით, მათ ებრძვის ალექსი II ტრაპიზონის იმპერატორი, რომელთაც ის 1302 წ. ამარცხებს კიდეც. ვფიქრობთ, სამცხისა და ტრაპიზონის მესვეურთ ერთმანეთთან კავშირში უნდა ეწარმოებინათ ბრძოლა მომთაბარეთა წინააღმდეგ; ბექა ჯაყელისა და ალექსი კომნენოსის ზემოაღნიშნული ხელშეკრულება კვლავ ძალაში, და საქიროების შემთხვევაში (1301-1302 წწ.) მოქმედებაში შედის. ასეთ მოწესრიგებულ დიპლომატიურ-ურთიერთობებს თურქმანთა განადგურება მოჰყვა, მაგრამ ეს მხოლოდ წინადღე იყო, რასაც ოსმანთა დაპყრობები მოჰყვა.

XIV ს-ის დამდეგამდე ტრაპიზონის იმპერიასა და გენუის რესპუბლიკას შორის რაიმე მსხვილი კონფლიქტის შესახებ ისტორიული წყაროები არაფერს აღნიშნავენ. პირველი მნიშვნელოვანი სამხედრო ინციდენტი 1304 წლისათვის ფიქსირდება; ცნობებს ამის შესახებ ვხვდებით მიქელ პანარეტოსთან და გიორგი პახიმერთან, რომლებიც სხვადასხვა თარიღს ასახელებენ, შესაბამისად, 1311 და 1306 წლებს. უცხოელ ავტორებთან (პოსინი, ფალმერაიერი...) და ქართულ ისტორიოგრაფიაში (თ. ბერაძე[4]) ეს ფაქტი 1306 წლით არის დათარიღებული. გ. კაროს გამოკვლევიდან გამომდინარე, ასეთი ქრონოლოგია ეპვს იწვევდა, როგორც საბოლოოდ გაირკვა, ეს სამხედრო კონფლიქტი 1304 წელს ყოფილა, რაც ს. კარპოვმაც გაიზიარა.[5] ამ მომენტზე იმიტომაც ვამახვილებთ ყურადღებას, რომ იგი საინტერესოა სამცხის სამთავროს საერთაშორისო კონტაქტების თვალსაზრისით:

---

1 ყამთააღმწერელი, გვ. 312.

2 იქვე. გვ. 315.

3 ნ. შენგელია. სელჩუკებისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), „ქართული დიპლომატია". წელიწდეული. II. თბ., 1995.

4 Т. Бераидзе, დასახ. ნაშრომი. გვ. 99.

5 С. П. Карпов. Трапезундская империя и западноевропейские государства в XIII-XV вв., გვ. 93-94.

გენუელებს ტრაპიზონის იმპერატორ ალექსი II-თვის ელჩები გაუგზავნიათ და სხვადასხვა მოთხოვნა წაუყენებიათ, მათ შორის შელავათები ვაჭრობაში; მათი ერთ-ერთი არგუმენტი ისიც ყოფილა, რომ გენუელები გადასახადებიდან თვით ბიზანტიის იმპერატორს გაუთავისუფლებია. დაპირისპირება სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა, ტრაპიზონის იმპერატორმა გამოიყენა „თან რომ ჰყავდა იბერთა რაზმი", რომელთაც შეტაკების ბედი ტრაპიზონელთა სასარგებლოდ გადაწყვიტეს.[1] გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართველთა რაზმი ტრაპიზონში იმპერატორ ალექსი II-ის საცოლესთან ერთად უნდა ჩამოსულიყო;[2] ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ „იბერთა რაზმი" ძირითადად შესაძლოა სამცხელთაგან ყოფილიყო შემდგარი.

1308 წელს „მესხეთის მხნე და მარჯვე მმართველის (ივ. ჯავახიშვილის ტერმინოლოგიით) ბექა I-ის გარდაცვალებით დასრულდა სამცხის სამთავროს ერთი უმნიშვნელოვანესი ეპოქა — „უგვირგვინო მეფეების"* სარგის-ბექა ჯაყელების მმართველობის ხანა.

---

[1] გიორგი პაპიმერე. გეორგიკა, VII, 1967, გვ. 86-87.

[2] С. П. Карпов, დასახ. ნაშრომი, გვ 94.

* ე. თაყაიშვილი ზარზმის ტაძარში ფრესკაზე გამოსახულ სარგის I ჯაყელს „უგვირგვინო მეფეს" უწოდებს — Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, I, Тфл., 1905, გვ. 46-49.

XIII თავი. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIV საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დამდეგს

1. „მრავალმეფიანობის" ხანის (1298-1318) ქართული დიპლომატია

XIII-XIV საუკუნეთა მიჯნა საქართველოში შინაპოლიტიკური ბრძოლის განსაკუთრებული გამწვავებით აღინიშნა. დროის მცირე მონაკვეთში სამეფოში რამდენიმე სრული ძალაუფლების მქონე მეფე და ე. წ. „პროვინციის მეფე" მოღვაწეობს: დავით VIII (1293-1311), ვახტანგ III (1298-1304), გიორგი V ბრწყინვალე (1299, 1318-1346), გიორგი VI მცირე (1308-1318), მელქისედეკ „პროვინციის მეფე" (1311-1318), დემეტრე დმანისის მხარის „პროვინციის მეფე"; დასავლეთ საქართველოში: დავით ნარინის ძეები — კონსტანტინე და მიქელი. ასეთი შინაპოლიტიკური და დინასტიური ვითარების შექმნას მონღოლთა ბატონობის ხასიათმა შეუწყო ხელი. შექმნილმა სიტუაციამ ასახვა პოვა საქართველოს სამეფო პოლიტიკის ყველა სფეროში, ბუნებრივია, დიპლომატიაშიც. რადგან აღნიშნულ პერიოდში (1298-1318) ერთდროულად რამდენიმე მეფის „ელმწიფობაა" დადასტურებული, ამიტომ მართებულად გვეჩვენება საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთს, იურიდიულად ჯერ კიდევ ერთიან სამეფოში, ვუწოდოთ „მრავალმეფიანობის" ხანა.[1]

„მრავალმეფიანობის" ხანის ქართულ დიპლომატიას რამდენიმე ძირითადი მიმართულება ახასიათებდა: უპირველესია ურთიერთობა ილხანთა ირანთან, ასევე, დიპლომატიური კონტაქტები ოქროს ურდოსთან, ეგვიპტესთან (შესაბამისად სირია-პალესტინასთან), ბიზანტიასა და ტრაპიზონის იმპერიებთან, სელჩუკებთან, დასავლეთ ევროპასთან... დიპლომატიური საქმიანობა მიმდინარობდა ყველა აღნიშნული კუთხით, მაგრამ იყო რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება:

პოლიტიკურად საქართველო ილხანთა მონღოლურ სახელმწიფოზე დამოკიდებულ ერთეულად რჩება „გურჯისტანის ვილაიეთის" სახელწოდებით. ბუნებრივია, ქართველთა ამ პერიოდის ყველა დიპლომატიური ნაბიჯი მონღოლთა ბატონობის პრიზმაში განიხილებოდა. ილხანებს გამუდმებული ბრძოლები ჰქონდათ მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით ოქროს ურდოსა და ეგვიპტის სასულტნოსთან, რომელშიც ქართველებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. ამიტომ ამ პერიოდის ქართული დიპლომატიის უპირველესი მიმართულებაა, ერთი მხრივ, ილხა-

---

[1] ვ. კიკნაძე, საქართველო XIV საუკუნეში, თბ., 1989, გვ. 25-26.

ნებისა და ოქროს ურდოს, მეორე მხრივ, ილხანთა ირანისა და მამლუქთა ეგვიპტის ურთიერთობა და მასში საქართველოს ადგილი; ილხანთა ბატონობის პირობებში ქართველთა მხრიდან ოქროს ურდოსა და ეგვიპტის სახელმწიფოსთან კონტაქტების ძიების საკითხი.

„მრავალმეფიანობის" ხანის ქართული დიპლომატიის განხილვა დემეტრე თავდადებულის შვილის — დავით VIII-ის (1293-1311) მეფობით უნდა დავიწყოთ. ამ პერიოდში ილხანთა მონღოლურ სახელმწიფოს თავისი ქვეყნის დიდი რეფორმატორი — ყაზან ყაენი (1295-1304) განაგებდა. დავით VIII-ის პოლიტიკა, მისი დიპლომატია მნიშვნელოვანი პერიოდია მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების ისტორიაში. იგი წინა ეტაპი და მოსამზადებელი ხანაა გიორგი ბრწყინვალის დიპლომატიისათვის, რასაც საქართველოში მონღოლთა ბატონობის დასრულება მოჰყვა.

XIII ს-ის II ნახევარსა და XIV ს-ის დასაწყისში ილხანებთან საქართველოს ურთიერთობის სფეროში გამოიკვეთა ორი ხაზი: პირობითად პირველს შეიძლება დემეტრე II თავდადებულის, ხოლო მეორეს — დავით VIII-ის ხაზი ვუწოდოთ. პირველში იგულისხმება ნაკლები წინააღმდეგობა, აჯანყებების ფორმის უარყოფა, მონღოლთა გულის მოსაგებად მათ ლაშქრობებში გამუდმებული მონაწილეობა და ა. შ. ეს იყო ამ ფორმით ქვეყნის გადარჩენის ერთ-ერთი ცდა. აღნიშნული ხაზის გამგრძელებელია დემეტრე II-ის მეორე ძმა — ვახტანგ III.

დავით VIII-ის პოლიტიკა მისი სამეფო კარის დიპლომატიით იყო განპირობებული: გარკვეულ პერიოდში ეს არის აჯანყება, აშკარა ბრძოლა, შეურიგებელი წინააღმდეგობა, ხოლო პოლიტიკური სიტუაციის ცვლილებების შესაბამისად შესაფერისი გზების ძიება, მათ შორის დიპლომატიური მოლაპარაკებების ფორმაც. ქართულ ისტორიოგრაფიაში დავით VIII-ის პოლიტიკა ძირითადად უარყოფითად ხასიათდება; აღნიშნულია, რომ დავით მეფის გაქცევას მთიულეთში დიდი მსხვერპლი მოჰყვა, რაც დადებითად ვერ შეფასდება, თუმცა ქამთააღმწერელი არ კიცხავს მას, პირიქით, ცდილობს მიჩქმალოს განსაკუთრებით თვალში საცემი უარყოფითი დეტალები.[1] დგება საკითხი, რატომ არის ქამთააღმწერელი ასე „მიმტევებელი" დავით მეფის მიმართ?! როგორც ქვევით დავინახავთ, პოლიტიკური კლიმატის ცვლილების მიხედვით, დავით VIII ხან აჯანყებულია (არც მთლად წარუმატებლადაც), სანაც კარგი დიპლომატი, ე. ი. მის მოღვაწეობაში აჯანყებების ხანას წარმატებით ცვლის საკმაოდ შედეგიანი მოლაპარაკებებისა და დიპლომატიური კონტაქტების პერიოდი. XIII-XIV საუკუნეთა მიჯნის საქართველოს ისტორიის

---

[1] ვ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

გაანალიზებისათვის ერთ მომენტსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება: ჰქონდა კი დავით VIII-ს საშუალება სხვაგვარი პოლიტიკური თუ დიპლომატიური კურსის წარმოებისა? როგორც ვ. კიკნაძე აღნიშნავს, ჟამთააღმწერელი XIII-ის მიწურულის ამბებისა და მოვლენების აღწერისას ხშირად საკუთარ შთაბეჭდილებებსა და განწყობილებას ეყრდნობა; იქნებ დავით მეფის მიმართ ასეთი კეთილგანწყობილება იმანაც განაპირობა, რომ XIV ს-ის ისტორიკოსს დავით მეფის პოლიტიკა იმ პერიოდისათვის ყველაზე ოპტიმალურად მიაჩნდა?

1293 წელს ქეილათუ ხანმა (1291-1295) საქართველოს (რეალურად კი აღმოსავლეთ საქართველოს) მეფედ დავით VIII დაამტკიცა. საილხანოში დაწყებული ანარქია 1295 წელს დასრულდა, როცა ტახტზე ყაზან ყაენი ავიდა. არსებობდა ექვი, რომ დავით VIII ყაზანის მოწინააღმდეგეთა ბანაკს თანაუგრძნობდა, ამიტომ მათი ურთიერთობა თავიდანვე გამწვავდა, რაც 1297 წელს დავით VIII-ის აჯანყებაში გადაიზარდა. სწორედ ამ დროს წინ წამოიწია ქართველთათვის ოქროს ურდოსთან დიპლომატიური ურთიერთობების გააქტიურების საკითხმა. „მრავალმეფიანობის" ხანაში, ისევე როგორც სხვა პერიოდშიც, ილხანთა მონღოლურ სახელმწიფოსა და ოქროს ურდოს გამუდმებული ბრძოლები ჰქონდათ და საქართველოს ამ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ქართული დიპლომატია და მისი მესვეურნი ყოველთვის ცდილობდნენ, ეს ურთიერთდაპირისპირება საქართველოს საკეთილდღეოდ გამოეყენებინათ. დავით VIII მთიულეთში გამაგრებისთანავე პირველ დიპლომატიურ მისიას სწორედ ოქროს ურდოში გზავნის, „წარავლინა ძმა თჳსი უმრწამესი ვახტანგ ელჩად დიდისა ბათოს შეილიშეილის ყაენისა და უქადა გზა გამოსვლად ყაენის ზედა".[1] როგორც ირკვევა, დავით VIII ცდილობს, გამოიყენოს ოქროს ურდოს ძალები ყაზანის წინააღმდეგ საბრძოლველად, რისთვისაც ყაენმა „კეთილად შეიწყნარა და უქადა ქუეყანა და საჴურჱლე მრავალი". დავით VIII-ის მიერ მოწყობილ პირველ ელჩობას ოქროს ურდოში 1297 წელს უნდა ჰქონოდა ადგილი.

ყაზან ყაენი საპასუხო ღონისძიებას მიმართავს, წარმოგზავნა ხუტლუშა, რომელიც „დადგა ტფილისს"; ყაენს განზრახული აქვს დავით მეფესთან დაზავება, მყარდება დიპლომატიური კონტაქტები ილხანებსა და აჯანყებულ დავით VIII-ს შორის, იგზავნება „მოციქული", ითხოვეს ქართველთაგან „კაცნი სარწმუნონი მისანდობელად". დავით VIII გზავნის თავის პირველ მისიას მოლაპარაკების საწარმოებლად, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: კათალიკოსი აბრაჰამი, ივანე ბურსელი, ტფილე-

---

ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1987, გვ. 195.

ლი ყადი. მათ მონღოლთაგან „მძევალნი“ ითხოვეს. ილხანებმა საპასუხოდ „მისცეს ბეჭედი ყაენისა და სიმტკიცე უენებლობისა“. როგორც ჩანს, დავით VIII არ არის კმაყოფილი მიღებული გარანტიებით, შექმნილი პოლიტიკური სიტუაციით და კვლავ ცდილობს მის ხელთ არსებული მძლავრი იარაღის გამოყენებას ოქროს ურდოს სახით. „ვითარ მოიწია არე გაზაფხულისა“ (ანუ 1298 წ. I ნახევარი) დავით მეფე მეორე ელჩობას გზავნის ოქროს ურდოში: „ამისთჳს წარავლინა ძმა მისი ბაიდუ დიდისა ყაენისა თოთხთას წინაშე“.[1] რატომ ბაიდუ და ვახტანგ ბატონიშვილი არა? იქნებ იმ მიზეზსაც უფრო ღრმად ჩავწვდეთ — რატომ არ ენდო დავით მეფე ხუტლუშასთან დაზავებას? ჩვენი აზრით, აქ კვლავ ილხანთა მზაკვრულ ჩანაფიქრს უნდა ჰქონოდა ადგილი; მათ მოახერხეს შუღლისა და მტრობის ჩამოგდება ძმებს — დავით მეფესა და ვახტანგ ბატონიშვილს შორის; როგორც ჟამთააღმწერელი აღნიშნავს, „იკლო რამე სიყვარული და სიკეთე“ და ვახტანგი „ძმისა მისისა დავითისაგან შეპყრობილცა იყო და პატიმრული ციხესა ჟინოვანისასა“.[2] ჟინვალიდან გამოპარვისა და ივანე ბურსელის მეცადინეობის შედეგად დროებით დაცხრა გამწვავებული ურთიერთობა ძმებს შორის, მაგრამ მაინც „ვერღარა თავს-იდვა ვახტანგ უპატიოდ ყოფა. და წარვიდა ურდოსა ყაზანის თანა“; ყაზანმა (აქ კარგად ჩანს მონღოლთა როლი ძმებს შორის კონფლიქტის წარმოშობაში) ვახტანგი „კეთილად შეიწყნარა და მოსცა მეფობა“.[3] ვახტანგ III-ის ჩასვლაზე საყაენოში მოგვითხრობს „ძეგლი ერისთავთა“, რომლის მიხედვითაც, ბატონიშვილს თან ხლებია ჭანის ერისთავი შალვა ქვენიფნეველი. ამ ფაქტს მოჰყვა ის ცნობილი ეპოპეა, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში — დაპირისპირება დავით მეფესა და ჭანის საერისთავოს შორის, რასაც მონღოლები კვლავ თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ.

ვახტანგ III ორჯერ გამეფდა — 1298 და 1302 წლებში.[4] ზემოაღნიშნული ცნობა მისი პირველი გამეფებაა, რომელსაც საყაენოში 1297 წლის ბოლოს ჰქონდა ადგილი, ხოლო თბილისში გახელმწიფება 1298 წლის დასაწყისში მოხდა. ზუსტად ამ პერიოდზე მოდის დავით VIII-ის მიერ გაგზავნილი მეორე ელჩობა ოქროს ურდოში, რომელიც ვახტანგ III-ის გამეფების საპასუხოდ უნდა „დაჩქარებულიყო“. ბუნებრივია, ამ ელჩობას სათავეში ვახტანგ III ველარ ჩაუდგებოდა, ამიტომაც, მას დავითის მეორე ძმა ბაიდუ (ბაადურ) ხელმძღვანელობს. ამდენად, ეს ელ-

---

[1] ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე. გვ. 195.
[2] იქვე. გვ. 201.
[3] იქვე.
[4] ამ საკითხზე ვრცლად იხ. ჩვენი სტატია — XIV ს. დამდეგის საქართველოს ისტორიის რამდენიმე ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხი. თსუ შრომები. ტ. 283. 1989.

ჩობა ოჭროს ურდოში ვახტანგ III-ის გამეფების საპასუხო კონტრნაბიჯი ჩანს, რაც თავისთავად ყაზან ყაენისათვის დიდი საშიშროების შემცველია. ყაზანმა კარგად იცოდა, რომ დავით VIII-ს შეეძლო ოჭროს ურდოსათვის გზა მიეცა და მათ ილხანთა წინააღმდეგ ბრძოლაშიც რეალურად დახმარებოდა. პოლიტიკური ვითარება იქამდეც კი მიდის, რომ ოჭროს ურდოს განზრახვამ — დაეპყრო ამიერკავკასიის ტერიტორიები, ილხანები აიძულა უფრო სამხრეთით გადაეტანათ დასავლეთ ევროპასთან დამაკავშირებელი სავაჭრო გზები. ყაზან ყაენს მთელი თავისი დიპლომატიური ხელოვნების გამოყენება დასჭირდა, რათა დავით VIII-სა და ოჭროს ურდოს შორის ჩამოყალიბებული ეს კავშირი დაერღვია. საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს მოვიშველიებთ: ყაზან ყაენსა და ოლჯაითუს სახელით გამოშვებული დირჰემების პარალელურად საქართველოს ზარაფხანა სპილენძის ფულსაც უშვებს; მონეტებზე აღბეჭდილია აღმოსავლეთ საქართველოს მეფის — ვახტანგის სახელი. ილხანები, შეშფოთებულნი დავით VIII-ის მოქმედებით, ვახტანგ III-ის მიმართ ფრთხილ პოლიტიკას ატარებენ, ცდილობენ მისი მდგომარეობის განმტკიცებას და ზოგიერთ დათმობაზეც მიდიან. ამის ნათელი დადასტურებაა სპილენძის მონეტაზე ილხანის სახელთან ერთად ვახტანგ III-ის მოხსენიებაც. აშკარაა, ეს დავით VIII-ის საპირისპიროდ კეთდება. ასეთი მონეტების არსებობამ ზუსტად ასახა ის რთული ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც ყალიბდება საქართველოსა და მონღოლებს შორის.[1]

ყაზან ყაენმა კვლავ გამოგზავნა ხუტლუშა, „აწვიეს მეფე (დავით VIII. დ. ნ.) მისლვად" მონღოლებთან; დავით VIII-მ მეორე მისია გაგზავნა: კათალიკოსი აბრაჰამი, ტფილელი ყადი და ივანე ბურსელი. „შეთანხმება კვლავ არ მოხდა, „კუალადცა ინებეს თათართა ზავის-ყოფა მეფისა და გაუგზავნეს მოციქული", მთავარი პირობაა, რომ დავითმა „არა მისცეს გზა ბათოს შვილისშვილსა დიდსა ყაენსა თოხთას".[2] ამ ცნობას მოსდევს ჟამთააღმწერლის სიტყვები, რომელიც დიპლომატიურ შეთანხმებას აღნიშნავს: „ყვეს ფიცი და აღქუმა ურთიერთას". რამ გამოიწვია დავით მეფის ასე უცებ დაყაბულება? ვფიქრობთ, ეს მომენტი იმან დააჩქარა, რომ მისი ძმა — ვახტანგ ბატონიშვილი მეფისათვის საშიშ სტატუსს იძენს — „ვითარ ცნა მეფემან დავით, რომე ვახტანგს მეფედ ჰყოფენ, წარმოავლინა იგივე ბურსელი ზავისათჳს და აღუთქუა ურდოს წარსვლა, უკეთუ ფიცითა შეაჯერონ და მოსცენ მძევალი".[3]

ც. ლაბეოიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან. თბ., 1986. გვ. 59.

ჟამთააღმწერელი. გვ. 196.

იქვე. გვ. 201-202.

დავითმა ხუტლუშასთან „წარმოავლინა“ მეუღლე-დედოფალი ოლჯათი, კათალიკოსი აბრაჰამი, ტფილელი ყადი და კვლავ ივანე ბურსელი.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ „მრავალმეფიანობის“ ხანის დიპლომატიაში რამდენიმე პოლიტიკური ფიგურა გამორჩეულ ადგილს იკავებს. მათ შორის ერთგვარად ნაკლებად ცნობილი სახელმწიფო ძოღვაწე ივანე ბურსელი. იგი აქტიური მონაწილეა პირველი მოლაპარაკებისა (საერთოდ, ოთხ მისიაში მიიღო მონაწილეობა). რომელიც გაიმართა მონღოლებსა და ქართველებს შორის დავით VIII-ის აჯანყების შემდეგ. ასევეა მეორე მისიის დროსაც. მაშინაც, როცა დავით VIII-მ ვახტანგის გამეფების ამბავი გაიგო, „წარმოავლინა იგივე ბურსელი ზავისათჳს“ მონღოლებთან. აშკარად იგრძნობა, რომ მას ორივე მხარე ენდობა: როცა „ხუტლუშამან შეპფიცა და ყოველი სათხოველი აღუსრულა“, დავით VIII-თან სწორედ ივანე ბურსელი წავიდა, რის შემდეგაც გახარებულმა მეფემ „წარმოავლინა დედოფალი ოლჯათ“ მონღოლებთან. ქამთააღმწერელი სპეციალურად უსვამს ხაზს, რომ, როცა მონღოლეთ-საქართველოს შორის მოლაპარაკება და შეთანხმება მოხდა, ამის გარანტად ივანე ბურსელი იჭნა მიჩნეული: „ამის პირსა შინა იყო ბურსელი ივანე. აღიღო პირი მტკიცე (მონღოლებისაგან, **დ. ნ.**), და მოვიდა მეფის (დავით VIII-ის, **დ. ნ.**) წინაშე“.[1]

ივანე ბურსელი საქართველოს საშინაო საქმეების წარმოების დროსაც კარგი დიპლომატი ჩანს: მას შემდეგ, რაც დავით VIII-სა და ვახტანგ ბატონიშვილს შორის შუღლი ჩამოვარდა, ეს უკანასკნელი გამოიქცა „პატიმრული“ ქინვალის ციხიდან, სწორედ ივანე ბურსელთან მივიდა და შუამდგომლობა სთხოვა. ამ ფაქტიდან კარგად ჩანს მისი, როგორც პოლიტიკური მოღვაწის, რანგი და მნიშვნელობა. ვახტანგ ბატონიშვილი ეუბნება ივანე ბურსელს: „ აწ წარავლინე კაცი (დავით შეფესთან, **დ. ნ.**) და აუწყე ჩემი შენსა მოსვლა. თუ ჰნებავს და ფიცით შემაჯერებს, რომე არა მავნოს და არა შემიპყროს, მის წინაშე მივალ, მცირე სარჩომიცა მომცეს“.[2]

ივანე ბურსელის ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა და ეს ფაქტი კვლავ დიპლომატიურ მოლაპარაკებასთან არის დაკავშირებული:

როგორც აღენიშნეთ, ბოლო მოლაპარაკების დროს დავით VIII-მ სხვებთან ერთად წარგზავნა დედოფალი ოლჯათი; ქამთააღმწერელი გვაუწყებს, თუ როგორ ხდებოდა შეთანხმებების გაფორმება: მონღოლებმა „მისცეს პირი სიმტკიცისა, და ბეჭედი ყაენისა, და ელისმანდი-

---

ქამთააღმწერელი. გვ. 200.

2 იქვე. გვ. 201.

ლი, და აძლიეს ხუტლუშას შვილი სიბუჩი მძევლად".[1] ხუტლუშამ ოლ-ჯათ-დედოფალი თავისთან დაიტოვა, ხოლო კათოლიკოსი აბრაჰამი, ივანე ბურსელი და ტფილელი ყადი დავით მეფესთან გაგზავნა.

მონღოლი ოლჯათის დავით VIII-თან დაქორწინების საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო იაპონელმა მეცნიერმა სეიჩი კიტაგავამ თავის სტატიაში — „უფლისწული ოლჯათის ქორწინების გარემოებანი და ილხანთა პოლიტიკა საქართველოში": ავტორი აღნიშნავს, რომ დავით მეფისა და ოლჯათის შეუღლების ფაქტს ხელი უნდა შეეწყო მონღოლებისათვის საქართველოში მათი ბატონობის განმტკიცებისათვის[2] (საერთოდ, ეს მონღოლთა დიპლომატიის ერთ-ერთი კარგად აპრობირებული ხერხი ჩანს). ჩამოვარდინილი უთანხმოების შემდეგ, ჩაიშალა რა დავითთან შერიგების ყოველგვარი შესაძლებლობა, მონღოლებმა ოლჯათი აღარ დააბრუნეს აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო კარზე. დავით მეფემ, რადგან „ცნა ოლჯათის არღარა მოსვლა", „მიზეზ-ყო" და აღარ გამოცხადდა მონღოლებთან, კვლავ გაგზავნა იგივე ივანე ბურსელი, კათოლიკოსი აბრაჰამი და ტფილელი ყადი ხუტლუშასთან მოლაპარაკების გასაგრძელებლად. ამჯერად, მოვლენები აღარ წარიმართა დავით მეფის ჩანაფიქრის მიხედვით. საქართველოს დიპლომატიური მისია „ვითარ მივიდა ხუტლუშას თანა" და მან „რა ცნა არა მოსლვა მეფისა", სწორედ ივანე ბურსელს უთხრა: „კაცო, სატყუარი რა არს? მე მტკიცითა ფიცითა შემიფიცავს და ვერ მოვიდა. აწ მიიღე ტყუილისა ნაცვალი პატიჟი".[3]

ამას მოჰყვა ზემოაღნიშნული მოლაპარაკებებისა და ამ პერიოდის დიპლომატიურ საქმიანობაში ერთ-ერთი გამორჩეული და აქტიური დიპლომატის ივანე ბურსელის დაღუპვა — „და განრისხებულმან (ხუტლუშამ, **დ. ნ.**) მოაკუდინა ბურსელი, რომლისა გუამი აღიღო შანშე და წარგზავნა სამარხოსა მისსა".[4] ეს XIV ს-ის დამდეგს მომხდარა, ვახუშტი 1301 წელს ასახელებს.[5] ამის შემდეგ მონღოლებმა უკვე „ვახტანგს დაუმტკიცეს მეფობა და ოლჯათ წარავლინეს ურდოსა".[6] აღნიშნულ ვითარებას თან ერთვის მონღოლთა მძიმე ლაშქრობები, თუმცა მათ თავად დავითს, რომელიც მთიულეთში იყო გამაგრებული, ვერაფერი დააკლეს.

---

1 ქამთააღმწერელი, გვ. 202.
2 ნ. გაბაშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები იაპონელი მეცნიერის სეიჩი კიტაგავას შრომებში, „მნათობი", 1987, №6, გვ. 147.
3 ქამთააღმწერელი, გვ. 202.
4 იქვე.
ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება", IV, გვ. 248-249.
6 ქამთააღმწერელი, გვ. 202.

საქართველოს „მრავალმეფიანობის“ ხანის დიპლომატიაში ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს კათოლიკოსი აბრაჰამი, იგი ივანე ბურსელთან ერთად აწარმოებს არაერთ ძალზე საჭირო მოლაპარაკებას მონღოლებთან და ხშირად წარმატებებითაც.

ილხანთა ირანის დიპლომატია საკმარისად არ მიიჩნევს ვახტანგ III-ის გამეფებას, რადგან იგი იშვიათად იმყოფებოდა საქართველოს მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობის გამო. ყაზან ყაენი ლევით VIII-ის მეორე ძმას, მომავალ გიორგი V ბრწყინვალეს ეპირობარებს. მონღოლებმა ბეჭა ჯაყელს „სთხოვეს ყრმა გიორგი, რაცა მისცეს და მეფე-ყონ ქართლსა დავითის წილ“,[1] რაც განხორციელდა კიდეც 1299 წელს და „იყო ყრმა მცირე გიორგი მეფედ ტფილისისა“.

ვახტანგ III 1299-1300 წლებში ყაზან ყაენთან ერთად იბრძვის ეგვიპტის წინააღმდეგ: განსაკუთრებით მწვავე ხასიათისაა ლაშქრობები სირიისათვის, რომელიც ამ დროს ეგვიპტის მამლუქთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შედის. ყაზან ყაენმა 1299-1300 წლებში სირიაში ბრძოლების შედეგად სულთან ნასინ მუჰამედის ჯარი დაამარცხა და დაიკავა ალეპო, დამასკო, სირიის სხვა ქალაქები; 1300 წელს, იერუსალიმის აღების შემდეგ მცირე ხნით წმინდა ქალაქი ქართველების ხელშიც კი გადავიდა, მაგრამ, საბოლოოდ, ყაზანის ლაშქრობები მარცხით დასრულდა.

მცირეწლოვანი გიორგი „ტფილისის მეფედ“ იქცა; ვახტანგ III იშვიათად იმყოფებოდა საქართველოში, ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა დავით VIII-ს მიიჩნევს კანონიერ ხელისუფლად, რომელიც „არა მიენდო თათართა, ზაფხულ მთიულეთს იყვის და ზამთარ ქართლსა“.[2] როცა ქამთააღმწერელი აღნიშნავს, „უმძიმესად აოკრდა ბაყათარ ქართლსა“, დავით VIII-ზე მიუთითებს, რომ მათ სწორედ იგი „წინააღუდგებოდა“ და არა ვახტანგ III ან გიორგი V.

ეგვიპტის ლაშქრობის შემდეგ, 1300 წელს, მონღოლები კვლავ აწყობენ დიდ ლაშქრობას ხუტლუშას მეთაურობით, რომელსაც ხელს უწყობენ შალვა ქვენიფნეველი, შანშე მხარგრძელი... დავით VIII-ის მიმართ „დადგეს ერთგულებასა“ „სურამელი ჰამადა, ამირეჯიბი აბაზას ძე ეილა, და აზნაურნი ქართველნი და სომხითარნი“. მის მხარესვე „ქეთილად ბრძოდეს შინაურნი მეფისანი, ჯადელნი და ჯეკით მოსრულნი რჩეულნი“.[3] როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაშია აღნიშნული, დავით VIII-მ მოახერხა მის ხელთ არსებული ძალების სწორი ორგანიზება, როგორც გამოცდილმა მხედართმთავარმა, კარგად იცოდა მონღო-

---

[1] ქამთააღმწერელი, გვ. 197.
[2] იქვე. გვ. 210.
[3] იქვე. გვ. 198-199.

ლური ბრძოლის წესები, რომელთაც იგი ილხანთა კარზე ყოფნისას დაუჯდებოდა.[1] დავით VIII-მ ჯადაში ამოსულ მონღოლებს პარტიზანული ბრძოლები გაუმართა, გამაგრდა ციკარეში, ქართველებმა მონღოლები ისეთ ადგილებში მოაქციეს, რომ „ქუეითად იბრძოდენ თათარნი", რაც მათთვის წამგებიანი იყო. დავით VIII-მ გარკვეულ წარმატებებსაც კი მიაღწია. ასეთი ლაშქრობა მოეწყო 1301 წელსაც. რადგან სათანადო შედეგები ვერ მიიღეს, მონღოლებმა სხვა ხერხს ეძებთეს: კვლავ დაუპირისპირებს ძმა — ვახტანგ III და 1302 წელს უკვე რეალური ძალაუფლებით ხელმეორედ გაამეფეს: „დამტკიცდა მეფობა ვახტანგისი. რამეთუ ყაზანმან ჯელთ-უდეა სამეფო, დაიპყრა ტფილისი და ყოველი სომხითი, დმანისი და სამშუალდე".[2] ამ დაპირისპირებაში აშკარად იგრძნობა მონღოლური დიპლომატიის ხელი, „ასწლოვანი მატიანე" ხაზს უსვამს, რომ ვახტანგ III „არა წინააღუდგებოდა ძმასა თ'ესსა დავითს", „არათუ ვახტანგ მტერი იყო ძმისა, არამედ თათართა შიშითა იძულებითი შეება".[3] 1302 წელს მაინც მოხდა გარკვეული შეთანხმება, რის შედეგადაც თუ ამ წლამდე დავით VIII „ზაფხულ მთიულეთს იყვის და ზამთარ ქართლსა", 1302 წლიდან იგი გამოიყვანეს რა „ჯუელეთით", სამფლობელოდ მისცეს ჯავახეთი და ალასტანი,[4] სადაც გადავიდა კიდეც. 1302 წლიდან იწყება დავით VIII-ის დიპლომატიის ახალი ხანა, ახალი ეტაპი.

რაც შეეხება სელჩუკებთან ურთიერთობას: საქართველოში მონღოლთა ბატონობა გახდა XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოსა და სელჩუკებს შორის მრავალმხრივი ურთიერთობის შესუსტების ძთავარი მიზეზი. როგორც ცნობილია, ამ კონტაქტებს, მათ შორის დიპლომატიურსაც, მრავალსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდა. მიუხედავად კრიზისისა, ეს ურთიერთობა მთლიანად არ შეწყვეტილა, თუმცა იგი მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული მონღოლთა პოზიციაზე. XIII ს-ის ბოლო მეოთხედში ცნობილია რამდენიმე გაერთიანებული ლაშქრობა მონღოლ-სელჩუკ-ქართველთა ლაშქრისა ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ. ამ პერიოდის სელჩუკები მძიმე კრიზისს განიცდიან, უკმაყოფილო მოსახლეობა აჯანყებებსაც არ ერიდება. დროთა განმავლობაში მათ ტე-

---

ვ. ღუნაშვილი. ცხრაზმის საერისთავოს პოლიტიკური ისტორიიდან (XIV ს-ის დასაწყისი). „მაცნე". №4. 1990. გვ. 155.

ქამთაადმწერელი. გვ. 203; დ. ნინიძე. XIV ს-ის დამდეგის საქართველოს ისტორიის რამდენიმე ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხი.

ქამთაადმწერელი. გვ. 203. 211.

„ძეგლი ერისთავთა". ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის". ნაკვ. III. თბ., 1954. გვ. 348; ამ საკითხზე ვრცლად იხ.: დ. ნინიძე. „პროვინციის მეფეები" XIV-XV სს. საქართველოში. თბ., 1995.

რიტორიაზე რამდენიმე დამოუკიდებელი ერთეული ჩამოყალიბდა; ყველაზე დიდხანს იკონიიის სასულთნომ იარსება, რომელთანაც საქართველოს ორი საუკუნის განმავლობაში ჰქონდა ურთიერთობაც და გეოგრაფიული მეზობლობაც.[1]

ამ პერიოდშივე დასავლეთ საქართველოსა და ევროპის გარკვეულ სახელმწიფოებს შორის მყარდება სავაჭრო ურთიერთობები, განსაკუთრებით, იტალიის ქალაქრესპუბლიკებთან — ვენეციასა და გენუასთან. ვაჭრობის პარალელურად მოსალოდნელია დიპლომატიური კონტაქტები დასავლეთი ევროპის ქვეყნებთან, თუმცა „მრავალმეფიანობის" ხანის ამ ურთიერთობის შესახებ ცნობებმა ჩვენამდე ნაკლებად მოაღწია.

„მრავალმეფიანობის" ხანას განეკუთვნება კიდევ ერთი ფაქტი, რაზეც უკვე იყო ლაპარაკი. ქართული ისტორიული წყაროები არაფერს წერენ საქართველოსა და გენუას შორის ურთიერთობის შესახებ. თ. ბერაძის აზრით, ამის მიზეზი ის არის, რომ ამ ორ სახელმწიფოს ერთმანეთთან არასოდეს უომია;[2] შეიძლება დასახელდეს გამონაკლისი: 1304 წელს ტრაპიზონის იმპერატორთა მხარეს ქართველთა რაზმების მონაწილეობა გენუელთა წინააღმდეგ; გენუელები სავაჭრო შელავათების გაზრდას მოითხოვდნენ,[3] შეტაკების დროს ტრაპიზონის იმპერატორმა ალექსი II-ს „თან რომ ჰყავდა იბერთა რაზმები, ისინი მიუსია მან (გენუელთა, დ. ნ.) შესაბმელად... გამარჯვება გადაიხარა იბერთაკენ, და გენუელებს ცუდი დღე დაადგათ".[4] საბოლოოდ, „გაუბედურებულმა გენუელებმა ზავი ითხოვეს".[5]

როგორც აღვნიშნეთ, 1302 წლიდან დავით VIII-ის დიპლომატიაში ახალი ეტაპი დგება.

საქართველოს „მრავალმეფიანობის" ხანის (1293-1318) დიპლომატიაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის გასათავისუფლებლად მოწყობილ ქართველთა ელჩობას, რომელსაც ადასტურებენ ალ-მაკრიზი (1364-1442), ალ-აინი (1361-1451), მუჯირ ად-დინი (+1521). ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად გაზიარებულია, რომ საქართველოს ეს დიპლომატიური მისია, რომელსაც მნიშვნელოვანი წარმატებები მოჰყვა, განხორციელდა 1305 წელს, ხოლო მისი ორგანიზატორია დავით VIII. 1301-1304 წლებში ეგვიპტის სულთანის ჯარმა

---

1 Н. Н. Шенгелия, На истории грузино-сельджукских взаимоотношений во второй половине XIII в., "Тюркологический сборник", М., 1984, გვ. 244.
Т. Бердзенишвили, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989, გვ. 99.
С. Н. Карпов, Трапезундская империя..., გვ. 93-94.
გიორგი ჯაბიერე, „ქართლი", VII, გვ. 86.
იქვე, გვ. 87.

სამჯერ დაამარცხა ყაზან ყაენისა და ვახტანგ III-ის გაერთიანებული ლაშქარი. თანდათან იკვეთება, რომ ილხანებს აღარ შესწევთ ძალა სირია-პალესტინის დაპყრობისა. დავით VIII-ის კარის დიპლომატია ითვალისწინებს ამ მომენტს და აწარმოებს მოლაპარაკებას ეგვიპტესთან, რომელთანაც გარკვეული კონტაქტების შედეგად მნიშვნელოვანი დაახლოებაც მოხერხდა.

დავით VIII-მ ამ ურთიერთობებში კონსტანტინეპოლიც ჩართო: საქართველოს მეფის დესპანები ჯერ ბიზანტიაში ჩასულან და იმპერატორისათვის დავით VIII-ის წადილი უცნობებიათ: იმპერატორ ანდრონიკე II-ს (1282-1328) თავისი დესპანებიც გაუყოლებია ქართველი ელჩებისათვის. აღნიშნული დიპლომატიური მისიის საშუალებით საქართველომ, ჯვრის მონასტრის განთავისუფლების თხოვნასთან ერთად, ეგვიპტის სულთანს მოკავშირეობაც აღუთქვა.

1305 წლის ქართველთა ელჩობა წარმატებით დასრულდა, ეგვიპტემ დააკმაყოფილა დავით VIII-ის თხოვნა და ქართველებს დაუბრუნა წმინდა სალოცავი. ეგვიპტის „სწავლული ხალხის" გადაწყვეტილების საფუძველზე იერუსალიმის ჯვრის მონასტერი გადაეცათ ქართველებს და მიეცათ თუ აღდგენილ იქნა უფლება სწორად ამხედრებისა.[1] ამ ფაქტს ივ. ჯავახიშვილი „დიპლომატიურ გამარჯვებას" უწოდებს.[2] ასევე ქართული დიპლომატიის წარმატებად უნდა ჩაითვალოს, რომ, რენე ჟანენის სიტყვებით, XIII და XIV საუკუნეებში მნიშვნელოვნად გაძლიერებული ქართული საზოგადოება ნელ-ნელა ბერძნული საზოგადოების ადგილს იქერს, რომელიც დევნილი იყო მამლუკებისაგან; თვით ქალაქ იერუსალიმის ფარგლებში არსებულ სავანეებსაც კი ქართველები იქერენ.[3]

დ. გოჩოლეიშვილის აზრით, ეს მნიშვნელოვანი ფაქტი 1305 წელს ვერ მოხდებოდა, რადგან ალ-მაკრიზი (კაიროს გამოცემის ტექსტი) და ალ-აინი, 1305 წელთან ერთად, მონასტრის დახსნის თარიღად 1310 წელსაც მიუთითებენ. 1310 წელს აღნიშნავს მუფადდალ აბუ ლ ფადაილიც. მკვლევრის დასკვნა ასეთია: 1310 წელი „უფრო ანგარიშგასაწევია", 1305 წლისათვის „დავით მეფეს საამისო პირობები არც გააჩნდა, როგორც აღინიშნა, ის გახიზნული იყო მთიულეთში."[4] ამდენად, დ. გოჩოლეიშვილის აზრით, 1305 წელს დავით VIII მონღოლებთან

XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ. არაბულიდან თარგმნა. შესავალი. შენიშვნები და საძიებელი დაურთო დიტო გოჩოლეიშვილმა. თბ., 1988. გვ. 34.

[2] ივ. ჯავახიშვილი. ქართული ერის ისტორია. III. თბ., 1966. გვ. 270.

[3] რენე ჟანენი. ქართველები იერუსალიმში. „რელიგია". №10. 1992. [illegible]

[4] XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ. გვ. 39.

უთანხმოების გამო თითქოს გახიზნულია მთიულეთში, ხოლო სამეფო ტახტზე მისი მოწინააღმდეგე ძმა — ვახტანგ III ზის, ამიტომ დავით მეფე ვერ გამოვიდოდა ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების ორგანიზატორად. 1308 წელს, ვახტანგ III-ის გარდაცვალების შემდეგ, დავით VIII-მ შეძლო ტახტის დაბრუნება, გარკვეულად შეცვალა დამოკიდებულებაც მონღოლებთან; ამიტომ ამ წლის შემდეგ „დავით VIII-ს ჰქონდა ყველა საშუალება, მათ შორის მატერიალურიც, რათა ეზრუნა ჯვრის მონასტრის დაბრუნებასა და მის კეთილდღეობაზე", — აღნიშნავს დ. გოჩოლეიშვილი.[1] მკვლევარს ისიც ეეჭვება, მართლა დავით VIII-ის მიერ არის მოწყობილი 1305 წლის ელჩობა, თუ ვახტანგ III-ის ან კონსტანტინე ლიხთ-იმერის მეფის მიერ. რაც მთავარია, ავტორი ეეჭვება აყენებს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ მოსაზრებას, რომელიც მნიშვნელოვანია დიპლომატიის ისტორიის თვალსაზრისით, რომ სწორედ 1305 წელს მოხდა ეგვიპტე-საქართველოს შორის ურთიერთობის არსებითი შეცვლა და „დაიწყო ახალი ხანა, ხანა ერთმანეთის პატივისცემის პრინციპზე დამყარებული კეთილი დამოკიდებულებისა, რომელმაც საუკუნეების მანძილზე იარსება".[2] დ. გოჩოლეიშვილის აზრით, 1305 წელი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს „ახალი ხანის" დასაწყისად ეგვიპტე-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში.[3] ქართველთა ელჩობას და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის განთავისუფლებას 1310 წლით ათარიღებენ გ. ჯაფარიძე,[4] ვ. კიკნაძე.[5] მკვლევართა ამოსავალი ის არის, რომ 1305 წელს დავით VIII-ს ასეთი მნიშვნელოვანი აქციის განსახორციელებლად პირობები არ გააჩნდა, იგი მთიულეთში იყო შეხიზნული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვახტანგ III-ს ორჯერ მოუხდა გამეფება 1298 წელს, როცა იგი ძირითადად მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობს და იშვიათადაა თბილისის ტახტზე, და 1302 წელს — მეორედ და რეალური ძალაუფლებით. 1297 წელს აჯანყებული დავით VIII მართლაც გაიხიზნა საქართველოს მთიანეთში, მაგრამ ასეთი ვითარება, როგორც ირკვევა, მხოლოდ 1302 წლამდე გრძელდება. „ძეგლი ერისთავთას" ცნობით, ამ წელს ვახტანგ III-მ თავის ძმას დავით VIII-ს გადასცა „ჯავახეთი და ალასტანი და გამოიყვანა გუელეთით".[6] ეამთააღმ-

---

1 XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 39.

2 ბ. სილაგაძე. მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, „ქართული წყაროთმცოდნეობა", II, თბ., 1968, გვ. 99.

3 XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 36-37.

4 გ. ჯაფარიძე, XIV ს. არაბი ენციკლოპედისტი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის შესახებ, „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, №3, 1985, გვ. 180.

5 ვ. კიკნაძე. საქართველო XIV საუკუნეში. გვ. 43.

6 ამ საკითხზე ვრცლად იხ. დ. ნინიძე, XIV ს. დამდეგის საქართველოს ისტორიის რამდენიმე ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხი. თსუ შრომები, ტ. 283, 1989; დ. ნინიძე.

ბერლის მიერ აღწერილ ვითარებას — დავითი „ზაფხულ მთიულეთს ...ყვის და ზამთარ ქართლსა“, მხოლოდ 1302 წლამდე აქვს ადგილი. ამის შემდეგ იგი სამხრეთ საქართველოშია, ამიტომ მკვლევართა (დ. გოჩოლეიშვილი, ვ. კიკნაძე) მოსაზრება, რომ 1305 წელს დავით VIII მთიანეთშია გახიზნული, არ არის სწორი. ასევე ჟამთააღმწერლის ცნობაც, რომ „მეფემან დავით შეკრიბა ყოველი მთიული, წარვიდა და მოვიდა ...ფილისს, და ჰყვა კაცი ცხენოსანი და ქუეთი, ვითარ თხუთმეტი ათა...ი“,[1] ვერ დათარიღდება 1303 წლით, როგორც ფიქრობენ ვ. გამრეკელი[2] და ვ. ღუნაშვილი.[3] დავით VIII-ის წარუმატებელ ლაშქრობას ჯავახეთსა და ალასტანში გადასვლამდე ჰქონდა ადგილი, ე. ი. 1302 წლამდე, ან სწორედ 1302 წელს.

მეორე საკითხია, თუ 1305 წელს რამდენად გააჩნდა დავით VIII-ს ...ინისო პირობები, რომ ეწარმოებინა აქტიური დიპლომატიური საქ...ანობა, მოეგვარებინა ურთიერთობა ეგვიპტესთან, ბიზანტიასთან, ილ...ნებთან, წარმატებით დაეგვირგვინებინა ჯვრის მონასტრის გამოხსნის ...ითხი.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ დავით VIII, მიუხედავად პროვინ...ციაში გადასვლისა (ჯერ მთიულეთში, შემდეგ ჯავახეთ-ალასტანში), არ გამდგარა პოლიტიკური ცხოვრებიდან, პირიქით, აქტიურად მოქმედებს და დიპლომატიურ საქმიანობასაც საკმაო ყურადღებას უთმობს. ვ. ღუ...აშვილი აღნიშნავს, რომ დავითის ჯავახეთსა და ალასტანში გადაყვანით ვახტანგ III-მ იგი მთლიანად ჩამოაშორა არაგვის ხეობას, ე. ი. ოქროს ურდოსთან დამაკავშირებელ გზას.[4] როგორც ზემოთაც დავინახეთ, დიპლომატიურ ურთიერთობათა კუთხით ოქროს ურდოს ფაქტორი მნიშვნელოვნად მუშაობდა. ილხანებისათვის დავით VIII-ის ასეთი სიახლოვე და დიპლომატიური კონტაქტები ოქროს ურდოსთან, ბუნებრივია, წამგებიანი იყო. ამდენად, ილხანთა დიპლომატიის გარკვეულ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ დავით VIII-ის „ჟამოყვანა გუელეთით“ და ოქროს ურდოსაგან მოშორება.

ჯავახეთის ალასტანთან ერთად დავით მეფისათვის გადაცემა არ არის შემთხვევითი. მას აქ, საქართველოს სამხრეთ რეგიონებში და ისტო-

---

მ. სანაძე. ჰოვანავანქის მონასტრის ეგვტრის წარწერა და ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „მაცნე“, №3, 1990; დ. ნინიძე, სოფ. ალასტანის ისტორიიდან, „მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის“, ნაკვ. III, თბ., 1987.

1 ჟამთააღმწერელი, გვ. 210-211.

2 ვ. გამრეკელი, XIII-XIV სს. მიჯნის საქართველოს ისტორიიდან, „მრავალთავი“, V, 1975, გვ. 180.

3 ვ. ღუნაშვილი, ცხრაზმის საერისთაოს პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 156.

4 იქვე, გვ. 158.

რიული სომხეთის ჩრდილოეთის ზოგიერთ პროვინციაში მფლობელობა ჯერ კიდევ უფლისწულობის პერიოდში ჰქონდა;[1] ამიტომ დავით VIII-ის მხრივაც ამ რეგიონში გადასვლა მოფიქრებული და სწორი ნაბიჯი ჩანს. საშინაო და საგარეო სიტუაცია მის საწინააღმდეგოდ ვითარდება და ამდენად, 1302 წლიდან ჯავახეთსა და ალასტანში მფლობელობა მას დროებითი მოსვენების საშუალებას აძლევს. ვ. ღუნაშვილის მოსაზრება, რომ ამ პერიოდიდან შექმნილმა სიტუაციამ დავით VIII „წელში გასტეხა",[2] არ მიგვაჩნია მართებულად.

სამხრეთ საქართველოში გადასვლის შემდეგ დავით VIII-ის პოლიტიკასა და დიპლომატიაში ახალი ეტაპი იწყება. მართალია, დავით მეფეს ამ პერიოდში ვახტანგ III-ისა და მონღოლების წინააღმდეგ არავითარი სამხედრო ოპერაცია თითქმის არ უწარმოებია, მაგრამ ისმის კითხვა — იყო კი საჭირო ასეთი ბრძოლა?! დავითის მოქნილი დიპლომატიის შედეგად მისმა სამფლობელომ ჯავახეთმა (ცენტრით ალასტანში) პოლიტიკური სხეულის მაგვარი სახე მიიღო თავისი მმართველი აპარატითა და სხვა ატრიბუტებით; თ. ლომოური საქართველოს ამ ნაწილს „სამეფოსაც" კი უწოდებს.[3] ამის პარალელურად 1301-1304 წლებში ეგვიპტის სულთანი არაერთხელ ამარცხებს ყაზან-ყაენისა და ვახტანგ III-ის გაერთიანებულ ლაშქარს, რითაც დავით VIII-საც უნდა ესარგებლა. დავით მეფისათვის არა აშკარა ბრძოლის, არამედ აქტიური დიპლომატიური ურთიერთობებისა და ელჩობების პერიოდი დგება.

აშკარად ჩანს, დავით VIII იმდენად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურაა, რომ მონღოლები იძულებულნი არიან დათმობაზე წავიდნენ და დაუშვან მისი ასეთი მფლობელობა-გამგებლობა. აღსანიშნავია, რომ 1304 წელს ერთ-ერთ სომხურ ანდერძმინაწერში ამ ხანის აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ დავით VIII არის დასახელებული.[4] 1303 წლის თმოგვის წარწერითაც სწორედ იგი — დავითია საქართველოს მეფე.* დავით VIII კიდევ უფრო აქტიურდება ვახტანგ III-ის გარდაცვალების შემდეგ. ვახტანგ III-ის გარდაცვალების საკითხს ჩვენ სპეციალურად ვეხებით ამ პრობლემისადმი მიძღვნილ ნაშრომში,[5] სადაც მივდივართ

---

1 დ. ნინიძე, მ. სანაძე, დასახ ნაშრომი; დ. ნინიძე. დასახ. მონოგრაფია.

2 ვ. ღუნაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

3 თ. ლომოური, დავით VII-ისა და ვახტანგ III-ის ფულები, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე". XV-B. თბ., 1948, გვ. 74.

4 სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების კომენტარების) ცნობები საქართველოს შესახებ. ძვ. სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბ., 1978, გვ. 17.
ცნობა მოგვაწოდა გ. გაფრინდაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

5 დ. ნინიძე, ვახტანგ III-ის გარდაცვალების თარიღისათვის, „ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები", XIV, 1987.

დასკვნამდე, რომ ამ ფაქტს ადგილი ჰქონია 1304 და არა 1308 წელს, როგორც გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

1304 წელს გარდაცვლილი ყაზან ყაენის მაგივრად ტახტზე ოლჯაითუ დაჯდა. რომელთანაც დავით VIII აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს და შეთანხმებასაც აღწევს; ამის საფუძველზე მონღოლებმა თავისთან მიიწვიეს მისი ვაჟი გიორგი VI მცირე აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე მეფობის დასამტკიცებლად. ამის მიღწევა საკმაო სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რადგან არსებობდა სხვა პრეტენდენტიც: ილხანთა კარზე წარსდგა დემეტრე თავდადებულის ძე გიორგი (მომავალი გიორგი V ბრწყინვალე), „რომელი წინათცა მეფედ ყვეს, რათა აწ დაუმტკიცონ მეფობა", მაგრამ ყაენი მას სამეფო ტახტს არ აძლევს, დავით VIII-ს მოციქულს უგზავნის და მის შვილს — გიორგი VI მცირეს იწვევს სატახტოში მეფობის მისაღებად. ეს დავით VIII-ის დიპლომატიის მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო. მეორე მხრივ, ეს იმიტომაც გახდა შესაძლებელი, რომ მოწინააღმდეგე ბანაკის მეთაური — ვახტანგ III ამ დროს (1304 წელს) უკვე გარდაცვლილია. ამის შემდეგ დავით VIII-ს ხელ-ფეხი საბოლოოდ გაეხსნა, უკვე იგია ერთადერთი ფაქტობრივი გამგებელი. ამიტომაც ზემოაღნიშნული მოსაზრება, რომ მას 1305 წელს არ ჰქონდა შესაძლებლობა და შესაბამისი პირობები, ეწარმოებინა აქტიური დიპლომატიური საქმიანობა და სხვა წარმატებათა შორის გამოეხსნა ჯვრის მონასტერიც, არ მიგვაჩნია მართებულად. ვერც იმას დავეთანხმებით, რომ მონღოლებთან დავით მეფის დამოკიდებულება მხოლოდ 1308 წელს შეიცვალა. ილხანებთან დიპლომატიურ ურთიერთობათა მოგვარება 1304-1305 წლებში ხდება და გიორგი VI მცირეს საილხანოს კარზე გაგზავნაც ამის შედეგია. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა სწორედ დავით VIII-ს აღიარებს ქვეყნის კანონიერ ხელისუფლად, ამიტომ ყოველივე ზემოაღნიშნული აძლევს შესაძლებლობას, 1305 წლის დიპლომატიური მისიის ორგანიზატორად მოგვევლინოს. დავით VIII-ს, ამისათვის ყოველგვარი საშუალება ჰქონდა. 1305 წლის ელჩობით ჩანს, რომ დავით VIII-ს მოწესრიგებული დიპლომატიური ურთიერთობა აქვს ბიზანტიასთან და მის იმპერატორ ანდრონიკე II-თან. როგორც ცნობილია, ანდრონიკეს ეგვიპტის სულთანთან ქართველ ელჩებთან ერთად თავისი დესპანნიც გაუყოლებია. დავით VIII-ის მიერ ორგანიზებული 1305 წლის ელჩობა წარმატებით დასრულდა, დარეგულირდა ურთიერთობა ეგვიპტესთან, ეგვიპტის სულთანმა დააკმაყოფილა საქართველოს თხოვნა და დაუბრუნა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი. ამ „დიპლომატიური გამარჯვებიდან" ანუ 1305 წლიდან იწყება, რო-

გორც ბ. სილაგაძე უწოდებს, საქართველო-ეგვიპტის დიპლომატიური ურთიერთობების „ახალი ხანა“,[1] რაც მთავარია, ხაზგასასმელია ის მომენტი, რომ ამას ქართული დიპლომატია საქართველოში მონღოლთა ბატონობის პირობებში აღწევს.

ამ დიპლომატიური წარმატების ფონზე ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ ეგვიპტის დიპლომატები, შუა საუკუნეების ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, განთქმულნი იყვნენ საქმის ცოდნითა და მოქნილობით. ამ თვალსაზრისით, საქართველოს „მრავალმეფიანობის“ ხანის დიპლომატიის ეს მიღწევა კიდევ უფრო საგულისხმოა. რენე ჟანენის სიტყვებით, „მამლუკი სულთნები საშიშარნი იყვნენ როგორც გამოჩენილი მეომარნი და როგორც გაქნილი დიპლომატები“.[2] ერთი მხრივ, იმ პერიოდის მემატიანენი ამას იმით ხსნიან, რომ ეგვიპტის სულთნები განსაკუთრებულად ეპყრობიან ქართველობას, რადგან კარგად იციან საკუთარი ჩამომავლობა; ამითვე აიხსნება, რომ თითქოს ქართველებს XIII-XIV სს-ში დიდად საპატიო ადგილი ეჭირათ პალესტინაში, „მაშინ როდესაც სხვა ქრისტიანებს დიდად უჭირდათ იერუსალიმში მისვლა და იქაც მათი ყოფნა ხშირად საშიში იყო, ქართველებისათვის კარი ღია იყო და ისინი სრულიად თავისუფლად გრძნობდნენ თავს“.[3] ეს მომენტი, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ არის გამოსარიცხი, მაგრამ იგი ვერ განხორციელდებოდა თავად საქართველოს მცდელობისა და მისი დიპლომატიის წარმატებული პოლიტიკის გარეშე.

ქრონოლოგიურად შემდეგია გილანის საკითხი: მონღოლებმა ვერ დაიმორჩილეს კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარე მიუვალი მხარე — გილანი. ოლჯაითუმ, იმავე ხარბანდა ყაენმა, მისი დაპყრობა გადაწყვიტა. ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ ამ ლაშქრობას ადგილი 1306 წელს ჰქონდა, ხოლო ვახტანგ III თითქოს კვლავ მოჩანს ყაზან ყაენის თანამებრძოლთა შორის.[4] პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ 1306 წელს ყაზან ყაენი უკვე გარდაცვლილია, ასევე ვახტანგ III-ც; მეორე მხრივ, ჟამთააღმწერელი ხარბანდას-ოლჯაითუს გაყაენებას მაშინვე მოაყოლებს, .რომ მან „ინება გილანს წარსლვა“.[5] ჩვენი აზრით, ამ მოვლენას ოლჯაითუს გაყაენების წელსვე ჰქონდა ადგი-

---

1 ბ. სილაგაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 99.
2 რენე ჟანენი. დასახ. ნაშრომი, გვ. 8.
3 იქვე. გვ. 9.
4 ბ. ლომინაძე. მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XII ს-ის 40-იანი — XIV ს-ის 10-იანი წლები). „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“. III. თბ., 1979. გვ. 611-612; ვ. ღუნაშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 161.
ჟამთააღმწერელი, გვ. 213.

ლი (1304 წ.). ვახუშტი ამის შესახებ პირდაპირ მიგვითითებს.[1] ამ საკითხს მხლოდ ერთი წინადადებით შეეხო აკად. ნ. ბერძენიშვილი და აღნიშნა: „ჭილანელებთან ომში 1304 წლის შემდეგ (როცა ოლჯაითუ ყაენი იყო) ქართლი არ მონაწილეობდა“.[2] ჩვენი მხრივ, ვთვლით, რომ მართებულია პრობლემის სწორედ ასეთი გადაწყვეტა.

როგორც ზემოთაც დავინახეთ, საქართველოს „მრავალმეფიანობის“ ხანის დიპლომატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა და ხშირად განმაპირობებელიც ილხანთა ირანისა და ოქროს ურდოს ურთიერთობა და მასში საქართველოს მონაწილეობა. ეს საკითხი საკმაოდ გამწვავებულია 1305-1306 წლების შემდეგაც. 1308 წელს ილხანთა საყარაულო ჯარის ნაწილები შეეჯახნენ ოქროს ურდოს ყაენის ჯარებს. ილხანებმა დიდი ზარალი განიცადეს და უკან დაიხიეს. ილჯაითუმ 10.000 მეომარი გაგზავნა მათ დასახმარებლად ჩობან ნოინის მეთაურობით. საქართველოს სამეფო კარი დილემის წინაშე იდგა: ყოველთვის დიდი სიფრთხილე იყო საჭირო, რათა ილხანთა და ოქროს ურდოს შეჯახებისას სწორი ორიენტაცია აეღოთ. როგორც ჩანს, ქართული დიპლომატია გეზს ჩობან ნოინზე იღებს — ჩობანი დარუბანდს საქართველოზე გავლით მიდის და აწესრიგებს კიდეც ვითარებას: იგი შემდეგაც არაერთხელ ლაშქრობს ოქროს ურდოს წინააღმდეგ და ყოველთვის საქართველოს გავლით, საიდანაც, როგორც ჩანს, დახმარებასაც იღებს. რაც შეეხება გიორგი ბრწყინვალის ხანას, უდავოა, რომ თავის პირად მეგობარს — ჩობანს გიორგი V მნიშვნელოვან დახმარებას აღმოუჩენდა, მითუმეტეს, როცა პოლიტიკური თუ დიპლომატიური თვალსაზრისით საქართველოსთვის ეს მომგებიანი ჩანს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, აღმოსავლური წყაროები 1305 წლის გვერდით ასახელებენ 1310 წლის ელჩობასაც. ჩვენი აზრით, ეგვიპტესთან დიპლომატიური ურთიერთობის მოგვარება და ჯვრის მონასტრის გამოხსნა 1305 წელს მოხდა, მაშინ დგება საკითხი: განა 1310 წლის ელჩობის შესახებ ცნობები შემთხვევით არის მოხვედრილი ისტორიულ წყაროებში?! ჩვენი აზრით, არაფერია შეუძლებელი იმაში, რომ 1310 წლის ელჩობის დროს კვლავ ყოფილიყო საუბარი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის თაობაზე (ჩვენ ხომ არ ვიცით, რა ხდებოდა ამ მხრივ 1305-1310 წლებს შორის), რაც აისახა კიდეც აღმოსავლურ ისტორიულ წყაროებში. ამავე დროს, ამ მისიას სხვა დავალებებიც ჰქონდა შესასრულებელი. ვფიქრობთ, ასეთად მოჩანს შემდეგი ფაქტი: გ. ჯაფარიძემ იბნ-ად

ვრცლად იხ.: დ. ნინიძე, XIV ს-ის დამდეგის საქართველოს ისტორიის რამდენიმე ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხი, გვ. 41.

[2] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, თბ., 1979, გვ. 260.

დავადარის ცნობებში ყურადღება მიაქცია ეგვიპტეში — კაიროსა და მის მიმდებარე ფუსტატში მდებარე ქართველთა ეკლესიის მოხსენიებას, რომელიც „ალ-ჰამრას“ სახელით იყო ცნობილი. მკვლევრის აზრით, ალ-ჰამრას ეკლესიის ქართველებისათვის გადაცემა შესაძლებელია XIV ს-ის დასაწყისში მომხდარიყო, 1310 წელს, როცა კაიროში საქართველოს მისია ჩადის; ასევე ფრთხილი ვარაუდით, შესაძლებელია, ელჩობის შედეგად. სულთნის გადაწყვეტილებით, ქართველებისათვის გაიხსნა და მათვე გადაეცათ ორი ეკლესია: მელქიტებისა (ე. ი. მართლმადიდებლებისა) — ფუსტატში და იაკობიტებისა — კაიროში.[1]

ამდენად, ჩვენი აზრით, უნდა შემდგარიყო ქართველთა ორი ელჩობა ეგვიპტეში: პირველი 1305 წელს, როცა მოხდა დიპლომატიური ურთიერთობების მოწესრიგება საქართველო-ეგვიპტეს შორის და დაიწყო მათი ურთიერთდამოკიდებულების „ახალი ხანა“; ამავე დროს, ქართველებს გადმოეცათ იერუსალიმის ჯვრის მონასტერი და სწორედ ეს აისახა ალ-მაკრიზისა (1364-1442) და ალ-აინის (1361-1451) თხზულებებში; XVI ს-ის I მეოთხედში მოღვაწე მუჯირ ად-დინიც (+1521) ზუსტად 1305 წელს მიუთითებს — 705 წ. მუჰარრამის პირველი (1305 წ. 24 ივლისი) და აღნიშნავს, რომ მისი დაბრუნება საქართველოდან და კონსტანტინეპოლიდან გაგზავნილი ელჩების თხოვნის შედეგად მოხდა.[2] სხვათა შორის ბერძენი სწავლულებიც, კერძოდ, იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს მუზეუმის კურატორი, არქეოლოგ-ბიზანტოლოგი, ფილოსოფიის დოქტორი ვასილიოს ცაფერისი ამ ფაქტს სწორედ 1305 წლით ათარიღებს. 1987 წელს იერუსალიმში გამოცემულ მის ნაშრომში ჯვრის მონასტრის ისტორია პრობერძნული კუთხით არის განხილული, თუმცა შეიცავს საინტერესო ფაქტებსაც. 1305 წლის ელჩობასთან დაკავშირებით, სადაც დავით VIII-ის როლზე, ავტორის ტენდენციურობის გამო, არაფერია ნათქვამი, აღნიშნულია: „აყვავების პერიოდი მოულოდნელად შეწყდა მე-13 საუკუნის დასასრულისათვის, როდესაც არაბი დამპყრობლები მელექ ელ-ნასერ ბენ-ჰალონის მეთაურობით შემოესივნენ ჯვრის მონასტერს, გააძევეს ბერები და დაეპატრონენ სამონასტრო კომპლექსს. ამ დროის განმავლობაში ეკლესია მეჩეთად, ხოლო მონასტერი დერვიშების საღვთისმეტყველო სკოლად გადააქციეს. წმინდა ჯვრის მონასტერი თავის კანონიერ მფლობელებს 1305 წელს ბიზანტიის იმპერატორის, ანდრონიკე II პალეოლოგის

---

[1] გ. ჯაფარიძე. ქართველთა ერთი ეკლესიის შესახებ ეგვიპტეში, „მნათობი“, 1988. №6. გვ. 157-158.

[2] ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

(1281-1332) პოლიტიკური ჩარევის შემდეგ დაუბრუნდა".[1] როგორც ვხედავთ, ვასილიოს ცაფერისიც ამ ელჩობას 1305 წლით ათარიღებს.

მეორე ელჩობა 1310 წელს უნდა შემდგარიყო, როცა სავარაუდოდ საქართველოს კიდევ ორი ეკლესია გადაეცა, ერთ-ერთს, იბნ-ად-დავადარის მიხედვით, „ალ-ჰამრას" სახელი რქმევია. ის მკვლევარნი, რომელნიც 1310 წლის ელჩობას უპერენ მხარს, 1305 წლის მისიის რეალურობაში ეპვი შეაქვთ. ჩვენი აზრით, საქართველოს 1310 წელსაც უნდა გაეგზავნა ელჩობა ეგვიპტეში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უარვყოთ 1305 წლის მისიის შესაძლებლობა. ამდენად, საქართველოს „მრავალმეფიანობის" ხანაში, კერძოდ, XIV ს-ის I ათწლეულში, ადგილი ჰქონია ქართველთა ორ ელჩობას ეგვიპტეში, რასაც მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყოლია.

ზემოაღნიშნული საერთაშორისო ვითარების განხილვიდან ჩანს, რომ საქართველოს აქტიური ურთიერთობა აქვს ბიზანტიის იმპერიასთან. საქართველოს „მრავალმეფიანობის" ხანის დიპლომატიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია 1308 წლით დათარიღებული ფაქტი, როცა საქართველოს ინტენსიური კონტაქტების შედეგად ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკე II-სთან შესაძლებელი გახდა ქართველების ხელში გადმოსულიყო ერთ-ერთი უპირველესი ქრისტიანული სიწმინდე — გოლგოთა[2] (ამ საკითხზე ვრცლად შევჩერდებით „წმინდა ადგილებთან" დაკავშირებით). ი. ტაბაღუას მოჰყავს გოლუბოვიჩთან დაცული ამ პერიოდთან დაკავშირებული ცნობა: „1310 წელი. საქართველო: საქართველოს მეფის დავით VI-ისა (უნდა იყოს დავით VIII, **დ. ნ.**) და ბევრი სხვა ქართველის კათოლიკურ სარწმუნოებაში მოქცევა".[3] მართალია, მეფისა და „ბევრი სხვა ქართველის" გაკათოლიკება გაზვიადებულია და პროპაგანდისტულ მიზნებს ისახავს, მაგრამ თავად ცნობა ნათლად მეტყველებს „მრავალმეფიანობის" ხანაში არსებული საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ დასავლეთსა და საქართველოს შორის. სხვა ისტორიული წყაროებითაც ხომ ცნობილია, რომ ამ პაპს კლიმენტ V-ს მისიონერთა მოზრდილი ჯგუფი გამოუგზავნია საქართველოში; როგორც ჩანს, ფრანცისკელ ბერებს სათანადოდ უნდა ღებულობდნენ „მრავალმეფიანობის" ხანის საქართველოში, კერძოდ, დავით VIII-ის კარზე.

1311 წელს დავით VIII გარდაიცვალა. მისმა მფლობელობამ ჯავახეთსა და ალასტანში შექმნა საფუძველი ალასტანელ „პროვინციის მეფეთა"

---

1 ვასილიოს ცაფერისი, იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, ჟურნ. „რელიგია", 1993, №6-7. გვ. 104.

2 დ. ნინიძე. გოლგოთას საკითხი XIV-XV სს. ქართულ დიპლომატიაში, „ქართული დიპლომატია", წელიწდეული, II, გვ. 203.

ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III- გვ. 19.

შტოს ჩამოსაყალიბებლად.[1] დავით VIII-ის გარდაცვალების შემდეგ პირველი ალასტანელი „მეფე“ მისი უფროსი ვაჟი მელქისედეკი გახდა. ვახტანგ III-ის ადრეული გარდაცვალებისა და სამეფოში სუსტი გავლენის გამო, მისი შთამომავლები სამეფო ტახტზე მფლობელობის უფლებას მოკლებულნი აღმოჩნდნენ. ისინი მხოლოდ „პროვინციის მეფობას“ აღწევენ. როგორც ჩანს, დავით VIII-ის გარდაცვალება მათთვის სტიმული გამხდარა; სწორედ 1311 წლის წარწერაში, რომელიც დაცულია პეტრიწონის მონასტრის ღვთისმშობლის ხატზე, ვახტანგის უფროსი ძე დიმიტრი „მეფის“ ტიტულით არის მოხსენიებული. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რას გულისხმობს ყამთააღმწერელი, როცა აღნიშნავს: „დიმიტრის დმანისი აქუნდა და გიორგის სამშულდე“.[2] ამრიგად, დიმიტრის თავისი მფლობელობა „პროვინციის მეფეთა“ რანგში აუყვანია. ყოველივე ამის აღნიშვნა იმისათვის დაგვჭირდა, რომ შეეგებოთ ქართველთა მონაწილეობის საკითხს მონღოლთა ლაშქრობაში ეგვიპტის წინააღმდეგ 1312-1313 წლებში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მონღოლთა ლაშქარში ქართველთა ჯარის უკანასკნელად მონაწილეობა 1305 წლით თარიღდებოდა; დიპლომატიური მისიების წარმატებით დასრულების შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, ეს წელი იქცა „ახალი ხანის“ დასაწყისად ეგვიპტე-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობათა ისტორიაში. დ. გოჩოლეიშვილმა ყურადღება მიაქცია იბნ ად-დავადარის ცნობებს, სადაც დაცულია ინფორმაცია მონღოლთა ლაშქრის შემადგენლობაში ქართველთა მონაწილეობის შესახებ ეგვიპტის მამლუქთა წინააღმდეგ. ცნობაში აღწერილია ოლჯაითუ ხუდაბანდეს (1304-1316) ლაშქრობა სირიის წინააღმდეგ; სირიის ქ. რაპბას გარემოცვის გადმოცემისას, იბნ ად-დავადარის სიტყვებით, „შემდეგ მოვიდა ქართველთა ლაშქარი, რომელსაც სარდლობდა დემურხანი. მას ახლდნენ მისი დიდი ამირები... წინ მოუძღოდა (ლაშქარს) ეს გრძნეული, ქართველთა სარდალი დემურ-ხანი, რომელიც თითქოსდა მთის ნაწილია, იგი თავზეხელაღებულია ომსა და გარემოცვაში“.[3] დ. გოჩოლეიშვილის აზრით, სირიაში მონღოლთა ამ ლაშქრობის შესახებ აღნიშნული უნდა იყოს ყამთააღმწერელთანაც; „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, თითქოს, ლაპარაკია გიორგი VI-ის ან გიორგი ბრწყინვალის მონაწილეობაზე ამ ლაშქრობა-

---

1 ვრცლად იხ.: დ. ნინიძე, „პროვინციის მეფეები“ XIV-XV სს. საქართველოში, თბ., 1995.

2 ყამთააღმწერელი, გვ. 217.

3 დ. გოჩოლეიშვილი, იბნ ად-დავადარი 1312-1313 წლის ქართველთა ერთი ლაშქრობის შესახებ, „საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები“, I, თბ., 1976, გვ. 109.

ში.[1] თუ ეს ასეა, მაშინ დგება საკითხი, რომ 1305 წელს დაწყებული „ახალი ხანა“ საქართველო-ეგვიპტის დიპლომატიურ ურთიერთობებში 1312-1313 წლებში უკვე შეწყვეტილია.

როგორც ცნობილია, ტრანსკრიპირებული სახელები პირობითია, რადგან ისინი ტექსტში გახმოვანების გარეშეა მოტანილი. ინტერპრეტაციაც სხვადასხვაგვარი შეიძლება, თუმცა დემური და გიორგი არ უნდა იყოს ასე ახლოს ერთმანეთთან. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, დემურ-ხანი ხომ არ არის ჩვენ მიერ ზემოთ მოხსენიებული ვახტანგ III-ის ძე — დემეტრე „პროვინციის მეფე“? აღნიშნულ წყაროებში დემური სარდალია და არა მეფე, აქვე მითითებულია „მისი დიდი ამირები“. როგორც „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის ისტორიის შესწავლამ[2] გვიჩვენა, რომელიმე ბაგრატიონის ასეთი მდგომარეობა თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ „პროვინციის მეფის“ სტატუსად. ბაგრატიონთა ამ შტოს წარმომადგენლის მონაწილეობა ლაშქრობაში ილხანთა მხარეს არ არის მოულოდნელი და, შესაძლოა, სავსებით ლოგიკურიც კია: იგი ვახტანგ III-ის შვილია, ხოლო ვახტანგ მეფე მუდმივად მონაწილეობს მონღოლთა დროშის ქვეშ მოწყობილ ბრძოლებში. მათი მოწინააღმდეგე ბანაკი — დავით VIII კეთილ დიპლომატიურ ურთიერთობებს ამყარებს ეგვიპტესთან, რასაც მისი შთამომავლებიც უნდა აგრძელებდნენ. როგორც ჩანს, „პროვინციის მეფე“ დემეტრე მამის გზას ადგება: 1311 წელს, როგორც კი მიაღწია „პროვინციის მეფის“ სტატუსს, მამის — ვახტანგ მეფის მსგავსად მომდევნო 1312-1313 წლებში მონაწილეობას იღებს ეგვიპტის წინააღმდეგ მოწყობილ მონღოლურ ლაშქრობაში.

შეიძლება თუ არა ეს ვითარება ჩაითვალოს ეგვიპტესთან საქართველოს კეთილი დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტის ფაქტად?

როგორც აღვნიშნეთ, დემურ-ხანი (ჩვენი აზრით, დემეტრე ბატონიშვილი) არაბულ ისტორიულ წყაროში მოხსენიებულია როგორც „სარდალი“ და არა „მეფე“. ამდენად, „პროვინციის მეფის“ დემეტრეს ხელმძღვანელობით მონღოლთა ლაშქრობაში მონაწილეობა ვერ ჩაითვლება საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალურ პოზიციად — მოწესრიგებული დიპლომატიური კონტაქტების ეგვიპტესთან გაწყვეტად და მონღოლთა დროშის ქვეშ მამლუქთა წინააღმდეგ ლაშქრობად. ეს იყო ტახტის ერთ-ერთი ურჩი ბაგრატიონის მიერ განხორციელებული ღონისძიება, სადაც იგი მამის პოლიტიკას აგრძელებს. რადგან ამ ლაშქრობაში მონაწილეობა „პროვინციის მეფის“ მიერ მოწყობილ აქტად მოჩანს,

---

1 ქამთააღმწერელი, „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 323, შენ. 23; დ. გოჩოლეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

2 დ. ნინიძე, „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის წარმოშობისათვის, „მაცნე“, №3, 1992.

ამიტომ სახელმწიფოთა დონეზე მას საქართველო-ეგვიპტის დიპლომატიურ ურთიერთობაში გადამწყვეტი როლი არ შეიძლებოდა ეთამაშა; ამიტომ, 1305 წელი მიჩნეულ უნდა იქნეს „ახალი ხანის" დასაწყისად საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობაში, რის შედეგადაც გრძელდება მოწესრიგებული დამოკიდებულება ამ ორ სახელმწიფოს შორის.

დგება გიორგი V ბრწყინვალის მეფობის ხანა: 1318 წ. საქართველოს სამეფო ტახტზე გიორგი ბრწყინვალის ასვლით დასრულდა „მრავალმეფიანობის" ოცი წელი (1298-1318). ამ წლიდან ქართულ დიპლომატიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამორჩეული და აქტიური ხანა იწყება, გიორგი V ბრწყინვალის დიპლომატიის ეპოქა.

2. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები XIV საუკუნის 20-40-იან წლებში

გიორგი V ბრწყინვალის დიპლომატია

„მრავალმეფიანობის" ხანის დიპლომატიაში აღნიშნული იყო, რომ დავით VIII-ის აჯანყების გამო ილხანებმა ამ გამდგარ მეფეს ვახტანგ III-თან ერთად დაუპირისპირეს დემეტრე თავდადებულის უმცროსი ვაჟი — მცირეწლოვანი გიორგი. იგი 1299 წელს თბილისში გამეფდა, მაგრამ რეალური ძალაუფლების მოპოვება ვერ შეძლო, რის გამოც „თბილისის მეფე" ეწოდა.

1304 წელს ყაზან-ყაენის გარდაცვალებისა და ოლჯაითუს გაყაენების შემდეგ გიორგი იბრძვის, რათა „აწ დაუმტკიცონ მეფობა", მაგრამ მისი ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა; დავით VIII-ის პოზიციების გამყარების შედეგად სამეფო ტახტს გიორგი VI მცირე ღებულობს. გიორგი V-მ კი ის მოახერხა, რომ იგი გიორგი მცირის „მოძღვრად და საქმისა მოურავად" დანიშნეს,[1] რამაც მისი უფლებრივი სტატუსი გარკვეულად განამტკიცა და მოქმედების საშუალება მისცა. გიორგის გავლენა სულ უფრო და უფრო იზრდება. გიორგი V ბრწყინვალე თავიდანვე მოვლენების წინასწარჭვრეტისა და კარგი დიპლომატიისათვის დამახასიათებელ თვისებებს ავლენს და უკვე 1308 წლიდან მაინც გეზს მთაკარ ემირთან — ჩობან ნოინთან ურთიერთობაზე იღებს. ჩობან ნოინს ადრევე ვხედავთ გიორგის გვერდით: ოლჯაითუმ გაყაენებისას „წარმოავლინა ჩოფან ნოინი, რათა დასვას საქართველოსა შინა მეფედ. და ჰყვა ბეკას ძე დიმიტრი თავდადებულისა მეფისა გიორგი (გიორგი V, დ. ნ.), რომელიც უწანა-

[1] ასწლოვანი მატიანე, გვ. 218.

რესცა მეფედ ჰყვეს. და წარმოგზავნა ნოინისა თანა, რათა დაუმტკიცონ მეფობა. ჩოფან ნოინმა წარიყვანა გიორგი ყაენისა თანა, გარნა ყაენმან არა მისცა მას მეფობა, ვინათგან დავით (დავით VIII, **დ.ნ.**) იყო უკუმდგარ... ხოლო მოსცა ყაენმან მეფობა მცირე გიორგის (გიორგი VI, **დ.ნ.**), დავითის ძესა და უჩინა მზარდულად და მოურნედ გიორგი მეორე (გიორგი V, **დ. ნ.**)".[1] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ილხანთა მთავარ ემირად ჩობანი გილანელებთან ლაშქრობაში ყუთლუშას დაღუპვის შემდეგ ინიშნება. „მრავალმეფობის" ხანის განხილვამ გვიჩვენა, რომ ეს ფაქტი 1304 წელს მომხდარა, ამდენად, ჩვენი აზრით, ჩობან ნოინი ამ თანამდებობაზე 1304 წელს დანიშნულა.

როგორც აღნიშნული იყო, 1308 წელს ილხანთა საყარაულო ჯარის ნაწილები ოქროს ურდოს ყაენის ლაშქარს შეეჯახა, სადაც მათ დიდი ზარალი განიცადეს. ოლჯაითუმ საპასუხოდ თავისი მეომრები გაგზავნა ჩობან ნოინის მეთაურობით, რომელსაც გიორგი V აქტიურ დახმარებას უწევს. ჩობანი შემდეგაც მსგავს ვითარებაში საქართველოდან შესაბამის რეაქციას პოულობს.[2]

1314-1315 წლებში მომხდარა რუმში, ყარამანიის სულთნის მაჰმუდ ფარვანეს აჯანყებას, რომლის ჩასახშობად ოლჯაითუ ყაენი ჩობან ნოინსა და გიორგი V-ს გზავნის. მათ ეს მისია წარმატებით შეუსრულებიათ, ამ პერიოდიდან ისინი საბოლოოდ უნდა დამეგობრებულიყვნენ, რასაც ასე ხაზგასმით აღნიშნავენ აღმოსავლური წყაროები (ალ-უმარი, ალ-კალკაშანდი). ამიტომაც ვთვლით, რომ ამ თხზულებებში დასახელებული საქართველოს მეფე „ბარტილმა" (ბრთლმა), როგორც ილხანთა უპირველესი ვეზირის — ჩობან ნოინის „ერთგული მეგობარი და თანამოაზრე", ამავე დროს, გამორჩეული, შესანიშნავი ხელისუფალი ქრისტიანთა შორის, შეიძლება მხოლოდ გიორგი V ბრწყინვალე იყოს.

ჩობან ნოინზე, საილხანოს ფაქტობრივად გამგებელზე, აღებული ორიენტაცია, მართებული და ძალზე მომგებიანი აღმოჩნდა. მასთან მეგობრობას საქართველოს მეფე მოხერხებულად იყენებს და ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეებს მტრის ხელითვე, მოწინააღმდეგის გამოყენებით, ახორციელებს. ამის მიღწევა კი გიორგი ბრწყინვალის დიდი დიპლომატობისა და გონივრული პოლიტიკის განხორციელების შედეგად იყო შესაძლებელი. გიორგი V პირად მეგობარს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს და ურთიერთობის ასეთი ფორმის წყალობით თავისი ტახტისათვის შესაბამისს ითხოვს, რასაც ღებულობს კიდეც.

---

[1] ნიკო დადიანი, ქართველთა ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962, გვ. 114.

[2] ვ. კიკნაძე, საქართველო XIV საუკუნეში, გვ. 43-44.

1314-1315 წლებში მაჰმუდ ფარვანეს აჯანყების პერიოდში გიორგი VI მცირე, რომელიც პირველად 1308 წელს გამეფდა, ზოგიერთ დიდებულთან ერთად, ჩობან-ნოინსა და გიორგი V-ს რუმში „არა წარჰყვეს თანა, წარვიდეს და აიყარნეს და ტფილისს შევიდეს“,[1] რასაც მისი ხელმეორე გამეფება[2] მოჰყვა. მიუხედავად ამისა, ქართველ დიდებულთა მეორე ნაწილი გიორგი VI მცირის ხელისუფლებას არ ცნობს, რაშიც გარკვეული როლი გიორგი V-მაც შეასრულა. „მრავალმეფიანობისა“ და „პროვინციის მეფეთა“ არსებობის ეპოქაში „ბატონიშვილობის“ საკითხის ასეთი გამწვავება არა-ახალი ანუ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. გიორგი VI მცირე „მივიდეს ჯავახეთს, მიერ კოხტისთავსა, და აწუევდეს სარგისს და ყუარყუარეს გამოსვლად, და არა ინებეს“;[3] ასევე „ძეგლი ერისთავთაც“ ადასტურებს ქვეყანაში გიორგი VI-ის ტახტის სუსტ გავლენას, აღნიშნავს ორ წარუმატებელ ლაშქრობას დვალეთში, სადაც მას „დიდად ევნო“.[4] მათ 1316 წელსა და 1317 წლის დასაწყისში უნდა ჰქონოდათ ადგილი,[5] რის შემდეგაც გიორგი VI მცირის ხელისუფლება საბოლოოდ სუსტდება, ხოლო გიორგი V-ის პოზიციები კი სულ უფრო და უფრო ძლიერდება. ამიტომ გახდა შესაძლებელი 1316/17 წელს მისი ინიციატივით განხორციელებულიყო მნიშვნელოვანი ელჩობა ეგვიპტის სულთნის კარზე, რაზეც ქვევით ვისაუბრებთ.

1316 წლის ბოლოს ოლჯაითუ გარდაიცვალა, ხოლო 1317 წლის აპრილ-მაისში ყაენის ტახტზე მცირეწლოვანი აბუ-საიდი ავიდა. საილხანოს რეალური გამგებელი ჩობან ნოინი ხდება, რამაც გიორგი V-ს საქართველოს სამეფოს ერთპიროვნული მმართველობისაკენ გაუხსნა გზა. ჩობანმა გიორგი დიდი პატივით მიიღო, „ჯანიხარა და შეიტკბო ვითარცა შვილი და მოსცა ყოველი საქართველო“.[6] 1318 წელს გიორგი V ბრწყინვალე თბილისში მეფედ ჯდება, რაც „მრავალმეფიანობის“ ხანის დასასრულის მომასწავებელი გახდა.

გიორგი V ბრწყინვალის სამეფო ტახტის დიპლომატიის მთავარი კურსი და განსახორციელებელი ამოცანები იყო: მონღოლთა უღლის გადაგდება, ჯერ კიდევ დანაწევრებული ქვეყნის ერთიანობის აღდგენა, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება და წესრიგის დამყარება, შესაფერისი მოკავშირეების მოძებნა, დიპლომატიური ურთიერთობების

---

1 ასწლოვანი მატიანე, გვ. 219.
2 დ. ნინიძე, XIV ს. დამდეგის საქართველოს ისტორიის რამდენიმე ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხი, გვ. 43.
3 ასწლოვანი მატიანე, გვ. 219.
4 „ძეგლი ერისთავთა“ შ. მესხიას გამოც., გვ. 349.
5 ვ. ლუნაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.
6 ყამთააღმწერელი, გვ. 325.

დარეგულირება და სამეფოს საერთაშორისო ავტორიტეტისა თუ ძველი პრივილეგიების აღდგენა.

ამ ძალზე რთული საკითხების გადასაწყვეტად საქართველოს სამეფო ტახტსა და მის საქეთმპყრობელს — გიორგი V ბრწყინვალეს ფრთხილი პოლიტიკისა და მოჭნილი დიპლომატიის გატარება სჭირდება. თითოეული ნაბიჯის წინასწარგანჭვრეტა და დიდი პოლიტიკისათვის დამახასიათებელი გეგმაზომიერება თუ დიპლომატიური ლავირება იყო საჭირო, რათა დასუსტებისა და აგონიისაკენ მიმავალ დიდ იმპერიას კატასტროფის მორევში თან არ ჩაეტანა თანდათანობით ძველი პოტენციალის დაბრუნების გზაზე მყოფი საქართველოს სამეფო. გიორგი V კარგად ხედავს, რომ მონღოლთა იმპერიის ძლიერება დაღმავლობის გზაზეა; მეფე საქართველოს წინაშე მდგარი ძირითადი პრობლემების გადაჭრას ილხანებთან პოლიტიკური ლოიალობის ტაქტიკის გზის ფორმით აპირებს. ამიტომაც, თავდაპირველად, გიორგის სამეფო კარმა მონღოლებთან აშკარა ბრძოლასა და დაპირისპირებას მშვიდი და მოზომილი ურთიერთობის ფორმა ამჯობინა. დიდი დიპლომატობა და შესაბამისი პოლიტიკის განხორციელება იყო საჭირო, რათა მონღოლების ამოსაგდებად საქართველოში დაწყებულ ცვლილებათა ფორმები და არსებული მონღოლური სტრუქტურების ნგრევა ილხანებისათვის თვალში საცემი არ გამხდარიყო. პირდაპირობა მათთან აშკარა შეტაკებას გამოიწვევდა, რისთვისაც საქართველო ჯერ კიდევ მზად არ იყო. იმ პოლიტიკური მოვლენებისა თუ შიდა რღვევის პროცესისათვის, რომლებიც ვითარდებოდნენ მონღოლთა იმპერიაში, ქართულ დიპლომატიას არ უნდა გაესწრო; თითოეულ ნაბიჯს შეაბამისი მომზადებული ნიადაგი სჭირდებოდა, სხვა შემთხვევაში გიორგი ბრწყინვალის სამეფო კარის ჩანაფიქრს საპირისპირო შედეგები შეეძლო გამოეწვია. ბუნებრივია, არც დროის დაკარგვა შეიძლებოდა, დაგვიანებული პოლიტიკა შესაბამის ნაყოფს ვერ გამოიღებდა. შეჭნილი ვითარება სამეფო ხელისუფლებისაგან დიდ პოლიტიკურ გამოცდილებასა და ალღოს თხოულობდა,[1] რაც გიორგი ბრწყინვალის სამეფო კარის დიპლომატიამ ყოველმხრივ გამოავლინა. გიორგი ბრწყინვალემ საქართველოს სამეფო მოამზადა მონღოლთა იმპერიის მოსალოდნელი სიკვდილისათვის — „ქართველი მეფის მთელი გენიალობა და ბრწყინვალება გამოიხატება სწორედ ასეთ სამზადისში“.[2]

---

[1] ვ. ღუნაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.
[2] ლ. ტუბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 272.

ასეთ ვითარებაში გიორგი V ბრწყინვალის დიპლომატიის პირველ ეტაპზე[1] საქირო იყო არა დაპირისპირება, არამედ ჩობან ნოინის მეგობრობის ყოველმხრივ გამოყენება, მითუმეტეს, როცა ილხანთა მთავარ ემირს, იმპერიაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, თავად ესაჭიროებოდა გიორგი V ბრწყინვალისა და საქართველოს გვერდზე დგომა. ალ-ყალკაშანდი აღნიშნავს, რომ ჩობანი იყო საქართველოს მეფის „ტულწრფელი მეგობარი", ხოლო თავად მეფე ხშირად მნიშვნელოვანი საკითხების დროს მოუხმობდა მას და დახმარებას სთხოვდა.[2] ალ-უმარის მიხედვით, გიორგი მეფემ „ბევრი სიკეთე დათესა ჩობანის მფარველობის ქვეშ. ჩობანი იყო მისი ყველაზე ერთგული მეგობარი და თანამოაზრე. იგი მასთან საუბრობდა ყველა მნიშვნელოვან მოვლენებზე და ძნელბედობის ჟამს დახმარებასაც სთხოვდა, მხარს უჭერდა და სიძნელეების გადალახვაში ეხმარებოდა".[3] აქ კარგად ჩანს, რომ ასეთი ურთიერთობა ორივე მხარისათვის ურთიერთხელსაყრელი იყო; მათ მეგობრობასაც სწორედ არსებული ვითარება ასაზრდოებდა: ერთი მხრივ, გიორგის წინაშე მდგომი პრობლემები და მეორე მხრივ, თავად ჩობანის მდგომარეობა — იგულისხმება საქართველოს ნაცვლის ყურმიშის აჯანყება, ხორასნის უფლისწულის იასავურის განდგომა, ოქროს ურდოსთან ურთიერთობის გამწვავება, მისი ყაენის — უზბეკისა და ეგვიპტის სულთნის შეკრა საილხანოს ტერიტორიაზე. ამდენად, ჩობანისა და გიორგი ბრწყინვალის ურთიერთდამოკიდებულება პოლიტიკური მოტივებით განპირობებული და ორივესათვის ხელსაყრელი იყო.[4]

ვ. კიკნაძის მართებული შენიშვნით, ჩობანის „ქველმოქმედება", „უანგარო მფარველობა" და კეთილგანწყობილება გიორგი მეფისადმი, რომელიც, ამ დროს, დამორჩილებული ქვეყნის ხელმძღანელია, პირველ რიგში, ილხანთა აშკარა დასუსტებით აიხსნება, მაგრამ ამავე დროს შედეგია თავად გიორგი ბრწყინვალის მიერ წარმოებული სახელმწიფო პოლიტიკის კურსის სისწორისა — ჩობანთან ასეთი დამოკიდებულებით სამეფო ტახტმა მოახერხა საშინაო ვითარების მოსაწესრიგებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, მონღოლთა შემოსევების შეწყვეტა და ეკონომიკურად მომძლავრება.[5]

---

1 ლ. ტუბაშვილი პირველ პერიოდს უწოდებს „აქტიური ლოდინის ხანას" და „ამზადისს შეტევისათვის" — ლ. ტუბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 272.

2 В. Г. Тизенгаузен, Заметка Элькалькашанди о грузинах, ЗВОРАОб, т. I, вып. III, გვ. 211-212.

3 დ. ლენგი, საქართველო გიორგი ბრწყინვალის დროს, ინგლისურიდან თარგმნა შალვა ყიფშიძემ, „საუნჯე", 1989, №4, გვ. 262.

4 ვ. კიკნაძე, საქართველო XIV საუკუნეში, გვ. 59, 61.

5 იქვე. გვ. 62.

გიორგი V ბრწყინვალის სამეფო კარს შესანიშნავად ესმოდა, რომ საგარეო პოლიტიკის წარმატებით წარმართვა, დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა — დამყარება და მათი მოღვაწეობის მთავარი მიზნის — მონღოლთაგან განთავისუფლების მიღწევა პირველ რიგში საშინაო ვითარების დარეგულირების შედეგად იყო შესაძლებელი; მაგრამ ასეთი პოლიტიკისათვის ცალმხრივობა იჭნებოდა დამახასიათებელი, ამიტომ ქვეყნის შიგნით წარმოებული საქმიანობისა და ილხანებთან ბალანსირებული ურთიერთობის პარალელურად ქართული დიპლომატია ინტენსიური მოლაპარაკებების წარმოებას იწყებს. მიღებულმა შედეგებმა გიორგი ბრწყინვალის სამეფო ტახტის დიპლომატიური კურსის მართებულობა გვიჩვენა, რაზეც შემდგომი პერიოდის მოვლენები თვალნათლივ მეტყველებენ.

თავისი მმართველობის საწყის ეტაპზე გიორგი ბრწყინვალე ორგანიზებას უკეთებს ორ მნიშვნელოვან დიპლომატიურ მისიას: საქართველოდან ეგვიპტეში ორი ელჩობის ჩასვლას — 1316/17 და 1320 წლებში.

„ძეგლი ერისთავთას" მიხედვით, „ამას ჟამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა დაიპყრესო, და დიდად შეწუხნა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისაჲ, რომელსა ერქუა პიპაჲ, გზასა კელთასა მრავლითა ძღუენითა წინაშე ნისრელისა, და წარჰყვა თანა ბანდასძე დეკანოზი იოვანე და მივიდა პაპაჲ წინაშე ნისრელისა; ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძღუენი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი. მივიდა პაპაჲ ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხუა, ჟამი აწირვა, ეზიარა და დეკანოზი იოანე აკურთხეს მოძღუართ-მოძღურად. და მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა გირშელსა და ყოველსა ერსა ცხრაზმის კვეისასა, რომელ მოძღუართ-მოძღუარობაჲ ნუვის ეკლეწიფების თჳნიერ ამისსა... ხოლო პიპამან მოილოცნა წმიდანი ადგილნი, და შეკრიბნა ნაწილნი წმიდანი და ხატნი შუენიერნი და წარმოვიდა მასვე გზასა კელით და მოვიდა წინაშე მეფისა და მიიღო იერლაყი შეწყალებისაჲ და აღსრულებაჲ ყოვლისა სათხოვლისა მისისაჲ. ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა".[1]

როგორც ირკვევა, ქართველი დესპანები „გზასა კელთასა" საშუალებით მისულან „მრავლითა ძღუენითა" „ნისრელის" წინაშე. ცნობილია, რომ XII-XIV საუკუნეებში საქართველოში მუსლიმური ეგვიპტის აღსანიშნავად ქვეყნის არაბული სახელწოდება „მისრი" ან „მისრეთი" იხმარებოდა, ხოლო ეგვიპტის გამგებლისათვის — „მისრელი". ჟამთაღმწერელი ორივე ტერმინს იყენებს — „მეგვიპტელნი" და „სულტანი

[1] ძეგლი ერისთავთა. შ. მესხიას გამოც., გვ. 350.

მისრისა".[1] „ძეგლი ერისთავთას" „ნისრელი" „მისრეთს" ანუ ეგვიპტის სულთანს ნიშნავს. ელჩობის წინ მაპმადიანთა ხელში რჩებოდა ისეთი მნიშვნელოვანი სიწმინდე, როგორიც ქრისტეს საფლავის სალოცავია; ამავე დროს, გიორგი მეფის ინიციატივით ცნობილია ეგვიპტეში ორი დიპლომატიური მისიის გაგზავნა. როდის უნდა ჰქონოდა ადგილი ქართველთა ამ დესპანობას პიპაჲ ქვენიფნეველის ხელძღვანელობით?!

1316-1317 წლებში ეგვიპტის სულთანს ალ მალიქ ან ნასერის „არზე სწვევიან: ოქროს ურდოს ხანის — უზბეკის, უზბეკის ნეთესავის — თოღაის, ბარსელონის ხელმწიფის, ბიზანტიის იმპერატორის, ნუბიის ხელისუფლისა და ქართველთა მეფის ელჩობანი (სავარაუდოა, ამ სახელმწიფოთა დესპანების ურთიერთკონტაქტებიც). ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეულია, რომ XIV ს-ის არაბი ისტორიკოსის სარიმ ად-დინ იბრაჰიმ იბნ დუმაკის ცნობებიდან გამომდინარე, 1318 წელს იერუსალიმის ამჯერად ჩვენთვის საინტერესო წმიდა ადგილები ქრისტიანთა ხელშია;[2] ამდენად, ზემოაღნიშნული სალოცავიც ქართველებისადმი უკვე გადმოცემული გამოდის. თუ აქედან ამოვალთ, პიპაჲ ქვენიფნეველი პირველი ელჩობის ხელმძღვანელი გამოდის, რომლის დროსაც ეგვიპტის სულთანს ქართველებისათვის „ალიტენი იერუსალიმისანი" უნდა გადაეცა.

ქართველ დესპანებს საქართველოს სამეფო კარიდან ეგვიპტის სულთანთან სავარაუდო სხვა დიპლომატიური საკითხების გარდა დავალებული ჰქონდათ „ალიტენი იერუსალიმისანის" გადმოცემის გადაწყვეტა და ქართველთა უფლებრივი მდგომარეობის მოგვარება „წმინდა ადგილებში". როგორც ჩანს, ქართული დიპლომატიის მხრიდან გამოყენებულ იქნა ყველა შესაძლებლობა, რის შედეგადაც საქართველოს სამეფოს ელჩმა ეგვიპტის ხელისუფლებისაგან მიიღო ქრისტეს საფლავის „ალიტენი" და „იერლაყი შეწყალებისაჲ", რომელიც დესპანმა გიორგი მეფეს გადასცა. „ალიტენისა" და „იერლაყი შეწყალებისაჲ"-ს საქართველოსათვის გადმოცემა მეტყველებს საქართველო-ეგვიპტის სახელმწიფოთაშორის შეთანხმება-ხელშეკრულებაზე, კეთილ, მოწესრიგებულ დიპლომატიურ ურთიერთობაზე, დავით VIII-ის მიერ დარეგულირებული კონტაქტების გაღრმავებასა და მათ ურთიერთდამოკიდებულებაში ახალი ეტაპის წარმოშობაზე. ყოველივე ქართული დიპლომატიის მოჭილობისა და საქართველოს სახელმწიფოს ახლო აღმოსავლეთში არსებული ავტორიტეტისა თუ პრესტიჟის შედეგი იყო. ამ დიპლომატიურ პერიპეტიებში პიპაჲ ქვენიფნეველის გვერდით აქტიურად მოღვაწეობს დეკანოზი

---

[1] ჟამთააღმწერელი. გვ. 209.
[2] ბ. სილაგაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 102-103.

იოვანე (იოანე) ბანდაძსძე, რომელიც ქრისტეს საფლავის ტაძრის მოძღვართმოძღვარი ხდება; ეს ფაქტი იერუსალიმიდან მათ ქართველთათვის სპეციალური წერილით უცნობებიათ — „მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა ვირშელსა" — აღნიშნავს „ძეგლი ერისთავთა."

ამ ფაქტთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და „კლიტენი იერუსალიმისანის" წართმევა-დაბრუნება მონღოლ-ქართველთა ლაშქრისა და ეგვიპტელ მამლუქთა ბრძოლებზე იყო დამოკიდებული — ჯვრის მონასტრისა და „კლიტენის" ქართველთათვის წართმევა ხდებოდა მონღოლ-ქართველთა ლაშქრის წარუმატებელი სამხედრო ოპერაციების შედეგად, ხოლო დაბრუნება კი პირიქით, ეგვიპტელთა დამარცხებისას.[1] ვფიქრობთ, ეს ბოლო აზრი დაზუსტებას მოითხოვს: როგორც ზემოაღნიშნული ვითარება გვიჩვენებს, სალოცავების დაბრუნება თუ სხვა მიღწევების მოპოვება ყოველთვის მხოლოდ ბრძოლის საშუალებით არ ხდება; იგი წარმატებული დიპლომატიური მოლაპარაკებების, აქტიური კონტაქტებისა და ელჩობების შედეგად ჩამოყალიბებული კეთილგანწყობილი ურთიერთდამოკიდებულების ნაყოფია.

ელჩობის ინიციატორია მეფე გიორგი, მაგრამ დგება საკითხი, თუ რომელი იგულისხმება — გიორგი V ბრწყინვალე თუ გიორგი VI მცირე: გ. არახამიას აზრით, რადგან უკანასკნელი ხანების საგანგებო კვლევამ ცხადყო, რომ გიორგი ბრწყინვალის გამეფება 1318 წელს ხდება (მხედველობაშია ვ. კიკნაძის გამოკვლევები), ხოლო 1316 წლის ელჩობისას სამეფო ტახტზე გიორგი VI მცირე ზის, ამიტომ „ძეგლი ერისთავთაში" დაცული დესპანობის ინიციატორი გიორგი მეფე გიორგი VI მცირესთან უნდა გაიგივდეს.[2] ასევე თვლის ვ. კიკნაძეც.[3]

ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ მომენტებს:

პირველი ელჩობა 1316/17 წლებით თარიღდება; ქართველ ისტორიკოსთა უმეტესობა 1316 წელს უჭერს მხარს. როგორც უკვე განვიხილეთ, 1316 წლის II ნახევარსა და 1317 წლის დასაწყისში ადგილი აქვს გიორგი VI მცირეს წარუმატებელ ლაშქრობებს, რასაც მისი ხელისუფლების საბოლოო დასუსტება მოჰყვა; ამავე დროს, 1316 წლის ბოლოს ილხანთა მბრძანებელი ოლჯაითუც გარდაიცვალა ანუ პოლიტიკური ასპარეზიდან წავიდა ყაენი, რომელიც მისი სიცოცხლის მანძილზე გიორგი ბრწყინვალეს სანქციას საქართველოს ტახტზე მეფობისათვის არ აძ-

---

1 ვ. ღუნაშვილი, ცხრაზმის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია XIV ს-ის 20-50-იან წლებში. გვ. 73.

2 გ. არახამია. ძველი ქართული საგვარეულო მატიანეები, თბ., 1988, გვ. 104.

3 ვ. კიკნაძე. დასახ. მონოგრაფია. გვ. 64.

ლევს. 1317 წლის გაზაფხულზე (აპრილ-მაისი) საილხანოში მცირეწლოვანი აბუ-საიდი გაყაენდა, ხოლო იმპერიის ფაქტობრივი მმართველი გიორგი ბრწყინვალის მეგობარი — ჩობან ნოინი გახდა. ვფიქრობთ, სწორედ ამ დროს — 1317 წლის I ნახევარში უნდა გაეგზავნა გიორგი V-ს პირველი ელჩობა ეგვიპტის სულთნის კარზე; საფიქრებელია, რომ მას, როგორც ქვეშევრდომს, ეს საკითხი ჩობანთან შეეთანხმებინა. ამდენად, პირველი ელჩობა 1317 წლით თარიღდება; ამ დროს გიორგი V-ს ყველა პირობა ჰქონდა, განეხორციელებინა ასეთი მნიშვნელოვანი დიპლომატიური მისია. აქედან გამომდინარე, ამ დესპანობის ინიციატორი გიორგი VI მცირე ვერ იქნებოდა.

ამ საკითხის გარკვევაში დაგვეხმარება ორი სხვა მომენტის გათვალისწინებაც:

1. ამ ხანის საქართველოში არსებობს ე. წ. „პროვინციის მეფეთა" ინსტიტუტი[1] — XIV-XV სს. ეპოქის ხასიათისა და ამ „ჯერეთ არ კურთხეულ" ბაგრატიონთა მფლობელობის სტატუსიდან გამომდინარე, გიორგი ბრწყინვალის 1316-1317 წლებში „მეფედ" მოხსენიება, მიუხედავად საყაენოში მისი ამ ტიტულით დაუმტკიცებლობისა, სავსებით გასაგები და შესაძლებელია;

2. გასათვალისწინებელია გიორგი V ბრწყინვალის უფლებრივი სტატუსი 1299-1318 წლებში. მართალია, 1299 წელს მან მეფედ კურთხევის შემდეგ ტახტზე ფეხი ვერ მოიკიდა, მაგრამ თავის თავს მეფედ ანუ მისი მეფობის ათვლას სწორედ ამ წლიდან და არა 1314 ან 1318 წლიდან იწყებს.[2] 1317 წელს, „პროვინციის მეფეთა" ეპოქაში, გიორგი VI მცირესა და გიორგი V ბრწყინვალეს, „მეფის" ტიტულით, ერთდროულად სავსებით შეეძლოთ თანაარსებობა და მოქმედება.- თუ გავითვალისწინებთ ამ პერიოდში გიორგი ბრწყინვალის აქტიურობას, მის უფლებრივ მდგომარეობას (მონაწილეობა მონღოლთა წინააღმდეგ მოწყობილი მაჰმუდ ფარვანეს აჯანყების ჩახშობაში...) და გიორგი VI მცირის ხელისუფლების დასუსტება-დასასრულს, მაშინ ადვილად შესაძლებელი ჩანს, სწორედ იგი ყოფილიყო 1317 წლის ელჩობის ინიციატორი. თავად „ძეგლი ერისთავთას" კონტექსტიდანაც ჩანს, რომ დესპანობის ორგანიზატორად გიორგი V ბრწყინვალეა მიჩნეული.

ცხრაზმის საერისთავოს პოლიტიკური ისტორიის შესწავლის შედეგად ვ. ღუნაშვილი იმ მეცნიერთა მოსაზრებას უჭერს მხარს, რომელიც პიპაჲ ქვენიფნეველის ელჩობას „კლიტენი იერუსალიმისანის" მოპოვებას-

---

[1] დ. ნინიძე. „პროვინციის მეფეები" XIV-XV სს. საქართველოში. თბ., 1995.

[2] დ. ნინიძე. XIV ს. დამდეგის საქართველოს ისტორიის რამდენიმე ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხი. თსუ შრომები. ტ. 283.

თან დაკავშირებით 1320 წლით ათარიღებენ. „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით, „კლიტენის“ მოპოვებისას ჭანის ერისთავი ვირშელია; ვ. ღუნაშვილის გამოკვლევით, შალვა ქვენიფნეველი 1318 წელს გარდაიცვალა, 1318-1320 წლებში ცხრაზმის ერისთავი შალვას ძე ლარგველია, ხოლო 1320 წელს ერისთავია ლარგველის ძე – ვირშელი (პაპაჲ შალვა ერისთავის მეორე ვაჟი და ლარგველის ძმა იყო). ამდენად, მკვლევრის აზრით, რადგან ელჩობის დროს ჭანის ერისთავი ვირშელია და ამ რანგში იგი მხოლოდ 1320 წლიდანაა, ამიტომ პაპაჲსა და იოანე დეკანოზის ელჩობას ამ წელსვე უნდა ჰქონოდა ადგილი.[1] ვფიქრობთ, ქრონოლოგიური საყრდენის თვალსაზრისით საინტერესო მიგნებაა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, ამ ელჩობას და „კლიტენის“ გამოხსნას ვ. ღუნაშვილი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის გათავისუფლებასთან აიგივებს (როგორც აღინიშნა, იგი ადრე იქნა გამოხსნილი); სინამდვილეში პაპაჲს ელჩობა „კლიტენი იერუსალიმისანის“ ანუ წმ. საფლავის ტაძრის გასაღების ქართველთავის გადმოცემის ფაქტთანაა დაკავშირებული.

აღნიშნულ ორ დათარიღებას შორის პრიორიტეტს 1316-1317 წწ. ვანიჭებთ:[2] მოხსენიებულ ჭანის ერისთავთა მოღვაწეობის ქრონოლოგიური ჩარჩოები მხოლოდ სავარაუდო გამოთვლებია, რომლის გვერდით არსებობს ერთი გასათვალისწინებელი საკითხი:

1318 წელს იერუსალიმის აღნიშნული წმინდა სალოცავი ქრისტიანთა ხელშია (ბ. სილაგაძე); ამ დროს ეგვიპტის სულთანს უკვე დათმობილი აქვს იერუსალიმის ეს ქრისტიანული სიწმინდე, ამიტომ, სხვა მოსაგვარებელ საკითხებთან ერთად, ქრისტეს საფლავის გასაღების – „კლიტენის“ გადმოცესთან დაკავშირებული ელჩობა ეგვიპტეში 1318 წლის შემდეგ საჭირო აღარ იქნებოდა, ანუ იგი 1318 წლამდე უნდა განხორციელებულიყო. 1318 წელს ქრისტიანებისათვის, ბუნებრივია, ქრისტეს საფლავის ფლობაზე ნებართვა ეგვიპტის სულთნისაგან საჭირო აღარ არის. „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით კი სწორედ მასთან მოციქულობაა ხაზგასმული, რადგან იმ დროს მისი აუცილებლობა არსებულა. 1318 წ., ქრისტიანთა მიერ იერუსალიმის, ამ წმინდა ადგილის, ფლობის პირობებში, ქართველებს წმინდა საფლავის კუთვნილებაში ხელს არაფერი შეუშლიდა. რადგან „კლიტენის“ ფლობას ეგვიპტის სულთნის თანხმობა დასჭირდა, ამიტომ ეს ელჩობაც 1318 წლამდე მომხდარი ფაქტია, კერძოდ, იმ პერიოდში, როცა „წმინდა ქალაქის“ ეს მთავარი სიწმინდე მაჰმადიანთა ხელშია. ასეთად ჩვენ 1317 წელი გვესახება. რაც შეეხება 1320

---

1 ვ. ღუნაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 72-74.

2 დ. ნინიძე, საქართველოს „ჰრაველმეფიანობის“ ხანის (1298-1318) დიპლომატია, „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, I, თბ., 1994, გვ. 138-140.

წელს გიორგი ბრწყინვალის ინიციატივით მოწყობილ ელჩობას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს დიპლომატიური მისია სხვა საკითხებთან ერთად იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ახლად შეკაზმვის საკითხთან იყო დაკავშირებული. ჩანს, ამ დროს მოხდა მონასტრის არა ხელმეორედ დახსნა, არამედ მისი განახლება გიორგი V ბრწყინვალის ხელმძღვანელობით. ჩვენი აზრით, ამ ელჩობას უნდა მოჰყოლოდა, და მისი შედეგია, სხვა ქართული სალოცავების განახლება-შშენებლობაც (წმ. დიმიტრის, წმ. იაკობის მონასტერი). არ არის გამორიცხული, რომ 1320 წლის ელჩობის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი ესეც ყოფილიყო.

როგორც აღვნიშნეთ, არაბული წყაროები (ალ-უმარი, ალ-კალკაშანდი) ჩობან ნოინის „ერთგულ მეგობარს" და გამორჩეულ ხელისუფალს ქრისტიანთა შორის „ბარტილმას" (ბრთლმა) უწოდებენ. ამავე „ბარტილმას" დიპლომატიური მოლაპარაკებანი და მიმოწერა უწარმოებია ეგვიპტის სულთანთან თითქოს იერუსალიმის ჯვრის მონატრის ქართველთათვის დაბრუნების თაობაზე. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ქართველი მეფის ირგვლივ სხვადასხვა შეხედულებაა გამოთქმული, მას აიგივებდნენ ვახტანგ III-თან,* დავით VIII-თან, „ბურთელ-ბირთველ" სივნიელთან. „ბარტილმას" რანგის მეფე, დიპლომატი, ჩობან ნოინის თანამედროვე და მისი მეგობარი გიორგი V ბრწყინვალე შეიძლება იყოს. ეს დამაჯერებლად გვიჩვენა დ. გოჩოლეიშვილმა,[1] მაგრამ ალ-უმარისა და ალ-კალკაშანდის მიხედვით, გიორგი ბრწყინვალე-„ბარტილმას" სახელი უკავშირდება ჯვრის მონასტრის გამოხსნის საკითხს. ე. მეტრეველის აზრით, არაბული წყარო ცდება, როდესაც მონასტრის გათავისუფლების ინიციატორად „ბარტილმას" ასახელებს; მეორე მოსაზრებით, საქართველოს არამყარი პოლიტიკური მდგომარეობის გამო, საჭირო გამხდარა მისი რამდენჯერმე გათავისუფლება, რითაც აიხსნება მისი გამოხსნის ხელახალი ცდები გიორგი ბრწყინვალის დროს.[2] ჩვენი აზრით, „ბარტილმასთან" დაკავშირებულ ცნობაში უნდა იგულისხმებოდეს არა 1305 წელს მონასტრის გათავისუფლების ფაქტი (რომელიც დავით VIII-მ განახორციელა), არამედ 1316/17 და 1320 წლებში ეგვიპტის კარზე გიორგი V-ის ინიციატივით განხორციელებული ელჩობები, რომელთა ერთ-ერთი მიზანი „ლიტენი იერუსალიმისანის„ მოპოვებისა და ქრისტიანულ ტაძრებზე ზრუნვის გარდა, უკვე გამოხსნილი იერუსალიმის

---

* რამდენადაც ვახტანგ III 1304 წელს ჩანს გარდაცვლილი, ამიტომ მისი კანდიდატურა ყოველნაირად ირიცხება.

1 დ. გოჩოლეიშვილი, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან. „ისტ. შრომები", ტ. 184, თბ., 1977, გვ. 269-270.

2 დ. ქლენტი, იერუსალიმის ქართული მონასტრების ისტორიიდან. „მაცნე", 1983, №2, გვ. 170; ვ. კიკნაძე, დასახ. მონოგრაფია, გვ. 63.

ჯვრის მონასტრის „ახლად შეკაზმვა“ და განახლებაც უნდა ყოფილიყო, რამაც ფაქტების ასეთი ფორმით ასახვა გამოიწვია არაბულ წყაროებში.

აღნიშნული ელჩობების შედეგები შთამბეჭდავი იყო: ჯერ კიდევ ილხანთა ქვეშევრდომი საქართველო ახერხებს კეთილგანწყობილი, დაბალანსებული ურთიერთობების აღდგენას თუ შენარჩუნებას ეგვიპტესთან. ეგვიპტის სულთანთან დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგი იყო ქართველთავის „კლიტენი იერუსალიმისანის“ გადმოცემა, ქრისტეს საფლავის მოძღვართმოძღვრად იოანე ბანდაჲსძის კურთხევა, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის „ახლად შეკაზმვა“, „წმინდა მიწაზე“ სხვა ახალი ქართული ეკლესიების აგების ნებართვის მოპოვება: მაგ., წმინდა დიმიტრისა და წმ. იაკობის მონასტრები[1] და სხვ. ეს დიპლომატიური კონტაქტები და მნიშვნელოვანი მონაპოვარნი გიორგი V ბრწყინვალის საგარეო დიპლომატიის პირველ წარმატებულ ნაბიჯებად უნდა ჩაითვალოს. ეს რომ ადვილად მოსაპოვებელი არ იყო, კარგად მეტყველებს 1320 წელთან დაკავშირებული ის მომენტიც, რომ ქრისტიანი მეფის — გიორგი ბრწყინვალის ამ მიღწევას — იერუსალიმში ახალი ეკლესიის აგებაზე ნებართვას ძალზე გაუღიზიანებია ოქროს ურდოს ყაენი — უზბეკი (1312-1341), რომლისთვისაც ეგვიპტის სულთანს ქალაქში მეჩეთის აგების უფლება არ მიუცია.[2]

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი კონტაქტების დამყარება ილხანთა მოწინააღმდეგე ეგვიპტესთან გიორგი ბრწყინვალის მხრიდან წინასწარ კარგად მოფიქრებული სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და დროული დიპლომატიური ნაბიჯი ჩანს. იგი ბალანსირებული პოლიტიკის ერთ-ერთი კარგი მაგალითია, როცა ქვეყანა ორ ძლიერ სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში ილხანები და მამლუქთა ეგვიპტე) შორის არის მოქცეული და დიპლომატიური ლავირება უხდება. ილხანთა მოწინააღმდეგე ეგვიპტის მხრიდან საქართველოს მიმართ შემხვედრ ნაბიჯთა მოტივაციაც ადვილად ასახსნელია — სასულთნოსათვის საქართველოს ფაქტორი ძალზე მნიშვნელოვანი იყო ილხანებთან დაპირისპირების პირობებში. ისიც ხაზგასასმელია, ამას იგი ისე ახორციელებს, რომ ილხანებისაგან წინააღმდეგობას არ აწყდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაძლებელია, გიორგის გარკვეული მოლაპარაკება და შეთანხმება ჰქონოდა ამ საკითხზე ილხანებთან და კერძოდ პირველ ემირ ჩობან ნოინთან. ნიშანდობლივია, როცა მომდევნო პერიოდში მონღოლ ილხანთა სახელმწიფო დაეცა, ეგვიპტის სულთანთა ინტერესები ამ რეგიონისადმი, კერძოდ, საქართველოსადმი მნიშვნელოვნად შემცირდა; ეგვიპტის

---

[1] დ. ელენტი. დასახ. მონოგრაფია. გვ. 164. 170.

[2] ვ. კიკნაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 64-65.

სასულთნოს ილხანთა წინააღმდეგ მოკავშირის ძებნა უკვე აღარ სჭირდება.

XIV ს-ის 20-იან წლებში ქვეყნის შიგნით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად დასრულდა „მრავალმეფიანობის" ხანა, აღიკვეცა მტრის თარეში, ხოლო სამეფო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა; პარალელურად, განმდგარ სამცხე-საათაბაგოში მეფის გავლენა გაიზარდა, გიორგი V სარგის II ჯაყელს (თავის ბიძას), როგორც მეფის მოხელეს, ათაბაგობისა და ამირსპასალარობის სახელოები უბოძა.[1] ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მიზნით, მეფემ ცივის მთაზე სადარბაზოდ კახეთ-ჰერეთისა და სომხითის ურჩი ერისთავები მოიწვია და ამოხოცა (დაახ. 1327-1329 წწ.), რითაც ეს რეგიონები სამეფო ტახტს შემოუმტკიცა — „დაადგინაა ყოველთა ადგილთა წარეღინებულნი ერისთავნი თ'ესნი მორჩილებისანი და დაიპყრნა ამით უმეტეს ყოველნი". ამავე პერიოდში წარმატებით აწარმოა ბრძოლა შიდა ქართლში მარბიელ ოსთა წინააღმდეგ, განდევნა საქართველოდან და თავისი სამეფო ტახტის გავლენა ჩრდილოეთ კავკასიის გარკვეულ რეგიონებზეც გაავრცელა.

ქვეყნის საშინაო ვითარების მოწესრიგებასთან ერთად გიორგი მეფე აქტიურ დიპლომატიურ საქმიანობას აწარმოებს დასავლეთ ევროპასთან. XIV ს-ის 20-30-იან წლებში მიმდინარეობს მიმოწერა რომის პაპ იოანე XXII-სა (1316-1334) და გიორგი ბრწყინვალეს შორის.[2] რომის პაპთან მიდის ინფორმაცია გიორგი ბრწყინვალის მოღვაწეობისა და მისი მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. გახარებული პაპი თავის მისიონერებს წერილს ატანს, რომლის პირველი ორ ნაწილში ეკლესიათა ერთიანობის საკითხებზეა საუბარი; მესამეში პაპი იწვევს მეფეს და მის სამეფოს დასავლეთთან შემოსაერთებლად და დიდად წუხს, რომ „პეტრეს საყდარს" ზოგიერთი მისი ნაწილი ჩამოშორებულია: „აწ გევედრებით და უფლის იესო ქრისტეს სახელს გაფიცებთ, რათა რომის წმინდა ეკლესიასთან შემოერთება არ დააყოვნოთ", — წერს პაპი.[3] პაპი საქართველოს მეფეს მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევას და გარანტიებს ჰპირდება: „არც გვინდა თქვენი ძლიერების დამცირება და თქვენი პატივის აყრა. არამედ ვნატრობთ, რაოდენათაც შეგვიძლია ღვთის მიერ უფრო აღვამაღლოთ და განვაძლიეროთ თქვენი ძლიერება და პატივი... მაშინ შეიქმნებით უპირველესი ერი იმ ყველა ტომთა შორის,

---

1 ვახუშტი. გვ. 256.

2 მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29-36; M. Tamarati, L'Eglise Georgienne des origines jusqu' à nos jowes. Rome, 1910, გვ. 438-440; ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XIV სს.). თბ., 1984, გვ. 93-99, 203-213.

3 მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

რომელნიც ქრისტესადმი მოქცევად არიან"...[1] წერილის მომტანნი ფრანცისკელი ბერები არიან, კერძოდ, აღმოსავლეთის ვიკარიუსი პიერ (პეტრე) დე ტური და თავრიზის მონასტრების მეთაური — ჟაკ და კამერინო. წერილი ავინიონიდან 1321 წელს 15 ოქტომბერს იგზავნება. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ პაპის იოანე XXII-ის ბულის მიხედვით, კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრა სმირნიდან თბილისში იქნა გადმოტანილი. არც ეს იყო შემთხვევითი, პაპი ითვალისწინებს გიორგი V ბრწყინვალის საქართველოს მნიშვნელობას და მზარდ საერთაშორისო ავტორიტეტს, რომლის შესახებ ავინიონში უნდა სცოდნოდათ. პაპი თავის წერილში თბილისს უწოდებს: „ქართველთა სამეფოს შუაგული ადგილი, საუკეთესო, მეტად შესანიშნავი, ერით სავსე, მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქი".[2] აქვე აღნიშნულია, რომ „ჩვენის (პაპის, დ. ნ.) სრულის მოციქულებრივის ხელმწიფების ძალით სმირნის საეპისკოპოსო კათედრა გადაგვაქვს ხსენებულის ტფილისის ქალაქსა" და „ტფილისი გავხადეთ საეპისკოპოსო ქალაქად და გვნებავს შემდეგშიაც დარჩეს ესრეთ და ეწოდებოდეს მუდამ ტფილისის საეპისკოპოსო ქალაქი".[3] თბილისში ამ გადაწყვეტილებით აშენდა საკათედრო ტაძარი. პაპმა ამით არ იკმარა და ერთი წლის შემდეგ მისი მსგავსი „განსაკუთრებული" წერილი გამოსცა თბილისის შესახებ, როცა თავისი დადგენილების ასრულება გადაწყვიტა: „ იმავე სამეფოში (საქართველოში, დ. ნ.) მყოფს, განთქმულს, შესანიშნავს და შესაფერ ქალაქს ტფილისს ვაწესებთ საეპისკოპოსო ქალაქად ღვთის საქებ-სადიდებლად, კათოლიკე სარწმუნოების გასაძლირებლად, მცხოვრებთა აწმყო და მომავლის ბედნიერებისათვის და სხვა საჩინო მიზეზების გამო, რამაც გადაგვაწყვეტინა, ასე მოვქცეულიყავით". მ. თამარაშვილი იოანე XXII-ის პაპობის მე-14 წლიდან გამომდინარე, წერილს 1329 წლით ათარიღებს, ი. ტაბაღუა კი 1330 წლით.[4] თბილისმა რომის პაპისაგან „საეპისკოპოსო ქალაქის" რანგი მიიღო. 1329 წელს პაპი იოანე XXII-ის მიერ თბილისში კათოლიკეთა ეპისკოპოსად ინიშნება იოანე ფლორენციელი, ხოლო სოხუმში — პეტრე გერალდი. ჩვენამდე მოაღწია პაპის რამდენიმე სხვა წერილმაც: ერთი ეხება იოანე ფლორენციელის დანიშვნას, მეორე საქართველოს კათოლიკეთადმია მოწერილი, სადაც ითხოვს, „მხურვალედ" მიი-

---

მ. თამარაშვილი დასახ. ნაშრომი, გვ. 30. იხ. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XIV სს.), თბ., 1984, გვ. 207-208.
წერილში აღნიშნულია იოანეს „პაპობის მეექვსე წელი" — მ. თამარაშვილი მას 1321 წლით ათარიღებს, ხოლო ი. ტაბაღუა- 1322 წლით.

2 მ. თამარაშვილი, გვ. 32.

3 იქვე.
იქვე. გვ. 34; ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 212-213.

ღონ ახლადდანიშნული ეპისკოპოსი, მესამე – უშუალოდ საქართველოს კათოლიკე სამღვდელოებას ეხება.[1] იმ დროს, როცა პაპმა პირველი ლათინი ეპისკოპოსი დანიშნა თბილისში, მან საქართველოს მეფეს კვლავ გამოუგზავნა წერილი და მოსწერა შეუერთდეს „მსოფლიო კათოლიკე ეკლესიას".[2]

მ. თამარაშვილის მიერ განხილული წერილების გარდა პაპ იოანე XXII-ს იმ ხანებში კიდევ რამდენიმე მსგავსი „წიგნი" გამოუგზავნია. როგორც ვ. კიკნაძე აღნიშნავს, 1321 და 1329 წლებში პაპს ისინი დაუგზავნია არა მარტო გიორგი მეფისა და იოანე ფლორენციელისადმი, არამედ ამირსარგის თბილისელისა და ვინმე სოლაღაისადმი.[3] ყურადღებას იქცევს რომის პაპის ასეთი კონტაქტები ამირსარგის თბილისელისადმი, რომელიც ამ პერიოდის თბილისის ამირა – ქალაქის თავი ჩანს, ჟ. რიშარი მას „თბილისის პატრონს" უწოდებს.[4]

გიორგი ბრწყინვალის მეფობის ხანაში აღსანიშნავია ცხუმის კათოლიკეთა ეპისკოპოსის – პეტრე გერალდის მოღვაწეობის გარკვეული მხარეებიც; ვ. კიკნაძის მიერ მიმოქცევაში შემოტანილი პეტრე გერალდის 1330 წლის წერილში კენტერბერის არქიეპისკოპოსისა და ინგლისის ეპისკოპოსებისადმი,[5] სხვა საინტერესო ფაქტებთან ერთად, კვლავ ლაპარაკია ეკლესიების გაერთიანებასა და ქართველთა მზადყოფნაზე – მონაწილეობა მიიღონ დასავლეთის ქრისტიანებთან ერთად ერთობლივ ლაშქრობაში ურწმუნოთა წინააღმდეგ. იგულისხმება ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის ერთ-ერთი უშედეგო ცდა, რომელსაც 1323 წელს ქჯონია ადგილი. აღნიშნული წერილით ცხადი ხდება, რომ ამ დროს თბილისის გარდა კათოლიკური საეკლესიო კათედრა ცხუმშიც არსებობს; დასტურდება ლათინთა, ადგილობრივი მოსახლეობისა და მთავრის ინტენსიური ურთიერთობა, ხოლო რაც შეეხება ცხუმს, ქალაქში ამ დროს რამდენიმე ეთნიკური ერთეული ცხოვრობს – ქართველები, ლათინები, მაჰმადიანები და ებრაელები.

იოანე XXII-ის პაპობაში აღმოსავლეთის ქვეყნებში გასაგზავნი ექვსი ეპისკოპოსი 1330 წლის აპრილში აღმოსავლეთში გამოემგზავრა; თითოეულს ფრანცისკელ და დომინიკელ მისიონერთა ჯგუფი მოჰყვება,

---

[1] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35-37.

[2] იქვე. გვ. 37-38.

[3] ვ. კიკნაძე, საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები. „მნათობი", 1933. N4, გვ. 162.

Jean Richard. La Papauté et les missions d'Orient au Moyen Age (XIIIe-XVe siècles). Ecole Française de Rome Palais Farnèse. 1977. გვ. 184.

ვ. კიკნაძე. საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან. „მნათობი", 1982. N9. გვ. 157.

სწორედ მათგან ერთ-ერთმა — თბილისის ეპისკოპოსმა გადასცა გიორგი V ბრწყინვალეს პაპის წერილები. ეპისკოპოსებს ტრაპიზონის გავლისას იოანე XXII-ის ერთი ეპისტოლე ტრაპიზონის კეისრისათვის მიურთმევიათ, ხოლო გზის შემდგომ მონაკვეთზე პაპის მეორე წერილი „კორატიჩენსის მეფისათვის" წარუდგენიათ. როგორც ი. ტაბაღუა აღნიშნავს, აქ იმერეთის (ქუთაისის) მეფე უნდა იგულისხმებოდეს.[1] ამდენად, დასტურდება ფაქტი ამ ეპოქაში დასავლეთსა და ლიხთ-იმერეთს შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ. 1329/1330 წლებში იმერეთ-ქუთაისის „მეფე" შესაძლებელია იყოს დავით ნარინის მეორე ძე — მეფე მიქელი ან მისი შვილი ბაგრატი, რომელიც რომის პაპის მისიის ჩამოსვლის ახლო პერიოდში გიორგი V ბრწყინვალემ ლიხთიჭითის ერისთავად აქცია.

ქართულ წყაროებში დაცულია ცნობა (მინაწერი) ამ პერიოდში, კერძოდ, 1329 წლის ელჩობის შესახებ იერუსალიმში.[2] გაუგებრობას იწვევს ის მომენტი, რომ ამ მისიას მიეწერება „კლიტენის" გამოხსნის ფაქტი, რომელზე დაყრდნობითაც ს. კაკაბაძე ამ მოვლენას გიორგი ბრწყინვალის ხანას აკუთვნებს და მას 1330 წლით ათარიღებს.[3] რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში „კლიტენი იერუსალიმისანის" საკითხი ირიცხება, შესაძლებელია, აქ იერუსალიმში რაღაც მიზეზების გამო 1329 წელს მოწყობილი ქართველთა უცნობი ელჩობის ფაქტი იგულისხმება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ XIV ს-ის 20-იანი წლების ბოლო პერიოდი გიორგი მეფის პოლიტიკის განსაკუთრებული გააქტიურებით გამოირჩევა და არ არის გამორიცხული ასეთ პერიოდში მეფეს რაიმე მიზნით კვლავ გაეგზავნა ელჩობა იერუსალიმში; „წმინდა ქალაქი" ხომ გიორგი მეფის მუდმივი ყურადღების საგანი იყო (თუმცა სხვა ისტორიული წყაროებით ამ ცნობის შემოწმება არ ხერხდება).

1327-1330 წლები გიორგი ბრწყინვალის სახელმწიფო პოლიტიკის ძალზე აქტიური პერიოდია: დიპლომატიური კონტაქტები (იოანე XXII, კათოლიკური კათედრა თბილისში, პეტრე გერალდი...), 1329 წელს დასავლეთი საქართველოს შემოერთება, რასაც სამცხეც მოჰყვა, ოსთა განდევნა, „დარბაზობა" ციხის მთაზე და დიდებულთა დადრეკა... შემთხვევითია თუ არა ამ ხანაში საქართველოს სამეფო ტახტისა და მისი დიპლომატიის ასეთი გააქტიურება?!

---

[1] ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. III, გვ. 22.

[2] „ახალი ქართლის ცხოვრება", მეორე გაგრძელება. „ქართლის ცხოვრება". II, გვ. 444-445 (ასევეა „ძეგლი ერისთავთაში").

[3] ს. კაკაბაძე. შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი. თბ., 1966, გვ. 74.

გიორგი ბრწყინვალე ქვეყნის შიგნით მიმდინარე რეფორმებით ყოველთვის ამზადებდა ნიადაგს ეხიშენელოვანი ნაბიჯების გადასადგმელად, პარალელურად, იგი ყოველთვის ითვალისწინებდა ცვლილებებს საერთაშორისო არენაზე და იყენებდა მათ თავისი მოღვაწეობის მთავარი მიზნის მისაღწევად: ასეთი ტეხილი 1327 წელს ილხანთა მთავარი ემირის — ჩობან ნოინის მოღალატურ სიკვდილს უკავშირდება. ამ რანგისა და გავლენის მქონე ფიგურის პოლიტიკური არენიდან წასვლამ, ისედაც დაღმავლობის გზაზე მდგარ იმპერიაში, შინააშლილობა და საილხანოს დაშლა დააჩქარა. „გიორგი მეფის ქამში ჩინგიზ-ყენთა მტერობა აღუჩნიეთ და წახდნენ“.[1] საქართველოში კი გიორგი მეფეს საპირისპირო საშინაო ვითარება ჰქონდა: მონღოლთა ლაშქრობები შეწყვეტილია, ქვეყანა ეკონომიკურად მოღონიერდა და გაერთიანების გზას დაადგა— გიორგი ბრწყინვალე, მისი მეგობრის — ჩობანის გარდაცვალების შემდეგ. ითვალისწინებს რა საილხანოს მდგომარეობას, ცვლის თავის კურსს — 1327 წლიდან ფრთხილი, მოზომილი პოლიტიკური კურსისა და დიპლომატიური ლავირების ტაქტიკიდან აქტიურ, შემტევ პოლიტიკაზე გადადის. აბუ-საიდი ახალ სიტუაციაში ვეღარ ახერხებს ილხანთა უზარმაზარი სახელმწიფოს ძველ კალაპოტში მოქცევას და ამით გიორგი მეფეს შესანიშნავ სიტუაციას უქმნის თავისი მთავარი ჩანაფიქრის აღსასრულებლად. უკვე არსებობდა ყველა პირობა საქართველოში მონღოლთა უღლის გადასაგდებად. მართლაც, როგორც ჩანს, 1327 წლის შემდგომ „იცა ქამი ბრწყინვალემან მეფემან გიორგი და განასხნა თათარნი საქართველოსაგან, რომელნიმე გონიერებითა, რომელნიმე ბრძოლითა და ძლიერებითა და მოსპნა ყოველნი საზღვართაგან თ:ესთა“.[2] გიორგი ბრწყინვალემ ილხანებს ხარკი შეუწყვიტა, საპასუხო ნაბიჯებს საილხანოს ცენტრიდან რაიმე შედეგი არ მოჰყოლია, ხოლო 1335 წელს აბუ-საიდის გარდაცვალების შემდეგ მონღოლთა ფორმალური წინააღმდეგობაც შეწყდა. ამდენად, მონღოლთა ასწლოვან ბატონობას 1327-1335 წლებში ბოლო მოეღო. ვ. კიკნაძე ცდილობს ქრონოლოგიურად ამ ფაქტის კიდევ უფრო დაკონკრეტებას და თავის ნაშრომში თვლის, რომ მონღოლთა უღლის გადაგდება 1330 წლამდეა საგულისხმებელი. არსე-

---

1 ბერი ეგნატაშვილი. გვ. 325.
2 ვახუშტი. გვ. 256.
ვ. კიკნაძე. საქართველო XIV საუკუნეში. გვ. 175.

ბობს ამ მოვლენის დათარიღების სხვა ცდებიც,[1] რომელიც სამართლიანადაა ვაკრიტიკებული ქართულ ისტორიოგრაფიაში.[2]

ამდენად, ამ პერიოდიდან გიორგი ბრწყინვალემ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას აღუდგინა დამოუკიდებელი დიპლომატიური ხაზი.

მონღოლთა ბატონობის დასრულებამ, რასაც წინ უძღოდა ინტენსიური დიპლომატიური ურთიერთობები ევროპასთან, ოსთა განდევნა, თავისი გავლენის ჩრდილოეთ კავკასიის გარკვეულ რაიონებზე გავრცელება და ფეოდალთა სეპარატიზმის დათრგუნვა (ცივის მთა), გიორგი ბრწყინვალეს საშუალება მისცა, წარმატებით გაეგრძელებინა დაწყებული სახელმწიფოებრივი რეფორმები ქვეყნის მათრვის სხვადასხვა სფეროებში: საკანონმდებლო, საფინანსო და სხვ. ასეთ ვითარებაში არსებობდა ყველა პირობა ქვეყნის გაერთიანების დასასრულებლად — 1329-30 წლებში შემოერთებულ იქნა ლიხთიქითი; ვახუშტის მიხედვით, 1334 წელს საქართველოს მეფის უზენაესობა სცნო სამცხე-საათაბაგომაც: გარდაცვლილი სარგის II ჯაყელის ადგილზე გიორგი ბრწყინვალემ სარგისის ძე — ყვარყვარე დაამტკიცა სამცხის გამგებლად. ვ. კიკნაძის აზრით, ეს თარიღი უფრო ადრეა გადასაწევი, კერძოდ, ჯაყელთა დამორჩილება 1330 წლამდეა საგულისხმებელი.[3] გიორგი ბრწყინვალემ ქვეყნის გაერთიანების პროცესი, რომელიც მის ტახტს კიდევ უფრო აძლიერებს, დაამთხვია — გადააჯაჭვა საილხანოს დაშლისა და მათთვის ხარკის შეწყვეტის ფაქტს; ბერი ეგნატაშვილი კიდეც აღნიშნავს, რომ რა „წახდნენ" მონღოლები, „დრო დაიცა მეფე გიორგიმ... იმერნი და ამერნი გაიერთა და დაიპყრა ნებისაებრ ყოველი საქართველო".[4] ეს არ იყო შემთხვევითი, იგი გიორგი ბრწყინვალის დიდი დიპლომატობისა და მართებული პოლიტიკის შედეგია.

XIV ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში გიორგი V ბრწყინვალეს დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთის მეფესთან — ფილიპე VI ვალუასთან (1328-1350). კვლავ ამოტივტივდა ერთიანი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის იდეა ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ „წმინდა მიწის" გასათავისუფლებლად. ერთი ფრანგი მისიონერის საშუალებით საფრანგეთის მეფე წერილს გზავნის სპარსეთში ფრანცისკელთა მეთაურთან და ლათინთა მთავარ ვაჭრებთან თავრიზში, სადაც იგი 1332-

---

დ. ლენგი. საქართველო გიორგი ბრწყინვალის დროს, „საუნჯე". 1989. №4. ამ საკითხზე ასევე იხ.: ვ. გაბაშვილი. საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხისათვის. „აღმოსავლური კრებული". I, 1960.

[2] ვ. კიკნაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

[3] იქვე. გვ. 175.

[4] ბერი ეგნატაშვილი. გვ. 325.

1333 წლებში ჩადის. თავრიზის ფრანცისკელებს ევალებათ მისიონერის დანიშნულების ადგილებზე გაგზავნა წერილით და საჩუქრებით. კერძოდ, ილხანებთან — აბუ-საიდთან და საქართველოს მეფესთან — გიორგი V ბრწყინვალესთან. საფრანგეთის მეფის ელჩს ევალებოდა მათთვის შეეთავაზებინა წინადადება და შესაბამისი სამუშაოც გაეწია, რათა ისინი დაეხმარებულიყვნენ ერთიან ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობაზე.[1]

ასეთი დიპლომატიური მისიის შესრულებას წინასწარი მომზადება სჭირდებოდა. თავრიზის ფრანცისკელებმა თათბირი გამართეს, „რათა საფრანგეთის მეფის სურვილები უფრო მოხერხებულად აღესრულებინათ. (მათ) გადაწყვიტეს, რომ არ იყო გონივრული, ეს ყველაფერი შეეტყობინებინათ იმპერატორ აბუსაიდ ხანისთვის და მიეწვიათ იგი, რადგან მათ (მონღოლებმა) ამას წინათ კავშირი დადეს ეგვიპტის სულთანთან (ალ-მალიქ ან ნასერი), იმიტომ, რომ ერთიცა და მეორეც ალბათ საფრთხეში იყო მეზობელი მტრებისაგან — თურქებისა და უზბეკისაგან (ოქროს ურდოს ყაენი)".[2] ამიტომაც, ფრანცისკელებმა გადაწყვიტეს, წერილი გაეგზავნათ მხოლოდ საქართველოს მეფე გიორგი ბრწყინვალისათვის. ასევე ყურადღება ექცევა იმ მომენტს, რომ საქართველო დამოუკიდებელია ილხანებისაგან და მისი მეფე ძალზე კეთილგანწყობითაა სპარსეთის ფრანცისკელი და დომინიკელი მისიონერების მიმართ. გიორგი V ბრწყინვალეს ფილიპე VI ვალუას წერილის წარსადგენად 1332-1333 წლებში თბილისში ესტუმრნენ ფრანცისკელი მისიონერები რიკარდო მერჩერი (მერსიე) და ალექსანდრე ინგლისელი. გიორგი მეფეს ელჩები ორი თვის განმავლობაში დიდი პატივით მიუღია, ამის ხაზგასასმელად წერილი შუბლზე მიუდია, „გულისყურით" მოკიდებია საფრანგეთის მეფის წინადადებას და „კეთილგონივრული პასუხი" გაუცია; გიორგი ბრწყინვალის 1332-1333 წლებში წერილში ფილიპე VI ვალუასადმი ვკითხულობთ: „საფრანგეთის ღვთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აღძრავენ აღმოსავლეთის მეფეებს სარკინოზთა წინააღმდეგ (საბრძოლველად), მაგრამ (საქმე ისაა, რომ) შემდეგ ისინი აღარ მოდიან, სტოვებენ რა (აღმოსავლეთის მეფეებს) ამ მტანჯველ ომში (მარტოდ)".[3] გიორგი ბრწყინვალე მოუწოდებს საფრანგეთის მეფეს, გადაწყვიტოს „როგორ და როდის გადმოლახავთ ზღვას" და საქართველოს ლაშქარიც 30 000 კაცით იქ მივა „წმინდა მიწის" გამოსახსნელად.

---

1 ვ. კიკნაძე. საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები. „მნათობი". 1983. №4. გვ.158.

2 ამონაწერი ჯ. გოლუბოვიჩის (კარდინალ ირონიმეს) ნაშრომიდან. ციტირებულია ვ. კიკნაძის დასახ. პუბლიკაციის მიხედვით, გვ. 158.

3 ვ. კიკნაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 159. Jean Richard. La Papauté et les missions d'Orient au Moyen Age (XIIIe-XVe siècles). Ecole Française de Rome Palais Farnèse. 1977. გვ. 54.

დიპლომატიურ ურთიერთობათა თვალსაზრისით საინტერესოა გიორგი ბრწყინვალის მიერ კარგად მოფიქრებულ ფორმაში გაკეთებული შეხსენება, რომ აღმოსავლეთის ხელისუფლებმა და უშუალოდ საქართველომ დასავლეთიდან ხშირად დაპირებული დახმარება ვერასოდეს ვერ მიიღეს, რის გამოც „ურწმუნოებთან" ომში მარტო დარჩნენ. ისიც საინტერესო ფაქტია საერთაშორისო კომუნიკაციების თვალსაზრისით, რომ ამ დროს საქართველო-ევროპას შორის ურთიერთობაში შუამავლის როლს ფრანცისკელი და დომინიკელი ბერები ასრულებენ. აღსანიშნავია ღირსია საქართველოს სამეფოს პოტენციალიც; ამ ჯერ კიდევ მოუმზადებელი და გადაუწყვეტელი ლაშქრობისათვის ქვეყანა მზადაა, 30 000 მოლაშქრე გამოიყვანოს და, რაც მთავარია, ამ წერილით უდავოდ ჩანს, რომ XIV ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში საქართველო მონღოლთაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოა; საფრანგეთის მეფე „წმინდა მიწებისათვის" სალაშქროდ ცალკე საქართველოს მეფეს არ და ვერ მიიწვევდა, იგი რომ ილხანთა ვასალი ყოფილიყო.[1] აღნიშნულ ხანაში საქართველო მართლაც დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რაზეც უკვე ზემოთაც გვქონდა საუბარი.

დამოუკიდებლობის მოპოვებას განმტკიცება სჭირდებოდა, ამიტომ გიორგი მეფის სამეფო ტახტი განაგრძობს სახელმწიფო რეფორმების გატარებას: XIV ს-ის 30-იან წლებში მეფემ მთიულთა საქმეებიც დაარეგულირა და საგანგებო სამართლის წიგნი — „ძეგლის დება" შეადგინა (1334-1335 წწ.); 30-იანი წლების მიწურულს აუცილებლობად მიიჩნია რელიგიური სიტუაციის მოწესრიგება და საეკლესიო კრება მოიწვია.[2] მიუხედავად სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისა, გიორგი ბრწყინვალემ საფინანსო პოლიტიკა სხვა კუთხით წარმართა, რაც კვლავ მის დიდ დიპლომატობასა და შესაშურ წინდახედულებაზე ლაპარაკობს:

გიორგი ბრწყინვალემ არ აკრძალა ზარაფხანებში ილხანების სახელით მონეტების მოჭრა, რითაც საქართველო ბლოკადასა და მახლობელი აღმოსავლეთის ცენტრებთან ეკონომიკურ მოწყვეტას ააცდინა; გიორგი ბრწყინვალისა და მისი ძის სახელით მოჭრილ მონეტას, საერთაშორისო თვალსაზრისით, არც წონა და არც გასავალი არ ეჭნებოდა, ამიტომ, მეფე გიორგი როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაშიც მონეტებს თავისი ყოფილი სიუზერენის სახელით ჭრის. იგივე პოლიტიკა ტარდება ჯალაირებისა თუ ოქროს ურდოს მიმართ: ყაენთა სახელით მონეტებს თვითონ საქართველოს სამეფო ტახტი ჭრის და ამას მხოლოდ სახელმწიფოებრივი, ამ შემთხვევაში

---

[1] ვ. კოკნაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 160.
[2] ვახუშტი, გვ. 259.

ეკონომიკური, მოსაზრებებით აკეთებს; ისეთ მონეტას უშვებს, რომელიც მთელი აღმოსავლეთის რეგიონში მიმოიქცევა, რითაც ქვეყანას მოსალოდნელი იზოლაციისაგან იცავს.[1] ამას ხაზგასმით აღნიშნავს რაშიდ ად-დინი.[2]

ამ კუთხით უნდა განვიხილოთ საქართველოს დამოკიდებულება საილხანოს დაშლის შედეგად წარმოშობილ სახელმწიფოებთან:

როგორც აღვნიშნეთ, ჩობან ნოინის დაღუპვის შემდეგ აბუ-საიდს ნოინები აღარ ემორჩილებიან — „იკლეს რაიმე ნოინთა მუსაით-ყენინისაგან", ხოლო 1335 წ. აბუ-საიდის გარდაცვალებისთანავე საილხანო დაიშალა და „განდგნენ ნოინნი თვისთვისად".[3] ეს პროცესი იმანაც დააჩქარა, რომ აბუ-საიდს მემკვიდრე არ ჰყავდა, ხოლო ილხანთა ტახტს ბევრი პრეტენდენტი გამოუჩნდა. ყოველი საილხანოს ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფო წარმოიშვა: ჩობანიანების (1338 წ.; 1343-1356 წწ.) — ძირითადად სამხრეთ აზერბაიჯანში; ჯალაირიანების (1340-1411 წწ.) — არაბეთის ერაყი, სპარსეთის ერაყის დიდი ნაწილი (ჰამადანი, ყაზვინი, სულთანიე), ქურთისტანი, სამხრეთ აზერბაიჯანი, ყარაბახი, რუმის ნაწილი, შირვანი...; მუზაფერიანების (1313-1393 წწ.) — იეზდი, ქერმანი, ფარსი შირაზით, სპარსეთის ერაყის დიდი ნაწილი ისფაჰანითურთ; ქურთების სახელმწიფო (1245-1389 წწ.), რომელმაც დამოუკიდებლობა მოიპოვა აღმოსავლეთ ხორასანში.[4]

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ, როცა 1338 წელს ირანში ხელისუფლება ხელში ჩაიგდო ჩობან ნოინის შვილიშვილმა შეიხ ჰასან ქუჩუკმა (მცირედ წოდებულმა), საქართველო ჩობანიდების, ხოლო XIV ს-ის II ნახევარში ჯალაირიანების მმართველობას დაუქვემდებარა.[5] ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული საფინანსო პოლიტიკიდან გამომდინარე, მონღოლთა სახელით თბილისში მონეტათა მოჭრა და მისი ზედწერილები არ უნდა იყოს საკმარისი იმის სამტკიცებლად, რომ XIV ს-ის მიწურულამდე თითქოს საქართველო მონღოლებს ემორჩილება. პირიქით, გიორგი ბრწყინვალის სამეფო ტახტისა და მისი დიპლომატიის მთავარი გამარჯვება სწორედ ის იყო, რომ საქართველომ

ვ. კიკნაძე. საქართველო XIV საუკუნეში. გვ. 80-82.

2 Рашид ад-Дин. Джами ат Таварих (Сборник летописей), т. III, Баку, 1957, გვ. 28.

3 ვახუშტი. გვ. 255-256.

4 ვ. კიკნაძე. საქართველოსა და ჩობანიანების ურთიერთობის ერთი ფაქტის შესახებ (XIV ს.). საქ. მეც. აკად. მოამბე, 93 №2, 1979, გვ. 502.

ც ღვაბერიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა და ჯალაირთა სახელმწიფოსთან (ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით), თბ., 1986, გვ. 33, 44; მისივე. საქართველო მეფე გიორგი VII-ისა და აქმად ჯელაირის სახელით მოჭრილი მონეტების დათარიღებისათვის. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე. LXI-B, თბ., 1991, გვ. 22.

ხარკის შეწყვეტისა და საილხანოს დაშლის შემდეგ სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა.

დ. ლენგი XIV ს-ის 30-იან წლებში მონღოლთა ბატონობის უღლის გადაგდების უარსაყოფად ეყრდნობა სპარსელი ავტორის ჰაფეზე აბრუს თხზულებას, თითქოს 1338 წელს საქართველო დაიპყრო ჩობანიანთა სახელმწიფოს ერთ-ერთმა დამაარსებელმა — ჰასან ქუჩუკმა (მცირემ). მან 1336-1338 წლებში მართლაც არა ერთი ქვეყანა დაიპყრო, მათ შორის ტრაპიზონიც.[1] ეს შემოსევა აისახა ვახუშტისთანაც, როცა ლაპარაკია მონღოლი ნოინების საქართველოზე თავდასხმის შესახებ.[2] ბრძოლა 1338 წელს განჯასთან მომხდარა: „ მოსრნა მეფემან (გიორგი V, დ. ნ.) ბანაკნი მათნი (ნოინების, დ. ნ.) და იელტოდნენ და მოსწყუედდნენ სპანი მეფისანი მახულითა და შემოიქცა გამარჯვებული, ალაფითა დიდითა".[3] ამდენად, ჩობანიანებს არა თუ დაუპყრიათ საქართველო, არამედ პირიქით, მარცხი განუცდიათ. ასეთი ვითარება კი ვერ გამოდგება ჩობანიანთა ქართველებზე სიუზერენობის სამტკიცებლად. ვ. კიკნაძემ ყურადღება მიაქცია მეორე მომენტსაც — ჰაფეზე აბრუს ტექსტში ლაპარაკია 1342 წელს ჰასან ქუჩუკის წინააღმდეგ მისი ძმის მელიქ აშრაფის აჯანყებაზე; ეს უკანასკნელი დამარცხდა და საქართველოში მოვიდა — ესეც თითქოს საქართველოს დაპყრობაზე ლაპარაკობს (დ. ლენგი). როგორც ნაჩვენებია, ქართულ ისტორიოგრაფიაში, ჰასან ქუჩუკს XIV ს-ის 30-იანი წლების ბოლოს არა თუ არ დაუპყრია საქართველო, არამედ იგი იმდენად სუვერენული სახელმწიფოა, რომ მას ჰასან ქუჩუკისაგან დევნილი ძმაც კი აფარებს თავს, რაც გიორგი ბრწყინვალის თანხმობის გარეშე ვერ განხორციელდებოდა.[4] ყოველივე ზემოაღნიშნული კარგად მეტყველებს 1327-1335 წლებიდან საქართველოს სახელმწიფოს სრული დამოუკიდებლობის შესახებ. ისიც ხომ ფაქტია, რომ ყაენს 1333-1334 წლებში სურვილი ჰქონდა, საქართველოში თავისი ნაცვალი გაეგზავნა, მაგრამ ამისათვის მას ვერ მიუღწევია და იძულებული გამხდარა, ეს პირი (შეიხ ჰასანი) თავისი ბრძანებით რუმში დაესვა. ამდენად, გიორგი ბრწყინვალის შემდგომ ხანაშიც თბილისსა და სხვა ზარაფხანებშიც ილხანთა მემკვიდრეების სახელით მონეტების ჭრა მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკით იყო გამოწვეული.

ვ. კიკნაძე. მ. პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკის" ერთი ადგილის განმარტებისათვის. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები". II. თბ., 1985, გვ. 76-79.

2 მისივე. საქართველოსა და ჩობანიანების ურთიერთობის ერთი ფაქტის შესახებ (XIV ს.). საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 93, №2, 1979, გვ. 502-503.
ვახუშტი. გვ. 258-259.

4 ერცლად იხ. ვ. კიკნაძის მონოგრაფია, გვ. 93-94.

გიორგი ბრწყინვალის საგარეო პოლიტიკის დასახასიათებლად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ გიორგი V-მ მონღოლები არა მარტო საქართველოს ტერიტორიიდან განდევნა, არამედ ჯერ კიდევ აბუ-საიდის სიცოცხლეში ყოფილ ყმადნაფიც ქვეყნებში — რანსა და შირვანშიც ილაშქრა. „შემოიკრიბნა სპანი და შევიდა რანს, ვერვინ წინააღუდგა და მუნიდამ შევიდა შირვანს და დაიმორჩილნა იგინიცა და მოხარკე ჰყუნა დარუბანდამდე".[1] როგორც აღნიშნულია, ეს არ უნდა ნიშნავდეს ამ რეგიონების შემოერთებას, საქართველოს სუვერენიტეტიც შირვანზე აღარ ვრცელდება;[2] ვახუშტის ცნობით, გიორგი ბრწყინვალეს რანსა და შირვანზე მოხარკეობისათვის მიუღწევია, რაც შესაძლებელია ერთდროული ხარკი ყოფილიყო. ეს უნდა იგულისხმებოდეს ვახუშტის სიტყვებში, რომ გიორგი მეფემ ისინი „მოხარკე ჰყუნა".

XIV ს-ის 30-იანი წლების მიწურულს გიორგი ბრწყინვალეს შეხება ჰქონდა თურქ-ოსმალებთანაც, კერძოდ, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს — კლარჯეთს შემოესია ამ სახელმწიფოს დამაარსებლის ოსმანის ვაჟი ორხანი (1326-1359): „საბერძნეთის სულტანმან ორხან ინება, რათა დაიპყრას კლარჯეთი და მიმდგომნი მისნი, მცნობმან გიორგი მეფემან მიუვლინა მას ზავისა-პირი, ხოლო მან არა ინება და შეკრებილი სპითა, მეფე ეწყო სულტანსა, მისცა ღმერთმან ძლევა და მოსრნა ურიცხუნი თურქნი და ილტვოდნენ სულტნითურთ".[3] როგორც აღნიშნულია, ახლად ჩამოყალიბებული ოსმალთა სახელმწიფოს მხრიდან ეს იყო საქართველოს საზღვრებთან პირველი საცდელი საომარი ოპერაცია.[4]

ქვეყნის გაერთიანების შემდეგ საქართველო უშუალოდ გაუმეზობლდა ტრაპიზონის იმპერიას, რაც კიდევ უფრო აღვივებს და აქტუალურს ხდის ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის საკითხს. 1341 წელს საქართველო აქტიურად იბრძვის ტრაპიზონის იმპერიაში ქართული ორიენტაციის დასის გასამარჯვებლად — საკეისროს თურქთაგან დარბევის პერიოდში კეისრის — ალექსი II (1297-1330) კომნენოსის უფროსი ასული ანა-ანახუტლუ ტოვებს მონაზვნობას და „ლაზეთში" მიდის.[5] 1341 წლის 17 ივლისს იგი ქართული ლაშქრის დახმარებით ტრაპიზონში ბრუნდება და საკეისროს ტახტზე ადის; ირინე, ბიზანტიის კეისრის ანდრონიკე III პალეოლოგის ასული, გადაყენებული იქნა. ტრაპიზონში ქართული ორიენტაციის გამარჯვება ქარ-

---

1 ვახუშტი. გვ. 256-257.
2 ვ. კიკნაძე. გვ. 70- 105-106.
ვახუშტი. გვ. 259.
ვ. კიკნაძე, დასახ. მონოგრაფია. გვ. 111.
მ. პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, გვ. 180.

თული დიპლომატიის მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო. როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, ქართული დასის ასეთი მოქმედება და შედეგი შეუძლებელია გიორგი V ბრწყინვალესთან შეთანხმების გარეშე განხორციელებულიყო.[1] ანა რომ ქართველთა ინტერესებს გამოხატავდა, კარგად ჩანს ნიკიფორე გრიგორასთან: „ირინეს მოწინააღმდეგე დასმა დაიყოლია იგი (ანა, დ. ნ.), მოლოზნის კაბა გაეხადა და ლაზეთში წასულიყო, სადაც იგი... მეფედ (ტრაპიზონის, დ. ნ.) იქნა გამოცხადებული. ლაზები, ჭანები და ყველა ადგილობრივნი თავის მშობლიურს, კომნენოსთა ოჯახიდან გამოსულს აძლევდნენ უპირატესობას, პალეოლოგოსთა გვარიდან გამოსულ ირინეს წინაშე".[2] ვ. კიკნაძე იმ მომენტზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ ანა-ანახუტლუს მამა — ალექსი II ბექა მანდატურთუხუცეს ჯაყელის ასულზე იყო დაქორწინებული ანუ გიორგი V და ანახუტლუ ერთმანეთის ნათესავები იყვნენ.[3] ესეც რომ არ ყოფილიყო, ამ პერიოდის გაერთიანებული საქართველოს დიპლომატიის ასეთი დაინტერესება მეზობელი ტრაპიზონის საკეისროთი სავსებით გასაგებიცაა. მიუხედავად ზემოაღნიშნული წარმატებისა 1343 წელს ვითარება შეიცვალა: ამავე წლის 4 სექტემბერს ანა-ანახუტლუ კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილმა ჯარმა ტახტიდან ჩამოაგდო და სიკვდილით დასაჯა,[4] თუმცა, მიუხედავად ამისა, ქართულ და ბიზანტიური დაჯგუფებათა ბრძოლა ტრაპიზონის საკეისროში გავლენის მოსაპოვებლად კვლავ გრძელდება. ამ კუთხით საინტერესოა დ. ლენგთან მოყვანილი ცნობა (თავად ცნობილი მკვლევარი მ. მილერის ნაშრომს — „ტრაპიზონს" ეყრდნობა), რომ 1348 წელს ჭანმა ანუ ლაზმა მეომრებმა მონაწილეობა მიიღეს ტრაპიზონზე მოწყობილ ლაშქრობაში. ტრაპიზონელი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი შეცვალეს ლაზთა სამეფო ოჯახის ჭანიშიდებმა, მათ დიდი კონსტებლისა და საიმპერატორო თასის მატარებლის წოდება მიიღეს.[5]

ჰაიფელმა (ისრაელი) მეცნიერმა ბუტრუს აბუ-მანნეჰიმ იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოში აღმოაჩინა დღემდე უცნობი 18 დოკუმენტი, რომლებიც საინტერესო ინფორმაციას შეიცავენ ქართული დიპლომატიის ისტორიის თვალსაზრისით. მათ შორის ყურადღებას იქცევს ნასირის ვაჟის მუზაფარ ჰაჯის 1347 წლის ბრძანებულება იერუსალიმში ქართველთა მდგომარეობის შესახებ: ხაზგასმულია, რომ ქართველები არიან ეგვიპტის სულთნის მფარველობის ქვეშ,

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, III, გვ. 272.
[2] ნიკიფორე გრიგორასი, „ჯეორგიკა", 7, გვ. 146.
[3] ...ვ. კიკნაძე. საქართველო XIV საუკუნეში, გვ. 108.
[4] ...ელ პანარეტოსი, გვ. 82.
[5] დ. ლენგი. საქართველო გიორგი ბრწყინვალის დროს, „საუნჯე", 1989, №4, გვ. 270.

აღნიშნულია მიზეზიც, რამაც განაპირობა მამამისის ასეთი კეთილგანწყობა ქართველების მიმართ — „მათმა (ქართველთა) მეფემ არაერთი სამსახური გაუწია ჩვენ კეთილშობილ წინამორბედს (სულთანი ნასირი, დ. ნ.)", ამიტომ ქართველთაგან „არცერთი მათგანი არ უნდა იქნას დადანაშაულებული ორგულობაში".[1] სულთანი მოუწოდებს „წმინდა ქალაქის" მცხოვრებთ, კარგად მოეკცნენ ქართველ ბერებსა და პილიგრიმებს, არ ავნონ მათ და არ ხელყონ მათი ქონება.

ქრონოლოგიურად ეგვიპტის სულთანის ბრძანებაში სახელის გარეშე მოხსენიებული საქართველოს მეფე გიორგი V ბრწყინვალე გამოდის; ბრძანება 1347 წლითაა დათარიღებული და აღნიშნულია — „მათმა მეფემ არაერთი სამსახური გაუწია ჩვენ კეთილშობილ" სულთან ნასირს. ისედაც ცნობილია, რომ გიორგი ბრწყინვალეს მჭიდრო დიპლომატიური კონტაქტები ჰქონდა მამლუქთა ეგვიპტესთან. ამ ახალი დოკუმენტით კვლავ დასტურდება, რომ გიორგი V-ის ხანაში საქართველო-ეგვიპტეს შორის ინტენსიურ ურთიერთობებს ჰქონია ადგილი; მასში ხაზგასმულია, რომ ასეთი კავშირები „არაერთი" იყო.

გიორგი ბრწყინვალის სახელმწიფო პოლიტიკისა და დიპლომატიის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი საქართველოს ძველი საერთაშორისო ავტორიტეტისა და „წმინდა მიწაზე" ქართველთა პრივილეგიების აღდგენის საკითხი იყო. ქვეყანაში გატარებული წარმატებული საშინაო პოლიტიკა, სამეფო გაერთიანება, ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცება, მონღოლთა უღლის გადაგდება და სრული დამოუკიდებლობის მოპოვება გიორგი V-ს მსოფლიო ასპარეზზე ქართველთა ძველი უფლებების აღდგენის საშუალებას აძლევს. სწორედ ამ დროს საგარეო დიპლომატიურ წრეებში, და საერთოდ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების თვალსაზრისით, კვლავ უნდა მომხდარიყო საქართველოს აღიარება მნიშვნელოვან საერთაშორისო ძალად, რის შემდეგაც ქვეყანა დიპლომატიურ ურთიერთობებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. საქართველოს სახელმწიფოს ძლიერების შედეგია ძველი უფლებებისა და პრივილეგიების აღდგენა საერთაშორისო სარბიელზე, მათ შორის, „წმინდა ადგილებში". უცხოური წყაროები ლაპარაკობს ქართველთა უფლებრივ მდგომარეობაზე უცხო ქვეყნებში, მათ მიმართ გაკეთებული ზოგიერთი უპირატესობისა თუ გამონაკლისის შესახებ მაჰმადიანთა მიერ (ბრეიდენბახი, ი. ჰასი შტეინსკი, ბართლომე დე სალინჯაგო). ქრისტიან ქართველთათვის ასეთი მნიშვნელოვანი პრივილეგიების არსებობას, მის აღიარებას მაჰმადიანური სამყარო ადვილად არ დაუშვებდა.

---

[1] გ. ჯაფარიძე. ქართველები იერუსალიმში (აღლადმიკელეული არაბული დოკუმენტების შესახებ). „ლიტერატურული საქართველო", 15/II. 1986.

იგი გიორგი ბრწყინვალის დიპლომატიის გამარჯვება და დიდი მონაპოვარია.

საქართველოს საერთაშორისო აღიარებასა და მის ადგილზე მსოფლიო დიპლომატიაში კარგად ლაპარაკობს მაჰმადიან მბრძანებელთა მიმართვის ფორმა და შინაარსი გიორგი ბრწყინვალისადმი:

„ვაღალი ალლაჰი ხანგრძლივს ყოფს ბრწყინვალებას მისი მეფური უდიდებულებობისა, დიდებულისა, გულადისა, მამაცის, ლომისა, მეთაურისა, მრავალგზის თავდამსხმელისა, ლომგულისა, ტახტის მპყრობელისა, გვირგვინოსნისა, თავის სარწმუნოებაში განსწავლულისა, თავის სამწყსოს მიმართ სამართლიანისა, საბერძნეთის მეფეთა შორის რჩეულისა, ქართველთა სულტნისა, ზღვებისა და სრუტეების სამეფოს განძისა, რაინდთა სამეფოს დამცველისა, ტახტ-გვირგვინოსანთა შთამომავლისა, რუმისა და ირანის ქვეყნების ზღუდისა, ქრისტიანობის განმამტკიცებლისა, ქრისტიანობის შემწისა, საქრისტიანოს გმირთ მესიისა, თავისი განზრახვით იერუსალიმის განმადიდებლისა, ნათლისღებულთა ბურჯისა, რომის პაპის შემწისა, მუსლიმთა ერთგული მეგობრისა, ახლობელ მეგობართაგან ყველაზე გულწრფელისა, მეფეთა და სულტანთა მეგობრისა“.[1]

3. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა XIV საუკუნის II ნახევარსა და XV საუკუნის დამდეგს

თემურ-ლენგის შემოსევებამდელი ხანის ქართული დიპლომატიის შესახებ ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება. დავით IX-ისა და ბაგრატ V-ის ზეობის პერიოდზე ისტორიულმა წყაროებმა ბევრი ვერაფერი შემოგვინახეს, მაგრამ არსებული მონაცემები მაინც ლაპარაკობენ გარკვეული დიპლომატიური კონტაქტების შესახებ. საინტერესოა ტრაპიზონის იმპერიასთან ურთიერთობის საკითხი:

მიქელ პანარეტოსის ცნობის თანახმად, დავით IX-ის ასული-გულქანი ტრაპიზონის იმპერატორის ძეზე — მანუილზე გათხოვდა[2] — 1377 წ. გულქანი გონიოდან გასულ, ლაზეთის ერთ-ერთ პუნქტში — მაკრიალში მას ტრაპიზონის იმპერატორი იოანე-ალექსი III (1350-1390) და მისი ამალა დახვედრია, ხოლო 1378 წელს ქორწილიც შემდგარა; საინტერე-

---

[1] XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, არაბულიდან თარგმნა, შესავალი შენიშვნები და საძიებლები დაურთო დ. გოჩოლეიშვილმა. თბ., 1988, გვ. 52.

[2] მიქელ პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, გვ. 207.

სოა, რომ თავიდან საქართველოს მეფის ასული იმპერატორის უფროს ძეზე — ანდრონიკეზე უნდა დაექორწინებინათ, მაგრამ სწორედ ქორწინების წინა პერიოდში უფლისწული სასახლიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, საქართველოსა და ტრაპიზონის სამეფო ტახტებს დადებული პირობა აღარ დაურღვევიათ და გულქანი ანდრონიკეს უმცროს ძმაზე — მანუილზე დაუქორწინებიათ. დავას არ უნდა იწვევდეს, რომ ეს საქორწინო შეთანხმება აშკარად „პოლიტიკურ ხასიათს" ატარებდა.[1]

ამ პერიოდში საქართველო-ტრაპიზონის დიპლომატიურ ურთიერთობას გარკვეული გამოცოცხლება ეტყობა. ეს „განახლებული ალიანსი" დავით IX-ის ძის ბაგრატის ტრაპიზონის იმპერატორის ასულ-ანაზე დაქორწინების ფაქტითაც (1367 წ.) ჩანს. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ტრაპიზონსა და საქართველოს შორის შეთანხმებას მოწინააღმდეგეები ჰყავდა — ბიზანტია და ოსმალეთი, ამიტომ, შესაძლებელია, სწორედ ქორწინების წინა ხანაში ტრაპიზონის იმპერატორის უფროსი ძის სასახლიდან გადმოვარდნა შემხვევითი არ იყოს.[2]

საქართველოს სამეფო კარის კონტაქტები ტრაპიზონთან მიქელ პანარეტოსის სხვა ცნობიდანაც ჩანს: 1372 წ. „წავედით ლაზიკაში... შევხვედით ბაგრატ მეფეს. მას შემდეგ მივედით ბათუმს..., გვყავდა 2 კატარღა და 40-მდე ნავი. იქ ვებაასეთ გურიელს, რომელიც მეფესთან პატივისცემისათვის მოვიდა".[3] სახელმწიფოთა დონეზე ურთიერთობები ამ შემთხვევაშიც აშკარაა, მაგრამ სამწუხაროდ არ ჩანს ბაგრატ მეფესთან შეხვედრისა და კახაბერ გურიელთან „ბაასის" მიზეზები.

თემურ-ლენგის შემოსევების წინა პერიოდში, კერძოდ XIV ს-ის 70-იან წლებში და თავად ამ დაპყრობების პირველ ეტაპზე საქართველოს მიმართ გააქტიურება ეტყობა კათოლიკურ სამყაროსაც: 1373 და 1390 წლებში ახალციხეს სწვევია ფრანციისკელი პატრები და თავიანთი რეზიდენციაც დაუარსებიათ; 1370 წ. საქართველოში ჩამოდის სალონიკის არქიეპისკოპოსი 25 სხვა ფრანციისკელ ძმასთან ერთად, ხოლო 1382 წ. „შოქადაგე ყმათა საზოგადოება" თავის რეზიდენციებს აარსებს თბილისსა და ახალციხეში.[4]

ამავე პერიოდში მყარდება კონტაქტები გენუელებთან, თუმცა ისინი ძირითადად სავაჭრო-ეკონომიკური სფეროს საკითხებს მოიცავს. გენუელთა სავაჭრო ფაქტორიის არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე

ვ. კიკნაძე. საქართველო XIV საუკუნეში, გვ. 122-123.
მისივე. დასახ. ნაშრომი, გვ. 124.
მიქელ პანარეტოსი. ტრაპიზონის ქრონიკა (ალ. გამყრელიძის გამოც.), გვ. 40.
[4] ვ. კიკნაძე. საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები. გვ. 163.

შესაძლებელი იყო მხოლოდ ქართველ ხელისუფალთა თანხმობით, მათი კონსული ადგილობრივ მმართველთა დასტურის შემთხვევაში ინიშნებოდა. 1373 წელს, როცა ფაქტორიის კონსული უნდა დანიშნულიყო, ცხუმში ქართულმა მხარემ გენუელები მძიმე ვითარებაში ჩააყენა და არსებული მდგომარეობის შეცვლა-გამოსწორება მოითხოვა. ამ მიზეზის გამო 1374 წ. კაფიდან საქართველოში ჩამოვიდა სპეციალური მისია, რომელსაც სირეტუს დე რომეო ხელმძღვანელობდა. ელჩობა წარმატებით დასრულდა და გენუელებს ცხუმში სავაჭრო ფაქტორია შეუნარჩუნდათ.[1]

XIV ს. II ნახევარში თემურ-ლენგის ხანა დგება, როგორც მწვავე დაპირისპირებების, ურთიერთბრძოლისა და კატაკლიზმების პერიოდია. მთელი მცირე და შუა აზია, ასევე, ამიერკავკასია ცეცხლის ალში იყო გახვეული; ამავე დროს, ეს იყო საერთაშორისო კონტაქტებისა და დიპლომატიური მისიების ეპოქაც.

თემურ-ლენგის უმთავრესი მიზანი ჩინგიზ-ყაენის იმპერიის აღდგენა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მსოფლიო სავაჭრო-სატრანზიტო გზებსა და საქარავნო მაგისტრალებზე ერთპიროვნული ბატონობა იყო. მაგრამ მისი ამ გრანდიოზული გეგმების ასრულებას ორი ძლიერი სახელმწიფო უშლიდა ხელს: თოღთამიშ-ხანის ოქროს ურდო და აღმავლობის გზაზე მდგომი ოსმალეთი.

პირველ ეტაპზე თოღთამიშის საკითხი იდგა: თემურის ოქროს ურდოს ტერიტორიაზე გამავალი სავაჭრო მაგისტრალის დარღვევა და მისი სამხრეთით ძველ გზაზე გადატანა, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის საქმეში ჩრდილოეთის ურდოს როლის ლიკვიდაცია და საბაჟო გადასახადების (ისინი თოღამიშთან იყრიდა თავს) თავისკენ მოზიდვა სურდა.[2]

ასეთ ვითარებაში ძალზე მნიშვნელოვანია ამიერკავკასიის სამხრეთ ნაწილში გამავალი სავაჭრო გზის როლი — თემურ-ლენგისა და თოღთამიშის შეჯახების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს სწორედ იგი წარმოადგენდა. როგორც დ. კაციტაძე აღნიშნავს, თემურ-ლენგსა და თოღთამიშ-ხანს შორის სამხრეთის სატრანზიტო გზაზე გასაბატონებლად წარმოებული ბრძოლა იმ დაპირისპირების გაგრძელებაა, რომელიც ჯერ კიდევ ჰულაგუიანებსა და ჯუჩიანებს შორის არსებობდა.[3] საქართველო ამ მწვავე ურთიერთბრძოლაში ჩართული აღმოჩნდა. სწორედ ეს იყო თე-

---

[1] Т. Бердзе, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 101.

[2] Б. Греков, А. Якубовский, Золотая Орда и ее падение, М.- Л., 1950, გვ. 73-74; დ. კაციტაძე. საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1975, გვ. 82-84.

[3] იქვე, გვ. 85.

მურ-ლენგის ამიერკავკასიაში ლაშქრობების ერთ-ერთი მიზეზი — ამან მოიყვანა 1386 წ. იგი პირველად საქართველოში.

მეორე ეტაპზე თემურ-ლენგისა და საერთოდ, მსოფლიო დიპლომატიის ყურადღება უკვე ოსმალეთის სულთნის — ბაიაზეთის (1389-1402) მიმართ არის მიპყრობილი; მან მცირე აზიის უდიდესი ნაწილი დაიპყრო, 1396 წ. ნიკოპოლთან პოლონეთის, უნგრეთისა და საფრანგეთის რაინდთა ლაშქარი გაანადგურა, ხოლო 1397 წ. ატიკასა და პელოპონესში შეიჭრა. აშკარად ჩანდა, რომ მათი შემდეგი ნაბიჯი კონსტანტინეპოლის აღება იქნებოდა — 1400 წ. მან ალყაც კი შემოარტყა ბიზანტიის დედაქალაქს.

თურქ-ოსმალთა გაძლიერება და ბაიაზეთის დაპყრობები დასავლეთის აღშფოთებას იწვევს; როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად მათ ამ რეგიონში და საერთოდ, აღმოსავლეთში ძალზე არასახარბიელო მდგომარეობა ექმნებათ. ევროპის ხელისუფალნი და განსაკუთრებით, ესპანეთისა და პორტუგალიის ლიდერები დიდ ყურადღებას უთმობენ სავაჭრო გზების ძიების საკმეს,[1] დასავლეთ ევროპის ამ პერიოდის ვაჭრობა კი ჩიხში იყო მოქცეული. სწორედ ამ დროს გამოჩნდა თემურ-ლენგი, რომლის მიზანი — ჩინგიზ-ხანის ერცელი იმპერიის აღდგენა, საქარავნო მაგისტრალებზე ერთპიროვნული ბატონობა, მცირე აზიის, სირიისა და ერაყის უმნიშვნელოვანესი პუნქტების ხელთგდება, მისი იმპერიის ოსმალთა სახელმწიფოსთან შეჯახებას იწვევს. გაჩნდა იმედი, რომ სწორედ იგი არის ის ძალა და გამოსავალი იმ პრობლემიდან, რომელიც მსოფლიო პოლიტიკაში ოსმალთა იმპერიამ შექმნა. ამ ოპტიმიზმს ისიც აღვივებს, რომ თემურ-ლენგი თავად იჩენს დიდ ინტერესს სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარების მხრივ — მან ამ საკითხზე ქ. სულთანიეს ეპისკოპოსის ხელით წერილიც კი გაუგზავნა საფრანგეთის მეფე შარლ VI-ს;[2] ამავე ეპისკოპოსის — იოანე ჰალიფონტელის ხელით მისი წერილები ჩასდის დასავლეთ ევროპის ქვეყნების ყველა ძლიერ მბრძანებელს;[3] თემურ-ლენგის ამ დიპლომატიური კონტაქტების მთავარი თეზაა — „ვაჭრები ხელს უწყობენ მშვიდობის აყვავებას".[4] ეპისკოპოსს დავალებული ჰქონდა ქრისტიან ხელისუფალთა დარწმუნება, რათა მათ თემურ-ლენგთან სავაჭრო კავშირი აღედგინათ. შარლ VI-ის თემურისათვის გადასაცემი საპასუხო წერილი იოანე ეპის-

---

1 რეი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ, ესპანურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. მამისთვალიშვილმა, თბ., 1992, გვ. 16-17.

2 Р. Хенниг, Неведомые земли, т. III, М., 1962, გვ. 403.

3 История Самарканда, Ташкент, 1969, გვ. 179-180.

4 დ. კაციტაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

კოპოსს 1403 წლის 15 ივნისს გადაეცა, რომელშიც მეფის თანხმობა იყო განცხადებული; შარლ VI-ის მზადყოფნას აცხადებდა განახლებულიყო ისეთი ურთიერთობა, „როგორიც ეს იყო მათი მაღალი წინაპრების დროს".[1] საფრანგეთის შემდეგ იოანე ჰალიფონტელი ინგლისს სწვევია — მეფე ჰენრიხ IV წერილით თემურისადმი ირკვევა, რომ ისიც თანახმაა დამყარდეს შესაბამისი ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის. ამდენად, ოსმალებთან თემურ-ლენგის ბრძოლის მთავარი მიზეზია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზებისა და ტერიტორიების ხელში ჩაგდება და დას. ევროპასთან სავაჭრო კავშირის შეკვრა, რასაც წინ თურქთა „გეგმა" ეღობება შავ ზღვაზე გაბატონების თაობაზე. ევროპის ქვეყნებიც ძალზე დაინტერესებულნი არიან ასეთი ალიანსის შეკვრით; რადგან მათ ჩანაფიქრს თურქ-ოსმალთა აღმავლობის გზაზე მდგომი სახელმწიფო გადაეღობა, თემურ-ლენგის იმპერია დასავლეთის ხელისუფალთა ბუნებრივ მოკავშირედ იქცა.

ინტერესს იწვევს, შექმნილ ვითარებაში რა პოზიცია ეკავათ საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებს — ბიზანტიასა და ტრაპიზონის საკეისროს. საერთაშორისო რეალიების გათვალისწინებით, იმპერატორები თემურ-ლენგის ბუნებრივი მოკავშირეები ხდებიან (ასეთივე პოზიცია ეჭირა გენუასაც). მთავარ პირობას თემურის ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა; ასეთ ვითარებაში ბიზანტიის ხელისუფლება მას დახმარებასაც სთავაზობს — თემურ-ლენგსა და ბიზანტიას შორის ანტიოსმალური კავშირი მყარდება: მანუელი კისრულობს თემურის სასარგებლოდ ხარკის გადახდას, ხოლო იგი თავის მხრივ იმპერიის ოსმალთაგან დაცვას; ტრაპიზონის იმპერატორიც იძულებულია თემურის უზენაესობა სცნოს.[2]

ალიანსული კავშირის არსებობას თემურ-ლენგი თავად აცნობებდა საქართველოს მეფე გიორგი VII-ს, რომ სტამბულის ვალიც (ბიზანტიის იმპერატორი) შენი (გიორგიVII) რჯულისა და სარწმუნოებისა არის, მაგრამ ჩემს (თემურ-ლენგი) უდიდებულესობას მომართა დახმარებისათვის და ჯიზიას (გადახდას) დათანხმდა. უწყოდე საჩუქრებითა და წყალობით როგორც ავავსე, შენც ისე მოგექცევი.[3] საქართველოს სამეფოს მნიშვნელობიდან გამომდინარე თემურ-ლენგი კარგად ხედავს, რომ მისი დაპყრობის გარეშე თავისი მიზნების მიღწევასა და სავაჭრო-სატრანზიტო გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთის ხელში ჩაგდებას ვერ შეძლებს.

---

* კაციტაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

Петрушевский, Самарканда, გვ. 175, 176; დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 98.

[3] იქვე.

განსაკუთრებული ინტერესი თემურისადმი ევროპას თოღთამიშის განადგურებისა პირველ რიგში, 1402 წ. ანკარის ბრძოლის შემდეგ უჩნდება, როდესაც თემურ-ლენგის ლაშქარმა ოსმალთა ჯარი სასტიკად დაამარცხა და სულთანი ბაიაზეთი ტყვედ ჩაიგდო. მაგ., ამ ფაქტის მოწმენი გახდნენ კასტილიის მეფის ელჩები და როცა ისინი თემურის ელჩთან ერთად ენრიკე III-თან ბრუნდებიან, სამეფო კარისათვის ნათელი ხდება ამ უზარმაზარ იმპერიასთან ურთიერთობის პერსპექტივები, რასაც ესპანეთის მხრიდან ახალი ელჩობის ორგანიზება მოჰყვა, რომელსაც რუი გონსალეს დე კლავიხო ხელმძღვანელობდა.[1]

საქართველოს სამეფო ასეთი უძლიერესი იმპერიის წინაშე პირისპირ აღმოჩნდა. ბაგრატ V – გიორგი VII-ის სამეფო ტახტს უნდა გაეთვალისწინებინა ზემოაღნიშნული საერთაშორისო ძალთა განლაგება და შესაძლებელი მოკავშირეები ეძებნა, რომლებთანაც შესაბამის დიპლომატიურ კონტაქტებს დაამყარებდა. როგორც ჩანს, ქართული დიპლომატია ასეც იქცევა და ყველასთან ცდილობს ურთიერთობების მოსინჯვას, თუკი ვინმე გამოდგება ამ მრისხანე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. იერუსალიმის ერთი სომხური ხელნაწერი, თემურ-ლენგთან დაკავშირებით ბაგრატ V დიდს „თურქთა მომხრეს" უწოდებს.[2] ამ ცნობით გამოდის, რომ ბაგრატ მეფეს ურთიერთობა თურქმანებთან – ყარა და აყ ყოიუნლუს სახელმწიფოთა დამაარსებლებთან დაუმყარებია და ამიტომაც „თურქების მომხრედ თუ მოკავშირედ არის დასახელებული.[3]

ქართული დიპლომატიის ისტორიის თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს ქუცნა ამირეჯიბის ცნობილ სიგელში დაცული ცნობა „სპარსეთის" სახელმწიფოსთან ურთიერთობის შესახებ: „მოიწია ჟამსა ცხოვრებისა ჩემისასა ჯელმწიფე სპარსეთისა და იუბნა და წარმგზავნა ელჩად კოსტანტინეპოლის".[4] ამავე დროს ცნობილია, რომ იგი ბიზანტიის იმპერიაში ელჩად სამჯერ იყო გაგზავნილი: „მესამედ რომე მოველ კოსტანტიპოლით, კახეთით დედოფალი ნათია ვით უბედო ქმნილ იყო და შეეწყალა პატიოსანსა ულუმბისა ღვთისმშობელსა და მიეცა ძე (ალექსანდრე I დიდი)"[5] ამდენად, „სპარსეთის ჯელმწიფესთან" ადგილი ჰქონია დიპლომატიურ მოლაპარაკებებს („იუბნა"), რასაც შესაბამისი მიზნებით ბიზანტიაში ქუცნა ამირეჯიბის ელჩად წარგზავნა მოჰყვა, ანუ

---

[1] რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 18.
[2] Л. Х. Тер-Мкртчян, Армянские источники о Средней Азии VIII-XVIII вв., М., 1985, გვ. 90.
[3] ვ. კიკნაძე. საქართველო XIV საუკუნეში, გვ. 130.
[4] თ. ყორდანია, ქრონიკები, II, გვ. 211.
[5] იქვე, გვ. 211-212.

ცნობილია დიპლომატიურ ურთიერთობათა სამი მხარე — საქართველო, ბიზანტია და „სპარსეთი".

ვინ არის „ჯელმწიფე სპარსეთისა"?

თ. ჟორდანიამ პირველმა დასვა საკითხი თუ როდის, რა გარემოებების გამო და რომელი „სპარსთა მეფისაგან" გაიგზავნა ქუცნა ელჩად კონსტანტინეპოლში: ქუცნასავე სიტყვებით, მესამე ელჩობიდან დაბრუნებისას დაბადებულა ალექსანდრე I დიდი, (დაახლ. 1389-1390 წწ.) ამდენად, ამ დიპლომატიურ მისიას აღნიშნულ ფაქტზე რამდენიმე წლით ადრე უნდა ჰქონოდა ადგილი; თ. ჟორდანიას აზრით, ეს ელჩობა იმ პერიოდშია განხორციელებული, როცა ულუმბა თემურ-ლენგისაგან ჯერ კიდევ დარღვეული არ არის. აქედან გამომდინარე, ქუცნას პირველი და მეორე ელჩობა მას არა უადრეს 1380-1384 წწ. აქვს ნავარაუდევი, ე. ი. თემურ-ლენგის შემოსევამდე.[1] ყოველივე ამის გამო, თ. ჟორდანია თვლის, რომ „ჯელმწიფე სპარსეთისა" თემურ-ლენგი ვერ იქნებოდა, ასეთად ქართულ წყაროებში მოხსენიებულ „თირ-სულთანს" მიიჩნევს, რომელიც თემურისაგან დევნილი გიორგი VII-ს შეეხიზნა და საქართველოში გაქირვებაში მყოფი ქართველთა მეფის სასახლიდან (სადაც იგი ცხოვრობდა) კოსტანტინოპოლში — ბიზანტიის იმპერატორთან ქუცნას ელჩად გზავნის და შემწეობას თხოვს თემურის წინაამდეგ.[2]

თ. ჟორდანია „თირ-სულთანში" უნდა გულისხმობდეს „ახალი ქართლის ცხოვრების" პირველი და მეორე ტექსტების „თაირ სულტანს", ანუ აჰმედ ჯალარიანის შვილს-ბატონიშვილ თაჰერს: „მაშინ იყო თაირ სულტანი ქუეყანისა ჯალაისა, სჯულითა მაჰმადიანი. ოდეს მოვიდა ლანგ-თემურ ქუეყანასა მისსა, აღუდგა წინა ესე თაირ სულტანი და მრავალი ზიანი უყო სპათა ლანგ-თემურისათა; და მერმე ვერღარა დაუდგა, წარმოვიდა და მოვიდა მეფესა გიორგის თანა. ხოლო მეფემან გიორგი მიუპყრო პატივი დიდი და ჰკითხევდა და უსმენდა თქმულთა მისთა".[3] იგი სწორედ ის „თაირ" თუ „თირ სულთანია", რომელიც XIV-XV სს. მიჯნაზე გიორგი VII-ის გადაწყვეტილებას — თემურ-ლენგთან მოლაპარაკებების შესახებ უარყოფითად შეხვდა და ქართველთა მეფეს მასთან „მისვლა" და „შერიგება" არ ურჩია.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქუცნა ამირეჯიბის დიპლომატიური მისიები XIV ს-ის 80-იან წლებში განხორციელებულა, ხოლო თუ თ. ჟორდანიას მოსაზრებებს გავიზიარებთ, მაშინ აშკარა ქრონოლო-

---

1 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 212.

2 იქვე.

3 ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, გვ. 333; ახალი ქართლის ხოვრების მეორე ტექსტის ავტორი ხმარობს ტერმინს — „თირ სულთანი" (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 463).

გიურ შეუსაბამობას წავაწყდებით: ელჩობებს XIV ს-ის 80-იან წლებში აქვს. ადგილი, ხოლო თაჰერის ისტორია უფრო მოგვიანო პერიოდის ამბებია — ქუცნა კონსტანტინოპოლში ბაგრატ V-ის ხანაში (1360-1393) იგზავნება, თაჰერის დროს კი საქართველოს მეფე უკვე გიორგი VII-ა, ამდენად, ამ ხანის „ჯელმწიფე სპარსეთისა" თაჰერ ჯალაირიანი ვერ იქნება.

ჩვენი აზრით, აქ ყველა შემთხვევაში თემურ-ლენგის საწინააღმდეგოდ მიმართულ დიპლომატიურ მოლაპარაკებასთან უნდა გვქონდეს საქმე. ქუცნა ამირეჯიბის სიგელში აღნიშნული ტერმინი — „იუბნა" სწორედ თემურის მიმართ დაპირისპირებულთა ბანაკში შესაბამისი სამზადისისა და ბჭობის აღნიშვნას წარმოადგენს. უდავოა, რომ მათში ბიზანტიისა და საქართველოს ხელისუფლების მესვეურნი იგულისხმებიან; ამ დიპლომატიურ კონტაქტებს ინტენსიური ხასიათი ჰქონია, რისი მეტყველი ფაქტიცაა ქუცნა ამირეჯიბის სამგზის ელჩობა ბიზანტიაში.

ვინ უნდა იყოს თემურ-ლენგს დაპირისპირებული ბანაკის მესამე მხარე? ასეთ პოლიტიკურ ერთეულს, რომლის ხელისუფალსაც ქართული წყარო „ჯელმწიფე სპარსეთისას" უწოდეს, უნდა წარმოადგენდეს ჯალაირიანების სახელმწიფო, რომელიც ირანის ერაყში აღმოცენდა და დროთა განმავლობაში გაიზარდა-გაძლიერდა კიდეც: სულთნის ძალაუფლება სპარსეთის ერაყის დიდი ნაწილის გარდა ვრცელდებოდა სამხრეთ აზერბაიჯანზე, ქურთისტანზე, ყარაბახზე, არაბეთის ერაყზე, შირვანზე— ჯალაირიანებმა თავიანთ დედაქალაქად ქ. ბაღდადი აქციეს. ჩვენი აზრით, ქუცნა ამირეჯიბს თავის სიგელში იმ პერიოდის „სპარსეთის" ხელმწიფედ ჯალაირიანთა სახელმწიფოს სულთანი შეეძლო მოეხსენიებინა, მითუმეტეს, ქვევით საუბარი გვექნება იმ აქტიური წინააღმდეგობის შესახებ, რომელიც ჯალაირიანთა სულთანმა აჰმედმა (1382-1410) გაუწია თემურ-ლენგს.

ამდენად, „ჯელმწიფე სპარსეთისა", რომელმაც „იუბნა" საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან და რასაც ქუცნას ბიზანტიაში ელჩობა მოჰყვა, ჯალაირიანი აჰმედ სულთანი უნდა იყოს. ამაზე მიგვანიშნებენ ქრონოლოგიური ჩარჩოებიც და თავად ამ სულთანის მიერ წარმოებული თემურის საწინააღმდეგო პოლიტიკაც. როგორც ჩანს, XIV ს-ის 80-იან წლებში საერთო საშიშროებისა და ძლიერი მტრის — თემურ-ლენგის არსებობის პირობებში ადგილი აქვს საქართველოსა და ჯალაირიანთა სახელმწიფოებს შორის დიპლომატიურ მოლაპარაკებებს, კერძოდ, ბაგრატ V დიდსა და აჰმედ სულთანს შორის (ქუცნას სიგელით ისე ჩანს, რომ სულთანი თავად არის საქართველოში მოსული და აქ აწარმოებს მოლაპარაკებებს), სადაც ერთ-ერთი მთავარი საკითხი ბიზანტიასთან ურთიერთობის დამყარება-დარეგულირების პრობლემა მო-

ჩანს: თემურ-ლენგის შემოსევების საშიშროების პირობებში ამ ხელისუფალთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანული ბიზანტიის პოზიციასა და მასთან მოწესრიგებული ურთიერთობების არსებობას. ხომ არ ცდილობს თემურ-ლენგზე აშკარად დაპირისპირებული ჯალაირიანი აჰმედ სულთანი ქრისტიანული საქართველოს საშუალებით მეორე ქრისტიანულ დიდ სახელმწიფოსაგან — ბიზანტიის იმპერიასთან დიპლომატიურ კონტაქტებზე გასვლას?! ძლიერი საერთო მტრის არსებობის პირობებში ჯალაირიანები, საქართველო და ბიზანტია ერთმანეთის ბუნებრივი მოკავშირეები გამოდიან. ამ პერიოდის საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით მსგავსი გეგმების არსებობა და ძალთა ასეთი გადანაწილება სავსებით შესაძლებელი და მოსალოდნელიც ჩანს. „ჯელმწიფემ სპარსეთისა" და საქართველოს სამეფო კარის უმაღლესმა წარმომადგენლებმა „იუბნეს", როგორც ჩანს, გარკვეულ შეთანხმებებსაც მიაღწიეს და მოლაპარაკების შედეგებიდან გამომდინარე, თავიანთ გეგმებში ბიზანტიის იმპერიის ჩართვის მიზნით, კონსტანტინოპოლში დიპლომატიური მისიით ქუცნა გააგზავნეს. როგორც აღვნიშნეთ, ქუცნას სიგელში სამი ელჩობაა დაფიქსირებული, რაც მეორე მხრიდან — ბიზანტიიდანაც გარკვეულ ინტერესსა და კონტაქტებზე წამოსვლის სურვილის არსებობაზე ლაპარაკობს. ისედაც ცხადია, რომ თემურ-ლენგის შემოსევების ხანაში ბიზანტია პასიური მაყურებლის როლში ვერ გამოვიდოდა; ამიტომაც, საჭირო გამხდარა ქუცნა ამირეჯიბის სამი ელჩობის ორგანიზება, როცა იგი ძირითადად ბაგრატ V დიდის სამეფო კარის დიპლომატიურ დავალებებს უნდა ასრულებდეს.

ამდენად, ამ ელჩობის მიზანია საქართველოს, „სპარსეთის ჯელმწიფესა" — ჯალაირიანებსა და ბიზანტიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დარეგულირება, ერთიანი მოქმედების გეგმის შემუშავება და ერთგვარი კოალიციის შეკვრა თემურ-ლენგის საშიშროების წინააღმდეგ.

XIV-XV სს-თა არაბი ისტორიკოსების ალ-მაკრიზის, იბნ თაღრიბირდის, ას-საიარაფის და იბნ იასის თხზულებებში დაცულია ცნობები XIV ს. 80-90-იან წლებში „ქართველი უფლისწულის" ეგვიპტეში ჩასვლის, იქ მის მიერ ისლამის მიღებისა და სახელის გამოცვლის შესახებ — იბნ იასი და ას-საირაფი ამ ფაქტს 1386 წ. ქვეშ აღნიშნავენ. ას-საირაფის, ალ-მაკრიზისა და იბნ თაღრი-ბირდის მიხედვით „ქართველი უფლისწული" შემდგომ წლებშიც კვლავ ეგვიპტეშია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სიტყვა „მალიქ" გუაძლევს იმის საშუალებას, რომ მასში აუცილებლად მეფის კი არა, არამედ მთავრის შვილიც ვიგულისხმოთ — შესაძლებელია, რომელიმე მთავრის შვილი, შინაპოლიტიკური დაპირისპირების გამო, იძულებული გახდა სამშობლო მიეტოვებინა და ეგვიპტე-

ში წასულიყო; აქვე ავტორი ფიქრობს, რომ არ არის გამორიცხული მის მისიას უფრო ფართო პოლიტიკური მიზანიც ჰქონოდა.[1]

საქართველოს სამეფო კარმა დროულად გაიგო თემურ-ლენგის ურდოების მოახლოების შესახებ და სათანადო მზადებას შეუდგა — „მოისმა რა ძლიერება მისი იწყო მეფემან ბაგრატ ციხეთა, ქალაქთა და სიმაგრეთა განმაგრებად და სპათა განმრავლებად".[2] აღნიშნავენ, რომ საქართველოს სამეფო კარმა თემურ-ლენგის წინააღმდეგ შესაძლო მოკავშირის შესაძენად ეგვიპტის სულთანს თავისი წარმომადგენელი გაუგზავნა, რომელიც არაბულ წყაროებში „ქართველთა უფლისწულად" არის მოხსენიებული.[3]

ამდენად, შესაძლებელია საქმე გვქონდეს საქართველოს სამეფო კარის მიერ ორგანიზებულ დიპლომატიურ მისიასთან, რომელიც სრულიად გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებს ისახავს და ნათლად მეტყველებს XIII-XIV საუკუნეების საქართველო-ეგვიპტის ინტენსიური ურთიერთობების შესახებ. ისიც აღსანიშნავია, რომ მისი ეგვიპტეში ჩასვლა (1386 წ.) ასე ემთხვევა თემურის პირველი ლაშქრობის ხანას. დაინტერესება ეგვიპტის მხრიდანაც უნდა ყოფილიყო, რადგან თემურ-ლენგის დაპყრობით გეგმებში ეგვიპტის დამორჩილების საკითხიც იყო ჩადებული. ამდენად, საქართველო და ეგვიპტე ერთმანეთის ბუნებრივი მოკავშირეები გამოდიან.

უნდა აღინიშნოს, რომ თემურ-ლენგის ასპარეზზე გამოჩენისთანავე ქართულმა დიპლომატიამ გარდა ზემოაღნიშნულისა მოკავშირის ძებნისას გეზი განსაკუთრებულად, როგორც ჩანს, ოქროს ურდოზე აიღო. ქართველ პოლიტიკოსებს თავიანთი პოზიციის გასამაგრებლად და ქვეყნის დასაცავად ისევ ჩრდილოეთის ულუსის გამოყენება გადაუწყვეტიათ. ასეთი გადაწყვეტილების მიღება ბუნებრივიც ჩანს: თემურ-ლენგის საქართველოში პირველი შემოსევების მთავარი მიზეზი ოქროს ურდოს წინააღმდეგ ბრძოლაა და ასეთ სიტუაციაში თოღთამიში ქართველთა სამეფო კარის სასურველი მოკავშირე გამოდის; თავის მხრივ, ამით თავად ოქროს ურდოს ხანიც არის დაინტერესებული: ჩრდ. ირანის წინააღმდეგ ბრძოლა მას კავკასიონის გადასასვლელების მფლობელ საქართველოს მეფესთან კარგი დამოკიდებულების გარეშე არ შეეძლო. ზოგჯერ ცხადად, ზოგჯერ კი საიდუმლოდ ქართული დიპლომატია ოქროს ურდოს ყაენთან თანხმობაში მოქმედებს. აქედან გამომდინარე,

---

[1] დ. გოჩოლეიშვილი, არაბული წყაროების „ქართველთა უფლისწული" (XIVს-ის 80-90-იანი წლები), „მაცნე", №2, 1985, გვ. 139-140.

[2] ვახუშტი, გვ. 263.

[3] დ. გოჩოლეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

გასაგები ხდება, თუ რა ადგილს იკავებს საქართველოს საკითხი აზიის დიდი დამპყრობლის — თემურ-ლენგის გეგმებში.

ოქროს ურდოს ყაენის— თოხთამიშის მიერ 1385 წ. ირანის აზერბაიჯანში მოწყობილი ლაშქრობის შესახებ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ იგი საქართველოს სამეფო კართან წინასწარი შეთანხმების გარეშე კავკასიონს ვერ გადმოლახავდა და ჩრდილოეთიდან ირანში ვერ შეიჭრებოდა; ამდენად, ამ შემთხვევაში საქართველო და ოქროს ურდო მოკავშირეები არიან.[1] თემურის პირველი შემოსევის მიზეზიც სწორედ საქართველოსა და ოქროს ურდოს შორის არსებული კავშირ-ურთიერთობაა. ივ. ჯავახიშვილმავე მიაქცია ყურადღება იმ ცნობას, რომ თოღთამიშის ლაშქარში თავრიზის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს „ურწმუნოებიც“ ერივნენ.[2] ელ. მამისთვალიშვილის აზრით, კლავიხოს დღიურების მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველო ოქროს ურდოსთან კავშირს თემურ-ლენგის მთელი სიცოცხლის განმავლობაში ინარჩუნებდა — როდესაც ყარაბახის ველზე ომარ მირზას ლაშქარში არეულობაზეა საუბარი, კლავიხო აღნიშნავს გავრცელებული ხმის შესახებ, რომ თათართა ყაენი ედიგეი და მეფე გიორგი თავს დაგვესხნენო; ყოველივე იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ თურქეთში გიორგი VII ცნობილი ყოფილა როგორც ედიგეის (1352-1413) მოკავშირე.[3]

თემურ-ლენგის უზარმაზარი იმპერიის წინაშე მდგარი საქართველოს სამეფო კარის ეს მიმართულება — კავშირი ოქროს ურდოსთან, ასეთ ვითარებაში სავსებით ლოგიკურიც ჩანს და ამ ეპოქის ქართული დიპლომატიის სწორ გადაწყვეტილებად უნდა მივიჩნიოთ.

თემურ-ლენგი არსებული კავშირების საშიშროებას კარგად ხედავს. მის ერთ-ერთ უპირველეს მიზნად ჩრდილოეთის საზღვრის ოქროს ურდოს შემოსევებისაგან დაცვის უზრუნველყოფის საკითხი იქცა — არსებობდა ორი გზა: კავკასიონის გადმოსასვლელების თემურის მიერ უშუალოდ ჩაკეტვა ან მათი მფლობელების მოკავშირეებად თუ ყმადნაფიცებად ქცევა.[4] ამ მხრივაც თემურ-ლენგმა მისი სამხედრო მოქმედებანი გარკვეულწილად მოულოდნელი კუთხით წარმართა: როცა საქართველოში შემოვიდა, 1386 წლის გვიანი შემოდგომა იდგა და ამიტომ, თოვლიც იდო; ამდენად, კავკასიონის გადმოსასვლელები ამის გამო უკვე ჩაკეტილი იქნებოდა. საქართველო-ოქროს ურდოს შორის პოლიტიკური კავშირიდან გამომდინარე, ჩრდილოეთის ურდო, თემურ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 409.
[2] იქვე.
[3] რეი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 19-35.
[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 409-410.

ლენგის გამოჩენის შემთხვევაში, ქართველებს სამხედრო ძალით უნდა დახმარებოდა, მაგრამ ასეთ კლიმატურ პირობებში არსებულ მოკავშირეობას ვერავითარი რეალური შედეგის მოტანა ვეღარ შეეძლო. როგორც ჩანს, თემურ-ლენგმა ასეთი პერიოდი სპეციალურად შეარჩია.[1]

მიუხედავად ზემოაღნიშნული დიპლომატიური ურთიერთობებისა ბიზანტიასთან, ჯალაირიანებთან, თურქმანებთან თუ ეგვიპტესთან, განსაკუთრებით, ოქროს ურდოსთან, საქართველოს ხელისუფლება თემურ-ლენგის პირველი შემოსევისთანავე უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ვფიქრობთ, 1386-1387 წწ-ში განვითარებული მოვლენები საინტერესოა დიპლომატიის ისტორიის თვალსაზრისითაც:

თოვმა მეწოფეცის სიტყვებით, თემურმა აიღო თბილისი-ფაიტაკარანი და „უთვალავი და ურიცხვი ხალხი დაატყვევა. საფიქრებელია, რომ დახოცილები ცოცხლად დარჩენილებზე მეტი იყვნენ"; დატყვევებული საქართველოს მეფე — ბაგრატ V დამპყრობელმა ყარაბაღში წაიყვანა. სწორედ აქ გამოვლინდა მეფისა და ბატონიშვილთა მხრიდან წინდახედულობა და დიპლომატიური ალღოც: ბაგრატ V-ს ტყვეობიდან თავდახსნის არავითარი საშუალება არ ჰქონდა, „ქართველთა მეფე აღივსო წმიდა სულის სიბრძნით, ამიტომ მოატყუა იგი (თემურ ლენგი, დ.ნ.) და უთხრა: „მომეცი მრავალრიცხოვანი ლაშქარი, რათა წავიდე ქართველთა მხარეში, დავიპყრო ყოველი ქვეყანა და თქვენს რჯულზე მოვაქციო, რამეთუ ის მოდგმა რვა ენისაგან შედგება, ყველას შენს მორჩილებაში და შენს რჯულზე მოვიყვან.[2] საყურადღებოა, რომ თბილისში თემურის მსგავს წინადადებაზე მეფემ უარი თქვა — „დაჰპატიჟა ლანგ-თემურ რჯული მაჰმადისა, ხოლო მეფემან არა უსმინა და ჰყვა პატიმრად", ახლა წინასწარ მოფიქრებული გეგმიდან გამომდინარე, ბაგრატ V-მ ამის თაობაზე თვითონ შესთავაზა და თავის თანმხლებ პირებთან ერთად, თემურ-ლენგის თვალის ასახვევად, თავადაც მიიღო მაჰმადიანობა — თან ძვირფასი საჩუქრებიც გადაუცია, რომელთა შორის უცხოდ ნაქედი თითქოს დავით წინასწარმეტყველის ნახელავი ჯაჭვის პერანგიც ყოფილა.

თემურ-ლენგმა ბაგრატ მეფეს ხალათი აჩუქა, მისი სამეფოს გამგებლობის უფლება მისცა, სათანადო იარლიყი უბოძა და ჯარით საქართველოში გამოზგავნა. ბაგრატ V-ის მოჩვენებით გამაჰმადიანებაში სწორედ ის მომენტი იყო ჩადებული, რის შესახებაც მოგვიანებით ერეკლე

---

[1] კ. ტაბატაძე, ქართული ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", III, გვ. 676.

[2] თოვმა მეწოფეცი. ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კ. კუციამ. თბ., 1987, გვ 24.

I-ისადმი წერილში ხაზგასმით აღნიშნავდა იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი: „ გარემოებამ გაიძულა გამოგეცვალა მამაპაპური წმინდა რჯული, მაგრამ შენ ეს გამიზნულად გააკეთე... შენი მიზანი იყო გარეგნულად გვანებოდი უცხო რჯულის ადამიანს, გულში კი ქრისტიანი ყოფილიყავი. რაც შეეხება ურჯულოებს — მოატყუე ისინი, გაუცინე მათ, იცრუე, თუ საჭირო იქნება, დაუფიცე კიდეც, ოღონდ ქრისტიანებს სიკეთე მოუტანე"...[1] თუმცა თემურ-ლენგი ამ მომენტს შესანიშნავად ითვალისწინებს და კარგად ხედავს, რომ სხვა მუსლიმი მმართველებისაგან განსხვავებით, საქართველოს სახით მას საქმე აქვს ძველ ქრისტიანულ სახელმწიფოსთან მრავალსაუკუნოვანი ნაციონალური მიწისმფლობელობის ფორმებით და მაჰმადიანთაგან განსხვავებული პოლიტიკური ინსტიტუტებით.

ბაგრატ V-ის თემურის ჯარით საქართველოსაკენ წამოსვლა ქართველთა მიერ წინასწარ მოფიქრებულ-დაგეგმილი აღმოჩნდა: „იმ ბაგრატმა საიდუმლოდ შეუთვალა თავის შვილებს — გიორგის, კონსტანტინეს და დავითს, რომ ფარულად შეგებებოდნენ მას და დახმარებოდნენ თავიანთ მშობელს. რათა მას მოეხერხებინა, როგორმე ხელიდან გასხლტომოდა თემურს".[2]

საშინაო დიპლომატიის თვალსაზრისით საინტერესოა ბაგრატ V-ის ტყვეობიდან გიორგი ბატონიშვილისადმი მოწერილი წერილი, რომელიც „ქართლის ცხოვრებაშია" დაცული — „მაშინ წინააღრჩევით იდუმალ წარავლინა მეფემან ბაგრატ კაცი ერთი მხედართაგანი, სარწმუნო გულისა თუსისა, მალემსრბოლად წინაშე ძისა თუსისა გიორგის, და მიუწერა. ესრეთ: „განვერი საბრჯისა მისგან ლანგ-თემურისა ძალითა ყოვლად ძლიერისა ღმრთისათა; და აწ მოვალ შურისგებად და ძიებად პირველთა სიბოროტეთა, რომელი ჰყო მან ჩუენ ზედა და საქართველოსა ზედა. აწ ესერა მომყავს სპანი ლანგ-თემურისანი, კაცი ვითარ თორმეტი ათასი, დიდად რჩეულნი და წარჩინებულნი მისნი, სავსენი განძითა და საჭურჭლითა მრავლითა. და ესე იყო წადილი და სურვილი სვინიდისისა ჩემისა ესრეთ".[3] ამ ისტორიული თხზულების სიტყვებით, ყოველივე წინასწარ ბირებულ იყო" მეფე ბაგრატ V-ის მიერ. მეფე ბაგრატმა თემურ-ლენგის ლაშქარი ვიწრო და უგზო ადგილებში შეიყვანა, რომელსაც ქართველმა ბატონიშვილებმა გზა გადაუჭრეს და მტრის 12000 კაციანი ჯარი გაწყვიტეს.[4] ბერი ეგნატაშვილის ცნობით, ეგებუ-

---

1 თ. ტივაძე, იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის წერილი საქართველოს შესახებ, „ქართული წყაროთმცოდნეობა", III, თბ., 1971, გვ. 248.

2 თოვმა მეწოფეცი, გვ. 25.

3 ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, გვ. 456.

4 ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, გვ. 330; ვახუშტი, გვ. 266-267.

ლობთ ბაგრატ მეფის შიკრიკის ვინაობას, რომელმაც ეს მნიშვნელოვანი და საიდუმლო მისია წარმატებით შეასრულა: ბაგრატმა „გაგზავნა ჩინებული და სარწმუნო აზნაური რუს ეგნატაშვილთაგანი".[1]

დიპლომატიური თვალსაზრისით საინტერესოა შემდგომი მომენტის გათვალისწინებაც: ეჭვს არ იწვევს, რომ ბაგრატი და მისი სამეფო ტახტი ასეთი მასშტაბის ოპერაციას თემურ-ლენგის წინააღმდეგ ზემოაღწერილი სიფოლით ბუნებრივია ვერ განახორციელებდნენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ასეთი რანგისა და ხასიათის დამპყრობელი მოტყუებასა და თავისი ლაშქრის გაწყვეტას ქართველებს არ აპატიებდა. ივ. ჯავახიშვილს ეჭვიც კი ეპარებოდა აღნიშნულ ცნობათა ჭეშმარიტებაში და ფიქრობდა, რომ ისტორიულ წყაროებში დაცული ეს ისტორია შესაძლოა შეთხზულიც იყოს. მართლაც, დგება საკითხი, თუ როგორ შეძლეს საქართველოს ხელისუფლების მესვეურებმა ამის განხორციელება და გარკვეული პერიოდით მისი შენარჩუნება, როცა ქვეყნის სამეფო ტახტი ასე პირდაპირ იდგა მსოფლიო დამპყრობლის წინაშე?!

როგორც ჩანს, ქართული დიპლომატია ითვალისწინებს არსებულ საერთაშორისო ვითარებას და თავისი გეგმის განხორციელებას მისთვის მომგებიანი ვითარების პირობებში იწყებს: საქართველოს სამეფო კარმა კარგად იცოდა, რომ ბაგრატისა და მისი ბატონიშვილების „საქციელის" შემდეგ თემურ-ლენგი ურჩი მეფის წინააღმდეგ აუცილებლად წამოვიდოდა, ამიტომ წინასწარ მოსამზადებელი ყველა სამუშაო ენერგიულად იქნა ჩატარებული — ჯარი საომრად მომზადდა, ხოლო მოსახლეობა კავკასიონის მთებში იქნა გახიზნული. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთ ვითარებაში ქართულმა დიპლომატიამ თოღთამიშთანაც გააბა კავშირი.[2] „მოიწია თუე მარტისა" და თემური „წარმოემართა კუალად ქართლად, განძ:ნებული ფრიად". სიმპტომატიურია და იქნებ სწორედ არსებულ მოკავშირეობაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ საქართველოში თემურ-ლენგის დერბენდიდან შემოპრას თოღთამიშის ლაშქრის გამოსვლა დაემთხვა. მართალია, 1387 წ. გაზაფხულზე „სპითა სიმრავლის" გამო „ძლე ეჴმნეს თათარნი", მაგრამ ოქროს ურდოს ხანის გამოჩენამ თემურის უკან გაბრუნება გამოიწვია.[3] ისედაც, ქვეყნის სრული დაპყრობისათვის თემურ-ლენგს წინ ჯერ კიდევ საქართველოს ციხეების დასაკავებელი თუ სხვა ხასიათის მნიშვნელოვანი ბრძოლები ჰქონდა გადასახდელი. როგორც ჩანს, საქართველოს სამეფო კარი ითვა-

---

1 ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი. გვ. 330.

2 კ. ტაბატაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 684.
მისივე. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე. თბ., 1974. გვ. 82-85.

ლისწინებს, რომ 1387 წელს თემურ-ლენგს სრული შესაძლებლობა არ ჰქონდა მთელი ყურადღება მხოლოდ საქართველოზე გადაეტანა და ქართველთა მეფეს ბოლომდე გასწორებოდა.[1] აქედან გამომდინარეა, რომ საქართველოს ხელისუფლება ასეთი ფორმებით ბედავს აშკარა წინააღმდეგობის გაწევას; აშკარაა, თემურ-ლენგს საქართველოსათვის არ ეცალა, ჰულაგუიანთა ირანის დიდი ნაწილი მას ჯერ კიდევ დასაპყრობი ჰქონდა, ამავე დროს, ზურგში მას ისეთი მოწინააღმდეგე ჰყავს, როგორიც თოღთამიშ-ხანია, ამიტომაც, შექმნილი ვითარების გამო, იგი იძულებულია საქართველოს გაეცალოს. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ამ წლის (1387 წ.) შემდეგ ამიერკავკასიაში თემური უკვე საკმაო ხნით საერთოდ აღარ გამოჩენილა (კერძოდ, 1394 წლამდე) — ომების ე. წ. „ხუთწლიანი" ციკლი, სადაც ამიერკავკასიის საკითხიც დგას, მხოლოდ 1392 წლიდან იწყება. თოვმა მეწოფეცისთან დაცული ცნობებით საქართველოს გაცლილი თემური უკვე სხვაგან იბრძვის და, როგორც ჩანს, არც თუ ყოველთვის წარმატებით: „ საკვირველი საქმე მოხდა, რამეთუ თურქმანებმა სძლიეს და აოტეს ბილწი მტარვალი".[2]

რამდენიმე სიტყვა თემურ-ლენგის იმპერიის წინააღმდეგ საქართველოს სამეფო კარის დიპლომატიის მიერ არჩეული წინააღმდეგობის ფორმის შესახებ: ამ კუთხით, ბაგრატ V-სა და განსაკუთრებით, გიორგი VII-ის მეფობა — ეს არის აშკარა ბრძოლის, დაპირისპირებისა და თემურ-ლენგის ბატონობისადმი შეურიგებლობის პოლიტიკა. იყო თუ არა სხვა გზა:

როცა ბაგრატ V-მ მოჩვენებით მაჰმადიანობა მიიღო, იმ პერიოდში თემურთან შირვანის მბრძანებელი შეიხ იბრაჰიმ დერბენდი გამოცხადდა და მორჩილება გამოუცხადა. მან დიპლომატიური ნიჭი, დიდი გამჭრიახობა გამოიჩინა და მოქნილი პოლიტიკა აწარმოა, რამაც შირვან-შაჰთა სახელმწიფო აოხრებას გადაარჩინა, ხოლო თავად იბრაჰიმს თავისი მფლობელობა-მბრძანებლობაც შეანარჩუნებინა. მან მოქმედების მეორე გზა აირჩია — წინააღმდეგობას მორჩილება არჩია; შეიხ იბრაჰიმ დერბენდმა თემურს ყველა სახის საჩუქარი ცხრა-ცხრა მიართვა, მხოლოდ მონათა რაოდენობა იყო გამონაკლისი — რვა მონის შემდეგ, მეცხრედ თვითონ ჩადგა და ისე ეახლა მსოფლიო დამპრობელს. თემურ-ლენგი პატივისცემით განეწყო მის მიმართ, დაასაჩუქრა და შარვანის მბრძანებლობა უბოძა.[3]

---

1 თოვმა მეწოფეცი, კ. კუტაიას გამოც., იხ. კომენტარები, გვ. 88.
2 იქვე. გვ. 25.
3 დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 138.

შეეძლოთ თუ არა მსგავსი დიპლომატიით ემოქმედათ ქრისტიანული საქართველოს მეფეებს?!

ბუნებრივია, ისმის საკითხი, ხომ არ ჯობდა ქართველ დიპლომატებს შირვანშაჰ იბრაჰიმის მსგავსად არა სხვა ვინმეზე, არამედ თავად თემურ-ლენგზე აეღო ორიენტაცია, დრო მოეგო, ასე პირდაპირ არ შეჯახებოდა მსოფლიო მბრძანებელს (ძალები ხომ აშკარაღ არათანაბარი ჩანს) და გარკვეული დროის გავლის შემდეგ (საკუთარი ძალების ზომძლავრება, თემურის გარდაცვალება და სხვ...) გამოსავლის სხვა გზები ეძებნა?!

მაჰმადიან ხელისუფალთაგან განსხვავებით, როგორც ჩანს, ქრისტიან გიორგი მეფეს მსგავსი ფორმებით მოქმედება არ შეეძლო; ასეთი პირობებით დაზავების შემთხვევაში დგებოდა სარწმუნოების საკითხი – მაჰმადიანობის მიღებისა და ქრისტიანობის დათმობის შედეგად სამეფო ტახტი ქართველების იდეოლოგიური ფარის გაჭრობას დაუშვებდა. ამას ქართველი დიპლომატია, მიუხედავად თემურ-ლენგთან უთანასწორო ბრძოლისა, მიუღებლად მიიჩნევს. გიორგი VII რჯულის საკითხს შამქორის ზავის (1401 წ.) პირობების შემუშავებისას განსაკუთრებით უსვამს ხაზს, თავის რჯულზე დარჩენას მოითხოვს (იგივეს ითხოვს საერთოდ ქართველებისათვის): „თქვენ თქვენი რჯული გაქვთ და მე ჩემი", – ამბობს მეფე გიორგი VII,[1] როგორც ჩანს, ქართველი ხელისუფალნი სხვა ნაბიჯში ქართული სახელმწიფოებრიობის გადაშენება-გადაგვარების საშიშროებას ხედავენ. ქრისტიანობისათვის ბრძოლის ლოზუნგით, მართალია, დიდი დანაკარგების ფასად, მაგრამ ამ პერიოდის ქართული დიპლომატიის მთავარი საზრუნავი – ქართველობის გადარჩენა შესაძლებელი გახდა. ისიც ფაქტია, რომ საქართველოს მხრიდან აზიის დიდი დამპყრობელი ისეთ წინააღმდეგობას წააწყდა, რომ ისტორიულ წყაროებში პატარა საქართველოს კიდევ უფრო პატარა ერთ-ერთი კუთხის დაპყრობა თემურის მიერ უზარმაზარი ინდოეთის დაპყრობასა და იქ წარმოებულ ბრძოლებს არის შედარებული.[2] ამდენად, ქართული დიპლომატიის მიერ არჩეული კურსი არსებულ პირობებში ერთ-ერთ ყველაზე უფრო შესაძლებელ გზად მოჩანს.

როგორც აღინიშნა, ამ პერიოდის დიპლომატიის თვალსაზრისით საინტერესო პოლიტიკური ფიგურაა შირვანშაჰი იბრაჰიმ – მან შესანიშნავად შეძლო ურთიერთობის დარეგულირება თემურ-ლენგთან, რითაც შირვანშაჰთა ქვეყანა დიდ უბედურებას ააცილა. ინტერესს იწვევს, რომ მუნეჯიმ – ბაშის მიხედვით, 1402 წ. თემურის რუმიდან დაბრუნე-

---

1. კაციტაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 150-151.
2. ტაბატაძე. დასახ. მონოგრაფია, გვ. 123.

ბის შემდეგ ქართველი ხელისუფალნი სწორედ შეიხ იბრაჰიმს სთხოვენ შუამავლობას და იგი ქართველთა მოციქულიც კია თემურ-ლენგთან საზავო მოლაპარაკებებისა და ხელშეკრულების დადების დროს. სპარსული წყაროები აღნიშნავენ, რომ შეიხ იბრაჰიმ დერბენდი გიორგი VII-ის მფარველი იყო.[1] ქართული წყაროებითაც ასეთი მოკავშირეობა კარგად ჩანს: ფ. გორგიჯანიძის მიხედვით, როცა თემურ-ლენგი „რა მისრეთის ლაშრობისაგან თავრიზს მოვიდა, მოახსენეს — ათი წელიწადი არისო, რომ ლაშქარი ალინჯის ციხესზედან იბრძვისო და ვერ აუღიათო და ისრევე ქართველთ უპირავთო. ეს კელმწიფემ იწყინა და საქართველოზედ გაილაშქრა"... ამ ამბებში შეიხ იბრაჰიმი ინტენსიურად არის ჩართული და თემურ-ლენგი სწორედ „შირვანის ბატონს" „კითხეკდა საქართველოს ანბავსა";[2] 1403 წ. ზავის წინ იგივე ისტორიკოსი აღწერს „აქა თემურ კელწიფესთან მეფის გიორგის ფეშქაში და არზისა და ფეშქაშის მისვლა"-ს, სადაც აღნიშნულია: „უწინვე მერჯულენი და შიხ იბრეიმ შირვანის ბატონი მოეყენებინათ, ასრე რომ თუ კელმწიფემ იმერეთსზედ გალაშქრება მოინდომოს, იმათ დაუშალონ და შერიგება გამოურჩიონ... კელმწიფემ შირვანის ბატონი შიხ იბრეიმ მოიხმო"...[3] საბოლოოდ, „თემურს გიორგი მეფეზედ იმერეთს გალაშქრება შიხ იბრეიმ შირვანის ბატონმან დაუშალა და იპატივა",[4] რასაც საქართველოს თემურიანებთან 1403 წ. ზავი მოჰყვა. ამდენად, საქართველოს სამეფო ტახტს გარკვეული დიპლომატიური მიმოწერისა და კონტაქტების შედეგად მოუხერხებია თემურის დაახლოებულ პირთან — „შირვანის ბატონ" იბრაჰიმთან საჭირო და კეთილგანწყობილი ურთიერთობების დამყარება, რაც ქართული დიპლომატიის სწორ ორიენტაციად და წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

თემურ-ლენგის 1387 წ. ლაშქრობის შემდეგ საქართველოს ექვსწლიანი შესვენების საშუალება მიეცა. ბუნებრივია, ქართველთა ქვეყნისადმი დამოკიდებულების საკითხით მსოფლიო დამპყრობელი უკმაყოფილო რჩება — მან ვერ შეძლო ქვეყნის ისე დამორჩილება, რომ საქართველოსაგან მისთვის სასურველი ზავის პირობები მოეთხოვა. ამიტომაც, 1393 წელს იგი საქართველოსაკენ დაიძრა. 1394 წ. თემურ-ლენგის არაგვის ხეობაში მძიმე ლაშქრობის მიზეზი ამ რეგიონიდან თოღთამიშის შემოსევების საფრთხე და საქართველო — ოქროს ურდოს მოკავშირეობა ჩანს. ახლაც, როგორც პირველი გამოჩენისას, თემურის საომარ მოქ-

---

[1] დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 189.
[2] ფ. გორგიჯანიძე. გვ. 307
იქვე. გვ. 311
[3] იქვე. გვ. 312.
[4]

მედებებს კვლავ დერბენდიდან ოქროს ურდოს ჯარის გამოსვლა დაემთხვა.[1]

ქართულმა დიპლომატიამ თემურ-ლენგთან ბრძოლის პირველ ეტაპზე მთავარ მოკავშირედ ოქროს ურდო გაიხადა, ამ ორიენტაციამ და თოღთამიშის ფაქტორმა დიდხანს ვერ იმუშავა. 1395 წელს თემურ-ლენგმა შეძლო თავისი ერთ-ერთი მთავარი მიზნის მიღწევა და თოღთამიშის საბოლოო დამარცხება, რასაც ოქროს ურდოს დედაქალაქის სარაი ბერქეს აღებაც მოჰყვა. მოხდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის საქმეში ოქროს ურდოს როლის ლიკვიდაცია. ამიერიდან, სავაჭრო ოპერაციები თემურ-ლენგის სამფლობელო ტერიტორიებზე გაელით წარმოებს და ის საბაჟო გადასახადები, რომელიც ადრე ოქროს ყაენის ხელში იყრიდა თავს, ახლა თემურისა და მისი ამირების ხელშია. ოქროს ურდომ მსოფლიო ვაჭრობაში თავისი ადგილი დაკარგა და სავაჭრო-სატრანზიტო გზამ სირია-ირანისაკენ გადაინაცვლა. თემურ-ლენგმა უკან დაბრუნებისას დალაშქრა ჩრდილოეთ კავკასია, განსაკუთრებით ის ხალხები, რომლებსაც საქართველოსთან ჰქონდათ კავშირი.[2]

თემურ-ლენგი დაპყობილ ტერიტორიებს სოიურღალებად ურიგებდა თავის ნათესავ-ახლობლებს, ზოგჯერ ამირებსაც კი. 1393 წელს მან თავის ვაჟს გადასცა ჰულაგუიდების ტახტი და სამფლობელოები, რომელშიც შედიოდა ორივე ერაყი, აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი და ქურთისტანი. მათი მბრძანებლები მირანშაჰთან გამოცხადდნენ და მას დამორჩილდნენ; მათ შორის გიორგი VII-ის ძმა — კონსტანტინე ბატონიშვილიც.[3] სპარსული ისტორიული წყაროების მიხედვით, ამ მხარეთა მბრძანებლები, რომლებიც წინათ სხვა ხელისუფალთ ჭედს არ უხრიდნენ და არცერთ სახელმწიფოს არ ემსახურებოდნენ, როგორც იყვნენ შეიხ იბრაჰიმ დერბენდი, კოსტანტინე ქართველი, ყარა-ოსმან თურმენი და სხვ. მირანშაჰს დამორჩილდნენ.[4] როგორ უნდა გაიგოთ ეს ცნობა:

ეს სწორედ ის პერიოდია, როცა გარდაიცვალა მეფე ბაგრატ V და 1393 წ. საქართველოს სამეფო ტახტზე მისი ძე — გიორგი VII ავიდა. შესაძლებელია, რომ თემურ-ლენგის მიერ მირანშაჰისათვის გარკვეული სამფლობელოების და მათ შორის საქართველოს გადაცემის შემდეგ, გიორგი მეფის სამეფო კარმა მირანშაჰთან დამოკიდებულების გასარკვევად და ურიერთობების დასარეგულირებლად მეფის ძმა, აქტიური პოლიტიკური ფიგურა — კონსტანტინე ბატონიშვილი გააგზავნა, რაც

---

1 კ. ტაბატაძე. დასახ. მონოგრაფია, გვ. 93.
2 იქვე. გვ. 94.
3 დ. კაციტაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 104.
4 იქვე. გვ. 141.

ასე აისახა სპარსულ წყაროებში. ამასთან ერთად, შეჭნილ ვითარებაში, გიორგი VII ახალი მოკავშირე უნდა ეძებნა.

გიორგი VII კარგად გრძნობს, რომ მხოლოდ ქვეყნის შიგნით გატარებული ღონისძიებები საკმარისი არ არის, ამიტომ იგი აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებას იწყებს — თოღთამიშის დამარცხების შემდეგ უკავშირდება ჯალაირიანთა მმართველს აჰმედს, რომელიც ბრძოლას კვლავ აგრძელებდა. როგორც აღვნიშნეთ, აჰმედ ჯალაირთან დიპლომატიური კონტაქტები გიორგის მამას — ბაგრატ V დიდსაც უნდა ჰქონოდა, ამდენად, გიორგი VII-ს მასთან საერთო ენის გამონახვა არ გაუჭირდებოდა. საქართველოსა და ჯალაირიანთა სახელმწიფოს შორის პოლიტიკური კავშირი იდება, რაც ქართული დიპლომატიის სწორ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. აჰმედი თემურ-ლენგისადმი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მწვავედ დაპირისპირებული მმართველია, რომელიც მიუხედავად განცდილი წარუმატებლობისა, მაინც განაგრძობდა წინააღმდეგობას; ერთ-ერთი ასეთია ალინჯის ციხესთან დაკავშირებული ეპოპეა.

აჰმედმა თავისი ცოლშვილი და სახელმწიფო ხაზინა ამ ციხეში გადამალა. ალინჯის ციხის ალყა თემურის შვილს მირანშაჰს დაევალა. შესაბამისი რეაქცია ჯალაირიანთა მოკავშირე საქართველოს სამეფო ტახტიდანაც უნდა ყოფილიყო — გიორგი VII აწყობს ლაშქრობას ნახჭევანში (ალინჯის ციხე ნახჭევანის მიდამოებში მდებარეობდა), რომლის ერთ-ერთი მიზანი ალინჯის ციხიდან აჰმედ ჯალაირიანის ვაჟის — თაჰერის გამოყვანაა, ციხის გარნიზონის გაძლიერება და მათი სურსათით უზრუნველყოფაა.[1] „ძეგლი ერისთავთას" მიხედვით, „მაშინ გიორგი მეფე განილაშქრა ალინჯასა, ყოვლითა სპითა ქართველითა, იმერელითა, მესხით და შირვანელითა. მოვიდა ალინჯასას და დახოცა ლაშქარი თემურ ყანის და. მოვიდა გამარჯვებული".[2] გირგი VII-მ მიზანს მიაღწია, გაიმარჯვა, თაჰერი ციხიდან გამოიყვანა და ციხის გარნიზონიც გააძლიერა. გიორგი VII-ს სხვა მოკავშირეც გაუჩენია: აჯანყებული სიიდი ალი შაქისელიც გიორგი მეფეს მიმართავს დახმარებისათვის; აბდ არრეზაყ სამარყანდი ხაზს უსვამს, რომ მართალია სიიდი ალი მუსლიმი იყო, მაგრამ შეუკავშირდა ქართველებს და ალინჯის ციხეზე თაჰერის გამოსახსნელად წავიდაო.[3] მირანშაჰმა ალინჯისაკენ მაშველი ჯარი გაგზავნა ბატონიშვილ აბუბეკრის სარდლობით, ქართველთა მხარემ კვლავ გაიმარჯვა, თუმცა ბრძოლაში გიორგი VII-ის მოკავშირე

---

1 კ. ტაბატაძე, დასახ. მონოგრაფია, გვ. 99.
2 „ძეგლი ერისთავთა", შ. მესხიას გამოცემა, გვ. 358
3 დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 142

შაქისელი სიიდი ალი დაიღუპა; ბატონიშვილი თაჰერი გიორგი მეფემ საქართველოში წამოიყვანა.

ალინჯის ციხეზე ქართველთა გამარჯვებას 1396 წ. ჰქონდა ადგილი (და არა 1400-1401 წწ.); ამავე წელს უნდა ხდებოდეს გიორგი VII-ისა და სულთან აპმედ ჯალაირიანის სახელით მონეტების ემისია,[1] ანუ საქართველოსა და ჯალაირიანების სახელმწიფოთა პოლიტიკურ-დიპლომატიური კავშირი თბილისის ზარაფხანაში მოჭრილ მონეტებზეც ასახულა. სიმპტომურია, რომ ჯალაირიანებთან კავშირი 1396 წელს იდება, ანუ თოხთამიშის კრახიდან (1395 წ.) ახლო ხანებში. ასეთი ძლიერი მოკავშირის დაკარგვის შემდეგ გიორგი VII-ს ახლის ძებნა დაუწყია და ასეთად აპმად ჯალაირინი მიუჩნევია. როგორც ჩანს, გიორგი VII მომავლის პერსპექტივებზეც ფიქრობს და იმედოვნებს, რომ ჯალარიანებთან მოკავშირეობით, მომავალში მათ ტახტზე თაჰერის დასმით და ეჭიდრო ურთიერთობით, თემურის მემკვიდრეებთან ომში წარმატებებს მიაღწევს.[2]

ქართული დიპლომატიისა და ქართველ ხელისუფალთა მთავარი საზრუნავი თემურ-ლენგის საკითხი იყო, თუმცა არის ცდები სხვა პრობლემების მოგვარებისაც. XIV ს-ის მიწურულს დასტურდება საქართველო-ტრაპიზონ-გენუის ურთიერთობის საინტერესო ფაქტი: საქართველოს მეფის ქვეშევრდომთა და მათ შორის ქართველ ვაჭართა ინტერესებს პირველ რიგში საქართველოს ხელისფლება იცავდა; როცა კაფის მმართველობის წარმომადგენლებმა მიიღეს დადგენილება, რომელიც ზღუდავდა ქართველ და ტრაპიზონელ ვაჭართა უფლებებს, საქართველოს მეფემ — გიორგი VII-მ და ტრაპიზონის კეისარმა შეთანხმებულად გენუაში პროტესტი გააგზავნეს. ამ საკითხის გამო 1398 წ. 10 აპრილს გენუაში სპეციალურად შეიქმნა უხუცესთა საბჭო, რომელმაც კაფის კონსულსა და მის საბჭოს დააყალა, შეექმნა ორგანო ორი იურისტისა და ორი ვაჭრისაგან. მათ უნდა განეხილათ ზემოაღნიშნული დადგენილების მიღების სამართლიანობა. საინტერესოა, რომ ეს ოთხი პირი არჩეული იყო 6 თვით და ამ პერიოდში მათ სხვა თანამდებობის დაკავების უფლება არ ჰქონდათ.[3]

XIV ს. მიწურული დიდი დამპყრობლის ტრიუმფით აღინიშნა: თემურმა 1398 წ. დელი აიღო, ხოლო 1399 წ. ინდოეთის დაპყრობა დაამთავრა; ამავე წელს იგი ხორასანს მისული ყარაბაღის გავლით საქართ-

---

1 ც. ღვაბერიძე. საქართველოს მეფის გიორგი VII-ისა და აპმად ჯელაირის სახელით მოჭრილი მონეტების დათარიღებისათვის, „საქ. სახ. მუზეუმის მოამბე", LXI-B. თბ., 1991, გვ. 24

2 ჯ. ტაბატაძე. დასახ. მონოგრაფია, გვ. 101.

3 Т. Бериидзе, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 103.

ველოსაკენ დაიძრა — 1399 წ. ე. წ. „შვიდწლიანი“ ლაშქრობის ციკლი იწყება. ერთ-ერთი ძლიერი დარტყმა ჰერეთ-კახეთზე („ხიმშიას ხეობა“) გაკეთდა და სასტიკად იქნა აოხრებული. ბუნებრივია, ალინჯასთან წარუმატებლობას თემურ-ლენგის მხრიდან შესაბამისი რეაქცია მოჰყვა: 1400 წ. თემურის ჯარმა ალინჯის ციხე აღყაში მოაქცია და აიღო კიდეც. ჯერი საქართველოზე იყო.

1400 წლის გაზაფულზე ყურულთაის გადაწყვეტილებით თემურ-ლენგმა საქართველოზე ახალი ლაშქრობა ბრძანა. მის გეგმაში იყო ქართველთა სამეფოს დამხობა, ქრისტიანული რელიგიის აღმოფხვრა, მოსახლეობის ისლამის რჯულზე მოქცევა, რის შედეგადაც საქართველო თემურის იმპერიას ბუნებრივად შეერწყმოდა.[1] ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ გიორგი VII ვერ მოიქცეოდა მუსლიმი შირვანშაჰის იბრაჰიმის მსგავსად, რადგან ეს გზა ქრისტიანული საქართველოს თემურის იმპერიის ერთ-ერთ პროვინციად ქცევას განაპირობებდა. ქართული დიპლომატიის მიერ ამიტომაც არჩეული იქნა წინააღმდეგობის ფორმა, ხოლო გარკვეულ პერიოდში, თემურთან დიპლომატიური მოლაპარაკებებისა და ლავირების პოლიტიკა, რომლის პარალელურად ძლიერ მოკავშირეთა ძებნაც მიმდინარეობს.

საქართველოს საზღვრებთან მოსული თემურ-ლენგი გიორგი VII-ს ელჩებს უგზავნის და აჰმედ ჯალარიანის შვილის — თაჰერის მისთვის გადაცემას მოითხოვს. იმავე მოციქულს თემურისათვის გიორგი მეფის კატეგორიული და უხეში პასუხი მიაქვს: „მეფისწული, რომელიც ჩემთანაა თავშეფარებული, მტრის ხელით როგორ უნდა გავცე?“;[2] ფ. გორგიჯანიძის სიტყვებით, გიორგი VII-ს თემურიანებმა „უწინ კაცი“ გაუგზავნეს მოთხოვნით: „სულთან აჰმად ჯელმწიფის შვილი თქვენ შემოგეკვეწნიაო, ის ჩვენთან გამოგზავნეთო. რა ელჩი ქუთათისს მოვიდა, მეფემ ჯემწიფის შვილის თხოვნა უწყინა და ელჩს ავად დახვდა და თემურ ჯემწიფეს ასრე შემოუთვალა: არ არის ჩვენთ ნათესავთ წესიო, რომ შეხვეწილი კაცი ვისიმე მივცეთო“.[3] „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტის მიხედვით, გიორგისა და თემურ-ლენგს შორის მიწერ-მოწერაც გამართულა: თემურმა „მიუწერა მეფესა გიორგის წიგნი, და მიუმცნო ესრეთ, ვითარმედ: „მე ვარ მეფე შენი და მოვედ ჩემდა და შემომირიგდი, და მოგცემ საბოძვარსა მრავალსა და დიდად პატივ-გცემ; და უკეთუ არა მორჩილ მექმნები, უბრძანებ ლაშქარსა ჩემთა და მოაოჯრებ სრულიად ქუეყანასა შენსა“; მოციქულისათვის გიორგი მე-

---

1 კ. ტაბატაძე. დასახ. მონოგრაფია, გვ. 113.
2 ფ. კაციტაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 144.
3 ფ. გორგიჯანიძე. გვ. 302.

ფეს უპასუხია: „მე მეფისა შენის უმცირესი არა ვარ, და არცა ძალ-უც მოიკრება ქუეყნისა ჩემისა და, ვინათგან უთქუამს, უკეთუ არა აღასრულოს საქმე ეგე, იყოსმცა დიაცი და არა კაცი“.[1] ელჩმა თემურ-ლენგს ყველაფერი მოახსენა და თან დაურთო „ქება დიდი მეფისა გიორგისა, სიმ[illegible]ნე და სიკეთე მისი და სპისა მისისა“.

ასეთმა არადიპლომატიურმა პასუხმა თემური განარისხა („შეურვინვარების აღი კიდევ უფრო აბრიალდა“..., — აღნიშნავს ნეზამ ად-დინი), რასაც ქართული მიწების სასტიკი აოხრება მოჰყვა. იბადება კითხვა, თუ რამდენად გამართლებული იყო საქართველოს კარის მხრიდან თემურ-ლენგისადმი ასე გაშიშვლებული მტრული დამოკიდებულება?! გიორგი VII-ს კარგად იცოდა, რომ თემურის ახალი ლაშქრობის რეალური მიზეზი მარტო თაქერის ხელში ჩაგდება არ იყო; როგორც ჩანს, იგი ხედავდა, რომ ახალი დამპყრობელი საქართველოს ძველ სტატუსში არ დატოვებდა, ამდენად, შეჯახებას გარდაუვალ ფაქტად თვლიდა — აქედან გამომდინარეა, ქართული სამეფო კარის ასეთი მკვახე ტონი და ელჩის „ავად“ მიღებაც. როგორც ფარსადან გორგიჯანიძე ამბობს, ელჩი „მომძღურავი“ წასულა. ამავე დროს, თავის მოკავშირეს — ჯალაირიანთა ბატონიშვილს თაქერს საქართველოს მეფე მტერს ასე უბრალოდ (თუ იოლად) ვერ გადასცემდა; ეს გამოუსწორებელი პოლიტიკური მარცხი იქნებოდა ამიერკავკასიაში ხელმძღვანელის როლის პრეტენზიის მქონე ქუეყნისათვის.[2]

გიორგი მეფე, სპარსული წყაროების მიხედვით, „დაქრილ ვეფხვად“ წოდებული, მედგარ წინააღმდეგობას უწევს შემოსეულ მტერს, მაგრამ საბოლოოდ იძულებული ხდება აღმოსავლეთ საქართველო დატოვოს და ლიხთიქითში გადავიდეს. საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი მტერმა კვლავ სასტიკად ააოხრა, თუმცა გიორგი VII-ის შეპყრობა ვერ მოხერხდა, რადგან დასავლეთ საქართველოში გადასვლა ვერ შეძლეს.

საქართველოს სამეფო ტახტს აქმედ ჯალაირიანის შვილის თაქერის მფარველობა უკვე აღარ შეეძლო. გიორგი მეფე რწმუნდება, რომ თემურთან ურთიერთობის სხვა ფორმაა მოსაძებნი, ამიტომ დიპლომატიური მოლაპარაკების გზას მიმართავს: ელჩად გამოიყენეს ვინმე ისმაილი — „ბანიგულეს წარგზავნად კაცისა მშ[illegible]ლობის ყოფისათჳს“[3] და თემურ-ლენგს მორჩილება შეუთვალეს; გიორგი მეფე „საერისა და „ჯიზიას“ გადახდას დაჰპირდა: „და რაჟამს იხილა მეფემან გიორგი მძლავრება ესეეთარი ლანგ-თემურისა, განიგულა შერიგება და მორჩილება ლანგ-

---

ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი. გვ. 331.
კ. ტაბატაძე. დასახ. მონოგრაფია. გვ. 115.
ახალი ქართლის ცხოვრება. მეორე ტექსტი. გვ. 464.

თემურისა. წარავლინა კაცი და მოუწოდა კაცსა მას, რომელი მოსრულ იყო რჯულითა მაჰმადიანი, სახელით ისმაილ, ესე განაგო მოციქულად ლანგ-თემურისა თანა.[1] ბატონიშვილი თაპერი ქართული დიპლომატიის ასეთი კუთხით შემობრუნებას არ იზიარებს – „ხოლო რაჟამს შეიგნა საქმე ესე სულტანმან თაპირ, ფრიად დაუშალა მისვლა და შერიგები ლანგ-თემურისა თანა," მაგრამ გიორგი მეფემ „არა უსმინა", თაპირი თავიდან მოიცილა (მან ოსმალეთს შეაფარა თავი), ისმაილ მოციქული თემურთან მაინც გაგზავნა და „სიტყუა მორჩილებისა" შეუთვალა: „მოვალ შენდა და დაგემონები და მორჩილ ვიქნები შენი, ვყოთ მშჳდობა." მოგცემ „ხარაჯასა".[2] გიორგი მეფის მოციქულის ასეთი ინფორმაციით თემურ-ლენგმა „ფრიად განიხარა", ისმაილი უკანვე გააბრუნა და მეფეს შეუთვალა: „უკეთუ მოხვიდე წინაშე ჩემსა და შემომირიგდე, მეცა მიპატივებია დანაშავები შენი".[3]

მიუხედავად იმისა, რომ ნეზამ ად-დინის დასკვნით, ამ მოლაპარაკების შემდეგ „ზავი შეიკრა", ამას თემურის მიერ ჯერ სამცხეს, შემდეგ არაგვის ხეობისა და ტაოს დარბევა მოჰყვა.[4] ამდენად, ამ „ზავში" საომარი მოქმედებების მხოლოდ მცირე ხნით შეჩერება უნდა იგულისხმებოდეს.

ვინ არის ისმაილი, რომელიც ორივე მხარეს შორის მოლაპარაკებას აწარმოებს? იგი თემურის კარის ერთ-ერთი მოხელე და კ. ტაბატაძის აზრით, შესაძლოა მისი სარდალიც არის, რომელიც გიორგი მეფეს ტყვედ აუყვანია.[5] ფ. გორგიჯანიძე მას ბატონიშვილად მოიხსენიებს.[6]

როგორც აღინიშნა, მშვიდობიან ურთიერთობებს დიდი ხნით გაგრძელება არ ეწერათ. ათ-თერთმეტ წლიანი წინააღმდეგობების შემდეგ ალინჯის ციხე დაეცა, გიორგი მეფემ თემურ-ლენგს მოციქულის პირით კვლავ მორჩილებისა და დაზავების წინადადება შეუთვალა. საქართველოს სამეფო კარი თანახმაა ტახტისა და ადგილობრივი მმართველობის შენარჩუნების პირობით, ვასალურ ურთიერთობათა საფუძველზე, დამორჩილდეს თემურ-ლენგს, მითუმეტეს, ვალდებულებებში შედარებით მსუბუქი ფორმის ხარაჯა და მისართმეველი იგულისხმებოდა.

1401 წ. თემურ-ლენგი ბაღდადს იკავებს, შემდეგ თავრიზს მიდის, იქიდან კი გეზს საქართველოზე იღებს. თავისი ელჩის საშუალებით საქართველოსაგან საერის, ხარაჯის, ჯიზიასა და ბაჟის გადახდას მოით-

---

ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, გვ.333.

2 იქვე.

3 იქვე.

4 კ. ტაბატაძე, დასახ. მონოგრაფია, გვ. 141.

5 იქვე.

6 ფ. გორგიჯანიძე, ე. 303.

ხოვს. თემურ-ლენგი შამქორში იდგა, როცა მის მიერ გიორგი მეფესთან გაგზავნილი ელჩები უკან დაბრუნდნენ, რომელთაც საქართველოს სამეფო ელჩობა მოჰყვა გიორგი მეფის ძმის — კოსტანტინე ბატონიშვილის (მომავალი მეფე კოსტანტინე I — (1407-1412) მეთაურობით. ბერი ეგნატაშვილის სიტყვებით, გიორგი მეფემ „წარმოუვლინა ძმა თჳსი კოსტანტინე ძღუნითა მრავლითა და მიუმცნო სიტყვა მდაბალი მორჩილებისა".[1] მან თემურ-ლენგს მეფის ბოდიში და სიგელი გადასცა, რომელშიც აღნიშნული ყოფილა: „ჩვენის უვიცობის გამო ადრე თუ რაიმე დანაშაული ჩაგვიდენია, ახლა ამას ჩვენცა ვნანობთ და, თუ ამას თემური გვაპატიებს, ამიერიდან ჩვენგან ხელშეკრულებათა პირობების შეუსრულებლობა აღარ მოსდებაო".[2] თემურ-ლენგმა ელჩის რანგში მყოფი კონსტანტინე ბატონიშვილი კარგად მიიღო, დაასაჩუქრა და ხალათები უბოძა; ზავის პირობების შეთანხმების შემდეგ გიორგი მეფესთან დააბარა, რომ წყენინებას პატიებდა და სამეფოს არ დაარბევდა, თუ დაპირებას შეასრულებდა.

ამდენად, 1401 წ. შამქორში საქართველოს ხელისუფლებასა და თემურ-ლენგს შორის დაიდო ე. წ. „შამქორის ზავი", რომელიც, როგორც ჩანს, შესაბამისად გაფორმებულიც იქნა. ნეზამ ად-დინ შამი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მხარეებმა „ამაზე პირობა და ხელშეკრულება დადესო". შამქორის ზავი არა ზეპირი გარიგება, არამედ წერილობით გაფორმებული და სათანადო ატრიბუტების შემცველი დოკუმენტი ჩანს.[3] 1401 წლის სექტემბერში დადებული შამქორის ზავი ითვალისწინებდა:

1. საქართველო კისრულობდა თემურ-ლენგის სასარგებლოდ ყოველწლიური ხარკის გადახდას („ჯიზიას" გაგზავნას);

2. გარკვეული რაოდენობის ჯარის გამოყვანას და თემურიანთა ლაშქრობებში მონაწილეობას;

3. საქართველო ვალდებულებას იღებდა, რომ სამიმოსვლო გზებს არ ჩაკეტავდა — არ დააბრკოლებდა ელჩებისა და სავაჭრო ქარავნების მიმოსვლას;

4. დაცული უნდა ყოფილიყო მუსლიმთა სტატუსი და ხელშეუხებლობა ქართველთა სამფლობელოებში;

5. ქრისტიანული რელიგიის ადათ-წესებს მაჰმადიანურ ქვეყნებში აშკარად შესრულება ქართველებს აეკრძალოთ, ანუ შეიზღუდა მათი უფლებები მუსლიმურ სამყაროში;

ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, გვ. 335, 336.

2 კ. ტაბატაძე. დასახ. მონოგრაფია. გვ. 156.

3 იქვე. გვ. 157.

6. თემურ-ლენგი სანაცვლოდ საქართველოს მცხოვრებლებს ადგილობრივი მმართველობის ხელშეუხებლობასა და ქრისტიანობის შენარჩუნებას აღუთქვამდა.[1]

შამქორის ზავის პირობებთან დაკავშირებით აღსანიშავია, რომ იგი დაიდო ისეთ პერიოდში, როცა თემურ-ლენგი თავისი ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგის, ძლიერი ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ გენერალური ბრძოლისათვის ემზადება; მასთან შეტაკების წინა პერიოდია, აშიტომ თემურ-ლენგისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს საკითხის ძოწესრიგებას, მის პოზიციას. ამდენად, ამ ეტაპზე იგი კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო. რაც შეეხება საქართველოს — შექმნილ ვითარებაში, რადგან სხვა ქვეყნებიდან რეალურად არავითარი დახმარების იმედი არ ჩანს, ქართულ დიპლომატიას ზავის პირობები დამაკმაყოფილებლად მიუჩნევია და თანხმობაზე წასულა.

1402 წ. გაზაფხულზე თემურის ლაშქარი ყარაბაღში შეიყარა და ოსმალეთისაკენ დაიძრა. გზაში მას მოახსენეს, რომ თორთუმის ციხეში 200 ქართველი იყო გამაგრებული, არ იხდიდნენ ხარკს და მუსლიმებს თავს ესხმოდნენ. მისი ბრძანებით, მიუხედავად ზავისა, თორთუმზე რამდენიმე სარდლის მეთაურობით ჯარი გაიგზავნა; მწვავე ბრძოლის შემდეგ, თემურის ეს პრობლემაც ლიკვიდირებულ იქნა. ამდენად, შამქორის ზავი დაირღვა.

რატომ არ შესრულდა 1401 წელს დადებული ზავის პირობები?! რამ განაპირობა დროებით ჩამოვარდნილი მშვიდობიანობის დარღვევა და თემურ-ლენგის საპასუხო შემოსევები, კერძოდ, 1403 წელს კამპანია?!

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, დადებული ზავის მიუხედავად, სამხედრო მოქმედებანი თემურ-ლენგმა განაახლა — რანიდან, ყარაბაღიდან წამოსული საქართველოს საზღვრებს მოადგა და თავისი ჯარი თორთუმის ციხის ასაღებად გაგზავნა.[2] ამ მოსაზრებით გამოდის, რომ ზავი თემურ-ლენგს დაურღვევია. სპარსული ისტორიული წყაროებით, რომლებიც საქართველოს მეფის მიმართ შესაძლებელია ტენდენციურები იყვნენ, შამქორის ზავის პირობების აუსრულებლობას გიორგის აბრალებენ.[3]

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ, როგორც ჩანს, შამქორის ზავის პირობებით, თემურ-ლენგი ბოლომდე კმაყოფილი არ უნდა დარჩენილიყო, მის მიერ ამ შეთანხმების საფუძველზე საქართველო საბოლოოდ

ჯ. ტაბატაძე. დასახ. მონოგრაფია. გვ. 157.
ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 418.
დ. ყაფლანიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 123.

დაპყრობილი არ არის; 1401 წელს მან იმიტომაც განაცხადა თანხმობა, რომ წინ ოსმალებთან გენერალური ბრძოლა ელოდა; აქედან გამომდინარე, საქართველოსთან გარკვეულ პირობებზე დარეგულირებულ ურთიერთობებს მისთვის საჭირო მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ საერთაშორისო ვითარების თემურ-ლენგის სასიკეთოდ შეცვლის პირობებში, ბუნებრივია, იგი საქართველოსადმი ასეთ დამოკიდებულებას აღარ შეინარჩუნებდა და მის საბოლოო დაპყრობას შეეცდებოდა. მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა, ხომ არ უნდა დავინახოთ რაიმე მნიშვნელობა იმ ისტორიულ წყაროებში, რომელნიც ერთხმად გიორგი მეფეს აბრალებს ზავის დარღვევას (ველავ გავიმეორებთ, რომ მათი ტენდენციურობა გამოსარიცხი არ არის)?!

საერთაშორისო ვითარების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი საკითხი წყდებოდა — საბოლოოდ გამწვავდა თემურ-ლენგისა და თურქოსმალთა ურთიერთობა, ბაიაზეთ I-თან შეჯახება გარდუვალი ჩანდა. ამ მწვავე დაპირისპირების ხანაში გიორგი VII-ის სამეფო ტახტმა და აქედან გამომდინარე, ქართულმა დიპლომატიამ ორიენტაცია ოსმალეთზე ხომ არ აიღო?! საქართველოს ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ თემურ-ლენგი შამქორის ზავს არ დაყაბულდება. ამიტომაც, შექმნილ ვითარებაში ბაიაზეთ ილდირიმი (1389-1402) საქართველოს სასურველი მოკავშირე გამოდის:

ბაიაზეთმა 1396 წელს ნიკოპოლთან სასტიკად დაამარცხა ჯვაროსანთა გაერთიანებული ლაშქარი და ევროპა დიდი საფრთხის წინაშე დააყენა. დასავლეთის პოლიტიკოსები ოსმალებისაგან ხსნას თემურ-ლენგში ხედავდნენ, მყარდება ინტენსიური დიპლომატიური ურთიერთობები, ხდება ელჩების ხშირი გაცვლა და მიწერ-მოწერა; ერთ-ერთი ასეთი მომენტი „ქართლის ცხოვრებაშიცაა" დაცული: „და ამას ჟამსა შინა მოვიდა ელჩი ფრანგისა, რამეთუ შეეპყრათ შვილი კეისრისა და მოართუეს იგიცა ლანგ-თემურს. ეტრფიალა და შეეწყალა შუენიერება და საქებელი მისი და მისცა საბოძვარი და სამეუფო სამოსელი და განუტევა თჳსსა სამყოფსა".[1] ფ. გორგიჯანიძის მიხედვით, თემურ-ლენგს „ფრანგეთის კემწიფის ელჩი მიუვიდა, მრავალი ფეშქაში მიართვა და მურად ბეგის ვილი ყაესრის ნათესავი რომ ფრანგთ ომში დაერჩინათ, ისიც გამოეგზავნა, კემწიფის დანაველრი სიტყვანი მოახსენა"...[2] სპარსული ისტორიული წყაროებითაც ცნობილია, რომ 1402 წლის ანკარის ბრძოლის წინ თემურთან „ფრანგთა" — დასავლეთ ევროპელთა ელჩები მივიდნენ და მათ მურადის დატყვევებული ვაჟიშვილი მიუყვანეს, თან

ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი. გვ. 334; მეორე ტექსტი. გვ. 465.
ფ. გორგიჯანიძე. გვ. 303.

თავიანთ ხელისუფალთა წინადადებებიც გადასცეს.[1] ამავე ეტაპზე, ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში, თემურ-ლენგი თავიანთ ბუნებრივ მოკავშირედ მიაჩნდათ ბიზანტიისა და ტრაპიზონის იმპერატორებს; კლავიხოს ცნობებით, ასევე იყვნენ გენუელებიც: ბიზანტიელებმა და გენუელებმა თემურ-ლენგს დახმარება აღუთქვეს, თუ იგი თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ იომებდა; არსებობს თემურ-ლენგის წერილი იოანე პალეოლოგთან, იმპერატორ მანუელის მოადგილესთან კონსტანტინოპოლში, საიდანაც ჩანს, რომ თემურ-ლენგსა და ბიზანტიას შორის ანტიოსმალური კავშირი მყარდება. იმპერატორი მანუელი თემურ-ლენგის სასარგებლოდ ხარკის გადახდას კისრულობს, ხოლო თემური ბიზანტიის დაცვას ოსმალთა ხელყოფისაგან.[2]

ხელისუფალთა მეორე ნაწილი ორიენტაციას ოსმალეთზე იღებს: „მისწერეს ამბრი და ყოველგნით მრავალი ლაშქარნი შეიყარნეს და ბერძენთა და ფრანგთ კელმწიფემან შვილები ლაშქრით ხონთქარს მოაშველეს და თეიმურ კელმწიფეზედ წამოვიდნენ“...[3] ასევე ხომ არ მოიქცა გიორგი VII და შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოსათვის პერსპექტიულად ოსმალეთის მოკავშირეობა აირჩია?! სამეფო ტახტი ხომ არ ცდილობს თემურიანთა შემოსევებისაგან თავმობეზრებული ბაიაზეთის თემურ-ლენგის წინააღმდეგ გამოყენებას?! თუ ასეთ ქმედებას მართლაც ჰქონდა ადგილი, მაშინ გასაგებია რატომ ადანაშაულებენ აღმოსავლური წყაროები გიორგი მეფეს ზავის პირობების შეუსრულებლობაში. ასეთი ორიენტაცია თავისთავად შამქორის ზავის დარღვევას ნიშნავდა. ისიც ფაქტია, რომ 1402 წლის 28 ივლისს ანგორასთან (ანკარასთან) მთავარ ბრძოლაში გამარჯვებისა და ოსმალთა სასტიკად დამარცხების შემდეგ ძალზე უკმაყოფილო და განრისხებული თემურ-ლენგი კვლავ საქართველოსაკენ მოდის. ზემოაღნიშნულმა მომენტმაც ხომ არ განაპირობა 1403 წლის კამპანია?!

ასევე შესაძლებელია, რომ საქართველოს სამეფო ტახტისა და ქართული დიპლომატიის ასეთი ორიენტაცია არ გაიზიარეს კოსტანტინე ბატონიშვილმა და ივანე ათაბაგმა, რომლებიც თემურთან დიპლომატიური ურთიერთობების აქტიური მონაწილენი არიან, ხოლო თავად ბატონიშვილი 1401 წლის შამქორის ზავის სულისჩამდგმელადაც შეიძლება მიიჩნიოთ. ზავის პირობების შეუსრულებლობის ნიადაგზე წარმოიშვა კონფლიქტი ძმებს შორის, რაც იმით დასრულდა, რომ კონს-

---

[1] დ. კაციტაძე. დასახ. მონოგრაფია, გვ. 96.
მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.) თბ., 1990, გვ. 27.
ფ. გორგიჯანიძე. გვ. 304.

ტანტინე ბატონიშვილმა და ივანე ათაბაგმა ორიენტაცია თემურ-ლენგზე აიღეს, განუდგნენ საქართველოს მეფეს და ბირთვისის ბრძოლის წინ კოლიას მისულ მსოფლიო დამპყრობელთან გამოცხადდნენ. მოწინააღმდეგეთა ბანაკში არსებული შინააშლილობა თემურ-ლენგის წისქვილზე ასხამდა წყალს. ამიტომ, მიესალმება ასეთ ვითარებას და ორიენტაციას კონსტანტინე ბატონიშვილზე იღებს. თემურ-ლენგმა ანგორის ბრძოლის შემდეგ მოარბია მთელი მცირე აზია, დაიპყრა პერსია, იზმირი, სხვა ტერიტორიებიც და 1403 წლის გაზაფხულზე საქართველოს მოადგა.

ფ. გორგიჯანიძის მიხედვით, თემურ-ლენგს ივანე ათაბაგი და კონსტანტინე ბატონიშვილი ეახლნენ, დიდ დამპყრობელს „ძღვენი" მიართვეს და შემოეხვეწნენ, რომ „ჩვენ კემწიფის მორჩილნი ვართ და რასაც გვიბრძანებენ, იმისი მქმნელნი ვიქნებით. თუ ბეგარას გვთხოვთ მოგართმევთ და საცა გვიბრძანებთ, შეძლების ღონით გილაშქრებთ"... თემურ-ლენგმა „ივანე ათაბაგსა და მეფის გიორგის ძმას კონსტანტინეს ხალათი, გვირგვინი, და ხმლები უბოძა".[1] ეს ცნობები ამოღებულია აბდ არ-რეზაყ სამარყანდის თხზულებიდან, სადაც ამ საკითხზე სპეციალური მსჯელობაა: „... ივანემ, რომელსაც მამა-პაპათაგან საქართველოს სახელმწიფოს ორი მეექვსედი მის მფლობელობაში ჰქონდა, იმედის სახე მისი უდიდებულესობის ძლიერებასთან მოიტანა, ხმლითა და სუდარით მისი უავგუსტოესობის ურდოში მოვიდა და შესაფერისი საჩუქრები პატივისცემით მოიტანა. აგრეთვე გიორგი მეფის ძმა კონსტანტინე, რომელიც მას მტრობდა, მისი მონობის მიღების ბედნიერებისათვის მოემზადა. ორივემ ერთობლივ მოახსენეს, რომ თუ მისი უდიდებულესობა აფხაზეთში გაილაშქრებს, ჩვენ მისი უსუსური მონები ვიქნებითო".[2]

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს ამ ფაქტისადმი ორი ურთიერთდაპირისპირებული მოსაზრება, შექმნილია შესაბამისი ლიტერატურაც.[3] მათ განხილვას ვრცლად აღარ შევუდგებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ არსებული ვითარების გათვალისწინებითა და ისტორიულ წყაროთა ცნობების ანალიზიდან გამომდინარე, უნდა მომხდარიყო კონფლიქტი სამეფო კარზე. რასაც შამქორის ზავის პირობების დარღვევა და სამეფო ტახტის ორიენტაციაში შეუთანხმებლობა განაპირობებდა. კონსტანტინე ბატონიშვილი ივანე ათაბაგთან ერთად მოქმედებს, ამ უკანასკნელის პოლიტიკას კი ფეოდალური სეპარატიზმი კვებავს. ქვეყ-

---

1 ფ. გორგიჯანიძე. გვ. 310.

2 დ. კაციტაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 122

3 მისივე, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XIV ს-ის საქართველოში. „მაცნე" აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები". თბ., 1968. გვ. 137-143. მისივე. ეპიზოდი XV ს-ის დასაწყისის საქართველოს ისტორიიდან. „ცისკარი". №12. 1972. გვ. 121.. კ. ტაბატაძე. დასახ. მონოგრაფია. გვ. 179.

ნის საშინაო დიპლომატიამ, მიუხედავად საერთო ძლიერი მტრის არსებობისა, ვერ შეძლო დროებით მაინც შეეჩერებინა შინააშლილობა და ერთიანი ძალით გამოსულიყო მსოფლიო დამპყრობლის წინააღმდეგ.

ჰაფეზ-ე აბრუსა და აბდ არ-რეზაყ სამარყანდის მიხედვით, კონსტანტინე ბატონიშვილი და ივანე ათაბაგი თემურ-ლენგს მორჩილებას აღუთქვამენ. გიორგი მეფისადმი მტრობას ამყარებენ და მეგზურობასაც კი ჰპირდებიან. ასევე არის ფ. გორგიჯანიძის ცნობებითაც, მას თავის თხზულებაში სპეციალური ქკეთავიც აქვს: „თემურ ელმწიფემ ივანე ათაბაგი და მეფე ძმა კოსტანტინე ლაშქრით უთავა და სამცხიდან აფხაზეოს (დასავლეთ საქართველო, დ. ნ.) გაუძახა".[1] შერეფ ად-დინ ალი იეზიდი კი პირდაპირ მიუთითებს, რომ თემურ-ლენგთან ივანე ათაბაგი მორჩილებას მივიდა და „აგრეთვე კოსტანტინეც ქართველ მბრძანებელთაგან, გიორგი მეფის ძმა, რომელიც მასთან (გიორგისთან) ნაჩხუბარი იყო."[2] ასეთივე ხასიათის ინფორმაცია კოსტანტინე I-ის სიგელში დავით მორჩილაძისადმი:[3] გიორგი მეფესთან უთანხმოების შემღეგ დეკნილი კონსტანტინე ბატონიშვილი სამცხეში გაქცეულა; მისი მოკავშირის — ივანე ათაბაგის სამფლობელო ასეთი ბატონიშვილისათვის ყველაზე შესაფერისი ადგილი იყო. ამ დროს დავით მორჩილაძეს კონსტანტინესათვის დიდი სამსახური გაუწევია. როგორც ჩანს, გარკვეულ პერიოდში ბატონიშვილი იძულებული ხდება მოკავშირის სამფლობელოს — სამცხეს შეაფაროს თავი.

კონსტანტინე ბატონიშვილის განდგომის ფაქტი დასტურდება მირხონდის ცნობითაც — 1403-1404 წწ. თემურ-ლენგმა „სახელმწიფოების მბრძანებლებს, როგორც მაგ., შეიხ იბრაჰიმ შირვანის, სულთან ისა მირდინის მბრძანებელს და კოსტანტინე ქართველს... ყველას ხალათები მისცა და ისინი ამირ-ზადე ომარიმ მხლებლებად აქცია".[4] ეს ჯერ კიდევ არ უნდა ნიშნავდეს, რომ კოსტანტინე საქართველოს მეფეა, ხოლო გიორგი VII-ის სამეფო ტახტსაა ჩამოშორებული. სახეზეა პოლიტიკურ-დიპლომატიურ ორიენტაციაში შეუთანხმებლობა და „ბატონიშვილობის" საკითხის განსაკუთრებული გამწვავება, როცა დაპირისპირების შედეგად კონსტანტინე ბატონიშვილი თემურის ბანაკში აღმოჩნდა. კონსტანტინეს საქართველოში თემურ-ლენგის ყოფნის პერიოდში მნიშვნელოვანი მფლობელობა და უფლებრივი მდგომარეობა ეჭნებოდა: „პროვინციის მეფეთა" ეპოქაში (XIV-XV სს.) ასეთი ბატონიშვილები „მეფის"

ფარსადან გორგიჯანიძე. გვ. 310.

დ. კაციტაძე. დასახ. მონოგრაფია, გვ. 204.

თ. ჟორდანია. ქრონიკები. II. გვ. 215-216.

დ. კაციტაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 160. 204.

ტიტულსაც კი ატარებდნენ.[1] მირხონდისთან კონსტანტინეს სწორედ ასეთი მფლობელობა დასტურდება, აქვე დამატებით ირკვევა, რომ როგორც ჩანს, ერთგულებისათვის თემურ-ლენგს კონსტანტინე „ქართველი" დაუსაჩუქრებია და „ხალათი" გადაუცია. ამ ცნობითაც დასტურდება თემურის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება კონსტანტინესადმი შესაბამისად, საპირისპირო ურთიერთობა გიორგი მეფესთან.

როგორც ჩანს, ბოლო შემოსევის წინ გიორგი მეფე გარკვეულ მოლაპარაკებებს აწარმოებს, აქიანურებს მათ და დროის მოგებას ცდილობს, მაგრამ შარიფ ად-დინ ალი იეზიდის სიტყვებით, თემურ-ლენგმა გიორგი მეფის „ფლიდი სიტყვები ალარ დაიჯერა, რომლებიც ელჩებმა მოახსენეს და ძღვენი და საბოძვარი რომ გამოეგზავნა, არც იმათზე მიღების რაყამი გასცაო".[2] „ახალი ქართლის ცხოვრების" მიხედვით, „და რა წავიდა მოციქული, ლანგ-თემურ განიზრახა თქსაგან: ,ესე უწყი, აღიღებენ მოსავალსა, და განიგულვენ სიმაგრესა, და არღარა მოვლენ ჩემ თანა" და ამისთჳს არა უსმინა ხუეწნა მეფისა გიორგისი და წარემართა სპითა მრავლითა, რამეთუ სწადოდა მიზეზით შეპყრობა მეფისა გიორგისი".[3]

თემურ-ლენგთან დიპლომატიური ურთიერთობის ბოლო პერიოდში ყურადღებას იქცევს ერთი საინტერესო პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც სახელად ესაია ჰქვია — თმურ-ლენგი ამბობს: „შარშან რომ მეფე გიორგი დამპირდა, ვნახოთ აღმისრულებს თუ არაო. და თუ აღმისრულებს, ვსცნა ახლა"; იგი წამოვიდა და მანგლისს დადგა. „და იყო თავადი ადგილსა მას, რომელსა ეწოდება მარტიანა*, და თავადსა მას ეწოდებოდა სახელად ესაია. და მას პირობა დაედვა ლანგ-თემურისათჳს მისვლად მის თანა და არღარა მისულიყო"; ესაიას შექმნილ ვითარებაში „არღარა ჰქონდა ღონე მისვლისა მეტი", ამიტომ „შეეხუეწა ძესა ლანგ-თემურისასა შარუხს და ჩამოუშვა შუამავლად". საბოლოოდ, იგი თემურ-ლენგის წინაშე წარსდგა, „რა ნახა ლანგ-თემურ, უთხრა სიტყუანი წყრომისანი, თუ ვითარ იკადრე შენ ჩემი ურჩობაო. მაშინ მოეკვარა ძე მისი და იპატივა და შეაწყალა მამასა თჳსსა და უშოვა ხალათი. და ჰყვანდა თავადსა მას ასული ერთი და გამოართუა ძემან ლანგ-თემურისმან ა ბ უ ბ ე ქ ი რ და შ ე ი რ თ ო ც ო ლ ა დ. და იყვნენ მიერითგან მოყუარენი და მიენდო ლანგ-თემურცა".[4]

---

1 დ. ნინიძე. „პროვინციის მეფეთა" ინსტიტუტის წარმოშობისათვის, გვ. 124-138.

2 კ. ტაბატაძე. დასახ. მონოგრაფია, გვ. 165.

ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი. გვ. 337.

ახალი ქართლის ცხოვრება. მეორე ტექსტის მიხედვით — „მარტინი". გვ 467.

ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი, „ქართლის ცოვრება". II, გვ. 335. ასევე ახალი ქართლის ცხოვრების მეორე ტექსტი, გვ. 467.

ესაიას სახელი ამოტივტივდა თემურ-ლენგის ბოლო შემოსევისას: „და მაშინცა არავე დააცხრო ბოროტმან ამან (თემურ-ლენგი, დ. ნ.) გულისწყრომა თჳსი ქართლისა ზედა და სწადოდა ქუეყანა გასათათრებლად“, მაშინ სცნა ესე გიორგი მეფემან, წარმოუგზავნა კაცი იგი, სახელად ესაია, რომელი იყო თავადი სომხითისა“; საქართველოს მეფე ითვალისწინებს მის თემურ-ლენგთან მოყვრობას და ამ დიპლომატიურ მისიას ესაიას ავალებს, მეფეს უთქვამს: „რომელიცა პირობა მოგჳცემია, ყველა აღგჳსრულებია და ურჩობა არა გჳქმნია რა, და რომელსაცა ამიერითგან გჳბრძანებთ, არა ურჩ გეჭნებით. და აწ ისმინეთ აჯა ჩუენი და შეიწყალეთ ქუეყანა ესე ჩუენი, ნუ მოხვალ და ნუცა წაახდენთ ქუეყანასა ამას, რამეთუ მოსავლისა პირი არის, და, თუ ახლა თქვენ მოხვალთ, წაჴდება სულად ქუეყანა ესე“.[1]

ესაიას მოყვრობამაც არ გაჭრა, თემურ-ლენგმა არც ფეშქაში აიღო, რადგან „სწყრებოდა ფრიად“. რა იყო იმის მიზეზი, რომ მსოფლიო დამპყრობელი ასე განაწყენებულია? როგორც ჩანს, ეს განაპირობა შამქორის ზავის პირობების შეუსრულებლობამ და ჩვენი ვარაუდით, სამეფო კარის ოსმალეთისაკენ ორიენტაციამ. ოსმალეთი უკვე დამარცხებულია და თემურ-ლენგს საქართველოს საკითხის საბოლოო მოგვარება აქვს გადაწყვეტილი — ესაიას მისვლის შემდეგ მას გიორგი მეფისათვის შეუთვლია: „უკეთუ გინდა წაუჴდენლობა ქუეყანისა ამის, მოდი ჩემ თანა და გათათრდი, და თუ გათათრდები, არცა გთხოვ ხარკსა და მიგცემ ჴლშეუვალად ქუეყანა მაგას და სრუასაცა მრავალსა საბოძვარსა და უკეთუ არა გათათრდები, ხარკი ჩემი და მოდი ჩემ თანა და მოგცემ ქუეყანა მაგას და, როგორც განუტევე შვილი კეისრისა, ეგრევე შენცა არას გავნებ და განგიტევებ მშჳდობით, რამეთუ იგიცა შენისა სჯულისა იყო. და უკეთუ არა მოხვალ, დავასრულებ ჯავრსა ჩემსა შენ ზედა და ქუეყანასა შენსა ზედა“...[2]

ფ. გორგიჯანიძის მიხედვით, 1403 წლის საქართველო — თემურიანთა ზავის წინ თემურ-ლენგმა „ასრე უბრძანა“ ივანე ათაბაგს: „მე მეფის გიორგისაგანო ბევრი ჯავრი მახსოვსო. შენც შენი ლაშქარნი შეიყარეო, და მინდა იმაზე გავილაშქრო. ეს ამბავი მალვით კოსტანტინემ თავის ძმას მეფეს მისწერა“.[3] როგორც ზემოთ აღინიშნა, გიორგი VII-სა და კოსტანტინე ბატონიშვილს შორის კონფლიქტი წარმოიშვა; გარკვეულ პერიოდში, როგორც ჩანს, კოსტანტინე იძულებული ხდება თავისი მოკავშირის ივანე ათაბაგის სამფლობელოს — სამცხეს შეაფაროს თავი.

---

1 ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, გვ. 336.
2 იქვე.
3 ფ. გორგიჯანიძე, გვ. 311.

ფ. გორგიჯანიძის ცნობით, 1403 წლის ლაშქრობისა და ზავის შემუშავების პერიოდში დასტურდება ძმებს შორის კონტაქტის არსებობა — მოსალოდნელი მოქმედებების შესახებ „ძალვით კოსტანტინემ თავის ძმას მეფეს მისწერა“, რამაც შემდეგისათვის, შესაძლებელია განაპირობა ბატონიშვილის სამცხიდან სამეფო კარზე დაბრუნება და გიორგი მეფის მიერ მისი შეწყალება. სწორედ ეს ფაქტები უნდა ასახულიყო დავით მორჩილაძის სიგელში[1]

1403 წლის შემოსევის დროს, პირველ ეტაპზე, გიორგი VII-ის დიპლომატიურ ცდებს — ელჩების გაგზავნას, საჩუქრების გადაცემასა და მორჩილების აღთქმას შედეგები ვერ მოჰყვა. თემურ-ლენგს „საქართველოს საკითხის“ საბოლოო გადაწყვეტა ჰქონდა ჩაფიქრებული, ამიტომ გიორგი VII-ის დესპანებს მეფის ძმასთან დაუყოვნებლივ გამოცხადებას სთხოვს; მათვისვე დაუბარებია, რომ თუ მეფე გიორგის თავისი სამეფოს გადარჩენა უნდა, ყველა ნაკისრი ვალდებულებაც შეასრულოსო.[2] გიორგის სამეფო კარის პასუხი არ ჩანს. ფაქტია, რომ თემურის შემოსევა მაინც შედგა — 1403 წლის 3 აგვისტოს იგი ბირთვისს მიადგა, რომლის აღებასა და აღმოსავლეთ ნაწილში თარეშს დასავლეთ საქართველოში ლაშქრობა მოჰყვა. ქართულმა დიპლომატიამ, სამწუხაროდ, მისი თავიდან აცილება ვერ შეძლო.

გიორგი VII კვლავ ელჩებს გზავნის თემურ-ლენგის კარზე. ამირების მოსარჩლეობით თემურს მოხსენდა: „ოღონდ თქვენი რისხვა დააცხრეთ და გიორგი მეფე ფეშქაშად გამოგიგზავნით განძეულობას, ლამაზ გოგონებს, თოჰაფს და ჰადიეს, გარდა ამისა, ჯიზიასა და ხარაჯას გადახდასაც იკისრებს, წლიდან წლამდე ხაზინაში შემოიტანს და ლაშქრითაც მოგეხმარებათო“.[3] ფ. გორგიჯანიძის მიხედვით, ცნობილი ხდება გიორგი VII-ის მიერ ჩატარებული დიპლომატიური საქმიანობის ნიუანსები: მას თემურის „კარის კაცთათვის ფეშქაში და სახვეწარი წიგნები მოეწერა, — ჟელმწიფესთან მამეკმარენითო, ჯიზიასა და ბეგარას დავიდებო, ამ ნაპირის ქვეყნებსზედ ულაშქრებო და კარზედ მოსვლა არ შემიძლიაო, ჟელმწიფისაგან მეშინიანო“[4] გიორგი მეფის ასეთი ნაბიჯის შემდეგ „ადგნენ ვაზირ ვაჭირნი და ლაშქართუხუცესნი, ერთგან შეიყარნეს და სიტყვანი ერთი ჭნეს და მეფის გიორგის არზა და ძღვენი ჟელმწიფეს (თემურ-ლენგს, დ. ნ.) მიართვეს და კარგად გააშინჯვინეს“; მათ მოახსენეს აზიის დამპყრობელს, რომ „ტყეში ერთი მოუხმარებელი ქვე-

---

1 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 215-216.
2 დ. კაციტაძე, ნაშრომი, II, გვ. 155
იქვე. გვ. 159.
4 ფ. გორგიჯანიძე, გვ. 311.

ყანა არისო. მიხვალ, გაგეჭცევისო და როსაც წამოხვალ, ისევ ჩამოვაო და თავის ქვეყანას დაიპერსო და ქვეყანანი დაიპირეთო და ამდენს სრულ ქვეყანაზედ არ გარჯილვართო... ქვეყანა კიდევ ბევრი დარჩომილა აუღებელიო, ამ ურგებს ტყეში რისთვის ჩაგვხოცავს ხელმწიფეო".[1]

თემურ-ლენგი თავიდან ჰირვეულობს, თითქოს რელიგიური მოტივების გამო დაზავებაზე უარს ამბობს, რაც კ. ტაბატაძის აზრით, სპარსელი ისტორიკოსების მიერ განგებ მოგონილი მიზეზი უნდა იყოს საქართველოს მეფესთან იძულებით დადებული ზავის გასამართლებლად.[2] ისიც ხომ ფაქტია, რომ 1401 წელს საქართველოს მეფესთან მოლაპარაკებისას იგი ასე არ იქცევა, გიორგი VII მაშინაც ქრისტიანი ხელისუფალი იყო — სწორედ ამ დიპლომატიურ კონტაქტებს მოჰყვა ე. წ. შამქორის ზავი, ქართული დიპლომატიის სასახელოდ ქართველებს მოსარჩლეები აღმოუჩნდნენ — თემურის „ვაზირ ვაქილთა" და სხვათა გვერდით განსაკუთრებით შირვანშაჰი იბრაჰიმი აქტიურობს, რომელთანაც საქართველოს სამეფო კარის მოკავშირეობის შესახებ ზემოთაც გვქონდა საუბარი: თემურმა „შირვანის მეფეს უბრძანა თქვენ რას იტყვითო. იმან ასრე მოახსენა: გიორგი მეფეს ჩვენთანაც სახვეწარი წიგნი მოეწერაო. ღმერთმან ეს გამარჯვება საქართველოს ზედანო რომ თქვენ მოგცაო, არც ალექსანდრე მაკიდონელსაო და არც სხვათა ჯემწიფეთ არ მისცემიაო და აჭობამდისინ არც ვის შეხვეწნიაო. ამდენი ქვეყანა და ციხეები დაუქციეთო, ჯიზიაც იკისრესო, საკელი იჭნების ქვენგან ჩუქებაო. ჯემწიფემ დაუჯერა".[3] შეიხ იბრაჰიმთან მოკავშირეობა და მისი აქტიური როლი იქიდანაც ჩანს, რომ „თემურს გიორგი მეფეზედ გალაშქრება შეიხ იბრეიმ შირვანის ბატონმან დაუშალა და იპატიჟა. ელჩები დააბრუნა და გიორგი მეფეს წიგნი მისწერა. რა ელჩი და წიგნი მიუვიდნენ მეფეს (გიორგი VII, დ. ნ.) ნამეტნავად იამა და გამხიარულდა. ისრეევ მალ ელჩნი გამოგზავნა"[4] საბოლოო მოლაპარაკებისა და გადაწყვეტილების წინ საქართველოს სამეფოს ელჩობა წარსდგა თემურლენგის წინაშე და მიართვა: ათასი ცხენი, ათასი თანგა თემურის სიქით შემკული, მზისებრ მბრწყინავი, წონით თვრამეტი მისხალი ბადახშანის ლალი, სხვა ძვირფასი ქსოვილი და ურიცხვი ეურჭელი. საქართველოს მეფემ ჯიზიასა და ხარაჯას გადახდა და გარკვეული რაოდენობის ჯარის გამოყვანა იკისრა.[5]

---

1 ფ. გორგიჯანიძე გვ. 311.
2 კ. ტაბატაძე, დასახ. მონოგრაფია, გვ, 209.
3 ფ. გორგიჯანიძე, გვ. 311.
4 იქვე. გვ. 312.
5 იქვე, გვ. 31Ე დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 159, 214.

საბოლოოდ, თემურის წინაშე მოსარჩლეობა და დიპლომატიური მოლაპარაკებები ჭრის და იგი ზავზე თანხმდება; ყოველივე გიორგი მეფის ელჩების თანდასწრებით ხდება — ისტორიული ცნობების თანახმად, თემურ-ლენგმა „გიორგი მეფის თხოვნის პასუხად თავი მძიმედ დააჭნია და ელჩები შიშნარევი იმედით გაისტუმრა".[1] თემურ-ლენგი ომებით უკვე დაღლილი იყო, თან ზამთარიც ახლოვდებოდა, ამიტომ თავის მხრივ ისიც დაინტერესებული იყო ზავის დადებით. დასავლეთ საქართველოს დაპყრობას ბოლო აღარ უჩანდა და მანაც თანხმობა განაცხადა; ამასთანავე, როგორც ჩანს, შეთანხმების პირობები მას სავსებით აკმაყოფილებდა. „თემურ კემწიფემ გიორგი მეფესაო საკემწიფო გვირგვინი და კალათი და კმალი გამოუგზავნა, დიდის ქებით საიმედო წიგნი მისწერა".[2] ასე დაიდო 1403 წლის საქართველო — თემურიანთა ზავი.

საქართველოსა და თემურ-ლენგს შორის პირობები ითვალისწინებდა: გიორგი VII-ს სამეფო ტახტი აღიარებდა თემურ-ლენგისადმი ვასალურ დამოკიდებულებას; აქედან გამომდინარე, კისრულობდა ყველა იმ ვალდებულების შესრულებას, რომელიც ასეთი სტატუსის მქონე ქვეყანას ევალებოდა. გიორგი VII დათანხმდა „ჯიზიას" (არა მუსლიმებზე დაკისრებული სულადობრივი გადასახადის) და „ხარაჯას" (მიწაზე დადებული გადასახადის) გადახდას. ეს ნიშნავდა, რომ თემურ-ლენგი საქართველოს უკვე როგორც დაპყრობილ ქვეყანას განიხილავდა. საქართველოს ასევე ევალებოდა მაშველი ჯარის გამოყვანა. მეორე მხრივ, ზავის თანახმად, გიორგი VII-მ შეძლო ადგილობრივი მმართველობის შენარჩუნება, თემურ-ლენგმა სცნო საქართველოს, როგორც ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობის ფაქტი, რაც მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო. ზავის დადების შემდეგ თემურ-ლენგს საქართველოში აღარ ულაშქრია, ხოლო გადარჩენილი სამეფო ტახტი ქვეყნის ერთიანობის აღდგენასა და მტრისგან მის გაწმენდას შეუდგა. ვახუშტის სიტყვებით, „ხოლო შემდგომად წასვლისა თემურისა, დაიპყრა მეფემან გიორგი ქართლი, სომხითი, ჰერკახნი და იწყო შენებად მოოკრებულთა და ბრძოდა ციხოვანთა".[3] თემურის გარდაცვალების შემდეგ (1405 წ.) კი „დაშთა ქუეყანა (საქართველო, დ. ნ.) და მეფე მათგან მშუდობით. ხოლო მეფემან (გიორგი VII, დ. ნ.) განასხნა თათარნი და აღიხუნა ციხენი ქართლ-სომხითისანი სრულიად".[4]

---

1 კ. ტაბატაძე, დასახ. მონოგრაფია, გვ. 210.
2 ფ. გორგიჯანიძე, ,,ე. 312.
3 ვახუშტი, გვ. 275
4 იქვე, გვ 275-276.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ი ნ ა თ ქ მ ა — რ. მეტრეველი - - - - - - - - - - - - - - - - - - -

I თ ა ვ ი. ქართველთა უძველესი გაერთიანებების (დაიაენი-დიაუხი, კულხა) დიპლომატიური პრაქტიკა — ე. ასტახიშვილი- - - - - - - - - - - - - - — 7

II თ ა ვ ი. კოლხეთისა და ქართლის სამეფოების საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია ძვ. წ. VI-II საუკუნეებში — გ. ქავთარია - - - - - - - - - - - - - - — 13

III თ ა ვ ი. ქართული პოლიტიკური სამყარო საერთაშორისო არენაზე ძვ. წ. I და ახ. წ. II საუკუნეებში — ნ. ლომოური - - - - - - - - - - - - - - - - - - 36

1. რომის გავლენის დამყარება ამიერკავკასიაში და ქართული პოლიტიკური ერთეულების საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა ძვ. წ. I საუკუნეში - - 36
2. იბერია და კოლხეთი ახ. წ. I-II საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობები - — 45

IV თ ა ვ ი. ქართლისა და ეგრისის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია ახ. წ. III-V საუკუნეებში - - - - - - - - - - - - - - - - - - - — 63

1. ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია III საუკუნიდან V საუკუნის I ნახევრამდე — ნ. შოშიაშვილი - - - - - - - - - - - - - - - — 63
2. ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკა V საუკუნის II ნახევარში ვახტანგ გორგასლის დიპლომატია — მ. ლორთქიფანიძე - - - - - - - - - — 84
3. ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასთან V საუკუნის II ნახევარში გუბაზ I-ის დიპლომატია — დ. ლეთოდიანი 98

V თ ა ვ ი. ქართლისა და ეგრისის საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები და დიპლომატია VI-VIII საუკუნეებში- - - - - - - - - - - - - - - — 106

1. ქართლისა და ეგრისის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა VI საუკუნის I ნახევარში. 532 წლის „უკვადო ზავის" შედეგები — დ. ლეთოდიანი - — 106
2. „დიდი ომიანობა" ეგრისში VI ს-ში და მისი პოლიტიკურ-დიპლომატიური ასპექტები — ნ. ლომოური - - - - - - - - - - - - - - — 120
3. აფხაზეთის (აბაზგიის) საკითხი ბიზანტია-ეგრისის ურთიერთობაში (VI-VIII საუკუნეებში) — დ. ლეთოდიანი - - - - - 127
4. საეკლესიო განხეთქილება კავკასიაში VII საუკუნის დამდეგს. ეირონ ქართლის კათალიკოსის დიპლომატია — ზ. ალექსიძე - - - - - - - - 142
5. ბიზანტია-ირანის წინააღმდეგობების გამწვავება VII საუკუნის 20-იან წლებში და ბიზანტიის გავლენის დამყარება ქართლში — ნ. ლომოური - -164
6. არაბთა სახალიფოს გავლენის დამყარება ქართლში. ქართულ-არაბული ურთიერთობები VII-VIII საუკუნეებში — მ. ლორთქიფანიძე - - - - — 171

VI თ ა ვ ი. ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში. საშინაო დიპლომატია (IX ს. და X ს-ის I ნახევარი) — მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი - - - - - - - - - - - — 183

VII თ ა ვ ი. ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი დიპლომატიური უზრუნველყოფა — მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი - - - - - - - - — 206

VIII თ ა ვ ი. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XI საუკუნეში — მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი - - - 226

IX თავი. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის I მეოთხედში. დავით აღმაშენებლის დიპლომატია – რ. მეტრეველი - - 263

X თავი საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XII ს-ის 30-90-იანი წლების დამდეგს. დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის დიპლომატია – რ. მეტრეველი - - - - - - - - - - - - - - - - - - 303

XI თავი საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო არენაზე XII საუკუნის მიწურულსა და XIII საუკუნის დამდეგს. თამარ მეფის დიპლომატია – რ. მეტრეველი - 320

XII თავი. ქართული დიპლომატია XIII საუკუნეში – დ. ნინიძე - - - - - - - - – 351
1. საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ. ურთიერთობა მონღოლებთან - – 351
2. საქართველო-ევროპის დიპლომატიური კონტაქტები XIII საუკუნის I ნახევარში - – - - - - – - - - - – - - - - – - - - - - - - - - - - - - - - 398
3. წინააღმდეგობა მონღოლთა სახელმწიფოებს (ულუსებს) შორის და საქართველო XIII საუკუნის II ნახევარში - - - - - - - - - - - - - - - - - - 412
4. დასავლეთ საქართველოს დიპლომატიური კონტაქტები XIII ს-ის II ნახევარში - - – - – 428
5. სამცხის სამთავროს დიპლომატიური კონტაქტები XIII ს-ის II ნახევარში - 451

XIII თავი. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIV საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დამდეგს – დ. ნინიძე- - – 466
1. „მრავალმეფიანობის" ხანის (1298-1318) ქართული დიპლომატია- - - - – 466
2. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები XIV საუკუნის 20-40-იან წლებში. გიორგი V ბრწყინვალის დიპლომატია - – 487
3. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური მდგომაოეობა XIV საუკუნის II ნახევარსა და XV საუკუნის დამდეგს - - - - - - - - - - 512

CONTENTS

FOREWORD - **R. Metreveli** ---------- 5

CHAPTER I. Diplomatic practice of the ancient confederations (Dayaeni-Diauhi-Qulha) of the Georgians – **E. Astakhishili** ---------- 7

CHAPTER II. The foreign policy and diplomacy of the Kingdoms of Colchis and Kartli in the 6th-2nd cent. B.C. – **G. Kavtaria** ---------- 13

CHAPTER III. The Georgian political world on the international scene in the 1st cent. B.C. and 2nd cent. A.D. – **N. Lomouri** ---------- 36

1. The establishment of Roman influence in Transcaucasia and the foreign-political situation of Georgian political entities in the 1st cent. B.C. -------- 36
2. Iberia and Colchis in the 1st-2nd cent. A.D. international relations ---------- 45

CHAPTER IV. The foreign policy and diplomacy of Kartli and Egrisi in the 3rd-5th cent. A.D. ---------- 63

1. The foreign policy and diplomacy of Kartli from the 3rd cent. to the second half of the 5th cent. – **N. Shoshiashvili** ---------- 63
2. The foreign policy of the Kingdom of Kartli in the second half of the 5th cent. The diplomacy of Vakhtang Gorgasali – **M. Lordkipanidze** ---------- 84
3. The relationship of the Kingdom of Egrisi (Laziea) with the Byzantine empire in the second half of the 5th cent. The diplomacy of Gubaz I -- **D. Letodiani** ---- 98

CHAPTER V. The foreign political relations and diplomacy of Kartli and Egrisi in the 6th-8th centuries.---------- 106

1. The foreign political situation of Kartli and Egrisi in the first half of the 6th cent. The consequences of the 532 "perpetual peace" – **D. Letodiani** ---------- 106
2. "Great warfare" in Egrisi in the 6th cent. and its political and diplomatic aspects – **N. Lomouri** ---------- 120
3. The Abkhazian (Abasgian) question in Byzantine-Egrisian relations in the 6th-8th centuries – **D. Letodiani** ---------- 127
4. The ecclesiastical split in the Caucasus at the beginning of the 7th cent. The diplomacy of Kyron, the Catholicos of Kartli **Z. Alexidze** ---------- 142
5. The aggravation of Byzantine-Iranian contradictions in the 630s and the establishment of Byzantine influence in Kartli **N. Lomouri** ---------- 164
6. The establishment of the influence of the Caliphate in Kartli. Georgian-Arab relations in the 7th-8th cent. – **M. Lordkipanidze** ---------- 171

CHAPTER VI. The emergence of new kingdoms and principalities in Georgia and their place in international relations. Domestic diplomacy (9th-first half of the 10th cent.) **M. Lordkipanidze, Z. Papaskiri** ---------- 183

CHAPTER VII. The rise of a single Georgian state and its diplomatic provision – **M. Lordkipanidze, Z. Papaskiri** ----------206

CHAPTER VIII. The foreign policy and diplomacy of the Gerogian state in the 11th century **M. Lordkipanidze, Z. Papaskiri** ----------226

CHAPTER IX The foreign political relations of the Georgian state at the end of the 11th and first quarter of the 12th cent. The diplomacy of David the Builder – R. Metreveli ——— 263

CHAPTER X. The foreign policy and diplomacy of the Georgian state in the 1130s and the early 1180s. The diplomacy of Demetre I and Giorgi III R. Metreveli ——— 303

CHAPTER XI. The Georgian state on the international scene at the end of the 12th and early 13th cent. The diplomacy of Queen Tamar – R. Metreveli ——— 320

CHAPTER XII Georgian diplomacy in the 13th cent. – D. Ninidze ——— 351
1. The conquest of Georgia by the Mongols. The relationship with the Mongols ——351
2. Georgian-European diplomatic contacts in the first half of the 13th cent. ——— 398
3. Contradictions between the Mongol states (Uluses) and Georgia in the second half of the 13th cent.——— 412
4 Diplomatic contacts of Western Georgia in the second half of the 13th cent.——— 428
5. Diplomatic contacts of the Principality of Samtskhe in the second half of the 13th century ——— 451

CHAPTER XIII The foreign policy and diplomacy of the Georgian state at the end of the 14th and early 15th cent. - D. Ninidze ——— 466
1. Georgian diplomacy of the period of "Many Kings" (1298-1318) ——— 466
2 The foreign political relations of the Georgian state in the 1320s-1340s. The diplomacy of Giorgi V the Brilliant ——— 487
3. The foreign political situation of the Georgian state in the second half of the 14th- and early 15th cent. ——— 512

გამომცემლობის რედაქტორი თ. გაბელაია
ტექნიკური რედაქტორი ბ. ასათიანი
კორექტორი ე. წერეთელი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.03.98
საბეჭდი ქაღალდი 60x84 1/16
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 34,5
სააღრ.-საგამომც. თაბახი 32,74
ტირაჟი 500
შეკვეთის N 32
ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პრ. 14

გამომცემლობა „მერიდიანი“, „კაბადონი“,
თბილისი, ვ'ურამიშვილის გამ'ხ. 74